

წიგნი გამოცემულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის და ბატონ დავით იაკობაშვილის ფინანსური მხარდაჭერით, როგორც ფონდის 2014 წლის სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი.

NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS



THEOPHILUS HIEROMONK
TEACHINGS AND SAYINGS OF SAINT FATHERS

OLD GEORGIAN TRANSLATION OF MEDIEVAL SHORT STORIES

VOLUME III

TEXT, PREFACE, GLOSSARY AND
INDECES PREPARED BY
MANANA DVALI AND **DALI CHITUNASHVILI**

TBILISI 2014

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



თეოფილე ხუცესმონაზონი
მამათა სწავლანი და თხრობანი

შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები

ტომი III

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი,
ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს
მანანა დვალმა და **დალი ჩიტუნაშვილმა**

თბილისი 2014

ISBN 978-9941-9091-???
© ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2014.

„სული ყოველთა ქრისტიანეთაჲ განსუენებულ ყავ, უფალო! სული მოძღუართა და მშობელთა ჩუენთაჲ სანატრელ ყავ, უფალო! სულსაცა ჩემსა მრავალშეცოდებულსა ნუვე გასწირავ, უფალო!“

თეოფილე ხუცესმონაზონი

შესავალი

წინამდებარე წიგნი პატერიკების (Ἀποφθέγματα τῶν ἁγίων πατέρων და Ἀνδρῶν ἁγίων βιβλός) ქართული თარგმანების გამოცემის მესამე ნაწილია. პირველი ორი ტომი დაიბეჭდა სათაურით „შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები“[1]. წიგნის პირველ ტომში გამოცემულია სისტემატური პატერიკის ეფთვიმე მთაწმიდელისეული თარგმანი, ხოლო მეორე ტომში - ანბანურ-ანონიმური კრებულის ქართული თარგმანები სინური და ათონური ხელნაწერების მიხედვით.

წინამდებარე გამოცემა პატერიკების სისტემატური კოლექციის თეოფილე ხუცესმონაზონისეულ[2] თარგმანს წარმოადგენს.

პირველ ტომში დეტალურად იყო განხილული პატერიკების სისტემატური კოლექციის შესწავლის საკითხი. უნდა ითქვს, რომ, სამწუხაროდ, მასალის დიდი რაოდენობის გამო, დღემდე ვერ მოხერხდა კრებულის ბერძნული ვარიანტის კრიტიკული ტექსტის გამოცემა. ასეთივე ვითარებაა აპოფთეგმატას სხვადასხვაენოვან თარგმანებთან დაკავშირებით: არსებობს გამოკვლევები ხელნაწერთა სტრუქტურული ანალიზით, ან მხოლოდ ცალკეულ ხელნაწერთა ტექსტების გამოცემები, თუმცა ამ შემთხვევაშიც მათი სიმრავლისა და მრავალფეროვნების გამო კრიტიკული ტექსტის გამოცემა ვერ ხერხდება.

სისტემატური კოლექციის პატერიკის თეოფილე ხუცესმონაზონისეული თარგმანის ბერძნულ ანალოგებთან მიმართების შესახებ დაწვრილებით მოთხრობილია „შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანების“

---

[1] მ. დვალი, შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, ტ. I, თბ., 1966; ტ. II, თბ.,1974.

[2] თეოფილე ხუცესმონაზონის ცხოვრება-მოღვაწეობისათვის იხ.: ელ. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996, გვ. 226-239; ს. მახარაშვილი, თეოფილე ხუცესმონაზონი (შემოქმედებითი პორტრეტი), თბ, 2002.

პირველ ტომში. ამ გამოკვლევის მიხედვით, თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ თარგმნილი პატერიკი, აპოფთეგმურ კრებულთა შესწავლის ინიციატორის, ფრანგი მეცნიერის ჟ.-კ. გის კლასიფიკაციით, განეკუთვნება ჩვეულებრივი სისტემატური კოლექციის პატერიკების განვითარების ბოლო (C) ეტაპს[1], თუმცა თეოფილესეული თარგმანის დაწვრილებითმა შესწავლამ სხვა შედეგები მოგვცა (იხ. ქვემოთ), წინამდებარე გამოკვლევაში, კლასიფიკაციის გარდა, ვეხებით ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე საკითხს.

კრებულის სახელწოდებისათვის

ჩვეულებრივ, ბერძნულ ხელნაწერებში სისტემატურ პატერიკულ კრებულებს Ἀνδρῶν ἁγίων βιβλός („წმიდა მამათა წიგნი“) ეწოდება, ანალოგიურია კრებულის ლათინური და სომხურენოვანი თარგმანების სათაურებიც. სამწუხაროდ, ქართულ თარგმანებს (არც თეოფილესეულს და არც ეფთვიმესეულს) არ შემოუნახავს კრებულის სახელწოდების ქართული ვარიანტი, თუმცა ხელნაწერთა მრავალრიცხოვანი მინაწერები მას „მამათა ცხოვრების“ და „მამათა სწავლანის“ სახელით მოიხსენიებს.

ბერძნული ხელნაწერებისათვის დამახასიათებელი სახელწოდების მსგავს თარგმანს გვაძლევს ხელნაწერი A 1105. ხელნაწერში ზანდუკის წინ დართულ მთარგმნელისეულ ანდერძში ვკითხულობთ: ***„ესე წიგნი არს წმიდათა მამათაჲ***, რომელსა შინა წერილ არიან სწავლანი და თხრობანი და მოქალაქობანი წმიდათა მამათანი, რომელი აღსავსე არს და შემკობილ ყოველთა მიერ კეთილთა, ***ვითარცა სამოთხჱ ღმრთისაჲ***“ 1r.

როგორც ვხედავთ, ანდერძის მიხედვით, წიგნს „მამათა წიგნი ეწოდება“. ამგვარი დასახელება უცხო არ არის ქართული ხელნაწერი წიგნებისათვის. „მამათა დიდი წიგნი“ ეწოდება სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცულ O/Sin 35 ხელნაწერს, ამავე კოლექციაში ნიკო მარის მიერ მიკვლეულ სინას მთის ბიბლიოთეკის წიგნთა ნუსხაშიც[2]. ხელნაწერი O/Sin 35 თავის შედგენილობით ასკეტიკური კრებულია, რომელშიც თავმოყრილია, ცნობილი ასკეტი ბერების ეპისტოლეები, სწავლანი და მოძღვრებანი, ხელნაწერის ბოლოს კი მოცემულია ანბანურ-ანონიმური პატერიკი.

---

[1] მ. დვალი, შუა საუკუნეთა.., ტ. I, გვ. 012-021.

[2] Н. Марр, Описание Грузинских Рукописей Синайского Монастыря, Москва, 1940, стр. 267-268; მ. დვალი, ლ. ჯღამაია, X საუკუნის პატერიკის (Sin 35) ერთი ფრაგმენტისათვის, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, VI, თბ., 1978, გვ. 20-86.

თავისი ფორმით ეს ხელნაწერი ერთგვარი ასკეტიკური ენციკლოპედიაა და არა სისტემატური აპოფთეგმური კრებული[1].

თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმნილი პატერიკის შემცველი H 1342 ხელნაწერის ანდერძი, რომელიც, სამწუხაროდ, დაზიანებული და გადარეცხილია, გვამცნობს:

„ითარგმნა უკუჱ წიგნი ესე წმიდაჲ სამოთხე [წმიდათა მამათაჲ] აურაცხელთა მიერ [სახიე]რებათა და სულგრძელებითა ღმრთისაჲთა, მეოხებითა ყოლადწმიდისა ღვთისმშობელისა დედისა ღმრთისათაჲ, წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთა ეფთჳმესითა და გიორგისითა. ლოცვა ყავთ ჩუენთ[...] თეოფილესთჳსცა ცოდ[ვილისა]...“.

ანდერძი აშკარად ეკუთვნის კრებულის მთარგმნელს - თეოფილე ხუცესმონაზონს, სტილი და მოსახსენებლები იგივეა, რაც A 1105 ხელნაწერის ანდერძში, თვით წიგნს კი ანდერძი „სამოთხის“ სახელით მოიხსენიებს.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ პატერიკის შესავალში, რომელიც თეოფილეს თარგმანში კრებულის პირველ თავად არის გატანილი, ამ უკანასკნელს ხშირად „სამოთხე“ ეწოდება: „რაოდენიცა უკუე სულსა კაცისასა განმართებად შემძლებელ არს, რომლისათჳს არს ყოველი სიტყუაჲ და ყოველი საიდუმლოჲ და სიღრმისაგან ცოდვათაჲსა აღმოიყვანებს და ყოველთა ღმრთისა აღიყვანებს და ხატსა მას პირველსა უვნებელობისასა კუალად აგებს ბრძანებათაებრ საღმრთოთა, ამას ***წმიდასა და სანატრელსა სამოთხესა*** შინა შეუძლოს პოვნად, ვის ენებოს“ (11r).

ამგვარად, „სამოთხის“ სათაურად გამოჩენა ანდერძებში შემთხვევითი ნამდვილად არ უნდა იყოს, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ სისტემატური პატერკული კრებულები თავისი სტრუქტურით, შედგენილობითა და სათაურით ნამდვილად ეხმიანება პატრიარქ ფოტიუსის „ბიბლიოთეკაში“ განხილულ „Μέγα λειμονάριον“-ს და უნდა ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად კრებულის სახელწოდება სწორედ „სამოთხე“ უნდა ყოფილიყო, დროთა განმავლობაში კი, იმის გამო, რომ ამგვარი სათაურით რამდენიმე სხვადასხვა კრებული მოიხსენიებოდა (იოანე მოსხის „სამოთხე“, ამჟამად უკვე დაკარგული და მხოლოდ ლიტერატურული წყაროებით ცნობილი „სკიტის სამოთხე“ და ა.შ.), მას „მამათა სწავლანი“ უწოდეს.

---

[1] იხ. ხელნაწერის აღწერილობა, G.Garitte, Catalogue des manuscrits Géorgiens Littéraires du Mount Siani, Louvain, 1956, გვ. 97-122.

კრებულის შედგენილობისათვის

სისტემატური აპოფთეგმური კრებულის ქართული თარგმანის პირველ გამოცემაში დაწვრილებით იყო საუბარი კრებულის განვითარებისა და იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც წარმოიქმნება სისტემატური კოლექციების თარგმანებთან დაკავშირებით ანალოგიური ბერძნული დედნების კრიტიკული გამოცემის არარსებობის გამო და იმ სირთულეების შესახებ, რაც თან სდევს ბერძნული კრიტიკული ტექსტის გამოცემას უამრავი ხელნაწერის არსებობის პირობებში[1]. დღეისათვის ეს პროცესი წინ წავიდა, იტალიაში მიმდინარეობს მუშაობა ბერძნული სისტემატური კოლექციის კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად, სადაც თითოეული თავის გამოცემა ცალკე ტომად არის განსაზღვრული. ამ პირობებში ქართული თარგმანების კრიტიკული ტექსტის გამოცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბერძნული დედნების შესწავლისათვის და, საერთოდ, სისტემატური კოლექციის ევოლუციის გზის განსაზღვრისთვისაც.

დღესდღეობით აპოფთეგმური კრებულების ყველაზე სრულყოფილი კვლევა ეკუთვნის ფრანგ მეცნიერ ჟან-კლოდ გის[2]. მან შეისწავლა როგორც ანბანურ-ანონიმური, ისე სისტემატური კრებულები, მათი განვითარების გზები და ეტაპები. აპოფთეგმების ამ ორი დიდი ჯგუფის გარდა, გამოკვლევაში ცალკე არის გამოყოფილი ე.წ. განსხვავებული კრებულებიც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეფთვიმე მთაწმიდელის პატერიკის გამოცემაში თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ თარგმნილ აპოფთეგმათა კრებული განისაზღვრა როგორც სისტემატური კოლექციის განვითარების მესამე - C ეტაპის წარმომადგენელი, მაგრამ კრებულის დაწვრილებითმა შესწავლამ განსხვავებული შედეგები მოგვცა.

პირველ რიგში, გარდა ჩვეულებრივი სისტემატური კრებულებისა, თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმნილი აპოფთეგმათა კრებული შევუდარეთ ასევე ჟ.-კ. გის გამოცემაში დასახელებულ განსხვავებულ კრებულებს. გამოკვლევაში ფრანგ მეცნიერს ექვსი ხელნაწერის საფუძველზე გამოყოფილი აქვს აპოფთეგმური კრებულის თავისებური ჯგუფი, რომელსაც ის ჩვეულებრივი ანბანურ-ანონიმური კრებულიდან მომდინარეს უწოდებს. ხელნაწერთა ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელია: 1. თხრობათა დიდი რაოდენობა თითოეულ წმიდა მამაზე და საერთოდაც ჯამში; 2. სტრუქტურის თვალსაზრისით, გარდა ჩვეულებრივი სისტემატური პატერიკებისათვის დამახასიათებელი 21 თავისა, დამატებული თავები; 3. პირველი თავის

---

[1] მ. დვალი, შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, ტ. I, გვ. 012-021.

[2] J-C Guy, Recherches sur la tradition Greque des Apophtegmata Patrum, Bruxelles, 1962.

ბოლოს ანონიმური თხრობების შემდეგ ხელნაწერთა ამ ჯგუფში წარმოდგენილია ზოსიმეს სწავლანი; 4. კრებული შეიცავს მასალას იოანე მოსხის „ლიმონარიდან“ და დანიელ სკიტელის ისეთ თხრობებს, რომლებიც არ შედის აპოფთეგმათა ჩვეულებრივ სისტემატურ კოლექციაში[1].

ანბანურ-ანონიმური კრებულებიდან მომდინარე სისტემატური კრებულებისათვის დამახასიათებელი ყველა აღნიშნული ნიშანი გვხვდება თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმნილ პატერიკში.

გარდა ამისა, იმის გამო, რომ ამ თავისებურ სისტემატურ კრებულს საფუძვლად უდევს ანბანურ-ანონიმური კრებულის მასალა, ის დაზღვეული არ არის ისეთი შემთხვევებისაგან, როდესაც ერთი და იგივე თხრობა გვხვდება სხვადასხვა თავში. ჟ.-კ. გის აღნიშნული აქვს ამგვარი შემთხვევები. ამ თავისებურებითაც თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანი სწორედ ამ ტიპის ხელნაწერებთან დგება და არა ჩვეულებრივ სისტემატურ კოლექციასთან. მოვიტანთ გამეორებულ თხრობებს ქართული თარგმანიდან. მაგალითად:

თავი II პამბო 3. იტყოდეს მამათათჳს, **მამისა პამბოჲსთჳს** და მამისა ბესარიონისთჳს და მამისა ესაიაჲსთჳს და მამისა პაესიოჲსთჳს, ვითარმედ ძლიერნი იყვნეს ფრიად ესენი. დახუდეს ზოგად მამისა ათრეს თანა. ჰკითხა მათ მღდელმან ნიტრიისა მთისამან, თუ ვითარ უჴმს ძმათა ქცევად. ხოლო მათ ჰრქუეს მას: დიდითა მოღუაწებითა და რაჲთა იმარხვიდენ გულისსიტყუათა თჳსთა მოყუსისაგან.

თავი V 30. იტყოდეს **მამისა პამბოჲსთჳს და მამისა ბესარიონისთჳს და ესაიაჲსთჳს და პაესიოჲსთჳს და მამისა ათრესთჳს,** ვითარმედ: იყო ოდესმე და ზრახვიდეს ურთიერთარს. ხოლო ხუცესმან მთისამან ჰკითხა მათ და ჰრქუა: ვითარ უღირს, წმიდანო მამანო, მოქალაქობაჲ ძმათა? ჰრქუეს მას ბერთა: მრავლითა მოღუაწებითა უღირს ყოფად და რაჲთა დაიცვან გონებაჲ მათი განკითხვისაგან მოყუსისა.

თავი XVI 33. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რაჲ არს წარმატებაჲ კაცისაჲ? ჰრქუა მას ბერმან: წარმატებაჲ კაცისაჲ არს სიმდაბლჱ, რამეთუ რაოდენცა ვინ შთავიდეს სიმდაბლედ, ესოდენ წარემატების იგი სიმაღლედ.

თავი XVI 75. კითხულ იქმნა ბერი თუ რაჲ არს წარმართებაჲ კაცისაჲ, და ბერმან ჰრქუა მას: სიმდაბლჱ, რომლისა არა არს უაღრესი სათნოებაჲ. და რამეთუ რაოდენცა შთავიდოდის კაცი სიმდაბლედ, ეგოდენ აღვალს სიმაღლედ.

თავი XI 33. იტყოდეს **მამისა პამბოჲსთჳს,** ვითარმედ: სამ წელ ილოცვიდა ღმრთისა მიმართ და იტყოდა: უფალო, ნუ მადიდებ მე ქუეყანასა ზედა. და ესოდენ ადიდა იგი ღმერთმან, ვიდრეღა ვერვინ შემძლებელ იყო მიხედვად პირსა მისსა დიდებისა მისგან და ბრწყინვალებისა, რომლითა დიდებულ იყო.

---

[1] J-C Guy, Recherches, p.204-205.

თავი XVI 31. იყო ვინმე წმიდათაგანი, რომელსა ეწოდებოდა **პამბო**. ამისთჳს იტყოდეს ბერნი, ვითარმედ სამ წელ ევედრებოდა იგი ღმერთსა: უფალო, ნუ მადიდებ მე ქუეყანასა ზედა. და ესოდენ ადიდა იგი ღმერთმან, ვიდრეცა ვერ შემძლებელ იყვნეს კაცნი მიხედვად პირსა მისსა დიდებულებისა მისგან საკჳრველისა, რომელი აქუნდა.

სამწუხაროდ, ხელი არ მიგვიწვდება იმ ხელნაწერებზე, რომელიც ჟ.-კ. გიმ გამოიყენა აპოფთეგმათა სისტემატური კრებულების განსხვავებული ტიპის დასახასიათებლად, მაგრამ გამოკვლევაში მეცნიერს მოყვანილი აქვს ერთი - IX თავის შედგენილობა, რომელიც ზუსტად ემთხვევა ხუცეს-მონაზონისეული თარგმანის შესაბამისი X თავის შედგენილობას.

ყოველივე ზემოთ თქმული საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ თეოფილე ხუცემონაზონმა თარგმნა ისეთი სისტემატური პატერიკი, რომელიც მსგავსი იყო ანბანურ-ანონიმური აპოფთეგმათა კრებულებიდან მომდინარე სისტემატური პატერიკების განსხვავებული ტიპისა.

ჩვეულებრივი სისტემატური (სისტემატური და ანბანურ-ანონიმური) კრებულების ერთმანეთთან შესადარებლად და მათ რიგში თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმნილი პატერიკის რიგის განსაზღვრისათვის, ერთმანეთს შევუდარეთ სისტემატური კოლექციის ორი ქართული თარგმანი (ეფთვიმესეული და თეოფილესეული) ბერძნულ კრებულებთან მიმართებით (გის გამოცემა და მოსკოვის სინოდალური ბიბლიოთეკის 452-ე ბერძნული ხელნაწერის რუსული თარგმანი). სტრუქტურისა და თავების რაოდენობის შედარება შემდეგი სურათი მოგვცა:

	ფოტის პატერიკონი (გის გამოცემა)	**მოსკოვის სინოდალური ბიბლიოთეკის პატერიკის № 452 ხელნაწერის რუსული თარგმანი**	**ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი პატერიკი (A 35)**	**თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ თარგმნილი პატერიკი (A 1105)**
1	*α′ Παραίνεσις τῶν ἁγίων πατέρων εἰς προκοπὴν τελειότητος*	Гл.1 Увещание святых отцев к преспеянию в совершенстве	I.სწავლანი წმიდათა მამათანი, წარმართებისათჳს და სისრულისა	**ბ:** სწავლანი შუენიერნი წმიდათა და ნეტართა მამთანი სისრულისათჳს სათნოებათაჲსა
2	*β′ Ὅτι δεῖ τὴν ἡσυχίαν πάσῃ σπουδῇ μεταδιώκειν*ο	Гл.2 О том, что со всем старанием должно искать безмолвия	II.დაყუდებისათჳს თქუმული წმიდათა მამათაჲ ვითარმედ ჯერ არს ძიებაჲ მისი გულსმოდგინებითა დიდითა	**გ:** სწავლანი და თხრობანი სულიერნი წმიდათა მამათანი და ვითარმედ ჯერ არს ყოვლითა მოსწრაფებითა მიდევნებად დაყუდებისა

3	γ΄ Περὶ κατανύξεως	Гл.3 О сокрушении	III. სწავლანი წმიდათა მამათანი სინანულისათჳს	**დ:** თხრობაჲ თჳთოსახჱ წმიდათა მამათაჲ ლმობიერებისათჳს და სიმშჳდისა
4	δ΄ Περὶ ἐγκρατείας, καὶ οὐ μόνον ἐπὶ βρωμάτων ταύτην παραληπτέον ἀλλὰ καὶ τῶν λοιπῶν τῆς ψυχῆς κινημάτων	Гл.4. О воздержании и о том, что должно соблюдать его не только отросительно пищи но и относительно движении души	IV. მარხვისათჳს და კრძალულებისა არა თუ ჭამადთა ოდენ, არამედ ყოველთაგან ვნებათა, რომელნი აღიძრვიან სულსა ზედა მტერისა მიერ	**ე:** სწავლანი და თხრობანი წმიდათა მამათანი მრავალსახენი და მრავალგუარნი მარხჳსათჳს და სხუათა მათ სათნოებათა და ვითარმედ არა ოდენ ჭამადთა ოდენ ზედა გამოისახვის მარხვაჲ, არამედ ყოველთავე ზედა საცნობელთა და აღძრვათა სულისათა
5	ε΄ Διηγήματα διάφορα πρὸς ἀσφάλειαν τῶν ἐκ τῆς πορνείας ἐπανισταμένων ἡμῖν πολέμων	Гл.5. Разные повести к укреплению против возставших на нас блудных браней	V. თხრობანი წმიდათა მამათანი, თითოსახენი უცთომელობისათჳს და წინააღმდგომისათჳს გულისსიტყუათა და ბრძოლათა სიძვისათა	**ვ:**მოძღურებანი თჳთოფერნი და მოთხრობანი მრავალსახენი წმიდათა მამათანი განკრძალვისათჳს ჩუენდა ბრძოლისა, რომელი-იგი სიძვისა მიერ აღდგებიან ჩუენ ზედა
6	ϛ΄ Περὶ ἀκτημοσύνης, ἐν ᾧ ὅτι δεῖ τὴν πλεονεξίαν φυλάττεσθαν	Гл.6. О нестяжательности и о том, что должно хранить себя от лихоимство	VI. უპოვერებისათჳს და რაჲთა დავიცვნეთ თავნი ჩუენნი ანგაჰრებისაგან	**ზ:** უპოვარებისათჳს და არა მოხუეჭისა და სხუათა მათთჳს სათნოებათა
7	ζ΄ Διηγήματα διάφορα πρὸς ὑπομονὴν καὶ ἀνδρείαν ἡμᾶς ἀλείφοντα	Гл.7. разные повести поощряющия нас к терпению и мужеству	VII. თხრობანი თითოსახენი წმიდათა მამათანი, რომელნი მოგჳყვანებენ ჩუენ სიმჴნედ და მოთმინებად შეწევნითა ღმრთისაჲთა	ჱ: თხრობაჲ თჳთოსახჱ წმიდათა და ღმრთივსულიერთა მამათაჲ, რომელი აღმჭურავს ჩუენ სიმჴნედ და მოთმინებად
8	η΄ Περὶ τοῦ μηδὲν ποιεῖν πρὸς ἐπίδειξιν	Гл.8. О том, что ничего не должно делать на показ	VIII. განკრძალვაჲ მაჩუენებლობისაგან და კაცთმოთნებისა სწავლანი წმიდათა მამათანი	**თ:** სწავლანი და თხრობანი წმიდათა და ნეტართა მამათანი, ვითარმედ არარასა ჯერ არს ქმნაჲ საჩუენებელად კაცთა

9	θ΄ Ὅτι φυλάττεσθαι χρὴ τοῦ μηδένα κρίνειν	Гл.9. О том, должно остерегаться, чтоб никого не осуждать	IX. სწავლანი წმიდათა მამათანი, რაჲთა არა განვიკითხვიდეთ მოყუასსა და არცა დაბადებულთაგანსა უწინარეს ქრისტეს განკითხვისა, რამეთუ მისი არს შჯაჲ	**ი:** ვითარმედ ჯერ არს ყოვლითა ძალითა ჩუენითა კრძალვად, რაჲთა არავის განვიკითხუდეთ
10	ι΄ Περὶ διακρίσεως	Гл.10. О разсудительности	X. თხრობანი წმიდათა მამათანი, რაჲთა ყოველთა საქმეთა ჩუენთა განკითხვით და გულისჴმისყოფით და კრძალულად ვიქმოდეთ	**ია:**განკითხვისათჳს საღმრთოჲსა და განრჩევისა კეთილისა ბოროტისაგან
11	ια΄ Περὶ τοῦ δεῖν πάντοτε νήφειν	Гл.11. О том, что должно всегда бодрствовать	XI. სწავლანი წმიდათა მამათანი, რაჲთა ყოლადვე ფრთხილ ვიყვნეთ და განკრძალულ, რაჲთა არა მივიღოთ სახედ ტკბილისა მწარე	**იბ:** ვითარმედ ჯერ არს ჩუენდა ყოვლადვე და მარდის მღუძარებაჲ და სიფრთხილჱ
12	ιβ΄ Περὶ τοῦ ἀδιαλείπτως προσεύχεσθαι	Гл.12. О том, что должно непрерывно и бодрственно молиться	XII. სწავლანი წმიდათა მამათანი ლოცჳსათჳს მარადის გულისჴმისყოფითა	**იგ:** ვითარმედ ჯერ არს მოუკლებელად და მღუძარედ ლოცვაჲ ყოვლადვე და ყოველსა ჟამსა
13	ιγ΄ Ὅτι φιλοξενεῖν χρή καὶ ἐλεεῖν ἐν ἱλαρότητι	Гл.13. О том, что должно быть странолюбивым и твоить милостыню с радушием		**იდ**: ვითარმედ გუჴმს და თანა გუაც უცხოთმოყუარებაჲ და მოწყალებაჲ სიხარულით
14	ιδ΄ Περὶ ὑπακοῆς	Гл.14. О послушании	XIII. სწავლანი წმიდათა მამათანი მორჩილებისათჳს	**იე:** ვითარმედ ჯერ არს სულიერთა მიმართ მოძღუართა მოგებად მორჩილებასა შეუორგულებელსა
15	ιε΄ Περὶ ταπεινοφροσύνης	Гл.15. О смиреномудрии		**ივ:** სიმდაბლისათჳს კეთილისა და მის შინა განათლებულთათჳს მამათა
16	ιζ΄ Περὶ ἀνεξικακίας	Гл.16. О терпении зла		**იზ:** ძჳრუჴსენებლობისათჳს, რამეთუ ესე მსგავსებაჲ არს ღმრთისაჲ

17	ιζ′ Περὶ ἀγάπης	Гл.17. О любви		**იზ:** სიყუარულისათჳს ღმრთისა და მოყუსისა
18	ιη′ Περὶ διορατικῶν	Гл.18. О прозорливых		**ით:** სულითა მხედველთათჳს წმიდათა მამათა
19	ιθ′ Περὶ σημειοφόρων	Гл.19. О чудотворцах святых старцах		**კ.** შემოსილთათჳს და სასწაულთა მოქმედთა წმიდათა მამათა
20	κ′ Περὶ πολιτείας ἐναρέτου	Гл.20. а. О боголюбезной жизни различных отцов Глава 20. б О боголюбезной жизни различных отцов		**კა:** მოქალაქობისათჳს სათნოებათა შინა წარმართებულთაჲსა **კბ:** მოთხრობაჲ სულიერი ათორმეტთა მათთჳს განშორებულთა
21	κα′ ’Αποφθέγματα τῶν ἐν ἀσκήσει γηρασάντων ἐν ἐπιτομῇ τὴν εἰς ἄκρον αὐτῶν ἀρετὴν δηλοῦντα	Гл.21. Изречения старцев состаревшихся в подвижнечестве		**კდ:** სიტყუათაგან სულიერთა წმიდათა მამათაჲსა, რომელნი მოღუაწებასა შინა დაბერებულ იყვნეს. მოკლე თხრობაჲ ცხადმყოფელი სათნოებათაჲ **კგ:** უწყებაჲ მოქალაქობისათჳს სათნოებითა შემკულთაჲსა
22		Гл.22.Собеседования старцев друг с другом о помыслах Гл.23 Вопросы юного к старцу фивеянину о том, как должно пребывать в келии и созерцании		**კე:** უბნობაჲ და ზრახვაჲ წმიდათა ბერთაჲ კითხვა-მიგების სახჱ.
23				
24				
25				
26				**კვ:** სარგებლიანი საკითხავი პავლე ილუსტრელისაჲ

როგორც ვხედავთ, სტრუქტურის თვალსაზრისით, თეოფილესეული თარგმანი ერთ-ერთი ყველაზე სრულია. ტექსტისათვის წამძღვარებული ხუცესმონაზონისეული ზანდუკის მიხედვით, ნათელი გახდა, რომ მთარგმნელი ასახელებს კრებულის ოცდაექვსივე თავს, თუმცა ფაქტობრივ პირველ თავში, რომელიც რეალურად შესავალია (ასევეა ბერძნულ ხელნაწერებში), განხილულია კრებულის მხოლოდ 21 თავის მასალა (რაც დამახასიათებელია სისტემატური აპოფთეგმური კრებულებისათვის). კრებულის შემადგენელი თავების შესახებ ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, განმარტების სახით, ვიტყვით, რომ შესავალი არის პატერიკის თითოეული თავის, შესაბამისად, რომელიმე ქრიატიანული სათნოების, ლეგიტიმაცია ქრისტესა და მისი მოციქულების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითზე, რასაც ადასტურებს ის ციტაცია, რომელსაც კრებულის შესავალი მიმართავს. ასეთი ლეგიტიმაცია მხოლოდ 21 თავის ფარგლებში გვაქვს, ეს კი გვაფიქრებინებს, რომ თეოფილეს ხელთ უნდა ჰქონოდა ისეთი ბერძნული კრებული, რომლის შესავალიც სწორედ 21 თავს შეიცავდა და არა მეტს. განსხვავებები XXII თავიდან – „მოთხრობაჲ სულიერი ათორმეტთა მათთჳს განშორებულთა“ – იწყება. აქედან მოყოლებული, დანართი თავები სხვადასხვა ხელნაწერში დამოუკიდებლადაც გვხვდება. მაგალითად, დამოუკიდებლად აქვს გამოქვეყნებული ჟ.-კ. გის კითხვა-მიგება, რომელიც თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმნილ პატერიკში XXV თავად არის შეტანილი[1]. დანართ თავებში შესული მასალა არ ატარებს აპოფთეგმურ ხასიათს და შეიცავს დოგმატიკურ და ასკეტიკურ კითხვა-მიგებებს. ამ ნამატი თავებით ჩვენი თარგმანი ჟ.-კ. გის მიერ გამოყოფილ ანბანურ-ანონიმური კრებულიდან მომდინარე სისტემატურ კრებულებთან დგება, რომლის შემდგენელმაც საფუძვლად ჩვეულებრივი სისტემატური კრებულებისათვის დამახასიათებელი 21 თავისაგან შემდგარი სტრუქტურა აიღო და განავრცო.

პატერიკის თეოფილე ხუცესმონაზონისეული (T ლიტერი) და ეფთვიმისეული თარგმანების (E ლიტერი) ურთიერთმიმართებისა და ბერძნულ პატერიკებთან მათი დამოკიდებულების საჩვენებლად საჭიროდ მივიჩნიეთ თავებში თხრობათა მიმდევრობისა და რაოდენობის შედარებაც. ბერძნული ხელნაწერებისათვის გამოყენებული გვაქვს სისტემატური კოლექციის სქემა ჟ.-კ. გის გამოკვლევის მიხდვით (G ლიტერი) და მოსკოვის სინოდალური ბიბლიოთეკის 452-ე ხელნაწერის რუსული თარგმანის გამოცემა (MG ლიტერი). მამათა სახელები აღებულია ჟ.-კ. გის გამოცემიდან, რადგან ხშირად, ქართული თარგმანებისაგან განხვავებით, ის მამათა უფრო სრულ რიგს წარმოგვიდგენს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან გის ცხრილი სხვადასხვა

[1] J.C.Guy, Un dialogue monastique inédit: Ram, t. 23, გვ. 171-188.

ხელნაწერის საფუძველზეა შედგენილი და თავისთავად უფრო სრულია. იმისათვის, რომ განსხვავებები უფრო ნათელი იყოს, ავტორთა სახელები, რომელთა თხრობებიც მხოლოდ თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანში გვხვდება, გამუქებულია, ხოლო ის ავტორები, რომლებიც ბერძნულ ხელნაწერებში გვხვდება და არ დასტურდება თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანში, წარმოდგენილია ფრანგულად:

II თავი

ავტორები	T	E	G	MG
ანტონი	3	2	2	2
ანდრეა	1	–	–	–
ათანასე ალექსანდრიელი	1	1	–	–
ბესარიონი	2	–	–	–
ბენიამინი	1	–	–	–
ბიარე	1	–	–	–
გრიგოლ ღმრთისმეტყველი	1	1	1	1
Evagre	-	–	2	2
დიმოკრატე	1	–	–	–
ეპიფანე	7	1	–	–
ევპრეპი	4	1 (ანონიმური)	–	–
ევგენი	1	–	–	–
ირინეოსი (ლიონელი?)	1	–	–	–
ზენონი	1	–	–	–
ზაქარია	1	–	1	1
ესაია	1	1	–	–
ესაია მღდელი	6	–	5	5
ელია	1	–	–	–
თოედორე ფერმელი	2	–	1	1
თოეფილე მთავარეპისკოპოსი	3	–	–	–

იოანე	1	–	1 იოანე მოკლე	1 იოანე მოკლე
იოანე წინამძღვარი (კასიანე იოანესთვის)	1	–	1 (თხრობა გადატანილია კასიანეზე, რადგან კასიანეა მთხრობელი, იოანე წინამძღვარი კი მოქმედი პირი)	1 (თხრობა გადატანილია კასიანეზე, რადგან კასიანეა მთხრობელი, იოანე წინამძღვარი კი მოქმედი პირი)
იოანე ოქროპირი	1	–	–	–
იოანე კილიკიელი წინამძღვარი რაითისა	5	–	–	–
იოსები	2	–	–	–
ისაკი	1	–	–	–
იერაკი	2	–	–	–
იოსებ თებელი	1	1 (თებელის მოხსენიების გარეშე)	1	1
კრონოსი	3	–	–	–
მაკარი	1	–	–	–
მაკარი დიდი	1	–	1	1
მარკოს	1	–	–	–
მოსე	3	3 (გაერთიანებულია ერთ თხრობად)	–	–
მატო	2	–	–	–
ნისთერეონი	2	–	2	2. II სხვა თხრობაა
პიმენი	16	–	5	4 (ემთხვევა ხუცეს-მონაზონისეული თარგმანის პირველ 4 თხრობას)
პალადი	1	–	–	–
პამბო	5	1	1	1 (დასასრულები განსხავებულია)

პიტჳრიონ	1	–	–	–
სისო	2	–	1	1
ხომი	1	–	1	1
ანონიმური	54	11	9	9
ზოსიმე		–	–	–

III თავი

ავტორები	**T**	**E**	**G**	**MG**
ანტონი	3	2 (I,III)	2	2
არსენი	13	6 (I,III,V,VIII,XI,XII)	11	9
ბიტიმი	1	–	–	–
Diadoque	–	–	1	1
დულასი	2	–	1	1
Evagre	–	–	1	–
Isaïe	–	–	3	4
თეოდორე ფერმელი	5	1 (III)	–	–
იოანე	2	–	–	–
ისიდორე	1	1 (არ ახლავს ისიდორეს მონათხრობი)	1	1
მაკარი დიდი	4	3 (I,II,III)	–	–
მოსე	1	–	2	–
მარკოზი	2	1 (III)	2	3
ნილოს	2	–	1	2
ნისთერეონ	1	–	–	–

პიმენ	3	–	2	2
პაფნოტი	1	1	–	–
პავლე	1	–	–	–
რუფოს	1	–	–	–
სისო	3	–	1	1
სისო თებელი	1	–	–	–
სარმატან	1	–	–	–
Synclétique	–	–	1	1
ტიმოთე	1	–	–	–
ანონიმური	24	8 (I,II,IV,XII,XIII,XIV, XVI,XXIII)	8	4

IV თავი

ავტორები	**T**	**E**	**G**	**MG**
ანტონი	1	1	2	1
არსენი	1	1	1	1
ამონა	2	1 (I)	1	1
აიო	1	–	–	–
ევაგრე	–	–	1	1
პიმენი	1	–	–	I თხრობა გადანაცვლებულია, მოჰყვება მოსეს თხრობას
ანონიმი	1	–	–	–
ელია	1	–	1	1
ესაია	8	(II,VI)	8	8
თეოფილე მთავარეპის-კოპოსი	2	1 (II)	1	1 (II)

იოვანე	1	1	1	1
ისაკ	1	–	–	–
იაკობ	1	1	1	1
იოანე კელიელი	1	1	–	–
ლონგინოს	2	2	–	–
მაკარი	4	–	3	3 (II თხრობა გადატანილია - მოქმედება სკიტის ნაცვლად ნიტრიაში ხდება)
მოსე	3	2 (II,III)	2	2 (II,III)
მარკოზ	1	–	–	–
პიმენ	8 (პირველი თხრობა გადატანილია წინ – ევაგრეს თხრობის შემდეგ) ბერძნულის VII–VIII თხრობები ქართულში გაერთიანებულია ერთ თხრობად, ქართულის VI არ არის G და MG	1 (VII)	9	9
პამბო	1	–	1	1
პავლე	1	–	1	1
სილოვანე	2	1 (I)	1	1 (II)
სერაპიონი	2	1	–	–
Synclétique	–	–	1	1
იპერექი	1	–	1	1
ფილიკი	1	–	1	1
ორი	1	–	1	1
ანონიმური	54	29 (№№ 1, 2, 3, 5, 7, 9, 10, 11, 12, 14, 16, 17,18,19, 21, 25, 35, 36, 37, 38, 40, 41, 42, 43, 44, 45, 50, 51, 52)	19	10

ავტორები	**T**	**E**	**G**	**MG**
ანტონი	1	1	1	1
არსენი	5	–	5	5
აგათონი	4	1 (III)	2	2
აქილა	2	1 (II)	2	2
ამო	1	–	1	1
ანუბ	1	–	–	–
აბრაჰამ	1	–	–	–
ბენიამენ	3	1(II)	1	1 (2)
დიმოკრატე	1	–	1 (ავტორი – დიოსკორე)	1 (ავტორი – დიოსკორე)
ეპიფანე	1	1	1	1
ელადი	2	1 (I)	1	1 1
ზენონი	1	1	1	1
ესაია	2	1	1	1 (I)
თეოდორე	2	1 (I)	1	1
ანონიმი	1	–	1	1 (ბერძნულ ტექსტებში ანონიმური და თეოდორეს თხრობა გაერთიანებულია)
იოანე მოკლე	4	2 (სინამდვილეში ერთი თხრობაა, გამოცემაში დაშვებულია შეცდომა)	2	2 (I,II)
ისიოდორე	3	–	2	2
ისაკ	1	–	1	1 ეს თხრობა ისიდორეს თხრობის წინ არის. როგორც ჩანს, ქართველმა მთარგმნელმა გადაიტანა, რომ ორი ისიდორე ერთმანეთში არ არეულიყო

იოსებ	1	–	–	–
ისიდორე ხუცესი	2	–	1	1 (რუსულში წინ არის)
კასიანე	2	1 (I)	2	2
კონონ	1	–	–	–
ლონგინოს	1	–	1	1
მაკარი	3	–	3	3 (ერთი თხრობა განსხვავდება ქრთულისაგან)
მაკარი მოქალაქე	1	–	–	–
მინას	1	–	–	–
მარკოზ განშორებული	1	1	–	–
ზოილე	2	1 (II. ეფთვიმესთან ავტორი ქსო-იოსია. ამ თხრობას მოჰყვება ანონი-მური თხრობა, რო-მელიც არ გვაქვს თეოფილესთან)	–	–
პიმენ	14	–	9	9
პამბო	1	–	–	–
პეტრე პიონელისთჳს	1	–	–	–
პავლე	1	–	1	1
პალადიონ	1	–	1	1
სისო	7	–	4+1	4+1 (ქართულის ორი - I და II თხრობა ერთ თხრობად არის გაერთიანებული)
სისო თებელი	2	–	–	–
სისო კალამონელი	1	–	–	1
სილოანე	1	–	1	1

სერინო	1	–	–	–
სარრა	1	–	1	1
სჯნკლიტიკე	3	–	3	3
ტითო	2	2	1	1
იპერექი	8	1	8	8
ანონიმური	51	№№ 29,32,34,41 42,44,46,49,50	44	28

VI თავი

ავტორები	**T**	**E**	**G**	**MG**
ანტონი	1	1	1	1
აგათონი	1	1	–	–
აქილა	1	–	–	–
გერონტი კლდისაჲ	1	–	1	1
დანიელი	1	1	–	–
ევდემონი	1	–	–	–
იოვანე მოკლე	1	–	1	1
კარიონი	1	–	–	–
კასიანე	1	–	1	1
კჯროს ალექსანდრიელი	1	–	1	1
ლოთი	1	–	–	–
მატო	1	–	–	–
ულჯმპი სენაკებისაჲ	1	–	1	

პიმენი	8	–	6	6 (ორი თხრობა განსხვავებულია ქართულისაგან, ემთხვევა 4 თხრობა)
პაფნოტი	1	–	–	–
სარრა	2	–	1	1 (ქართულის ორი თხრობა ერთ თხრობადაა გაერთიანებული)
ფოკას	1	1	–	–
ანონიმი	68	№№ 2, 61, 66, 36, 58, 59, 60 მეორე ანონიმური თხრობა სხვა თავშია თეოფილესთან (ქვრივისა და მისი ქმრის მეგობრის შესახებ) ასევეა ორი ანონიმური თხრობის შემთხვევაშიც (გამოც. VI, VIII, IX,X)	40	31

VII თავი

ავტორები	**T**	**E**	**G**	**MG**
ანტონი	1	1	1	1
არსენი	3	–	2	2 (ემთხვევა ერთი III)
აგათონი	3	–	2	2 (I,II)
გელასი	1	–	–	1
გიორგი განშორებული	1	1	–	–
ევპრეპი	2	1 (ავტორი ეტყ;ფანეა)	–	–
თეოდორე ფერმელი	1	1	1	1
ისიდორე	1	–	–	–

ისაკი	3	1 (2 გადატანილია პამბოზე)	3	3
ისიდორე	2	1 (2)	2	2 (ორი ისიდორეს ერთმანეთისაგან განსასხვავებლად, ქართულ თარგმანში თხრობები ისევ დაშორებულია)
იოანე სპარსი	1	–	1	1 (იოანეს თხრობა ბერძნულ ტექსტებში თეოდორეს თხრობის შემდეგ მოდის)
იულიანე	1	1	–	–
კასიანე	2	–	1	1
მაკარი	1	–	–	–
მოსე	1	–	–	–
მეგეთი	1	1	–	–
პისტამონი	2	–	1	1 (ერთ თხრობად არის გაერთიანებული)
სილოანოს	2	–	–	ერთი (II) თხრობა გატანილია ანონიმურ თხრობებში
სერაპიონი	1	–	1	1
ჯპერექი	1	–	1	1
ფილაღრიოს	1	–	1	1
ზოილე	1		–	–
ანონიმური	26	№№ 4,5,6,9,10, 14–24	9	9

VIII თავი

ავტორები	**T**	**E**	**G**	**MG**
ანტონი	1	1	1	1
აგათონი	1	–	1	1
ამმონა	1	1	1	1

ბესარიონი	3	2 (I,II)	1	1 (I)
ბენიამენი	1	–	1	1
ბიკტორ დაყუდებული	1	–	–	–
გრიგოლ ღმრთისმეტყველი	1	–	1	1
დანიელი	1	1	–	–
ანონიმური	1		–	–
ანონიმური	1	1	–	–
ანონიმური	1	–	–	–
ესაია	3	–	2	2 (II,III)
ელია	2	–	–	–
ირაკლი	2	–	–	–
თეოდორე ფერმელი	2	–	2	2
თეოდორე ცხრთაჲ (ენატელი)	1	1	1	1
თეოდორა	2	–	–	–
იოვანე მოკლე	1	–	–	–
ისიდორე	1	1	–	–
იოანე მოკლე	1	1	1	1
კოპრე	2	–	–	–
Longin	-	–	1	1
მაკარი	3	1 (I)	2	2 (I, II)
მატო	1	–	1	1
მილი	1	–	1	1
მარკელე	1	1	1	1
მჳროგენი	2	–	–	–
ანონიმი ნიკონისთჳს	1	–	–	–
პიმენი	4	–	3	3 (I,II,III)

პავლე დიდი გალატელი	1	–	–	–
სისო	2	–	–	–
სარრა	1	–	1	1 (გადატანილია სვინკლიტიკეს თხრობის შემდეგ)
სჯნკლიტიკე	6	–	4	4 (№№4,5,6 ბერძნულში გაერთიანებულია)
ჯპერექი	2	1 (2)	2	2
ფორტას	1	–	–	–
ქერემონ	1	–	–	–
ანონიმური	36	10 (№№ 2,3,7 9,11,16,19, 28,30,32)	34	28

IX თავი

ავტორები	**T**	**E**	**G**	**MG**
ანტონი	2	1	2	2
არსენი	1	–	1	1
დანიელ	2	–	–	–
ევლოგიოსი	1	–	1	1
Zénon	–	–	1	–
ესაია	3	1 (III)	3	3
თევდორე (თეოდორე ფერმელი)	4	–	3	3
Cassien	–	–	1	1
მოსე	1	–	1	1
მატო	1	–	1	1

ნისთერეონ	1	–	1	1
პიმენი	6	–	4	4 (I,II,III,VI)
სისო	1	–	2	2 (I, II)
სიმეონი	2	–	2	2
სჳნკლიტიკი	1	–	2	2
ტითო	1	1	–	–
ანონიმური	11	3(V,VI,VII)	7	7

X თავი

ავტორები	**T**	**E**	**G**	**MG**
ანტონი	1	1	1	1
აგათონი	1	–	–	–
ამმონა	2	1(II)	–	–
ბესარიონ	1	–	1	1
ელია	1	–	–	–
ესაია	2	–	2	2
ანონიმი	1	–	–	–
ისაკ თებელი	1	1 (გადანაცვლებულია მაკარის თხრობის შემდეგ)	1	1
მაკარი	1	–	–	–
მაკარი დიდი	1	2 (ისაკ თიბელის მომდევნო ანონიმური თხრობა და მაკარი დიდის თხრობა ერთი მთლიანობაა, ეფთვიმეს თარგამნში ანონიმური თხრობის ავტორი მაკარია)	–	–
Marc Égypt	-	–	1	1
მოსე	4	–	1	1 (I)
მარკოზ მეგჳპტელი	1	–	1	1
პიმენი	12	–	4	4
პიორი	1	1	1	1

პაფნოტი	1	1	1	1
ანონომი	21	6 (№№ 2,5,6,11, 13,14)	12	5

XI თავი

ავტორები	**T**	**E**	**G**	**MG**
ანტონი	8	(I,III,VII)	5	5(I,II,III,IV,V)
არსენი	3	–	5	5 (მხოლოდ პირველი ემთხვევა)
აგათონი	7	3 (I,III,V)	6	5 (I თხრობის ავტორად რუსულ თარგმანში გამოდის ლოთი, თეოფილესთან კი პეტრე)
ამონა	1	–	1	1 (გადატანილია აბრაამის შემდეგ)
Athanase	-	–	1	1
აქილა	2	1 (I)	1	1
ამონა	1	–	–	–
აბრაჰამი	2	–	–	–
ალონი	1	–	–	–
აიონი	1	–	–	–
გელასი	1	–	–	–
დანიელი	3	1 (II)	3	3
ნეტარი ეპიფანე	2		–	–
Euprépios	-	–	1	–
ეფრემ	1	–	1	1
ზენონ	3	–	1	1 (I)
ესაია	4	2 (I,IV)	4	4
თეოდორე ფერმელი	3	–	4	3

თეოდორე ელვთერო-პოლელი	1	–	–	–
იოანე მოკლე	1	1	2	2 (არც ერთი არ ემთხევა ქართულს) თუმცა რუსულის I თხრობა არის ქართულში, ოღონდ სხვა თავში
ისააკი	2	–	1	1 (II გადასმულია ისიდორეს თხრობის მერე G)
იოსები	5	1 (II)	3	3
იაკობი	2	2	–	–
იოანე საჭურისი	1	1	–	–
ისიდორე	3	2 (I,II)	3	3
იოვნე სპარსი	1	1	–	–
ლონგინოზი	1	–	1	1
მაკარი მოქალაქე	1	–	1	1 (სხვა თხრობაა)
მაკარი მეგჳპტელი	3	1	2	2
მატო	2	–	1	1 (I)
მეგეთი	1	–	–	–
მიოს	1	–	–	–
მაკარი (მოქალაქე)	1	–	1	1 (ეს თხრობა წინ გვხვდება)
ნეტრა	1	–	1	1
პიმენი	54	–	43	41
პამბო	4	–	2	2 (II,IV)
პალადიოსი	1	–	1	1
პაფნოტი	1	–	–	–
პაესიოს	1	–	–	–

ანონიმი (თხრობა არსენის შახებ)	1	–	1 გადატანილია ანონიმურების წინ	–
სისო	4	–	–	–
სისო თებელი	2	–	2	2 (სხვა თხრობებია)
სილოვანე	2	2	2	2
Synclétique	-	–	6	6
Sarra	-	–	2	2
ჯპერექი	1	–	1	1
ორი	1	–	–	–
ანონიმური	126	№№ 3,5,13, 14, 16, 19, 21, 22, 26, 27, 30, 31, 37, 39, 52, 79, 80, 84, 88, 100, 101, 104, 109, 110, 117, 120, 123	84	68

XII თავი

ავტორები	**T**	**E**	**G**	**MG**
ანტონი	3	1 (1)	3	3
არსენი	3	1 (1)	3	3
Anoub	–	–	1	1
აგათონი	3	3	3 (I,II) ერთი განსხვავდება	2 (I) ერთი განსხვავდება
ამონა	1	–	–	–
ამმო	3	2 (1)	2	2 (2,3)
ალონი	2	2	2	2

ბესარიონი	1	–	1	1
დანიელი	1	1	1	1
ევაგრე	– (ევაგრეს არცერთი თხრობა არ გვაქვს)	–	10	10 (ყველა თხრობა დანიელზეა გატანილი)
ესაია	5	1	8	6 (ერთი თხრობა გატანილია პეტრეზე, ესაიას მოწაფეზე, თუმცა კრებულის რუსული თარგმანი მას ამონას მიაწერს. ამ ყველაფერს ასწორებს ის, რომ რუსულში მომდევნოდ კვლავ ესაიას თხრობა მოდის)
თეოდორე ენატელი	1	–	1	1
თეოდორე სკიტელი	1	–	–	–
თეონა	1	1	1	1
ანონიმი	1	ეფთვიმესთან ავტორი დედა თეოდოლაა. თეოფილეს და ეფთვიმეს აშკარად სხვადასხვა დედნები უჭირავთ	1	1
იოანე მოკლე	12	6 (II,III,IV,VI,VIII)	8	7
Joseph de Panépho	–	–	1	1 (გადასმულია ისიდორეს შემდეგ)
ისიდორე	2	1 (II)	1	1 (I)
ისაკი	1	–	1	1
კასიანე	1	1	1	1

მაკარი	2	–	3	1 (II)
მოსე	3	1 (II)	3	3
ნისთერონი	1	–	–	–
ქსანთიასი	1	–	–	–
ულიმპიოს	1	–	–	–
პიმენი	17	–	9	9
პამბო	1	–	–	–
Paul	–	–	1	–
პეტრე	1	–	1	1
სისო	3	–	2	2 (II,III)
სილოანე	3	–	3	3
სერაპიონი	4	–	1	1 (I)
ნეტარი სუნკლიტიკი	1	1	4	4
იპერექი	2	1 (I)	2	2
ორი	1	–	1	1 (უფრო ვრცელი)
ანონიმი	31	13 (№№7,12,13,14, 15,19,22,23,24)	49	49

XIII თავი

ავტორები	**T**	**E**	**G**	**MG**
ანტონი	1	1	–	–
არსენი	1	–	1	1
აგათონი	1	1	1	1
ბესარიონ	1	–	1	1

Évagre	–	–	2	2
ეპიფანე კვპრელ მთავარეპისკოპოსი	2	–	1	1 (I)
ანონიმი	1	–	–	–
მოსე-ზაქარი-ასთვის	1	1	–	1
ესაია	1	–	1	1 (თხრობის მოქმედი გმირია ესაია პილუსიელი, მაშინ, როდესაც ქართულში არის ისიდორე პილუსიელი)
ზაქარია	–	–	1	–
იოსები	1	–	1	1
იაკობი	1	–	–	–
ლუკიო	1	–	1	1
მაკარი	1	–	1	1
მოსე	1	–	–	–
ნილოსი	7	6(I,II,III,IV, V,VI,VII)	–	–
პიმენი	1	–	–	–
ანონიმი (პოპლიოსი)	1	1	1	1
სისო	1	–	–	–
ტითო	1	–	1	1
ანონიმი	10	II,IV,VI,VII	15	10

XIV თავი

ავტორები	T	G	MG
აპოლო	1	-	-
ეპიფანე	1	-	-
დანიელი	2	-	-
თეოდორე	2	--	-
იოანე მოკლე	1	-	-
იოსები	1	-	-
კასიანე	3	3	3
ნისთერეონი	1	-	-
პიმენი	2	3	2
პამბო	2	-	-
სერაპიონი	1	-	-
ტიმოთე	1	1	1 (გადატანილია ბოლოში, ანონიმურების შემდეგ
ანონიმური	15	9	8 (ბოლოში მოსდევს ტიმოთეს, სარას, იოანე მოკლეს თხრობები)

XV თავი

ავტორები	**T**	**E**	**G**	**MG**
ანტონი	1	1	1	1
ამონა	1	-	-	-
Arséne	-	1	1	1
არე	1	1	1	1
ბასილი დიდი	1	-	-	-
ესაია	1	-	-	-
იოანე მოკლე	1	1	1	1

იოანე (პავლეს მოწაფე)	1	1	1	1
მარკოზი	2	1 (I)	2	2
მეგეთი	1	-	1	1
მიოსი	1		-	-
მოსე	3	2 (II,III)	4	4 (იოანეს თხრობის შემდეგ)
პიმენი	1	-	1	1
პამბო	1	-	1	1
რუფოსი	1	1	-	-
სისო	1	1	1	1
სოსიპატროს	1	-	1 (Sopatros)	-
დედა სუნკლიტიკი	2	1	2	2
იპერექიოსი	1	1	1	1
ანონიმური	13	5 (II,III,VIII,XII,XIII) ბოლო თხრობაში ეფთვიმესთან დასახელებულია ბერთა სახელებიც. ეფთვიმე სხვა დედნით სარგებლობს	13	11 (IV,X,XI,V,VI, VII, VIII, IX)

XVI თავი

ავტორები	**T**	**G**	**GM**
ანტონი	6	4	4 (I,III,IV,V)
არსენი	13	7+2	6 (I,II,IV,VI,XII) რუსული თარგმანის X, ქართულში სხვა თავშია
აგათონი	1	-	-
ანუბ (გადასმულია ამოს შემდეგ)	1	1	1
ამონა	2	1	1 (I)

ამო	1	1	1
ამფი ოქსურინხოდსა ეპისკოპოსი	1	1	1
გრიგოლ ღვთისმეტყველი	1	-	-
დანიელ	1	1	1
ეპიფანე	1	-	-
ევაგრე	1	1	1 (ანონიმურია)
ზენონი	1	1	1
ზაქარია	4	4 (ერთი თხრობა გატანილია კარიონზე, როგორც მთხრობელზე)	4
ესაია	11	10	10 (I-X)
თეოდორე	5	2	2 (I,V)
თეოფილე მთავარეპისკოპოსი	2	1	1 (თეოდორეს წინ არის)
დედა თევდორა	1	-	-
იოანე მოკლე	12	2	2 (III,IV)
იოანე თებელი	1	1	1
ისიდორე	4	-	-
ისაკი	2	1	1 (სხვა თხრობაა)
იაკობ	1	-	-
კრონიოს	2	-	-
კარიონი	1	-	-
კოპრე	1	1	1
ლონგინოზ	2	-	-
მაკარი	8	2	2 (I,III)
მოსე	4	3 გადატანილია მატოს შემდეგ	3 (I) გადატანილია მატოს შემდეგ
მატო	7	2	2 (1,5)
მიოსი	1	-	-

ნილოსი	1	-	-
Nisthéroos	-	1	1
Olympios	-	1	1
ორსირიოს	1	-	-
პიმენი	32	11	10 (XIV,XVI,XVII,XVIII,II, XXXI, III,XII)
პამბო	1	1	1
Pistos	-	1	1
პეტრე	3	-	-
პიმენი პაფნოტისათვის	1	-	-
პეტრე	1	-	-
სისო	12	5	5 (XIII,I,III,II)
სარმატა	1	-	-
სერინოსი	1	-	-
სვინკლიტიკი	2	1	1 (I)
ტითო	1	-	-
იპერექი	3	2	2 (II თხრობა ჩვენთან გატანილია სვინკლიტიკის მეორე თხრობად)
ანონიმური	77	67	44

XVII თავი

ავტორები	**T**	**G**	**GM**
ანტონი	1 (სხვა თხრობაა)	1	1
გელასი	-	1	1
ევაგრე	-	1	1
ზენონი	1	-	-
იოანე მოკლე	1	1	1

Jean Thébain	-	1	1
Isidore	-	1	1
ლონგინოზი	1	1	1
მაკარი	1	1	1
Moïs	-	1	1
მატო	1	-	-
პავლე	1 გადატანილია პიორის შემდეგ	1	1
პიმენი	3	2	2
პიორი	1	-	-
Sisoés	-	1	1
სფირიდონი	1	-	-
სილოვანე	1	-	-
ანონიმური	14	17	22 (თეოფილესთან ემთხვევა 12 თხრობა)

XVIII თავი

ავტორები	**T**	**G**	**GM**
ანტონი	3 (თეოფლეს მესამე თხრობა არ არის ბერძნულ ტექსტებში), ანტონის ერთი თხრობა ამონა ნიტრიელზეა გატანილი, ერთი კი – ილარიონზე. ამდენად, თხრობათა რაოდენობა ემთხვევა, შინაარსი არა	5	5
Arséne	-	1	-
აგათონი	7	2	3 (III,I,II)
ამონა ნიტრიელი ანტონისთვის	1	გატანილია ანტონზე	გატანილია ანტონზე
აპოლონი	1	-	-

ესაია	1	1	1
თეოდორე ენატელი	1	-	-
იოანე მოკლე	4	1	1
ილარიონი ანტონისთვის	1	გატანილია ანტონზე	გატანილია ანტონზე
ლოთი	1	-	-
პეტრე მაკარისთვის	1	-	-
პიმენი	7	3	3 (ემთხვევა I,III)
პამბო	1	1	1
პაფნოტი	1	1	1
სისო	1	-	-
სილოვანე	1	-	-
იპერიქე	1	1	1
ანონიმური	28	19	25 (№№ 14,7,6,8,11,15, 16,18,20,21,19,22)

XIX თავი

ავტორები	**T**	**G**	**GM**
ანტონი	2	1	1
არსენი	1	2	2
დანიელი	3 (მეორე და მესამე თხრობები გადასმულია ამონას შემდეგ)	2	3
ამონა	1	-	-
ეპიფანე	2	-	-
ეფრემი	2	2	2
ზენონი	1 (გადასმულია ლონგინოზის შემდეგ)	1	1
ისქირიონი	1 გადასმულია იოანეს შემდეგ	1	1
იოანე მოკლე	2 (ზენონს მოჰყვება)	1 (I)	1 (I)

ლონგინოზი	1 (სხვა თხრობაა) + 2 თხრობა ისქვირიონის შემდეგ, რომლებიც ემთხვევა ბერძნულს	2	2
იოანე	1	-	1
მაკარი	5	4	4 (I,IV,III,II)
მოსე	3	3	3
მარკელე	1	1	1
სილოვანე და მარკოზი	1	1	1
Poemen	-	3	3
Paphnuce	-	1	1
Pitereoum	-	1	-
პახუმი	1	1	1
პავლე წრფელი	1	1	1
სილოვანე	1	1	1
Synclétique	-	1	1
ფოკა	1	-	-
ანონიმური	26		20 (№№1,8,2,9,10,1,12,13,16,14,415,4,24,20,21,22,23)

XX თავი

ამონა	2	-	-
ამონათან	1	-	-
ბესარიონ	4	4	4
გელასი	1	-	-
ელია	1	1	1
ლონგინოს	4	4	3
მაკარი	3	2	3
მილი	1	1	1
ქსანთიოსი	1	-	-
პიმენი	1	1	1
პავლე	1	1	1

სისო	2	2	1
სფირიდონი	1	-	-
ანონიმი	8	3	8

XXI თავი

ანტონი	1	-	-
Bessarion	-	1	1
ევხარისტოსი	1	1	1
მაკარი	3	2	2
პიმენი	4	-	-
პამბო	1	-	-
რომანოსი	1	-	-
სისო	3	3	2 (ორი მექანიკურად არის გადაბმული)
სილოვანე	1	-	-
სარმატა	1	-	-
ტითო	1	-	-
ფილორომოს	1	-	-
ფსენთიოს	1	-	-
ორი	3	1	1 (1)
ანონიმური	9	16	11 (IX,VI,VII,IV,V,VIII)

ამრიგად, შედარებამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეფთვიმე მთაწმიდელმა და თეოფილე ხუცესმონაზონმა რედაქციულად ერთი ტიპის პატერიკი თარგმნეს, მათ განსხვავებული ხელნაწერები ექჭირათ და თეოფილეს დედანი უფრო სრული იყო, ვიდრე ეფთვიმესი.

ზოსიმეს „სწავლანის“ თეოფილე ხუცესმონაზონისეული თარგმანისათვის

ძველი ქართული მწერლობა მდიდარია თარგმნილი ასკეტიკური ხასიათის ძეგლებით. მათ შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ე.წ. აპოფთეგმური ხასიათის ლიტერატურა, ცნობილ ასკეტთა „სწავლანი“, სულთამარგებელი სიტყვები და დარიგებები.

ამ ტიპის თხზულებებს განეკუთვნება VI ს. პალესტინელი მოღვაწის ზოსიმეს „სწავლანიც“, რომლის ორი თარგმანია შემორჩენილი ძველ ქართულ მწერლობაში. ერთი ეკუთვნის ეფთვიმე მთაწმიდელს (X ს.), მეორე კი – თეოფილე ხუცესმონაზონს (XI ს.). ორივე თარგმანი გამოცემულია პარალელური ტექსტებით 1999 წელს[1]. თითქოს გასარკვევი აღარაფერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენი ყურადღება მიიპყრო თეოფილეს თარგმანმა და მისმა მიმართებამ ეფთვიმესეულ ტექსტთან.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ „სწავლათა“ ეფთვიმესეული თარგმანი დამოუკიდებელ ნაწარმოებს წარმოადგენს, ის დაცულია Ath 79 ხელნაწერში. სულ სხვა ვითარებაა თეოფილესთან. „სწავლათა“ თეოფილესეული თარგმანის ტექსტი შემონახულია თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ თარგმნილ სისტემატურ აპოფთეგმურ კრებულში.

როგორც აღვნიშნეთ, სისტემატური კრებულის თავები შედგება თხრობათა ავტორიანი ნაწილისაგან, რომელიც დალაგებულია ანბანურ რიგზე, რასაც შემდეგ მოჰყვება აპოფთეგმათა ანონიმური ჯგუფი. ზოსიმეს „სწავლათა“ დიდი ნაწილი (გამოცემის 1–184 მუხლები) მოთავსებულია აპოფთეგმური კრებულის მეორე თავის („სწავლანი შუენიერნი წმიდათა და ნეტართა მამათანი სისრულისათჳს სათნოებათაჲსა„) ანონიმური ნაწილის შემდეგ, რითაც ერთგვარად ირღვევა სისტემატური კრებულისათვის დამახასიათებელი სტრუქტურა.

სწავლათა მეორე ჯგუფი (გამოცემის 185–194 მუხლები), უშუალოდ არის ჩართული პატერიკის მესამე თავის („თხრობაჲ თჳთოსახჱ წმიდათა მამათაჲ ლმობიერებისათჳს“) ანონიმურ ნაწილში (აქ გვაქვს სამი დამოუკიდებელი თხრობა) ისე, რომ არ არის დასახლებული მათი ავტორი. ამ თხრობებში ზოსიმეს სწავლათა გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ ეფთვიმესეულ თარგმანთან შედარების შემდეგ.

---

[1] ზოსიმეს „სწავლაჲ“, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო მაია ბარამიძემ, ბათუმი, 1999.

რას უნდა გამოეწვია პატერიკის შემდგენლის ასეთი ორმაგი დამოკიდებულება ზოსიმეს ტექსტის მიმართ ან რატომ არის თხრობათა ერთი ჯგუფი ანონიმური?

პირველი დასკვნა, რომელიც თავისთავად იბადება, არის ის, რომ ზოსიმეს „სწავლანი“ დამოუკიდებელი ტექსტი იყო, მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა აპოფთეგმურ კრებულთან. სწორედ ასეთად მოიაზრებდა მას პატერიკის შემდგენელიც და ამიტომ მოათავსა ის დანართის სახით კრებულის მეორე თავის ანონიმური თხრობების ბოლოს და არ ჩართო ის კრებულის ანბანურ ნაწილში. ამით ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ „სწავლანს“ კავშირი არა აქვს კრებულთან და მისი დართვა პატერიკზე გამოწვეული იყო თემატიკის მსგავსებით. ამავე პრინციპით შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ თემატიკამ გამოიწვია თხრობათა მეორე ჯგუფის მოთავსება პატერიკის III თავში, მაგრამ მაინც გაურკვეველი რჩება, რატომ ანონიმურ თხრობებში და თან ავტორის მიუთითებლად?

პასუხი ამ კითხვაზე ქართული თარგმანებისა და „სწავლათა“ გამოცემული ბერძნული ტექსტის შედარებამ მოგვცა[1]. თავისი მოცულობით ორივე ქართული თარგმანი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ბერძნული ტექსტი. Patrologia Graeca-ში წარმოდგენილი „სწავლანი“ 14 პირობითი თავისაგან შედგება, თითოეული ეს თავი მუხლებად არის დაყოფილი ქართულ გამოცემაში, წარმოგიდგენთ ამ შედარებას ცხრილის სახით:

ბერძნული ტექსტი	ქართული თარგმანები
I თავი	გამოცემის 1–11 მუხლები
II	12-18 მუხლები
III	19-25 მუხლები
IV	26-27 მუხლები
V	28-47; 51-52 მუხლები (53-79 ბერძნულში არ არის)
VI	79-83 (84-107 არ არის ბერძნულში)
VII	108
VIII	109-116 (117 არ არის ბერძნულში)
IX	118-120 (121 არ არის)

[1] იხ.: Patrologiae Graeca Corpus Sompletus, Accurante J.-P. Migne, T. LXXVIII, col. 1677-1702.

X	122-131 (132 არ არის)
XI	133-137 (138-147 არ არის)
XII	148-150 (151-155 არ არის)
XIII	155-164 (164-169 არ არის) 169-178
XIV	179-184
შესაბამისი ტექსტი Patrologia Graeca-ს გამოცემას არ აქვს	185-194

შედარებამ გვიჩვენა, რომ „სწავლანის“ ქართული თარგმანები გაცილებით უფრო მეტ მუხლს შეიცავს, ვიდრე ეს გამოცემულ ბერძნულ ტექსტში გვაქვს. მაგრამ თავად ქართული ტექტებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზოგჯერ ეფთვიმეს თარგმანებს აკლია გარკვეული მუხლები (იხ. გამოცემის გვ. 8, 15, 20 და ა.შ.), რაც გასაკვირი არ არის, თუკი ეფთვიმეს თარგმანების თავისებურებას გავიხსენებთ, ზოგჯერ კი თეოფილესეულ თარგმანს აკლია ტექსტის გარკვეული ნაწილი (იხ. გამოცემის გვ. 25, 29, 53 და ა.შ.). მაგრამ ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ თეოფილესეული პატერიკის მეორე თავში დაცული ზოსიმეს ავტორიანი თხრობები სწორედ იქ მთავრდება, სადაც მთავრდება გამოცემული ბერძნული ტექსტი, შესაბამისი დამასრულებელი ფორმულით:

τῶν αἰώνων ἀγαθῶν ἐπιτύχωμεν ἐν Χριστῷ Ἰησοῦ τῷ Κυρίῳ ἡμῶν· ᾧ ἡ δόξα καὶ τὸ κρατος σὺν τῷ ἁγίῳ Πνεύματι νῦν καὶ ἀεί καὶ εἰς τοὺς αἰῶνας τῶν αἰώνων. Ἀμήν.	სადიდებელად უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ უკუნისამდე, ამინ.

შესატყვისი ბერძნული ტექსტის გარეშე გვრჩება ზოსიმეს „სწავლანის“ სწორედ ის ნაწილი, რომელიც ავტორის მითითების გარეშეა ჩართული პატერიკის მესამე თავში და რომელიც გვაქვს ეფთვიმესეულ თარგმანში. როგორ უნდა აიხსნას ეს ფაქტი? როგორც ჩანს, კრებულის შემდგენელისათვის ზოსიმეს „სწავლათა“ ტექსტად ცნობილი იყო მხოლოდ ის თხრობები, რომლებიც დანართის სახით არის მოცემული კრებულის მეორე თავში. ხოლო მესამე თავში ანონიმურად წარმოდგენილი თხრობები თავიდანვე იყო პატერიკის ანონიმური ჯგუფის განუყოფელი ნაწილი.

ამ ვარაუდს ამტკიცებს სისტემატური პატერიკის სომხური თარგმანიც[1], სადაც ეს თხრობები შესაბამის ადგილას არის წარმოდგენილი ასევე ავტორის დასახელების გარეშე.

მოვიტანთ მხოლოდ ერთი თხრობის ნაწყვეტს:

Ասաց դարձեալ որպէս միս որ ոչ ունիցի յինքն զաղն յոյժ, մինչ զի ամենեքեան յետս դարձցին ի ժահահոտութենէ նորա, և որդունք ևս ծնանին ի թարախս նեխմանց, և զի կերեալ և ապականեալ ապառեն զնա, իսկ մինչ արկանի աղ ի նմա սատակին որք ի նեխմունս են որդունք և չար հոտն դադարի, և վասն զի սատակիչ որդանցն է աղ և մերժող ժահահոտութեան, այսպէս դիպեսցի և կրօնաւորի:	თქუა კუალად: ვითარცა ჴორცი რომელსა არა აქუნ მარილი, დალპების, ვიდრეღა ყოველნივე გარემოიქცევიან სიმყრალისაგან სიმპალისა მისისა და მატლნი დაიბუდებენ დამპალსა მას შინა ჴორცსა, დაიშლებიან მას შინა და სჭამენ, ვიდრე მოსხმადმდე მარილისა. ხოლო ეცეს რაჲ მარილი, მოსწყდებიან და წარწყმდებიან შორის სიმპალესა მას დაბუდებულნი მატლნი და სულიცა იგი სიმყრალისაჲ და-ვე-სცხრების. და რამეთუ მომწყუდეული არს მატლთაჲ ბუნებაჲ მარილისაჲ და უჩინომყოფელი სიმყრალისაჲ. ესრეთვე სახედ შეემთხუევის და მონაზონსაცა.

ასევე არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ ზოსიმეს ერთი თხრობა, რომელიც გვაქვს ეფთვიმესეულ თარგმანში, წარმოდგენილია ანონიმური თხრობის სახით თეოფილესეული პატერიკის მეორე თავში, ანუ იმ თავში, სადაც გვაქვს ზოსიმეს ავტორიანი თხრობებიც:

და იტყოდა ნეტარი იგი, ვითარმედ: ვითარცა-იგი მგზავრსა უცხოსა ვერ ჴელ-ეწიფების შესლვად სახედ უცხოჲსა მოქალაქისა და სავანედყოფად, არა თუ პირველად ჰკითხოს სახლისა უფალსა მას და ბრძანებითა მისითა შევიდის, ეგრეთვე მტერსა ჩუენსა, ეშმაკსა, ვერ ჴელ-ეწიფების ჩუენდა შემოსლვად, არ თუ ჩუენ ადგილ-ვსცეთ მას. ამისთვის უკუე ვეკრძალნეთ და მარადის ღმერთსა ვევედრებოდით, რაჲთა მან მომცეს ძალი...	თქუა ბერმან, ვითარცა სახედ უცხოსა კაცსა უცხოსა შინა სახლსა ვერ ძალუც დაყენებად სხჳსა, არა თუ ჰკითხოს სახლისა უფალსა, ესრეთვე და მტერიცა, არა თუ შეყვანებულ იქმნეს ვერ შევალს. ხოლო შენ ილოცევდი და იტყოდე: „უფალო, შენ უწყი, თუ ვითარ მოგიგო: მე პირუტყუ ვარ და უგუნური...

[1] Վարք Սրբոց Հարանց և Քաղաքավարութիւնք, ի Վենետիկ, Հ. I-II, 1855.

ამრიგად, თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმნილ სისტემატურ პატერიკში ანონიმური სახით დადასტურებული ზოსიმეს „სწავლანი“ წარმოადგენდა სისტემატური პატერიკის შემადგენელ ნაწილს და თეოფილესათვის (და მისი ბერძნული დედნისათვის) უცნობი იყო მათი ავტორი.

„სწავლათა“ ავტორიანი ნაწილი კი წარმოადგენს Patrologia Graeca-ში არსებული ზოსიმეს თხზულების მსგავსი ხელნაწერის თეოფილესეულ თარგმანს, რომელიც დამოუკიდებლად, პატერიკის სტრუქტურის დარღვევის გარეშე, დანართის სახით არის წარმოდგენილი სისტემატურ კრებულში.

განსხვავებები მოცულობაში „სწავლანის“ თეოფილესეულ და ეფვთიმესეულ თარგმანებს შორის გვავარაუდებინებს, რომ არსებობდა „სწავლათა“ განსხვავებული ბერძნული ხელნაწერები, ერთი, რომელიც ცნობილია დღეს Patrologia Graeca-ში გამოცემული ბერძნული ტექსტის სახით, მეორე – შედარებით სრული, წარმოადგენდა ეფთვიმეს თარგმანის წყაროს, მესამე – პირველთან შედარებით სრული და მეორესთან შედარებით კი მოკლე, არის თეოფილესეული თარგმანის დედანი.

* * *

თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ თარგმნილი „მამათა სწავლანის“ ნუსხებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა შორის დაცული ხელნაწერი Jer 51.

Jer 51 XII საუკუნის ხელნაწერია, ქაღალდი, შედგება 389 ფურცლისაგან, ნაკლულია[1]. სამწუხაროდ, ხელნაწერის წარმომავლობა უცნობია. როგორც ჩანს, ის მოხვედრილა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, სადაც, როგორც ამას ანდერძი გვიჩვენებს, შეიკაზმა გოლგოთისა და ჯვრის მონასტრის წინამძღვრის ეპიფანეს მიერ (XVI ს-ის 80-იან წლებში)[2]. თუმცა მეორე ანდერძიდან ჩანს, რომ ეპიფანე არ არის ხელნაწერის პირველი შემკაზმველი, და რომ ის უკვე შეკაზმული ყოფილა იოსებ ხუნტუს ძის მიერ:

„ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო და წმიდანო მამანო, და რაჲცა ამაჲ წიგნ[სა] [წმიდა]ნი წერილ ხართ, შეიწყალე სული ამაჲ (sic) წიგნისა კაზმავისა იოსებ-ყოფილ იონაჲ მონაზონისა, ხუნტუს ძისა, სული მისთა მშობელთა

---

[1] იერუსალიმურ ხელნაწერზე მსჯელობისას ვეყრდნობით ხელნაწერთა ინსტიტუტში მომზადებულ იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის ხელნაწერ ვარიანტს, რომელიც მოგვაწოდეს ამ აღწერილობის ავტორებმა, რისთვისაც დიდი მადლობას მოვახსენებთ.

[2] მ. კარანაძე, ქართული წიგნის ყდის ისტორია, თბ., 2002, გვ. 40.

და ყოველთა მისთა მიცვალებულთა, შეუნდვნეს ღმერთმან. ვინცა შენდობაჲ ბრძანოთ, თქვენცა შეგინდებნეს (!) ღმერთმან“ (1v)[1].

არსებობს ვარაუდი, რომ აღნიშნული ხელნაწერი იონა მონაზონს XII-XIV საუკუნეებში უნდა შეეკაზმა[2]. ამრიგად, ხელნაწერი სამი საუკუნის განმავლობაში ორჯერ მაინც ყოფილა შეკაზმული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელნაწერი ნაკლულია: აღწერილობის მიხედვით, იგი მოიცავს თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმნილი პატერიკის ტექსტს ათი თავის ფარგლებში, იწყება II თავით. თუკი შევადარებთ ერთმანეთს A 1105 ხელნაწერისა და Jer 51-ის სტურქტურას, ვნახავთ, რომ ისინი თითქმის იდენტურია:

A 1105	Jer 51
1. პირველი სიტყუაჲ, შესავალი წიგნისაჲ წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთა ცხორებათათჳს და მოქალაქობათა.	1.
2. სწავლანი შუენიერნი წმიდათა და ნეტართა მამათანი, სისრულისათჳს სათნოებათაჲსა.	[2]სწავლანი შუჱნიერნი წმიდათა და ნეტართა მამათანი სისრულისათჳს სათნოებათაჲსა.
3. სწავლანი და თხრობანი სულიერნი წმიდათა მამათანი და ვითარმედ ჯერ არს ჩუენდა ყოვლითა ძალითა მიდევნებად დაყუდებასა.	3. თავი გ: თხრობანი სულიერნი წმიდათა მამათანი, ვითარმედ ჯერ არს ყოვლითა მოსწრაფებითა მიდევნებად დაყუდებისა.
4. თხრობაჲ თჳთოსახჱ წმიდათა მამათაჲ ლმობიერებისათჳს.	4. თავი დ: თხრობაჲ თითოსახე წმიდათა მამათაჲ ლმობიერებისათჳს.
5. სწავლანი და თხრობანი წმიდათა მამათანი მრავალსახენი და მრავალგუარნი. მარხვისათჳს და სხუათა მათ სათნოებათა და ვითარმედ არა ჭამადთა ოდენ ზედა გამოისახვის მარხვაჲ, არამედ ყოველთავე ზედა საცნობელთა და აღძრვათა სულისათა.	5. თავი ე: სწავლანი და თხრობანი წმიდათა მამათანი თითოსახენი და თითოფერნი მარხვისათჳს და სხუათა მათ სათნოებათა და ვითარმედ არა ჭამადთაგან ოდენ გამოისახვის მარხვაჲ, არამედ ყოველთავე ზედა საცნობელთა და აღძრვათა სულისათა.

[1] იონა მონაზონი იხსენიება ასევე სინას მთაზე დაცულ სულთა მატიანეშიც: „სულსა ი(ოვა)ნე, ყოფილისა იოსებს ხუნტუს ძესა, შეუნდოს ღმერთმან“. საინტერესოა, რომ აქვე მოიხსენიება კიდევ ერთი ხუნტუს ძე: „სულსა გოგნიასა ხუნტუს ძესა შეუნდოს ღმერთმან და მისსა მეუღლესა მზექალს შეუნდოს“, იხ. ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1946, გვ. 243.

[2] მ. კარანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

6. მოძღურებანი თჳთოფერნი და მოთხრობანი მრავალსახენი, წმიდათა მამათანი, განკრძალვისათჳს ჩუენდა ბრძოლათაჲსა, რომელნი-იგი სიძვისა მიერ აღდგებიან ჩეუნ ზედა.	6. თავი ვ: მოძღურებანი წმიდათა მამათანი ვნებათათჳს და გულისისტყუათა სიძვისათა.
7. უპოვარებისათჳს და არა მოხუეჭისა და სხუათა მათთჳს სათნოებათა.	7. თავი ზ: უპოვარებისათჳს და არა მოხუწჭისა და სხუათა მათ სათნოებათა.
8. თხრობაჲ თჳთოსახწ წმიდათა და ღმრთივსულიერთა მამათაჲ, რომელი აღმჭურავს ჩუენ და აღმადგინებს სიმჯნედ და მოთმინებად.	8. თავი წ: თხრობაჲ თითოსახე წმიდათა და ღმრთივსულიერთა მამათაჲ, რომელი აღმჭურავს ჩუენ და აღმადგინებს სიმჯნით მოთმინებად.
9. სწავლანი და თხრობანი წმიდათა და ნეტართა მამათანი, ვითარმედ არარასა ჯერ არს ქმნაჲ საჩუწნებელად კაცთა.	9. თავი თ: სწავლანი და თხრობანი წმიდათა და ნეტართა მამათანი, ვითარმედ არარას ჯერ არს ქმნაჲ საჩუწნებელად კაცთა
10. ვითარმედ ჯერ არს ყოვლითა ძალითა ჩუენითა კრძალვად, რაჲთა არავის განვიკითხჳდეთ.	10. თავი ი: ვითარმედ ჯერ არს ყოვლითა ძალითა ჩუენითა კრძალვად, რაჲთა არავისა განკითხვად.
11. განკითხვისათჳს საღმრთოჲსა და განრჩევისა კეთილისა ბოროტისაგან.	11. განკითხვისათჳს საღმრთოჲსა და განრჩევისა კეთილისა ბოროტისაგან.

შედარებიდან ჩანს, რომ იერუსალიმურ ხელნაწერს აკლია A 1105 ნუსხის პირველი თავი, რომელიც მოიცავს კრებულის ზანდუკსა და შესავალს, მაგრამ რა არის ეს – რედაქტორის მიერ ჩატარებული კლება, თუ ხელნაწერი იყო ნაკლული? ის ფაქტი, რომ იერუსალიმური კრებულის ფაქტობრივი პირველი თავი დაუნომრავია, ხოლო დანომრილი ფაქტიური II თავი მესამე (გ) თავად არის წარმოდგენილი, გვავარაუდებინებს, რომ უკვე იონა მონაზონს ხელნაწერი თავნაკლული დახვედრია, და რომ იონა არ არის ამ ხელნაწერის პირველი შემკაზმველი.

A 1105 ხელნაწერში დაცული თარგმანისა და იერუსალიმური ხელნაწერის სტრუქტურულმა შედარებამ ცხადყო, რომ ათი თავის ფარგლებში იერუსალიმური ხელნაწერი მიჰყვება A 1105 ხელნაწერს, იგივე შეიძლება ითქვას თავის შიგნით თხრობების თანმიმდევრობის შესახებაც. ძალიან იშვიათია შემთხვევები, როდესაც ეს თანმიმდევრობა ირღვევა, მაგ.: I თავში კასიანეს თხრობა გადასმულია იოანე ოქროპირის თხრობის შემდეგ, რითაც აღდგენილია ავტორთა ანბანური თანმიმდევრობა.

ერთი შეხედვით, იერუსალიმური პატერიკი თეოფილეს თარგმანის ნუსხად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, თუმცა საინტერესო სურათი წარმოგვიდგა ერთი თავის ფარგლებში თხრობათა ტექსტების შედარებისას. შესადარებლად ავიღეთ A 1105 ხელნაწერის II და Jer 51-ის I თავი (A 1105: „სწავლანი შუენიერნი წმიდათა და ნეტართა მამათანი სისრულისათჳს სათნოებათაჲსა, გუაკურთხენ მამაო!“ Jer 51: „სწავლანი შუჱნიერნი წმიდათა და ნეტართა მამათანი სისრულისათჳს სათნოებათაჲსა“). ტექსტების შედარებამ რამდენიმე სახის განსხვავება წარმოაჩინა. რიგ შემთხვევაში ეს განსხვავებები ვარიანტული სახისაა, მაგ.:

A 1105	Jer 51
ძმამან ჰკითხა მამასა ესაჲას სიტყჳსა მისთჳს „მამაო ჩუენოჲსა“, რაჲ არს სიტყუაჲ ესე: „წმიდა იყავნ სახჱლი შენი? **<u>ჰრქუა მას ბერმან:</u>** ესე სრულთაჲ არს, რამეთუ [რომელ] ჯორციელთაგან ვნებათა **<u>იმძლავრებოდის</u>** შეუძლებელ არს შორის წმიდა ყოფად სახჱლი წმიდაჲ.	ძმამან ჰკითხა მამასა ესაჲას სიტყჳსა მისთჳს „მამაო ჩუენოჲსა“, რაჲ არს სიტყუაჲ ესე: „წმიდა იყავნ სახჱლი შენი? **<u>და ბერმან ჰრქუა მას:</u>** ესე სრულთაჲ არს, რამეთუ რომელ ჯორციელთაგან ვნებათა **<u>იძლეოდის</u>** შეუძლებელ არს შორის წმიდა ყოფად სახჱლი წმიდაჲ.

თქუა ბერმან: შვილნო, მარილი წყლისაგან არს, ხოლო უკუეთუ დაეახლოს წყალსა, დადნების **და წარჯდების**. ესრეთვე სახჱდ მონაზონი დედაკაცისაგან არს, ხოლო უკუეთუ დაეახლოს დედაკაცსა, **<u>დადნების და</u>** წარწყმდების.	თქუა ბერმან: შვილნო, მარილ წყლისაგან არს, ხოლო უკუეთუ დაეახლოს წყალსა, დადნების. ესრეთვე სახჱდ მონაზონი დედაკაცისაგან არს, ხოლო უკუეთუ დაეახლოს დედაკაცსა, წარწყმდების.

ზოგჯერ განსხვავებები ტექსტებს შორის სცილდება ვარიანტულს და რედაქციულ სახეს იღებს. პირველ რიგში ეს თხრობათა დაჯგუფებას ეხება.

ჩვეულებრივ, ერთი ავტორის სხვადასხვა თხრობის გამოყოფისას პატერიკები შემდეგ გამონათქვამებს მიმართავენ: „მანვე თქუა“, „თქუა კუალად მანვე“, „თქუა კუალად ბერმან“, „მანვე თქუა კუალად“ და ა.შ. თითოეული ასეთი დასაწყისი ახალ თხრობაზე მიგვითითებს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, რომ თეოფილეს თარგმანში ერთ ავტორზე გატანილ რამდენიმე თხრობას იერუსალიმური ხელნაწერი აერთიანებს და ხშირად ეს გაერთიანება უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე თეოფილესეული დაყოფა. მაგ.:

A 1105	Jer 51
იტყოდა **ნეტარი ეპიფანე,** ვითარმედ: უკუეთუ სახემან-ღა ქრისტესმან მელქისედეკ ძირი იგი ებრაელთაჲ აკურთხა აბრაჰამ, რაოდენ უფროჲსღა თჳთ ჭეშმარიტებამან ქრისტესმან აკურთხნეს და წმიდა ყვნეს ყოველნივე მისა მიმართ მორწმუნენი?! მანვე თქუა კუალად: საჭიროდ უჴმს ქრისტეანესა, რომელსა ძალ-უც მოგებად წიგნთა და რამეთუ თჳთმებრ ხილვაჲ წიგნისაჲ უუდბეს ჰყოფს კაცსა ცოდვისა მიმართ და სიმართლისა კერძო აღადგინებს, უფროჲსღა და კეთილსა აწუჱვს. თქუა კუალად მანვე: დიდი სიმტკიცე არს უცოდველობისაჲ წმიდათა წერილთა აღმოკითხვაჲ. მანვე თქუა: დიდი მთხრებლი არს წარწყმედისაჲ და სიღრმე შთაუხედავი ჴნარცვისაჲ წმიდათა წერილთა უმეცრებაჲ. კუალად თქუა მანვე: დიდად განცემაჲ არს ცხორებისაჲ უმეცრებაჲ წერილთა საღმრთოთაჲ. იგივე იტყოდა, ვითარმედ: მართალთა ცოდვანი ბაგეთადმდე არიან, ხოლო უღმრთოთანი ყოველთა ჰორცთა. ამისთჳს გალობს საღმრთოჲცა დავით და იტყჳს: „დასდევ, უფალო, საცოჲ პირსა ჩემსა და კარი ძნელი ბაგეთა ჩემთა. და ვთქუ: ვიმარხნე გზანი ჩემნი, რაჲთა არა ვცოდო ენითა ჩემითა“.	იტყოდა **ნეტარი ეპიფანე კჳპრელ მთავარეპისკოპოსი**: უკუეთუ სახემან-ღა ქრისტესმან მელქისედეკ ძირი იგი ებრაელთაჲ აკურთხა აბრაჰამ, რაოდენ უფროჲს თჳთ ჭეშმარიტებამან ქრისტესმან აკურთხნეს და [წმიდა] ყვნეს ყოველნივე მისსა მიმართ მორწმუნენი?! საჭიროდ უჴმს ქრისტიანესა, რომელსა ძალ-უც მოგებად წიგნთა, რამეთუ თჳთმებრ ხილვაჲ წიგნისაჲ უქმ ჰყოფს კაცსა ცოდვისა მიმართ და სიმართლისა კერძო აღადგინებს, უფროჲსღა კეთილსა აწუევს. რამეთუ დიდი სიმტკიცე არს წმიდათა წერილთა კითხვაჲ, და დიდი მთხრებელი არს წარწყმედისაჲ წმიდათა წერილთა უმეცრებაჲ. დიდი განცემაჲ არს ცხორებისაჲ შჯულთა საღმრთოთა უმეცრებაჲ. მართალთა ცოდვანი ბაგეთამდე არიან, ხოლო უღმრთოთა ყოველთა ზედა ჰორციელთა. ამისთჳს [იტყ]ჳს წინაწრმეტყუელი დავით: „დასდევ, უფალო, საცოჲ პირსა ჩემსა და კარი ძნელი ბაგეთა ჩემთა. და ვთქუ: ვიმარხნე გზანი ჩემნი არა ცოდვად ენითა ჩემითა“.
მანვე თქუა, ვითარმედ: ღმერთი ცოდვილთა თავთაგანცა შეუნდობს, ინანონ რაჲ, ვითარცა-იგი მეძავსა და მეზუერესა, ხოლო მართალთა ვახშსაცა მოჰჴდის და ესე არს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, რომელსა ეტყოდა მოციქულთა, ვითარმედ: „უკუეთუ არა აღემატოს სიმართლე თქუენი უფროჲს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხჳდეთ სასუფეველსა ცათასა“.	ღმერთი ცოდვილთა თავთაგანცა შეუნდობს, შეინანონ რაჲ, ხოლო მართალთა ვახშსაცა მოჰჴდის და ამას ეტყოდა უფალი მოციქულთა, ვითარმედ: „უკუეთუ არა აღემატოს სიმართლე თქუენი, უფროჲს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხჳდეთ სასუფეველსა ცათასა“.

როგორც ვხედავთ, იერუსალიმური ხელნაწერის ტექსტი იმდენად ორგანულად არის გადაბმული, რომ აქ თხრობათა განცალკევების საჭიროება არ იგრძნობა. ამასვე ადასტურებს კიდევ ერთი ნიმუში:

A 1105	Jer 51
ეტყოდა მამაჲ იოანე კილიკიელი წინამძღუარი რაჲთისაჲ ძმათა: შვილნო, ვითარცა ვივლტოდეთ სოფლისაგან, ვივლტოდეთ გულისთქუმისაგანცა ჴორცთასა. თქუა კუალად: მივჰბაძვიდეთ მამათა ჩუენთა და მოვიჴსენოთ, თუ ვითარითა ფიცხლად მოღუაწებითა და დაყუდებითა სხდეს აქა. მანვე თქუა: ესე ადგილი მოღუაწეთაჲ არს, არა ვაჭართა და ფერეზიკთაჲ.	ეტყოდა მამაჲ იოანე რაჲთელი ძმათა: შვილნო, ვითარცა ვივლტოდეთ სოფლისაგან, ვივლტოდეთ გულისთქუმისაგანცა ჴორცთაჲსა. მივჰბაძვიდეთ მამათა ჩუენთა, მოვიჴსენოთ, თუ ვითარითა ფიცხლად მოღუაწებითა და დაყუდებითა სხდეს აქა, და ნუ შევამწიკულებთ, შვილნო, ადგილსა ამას, რომელი მამათა ჩეუნთა განწმიდეს ეშმაკთაგან, რამეთუ ესე ადგილი მოღუაწეთაჲ არს, არა ვაჭართა და ფერეზიკთა.

ზოგჯერ თხრობათა გაერთიანებას უფრო მეტი სიცხადე შეაქვს ტექსტის შინაარსში, მაგ.:

A 1105	Jer 51
თქუა მამამან მოსჱ: რომელსა უნდეს მახლობელად თჳსსა იესუ და მოცალე იყოს მისა მიმართ, კეთილად ჰყოფს, უკუეთუ არა შეიყვანებს კაცსა სენაკად თჳსად. თქუა კუალად: შეუძლებელ არს ვისგანცა მოგებაჲ იესუჲსი თჳნიერ შრომითა და სიმდაბლითა და სამარადისოჲთა ლოცვითა.	მანვე თქუა: რომელსა აქუნდეს მახლობელად თჳსა იესუ და მოცალე იყოს მისთჳს, კეთილად ჰყოფს, უკუეთუ არა შეიყვანებს კაცსა სენაკად თჳსა, რამეთუ შეუძლებელ არს მოგებაჲ იესუჲსი, თჳნიერ მარხვითა და ლოცვითა და სიმდაბლითა.

თვალშისაცემია ასევე ტექსტობრივი განსხვავებებიც. ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც მიუხედავად შინაარსობრივი მსგავსებისა, იერუსალიმური ხელნაწერი განსხვავებულ, უფრო გამარტივებულ და შემოკლებულ ტექსტს გვაძლევს:

A 1105

თქუა მამამან **ათანასჱ ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსმან:** მრავალგზის იტყჳნ ვინმე **ჩუენგანი,** ვითარმედ: სადა არს დევნულებაჲ, რაჲთამცა ვიწამე? იწამე **გონებითა,** მოკუედ ცოდვისაგან, მოაკუდინენ ასონი ქუეყანისანი და მოწამე ქმნულ ხარ გონებითა. **წმიდანი** მოწამენი მეფეთა ჰბრძოდეს **და მთავართა,** გაქუს შენცა წინამოსაჯულად მეფჱ იგი ცოდვისაჲ სამაელ და მთავარნი მისნი, ბოროტნი ეშმაკნი. ესრეთვე უკუჱ წმიდათა მათ წინაშე უსხნეს ბომონნი და **ტაბლანი საკჱრპონი, აღსავსენი საძაგელებითა და ნაზორევთა მწიკულითა.** მოიგონე სულსა შინა შენსა და ბომონად შეჰრაცხჱ ნაყროვანებაჲ და ტაბლად საზორველად გემოთმოყუარებაჲ და კჱრპად გულისთქუმაჲ იგი ცოდვისაჲ, რამეთუ რომელი სიძვათა და გულისთქუმათადა შედგომილ იყოს, მას იესუ უარ უქმნიეს და კერპსა თაყუანის-სცემს, რამეთუ აქუს თავსა შორის თჳსსა აფროდიტეს ქანდაკებული გულისთქუმაჲ იგი ცოდვისაჲ და ბილწებაჲ ჴორცთაჲ.

კუალად, რომელი გულისწყრომითა და მრისხანებითა იძლეოდის და არა გარდაჰკუეთდეს სენისა მის სიგუესესა, მასცა იესუ უვარ უქმნიეს და არე ჰყავს ღმრთად თავსა შორის თჳსსა, რამეთუ მოუდრკა მრისხანებასა, რომელ არს გესლოვანებისა კერპი. სხუაჲ კუალად ვეცხლისმოყუარე არს და ნივთთა მოსურნე. და დაჰჴშავს ნაწლევთა ძმისთჳს და არა სწყალობს მოყუასსა თჳსსა, და მასცა იესუ უარ-უქმნიეს და კერპთა ჰმსახურებს, რამეთუ აქუს თავსა შორის თჳსსა კერპი იგი ერმისი, რამეთუ ჯერეთცა დაბადებულთა ჰმონებს და არა დამბადებელსა.

Jer 51

თქუა დიდმან ათანასი: იტყჳნ ვინმე, ვითარმედ: სადა არს დევნულებაჲ, რაჲთამცა ვიწამე? იწამე **შრომითა,** მოკუჱდ ცოდვისაგან, მოაკუდინენ ასონი ქუეყანისანი და წამებულ ხარ გონებითა. მოწამენი მეფეთა ჰბრძოდეს, ჰბრძოდე წინამოსაჯულსა შენსა სამაელს და მთავართა მისთა ეშმაკთა. წმიდათა მათ წინა ესხნეს ბომონნი საძაგელთა კერპთანი და შენცა ბომონად შეჰრაცხე ნაყროვანებაჲ და გემოთმოყუარებაჲ და კერპად გულისთქუმაჲ ცოდვისაჲ, რამეთუ რომელი სიძვათა მაგისთჳს თქუმათა შინა დაჰდგრეს, მას იესუ უარ უქმნიეს, რამეთუ აქუს გულსა შინა ვითარცა აფროდიტეს კერპი პირები დედათაჲ გულისთქუმაჲ ბოროტი და შეგინებაჲ ჴორცთაჲ.

კუალად, რომელი გულისწყრომითა იძლეოდის და არა განჰკურნებდეს სენისა მის სიბოროტესა, მასცა იესუ უვარ უქმნიეს და ჰყვეს თავსა შორის თჳსსა არე, რომელ არს მრისხანეჲ კერპი. სხუაჲ კუალად ვეცხლისმოყუარე არს და ნივთთმოყუარე. და დაჰჴშავს ნაწლევთა ძმისთჳს და არა სწყალობს მოყუასსა თჳსსა, და მასცა იესუ უარ-უქმნიეს და კერპთა ჰმონებს, რამეთუ აქუს თავსა შორის თჳსსა კერპი ერმისი, ვინაჲთგან დაბადებულთა ჰმონებს და არა დამბადებელსა. ნანდჳლვე ძირი ყოველთა ბოროტთაჲ არს ვეცხლისმოყუარებაჲ. რომელიცა უკუჱ ამათ ვნებათაგან შორს იყოს, მას უარ უქმნიეს კერპთმსახურებაჲ, უშჯულოებაჲ და მოწამე ქმნილ არს სრულ და ჭეშმარიტ. და აღუარებიეს კეთილი იგი და საცხორებელი აღსარებაჲ.

რამეთუ ნანდჳლვე ძირი ყოველთა ბოროტთაჲ არს ვეცხლისმოყუარებაჲ. ვინცა უკუე ამათ ვნებათაგან შორს იყოს, მას დაუთრგუნავს კჳრპთმსახურებაჲ და უარ უქმნიეს უშჯულოებაჲ და მოწამე ქმნილ არს სრულ და ჭეშმარიტ. და აღუვარებიეს კჳთილი იგი და საცხორებელი აღსარებაჲ.	

ტექსტის გამარტივება ზოგადად ახასიათებს იერუსალიმურ ხელნაწერს, ხშირად ეს გამარტივება კლების ხარჯზე ხდება - Jer 51-ის გადამწერი ტექსტს აკლებს გარკვეული სახის ინფორმაციას, მაგალითად:

A 1105 ვითარღამან მწუხარებამან მოიცვას მაშინ მამაჲ ანტონი და მამაჲ ამონა **ნიტრიელი, მამაჲ პავლე ფოტელი და მამაჲ ამმონ ეგჳპტელ არაბელი, მამაჲ მიოს თებაჲდელი და მამაჲ მაკარი ალექსანდრიელი, მამაჲ პაფნოტი სიდონელი და მამაჲ სირი თიღონელი, მამაჲ ამმონ ქერევნიტელ, და ყოველნივე წმიდანი მამანი და მართალნი შეწუხნეს და შეელმეს, მაშინ,** ოდეს-იგი წარიყვანებოდიან ზეცათა სასუფეველად, ხოლო ჩუენ განვისხმოდით ბნელად გარესკნელად.	Jer 51 ვითარღამან წუხილმან მოიცვას მაშინ მამაჲ ანტონი და მამაჲ ამონა და მამაჲ პავლე ფოტელი და სხუანი მამანი ჩუენნი, წმიდანი და მართალნი ოდეს იგი ჩუენ განვისხნეთ ბნელსა წყუდიადსა, ხოლო იგინი შევიდნენ ზეცათა სასუფეველსა.

ამავე ტიპისაა შემდეგი მაგალითიც:

A 1105 თქუა მამამან ზენონ, **მოწაფემან ნეტარისა სილოანეს:** მარადის ნუ დაემკჳდრები ადგილსა სახელოვანსა...	Jer 51 თქუა მამამან ზენონ: ნუ დაემკჳდრები ადგილსა სახელოვანსა...

A 1105 ეტყოდა მამაჲ იოანე **კილიკიელი წინამძღუარი რაჲთისაჲ** ძმათა...	Jer 51 ეტყოდა მამაჲ **იოანე რაჲთელი** ძმათა..

საინტერესო შემთხვევაა, როდესაც Jer 51 ხელნაწერს თეოფილესეულ ტექსტთან შედარებით აკლია მთარგმნელისეული განმარტება

A 1105	Jer 51
იტყოდეს მამისა ესაჲასთჳს, ვითარმედ აღიღო ოდესმე სფირიდი, **ანუ თუ ზამბილი...**	იტყოდეს მამისა ესაჲასთჳს, ვითარმედ აღიღო ოდესმე სფურიდი...

ზოგჯერ კლება ბიბლიური ციტატების შემცირების ხარჯზე ხდება, მაგ.:

A 1105	Jer 51
ნუ ესრეთ, საყუარელნო ძმანო, ნუ ესრეთ, არამედ ვივლტოდეთ სოფლისაგან... ესეღა უფალი ჩუენი და მაცხოვარი იტყჳს: „ყოველმან, რომელმან არა იჯმნეს სოფლისაგან და ყოველთაგანვე საქმე თჳსთა, ვიდრეღა და სულიცა თჳსი არა მოიძულოს და აღიღოს ჯუარი და შემომიდგეს უკუანა ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს“. „ცხოველ ვარ მე“, იტყჳს უფალი, „გამოედიეთ შორის მათსა და გამოეშორენით და მოისპეთ უკეთურებაჲ სულთაგან თქუენთა“. ხედავთა, ძმანო ჩემნო რაოდენ სარგებელ არს სივლტოლაჲ უბნობისაგან?	ნუ ესრეთ, ძმანო, ნუ ესრეთ, ვივლტოდით სოფლისაგან... ვითარცა უფალი იტყჳს, ვითარმედ: „ყოველმან, რომელმან არა იჯმნეს სოფლისაგან, ვიდრეღა სულიცა თჳსი მოჲძულოს და არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, არა არს იგი ჩემდა ღირს“. ჰხედავთა, საყუარელნო, რაოდენ სარგებელ არს ლტოლვაჲ უბნობისაგან?

ინტერესს იწვევს ასევე ის ლექსიკური სხვაობებიც, რომლებიც არსებობს ამ ორ ხელნაწერს შორის:

A 1105	Jer 51
მეყსეულად	მყის
კაცად-კაცადი	თითოეული
მიმდემად	ზედაჲსზედ
განსუენება	შუება
თითოფერი	თითოსახე
საჴმარი	საფასე
განვარდნა	განჴუმა
განგდება	განჴდა

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ იერუსალიმური ტექსტი A1105 ხელნაწერის პასიურ კონსტრუქციებს, აქტიური ზმნით ცვლის და ამით აქართულებს წინადადებას:

A 1105	Jer 51
მოთმინე იქმენით	მოვითმინოთ
ენებოს სიყუარული	უყუარდეს
ვერ ძალ-უც გამოღებად ნაყოფისა	ვერ გამოიღებენ ნაყოფსა
ვერ შემძლებელ ვართ	ვერ ძალ-გვიც
რომელი მყოფ იყოს ქუაბსა შინა	რომელი იყოს ქუაბსა შინა
შემსჭუალულ იყოს ღმრთისად	შეემსჭუალოს ღმერთსა
ვერ ძალ-უც მას მისლვაჲ სრულებასა	ვერ მიიწევის სრულებასა

ამრიგად, Jer 51 და A 1105 ხელნაწერებს შორის არსებული განსხვავებები გვავარაუდებინებს, რომ Jer 51 ხელნაწერში დაცული ტექსტის სახით საქმე უნდა გვქონდეს თეოფილესეული ტექსტის ახალ, სტილისტურ რედაქციასთან, რომლის მიზანიც ზედმეტი ინფორმაციისაგან ტექსტის გამარტივება და გაცხრილვა იყო.

გამოცემაში გათვალისწინებული ნუსხებიდან იერუსალიმურ ხელნაწერთან ახლოს დგას D ნუსხა (H 1342), რომლისთვისაც იერუსალიმური ტექსტის მსგავსად დამახასიათებელია ერთ ავტორზე გატანილი თხრობების გაერთიანება.

ვინაიდან გამოსაცემი ტექსტი საკმაოდ დიდია და მას კიდევ უფრო ზრდის ოთხი ხელნაწერის ვარიანტები, იერუსალიმური ხელნაწერის ჩვენებების ვარიანტებში ჩატანა არამართებულად მივიჩნიეთ და გამოკვლევაში მხოლოდ მისი ზოგადი დახასიათებით შემოვიფარგლეთ.

თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანის ერთი თავისებურება

თეოფილე ხუცესმონაზონი ათონის საგანმანათლებლო სკოლის ღირსეული წარმომადგენელია. ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების დიდი ავტორიტეტის შემდეგ განსაკუთრებულად რთული უნდა ყოფილიყო მათ მიერ ასეთი წარმატებით დაწყებული საქმის გაგრძელება. თეოფილეს მოღვაწეობა კარგად არის ცნობილი, შესწავლილია და გამოსაქვეყნებლად გამზადებული მრავალი მისი თარგმანი, რაც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ ხუცესმონაზონის თარგმანის თავისებურებებს.

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ თეოფილეზე, როგორც ლექსიკოლოგზე, და მისი ტექსტების გამოყენებაზე სხვადასხვა თაობის ლექსიკოგრაფების მიერ. სამუშაო მასალად მხოლოდ მის მიერ თარგმნილ პატერიკს ავიღებთ, მით უმეტეს, რომ ხელი მიგვიწვდება ხუცესმონაზონის ავტოგრაფზე.

პირველი, რითაც თეოფილეს თარგმანი ყურადღებას იქცევს, დახვეწილი ქართული და სიტყვათა მრავალფეროვნებაა, საინტერესოა ის დამოკიდებულება ლექსიკის მიმართ, რომელსაც ამჟღავნებს ხუცესმონაზონი.

მისი მუშაობა სიტყვებზე რამდენიმე ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ:

პირველი, როდესაც თეოფილე გვაძლევს სიტყვას და პარალელურად მის ქართულსავე სინონიმს:

1. „ლევიტონი თჳსი, რომელ არს ***საბეჭური,*** გინათუ ***სამჭრე*** თჳსი“ 140v.
2. „უკუანაჲსკნელ მოვიდა ***პატრონი*** იგი დრაჰკნისაჲ, გინა ***უფალი“*** 166r.
3. ***„ლიემპალსა*** შინა და ***უყესა*** მდინარისასა“ 232v.
4. „შორის ***ავლინსა***, გინა ***ეზოსა“*** 211v.
5. „რამეთუ რასაცა ვინ ***სასჯელსა*** და ***პატიჟსა*** შევარდებინ“ 299r.
6. ***„სულელ*** და ***ხელ*** ღმრთისათჳს“ 28v.
7. „უკუეთუ იხილოს კაცმან პირი ***სახნიერი*** და ***ქმნულკეთილი“*** 277r.
8. ***„სასწაული*** არს და ***ნიშანი***, რომელ სიმდაბლჱ არა გაქუს“ 367v.

მეორე – ხუცესმონაზონი გვაძლევს სიტყვას და მის განმარტებას

1. ***„სასჯელსა*** ვჰყოფდ ღმრთისა თანა, ***რომელ არს სამართალი“*** 367v.

2. „დააგო ბერმან ***ფსიათი, რომელ არს ჭილი***, და დაწვეს იგინი მას ზედა“ 225v.

3. „ესოდენნი ჟამნი დაყვნა ჩუენ თანა და ერთი ოდენ ***თალიად*** იფქლისაჲ, რომელ არს ***ძაძაჲ***, უქმნით მას“ 108r.

4. „ვარსკულავნი ***უცთომელნიცა – ყოლადვე მნათობნი და მარადის გებადნი“*** 2v.

მესამე, როდესაც თეოფილე ხუცესმონაზონს უშუალოდ შემოაქვს ტექსტში ბერძნული ლექსიკა და განმარტავს მას ქართველი მკითხველისათვის უკეთესად ცნობილი ლექსიკური ერთეულით.

1. ***„კერმაჲ***, რომელ არს ***ფოლი“*** 120v.

2. „ჰპოოთ ***პიტაკი*** სასთუნალსა ქუეშე ჩემსა, რომელ არს ***ქარტაჲ*** დაწერილი“ 187v.

3. „აღიღო ოდესმე ***სფირიდი*** ანუ თუ ***ზამბილი“*** 16r.

4. ***„კარკინონ*** ეწოდების და ***კირჩხიბიცა“*** 116r.

5. ***„პირლოჲ***, რომელ არს ***გოდოლი“*** 206v.

6. „ხოლო იყო ***ლაკუაჲ*** იგი და ***ჯურღმული*** შორს სენაკისაგან მათისა“ 430r.

7. ***„პალეკარტი სევინისაჲ***, რომელ არს ***დათხზული ბაჲაჲსაჲ“*** 165v.

8. ***„ავღუსტა დედოფალი*** წარმოჰვლის“ 311v.

9. ***„დანაკისკუდი***, რომელ არს ***ფინიკი“*** 211r.

10. „მე დღესა მოცალექმნილ ვარ და ***ბჭე*** და ***კრიტის***, არა ჯამს ესე ყოფად, არა ჯამს“ 225r.

თეოფილე ხუცესმონაზონთან მრავლად გვხვდება უთარგმნელად დატოვებული სიტყვები, რომელთა უმეტესობაც უკვე შემოსული და დამკვიდრებული იყო ქართულში, მაგალითად: კერეონი (ὁ κερίων – ცვილის დიდი სანთელი), სინდონი (ἡ σινδών – წამოსასხამი), პელაგონი (ὁ πέλαγος - ზღვა), ანკჳრა (ἡ ἄγκυρα – ღუზა) და ა.შ.

სიტყვათა მარაგი, რომელსაც თეოფილე ხუცესმონაზონი თარგმანის დროს იყენებეს, გაოცებას იწვევს, ტავტოლოგიის თავიდან აცილების მიზნით სინონიმების გამოყენება მისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგალითად: „ბერმან თქუა: ნუ შეურაცხ-ჰყოფ ***წინაშემდგომელსა*** შენსა, რამეთუ არა უწყი, თუ შენ ზედა არს სული ღმრთისაჲ, თუ მის ზედა. ხოლო ვიტყჳ მე ***მსახურსა*** შენსა“ (362v.) ან „აღიღეს კაცთა ***საბჭოჲ*** ჩემი და ***მსჯავრი*** აღიღეს“ 226v.

ტექსტის დასახვეწად საკუთრივ ქართული სიტყვების გარდა, მთარგმნელი ხშირად იყნებს ქართულში შემოსულ და დამკვიდრებულ უცხო სიტყვებს. მაგალითად „სარკმლის“ მნიშვნელობით მის ტექსტში ვხვდებით ბერძნულ „არმარს“ და ქართულში, ალბათ, სომხურიდან შემოსულ ფალაურ „პატოანს“ (Պատուհան).

საინტერესოა, რომ თეოფილე ხუცესმონაზონი ხშირად გეოგრაფიულ და საკუთარ სახელებსაც თარგმნის. მაგალითად: „განვლო მდინარე იგი ***ხრჯსოროჲ***, რომელ არს ***ოქრომდინარე***“ 423v.; „***ენატას***, ***ცხრათასა***, მახლობელად ალექსანდრიაჲსასა დასავალით კერძო“ 425r.

ლექსიკის ამგვარი სიმრავლე ტექსტს დახვეწილობასა და მრავალფეროვნებას მატებს.

ავტოგრაფი საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ უშუალოდ მთარგმნელის მუშაობის პროცესს. პატერიკში გვხვდება შენიშვნები, რომლებიც მთარგმნელს ეკუთვნის და ტექსტის გაუგებარი ადგილის ახსნას წარმოადგენს, მაგალითად, ერთ-ერთ თხრობაში ვკითხულობთ: „ჭურჭლად მათდა უდარესთა მათ ***იძრვისთა*** ძუალსა იჴუმევდეს, ***ვჰგონებ თუ კუჲსასა იტყჳს***“ (169r).

თოფილეს თარგმანები გვეხმარება აგრეთვე გავარკვიოთ ზოგიერთი სიტყვის ის სემანტიკური ველი, რომელიც მან XI საუკუნისათვის შეიძინა. მაგალითად: „შეემთხჳა უკუე განსაცდელი ქალწულსა ვისმე ***დაბასა*** მას შინა და ***სოფელსა***“ 348r. ამ კონტექსტიდან ნათელია, რომ თეოფილეს დროისათვის დაბა და სოფელი სინონიმებად გამოიყენებოდა, ასევე სინონიმებია სიტყვები „ქვეყანა“ და „მიწა“ შემდეგ კონტექსტში: „ხოლო შთავსხენ რაჲ ***მიწასა*** შინა და ***ქუეყანასა*** ყოლად პატიოსანნი იგი ჴორცნი მისნი“.

უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნას სიტყვათა იმ მარაგზე, რომელიც ჰქონდა თეოფილე ხუცესმონაზონს, ვაჩვენებთ სინონიმთა ერთ ჯგუფს, რომელსაც ის იყენებს თარგმნის დროს: პალეკარტი, საბეჭური, სამხრე, ლევიტონი, სინდონი და ა.შ.

სიტყვათა ამგვარი სიმდიდრე და სიჭრელე საშუალებას აძლევდა გვიანი პერიოდის გადამწერებს და მკითხველებსაც თეოფილესეული თარგმანის სიტყვებისათვის მათთვის გასაგები ახსნა მოეძებნათ. პატერიკის შემცველი ხელნაწერი A 528 მრავლად შეიცავს ამგვარ განმარტებებს, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირთა მიერ არის შესრულებული, მაგალითად: „იმსტრობდა - ფრთხილობას ქვიან“ (155r), „ურაკპარაკი, ფოლორცსა და ქალაქის გზასა“ (100v); „კაპილონი, მიკიტანხანა, ანუ დუქანი, ყავახანა“ (40r). კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ტექსტში არსებული სიტყვათა განმარტებები ზუსტად ამავე სახით გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც. მაგალითად თეოფილესეული განმარტება „ვარსკულავნი ***უცთომელნიცა – ყოლადვე მნათობნი და მარადის გებადნი***“, ზუსტად ამავე

სახით გვხვდება საბას ლექსიკონშიც. ასევე ემთხვევა პირღოს განმარტებაც „***პირღოჲ***, რომელ არს ***გოდოლი***“ და ა.შ. შეიძლებოდა თუ არა, რომ საბას ესარგებლა პატერიკის თეოფილესეული თარგმანით? ვფიქრობთ, დაუშვებელი არაფერია, რადგან საკუთარი ლექსიკონისათვის სულხან-საბა ორბელიანი პირველ რიგში სწორედ ამგვარი ტექსტებით სარგებლობდა. თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ თარგმნილი პატერიკის მასალა უხვად აქვს გამოყენებული ძველი ქართული ენის ლექსიკონში ილია აბულაძესაც. ეს ტექსტია მისი ძირითადი წყარო ქართულ-სომხური ანოტირებული ლექსიკონისათვის, რადგან ლექსიკური მასალა, რომელიც წარმოდგენილია ტექსტში, ყველაზე პრეტენზიულ ლექსიკოგრაფსაც კი დააკმაყოფილებს.

ხელნაწერებისათვის

გამოცემას საფუძვლად უდევს XI საუკუნის მთარგმნელისეული ნაკლული ავტოგრაფი (A1105) და ოთხი XII-XIII საუკუნეების ნუსხა. XXIII თავის დასასრულისა და XXIV თავის დასაწყისისათვის გამოვიყენეთ A 169 ხელნაწერი (XVIII ს.), რადგან გამოცემაში გათვალისწინებული ყველა სხვა ნუსხა ამ ადგილას ნაკლულია.

A1105[1] – A

453 ფ; 24x17,5; ქაღალდი; დაზიანებული, ახლადრესტავრირებული, XI საუკუნის თავისებური ნუსხური (ათონური ხელი); სათაურები წითლით; თეოფილე ხუცესმონაზონის ავტოგრაფი, რასაც ადასტურებს მრავალრიცხოვანი ანდერძ-მინაწერები. ხელნაწერი ნაკლულია, აკლია XXIII თავის დასარული და XXIV თავის დასაწყისი, არასრულია XXV და XXVI თავებიც.

პატერიკის შეიცავს შემდეგ თავებს:

1. პირველი სიტყუაჲ, შესავალი წიგნისაჲ წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთა ცხორებათათჳს და მოქალაქობათა.

2. სწავლანი შუენიერნი წმიდათა და ნეტართა მამათანი, სისრულისათჳს სათნოებათაჲსა.

3. სწავლანი და თხრობანი სულიერნი წმიდათა მამათანი და ვითარმედ ჯერ არს ჩუენდა ყოვლითა ძალითა მიდევნებად დაყუდებასა.

---

[1] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), ტ. IV, შეადგინა ქრ.შარაშიძემ, თბ., 1957, გვ. 86-90.

4. თხრობაჲ თჳთოსახჱ წმიდათა მამათაჲ ლმობიერებისათჳს.

5. სწავლანი და თხრობანი წმიდათა მამათანი მრავალსახენი და მრავალგუარნი, მარხვისათჳს და სხუათა მათ სათნოებათა და ვითარმედ არა ჭამადთა ოდენ ზედა გამოისახვის მარხვაჲ, არამედ ყოველთავე ზედა საცნობელთა და აღძრვათა სულისათა.

6. მოძღურებანი თჳთოფერნი და მოთხრობანი მრავალსახენი, წმიდათა მამათანი, განკრძალვისათჳს ჩუენდა ბრძოლათაჲსა, რომელნი-იგი სიძვისა მიერ აღდგებიან ჩუენ ზედა.

7. უპოვარებისათჳს და არა მოხუეჭისა და სხუათა მათთჳს სათნოებათა

8. თხრობაჲ თჳთოსახჱ წმიდათა და ღმრთივსულიერთა მამათაჲ, რომელი აღმჭურავს ჩუენ და აღმადგინებს სიმჴნედ და მოთმინებად.

9. სწავლანი და თხრობანი წმიდათა და ნეტართა მამათანი, ვითარმედ არარასა ჯერ არს ქმნაჲ საჩუენებელად კაცთა.

10. ვითარმედ ჯერ არს ყოვლითა ძალითა ჩუენითა კრძალვად, რაჲთა არავის განვიკითხჳდეთ.

11. განკითხვისათჳს საღმრთოჲსა და განრჩევისა კეთილისა ბოროტისაგან.

12. ვითარმედ ჯერ არს ჩუენდა ყოვლადვე და მარდის მღჳძარებაჲ და სიფრთხილჱ.

13. ვითარმედ ჯერ არს მოუკლებელად და მღჳძარედ ლოცვაჲ ყოვლადვე და ყოველსა ჟამსა.

14. ვითარმედ გჳჴმს და თანა გუაც უცხოთმოყუარებაჲ და მოწყალებაჲ სიხარულით.

15. ვითარმედ ჯერ არს სულიერთა მიმართ მოძღუართა მოგებად მორჩილებასა შეუორგულებელსა.

16. სიმდაბლისათჳს კეთილისა და მის შინა განათლებულთათჳს მამათა.

17. ძჳრუჴსენებლობისათჳს, რამეთუ ესე მსგავსებაჲ არს ღმრთისაჲ.

18. სიყუარულისათჳს ღმრთისა და მოყუსისა.

19. სულითა მხედველთათჳს წმიდათა მამათა.

20. შემოსილთათჳს და სასწაულთა მოქმედთა წმიდათა მამათა.

21. მოქალაქობისათჳს სათნოებათა შინა წარმართებულთაჲსა.

22. მოთხრობაჲ სულიერი ათორმეტთა მათთჳს განშორებულთა.

23. უწყებაჲ მოქალაქობისათჳს სათნოებითა შემკულთაჲსა.

24. [სიტყუათაგან სულიერთა წმიდათა მამათაჲსა, რომელნი მოღუაწებასა შინა დაბერებულ იყვნეს. მოკლე თხრობაჲ ცხადმყოფელი სათნოებათაჲ].

25. უბნობაჲ და ზრახვაჲ წმიდათა ბერთაჲ, კითხვა-მიგებითი.

26. სარგებელიანი საკითხავი პავლე ისლუსტრელისაჲ.

ანდერძ-მინაწერები:

1. „***ბერსა კლიმის*** შეუნდვენ ღმერთმან“ 1v.

2. „ღმერთმან შეუნდვენ! ფრიად ცოდვილი ***თ*ეოფილ*ჲ***“ 11v.

3. „ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, ცოდვილისა ***თეოფილ*ჲ** რ*ჲ*ცა თარგმანისათჳს, რამეთუ ცოდვანი ერთბამად ყოველთანი მქონან, ხოლო სინანულსა ერთისასაცა ყოლად არა ვახლავ. ლოცვა ყავთ, უკუ*ჱ* ყოველთა, ლოცვა ყავთ, რაჲთა წყალობა ყოს ღმერთმან, რომელი არს კურთხეულ უკუნისამდე. და ***ბერი კლიმი*** აკურთხეთ ყოველთა, რამეთუ შემდგომად ღმრთისა და წმიდათა, მისთა მისითა მოღუაწებითა ითარგმანების წმიდაჲ ესე და სულთა საცხორებელი წიგნი, საუკუნომცა არს საჴსენებელი და კურთხევაჲ მისი, ამინ“ 163v.

4. „ღმერთმან შეუნდვე; ***ცოდვილი თეოფილ*ჲ**, ამისი თარგმანი“ 231v.

5. „უფალო, ულხინე ფრიად ***ცოდვილსა თეოფილ*ჲს**“ 284r.

6. „***ბერსა კლიმის*** შეუნდვენ ღმერთმან, ამინ!“ 306v.

7. „საუკუნომცა არს საჴსენებელი და კურთხევაჲ ნეტარისა და წმიდისა მამისა, მზრდელისა და მოძღუარისა ჩემისა ***გიორგი მთაწმიდელისა***, ახლისა ოქროპირისაჲ და მშობელთა მისთაჲ, უკუნისამდე. ამინ, ღმერთმან, ამინ. ***ბერსა კლიმის*** შეუნდვენ“333r.

8. „მამაჲ და ძმანი ყოველნი აკურთხენ ღმერთმან და ***ფრიად ცოდვილი თეოფილ*ჲ** შეუნდვენ ღმერთმან“ 371v.

9. „ღმერთმან აკურთხენ ***ევგენი***! ფიადი შრომაჲ აჩუენა ძიებისათჳსცა და შექცევისა და მოღუაწებისათჳს ჩუენისა. მიეცინ ღმერთმან სასყიდელი მრავალწილად“ 377v.

10. „სული ყოველთა ქრისტიანეთაჲ განსუენებულ ყავ, უფალო! სული მოძღუართა და მშობელთა ჩუენთაჲ სანატრელ ყავ, უფალო! სულსაცა ჩემსა მრავალშეცოდებულსა ნუვე გასწირავ, უფალო!“ 422v.

11. „ლოცვა ყავთ, ფრიად ცოდვილი ***თეოფილ*ჲ**“ 431r.

12. „ამის წიგნისა მომხმარებელნი, ერთობით ყოველნი, აკურთხენ ღმერთმან“ 445r.

13. „[განსუენე]ბულ ყავნ სული [ნეტ]არისა მამისა ***გიორგი მთაწმიდელისაჲ*** და მშობელთა მისთაჲ“ 448r.

14. „***ბერსა გიორგის*** შეუნდვენ ღმერთმან. დასრულდა“ 452r.

15. გვიანდელი მინაწერი (მხედრულით)**:** „ იესუ ქრისტე, ძეო და სიტყვაო ღვთისაო, შეიწყალე ცოდვილი გლახაკი ***ბერი ვენედიკტონ*** სასუფეველსა შენსა ვედრებითა ღვთისმშობელისაჲთა“.

16. „წმიდანო მამანო და ძმანო, ვინც იხილოთ ეს სამოთხის მსგავსი წიგნი მამათა ცხოვრება, სწავლა და მოქალაქობა ზეციური ღვთისათჳს,

შენდობა მიბძანეთ მე, ***ცოდვილსა ვენედიკტონს***. ეს საცხოვრებელი წიგნი სიძველისაგან დაშლილი იყო და შევაკვრევიე, რაც გეეწყობოდა და სხვაც, რომელიც ნავზედ (?!) შევძლე, შევკაზმე, რათა იკითხვიდეთ, ირგებდეთ და მოგვიხსენებდეთ ჩვენ წარსრულთა, თქვენ მომავალნი, რათა თქვენცა მოგიხსენოთ ღმერთმან სასუფეველსა თჳსსა აწ და საუკუნოდ. წელთა ჩყლგ (1833 წ.)".

17. „მთაწმიდას რომ მივედ ***იზ*** წელი არს, ამ მონასტერში ***იგ*** წელი არს, აწ ნება უფლისა იყავნ" 453r.

A1339[1] – B

262 ფ. (ძველი პაგინაციით, შეცდომით, 543 გვ.); 30x22; ქაღალდი, თავბოლონაკლული, ძალიან დაზიანებული; კიდეებშემოცვეთილი; ახლად რესტავრირებული; რესტავრაციის დროს არეულია ფურცელთა თანმიმდევრობა; ხის ყდა; ზედა ყდის შიგნით XV-XVI სს. ხელნაწერის ფურცელი; ქვედა ყდის დამცავ ფურცლად გამოყენებულია ვახტანგის სტამბის „წინასწარმეტყველთა წიგნის" 91-ე გვ. და იერემიას წინასწარმეტყველების ერთი ფურცელი; კლასიკური ნუსხურით, ორ სვეტად. აშიებზე ხელნაწერისავე მელნით, ზოგჯერ კი ფანქრით გრაფიკული მინახატები: სიუჟეტები თხრობებიდან (29v, 39r, 40v, 56v, 60r, 73r, 75r, 77r, 89v, 90v, 91v, 93r, 94r, 97v, 99r, 111r, 112r, 124v, 126r, 139v, 147v, 149r, 154r, 155r, 161r, 164r, 172v, 179r, 180r, 181v, 187v, 191r, 249r).

ხელნაწერი ნაკლულია, თხზულების პირველ ნაწილს აკლია პირველი სამი ფურცელი (ა (I) რვეულიდან დარჩენილია 5 ფურცელი) ხელნაწერში დაცულია პირველი 11 თავი. ტექსტი იწყება შესავლის, ანუ პირველი თავის შემდეგი ფრაზით: „არა დანერგულ იყო საღმრთოსა ამას შინა სამოთხესა"

გადაწერის ადგილი და დრო უცნობია, პალეოგრაფიულად თარიღდება XII საუკუნით. ხელნაწერი ეკუთვნოდა დავით გარეჯის მონასტერს.

აღსანიშნავია, რომ ხელნაწერში მრავალ ადგილას XV საუკუნის ხელით მიწერილია უცხო სიტყვათა განმარტებები (40r-v,100v, 155r და სხვ.).

მინაწერები:

1. (მხედრულით) „ესე წიგნი დავით გარესჯისა მონასტრისა არს და ვინცა მოიპაროს, გაუწყრეს წმიდა დავითის მადლი" 3r.

2. (კალიგრაფიული მხედრულით) „***ტფილელი იოსებ*** ვსწერ: ვაიმე, ცოდვილსა! ამა ყოველთაა საქმეთა აღმსრულებელი თვით მე ვარ" 33v.

---

[1] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), ტ. IV, გვ. 417-418.

3. (მხედრულით) „უფალო ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ***დე-მეტრე***...“ 45v.

4. (მხედრულით) „ბარამ ამირეჯიბი, პამბო ბარამის ძე“ 45v.

5. (მხედრულით) „ესე წმიდა მამათა ცხორება სულ ჩავიკითხე და ფრიად სარგებელ მეყო მე, მწირ ბერსა ***ზოსიმეს***. 1894 წ. თებერვლისა 20-სა დღესა“ 48v.

6. (მხედრულით) „***სჯმეონ*** ბერი აცხოვნოს ღმერთმან, ***ჩყჟა*** (1891) წელსა“ 153r.

7. (მხედრულით) „სულის ცხოვნება ვის ნებავს, მან წიგნი ესე იკითხოს, დაჯდეს სენაკში, იტიროს, თავი თვისი განიკითხოს“ 241v.

8. (მხედრულით) „ მწერალო, ესე ლექსი, არა ჯერ იყო აქა წერად, თუ რომ ლექსი გენება, რად დასწერე ამაზე, რად?! ***გრიგოლ***“ 242r.

A 528[1] - C

316 ფ.; 32x22,5; ქაღალდი, ახლადრესტავრირებული, თავბოლონაკლული; აკლია ფურცლებს შორისაც, ნუსხური, ორ სვეტად, დასაწყისები და სათაურები მთავრულით და სინგურით; ზოგ ადგილას ტექსტი გაცხოველებულია. თავბოლონაკლული. ტექსტი შემოდის მეორე თავის შემდეგი სიტყვებით: „მკუდარ მიერითგან ყოველთაგანვე ვნებათა...“

ნუსხა არ შეიცავს A 1105 ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებს, გადაწერის ადგილი და დრო უცნობია, პალეოგრაფიულად თარიღდება XII-XIII საუკუნეებით.

მინაწერები:

1. (მხედრულით) „ქ. ღმერთო გამაგულისჯმანე!“ 24r.

2. (მხედრულით) „ღმერთო, შეიწყალე ***ტფილელი ონოფრე***“51r.

3. (მხედრულით) „უფალო, შემიწყალე ცოდვილი, კეთილთაგან ცალიელმქნილი (!) ***დარეჯან***“ 89r.

4. (მხედრულით) „აქა ნახევარ არს წიგნი ესე“ 141v.

5. (მხედრულით) „...ფრიად ცოდვილი და უღირსი ყოვლისა კეთილისა ***გერასიმე***“ 155r.

6. (მხედრულით) „აქა ეძიე, ძმაო სჯმონ“ 161v.

7. (მხედრულით) „ცოდვილი ***ეფროსინე*** ევედრების“ 197v.

---

[1] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექციისა), II 2, შეადგინეს და დასაბეჭდად მომამზადეს თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, ელ. მეტრეველმა, მ. ქავთარიამ, ც. ჭანკიევმა, თბ., 2004, გვ. 114-115.

8. (მხედრულით) „სისრული და ცხოვრება სასუფეველისა, ***ეფროსინე***“ (ხელრთვა) 208r.

9. (მხედრულით) „გერასიმე“ 208r (ხელრთვა).

10. (მხედრულით) „შემიწყალე მე, უწყალო ***გერასიმე***, მოიხილე ჩემ ზედა“ 247r.

11. (მხედრულით) „[ესე მამათა ცხოვრება] ბატონის ***დარექჯანისა***...]“ 257r მინაწერი ჩამოჭრილია.

12. (მხედრულით) „წმიდანო მამანო, მომიხსენეთ ცოდვილი მთავარეფისკო[პოსი]...“ 281v

13. კრიპტოგრამა: „ღმერთო, შეიწყალე ***ტფილელი ონოფრი***, ამინ, ვინცა შენდობა ბრძა[ნოთ], თქვენც შეგინდ[ონ]“ 51r[1].

H 1342[2] – D

157ფ; 31X25; ეტრატი; უყდო, დაშლილი; ნუსხური, სათაურები სინგურით; დაზიანებული; თავნაკლული; აკლია შუაშიც; ხელნაწერი ეკუთვნოდა შოროთის წმიდა გიორგის ეკლესიას; XII სს. ხელნაწერი ნაკლულია, შემორჩენილია ბოლო 15 თავი (ია-კე) ხელნაწერს ახლავს მთარგმნელისა და მომგებლის ანდერძები:

1. „ითარგმნა უკუჱ წიგნი ესე წმიდაჲ სამოთხე [წმიდათა მამათაჲ] აურაცხელთა მიერ [სახიე]რებითა და სულგრძელებითა ღმრთისათა, მეოხებითა ყოლად წმიდისა ღმრთისმშობელისა დედისა ღმრთისათა, წმიდათა და ნეტართა მამთა ჩუენთა ***ეფთჳმესითა და გიორგისითა***. ლოცვა ყავთ ჩვენ[თჳს]. თეოფლესთჳსცა ცოდ[ვილისა]“ 157r.

2. „სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და მეოხებითა წმიდისა იოანე ნათლისმცემელისაჲთა, წმიდათა ზეცისა ძალთა, ანგელოზთა და მთავარანგელოზთაჲთა, შუვამდგომლობითა და მეოხებითა წმიდათა სერო[ფინთა და ქერობინთ]აჲთა და ***წმიდისა გიორგისი შოროთისაჲთა*** დავდევით წიგნი ესე მამათა ცხორებაჲ წინაშე ხატისა ღმრთეებისა და წმიდ[ისა გიორგისა] ჩუენ ***არსლანის ძეთა***, ჩუენისა გაზ-

[1] კრიპტოგრამა გახსნილია გ. მიქაძის მიერ, იხ.: გ. მიქაძე, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობის უცნობი ნიმუშები, – საიუბილეო კრებული კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავზე, თბ., 1959, გვ. 280.

[2] ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტ. III, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ქრ. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1948, გვ. 285-287.

რდილისა ***ბაციკის ძის გიგაქსათჳს***, მის მიერითა მონაგებითა, ჰალალითა საქონელითა, გაუკუჱთეთ დღე მესამე შაბათი მარხვათაჲ სალოცავად. უწირვიდენ შჳდნი ხუცესნი დაუკლებელად და ვინცა დააკლოს, და უფალმან კანონსა მა[...]თ[...]ე, მცა ამის დაუსაბამოისა [...]ისა [...]სათაჲსა ე[რის კაცმან] გამოაჴუას: ანუ დიდებულმან, ანუ ებისკოპოზმან, ანუ აზნაურმან, ანუ გლეხმან და რამანცა ადამიანმან, ანუ დალეწითა, ანუ პარვითა და ვისაცა ქრისტიანესა კაცისა ჴელსა მოვიდეს, ნუვინ გამოაჴუჱბს ხატსა ღმრთაებისასა და ***წმიდისა გიორგის შოროთისასა***. და ღმერთმან თქუენცა მადლი მოგანიჭოს მოჭირვებისათჳს". 157v.

D ნუსხას ერთი თავისებურება ახასიათებს, რითაც ის განსხვავდება ჩვენ მიერ გამოყენებული ყველა სხვა ნუსხისაგან: Jer 51 ხელნაწერის მსგავსად ისიც ხშირად აერთიანებს ერთი ავტორის სახელზე გატანილ რამდენიმე თხრობას და წარმოგვიდგენს როგორც ერთს.

Qut 40[1]- E

252 ფ.; ქაღალდი; ახლადრესტავრირებული; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული, ტექსტი დაწერილია ორ სვეტად; სათაურები და დასაწყისები სინგურით. აკინძვის დროს დაშვებულია შეცდომები, ამიტომ ტექსტი თანმიმდევრობით არ გრძელდება, არეულია არა მხოლოდ ფურცელთა თანმიმდევრობა, არამედ ზოგჯერ რექტო-ვერსოებიც კი; ტექსტი იწყება 13 r-ზე მეორე თავის პიმენის მე-15 თხრობით, მოიცავს თექვსმეტ თავს და 25-ე და 26-ე თავებს. ვინაიდან ჩვენს ნუსხებს შორის ქუთაისურ ხელნაწერში ყველაზე მეტადაა არეული ფურცელთა თანმიმდევრობა, წარმოგიდგენთ ფურცელთა სწორ მიმდევრობას არსებული პაგინაციით: 13 – აკლია; 1 – აკლია; 14 – 20 –აკლია ერთი ფურცელი; 21 – 25; 9; 8; 7; 4; 6; 26; 27; 10; 11; 12 – აკლია; 5; 28 – აკლია; 29; 30; 31 – აკლია; 32 – აკლია; 33 – 40 – აკლია; 41; 42 –აკლია; 43 – აკლია; 44; 45; 46 –აკლია; 47; 48; 49 – აკლია; 50; 51; 59; 61; 62; 63 – აკლია; 53; 52; 54; 55; 56 – აკლია; 57; 58; 64; 65; 66; 67; 68 –აკლია; 69 – აკლია; 60; 70- აკლია; 71; 72 – აკლია ერთი ფურცელი; 73; 74 – აკლია; 75 – 80 – აკლია; 81 – 93; 92 – აკლია; 91 – აკლია; 94 – აკლია; 95–98 – აკლია; 99 – აკლია; 100 – აკლია; 126 – აკლია; 104 – აკლია; 102; 103 – აკლია ერთი ფურცელი; 101 – აკლია; 105 – აკლია; 106; 109; 110; 107; 108 – აკლია; 111; 112 – აკლია; 120; 121; 122; 113 – 119 – აკლია; 123; 129; 132 – 140; 145; 146; 141- აკლია; 142; 143; 144 – აკლია; 149; 150; 151; 152; 147;

[1] ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ., ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ე. ნიკოლაძის მიერ, თბ., 1953, გვ. 155-156.

148; 153v; 153r; 154 – 158 – აკლია; 159; 160 – აკლია; 161 – 165 – აკლია; 166; 167 – აკლია; 168; 169; 170 – აკლია; 171 – აკლია; 172; 173 – აკლია; 174; 175 – აკლია; 176; 177 – აკლია; 179; 178; 180; 185; 182; 181; 184; 183 – აკლია; 186; 188; 189; 190; 191; 130; 125; 187 – აკლია; 192; 194; 195; 193 – აკლია; 197 – აკლია; 198; 199; 200; 202; 203; 243v; 204r; 205 – აკლია; 210 – აკლია; 211; 206; 207; 212; 213; 214; 208; 209; 222 – აკლია; 224; 225 – აკლია; 226; 196; 227 – აკლია; 228; 229 – აკლია; 230; 231; 232; 233 – აკლია; 223v; 223r – აკლია; 241; 242; 243; 204v – აკლია; 244; 245 – აკლია; 246 – აკლია; 247 – აკლია; 251; 249 – აკლია; 250; 248 – აკლია; 131; 128; 124 – აკლია; 127 – აკლია; 215; 216; 219 – აკლია; 217; 218; 234 – აკლია; 220 – აკლია; 221 – აკლია; 235; 237; 238; 239; 240

აღსანიშნავია, რომ ქუთაისური ხელნაწერი შეიცავს ორ თხრობას, რომელთაც ანალოგი არ დაეძებნათ პატერიკის არცერთ ნუსხაში, ამიტომ ამ თხრობებს ვაქვეყნებთ მეორე დანართად.

გადაწერის ადგილი და დრო უცნობია, პალეოგრაფიულად თარიღდება XIII-XIV საუკუნეებით. ნუსხა არ შეიცავს A 1105-ის ანდერძ-მინაწერებს.

მინაწერები:

1. (მხედრულით): „ქრისტე ღმერთო და ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი“12v.

2. (მხედრულით): „ელია მოსით, ნათელშემოსით იხილნეს[...]კლდეშით ძრწოლით უდვიდეს...“ 85v.

3. (ნუსხურნარევი მხედრულით) „ვასწრათ, რათა არავის განვიკითხვიდეთ“ 114v.

4. (ნუსხურნარევი მხედრულით) „ღმერთო შეიწყალე ***სჳმეონ ბერი ღოღობერიძე***, ამინ. ვინც შენდობა ბრძანოთ, თქუენცა შეგინდოს ღმერთმან“ 114v.

5. (ნუსხურით) „აქა კეთილად ჩაურეთ(?) გულისმხმიერად მსმენელნო“144v

6. (მხედრულით): „ქ. მე ნათელი მომიხსენე ბატონო“ 235r.

ხელნაწერში ხშირად გვხვდება მხედრულით შესრულებული მინაწერები, რომელიც გვამცნობს, სად და რამდენი ფურცელი აკლია ხელნაწერს (32v, 40v, 43v, 46v ,49v, 56v, 69v, 70v, 72v და ა.შ.).

425 ფ; ქაღალდი, ტყავის ტვიფრული ყდა, ნუსხური ორ სვეტად ნაწერი, სათაურები სინგურით, დასაწყისი ასოები სინგურითა და უმთავრესად მთავრულით; გადამწერი: იოანე და თომა; დამკვეთი ენისელთ მოურავი ძე მიტროპოლიტი იოანე, 1745 წ. ხელნაწერი შეიცავს თეოფილე ხუცესმონაზონის პატერიკის 25 თავს. A 169 არის გადმოწერილი A 168 ხელნაწერიდან[2], რომელიც XVI-XVII საუკუნისაა, მაგრამ იმის გამო რომ A 168 უფრო მეტადაა დაზიანებული, ჩვენ ვარჩიეთ ნაკლული ადგილების შესავსებად სწორედ A 169 გამოგვეყენებინა.

ანდერძები: 1. „ქრისტეს აქეთ ***ჩღმე*** დაესრულა მამათა ცხორებაჲ სადიდებელად ღმრთისაჲ ჴელითა გერმანეს ძმისწულის მღდლის იოანესითა ტფილის ტაძარსა სიონისასა, მაისს ***კ*ბ**, ქორონიკონს ***ულდ***. სიყუარულისათჳს, ღმრთისაჲ მხილველნი ლოცვასა ჰყოფდეთ“ 423v.

2. „ქრისტეს აქეთ ***ჩღმვ*** მე, ყოვლად უღირსმან და ცოდვილმან და ყოველთა კაცთა უნარჩევესმან, მწყემსისა მის სახიერისა ჩემისა იესუს ბრძანებისა შედგომილმან ***ენისელთ მოურავის შვილმან ნეკრესელ მიტროპოლიტმან*** და მამისა მამათასა ღირსისა ***მრავალმთის დავით მონასტრის*** მამამან და მოურნემან ***მონაზონმან იოანემ*** რაოდენ ძალ-მედვა, ვიღვაწე და კუალდცა ღვწად ვარ. უკუეთუ ინებოს ღმერთმან და დრო მცეს, და აწ ვითარცა საჴმარცა იყო, ეგრეთცა ვისურვე და წმიდათა და ღირსთა მამათა ცხორება ესე აღვაწერინე საფასითა ჩემითა, და დავდევ მონასტერსა ამას წმიდისა დავით მამისა ჩუ[ბ]ნისასა, რათა მუნა მყოფნი ძმანი მონაზონნი განვ[ა]ღვიძნე და გულსმოდგინებად სურვილ-ვყუნე საღვაწისა კეთილისა, რომლისადა შედგომილ არნ აღთქუმითა წინაშე ღმრთისაჲ და იკითხვიდენ მათდა სარგებელისა მოსთულებად და ჩემ ცოდვილისათჳს შენდობასა ბრძანებდენ. აწ ვინცა და რამანც კაცმან ესე ჩემგან შენაწირი წიგნი ან მძლავრებით, გინა ნათხოვრობით, ან ქურდობით გამოაჴვას წმიდასა ამას მონასტერსა, იგიმც გამოეჴვება სასუფეველისაგან. კუალადცა ნუმცა იმ მონასტრის მამა, ნურც კრებულთაგანი ვინმე ნუ გაანათხოვრებს, ნურც თითონ სადმე წაიღებს, თუ ვისმე ენებოს და სურვიელ იყოს, იმავე მონასტერში იკითხოს, სხვაგან ნება არ გვაქუს წაღებისა. ანდერძი ჩემი ესრეთ კრძალულად იპყრან, უკუეთუ ქრისტეს მონანი იყუნენ. სრულ იქმნა თვესა

---

[1] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I_2, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჯღამაიამ, თბ., 1976, ვგ. 256-258.

[2] იქვე, გვ. 256.

მაისსა ***კ*ⷭ**, ქორონიკონს ***ულდ***, ჟამსა კეთილმორწმუნისა ცხებულისა ***მეფისა თეიმურაზისსა*** და კახთა ***მეფისა ძისა მისისა ერეკლესსა***. ქალაქსა ***ტფილისისასა*** დიდსა ***სამიტროპოლიტისა ათანასის ამილახორის ძისათა*** მას ზედა მჯდომარეობასა, ჴელითა ***მღდლის იოანეს*** და ***თომასითა.***

ვინც მიემთხვეოდინ აღმოკითხვად, ავად ნუ იხმარებენ, სიფრთხილით იკითხონ და ჩემ ცოდვილისათჳს ლოცვასა ჰყოფდენ ღვთის დასამადლებლად. საცა გაშ[ვ]ებული (!) ალაგია, დედას აკლდა და შესრულებას ეცადენით“ 424v-425r.

მინაწერები:

1. (მხედრულით) „მამაო ***იოანე***, ღმერთმან გაცხონა, რომ შემიკერე ეს კაბა“ 01r.

2. (ნუსხურით, სინგურით) „***გრიგოლ, ნოდარს***“ 01v.

3. (მხედრულით) „უფალო იესო, შემიწყალე მე ცოდვილი და განახვენ ყურნი და თვალნი გულისა“ 01v.

4. (მხედრულით) „ქ. ვითარმედ იეროფეოს ტაძრად ღვთისა გამოითარგმანების ბერძულისაგან ენისა“ 01v.

5. (ნუსხურით) „ეს მამათ ცხორება ***დავით გარეჯ[ისა...***“01v.

6. (მხედრულით, ლექსად)

„ქ. ამა წიგნის აღმოკითხვა არს კეთილად შვენიერი,
კითხვასაც ყური მიუპყრას, თუნდაც იყოს ბევრი ერი.
მკითხველთათვის კარგი არის, ვინცა იყოს სულიერი,
და მონაზონთაც საჭმარ არს, ჭაბუკთათვის სურვიერი.
ქორონიკონს ***უო, გრიგოლ***“ 01v.

7. (მხედრულით) „ამა წიგნის აღმოკითხვა არს კეთილად შვენიერი“ 01v.

8. (ნუსხურით) „ფრიად ცოდვილი ბერი მოიხსენე, ღმერთო, ქორონიკონს ***უნა***“ 01v.

9. (ნუსხურით და მხედრულით) „ასული ***ფანოელისი***, ღმერთო, აცხოვნე, ქ. ასული ***ფანოელისი***“ 01v.

10 (მხედრულით) „აქ არეულია, ვეჭვობ აკლია“ 33r.

11. (ნუსხურით) „მე ვარ ვენაჯი ჭეშმარიტი, რომელმან გამოიღო ტევანი ცხორებისა“ 87v.

12. (მხედრულით) „ ეს მამათ ცხოვრება ***დავით გარეჯ[ის*** მონასტრისა არის, ვინც მოიპაროს, გაუწყრეს ღირსი მამა“ 192v.

13. (მხედრულით) „ღირსო მამაო ***ანტონი***, მონაო სარწმუნოო, მსახურო სიტყჳსაო, სრულმყოფელო ცხოვრებისა შე[ნ]ისაო სრულმყოფელისადმი იოხე ჩემ ცოდვილისათჳს“ 193r.

14. (მხედრულით) „მოიხსენე, უფალო, მწერალი...ამენ“ 365v.

15. (ნუსხურით) „ასული მეფის ***ვახტანგისა, დედოფალი თამარი,*** მიიცვალა აპრილსა ***იბ***, ჟმასა ***ე***, დღესა შაბათსა, ქორონიკონსა ამასვე“ 425r.

16. (მხედრულით) „ყოვლად სამღვდელოო წმინდაო მეუფეო, მე ნუ მექმნების მაბრალობელ ანდერძი ესე ჩემი, არამედ შენდობა და კურთხევა შენი იყავნ ჩემ ზედა წარკითხვისათვის ოდენ, წელსა 1837, მ.ტ.“ 425r

17. (მხედრულით) „ქ. ასული მეფის ***ვახტანგისა, დედოფალი თამარ***“

ტექსტისათვის

აპოფთეგმური კრებულის თეოფილე ხუცესმონაზონისეული თარგმანის კრიტიკული ტექსტის საფუძვლად თეოფილესეული ავტოგრაფის ხარვეზიანობის გამო ავტოგრაფის გარდა აღებულია მისგან მომდინარე 4 ნუსხა.

ავტოგრაფისათვის დამახასიათებელია რამდენიმე ორთოგრაფიული თავისებურება:

1. „ი“ -ს ნაცვლად „ჲ“-ს გამოყენება სიტყვებში „საჲდუმლო“, „ბაჲა“, ზმნისწინიან ზმნებში ვნებითის „ი“-ს ნაცვლად და ა.შ; იმისათვის, რომ ტექსტი გასაგები გამხდარიყო მკითხველისათვის, ასეთი წაკითხვები ყველგან გასწორდა (შესწორების საშუალებას იძლეოდნენ სხვა ნუსხები) და შესაბამისი ვარიანტები აისახა სქოლიოში.

2. ავტოგრაფში ხშირად გვხვდება „ჱ“-ს იქ, სადაც მისი გამოყენება ძველი ქართული ენის ნორმების თვალსაზრისით დარღვევად არის მიჩნეული, შესაბამისი შემთხვევები გასწორდა, თუმცა სქოლიოში ავტოგრაფული ნუსხის ჩვენება არ ჩავიდა, რადგან ეს კიდევ უფრო გაზრდიდა ისედაც ვრცელ სქოლიოს.

ტექსტის ყოველ თავში თხრობათა ავტორები დანომრილია რომაული ციფრებით, ხოლო ერთი ავტორის სახელის ქვეშ გაერთიანებული თხრობები კი არაბულით, რამაც გაადვილა ამ თხრობათა შედარება შესაბამის ბერძნულ ტექსტებთან და ამ შედარების შედეგების ცხრილის სახით წარმოდგენა შესავალ წერილში.

უფალო, უფალო, მეუფეო, ღმერთო ყოვლისა მპყრობელო, ყოვლად წმიდაო და ცხოველო, სამებაო ერთარსებაო და ერთღმრთეებაო, ღმერთო ჩუენო, შენ წარგჳმართე სათნოდ შენდა საქმესა ამას სულიერსა მეოხებითა ყოლად წმიდისა ღმრთისმშობელისა და ყოველთა წმიდათა შენთა, უსხეულოთა და სხეულთაჲთა, რამეთუ კურთხეულ ხარ და დიდებულ უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ესე წიგნი არს წმიდათა მამათაჲ, რომელსა შინა წერილ არიან სწავლანი და თხრობანი და მოქალაქობანი წმიდათა მამათანი, რომელი აღსავსე არს და შემკობილ ყოველთა მიერ კეთილთა, ვითარცა სამოთხჳ ღმრთისაჲ. ხოლო ჯერ არს, რაჲთა პირველად თავნი აღვწერნეთ საკითხავთანი ზანდუკის სახედ და ესრეთღა ვიწყოთ პირსა და შესავალსა წიგნისასა, ლოცვითა წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთა ეფთჳმესითა, გიორგისითა და ილარიონისითა და ყოველთა ქართველთაჲთა.

თავი პირველი: შესავალი წიგნისაჲ ცხორებათათჳს და მოღ[უა]წებათა წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთაჲსა.

თავი ბ: სწავლაჲ წმიდათა მამათაჲ, რომელი მიმიძღჳს ჩუენ სისრულედ სათნოებათა.

თავი გ: ვითარმედ ჯერ არს ყოვლითა მოსწრაფებითა მიდევნებად დაყუდებისა.

თავი დ: ლმობიერებისათჳს და სიმშვიდისა.

თავი ე: მარხვისათჳს და ვითარმედ არა ოდენ ჭამადთა ზედა ჴამს ჩუენებად ესე, არამედ ყოველთავე ზედა აღძრვათა სულისათა.

თავი ვ: თხრობაჲ თჳთოსახჱ განკრძალვისათჳს ბრძოლისა, რომელი-იგი სიძვისა მიერ აღდგების ჩუენ ზედა.

თავი ზ: უპოვარებისათჳს და ვითარმედ ჯერ არს დიდებისმოყუარებისაგანცა დაცვაჲ.

თავი ჱ: მოთხრობაჲ მრავალსახჱ, რომელნი აღმჭურვენ ჩუენ სიმჴნედ და ახოვნებად.

თავი თ: ვითარმედ არარაჲსა ჯერ არს ქმნაჲ საჩუენებელად კაცთა.

თავი ი: ვითარმედ გჳჴმს დამარხვაჲ, რაჲთა არავინ განვიკითხოთ.

თავი ია: განკითხჳსათჳს და საქმეთა კეთილად განრჩევისა.

თავი იბ: ვითარმედ ჯერ არს ჩუენდა ყოლადვე მღჳძარებაჲ.

თავი იგ: რაჲთა მოუკლებელად და გულსმოდგინედ ვილოცვიდეთ.

თავი იდ: ვითარმედ ჯერ არს უცხოთმოყუარებაჲ და მოწყალებაჲ მხიარულებით.

თავი იე: მორჩილებისათჳს.

თავი ივ: სიმდაბლისათჳს.

თავი იზ: ძჳრუჴსენებლობისათჳს.

თავი იჱ: სიყუარულისათჳს.

თავი ით: სულითა მხილველთათჳს.

თავი კ: სასწაულთა მოქმედთათჳს.

თავი კა: მოქალაქობისათჳს სათნოთაჲსა.

თავი კბ: ათორმეტთათჳს განშორებულთა.

თავი კგ: უწყებაჲ და თხრობაჲ მოქალაქობისათჳს და ცხოვრებისა მოღუაწეთაჲსა.

თავი კდ: სიტყუათაგან, რომელნი ღუაწლთა შინა დაბერებულ იყვნეს წმიდანი მამანი, რომელნი-იგი საცნაურ-ჰყოფენ სრულსა მას და მტკიცესა სათნოებასა მათსა.

თავი კე: უბნობაჲ და ზრახვაჲ წმიდათა ბერთაჲ კითხვა-მიგების სახჱ.

თავი კვ: სარგებლიანი საკითხავი პავლე ილუსტრელისაჲ. /2/

პირველი სიტყუაჲ შესავალი წიგნისაჲ წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთა ცხორებათათჳს და მოქალაქობათა

გუაკურთხენ, მამაო!

რომელი-იგი არს პირველითგან ღმრთისა თანა – ღმერთი სიტყუაჲ, მრავალთათჳს სახიერებათა თჳსთა ყოველნივე დაბადებულნი არარაჲსაგან არსებად მოიყვანნა და სიბრძნით დაჰბადნა და ხილულთა ამათ ყოველთა ცაჲ ზედამხედველ-ყო და სართულ, და მნათობნი მის შორის, რაჲთა ჰნათობდენ ყოველთა და კაცთა შეეწეოდინ საქმედ ჯეროვნისა. ამანვე უკუე მხოლოდშობილმან ძემან და სიტყუამან ღმრთისა მამისამან უკუანაჲსკნელთა ჟამთა განკაცებაჲ ჯერ-იჩინა ჩვენთჳს და ცხორებისათჳს ჩუენისა და იშვა სულისა მიერ წმიდისა და მარიამისგან ქალწულისა და ყოვლითურთ გუემსგავსა ჩუენ თჳნიერ ცოდვისა და იქმნა სრულ კაც.

ამან თავადმან მეუფემან დიდებისამან, სახიერმან აღმიშენა ჩუენ ფრიად ხილულისა ამის უაღრესი და უდიდებულესი, რამეთუ ერთი ესე ხილული არს და ხილულთა ოდენ თუალთა განუსუენებს, ხოლო მეორჱ იგი უხილავ არს და უხილავსა მას გონებასა უხილავისა ღმრთისა აღიყვანებს. იგი უკუე თავადი არს მიზეზი ყოველთა კეთილთაჲ და წინამძღუარი და მოძღუარი და ყოველთავე მიმდგომთა მისთა სიტყჳერთა მათ და სულიერთა, ვარსკულავთა ნათელსა მას შინა დაუღამებელსა შეიყვანებს და ძედ ღმრთისად გამოაჩინებს. და რამეთუ საცნაურთა მათ და უხილავთა იგი მხოლოჲ არს ნათელ და სხუაჲ არავინ. და ერთსა ამას ცასა /2v/ ჰქონან ვარსკულავნი ცთომილნიცა და უცთომელნი, ვითარცა იტყჳან ამას ესევითარისათჳს მოცალენი იგი. ხოლო მეორესა მას ცასა ჰქონან ვარსკულავნი უცთომელნიცა, ყოლადვე მნათობნი და მარადის გებადნი. და კუალად ერთი ესე წარიგრაგნების ვითარცა წიგნი განჩინებისაებრ სამეუფოჲსა და მის შორის მყოფნი იგი ვარსკულავნი შთამოცჳვიან, ვითარცა ფურცელნი დღესა მას უკუანაჲსკნელსა. ხოლო სხუაჲ იგი მისთა მათ ვარსკულავთა უმეტესადღა მაშინ განაბრწყინვებს უფროჲს

მზისთუალისა. ამის უკუე ბრწყინვალისა და ყოლად შუენიერისა სამყაროჲსა ტრფიალებითა აღივსო საღმრთოჲთა ყოლად წმიდაჲ იგი და უბიწოჲ დასი მოღუაწეთაჲ, რომელი-იგი აწ წინამდებარე არს ჩუენდა პირად სიტყჳსა, რომელნი-იგი ნეტარნი ყოველსავე სახესა სათნოებათასა გულსმოდგინედ მოუჴდეს და სურვილით და ზეშთა კაცობრივისა ბუნებისა და აწ მკჳდრ არიან ნათელსა მას შინა დაუღამებელსა ზეცათა შინა და არა დასცხრებიან ნათობად სამარადისოდ მყოფთაცა ქუეყანისათა სწავლათა მიერ მათთა და მოძღურებათა და უბრალოჲსა მის მიერ მოქალაქობისა მათისა.

ამათი უკუე საქმჱ, ქცევაჲ და მოქალაქობაჲ და სულიერნი იგი მოძღურებანი მნათობთა მათ სოფლისათა და წინამძღუართა ეკლესიისათა, წმიდათა მღდელთმოძღუართა აღწერით დამიტევეს ჩუენ, პირველად სადიდებლად ღმრთისა და მეორედ, სამოძღურებელად და საწურთელად ნათესავისა /3/ კაცთაჲსა და სამოთხედ საღმრთოდ შეჰმზადეს ესე ყოველთავე მიერ ყუავილთა სათნოებათაჲსა, განმაშუენებელად სულისა მორწმუნეთასა, რამეთუ და რაჲმცა იყო კეთილთაგანი, რომელიმცა ჭეშმარიტისა მის მიერ ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა არა[1] დანერგულ იყო საღმრთოსა ამას შინა სამოთხესა: კანონი თუ სთქუა დაყუდებისაჲ, ანუ გამოწულილვაჲ მარხვისაჲ, ყოველსა ზედა საქმესა სიწმიდისა მოღუაწებაჲ, ანუ თუ მაღალნი იგი ფრთენი უპოვარებისანი, მოთმინებისა იგი სიმჴნენი და ახოვნებისა სახენი, ანუ თუ ფარული იგი მცნებათა მოქმედებაჲ და მხოლოჲსა ოდენ ღმრთისა საცნაური, ანუ თუ განუკითხველობაჲ იგი სხუათაჲ, მომატყუებელი ცხორებისაჲ, სანთელი იგი გულისჴმისყოფისაჲ, ანუ[2] ნათელი განკითხვისაჲ, სიფრთხილე მღჳძარებისაჲ, ანუ მიმდემობაჲ ლოცვისაჲ და სიჴშოჲ, უცხოთმოყუარებისა სიდიდე, ანუ თუ მორჩილებისა ქრისტეს მსგავსობაჲ, სიმაღლე იგი სიმდაბლისაჲ, ანუ ღმრთისმსგავსი იგი სიყუარული, რომლითა ყოვლითა ამით სათნოებითა განბრწყინდეს და განათლდეს სასწაულთა მოქმედნი იგი სასოებაშემოსილნი წმიდანი მამანი.

ამათ უკუე ყოველთავე სათნოებათა ქრისტე არს ჭეშმარიტი იგი ღმერთი ჩუენი სახეცა და კანონი და გზაჲ და წინამძღუარი და მოძღუარი და მასწავლელი ყოველთა კეთილთაჲ, რამეთუ დაყუდებისა მოძღუარ იქმნა მაშინ, ოდეს-იგი შემდგომად ნათლისღებისა /3v/ უდაბნოს იყო და ორმეოც დღე განიცადებოდა ეშმაკისაგან და არარაჲ ჭამა, არამედ იყო მჴეცთა თანა. და კუალად ოდეს-იგი იხილა ერი და აღვიდა მთად და დაჯდა იგი და მოუჴდეს მას მოწაფენი მისნი და აღაღო პირი თჳსი, ჰმოძღურიდა მათ და ეტყოდა: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ“[3], და შემდგომი.

და კუალად, ოდეს-იგი განუტევა ერი და მოწაფენი მიუთუალნა ნავსა და

[1] აქედან შემოდის B ნუსხა. [2] ანუ ნათელი...მღჳძარებისაჲ – B. [3] მთ. 5,3.

აღვიდა მთასა თჳსაგან ლოცვად და შე-რაჲ-მწუხრდა, თავადი იყო მარტოჲ.

კუალად იგივე უფალი განვიდოდა უდაბნოდ და მხოლოჲ მარტოებით ილოცვიდა. ესრეთვე ყრმაჲცა იოანე ნათლისმცემელი უდაბნოს იყოფებოდა, ვიდრე გამოცხადებადმდე მისა ისრაელსა შორის.

და კუალად მოციქული იტყჳს: გლოცავ თქუენ, ყოვლისა პირველად ჰყოფდით ვედრებასა, ლოცვასა, შევრდომასა მეფეთათჳს, მთავართა და ყოველთავე ჴელმწიფებასა ქუეშე მყოფთა, რაჲთა უშფოთველი და მყუდროჲ ცხორებაჲ გუაქუნდეს ყოვლითავე ღმრთისმსახურებითა და სიწმიდითა[1].

და კუალად: „გლოცავ თქუენ, ძმანო, რაჲთა დაჰმატებდეთ ყოველსა ზედა კეთილსა და ჰჴდებოდით ურთიერთარს და რაჲთა იყვნეთ დაყუდებით და თჳსაგან შურებოდით და იქმოდით ჴელითა თქუენითა“[2]. და ვამცნებთ ესევითართა მათ, რაჲთა მყუდროებით თავისა წინა თჳსსა პურსა ჭამდენ. და ვითარმედ: „გამოვედით მიერ და განეშორენით მათგან“ და ვითარმედ: „ზეცისასა ზრახევდით[3] და ზეცისასა ეძიებდით და ნუ ქუეყანისასა“. /4/ ესრეთვე კუალად მარხვისათჳს იტყჳს უფალი: „შეევედით იწროჲსა მისგან ბჭისა“[4] და თუ რაჲღა იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაჲ, რომელი მიიყვანებს ცხორებად.

და ვითარმედ: არა აქუნდა ათორმეტთა მათ მოციქულთა უდაბნოს, თჳნიერ ხუთი ოდენ პური და ორი თევზი. და კუალად, ვითარმედ არა აქუნდა მოციქულთა, გარნა ხოლო ერთი პური ნავსა შინა და ვითარმედ: „მუსრვიდეს[5] მოციქულნი თავსა ჴუვილისასა ჴელითა და ჭამდეს“[6].

და კუალად მოციქული იტყჳს, ვითარმედ: „ყოველივე მოღუაწე ყოველსავე იმარხავს“ და ვითარმედ: „ვიდრე აქა ჟამადმდე და გუშიისცა და გუწყურისცა და შიშუელ ვართ“[7], და ვითარმედ: „ჭამადმან ჩუენ არა წარმადგინნეს წინაშე ღმრთისა“[8], და ვითარმედ: „ყოველივე ჯერ არს ჩემდა, გარნა არა ყოველივე უმჯობეს არს, ყოველივე ჯერ არს ჩემდა, გარნა არა ყოველივე აღაშენებს. არცა ვისსა ჴელმწიფებასა ქუეშე შევიდე მე, საზრდელი მუცლისათჳს და მუცელი საზრდელისათჳს, ხოლო ღმერთმან ესეცა და იგი განაქარვოს“[9]. ცხად არს, რამეთუ უწესოსა გულისთქუმასა საანჯმნო-ჰყოფს ამით და უკუეთუ ჭამადი დააბრკოლებდეს ძმასა ჩემსა, არა ვჭამო ჴორცი უკუნისამდე, რაჲთა არა ძმაჲ ჩემი დავაბრკოლო. და ვიცი გარდამატებაჲცა და მოკლებაჲ და განძღომაჲცა და შიმშილი და სინაკლულე და ყოველსავე დავითმენთ, რაჲთა არა დაბრკოლებაჲ რაჲმე ვსცეთ სახარებასა მას ქრისტჱსსა. და ნუ ხოლო წყალსა სუამ, არამედ ღჳნოჲ მცირედ იჴუმიე გუამისათჳს და ზედაჲსზედათათჳს შენთა სნეულებათა.

/4v/ ხოლო კუალად სიწმიდისათჳს თქუა უფალმან: „არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თჳსნი სასუფეველისათჳს ცათაჲსა“[10]. და კუალად, ვითარმედ: „მე გეტყჳ თქუენ: ყოველმან, რომელმან მიხედნეს

[1] შდრ. I ტიმ. 2 ,2. [2] Iთესალ.4,10. [3] ზრახევდით] ზრახვიდით B. [4] მთ. 7,13. [5] მუსრვიდეს] მოსრვიდეს B. [6] მთ.12,1. [7] I კორ.4,11. [8] I კორ.6, 13. [9] I კორ.6,12-13. [10] მთ. 19, 12.

დედაკაცსა გულისთქუმით მის, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თჳსსა“[1]. ხოლო მეძავი იგი და ავაზაკი და მეზუერე, განცჳვეს რაჲ სიწმიდისაგან, სინანულისა მიერ კუალადცა შეიწყნარნა.

და კუალად იტყჳს: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტჳრთმძიმენი“[2], – ცხად არს, რამეთუ გემოთა მიერ და გულისთქუმათა ცოდვისათა – „და მე განგისუენო თქვენ. აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთაჲ“.

და კუალად მოციქული იტყჳს: „ივლტოდეთ სიძვისაგან და მშჳდობასა შეუდეგით და სიწმიდესა, რომლისა თჳნიერ ვერვინ იხილოს უფალი“[3]. და „მოაკუდინენით ასონი თქუენნი ქუეყანასა ზედა: სიძვაჲ, არაწმიდებაჲ, ვნებაჲ, გულისთქუმაჲ ბოროტი“[4]. და „არა უწყითა, ვითარმედ ტაძარნი ხართ ღმრთისანი და სული ღმრთისაჲ მკჳდრ არს თქუენ შორის“. და ნუმცა ვინ არს მეძავ, ნუცა ბილწ, ვითარცა ესავ. და ნუ სცთებით, ძმანო, არცა მეძავთა, არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ[5]. და სიჭაბუკისა გულისთქუმათა ევლტოდე და ჭაბუკთა მათ ჰლოცევდ სიწმიდით ყოფად. და ვითარმედ გამოჩნდა მადლი ღმრთისაჲ მაცხოვრად ყოველთა კაცთა, რაჲთა უარ-ვყოთ ჩუენ უშჯულოებაჲ და გულისთქუმაჲ მსოფლიოჲ[6] და სიწმიდით და სიმართლით და ღმრთისმსახურებით ვცხოვნდებოდით, ხოლო სიძვაჲ კულა და ყოველივე არაწმიდებაჲ /5/ ნუცაღა სახელ-ედებინ თქუენ შორის ვითარცა წმიდათა, არამედ კორინთელმან მანცა მეძავმან შეინანა რაჲ შემდგომად სატანაჲს მიგდებისა, კუალადცა შეიწყნარა იგი და მიუწერა მისთჳს დამტკიცებად სიყუარულსა, რაჲთა არა უმეტესითა მწუხარებითა დაინთქასო იგი.

და კუალად: „მეშინის მე თქუენთჳს, ნუსადა მოვიდე რაჲ თქუენდა, ვერ გპოვნე თქუენ ვითარ მენებოს და ვეგლოვდე მრავალთა პირველმცოდავთა, რომელთა არა შეინანეს არაწმიდებასა ზედა და სიძვასა და ბილწებასა, რომელ ქმნეს“.

და კუალად: „შვილნო, რომელთათჳს კუალად მელმის, ვიდრემდე გამოიხატოს ქრისტე თქუენ შორის“[7] და უკუეთუ მტერ რაჲ ვიყვენით, დავეგენით ღმრთისა სიკუდილითა ძისა მისისაჲთა, რაოდენ უფროჲს აწ რაჲ ვეგენით, ვცხოვნდეთ მაცხოვარებითა მისითა. „ამისათჳსცა ჴელნი უძლურნი და მუჴლნი დაჴსნილნი განემართენით და სლვაჲ მართალი ყავთ ფერჴთა თქუენთაჲ, რაჲთა არა მკელობელი იგი გარდაიქცეს, არამედ რაჲთა უფროჲსღა განიკურნოს“[8].

---

[1] მთ. 5, 28. [2] მ. 11,28. [3] კოლ. 3,5. [4] I კორ. 3,16. [5] დაიმკჳდრონ] დაჲმკჳდრონ A. [6] გულისთქუმაჲ მსოფლიოჲ] სოფლისა გულისთქუმაჲ B. [7] გალ. 4,19. [8] ებრ. 12,12-13.

ხოლო უპოვარებისათჳს თქუა უფალმან: „ნუ ზრუნავთ[1] სულთა თქუენთათჳს, თუ რაჲ შჭამოთ, ნუცა ჴორცთა თქუენთათჳს, თუ რაჲ შეიმოსოთ, ხოლო ითხოვდით პირველ სასუფეველსა ღმრთისასა და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“[2]. და ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა, ნუცა ორსა სამოსელსა. და უკუეთუ გნებავს, რაჲთა სრულ იყო, განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და აღიღე ჯუარი და მოვედ და შემომიდეგ მე. და კუალად: „მელთა ჴურელი უჩნს და /v/ მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“[3].

და კუალად, იოანეს ნათლისმცემელსა აქუნდა სამოსლად მისა თმისაგან აქლემისა და სარტყელი ტყავისაჲ წელთა მისთა. და კუალად მოციქული იტყჳს: „არცა რაჲ შემოვიღეთ სოფლად და ვერცა რას განღებად შემძლებელ ვართ“, ხოლო გუაქუნდეს თუ საზრდელი და საბურველი, ამას კმა-ვიყოფდეთ. ხოლო რომელთა ენებოს განმდიდრების, შეცჳვიან მახესა. და კუალად: „ვითარცა გლახაკნი და მრავალთა განვამდიდრებთ, ვითარცა არარაჲ გუაქუს და ყოველივე გუაქუს“.

ხოლო მოთმინებისათჳს და სიმჴნისა იტყჳს უფალი: იყვნედ წელნი თქუენნი მორტყმულ და სანთელნი თქუენნი აღნთებულ და თქუენ ემსგავსენით კაცთა, რომელნი მოელიედ უფალსა მათსა[4]. და ვითარმედ, მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი და არავინ დასდვის ჴელი თჳსი ერქუანსა, რამეთუ ხედავნ იგი მართლუკუნ და წარემართოს იგი სასუფეველსა ცათასა. და თქუენ ხართ, რომელნი დაადგერით ჩემ თანა განსაცდელთა შინა ჩემთა, და მე აღგითქუამ თქუენ აღთქუმასა, ვითარცა აღმითქუა მე მამამან ჩემმან სასუფეველსა, რაჲთა სჭამდეთ და სუმიდეთ ტაბლასა ჩემსა[5]. და მოციქული იტყჳს: „დეგით უკუე და მოირტყენით წელნი თქუენნი ჭეშმარიტებითა და შეისხთ ფერჴთა თქუენთა განმზადებულებაჲ იგი სახარებისაჲ, არა არს ბრძოლაჲ ჩუენი სისხლთა მიმართ და ჴორცთა, არამედ მთავრობათა მიმართ და /6/ ჴელმწიფებათა. ამისთჳს აღიღეთ ყოლად საჭურველი იგი სულისაჲ და მტკიცედ დეგით და შეუძრველად, რამეთუ აჰა ესერა, აწ არს ჟამი შეწყნარებისაჲ! აჰა ესერა, აწ არს დღჱ ცხორებისაჲ! და რამეთუ არა ღირს არიან ვნებანი ესე ამის ჟამისანი მერმისა მის თანა დიდებისა, რომელი გამოცხადებად არს ჩუენდა. და ვინ განმაშორნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტესსა, ჭირმან ანუ იწროებამან[6], და შემდგომი.

და რამეთუ რაოდენიცა პირველად დაიწერა[7], სამოძღურებელად ჩუენდა დაიწერა[8], რაჲთა მოთმინებისა მიერ და ნუგეშინისცემისა წმიდათა წერილთაჲსა სასოებაჲ მაქუნდეს. და არავინ მჴედრად განწესებული შეეთხზვის მსოფლიოთა საქმეთა, რაჲთა მჴედართმფლობელსა მას სათნო-

[1] ზრუნავთ] ჰზრუნავთ B. [2] მთ. 6,31-32. [3] მთ. 8,20. [4] შდრ. ლ. 10, 33-36. [5] შდრ. ლ. 22,29-30. [6] შდრ. ეფეს. 6,11-16. [7] დაიწერა] დაჲწერა A. [8] დაიწერა] დაჲწერა A.

ეყო. და არავინ გჳრგჳნოსან იქმნების, არა თუ შჯულიერად იღუაწოს. და ვითარმედ ჭირი მოთმინებასა შეიქმს, ხოლო მოთმინებაჲ გამოცდილებასა, ხოლო გამოცდილებაჲ სასოებასა, ხოლო სასოებამან არა არცხჳნის. და ყოველსავე შინა მჴნე ყვენით თავნი თქუენნი, ვითარცა მსახურთა ღმრთისათა, მოთმინებითა მრავალთა ჭირთა შინა და განსაცდელთა. და ვითარმედ: რომელთათჳს მოხარულ ვარ უძლურებათა ზედა ჩემთა და ჭირთა. რაჲთა არარას ვიქმოდით ყოლადვე საჩუენებელად კაცთა, თქუა უფალმან: ეკრძალენით მოწყალებასა თქუენსა, რაჲთა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათდა, არამედ ოდეს ჰყოფდე მოწყალებასა, ნუმცა სცნობს მარცხენე შენი, რასა იქმოდის მარჯუენე შენი, და ოდეს ილოცვიდე, /6v/ შევედ საუნჯესა შენსა და დაჰჴაშ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად და მამაჲ შენი, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად[1].

და კუალად, განჰკურნა რაჲ უფალმან განრღუეული იგი, მიეფარა, რამეთუ ერი იყო ადგილსა მას. და კუალად, განკურნებულსა მას კეთროვანსა ჰრქუა: „იხილე და ნუმცა ვინ უწყის“[2].

და კუალად მოციქულთა ჰრქუა უფალმან: „ნუვის უთხრობთ ხილვასა ამას, ვირემდის ძე კაცისაჲ მკუდრეთით აღდგეს და ვითარ ძალ-გიც თქუენ რწმუნებაჲ ღმრთისაჲ, რამეთუ დიდებასა ურთიერთარს მიიღებთ“[3].

და მოციქული იტყჳს: ნურარას იქმთ შურით და ჴდომით, ნუცა ამპარტავანებით და უკუეთუ სულითა ვცხონდებოდით, სულითაცა ვდგათ[4]. და ნუ ვიქმნებით ლაღ, რაჲთამცა შურითა არაკეთილითა ვჰჴდებოდეთ ურთიერთარს. და რამეთუ შური სილაღისაგან არს. და რამეთუ რომელნი საჩუენებელად კაცთა იქმან რასაცა, მუშაკნი არიან მზაკუვარნი და მოციქულნი არიან სიცრუვისანი, რომელნი-იგი შეიცვალებიან მოციქულად ქრისტესა და არა საკჳრველ არს.

ხოლო არა განკითხვისათჳს მოყუსისა უფალი იტყოდა: „ნუ განიკითხავთ, რაჲთა არა განიკითხნეთ, რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკთხვიდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ. და ნუ დასჯით და არა დაისაჯნეთ[5]. და უკუეთუ მიუტევნეთ თქუენ კაცთა ცთომანი მათნი, მამამანცა თქუენმან ზეცათამან მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი“[6]. და „მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ /7/ სახელი შენი და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა“[7]. და „რაჲსა ხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა, ხოლო დჯრესა თუალსა შინა შენსა არა განიცდი? ორგულო, აღმოიღე პირველად დჯრე თუალისაგან შენისა და მერმე იხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა“[8].

[1] შდრ. მთ. 6,3-6. [2] მთ. 9,30. [3] ი. 5,44. [4] შდრ. რომ. 13,13. [5] დაისაჯნეთ] დაჲსაჯნეთ A. [6] ლ. 6, 37-41. [7] შდრ. მთ. 6,9-12. [8] ლ. 6,41-42.

და მოციქული იტყჳს: რაჲსა განიკითხავ შენ ძმასა შენსა ანუ შენ რაჲსა დასჯი ძმასა შენსა? ნუუკუე განვიკითხავთ ურთიერთარს და ვითარმედ კაცად-კაცადსა ჩუენსა თჳსი ტჳრთი ეკიდოს და თჳთოეულმან ჩუენმან თავისა თჳსისათჳს თჳთ მისცეს სიტყუაჲ ღმერთსა და ბადეთა შინა თჳსთა ცოდვათასა თჳთოეული წარიბლარდნოს[1]. და რამეთუ ჩემდა ნაკლულევანება არს, უკუეთუ თქუენგან განვიკითხო ანუ თუ კაცობრივისაგან დღეკეთილობისა. ხოლო განმკითხველი ჩემი უფალი არს, ამისთჳს ნუ წინაჲსწარ რას განიკითხავთ, ვიდრემდის მოვიდეს უფალი.

ხოლო განკითხვისათჳს და საქმეთა ჯეროვნად განრჩევისა თქუა უფალმან: „ეკრძალენით ცრუწინაწარმეტყუელთაგან და ცრუმოძღუართა, რომელნი-იგი მოვიდოდიან თქუენდა სამოსლითა ცხოვართაჲთა“[2] და შემდგომი.

„და არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ“[3]. და „იყვენით თქუენ ვაჭარ გამოცდილ და იცნობდით კეთილსა და ბოროტსა“, და „არავის ძალ-უც მონებაჲ ორთა უფალთაჲ“[4], და შემდგომი. და „ნუ ჰმუშაკობთ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ იქმოდეთ საზრდელსა, რომელი /7v/ ჰგიეს ცხორებად საუკუნოდ“[5].

და მოციქული იტყჳს: „მე უკუე ესრეთ ვრბი, ვითარცა არა უცნაურად, ესრეთ ვესრი, ვითარცა არა ჰაერსა ვსცემ, არამედ აღვიკრძალავ ჰორცთა ჩემთა და დავიმონებ მათ“. და ესრეთ რბიოდეთ, რაჲთა მიეწინეთ და შეიკრძალეთ მტკიცედ, თუ ვითარ ხუალთ.

ეკრძალენით ძაღლთაგან, ეკრძალენით ბოროტთა მათგან მუშაკთა. და ვითარმედ, რომელი უღირსებით ჭამდეს და სუმიდეს ჰორცსა და სისხლსა უფლისასა, დასასჯელად თავისა თჳსისა ჭამს და სუამს, რამეთუ არა გამოიკითხნა ჰორცნი უფლისანი, რამეთუ უკუეთუმცა თავთა თჳსთა განვიკითხევდით, არამცა განვიკითხენით. ხოლო გან-თუ-ვიკითხვით, უფლისა მიერ განვისწავლებით, რაჲთა არა სოფლისა თანა დავისაჯნეთ, რამეთუ ღმრთისამიერი იგი მწუხარებაჲ სინანულსა შეიქმს, ხოლო მსოფლიოჲ მწუხარებაჲ სიკუდილსა შეიქმს. და ჯერ არს ჩუენდა, რაჲთა ვიყვნეთ გამოცდილ, თუ რაჲ არს ნებაჲ ღმრთისაჲ: კეთილიცა და სათნოჲ და სრული. და ვითარმედ: დამართებით ვსდევ განსა მას ზეცისა ჩინებისასა.

და ვითარმედ: ასწავებდ ჟამად უჟამოდ და ეკრძალენით თავთა თქუენთა, და ყოველსავე სამწყსოსა თქუენსა და ყოველივე გამოიცადეთ, ხოლო უმჯობესი შეიკრძალეთ.

ხოლო რამეთუ ჯერ არს გულსმოდგინედ და ფრთხილად მიმდემი ლოცვაჲ, იტყჳს უფალი: „ეკრძალენით თავთა თქუენთა, ნუსადა დამძიმდენ გულნი თქუენნი შუებითა და მთრვალობითა და ზრუნვითა მსოფლიოჲთა,

[1] შდრ. რომ.14,10. [2] მთ. 7,15. [3] მთ. 7,12. [4] შდრ. მთ. 6,24. [5] ი. 6,27.

არამედ იღჳძებდით და ილოცევდით[1], რაჲთა არა შეხჳდეთ განსაცდელსა. /8/ და რომელსა ესე თქუენ გეტყჳ, ყოველთა ვეტყჳ: იღჳძებდით და მღჳძარე იყვენით ყოველსა ჟამსა. და ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძიებდით და ჰპოოთ, ირეკდით და განგეღოს თქუენ, რამეთუ ყოველი, რომელი ითხოვდეს, მიიღოს და რომელი ეძიებდეს, პოოს და რომელი ირეკდეს, განეღოს“[2]. და იგავიცა შესძინა[3] უფალმან ამისთჳს, ვითარმედ ჯერ არს ყოლადვე თხოვაჲ და არა მოწყინებაჲ, ვითარმედ: „იყო ვინმე მსაჯული სიცრუვისაჲ“[4]. და იყვენით განმზადებულ, რამეთუ რომელსა ჟამსა არა ჰგონებდეთ, ძჱ კაცისაჲ მოვიდეს. და მოციქული იტყჳს: „ყოლადვე გუაკურთხენ, მოუკლებელად ილოცევდით ყოველსა შინა ჰმადლობდით და შიშით და ძრწოლით ცხორებასა თქუენსა მუშაკობდით“[5]. და ვითარმედ: „სამარადისოდ ჴსენებასა თქუენსა ვჰყოფ ლოცვათა შინა ჩემთა“[6], ესრეთვე[7] ყოლადვე და მარადის ლოცვითა და ვედრებითა ეცნობებოდენ ღმერთსა სათხოველი თქუენი.

და კუალად, შუვაღამეს ოდენ პავლე და შილა ადიდებდეს ღმერთსა და უგალობდეს საპყრობილესა მას შინა. და ფრთხილ იყვენით და მღჳძარე, რამეთუ წინამოსაჯული იგი თქუენი ეშმაკი, ვითარცა ლომი მყჳრალი მიმოვალს და ეძიებს, ვინმცა შთანთქა.

ხოლო უცხოთმოყუარებისათჳს თქუა უფალმან: „რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს, მე შემიწყნარებს, და რომელმან ასუას ერთსა მცირეთა ამათგანსა სასუმელი ერთი წყალი გრილი, არა წარუწყმდეს სასყიდელი მისი“[8]. და „მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკჳდრეთ[9] განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი /8v/ პირველ სოფლის დაბადებისა“[10]. და ოდეს ჰყოფდე სერსა ანუ სამხარსა, ნუ ხადი[11] მოყუარეთა და ნათესავთა შენთა, არამედ მოუწოდე გლახაკთა, კოჭლთა და ბრმათა და ნეტარ იყო შენ. და რომელსა აქუნდეს ორი სამოსელი მიეცინ, რომელსა არა აქუნდეს. და რომელსა აქუნდეს საზრდელი, მსგავსადვე ყავნ. და ნეტარ არს მიცემაჲ უფროჲს მოღებისა. ხოლო მოციქული იტყჳს: „უცხოთმოყუარებასა ნუ დაივიწყებთ[12], რამეთუ ესევითართა მიერ მსხუერპლთა მოიმადლების ღმერთი“. და რომელი მისცემდეს სიწრფოებით, და რომელი სწყალობდეს მხიარულებით და შემდგომი. და რომელი სთესვიდეს რიდობით, რიდობითცა მოიმკოს. და რომელი სთესვიდეს კურთხევით, კურთხევითცა მოიმკოს. და ნუ მწუხარებით, ნუცა იძულებით, რამეთუ მხიარულებით მისაცემელი უყუარს ღმერთსა. და რამეთუ გულსმოდგინებაჲ აქუს კაცად-კაცადსა მისთჳს, რომელი აქუნდეს, არა რომელი არა აქუნდეს და რაჲთა არა უნებლიეთ იყოს კეთილი თქუენი, არამედ ნეფსით.

---

[1] ილოცევდით] ილოცვიდით B. [2] ლ. 21,34. [3] ბრძანა B. [4] შდრ. ლ. 18,2. [5] ფილ. 2,12. [6] ფილ. 1,4. [7] ესრეთვე] ესრეთ B. [8] მათ. 10,40. [9] დაიმკჳდრეთ] დაჲმკჳდრეთ A. [10] ლ. 1,34. [11] ჰხდი B. [12] დაივიწყებთ] დაჲვიწყებთ A.

ხოლო მორჩილებისათჳს თქუა უფალმან: „გარდამოვჴედ ზეცით არა რაჲთა ვყო ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისა მამისაჲ“[1]. და „რომელსა უყუარდეს მამაჲ ანუ დედაჲ უფროჲს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს“[2]. და „უკუეთუ გიყუარ მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით[3] და ჰგიეთ სიყუარულსა ზედა ჩემსა, ვითარცა მე მცნებანი მამისა ჩემისანი დამიმარხვან და ვჰგიე სიყუარულსა ზედა მისსა“[4]. და „რომელსა ჰნებავს შემოდგომაჲ ჩემი /9/ და არა მოიძულოს მამაჲ თჳსი და დედაჲ და მერმე კუალად სულიცა თჳსი, ვერ ძალ-უც მოწაფეყოფად ჩემდა“[5].

და ჰრქუა უფალმან პეტრეს და ანდრეას და იაკობს და იოანეს[6], მატთეოს და ფილიპეს: „მოვედით და შემომიდექით მე“. და მეყსეულად დაუტევეს ყოველივე და შეუდგეს მას.

კუალად სხუამან მოწაფეთა მისთაგანმან ჰრქუა მას: „უფალო, მიბრძანე მე პირველად წარსლვად და[7] დამარხვად მამისა ჩემისა. ჰრქუა მას უფალმან: „უტევენ მკუდარნი დაფლვად თჳსთა მკუდართა“[8], ხოლო მოციქული რაჲ პავლე, მონაჲ იესუ ქრისტესი, წოდებული მოციქული: „და უკუეთუ ვახარებდე არა არს ჩემდა სიქადულ, ხოლო ვაჲ არს ჩემდა, არა თუ ვახარებდე“. და ვითარმედ: „ესე ზრახვაჲ იზრახებოდენ თქუენ ყოველთა[9] შორის რომელიცა-იგი ქრისტე იესუჲს მიერ, რომელი-იგი ხატი ღმრთისაჲ იყო, არა ნატაცებად შეირაცხა ყოფად[10] იგი სწორ ღმრთისა, არამედ თავი თჳსი წარმოსცალა და ხატი მონებისაჲ მიიღო“[11] და შემდგომი. და რამეთუ „შენ შემოდგომილ ხარ მოძღურებასა ჩემსა, ქცევასა ჩემსა, გულსმოდგინებასა ჩემსა“. და ვითარმედ: წარმოვსტყუენავთ ყოველსა სიმაღლესა მორჩილებად ქრისტესა და მზა ვართ შურისგებად ყოველსავე ურჩებასა, ოდეს-იგი სრულ იქმნეს თქუენ შორის მორჩილებაჲ.

ხოლო სიმდაბლისათჳს თქუა უფალმან: „ოდეს ჰყოთ ყოველივე თქუენდა ბრძანებული, თქუთ, ვითარმედ: მონანი ვართ უჯმარნი“[12]. და ვითარმედ: წინაშე კაცთა მაღალი, საძაგელ არს წინაშე ღმრთისა. და „ყოველმან, რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, დამდაბლდეს“[13]. /9v/ და „მე ვარ თქუენ შორის ვითარცა მსახურ“[14] და რომელსა უნდეს თქუენ შორის დიდყოფაჲ, იყავნ ყოველთა მსახური და ყოველთა მონა. „და ვითარცა იხილა სიმონ-პეტრე, შეუვრდა მუჯლთა იესუჲსთა და ჰრქუა: „განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ მე, უფალო“[15]. ხოლო იოვანე ჰრქუა ფარისეველთა: „მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო მოვალს უძლიერესი ჩემსა, რომლისა არა ვარ ღირს დადრეკად და განჯსნად საბელსა ფერჯთა მისთასა“[16].

---

[1] ი. 6,38. [2] მთ. 10,37. [3] დაიმარხენით] დაჲმარხენით A. [4] ი. 15,10. [5] ლ. 14,36. [6] ~ იოანესა და იაკობს B. [7] და – B. [8] მთ. 8, 22. [9] ყოველთა – B. [10] ყოფად – B. [11] ფილ. 2,7. [12] ლ. 17,10. [13] მთ. 23,12. [14] ლ. 5,8. [15] ლ. 22,27. [16] ლ. 2,27.

და კუალად თავადმან უფალმან სახჱ[1] სიმდაბლისაჲ მოგუცა ჩუენ, ოდეს-იგი აღდგა სერობისაგან და დადვა სამოსელი თჳსი და მოიღო არდაგი და მოირტყა იგი. და მერმე შთაასხა წყალი საბანელსა მას და იწყო დაბანად ფერჴთა მოწაფეთასა და წარჰჴოცდა არდაგითა მით, რომელი მოერტყა.

და მოციქული იტყჳს: „მე ვარ უდარესი მოციქულთაჲ, რომელი არა ვარ ღირს წოდებად მოციქულად, ამისთჳს რამეთუ ვსტყუენევდ ეკლესიათა ქრისტესთა“[2]. და ვითარმედ: „იესუ ქრისტე მოვიდა სოფლად ცოდვილთა ცხორებად, რომელთა პირველი მე ვარ. და გლოცავ თქუენ კრული ესე უფლისაჲ, ღირსად ჩინებისა მის ვიდოდეთ, რომლითაცა იჩინენით ყოვლითავე სიმდაბლითა და სიმშჳდითა და სულგრძელებითა. და არა რომელი თავსა თჳსსა დაამტკიცებდეს, იგი არს გამოცდილ, არამედ რომელი-იგი უფალმან დაამტკიცოს. და უკუეთუმცა წუთღა კაცთა სათნო-ვეყოფოდე, ქრისტეს მონამცა არა ვიყავ“[3].

ხოლო ძჳრუჴსენებლობისათჳს თქუა უფალმან: „გიყუარდედ[4] მტერნი თქუენნი, /10/ კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ილოცევდით მათთჳს, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ“[5]. „და რომელი გცემდეს მარჯუენესა ყურიმალსა შენსა, მიუპყარ მას ერთკერძოჲცა. და რომელსა უნდეს სასჯელად და მიღებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა შენი“[6] და „მამაო, მიუტევე მათ ცოდვაჲ ესე, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“[7], არამედ და ყურიცა იგი მონისაჲ მოკუეთილი განცემასა მას მიიღო და განჰკურნა. და მოციქული იტყჳს: „მაგინებელთა ჩუენთა ვაკურთხევთ, ვიდევნებით და თავს-ვიდებთ, მგმობართა ჩუენთა ულოცავთ“[8]. და აკურთხევდით მდევართა თქუენთა, აკურთხევდით და ნუ სწყევთ. და უკუეთუ შესაძლებელ[9] არს თქუენგან, ყოველთა თანა კაცთა მშჳდობასა ჰყოფდით. ნუ თავთა თჳსთა უშჯით, ნუცა განიმართლებთ, ვითარცა-იგი და უფალიცა მაგინებელთა მათ არა აგინებდა, ევნებოდა და არა უთქუმიდა, და[10] ესე ყოველი აქამდე.

ხოლო რომელი სასწაულშემოსილთა წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთა ურწმუნო იყოს და მათ მიერ თქუმულსა და ქმნილსა არა შეიწყნარებდეს, იგი უფროჲსღა ქრისტესა არს ურწმუნო და მისთა წმიდათა მოციქულთა. და რამეთუ თავადმან უფალმან ჩემმან, იესუ ქრისტემან, თიჳსგან შეზილნა თუალნი ბრმისანი, ეშმაკნი განასხნა კაცთაგან, მკუდარნი აღადგინნა, წყალი ღჳნოდ გარააქცია და ხუთთაგან პურთა ხუთ ათასნი მაძღრივ განაძღნა და შეკრულნი და მიუწდომელნი და /10v/ აღუჰამრავნა[11] სასწაულნი აღასრულნა, რომელთა არცა თუ სოფელსა ძალ-უც დატევნად.

ესრეთვე აჩრდილი წმიდათა მოციქულთაჲ და სუდარი ყოველსავე სნეულებასა და ცისად-ცისად გუემულებასა განჰკურნებდა, ვითარცა-იგი

[1] სახე B. [2] I კორ.15,9. [3] გალ. 1,10. [4] გიყუარდედ] გიყუარდენ B. [5] მთ. 5,44. [6] მთ. 5, 39-40. [7] ლ.23,34. [8] I კორ. 4,12. [9] შესაძლებელ] შემძლებელ B. [10] და – B. [11] აღუჰამრავნა – B.

სახედ თჳთ თავადმან ბრძანა ქრისტემან, ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩემმან: „რომელსა ჰრწმენეს ჩემი, საქმეთა, რომელთა მე ვიქმ, მანცა ქმნეს და უფროჲსღა ამისა[1] ქმნეს“, რამეთუ სადა-იგი უაღრესი ბუნებათაჲ დაემკჳდროს – ღმერთი – უაღრესცა და უზეშთაეს ბუნებისა აღასრულებს საქმეთა. და რად საჴმარ არს მრავლისმეტყუელებაჲ, რამეთუ ყოველივე საღმრთოჲ წერილი – ძუელიცა და ახალი, ამათ ესევითართა სურნელთაცა საცხოვრებელთა და ღმრთივაღმომდინარეთა აღმოდის წყაროთა. ხოლო უფროჲსღა ყოვლისა სიყუარულისათჳს, რამეთუ ესე ყოველი სრულებით აღმოიკითხეს წმიდათა მამათა და ნეტართა მოღუაწეთა და სიტყჳთ და საქმით მაგალითსა მას საღმრთოსა გულსმოდგინედ ემსგავსებოდეს და საღმრთოსა მას ზედა საფუძველსა ნაშენებსა მას კეთილსა რჩეულთა სათნოებათასა აღაშენებდეს, რომლისა[2] თავ საკიდურთა არს უფალი ჩუენი და მაცხოვარი იესუ ქრისტე. რაოდენიცა უკუე სულსა კაცისასა განმართებად[3] შემძლებელ არს, რომლისათჳს არს ყოველი სიტყუაჲ და ყოველი საიდუმლოჲ, და სიღრმისაგან ცოდვათაჲსა აღმოიყვანებს და ყოველთა ღმრთისა აღიყვანებს და ხატსა /11/ მას პირველსა უვნებელობისასა კუალად-აგებს ბრძანებათაებრ საღმრთოთა. ამას წმიდასა და სანატრელსა სამოთხესა შინა შეუძლოს პოვნად, ვის ენებოს.

შეჰგავს უკუე ჩუენდა და სამართალ არს ტირილად და გლოვად და მწარედ გოდებად ცოდვათა ზედა ჩუენთა[4], და ესოდენ ფრიადსა ჩუენსა უდებებასა. და უფროჲს-ღა დამდაბლებად თავთა ჩუენთა წინაშე შემოქმედისა ჩუენისა ღმრთისა. და რამეთუ არს ამიერცა, ფრიადი სარგებელი არს, ვითარცა თჳთ თავადმან უფალმან და მაცხოვარმან ჩუენმან გუაუწყა წმიდასა შინა სახარებასა მეზუერისათჳს და ფარისეველისა და არა დაბრკოლებად ულმობელობისაგან სულისა და თავჴედობისაგან გონებისა წმიდათა ზედა კაცთა სათნოებასა წარსაწყმედელად თავისა და სულისა თჳსისა. ესენი უკუე ესე არიან ჭეშმარიტად მარადის ჴსენებულნი წმიდანი მამანი ჩუენნი, მაიძულებელნი[5] თჳსისა ბუნებისანი სასუფეველისათჳს ცათაჲსა, რომელთა, ვითარცა თქუა უფალმან: „უაღრეს ბუნებათა იძულებითა მიიტაცეს იგი“. მოვედით უკუე აწ ყოველნი ძმანი და სულიერისა ამისგან და სულთა განმანათლებელისა წყაროჲსა გულსმოდგინედ აღმოვივსოთ და[6] კაცობრივთა სიჩქურთა საზრახავი ყოლადვე არად შევრაცხოთ, არცა რად სილირბე უგლიმთაჲ მოვისმინოთ, არამედ ქრისტესა ძესა ღმრთისასა დავემოწაფნეთ, ტკბილსა მას, /11v/ მშჳდსა და სახიერსა მეუფესა და მისთა მათ უწიგნოთა და მეთევზურთა მოწაფეთა შეუდგეთ და ყოლადქებულთა და იწროსა მას და ძნელსა და საჭიროსა ვიდოდით გზასა. და სინანულისა მიერ და აღსაარებისა და სიმდაბლისა და სიყუარულისა და სხუათა მათ ყოველთა

[1] მისსა B. [2] რომლისა] რომელი B. [3] განმართებად] განმართლებად B. [4] ~ ჩუენთა ზედა B. [5] მაჲძულებელნი] მაჲძულებელნი A. [6] და – B.

რჩეულთა სათნოებათა სათნო-ვეყვნეთ უფალსა, რაჲთა ესრეთ სრულსა მას და მტკიცესა და მოუკლებელსა მივიწინეთ სავანესა, სადაჲთ-იგი ივლტის ყოველი ურვაჲ, მწუხარებაჲ და სულთქუმაჲ! სადა-იგი განსუენებულ არს და შუებულ მკჳდრობაჲ ყოველთა საუკუნითგან მხიარულთაჲ! სადა-იგი არს ჴმაჲ სიხარულისა და ზატიკობისაჲ, ჴმაჲ დღესასწაულისა და გალობისაჲ თავადისა ქრისტეს მიერ იესუჲს უფლისა ჩუენისა, რომელსა შუენის ყოველივე დიდებაჲ, პატივი, სიმტკიცე და სუფევაჲ თანადაუსაბამოჲთ მამით და ყოლად წმიდით სახიერით და ცხოველსმყოფელით სულითურთ აწ და მარადის და საუკუნეთა მათ დაუსრულებელთა უკუნითი უკუნისამდე, ამინ! /12/

სწავლანი შუენიერნი წმიდათა და ნეტართა მამათანი სისრულისათჳს სათნოებათაჲსა[1]

გუაკურთხენ, მამაო!

I. 1. ჰკითხა ვინმე **მამასა ანტონის** და ჰრქუა: რაჲ დავიმარხო, მამაო, და ღმერთსა სათნო ვეყო? მიუგო ბერმან და ჰრქუა მას: რომელსა-ესე გამცნებ შენ, დაიმარხე[2]: სადაცა ხჳდოდი, ღმერთი გაქუნდინ ყოლადვე წინაშე თუალთა შენთა, და რასაცა იქმოდი, გაქუნდინ წამებაჲ წმიდათაგან წერილთა, და რომელსა ადგილსა შჯდე, ადრე-ადრე ნუ აღიძრვი. სამი ესე დაიმარხე[3] და სცხოვნდე.

2. ჰკითხა **მამამან პამბო მამასა ანტონის** და ჰრქუა: რაჲ ვყო? ჰრქუა მას ბერმან: ნუ ხარ მოსავ სიმართლესა შენსა და ნუ ინანი საქმესა ზედა გარდასრულსა, დამმარხუელ იქმენ ენისა და მუცლისა.

3. თქუა **მამამან ანტონი:** პირველნი მამანი ჩუენნი განვიდეს უდაბნოდ და განიკურნნეს და იქმნნეს მკურნალ და უკუმოიქცეს მიერ და სხუათა ჰკურნებდეს. ხოლო ჩუენ განსლვასავე თანა სოფლით, პირველ განკურნებისა, სხუათა გუნებავს კურნებად და მოიქცევის ჩუენდავე სენი იგი და იქმნების უკუანაჲსკნელი უძჳრეს პირველისა და გუესმის ბრძანებაჲ იგი ღმრთისაჲ: „მკურნალო, განიკურნე პირველად თავი შენი“[4].

II. იტყოდა **მამაჲ ანდრეა**: შუენის მონაზონსა სამი ესე: უცხოებაჲ, სიგლახაკე და დუმილი მოთმინებით.

III. თქუა **მამამან ათანასე ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსმან**: მრავალგზის იტყჳნ ვინმე ჩუენგანი, ვითარმედ: სადა არს დევნულებაჲ,

---

[1] სათნოებათაჲსა] სათნოებათაჲსაჲ B. [2] დაიმარხე] დაჲმარხე A. [3] დაიმარხე] დაჲმარხე A . [4] ლ. 4,23.

რაჲთამცა ვიწამე? იწამე გონებითა, /12v/ მოკუედ ცოდვისაგან, მოაკუდინენ ასონი ქუეყანისანი და მოწამე ქმნულ ხარ გონებითა. წმიდანი მოწამენი მეფეთა ჰბრძოდეს და მთავართა. გაქუს შენცა წინამოსაჯულად მეფე იგი ცოდვისაჲ სამაელ და მთავარნი მისნი ბოროტნი ეშმაკნი. ესრეთვე უკუე წმიდათა მათ წინაშე ესხნეს ბომონნი და ტაბლანი საკერპონი, აღსავსენი საძაგელებითა და ნაზორევთა მწიკულითა. მოიგონე სულსა შინა შენსა და ბომონად შეჰრაცხე ნაყროვნებაჲ[1] და ტაბლად საზორველად გემოთმოყუარებაჲ და კერპად გულისთქუმაჲ იგი ცოდვისაჲ, რამეთუ რომელი სიძვათა და გულისთქუმათადა შედგომილ იყოს, მას იესუ უარ უქმნიეს, კერპსა თაყუანის-სცემს, რამეთუ აქუს თავსა შორის თჳსსა აფროდიტეს ქანდაკებული გულისთქუმაჲ იგი ცოდვისაჲ და ბილწებაჲ ჴორცთაჲ.

კუალად რომელი გულისწყრომითა და მრისხანებითა იძლეოდის და არა გარდაჰკუეთდეს სენისა მის სიგუესესა, მასაცა იესუ უვარ[2] უქმნიეს და არე ჰყავს ღმრთად თავსა შორის თჳსსა, რამეთუ მოუდრიკა მრისხანებასა, რომელ არს გესლოვანებისა კერპი.

სხუაჲ კუალად ვეცხლისმოყუარე არს და ნივთთა მოსურნე[3]. და დაჰჴშავს ნაწლევთა ძმისათჳს და არა სწყალობს მოყუასსა თჳსსა, მასცა იესუ უარ უქმნიეს და კერპთა ჰმსახურებს, რამეთუ აქუს თავსა შორის თჳსსა კერპი იგი ერმისი, რამეთუ ჯერეთცა დაბადებულთა ჰმონებს და არა დამბადებელს, რამეთუ ნანდჳლვე[4] ძირი ყოველთა ბოროტთაჲ არს ვეცხლისმოყუარებაჲ. /13/ ვინცა[5] უკუე ამათ ვნებათაგან შორს იყოს, მას დაუთრგუნავს კერპთმსახურებაჲ და უარ უქმნიეს უსჯულოებაჲ და მოწამე ქმნილ[6] არს სრულ და ჭეშმარიტ და აღუვარებიეს კეთილი იგი და საცხორებელი აღსაარებაჲ.

IV. 1. თქუა **მამამან ბესარიონ:** ოდეს მშჳდობით იყო და ბრძოლაჲ არა გაქუნდეს, მაშინ უფროჲსღა დამდაბლდი, ნუსადა სიხარული უცხოჲ შემოგიჴდეს სიქადულისაჲ და მიეცე შენ ბრძოლასა, რამეთუ მრავალგზის ღმერთი უძლურებათათჳს ჩუენთა არა მოუშუებს ჩუენ ზედა ბრძოლათა, რაჲთა არა წარვწყმდეთ.

2. ძმამან ვინმე, რომელი მკჳდრ იყო ძმათა თანა, ჰკითხა **მამასა ბესარიონს** და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: დუმენ და სწონ თავსა შენსა.

V. მამამან ბენიამენ ჰრქუა ძეთა თჳსთა, მოკუდებოდა რაჲ: ყოლადვე გიხაროდენ, მოუკლებელად ილოცევდით, ყოველსა შინა ჰმადლობდით და სცხოვნდეთ.

VI. ჰკითხა ვინმე **მამასა ბიარეს** და ჰრქუა: რაჲ ვყო, რაჲთა ვცხოვნდე?

---

[1] ნაყროვნებაჲ] ნაყროვანებაჲ B. [2] უვარ] უარ B. [3] ნივთთა მოსურნე] ნივთმოსურნე B. [4] ნანდჳლვე] ნამდჳლვე B. [5] ვინცა] რომელ B. [6] ქმნილ] ქმნულ B.

ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და ყავ მუცელი შენი მცირე და ჴელთსაქმარი შენი მცირე და ნუ შფოთებ სენაკსა შინა შენსა და სცხოვნდე.

VII. თქუა **მამამან გრიგოლი ღმრთისმეტყუელმან:** სამსა ამას მოჰჴდის ღმერთი ყოველსავე კაცსა, რომელსა აქუს ნათლისღებაჲ: სარწმუნოებასა მართალსა სულისაგან, ჭეშმარიტებასა ბაგეთაგან და სიწმიდესა ჴორცთაგან.

VIII. თქუა **მამამან დიმოკრატე:** უკუეთუ შევიმოსოთ ზეცისა იგი სამოსელი, /13v/ არღარა შიშუელ ვიპოვნეთ. ხოლო უკუეთუ ვიხილვნეთ შიშულად სამოსლისა მისგან, რაჲ ვყოთ, ძმანო?! რამეთუ სმენად არს ჩუენდაცა ჴმაჲ იგი საშინელი, რომელი იტყჳს: განაგდეთ იგი ბნელსა მას გარესკნელსა, მუნ იყოს ტირილი თუალთაჲ და ღრჭენაჲ კბილთაჲ! რაბამ უკუე არს სირცხჳლ ჩუენდა, რომელ ესოდენთა წელთა გუმოსიეს სახჱ ესე და ოდეს იყოს ჟამი ჭირისა და ურვისაჲ, ვიპოვნეთ შიშულად სამოსლისა მისგან საქორწინოჲსა. ჱ ვითარიღა შიში მოიწიოს მაშინ ჩუენ ზედა და ვითარმან სინანულმან შემიპყრნეს! ჱ ვითარიღა ძრწოლაჲ შეგუედვას ჩუენ და ვითარმან ბნელმან დამფარნეს, ვხედვიდეთ რაჲ მამათა ჩუენთა და ძმათა პატივსა შინა და დიდებასა, ხოლო თავთა ჩუეთა ტანჯულად ანგელოზთაგან უწყალოთა. ვითარმანღა მწუხარებამან მოიცვას მაშინ მამაჲ ანტონი და მამაჲ ამონა ნიტრიელი, მამაჲ პავლე ფოტელი და მამაჲ ამონ ეგჳპტელ-არაბიელი, მამაჲ მიოს თებაჲდელი და მამაჲ მაკარი ალექსანდრიელი, მამაჲ პაფნოტი სიდონელი და მამაჲ უპავსირი[1] (!) თიღონელი, მამაჲ ამმონ ქერევნიტელი და ყოველნივე წმიდანი მამანი და მართალნი შეწუხნენ და შეელმას მაშინ, ოდეს-იგი წარიყვანებოდიან ზეცათა სასუფეველად, ხოლო ჩუენ განვისხმოდით ბნელად გარესკნელად.

IX. 1. იტყოდა **ნეტარი ეპიფანე,** ვითარმედ: უკუეთუ სახემანღა ქრისტესმან მელქისედეკ ძირი იგი ებრაელთაჲ აკურთხა აბრაჰამ, რაოდენ უფროჲსღა თჳთ ჭეშმარიტებამან ქრისტესმან აკურთხნეს და წმიდა-ყვნეს ყოველნივე მისა მიმართ მორწმუნენი.

2. /14/ მანვე თქუა კუალად: საჭიროდ უჴმს ქრისტეანესა, რომელსა ძალუც მოგებად წიგნთა და რამეთუ თჳთ მებრ ხილვაჲ წიგნისაჲ უუდბეს-ჰყოფს კაცსა ცოდვისა მიმართ და სიმართლისა კერძო აღადგინებს უფროჲსღა და კეთილსა აწუევს.

3. თქუა კუალად მანვე: დიდი სიმტკიცე არს უცოდველობისაჲ წმიდათა წერილთა აღმოკითხვაჲ.

4. მანვე თქუა: დიდი მთხრებლი არს წარწყმედისაჲ და სიღრმე შთაუხედავი ჴნარცჳსაჲ წმიდათა წერილთა უმეცრებაჲ[2].

5. კუალად თქუა მანვე: დიდად განცემაჲ არს ცხორებისაჲ უმეცრებაჲ წერილთა[3] საღმრთოთაჲ.

---

[1] სახელი A ნუსხაში დაზიანებულია და ცუდად იკითხება. [2] უმეცრებაჲ] უმეცრებისაჲ B. [3] წერილთა] შჯულთა B.

6. იგივე იტყოდა, ვითარმედ: მართალთა ცოდჳანი ბაგეთადმდე[1] არიან, ხოლო უღმრთოთანი ყოველთა ზედა ჴორცთა. ამისათჳს გალობს საღმრთოჲცა დავით და იტყჳს: „დასდევ უფალო საცოჲ პირსა ჩემსა და კარი ძნელი[2] ბაგეთა ჩემთა“[3] და ვთქუ: ვიმარხნე გზანი ჩემნი, რაჲთა[4] არა ვცოდო ენითა ჩემითა.

7. მანვე თქუა, ვითარმედ: ღმერთი ცოდვილთა თავთაგანცა შეუნდობს, შეინანონ რაჲ, ვითარცა-იგი მეძავსა და მეზუერესა. ხოლო მართალთა ვახშსაცა მოჰჴდის. და ესე არს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, რომელსა ეტყოდა მოციქულთა, ვითარმედ: „უკუეთუ არა აღემატოს სიმართლე თქუენი უფროჲს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხჳდეთ სასუფეველსა ცათასა[5]“.

X. 1. თქუა **მამამან ევპრეპი:** უკუეთუ გაქუს თავსა შორის შენსა სარწმუნოებაჲ ღმრთისაჲ სრულად, ირწმუნე მისთჳს და მიიღო მისმიერი ყოველივე. ხოლო უკუეთუ სულმოკლე ხარ, არა გრწამს მისა, /14v/ რამეთუ ესე გურწამს ჭეშმარიტად, ვითარმედ ყოველივე, რაჲცა არს, ღმრთისაჲ არს. და ვითარმედ მის მიერ დაიბადნეს[6] ყოველნი დაბადებულნი, ხილულნიცა და არახილულნი და ვითარმედ ყოველივე ძალ-უც, რაოდენიცა ენებოს, არამედ შენთაცა ზედა საქმეთა ირწმუნე იგი და ვითარმედ უეჭუელად შენ ზედაცა ჰყოფს წყალობასა.

2. ძმამან ჰკითხა მასვე ბერსა და ჰრქუა: ვითარ მოვალს, მამაო, შიში ღმრთისაჲ სულსა ზედა კაცისასა? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ აქუნდეს კაცსა სიმდაბლე და უპოვარებაჲ, მოვალს მის ზედა შიში ღმრთისაჲ.

3. მანვე თქუა: შიში ღმრთისაჲ და სიმდაბლჱ, ნაკლულევანებაჲ საზრდელისაჲ და გლოვაჲ დაადგერინ შენ თანა და სცხოვნდე.

4. ესევე **მამაჲ ევპრეპი** წარვიდა ოდესმე ბერისა ვისამე და ჰრქუა: მითხარ მე, მამაო, სიტყუაჲ, რომლითა ვცხოვნდე. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ გნებავს ცხორების, სადაცა წარხჳდე, ნუ იტყჳ სიტყუასა პირველ კითხვადმდე შენდა. ხოლო იგი ღმობიერ იქმნა სიტყუასა მას ზედა, შეუვრდა ბერსა და ჰრქუა: ნანდჳლვე, მამაო, მრავალი წიგნი წარმიკითხავს და ესოდენი სარგებელი ვერვინაჲ მოვისთულე. და ფრიად სარგებელ-ეყო და წარვიდა.

XI. თქუა **მამამან ევგენი:** უმჯობეს არს ჩუენდა[7] მთხოველყოფაჲ და მარტოდ ოდენ იესუჲს მახლობელობაჲ, რამეთუ ჭეშმარიტად მდიდარ არს იგი, რომელი იესუჲს თანა იყოს, დაღათუ ჴორციელად გლახაკ იყოს. ხოლო რომელმან ქუეყანიერსა პატივ-სცეს უფროჲს სულიერისა, ორთაგანვე განვარდეს. ესრეთვე კუალად, რომელი ზეცისათჳს სურვიელ /15/ იყოს, ორთავე უეჭუელად მიემთხჳოს, საწუთროთაცა[8] და საუკუნეთა.

---

[1] ბაგეთადმდე] ბაგეთამდე B. [2] ძნელი] შემცველი B. [3] ფს. 140,3. [4] რაჲთა – B. [5] მთ. 5,20. [6] დაიბადნეს] დაჲბადნეს A. [7] ჩუენდა] ჩემდა B. [8] საწუთროთაცა] საწუთოთაცა B.

XII. თქუა **მამამან ირინეოს** ძმათა მიმართ: ვიღუაწოთ, ძმანო, ვიღუაწოთ და მოთმინე ვიქმნნეთ ბრძოლასა შინა, რამეთუ მჴედარნი ვართ ზეცისა მეუფისა ქრისტესნი. და რამეთუ ვითარცა სახედ მჴედართა მათ ქუეყანისა მეფისათა[1] აქუს ჩაფხუტი მათი რვალისაჲ, ესრეთვე ჩუენსა მასცა მჴედრობასა აქუს ჩაფხუტად სიმრავლე კეთილთა მათ სათნოებათაჲ. მათ აქუს ჯაჭუ-ჭური რკინისა, ხოლო ჩუენ გუაქუს ჯაჭუ-ჭური სულისაჲ, სარწმუნოებისა მიერ გამოჭედილი. მათ აქუს ლახუარი, ხოლო ჩუენ გუაქუს ლოცვაჲ. მათ აქუს მახჳლი, ხოლო ჩუენ გუაქუს სასოებაჲ ღმრთისაჲ. მათ აქუს ფარი, ხოლო ჩუენ – ღმერთი. იგინი წყობათა შინა სისხლთა დასთხევენ, ხოლო ჩუენ გონებითა ვიწამებით. და რამეთუ ამისთჳს შეუნდო მეუფემან მან ზეცათამან ეშმაკთა ბრძოლად ჩუენდა, რაჲთა არა მოვიწყე ვიქმნნეთ ქველისმოქმედებათა ღმრთისათა. და რამეთუ მრავალნი კაცთაგანნი იყვნენ რაჲ განსუენებასა შინა, ყოლადვე არა ილოცვენ. და უკუეთუ ილოცონცა, არამედ არა მოხარკებით, არცა გულითა ილოცვენ სრულითა, არამედ გონებითა მიმოდაბნეულითა ილოცვენ, ამისთჳს ვითარცა არამლოცავნი შეირაცხებიან. რამეთუ ოდეს ღმერთსა ზრახვიდენ ბაგითა, ხოლო გულითა და გონებითა ქუეყანისადა შემსჭუალულ იყვნენ, ვითარ სმენილ იქმნეს ლოცვაჲ მათი[2]?! /15v/ ხოლო ოდეს შეგუჭირდეს, მაშინ გულსმოდგინედ მოუჴდებით და მღჳძარედ ვილოცავთ. და მრავალგზის ბაგენი არა გუეძრვოდიან გალობისათჳს, ხოლო გული ილოცავნ და სიტყუათა მათ ვედრებისათა მიუპყრობნ ღმერთსა. და ესრეთ მდუმარითა ლოცვითა ვეზრახებოდით მეუფესა. აწ უკუე ჩუენცა, ძმანო, ვემსგავსნეთ მჴედართა მათ მოკუდავისა მეფისათა და გულსმოდგინედ ვებრძოლნეთ მბრძოლთა მათ ჩუენთა უკუეთურთა, უფროჲსღა სამთა მათ ყრმათა ვემსგავსნეთ წმიდათა და საჴუმილი იგი ვნებათაჲ სიწმიდითა დავავსოთ და ნაკუერცხალნი იგი განსაცდელთანი ლოცვითა დავანელნეთ და ზუავი იგი ნაბუქოდონოსორ ეშმაკი, სირცხჳლეულ-ვყოთ და ჴორცნი ჩუენნი მსხუერპლად ცხოველ მიუპყრნეთ ღმერთსა, გულისსიტყუაჲ ღმრთისმსახური ვითარცა ძღუენი მრგულიადდასაწუველი შევწიროთ ყოველთა მეუფისა.

XIII. თქუა **მამამან ზენონ,** მოწაფემან **ნეტარისა სილოანესმან[3]:** ნუ დაემკჳდრები ადგილსა სახელოვანსა, ნუცა დაჴდები[4] კაცისა თანა, რომლისა სახელი დიდი განსმენილი[5] იყოს, ნუცა დასდებ საძირკუელსა აღშენებად შენთჳს სენაკისა[6].

XIV. ჰრქუა **მამამან მაკარი მამასა ზაქარიას:** მითხარ მე საქმე მონაზონისაჲ. მიუგო მას[7]: და შენ მე მკითხავა, მამაო? ჰრქუა მამამან მაკარი:

---

[1] B ხელნაწერში ტექსტი გრძელდება 28r-ზე (აკინძვის შეცდომა). [2] „ლოცვაჲ მათი“ აღდგენილია B ხელნაწერის მიხედვით. [3] სილოანესმან] სილოვანესმან B. [4] დაჴდები] დასჴდები B. [5] განსმენილი] განსრულ B. [6] სენაკისა + სადაცა B. [7] მიუგო მას] მიუგო მან და ჰრქუა მამამან მაკარი B.

გულსავსე ვარ შენდა, შვილო ზაქარია, რამეთუ არს რომელი[1] მწერტს მე და მაიძულებს კითხვად შენდა. /16/ კუალად[2] რქუა მას ზაქარია: მე ესრეთ ვჰგონებ, მამაო, რომელ ყოველსავე ზედა საქმესა იძულებაჲ თავისაჲ ესე არს მონაზონებაჲ.

XV. იტყოდეს **მამისა ესაიასთჳს**[3], ვითარმედ: აღიღო ოდესმე სფირიდი ანუ თუ ზამბილი და წარვიდა კალოდ ქუეყანისმოქმედისა ვისსამე და ჰრქუა: მომეც იფქლი. ჰრქუა მას ქუეყანისმოქმედმან: და შენცა ჰმკევეა[4], მამაო? ჰრქუა მას ბერმან: არა. ჰრქუა მას ქუეყანისმოქმედმან: და ვითარ გნებავს მიღებაჲ იფქლისაჲ, ვინაჲთგან არა გიმკიეს? მიუგო ბერმან: და არა მიიღებენა სასყიდელსა, რომელთა არა ემკოს? ჰრქუა მას მუშაკმან: არა. და ესრეთ განეშორა ბერი. ხოლო ძმანი იგი, რომელნი იყვნეს მათ თანა, შეუვრდეს[5] ბერსა და ევედრებოდეს უწყებად, რაჲ-იგი ყო. ჰრქუა მათ ბერმან: სახედ ვყავ ესე, ძმანო, ვითარმედ რომელი არა შურეს, არა[6] მიიღებს სასყიდელსა ღმრთისაგან.

XVI. თქუა **მამამან ესაია**[7] **მღდელმან**, ვითარმედ: იტყოდა ვინმე მამათაგანი, რამეთუ[8] უჴმს კაცსა ყოვლისა პირველად მოგებად სარწმუნოებასა ღმრთისა მიმართ და სურვილსა და სიყუარულსა ღმრთისა მიმართ მიუდრეკელსა, და უმანკოებასა და არავისა მიგებად ბოროტი[9] ბოროტისა წილ. ესრეთვე[10] კუალად უღირს მოგებად მოღუაწებაჲ ძალისაებრ და სიმდაბლე და სიწმიდჱ და კაცთმოყუარებაჲ ჩუენებად და ყოველთა მიმართ სიყუარული და მორჩილებაჲ, სიმშჳდითა და სულგრძელებითა და მოთმინებითა დამტკიცებული, და რაჲთა აქუნდეს სურვილი წმიდაჲ ღმრთისა მიმართ და რაჲთა ევედრებოდის მას ტკივილითა გულისაჲთა სიყუარულით, და რაჲთა /16v/ არა იხედვიდეს უკუღმართ და რაჲთა ეკრძალებოდის წაღმართ, და რაჲთა არა ესვიდეს სიმართლესა თჳსსა, და რაჲთა ყოლადვე და მარადის ევედრებოდის შეწევნასა ღმრთისასა მომავალთათჳს მის ზედა მარადის განსაცდელთა.

XVII. 1. ძმამან ჰკითხა **მამასა ესაიას**[11] სიტყუაჲ. მიუგო ბერმან და ჰრქუა მას: უკუეთუ გნებავს შედგომაჲ იესუჲსი, დაიმარხე სიტყუაჲ მისი და ჯჳარს-აცუ თავი შენი ყოველითურთ მსგავსად მისა, ვიდრე სიკუდილადმდე, რამეთუ გიღირს განმზადებად თავსა შენსა დათმენად ყოვლისავე ძჳრთა შემთხუევისა, და რაჲთა განუსუენო გონებასა შემაწუხებელთა შენთასა, და რაჲთა დაუმდაბლო თავი შენი ყოველთავე მაჭირვებელთა შენთა, და რაჲთა აქუნდეს დუმილი პირსა შენსა და განკითხვაჲ ვისიცა გულსა შენსა და გონებასა[12].

---

[1] არს რომელი – A. [2] კუალად – B. [3] ესაიასთჳს] ესაჲასთჳს A. [4] ჰმკევეა] ჰმკევე B. [5] შეუვრდეს] შეურდეს B. [6] არა] არცა B. [7] ესაია] ესაჲა A. [8] რამეთუ] ვითარმედ B. [9] ბოროტი] ბოროტსა B. [10] ესრეთვე] ეგრეთვე B. [11] ესაიას] ესაჲას A. [12] გონებასა +შენსა B.

2. თქუა კუალად: შრომაჲ ჴორციელი, სიგლახაკჱ და უცხოებაჲ და სიმჴნე და დუმილი შობენ სიმდაბლესა, და სიმდაბლე მიუტევებს მრავალთა ცოდვათა. ხოლო რომელი არა იმარხვიდეს ამას, ამაო არს მისი მონაზონებაჲ.

3. თქუა კუალად: მოიძულე ყოველივე საქმე მსოფლიოჲ და განსუენებაჲ ჴორციელი, რამეთუ ამათ გყვეს შენ მტერ ღმრთისა. და რამეთუ ვითარცა სახედ კაცსა, რომელსა ჰყავნ მტერი და ბრძავნ მას, ესრეთ გჳღირს მტრობაჲ და ბრძოლაჲ ჴორცთა ჩუენთაჲ, რაჲთა არა განუსუენოთ მათ.

4. ძმამან ჰკითხა **მამასა ესაიას**[1] სიტყჳსა მისთჳს „მამაო ჩუენოჲსა“, რაჲ არს სიტყუაჲ ესე: „წმიდა იყავნ სახელი შენი“. ჰრქუა მას ბერმან: ესე სრულთაჲ არს, რამეთუ /17/ რომელი ჴორციელთაგან ვნებათა იმძლავრებოდის, შეუძლებელ არს მის შორის წმიდაყოფად სახელი ღმრთისაჲ.

5. მომითხრა ჩუენ **მამამან ესაია[2], მამისა მაკარისთჳს** და თქუა: ვჯედ ოდესმე მამისა მაკარის თანა და მოვიდეს შჳდნი ძმანი ალექსანდრიაჲთ გამოცდად მამისა მაკარისა და ეტყოდეს: გუარქუ ჩუენ, მამაო, სიტყუაჲ, რაჲთა ვცხოვნდეთ. ხოლო მე მოვიღე ფიცარი და ვწერდი სიტყუათა მათთა, რაოდენსაცა-რას იტყოდეს. სულთ-ითქუნა ბერმან სიღრმით გულისაჲთ და აღაღო განათლებული იგი პირი თჳსი და ჰრქუა მათ: ჱ ძმანო, კაცად-კაცადმან ჩუენმან იცის გზაჲ, თუ ვითარ ვცხოვნდეთ, გარნა არა გუნებავს ცხორების. ჰრქუეს მათ ბერსა: ფრიადცა გუნებავს, მამაო, ცხოვნების, გარნა არა მიტევებენ ჩუენ უკეთურნი გულისსიტყუანი. ჰრქუა მათ ბერმან: უკუეთუ მონაზონნი ხართ, რაჲსათჳს იარებით ერისკაცთა თანა, ანუ რაჲსათჳს დაეახლებით ყოლადვე მას ადგილსა, რომელსა იყოს ერისკაცი? ანუ არა უწყითა ვითარმედ, რომელთა უჯმნიეს სოფლისაგან და სახჱ[3] ესე წმიდაჲ შეუმოსიეს და არიან აღრეულ ერისკაცთა შორის, თავთა თჳსთა აცთუნებენ ესევითარნი იგი. და ცუდ არს და ამაო შრომაჲ მათი, რამეთუ და რაჲ შეიძინონ ერისკაცთაგან თჳნიერ ჴორციელი განსუენებაჲ. ხოლო სადა არს ჴორციელი განსუენებაჲ, მუნ შეუძლებელ არს შიში ღმრთისაჲ დამკჳდრებად და უფროჲსღა მონაზონსა, რამეთუ და რაჲ არს მონაზონი, თჳნიერ ესე, რაჲთა მხოლოჲ მხოლოსა /17v/ ზრახვიდეს ღმერთსა დღე და ღამე. და რამეთუ უჴმს მონაზონსა, რაჲთა არა დაყოს ერისკაცთა თანა უმეტეს ორისა დღისა. და ესეცა ამისთჳს, რომელ შეუძლებელ არს სიცოცხლე თჳნიერ საჭიროჲსა საჴმრისა, რაჲთა განყიდოს ჴელთსაქმარი თჳსი და მოიყიდოს, რაჲ-იგი უჴმდეს და შეინანოს გულსმოდგინედ ორთა მათთჳს დღეთა, რომელნი დაყვნა ქალაქს განსყიდად ჴელთსაქმრისა თჳსისა, რამეთუ არარაჲ ერგო.

მონაზონი, რომელი ერისკაცთა თანა მკჳდრ იყოს, ამათ სათნოებათა შეიძენს, რამეთუ პირველად ყოვლისა ოდეს მათ თანა მივიდეს, დაწყებაჲ

[1] ესაიას] ესაჲას A. [2] ესაია] ესაჲა A. [3] სახჱ] სახე B.

ცხორებისა მისისაჲ იქმნების ესრეთ: დუმილსა იპყრობს, მარხვასა შეუდგს[1], თავსა თჳსსა მეტად დაიმდაბლებს[2] მუნამდე, ვიდრემდის შესწავლულ იქმნეს და ჰამბავი განჴდეს მისთჳს და განისმას სახელი მისი, ვითარმედ: იგი ვინმე მონაზონი მონაჲ ღმრთისაჲ არს. და მეყსეულად დაარწმუნებს ეშმაკი ერისკაცთა და მოართუმენ მას უხუებით ყოველსავე საჭმარსა ღჳნისაგან და ზეთისა და ყოველისაგანვე სანოაგისა და იწყებენ სიტყუად: წმიდაჲ არს, წმიდაჲ არს. ხოლო ვითარცა ჩუეულებაჲ ზუაობისაჲ, ესმეს რაჲ „წმიდაარსი“ იგი, აღლაღნების უბადრუკი მონაზონი და მეყსეულად იწყებს დაჯდომად მათ თანა და ჭამს და სუამს და განისუენებს. მერმე აღდგების და ლოცვასა შინა აღიმაღლებს ჴმასა თჳსსა, ვითარმედ იწყონ ქებად მისდა ერისკაცთა მათ სიტყუად, ვითარმედ: ესე მონაზონი კეთილად გალობს და დიად იღჳძებს. /18/ და ამასცა ზედა კუალად აღლაღნების და აღზუავნების უბადრუკი იგი და მეყსეულად განეშორების მისგან სიმდაბლე და ივლტის და სული იგი ამპარტავანებისაჲ მოიცავს მას. და უკუეთუ ვინმე ჰრქუას მას სიტყუაჲ ვერწყნარი, მიუგებს უფიცხლესსა და უსასტიკესსა.

ამას ზედა კუალად ხედვიდეს რაჲ იგი მიმდემად ერისკაცთა, სტყორცებს მას ეშმაკი ისარსა მას სიძვისასა დედათა მიმართ და ყრმათა და ესრეთ ძლიერად შეაიწრებს[3] ამით და სხჳთა ყოველითავე ზრუნვითა მსოფლიოჲთა, ვიდრემდის მთხრებლსა მას ცოდვისასა შთააგდოს, ვითარცა-იგი და უფალიცა ჩუენი იესუ ქრისტე ბრძანებს სახარებასა შინა, ვითარმედ: „ყოველმან, რომელმან მიხედნეს დედაკაცსა გულისთქუმით მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თჳსსა“[4]. ხოლო უკუეთუ კულა ზღაპრად შეგჳრაცხიეს ესე, გუარცხუენს კუალად ბრძანებაჲ იგი უფლისაჲ, რომელი იტყჳს: „ცანი და ქუეყანაჲ წარჴდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არასადა წარჴდენ“[5]. მერმე იწყებს შეკრებად წელიწდისა სრულისა გასაროմელსა, მერმე ორისა და სამისასა. ამას ზედა კუალად იწყებს შეკრებად საფასეთა: ოქროსა და ვეცხლსა და სხუასა ყოველსა რას საქონელსა, ვიდრემდის ჩააგდონ იგი ეშმაკთა ძირსა მას ყოველთა ბოროტთასა ვეცხლისმოყუარებასა. და უკუეთუ ვინმე მოართუას მას მცირე რაჲმე, მართლუკუნ-აქცევს მას და ეტყჳს: არა მიჴმს ეგე, რამეთუ არარას ვისგან ავიღებ ყოლადვე რასაცა. ხოლო უკუეთუ ვინ /18v/ მოარ/თუას მას ოქროჲ, გინა ვეცხლი ანუ თუ შესამოსელი, რომელი მოაშუნდეს მას, მეყსეულად სიხარულით მოუღებს[6] და წარმოსდგამს მალიად ტაბლასა და იწყებს ჭამად ურიდად. და გლახაკი, უფროჲსღა ქრისტე, გარემდგომარე არნ და ჰრეკნ კარსა და არავის ესმინ, არცა ვის ელმინ. ამისთჳს თქუა უფალმან ქუეყანისამან იესუ ქრისტემან: „უადვილეს არს აქლემი განსვლად ჴურელსა ნემსისასა, ვიდრე მდიდარი შერთვად სასუფეველსა ცათასა“[7].

---

[1] შეუდგს] შეუდგების B. [2] დაიმდაბლებს] დაჲმდაბლებს A. [3] შეაიწრებს] შეაჲწრებს A. [4] შდრ. მთ. 5,28. [5] მთ. 24,35. [6] მოუღებს] მიიღებს B. [7] მთ. 19,24.

არამედ ნუუკუე იტყოდის ვინმე ჩუენგანი, ვითარმედ: არა ვარ მდიდარი, კუალად სხუაჲ: არა მიჴმს ვინაჲვე რაჲვე, რამეთუ ყოველივე თჳთ მაქუს, კუალად სხუაჲ იტყჳნ: მე არარას ვის ვავნებო, არცა რას ვის წაუღებ, თჳსითა ჴელთსაქმრითა მომიგიესო, დაღა მოუცემია და მაქუს.

მითხართ უკუე, მამანო, ანგელოზნი ცათა შინა ოქროსა შეჰკრებენ[1] და ვეცხლსა ანუ დიდებისმეტყუელებენ ღმრთისა? და ჩუენცა, ძმანო, რაჲსათჳს შევიმოსეთ სახეჱ ესე, რაჲთა საფასენი და საჴმარნი შევიკრიბნეთ ანუ რაჲთა ანგელოზად შევიქმნნეთ?! ანუ არა უწყითა, რომელ დასი იგი, რომელ დაემჴუა და ზეცით გარდამოითხია, მონაზონთაგან ჯერ არს აღმოვსებად. აწ უკუე, ძმანო, რაჲსათჳს ვიჯმენით სოფლისაგან და უკუეთუ ვიჯმენით, რაჲსათჳს მოვმედგრდით და მართლუკუნ-ვიქეცით გზისა მისგან სიმდაბლისა?! ანუ არა უწყითა, ვითარმედ ღჳნოჲ და დედანი და ოქროჲ და ჴორციელი განსუენებაჲ და აღრევაჲ /19/ ერისკაცთა თანა და სხუაჲვე ესევითარი განმაშორებს ჩუენ ღმრთისაგან. და რამეთუ ძირი ყოველთა ბოროტთაჲ არს ვეცხლისმოყუარებაჲ და ესოდენ ბოროტ არს ვიდრეღა, რაოდენ შორავს ცაჲ ქუეყანასა, უმეტეს შორავს მონაზონი ვეცხლისმოყუარჱ[2] დიდებასა ღმრთისასა. და რამეთუ არა არს ნანდჳლვე ბოროტი სხუაჲ, უბოროტეს ვეცხლისმოყუარისა მონაზუნისა[3]. და რომელი მონაზონი ეზრახებოდის ერისკაცთა, ესევითარსა მას ლოცვაჲ უჴმს მრავალთა წმიდათა მამათაჲ. ანუ არა გუესმისა ნეტარისა იოანე ღმრთისმეტყუელისა სწავლაჲ თუ რასა იტყჳს: ნუ გიყუარს სოფელი, ნუცა ყოველივე რაჲცა არს სოფლისაჲ. და უკუეთუ ვისმე უყუარდეს სოფელი, ესევითარსა მას თანა არა არს სიყუარული ღმრთისაჲ. ესრეთვე კუალად იაკობცა მოციქული მსწავლის[4] ჩუენ და იტყჳს: რომელსა ენებოს სიყუარული სოფლისაჲ ამის, მტერად შეიქმნების იგი ღმრთისა! ვივლტოდით უკუე, ძმანო, სოფლისაგან, ვივლტოდით, ვითარცა ვინ ივლტინ გუელისაგან. და რამეთუ გუელმან სადაცა უცეს, ძნელად განიკურნების. ესრეთვე სახედ ჩუენ, უკუეთუ გუნებავს მონაზონების, ვივლტოდით სოფლისაგან. და რამეთუ უმჯობეს არს ჩუენდა, რაჲთა ერთი ბრძოლაჲ მაქუნდეს და არა მრავალნი და აღურაცხელნი. მითხართ უკუე, მამანო და ძმანო, მამათა ჩუენთა სადა მოიგნეს სათნოებანი, ქალაქთა შინა და სოფელთა ანუ თუ უდაბნოსა შინა და განშორებასა?! მაშ ჩუენ ვითარ შემძლებელ /19v/ ვართ სოფელსა შინა მოგებად სათნოებათა, უკუეთუ არა მოგუემშიოს[5], უკუეთუ არა მოგუეწყუროს, უკუეთუ არა გავცივნეთ[6], უკუეთუ არა მჴეცთა თანა დავემკჳდრნეთ და რაჲთა მოკლედ ვთქუა: უკუეთუ არა მოვკუდეთ ჴორცითა, ვითარ ვცხოვნდეთ სულითა? რამეთუ გუნებავს დამკჳდრებაჲ სასუფეველსა ცათასა თანააღრევითა

[1] შეჰკრებენ] შეჰკრებენაB. [2] ვეცხლისმოყუარჱ] ვეცხლისმოყუარე B. [3] მონაზუნისა] მონაზონისა B. [4] მსწავლის] მასწავლის B. [5] მოგუემშიოს] განვცივნეთ B. [6] განვცივნეთ] მოგუემშიოს B

ერისკაცთაჲთა. მივხედნეთღა[1] სამეუფოსა ამას[2] კაცთასა[3], თუ ვითარ არა თუ ჰბრძოს მჯედარმან და სძლოს და ზედა საფასენიცა წარაგნეს, ვერ მიიღებს პატივსა. რაოდენ უკუე უფროჲსღა ჩუენ ჭამითა და სუმითა და[4] ერისკაცთა თანა აღრევითა, ვერ დავიმკჳდრებთ სასუფეველსა ცათასა. ნუ გუაგონებს ჩუენ ეშმაკი გულისსიტყუათა ბოროტთა და გუეტყჳს: შევიკრიბოთ საჯმარი, რაითა ვიქმოდით მოწყალებასა, რამეთუ რომელი რქისაგან ზეთისა არა იქმს მოწყალებასა, იგი არცა ბევრეულისაგან დრაჰკნისა. ნუ, ძმანო, ნუ ესრეთ, ესე საქმე ერისკაცთაჲ არს, არა ჰნებავს ღმერთსა ჩუენ მონაზონთათჳს ქონებად ოქროჲ და ვეცხლი, არცა სამოსელთა თითოფერებაჲ[5], არცა სხუაჲ რაჲ ნივთი სოფლისაჲ, ვითარცა-იგი და თავადი უფალიცა გუამცნებს: „მიხედენით მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა და მამაჲ თქუენი ზეცათაჲ ზრდის მათ“[6]. მონაზონსა, რომელსა აქუნდეს ოქროჲ, გინა ვეცხლი, ანუ თუ რაჲცა ნივთი, არა ჰრწამს მას, ვითარმედ /20/ ძალ-უც ღმერთსა ზრდაჲ მისი. და უკუეთუ პურსა ვერ ძალ-უც მოცემად ჩუენდა, ვერცა სამე სასუფეველსა ძალ-უც მოცემად ჩუენდა. ხოლო ესე ვიცი, ვითარმედ უკუეთუ რაჲმე მაქუნდეს მე საჭიროდ საჯმარი და მომართუას ვინ სხუაჲ ეგევითარივე და უფროჲსღა ერისკაცმან, იგი ეშმაკისა მანქანებისაჲ არს ნაქმარი და მოგონებული, უკუეთუ კულა არა მაქუნდეს და ვითხოო ერთგზის და ორგზის, მერმე მიბოძებს ღმერთი, რამეთუ იცის, ვითარმედ მიჯმს, ვითარცა-იგი სახედ დანიელს ჯურღმულსა მას შინა ლომთასა. ხოლო უკუეთუ არა მიჯმდეს ანუ თუ მაქუნდეს ოქროჲ, გინა ვეცხლი, ანუ თუ რაჲცა რაჲ ნივთი, და არა გამოვიღო და ვიჯმარო, არამედ მოველოდი, რაჲთა მო-ვინმე-ვიდეს და მომართუას საჯმარი ჩემი, მაშინ[7] თანამონაწილე ვექმნები იუდას ისკარიოტელსა, რომელმან დაუტევა მადლი მიცემული მისდა და გულისთქუმისა მის მიმარ ვეცხლისმოყურებისა რბიოდა, რომელიცა ესე უწყოდა ნეტარმან მოციქულმან პავლე და არა ოდეს ძირად ყოველთა ბოროტთა უწოდა მას, არამედ და კერპთმსახურებადცა სახელ-სდვა[8]. განვიცადოთ უკუე, ძმანო, თუ რომელსაღა მთხრებლსა სიბოროტისასა მიითრევს მონაზონსა სენი ესე ვიდრეღა და კერპთმსახურებასაცა შთააგდებს მას და რამეთუ ჭეშმარიტად განშორებულ არს სიყუარულისაგან ღმრთისა ვეცხლისმოყუარე მონაზონი და კერპსა კაცისასა გამოქანდაკებულსა თაყუანის-სცემს, რომელ არს ოქროჲ. ჳ ვეცხლისმოყუარებაო /20v/ ბოროტო, რომელი განაშორებ მონაზონსა დიდებისაგან ღმრთისა! ჳ ვეცხლისმოყუარებაო მედგარო და მწარეო, რომელი განაშორებ მონაზონსა მწყობრისა მისგან ანგელოზთაჲსა! ჳ ვეცხლისმოყუარებაო, ძირო ყოველთა ბოროტთაო, რომელი ჰყოფ მონაზონსა ყოლადვე მოურნედ[8] მეტისა, ვიდ-

[1] მივხედნეთღა + ძმანო B. [2] ამას] მას B. [3] კაცთასა] მხედრობასა B. [4] და – B. [5] თითოფერობაჲ] თჳთოფერობაჲ B. [6] მთ. 6,26. [7] მაშინ] მაშა B. [8] სახელ-სდვა + მას B. [8] მოურნედ] მოურნე B.

რემდის დაყარნეს ერისმთავარნი იგი ცათანი და შეუდგეს მთავართა ქუეყანისათა! ϑ ვეცხლისმოყუარებაო, შესაკრებელო ყოველთა ბოროტთაო, რომელი აღჰლესავ ენასა მონაზონისასა გინებად[1], ძაგებად და შფოთებად, ვიდრემდის ჰყო იგი ბჭობად საბჭოთა[2] ერისკაცთასა! ვაჲ მის მონაზონისა, რომელმან მისცეს კადნიერებაჲ ვეცხლისმოყუარებისა ეშმაკსა!

ვაჲ გლახ მონაზონსა[3] ვეცხლისმოყუარესა, რამეთუ დაუგდია[4] მცნებაჲ იგი მაცხოვრისაჲ, რომელი თქუა: ნუ მოიგებთ ოქროსა, გინა ვეცხლსა[5]. მრავალგზის მოართუამს ეშმაკი ვეცხლისმოყუარესა მონაზონსა ესევითართა გულისსიტყუათა: აღდეგ, ქმენ ღამისთევაჲ და ხვალისდღე მოხადე ძმათა და ყავ სიყუარული. მერმე წარვალს ეშმაკი წოდებულთა მათ თანა და ეტყჳს: აღიღეთ თქუენ თანა საჴმარი თქუენი. მერმე იტყჳს: შეუძლებელ არს დაჴსნად კანონსა ჩემსა, ვყო ხოლე სამჭმისაჲ[6], შუვადღისაჲ[7] და ცხრაჭმისაჲ[8]. და არა უწყის უბადრუკმან, ვითარმედ: „არა ყოველმან რომელმან მრქუას მე: „უფალო, უფალო“, შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა“[9]. და რაჲ მავნოს ოქრომან და ვეცხლმან, გინა /21/ ნივ/თმან ქუეყნიერმან?! და არა უწყინ[10] მან ესე, ვითარმედ სადა ოქროჲ და ვეცხლი შევალს და ნივთი ქუეყანიერი, მუნ შევალს ლეგეონი ეშმაკთაჲ და წარწყმედაჲ სულისა და ჴორცთაჲ. და რამეთუ არარაჲ კეთილი შევალს მუნ, სადა არს ანგაჰრებაჲ, არამედ ტყებაჲ სამარადისოჲ და ვაებაჲ მოუკლებელი. რამეთუ და ვითარ შევიდეს ლმობიერებაჲ მონაზონსა თანა ვეცხლისმოყუარესა, ვინაჲთგან დაუტეობს[11] იგი ნებასა დამბადებელისა თჳსისასა, რომელმან-იგი უწოდა მას ცხორებად საუკუნოდ და ოქროსა ჰმსახურებს და მას შეიტკბობს. ვითარ უკუე შევიდეს ესევითარსა თანა კაცსა[12] ლმობიერებაჲ, არამედ მრავალგზის მო-ცა-ართუამნ[13] მას ეშმაკნი ცრემლთა და სულთქუმათა და ჰყოფს მას მცემელ მკერდსა და იტყჳნ: „აჰა ესერა, მომცა ღმერთმან ოქროჲცა და ვეცხლი და ზედა ლმობიერებაჲ“, რაჲთა ყოლადვე არა მიუშუას ძირთა მათ ბოროტთა ანგაჰრებისათა აღმოფხურად მისგან. ϑ[14] ძმანო ჩემნო საყუარელნო, ვითარ გუაქუს ჩუენ, მონაზონთა ოქროჲ[15] და ვეცხლი და შესამოსლები და ნივთი და ჯერეთცა არავე დავსცხრებით შეკრებისაგან და გლახაკი, უფროჲსღა თჳთ თავადი ქრისტე, უძლური, მშიერი, შიშუელი და წყურიელი მიმოვალს და არარას კეთილსა ვიქმთ მის ზედა. რაჲ სიტყუაჲ მივსცეთ, ანუ რაჲ პასუხი მიუგოთ, ძმანო, მეუფესა ქრისტესა, რამეთუ ვიჯმენით სოფლისაგან და კუალად მუნვე შინა ვრონინებთ /21v/ და ვორგულობთ[16] სახისა ამისთჳს თუ ანგელოზებრი არს და მოგჳქცევიეს ესე მსოფლიონად და საწუთროდ,

[1] გინებად + და B. [2] საბჭოთა] საბჭოსა B. [3] ~ ვეცხლისმოყუარესა მონაზონსა B. [4] დაუგდია] დაუგდიეს B. [5] შდრ. მთ. 10,9. [6] სამჭმისაჲ] სამჭამისა A. [7] შუვადღისაჲ] შუადღისა B. [8] ცხრაჭმისაჲ] ცხრაჲ ჭამისაჲ A. [9] მთ. 7,21. [10] უწყინ] უწყის B. [11] დაუტეობს] დაუდევებს B. [12] კაცისა B. [13] მო-ცა-ართუამნ] მოართუამნ B. [14] ϑ] ოჲ A. [15] ოქროჲ] ოქრო B. [16] ვორგულობთ] ვორგულებთ B.

ვიდრეცა საუკუნოდ და სულიერად. და ანუ ყოლადვე არას ვიქმთ კეთილსა, ანუ უკუეთუმცა რაჲ ვქმნეთ, ორგულებით და საჩუენებელად ვიქმთ კაცთა, რამეთუ ვინადირობთ[1] კაცთამიერსა ქებასა. ნუ ესრეთ, საყუარელნო ძმანო, ნუ ესრეთ! არამედ[2] ვივლტოდით სოფლისაგან და რამეთუ ძნელ არს ცხოვნებაჲ[3] თჳთ მასცა შინა უდაბნოსა, რაოდენ უკუე უფროჲსღა სოფელსა შინა, ვითარ უკუე ვცხოვნდეთ ჩუენ შორის ერისკაცთა და ამბოხთა[4] ამაოებისათა?! საცნაურ არს ჭეშმარიტად[5], რომელ ვერ ვცხოვნდეთ! და ესეღა რომელ უფალი ჩუენი და მაცხოვარი იტყჳს: „ყოველმან რომელმან არა იჯმნეს სოფლისაგან და ყოველთაგანვე საქმეთა მისთა ვიდრეცა და სულიცა თჳსი არა მოიძულოს და აღიღოს ჯუარი და შემომიდგეს უკუანა ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს“[6].

„ცხოველ ვარ მე, იტყჳს უფალი, გამოედით შორის მათსა და გამოეშორენით და მოისპეთ უკეთურებაჲ სულთაგან თქუენთა“. ხედავთა, ძმანო ჩემნო საყუარელნო, თუ რაოდენ სარგებელ არს სივლტოლაჲ უბნობისაგან მსოფლიოთაჲსა? და რამეთუ ნანდჳლვე უმჯობეს არს ჩუენთჳსცა და მათთჳსცა. და რამეთუ მათი საუბნარი განსყიდისათჳს არს და მოსყიდისა, და დედათათჳს და შვილთა და სიმდიდრისა და საცხოვართა. და ესევითარნი /22/ ესე საზრახავნი განაშორებენ გულისსიტყუათა ჩუენთა ღმრთისაგან. ხოლო უკუეთუ უბნობაჲ ოდენ მათი მარტოდ განაშორებს გულისსიტყუასა ჩუენსა ღმრთისაგან, მაშა მათ თანა ჭამაჲ და სუმაჲ რაოდენსაღა შეიქმს ჩუენ შორის სავნებელსა? არა თუ რამეთუ არიან იგინი არაწმიდანი და ამისჳს ვიტყჳ ამას, ნუ იყოფინ! არამედ, რამეთუ იგინი ჭამენ დღესა შინა ერთგზისცა და ორგზის და ჰამოთა და გემოანთა და დაკლულთა, ხოლო ჩუენ ჯმნილ ვართ დაკლულთაგან და ჰამოთა. და ერთგზის ოდენ დღესა შინა მივიღებთ საზრდელსა მას[7] ზედა. კუალად[8] უკუეთუ გჳხილნენ ჩუენ მაძღრივ მჭამელად, მეყსეულად განმიკითხვენ ჩუენ და იტყჳან: „აჰა ესერა და მონოზონნიცა განვე-ძღებიან“ და არა მოიგონებენ, ვითარმედ ჩუენცა ჴორცნი გუმოსიან და მათცა. კუალად უკუეთუ გჳხილნენ ჭამადთა ზედა მმარხველად, ესრეთვე განმიკითხვენ ჩუენ და იტყჳან: „აჰა, კაცთმოთნენი და მაჩუენებელნი“ და წარიწყმედენ სულთა მათთა ჩუენ ძლით. კუალად უკუეთუ მიხილნენ ჩუენ[9] უბანელითა ჴელითა მჭამელად ანუ თუ შეურაცხითა მოსილად, იტყჳან: „აჰა სიხენეშე და ბაყლიანობაჲ“, უკუეთუ კულა მიხილნენ ჩუენ ბანილად და კარგითა მოსილად, იტყჳან: „აჰა და მონაზონნიცა ტურფობენ“ და ესრეთ წარსწყმედენ თავთა მათთა ჩუენ ძლით. და ჩუენ ვიქმნებით თანამდებ და მიზეზ წარწყმედისა მის მათისა. სივლტოლით ვივლტოდით, ძმანო,

---

[1] ვინადირობთ] ვინადირებთ B. [2] არამედ – B. [3] ცხოვნებაჲ] ცხოვრებაჲ B. [4] ამბოხთა] ამბოხებასა B. [5] ჭეშმარიტად + უკუეთუ B. [6] შდრ. მთ. 10,38. [7] მას] ამას B. [8] კუალად – B. 9 ჩუენ – B.

ტაბლათაგან და ხადილობათა მათთა, /22v/ და ძაგებაჲ მათი ვძებნოთ უფროჲს ვიდრეღა ქებაჲ. ამისთჳს, რამეთუ ქებაჲ მათი მოგუატყუებს ჩუენ სატანჯველთა საუკუნეთა, ხოლო მათი ძაგებაჲ გუექმნების ჩუენ მიზეზ გჳრგჳნთა და მომატყუებელ. და რამეთუ რაჲ არს ჩემდა სარგებელ სათნოვეყო თუ კაცთა და განვარისხო უფალი ღმერთი ჩემი?! და მოწამე არს ამისა მოციქული პავლე და იტყჳს: „უკუეთუმცა ჯერეთ კაცთა სათნო-ვეყოფოდე, ქრისტეს მონამცა არა ვიყავ“[1]. აწ უკუე ვილოცოთ ყოველთა უფლისა მიმართ და ვიტყოდით: იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, განგუარინენ ჩუენ მტერთაგან და მაჭირვებელთა ჩუენთა და გჳჴსნენ ქებისაგანცა და ძაგებისა კაცთაჲსა. და ნუმცა რას ვიქმთ რაჲთურთით სათნოყოფისათჳს მათისა, რამეთუ ვერ ძალ-უც ქებასა მათსა შეყვანებაჲ ჩუენი სასუფეველსა ცათასა, არცა კუალად ძაგებასა მათსა ძალ-უც დაჴშვად ჩუენდა კარსა მას საუკუნოჲსა ცხორებისასა. ვცნათ უკუე, საყუარელნო ძმანო და კურთხეულნო, ვითარმედ ცუდისაცა სიტყჳსათჳს სიტყჳსმიცემაჲ თანაგუაც უფლისა და ღმრთისა და შემოქმედისა ჩუენისა.

XVIII. ძმაჲ მოვიდა **მამისა ელია დაყუდებულისა,** რომელი მყოფ იყო ქუაბსა მას შინა მამისა საბაჲსსა და ჰრქუა მას: მარქუ მე სიტყუაჲ, მამაო! ჰრქუა ბერმან ძმასა მას: დღეთა მათ მამათა ჩუენთასა შეყუარებულ იყვნეს ფრიად სამნი ესე სათნოებანი: უპოვარებაჲ და სიწრფოებაჲ და მარხვაჲ, ხოლო აწ მთავრობენ /23/ მო/ნაზონთა ზედა ანგაჰრებაჲ, ნაყროვანებაჲ და კადნიერებაჲ. რომელიცა გთნავს, იპყარ.

XIX. იტყოდეს **მამისა თეოდორე ფერმელისათჳს,** ვითარმედ სამნი ესე საქმენი თავად აქუნდეს უმეტეს მრავალთა: უპოვარებაჲ, მოღუაწებაჲ და სივლტოლაჲ კაცთაგან.

2. თქუა **მამამან თეოდორე ფერმელმან:** კაცი, რომელი დგეს სინანულსა შინა, იგი არა შეიკრვის მცნებისაგან.

XX. 1. ჰკითხა ბერთაგან ვინმე **თეოფილეს მთავარეპისკოპოსსა** სიტყუაჲ იგი მოციქულისაჲ, ვითარმედ[2]: რაჲ არს თუ „ჟამთა გამოიფრდიდით“[3]? ჰრქუა მას მთავარეპისკოპოსმან: სახელი საცნაურ-ჰყოფს სარგებელსა, ესე იგი არს, მოვიდა ჟამი შეურაცხებისაჲ, მოიყიდე ჟამი იგი კდემისაჲ სიმდაბლითა და სულგრძელებითა და მოიზიდე შესაძინელი თავისა შენისა თანა. კუალად მოიწია ჟამი უპატიოებისაჲ, ძჳრუჴსენებლობითა მოიყიდე ჟამი იგი და შეიძინე. ესრეთ უკუე ყოველთაგან წინააღმდგომთა საქმეთა გამოჩნდების სარგებელი ჩუენი, უკუეთუ გუენებოს.[4]

2. თქუა მანვე ბერმან: ვიღუაწოთ შესლვად ბჭისა მისგან იწროჲსა, რამეთუ ვითარცა სახედ ხეთა და ნერგთა არა თუ მიიღონ ზამთარი და წჳმაჲ, ვერ ძალ-უც გამოღებად ნაყოფისა, ესრეთვე და ჩუენ. რამეთუ საწუთროჲ

[1] გალ. 1,10. [2] ვითარმედ – B. [3] კოლ. 4,5. [4] გუენებოს] გუნებავს B.

ესე ზამთარი არს და არა თუ თავს-ვიდვათ მრავალი ჭირი და ღუაწლი, ვერ შემძლებელ ვართ შესლვად სასუფეველსა ცათასა.

3. მანვე თქუა კუალად: /23v/ უკჱმს მოძღუარსა უცხო იყოს მთავრობისმოყუარებისაგან და უცხო ამპარტავანებისაგან, შორს სილაღისაგან და ზუაობისა და რაჲთა არა მოიკიცხვოდის ლიქნათაგან სხუათაჲსა, არცა იმძლავრებოდის მუცლისაგან, არცა კუალად გულისწყრომისაგან არცა რისხვისა, არამედ უღირს რაჲთა იყოს იგი სულგრძელ, მშჳდ, მდაბალ და მმარხველ, ყოვლითა ძალითა განმკითხველ, მოწყალე და სულთმოყუარე.

XXI. თქუა **მამამან იოანე**: მე მნებავს, რაჲთა მიიღოს კაცმან მცირედ-მცირედ ყოველთაგანვე სათნოებათა. და აწ უკუე ყოველთა დღეთა აღსდგე რაჲ განთიად, იწყე თავსა ყოველსავე სათნოებასა და მცნებასა ღმრთისასა მოთმინებითა დიდითა, შიშითა და სულგრძელებითა და სიყუარულითა ღმრთისაჲთა, ყოვლითავე გულსმოდგინებითა სულისა და ჴორცთაჲთა, მრავლითა სიმდაბლითა და მოთმინებითა ტკივნეულებისა გულისათა და შეკრძალებითა ფრიადითა, ლოცვითა მიმდემითა[1] და ვედრებითა, სულთქუმითა ლმობიერად, სიწმიდითა გონებისაჲთა, ენისა პყრობითა[2], თუალთა შეკრძალვითა ესოდენ, ვიდრეღა იგინებოდიცა თუ, ნუ განრისხნები, არამედ მშჳდ იყავ და წყნარ. და[3] ნუვის მიაგებ ბოროტსა ბოროტისა წილ. ნუცა მიხედავ სხჳსა ცთომასა, არამედ გაქუნდინ თავი შენი უდარეს ყოველთა დაბადებულთა. იჯმენ ყოვლისაგან ნივთისა მსოფლიოჲსა და ყოველისაგანვე ჴორცთა განსუენებისა და რაჲთა მოკლედ ვთქუა: /24/ ჯუარს-აცუ თავი შენი მოღუაწებითა და სიგლახაკითა სულისაჲთა, გულსმოდგინებითა გონებისაჲთა და მარხვითა ძლიერითა, სინანულითა და გლოვითა და სიმჴნითა ბრძოლათა შინა, ცრემლითა მჴურვალითა და[4] სიწმიდითა სულისაჲთა, საზრდელსა ზომიერად მიღებითა, ჴელთსაქმრისა მყუდროებითა, ღამისა ლოცვათა შინა მღჳძარებითა, შიმშილითა და წყურვილითა, სიცივითა და შიშულოებითა, ტკივილითა და ლმობითა შეაიწრე[5] თავი შენი, ვითარცა საფლავსა შინა, ვითარცა ადრევე მომკუდარმან, რაჲთა ყოველსა ჟამსა მოელოდი სიკუდილსა შენსა.

XXII. მითხრა ჩუენ **მამამან კასიანე** ვისთჳსმე **მამისა იოანე კრებულისა წინამძღურისათჳს,** ვითარმედ დიდ იყო იგი სოფელსა შინა და ოდეს მიიცვალებოდა იგი და ეგულვა[6] ღმრთისა მიმართ განსლვაჲ, მხიარულ იყო იგი ფრიად და სურვიელ. გარემოადგეს მას ძმანი და ევედრებოდეს, რაჲთა სიტყუაჲ რაჲმე მოკლე და საცხორებელი, ვითარცა ნაწილი მკჳდრობისაჲ დაუტეოს მათ, რომლითა შეუძლონ აღსლვად ღმრთისამიერსა მას სის-

[1] მიმდემითა.....ლმობიერად – B. [2] ენისა პყრობითა] ენისპყრობითა B. [3] B ნუსხაში ტექსტი გრძელდება 20r-ზე (აკინძვის შეცდომა). [4] და – B. [5] შეაიწრე] შეაჲწრე A. [6] ეგულვა] ეგულებოდა B.

რულესა. ხოლო მან სულთ-ითქუნა და ჰრქუა მათ: არა ოდეს ვყავ ნებაჲ ჩემი, არცა ვის ვასწავე სხუასა, რომელი პირველ მე არა ვქმენ.

XXIII. თქუა **ნეტარმან იოანე ოქროპირმან:** ოდეს დასჯდებოდი[1] აღმოკითხვად სიტყუათა საღმრთოთა, პირველად ხადე ღმერთსა, რაჲთა განახუნეს თუალნი სულისა შენისანი, რაჲთა არა აღმოიკითხვიდე ოდენ წერილსა მას, არამედ რაჲთა იქმოდიცა, რაჲთა არა დასასჯელად თავისა შენისა /24v/ აღმოიკითხვიდე ცხორებათა და სიტყუათა წმიდათასა.

XXIV. 1. ეტყოდა **მამაჲ იოანე კილიკიელი, წინამძღუარი რაჲთისაჲ** ძმათა: შვილნო, ვითარცა ვივლტოდეთ სოფლისაგან, ვივლტოდით გულისთქუმისაგანცა პორცთაჲსა.

2. თქუა კუალად: მივჰბაძვიდეთ მამათა ჩუენთა და მოვიპსენოთ თუ ვითარითა ფიცხლად მოღუაწებითა და დაყუდებითა სხდეს აქა.

3. კუალად თქუა: ნუ შევამწიკულებთ, ძმანო, ადგილსა ამას, რომელი მამათა ჩუენთა განწმიდეს ეშმაკთაგან.

4. მანვე თქუა: ესე ადგილი მოღუაწეთაჲ არს, არა ვაჭართა[2] და ფერეზიკთაჲ.

5. აღვედით ჩუენ ოდესმე გესამანიაჲთ მთასა ზეთისხილთასა და იყო მუნ მონასტერი მამისა აბრაჰამისი. ამას მონასტერსა შინა იყო წინამძღურად მამაჲ იოანე კჳზიკელი[3]. ვჰკითხეთ მას და ვარქუთ: ვითარ ვინ მოიგოს, მამაო, სათნოებაჲ? მოგჳგო ბერმან და გურქუა ჩუენ: უკუეთუ ვისმე უნდეს მოგებაჲ სათნოებისაჲ, ვერ მოიგებს, არა თუ პირველად მოიძულოს დამართებითი მისი უკეთურებაჲ. ესე იგი არს, უკუეთუ გსურის მოგებად გლოვისა, მოიძულე სიცილი და განცხრომაჲ. უკუეთუ გნებავს რაჲთა მოიგო სიმდაბლე, მოიძულე ამპარტავანებაჲ. უკუეთუ გნებავს რაჲთა მმარხველ იყო, მოიძულე ნაყროვანებაჲ. უკუეთუ გნებავს რაჲთა წმიდა იყო, მოიძულე ბილწებაჲ. უკუეთუ გნებავს უპოვარებაჲ, მოიძულე ვეცხლისმოყუარებაჲ. რომელსა უყუარდეს მკჳდრობაჲ უდაბნოსა, /25/ მან უეჭუელად მოიძულოს ქალაქი დასაბრკოლებელთათჳს[4] მისთა. რომელსა ენებოს უცხოების, განეშორების თჳსთაგან. რომელსა უნდეს პყრობაჲ გულისწყრომისაჲ, მოიძულებს მრავალთა თანა მკჳდრობასა. რომელსა უნდეს ძჳრუჳსენებლობაჲ, მოიძულებს განკითხვასა. რომელსა უყუარდეს უშფოთველობაჲ, თჳსაგან[5] დაემკჳდრების. რომელსა უყუარდეს დუმილი, დაიყოფს[6] ყურთა თჳსთა, რაჲთა არა ესმოდის მრავალი. რომელსა უყუარდეს შემსჭუალვაჲ შიშსა ღმრთისასა, სამარადისოდ მოიძულებს იგი ჰორციელსა განსვენებასა და შეიყუარებს იგი ჭირსა და იწროებასა მიმდემსა.

---

[1] დასჯდებოდი] დაშჯდებოდე B. [2] ვაჭართა] ვაჭართაჲ B. [3] კჳზიკელი] კოზიკელი B. [4] დასაბრკოლებელთათჳს] საბრკოლებელთათჳს B. [5] თჳსაგან] თჳსსაგან B. [6] დაიყოფს] დაჲყოფს A.

XXV. 1. ძმამან ჰკითხა **მამასა იოსებს** და ჰრქუა: უკუეთუ შეიქმნეს დევნულებაჲ, კეთილ არსა, მამაო, სივლტოლაჲ უდაბნოდ, ანუ თუ უმჯობეს არს ქალაქად და სოფლად მოვლტოლაჲ? ჰრქუა მას ბერმან: სადაცა გესმას, ვითარმედ არიან მართლმადიდებელნი, მუნ წარვედ მახლობელად მათსა. და ნუმცა გაქუს სიყუარული ყრმისა თანა რაჲთურთით, ნუცა დასჯდები მის თანა წამსაცა ერთსა. და უკუეთუ შეუძლო სენაკსა შინა დაყუდებაჲ, ესე კეთილვე არს. და მოიმუშაკე მხალი შენი თჳთ, რაჲთა არა გინდეს წარსლვაჲ სხჳსა თანა თხოვად.

2. კუალად ჰრქუა მას ძმამან: მნებავს დაჯდომაჲ კრებულსა შორის, რაჲთა დავეყუდო სენაკსა შინა ჩემსა და მივსცემ მე ჴელთსაქმარსა ჩემსა და მიერ[1] მომცემდენ მე საჴმარსა ჩემსა. ჰრქუა /25v/ მას ბერმან: მამათა ჩუენთა არა ინებეს საქმე ესე, უკუეთუ არა, არღარავის მისცე პური შენი, რამეთუ არა გიტეოს შენ[2] სატანა.

XXVI. 1. იტყოდეს **მამისა ისაკისთჳს,** ვითარმედ ოდეს ეგულებოდა მიცვალებაჲ, მოვიდეს მისა ბერნი და ეტყოდეს: რაჲ ვყოთ შემდგომად შენსა, მამაო? ხოლო მან ჰრქუა მათ: იხილეთა, თუ ვითარ ვიდოდე წინაშე თქუენსა, უკუეთუ ინებოთ თქუენცა შედგომად და დამარხვად მცნებათა ღმრთისათა, მოავლინოს ღმერთმან მადლი თჳსი და დაიცვას[3] ადგილი ესე. უკუეთუ კულა არა დაიმარხნეთ[4], ვერ იყვნეთ ადგილსა ამას. და რამეთუ ჩუენცა გუელმოდა ფრიად ოდეს-იგი მიიცვლებოდეს მამანი ჩუენნი, არამედ მცნებათა ღმრთისათა და მოძღურებასა მამათა ჩუენთასა ვიმარხევდით. და ვიყვენით უშიშად, ვითარმცა იგინი ჩუენ თანა იყვნეს, ესრეთვე უკუე თქუენცა იქმოდეთ და სცხოვნდეთ.

XXVII. 1. ძმამან ჰკითხა **მამასა იერაკს** და ჰრქუა: მარქუ მე სიტყუაჲ, მამაო, რომლითა ვცხოვნდე. ჰრქუა მას ბერმან: დაჯედ სენაკსა შინა შენსა, უკუეთუ მოგემშიოს, ჭამე და უკუეთუ მოგეწყუროს, სუ და ნუვისთჳს ზრახავ ძჳრსა და სცხოვნდე.

2. მასვე **მამასა იერაკს** ჰკითხა ვინმე ძმამან: ვითარ ვცხოვნდე? ჰრქუა მას ბერმან: დაჯედ სენაკსა შინა შენსა, სტიროდე ცოდვათა შენთა და ნუვის განიკითხავ ყოლადვე და სცხოვნდე.

XVIII. 1. თქუა მამამან **იოსებ თიბელმან[5],** ვითარმედ: სამი საქმე არს პატიოსან წინაშე უფლისა: ერთად, ოდეს კაცი დასნეულდეს და დაერთნენ მას ზედა განსაცდელნი და მადლობით მიითუალოს ყოველივე იგი. ხოლო მეორედ, ოდეს ქმნეს კაცმან ყოველივე /26/ საქმე თჳსი წმიდად წინაშე ღმრთისა, რომელ არარაჲ ერთოს ყოლადვე კაცობრივი. და მესამედ, ოდეს მორჩილებასა ვინ ქუეშე ჯდეს მამისა სულიერისასა და ყოვლისაგანვე

---

[1] მიერ – B. [2] შენ – B. [3] დაიცვას] დაჲცვას A. [4] დაიმარხნეთ] დაჲმარხნეთ A. [5] თიბელმან] თებელმან B.

იჯმნეს სრულებით ნებისა თჳსისა. ხოლო აქუს ამას ერთი გჳრგჳნი მეტად, გარნა მე უძლურებაჲ იგი შევიტკბე.

XXIX. 1. ძმამან ჰკითხა **მამასა კრონოსს:** მითხარ მე სიტყუაჲ. ჰრქუა მას ბერმან: ოდეს მივიდა[1] ელისე სომანიტელსა მას თანა, პოვა იგი, რამეთუ არავის თანა ედვა საქმე. მიუდგა იგი და შვა მისლვასა მას ზედა ელისესსა. ჰრქუა მას ძმამან: რაჲ არს სიტყუაჲ ესე, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: სული ოდეს ფრთხილ იყოს და მღჳძარე და შემოიკრიბოს თავი თჳსი შფოთთაგან და დაუტევნეს ნებანი თჳსნი, მაშინ მოვალს სული ღმრთისაჲ მის ზედა, მაშინღა შეუძლებს შობად სათნოებასა, რამეთუ ბერწ არს იგი.

2. ძმამან ჰკითხა **მამასა კრონოსს:** რაჲ უყო დავიწყებასა რომელი ტყუე-ჰყოფს გონებასა ჩემსა და არა უტევებს ბრძნობად, ვიდრემდე შთა-მაგდოს მე ცოდვასა? ჰრქუა მას ბერმან: ოდეს წარიღეს კიდობანი იგი უცხოთესლთა ბოროტთათჳს საქმეთა ძეთა ისრაჱლისათა, მიზიდვიდეს მას ვიდრემდის მიიღეს იგი სახლსა დაღონის, ღმრთისა მათისასა. და მაშინღა დაეცნეს იგინი პირსა ზედა მათსა. ჰრქუა მას ძმამან: რაჲ არს ესე? ჰრქუა მას ბერმან: ოდეს უსწრან ეშმაკთა და ტყუე-ყონ გონებაჲ კაცისაჲ მიზეზთა მიერ თჳსთა, ესოდენ მიზიდვენ მას, ვიდრემდის მიითრიონ იგი თავსა ზედა ბოროტთა ცოდვათასა. /26v/ მას ჟამსა და მას ადგილსა ცოდვისასა მო-რაჲ-იქცეს გონებაჲ და ძიება-ყოს ღმერთი და მოიჴსენოს საუკუნოჲ იგი სასჯელი, მეყსეულად დაემჴობვის ვნებაჲ იგი და უჩინო იქმნების, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: ოდეს მოიქცე და სულთ-ითქუნე, მაშინ სცხოვნდე და სცნა, თუ სადა იყავ.

3. თქუა **მამამან კრონიოს,** ვითარმედ: უკუეთუმცა არა აღეყვანნეს მოსეს ცხოვარნი მთასა სინასა, არამცა ეხილვა ცეცხლი იგი და მაყუალი. ჰკითხა ძმამან ვინმე ბერსა: რად[2] ითარგმნების, მამაო, მაყუალი იგი? ჰრქუა მას ბერმან: მაყუალი გამოისახვის სახედ ჴორციელთა საქმეთა, რამეთუ წერილ არს: „მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ საუნჯესა დაფარულსა აგარაკსა შინა“[3]. ჰრქუა ძმამან მან[4] ბერსა: ვითარ ჰგავს, გარეშე ჴორციელთა შრომათა ვერ წარემართების კაცი პატივსა. ჰრქუა მას ბერმან: გინაღა წერილ არს: მივხედვიდეთ სარწმუნოებისა ჩუენისა წინამძღუარსა და სრულმყოფელსა იესუს, რომელმან წინამდებარისა მისთჳს დიდებისა დაითმინა[5] ჯუარი. და კუალად დავით იტყჳს: „არა ვსცე ძილი თუალთა ჩემთა, არცა ჰრული წამთა ჩემთა“[6] და შემდგომი.

XXX. თქუა **მამამან მაკარი:** ნუ დაიძინებ[7] სენაკსა შინა მონაზონისა, რომლისა სახელი ჰავი განსრულ იყოს.

XXXI. ძმამან ჰკითხა **მამასა მაკარის დიდსა** სისრულისათჳს. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ არა მოიგოს კაცმან სიმდაბლჱ[8] დიდი გონებითაცა და

---

[1] მივიდა] მოვიდა B. [2] რად] რაჲ B. [3] მთ. 13,44. [4] მან – B. [5] დაითმინა] დაჲთმინა A. [6] ფს. 131,4. [7] დაიძინებ] დაჲძინებ A. [8] სიმდაბლჱ] სიმდაბლე B.

ჴორცითა და არარას ზედა საქმესა შეურაცხ-ყოს თავი თჳსი, არამედ /27/ უფრ/ოჲსღა რაჲთა აქუნდეს თავი თჳსი უქუეს ყოველთა დაბადებულთა და რაჲთა[1] არცა ერთსა ვის განიკითხვიდეს ყოლადვე, არამედ თავსა ოდენ თჳსსა. და რაჲთა ითმენდეს ყოველსავე კდემულებასა და რაჲთა განსთხევდეს თავისაგან თჳსისა ყოველსავე ბოროტებასა და რაჲთა აიძულებდეს[2] თავსა თჳსსა სულგრძელებისათჳს სიტკბოებისა და ძმათმოყუარებისა და რაჲთა იყოს იგი წმიდა და მმარხველ, ვინაჲთგან წერილ არს, ვითარმედ: „მაიძულებელთაჲ[3] არს სასუფეველი ცათაჲ“ და რომელნი აიძულებდენ[4], მათ მოიტაცონ იგი. და რაჲთა იყოს იგი მართლიად მხედველ თუალითა და შეკრძალულ ენითა. და რაჲთა გარემიიქცეოდის იგი ყოვლისაგანვე სასმენელისა ამაოჲსა და სულთა განმხრწნელისა. და რაჲთა აქუნდეს სიმართლე ჴელთაჲ და სიწმიდე გულისაჲ წინაშე ღმრთისა. და რაჲთა აქუნდეს უბიწოებაჲ ჴორცთაჲ და ჴსენებაჲ სიკუდილისაჲ სამარადისოჲ წინაშე თუალთა თჳსთა. და[5] რაჲთა იჯმნას ყოველისაგანვე მრისხანებისა და ყოველისაგანვე ბოროტებისა ჴორცთაჲსა და სულისა. და რაჲთა იჯმნეს ყოვლისაგანვე ნივთისა ჴორციელისა და გემოთა ჴორციელთა, და რაჲთა იჯმნას ეშმაკისაგან და ყოველთაგანვე საქმეთა მისთა და რაჲთა მტკიცედ შეეწყნაროს და მოუდრეკელად ყოველთა მეუფესა ღმერთსა და რაჲთა ყოველთავე მცნებათა მისთა უცონილად აღასრულებდეს! და რაჲთა მოუკლებელად ილოცვიდეს და რაჲთა ყოველსა შინა ჟამსა და ყოველსა ზედა საქმესა და მოგონებასა შემსჭვალულ იყოს ღმრთისა და /27v/ რომელმან ესე ყოველი არა ყოს, ვერ ძალ-უც მას მისლვაჲ სრულებასა.

XXXII. თქუა **მამამან მარკოს:** შჯული იგი თავისუფლებისაჲ ასწავებს კაცსა ყოველსავე ჭეშმარიტებასა. და რამეთუ მრავალნი არიან, რომელნი აღმოიკითხვენ ამას, ხოლო მცირედნი არიან, რომელნი სცნობენ, რამეთუ მოქმედებისაებრ მცნებათაჲსა მიეცემის მეცნიერებაჲცა. ნუ ეძიებ უკუე სრულებასა მისსა კაცობრივთა შინა სათნოებათა, რამეთუ არა იპოების მათ შინა სრული. და რამეთუ სისრულე მისი ჯუარსა თანა ქრისტესსა დაფარულ არს.

XXXIII. 1. ძმაჲ მივიდა სკიტეს **მამისა მოსესსა** და ითხოვდა მისგან სიტყუასა. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და დაჯედ სენაკსა შინა შენსა და სენაკმან შენმან გასწაოს შენ ყოველივე.

2. თქუა **მამამან მოსე:** რომელსა აქუნდეს მახლობელად თჳსა[6] იესუ და მოცალე იყოს მისა მიმართ, კეთილად ჰყოფს უკუეთუ არა შეიყვანებს კაცსა სენაკად თჳსად.

3. თქუა კუალად: შეუძლებელ არს ვისგანცა მოგებაჲ იესუჲსი თჳნიერ შრომითა და სიმდაბლითა და სამარადისო ღოცვითა.

---

[1] რაჲთა – B. [2] აიძულებდეს] აჲძულებდეს A. [3] მაიძულებელთაჲ] მაჲძულებელთაჲ A. [4] აიძულებდენ] აჲძულებდენ A. [5] და რაჲთა...სულსა – B. [6] თჳსა] თჳსსა B.

XXXIV. 1. თქუა **მამამან მატოჲ,** ვითარმედ: სამნი ბერნი წარვიდეს მამისა პაფნოტისა[1], რომელსა ერქუა კეფალა, რაჲთა ჰკითხონ მას სიტყუაჲ. ჰრქუა მათ ბერმან: რაჲ გნებავს, რაჲთა გითხრა თქუენ, სულიერი ანუ ჯორციელი? ჰრქუეს მას: სულიერი. ჰრქუა მათ ბერმან: წარვედით და შეიყუარეთ ჭირი უფროჲს განსუენებისა და შეურაცხებაჲ უფროჲს დიდებისა და მიცემაჲ უფროჲს მოღებისა.

2. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რომელი არს საქმე კეთილისაჲ, რაჲთა ვყო იგი და ვცხოვნდე /28/ მე მას შინა? ჰრქუა მას ბერმან: ღმერთმან იცის კეთილი, შვილო, თჳნიერ მესმა, ვითარმედ ჰკითხა ვინმე მამათაგანმან მამასა ნისთერეონს, დიდსა მეგობარსა მამისა[2] ანტონისსა, ესევე სიტყუაჲ და მან თქუა, ვითარმედ: არა არიან ყოველნივე საქმენი და სათნოებანი ერთ, არცა სწორ. ამისთჳს, რამეთუ იტყჳს წერილი, ვითარმედ: აბრაჰამ უცხოთმოყუარე იყო და ღმერთი იყო მის თანა. და ელიას უყუარდა დაყუდებაჲ და ღმერთი იყო მის თანა. და[3] დავით მშჳდ იყო და მდაბალი და ღმერთი იყო მის თანა. აწ უკუე რომელსაცა ზედა საქმესა კეთილსა ღმრთისამიერსა იხილო სული შენი მიდრეკილად, მასცა იქმოდე და დაიცევ ძალისაებრ გული შენი და გონებაჲ.

XXXV. 1. თქუა მამამან **პიმენ მამისა ნისთერეონისთჳს**, ვითარმედ: ვითარცა გუელი იგი რვალისაჲ, რომელი შექმნა მოსე საკურნებელად ერისა მის ისრაჱლთაჲსა, ესრეთვე იყო ბერი აღსავსე ყოვლითავე სათნოებითა, ვიდრეღა და მებრ დუმილითა განჰკურნებდა ყოველთა.

2. კითხულ იქმნა ოდესმე **მამაჲ ნისთერეონ მამისა პიმენისგან,** ვითარმედ: სადაჲთ მოიგე სათნოებაჲ ესე? რამეთუ უკუეთუ შეიქმნის რაჲ მწუხარებაჲ შორის კრებულსა, არარას იტყჳნ ბერი, არცა რას განაგებნ. მიუგო მან და ჰრქუა მას: შემინდვე, მამაო, რამეთუ ოდეს შემოვედ პირველად კრებულსა ამას, ვარქუ გონებასა ჩემსა, ვითარმედ: შენ და ვირი სწორ ხართ. და ვითარცა სახედ ვირი იცემების და არას იტყჳს, იგინების და არას მიუგებს, ესრეთვე და შენცა იქმოდე, ვითარცა-იგი და მგალობელიცა იტყჳს, ვითარმედ: /28v/ „ვითარცა პირუტყჳ შევირაცხე შენ წინაშე და მე მარადის შენ თანა ვარ“[4].

XXXVI. 1. თქუა **მამამან პიმენ:** დაცვაჲ მცნებათაჲ, შეკრძალვაჲ თავისაჲ და განკითხვაჲ, სამნი ესე სათნოებანი მძღუარნი არიან სულისანი.

2. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: ვითარ უღირს კაცსა მოქალაქობაჲ? ჰრქუა მას ბერმან: ვხედავთ დანიელს, რამეთუ არა იპოვა მისთჳს შესმენაჲ, არამედ მსახურებაჲ ოდენ უფლისა ღმრთისაჲ.

3. თქუა კუალად: სიგლახაკჱ[5] და ჭირი და იწროებაჲ და მარხვაჲ ესენი არიან საქმენი მონაზონისანი, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: უკუეთუ

---

[1] პაფნოტისა] პაფნოტისსა A. [2] მამისა] დიდისა B. [3] და – B. [4] ფს.72,22-23. [5] სიგლახაკჱ] სიგლახაკე B.

იყვნენ სამნი ესე კაცნი ნოე, იობ და დანიელ, ცხოველ ვარ მე, იტყჳს უფალი: ნოე სახე არს უპოვარებისაჲ, იობ – ჭირისაჲ და დანიელ – განკითხვისაჲ. აწ უკუე, უკუეთუ იყვნენ სამნი ესე საქმენი კაცსა თანა, უფალი დაიმკჳდრებს[1] მას[2] თანა.

4. კუალად თქუა: უკუეთუ ორთა საქმეთა სძლოს მონაზონმან, ძალ-უც განთავისუფლებად სოფლისაგან. ჰრქუა მას ძმამან: მითხარ მე სხუაჲ სიტყუაჲ. მიუგო ბერმან: რაოდენ[3] ძალ-გიც, იქმოდე[4] ჴელთსაქმარსა, რაჲთა იქმოდი მიერ მოწყალებასა, რამეთუ წერილ არს: მოწყალებისა მიერ და სარწმუნოებისა, განწმდებიან ცოდვანი. ჰრქუა მას ძმამან: რაჲ არს სარწმუნოებაჲ? ჰრქუა მას ბერმან: სარწმუნოებაჲ არს სიმდაბლით ქცევაჲ და ყოფაჲ მოწყალებისაჲ.

5. თქუა კუალად: რომელსა ზედა საქმესა გული შენი არა დაჯერებულ იყოს, ნუ შეუშუებ ყოლადვე /29/ საქმესა მას გულად შენდა.

6. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: რაჲ უყო, მამაო, ურგებთა მეგობართა, რომელნი მქონან? ჰრქუა მას ბერმან: და არსა კაცი ქუეყანასა ზედა, რომელიმცა ხრტინვიდა სასიკუდინედ და ეძიებდა მეგობართა ამის სოფლისათა?! ნუუკუე დაეახლები მათ, ნუცა შეეხები მათ და თჳთ თავით თჳსით უცხო იქმნენ იგინი შენგან.

7. თქუა კუალად: ოდეს ინებოს კაცმან აღშენებაჲ სახლისაჲ, მრავალსა საჴმარსა შეჰკრებს, რაჲთა ვითარ შეუძლოს აღმართებად სახლისა, და მრავალსა ნივთსა. ესრეთვე და ჩუენ მოვიღოთ მცირედ-მცირედ ყოველთაგან სათნოებათა.

8. მანვე თქუა: დავით მიუწერა იოაბს: შეიკრძალე ბრძოლაჲ და სძლო ქალაქსა მაგას და დაამჴუა ეგე და დაარღჳო.

9. მანვე თქუა: ეტყოდა იოაბ მჴედრობასა მას ისრაჱლთასა: განმჴნდით და იქმნენით ძჱ ძლიერების და ვჰბრძოთ[5] უცხოთესლთა ერისათჳს ღმრთისა, რომელ ესე აწ ჩუენ ვართ.

10. თქუა **მამამან პიმენ:** უკუეთუ ხილნი იხილნე და გესმნენ სმენანი, ნუ მიუთხრობ მას მოყუასსა შენსა, რამეთუ გარემოქცევაჲ არს ბრძოლისაჲ.

11. თქუა კუალად: პირველად ივლტოდე ერთგზის და მეორედ ივლტოდე, ხოლო მესამედ იქმენ მახჳლ აღლესულ.

12. კუალად თქუა მანვე **მამამან პიმენ** და ჰრქუა **მამასა ისაკს:** აღა-სუბუქე კერძოჲ სიმართლისა შენისაჲ და ჰპოო განსუენებაჲ მცირედთა შინა დღეთა შენთა.

13. ჰკითხა **მამამან** /29v/ **ვიტიმი მამასა პიმენს** და ჰრქუა: უკუთუ ვისმე აქუნდეს ჩემდამო მწუხარებაჲ და შეუვრდე მას და არა შემინდოს,

---

[1] დაიმკჳდრებს] დაიმკჳდრებს A. [2] მას] მის B. [3] რაოდენ] რაოდენი B. [4] იქმოდე + მის B. [5] ვჰბრძოთ] ვჰბრძოლოთ B.

რაჲ ვყო? ჰრქუა მას ბერმან: წარიყვანენ შენ თანა ორნი სხუანი ძმანი და ესრეთ შეუვრდი. და უკუეთუ არა გერჩდეს, წარიყვანენ შენ თანა ხუთნი. ხოლო უკუეთუ ესრეთცა არავე გერჩდეს, წარიყვანენ შენ თანა მღდელნი. და უკუეთუ არცაღა ესრეთ ისმინოს, უშფოთველად ილოცე მიერითგან ღმრთისა მიმართ, რაჲთა მან გულსავსე-ყოს იგი, ხოლო შენ იყავ უზრუნველად.

14. ძმაჲ წარვიდოდა სავაჭროდ და ჰკითხა **მამასა პიმენს:** რაჲ გნებავს და ვყო? ჰრქუა მას ბერმან: იყავ მოყუარე მისა, რომელი მაიძულებელ[1] იყო თავისა თჳსისა და განსუენებით განჰყიდდი ჴელთსაქმარსა შენსა.

15. თქუა კუალად: კაცსა, რომლისა მიმართ[2] გული შენი არა გულსავსე იყოს, ნუ არწმუნებ მას გულისსიტყუასა შენსა.

16. თქუა კუალად: ესევითარი მოქალაქობაჲ მისცა ღმერთმან პირველ ისრაჱლთა, რაჲთა განეყენნენ საქმეთაგან, რომელნი გარეგან არიან ბუნებისა, ვითარ: რისხვაჲ, გულისწყრომაჲ, შური, სიძულილი, განკითხვაჲ ძმისაჲ და სხუანი იგი საქმენი სიძუელისანი.

XXXVII. მოვიდა ოდესმე მთავრი **მამისა პალადისა[3],** რამეთუ უნდა ხილვაჲ მისი ჰამბავისა[4] მისთჳს, რომელი განსრულ იყო მისთჳს. და აღიყუანა მის თანა მალემწერალი და ჰრქუა მას: შევალ მე მამისა, ხოლო შენ აღწერე მტკიცედ ყოველივე სიტყუაჲ, რომელი გამოვალს[5] პირით მისით. შევიდა უკუე მთავარი /30/ ბერისა და ჰრქუა მას: ლოცვა ყავ, მამაო, ჩემთჳს, რამეთუ მქონან მრავალნი ცოდვანი. ჰრქუა მას ბერმან: უცოდველი მხოლოჲ ოდენ არს იესუ ქრისტე. ჰრქუა მას მთავარმან: ნანდჳლვე, მამაო, ყოვლისავე[6] ცოდვისათჳს მიგუეჴადებისა სასჯელი[7]? ჰრქუა მას ბერმან: რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: შენ მიაგო კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ! ჰრქუა მას მთავარმან: განმიმარტე მე სიტყუაჲ ეგე. ჰრქუა მას ბერმან: თჳთ განმარტებული არს, გარნა ყოველსავე ზედა ისმინე წურილად: გიჭირვებია მოყუსისადა? – მოელოდე ნაცვალსა! მიგიხუეჭიეს უდარესისაჲ? გლახაკი შეგიშთობია? პირი უსამართლოჲ მიგიღებიეს[8]? სასჯელსა შინა გირცხუენია? განგიკითხავს? ცილი დაგიწამებია? განგიცრუებია? უცხოთა ქორწილთა[9] ზედა შესრულ ხარ? გიფიცავს? ცრუდ გიფიცავს? საზღვარი მამათაჲ შეგიშლია? ობოლთა მონაგებსა ზედა შესრულ ხარ? ქურივნი შეგიჭირვებიან? ამიერი ესე გემოვნებაჲ საუკუნეთა მათ აღგირჩევიეს კეთილთა? ამათ ყოველთათჳს მოელოდე ნაცვალსა მოსაგებელსა, რამეთუ ვითარცა სთესოს კაცმან, ესევითარიცა მოიმკოს. ესრეთვე კუალად, უკუეთუ კეთილი რაჲ გიქმნიეს, მისსაცა მოელოდე მრავალწილად სასყიდელსა, რამეთუ იტყჳს: შენ მიაგო კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ. უკუეთუ ამას

[1] მაიძულებელ] მაჲძულებელ A. [2] აქ შემოდის E ნუსხა (აკინძვის შეცდომა ტექსტი იწყება 13r-ზე). [3] პალადისა] პალადისსა BE. [4] ჰამბავისა] ჰანბავისა E. [5] გამოვალს] გამოვალნ E. [6] ყოვლისავე] ყოვლისა E. [7] სასჯელი] საშჯელი E. [8] მიგიღებიეს] მიგიღებია E. [9] ქორწილთა] ქორწილსა E.

და ესევითარსა იჴსენებდე ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა, შეუძლო /30v/ შენ სივლტოლაჲ მრავალთაგან ცოდვათა. ჰრქუა მას მთავარმან: და რაჲ ჯერ არს ქმნად, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: იგონებდი საუკუნეთა მათ და დაუსრულებელთა და შეუცვალებელთა კეთილთა, სადა-იგი არღარა არს ღამე, არცა ბნელი ცოდვათაჲ, სადა-იგი არღარა არს ჰრული და ძილი, მოძმე სიკუდილისაჲ, სადა-იგი არღარა არს ჭამაჲ, არცა სუმაჲ, სამსახურნი იგი უძლურებისა ჩუენისანი, სადა-იგი არღარა არს სენი, არცა წყლული, არცაღა ტკივნეულებაჲ, არცა წამალნი, არცა მკურნალნი, სადა-იგი არღარა არიან მსაჯულნი და არცა სამსჯავრონი, არცაღა კრებანი და ურაკპარაკნი, არცაღა საჴმართამიერი იგი ბოროტი მთავრობაჲ, დაწყებაჲ ბრძოლათაჲ და ძირი მტერობისაჲ, არმედ სოფელი არს ცხოველთაჲ, საყოფელი მართალთაჲ და ადგილი პატივცემულთა ღმრთისათაჲ[1], სადა-იგი არღარა არს ცოდვისამიერი იგი მწარე სიკუდილი, არამედ ყოველივე ცხოველთა და ცხოვნებულთაჲ ჭეშმარიტისა მის მიერ ცხორებისა და მაცხოვრისა სულთა ჩუენთაჲსა იესუ ქრისტეს უფლისა ჩუენისა. ამას ზედა სულთ-ითქუნა მთავარმან და თქუა: ჭეშმარიტად ესრეთ არს ყოველივე, ვითარცა სთქუ, მამაო! და სარგებელ ეყო ფრიად და აღეშენა და წარვიდა სახედ თჳსა სიხარულით და ჰმადლობდა ღმერთსა.

XXXVIII. 1. მითხრეს ჩუენ **მამისა** /31/ **პამბოჲსთჳს**[2]**,** ვითარმედ მიიცვალებოდა რაჲ თჳთ, ჟამთაღა სულთა აღმოსლვისასა, უთხრა გარეშე მისა მდგომარეთა წმიდათა კაცთა, ვითარმედ: რაჲ დღითგან მოვედ ადგილსა ამას[3] უდაბნოჲსასა[4] და აღვიშენე სენაკი და დავჯედ მას შინა, არა მაჴსოვს რაჲთამცა ვჭამე პური გარეშე ჴელთა ჩემთა საქმრისა, არცა რას ზედა შევინანე ვიდრე აქა ჟამადმდე. და აწ ესერა[5], ესრეთ წარვალ წინაშე ღმრთისა, ვითარმცა ყოლადვე არა მეწყო ღმრთისმსახურებად. ხოლო ესე საქმე აქუნდა უმეტეს ყოველთასა: უკუეთუმცა ვინ ჰკითხა[6] სიტყუაჲ წიგნისაჲ ანუ სულისაჲ, არა მიუგებდა მეყსეულად, არამედ იტყჳნ: არა ვიცი სიტყუაჲ ეგე. და გარდაჴდის ოდესმე თუე და უმეტეს და არა მისცის პასუხი სიტყჳსაჲ.

2. თქუა **მამამან პამბო:** უკუეთუ გაქუს გული, ძალ-გიც ცხოვნების.

3. იტყოდეს მამათათჳს, **მამისა პამბოჲსთჳს** და[7] მამისა ბესარიონისთჳს და მამისა ესაიაჲსთჳს[8] და მამისა პაესიოჲსთჳს, ვითარმედ ძლიერნი იყვნეს ფრიად ესენი. დახუდეს ზოგად მამისა ათრეს თანა. ჰკითხა მათ მღდელმან ნიტრიისა მთისამან, თუ ვითარ უჴმს ძმათა ქცევად[9]. ხოლო მათ ჰრქუეს მას: დიდითა მოღუაწებითა და რაჲთა იმარხვიდენ გულისსიტყუათა თჳსთა მოყუსისაგან[10].

---

[1] ღმრთისათაჲ] ღმრთისათა E. [2] პამბოჲსთჳს] პანბოჲსთჳს E. [3] ამას] მას B. [4] აქ E ნუსხა წყდება. [5] ესერა] ეგერა B. [6] ჰკითხა] გკითხა B. [7] და – B. [8] ესაიაჲსთჳს] ესაჲაჲსთჳს A. [9] ქცევად] ქცევაჲ B. [10] მოყუსისაგან] მოყუასთაგან B.

4. ჰკითხა ძმამან **მამასა პამბოს** და ჰრქუა: რაჲსათჳს დამიხრწევენ მე, მამაო, სულნი კეთილისყოფად მოყუსისა? ჰრქუა მას /31v/ ბერმან: ნუ იტყჳ მაგას, უკუეთუ არა, მტყუვრად გამოაჩინებ ღმერთსა, არამედ უფროჲსღა იტყოდე, ვითარმედ: არა მნებავს ყოლადვე კეთილისყოფად ძმისა, არცა ქმნად წყალობისა, თუ არა, პირველადვე უსწრო ღმერთმან და თქუა, ვითარმედ: „მიგეც[1] თქუენ ჴელმწიფებაჲ დათრგუნვად გუელთა და ღრიაკალთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა[2]“.

5. მამამან პამბო წარგზავნა მოწაფე თჳსი ალექსანდრია ქალაქად განსყიდად ჴელთსაქმრისა მათისა. ხოლო დაყო ქალაქსა მას შინა დღე ათექუსმეტი, ვითარცა-იგი და გჳთხრა ჩუენ. ხოლო ღამით წარვალნ იგი დაძინებად შტოსა ეკლესიისა, ტაძარსა შინა წმიდისა მარკოზ მახარებელისასა[3]. და იხილა ყოველივე იგი[4] წესი ეკლესიისაჲ და განგებაჲ და საგალობელი და მერმე მოიქცა ბერისავე. ხოლო დაესწავლა მას საჟამობელიცა ძლისპირი. ჰრქუა მას ბერმან: გხედავ შენ, შვილო, აღშფოთებულად, ნუუკუე განსაცდელი რაჲმე შეგემთხჳა ქალაქსა შინა? ჰრქუა ძმამან ბერსა: დუმენ, მამაო, უდბებასა შინა წარვჰჴდით დღეთა ცხორებისა ჩუენისათა უდაბნოსა ამას შინა და არცა გალობათა გარდავიჴდით, არცა საგალობელთა ვჟამობთ, რამეთუ წარვედ რაჲ მე ქალაქად ალექსანდრიად, ვიხილენ მე მწყობრნი ეკლესიისანი თუ ვითარ გალობენ და მწუხარებამან შემიპყრა ფიცხელმან, თუ რად არა ჩუენცა ვგალობთ საგალობელთა და ჟამობათა. /32/ ჰრქუა მას ბერმან: ვაჲ ჩუენდა, შვილო, რამეთუ მოიწინეს დღენი, რომელთა შინა დაუტეონ მონაზონთა მტკიცე იგი საზრდელი სულისა მიერ[5] წმიდისა თქუმულნი იგი სიტყუანი და შეუდგენ ჟამობათა და ჴმობათა, რამეთუ რომელი[6] ლმობიერებაჲ, რომელნი ცრემლნი იშვებიან ძლისპირთაგან, რომელი ლმობიერებაჲ შეექმნეს[7] მონაზონსა, ოდეს ეკლესიასა შინა გინა სენაკსა მდგომარემან აღიმაღლოს ჴმაჲ თჳსი და ვითა ჴარი ყჳროდის, რამეთუ უკუეთუ წინაშე ღმრთისა წარვდგებით, მრავლითა ლმობიერებითა გჳჴმს წარდგომაჲ და არა ჴმამაღლობითა და აქა და იქი მიმოდაბნევითა გონებისაჲთა. და რამეთუ არა გამოვიდეს მონაზონნი უდაბნოსა ამას, რაჲთა განსცხრებოდინ წინაშე ღმრთისა წარდგომილნი და ჟამობდენ ჟამობათა და ჴმათა იდრეკდენ და იქცევდენ და ჴელთა იქნევდენ და ფერჴითა მიმოხლდნებოდინ, არამედ ესრეთ გჳღირს წარდგომაჲ წინაშე ღმრთისა: მრავლითა შიშითა და ძრწოლითა, ნაკადულითა ცრემლთაჲთა და სულთქუმითა მჴურვალითა, მოწიწებით და ლმობიერად და მდაბლითა ჴმითა შეწირვად ღმრთისა ლოცვათა ჩუენთა, ვითარცა იქმოდეს სანატრელნი

[1] მიგეც] მიგცე B. [2] ლ. 10,19. [3] მახარებელისასა] მახარებლისასა B. [4] იგი – B. [5] ~ წმიდისა მიერ B. [6] B ნუსხაში ტექსტი გრძელდება 12r-ზე (აკინძვის შეცდომა). [7] შეექმნეს] შეექმნების B.

მამანი ჩუენნი. რამეთუ, აჰა ესერა, გითხრობ შენ, შვილო, მოვიდენ დღენი, რომელთა შინა განხრწნენ ქრისტეანეთა წიგნნი წმიდათა მახარებელთა და წმიდათა მოციქულთანი და საღმრთოთა წინაწარმეტყუელთა თქუმულნი და აღჰჴოცდენ წმიდათა წერილთა და დასწერდენ ძლისპირებსა /32v/ და ელენურებსა სიტყუებსა, რომელ არს საწარმართოჲ. და მიდრკეს გული მათი და გონებაჲ ძლისპირებსა მას და ელენებრსა სიტყუასა. და ამის ჴერისათჳს თქუეს ნეტართა მამათა ჩუენთა, რაჲთა არა წერდენ უდაბნოსა ამას მყოფნი მწერალნი ცხორებათა და სიტყუათა წმიდათა მამათასა ეტრატსა ზედა, არამედ ქაღალდსა ზედა, რამეთუ ეგულების მომავალსა ნათესავსა აჴოცაჲ ცხორებისა წმიდათა მამათასა და დაწერად სხუასა რასმე ნებისაებრ მათისა. ჰრქუა მას ძმამან: რაჲა უკუე, მამაო, დაიცვალნენა წესნი და შჯულნი ქრისტეანეთანი და არღარა იყვნენა[1] მღდელნი ეკლესიათა შინა, რაჲთა ესე იქმნეს? ჰრქუა მას ბერმან: ესევითართა მათ შინა ჟამთა, შვილო, განჴმეს სიყუარული მრავალთაჲ და იყოს ჭირი არამცირცჱ[2] ქუეყანასა ზედა: ბარბაროზთა მოსლვაჲ, ერისა აშლაჲ, მეფეთა დაუწყნარებლობაჲ[3], მთავართა უწესოებაჲ, მღდელთა მემუცლეობაჲ, მონაზონთა უდებებაჲ, რამეთუ იყვნენ მათ დღეთა შინა წინამძღუარნი მეგანძცჱ[4], რომელთა არცა სამწყსოთაჲ ჰგლოდის, არცაღა[5] სულთა თჳსთა ცხორებაჲ, არამედ ერთბამად ყოველნივე მზა იყვნენ ტრაპეზთათჳს და ხადილობათა. და არა ესოდენ, არამედ იყვნენცა მემტერე და მოსარჩლე ლოცჳსათჳს და ყოვლისავე რაჲს კეთილისა საქმისა უდებ და მცონარ, ხოლო განკითხჳსათჳს და მოყუსისა შესმენისა მზა და მოსწრაფცჱ[6]. რომელთა ცხორებასა და სწავლასა წმიდათა /33/ ბერ/თასა არცა სმენაჲ ენებოს, არცა მსგავსებაჲ, არამედ უფროჲსღა იბასრვოდინ და იტყოდინ: უკუეთუმცა ვიყვენით მათთა მათ დღეთა, ჩუენცამცა ვიღუაწეთ, ხოლო ეპისკოპოსნი კულა მათ[7] დღეთანი იყვნენ პირსა მაჰამებელ[8] ძლიერთა და ჰყოფდენ ბჭობასა მათსა ქრთამითა და არა შეეწეოდიან გლახაკსა სასჯელსა შინა, აჭირვებდენ ქურივთა, ჰმძლავრობდენ ობოლთა. ხოლო შევიდეს ერსაცა თანა ურწმუნოებაჲ, უძღებებაჲ, სიძულილი, მტერობაჲ, შური, ჴდომაჲ, მპარვობაჲ, სიმთრვალცჱ, მგოსნობაჲ, მრუშობაჲ, სიძვაჲ, კაცისკლვაჲ და ურთიერთარს მიტაცებაჲ. ჰრქუა ძმამან მან[9] ბერსა: და რაჲ ვინ ყოს, მამაო, ესევითართა მათ შინა ჟამთა და წელთა? ჰრქუა მას ბერმან: ესევითართა მათ შინა დღეთა, შვილო, ცხოვნებით იცხოვნოს ვინ[10] სული თჳსი[11], დიდ ერქუას მას სასუფეველსა ცათასა.

XXXIX. იტყოდა **მამაჲ პიტჳრიონ**, მოწაფცჱ[12] მამისა ანტონისი, ვითარმედ: რომელსა ენებოს განსხმაჲ ეშმაკთაჲ, პირველად ვნებანი დაიმონენინ,

---

[1] იყვნენა] იყვნენ B. [2] არამცირცჱ] არამცირე B. [3] დაუწყნარებლობაჲ] დაუწყნარებლობა B. [4] მეგანძე B. [5] არცაღა] არცა B. [6] მოსწრაფცჱ] მოსწრაფე B. [7] მათ + ჟამთა და B. [8] მაჰამებელ] მაჰამობელ B. [9] მან – B. [10] ვინ + მაშინ B. [11] თჳსი + და A. [12] მოწაფცჱ] მოწაფე B.

რამეთუ რომელსაცა ვინ ვნებასა სძლოს, მისიცა ეშმაკი განუდევნიეს. ესე იგი არს, შექუსულ არს ეშმაკი მრისხანებისა და უკუეთუ იპყრა მრისხანებაჲ, მისი ეშმაკი გაგიდევნიეს[1]. ესევე უკუე იცოდე ყოველთა ზედა ვნებათა.

XL. 1. თქუა **მამამან სისოჲ**: იქმენ შეურაცხ და /33v/ ნებაჲ შენი უკუანაჲთ შენსა დაიგე[2] და იქმენ უზრუნველ და გაქუნდეს განსუენებაჲ.

2. მანვე თქუა: არიან ვინმე[3], რომელნი უდბებასა შინა წარჴდებიან დღეთა მათთა და სიტყუათა მიერ და გონებისა ეძიებენ ცხოვნებასა[4], ხოლო საქმით არა ღონე-ჰყოფენ, არამედ სიტყუათა და ცხოვრებასა[5] წმიდათა მამათასა აღმოიკითხვენ, ხოლო სიმდაბლესა მათსა და უპოვარებასა და ლოცვასა და მღჳძარებასა, მარხვასა და დაყუდებასა, ჴმელსა წოლასა, მუჴლთდრეკასა და სხუათა მათ მოღუაწებათა მათთა არა ემსგავსებიან, არამედ სილაღისა მიერ თჳსისა და ვნებათა მტყუვრად გამოაჩინებენ ცხოვრებასა წმიდათა მამათასა და იტყჳან: შეუძლებელ არსო ესევითარსა რას ვისგანცა მოთმინებაჲ და არა იგონებენ იგინი ამას, ვითარმედ სადა ღმერთმან დაიმკჳდროს[6], მადლისა მიერ წმიდისა ნათლისღებისა და მცნებათა მათ მისთა და ბრძანებათა აღსრულებისა, მუნ ყოველივე საქმე და ყოველივე მადლი ზეშთა ბუნებისა აღესრულების.

XLI. იტყოდეს **მამისა ხომესთჳს,** ვითარმედ: ოდეს ეგულებოდა აღსრულებაჲ, ჰრქუა ძეთა თჳსთა: ნუ დაემკჳდრებით კაცისა თანა მწვალებელისა, ნუცა შეესწავლებით მთავართა, ნუცამცა განემარტებიან ჴელნი თქუენნი შეკრებისათჳს, არამედ უფროჲსღა[7] არიანმცა განმარტებულ განბნევისათჳს და განცემისა.

1. თქუა ბერმან: განაშიშულე მახჳლი შენი. ჰრქუა მას ძმამან: არამედ /34/ არა მიტევებენ ვნებანი. ჰრქუა მას ბერმან: განაღა წერილ არს: „მხადე მე დღესა ჭირისა შენისასა და მე[8] გიჴსნა შენ და შენ მადიდო მე“. უწოდე უკუე მას ყოვლითა გულითა და მან გიჴსნეს შენ ყოველთაგანვე[9] განსაცდელთა შენთა.

2. იტყოდეს ბერნი ვითარმედ: კუკული[10] სახჱ არს უმანკოებისაჲ, სქემაჲ სახჱ არს ჯჳარისაჲ, ხოლო სარტყელი სიმჴნისა და ახოვნებისაჲ. ვმოქალაქობდეთ უკუე სახისაებრ ჩუენისა და ყოველსავე მოსწრაფებით ვიქმოდით, რაჲთა არა ვიპოვნეთ უცხოსა სახესა მმოსელად.

3. ძმამან ჰკითხა ბერსა ვისმე და ჰრქუა: ვითარ ვინ იქმნეს, მამაო, სულელ უფლისათჳს? ჰრქუა მას ბერმან: იყო ყრმაჲ ერთი კრებულსა შორის და მიეცა იგი ბერსა ვისმე კეთილსა სწავლად, რაჲთა აღიყვანოს იგი შიშსა ღმრთისასა. და ეტყჳნ მას ბერი: უკუეთუ ვინ გაგინოს, შვილო,

---

[1] გაგიდევნიეს] განგიდევნიეს B. 2 დაიგე] დაჲგე A; დაიგდე B. 3 ვინმე] ვიეთნიმე B. 4 ცხოვნებასა] ცხორებასა B. 5 ცხოვრებასა] ცხორებათა B. 6 დაიმკჳდროს] დაჲმკჳდროს A. 7 უფროჲსღა] უფროჲს B. 8 და მე-B. 9 ყოველთაგანვე] ყოველთაგან B. 10 კუკული] კუნკული B.

შენ აკურთხე იგი და უკუეთუ დასჯდე ტაბლასა ზედა, ჭამე უდარესი და დაუტევე უკეთესი. და უკუეთუ გედვას შენ წინა გამოსარჩევლად ტანის სამოსი, დაუტევე უკეთესი და აღირჩიე უდარესი. ჰრქუა ყრმამან მან ბერსა: ნუ ხელი ვარა, მამაო, რომელ მეტყჳ ესევითარსა ამას ყოფად? ჰრქუა მას ბერმან: ამისთჳს გეტყჳ შენ, შვილო, ყოფად ამას[1], რაჲთა იქმნე სულელ უფლისათჳს და რაჲთა უფალმან განგაბრძნოს შენ. აჰა ესერა, გამოაჩინა ბერმან თუ რაჲ ვინ ყოს, რაჲთა იქმნეს სულელ უფლისათჳს.

4. /34v/ თქუა ბერმან: დავდგეთ კლდესა მას ზედა მტკიცესა, ძმანო, და გუეკუეთნენ თუ საქანელნი მდინარეთანი, ნუვე გუეშინის, რამეთუ ვერ წარგჳხუნეს, ვერცა დაგუფარნეს, არამედ ვგალობდეთ მყუდროებით და ვიტყოდით: რომელნი ესვენ უფალსა[2], ვითარცა მთაჲ სიონი არა შეირყიოს[3] უკუნისამდე, რომელი[4] დამკჳდრებულ არს[5] იერუსალჱმს.

5. თქუა კუალად: შენთჳს კაც იქმნა ქრისტე, კაცო! ამისთჳს მოვიდა ძჱ ღმრთისაჲ ქუეყანად, რაჲთა შენ სცხოვნდე. იქმნა ყრმა, იქმნა კაც, რომელ-იგი არს ძჱ ღმრთის. ოდესმე წიგნისმკითხველ იქმნა შენდა[6] ვითარცა იტყჳს: მიიღო წიგნი ჴელად შესაკრებელსა მას შორის, აღდგა და[7] აღმოიკითხა და თქუა: „სული უფლისაჲ ჩემ ზედა, რომლისათჳს მცხო მე“. კუალად კერძოდიაკონ იქმნა შენთჳს, ოდეს-იგი შეექმნა შოლტი საბლისაჲ და ყოველივე გამოასხა ტაძრისაგან ზროხაჲ და ცხოვარი და სხუაჲ იგი ყოველი აღასრულა. დიაკონად შეიქმნა შენთჳს, მაშინ ოდეს-იგი მოირტყა არდაგი და ჰბანდა[8] ფერჴთა მოწაფეთასა, რომელთაცა ამცნო, რაჲთა იგინიცა ჰბანდენ ფერჴთა მოძმეთა თჳსთასა. ხოლო მღდელად შეიქმნა მაშინ, ოდეს-იგი დაჯდა შორის მოძღუართა და ასწავებდა ერსა. ხოლო მღდელთმოძღურად და ეპისკოპოსად შეიქმნა მაშინ, ოდეს-იგი აკურთხა პური და მისცემდა მოწაფეთა და სასუმელი და ასუმიდა მათ. ესრეთვე იგუემა შენთჳს, ჯუარს-ეცუა შენთჳს და სხუაჲ ყოველივე თავს-იდვა შენთჳს და შენ, ჱ კაცო, არცა თუ კდემასა თავს-იდებ /35/ მისთჳს? მოკუდა, დაეფლა და აღდგა ვითარცა ღმერთი. ყოველივე ჩუენთჳს თავს-იდვა და წესისაებრ და შემდგომებისა[9] აღასრულა, რაჲთა ვითარ ჩუენ გუაცხოვნნეს. განვიფრთხოთ, ძმანო, მღჳძარე ვიქმნეთ, მოვიცალოთ ცხორებისათჳს სულთა ჩუენთაჲსა, მოვიცა-ლოთ ლოცჳსათჳს და სხჳსა ყოვლისავე კეთილისა საქმისა, რაჲთა სათნოსა-ვჰყოფდეთ წინაშე ღმრთისა და ვცხოვნდეთ.

6. ბოროტისმყოფელთა მათთჳს გულისსიტყუათა ჩუენთა, თქუა ბერმან: გლოცავ თქუენ, ძმანო, და გევედრები ვითარცა დავსცხერით საქმეთაგან ცოდვისათა, დავსცხრეთ გულისსიტყუათაგანცა მედგართა.

---

[1] ~ ამას ყოფად B. 2 რომელნი ესვენ უფალსა] მოსავნი უფლისა მიმართ B. შეირყიოს] შეიძრას B. 4 რომელ – B. 5 დამკჳდრებულ არს] დამკჳდრებული B. 6 შენდა] შენთჳს B. 7 და – B. 8 დაჰბანდა] და დაჰბანდა B. 9 შემდგომებისა] შემდგო-მობისა B.

7. თქუა ბერმან: უკუეთუ იქმნეს შენ შორის და სხჳსა ძმისა სიტყუაჲ შელალებისაჲ და უვარ-ჰყოფდეს[1] იგი და იტყოდის: არა მითქუამს მე სიტყუაჲ ეგე, ნუღარა ამხილებ მას და ეტყჳ, ჰჩ, სთქუ. უკუეთუ არა, მოსძრცჳ[2] სირცხჳლსა და იტყჳს: ჰჩ, ვთქუ და რაჲ არს?

8. თქუა ბერმან: ნუ ყოველივე[3] სიტყუაჲ გრწამნ, ნუცა ყოველსავე თანადაერთვი. გჳანად ირწმუნე, მალიად სარწმუნო იყავ.

9. თქუა ვინმე ბერთაგანმან, ვითარმედ: პირველად ოდეს ერთად შევკრბით ურთიერთარს ვზრახევიდით სარგებლისათჳს[4] სულთა ჩუენთაჲსა და დას-დასი[5] ჩუენი ზეცად აღვიდოდის. ხოლო აწ, შევკრბებით და მეყსეულად ძჳრისსიტყუად და განკითხვად ვიწყებთ მოყუსისა და ესრეთ /35v/ ერთი-მეორესა შთავითრევთ მთხრებლად წარწყმედისა[6].

10. თქუა ვინმე ბერთაგანმან: უკუეთუ შინაგანი იგი კაცი ჩუენი ფრთხილ არს და მღჳძარე, შესაძლებელ არს გარეშესაცა[7] დაცვად. უკუეთუ კულა ესე არს, რაოდენ ძალ-გჳც შევიკრძალოთ ენაჲ.

11. მანვე თქუა: მუშაკობაჲ ჯერ არს მუშაკობასა მას სულიერსა, რამეთუ ამისთჳს შემოკრებულ ვართ. ხოლო დიდი შრომაჲ არს სწავლად ვისაცა[8] პირითა, რომელი-იგი თჳთ არა ექმნას ჯორცითა.

12. თქუა ბერმან: ესე არს სიტყუაჲ იგი წერილისაჲ, რომელ[9] იტყჳს: ორსა და სამსა ზედა ცოდვასა[10] ტჳრონელთასა, ხოლო მეოთხესა, არღარა უკუმოვიქცე[11-12]. ესე იგი არს, მოგონებაჲ ბოროტისაჲ, დამტკიცებაჲ გულისსიტყჳსაჲ და თქუმაჲ დამტკიცებულისაჲ მის. ხოლო მეოთხჩ არს საქმით აღსრულებაჲ ცოდვისაჲ, რომლისაგან არა გარემიიქცეს რისხვაჲ ღმრთისაჲ, არა თუ ჯეროვნად შეინანოს.

13. თქუა ბერმან: ეშმაკი ნაკლულევანებათა მონაზონისათა ზედა[13] დაერთვის და რამეთუ ჩვეულებაჲ, ჟამთა სიგრძითა დამტკიცებული, ბუნებისა ძალსა მიიღებს და უფროჲსღა უუდბესთარე[14] შორის. ყოველსა უკუე ჭამადსა, რომლისა სანებიეროდ გენებოს მიღებაჲ, ნუ შჭამ მისგან და უფროჲსღა უკუეთუ მრთელ[15] იყო გუამითა. და ყოველსავე საჰამოვნებელსა და სატურფოსა ნუ შჭამ. ხოლო ოდეს სჭამდე ღმრთისა მიერ ნაბოძვარსა შენდა, /36/ მადლობით ჭამდი და ყოველსავე ზედა საქმესა და ყოველსა ჟამსა ჰმადლობდი ღმერთსა. წესი უკუე და სახჩ[16] მონაზონებისაჲ[17] დაგჳსრულებია, ხოლო ჯერეთ მონაზონად ვერ შექმნილ ვართ. მჯნე ვიქმნნეთ, ძმანო, მჯნე

---

[1] უვარ-ჰყოფდეს] უარ-ჰყოფდეს B. [2] მოსძრცჳ] მოსძარცი B. [3] ყოველივე] ყოველი B. [4] სარგებლისათჳს] სარგებელისათჳს B. [5] დას-დასი] დასი B. [6] წარწყმედისა] წარწყმედისად B. [7] გარეშესაცა] გარეშეცა B. [8] ვისაცა] ვისიცა B. [9] რომელ] რომელი B. [10] ~ ცოდვასა ზედა B. [11] ამოს. 1,9. [12] უკუმოვიქცე] უკუმივიქცე B. [13] ~ ზედა მონაზონისათა B. [14] უუდბესთარე] უუდბესთა B. [15] მრთელ] მრთელი B. [16] სახჩ] სახე B. [17] მონაზონებისაჲ] მონაზნობისაჲ B.

ვიქმნნეთ[1], რაჲთა არა სახჱ[2] უცხოჲ გუემოსოს, არამედ ბეჭედი იგი ქრისტესი ვიტჳრთოთ, ესე იგი არს სიმდაბლჱ.

14. იტყოდეს წმიდანი ბერნი, ვითარმედ: უჴმს მონაზონსა, რაჲთა ვიდრე სიკუდილადმდე ჰბოძოდის ეშმაკსა მოწყინებისა და სულმოკლებისასა და უფროჲს ყოველსა ჟამსა ლოცვისასა. და უკუეთუ შეწევნითა ღმრთისაჲთა ამას მძლე ექმნა, ეკრძალე კუალად გულისსიტყუასა თავმოთნებისა და ზუაობისასა. და ეტყოდე თავსა შენსა და გულისსიტყუასა, ვითარმედ: „არა თუ უფალმან აღაშენოს სახლი, ცუდად შურებიან[3] მაშენებელნი მისნი“. და რამეთუ არარაჲ არს კაცი, თჳნიერ მიწაჲ და ნაცარი, და იჴსენებდი მასცა, ვითარმედ უფალი ამპარტავანთა წინააღუდგების, ხოლო მდაბალთა მისცემს[4] მადლსა.

15. თქუა ბერმან: უკუეთუ დასწვებოდი ძილად, ანუ თუ აღსდგებოდი, ანუ[5] სხუასა რასაცა იქმოდი, უკუეთუ ღმერთი გაქუნდეს წინაშე თუალთა შენთა, ვერარასა[6] ზედა ძალ-უც მტერსა შეშინებად შენდა. და უკუეთუ გულისსიტყუაჲ შენი დაადგრეს ღმრთისა თანა, ძალი ღმრთისაჲ ჭეშმარიტად დაადგრეს შენ თანა.

16. /36v/თქუა ბერმან: უღირს მონაზონსა, რაჲთა არა იყოს მჭჳრობელ, არცა მომზერალ და მოსმენარ, არცა ვისა[7] ძჳრისმეტყუელ და არცა ვისა[8] დამაბრკოლებელ.

17. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: მითხარ მე სიტყუაჲ, რომლითა ვცხოვნდე. ჰრქუა მას ბერმან: ისწრაფე შრომად მცირედ-მცირედ და ქმნად საქმეთა კეთილისათა[9] და სცხოვნდე.

18. იტყოდეს წმიდანი ბერნი, ვითარმედ: ამას ეძიებს ქრისტეანისაგან[10] ღმერთი, რაჲთა დაემორჩილოს წმიდათა წერილთა და თქუმულთა მათ იქმოდის ძალისაებრ. ესრეთვე კუალად, რაჲთა ერჩდეს წინამძღუართაცა და მამათა თჳსთა სულიერთა.

19. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ მბრძვანან მე გულისსიტყუანი გამოსლვად და მოხილვად ბერთა? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ იხილო გულისსიტყუაჲ შენი, რომელ შეიწრებისათჳს ჴორციელისა განგიყვანებს სენაკისაგან შენისა, ყავ თავისა შენისა ნუგეშინისცემაჲ სენაკსა შინა შენსა და არღარა გაიძულოს[11] გამოსვლად. უკუეთუ კულა სარგებელისათჳს სულისა გნებავს წარსლვაჲ ბერთა მიმართ, გამოცადე პირველად გულისსიტყუაჲ შენი და ესრეთ გამოვედ, რამეთუ მესმა ბერისა ვისთჳსმე, ვითარმედ ოდეს ეტყჳედ მას გულისსიტყუანი გამოსლვად და მოხილვად ბერთა, აღდგის და აღიღის მალაკი თჳსი და გამოვიდის და

---

[1] ვიქმნნეთ] ვიქმნეთ B. [2] სახჱ] სახე B. [3] შურებიან] დაშურეს B. [4] მისცემს] მოსცემს B. [5] ანუ] ანუ თუ B. [6] ვერარასა] ვერასა B. [7] ვისა] ვისასა B. [8] არცა ვისა] არავის B. [9] კეთილისათა] კეთილთა B. [10] ქრისტეანისაგან] ქრისტეანთაგან B. [11] გაიძულოს] გაჲძულოს A.

მოვლის მრგულივ სენაკი თჳსი[1] და მერმე შევიდის და ყვის ნუგეშინისცემაჲ უცხოჲსაჲ. ესრეთ ჰყოფდა ნეტარი იგი ბერი და განისუენა.

20. იტყოდეს წმიდანი ბერნი, ვითარმედ: საბრჴენი ეშმაკისანი მონაზონთათჳს დედანი არიან და ყრმანი.

21. /37/ თქუეს წმიდათა მამათა: სადა ღჳნოჲ და ყრმანი არიან, მუნ არად საჴმარ არს ეშმაკი.

22. ძმაჲ მოსწრაფჱ[2] მჯდომარე იყო სენაკსა შინა თჳსსა და ესმოდეს სათნოებანი წმიდათანი და ისწრაფდა მიბაძვად მათდა. ჰგონებდა თჳნიერ დიდთა შრომათა და ღუაწლთა წარმართებასა მათსა. წარვიდა ბერისა ვისამე[3] დიდისა და მიუთხრა ესე. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ გნებავს ესე, წარვედ და იქმენ ყრმა, რომელი მიიხუამს სწავლათა მოძღურისაგან და თჳთო-თჳთოსა გაიზეპირებს. ესრეთვე და შენ მიეც თავი შენი წელიწადსა ამას ბრძოლად ერთსა, რაჲთა არა განიძლო მუცელი შენი. და ოდეს ესე წარჰმართო შეწევნითა ღმრთისაჲთა, მერმე კუალად დაშუერ, ვიდრემდის მოიძულო სრულად ვითარცა მტერი ღმრთისაჲ ზუაობაჲ და ამპარტავანებაჲ. და ოდეს ორივე ესე კეთილად წარჰმართო[4] მუჴლი, მერმე იღუაწე მესამისათჳს და განაგდე შენგან ყოველივე ნივთი მსოფლიოჲ და არწმუნე თავი შენი ღმრთისადა[5] გულსავსე იყავ მტკიცედ ვითარმედ, უკუეთუ სამი ესე წარჰმართოს კაცმან, სიხარულით მიეგებოს იესუს, ოდეს მოვიდეს.

23. თქუა ვინმე მამათაგანმან, ვითარმედ: უკუეთუ არა პირველად მოიძულო, ვერ ძალ-გიც შეყუარებად. რამეთუ უკუეთუ მოიძულო ცოდვაჲ, ჰყო სიმართლე, ვითარცა წერილ არს: „მოიქეც ბოროტისაგან და ქმენ კეთილი[6]“. /37v/ თჳნიერ ყოლადვე და ყოველსა ზედა გულსმოდგინებაჲ არს საძიებელი, რამეთუ ადამ სამოთხესა შინა იყო და გარდაჴდა მცნებასა ღმრთისასა და იობ სკორეთა ზედა ჯდა და დაიცვა ნებაჲ ღმრთისაჲ. გულსმოდგინებასა ოდენ სრულსა და კეთილსა ეძიებს კაცისაგან ღმერთი და რაჲთა ეშინოდის მისგან ყოლადვე.

24. ძმაჲ ვინმე განიცადა და წარვიდა ბერისა ვისამე[7] და მიუთხრნა მას განსაცდელნი თჳსნი, რომელ თავს-ისხნა. ჰრქუა მას ბერმან: ნუ შეგაშინებენ შენ განსაცდელნი ეგე, რომელ შეგემთხჳნეს, რამეთუ რაოდენცა ხედვიდენ მტერნი სულსა ჩუენსა აღმავალად და შემსჭუალულად[8] ღმრთისა, უძნს უკეთურთა მათ და შეიწუებიან შურითა. და უწყოდე, ძმაო, მტკიცედ, რამეთუ შეუძლებელ არს რაჲთამცა არა მუნ იყო ღმერთი და ანგელოზნი მისნი განსაცდელთა მათ შინა. ოდეს ნუ დააცადებ მრავალითა სიმდაბლითა წოდებად და ხდად სახიერსა მას და მოწყალესა, რამეთუ ოდეს რაჲმე

[1] მრგვლივ სენაკი თჳსი – B. [2] მოსწრაფჱ] მოსწრაფე B. [3] ვისამე] ვისსამე B. [4] წარჰმართო] წარმოსთქუა B. [5] ღმრთისადა] ღმრთისა B. [6] ფს. 33,15. [7] ვისამე] ვის-სამე B. [8] შემსჭუალულად] შემშჭუალულად B.

შეგემთხჳოს შენ[1] ესევითარი, მეყსეულად მოიგონე ძლიერებაჲ შემწისა ჩუენისაჲ და ჩუენი ესე[2] უძლურებაჲ და მტერთა მძვინვარებაჲ და უეჭუელად მიემთხჳო შეწევნასა[3] ღმრთისასა.

25. თქუა ბერმან: ვითარცა სახედ უცხოსა კაცსა უცხოსა შინა სახლსა ვერ ძალ-უც დაყენებად სხჳსა, არა თუ ჰკითხოს სახლისა უფალსა, ესრეთვე და მტერიცა არა თუ შეყვანებულ იქმნეს[4], ვერ შევალს. ხოლო შენ ილოცევდ[5] და იტყოდე: /38/ უფალო, შენ უწყი, თუ ვითარ მოგიგო, მე პირუტყუ ვარ და უგუნურ და არარაჲ უწყი, შენ მომიყვანე მე მწყობრსა ამას საცხორებელსა, შენვე მაცხოვნე, ვითარცა უწყი, რამეთუ მე მონაჲ შენი ვარ და ძჱ[6] მჴევლისა შენისაჲ. უფალო, უფალო, მაცხოვნე მე ნებისაებრ შენისა, რამეთუ კურთხეულ ხარ უკუნისამდე!

26. ბერმან თქუა: შეუძლებელ არს მოგებაჲ იესუჲსი თჳნიერ ღუაწლითა და შრომითა, სიმდაბლითა ფრიადითა და დაუცადებელად ლოცვითა.

27. თქუა ვინმე მამათაგანმან, ვითარმედ: თანააც მონაზონსა ოდეს იყოს სხუასა თანა მონაზონსა, რაჲთა ქუე ხედვიდეს ქუეყანად დამართ და რაჲთა ყოლადვე არა შეხედვიდეს პირსა კაცისასა, უფროჲსღა ჭაბუკისასა. ხოლო ოდეს მარტოჲ იყოს, უღირს რაჲთა ყოლადვე[7] ზე ხედვიდეს და ფრთხილ იყოს, რამეთუ ფრიად უძნს და ეშინის ეშმაკთა, ოდეს ზე ვხედვიდეთ უფლისა მიმართ.

28. თქუა ბერმან: ღმერთი ცოდვათა სოფლისათა თავს-ისხამს, ხოლო ცოდვათა უდაბნოჲსათა არა თავს-ისხამს. ხედავთა, ძმანო, რომელ არა სოფელს მყოფისაებრ განკითხვის უდაბნოს მყოფი, რამეთუ სოფელს მყოფსა ჰქონან მიზეზნი მრავალნი, ხოლო ჩუენ კულა რაჲღა მიზეზი მოვიღოთ? ჭეშმარიტად ძნელ არს ცეცხლი და მრავალ სატანჯველნი მისთჳს, რომელმან იცოდის ნებაჲ უფლისა თჳსისაჲ და უგულებელს-ყოს და თჳსსა ნებასა შეუდგეს. რამეთუ რომელთა გემოთა ამაოებისათა და განსუენებათა მსოფლიოთა მისცნენ თავნი მათნი, მიზეზთაცა წმასნიან იგი სიცრუვისათა და იტყჳან: უძლურებისათჳს ჴორცთაჲსა მოვიგებო ოქროსაცა და ყოველსავე ნივთსა, რაჲთა უძღოდი თავსა კეთილად. /38v/ ნანდჳლვე, სამართლად საცნაურ ჰყოს თჳთ მებრ მათივე იგი სიტყუაჲ[8], თუ ჭეშმარიტად საჴმრისათჳს ოდენ ზრუნვენ[9], რამეთუ[10] სიტყჳთა ამით: თუ საჴმარსა ოდენ ვზრუნავთ ჴორცთასა, თჳთ განგჳმარტებენ ყოველსავე. და რამეთუ არა უჴმს მონაზონსა სიმდიდრე საფასეთაჲ, არცა განმზადებულებაჲ ჭამადთაჲ, არამედ საჭიროჲ იგი[11] ოდენ უჴმს საჴმარი ჴორცთაჲ უშფოთველად მოირეწოს. აწ უკუე, სადა არიან იგი,

---

[1] შენ – B. [2] ესე – B. [3] შეწევნასა + და დიდებასა B. [4] იქმნეს] იქმნას B. [5] ილოცევდ] ილოცე B. [6] ძჱ] ძე B. [7] ~ ყოლადვე რაჲთა B. [8] ~ სიტყუაჲ იგი B. [9] ზრუნვენ] ზრუნავთ B. [10] რამეთუ...საჴმარსა ოდენ ვზრუნავთ – B. [11] ~ ოდენ იგი B.

რომელთა ესოდენი შეუკრებიეს და კუალად სხუასა ეძიებენ, რომელნი-იგი ესოდენ ჭამენ და კუალად სხუათათჳს ჭამადთა უჰამოვნესთა გული-უთქუამს. უკუეთუ შურები, ნუ აიღებ[1] სხჳსა მოღებულსა, უკუეთუ აიღებ[2], ნუ შურები, რაჲთა არა შფოთთა შეაგდო[3] თავი, ხოლო აწ ჩუენ იგიცა გჳნა[4] და იგიცა. მოგართუნეს შენ საჴმარნი. გარნა არა უწყია, რომელ მიზეზნი ვნებათანი მოგართუნეს? ამისთჳსცა რომელსა[5] ეგონოს თუ არს მონაზონი და არა იყოს, უძჯრეს ერისკაცთაჲსა განიკითხვის. და რამეთუ მრავალნი ერისკაცნი პატიოსნად ცხოვნდებიან და მოწყალებასა იქმან ფრიადსა. ხოლო შენ არცა თუ ძმასა სწყალობ შენსა, არამედ იშუებ და იფუფუნები და გიყოფიეს სახლი ღმრთისაჲ სახლ სავაჭრო, უფროჲსღა სახლ არაწმიდების და საკაპილო[6]. ვინაჲცა საჭირო არს თჳთეულად წარმოთქუმაჲ საქმეთა მათ ამაოებისათა, რაჲთა ვისაწაოთ მათი ვერაგობაჲ და ვევლტოდით და ვცხოვნდეთ, რამეთუ გუგონიეს მრავლთა, ძმანო, თუ შემოსასა ზედა სახისასა /39/ ანუ თუ[7] თქუმასა ამისსა, თუ უფალო, უფალო, ანუ თუ რამეთუ გუეწოდების მონაზონ, არს სისრულე აღთქუმისაჲ ამის. მართლიად გეტყჳ თქუენ, ძმანო, არა თუ დიდად ვეკრძალნეთ თავთა ჩუენთა, უძჯრეს ერისკაცთაჲსა დავისაჯებით და შთავცჳვით სატანჯველთა საუკუნეთა და მთხრებლსა მას ძნელსა, სადაჲთ იგი ვერცაღა თუ კმა ვყოთ უფლისა მიმართ ღმრთისა ჩუენისა, რომლისათჳს შიში ჯერ არს და შიში ფრიადი მრავლითა სიმდაბლითა[8], რამეთუ მრავალნი ძმათა ჩუენთაგანნი ჰგავს, თუ სიმდაბლითა არიან და მონაზონებით ცხოვნდებიან, გარნა თჳსთა ნებათა ეძიებენ დამტკიცებად და ნებასა ღმრთისასა არა დაემორჩილებიან, არამედ თჳსთაებრ ნე-ბათა ვლენან და შფოთთა ამაოებისათა და ზრუნვათა შეექცევიან და წარწყმედენ ცუდად ჟამსა მას სინანულად მათდა მიცემულსა, რომელი შემდგომად მცირედისა ძებნონ დიდად და ვერღარა პოვონ.

29. თქუა ბერმან: ყოვლითა მოსწრაფებითა ისწრაფე, რაჲთა არა სცოდო, რაჲთა არა რომელი-იგი მკჳდრ არს შენ თანა ღმერთი, გინებულ-ჰყო და წარიოტო სულისაგან შენისა.

30. ბერმან თქუა: ძმანო, ვიღუაწოთ, ძმანო, განვიფრთხოთ, მოვიცალოთ ლოცვისათჳს, რაჲთა ვცხოვნდეთ. ვიქმოდით კეთილსა, რაჲთა სათნო-ვეყვნეთ ღმერთსა, ვემსგავსნეთ მჴედარსა ბრძოლად შემავალსა, რომელი არარას სხუასა ზრუნვას, თჳნიერ ოდენ სიცოცხლესა თჳსსა. /39v/ ესრეთვე კუალად მონადირეცა, არარას სხუასა ზრუნავს, თჳნიერ ოდენ ნადირსა. ვემსგავსნეთ უკუე მათ ჩუენცა, რამეთუ რომელი ღმრთისა ბრძანებათაებრ

[1] აიღებ] აჲღებ A. [2] აიღებ] აჲღებ A. [3] შეაგდო] შეაგდო B. [4] გჳნა] გჳნდა B. [5] რომელსა] რომელსაცა B. [6] საკაპილო] საკაპილონო B. [7] თუ – B. [8] სიმდაბლითა] სიმდაბლით B.

ცხოვნდებოდის, იგი ჭეშმარიტად ღმრთისათჳს ცხორებს, რამეთუ იტყჳს: დავიმკჳდრო მე მათ შორის და ვიქცეოდი მე მათ თანა და ვიყო მე მათდა ღმერთი და იგინი იყვნენ ერებ ჩემდა[1].

31. მოვიდა ოდესმე ძმაჲ, რომელი მკჳდრ იყო სენაკებსა ერთსა ვისმე მამათაგანსა თანა და მიუთხრა მას გულისსიტყუაჲ თჳსი, რომელი აჭირვებდა. ჰრქუა მას ბერმან: შენ დაგიტევებიეს, ძმაო, დიდი იგი საქმე სულისაჲ ქუე, რომელ არს შიში ღმრთისაჲ და მიგიღებიეს ჴელთა კუერთხი ლერწმისაჲ დაჩეჩქჳლი, ესე იგი არს გულისსიტყუანი ბოროტნი. წარვედ უკუე და მიიღე თავისა შენისა ცეცხლი, რომელ არს შიში ღმრთისაჲ და ოდეს მოვიდოდის მოახლებად შენდა ვნებაჲ რაჲ, ვითარცა ლერწამი დაიწუას[2] ცეცხლისაგან. და რამეთუ ვერარაჲ ძალ-უც უკეთურებასა მას თანა, რომელსა ეპყრას შიში ღმრთისაჲ.

32. თქუა ბერმან: ნუ ჰმოძღური პირველ ჟამისა, უკუეთუ არა, ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა დააკლდე გულისჴმისყოფასა.

33. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: მითხარ მე, მამაო, რაჲ კეთილი ვყო და ვქმნა ნებაჲ ღმრთისაჲ? ჰრქუა მას ბერმან: შვილო, უკუეთუ გნებავს ნებასა ღმრთისასა ყოფად, იჯმენ ყოვლისაგან უსამართლოებისა, ანგაჰრებისა, ვეცხლისმოყუარებისა და ყოვლისაგანვე საქმისა ბოროტისა, ნუვის მიაგებ ბოროტსა ბოროტისა წილ, ნუცა გინებასა გინებისა წილ, ნუცა ჴურთასა /40/ ჴურთისა წილ, ნუცა წყევასა წყევისა წილ, არამედ მოიჴსენე უფლისაჲ, რომელმან თქუა: მიუტევეთ და მოგეტეოს თქუენ, შეიწყალეთ და შეწყალებულ იქმნენეთ[3]. და ესემცა ვიცით მტკიცედ, რომელ თუალნი უფლისანი ბევრწილ უნათლეს არიან მზისა და ხედვენ ძეთა ზედა კაცთასა და შესცილდების მას არარაჲ, არცარაჲ გულისსიტყუაჲთაგან, და არცარაჲ გონებათაგან, და არცარაჲ დაფარულთა მათგან[4] გულისათა. და უეჭუელად გჳღირს ყოველთა წარდგომაჲ[5] წინაშე საყდართა მათ ქრისტესათა, რაჲთა მიიღოს კაცად-კაცადმან საქმეთაებრ თჳსთა. ამისთჳს უკუე თანაგუაც, შვილო, მონებაჲ მისი და მსახურებაჲ შიშით და ძრწოლით და ყოვლითავე კრძალულებითა, ვითარცა-იგი თჳთ გუამცნო თავადმან მან და მისთა წმიდათა მოციქულთა გუასწავეს, რაჲთა ფრთხილ ვიყვნეთ და მღჳძარე ლოცვათა შინა და რაჲთა მჴნე ვიყვნეთ და ახოვან მარხვასა შინა და რაჲთა მოწიწებით ვევედრებოდით ყოლადვე ყოვლისავე მხედველსა ღმერთსა არა შეყვანებად ჩუენდა განსაცდელსა.

34. მანვე თქუა, ვითარმედ: უჴმს, რომელი ასწავებდეს სხუასა, რაჲთა პირველ ცხორებისათჳს იზრუნოს თჳსისა და რაჲთა თჳთ მოისთულოს[6] უწინარეს ნაყოფი მოძღურებათა თჳსთაჲ. და რამეთუ რომელმან თავი

---

[1] შდრ. ფს. 36,23. [2] დაიწუას] დაჲწუას A. [3] შდრ. ლ. 6,37. [4] მათგან] მათ B. [5] წარდგომაჲ] წარდგომად B. [6] მოისთულოს] მოისულთულოს B.

თჳსი არა წმიდა-ყოს პირველ, ვითარ უძლოს მან სხუათა წმიდაყოფად. და რომელი თჳთ ვეცხლისმოყუარებითა შეპყრობილ იყოს და ეშმაკისა მისგან /40v/ ანგაჰ/რებისა იშთვებოდის, ვითარ უძლოს მან სხუათა სწავლად მოწყალებისა. და რომელი მიცემისათჳს და მოღებისა მოცალე იყოს და ქუეყანიერთა ვაჭრობათა და საქმეთადა შედგომილ იყოს და ზრუნვათა შინა ამაოებისათა აცთუნებდეს თავსა თჳსსა და დღეთა თჳსთა წარჰჴდიდეს, ვითარ უძლოს მან სხუათა სწავლად საუკუნეთათჳს კეთილთა. რამეთუ უკუეთუ თჳთ თავადმან მოძღუარმან დაუტევა ზეცისაჲ იგი და საწუთოთათჳს და წარმავალთა განჰლევს თავსა თჳსსა, საცნაურ არს, რომელ ყოველნივე[1] მხედვარნი მისნი და მის მიერ მოძღურებულნი არა სიტყუათა შეუდგენ მისთა, ა რამედ საქმეთა და უფროჲსღა ისწავონ მათცა უგულებელსყოფაჲ საუკუნოჲსა[2] და ყოველსავე[3] ზრუნვასა თჳსსა წარგებად საწუთროსა ზედა და წარმავალსა. ამისთჳსცა ესევითარსა[4] ეტყჳს ღმერთი: რაჲსათჳს მიუთხრობ[5] შენ სამართალთა ჩემთა და აღიღებ ჩემსა პირითა შენითა, შენ[6] ეგერა მოიძულე სწავლულებაჲ და განიშორენ[7] და განსთხიენ სიტყუანი ჩემნი[8]. და კუალად იტყჳს: ვაჲ მათდა, რომელთა ძლით სახელი ჩუენი იგმობვის. კეთილ არს უკუე სწავლაჲ და ფრიადცა კეთილ, გარნა მაშინღა არს კეთილ, ოდეს[9] პირველად თჳთ იქმოდის, რასა-იგი[10] სხუასა ასწავებს. და სიტყუაჲ სარწმუნო იყოს საქმეთაგან და დუმილისაგან იცნობებოდის სათნოებაჲ, რამეთუ ნეტარ არს, არა რომელმან ასწაოს, არამედ რომელმან ყოს და ასწაოს.

35. /41/ ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: ვითარ, მამაო, მყოფნი იგი სოფელსა შინა ერისკაცნი მარხვასა უდებ არიან, ლოცვასა მცონარ და ყოვლისაგანვე მღჳძარებისა შორს, უფროჲსღა ყოველთავე მიერ ჭამადთა აღივსებიან იგი და გულისთქუმათაებრ მათთა ვლენან და[11] მიღებისათჳს და მოღებისა ურთიერთარს ჭამენ, ფიცთა შინა და ცრუფიცობათა უმეტესსა დღისასა წარაგებენ და არავის შეუვრდებიან[12], არცა იტყჳან თუ ვცოდეთ, არცაღა ზიარებისაგან წმიდათა საიდუმლოთაჲსა[13] განაყენებენ თავთა თჳსთა, ხოლო ჩვენ, მონაზონნი, მარხვისა და მღჳძარებისადა შედგომილ ვართ, ჴმელსა ვჭამთ, ჴმელსა ვწევთ და ყოვლისაგანვე განსუენებისა ჴორციელისა შორს-გჳყოფიან თავნი ჩუენნი და ჯერეთცა ვგოდებთ და ვტირთ, და ვიტყჳთ, ვითარმედ: წარვწყმდით და სასუფევლისაგან განვისხენით და გეჰენისა[14] თანამდებ ვიქმნენით?! ხოლო ბერმან სულთ-ითქუნა და ჰრქუა მას: კეთილად სთქუ, ძმაო, ვითრამედ არა დაეცემიან

[1] ყოველნივე მხედვარნი] ყოლადვე მიმდევნელნი B. [2] საუკუნოჲსა] საუკუნოჲსაჲ B. [3] ყოველსავე] ყოველსა B. [4] ესევითარსა + მას B. [5] ~შენ მიუთხრობ B. [6] შენ ეგერა] ხოლო შენ B. [7] და განიშორენ – B. [8] + მართლუკუნ B. [9] ოდეს იგი B. [10] რასა-იგი] რა-საცა იგი B. [11] და – B. [12] შეუვრდებიან +და B. [13] საიდუმლოთაჲსა] საიდუმლოთაჲსა A. [14] გეჰენისა] გეჰენიასა B.

ერისკაცნი, რამეთუ ერთგზის დაეცნეს დაცემითა ძნელითა[1] და მწარითა და არცაღა თუ აღდგომაჲ ძალ-უც, არცა აქუს, თუ სადაჲთ დაეცნენ, რამეთუ და რაჲ ზრუნვაჲ აქუს ეშმაკსა სამარადისოდ ქუემდებარეთათჳს, რომელნი-იგი არა ოდეს აღდგებიან. ხოლო მონაზონნი ოდესმე სძლევენ[2], ოდესმე იძლევიან[3], ოდესმე დაეცემიან და ოდესმე კუალად აღდგებიან, აჭირვებენ და იჭირვიან, /41v/ ჰბრძ/ვანან და იბრძოლებიან, გარნა ყოველსავე ზედა წყობისაგან და ბრძოლისა ეშმაკთაჲსა არაოდეს დასცხრებიან. ხოლო ერისკაცნი პირველსავე მას ზედა კუეთებასა დაეცნეს და გარდამეტებითა[4] უგუნურებისაჲთა ჰგიან დაცემასა მას ზედა. და არცაღათუ იციან, თუ დაეცნეს და ქუე სხენან. ხოლო რაჲთა სცნა, შვილო, ვითარმედ არა ოდენ მე და შენ, რომელთა გუგონიეს თუ მონაზონნი ვართ, არამედ შორს ვართ მოქალაქობისაგან მონაზონთაჲსა, გჳჭმს ტირილი და გლოვაჲ სამარადისოჲ, არამედ თჳთ დიდთა მათცა მამათა და მოღუაწეთა განშორებულთა და მეუდაბნოეთა სრულთა, უჭმსვე ტირილი და გლოვაჲ. ხოლო თუ ვითარ ანუ რად, ისმინე გონიერად: თქუა ღმერთმან, ვითრამედ: ტყუილი[5] ეშმაკისაგან არს და კუალად მიხედვაჲ დედაკაცისაჲ გულისთქუმით, მრუშებად სრულად შერაცხილ არს და მოყუსისათჳს განრისხებაჲ კაცისკლვად შესწორებულ არს და ცუდისა სიტყჳსათჳს მიცემაჲ სიტყჳსაჲ, გამოჩენილ არს და დამტკიცებულ. აწ უკუე ვინ არს ესევითარი-იგი კაცი, ანუ სადა ძიება-ვყოთ იგი, რომელი სრულიად შორს იყოს ყოველთაგანვე ვნებათა და არცა გამოცდაჲ ტყუვილისაჲ მიეღოს, არცა ოდეს გულისთქუმაჲ გულად მოსრულ იყოს, არცა მოყუსისათჳს განრისხებულ იყოს ცუდად, არცა ოდეს უქმი სიტყუაჲ გამოსრულ იყოს პირით მისით, რაჲთამცა არღარა უჭმდა სინანული. ესე უკუე იცოდე, შვილო, რომელმან არა სრულიად ჯუარს-აცუას თავი თჳსი და მისცეს იგი სიმდაბლესა და შეურაცხებასა და დაუფინოს თავი თჳსი /42/ ყოველთა სათრგუნელად[6], რაჲთა ჰბასრობდენ მას ყოველნი და ეკიცხევდენ და ყოველსავე მას მადლობით და სიხარულით მოითმენდეს ღმრთისათჳს და რაჲთა არარას ყოლადვე ეძიებდეს კაცობრივსა, არა დიდებასა, არა პატივსა, არა ქებასა კაცთასა, არცა ჭამად-სუამადთა[7] გემოვნებასა, არცა სამოსელთა რჩევასა, ქრისტეანე ჭეშმარიტ ვერ ძალ-უც ყოფად.

36. თქუა ბერმან: გამოცადე საქმით ქმნაჲ კეთილთა საქმეთაჲ და ნუ გეშინის მისგან, ვითარმცა იყო შეუძლებელ.

37. თქუა ბერმან: უკუეთუ იჯმენ სოფლით ღმრთისათჳს და განეშორე თჳსთა და ნათესავთა, ნუ შეუშუებ მათთჳს მოწლებასა[8] გულად შენდა, ნუცა შეიწყალებ ცრემლთა დედისა, გინა მამისა, გინა ძმისა, გინა[9] დისა

---

[1] ~ მწარითა და ძნელითა B. [2] სძლევენ + და B. [3] B ნუსხაში ტექსტი გრძელდება 36v-ზე. [4] გარდამეტებითა + მით B. [5] ტყუილი] ტყუვილიB. [6] სათრგუნელად] საზერგნელად B. [7] ჭამად-სუამადთა] ჭამადთა და სუმადთა B. [8] მოწლებასა] მოწყალებასა B. [9] გინა] და B.

ანუ თუ ძისა და ასულისა, ნუცა იჴსენებ სიყუარულსა ცოლისა, გინა ვისცა დედაკაცისასა მჯდომარე სენაკსა შინა შენსა, რამეთუ ყოველივე დაგიტეობიეს[1] ღმრთისათჳს. თჳნიერ ერთსა ოდენ იჴსენებდი, რომელ არს დღ̃ე[2] სიკუდილისაჲ, ოდეს-იგი არცა ერთსა ვის მათგანსა ძალ-უც შეწევნაჲ შენი მაშინ.

38. თქუა ბერმან: ვითარცა-იგი სახედ სამორკინალოთა შინა გამოიცდების ძლიერი, ესრეთვე ბრძოლასა შინა გულისსიტყუათასა გამოიცდების მონაზონი, რომელსაცა უჴმს, რაჲთა ზეცად მიმართ აქუნდენ ჴელნი მარადის აპყრობილად და მიერ ითხოვდეს ღმრთისაგან შეწევნასა. შიშუელი შევალს მორკინალი ასპარეზსა მას შინა /42v/ წყო/ბისასა, შიშუელი და უნივთოჲ იცხებს ზეთსა და ისწავებს ზედამდგომელისაგან თჳსისა, თუ ვითარ ჯერ არს რკინებაჲ, რამეთუ მოვალს წინამბრძოლი იგი მისი შემთხუევად მისა და წყობად, რაჲთა ვითარ ქჳშნარსა მიაახლოს[3], ესე იგი არს მიწაჲ, რაჲთა ესრეთ ადვილად შეუძლოს დაცემად მისა. ცან ესე, ჲ მონაზონო, და თავსა ზედა შენსა გულისჴმა-ყავ იგავი: ზედამდგომელი უკუე ყოველთაჲ და თავადი არს ღმერთი, რომელი მომცემს ჩუენ ძალსა და ძლევასა, ხოლო მორკინალნი ვართ ჩუენ და წინამბრძოლი ჩუენ არს ეშმაკი, ხოლო ქჳშაჲ არს სიმდიდრე სოფლისაჲ. ხედავ უკუე ჴელოვნებასა მტერისასა, დადეგ შიშუელი და სძლევ, რამეთუ რომლისა გონებაჲ ნივთთაგან დამძიმდეს სოფლისათა, ვერღარა თავს-იდებს იგი შეწყნარებად უნივთოსა სიტყუასა.

39. თქუა ბერმან, ვითრმედ: იყო ვინმე მუშაკი ქუეყანისა მდიდარი ფრიად და ენება, რაჲთა ასწაოს ძეთაცა თჳსთა მუშაკობაჲ. ამისთჳსცა ჰრქუა მათ: შვილნო, იცითა თუ ვითარ განვმდიდრდი მე და თქუენცა, უკუეთუ ისმინოთ ჩემი, უეჭუელად განჰმსდიდრდეთ[4]. ხოლო მათ ჰრქუეს მას: გევედრებით შენ, მამაო, გუაუწყე ჩუენცა. ხოლო მან ღონედ იჴმარა სიმარჯჳსა, რაჲთა არა უდებ იყვნენ და ჰრქუა მათ: არს დღე ერთი წელიწადსა შინა, შვილნო, და უკუეთუ იპოოს ვინმე მას დღესა მშრომელად, განმდიდრდების იგი. გარნა მე სიბერითა დამვიწყდა დღე იგი, თუ რომელი არს, თქუენ უკუე ნუ უდებ ხართ მუშაკობად ყოველთა /43/ დღეთა წელიწადისათა, ნუუკუე დღე იგი კურთხეული თანაწარგჳდეს თქუენ და არა იპოვნეთ მშრომელად მას შინა და ცუდ იქმნეს ყოველი ჭირი თქუენი სრულისა წელიწდისაჲ. ესრეთვე უკუე და ჩუენცა, უკუეთუ სამარადისოდ ვშურებოდით, ვჰპოებთ უეჭუელად გზასა მას ცხორებისასა.

40. ჰკითხა ძმამან ბერსა და ჰრქუა მას: რაჲსათჳს გამო-რაჲ-ვიდოდი საქმედ, უდებ ვიქმნეთ სულისათჳს ჩემისა? ჰრქუა მას ბერმან: რამეთუ არა გნებავს აღსრულებაჲ წერილისაჲ მის, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „ვაკურთხო

---

[1] დაგიტეობიეს] დაგიტევებიეს B. [2] დღ̃ე] დღე B. [3] მიაახლოს] მიეახლოს B. [4] განჰმსდიდრდეთ] განსმდიდრეთ B.

უფალი ყოველსა ჟამსა, მარადის ქებაჲ მისი პირსა ჩემსა“[1]. და ვითარმედ: „უფლისა მიერ იქოს სული ჩემი“[2], რამეთუ გინათუ შინა, გინათუ გარე ნუ ოდეს განეყენები კურთხევისაგან და დიდებისმეტყუელებისა ღმრთისა, ნუ ოდენ სიტყჳთ, არამედ საქმითცა და გონებით ადიდებდ მარადის მეუფესა შენსა, რამეთუ არა შემოიწყუდევის ღმერთი ადგილთა შინა და სახეთა[3], არამედ ყველგან არს და ყოველსავე აღავსებს ძლიერებითა ღმრთეებისა თჳსისაჲთა.

41. იტყოდა ძმაჲ ვინმე, ვითარმედ: ვჰკითხე ბერსა ვისმე: რაჲ უყო, მამაო, უდებებასა ჩემსა? მრქუა მე ბერმან: უკუეთუ აღმოჰფხურა აგარაკისაგან შენისა მცირე იგი ნამარგელი, რომელი არს უდებებაჲ, დიდი ყანობირები შეიქმნას[4].

42. თქუა ბერმან: უკუეთუ ვისმე უთხრობდე სიტყუასა ცხორებისასა, ლმობიერად და ცრემლით ეტყოდე მსმენელსა მას. უკუეთუ არა, /43v/ ნუ იტყჳ, რაჲთა არა მოჰკუდე და ურგებად ეგო, ოდეს უცხოთა მიერ სიტყუათა სხუათა[5] გენებოს ცხოვნებაჲ.

43. თქუა ბერმან: სადაცა წარხჳდე, ეკრძალე თავსა შენსა და გაჴსოვდინ, ვითარმედ ეროდიოჲს[6] სამკჳდრებელ[7] შერაცხილ არს მათდა, ესე იგი არს ვითარმედ, მონაზონი სადაცა წარვიდეს სამკჳდრებელ[8] არს მისა. ისწრაფე უკუე სრულყოფად კანონსა შენსა და ჟამთა შენთა დღისათაცა და ღამისათა და ნუ უდებ იქმნები ჴსენებათათჳს კეთილთა, ყოველგან და ყოველსა შინა ჭირი გაქუნდინ წინაშე თუალთა შენთა. ხოლო ესე ყოველი თჳნიერ დიდთა შრომათა წარმართებად შეუძლებელ არს.

44. თქუა კუალად: იქმენ ვითარცა აქლემი მტჳრთველ ცოდვათა შენთა და განჭიმული შეუდეგ მას, რომელი მეცნიერ იყოს გზასა ღმრთისასა.

45. თქუა ვინმე ბერთაგანმან, ვითარმედ: უკუეთუ მცირე შეურაცხ-ვყოთ, დიდთა შინა შთავრდომად ვართ. გულისჴმა-ყავღა ესე[9], რომელსა ვიტყჳ: განიცინნა ვინმე ჩუენგანმან უწესოდ, ხოლო სხუამან ამხილა და მან კუალად განაგდო შიში და თქუა: და[10] რაჲ არსო სიცილი! ვინაჲცა ამიერ იშვა განცხრომაჲ განცხრომისაგან, იშვნეს უშუერნი სიტყუანი სიტყუათაგან უშუერთა, კუალად იშვნეს საქმენი უუშუერესნი და უშჯულონი. ესრეთ[11] უკუე მცირედ საგონებელთა მათგან დიდთა შემოიხუამს უკეთური ეშმაკი, ხოლო დიდთა მათგან ცოდვათა კუალად შემოიღებს სასოწარკუეთილებასა. /44/ სასოწარკუეთილებაჲ კულა ძნელ არს ფრიად და ბორტ და უშჯულოჲ, რამეთუ არა ესოდენ ბოროტ არს ცოდვაჲ, რაოდენ-იგი ბოროტ არს ცოდვასა ზედა სასოწარკუეთილებაჲ. რამეთუ რომელმან ცოდოს და შეინანოს,

---

[1] ფს. 33,2. [2] ფს. 33,3. [3] სახეთა] სახლთაB. [4] ყან ობირები შეიქმნას] ყანობირნი შეიქმნენ B. [5] სხუათაჲ B. [6] ეროდია A. [7] სამკჳდრებელ] სამკჳდრებელად B. [8] სამკჳ-დრებელ] სამკჳდრებელად B. [9] ~ რომელსა ესე B. [10] და – B. [11] ესრეთ] ესე B.

განემართების ცთომილი იგი და ცხოვნდების კაცი. ხოლო რომელი სასოწარკუეთილ იქმნეს ცოდვასა ზედა, იგი სრულიად წარწყმდების. ნუუკუე უგულებელს-ვჰყოფთ მცირესა ცთომასა, რაჲთა არა დიდთა შთავვარდეთ. რამეთუ ზაკუვით ჰყოფენ ამას ჩუენდამო ბოროტნი ეშმაკნი, რამეთუ უკუეთუმცა ცხადად ჩანდეს სივერაგენი მათნი, ადვილმცა იყო ბრძოლაჲ და მალიად საპოვნელ ძლევაჲცა მათი. უფროჲსღა უკუეთუ განვიფრთხოთ აწ, უადვილეს არს, რამეთუ ღმერთმან აღმჭურნა ჩუენ ვნებათა ზედა, რაჲთა არცა თუ მცირედსა[1] რას უგულებელს-ვჰყოფდეთ. ისმინე უკუე თუ რასა გუასწავებს მაცხოვარი და იტყჳს: „რომელმან ჰრქუა ძმასა თჳსსა სულელ, თანამდებ არს იგი გეჰენიასა“[2]. და კუალად, რომელმან თუალთა მიერ უძღებთა მიხედნეს, იმრუშებს. ესრეთვე კუალად მოცინართა მისცემს ვაებასა და უქმისა სიტყჳსათჳს სიტყუასა მიჰჴდის, ამისთჳსცა იობ მართალი მოგონებასა მას შვილთასა ჰკურნებდა და მსხუერპლსა სალხინებელსა შესწირვიდა. ესე ყოველი განვიცადოთ, ძმანო, და ვეკრძალნეთ ბრძოლათა და წყობათა მტერისათა[3] /44v/ და არაოდეს[4] დავეცნეთ ოდესცა.

46. თქუა ვინმე წმიდათაგანმან, ვითარმედ: შეუძლებელ არს კაცისა, ვიდრემდის აქუნდეს სიტკბოებაჲ ამის სოფლისაჲ, რაჲთამცა აქუნდა სიტკბოებაჲ ღმრთისაჲ. კუალად, უკუეთუ[5] იხილოს გემოჲ სიტკბოებისა ღმრთისაჲ, სძულს მას ერთბამად ყოველივე ამის საწუთროჲსაჲ, ვითარცა წერილ არს წმიდასა შინა სახარებასა, ვითარმედ: „ვერვის ძალ-უც მონებაჲ ორთა უფალთაჲ“[6]. ესრეთვე უკუე ჩუენ ვიდრემდის გუაქუნდეს კაცობრივი სიყუარული და ვეძიებდეთ განსუენებასა ჯორციელსა, ვერ შემძლებელ ვართ გემოჲსხილვად სიტკბოებასა ღმრთისასა. ხოლო ამას ვიტყჳ სასოებითა ღმრთისაჲთა, ვითარმედ: უკუეთუ ვინმე დაჯდეს სენაკსა შინა თჳსსა და დუმილი და ლოცვაჲ შეიკრძალოს და საქმესა თჳსსა[7] იქმოდის უცონილად და ყოვლითა სულითა, ამათ ჟამთა შინა ძალ-უც მას ცხოვნებად[8].

47. თქუა ბერმან: ნუ დასდგამ ტაბლასა პირველ ჟამისა, ოდეს მარტოჲ იყო და ნუ იტყჳ სიტყუასა პირველ კითხვისა და ოდეს კითხულ იქმნე, თქუ შუენიერად და გონიერად.

48. თქუა ბერმან: ხედავა თუ ვითარ ეშმაკმან პირველი წყლულებაჲ იობს ზედა საფასეთათჳს მოაწია და ვითარცა იხილა, ვითარმედ არა განეყო ღმერთსა, მერმეღა მეორედ ჯორცთა ზედა მისთა მოაწია[9] და არცაღა ესრეთ ცოდა ახოვანმან მან მოღუაწემან, არცა სცთა სიტყჳთა პირისა მისისაჲთა, რამეთუ /45/ შინაკერძო მისა აქუნდეს მას სიმდიდრენი იგი ღმრთისა მადლთანი და ამისთჳს ყოველსავე მის მიერ ადვილად დაითმენდა[10].

---

[1] მცირედსა] მცირესაB. [2] შდრ. მთ. 5,22. [3] მტერისათა მტრისათა B. [4] არაოდეს] არა B. [5] უკუეთუ + რომელმან B. [6] შდრ. მთ. 6,24. [7] საქმესა თჳსსა] საქმეთა თჳსთა B. [8] ცხოვნებად] ცხოვნებაჲ B. [9] მოაწია] მოიწია B. [10] დაითმენდა] დაჲთმენდა A.

49. თქუა ბერმან, ვითარმედ: რომელი შევიდეს სახლსა სურნელსა და ნელსაცხებელთა მოქმედსა[1], დაღაცათუ არა იყიდოს, ესრეთცა უეჭუელად ეყნოსების სული იგი სურნელებისაჲ. ესრეთვე, რომელი მივიდოდის მამათა თანა სულიერთა. ხოლო უკუეთუ ინებოს[2] საქმედ, უჩუენებენ მას გზასა ცხორებისა და სიმდაბლისასა, რომელი ექმნას მას ზღუდე ზედამოსლვასა მას ეშმაკთასა.

50. ძმამან ჰკითხა ბერსა, ვითარმედ: ყოველსავე ვიქმ, რომელი ჯერ არს საქმედ სენაკსა შინა და არა ვპოვე ნუგეშინისცემაჲ ღმრთისაგან. ჰრქუა მას ბერმან: ორთათჳს საქმეთა შეგემთხუევის ესე: ერთად, რამეთუ იქცევი კაცთა თანა უქმთა და ურგებთა, და მეორედ, რამეთუ გნებავს დამტკიცებაჲ ნებისა შენისაჲ. ჰრქუა ძმამან მან[3] ბერსა: რაჲ გნებავს უკუე და ვყო, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: წარვედ უკუე და შეეყავ კაცსა ღმრთისმოშიშსა და დაუმდაბლე თავი შენი მას და მიეც ყოველივე ნებაჲ შენი მას და მერმე ჰპოებ ნუგეშინისცემასა ღმრთისაგან.

51. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: მარქუ მე სიტყუაჲ. ჰრქუა მას ბერმან: ნუ დასჯდები მწვალებელისა[4] თანა და შეიკრძალე ენაჲ შენი და მუცელი. და სადაცა სჯდე, ზედაჲსზედა იტყოდე, ვითარმედ: მწირ ვარ მე და წარმავალ და უცხო ამიერ.

52. /45v/ ბერი ვინმე მჯდომარე იყო სკიტეს და წარვიდა იგი ოდესმე ალექსანდრიად განსყიდად ჴელთსაქმრისა თჳსისა და იხილა ვინმე ჭაბუკი მონაზონი შემავალად[5] კაპილონსა[6]. შეუძნდა ესე ბერსა და შეწუხნა და დადგა გარე და ელოდა მდგომარე, რაჲთა ოდეს გამოვიდეს გარე, ეზრახოს მას, რომელიცა ესე იქმნა[7], რამეთუ გამოვიდა რაჲ იგი მიერ, უპყრა ბერმან[8] ჴელი, განიყვანა იგი თჳსაგან და ჰრქუა მას: უფალო ჩემო ძმაო, არა უწყია, რომელ ანგელოზებრივი სახჱ გმოსიეს? არა უწყია, რამეთუ ჭაბუკ ხარ? არა უწყია, რამეთუ მრავალ არიან და ფრიად საბრჴენი მტერისანი? არა უწყია, რამეთუ სახედველთა მიერ და სასმენელთა და სახეთა მიერ და სამოსელთა დიდად ევნების მონაზონსა ქალაქთა შინა და სოფელთა? და[9] ვითარ უკუე შენ, ძმაო, უშიშრად[10] შეხუალ კაპილონსა[11] შინა და რომელი არა გინა, გესმის და რომელი არა გინა, ხედავ[12] და უწესოთა მამათა და დედათა თანა იქცევი? ნუ, გევედრები, შვილო, ნუ ესრეთ ავნებ თავსა[13] და სულსა შენსა, არამედ ივლტოდე უდაბნოდ, სადაცა ძალ-გიც ცხოვნებად შეწევნითა ღმრთისაჲთა. მიუგო ჭაბუკმან მან ბერსა და ჰრქუა: წარვედ, ბერო კეთილო, წარვედ, რამეთუ ღმერთი არარას ეძიებს სხუასა, თჳნიერ[14] გულსა წმიდასა. მაშინ

---

[1] ნელსაცხებელთა მოქმედსა]_ნელსაცხებლი მოქმედთა B. 2 ინებოს] ენებოს B. 3 მან – B. 4 მწვალებელისა] მწვალებელსა B. 5 შემავალად] შემავალი B. 6 კაპილონსა] კაპილიონი B. 7 იქმნა] ქმნა B. 8 ~ ჴელი ბერმან B. 9 და- B. 10 უშიშრად] უშიშად B. 11 კაპილონსა] კაპილიონსა B. 12 ხედავ] ჰხედავ B. 13 თავსა + შენსა B. 14 თჳნიერ] გარნა B.

განიპყრნა ბერმან ჴელნი ზეცად და თქუა: დიდებაჲ შენდა ღმერთო, რამეთუ მაქუს სკიტეს ორმეოცდაათი წელი და გული წმიდაჲ ვერ მოვიგე, ხოლო /46/ ესე კაპილონთა[1] შინა იქცევის და გული წმიდაჲ მოიგო. მერმე მიექცა ძმასა მას ჭაბუკსა[2] და ჰრქუა: ღმერთმან, შვილო, და[3] შენცა გაცხოვნოს და მე ნუ სირცხჳლეულ-მყოს.

53. თქუა ბერმან: შვილნო[4], მარილი წყლისაგან არს, ხოლო უკუეთუ დაეახლოს წყალსა, დადნების და წარჴდების. ესრეთვე სახედ მონაზონი დედაკაცისაგან არს, ხოლო უკუეთუ დაეახლოს დედაკაცსა, დადნების და წარწყმდების.

54. ბერმან თქუა: რამეთუ ვილოცავთ ღმრთისა მიმართ და ვიტყჳთ: „ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა“[5], არა თუ ამისთჳს, რაჲთა არა განვიცადნეთ, რამეთუ ესე შეუძლებელ არს, არამედ რაჲთა არა დავინთქნეთ განსაცდელისა მისგან. ესე იგი არს, რაჲთა არა ვქმნეთ რაჲმე, რომელი არა სთნდეს ღმერთსა. რამეთუ ესე არს შესლვაჲ განსაცდელსა, რამეთუ ვითარცა სახედ რომელი მჴეცსა ჰბრძოდეს, უკუეთუ არა შეიჭამოს მისგან, არა შევიდა იგი პირსა მისსა. ესრეთვე არს ყოველთავე ზედა ვნებათა, უკუეთუ არა იძლიოს ვინმე მისგან, არა შევიდა იგი განსაცდელსა.

XLI. 1. ნეტარი ზოსიმე იტყოდა: ამან პირველად გამოისახა პირსა ზედა თჳსსა სასწაული პატიოსნისა ჯუარისაჲ და თქუა ესრეთ: განკაცნა რაჲ სიტყუაჲ ღმრთისაჲ, ესოდენი მადლი მისცა, რომელთა ჰრწმენა და ჰრწამს მისა მიმართ, რომლისა არა არს რიცხჳ. ვინაჲცა ჯერ არს ჩუენდა და აწცა რწმუნებაჲ და დაწყებად დღესვე საქმესა კეთილისასა, ვინებოთ თუ. და რამეთუ ოდეს მადლი ღმრთისაჲ და ნებაჲ და სურვილი კეთილისაჲ ერთად /46v/ შეკრბენ, მუნ ყოველივე ძნელი ადვილ იქმნების, ვინაჲცა შეჰგავს და ჯერ არს ყოველსავე, რომელსაცა ენებოს, რაჲთა ერთბამად ყოველივე სოფელი არარად[6] შეერაცხოს. და აღიღებ იგი, რაჲცა დახუდის[7] თუ წუელაჲ რაჲმე, თუ მკერდის ნაწყუედი, ანუ თუ სხუაჲ რაჲმე უდარესირე და იტყჳს: ვინ ამისთჳს ჰბრძავს ვისცა, გინა აცილობს, ანუ[8] უძნს, ანუ ძჳრმოჴსენე[9] არს, გარნა თუ ვისმე სრულიად წარეწყმიდოს გონებაჲ თჳსი. და რამეთუ რომელი ვიდოდის გზასა კეთილსა და წარემართოს ღმრთისმსახურებასა შინა, ღმრთისა კაცი, მას ერთბამად ყოველი სოფელი ვითარცა წუელაჲ ესე ჩალისაჲ შეურაცხიეს[10], დაღათუ აქუნდეს მთავრობაჲ მისი. და რამეთუ რომელსა მრავალგზის ვიტყოდე, აწცა მასვე ვიტყჳ, ვითარმედ: არა თუ ქონებაჲ რაჲსაჲმე[11] ვის ავნებს, არამედ ვნებულად ქონებაჲ. და რამეთუ ვინ არა[12] იცის, რომელ მონაგებსა ჩუენსა ყოველსავე[13], რაჲცა გუაქუს[14], ჴორცნი

[1] კაპილონთა] კაპილიონთა B. [2] ~ჭაბუკსა მას ძმასა B. [3] და – B. [4] შვილნო] შვილო B. [5] ლ. 11,4. [6] არარად] არად B. [7] დახუდის] დახუდეს B. [8] ანუ] გინა B. [9] ძჳრმოჴსენე] ძჳრისმოჴსენე B. [10] შეურაცხიეს] შეურაცხ-ეყოს B. [11] რაჲსაჲმე] რაჲსამე B. [12] არა] არB. [13] ყოველსავე] ყოველივეB. [14] გუაქუს] გუაქუნ B.

ჩუენნი უმჯობეს არიან და უპატიოსნეს, გარნა ოდეს ჟამმან ითხოოს, ბრძანებულ ვართ მათდაცა შეურაცხყოფად და თჳთ თავადთა ჴორცთა[1] ჩუენთა მოძულებად. რაოდენ უფროჲსღა მას, რომელი გარეგან არს ჩუენსა. და რამეთუ ვითარცა-იგი ცუდად და მაჯანად[2] არა ჯერ არს დაბნევაჲ საჴმართაჲ თჳნიერ ჴმარებისა კეთილად, ესრეთვე არცა დაგდებაჲ ჯერ არს თავისაჲ და სიკუდილი, რამეთუ ესე მათი არს, რომელთა წარეწყმიდნენ საცნობელნი გონებისანი, არამედ ჯერ არს მოლოდინებაჲ[3] ჟამისა და რაჲთა /47/ გან/მზადებულ ვიპოვნეთ. და იჴსენებნ ნეტარი ძმასა მას, რომელსა ედგა მხალი და იტყჳნ: ნუუკუე არა მას დაეთესაა[4]? ნუუკუე არა იგი დამაშურალ იყოა? ნუუკუე არა მას დაერგო და არა მას შეეკაზმაა? ნუუკუე თჳთ აღმოფხურაა იგი და განყარა? გარნა ყოველსავე ზედა აქუნდა იგი, ვითარმცა არა აქუნდა. ამისთჳსცა[5] ოდეს მოვიდა ბერი გამოცდად მისა და იწყო შემუსრვად მხლისა, არცა თუ გამოუჩნდა მას, არამედ დაიმალა[6]. და ოდეს ერთი ოდენ ძირი დაშთა, მაშინღა ჰრქუა მას: უკუეთუ გნებავს, მამაო, დაუტევე ეგე, რაჲთა მაგას ზედა ვყოთ სიყუარული. მაშინ ცნა წმიდამან, ვითარმედ მონაჲ არს იგი საკუთარი ღმრთისაჲ და არა მხლისაჲ. მერმე ჰრქუა მას: განსუენებულ არს სული ღმრთისაჲ შენ ზედა, ძმაო! ხოლო უკუეთუმცა ვნებულად სდგმოდა მას ბოსტანი იგი, მეყსეულად აჩუენებდა მწუხარებისა მიერ შფოთებასა თჳსსა. გარნა გამოჩნდა საქმით, ვითარმედ ესრეთ აქუნდა იგი, ვითარმცა არა აქუნდა. და იტყოდა ნეტარი იგი, ვითარმედ: დაჰნიშნვენ ეშმაკნი ესევითარსა მას და უკუეთუ ვინმე იხილონ, რომელ არარად შეურაცხიეს ნივთი სოფლისაჲ და სოფელი, არცარად აღშფოთნების მისთჳს, არცარად უმძიმს, მერმე სცნობენ მისთჳს, ვითარმედ დაღათუ ქუეყანასა ზედა იქცევის ესევითარი იგი, არამედ მოქალაქობაჲ მისი ზეცას არს.

2. კუალად იტყოდა იგი, ვითარმედ: აღძრვანი არიან გონებისანი და ძალ-უც გონებასა მჴურვალესა ერთსა შინა ჟამსა შეწირვად ღმრთისა, /47v/ რომელსა ვერ შესწირავს სხუაჲ გონებაჲ მცონარი ორმეოცდაათსა შინა წელსა. და უკუეთუ იხილონ ეშმაკთა, ვითარმედ იგინა ვინმე, ანუ შეურაცხ იქმნა, ანუ თუ რაჲმე იზღვია, გინათუ რაჲცა რაჲმე ძჳრი შეემთხჳა და უმძიმს მას, არა თუ რად ევნო, არამედ რამეთუ არა ახოვნად მოითმინა, ესევითარისაგან ეშინის[7] ეშმაკთა, რამეთუ სცნობენ, ვითარმედ შეეხო გზასა ჭეშმარიტსა და ჰნებავს სლვაჲ მცნებათაებრ ღმრთისათა.

3. და იჴსენებნ იგი წმიდასა პახუმის, ოდეს-იგი დაუფრთხო მას ძმამან მისმან უხუცესმან და ჰრქუა: დასცხერ ცუნდრუკებისაგან, მზუაბარო, რამეთუ გნებავს განვრცობაჲ მონასტრისაჲ, ოდეს-იგი ღმრთისა მიერ

[1] თავადთა ჴორცთა] თავადთაცა თავთა B. [2] მაჯანად] ურგებად B. [3] მოლოდინებაჲ] მოლოდებაჲ B. [4] დაეთესაა] დაეთესა B. [5] ამისთჳსცა] ამისთჳს B. [6] დაიმალა] დაჲმალა A. [7] ეშინის] ეშინინ B.

უწყებულ[1] იყო მისდა აღშენებაჲ მონასტრისაჲ, რომელსა ესმა რაჲ შერისხვაჲ იგი ძმისაჲ, აღიძრა გულისწყრომად, ვითარცა კეთილსა ზედა. გარნა ესრეთცა არარაჲ ჰრქუა მას, არამედ იპყრობდა ენასა თჳსსა და გულსა. ხოლო მომავალსა მას მწუხრსა შთავიდა ქუემოსა მას მცირესა საყოფელსა, იწყო ტირილით ლოცვად და იტყოდა: ღმერთო დამბადებელო, ჯერეთცა გონებაჲ ჰორციელი არს ჩემ თანა, ჯერეთცა ჰორციელად ვცხოვნდები! ვაჲ მე, უბადრუკსა, რამეთუ მეგულების სიკუდილი, ვითარცა წერილ არს. ესოდენი მოღუაწებაჲ და განმზადებულებაჲ მაქუს გულისაჲ და ჯერეთ გულისწყრომად აღვიტაცები, დაღათუ რეცა კეთილსა ზედა შემიწყალე მე, უფალო, რაჲთა არა წარვწყმდე, რამეთუ უკუეთუ პოოს ჩემ თანა მტერმან /48/კერძ/ოჲ რაჲმე[2], რაჲზომ რაჲ[3] მცირე, ადვილად ჴელთ-მიგდოს, არა თუ შენ დამამტკიცო და განმაძლიერო უფალო! რამეთუ უკუეთუ ვინმე დაიმარხოს[4] ყოველი შჯული შენი და სცთეს ერთსა რასმე, იქმნა უეჭუელად ყოვლისავე თანამდებ. არამედ მრწამს მრავალთა მათ მოწყალებათა შენთაჲ, რომელ უკუეთუ შენ შემეწიო, უფალო, ვისწაო ამიერითგან სლვად გზასა მას წმიდათა შენთასა და რაჲთურთით წაღმართსა მას მივსდევდე. და რამეთუ ნანდჳლვე[5] მათ ოდენ არცხჳნეს ჯერისაებრ მტერსა! ანუ ვითარ ვასწაო, უფალო, რომელნი-იგი შემოჰკრიბნე შენ ჩემ თანა, გზაჲ ცხორებისაჲ, არა თუ პირველად მე წარვლო და დავიცვა შიში შენი. ამას რაჲ უკუე და ესევითარსა ილოცვიდა, დაადგრა ღამე ყოველ ტირილსა შინა და გლოვასა ვიდრე განთენებადმდე. და ცრემლთაგან მისთა და ოფლთა იქმნა თიჴაჲ ქუეშე ფერჴთა მისთა ადგილსა მას, სადა მდგომარე იყო. და იყო ზაფხული და ადგილი იგი მჴურვალე ფრიად. და იტყოდა საკჳრველებით ნეტარი იგი: ნუუკუე აქუნდაო ცრემლთა მისთა წყვაჲ[6] ანუ საზომი, ვითარმცა არა მიანიჭა ღმერთმან ესევითარსა გონებასა უხუებაჲ კეთილთა მისთაჲ? რამეთუ მე მრწამს ჭეშმარიტად, ვითარმედ ღამესა მას შინა მისცა მას ღმერთმან ყოველივე, რაოდენიცა სთხოა მას, რაჲთა იყოს იგი[7] მკუდარ მიერითგან ყოველთაგანვე ვნებათა.

4. და იტყოდა იგი, ვითარმედ: უკუეთუ ვინმე შეუშუას ვისთჳსმე გულისსიტყუაჲ ძჳრი გულად თჳსა[8] შეწუხებისა რაჲსათჳსმე, გინა ზღვევისა, გინა გინებისა, გინა რაჲსაცა ბოროტისა შემთხუევისათჳს და თხზვიდეს იგი გულისსიტყუათა მისთჳს, მოიკლავს იგი სულსა თჳსსა, ვიდრეღა არცაღა თუ საჴმარ არიან მისდა[9] ეშმაკნი, რამეთუ თჳთ მკლველ არს იგი თავისა თჳსისა. /48v/ და რად ვიტყჳ, თუ თხზვიდეს გულისსიტყუათა? არამედ უკუეთუ არა ეპყრას იგი ვითარცა მკურნალი კეთილი, დიდად ავნებს იგი

[1] უწყებულ] ბრძანებულB. [2] რაჲმე +მისი A (მხედრულით). [3] რაჲ –B. [4] დაიმარხოს] დაჲმარხოს A. [5] ნანდჳლვე] ნამდჳლ B. [6] წყვაჲ] წყევი B. [7] აქედან შემოდის C ნუსხა. [8] თჳსა] თჳსად C. [9] მისდა] მისთჳს C.

თავსა თჳსსა. და რამეთუ რაჲ სთქუა, თუ გავნო, არარაჲ გავნო, ნუ იყოფინ! არამედ უფროჲსღა განგწმიდა და ესრეთ გიღირს შერაცხვაჲ მისი, ვითარცა ქრისტეს მიერ მოვლინებულისა მკურნალისაჲ. რამეთუ ვალი თანაგაც ქრისტესი და გიღირს ვნებად სახელისათჳს მისისა, ესრეთვე მისი თანაგაც პყრობაჲ, ვითარცა ქველისმოქმედისაჲ. უკუეთუ კულა ვერ განყენებულ ხარ ვნებათაგან, არცა გნებავს თავისუფლების, უბრალო არს შენგან უფალი ღმერთი და უმიზეზო, რამეთუ[1] თჳთ ეგე, რომელ გელმის, სნეულებისაგან არს სულისა. რამეთუ უკუეთუმცა არა სნეულ იყავ, არამცა გელმოდა. და ამისთჳს[2] უმეტესადღა თანაგაც მადლსა აღსაარებად ძმისა, რამეთუ მის მიერ სცან სენი შენი და გიღირს, რაჲთა მიიღო მისგან საკურნებელი წამალი, რომელი წარმოუგზავნიეს შენდა იესუს.

ხოლო უკუეთუ არაოდეს[3] არა ჰმადლობდე, არამედ ძჳრთაცა ჰწმასნიდე[4] მისთჳს, საცნაურ არს, რომელ წინააღუდგები იესუს და ეტყჳ: „არა მნებავს განკურნებაჲ შენგან, არა მიჰმს წამალი შენი, დალპობაჲ მნებავს წყლულებათა შინა ჩემთა, მორჩილებაჲ მნებავს ეშმაკისაჲ და არა შენი“[5]. რაჲ უკუე გიყოს შენ უფალმან მიერითგან? რამეთუ სახიერ არს უფალი ჩუენი და მოწყალე და წინაგანსაწყობელად სიბოროტეთა ჩუენთა მომცნა ჩუენ მცნებანი მისნი წმიდანი, რომელნი-იგი მსგავსად განსაწმედელთა წამალთა და დამწუველთა განჰკურნებენ[6] სიბორგილეთა ჩუენთა. ვინაჲცა რომელსა ენებოს და სუროდის სიმრთელისათჳს, უნებლიეთ თანააც დათმენად ყოველსავე, რაოდენიცა რაჲ მკურნალმან ჯერ იჩინოს, /49/. და რამეთუ არცაღათუ სნეულსა ეჰამების დაწუვაჲ და დაჭრაჲ[7] ასოთა თჳსთაჲ, არცაღა სუმაჲ მწარესა მას სასუმელსა სანავღლოსა, არამედ უფროჲსღა მოეჯსენოს რაჲ, გული ეზეზვის[8]. გარნა ყოველსავე ზედა არწმუნებს თავსა თჳსსა და აიძულებს[9], რამეთუ იცის, ვითარმედ თჳნიერ ამისა[10] ვერ დაეჯსნების სენსა მას. ამისთჳსცა მისცემს თავსა ჴელთა მკურნალისათა, რამეთუ მეცნიერ არს, ვითრამედ მცირედისა მისთჳს უგემურობისა[11], განერეს იგი მრავალჟამეულსა ნავღელსა და საგრძელოსა სნებასა.

სადაგავნი უკუე და დასაწუველნი[12] იესუჲსნი არიან: დაჭირვებაჲ საჴმართაჲ, შეურაცხყოფაჲ სოფლისაჲ, მოძულებაჲ ჴორცთაჲ და ყოვლისავე[13] ნივთისა მსოფლიოჲსაჲ და რაჲთა ზეშთა იქმნე[14] ყოველთაგანვე ვნებათა. ხოლო უკუეთუ კულა არა თავს-იდებ, თავსა შენსა ავნებ. თავსავეცა შენსა აბრალობდი და ნუ ძმასა ჰმიზეზობ. გარნა ჩუენ, ვითარცა გამოუცდელნი განსაცდელთანი, გარემივაქცევთ წამალთა მათ იესუჲსთა საკურნებელთა

---

[1] რამეთუ თჳთ ეგე] ეგე რომელ თჳთ C. [2] ამისთჳს] ამისთჳსცა C. [3] არაოდეს] არა თუ ოდეს B. [4] ჰწმასნიდე] სწმასნიდე BC. [5] გამოსლ. II, 22. [6] განჰკურნებენ] ჰკურნებენ C. [7] ~დაჭრაჲ და დაწუვაჲ B. [8] ეზეზვის] ეზეზღვის B. [9] აიძულებს] აჲძულებს A. [10] ამისსა B. [11] უგემურობისა] უგემურებისა B. [12] დასაწუველნ] დასაწუავნი B. [13] ყოვლისავე] ყოვლისა B. [14] იქმნე] ექმნე B.

და დაუტეობთ[1] ბრალობასა თავთა ჩუენთასა და გულისსიტყუათა ვკერავთ და ვწმასნით კეთილისმყოფელთათჳს ჩუენთა, ვითარცა განლიგებულნი და განცოფებულნი[2].

5. და იტყოდა ნეტარი იგი, ვითარმედ: აღიხუენ განსაცდელნი სოფლით და არავინ იპოოს წმიდად, რამეთუ რომელი ევლტოდის[3] განსაცდელთა სარგებელისათა, არა ევლტის იგი განსაცდელთა საუკუნეთა. რამეთუ თქუა ვინმე წმიდათაგანმან, ვითარმედ: ვინ მოატყუა წმიდათა მოწამეთა დიდებაჲ და გჳრგჳნი, თჳნიერ მათთა მათ /49v/განმ/კითხველთა? ანუ ვინ აღიყვანა წმიდაჲ ესევითარსა დიდებასა [თჳნი]ერ დამქოლველთა[4] მათ მის[თა]. და იჴსენებდაცა იგი სიტყუასა მას ევაგრესსა და იტყოდა, ვითარმედ: მე არა თუ ოდენ არა ვაბრალობ ძჳრისმზრახვალთა[5] ჩემთა, არამედ ქველისმოქმედცა[6] ვხადი და არა გარემოვაქცევ სამკურნალოსა სულთასა, რამეთუ შეურაცხებაჲ წამალი არს საკურნებელი მზუაობარისა სულისაჲ, ვინაჲცა მეშინის, ნუუკუე და სულისათჳსცა ითქუას ჩემისა: „ვჰკურნებდით ბაბილონსა[7] და არა განიკურნა“[8]. და იტყოდა იგი, ვითარმედ: ეშინოდაო ევაგრეს თავისათჳს თჳსისა, ნუსადა ესაჯებოდა მას ქრისტე და ეტყოდის: უბადრუკო ევაგრე, სნეულ ხარ ზუაობითა და ამპარტავანებითა, ხოლო მე მოგივლინე წამალი საკურნებელი – შეურაცხებაჲ და არა განიკურნე.

ხოლო ესემცა ვიცით, რომელ არავინ იტყჳს[9] ესრეთ ჭეშმარიტსა, ვითარ-იგი ძჳრისმზრახვალნი ჩუენნი. და იტყოდა იგი, ვითარმედ: უფალმან უწყის განაღა, რომელი-იგი განიკითხავს გულთა და თირკუმელთა, რომელ დაღაცათუ ყოველი სოფელი მაქებდეს[10] და მნატრიდეს, ჩემი ყოველივე ღირს არს ძაგებისა და კდემისა და ნერწყუვისა. ხოლო უკუეთუ სთქუა შენ, თუ: „ესე და ესე გიქმნიეს“, მე ვთქუა, ვითარმედ: „და რაჲ ჩემთაგან საქმეთა კეთილ, რაჲთამცა ეგეოდენ იყო ბოროტ“. ვინაჲცა არავინ ტყუის სხუაჲ, თჳნიერ მაქებელნი და მნატრენი ჩუენნი და არავინ იტყჳს მართალსა, ვითარ-იგი მძაგნი ჩუენნი და შეურაცხმყოფელნი[11], ვითარცა პირველ ვთქუ, და ვერცაღათუ მათ იციან ყოველივე მართლიად, რაჲთამცა იტყოდეს. ხოლო უკუეთუმცა ღირს იქმნნეს ცნობად, არა ვიტყჳ პელაგონსა მას და ზღუასა ბოროტთა ჩუენთასა, არამედ მცირე თუმცა რაჲ კერძოჲ იხილეს, /50/ ივლტო/დესმცა იგინი, ვითარცა მწჳრისაგან და სიმყრალისა სულისაგან უკეთურისა სულთაცა[12] ჩუენთა სიხენეშისაგან. და უკუეთუ იქმნნენ ყოველნი ასონი ყოველთა კაცთანი ენა, გურწამს, რომელ ვერ გამოიტყჳან ღირსებით ჩუენსა უპატიოებასა, რამეთუ ყოველივე ძჳრისმეტყუელი და

---

[1] დაუტეობთ] დაუტევებთ B. 2 განცოფებულნი] განცჳბრებულნი B. 3 ევლტოდის] ევლტის C. 4 დამქოლველთა] მწოლველთა B. 5 ძჳრისმზრახვალთა] ძჳრისმზრახველთა B. 6 ქველისმოქმედცა] ქველისმოქმედთადცა B. 7 ბაბილონსა] ბაბილოვს B. 8 იერ. 2,9; შდრ .ლ.13,34-35. 9 ~ ესრეთ იტყჳს B. 10 ~ მნატრიდეს და მაქებდეს BC. 11 შეურაცხმყოფელნი] შეურაცხისმყოფელნიB. 12 სულთაცა] სულთაB.

მძაგებელი კერძოსა რასმე იტყჳს და ნაწილსა, ხოლო ყოვლისავე ცნობად ვერ ძალ-უც, ვერცა იტყჳს. და რამეთუ უკუეთუ იობ[1] მართალი იტყოდა, ვითარმედ: „აღსავსე ვარ უპატიოებითა“[2], ხოლო აღსავსესა შინა სხუაჲ არღარაჲ ჩაეტევის, ჩუენ რაჲღა ვთქუათ, რომელნი-ესე ჯჳრღმულნი ვართ ყოველთა ბოროტთანი? რომელნიცა უბადრუკნი ყოველთავე ცოდვათა სიმრავლითა დამამდაბლნა ჩუენ ეშმაკმან და თანაგუაც ყოველთა ცნობად შემუსრვილებისა და სიმდაბლისა ჩუენისა. და რამეთუ რომელთაცა იცნან უძლურებაჲ თჳსი და სიმდაბლისა მიმართ მიივლტოდიან[3], შეჰმუსრვენ ეშმაკსა. და ვითარცა თქუეს წმიდათა მამათა, ვითარმედ: „უკუეთუ შთაჴდეს სიმდაბლე ქუესკნელადმდე და[4] ჯოჯოხეთად, ვიდრე ცადმდე ამაღლდების“ და კუალად: „უკუეთუ ამაღლდეს ამპარტავანებაჲ, ვიდრეცა ზესკნელადმდე[5], ვიდრე ჯოჯოხეთადმდე შთაჴდების“.

და იტყოდა იგი, ვითარმედ: ვინ არწმუნოს მდაბალსა, რაჲთამცა თხზვიდა გულისსიტყუათა ვისთჳსცა[6]. და რამეთუ[7] ყოველივე[8], რაოდენიცა-რაჲ შეემთხჳოს მდაბალსა, გინა ევნოს, ანუ თუ ესმას, ყოველსავე მიზეზად შეიქმს შეურაცხებისა და თავისავე თჳსისა კდემულებისა.

და იჴსენებდა იგი მამასა მოსეს და იტყოდა: ხედავთა[9], თუ რაჲ ყო, ოდეს-იგი მნეთა ეკლესიისათა გამოდევნეს ეკლესიით და ჰრქუეს მას: „განვედ გარე, ჰინდოო შაო“. ვითარ იწყო ბრალობად თავისა და იტყოდა: „ნაცრის ტყაო შაო, კეთილად გიყვეს შენ, ოდესღა კაცი არა ხარ, რაჲსათჳს წარმოსდგები შორის კაცთა?“

/50v/ და იტყოდა იგი, ვითარმედ: რაოდენიცა-რაჲ შეემთხჳოს მდაბალსა, მეყსეულად ლოცვად აღდგების და ყოველნივე კაცნი ქველისმოქმედად შეურაცხიან. გარნა ჩუენ დაგჳტეობიეს[10] გზაჲ ჭეშმარიტებისაჲ და ძღომაჲ წმიდათაჲ და სხუასა გზასა გუნებავს შექმნაჲ ნებათაებრ ჩუენთა უკეთურთა. უკუეთუ არა, რაჲ უადვილეს არს სმენასა კეთილისა მის და საქმით გამოცდილისა მოძღუარისა მამისა ამმონაჲსა[11], რომელი იტყჳს: დაიცევ[12] თავი შენი მტკიცედ, რაჲთა უკუეთუ ვინ[13] შეგაწუხოს შენ რასაცა ზედა საქმესა, სდუმდე სრულიად და ყოლადვე[14] არაჲ სთქუა, ვიდრემდის ლოცვისა მიერ მოუკლებელისა დამშჳდდეს გული შენი და გონებაჲ და ესრეთღა ევედრე ძმასა. და რამეთუ რომელსა სუროდის გზისა მისთჳს წრფელისა და ჭეშმარიტისა, აღძრვასა მას შინა, უმეტესადღა სწყლავს თავსა თჳსსა და ჰგუემს და[15] მარადის ჰყუედრის და ეტყჳს: რაჲსათჳს განლიგებულ ხარ, სულო და განძჳნებულ და ვითარცა განცოფებული აღშფოთებულ ხარ და

---

[1] ~ მართალი იობ B. [2] იობ. 6,2. [3] მიივლტოდიან] მიივლტოდი B. [4] და – C. [5] ზესკნელადმდე] ზესკნელთამდე C. [6] ვისთჳსცა] ვისთაცა B. [7] რამეთუ – B. [8] ყოველივე] ყოველი C. [9] ხედავთა] ხედავა C. [10] დაგჳტეობიეს] დაგჳტევებიეს BC. [11] ამმონაჲსა] ამმონაჲსსა B. [12] დაიცევ] დაჲცევ A. [13] ვინმე C. [14] ყოლადვე] ყოლად C. [15] აქედან E ნუსხა გრძელდება 1r-ზე (აკინძვის შეცდომა).

გულისწყრომისა ლოპრნი გარდაგცემიან[1]? ნანდჳლვე თჳთ ამით გამოაჩინებ ცხადად, რამეთუ სნეულ ხარ. და უკუეთუმცა არა სნეულ იყავ, არამცა გეტკივნებოდა. რაჲსათჳს უკუე დაგიტევებიეს ბრალობაჲ თავისაჲ და ძმასა შენსა აბრალებ, რომელმან გიჩუენა სენი შენი? საქმითცა და სიტყჳთ ისწავენ უკუე, სულო, მცნებანი ქრისტესნი, რომელი-იგი მაგინებელთა არა აგინებდა, ევნებოდა და არა უთქუმიდა. არა გესმისა სატყუაჲ მისი, რომელი აჩუენა საქმით: ბეჭნი ჩემნი მივსცენ გუემად და ღაწუნი ჩემნი[2] – ყურიმლისცემად, ხოლო პირი ჩემი არა გარემივიქციე[3] სირცხჳლისა მისგან ნერწყუვისა. ხოლო შენ, უბადრუკო და უდებო სულო, არცა თუ ერთსა კდემასა და ყუედრებასა თავს-იდებ ძმისაგან, არამედ დაჯდომილ ხარ და ბევრეულთა გულისსიტყუათა /51/ სწ/მასნი და უძჳრეს ავნებ თავსა შენსა უფროჲს ეშმაკთასა. რამეთუ[4] და რაჲ ავნოს მეტი ეშმაკმან სულსა, რაოდენ-იგი თჳთ ავნებს თავსა თჳსსა? აჰა ესერა, ვხედავთ ჯუარსა ქრისტესსა და წმიდათა ვნებათა მისთა აღმოვიკითხავთ დღითიდღე, და რაოდენი-იგი ევნო[5] ჩუენთჳს, გუესმის, ხოლო ჩუენ არცათუ ერთსა კდემულებისა სიტყუასა თავს-ვიდებთ. ნანდჳლვე, ნანდჳლვე, ჭეშმარიტად მიდრეკილ ვართ გზისა მისგან წრფელისა და საღმრთოჲსა.

6. და იტყოდა იგი, ვითარმედ: უკუეთუ ცხოვნდეს[6] კაცი დღეთა მათუსალაჲსთა[7] და წელთა და არა წარვლოს[8] გზაჲ იგი წრფელი, რომელი ვლეს[9] ყოველთა წმიდათა, ხოლო ვიტყჳ მე კდემასა და შეურაცხებასა და ზღვევასა და სხუასა მას ყოველსავე ძჳრთა შემთხუევასა, ვერ წარემართოს იგი ვერცა დიდად და ვერცა მცირედ, არამედ ცუდად დღენი ოდენ თჳსნი წარჰჴადნეს.

7. და იტყოდა იგი, ვითარმედ: ვიყავ ოდესმე ნეტარსა თანა დიონჳსიას[10], დავსხედით რაჲ ერთგან, სთხოა ვინმე ძმამან წყალობაჲ[11] და მისცა მას, რაოდენ[12] ძალ-ედვა. ხოლო ვინაჲთგან არა ეგოდენი მიეცა, რაოდენსა-იგი ეძიებდა, იწყო მან გინებად მისა[13] და იტყოდა[14] მისთჳს და ჩემთჳს ყოლად უშუერთა სიტყუათა, რომელთა არა ჯერ არს ჴსენებად მიცემაჲ. ესმა რაჲ ესე ღირსსა მას დედაკაცსა, შეწუხნა ფრიად და ეძიებდა ბოროტისყოფად მისა[15]. ხოლო მე, ვისწავე რაჲ ესე, ვარქუ მას: რასა იქმ ამას და მტერ ექმნები თავსა შენსა და ყოველსავე სათნოებასა მოსძრცჳ სულისაგან შენისა? რასა უკუე დაუთმენ ღირსსა[16] რომელი-იგი ქრისტემან დაითმინა[17] შენთჳს? ვიცი, რამეთუ განგიბნევიან საფასენი ვითარცა ნაგევნი, ხოლო უკუეთუ არა

---

[1] გარდაგცემიან] გარდაგეცემიან B; გარდაქცევიან C. [2] ჩემნი – B. [3] გარემივიქციე] გარემივაქციე E. [4] ~ და რამეთუ B. [5] ივნო C. [6] ცხოვნდეს] ცხონდეს E. [7] მათუსალაჲსთა] მრავალთა B. [8] წარვლოს] წავლოს E. [9] ვლეს] იხილეს C. [10] დიონჳსიას] დეონისიას B; დიონჳსიოს C; დიონოსიას E. [11] წყალობაჲ] ევლოგიაჲ BE. [12] რაოდენ] რაოდენი E. [13] მისა] მისსაE. [14] იტყოდა +იგი E. [15] მისა] მისდა C. [16] ღირსსა] მტერსა (სხვა ხელით A). [17] დაითმინა] დაჲთმინა A.

მოიგო სიმშჳდე, მსგავს იყო შენ ძჳნსა[1] შანთსა რკინისასა, რომელსა სცემნ მჭედელი ფრიად, ხოლო ჭურჭელსა ვერ შეიქმნ[2] მისგან.

და ეტყოდა მას ამასცა, ვითარმედ: იტყჳს წმიდაჲ ეგნატი ღმერთშემოსილი, ვითარმედ: „მიჴმს /51v/ უპირა/ტეს ყოვლისა სიმშჳდჱ[3], რომელიიგი დაჰჴსნის ყოველსავე ძალსა მთავრისა მის ამის სოფლისასა და განაქარვებს“.

სასწაული უკუე მონაზონისაჲ, ვითარმედ დაუტეობიეს[4] სოფელი, არს ურისხველობაჲ და რაჲთა ყოლადვე არა აღშფოთნებოდის. და რამეთუ არს კაცი, რომელი დაუტეობს[5] მრავალსა[6] ტალანტსა და ერთისათჳს ნემსისა განრისხნების და სიყუარულითა მის[7] ნემსისაჲთა აღშფოთნების და დაიპყრობს[8] ადგილსა სრულსა ტალანტისა და კენდინრისასა[9] ნემსი იგი უნდოჲ და იქნების კაცი იგი მონა ნემსისა[10], ანუ კუნკულისა, ანუ წიგნისა, ანუ სხჳსა[11] რაჲსმე ნივთისა ქუეყანიერისა, ვინაჲცა არღარა არს იგი მიერითგან მონა ღმრთისა. და კეთილად[12] თქუა ვინმე ბრძენთაგანმან, ვითარმედ: „რაოდენნიცა არიან ვნებანი სულისანი, ეგოდენნიცა არიან უფალნი მისნი და პატრონნი“ და კუალად მოციქული იტყჳს: „რომლისაგანცა ვინ ძლეულ არნ, მისდაცა დამონებულ არნ“[13]. ესმა რაჲ ესე ღირსსა მას დედაკაცსა, დაუკჳრდა, მომხადა მე და მრქუა: გიპოვნიესმცა ღმერთი, რომლისა გსურის!

8. და იტყოდა ნეტარი იგი, ვითარმედ: სულსა ჰნებავს ცხოვნების, გარნა უყუარს ამაოებაჲცა ესე საწუთროჲსაჲ და შუებათათჳს მოცალე არს, ხოლო ჭირთა ევლტის. თუ არა, უკუეთუმცა ჭირთა და ღუაწლთა არა ევლტოდა სული, არა არიან დასტურად მცნებანი მძიმე, არამედ მძიმე არიან და ძნელ ნებანი ჩუენნი ბოროტნი, რომელთა განკუეთაჲ გუეწყინების, უკუეთუ არა, ვითარ წეს გუეყჳს[14] და ჩვეულება, რომელ შიშისათჳს ზღჳსა[15], ანუ შიშისათჳს ბარბაროზთაჲსა, ანუ შიშისათჳს ავაზაკთაჲსა ყოველსავე შეურაცხ-ვჰყოფთ და უცონილად განვსთხევთ და განვაგდებთ ჩუენგან ყოველსავე მონაგებთა სიმრავლესა მცირედ ჟამისათჳს სიცოცხლისა /52/ და ესეღა, რამეთუ ვიცით მტკიცედ, ვითარმედ შემდგომად მცირედისა უეჭუელად მოვკუდებით, გარნა ყოველსავე ზედა მცირისა მის სიცოცხლისა შეძინებისათჳს, ყოველსავე უგულებელს-ვჰყოფთ და სანატრელად შეგჳრაცხიან თავნი ჩუენნი, მაშინ ოდეს ყოველივე წარვწყმიდოთ და თავნი ჩუენნი განვარინნეთ გინა ზღჳსაგან, გინა მტერთაგან. და პირველ მცირედისა განჩემებული იგი შეძინებისათჳს დანგისა მეყსა შინა ყოველსავე ადვილად განსთხევნ და[16]

---

[1] ძჳნსა] ძჳლსა C. [2] შეიქმნ] შეიქმს C. [3] სიმშჳდჱ] სიმშჳდე BCE. [4] დაუტეობიეს] დაუტევებიეს CE. [5] დაუტეობს] დაუტევებს CE. [6] ~ ტალანტსამრავალსა E. [7] მის] მით CE. [8] დაიპყრობს] დაჲპყრობს A. [9] კენდინრისასა] კენდინარისასა C. [10] აქ E ნუსხა წყდება. [11] ~ რაჲსმე სხჳსა C. [12] კეთილად] კუალად B. [13] პეტრე 2,19. [14] გუეყჳს] გუეყოფის B. [15] ზღჳსა ანუ შიშისათჳს – B. [16] და – B.

გულსმოდგინედ, რაჲთა კნინთა დღეთა ცხორებაჲ შეიძინოს. რაჲსათჳს[1] უკუე არა მოვიჴსენებთ ამას საუკუნოჲსათჳს ცხორებისა?[2] რაჲსათჳს უკუე არა ძალ-უც შიშსა ღმრთისასა ესოდენ, ვითარცა თქუა წმიდამან ვინმე, რაოდენ-იგი ძალ-უც შიშსა ზღჳსასა? და სიმტკიცისათჳს საქმისა ამას იტყოდა ნეტარი იგი თხრობასა, რომელი ასმიოდა კაცთაგან სარწმუნოთა, რომელსა აქუს სახჱ[3] ესევითარი:

იყო ვინმე კაცი, მოქმედი და მოვაჭრე ქვათა პატიოსანთაჲ, რომელსა ეწოდების მეთუალჱ. და აქუნდა მას სიმრავლე ქვათა პატიოსანთა და მარგალიტთაჲ. აღვიდა უკუე ოდესმე ნავად კაცი ესე ყრმათა თანა[4] თჳსთა, რაჲთა ყოს ვაჭრობაჲ უმეტესი. ხოლო დახუდა განგებით და შეექმნა სიყუარული კაცისაჲ მის ყრმასა ერთსა ნავისაგან და ჰმსახურებნ იგი ყოველსავე რას სამსახურსა. და კუალად იგი განუსუენებდა მას[5] და ანუკვებდა რაოდენსა-რას იგი ჭამს და სუამს. დღესა უკუე ერთსა ესმა ყრმასა მას ბურდნაჲ რაჲმე მენავეთაჲ, რომელსა-იგი თჳსაგან განიზრახჳდეს, რაჲთა გარდააგდონ მეთუალჱ იგი ზღუასა ქვათა მათთჳს და თუალთა, რომელნი აქუნდეს. ხოლო ყრმაჲ იგი შეწუხნა ფრიად და მჭმუნვარებითა მრავლითა მოვიდა კაცისა მის მსახურებად მისა ჩუეულებისაებრ. იხილა რაჲ იგი /52v/ მეთუალემან მან ესრეთ შეწუხებული, ჰრქუა მას: რაჲ არს, ყრმაო, შენდა დღეს, რამეთუ ესრეთ გხედავ მჭმუნვარედ? ხოლო იგი ჰფარვიდარე და ჰრქუა: არარაჲ მჭირს. კუალად ჰკითხა მას და ჰრქუა: მითხარ დასტური, თუ რაჲ გჭირს? მერმე აღივსო ყრმაჲ იგი ცრემლითა და ჰრქუა მას: ესე და ესე განიზრახეს შენთჳს მენავეთა. ჰრქუა მას მეთუალემან: დასტურად ესრეთ არსა? და იცი[6] მტკიცედ, ვითარმედ ესე ესრეთ არს? მიუგო ყრმამან: ჰჱ, ჭეშმარიტად მტკიცედ უწყოდე, რომელ-ესე დაამტკიცეს თჳსაგან შენთჳს. მაშინ მოუწოდა ყრმათა თჳსთა და ჰრქუა მათ: რაჲცა გრქუა თქუენ ყოფად, უცონილად ყავთ. მერმე ჰრქუა მათ: მოიღეთ სინდონი და განჰფინეთ. და ყვეს ეგრე. მომართუთ ზანდუკი[7] იგი თუალებისაჲ! და მოიღეს. მაშინ განაღო ზანდუკი[8] იგი თჳსი და იწყო აღმოღებად ქვებსა მას და მარგალიტებსა და განჰფენდა სინდონსა მას ზედა, ხოლო ვითარცა ყოველივე განჰფინა, მერმე იწყო სიტყუად და იტყოდა: ესე არსა სიცოცხლჱ ჩემი? ამისთჳს ვისაჯებია ზღუათა შინა და ჴმელთა? ამისთჳს ვაპებ უფსკრულთა და ვარ შიშთა შინა სამარადისოთა? შემდგომად ამისა რაჲ? არა მოვკუდებია მცირედ უკუანაჲსკნელ და არარაჲ განმაქუს[9] ჩემ თანა სოფლისაჲ ამის, არამედ შიშუელი და სირცხჳლეული განმავალ ვარ. მერმე ჰრქუა ყრმათა თჳსთა: აღიღეთ ყოველივე[10] ესე და შთააბნიეთ ზღუასა! და სიტყუასავე თანა

[1] რაჲსათჳს უკუე არა ... ცხორებისა – B. [2] ამ ადგილას C ნუსხა ნაკლულია. [3] სახჱ] სახე BC. [4] ~ თჳსთა თანა B. [5] მას – B. [6] იცი] იცია B. [7] ზანდუკი] ზანდუკები B. [8] ზანდუკი] ზანდუკები B. [9] განმაქუს] განმაქუნ B. [10] ~ ესე ყოველივე B.

მეყსეულად შთაუტევეს იგი ყოველი ზღუად. და განკჳრდეს მენავენი იგი და ცუდ იქმნა და ამაო განზრახვაჲ მათი და ბოროტი იგი გულისსიტყუაჲ[1] განქარდა.

და იტყოდა ნეტარი იგი: და-ღა-ვხედნეთ, ძმანო, /53/ ამას, თუ ვითარ აღიძრა გულისსიტყუაჲ და წარემართა, ადვილად იქმნა ფილოსოფოს სიტყჳთცა და საქმით და ესეღა, რაჲთა შეიძინოს მცირედ ჟამისა სიცოცხლჱ. და მართლიად ყო კეთილად, რამეთუ მოიგონა, ვითარმედ: ოდეს მე მოვკუდე, რადღა ვიჴმარნე ქვანი იგი? და აწ ჩუენ არცა თუ კნინოდენსა რას ზღვევასა თავს-ვიდებთ[2] დათმენად[3] მცნებათათჳს ქრისტესთა. ხოლო უკუეთუ კუალად ჯერ არს შეწუხებაჲ წარწყმედისათჳს, ჯერ არს მისისა, რომელმან აზღვიოს და არა დაჭირვებისათჳს საჴმართაჲსა, რამეთუ მან, რომელმან-იგი ავნო უსამართლოდ, უცხო-ყო თავი თჳსი სასუფეველისაგან ცათაჲსა, ვინაჲთგან წერილ არს, ვითარმედ: „უსამართლოთა და ცრუთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ[4]“[5]. ხოლო შენ, რომელსა გევნო, ცხორებაჲ საუკუნოჲ მოგეტყუა, რამეთუ იტყჳს: „გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი მრავალ არს ცათა შინა“[6]. გარნა ჩუენ დაუტეობთ[7] შეწუხებასა წარწყმედისათჳს ქრისტეს ასოთაჲსა და ვსხედთ და ვწმასინით გულისსიტყუათა განხრწნადთათჳს და უნდოთა და განქარვებადთა ნივთთა, რომელნი-იგი არცა ერთისა რაჲს ჴსენებისა ღირს არიან ნანდჳლვე. ჭეშმარიტად სამართლად დავისაჯებით და რამეთუ წესსა ზედა ასოთასა შეუქმნივართ ჩუენ ღმერთსა, ხოლო თავად გუაქუს ქრისტე, ღმერთი ჩუენი, ვითარცა თქუა წმიდამან მოციქულმან, ვითარმედ: ყოველივე ასოები ჴორცთაჲ, რაოდენცა მრავალ იყოს, ერთსა გუამსა შეჰმზადებს. ხოლო თავი გუამისა მის ყოველთაჲსა არს ქრისტე. რამეთუ ოდეს შეგაწუხებდეს შენ ძმაჲ, გინაღა ვითარცა ჴელი ტკივნეული, ანუ თუ[8] თუალი სნეული შეგაწუხებს შენ, გარნა ყოველსავე ზედა დაღაცათუ /53v/ გუტკიოდის, არცა ჴელსა მოვიკუეთთ და განვაგდებთ, არცა თუალსა აღმოვიფხურით და განვსთხევთ, რამეთუ ზღვევად შეგჳრაცხია თჳთოეულისა დაჭირვებაჲ, არამედ ბეჭედსა მას ქრისტესსა, ყოვლისა უპატიოსნესსა, გამოვსახავთ მათ ზედა წმიდათა ვევედრებით ლოცვად. და მიმდემთა და გულსმოდგინეთა ლოცვათა მიუპყრობთ ჩუენცა[9] ღმერთსა. ამას ზედა კუალად წამალთაცა და სალბუნთა შევჰმზადებთ, რაჲთა განვჰმართნეთ ასონი იგი ტკივნეულნი. ვითარცა უკუე ილოცავ თუალისათჳს შენისა, გინა ჴელისა, რაჲთა განიკურნოს და არღარა გტკიოდის, ესრეთვე თანა-გაც ძმისათჳსცა ყოფად. არამედ აწ ჩუენ ვხედავთ ასოთა მათ ქრისტესთა, ესრეთ ტკივნეულთა, და არა თუ ოდენ არა გუელმის,

---

[1] გულისსიტყუაჲ + მათი B. [2] თავს-ვიდებთ] თავს-ვიდებდეთ B. [3] დათმენად] თმენად B. [4] დაიმკჳდრონ] დაჲმკჳდრონ A. [5] მთ. 5,20. [6] მთ. 5,12. [7] დაუტეობთ] დაუტეევებთ B. [8] თუ + ვითარცა B. [9] ჩუენცა] ჩუენ B.

არამედ ვილოცავთცა მისთჳს და გუნებავს, რაჲთა უმეტესადრე ტკივნეულ იყვნენ. ესე ჭეშმარიტად საქმე არს მისი, რომელსა არა აქუნდეს ნაწლევი წყალობისა! და იტყოდა იგი, ვითარმედ: რომელსა აქუნდეს გული მოწყალჱ, ანუ სიყუარული, ანუ ლმობიერებაჲ, პირველად თჳთ ახარებს თავისა თავსა და ესრეთღა მოყუასსაცა სარგებელ-ეყოფვის, ვითარცა-იგი უკეთურებაჲ წინაუკუმო. რამეთუ ბოროტებაჲ რომელსა აქუნდეს, პირველად მას განჰლევს და შეშჭამს. ესრეთღა და მოყუასისაჲ ჰგონიეს ვნებაჲ საჴმართა მიერ, ანუ დიდებისა, ანუ თუ თჳთ თავადთა მიერცა ჴორცთა და არა უწყის უგუნურმან, ვითარმედ თავსავე თჳსსა გამოსთხევს ცხორებისაგან. და იჴსენებნ იგი სიტყუასა მას, ვითარმედ, რომელი სულსა არა ავნებს, იგი არცა[1] ჴორცსა ავნებს.

9. და კუალად იტყოდა ნეტარი, ვითარმედ ჰრქუა ვინმე მას: მამაო, დიად არიან მცნებანი და დაბნელდების გონებაჲ და არა უწყის, თუ[2] /54/ რომელი ქმნეს, ანუ რომელი დაუტეოს. ხოლო მე ვარქუ მას: ესე ნუ შეგაშინებს, ძმაო, არამედ უწყოდე: უკუეთუ მოიგო უყუარულობაჲ საჴმართაჲ, ადვილად წარჰმართნე სათნოებანი. და რამეთუ რომელსა არად შეერაცხოს ნივთი რაჲ ამიერი, არა არს იგი ძჳრმოჴსენჱ, არცა მეშფოთჱ, არცა მოლალჱ. რამეთუ მითხარღა, თუ რაჲ შრომაჲ აქუს მტერთათჳს[3] ლოცვასა? არა თუ თხრაჲ გინა ქუეყანისაჲ, ანუ სამე წარსლვაჲ გზასა შორსა? ანუ ოდეს საჴმარნი არა იყვნენ, მტერობაჲ სადაჲთ იყოს? გაგინაა? ჰმადლობდი და შექმნილ ხარ მოციქულთა მოწაფედ, რომელნი-იგი მოიქცეს[4], მოხარულ-იყვნეს, რამეთუ ღირს იქმნნეს გინებად სახელისათჳს ქრისტესა. იგინი უკუე იგინნეს, ვითარცა მართალნი და წმიდანი სახელისთჳს ქრისტესა, ხოლო ჩუენ თანაგუაც გინებად ცოდვათათჳს ჩუენთა მრავალთა და რამეთუ ნანდჳლვე უპატიო ვართ და შეურაცხ, და[5] უკუეთუ არცა ერთი ვინ იყოს მაგინებელ ჩუენდა და ზედა წყეულცა, რამეთუ იტყჳს: „წყეულ არიან, რომელთა გარდააქციონ მცნებათაგან შენთა, ანუ თუ მისდრკენ სამართალთაგან შენთა“. ნუ გუგონიეს, უკუეთუ ყოველთაჲვე არს სახელისათჳს ქრისტესისა გინებაჲ. არა ყოველთაჲ არს ჭეშმარიტად, არამედ მართალთა და წმიდათაჲ, ვითარცა ვთქუ. ხოლო ჩუენგანი უკუეთუ ვინ იყოს გონიერ და ლმობიერ, აღიაროს ჭეშმარიტი[6] და თქუას, ვითარმედ: სამართლად ვიგინებით მრავალთათჳს ცოდვათა ჩუენთა და ხენეშთათჳს და ბოროტთა საქმეთა ჩუენთა, არამედ სული ესე უბადრუკი და ესეღა, რამეთუ იცნობს არაწმიდათა საქმეთა თჳსთა და უწყის, ვითარმედ რაოდენიცა-რაჲ შეემთხჳოს ძჳრი, სამართლად შეემთხუევის, დასთრგუნავს /54v/ სჳნი/დისსა

---

[1] არცა ჴორცსა ავნებს] სხუასა კაცსა ავნებს B (ჩასწორებულია გვიანდელი ხელით). [2] თუ – B. [3] მტერთათჳს] მტერთა თჳსთა B. [4] მოიქცეს + რაჲ B. [5] და უკუეთუ] დაღათუ B. [6] ჭეშმარიტი] ჭეშმარიტად B.

თვსსა და დაივიწყებს[1] ყოველსავე და დგას და თხზავს გულისსიტყუათა და იტყჳს, ვითარმედ: ესე ვინმე მარქუა და ესე ვინმე მაგინა და შეურაცხ-მყო მე! და არა უწყის უბადრუკმან, ვითარმედ თჳთ მტერ ექმნების ამით თავსა თჳსსა და მკლველ და ადგილსა მას ეშმაკთასა თავადი აღმოაგებს. რამეთუ ვითარცა სახედ იქმნების ჴელოვნებათა ზედა, ესე იქმნების და სულსაცა ზედა. რამეთუ ვითარცა მუნ მოძღუარი და მასწავლელი ჴელოვნებისაჲ მის მისცემს მოწაფესა ჴელთსაქმარსა მას და მიუშუებს მას, რაჲთა შურებოდის და არღარა უზის გუერდით, არამედ იშჳთ-იშჳთ მოჰნახავს მას, თუ ვითარძი შურების: ნუუკუე რასმე უდებ იქმნას, ნუუკუე რაჲმე გარყუნას[2], ეგრეთვე[3] უკუე იქმან და ეშმაკნიცა. და ოდეს იხილონ სული, ადვილად მორჩილი მათი და მიმხუმელი გულისსიტყუათა მათ მათთა მედგართა, მისცემენ მას[4] სატანებრსა მას ჴელოვნებასა. და არღარა უჴმს მათ მიერითგან გუერდით მისა სხდომად, რამეთუ იციან, ვითარმედ კმა-არს თჳთ ეგევითარი იგი სული მოკლვად თავსა თჳსისა, თჳნიერ ჟამითი-ჟამად ოდესმე მივლენ და მოჰნახვენ, ნუუკუე რაჲმე განრყუნა, ნუუკუე რასმე[5] უდებ იქმნა.

რაჲ უადვილეს არს სიყუარულსა ყოველთასა, რაჲთა გიყუარდენ ყოველნი და უყუარდე ყოველთა? რომელი განსუენებაჲ უკუე არა აქუს მცნებათა ქრისტესთა? გარნა არა წარემართების ნებაჲ ჩუენი /55/ კეთილსა ზედა, თუ არა, უკუეთუმცა წარემართებოდა, მადლითა ქრისტესითა ყოველივემცა ადვილ იყო. რამეთუ ვითარცა მრავალგზის ვთქუ, მცირე გულისმოდგინებაჲ ჩუენი მრავალგზის დიდსა ღმრთისა წყალობასა[6] მოიზიდავს. და ვითარცა იტყჳს დიდი ანტონი, ვითარმედ: სათნოებასა ნებაჲ ოდენ უჴმს ჩუენი. და კუალად იტყჳს: არა გჳჴმს ჩუენ წარსვლაჲ შორთა გზათა სასუფეველისათჳს ცათაჲსა, არცა გჳჴმს გავლაჲ[7] ზღუათაჲ მოგებისათჳს სათნოებისა. რომელი განსუენებაჲ არა აქუს მშჳდსა და მდაბალსა? და რამეთუ ნანდჳლვე მშჳდთა დაიმკჳდრონ ქუეყანაჲ და იხარებდენ[8] მრავლითა მშჳდობითა.

10. კუალად იტყოდა ნეტარი იგი, ვითარმედ: ვიდოდეთ ოდესმე მე და ძმაჲ ერთი ერისკაცთა თანა გზასა მას ნეაპოლისასა. ხოლო სლვასა მას შინა[9] ჩუენსა მოვედით ადგილსა რასმე, სადა იყო საზუერჱ[10]. და ერისკაცთა მათ, ვითარცა აქუნდა ჩუეულებაჲ, იხილეს რაჲ მეზუერე, მისცეს ბაჟი მათი, რომელი ხუდებოდა. ხოლო ძმაჲ იგი, რომელი იყო ჩემ თანა, შეწუხნა ფრიად და იწყო წინააღდგომად მათდა და ეტყოდა[11]: ყოლად იკადრებთა მონაზონთა მოჴდად ბეგრისა? ხოლო მე მესმა რაჲ ესე, ვარქუ მას: რასა იქმ,

---

[1] დაივიწყებს] დაჲვიწყებს A. [2] გარყუნას] გარყუნად B. [3] ეგრეთვე] ესრეთვე B. [4] მას + საეშმაკოთა და B. [5] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება (აკინძვის შეცდომა 14r). [6] წყალობასა] მოწყალებასა BE. [7] გავლაჲ] განსლვაჲ E. [8] აქედან C ნუსხა ისევ გრძელდება. [9] შინა – E. [10] საზუერჱ] საზუერე BCE. [11] ეტყოდა] იტყოდა C.

ძმაო? არარას სხუასა ეტყჳ მაგათ, არამედ ამას, ვითარმედ: გნებავს და[1] თუ არა[2], პატივ-მეც მე, ვითარცა წმიდასა! უფროჲსღა მაგათ უღირდა ხილვად სიმდაბლე შენი და სიდაშნე[3], რაჲთამცა შესწბა და გრქუეს: „შემინდვე“. აწ უკუე, ვითარცა მოწაფემან მშჳდისა მის და მდაბლისა ქრისტესმან, მიეც ზუერი მათი და ბეგარი და წარვლე მშჳდობით.

11. კუალად სხუასა ჟამსა ვიყავ ოდესმე წმიდად ქალაქად იერუსალჱმდ. მოვიდა ვინმე ქრისტესმოყუარჱ[4] ჩემდა და მრქუა მე: მე და ძმაჲ ჩემი /55v/ შევილალენით მცირედ ურთიერთარსა[5] და აწ არღარა ჰნებავს დაგებად ჩემდა. გარნა გევედრები შენ, მამაო, მოუწოდე მას და ვყოთ სიყუარული. ხოლო მე სიხარულით მივითუალე სიტყუაჲ იგი, მოუწოდე ძმასა მას და რომელი შეჰგვანდა სიყუარულსა და მშჳდობასა, ვეზრახე ფრიად. და ვითარცა აღმოჩნდა, დავარწმუნე. ხოლო უკუანაჲსკნელ მრქუა მე: ვერ ძალმიც დაგებად და ყოფად სიყუარულისა ამისათჳს, რამეთუ ვფუცე ჯუარსა ქრისტესსა, რაჲთა არღარა დავეგო მას უკუნისამდე. ხოლო მე განვიღიმენ და ვარქუ მას: ესევითარი ძალი აქუს ფიცსა შენსა, ვითარმედ: ძალმან ჯუარისა შენისამან, ქრისტე, არღარა დავიმარხნე მცნებანი შენნი, არამედ ყოველივე ნებაჲ ვყო მტერისა ჩემისა ეშმაკისაჲ[6].

და რამეთუ არა თუ ოდენ არა გჳპმს დამტკიცებაჲ ბოროტად განჩინებულისაჲ ჩუენგან, არამედ უფროჲსღა სინანული გჳპმს და წუხილი მისთჳს, რომელი-იგი[7] ბოროტად განვაჩინეთ, ვითარცა იტყჳს ღმერთშემოსილი ბასილი ვითარმედ: „ჰეროდეს უკუეთუმცა შეენანა და არა დაემტკიცა ფიცი იგი, არმცა ექმნა დიდი იგი ცოდვაჲ, არცა წარეკუეთა თავი ქრისტეს[8] ნათლისმცემელისადა“. ამას ზედა კუალად მოვართუ სხუაჲცა სიტყუაჲ მისვე დიდისა ბასილისი, რომელი წარმოთქუა მან სიტყჳსა მისთჳს სახარებისა, ოდეს-იგი მაცხოვარი დაჰბანდა ფერჴთა მოწაფეთასა და მერმე მოვიდა პეტრესა[9] და იგი წინააღუდგა.

12. იტყოდა კუალად ნეტარი იგი, ვითარმედ: კითხულ ვიქმენ ოდესმე თუ ვითარ ვინ იპყრას გულისწყრომაჲ. ხოლო მე ვარქუ მას, ვითარმედ: თავი და დაწყებაჲ გულისწყრომისა პყრობისაჲ ესე არს, რაჲთა ოდეს აღიძრას, არარაჲ თქუას. და რამეთუ მამაჲცა მოსე აღიძრა მაშინ, /56/ ოდეს-იგი შეურაცხ-ყვეს და ჰრქუეს: და ჰინდოჲცა ესე შავი მოვალს და წარმოდგების ჩუენ შორის, არამედ ოდეს ჰკითხეს, ჰრქუა მან: „დაღათუ აღვიძარ, გარნა არარაჲვე[10] ვთქუ“. ხოლო მეორედ არა თუ ოდენ არა აღიძრა, არამედ შეცა-ჰრისხნა თავსა თჳსსა და ეტყოდა: „ნაცრის ტყაო[11] შაო, კეთილად გიყვეს

---

[1] და – B. [2] თუ არა] თუღა თუ არა C. [3] სიდაშნე] სიმშჳდე E. [4] ქრისტესმოყუარჱ] ქრისტესმოყუარე BCE. [5] ურთიერთას BC; ~ მცირედ ურთიერთას E. [6] ეშმაკისაჲ] უბადრუკისაჲ E. [7] რომელი-იგი] რაჲ იგი BC. [8] ქრისტეს – E. [9] პეტრესა] პეტრესსა BCE. [10] არარაჲვე] არავერაჲ C. [11] ნაცრისტყაო] ნაცრისა ტყავო E.

შენ, ოდესღა კაცი არა ხარ, რაჲსათჳს მოხუალ კაცთა შორის?!“

არამედ ჩუენ ესოდენ სამე ქუე ვართ, ვიდრეღა[1] არცა თუ ახლად-მოსრულთა საზომსა ვახლავთ და მრავლისა მისგან უდებებისა[2] მძიმედ ვჰგონებთ და შეუძლებლად[3] სამეუფოთა მათ ბრძანებათა. და რამეთუ აღშფოთებაჲ და არას[4] თქუმაჲ არა სრულთაჲ არს, არამედ – ახლად-მოსრულთაჲ. ხოლო დიდი და სრული ჭეშმარიტად იგი არს, რაჲთა ყოლადვე არა აღიძრვოდის, არცა ყოლად აღშფოთნებოდის წმიდისა მისებრ წინაწარმეტყუელისა, რომელმან თქუა: „განვემზადე და არა აღვშფოთენ“. გარნა ჩუენ არცა თუ ყოვლად გუენებავს დაწყებაჲ თავისაჲ ქმნად კეთილისა, არცა რას ვაჩუენებთ გულსმოდგინებასა, რაჲთამცა მოვიზიდეთ მადლი ღმრთისაჲ შეწევნად ჩუენდა. და უკუეთუმცა რასმე ვაჩუენებდეთ გულსმოდგინებასა, მასცა დაჴსნილსა და მცონარსა ვაჩუენებთ და არცა ერთისა რაჲს კეთილისა ღირსსა ღმრთისაგან.

ყოველივე უკუე ჩუენი თესლსა ჰგავს და ნაყოფსა მოიღებს ვინმე ჩუენგანი გულსმოდგინებასა კეთილსა და მიიღებს უხუად მადლისაგან საღმრთოჲსა. და ვითარცა სახედ მუშაკი სთესავს[5] მცირედსა, ხოლო უკუეთუ განჰმარჯოს /56v/ ღმერთმან, შეიძენს დიადს[6]. ვითარცა „ისაკ“-სა შინა წერილ არს, ვითარმედ: „დასთესა ქუეყანასა მას და ყო მას წელიწადსა ასი[7] ასეული ქრთილი“. ესრეთვე განჰმარჯოს თუ ღმერთმან თესლსა მას ზედა გულსმოდგინებისა ჩუენისასა, დასძინებს ძალსა და დაჰმატებს[8], რაჲთა უვნებლად და თჳნიერ იძულებისა და განსუენებით ვიქმოდით ყოველსავე და რაჲთა ყოვლისაგანვე ვირგებდეთ.

და რამეთუ იძულებით ლოცვაჲ და[9] ჭირით და[10] მოთმინებაჲ შობს წმიდად ლოცვასა და უჭირველად და განსუენებით, რაჲთა ყოლადვე არღარა უჴმდეს იძულებაჲ. და რამეთუ იძულებით ლოცვაჲ და შრომით, გულსმოდგინებისაჲ არს ჩუენისაჲ. ხოლო განსუენებით ლოცვაჲ და წმიდად, მადლისაჲ არს და ნიჭისა ღმრთისაჲ.

და რამეთუ სხუათაცა ზედა ყოველთავე ჴელოვნებათა ესრეთ იქმნების და ესრეთ იხილვების და ამითვე[11] წესითა მოუჴდებით. და რამეთუ მოვალს ვინმე სწავლად ჴელოვნებისა და ჰნებავს, რაჲთამცა დაისწავლა[12] იგი კეთილად[13], გარნა პირველად შურების და იჭირვის და ვერ აგებს მრავალგზის და განჰრყუნისცა, გარნა ყოველსავე ზედა არა მოიწყენს, არამედ კუალადცა ჴელ-ჰყოფს, და უკუეთუ კუალადცა განრყუნას, არცაღა

---

[1] ვიდრეღა] ვიდრე BE. 2 უდებებისა] უდბებისა B. 3 შეუძლებლად] შეუძლებელ B; შეუძლებელად C. 4 არას] არარას B. 5 სთესავს] სთესავნ B. 6 შეიძენს დიადს] შესძენს დიადს B. 7 ასი – B. 8 დაჰმატებს] ჰმატებს E. 9 და – B. 10 და – B. 11 ამითვე] მითვე B. 12 დაისწავალა] დაჲსწავალა A. 13 ~კეთილად დაისწავლა იგი BE.

ესრეთ დაუტეობს[1], არამედ გულსმოდგინებასა თჳსსა უჩუენებს მოძღუარსა მას მისსა და მასწავლელსა.

ხოლო უკუეთუ მოიწყინოს და დააგდოს იგი და განეშოროს, ვერ დაისწავლის[2] ჴელოვნებასა მას, უკუეთუ კულა დაადგრეს მას ზედა, რაოდენიცა მრავალგზის განრყუნეს[3] და არა მოიწყინოს, არცა /57/ განეშო/როს, არამედე შურებოდის და გულსმოდგინედ ეცდებოდის, მერმე მოხედავს ღმერთი ღუაწლსა მას ზედა მისსა და შეეწევის. ვინაჲცა მიერითგან დაეჩუევის იგი კეთილად ქმნასა და უჭირველად იქმს ყოველსავე და განსუენებით, ვიდრეღა იზარდებინცა იგი ჴელოვნებისა მისგან. ესრეთვე სახედ არს სულიერსაცა ზედა საქმესა და ამასვე ზედა წესსა იქმნების. და უკუეთუ ვისმე უნდეს ქმნაჲ სათნოებისაჲ, არა უჴმს, რაჲთამცა ინება მეყსეულად წარმართებაჲ. და რამეთუ არცა ძალ-უც, არამედ ოდეს იწყოს, დაღათუ განრყუნას, ნუ განეშორებინ იგი, უკუეთუ არა, ვერარას წარჰმართებს, არამედ კუალადცა იწყენ და კუალადცა ეცადენინ მოსწავლეთა მათებრ ჴელოვნებისათა. და ოდეს მრავალგზის ეცადოს და ფრიად დაშურეს და დიდად მოითმინოს და არა მოიწყინოს, არცა დაუტეოს საქმე იგი სათნოებისაჲ, მერმე მოხედავს ღმერთი ღუაწლთა ზედა და შრომათა მისთა და გულსმოდგინებასა[4] მისსა კეთილსა და ჰყოფს მის ზედა წყალობასა, რაჲთა ადვილად და უჭირველად აღასრულებდეს ყოველსავე.

და ესე არს სიტყუაჲ იგი, რომელი[5] თქუა მამამან მოსე, ვითარმედ: ესე არს ძალი მათი და სიმტკიცე, რომელთა ენებოს მოგებაჲ სათნოებისაჲ, რაჲთა უკუეთუ დაეცნენ, არა სულმოკლე იქმნნენ[6] და განეშორნენ, არამედ რაჲთა კუალადცა იწყონ მასვე საქმესა კეთილისასა.

და იტყოდა იგი, ვითარმედ: ყოვლისავე სათნოებისა მოგებასა შრომაჲცა უჴმს ფრიადი და სიგრძჱ[7] ჟამისაჲ და ნებაჲ ჩუენი და გულსმოდგინებაჲ და უპირატესღა[8] /57v/ საჴმარ არს ჩუენდა შეწევნაჲ ღმრთისაჲ, რამეთუ უკუეთუ არა შემწე ექმნეს ღმერთი გულსმოდგინებასა ჩუენსა, ცუდ არს და ამაო ყოველი შრომაჲ ჩუენი. ვითარცა-იგი სახედ და[9] მუშაკსაცა შეემთხუევის, რამეთუ რაოდენცა დაშურეს მუშაკი, მოქმნეს ქუეყანაჲ და[10] დასთესოს თესლი, არა თუ წჳმოს ღმერთმან თესულსა[11] მას ზედა და აღმოაბრწყინვოს მზჱ იგი წყალობათა მისთაჲ, ცუდ იქმნა და ამაო ყოველივე მოსწრაფებაჲ მუშაკისაჲ მის. ესრეთვე უკუ უჴმს შეწევნაჲ ღმრთისაჲ ლოცვასა და ვედრებასა ჩუენსა და ყოველსავე რას საქმესა კეთილისასა. რამეთუ მის მიე რვე მოვიზიდავთ წყალობასა ღმრთისასა შეწევნად ჩუენდა, ვითარცა-

[1] დაუტეობს] დაუტევებს B. [2] დაისწავალის] დაჲსწავალის A. [3] განრყუნეს] განერყუნეს C. [4] გულსმოდგინებასა + ზედა B. [5] რომელი] რომელ BC. [6] იქმნნენ] იქმენ E. [7] სიგრძჱ] სიგრძე BCE. [8] უპირატესღა] უპირატეს E. [9] ~ და სახედ E. [10] და – E. [11] თესულსა] თესლსა BE.

იგი იტყჳს, ვითარმედ: ნათლითა შენითა ვიხილეთ[1] ჩუენ[2] ნათელი. უკუეთუ კულა უდებ ვიქმნნეთ ლოცვასა და სხუათა მათ საქმეთა კეთილისა, ვითარ მოიხილოს ღმერთმან შეწევნად ჩუენდა? ესრეთვე კუალად უკუეთუ უდებ და დაჴსნილ ვიყვნეთ და მალიად მოვიწყინოთ და ადრე განვეშორნეთ, ვითარცა[3] ყოლადვე ვიტყოდე: ვერარას ღირს ვიქმნებით ღმრთისაგან კეთილსა. და რამეთუ გულსმოდგინებასა ხედავს ღმერთი ჩუენსა და მას ზედა განგჳყოფს მადლთაცა და ნიჭთა თჳსთა. ნუუკუე არა იყოა პირველ მამაჲ მოსე მთავარ ავაზაკთა, ანუ არა ექმნნესა ბევრეულნი ბოროტნი, ვიდრეღა და განცა-აძო იგი უფალმან მისმან ბოროტისათჳს გონებისა მისისა?! გარნა ყოველსავე ზედა, ვინაჲთგან სიმჴნით და ახოვნად[4] მოუჴდა იგი ღუაწლთა მათ სათნოებისათა და[5] ესევითარითა გულსმოდგინებითა ვიცით ყოველთა, /58/ თუ ვითარსაღა და რაბამსა საზომსა მიიწია, ვიდრეღა და საკუთართაცა თანა მონათა ღმრთისათა აღირაცხა[6], ვითარ-იგი და მისთჳს აღწერილიცა იგი თხრობაჲ[7] გუაუწყებს. გარნა ჩუენ, რომელი-იგი გუეგონა, თუ გუაქუს მჴურვალებაჲ, გამო-რაჲ-ვედით სოფლით დაყოვნებასა შინა ჟამთასა უდბებისა[8] მიერ ჩუენისა, იგიცა წარ-ვე-ვწყმიდეთ და შეუდეგით საქმეთა რათმე გრილთა და უსრულთა და გჳყუარან ნივთნი რაჲმე ამაონი და არცა ერთისა რაჲს ჴსნებისა ღირსნი. და გარდავცვალეთ სიყუარული ღმრთისა და მოყუსისაჲ ამაოდ რადმე საქმედ, რაჲთამცა თჳთ თავით თჳსით გუაქუნდა საქმე იგი და ნივთი და არამცა მოგუეღო იგი ღმრთისაგან. რამეთუ და რაჲ გაქუს, კაცო, რომელი არა მიგიღებიეს, ვითარცა იტყჳს, ხოლო უკუეთუ მიგიღებიეს, რაჲსა იქადი, ვითარმცა არა მიგეღო[9]?!

13. და იტყოდა იგი[10]: ნუუკუე გლახაკი არსო იესუ და ვერ ძალ-უც აქავე მოცემად ჩუენდა სიმრავლესა კეთილთასა, ვითარცა-იგი[11] უყო პირველ მამათმთავართა, უკუეთუმცა გუხედვიდა ჩუენ რგებად კეთილთა მათგან მისმიერთა: გარნა ვინაჲთგან გუხედავს ჩუენ, რომელ უფროჲსღა ვივნებთ რგებისა წილ მცირეთა მათგანცა და წარმავალთა სიდრკუჲთა[12] ჩუენითა და უკეთურებითა, ამისთჳს არა გუარწმუნებს ჩუენ მრავალსა, რაჲთა არა სრულიად წარვწყმდეთ, ვინაჲთგან სახიერ არს იგი და კაცთმოყუარე. რამეთუ უკუეთუმცა გუხედვიდა ჩუენ, რომელ ვირგებთ რას მცირეთაგან კეთილთა, არა შეუძლებელ იყო მისდა, ვითარცა ვთქუ, მრავალთაცა რწმუნებად ჩუენდა. თუ არა, უკუეთუ ესე /58v/ არა ესრეთ არს, ვინ არწმუნა პირველთა მათ მორწმუნეთა, რაჲთა დასდებდენ საფასეთა მათთა ფერჴთა თანა მოციქულთასა. და რამეთუ რომელი-იგი მრავალგზის მითქუამს, მასვე და აწცა ვიტყჳ: ღმერთსა, ვინაჲთგან სახიერ არს და წყალობააურაცხელ,

---

[1] ვიხილეთ] ვიხილოთ B. [2] ჩუენ – B. [3] ვითარცა] ვითარ B. [4] ახოვნად] ახოვნებით E. [5] და – C. [6] ~ მონათა თანა აღირაცხა ღმრთისათა E. 7 თხრობაჲ[ცხორებაჲ E. [8] უდბებისა] უდებებისა C. [9] მიგეღო] მოგეღო E. [10] იგი – E. [11] ვითარცა-იგი] ვითარცა E. [12] სიდრკუჲთა] სიდრკუითა E.

ჰნებავს ჩუენი, რაჲთა ყოველთაგანვე საქმეთა ვირგებდეთ. ხოლო ჩუენ დრკუებითა ჩუენითა ბოროტად ვიჴმარებთ ღმრთისა მიერ ჩუენდა კეთილად მოცემულთა.

14. და იტყოდა იგი, ვითარმედ იპოების მრავალგზის სული მორწმუნე და მმადლობელი და არცა ერთსა რას ზედა საქმესა ივნებს, არამედ ყოველივე, რაოდენიცა შეემთხჳოს, სარგებელ მისა[1] იქმნების. და არს კუალად სხუაჲ სული უმადლოჲ, დაღაცათუ[2] რასმე იქმოდის, ვითარცა მიზდებული იქმს და ესრეთ ისაჯების[3] საქმეთა შინა თჳსთა ურწმუნოჲ იგი ურწმუნოებისა მიერ თჳსისა. ხოლო მორწმუნე იგი სული თჳთ შრომათავე შინა[4] და ღუაწლთა მორწმუნე არს და თავად კეთილთა და სასყიდლად შეურაცხიეს დაშრომაჲ იგი ღმრთისათჳს, ამისთჳსცა მიიღებს ნუგეშინისცემასა ფრიადსა. ხოლო ურწმუნოჲ იგი, შემწუარი ურწმუნოებისა მიერ თჳსისა, ვითარცა არცა[5] შურების ჯეროვნად, არცა რას ნუგეშინისცემასა მიიღებს უფლისა მიერ, არამედ ზის ოდენ დამპალი გულისსიტყუათა შინა თჳსთა და მცირე თუმცა რაჲ ევნოს, იგონებს და იტყჳს: „და[6] მრქუა მე და ვარქუ მას“. ძჳრისჴსენებათა იწურთის და მოუვალთა საქმეთა იგონებს, რომელთა ვეროდეს ძალ-უც საქმით აღსრულებად. და რამეთუ არა[7] თუ ყოველსავე[8], რასაცა იგონებენ კაცნი /59/ ესე, ძალ-უც მათი საქმით აღსრულებაჲ, არამედ რაოდენი რაჲ შეუნდოს ღმერთმან და იგიცა განკითხვათა მათ მიერ მიუწდომელთა, რომელნი-იგი უწყნის თჳთ მან თავადმან. რამეთუ მრავალგზის ჰნებავს ვისმე ბოროტისყოფაჲ მოყუსისაჲ, გარნა არა შეუნდობს ღმერთი. ამისთჳს ცუდ იქმნების ამაოჲ იგი განზრახვაჲ მისი, ოდენ ესე, რომელ გამოიცადების[9] ამით ნებაჲ და გონებაჲ კაცისაჲ. რაოდენთა უკუე ინებეს ბოროტისყოფაჲ წმიდათა მამათმთავართაჲ, გარნა ვინათგან არა მიუშუნა ღმერთმან, ვერ უძლეს ვნებად მათდა. ვითარცა წერილ არს: „არა უტევა[10] კაცსა ვნებად მათდა“ და ამხილა მათთჳს მეფეთა: ნუ შეეხებითო[11] ცხებულსა ჩემსა და წინაწარმეტყუელთა ზედა[12] ჩემთა ნუ უკეთურობთ[13]. რამეთუ ოდეს ინებოს ღმერთმან გარდამეტებულსა მას[14] ძლიერებასა თჳსსა გამოჩინებად, თჳთ გულთა მათცა უწყალოთა წყალობად აღსძრავს, ვითარცა-იგი წერილ არს „დანიელსა“ შინა, ვითარმედ: „მისცა ღმერთმან წყალობაჲ და სიტკბოებაჲ წინაშე მთავრისა მის საჭურისთაჲსა“. და ნეტარ არს ნანდჳლვე სული იგი, რომელმან ჭეშმარიტებით განუმზადოს თავი თჳსი ღმერთსა, რაჲთა სწყუროდის მარადის სიყუარული ღმრთისაჲ და მზა იყოს ოდესვე შეწყნარებად მადლთა და ნიჭთა საღმრთოთა, რამეთუ არაოდეს დაუტეოს ეგე-ვითარი იგი ღმერთმან, არამედ ყოლადვე და მარადის შემწე იყოს მისდა და მაშინცა, ოდეს უმეცარ იყოს იგი და არა სთხოვდეს.

---

[1] მისა] მისსაE. [2] დაღაცათუ] და თუცა თუ E. [3] ისაჯების] დაისაჯების B ; ისჯებების E. [4] შინა + თჳსთა C. [5] არცა] არაC. [6] და – C. [7] არა] არცა B. [8] ყოველსავე] ყოველსა BE. [9] გამოიცადების] გამოიცდების E. [10] უტევა] აუფლა BE. [11] შეეხებითო] შეეხებით B. 12 ზედა] შორის B; ~ ჩემთა ზედა E. 13 უკეთურობთ] უკეთურებთ BC. 14 მას – E.

და კეთილად[1] თქუა „სიბრძნემან“, ვითარმედ: „შეწევნულ იქმნეს ბრძენი ღმრთისაგან“[2]. და რამეთუ რაოდენგზის ჴელ-ყო საულ მოკლვაჲ ნეტარისა დავითისი[3], /59v/ რაჲ არა უყო და რაჲ არა მოიგონა! გარნა ვინაჲთგან აქუნდა უფალი შემწედ თჳსა, ყოველივე იგი განზრახვაჲ საულისი ცუდ იქმნა და ამაო. და არა ესე ოდენ[4], არამედ მიეცემოდაცა[5] იგი ჴელთა წმიდისათა და იგი ჰრიდებდა მას, რამეთუ არა აქუნდა ბოროტებაჲ, რაჲთამცა რისხვად აღატყდებოდა.

15. კითხულ იქმნა კუალად ესევე, თუ ვითარ ვის უღირს არა განრისხებაჲ შეწუხებასა ზედა მოყუსისა და ბოროტისმეტყუელებასა. და მან თქუა: უკუეთუ ვისმე აქუნდეს თავი თჳსი უდარეს მოყუსისა, არა განრისხნების იგი, ვითარცა თქუა მამამან პიმენ, ვითარმედ: უკუეთუ დააკნინო თავი შენი, ჰპოო განსუენებაჲ.

და იტყოდა იგი: იყო ოდესმე ძმაჲ ერთი, რომელი მკჳდრ იყო ჩემ თანა და ჩემგან შეემოსა სქემაჲ და ფრიად სწავლულ იყო ჩემგან, რამეთუ ჭაბუკ იყო და დიდად ჩამოვჰყვებოდე[6] თანა უძლურებისათჳს მისისა. დღესა ერთსა მრქუა მე: მამაო, დიდად მიყუარ შენ. ხოლო მე ვარქუ მას: მე ვერ ვპოე[7] ჯერეთ, რაჲთამცა უყუარდი ვისმე უმეტეს ჩემსა. აჰა ესერა, აწ[8] იტყჳ, შვილო, თუ მიყუარ შენ და მრწამს, გარნა უკუეთუ რაჲმე მოჰჴდეს, რომელი შენ არა გინდეს, არღარა ჰგიე მაგასვე ზედა გულისსიტყუასა. ხოლო მე, რაოდენიცა[9] რაჲ შემემთხჳოს შენგან, ვერვინ მიმიღებს სიყუარულსა შენსა.

წარჴდეს ამას ზედა ჟამნი მცირედნი და არა ვიცი, თუ რაჲ შეემთხჳა მას, იწყო სიტყუად ჩემთჳს მრავალსა, ვიდრე სიტყუადმდეცა ხენეშთა და საძაგელთა სიტყუათა. მესმოდა უკუე ყოველივე და ვეტყოდე თავსა ჩემსა: „ესე სადაგველი არს, იესუჲსმიერი დასაწუავი, რომელი მოუვლენიეს მას საკურნებელად ცუდადმზუაობრისა სულისა ჩემისა. /60/ ესევითართაგან უკუე[10] ირგებს კაცი, განიფრთხოს თუ, ხოლო მაქებელთაგან და მნატრეთა უფროჲსღა ივნებს და იზღვევის. ესე ჭეშმარიტად კეთილისმყოფელი არს და მწურთელი“. და ვიჴსენებდ მას, ვითარცა მკურნალსა და ქველისმოქმედსა ჩემსა და ვეტყოდე ყოველთავე, რომელთა[11] მითხრან მისთჳს, ვითარმედ: მან ცხადნი ოდენ იცნის ბოროტნი ჩემნი და[12] არცა ხოლო ყოველნი, არამედ კერძოჲ რაჲმე. დაფარულნი კულა ჩემნი ყოლად არიან აურაცხელ.

შემდგომად რაოდენთამე ჟამთა შემემთხჳა მე იგი კესარიას. მოვიდა ჩუეულებისაებრ და მომეხჳა და იწყო ამბორისყოფად ჩემდა და მე მისდა, ვითარმცა ყოლად არარაჲ შორის თქუმულ იყო. და ვყავთ შორის სიტყუაჲ სიყუარულისაჲ. მიერითგან, სადაცა შევიმთხჳნით, მოწლედ მომიკითხის და

---

[1] კეთილად] კუალადB. [2] სიბრძ. სოლ.15,33. [3] დავითისი +და B. [4] ~ არა ოდენ ესე C. [5] მიეცემოდაცა] მიეცემოდა B. [6] ჩამოვჰყვებოდე] წამოვჰყვებოდე E. [7] ვპოე] ვპოვე C. [8] აწ – C. [9] რაოდენიცა] რავდენიცა B. [10] უკუე – C. [11] რომელთა] რომელთასა C. [12] და] არამედ C.

სურვილით, ხოლო მე ყოლადვე არას უჩუენებდი მას საეჭუსა, არცა რას ყოვლად ნასხურსა მწუხარებისასა, დაღათუ ყოველივე მასმიოდა. მერმე შემივრდა იგი, მოეხჳა ფერჴთა ჩემთა და მრქუა მე: შემინდვე, მამაო, ღმრთისათჳს, რამეთუ მრავალი ბოროტი ვთქუ შენთჳს. ხოლო მე შევიტკბე იგი და ამბორს-უყავ მას და მხიარულითა პირითა ვარქუ მას: აჴსოვსა ღმრთისმოყუარებასა შენსა, ოდეს-იგი მეტყოდე, თუ დიად მიყუარ და მე გარქუ შენ: ვერ ვპოვე ჯერეთ კაცი, რაჲთამცა უყუარდი ესრეთ, ვითარ-იგი მე მიყუარს. და უკუეთუ რაჲმე იქმნეს, რომელი შენ არა გინდეს, არღარა ჰგიე სიყუარულსა მაგას ზედა. ხოლო მე, რაოდენიცა-რაჲ ძჳრი შემემთხჳოს შენგან, ვერვის ძალ-უც ცვალებად ჩემგან სიყუარულსა შენსა? გულსავსე უკუე იყავნ გული შენი, რომელ არცა ერთი რაჲ, რაოდენიცა-რაჲ[1] გეთქუა, არამედ სადა და ვიეთდა გეთხრა, /60v/ ყოველივე მესმა და არაოდეს ვთქუ, თუ: არა ეგრეთ არს, ვერცა ვინ მარწმუნა ყოლადვე, რაჲთამცა ვთქუ რაჲმე შენთჳს დაკლებული, არამედ და ვეტყოდეცა, ვითარმედ: ყოველსავე[2], რაოდენსაცა იტყჳს, ჭეშმარიტსა იტყჳს და სიყუარულისაგან იტყჳს, რამეთუ ჰნებავს განთჳსებაჲ ჩემი. და არაოდეს დავსცხერ ჴსენებისაგან[3] შენისა ლოცვათა შინა ჩემთა და რაჲთა გიჩუენო შენ სასწაულიცა სიყუარულისაჲ, აღმტკივდა ოდესმე თუალი ჩემი ფრიად და მოვიჴსენე სახელი შენი და გამოვისახე სასწაული პატიოსნისა[4] ჯუარისაჲ თუალსა მას ზედა და ვთქუ: უფალო, ლოცვითა მისითა განმკურნე მე! და მეყსეულად განვიკურნე[5].

16. ხოლო მრავალგზის იტყჳნ ნეტარი იგი, ვითრამედ: არა ვიცნობთ კაცნი სიყუარულსა, არცა პატივსა. რამეთუ წარგჳწყმედია ცნობაჲ ჩუენი და გონებაჲ. თუ არა, მცირედ ვინმე იტჳრთავს ძმასა თჳსსა გინა განრისხებულსა, გინა შეწუხებულსა. შემდგომად მცირედისა მოვალს იგი გონებასა თჳსსა და სცნობს, რამეთუ იტჳრთა იგი. მიერითგან, ესოდენ შეიყუარებს იგი მას, ვიდრეღა და სულსაცა თჳსსა დასდებს მისთჳს.

და იჴსენებდა ნეტარი იგი ვისმე, რომელსა მიეთხრა მისდა, ვითარმედ: აქუნდა მას მამაჲ და მოძღუარი მისი მშჳდი და[6] ტკბილი საკჳრველად და იტყოდა მისთჳს, ვითარმედ: დიდთათჳს სათნოებათა მისთა და მაღალთა მათ სასწაულთა, რომელთა იქმოდა ღმერთი ჴელითა მისითა, ჰყვა იგი ქუეყანასა მას, ვითარცა ანგელოზი ღმრთისაჲ. დღესა ერთსა ოდესმე[7] ძლეულ იქმნა ვინმე მტერისაგან. წარმოუდგა და აგინებდა მას გინებითა უკუანაჲსკნელითა[8], მდგომარე იყოღა[9] სიმრავლე კნინღა აურაცხელი. ხოლო ბერი დგა ლოცვად, ხედვიდა ოდენ პირსა და ეტყოდა: მადლი ღმრთისაჲ არს პირსა მაგას შენსა /61/ ზედა, ძმაო. ხოლო იგი განჩემებული ეტყოდა:

---

[1] რაოდენიცა-რაჲ[რაოდენიცა E. [2] ყოველსავე] ყოველსა E. [3] ჴსენებისაგან] ჴსენებად C. [4] პატიოსნისა – C. [5] განვიკურნე + ესე ყოველი ძმისა მიმართ A. [6] და – C. [7] ~ძლეულ იქმნა ოდესმე C. [8] აქედან C ნუსხა წყდება. [9] იყოღა] იყო B.

ჰწ, ბოროტო ბერო და დიად[1] მჭამელო, ამას იტყჳ, რაჲთა უჩუენო კაცთა თავი შენი თუ მშჳდ ხარ და წრფელ. ჰრქუა მას ბერმან: ჭეშმარიტად, ძმაო, რაოდენსა რას იტყჳ, კეთილად იტყჳ. შემდგომად ამისა ჰრქუა ვინმე მას: და აწ არავე აღიძარა, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: არა! არამედ ვხედევდ სულსა ჩემსა, დაცულსა ქრისტესგან. და იტყოდა ნეტარი იგი, ვითარმედ: თანააც კაცსა მადლობაჲ ესევითართაჲ. და უკუეთუ ვნებული იყოს, უღირს, რაჲთა ჰყვეს იგი ვითარცა მკურნალი, რომელი განჰკურნებს სენთა სულისა მისისათა. უკუეთუ კულა ვინ იყოს უვნებელი, უღირს შერაცხვაჲ მისი ქველისმოქმედად, რამეთუ მის მიერ მიემთხუევის იგი სასუფეველსა ცათასა.

17. იტყოდა კუალად ნეტარი იგი, ვითარმედ: ვიყავ რაჲ მონასტერსა ჩემსა წუთღა კჳროსს, პირველ გამოსლვადმდე ჩემდა მოვიდა ვინმე ბერი საღმრთოჲ და სათნოჲ უფლისაჲ. და ვიკითხევდით ჩუენ წიგნსა „წმიდათა მამათასა“, რამეთუ უყუარდა იგი ნეტარსა ფრიად, ვიდრეღა ყოლადვე მას იკითხავნ და თქუამცა ვინ თუ – სული და აღმოფშჳნვაჲ მისი წიგნი იყო „წმიდათა მამათაჲ“, ვინაჲ-იგი მოისთულო და შეიკრიბა ყოველი სათნოებაჲ. და აღმოკითხვასა მას შინა[2] მისსა თქუა მან, ვითარმედ: ოდეს მოვედ ბერსა მას თანა, რომლისა მოვიდეს ავაზაკნი და ჰრქუეს მას, ვითარმედ: „ყოველივე, რაოდენიცა-რაჲ არს სენაკსა შინა შენსა, წარღებად მოსრულ ვართ“. და მან ჰრქუა მათ: „ყოველივე, რაოდენიცა გნებავს, შვილნო, წარიღეთ“. და წარიღეს ყოველივე და წარვიდეს. ხოლო ერთი ოდენ სათხროლი დაურჩა. აღიღო იგი ბერმან[3], მისდევდა მათ, ჴმობდა შემდგომად მათსა და ეტყოდა: „შვილნო, წარიღეთ ესეცა, რამეთუ დაგვიწყდა სენაკსა შინა თქუენ“. /61v/ ხოლო მათ დაუკჳრდა ფრიად ძჳრუჴსენებლობაჲ იგი ბერისაჲ და უკუმიაქციეს ყოველივე იგი სენაკადვე მისა[4] და შეინანეს მათ და თქუეს ურთიერთარს: ჭეშმარიტად ესე კაცი არს ღმრთისაჲ. ვითარცა უკუე აღმოვიკითხეთ ესე, მრქუა მე ბერმან: იცია, მამაო, რომელ დიდად სარგებელ მეყო მე ოდესმე საკითხავი ესე? და მე ვარქუ მას: ვითარ, მამაო? ხოლო მან თქუა: ოდესმე ვიქცეოდე მე სანახებთა იორდანისთა და ვიყოფებოდე მუნ, აღმოვიკითხე ესე. დამიკჳრდა სათნოებაჲ ბერისაჲ მის და ვიტყოდე: უფალო, ღირს-მყავ მე შედგომად კუალსა მის ბერისასა, რომელმან ღირს-მყავ შემოსად სახესა მისსა. მაქუნდა რაჲ უკუე სურვილი ესე, წარჴდეს ორნი ოდენ დღენი ზედა, და აჰა, ესერა დამესხნეს ავაზაკნი. ვითარცა დაჰრეკეს კარსა, ვაგრძენ, ვითარმედ ავაზაკნი არიან და ვარქუ თავსა ჩემსა: მადლი ღმრთისა, აჰა, ესერა მოიწია ჟამი ჩუენებად ნაყოფისა სურვილისასა! განვაღე[5] უკუე კარი და შევიწყნარენ მხიარულებით. აღვანთე სანთელი და ვიწყე ჩუენებად,

[1] დიად] დიდად B. [2] მას – B. [3] ბერმან + და B. [4] მისა] მისსა B. [5] განვაღე] განუღე BE .

რაოდენიცა[1] რაჲ იყო და ვეტყოდე მათ: ნუ აღშფოთნებით, მრწამს ღმრთისაჲ[2], რომელ არარაჲ დაგიფარო თქუენ ყოლადვე. ხოლო მათ მრქუეს მე: გაქუსა ოქროჲ? და მე ვარქუ მათ: ჰჱ, მიც სამი დრაჰკანი. და განვაღე ჭურჭელი იგი წინაშე მათსა და წარიღეს ყოველი და წარვიდეს მშჳდობით. ვარქუ უკუე სიხარულით ნეტარსა მას, რომელი მითხრობდა ამას: შეგიქციესა ავაზაკთა მათ, ვითარცა ბერსა მას შეუქციეს? და მან მრქუა მე: ნუ ყოს ღმერთმან! და რამეთუ არცა თუ ამისთჳს ვყავ მე, რაჲთამცა შემიქციეს, არცაღა მენება იგი, არამედ წარიღეს და წარვიდეს. ხედავთა თუ სურვილმან და განმზადებულებამან ბერისამან[3] რაჲ ყვეს? რომლისათჳს არა თუ ოდენ არა შეწუხნა[4], არამედ /62/ უხა/როდაცა და ჰმადლობდა ღმერთსა ესევითარისა კეთილისა ღირსყოფისათჳს. ხოლო[5] ვინაჲთგან მომეჴსენა მე სიტყუაჲ იგი, რომელი ვთქუ ზემორე, ვითარმედ: უკუეთუმცა მცირედ ვიტჳრთევდით ძმათა ჩუენთა, შე-მცა-ვიძენდით უეჭუელად სულთა მათთა.

18. მნებავს უკუე თხრობასაცა უწყებად თქუენდა, რომელი ნეტარმან სერგი წინამძღუარმან პედიადისამან მაუწყა მე. გჳთხრობდა უკუე ნეტარი იგი, ვითარმედ: ვიდოდეთ ოდესმე ბერისა ვისმე თანა წმიდისა და შევსცეთით გზასა და არა ვიცოდეთ ჩუენ თუ ვინაჲ ვალთ, ვინაჲცა ვიპოენით ჩუენ ყანობირებსა თესულსა და და-ცა-ვთრგუნეთ ჩუენ რაოდენი რაჲმე თესული. აგრძნა ესე მუშაკმან, რამეთუ მუნ იპოვა შრომად[6]. იწყო გინებად ჩუენდა რისხჳთ და იტყოდა: თქუენ მონაზონნი ხართ? თქუენ გეშინისა ღმრთისაგან? დასტურად, უკუეთუმცა გაქუნდა შიში ღმრთისაჲ წინაშე თუალთა თქუენთა, ამას არა იქმთ. მეყსეულად გურქუა ჩუენ წმიდამან მან[7] ბერმან: მცნებისათჳს უფლისა, ნუცა ერთი ვინ თქუენგანი მიუგებთ სიტყუასა. ჰრქუა მას ბერმან ფრიადითა სიმშჳდითა და სიტკბოებითა: კეთილად იტყჳ, შვილო, უკუეთუმცა გუაქუნდა შიში ღმრთისაჲ, ამას არა ვიქმოდეთ, არამედ მცნებისათჳს უფლისა შეგჳნდვე ჩუენ, ძმაო. კუალად იგი გუაგინებდა ჩუენ რისხვით და კუალად ბერი ეტყოდა: მართლიად იტყჳ, შვილო, უკუეთუმცა ვიყვენით მონაზონნი, ამას არა ვიქმოდეთ. არამედ შემინდვე ჩუენ უფლისათჳს, რამეთუ ვცოდეთ. განკჳრდა უკუე ამას ზედა კაცი იგი და მოვიდა და დააგდო თავი თჳსი ფერჴთა ქუეშე[8] ბერისათა და ეტყოდა: შემინდვეთ მე უფლისათჳს და წარმიყვანეთ თქუენ თანა. და იტყოდა ნეტარი სერგი, ვითარმედ: ჭეშმარიტებით მასვე ჟამსა ჩუენ თანა მოვიდა და ჩუენ შემოგჳდგა და /62v/ შეი/მოსა სახჱ მონაზონებისაჲ. და იტყოდა ნეტარი იგი: აჰა ესერა, სიმშჳდემან და სიტკბოებამან სულისამან, იხილეთღა თუ რაჲ შეუძლო ყოფად მოწყალებათა თანა ღმრთისათა. და თუ ვითარ აცხოვნა სული, ხატად ღმრთისა დაბადებული, რომელი უფროჲს აღურჩევიეს ღმერთსა, ვიდრეღა ბევრეულნი ცანი და ქუეყანანი.

---

[1] რაოდენიცა] რაოდენი B. [2] ღმრთისაჲ] უფლისაჲE. [3] ბერისამან +თუ B. [4] შეწუხნა + ხოლო E. [5] ხოლო – E. [6] შრომად +და B. [7] მან – BE. [8] ქუეშე] თანაBE.

19. ოდესმე ვიყავ მის თანა და მრქუა მე ბერმან: დამიწუართე ჩუენ სიტყუაჲ რაჲმე საღმრთოჲსა წერილისაჲ. და ვითარცა ვიწყე წურთად წიგნსა მას[1] „იგავთასა“, მოველ სიტყუასა მას თანა, რომელსა იტყჳს, ვითარმედ: „შორის შეშასა ფრიადსა იხარებს ცეცხლი, ხოლო სადა გულისწყრომაჲ არა იყოს, დუმს მუნ ბრძოლაჲ“[2]. ვჰკითხე უკუე მას და ვარქუ: მამაო, რაჲ არს ძალი სიტყჳსაჲ ამის? ხოლო მან მრქუა მე: ვითარცა სახედ შეშაჲ მიზეზი არს ალსა მას ცეცხლისასა, და უკუეთუ არა ურთვიდე ზედა შეშასა, დაივსების[3] ცეცხლი, ესრეთვე იქმნების ვნებათაცა ზედა. და რამეთუ არიან მიზეზნი ვნებათანი[4], და უკუეთუ ვინ მოჰკუეთნეს მიზეზნი იგი, ვერცა ერთსა რას მოქმედებასა იქმან ვნებანი. ვითარცა სახედ მიზეზნი სიძვისანი არიან, ვითარცა თქუა მამამან[5] მოსე: ჭამაჲ და სუმაჲ უძღებებით და განძღომაჲ ძილითა და უქმობაჲ და განცხრომაჲ და ცუდადმეტყუელებაჲ და მოსაჲ კეთილთა მიერ სამოსელთა, უკუეთუ ესენი ვინ მოჰკუეთნეს[6], მოუძლურდების ვნებაჲ იგი სიძვისაჲ.

კუალად მიზეზნი მრისხანებისანი არიან, ვითარცა მანვე თქუა: მიცემაჲ და მოღებაჲ და ქმნაჲ ნებისა თჳსისაჲ და სიყუარული მოძღურობისაჲ და შერაცხვაჲ თავისა თჳსისაჲ ბრძნად. უკუეთუ ესენი ვინ მოჰკუეთნეს, მოუძლურდების ვნებაჲ იგი.

და ესე არს სიტყუაჲ იგი მამისა სისოჲსი, რომელი ჰრქუა ძმასა ვისმე, ოდეს[7] /63/ ჰკითხა მან: რაჲსათჳს, მამაო, ვნებანი არა განმეშორებიან ჩემგან? და მან მიუგო: ამისათჳს, რამეთუ მიზეზნი მათნი შენ თანა არიან და ჭურჭელნი მათნი შინა[8] შენსა გიტჳრთვან. მიეც მათ წინდი მათი და თჳთ წარვლენ შენგან. ხოლო მრჩობლ გულმწყრალი და რომლისა შორის ვერ დაიფარვოდის[9] შფოთი, იგი არს, რომელი განრისხებასა ზედა კუალად განრისხნების და არა კმა-იყოფს პირველსა მას განრისხებასა, არამედ უმეტესადღა აღაგზნებს თავსა თჳსსა მეორედ განრისხებად. ესე იგი არს, უკუეთუ ვინმე აღშფოთნეს ძმისათჳს თჳსისა და მეყსეულად მოეგოს თავსა თჳსსა, აბრალოს თავსა, მივიდეს და შეუვრდეს ძმასა და ითხოოს შენდობაჲ განრისხებისა მისთჳს, ესე არა ითქუმის მრჩობლ მრისხანედ. ამას ესევითარსა შორის დუმს ბრძოლაჲ, რამეთუ აბრალა თავსა თჳსსა, მივიდა და შეუვრდა ძმასა თჳსსა და ყო სიყუარული მის თანა. ამას თანა არა აქუს ადგილი ბრძოლასა, ვითარცა პირველ ვთქუ. ხოლო მრისხანემან, რომელმან არა აბრალოს თავსა თჳსსა, არამედ[10] უფროჲსღა გულისწყრომად აღიძრვოდის და ინანდეს იგი, არა თუ ამისთჳს, თუ რად განრისხნა, არამედ ამისთჳს, თუ რად არა მეტირე თქუა შფოთსა შინა თჳსსა, ამას ეწოდების

[1] წიგნსა მას] წიგნისა მის B. [2] სიბრძ. სოლ.26,20. 3 დაივსების] დაჲვსების A. [4] აქედან C ნუსხა გრძელდება 11r-ზე. [5] მამამან – C. [6] მოჰკუეთნეს] მოაკუდინნეს B. [7] ოდეს] ოდენ E. [8] შინა] შინაგან B. [9] დაიფარვოდის] დაჲფარვოდის A. [10] არამედ +პირველად B.

მრჩობლ მრისხანე, ამას შორის არა დუმს ბრძოლაჲ, არამედ მიითუალავს[1] მას ძჯრისჴსენებაჲ და მწუხარებაჲ[2] და ბოროტებაჲ. არამედ უფალმან ჩუენმან, იესუ ქრისტემან, გჳჴსენინ ნაწილისაგან ესევითართაჲსა და ღირს-გუყვენინ ნაწილსა მას[3] მშჳდთა და მდაბალთასა.

20. იტყჳნ მრავალგზის ნეტარი იგი, ვითარმედ: ფრიადი[4] სიბრძნე და სიფრთხილჱ[5] საჴმარ არს ჩუენდა წინაგანსაწყობელად მრავალღონეობათა მათ საეშმაკოთა. და რამეთუ /63v/ არნ ოდესმე, რომელ არცა ერთისა რაჲს მიზეზისა მიერ აღშფოთნის კაცი. კუალად არნ ოდესმე და[6] რეცა თუ სამართალთა მიზეზთა მოართუამნ მტერი, რაჲთა[7] ეგონოს ვისმე, ვითარმედ სამართლად განრისხნა. გარნა ესეცა ღონე არს და ჰილოჲ[8] ეშმაკისაჲ და უცხოჲ ყოლადვე მათგან, რომელთა ჭეშმარიტებით სუროდის სლვად გზასა მას წმიდათასა, ვითარცა თქუა წმიდამან მაკარი, ვითარმედ: უცხო არს მონაზონისაგან მრისხანებაჲ და უცხო არს კუალად შეწუხებაჲ მოყუსისაჲ.

21. და იტყოდა იგი, ვითარმედ: ვამცენ ოდესმე მწერალსა ვისმე ჴელოანსა[9] დაწერად ჩემდა წიგნებსა[10]. და შემდგომად გასრულებისა წიგნთაჲსა მომიმცნო, ვითარმედ: აჰა ესერა, განვასრულე რაჲცა ჯერ-გიჩნს, წარმოგზავნე და წარიხუენ იგი. ძმასა ვისმე ესმა ჩემგან ესე[11], წარვიდა ჩემ მაგიერ, მისცა საფასჱ[12] მწერალსა და წარიხუნა იგი. ხოლო მე ამისგანი ვერარაჲ ვცან, არამედ წარვგზავნე ძმაჲ ჩუენი წიგნსა თანა და საფასესა, რაჲთა მოიხუნეს იგი[13]. ცნა რაჲ ესე მწერალმან, რამეთუ მოიკიცხა მისგან, რომელმან-იგი წარუხუნა წიგნნი, აღშფოთნა და თქუა: დასტურად წარვიდე მისა[14] და შეურაცხ-ვყო იგი და უპატიოდ გავჴადო ორთათჳს მიზეზთა: ერთად, რამეთუ განმკიცხა მე და მეორედ[15], რომელი არა იყო მისი, იგი წარიღო. ხოლო მე ვითარცა მესმა ესე, მიუმცენ მწერალსა მას და ვარქუ: იცი, ძმაო, და მეცნიერ ხარ, რამეთუ წიგნთა ამისთჳს მოვიგებთ, რაჲთა ვისწაოთ მათგან შეყუარებად სიმდაბლე და სიმშჳდე. ხოლო უკუეთუ დასაბამი წიგნთა მოგებისაჲ შფოთი არს და ბრძოლაჲ, არღარა მოვიგებ წიგნთა, რაჲთა ოდენ არავის შეველალო, რამეთუ მონისა უფლისა[16] არა ჴამს ბრძოლაჲ. აჰა ესერა, უკუე[17] /64/ და/უტევენ ღმერთმან წიგნნი იგი და ვარწმუნე მწერალსა მასცა, რაჲთა ყოლადვე არა აჭირვოს ძმასა მას[18].

22. ჯდა ოდესმე ნეტარი იგი და ზრახვიდა სარგებელისათჳს[19]. იწყო სიტყუად სიტყუათაგან წმიდათა მამათაჲსა და მოვედით სიტყუასა ამას[20], რომელი თქუა მამამან პიმენ, ვითარმედ: რომელი აბრალობდეს თავსა

---

[1] მიითუალავს] მიუთუალავს B. [2] მწუხარებაჲ – B. [3] მას –B. [4] ფრიადი+იგი C. [5] სიფრთხილჱ] სიფრთხილე BCE. [6] და-B. [7] რაჲთა] რომელ B. [8] ჰილოჲ] ჰილათიE. [9] ჴელოანსა] ჴელოვანსა BE. [10] წიგნებსა] წიგნებისა C. [11] ~ესე ჩემგან C. [12] საფასჱ] საფასე BCE. [13] იგი] იგინი B. [14] მისა] მისსა B. [15] აქ E ნუსხა წყდება. [16] უფლისა] უფლისაჲ B. [17] უკუე – C. [18] მას – B. [19] სარგებელისათჳს] სარგებლისათჳს C. [20] ამას] მას B.

თჳსსა, ჰპოებს[1] განსუენებასა ყოველსა შინა. და კუალად სიტყუასა მას, რომელ თქუა მამამან მთისა ნიტრიისამან, ოდეს-იგი კითხულ იქმნა, თუ: რაჲ მეტი ჰპოვე გზასა ამას, მამაო? და მან მიუგო: რაჲთა მიზეზ-ჰყოფდეს კაცი თავსა თჳსსა და აბრალობდეს ყოლადვე და ყოველსა შინა. და ვითარ-იგი, რომელმან ჰკითხა, მიუგო ვითარმედ: სხუაჲ გზაჲ არა არს გარეშე მაგისა[2]. და იტყოდა იგი: ხედავთა, თუ რაჲზომი ძალი აქუს სიტყუათა მათ წმიდათასა და ფრიადცა სამართლად. და რამეთუ ჭეშმარიტად რაოდენიცა რაჲ თქუეს, საქმით გამოცდილებისაგან თქუეს და ჭეშმარიტი თქუეს, ვითარცა-იგი თქუა და[3] მამამანცა ანტონი. და ამისთჳს არიან ძლიერ სიტყუანი მათნი, რომელ პირველად[4] ქმნეს და მერმეღა თქუეს, ვითარცა-იგი და ბრძენიცა ვინმე იტყჳს: სიტყუათა შენთა დაამტკიცებდინო ცხორებაჲცა შენი. ვინაჲცა მომითხრა ჩუენ ამას ზედა თხრობაჲცა ესევითარი, ვითარმედ: ვჯედ ოდესმე ლავრასა მამისა გერასიმესსა და იყო ვინმე ბერთაგანი მეგობარ ჩემდა. და ვსხედით დღესა ერთსა და ვიტყოდეთ სარგებელისათჳს და მოვიჴსენეთ სიტყუაჲ ესე მამისა პიმენისი და სხჳსა მის მამისაჲ. და მან მრქუა მე: მე საქმით გამომიცდიან სიტყუანი ესე და სარგებელიცა მათი. რამეთუ იყო ოდესმე დიაკონი ლავრისაჲ ფრიად /64v/ მეგობარ ჩემდა და მოყუარე. და არა ვიცი, თუ სადაჲთ შეექმნა[5] ჩემ თანა იჭჳ საქმისათჳს, რომელი მოართუმიდა მას წუხილსა და იწყო მჭმუნვარებად ჩემთჳს. ხოლო მე ვიხილე რაჲ ესრეთ შეჭმუნვებული, ვარქუ მას: რაჲ არს, რომლისათჳს-ეგე[6] შეწუხებულ ხარ? და მან თქუა, ვითარმედ: ესე და ესე საქმე გიქმნიეს. და მე, ვითარცა არარაჲ ესევითარი საქმე შემეცნა თავისა ჩემისადა, ვიწყე გულსავსეყოფად მისა[7] და იგი მეტყოდა: შემინდვე, ვერ გულსავსე ვიქმნები. განვეშორე მე მიერ და წარვედ სენაკსა ჩემსა და ვიწყე ძიებად გულსა შინა ჩემსა, უკუეთუ ესევითარი რაჲ[8] საქმე მიქმნიეს ოდესცა და არა ვპოვე[9]. ვხედევდ უკუე დღესა ერთსა, რამეთუ ეტჳრთა წმიდაჲ ბარძიმი საიდუმლოჲთა[10] მით საღმრთოჲთა და აზიარებდა ერსა. მივედ და ვეფუცე მას მსხუერპლსა მას[11] საუფლოსა, ვითარმედ: არა ვიცი, არცა მიქმნიეს ეგევითარი რაჲ საქმე. და ვერ ვარწმუნე[12]. მაშინ მოვეგე გონებასა ჩემსა და მოვიჴსენე სიტყუაჲ ესე წმიდათა მამათაჲ და ვირწმუნე მათი და მიმოვაქციე სიტყუაჲ ესე მათი მცირედ[13] გულსა შინა ჩემსა და ვარქუ თავსა ჩემსა: ჭეშმარიტად დიაკონსა მას სრული სიყუარული აქუს[14] ჩემდა მომართ. და მეტისაგან სიყუარულისა მითხრა მე, რაჲ-იგი აქუნდა გონებასა შინა თჳსსა, რაჲთა წაღმართ განვეკრძალო და სახე განვიგო. გარნა რაჲთგან, სულო უბადრუკო, იტყჳ, თუ არა გიქმნიან საქმე ესე?! ბევრეულნი ბოროტნი გიქმნიეს სხუანი და

[1] ჰპოებს] ჰპოვებს C. [2] მაგისა] მაგისსა B. [3] და-B. [4] პირველად] პირველ B. [5] შეექმნა] შეიქმნა C. [6] რომლისათჳს-ეგე] რომლისათჳს C. [7] მისა] მისსა B. [8] რაჲ] რაჲმე B. [9] ვპოვე] ვპოე B. [10] საიდუმლოთა] საჲდუმლოთა A. [11] მას – B. [12] ვარწმუნე] დავარწმუნე B. [13] მცირედ- B. [14] აქუნდა C.

დაგვიწყებიან, ვინ უწყის, თუ ესეცა ჰქმენ და დაგვიწყდა[1]! სადა უკუე არიან მებრ გუშინდელნი შენნი ნაქმარნი და ძუღუანდელნი, რაჲთა მრავალთა წელთა და დღეთა[2] თანაწარვჰჴდე? /65/ აწ უკუე, ვითარცა-იგი ყოველნი ჰქმნენ და დაგვიწყდეს[3], ჭეშმარიტად ესეცა ჰქმენ და დაგვიწყდა[4] და ესრეთ და[5] ამით სახითა დავაჯერე გულსა ჩემსა, ვითარმედ ჭეშმარიტად ვქმენ საქმე იგი და ვითარცა[6] ვითარცა სხუაჲ ყოველივე მივეც დავიწყებასა, ესრეთვე და იგიცა დამვიწყებიეს. რომლისა ამითჳს ვჰმადლობდი ღმერთსა და დიაკონსა მას, რომლისა მიერ ღირს ვიქმენ ცნობად ბრალთა ჩემთა და ცოდვათა, რაჲთა შევინანნე. აღვდეგ უკუე ესევითარითა ამით გულისსიტყჳთა და წარვემართე დიაკონისა, რაჲთა ვითხოო შენდობაჲ და ვჰმადლობდე მას. ხოლო ვითარცა ვჰრეკე[7] კარსა მისსა და განაღო ოდენ, მეყსეულად იგი დავარდა პირველად პირსა ზედა თჳსსა და თქუა: შემინდვე მე, რამეთუ ეშმაკთაგან მოვიკიცხე და მოვიგონე შენთჳს ქმნად ეგევითარი საქმე. ხოლო აწ გულსავსე-მყო ღმერთმან, რომელ არაჲ გიც საქმესა მას თანა. და იტყოდა იგი, ვითარმედ: არცა თუ[8] მიტევაო შევრდომად მისა[9] და გულსავსეყოფად, არამედ მრქუა: კმა არს ესე ჩუენდა და მეტი არა საჭმარ არს.

და იტყოდა ნეტარი იგი: აჰა ესერა, სრულმან სიმდაბლემან თუ ვითარ განჰკაზმა[10] გული მისი მეგობრისა მის[11] მიმართ თჳსისა, რომლისათჳს არა თუ ოდენ არა[12] შეწუხნა, ანუ თუ დაჰბრკოლდა დიაკონისა მის მიმართ და ესეღა, რამეთუ ერთგზის და ორგზის გულსავსე-ეყო და არა მიეთუალა ვედრებაჲ მისი, არამედ ბრალიცა, რომელი არა ექმნა, მიაწერა თავსა თჳსსა. და არა ესე ოდენ[13], არამედ წარვიდაცა შევრდომად და მადლობად მისა[14]. და იტყოდა იგი: ხედავთა თუ რასა იქმს სათნოებაჲ, რაოდენთა სიმაღლეთა და საზომთა და ხარისხთა /65v/ აღიყვა/ნებს მუშაკთა თჳსთა[15]?!

და რამეთუ უკუეთუმცა მოელო გულად, ბევრეულთა მიზეზთა ჰპოებდა ამაოებისათა, რაჲთამცა ხედვიდა დიაკონსა მას ვითარცა ეშმაკსა. გარნა ვინაჲთგან სათნოებისა მიმართ წარემართა, არა თუ ოდენ არა შეუძნდა, გინა შეაწუხა იგი, არამედ უფროჲსღა ჰმადლობდა[16] ამისთჳს, რამეთუ სათნოებაჲ შევიდა მის თანა და განანათლა სული მისი და გონებაჲ.

ესრეთვე უკუე და ჩუენცა, უკუეთუმცა განვჰმზადეთ გული ჩუენი და გონებაჲ და მოვქმენით კეთილად ქუეყანაჲ იგი სულისა ჩუენისაჲ და დავსთესეთ თესლი სიმშჳდისა[17] და სიმდაბლისაჲ, არამცა აქუნდა ადგილი ჩუენ შორის მტერსა თესვად თესლთა მათ თჳსთა ბოროტთა. გარნა

---

[1] დაგვიწყდა] დაგჳწყდა C;დაგავიწყდ aE; ქედან E ნუსხა გრძელდება 21r-ზე. [2] დღეთა] დღეთასა A. [3] დაგვიწყდეს] დაგავიწყდეს E. [4] დაგვიწყდა] დაგავიწყდა E. [5] და – B. [6] ვითარცა – B. [7] ვჰრეკე] დავრეკე B. [8] არცა თუ] არცა B; არა თუ C. [9] მისა] მისსა E. [10] განჰკაზმა] განკაზმა E. [11] მის – BCE. [12] არა – BE. [13] ესე ოდენ] ესოდენ B. [14] მისა] მისსა B. [15] თჳსთა] მისთა BC. [16] ჰმადლობდა +იგი E. [17] სიმშჳდისა] სიმშჳდისაჲ E.

ვინაჲთგან გუპოებს ჩუენ ოჴრად ყოველთაგანვე გულისსიტყუათა კეთილთა, უფროჲსღა განმზადებულთა უკეთურებისა მიმართ, მერმე შემოვალს იგი და იწყებს თესვად თესლთა მათ უკეთურებისა თჳსისათა, ვიდრემდის სრულებით[1] განავსნეს ყანანი იგი სულთა და გონებათა ჩუენთანი, ვითარცა-იგი სახედ წინაუკუმო იქმნების სათნოებასა ზედა. რამეთუ უკუეთუ იხილოს უფალმან სული, რომელსა სწყუროდის ცხოვნებისათჳს[2] და მუშაკობდეს თესლთა კეთილთა, მიხედნეს გულსმოდგინებასა სრულსა და ნებისა[3] კეთილისა აღრჩევასა, სრულებით აღავსებს უხუებითა მით მადლთა და ნიჭთა თჳსთაჲთა.

23. მოეჴსენა კუალად ოდესმე ბერისაჲ მის, რომელსა ჰპარვიდა ძმაჲ, მეზობელი მისი, კერმასა, თუ ვითარ არაოდეს ამხილა მას ყოლადვე, არამედ უფროჲსღა შურებოდა უმეტესსა და იტყოდა: უეჭუელად საჭიროდ სამე უჴმს ძმასა ამას. დაუკჳრდა გული იგი მოწყალჱ[4] წმიდათაჲ, ვინაჲცა მომითხრა ჩუენ თხრობაჲ ესევითარი, ვითარმედ: ვიყავ ოდესმე პედიადს და მითხრა მუნ მამამან ვინმე მონასტრისამან, /66/ ვითარმედ: მახლობელად მონასტრისა ჩუენისა, რომელი იყო საკრებულო[5], იყო ვინმე ბერი, ყოლად სახიერი სულითა და წრფელი გონებითა[6]. ხოლო ახლვიდა მას სხუაჲ ძმაჲ. და გან-რაჲ-ვიდა ბერი[7] სენაკით თჳსით, ძლეულ იქმნა ძმაჲ იგი ეშმაკისაგან, განაღო სენაკი ბერისაჲ და შევიდა მას შინა და წარიღო ყოველივე ჭურჭელი[8] მისი და წიგნები. მო-რაჲ-ვიდა უკუე ბერი და შევიდა სენაკად თჳსა, ვერ პოა ჭურჭლები[9] თჳსი და წიგნები. აღდგა და მივიდა ძმისა მის, რაჲთა უთხრას მას, რაჲ-იგი იქმნა. ხოლო ვითარცა შევიდა შინა, პოვა ჭურჭლები თჳსი შუვა[10] სენაკსა ძმისასა, რამეთუ ვერ დაეკრძალა იგი[11] წუთღა ძმასა მას. ხოლო ბერმან არა ინება შერცხჳნებაჲ ძმისაჲ მის, არცა მხილებაჲ მისი, ყო თავი თჳსი, ვითარმცა უნდა განსლვაჲ გარეგანსავალთა საჴმრისათჳს მუცლისა და დაიყოვნა[12] მუნ მყოვარჟამ[13], ვიდრემდის უკუაწყნაროს ძმამან[14] ჭურჭელი მისი[15] და შორის მდებარებისაგან აკრიბოს. მოვიდა ბერი მიერ და იწყო სიტყუად ძმასა მას თანა სხუასა რასმე ჰამბავსა და ძმასა მას არა ამხილა, არცა არცხჳნა. შემდგომად უკუე დღეთა რავდენთამე[16] იცნობა ბერისა ჭურჭლები[17] ძმასა მას თანა. და წარიყვანეს იგი ვიეთმე და შეაგდეს საპყრობილესა. ხოლო ბერმან ვერაჲ ცნა ამისგანი, თჳნიერ ესე ოდენ ესმა

---

[1] სრულებით] სრულად C. [2] ცხოვნებისათჳს] ცხორებისათჳს BE. [3] ნებისა] ნეფსით E. [4] მოწყალჱ] მოწყალე E. [5] საკრებულო] საკრებულოჲ E. [6] გონებითა] გულითა C. [7] ბერი + იგი B. [8] ~ წიგნები მისი და ჭურჭელი BE. [9] ჭურჭლები] ჭურჭელი C. [10] შუვა] შუა E. [11] იგი – C. [12] დაიყოვნა] დაჲყოვნა A. [13] მყოვარჟამ] მრავალჟამ B. [14] ძმამან +მან E. [15] მისი] თჳსი E. [16] რავდენთამე] რაოდენთამე CE. [17] ჭურჭლები] ჭურჭელი C.

ბერსა, ვითარმედ ძმაჲ იგი შეაგდეს საპყრობილესა, ხოლო თუ რაჲსათჳს შეაგდეს იგი, მიზეზსა ყოვლად უმეცარ იყო. არამედ მოვიდაო ჩემდა[1], იტყოდა მამაჲ იგი და წინამძღუარი მონასტრისაჲ, ვინაჲთგან და მრავალგზის მოვიდოდის ჩემსა, და მრქუა მე: ყავ სიყუარული /66v/ და[2] მომეც მე მცირედ კუერცხი და წმიდაჲ პური. და მე ვარქუ მას: უცხონი ვინმე გყვანანა დღეს, მამაო? და მან თქუა: ჰᲒ. ხოლო წარიღო იგი ბერმან, რაჲთა წარვიდეს საპყრობილედ და ყოს სიყუარული ძმასა მას თანა. და ვითარცა შევიდა ბერი საპყრობილედ, შეუვრდა ძმაჲ იგი ფერჴთა ბერისათა და ჰრქუა მას: შენთჳს ვზი, მამაო, საპყრობილესა ამას შინა, რამეთუ მე ვარ, რომელმან განვკრიხე სენაკი შენი. არამედ აჰა ესერა, წიგნნი შენნი მუნ სამე არიან და სამოსლები შენი მუნ სამე. ჰრქუა მას ბერმან: გულსავსე იქმენინ გული შენი და გონებაჲ, რომელ არა ამისთჳს შემოვედ აქა, არცა ყოლად მიცნობიეს, თუ ჩემთჳს ხარ აქა, არამედ ესე ოდენ მესმა, ვითარმედ აქა ხარ და შევწუხდი და შემოვედ, რაჲთა ნუგეშინის-გცე[3]. და აჰა ესერა, იხილენ კუერცხნიცა ესე და პური წმიდაჲ. აწ უკუე ყოველივე ვყო, ვიდრემდის გამოგიყვანო შენ ამიერ[4] საპყრობილით. და წარვიდა და ევედრა დიდებულთაგანთა ვიეთმე, რამეთუ იყო იგი[5] მეცნიერ მათდა და საცნაურ სათნოებისათჳს მისისა. და წარვიდეს იგი მის თანა და გამოიყვანეს ძმაჲ იგი საპყრობილისა მისგან.

24. გჳთხრობდეს უკუე კუალად ბერისა მისთჳს, ვითარმედ: წარვიდა ოდესმე სავაჭროდ, რაჲთა იყიდოს შესამოსელი თჳსი და მისცეს[6] ერთი დრაჰკანი. დააკლდა ჯერეთ საფასოსა, რაჲთა განუსრულოს[7] იგი ფოლითა. აღიღო უკუე სამოსელი იგი და დაიდვა[8] ქუეშე თჳსა და ვითარცა თუალვიდა კერმასა მას ტაბლასა ზედა, მო-ვინმე-ვიდა წარღებად /67/ სამოსლისა მის, რომელი ედვა ქუეშე. აგრძნა ესე ბერმან, გარნა ვინაჲთგან აქუნდა გული მოწყალᲒ[9], აღუსუბუქა თავსა თჳსსა მცირედ-მცირედ რეცა თუ კერმისა მის მიმართ მიდრკების, ვიდრემდის აღიღო სამოსელი იგი კაცმან მან და წარვიდა. და არა ამხილა მას ბერმან, არცა არცხჳნა.

და იტყოდა ნეტარი იგი: რაჲზომი ღირდა სამოსელი იგი ანუ ჭურჭლები[10] მისი, რომელ წარწყმიდა?! გარნა ყოველსავე ზედა აჩუენა გულსმოდგინებაჲ რჩეული და ნებაჲ წადილისაჲ კეთილიცა და სრული[11] და ფრიადცა დიდი და მაღალი. რამეთუ საქმით გამოაჩინა წმიდამან მან ბერმან, ვითარმედ ოდეს-ღა აქუნდა იგი, ესრეთ აქუნდა[12], ვითარმცა არა აქუნდა. ამისთჳსცა წა-რაჲ-უჴდა მასვე ზედა და ერთსა ეგო, არცა შეწუხნა და არცა აღშფოთნა.

---

[1] მოვიდაო ჩემდა] მოვიდა ჩემდაო B. [2] და – C. [3] ნუგეშინის-გცე] ნუგეშინი-გცე E. [4] ამიერ – C. [5] იგი – C. [6] მისცეს] მისცა C. [7] განუსრულოს] გაუსრულოს B. [8] დაიდვა] დაჲდვა A. [9] მოწყალᲒ] მოწყალე BCE. [10] ჭურჭელები] ჭურჭელი C. [11] სრული და] სრუ-ლიად C. [12] აქედან ტექსტი E ნუსხასი ტექსტი გრძელდება 2r-ზე (აკინძვის შეცდომა).

და რამეთუ ვითარცა მრავალგზის ვთქუ, არა[1] თუ ქონებაჲ რასმე[2] ავნებს, არამედ ვნებულად ქონებაჲ. რამეთუ მას წმიდასა უკუეთუმცა ჰქონებოდა ყოველი[3] ესე სოფელი, ესრეთვე ყოფად იყო, ვითარმცა ყოლად არა აქუნდა. და რომელი-იგი ქმნა, მიგან საცნაურ-ყო თავი თჳსი, ვითარმედ არს ყოველთაგანვე ვნებათა თავისუფალ. ესე ყოველი ჩუენცა განვიცადოთ, ძმანო, და სწავლაჲ წმიდათა მამათაჲ გულსმოდგინედ შევიწყნაროთ და ძალისაებრ მსგავსებასაცა[4] მათსა[5] შეუდგეთ სადიდებელად უფლისა და[6] მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი. რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ[7] უკუნისამდე, ამინ!

[1] არა] არცა C. [2] რასმე] რაჲსაჲმე E. [3] ყოველი] ყოველივე B. 4 მსგავსებასაცა] მსგავსებასა B. 5 მათსა] მისსა C. 6 და + ღმრთისა და E ჩამატებულია სხვა ხელით. 7 წმიდითურთ + აწ დამარადის და უკუნითი E.

თავი გ

სწავლანი და თხრობანი სულიერნი წმიდათა მამათანი და ვითარმედ ჯერ არს ჩუენდა ყოვლითა ძალითა მიდევნებად დაყუდებასა[1]

I.1. მამაჲ ანტონი ჯდა ოდესმე უდაბნოსა[2] და მოწყინებასა შევარდა ფიცხელსა და სიბრმესა გულისსიტყუათასა /67v/ და იტყოდა ღმრთისა მიმართ: უფალო, მნებავს ცხოვნების და არა მიტევებენ[3] გულისსიტყუანი, რაჲ ვყო, უფალო, ჭირთა შინა ჩემთა, ანუ ვითარ ვცხოვნდე[4]? და მცირე მიმოვლო, აღდგა და გამოვიდა გარე. და იხილა ვინმე, ვითარცა თავი თჳსი, ანტონი, რამეთუ დაჯდა[5] და იქმოდა იგი[6] ჴელთსაქმარსა. მერმე აღდგის საქმისაგან და ილოცავნ და კუალად დაჯდის და თხზავნ სირასა, მერმე კუალად აღდგის და ილოცავნ, ესე[7] ესრეთ ყო მრავალგზის. ხოლო იყო ანგელოზი უფლისაჲ, რომელი მოვლინებულ იყო განმართებისათჳს ანტონისა. და ესმა ჴმაჲ ანგელოზისაჲ მის, რომელმან ჰრქუა მას: ანტონი, ესრეთ ჰყოფდი და სცხოვნდე. ესე რაჲ ესმა, აღივსო იგი სიხარულითა, ჰმადლობდა ღმერთსა[8], ესრეთ ჰყოფდა და ცხოვნდებოდა.

2. თქუა **მამამან ანტონი:** ვითარცა თევზთა და-რაჲ-ეყოვნოს ზღჳსაგან კიდე ჴმელსა ზედა და[9] მოკუდებიან, ესრეთვე მონაზონნი და-თუ-იყოვნონ[10] სენაკისაგან, გინა ერისკაცთა თანა იქცეოდიან, მოაკლდებიან დაყუდებისაგან. ჯერ არს უკუე ვითარცა თევზი ივლტის ზღუად, რაჲთა ჩუენ[11] ვივლტოდით სენაკად, ნუუკუე დავიყოვნოთ რაჲ გარე, დაგუვიწყდეს შინაკერძოჲ იგი ცვაჲ გონებისაჲ.

3. თქუა კუალად: რომელი მყოფ იყოს უდაბნოს დაყუდებით, სამთა ბრძოლათაგან თავისუფალ[12] არს: სმენისაგან და მეტყუელებისა და ხედვისა. ერთისაჲ ოდენ აქუს ბრძოლაჲ, რომელ არს გონებისაჲ[13].

---

[1] დაყუდებასა] დაყუდებისა C+გუაკურთხენ მამაო BC; მამაო გუაკურთხენ E. [2] უდაბნოსა] უდაბნოს E. [3] მიტევებენ +მე C. [4] ვცხოვნდე] ვცხონდე E. [5] დაჯდა] ჯდა B. [6] იგი – B. [7] ესე – B. [8] ღმერთსა + და B. [9] და – E. [10] და-თუ-იყოვნონ] რაჲ დაეყოვნოს C; თუ დაიყოვნონ E. [11] ჩუენცა B. [12] თავისუფალ] განთავისუფლებულ E. [13] გონებისაჲ] გონებაჲ B.

II. 1. მამაჲ არსენი იყო რაჲ ჯერეთ პალატსა შინა[1] სამეუფოსა, ილოცა ღმრთისა მიმართ და თქუა: უფალო, წარმიძეღუ მე და მასწავე, თუ[2] ვითარ ვცხოვნდე[3]. და მოვიდა მისა ზეცით ჴმაჲ, რომელი ეტყოდა: არსენი, ივლტოდე კაცთაგან და სცხოვნდე[4].

2. იგივე **მამაჲ არსენი** /68/ განე/შორა რაჲ და მონაზონ იქმნა, კუალად ილოცა და იგივე სიტყუაჲ თქუა. და ესმა ჴმაჲ, რომელი ეტყოდა მას: არსენი, ივლტოდე და დუმენ და დაყუდენ, რამეთუ ესენი არიან ძირნი უცოდველობისანი.

3. წარვიდა ოდესმე **ნეტარი თეოფილე მთავარეპისკოპოსი** მთავარისა ვისმე თანა **მამისა არსენისა**[5] და ჰლოცვიდა ბერსა, რაჲთა ესმას მათ მისგან სიტყუაჲ. ხოლო ბერი დუმნა მცირედ, მერმე ჰრქუა მათ: და უკუეთუ გრქუა თქუენ, დაიმარხოთა? ხოლო მათ აღუთქუეს დამარხვად. ჰრქუა მათ ბერმან: სადაცა გესმას ყოფაჲ არსენისი ნუ დაეახლებით მუნ.

4. კუალად სხუასა ჟამსა ინება ოდესმე[6] მთავარეპისკოპოსმან მისლვაჲ მისა[7], მიუმცნო პირველად უკუეთუ განუღებს ბერი. ხოლო ბერმან მიუმცნო და თქუა: უკუეთუ მოხჳდე, განგიღო და უკუეთუ შენ განგიღო, ყოველთა განუღო კარი და მერმე[8] არღარა ვჳდე აქა. ესმა რაჲ ესე მთავარეპისკოპოსსა[9], თქუა: უკუეთუ ოტებად წმიდისა მის მივალ, არღარა მივალ მის თანა.

5. ჰრქუა ვინმე **მამასა არსენის:** გულისსიტყუანი შემაურვებენ მე და მეტყჳან: მარხვაჲ არა ძალ-გიც, არცაღა შრომაჲ, ბარე უძლურთა მოიხილევდი და რამეთუ ესეცა სიყუარულივე არს. ხოლო ბერმან იცნოდა[10] სივერაგენი მტერისანი და ჰრქუა მას: წარვედ, ძმაო, ჭამე, სუ[11] და დაიძინე[12], და ყოლადვე ნურარას იქმ, ოდენ სენაკისაგან ნუ განეშორები. რამეთუ უწყოდა ნეტარმან მან, ვითარმედ მოთმინებაჲ ოდენ სენაკისაჲ მოიყვანებს მონაზონსა პირველსავე ზედა წესსა თჳსსა.

6. ჰრქუა **მამამან მარკოზ მამასა არსენის:** რაჲსათჳს მევლტი ჩუენ, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: ღმერთმან იცის, რამეთუ მიყუართ თქუენ, გარნა ვერ ძალ-მიც ღმრთისა თანა ყოფაჲ და კაცთა. /68v/ ზეცას[13] ათასეულთა და ბევრეულთა ძალთა ერთი ნებაჲ აქუს, ხოლო კაცსა ერთსა მრავალნი ნებანი ჰქონან, ვერ ძალ-მიც უკუე დატევებაჲ ღმრთისაჲ და მოსლვაჲ კაცთა თანა.

7. იტყოდეს კუალად მისთჳსვე, ვითარმედ აქუნდა სენაკსა მისსა სიშორჱ ოცდაათორმეტ მილიონ და არა ადრე-ადრე გამოვალნ მიერ, რამეთუ სხუანი ჰყოფდეს მსახურებასა მისსა. ხოლო ოდეს მოოჳრდა სკიტე, გამოვიდა მიერ, ტიროდა და იტყოდა: წარწყმიდა სოფელმან ჰრომი და მონაზონთა სკიტჱ[14].

---

[1] შინა – C. [2] თუ – C. [3] ვცხოვნდე] ვცხონდე E. [4] სცხოვნდე] სცხონდე E. [5] არსენისა] არსენისსა BE. [6] ოდესმე – BC. [7] მისა] მისსა E. [8] მერმე] მიერითგან BCE. [9] +და C. [10] იცნოდა] იცოდნა B. [11] სუ] სჳ B. [12] დაიძინე] დაჲძინე A. [13] ზეცას] ზეცისა C. [14] სკიტჱ] სკიტე BC.

8. წარჰვლიდა ოდესმე **მამაჲ არსენი** ადგილსა რასმე და იყო მუნ ლერწმოანი და ირყეოდეს[1] ქარისაგან ლერწამნი იგი. ჰრქუა ბერმან ძმათა, რომელნი ვიდოდეს მის თანა: რაჲ არს ჴმაჲ ესე და ძრვაჲ? ჰრქუა მას: ლერწმისაჲ არს, მამაო. ხოლო ბერმან ჰრქუა მათ: ძმანო[2], გეტყჳ თქუენ, უკუეთუ ჯდეს მონაზონი დაყუდებით[3] სენაკსა შინა[4] თჳსსა და ესმას ჴმაჲ სირისაჲ, არღარა აქუნდეს იგივე დაყუდებაჲ, რაოდენ უფროჲსღა ლერწმოანი[5] ესე მახლობელთა მისთა.

9. ჯდა ოდესმე **მამაჲ არსენი** კანოპეს[6] ალექსანდრიაჲსასა. მოვიდა ვინმე ქალწული მთავართა შვილი ჰრომით, მდიდარი ფრიად და მოშიში ღმრთისაჲ, ხილვად მისა[7]. შეიწყნარა იგი სიხარულით თეოფილე მთავარეპისკოპოსმან, რომელსაცა ევედრა ქალწული იგი, რაჲთა არწმუნოს ბერსა ხილვად მისა[8]. აღდგა იგი და წარვიდა მისა[9], ჰლოცვიდა წმიდასა მას და ეტყოდა: იგი ვინმე ქალწული, თჳსი შენი, მოვიდა ჰრომით და ჰნებავს ხილვაჲ შენი. ხოლო ბერმან არა თავს-იდვა ყოფად ესე. ვითარცა ესმა ესე მას, უბრძანა /69r/ აღკაზმვაჲ[10] ჰუნისაჲ და თქუა: მრწამს ღმრთისაჲ, რამეთუ ვიხილო იგი[11], და რამეთუ არა კაცისა მოსრულ ვარ ხილვად, თუ არა, არიან ქალაქსაცა ჩემსა კაცნი მრავალ, არამედ წინაწარმეტყუელისა მოვედ ხილვად. და ვითარცა მიიწია სენაკად ბერისა, განგებით მოეცალა ბერსა და იპოვა გარეშე სენაკისა და იხილა იგი და შეუვრდა ფერჴთა მისთა. ხოლო მან აღადგინა იგი, რისხვით მიხედნა მას და ჰრქუა: უკუეთუ პირისა ჩემისა ხილვაჲ გნებავს, აჰა ესერა, აქა ვარ, იხილე! ხოლო მან სირცხჳლისაგან ვერცა თუ უძლო მიხედვად პირსა. მერმე ჰრქუა ბერმან: არა გესმნესა საქმენი ჩემნი, მათი საჭირო[12] არს განცდაჲ, ანუ ვითარ იკადრე წიაღმოვლად[13] ესოდენთა ზღუათა, არა უწყია, რამეთუ დედაკაცი ხარ და არასადა გიღირს გამოსლვად[14], ანუ თუ რაჲთა წარხჳდე ჰრომეს[15] და უთხრა სხუათა დედათა, ვითარმედ ვიხილე მე არსენი. და დაიდვან[16] ზღუაჲ გზად დედათა, მომავალთა ჩემდა. ხოლო მან თქუა: უკუეთუ უნდეს უფალსა, არცა ერთი ვინ უტეო მოსლვად აქა, გარნა ლოცვა-ყავ ჩემთჳს, მამაო, და მაჴსენებდ[17] მე ოდესვე. ჰრქუა მას ბერმან: ვილოცავ ღმრთისა მიმართ, რაჲთა აღმოჰფხურას საჴსენებელი შენი გულისაგან ჩემისა. ვითარცა ესმა ესე მას, გამოვიდა მიერ[18] აღშფოთებული. და ვითარცა მოვიდა ქალაქად, მრავლისა მისგან მწუხარებისა შეიპყრა მჴურვალებამან და მიეთხრა ესე[19] ნეტარსა /69v/ თეოფილე[20] მთავარეპისკოპოსსა. მივიდა და ჰლოცვიდა

---

[1] ირყეოდეს] ირყევებოდეს AC. [2] ძმანო – BCE. [3] დაყუდებით – B. [4] შინა – B. [5] ლერწმოანი] ლერწმუანი B. [6] კანოპეს] კანუპეს B. [7] მისა] მისსა B. [8] მისა] მისსა B. [9] მისსა B. [10] აღკაზმვაჲ] აღკაზმაჲ B. [11] იგი- C. [12] საჭირო] საჭიროჲ B. [13] წიაღმოვლად] წიაღმოალვაჲ B;წიაღმოსლვად E. [14] გამოსლვად] გამოსლვაჲ B. [15] ჰრომეს] ჰრომს BE. [16] დაიდვან] დაჲდვან A. [17] მაჴსენებდ] მაჴსენებდი B. [18] მიერ – C. [19] ესე – B. [20] აქედან E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 24r-ზე.

მას თხრობად მიზეზსა მწუხარებისასა[1]. ხოლო მან თქუა: ჰჱ, თუმცა არა მოსრულ ვიყავ აქა, რამეთუ ვარქუ ბერსა ვითარმედ მაჴსენებდ[2] მე და მან მრქუა[3]: ვილოცავ ღმრთისა მიმართ, რაჲთა აღმოჰფხურას საჴსენებელი შენი გულისაგან ჩემისა. და აჰა ესერა, მოვკუდები მე უზომოჲსაგან მწუხარებისა. ჰრქუა მას მთავარეპისკოპოსმან: არა უწყია, რამეთუ დედაკაცი ხარ და რამეთუ დედათა მიერ ჰბრძავს მტერი წმიდათა. და ამის მიზეზისათჳს გრქუა ბერმან სიტყუაჲ ეგე, თუ არა, სულისა შენისათჳს[4] სამარადისოდ ილოცავს. ესრეთ განიკურნა გონებაჲ მისი და[5] გულისსიტყუაჲ და წარვიდა სიხარულით სახედ თჳსა.

10. ჯდა ოდესმე **მამაჲ არსენი** უქუემოჲსსარე კერძსა და მოწყინებულ იქმნა მიმავალთაგან. მოიგონა, რაჲთა დაუტეოს სენაკი თჳსი და არარაჲ აღიღოს მიერ. და ესრეთ წარვიდა მოწაფეთა მათ თანა თჳსთა[6] ფარანელთა, ალექსანდრეს და ზოილეს. ჰრქუა უკუე ალექსანდრეს: აღდეგ და წიაღვლე. და ყო ესრეთ. და ზოილოს[7] ჰრქუა: მოვედ ჩემ თანა ვიდრე მდინარედმდე და მიძიე მე ნავი, რომელი წიაღვიდოდის[8] ალექსანდრიად, და ესრეთ უკუემოიქეც შენცა ძმისავე შენისა. ხოლო ზოილე დაჰბრკოლდა სიტყუასა მას ზედა, გარნა დუმნა და არარაჲვე თქუა. და ესრეთ განიყვნეს[9] ურთიერთარს. შთავიდა უკუე ბერი კერძოთა ალექსანდრიისათა და /70/ დასნე/ულდა იგი მუნ სნეულებითა დიდითა. ხოლო მისთა მათ მსახურთა თქუეს ურთიერთარს, ნუუკუე შე-ვინ-მე-აწუხა ბერი ჩუენგანმან და ამისთჳს განმეშორა ჩუენ. და ვერარაჲ პოვეს მიზეზი თავთა შორის თჳსთა, ვერცა მოიგონეს თუმცა ოდეს ურჩქმნილ იყვნეს მისდა. ოდესცა განიკურნა უკუე ბერი უძლურებისაგან თჳსისა და თქუა: წარვიდე ძმათავე თანა ჩემთა და მამათა. და ესრეთ წიაღმოვლო და მოვიდა კლდედ[10] მსახურთავე თანა თჳსთა. ხოლო იყო რაჲ იგი მახლობელად მდინარისა, მოვიდა ვინმე მჴევალი ჰინდოჲ და შეახო სამოსელსა მისსა, ხოლო ბერი შეჰრისხნა მას. ჰრქუა მას მჴევალმან მან[11]: უკუეთუ მონაზონი ხარ, რად არა წარხუალ უდაბნოდ? შეელმა უკუე ესე ბერსა და ეტყოდა თავსა თჳსსა: არსენი, უკუეთუ მონაზონი ხარ, რად არა წარხუალ უდაბნოდ? და ამას ზედა მოეგებნეს მას ალექსანდრე და ზოილე და შეუვრდეს[12] ფერჴთა მისთა. ესრეთვე უკუე ბერმანცა დააგდო თავი თჳსი ქუეყანად და ტიროდეს მრჩობლ ორკერძოვე. ჰრქუა მათ[13] ბერმან: არა გესმაა, რამეთუ დავსნეულდი? ხოლო მათ ჰრქუეს მას: ჰჱ, გუესმა. და ბერმან ჰრქუა მათ: და რად არა მოხუედით ხილვად ჩემდა? ხოლო ალექსანდრე ჰრქუა მას: ამისთჳს, რამეთუ განშორებაჲ შენი ჩუენგან არა

[1] მწუხარებისასა] მწუხარებისა მისისასა E. [2] მაჴსენებდ] მაჴსენებდი BE. [3] მრქუა + მ ე E . [4] სულისა შენისათჳს] სულისათჳს შენისა C. [5] და გულისსიტყუაჲ.....თჳსა – C. [6] ~ თჳსთა თანა E. [7] ზოილოს] ზოილეს C. [8] წიაღვიდოდის] წიაღვიდოდეს E. [9] განიყვნეს] განიყვეს B. [10] კლდედ] კუალად B. [11] მან- B. [12] შეუვრდეს] შეურდეს B. [13] მათ] მას B.

ნებითა იყო ჩუენითა, არცა დარწმუნებით[1]. და მრავალნი ვერ აღეშენნეს და იტყოდეს ვითარმედ, უკუეთუმცა არა რასმე ურჩქმნილ იყვნეს[2] /70v/ ბერისადა, არამცა განშორებულ იყო მათგან. ჰრქუა მათ ბერმან: კეთილად ეგულების კაცთა სიტყუად, ვითარმედ არა პოვა ტრედმან განსასუენებელი ფერჴთა თჳსთაჲ და მოაქცია ნოესა[3] კიდობნადვე. და ესრეთ განიკურნნეს გონებანი მათნი და დაადგრეს ზოგად ურთიერთარს ვიდრე სიკუდილადმდე.

11. მოვიდა ვინმე **მამისა არსენისა**[4] და ვითარცა ჰრეკა კარსა, განუღო ბერმან, ჰგონა თუ მსახური არს მისი. ხოლო ვითარცა იხილა იგი, რამეთუ სხუაჲ იყო, დავარდა პირსა ზედა თჳსსა. ჰრქუა მას ძმამან მან[5] მოსრულმან: აღდეგ, მამაო, რაჲთა მოგიკითხო. ჰრქუა მას ბერმან: არა აღვდგე ამიერ, არა თუ წარხჳდე. და ფრიად ევედრა ძმაჲ იგი აღდგომად და არა აღდგა, ვიდრემდის განეშორა მიერ[6].

12. იტყოდეს ძმისა ვისთჳსმე, რომელი მოსრულ იყო სკიტედ ხილვად[7] **მამისა არსენისა**[8], ვითარმედ[9] მოვიდა იგი ეკლესიად და ჰლოცვიდა მღდელთა ეკლესიისათა და მნეთა, რაჲთა უჩუენონ მას[10] მამაჲ არსენი. ჰრქუეს მას: მცირედ განისუენე, ძმაო, და იხილო იგი. ხოლო მან ჰრქუა მათ: არარაჲსა გემოსა ვიხილავ, არა თუ შევემთხჳო მას პირველად. წარმგზავნეს უკუე მღდელთა ძმაჲ ერთი მის თანა უწყებად მისა[11] და ჩუენებად, რამეთუ შორს იყო სენაკი მისი. და ვითარცა მივიდეს, დაჰრეკა ძმამან მან[12] კარსა და შევიდეს ზოგად, მოიკითხეს ბერი და დასხდეს დუმილით. თქუა ძმამან მან[13] ეკლესიისამან: ლოცვა ყავთ ჩემთჳს, რამეთუ წარვალ. ხოლო ძმამან მან უცხომან, ვითარცა იხილა, რამეთუ ვერ პოვა კადნიერებაჲ ბერსა თანა, ჰრქუა ძმასა მას: და მეცა მოვალ შენ თანა. და გამოვიდეს მიერ ზოგად ორნივე. /71/ ჰლოცვიდა მძღუარსა მას ძმაჲ იგი და ეტყოდა: წარმიყვანე მე მამისა მოსესა[14] ავაზაკთაგანისა. და წარვიდეს იგინი მისა. ხოლო მან იხილნა რაჲ, სიხარულით შეიწყნარნა იგინი[15], მოწლედ ისტუმრნა და განუტევნა[16]. ჰრქუა მძღუარმან მან ძმასა მას: აჰა ესერა, მიგიყვანე შენ[17] უცხოჲსა მის ჰრომაელისა და მეგჳპტელისა ამის, რომელი მოგაშუნდა ორთა ამათგანი[18]? და მან ჰრქუა მას: მე ჟამისად მეგჳპტელი ესე მთნდა. ესმა ვისმე მამათაგანსა ესე და[19] ილოცა ღმრთისა მიმართ და თქუა: უფალო, მიჩუენე მე საქმე ესე და მაუწყე[20], თუ რაჲ არს, რამეთუ ერთი იგი ივლტის კაცთაგან სახელისათჳს შენისა და მეორე ჰყუარობს კაცთა სახელისათჳს შენისა. და აჰა ესერა[21],

---

[1] დარწმუნებით] დარწმუნებითა C. [2] იყვნეს] ვიყვენით C. [3] ნოესა] ნოესსა BE ; ნოესა C. [4] არსენისა] არსენისსა BE. [5] მან – C. [6] მიერ] მისგან BE. [7] ხლვად – B. [8] არსენისა] არსენისსაB. [9] აქედან E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 23r-ზე, აკინძვის შეცდომა. [10] მას] მათ E. [11] მისა] მის C. [12] მან – C. [13] მან – B. [14] მოსესა] მოსესსა B. 15 იგინი + და B. [16] განუტევნა] განუსუენა B + იგინი E. [17] შენ – B. [18] ამათგანი] ამათგან E. [19] და – E. [20] მაუწყე-C. [21] ესერა-B.

ეჩუენნეს მას ორნი ნავნი დიდროანნი[1] მდინარესა შინა. და იხილა ერთი იგი, რამეთუ სული ღმრთისაჲ და მამაჲ არსენი წიაღვიდოდეს დუმილით და მყუდროებით, ხოლო მეორესა მას შინა იყვნეს ანგელოზნი ღმრთისანი და მამაჲ მოსე[2], აჭამებდეს თაფლსა გოლეულსა და ესრეთ წიაღვიდოდეს.

13. მოვიდეს ოდესმე ბერნი **მამისა არსენისა**[3] და ფრიად ჰლოცვიდეს მას, რაჲთა ეზრახნენ. ხოლო მან განუღო კარი და შეიყვანნა სენაკად. მაშინ ევედრნეს ბერსა, რაჲთა აუწყოს[4] მათ, თუ რაჲ არს საქმე მათი, რომელნი დაეყუდებიან და არცა ერთსა ვის შეემთხუევიან. ჰრქუა მათ ბერმან: ქალწული, ვიდრემდის სახლსა შინა იყოს[5] მამისა თჳსისასა, მრავალთა სურის[6] დაწინდებად მისა. ხოლო ოდეს ისუას ქმარი, არღარა ყოველთა სთნავს, არამედ რომელნიმე შეურაცხ-ჰყოფენ და რომელნიმე აქებენ, და არღარა არს იგი პატიოსან, ვითარ იყო პირველ, /71v/ ოდეს-იგი იყო[7] დაფარულ სახლსა შინა მამისა თჳსისასა. ესრეთვე და სულსაცა შეემთხუევის და ოდეს განცხადნეს და საერო იქმნეს, ვერ ყოველთაჲ[8] ძალ-უც სათნოყოფაჲ.

III. თქუა **მამამან ბიტიმი**[9], ვითარმედ: შთავიდოდე ოდესმე სკიტედ და მომცეს მე ვიეთმე მცირედ ვაშლი, რაჲთა მივსცე ბერთა. და ვჰრეკე კარსა მამისა აქილაჲსსა, რაჲთა მივსცე მას. ხოლო მან მრქუა მე: ჰრიდე[10], ძმაო, არა მინდა აწ რეკის, დაღაცათუმცა იყო მანანაჲ, ნუცაღა სხჳსა ვისსა მიხუალ სენაკსა. წარვედ უკუე მე სენაკსა ჩემსა და წმიდასა კჳრიაკესა მივიღე იგი ეკლესიად.

IV. 1. თქუა **მამამან დულას**[11]: უკუეთუ გუაიძულებდეს[12] ჩუენ მტერი დატევებად დაყუდებისა, ნუ ვერჩით მას. და[13] რამეთუ[14] არარაჲ ესრეთ მოსწყლავს მტერთა ჩუენთა, ვითარ დაყუდებაჲ და მარხვაჲ და ფრთხილად მხედველ-ჰყოფს თუალთა მათ[15] სულისათა.

2. თქუა კუალად: განჰკუეთე[16] მრავალთა სიყუარული, ნუუკუე შეემსჭუალოს გონებაჲ შენი მომადლებასა მათსა და წარწყმიდო სარგებელი დაყუდებისაჲ.

V. თქუა **მამამან თეოდორე ფერმელმან**, ვითარმედ: კაცმან, რომელმან იხილოს სიტკბოებაჲ სენაკისაჲ, ესრეთ ივლტინ კაცთაგან, ვითარცა ვინ[17] ივლტინ გუელისაგან.

2. თქუა კუალად: უკუეთუ არა მოვსწყჳდო[18] თავი ჩემი სიყუარულთა მსოფლიოთა[19], ვერ ღირს ვიქმნები მიახლებად[20] სიყუარულსა ღმრთისასა.

---

[1] დიდროანნი] დიდროვანნი B. [2] მოსე + და BE. [3] არსენისა] არსენისსა B. [4] აუწყოს] ეზრახნენ C. [5] ~იყოს სახლსა შინა C. [6] სურის] ჰსურის C. [7] იყო – B. [8] ყოველთაჲ] ყოველთა E. [9] ბიტიმი] პიტიმი C. [10] ჰრიდე + უკუე C. [11] დულას] დოლას E. [12] გუაიძულებდეს] გუაჲძულებდეს A. [13] და – E. [14] და რამეთუ – B. 15 მათ – B. 16 განჰკუეთე] გარდაჰკუეთე BCE. 17 ვინ-C. 18 მოვსწყჳდო] მოსწყჳდო C. 19 მსოფიოთა] მსოფიოთასა B. 20 აქედან E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 25r-ზე აკინძვის შეცდომა.

3. დასნეულდა ოდესმე მამაჲ იოსებ და მიუმცნო მამასა **თეოდორეს ფერმელსა,** ვითარმედ: მოვედ[1] და გიხილო შენ პირველ განსლვადმდე ჩემდა ჰორცთაგან და სოფლისა. და არა წარვიდა, რამეთუ იყო შუვა[2] ოდენ შჳდეული, არამედ მიუმცნო: უკუეთუ[3] ეგო შაბათადმდე, მოვიდე, უკუეთუ კულა წარხჳდე, სხუასა მას სოფელსა ვიხილვნეთ ურთიერარს.

4. /72/ ძმაჲ მოვიდა **მამის თეოდორესსა,** რაჲთა ისწაოს მისგან კერვაჲ სირაჲსაჲ და მოიღოცა[4] მისა[5] ბაიაჲ[6], ხოლო ბერმან ჰრქუა მას: წარვედ აწ და ხვალე ადრე მოვედ აქა. აღდგა ბერი და დაულბო მას ბაიაჲ[7] და განუმზადა მას საკერავი და ჰრქუა: ესრე და ესრე იქმოდე და დაუტევა იგი. შევიდა ბერი სენაკად თჳსა და დაჯდა. და მოიწია რაჲ ჟამი, უქმნა მას ჭამადი და ესრეთ წარმგზავნა[8] სახედ თჳსა. განთიად უკუე კუალად მოვიდა ძმაჲ იგი, ჰრქუა მას ბერმან: აღიღე ამიერ ბაიაჲ[9] შენი და ვიდოდე, რამეთუ განსაცდელად ჩემდა მოხუედ, რაჲთა შემაგდო მე ზრუნვათა. და არღარა უტევა იგი ბერმან შესლვად სენაკად მისა[10].

5. თქუა ბერმან: კეთილ არს დაყუდებაჲ, რამეთუ კაცი ბრძენი დაყუდებით არნ და რამეთუ დიდ არს ნანდჳლვე ქალწულისა გინა მონაზონისა[11] დაყუდებაჲ, უფროჲსღა ჭაბუკ[12] თუ იყვნენ, გარნა ესემცა უწყით, რომელ უკუეთუ ვინ შეიტკბოს დაყუდებაჲ, ფრიად ებრძვიან მას ეშმაკნი და ფიცხლად მოართუმენ[13] მოწყინებასა, დაუმძიმებენ სულსაცა[14] და ჰორცთა სულმოკლებითა უძლურებასა შესდებენ და სნებასა[15], დაჰჳსნიან მუჴლთა და ყოველთავე ასოთა გუამისათა და ყოველსავე ძალსა სრულებით მოუღებენ და შეუქმან მას გულისსიტყუათა, ვითარმედ სნეულ ხარ და ვერ ძალ-გიც ლოცვად, დაწევ და განისუენე. გარნა უკუეთუ განიფრთხოს ესევითარმან მან ყოველივე[16] იგი სივერაგე მტერისაჲ, მალიად წარჴდების და ადრე.

რამეთუ იყო ვინმე მოღუაწე მონაზონი და ვითარცა დადგის ლოცვად, მეყსეულად შეიპყრის იგი ცხრომან და თავქედმან, აჴურვებნ მას ფიცხლად, /72v/ სტეხნ თავსა, სტკივნ მას და აჭირვებნ, ხოლო იგი ეტყჳნ თავსა თჳსსა, ვითარმედ: აჰა ესერა, უძლურ ვარ და უეჭუელად მოვკუდები, აღვდგე და ვყო მცირე იგი ლოცვაჲ ჩემი. და ამით გულისსიტყჳთა აიძულებდა[17] თავსა თჳსსა და ჰყოფდა ლოცვასა თჳსსა[18]. ხოლო დააცადის რაჲ ლოცვაჲ, დასცხრის ჴურვებაჲცა[19] იგი. კუალად ჟამსა ლოცვისასა მოვიდის სენი იგი ჴურვებისაჲ და ამითვე გულისსიტყჳთა წინა აღუდგებინ ძმაჲ იგი და ჰბრძავნ მას, და აღასრულებნ ლოცვასა თჳსსა, ვიდრემდის მადლითა ღმრთისაჲთა მცირეთა შინა დღეთა[20] მძლე ექმნა ვნებასა მას.

---

[1] მოვედ] მოედ B. [2] შუვა] შუა CE. [3] უკუეთუ] თუ E. [4] მოიღოცა] მოიღო C. [5] მისა] მისსა BE. [6] ბაიაჲ] ბაჲაჲ A. [7] ბაიაჲ] ბაჲაჲ A. [8] წარმგზავნა] წარგზავნა BCE. [9] ბაიაჲ] ბაჲაჲ A. [10] მისა] მისსაB. [11] მონაზონისა] მონაზონისაჲ E. [12] ჭაბუკ] ჭა-ბუკღა B. [13] მოართუმენ +მას C. [14] სულსაცა] სულთაცა B. [15] სნებასა] სნეულებასა E. [16] ყოველივე] ყოველი B. [17] აიძულებდა] აჲძულებდა A. [18] თჳსსა – B. [19] ჴურვებაჲცა] მჴურვალებაჲ B. [20] ~ დღეთა შინა C.

VI. იტყოდა **მამაჲ იოანე**, ვითარმედ: უკუეთუ აქუნდენ კაცსა სულსა შინა თჳსსა ჭურჭელნი იგი[1] ღმრთისამიერნი, ძალ-უც დაჯდომად სენაკსა შინა თჳსსა, დაღაცათუ ჭურჭელთაგან მსოფლიოთა უღონო იყოს. კუალად, უკუეთუ აქუნდენ საჴმარნი და ჭურჭელნი ამის სოფლისანი, დაღათუ საღმრთონი იგი საჴმარნი არა აქუნდენ, წარმავალთა მათთჳს ჭურჭელთა, მასცა ძალ-უც ჯდომად სენაკსა შინა თჳსსა, ხოლო რომელსა არცა სულიერი, არცა ჴორციელი ნუგეშინისცემაჲ ეპოებოდის, ვითარ შეუძლოს მან ჯდომაჲ სენაკსა შინა თჳსსა?!

2. ძმაჲ ვინმე მკჳდრობდა შორის კრებულსა და იყო იგი ფრიად მოღუაწე. ესმა მისთჳს ძმათა სკიტელთა და მოვიდეს ხილვად მისა და[2] შევიდეს ადგილსა მას, სადაც შურებოდა და მოიკითხეს იგი, ესრეთვე და მანცა. მერმე მიიქცა[3] და იწყო ჴლთსაქმარსავე თჳსსა[4]. იხილეს რაჲ ძმათა მათ ესრეთ მოქმედად, ჰრქუა მას მამამან იოანე: ვინ შეგმოსა შენ სახჱ[5] ეგე ანუ ვინ შეგქმნა შენ მონაზუნად[6] და არა /73/ გასწავა მოჴდად ძმათაგან მალაკებსა მათსა?! ხოლო მან ჰრქუა მათ: ილოცეთ ანუ დასხედით. ჰრქუა მას იოანე: ცოდვილსა კაცსა არა სცალს მაგისთჳს. და ვითარცა ვერ პოვეს სიყუარული, გამოვიდეს მიერ.

VII. იტყოდეს **მამისა ისიდორესთჳს,** ვითარმედ უკუეთუ მივიდის[7] მისა[8] ძმაჲ, ივლტინ იგი უშინაგანესად[9] სენაკად. ხოლო ძმანი ეტყჳედ მას: მამაო, რასა ჰყოფ ამას? და მან ჰრქჳს: ოდეს ივლტოდინ ნადირნი უშინაგანესთა ჴურელთა მათთა, განერებიან იგინი მონადირეთაგან. ხოლო ამას იტყოდა სარგებელისათჳს ძმათაჲსა:

იყო ვინმე მწიგნობარი ალექსანდრიას სახელით კოზმან, კაცი ყოლად საკჳრველი და შემკული ყოვლითავე სათნოებითა, რამეთუ იყო იგი მდაბალ, მყუდრო, მშჳდ, მოწყალე, მმარხველ, ქალწულ, უცხოთმოყუარე და გლახაკთმოწყალე. ხოლო მე, ვინაჲთგან მაქუნდა მისა მიმართ ფრიადი კადნიერებაჲ, ვარქუ მას ოდესმე[10]: ყავ სიყუარული და მითხარ მე, თუ რაოდენი წელი გაქუს დაყუდებასა შინა. ხოლო იგი დუმნა და არარაჲ მომიგო მე. და მე კუალად ვარქუ მას: მცნებისათჳს უფლისა მითხარ მე. ხოლო იგი შეყმუნდა მცირედ და მრქუა მე: მაქუს ოცდაათცამეტი წელი. კუალად უკუე ვარქუ მას: ყავ სრული სიყუარული და ვინაჲთგან იცი, რომელ სარგებელისათჳს სულისა გკითხავ, მითხარ მე, თუ ესოდენთა[11] წელთა დაყუდებისა შენისათა რაჲ უფროჲს წარგიმართებიეს? ხოლო მან სულთ-ითქუნა სიღრმით გულისაჲთ და მრქუა მე: რაჲ ძალ-უც წარმართებად კაცსა ერისგანსა და უფროჲსღა სახლსა შინა თჳსსა მჯდომარესა. და მე

---

[1] იგი – C. 2 მისა და] მისდა C. 3 მიიქცა] მიექცა B. 4 აქედან E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 9r-ზე აკინძვის შეცდომა. 5 სახჱ] სახე C. 6 მონაზუნად] მონაზონად BC. 7 მივიდის] მივიდეს C. 8 მისა] მისსა E. 9 უშინაგანესად] უშინაგანესადრე B. 10 ოდესმე – BE. 11 ესოდენთა] ესე ოდენთა E.

ვიწყე ფიცით ვედრებად მისა, რაჲთა სარგებელ მეყოს მე. ხოლო ოდეს იიძულა ჩემგან ფრიად, მაშინ მრქუა მე: შემინდვე, მამაო, /73v/ რამეთუ სამი ესე ვიცი, რომელ წარმიმართებიეს მადლითა ქრისტესითა: არა ოდეს განცინებაჲ, არცა ფიცი და არცა ტყუილი[1]. ხოლო მე, ვითარცა მესმა ესე, მადლი შევწირე ღმრთისა.

VIII. 1. მამაჲ მაკარი დიდი ეტყჳნ ძმათა სკიტეს, გამოვიდოდიან რაჲ ეკლესიით: ივლტოდეთ, ძმანო, ივლტოდეთ! ჰრქუა ვინმე მას ბერთაგანმან: სადაღა ვივლტოდით, მამაო, უმეტეს უდაბნოჲსა ამის? ხოლო მან დაიდვის ჴელი პირსა თჳსსა და ეტყჳნ: ამისგან ივლტოდეთ! და შევიდის სენაკად თჳსა და დაჰჴშის კარი და ზინ მას შინა დაყუდებით.

2. ჰრქუა **მამამან მოსე მამასა მაკარის:** სკიტეს მნებავს დაყუდებაჲ, მამაო, და არა მიტევებენ მე ძმანი. ჰრქუა მას მამამან მაკარი: ხედვენ, რამეთუ ლბილ არს ბუნებაჲ შენი და ვერ ძალ-გიც გარემიქცევად მისა[2]. არამედ უკუეთუ გნებავს დაყუდებაჲ, წარვედ უდაბნოდ შინაკერძო და დაეყუდე კლდესა მას ზედა. ესრეთ ყო და განისუენა.

3. ჰკითხა **მამამან ესაია[3] მამასა მაკარის** და ჰრქუა მას: მამაო, მარქუ მე სიტყუაჲ. ჰრქუა მას ბერმან: ივლტოდე კაცთაგან. ჰრქუა მას მამამან ესაია[4]: რაჲ არს თუ ივლტოდე კაცთაგან? ხოლო ბერმან ჰრქუა მას: დაჯედ სენაკსა შინა შენსა და სტიროდე ცოდვათა შენთა.

4 მამამან აიოს[5] ჰკითხა **მამასა მაკარის:** მარქუ მე, მამაო[6], სიტყუაჲ ცხორებისაჲ. ჰრქუა მას მამამან მაკარი: ივლტოდე კაცთაგან, დაჯედ სენაკსა შინა შენსა და სტიროდე ცოდვათა შენთა და ნუ გიყუარნ ყოლადვე ჴმაჲ კაცისაჲ და სცხოვნდე[7].

IX. 1. თქუა **მამამან მოსე:** კაცი, რომელი ივლტოდის კაცთაგან, მსგავს არს იგი ყურძენსა მწიფესა, ხოლო რომელი კაცთა თანა აღრეულ იყოს, მსგავს არს იგი[8] კაწახსა უნდილსა. /74/

X. 1. თქუა **მამამან მარკოზ,** რომელი წიაღჰვლიდეს ზღუასა ამას ხილულსა, უჴმს ნავი. ხოლო რომელი წიაღჰვლიდეს საცნაურსა მას ზღუასა, უჴმან სათნოებანი,[9] ესე იგი არს სარწმუნოებაჲ, სულგრძელებაჲ, სიმდაბლჱ[10] და მარხვაჲ. რამეთუ რომელი თჳნიერ ოთხთა ამათ სათნოებათა შევიდეს ზღუასა[11] მას საცნაურსა, ჭირი დიდი ნახოს და შრომაჲ ფრიადი[12] თავსიდვას, ხოლო წიაღსლვად ვერ შეუძლოს. თქუა კუალად: დაყუდებაჲ არგებს, რამეთუ უქმ-ჰყოფს ბოროტთაგან. ხოლო უკუეთუ ოთხთა მათ სათნოებათა ზედა ლოცვაჲცა დაურთო, ადვილად და მალიად მიიწიო შენ სრულსა მას უვნებელობასა.

---

[1] ტყუილი] ტყუვილი B. [2] მისა] ძმისა CE. [3] ესაია] ესაჲა A. [5] აიოს] აჲოს A. [6] ~ მამაო, მარქუ მე BE. [7] სცხოვნდე] სცხონდე E. [8] იგი – B. [9] აქედან E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 8r-ზე. [10] სიმდაბლჱ] სიმდაბლე E. [11] აქ C ნუსხა წყდება. [12] ~ ფრიადი შრომაჲ B.

2. კუალად თქუა: არა ეგების დაყუდებაჲ გონებისაჲ თჳნიერ დაყუდებისა ჴორცთაჲსა, არცა დაიჴსნების[1] შუვაკედელი[2] იგი თჳნიერ დაყუდებისა და ლოცვისა.

XI. 1. თქუა **მამამან ნილოს:** მოუწყლველად დარჩების ისართაგან მტერისათა კაცი, რომელსა უყუარდეს დაყუდებაჲ. ხოლო რომელი სიმრავლესა თანა აღრეულ იყოს, ჴშირად მიიხუამს წყლულებათა. და რამეთუ გულისწყრომაჲცა დასწყნარდების და უმშჳდეს იქმნების, ესრეთვე გულისთქუმაჲ დანელდების და უდაშნეს იქმნების და რაჲთა შემოკლებულად ვთქუა, ყოველნივე[3] ვნებანი დამცირდებიან, ვიდრემდის სიგრძესა შინა ჟამთასა ჩვეულებაჲ შეექმნას კეთილისაჲ. და ესრეთ მცირედ-მცირედ დაჰვიწყდების ყოველივე ვნებულებაჲ[4]. ოდენ[5] ბუნებითნი იგი ოდენ აღძრვანი უცოდველნი დაშთებიან, ხოლო ვნებულებისა კერძი ყოველივე მოეშორების.

2. კუალად თქუა: ამისთჳს კეთილ არს დაყუდებაჲ, რომელ სავნებელსა[6] არა ხედავს. ხოლო რომელი არა ნახოს, არცა გონებაჲ ეძიებს და რომელი გონებად არა /74v/ შე/ვიდეს, არა აღიძრვის უცნებითა ჴსენებათაჲთა. და ოდეს ვერ აღსძრვიდენ ჴსენებანი გარეთ შესრულნი, ვერ აღდგების სულსა ზედა ვნებულებაჲ. ხოლო ოდეს აღუძვრელ იქმნეს ბოროტისაგან, მერმე დაწყნარებასა შინა არს ფრიადსა და სრულსა შინა მშჳდობასა შინაგანი იგი კაცი.

XII. მამამან იოსებ ჰრქუა მამასა ნისთერეონს: რაჲ უყო, მამაო, ენასა ჩემსა, რამეთუ ვერ ძალ-მიც პყრობაჲ მისი? ჰრქუა მას ბერმან: და[7] ოდეს სთქუა რაჲმე, გაქუსა განსუენებაჲ? მიუგო: არა. ჰრქუა მას ბერმან: და უკუეთუ არა გაქუს განსუენებაჲ, რაჲსათჳს იტყჳ, უფროჲსღა დუმენ! და უკუეთუ სამე[8] შეგემთხჳოს შენ თქუმაჲ სიტყჳსაჲ, მცირედ თქუ, დიად ისმინე და განისუენო.

XIII. 1. თქუა **მამამან პიმენ:** დაწყებაჲ და დასაბამი ბოროტთაჲ არს შფოთებაჲ და ამბოხი.

2. კუალად თქუა: სივლტოლაჲ ჯერ არს ჴორციელთაგან ვნებათა, რამეთუ ოდეს ახლვიდეს კაცი ჴორციელთა ბრძოლათა, მსგავს არს კაცსა, რომელი დგან ჯურღმულსა[9] ზედა ღრმასა და ოდესცა ინებოს მტერმან და რასაცა შინა ჟამსა, ადვილად ძალ-უცნ შთაგდებაჲ მისი მას შინა. ხოლო რომელი ჴორციელთაგან ბრძოლათა შორს იყოს, მსგავს არს იგი კაცსა, რომელი შორავნ ჯურღმულსა მას და მთხრებლსა წარწყმედისასა, რომლისაჲ დაღათუ ინების მტერმან შთაგდებაჲ მას შინა, ვერ უძლის სიშორისათჳს, რამეთუ ვიდრე იგი მიითრევნ მას და მიზიდავნ, მოუვლინის ღმერთმან შეწევნაჲ და იჴსნის იგი.

---

[1] დაიჴსნების] დაიჴსნების A. [2] შუვაკედელი] შუაკედელი B. [3] ყოველნივე] ყოველნი E. [4] ვნებულებაჲ + და E. [5] ოდენ- BCE. [6] სავნებელსა] ვნებულსა E. [7] და – BE. [8] სამე] სადამე B. [9] ჯურღმულსა] ჯურღუმულსაE.

3. კუალად თქუა: უკუეთუ იყო მდუმარე, სადაცა შჯდე[1] და[2] რასაცა გუარსა ადგილსა, განსუენებაჲ ჰპოო.

XIV. ძმაჲ ვინმე მჯდომარე იყო თებაიდას[3] უდაბნოს, ჰრქუა მას გულისსიტყუამან: რაჲსათჳს ჰზი აქა უნაყოფოდ? აღდეგ და წარვედ შორის კრებულსა, რაჲთა მუნ ჰყო ნაყოფი. /75/ აღდგა[4], მივიდა იგი **მამისა პაფნოტისსა** და მიუთხრა მას გულისსიტყუაჲ იგი. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ[5] და დაჯედ სენაკსა შინა შენსა და ჰყოფდ განთიად ერთსა ლოცვასა და სამწუხროდ ერთსა და შუვაღამედ[6] ერთსა. და ოდეს მოგემშიოს, ჭამე და ოდეს მოგეწყუროს, სუ და ოდეს გრულოდის, დაიძინე[7]. და დაადგერ ადგილსა მას უდაბნოსა და ნუ ერჩი გულისსიტყუასა მაგას. მივიდა მამისა იოანესსა და მიუთხრნა მას სიტყუანი მამისა პაფნოტისნი. ჰრქუა მას მამამან იოანე: ნუ ჰყოფ რაჲთურთით ყოლად ლოცვასა, ოდენ დაადგერ სენაკსა შინა შენსა. აღდგა ამას ზედა და მივიდა მამისა არსენისა[8] და მიუთხრა მას ყოველივე. ჰრქუა მას ბერმან: იპყარ, ძმაო, რომელი გრქუეს შენ მამათა, რამეთუ ამისა მეტი არარაჲ მაქუს თუ რაჲ გითხრა.

XV. მამაჲ პავლე და **მამაჲ ტიმოთე** იყვნეს სკიტეს შინა და აჭირვებდეს მათ ძმანი[9]. მერმე ჰრქუა ტიმოთე ძმასა თჳსსა: რად საჴმარ არს ჩუენდა ჴელოვნებაჲ ესე, ვინაჲთგან არა მიტევებენ ჩუენ დაყუდებად დღე ყოველ. მიუგო მას მამამან პავლე და ჰრქუა: კმა არს ჩუენდა დაყუდებაჲცა იგი ღამისაჲ, ფრთხილ თუ იყოს გონებაჲ ჩუენი და მღჳძარჱ[10].

XVI. ძმამან ჰკითხა **მამასა რუფონს**[11] და ჰრქუა: რაჲ არს დაყუდებაჲ ანუ რაჲ არს სარგებელი მისი, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: დაყუდებაჲ, არს ჯდომაჲ სენაკსა შინა მეცნიერებით[12] და შიშითა ღმრთისაჲთა და რაჲთა იჯმნას ყოვლისაგან[13] ძჳრისჳსენებისა და სილაღისა, რამეთუ ესევითარი იგი დაყუდებაჲ მშობელი არს ყოველთა სათნოებათაჲ[14] და დაიცავს[15] მონაზონსა მოუწყლველად განჴურვებულთა მათგან ისართა მტერისათა. ჰჱ, ძმაო, გლოცავ შენ, ესე მოიგე /75v/ და იჴსენებდ ჟამსა[16] განსლვისა და სიკუდილისა შენისასა და რამეთუ არა უწყი თუ რომელსა ჟამსა მოვალს მპარავი იგი. აწ უკუე, ძმაო, განიფრთხვე და იღუაწე და იზრუნე სულისათჳს შენისა[17].

XVII. 1. ეტყოდა **მამასა სისოჲს,** მოწაფე მისი: მამაო, დაჰბერდი და ვერღარა ძალ-გიც, წარვიდეთ ჩუენ ამიერითგან სოფლად. ჰრქუა მას ბერმან: სადაც არა არს დედაკაცი მუნ წარვიდეთ? ჰრქუა მას მოწაფემან მისმან: და

---

[1] შჯდე] სჯდე E. 2 აქედან C ნუსხა ისევ გრძელდება. 3 თებაიდას] თებაჲდას A. 4 აღდგა + და C. 5 E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 7r-ზე. 6 შუვაღამედ] შუაღამედ E. 7 დაიძინე] დაჲძინე A. 8 არსენისა] არსენისსა E. 9 ძმანი – B. 10 მღჳძარჱ] მღჳძარე BE. 11 რუფონს] როფონს BCE. 12 მეცნიერებით] მეცნიერებითა C. 13 ყოვლისაგან] ყოვლისაგანვე E. 14 სათნოებათაჲ] სათნოებათა B. 15 დაიცავს] დაჲცავს A. 16 ჟამსა +მას B. 17 სულისათჳს შენისა] სულისა შენისათჳს BE.

სადა არს, მამაო, ადგილი[1] სადა არა არს დედაკაცი, თჳნიერ ოდენ უდაბნოჲ. ჰრქუა მას ბერმან: გუალე და უდაბნოს წარმიყვანე.

2. მოვიდა ოდესმე **მამაჲ ამონა** რაჲთით[2] კოლჳზმას[3] ხილვად **მამისა სისოჲსა** და იხილა იგი მჭმუნვარედ, რამეთუ დაეტევა უდაბნოჲ. ჰრქუა მას: რაჲსათჳს შეწუხებულ ხარ, მამაო, ანუ რაჲღა ძალ-გედვა აწ ყოფად უდაბნოს? მიხედნა მას ბერმან მრისხანედ და ჰრქუა: რასა[4] მეტყჳ ამონა, არა კმაჲ იყოა[5] მებრ თავისუფლებაჲ ოდენ გულისსიტყუათაგან უდაბნოს?!

3. ძმამან[6] ჰკითხა **მამასა სისოჲს**[7] და ჰრქუა: ვითარ დაუტევე, მამაო, სკიტე მამასა ორს თანა და მოხუედით და დაემკჳდრენით აქა? ჰრქუა მას ბერმან: ოდეს იწყო განმრავლებად სკიტემან და მესმა მე[8], რამეთუ დაიძინა მამამან ანტონი, აღვდეგ და მოვედ აქა, მთასა ამას და ვპოვე აქა მყუდროდ და დავჯედ აქა მცირედთა ჟამთა. ჰრქუა მას ძმამან: რაოდენი წელიწადი გაქუს აქა? ჰრქუა მას ბერმან: არს სამეოც და[9] ოდენ ათორმეტი წელიწადი.

XVIII. იტყოდეს **მამისა სისოჲსთჳს თიბელისა**[10]**,** ვითარმედ: ოდეს განუტევის ლოცვაჲ ეკლესიამან, მეყსეულად მიივლტინ იგი სენაკად თჳსად, ვიდრეღა ეტყჳედცა[11] მას კაცნი, ვითარმედ ეშმაკეულ არს, გარნა იგი /76/ საქმესა ღმრთისასა აღესრულებდა[12].

IX. 1. ძმამან ჰკითხა მამასა სარმატანს და ჰრქუა: გულისსიტყუანი მეტყჳან მე, წარვედ გარე და მოიხილევდი ძმათა. ჰრქუა მას ბერმან: ნუ უსმენ მაგას, ნუცა ერჩი მათ, არამედ არქუ მათ: აჰა ესერა, გისმინე შენ პირველ, გარნა ამას ვერ გისმენ, ნუ იყოფინ!

2. ბერმან თქუა: მრავალნი არიან უდაბნოს და მოქალაქეთასა შურებიან და წარსწყმედენ თავთა მათთა. და რამეთუ შესაძლებელ არს ყოფაჲ ერსა თანა და გონებითა დაყუდებაჲ, და კუალად მარტოჲსაჲ შესაძლებელ არს გონებითა ერსა თანა ყოფაჲ და შფოთებაჲ.

XX. 1. ჯდა ოდესმე **მამაჲ ტითოჲ კოლეზმას**[13]**.** და იყო რაჲ გონებასა თჳსსა, ჰრქუა მოწაფესა თჳსსა: შემოუგდე, შვილო, წყალი სარწყავი ფინიკოანსა. და მან ჰრქუა: კოლიზმას[14] ვართ, მამაო! ჰრქუა მას ბერმან: და რაჲ საქმე მიც კოლიზმას[15], წარმიყვანე მე მთადვე.

1. თქუა ბერმან: ჯდომაჲ კეთილად სენაკსა შინა აღავსებს მონაზონსა ყოვლითა კეთილითა.

2. ბერმან თქუა: თანააც მონაზონსა, რაჲთა მოიყიდოს დაყუდებაჲ თჳსი და უკუეთუ რაჲ ზღვევაჲ ჴორციელი მოიწიოს, უღირს, რაჲთა შეურაცხ-ყოს.

---

[1] ~ ადგილი მამაო E. [2] რაითითი] რაჲთით A. [3] კოლჳზმას] კჳლჳზმას E. [4] რას B. [5] კმაჲ იყოა] კმა ჲყოა A. [6] აქ C ნუსხა ნაკლულია. [7] სოსოჲს] სისოის E. [8] მე – BE. [9] და ოდენ E. [10] თიბელი] თებელი BE. [11] ეტყჳედცა] ეტყჳედ E. [12] Eნუსხაში ტექსტი გრძელდება 4r-ზე (აკინძვის შეცდომა). [13] კოლეზმას] კოლჳზმას BE. [14] კოლიზმას] კოლჳზმას BE. [15] კოლიზმას] კოლჳზმას BE.

3. გჳთხრა ჩუენ ბერთაგანმან ვინმე, ვითარმედ: იყვნეს ვინმე სამნი კაცნი სწავლულნი, სიბრძნესა[1] მოყუარულნი ფრიად. და ერთმან მან აღირჩია, რაჲთა შორის მოლალეთა ჰყოფდეს მშჳდობასა სიტყჳსა მისთჳს თუ „ნეტარ იყვნენ მშჳდობისმყოფელნი; და მეორმან აღირჩია მოხილვაჲ უძლურთაჲ, ხოლო მესამე იგი წარვიდა უდაბნოს და დაეყუდა. დაშურა უკუე პირველი იგი ფრიად და მოეწყინა შფოთებაჲ კაცთაჲ და დაგებაჲ და ვერ უძლო ყოველთა მომადლებაჲ. ამისთჳსცა აღდგა და მივიდა მისა, რომელი-იგი უძლურთა მოიხილვიდა. და პოვა /76v/ იგიცა სულშემოკლებულად და ვერ სრულმქმნელად მცნებისა მის, ამისთჳსცა შეითქუნეს იგინი ზოგად და წარვიდეს ხილვად მისა[2], რომელი-იგი დაყუდებით ცხოვნდებოდა[3]. და მიუთხრნეს მას[4] ჭირნი მათნი და შრომანი და ევედრნეს მას უწყებად მათდა თუ რაჲ წარუმართებიეს. ხოლო იგი დუმნა მცირედ[5], მერმე აღდგა და შთაასხა წყალი ფიალსა და ჰრქუა მათ: შთახედენით მას შინა თუ რაჲ-ძი[6] ჩნდეს. ხოლო მათ შთახედნეს და ვერარაჲ იხილეს, რამეთუ წუთღა მრღჳე იყო. და ვითარცა დაწმდა, მერმე ჰრქუა მათ: აწ შთახედენით. და ვითარცა[7] შთახედეს[8], იხილნეს ხატნი მათნი, ვითარცა სარკესა შინა. მაშინღა ჰრქუა მათ: ესრეთვე სახედ არს შინაგანიცა იგი კაცი ჩუენი: შფოთსა შინა და ამბოხსა[9] ვერ ხედავს ცოდვათა თჳსთა, ხოლო ოდეს დაეყუდოს და უფროჲსღა ადგილსა უდაბნოსა, მაშინა ხედავს კეთილად თჳსთა მათ სიდარეთა და ნაკლულებათა[10].

4. ძმაჲ ვინმე მივიდა ბერისა ვისმე ბრძენისა და გამოცდილისა და ჰრქუა მას: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ ვიჭირვი? ჰრქუა მას ბერმან: დაჯედ სენაკსა შინა შენსა და ღმერთმან მოგმადლოს შენ განსუენებაჲ.

5. ბერმან თქუა: ვითარცა სახედ გზასა ტკებნილსა და ტკეცილსა არა აღმოვალს მდელოჲ[11], არცა დაღათუ[12] დასთესო, ამისთჳს რამეთუ დასთრგუნვენ მას მოგზაურნი, ესრეთვე სახედ შეგუემთხუევის ჩუენცა. ხოლო ოდეს მოიცალო ყოველისაგანვე და[13] დაეყუდო, მაშინ ჰნახავ აღმოცენებულად, რომელთა არა ჰხედევდი[14], რამეთუ შორის შენსა იყვნეს, გარნა ამისთჳს არა ჩნდეს, რომელ ზედა ხჳდოდე და დასთრგუნევდი მათ.

6. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: კეთილ არსა, მამაო, დამკჳდრებაჲ უდაბნოს? ჰრქუა მას ბერმან: ძენი ისრაჱლისანი ოდეს მოეშორნეს შფოთთა ეგჳპტისათა და უდაბნოდ განვიდეს, მაშინღა მოეცა მათ შჯული და სწავლაჲ, თუ ვითარ /77/ უღ/ირს და თანააც შიში ღმრთისაჲ. და რამეთუ

---

[1] სიბრძნესა + და B. 2 მისა – B. 3 ცხოვნდებოდა] ცხონდებოდა E. 4 მას] მათ B. 5 მცირედ+დაB. 6 რაჲძი] რაჲ BE. 7 აქედან C ნუსხა ისევ გრძელდება. 8 შთახედეს] შთახედნეს BE. 9 ამბოხსა + და E. 10 ნაკლულებათა] ნაკლულევანებათა E. 11 მდელოჲ] თივაჲ B. 12 დაღაცათუ B. 13 და – B. 14 ჰხედევდი] ჰხედვიდი B; ხედვიდე E.

ნავნიცა შუვა[1] ზღუასა ღელვაგუემულნი[2] უქმად დგანან, ხოლო ოდეს ნავთსადგურად შეკრბენ, მაშინღა[3] სცნობენ სარგებელსა მათსა. ესრეთვე კაცმან არა თუ მოითმინოს ერთსა ადგილსა, ვერ მიიღებს ცნობასა მას ჭეშმარიტებისასა. და რამეთუ უპირატეს ყოველთა სათნოებათა დაყუდებაჲ გამოირჩია[4] ღმერთმან, ვითარცა წერილ არს: „ვის მივხედნე, გარნა მშჳდსა და მყუდროსა, და რომელი ძრწოდის სიტყუათაგან ჩემთა.“ და ძმამან ჰრქუა მას: ვითარ შესაძლებელ არს დაყუდებაჲ მარტოებით? ჰრქუა მას ბერმან: მორკინალი უკუეთუ არა ერკინოს მრავალთა, და შორის ერისა ვერ დაისწავლის[5] ჴელოვნებასა მას ძლევისასა. ხოლო ოდეს ესე ქმნეს, მერმე შეუძლებს მარტოჲცა რკინობად დამართებითსა მას მისსა. ესრეთვე სახედ იცოდე: მონაზონიცა არა თუ იწუართოს პირველად ძმათა თანა და დაისწავლოს ჴელოვნებაჲ გულისსიტყუათაჲ, ვერ შემძლებელ არს მარტოებით დაყუდებად და წინააღდგომად გულისსიტყუათა. და ძმამან ჰრქუა მას: უკუეთუ იქმნეს სამე[6] საჭიროდ შემთხუევაჲ დედაკაცისაჲ, რაჲ ჰბრძანო მისთჳს? ჰრქუა მას ბერმან: საჭიროებაჲ იგი საეშმაკოჲ არს. და რამეთუ მრავალნი მიზეზნი ჰქონან[7] ეშმაკსა და ღონენი წარწყმედისათჳს ჩუენისა, გარნა ყოველსავე ზედა უკუეთუ მოიწიოს განსაცდელი ეგე[8] და შეგემთხჳოს უბნობაჲ დედაკაცისაჲ, ნუ მიუშუებ მას მრავალსა სიტყუად და შენ უკუეთუ იტყოდი, შეამოკლე მცირეთა შინა სიტყუათა უმეტესი ძალი და მალიად განუტევე იგი. ხოლო უკუეთუ დააყოვნო იგი შენ თანა, უწყიმცა, რომელ[9] სულმყრალობამან მისმან შთამოითხიოს ქუე გონებაჲ შენი და გულისსიტყუაჲ. და ძმამან თქუა: რომლითა გულისსიტყჳთა ძალუც კაცსა დაცხრომაჲ[10] განკითხვისაგან[11]? მიუგო ბერმან: ვითარცა სახედ /77v/ რომელმან შთაიდვას[12] წიაღთა თჳსთა ცეცხლი, დაიწუვის[13] მისგან, ესრეთვე რომელი მოვიდეს უბნობად და ზრახვად კაცთა, არა უბრალო იქმნეს[14] განკითხვისაგან. და ძმამან თქუა: რაჲ არიან უცნებანი იგი საეშმაკონი ღამისანი? ჰრქუა მას ბერმან: ვითარცა-იგი დღისით[15] უცხოთა გულისსიტყუათა შეგუაქცევს ჩუენ ეშმაკი, რაჲთა არა[16]მოვიცალოთ ლოცვისათჳს, ესრეთვე ღამით აღსჭურავს სულსა უცნებათათჳს და დამაბნელებს ჩუენ, რაჲთა დამაკლნეს ლოცვათა მათგანცა ღამისათა. კუალად ჰკითხა ძმამან ბერსა და ჰრქუა: რაჲ ყოს კაცმან, მამაო, ანუ რაჲთა მოიგოს მადლი იგი სათნოებათაჲ? მიუგო ბერმან: უკუეთუ ვისმე ენებოს სწავლაჲ ჴელოვნებისაჲ, ყოველსავე მოსწრაფებასა მისთჳს დასდებს და

---

[1] შუვა] შუა BC. [2] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 6r-ზე (აკინძვის შეცდომა). [3] მაშინღა] მაშინ E. [4] გამოირჩია] გამოარჩია C. [5] დაჲსწავლის A. [6] სადმე CE. [7] ჰქონან + მას E. [8] ეგე] იგი E. [9] რომელ] რამეთუ B. [10] დაცხრომაჲ] დაცხრომად C. [11] განსაკითხავისაგან B. [12] შთაიდვას] შთაჲდვას A. [13] დაიწუვის] დაჲწუვის A. [14] იქმნეს] იქმნების E. [15] დღისით] დღისი B. [16] არა] არღარა E.

მისთჳს ოდენ მარტოდ მოიცლის და მოძღუარსა მას თანა მისსა[1] დაადგრების და შეჰმუსრავს თავსა თჳსსა და მდაბალ ჰყოფს. და ესრეთ დაისწავებს ჴელოვნებასა მას. ესრეთვე სახედ და მონაზონმანცა[2], არა თუ დაუტეოს ყოველივე[3] ზრუნვაჲ კაცობრივი და შეურაცხ-ყოს ყოვლითურთ თავი თჳსი და დაიმდაბლოს[4], რაჲთა არა თუ ოდენ უკეთეს ვისცა, გინა სწორ ეგონოს თავი თჳსი, არამედ უდარესცა ყოველთა, ვერ მოიგებს ყოლად სათნოებასა. ხოლო უკუეთუ ვინ სრულად დამდაბლდეს, რაჲთა ყოველსავე ზედა საქმესა შეურაცხ-ყოს თავი თჳსი, მერმე ჰპოებენ სათნოებანი ადგილსა სამუშაკოსა და თჳთ თავით თჳსით მოვლენან იგი.

7. გჳთხრა ვინმე ბერთაგანმან ესე, ვითარმედ: წინამძღუარსა ჩემსა უყუარდა საკჳრველად ზეშთა ბუნებისა უშინაგანესთა უდაბნოთა წარსლვაჲ და მუნ დაყუდებაჲ. დღესა უკუე ერთსა ვარქუ მას: რაჲსათჳს[5] ესრეთ ივლტი, მამაო, უშინაგანესთა უდაბნოთა და რამეთუ რომელი მახლობელად სოფელსა მკჳდრ იყოს, ხედავს სავნებელთა და[6] ღმრთისათჳს ეკრძალების /78/ და უმეტესი სასყიდელი არს[7]. და ბერმან მრქუა მე: გრწმენინ ჩემი, შვილო, უკუეთუ ვინმე არა მისწუთეს საზომსა მოსესსა და ვითარმცა ვინ თქუა, ყოვლითურთ ძჱ ღმრთის იქმნეს, ვერარას ირგებს სოფლისაგან. ხოლო მე ძჱ[8] ვარ ადამისი და ვითარცა სახედ მამამან ჩემმან ვიხილო რაჲ ნაყოფი ცოდვისაჲ, მეყსეულად გული მითქუამს და მოვიღებ და ვჭამ და მოვკუდები. და რამეთუ ამისთჳს ივლტოდეს უდაბნოდ მამანი ჩუენნი და მუნ მოკლეს ნაყროვანებაჲ, რამეთუ ვერ ჰპოებდეს ჭამადთა, რომელი შობს დაცემათა და ვნებათა.

8. ბერმან თქუა: რომელმან შესცოდოს ღმერთსა, უჴმს, რაჲთა განაშოროს თავი თჳსი ყოვლისაგანვე[9] სიყუარულისა კაცობრივისა, ვიდრემდის გულსავსე იქმნეს, ვითარმედ იქმნა[10] მისა მოყუარჱ[11] ღმერთი, და რამეთუ სიყუარული კაცთაჲ დამიხრწევს ჩუენ სიყუარულსა ღმრთისასა.

9. თქუა ბერმან: ვითარცა სახედ კაცი, რომელი მოკუდეს ქალაქსა შინა, არცაღა ჴმაჲ ესმის მუნ მყოფთაჲ, არცა სიტყუაჲ, არცა შფოთებაჲ მათი, რამეთუ მოკუდა ერთგზის და წარიღების იგი და სხუასა ადგილსა დაიდების[12] და დაეფლვის[13], სადა-იგი არღარა იყვნენ შფოთნი და ამბოხნი მის ქალაქისანი, ესრეთვე უჴმს მონაზონსაცა შეიმოსოს რაჲ სქემაჲ, და გამოვიდეს[14] ქალაქისაგან თჳსისა, რაჲთა მანცა დაუტეოს ყოველივე: მშობელნი თჳსნი და ნათესავნი, და რაჲთა არღარა შეექცეს ზრუნვათა და შფოთთა სოფლისათა და ამაოჲსა ამის და მზაკუვარისა საწუთროჲსა

---

[1] ~ მისსა თანა CE. [2] მონაზონმანცა] მონაზონიცაC. [3] ყოველივე] ყოველი CE. [4] დაიმდაბლოს] დაიმდაბლოს A. [5] რაჲსათჳს + უკუე B. [6] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 26r-ზე (აკინძვის შეცდომა). [7] არს] აქუს E. 8 ძჱ] ძე C. [9] ყოვლისაგანვე] ყოვლისაგან E. [10] იქმნა] იქმნეს C. [11] ~ მოყუარე მისა BE. [12] დაიდების] დაჲდების A. [13] დაეფლვის] დაიფლვის B. [14] გამოვიდეს + რაჲ E.

ღელვატეხილობათა და წარწმყმედელთა მათ სულისათა ვნებულებათა. უკუეთუ კულა შემდგომ მონაზონებისა არა გამოვიდეს ქალაქისაგან, გინა სოფლისა თჳსისა, მსგავს იქმნების იგი მკუდარსა, რომელი ძენ სახლსა შინა და ყარნ, რომლისა სიმყრალისაგან ივლტიედ ყოველნი[1].

10. /78v/ თქუა კუალად: ვითარცა ჴორცი, რომელსა არა აქუნ მარილი, დალპების, ვიდრეღა ყოველნივე გარემიიქცევიან სიმყრალისაგან სიმპალისა მისისა და მატლნი დაიბუდებენ[2] დამპალსა მას შინა ჴორცსა, დაიშლებიან[3] მას შინა და სჭამენ, ვიდრე მოსხმადმდე[4] მარილისა. ხოლო ეცეს რაჲ მარილი, მოსწყდებიან და წარწყმდებიან შორის სიმპალესა მას დაბუდებულნი მატლნი და სულიცა იგი სიმყრალისაჲ და-ვე-სცხრების. და რამეთუ მომწყუედელი არს მატლთაჲ ბუნებაჲ მარილისაჲ და უჩინომყოფელი სიმყრალისაჲ. ესრეთვე სახედ შეემთხუევის და მონაზონსაცა, ოდეს მისცეს თავი თჳსი ქუეყანიერთა საქმეთა და შევარდეს ზრუნვათა მსოფლიოთა და არა დასწყნარდეს სენაკსა შინა თჳსსა და არა შეზღუდოს თავი თჳსი შიშითა ღმრთისაჲთა და არა შეუდგეს ძალსა მას და ძლიერებასა ღმრთისასა, რომელ არს შევრდომით ლოცვაჲ ღმრთისა მიმართ. ესრეთვე, უკუეთუ არა შეიტკბოს მარხვაჲ და მღჳძარებაჲ, მარილნი იგი სულიერნი, დალპების და დაყროლდების და მრავალთა მიერ აღივსების უკეთურთა გულისსიტყუათა, ვიდრეღა გარემიქცევადცა პირსა მას ცხოველსა და თაყუანისსაცემელსა ღმრთისასა და წმიდათა მათ და რჩეულთა ანგელოზთა მისთასა[5] ძნელისა მისგან სულმყრალობისა ხენეშთა გულისსიტყუათაჲსა და სიბნელისა მისგან ესევითარისა მის სულისა ვნებათაჲსა, რომლითა შეპყრობილ არს ბუნებაჲ იგი ბოროტი. ხოლო უკუეთუ მატლთა მათცა გნებავს ხილვაჲ სულისათა, იხილენ ძალნი იგი ბნელისანი და სულნი უკეთურებისანი, თუ ვითარ მას შინა იშლებიან და იქცევიან[6] და თუ ვითარ მას შინა დაუბუდებიეს ხენეშთა მათ გულისსიტყუათა, ვიდრეღა სჭამენცა[7] მას უწყალოდ[8], დაჰბძარვენ და რაჲთურთით სრულიად განჰრყუნიან და წარსწყმედენ. /79/ ხოლო ოდეს შეეჭრეს მონაზონი ღმრთისადა, გამოეფხურას შფოთთა და ურვათა და ჰრწმენეს ყოვლითა გულითა, ვითარმედ ძალ-უც ღმერთსა ზრდაჲ მისი, მაშინ მოივლინების ღმრთისა მიერ მარილი იგი სულიერი, ყოვლად წმიდაჲ იგი, კაცთმოყუარე და სახიერი სული. ხოლო მოვიდეს რაჲ ტკბილი იგი[9] და წრფელი, მიერითგან ივლტიან მატლის მსგავსნი იგი ვნებანი.

11. კუალად თქუა: შეჰგავს მონაზონსა, რაჲთა არა მოცალე იყოს წალკოტთათჳს და მტილთა და შუენიერებისათჳს ნერგთაჲსა და ხევნარი-სათჳს ნაყოფიერისა, არცა ტალავართათჳს და ჩრდილოვანთა, არცა

---

[1] „ყოველნი“ აღდგენილია Bხელნაწერის მიხედვით ; +კაცნი C. [2] დაიბუდებენ] დაჲბუდებენ A. [3] დაიშლებიან] დაიშლებიან A. [4] მოსხმადმდე] მოსხმამდე E. [5] ანგელოზთა მისთასა] ანგელოზთასა C. [6] ~ იქცევიან და იშლებიან B. [7] სჭამენცა] სჭამენ C. [8] უწყალოდ + და E. [9] იგი – BE.

წყაროებისათჳს კეთილად აღმომდინარისა ანუ სამოთხეთათჳს და ბოსტნოანთა[1] და ფერად-ფერადთათჳს მხალთა. არცა კუალად უღირს ძიებაჲ ნაშენებთა ტურფათაჲ, არცა სტოათა[2] და მიმოსავალთაჲ, არცა უჴმს მოგებაჲ არვებსა ცხოვართასა, არცა ნახირსა[3] ზროხათასა, არცა რემაკებსა ცხენთასა, არცა რას სხუასა ყოლადვე ქუეყანიერსა, უკუეთუ ნანდჳლვე ეძიებს ზეცისასა. არამედ უფროჲსღა ესოდენსა სიგლახაკესა უჴმს მიცემაჲ თავისაჲ[4], ვიდრეღა საჭიროჲ თუმცა[5] იგი აკლდეს საჴმარი ჴორცთაჲ, რაჲთა მასცა ზედა ჰმადლობდეს ღმერთსა. და ესემცა უწყის მან, ვითარმედ: გზასა უცხოსა უწყიეს მას სლვად ცხორებისასა, ყოვლისაგან განსუენებისა საწუთროჲსაგან შორებულსა. უკუეთუ კულა იწყოს მონაზონმან მოკლებად და მსოფლიოთა შინა ზრუნვათა წარებლარდნოს, ვერ ძალ-უც მას მოყუარეყოფად ღმრთისა და ვერცაღა კაცთამიერსა ძაგებასა განევლტოდის. რამეთუ უეჭუელად შეემთხჳოს მას მრავალთა მიმართ ბრძოლაჲ და შფოთი[6] ზღვართათჳს და საზღვართა, სათიბეთათჳს /79v/ და ყანობირთა, ესრეთვე კუალად ნაშენებთა მათ შინა თჳსთა ტურფათა ჰნებავს რაჲთა დიდებულნი შეიყვანნეს, ხოლო უძნს არა თუ ესრეთ იქმნეს. კუალად მტილთა მათთჳს და სამოთხეთა ურვეულ არნ, ხოლო არვისა მის სამწყსოთაჲსა, განაღამცა მონა იქმნა, ესრეთვე ძროხათათჳს და უღლეულისა ჴართაჲსა იურვინ, მუშაკთა იმიზდებნ[7], ყანათა დასწინდავნ, ერქუანსა ჰმზადებნ, ურნატთა[8] განაპებნ. კუალად ვენაჴოვანთათჳს და სარწყაოანთა[9] მისთა შფოთებნ და განიკაფებინ: მოსძარცუა ვინმე ვენახსა ღობე და ზღვარი თჳსსა შეურთო, მტერ ექმნის მას და მოსარჩლე. სხუამან პირუტყჳ შეუშუა ყანად, სხუამან სარწყავი ბოსტნისა მისისაჲ თჳსსა შეუგდო, სხუამან სხუაჲ რაჲმე ავნო და განურყუნა, ვინაჲცა ყოველთავე ჰბრძავნ და ჰრისხავნ და განცოფებულთა არარაჲთ უმოლხინე[10] არნ, რომლისათჳს დიდებულთაცა[11] და მთავართა ხადინ შემწედ თჳსა და ბოროტისყოფად მავნებელთა მათ მისთა და შემაწუხებელთა. რამეთუ და რაჲ ირგოს მონაზონმან, რომელი განშორებულ იყოს სოფლისაგან და კუალად საქმეთავე შინა სოფლისათა წარიბლარდნებოდის? ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: „არავინ მჴედრად განწესებული შეეთხზვის საქმეთა სოფლისათა“. აწ უკუე ჴელ-ვყოთ განშორებად ჴორციელთაგან საქმეთა. უგულებელს-ვყვნეთ საფასენი და საჴმარნი მსოფლიონი და შეურაცხ-ვყოთ ყოველივე, რომელი[12] დაანთქმიდეს გონებასა ჩუენსა სიღრმედ წარწყმედისა. აღვასუბუქოთ უკუე სიმძიმე ტჳრთისაჲ ნავისაგან ჩუენისა, რაჲთა კეთილად ჰმართებდეს საჭეთმპყრობელი იგი გონებაჲ ნავსა მას სულისასა, რომლითა შეუძლოთ წიაღსლვად ზღუასა მას ვნებათასა და მივიწინოთ უღელვოსა მას ნავთსადგურსა ზეცათასა.

---

[1] ბოსტნოანთა] ბოსტანთაB. [2] სტოათა] სტოვათა B. [3] ნახირსა] ნახირისა B. [4] თავისაჲ] თავისა თჳსისა B. [5] თუმცა] თუცა E. [6] ~და შფოთი ბრძოლაჲ C. [7] იმიზდებნ] იმიზდებენ B. [8] ურნატთა] ორნატთა B. [9] სარწყაოანთა] სარწყაოანთათჳს E. [10] უმოლხინე] უმოლხინეს C. [11] დიდებულთაცა] დიდთა B. [12] რომელი] რომელიცა C.

12. /80/ ბერმან თქუა: ვითარცა კარნი აბანოჲსანი ზედაჲსზედ განხუმულნი გარე გამოსცემენ შინაგანსა მჯურვალებასა, ესრეთვე[1] სახედ სული ოდეს მრავალსა იტყოდის, დაღაცათუ კეთილ იყოს, რასა იგი ზრახვიდეს, შინაგანსა მას მჯურვალებასა ჯმისა მიერ და ენისა განაგრილებს. კეთილ არს უკუე ყოველსა შინა ჟამიერი დუმილი, რომელი-იგი არარაჲ არს სხუაჲ, თჳნიერ დედაჲ სიბრძნისაჲ და საუნჯე გულისჯმისყოფისაჲ.

13. ძმამან ჰკითხა ბერსა: ვითარ ჯერ არს, მამაო, დაყუდებაჲ სენაკსა შინა? მიუგო ბერმან: დაყუდებაჲ სენაკსა შინა ესე არს, რაჲთა დააგდოს კაცმან თავი თჳსი წინაშე ღმრთისა და იქმოდის, რომელი ძალ-ედვას და წინააღუდგებოდის მტერისა მიერ მორთუმულთა მათ გულისსიტყუათა. და რამეთუ ესე არს ჭეშმარიტად დაყუდებაჲ და სივლტოლაჲ სოფლით.

14. ძმამან თქუა: რაჲ არს სოფელი? ბერმან თქუა: სოფელი არს ქმნაჲ[2] წინააღმდგომსა ბუნებისასა! სოფელი არს აღსრულებაჲ ნებათა თჳსთა ჯორციელთაჲ! სოფელი არს ამისი მოგონებაჲ, თუ დაშთების იგი საწუთროსა ამას შინა! სოფელი არს უმეტეს სულისა ზრუნვაჲ ჯორცთაჲ! სოფელი არს რასაცა ზედა საქმესა სიქადული, რომელსა ამას ყოველსა არა ჩემ მიერ ვიტყჳ, არცა თავისა გამო ჩემისა, არამედ იოვანე არს მოციქული, რომელი ამას ღაღადებს: „ნუ გიყუარს სოფელი ესე, ნუცა ყოველივე, რაჲცა არს სოფლისაჲ“.

15. კუალად თქუა: უჯმს დაყუდებით მყოფსა, რაჲთა ყოველსა შინა ჟამსა გამოეძიებდეს თავსა თჳსსა, უკუეთუ შეუძლო ვითა გარეწარსლვად მცველთა მათ ჰაერისათა, ანუ თუ განთავისუფლდა მათგან ჯორცთა შინავე[3] მყოფებასა. და რამეთუ რომელი იმძლავრებოდის რომლისაგანცა ვნებისა, არღა[4] სამე თავისუფალ არს მათგან.

16. /80v/ ძმამან ჰკითხა მასვე ბერსა და ჰრქუა: რაჲ უჯმს ყოფად, რომელი დაყუდებით ცხოვნდებოდის? ჰრქუა მას ბერმან: დაყუდებულსა უჯმან სამნი ესე[5] საქმენი: პირველად შიში ღმრთისაჲ მოუკლებელი, მეორედ თხოვაჲ წყალობისაჲ მოთმინებით, მესამედ არაოდეს მოწყუედაჲ ჯსენებისაგან ღმრთისა.

17. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რაჲ არს დაყუდებაჲ, ანუ რაჲ არს სარგებელი მისი, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: დაყუდებაჲ არს ჯდომაჲ სენაკსა შინა თჳსსა მეცნიერებით და[6] შიშითა ღმრთისაჲთა, და[7] რაჲთა იჯმნას ყოვლისაგანვე[8] მსოფლიოჲსა, და უფროჲს ყოვლისა ძჳრისჯსენებისაგან და ზუაობისა. და[9] რამეთუ ესევითარი იგი დაყუდებაჲ მშობელი არს ყოველთა სათნოებათაჲ და დაიცავს მონაზონსა ყოველთა მათგან ისართა

[1] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 10r-ზე (აკინძვის შეცდომა). [2] ქმნაჲ] ქუეყანაჲB. [3] ჯორცთა შინავე] ჯორცთავე შინა B. [4] არღა] არა B. [5] ესე – B. [6] და – B. [7] და – E. [8] ყოვლისაგანვე] ყოვლისაგან B. [9] და -B.

განჴურვებულთა მტერისათა მოუწყლველად. ოჲ, დაყუდებაო, წარმატებაო მონაზუნისაო! ჱ დაყუდებაო, კიბეო ზეცათაო! ჱ დაყუდებაო, გზაო სასუფეველისა ცათაჲსაო[1]! ჱ დაყუდებაო, დედაო ლმობიერებისაო! ჱ დაყუდებაო, მოძღუარო სინანულისაო! ჱ დაყუდებაო, სარკეო სათნოებათაო და მამხილებელო ცოდვათაო, რომელი უჩუენებ კაცსა ყოველთა ბრალთა თჳსთა! ჱ დაყუდებაო, წინამძღუარო ცრემლთა და გოდებისაო! ჱ დაყუდებაო, განმანათლებელო სულისაო! ჱ დაყუდებაო, მშობელო სიწრფოებისაო! ჱ დაყუდებაო, თანამკჳდრო სიმდაბლისაო! ჱ დაყუდებაო, რომელი მოიყვანებ კაცსა დაწყნარებულებასა[2] ზედა მშჳდობისასა! ჱ მყუდროებაო, თანამზრახვალო ანგელოზთაო! ჱ მყუდროებაო, სანთელო გონებისაო! ჱ მყუდროებაო, შიშსა თანა ღმრთისასა[3] /81/ შემ/სჭუალულო, გულისსიტყუათა განმრჩეველო და განმკითხავთა განმაშუენებელო! ჱ მყუდროებაო, მშობელო ყოველთა კეთილთაო, მარხვისა საძირკუელო და ენისპყრობისა საფუძველო, სიმაძღრისა დამახრწეველო და სულისა აღმავსებელო! ოჲ[4], მყუდროებაო, გონებისა დაწყნარებაო, ნავთსადგურო მშჳდობისაო უღელვოო! ჱ მყუდროებაო, მაიძულებელო[5] ღმრთისაო! ჱ მყუდროებაო, ჭაბუკთა საჭურველო, მოხუცებულთა მასწავლელო! ჱ მყუდროებაო, მოძღუარო ყოვლისა კეთილისაო[6], რომელი დაიცავ[7] სენაკსა შინა მჯდომსა ყოვლისაგანვე სივერაგისა მტერთაჲსა[8]! ჱ მყუდროებაო, უღელო ტკბილო და ტჳრთო სუბუქო, რომელი განუსუენებ და იტჳრთავ მტჳრთველსა შენსა! ჱ მყუდროებაო, სიხარულო სულისა და გულისაო! ჱ მყუდროებაო, რომელი თჳსსა ოდენ ზრუნავ[9] და მარადის ქრისტესა ზრახავ და თუალთა წინაშე შენთა გაქუს სამარადისოდ სიკუდილი და განსლვაჲ ამიერ სოფლით! ოჲ[10], დაყუდებაო, აღჳრო სახედველთა, სასმენელთა და ენისაო! ჱ დაყუდებაო, დღითიდღე მომლოდეო კეთილთა მათ მერმეთაო, რომელსა გიპყრის ლამპარი[11] შენი დაუვსებელად! ჱ დაყუდებაო, რომელსა მხოლოჲსა ოდენ გსურის ღმრთისა და მარადის მას თავადსა უგალობ: „განმზადებულ არს გული ჩემი შენდამი[12] ღმერთო, განმზადებულ არს“. ჱ დაყუდებაო, მტერო სიგლისპისაო, კადნიერებისა მოძულეო, რომელი მოელი სამარადისოდ ქრისტესა! ჱ მყუდროებაო, დედაო კრძალულებისაო! ჱ დაყუდებაო, საპყრობილეო ვნებათაო და მჴსნელო პყრობილებისა მისგან საუკუნოჲსა! ჱ დაყუდებაო, აგარაკო ქრისტესო, რომელი მოიხუამ /81v/ ფერად-ფერადთა ნაყოფთა სათნოებისათა კეთილთა! ჰᲩ ძმაო, ესე მოიგე და სცხოვნდე ძალითა ქრისტესითა, იჴსენებდ უკუე დღესა მასცა სიკუდილისასა, რამეთუ არა უწყი, თუ ოდეს მოვალს მპარავი იგი ჩუენი, ვინაჲცა იღუაწე და იზრუნე ცხორებისათჳს სულისა შენისა.

---

[1] ცათაჲსაო] ზეცათაჲსაო C. [2] დაწყნარებულებასა] დაწყნარებასა C. [3] ~ ღმრთისასა თანა C. [4] ოჲ] ჱ BCE. [5] მაიძულებელო] მაჲძულებელო A. [6] კეთილისაო] კეთილისო B. [7] დაიცავ] დაჲცავ A. [8] სივერაგისა მტერთაჲსა] სივერაგეთა მტერისათა C. [9] ზრუნავ] ჰზრუნავ E. [10] ოჲ] ჱ BCE. [11] ლამპარი] სანთელი BE. [12] შენდამი – B.

18. ძმაჲ ვინმე მჯდომარე იყო მთას. ჰკითხა ვინმე მას ბერთაგანმან ლავრისაგან კალამონისა და ჰრქუა მას: მითხარ, ძმაო, ესოდენთა წელთა დაყუდებისა და მოღუაწებისა შენისათა, რაჲ წარგიმართებიეს? ჰრქუა მას ძმამან: წარვედ აწ და მეათესა დღესა მოედ და გითხრა. ხოლო ბერი წარვიდა და მეათესა დღესა მივიდა და პოვა, რამეთუ აღსრულებულ იყო ძმაჲ იგი და დაეწერა კეცსა ზედა ესრეთ: შემინდვე, მამაო, რამეთუ არაოდეს ვჰყოფდ კანონსა ჩემსა და უტევე[1] გონებასა ჩემსა ქუე ჩამოსლვად.

19. ორნი ძმანი მკჳდრ იყვნეს უდაბნოს. და მოიჯსენის რაჲ ერთმან მან მსჯავრთა ღმრთისათაჲ, ივლტინ უდაბნოდ შეცთომილი, ვითარცა განცჳბრებული. ხოლო სხუაჲ იგი ძმაჲ, მოყუასი მისი, სდევნ მას და ეძიებნ და ფრიად დაშურის, ვიდრემდის პოვის[2] იგი. მერმე ჰრქუა მას: რაჲსათჳს ესრეთ ივლტი, ძმაო, ნუუკუე შენ მარტოსა გიქმნიანა[3] სოფლისა ცოდვანი? ჰრქუა მას ძმამან: ნუუკუე ჰგონება, თუ უმეცარ ვარ, ვითარმედ შეუნდვიან ღმერთსა ჩემდა ცოდვანი?! ჰᲩ, ვიცი და მრწამს, რამეთუ შეუნდვიან ღმერთსა ბოროტნი ჩემნი, გარნა ჭირსა ამას[4] ვჰყოფ, რაჲთა ვხედვიდე დღესა მას განკითხვისასა სასჯელად მიმავალთა.

20. წარვიდა ვინმე ძმათაგანი ბერისა ვისამე[5] ლავრასა მას ალექსანდრიაჲსასა, რომელსა ათრვამეტთაჲ ეწოდებოდა და თანა ჰყვა ძმაჲ ვინმე ერისაკაცი და ჰრქუა /82/ ბერსა: მითხარ ჩუენ სიტყუაჲ, მამაო, თუ ვითარ გჳღირს ჩუენ ზოგად ცხორებაჲ, რამეთუ ძმასა ამას აქა ჰნებავს მონაზონების. ჰრქუა მას ბერმან: კეთილად ჰყოფთ, შვილო, რამეთუ დაუტეობთ სოფელსა და შეეწყნარებით ღმერთსა. დასხედით უკუე სენაკსა შინა, სადაცა გნებავს და მყუდროებაჲ შეიტკბეთ და მღჳძარებაჲ და სამარადისოჲ ლოცვაჲ. და ვესავ მოწყალებათა ღმრთისათა, შვილნო, რაჲთა მოავლინოს თქუენ ზედა მადლი თჳსი და განანათლნეს გონებანი თქუენნი მეცნიერებითა ჭეშმარიტებისა მისისაჲთა.

21. იტყოდეს ბერისა ვითჳსმე დაყუდებულისა, ვითარმედ ოცდაათ-ხუთმეტი[6] წელი დაყო დაყუდებასა შინა, ორ-ორით იმარხავნ და დუმნ სრულიად ყოლად უსიტყუელად. და უკუეთუ სამე უჯმნ რაჲმე ფრიად საჭიროდ, სათუალავისა მიერ ცხად უყვის ესე. და მეცა ვნახე თჳთ ელიონს ქუეყანასა მისსა, რამეთუ დავყავ მის თანა ვითარ ათ წელ ოდენ[7].

22. თქუა ბერმან: უკუეთუ ვისმე ენებოს დაყუდების, უჯმს, რაჲთა ანუ უდაბნოს დაემკჳდროს, ანუ ლავრასა შორის მრავლისა ძმობისა, რამეთუ უკუეთუ მახლობელად ერთკერძოსა რასმე ადგილსა დაემკჳდრო, შფოთი შეგემთხუევის[8] და ურვაჲ ფრიადი. რამეთუ უკუეთუ ვინ მოვიდეს ადგილსა

---

[1] დაუტევე B; უტევემცა E. [2] პოვის] პოის AE. [3] გიქმნიანა] გიქმნიან CE. [4] ამას] ჩემსა C. [5] ვისამე] ვისსამე E. [6] ოცდაათხუთმეტი] ოცდაათოთხმეტი B. [7] ~ ოდენ წელ C. [8] შეგემთხუევის] შეგემთხჳოს C.

მას, უნებლიეთ შეგემთხუევის შეწყნარებაჲ მისი, რამეთუ არა აქუს სხუაჲ, თუ სადა განისუენოს მან. უკუეთუ კულა იყო შორის ადგილსა ვრცელსა, დაღათუ შენ არა შეიწყნარო, არა შეგაურვებს გონებაჲ შენი, რამეთუ ჰპოებს იგი სხუაგან განსუენებასა. და ესრეთ სიმრავლე იგი ძმათაჲ გექმნების შენ ზღუდე და მცველ და ჰპოებ განსუენებასა ძალითა ქრისტესითა.

23. იტყოდა ბერი: საპყრობილჱ[1] არს ჯდომაჲ სენაკსა შინა, ხოლო ჴსენებაჲ ღმრთისაჲ არს სასუფეველი და ესე არს სიტყუაჲ იგი /82v/ რომელსა იტყჳს ვითარმედ: „საპყრობილესა[2] ვიყავ და მოხუედით ჩემდა“[3].

24. ბერმან თქუა: არს კაცი, რომელი დაჰყოფს სენაკსა შინა ასსა წელიწადსა და ვერ დაისწავლის, თუ ვითარ ჯერ არს სენაკსა შინა ჯდომაჲ.

[1] საპყრობილჱ] საპყრობილე BCE. [2] საპყრობილესა] საპყრობილეს C. [3] შდრ. მთ. 25,36.

თავი დ

თხრობაჲ თ҃თოსახ҃[1] წმიდათა მამათაჲ ლმობიერებისათ҃ს

გუაკურთხენ, მამაო!

I. იტყოდა ***მამაჲ ანტონი:*** წინაშე თუალთა გაქუნდინ მარადის შიში ღმრთისაჲ და იჴსენებდ მას ყოლადვე, რომელი მოაკუდინებს და აცხოვნებს. მოვიძულოთ, ძმანო, სოფელი ესე და ყოველივე რაჲცა[2] არს სოფლისაჲ! მოვიძულოთ ჴორციელი განსუენებაჲ, ვიჯმნეთ ამიერისა ამისგან ცხორებისა, რაჲთა ვცხოვნდეთ ღმრთისამიერითა მით ცხორებითა. მოვიჴსენოთ უკუე, თუ რაჲ აღუთქ҃ა ღმერთსა, რამეთუ ითხოვს მას ჩუენგან დღესა მას დიდსა სასჯ҃ელისასა. მოვიმშიოთ, ძმანო, მოვიწყუროთ, განვშიშულდეთ, განვცივნეთ, განვიფრთხოთ, განვიღ҃ძოთ, ვიგლოვდეთ, ვტიროდით, სულთ-ვითქუნეთ გულითა და გონებითა ჩუენითა, გამოვიცადნეთ უკუე თავნი ჩუენნი, უკუეთუ ნანდ҃ვლვე ღირს ვართ ღმრთისა, შეურაცხ-ვყ҃ვნეთ, ძმანო, თავნი ჩუენნი რაჲთა აცხოვნ҃ნეს ღმერთმან სულნი ჩუენნი.

II. იტყოდეს **მამისა არსენისთ҃ს,** ვითარმედ ყოველთავე დღეთა ცხორებისა მისისათა დაჯ҃დის რაჲ ჴელთსაქმრად, მჩუარი აქუნ წიაღთა შინა თ҃სთა ცრემლთა მათთ҃ს, რომელნი გარდამოდიოდეს თუალთაგან მისთა.

III. 1. ძმამან ჰკითხა **მამასა ამონას** და ჰრქუა: მარქუ მე სიტ҃ყუაჲ. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და ყავ გულისსიტ҃ყუაჲ შენი, ვითარცა ძ҃ურისმოქმედთაჲ, რომელნი-იგი წ҃უდ҃ეულ არიან საპ҃ყრობილეს[3], რამეთუ იგინი ჰკითხ҃ვენ სამარადისოდ /83/ კაცთა: სადა არს მთავარი, ანუ ოდეს მოვალს? და შიშისაგან და[4] მოლოდებისა მისისა[5] ტირან. ესრეთვე სახედ მონაზონსაცა თანააც, რაჲთა სამარადისოდ სტიროდის სულსა თ҃სსა და იტ҃ყოდის: ვაჲ მე და[6] ვაჲ გლახ[7] მე, ვითარმედ წარვდგე წინაშე საყდარსა მას ქრისტ҃ესსა,

---

[1] თითოსახ҃] თითოსახეE. [2] რაჲცა] რაჲ C. [3] საპ҃ყრობილეს] საპ҃ყრობილესა BE. [4] და – B. [5] მისისა] მათისა E. [6] ~ ვაჲ და C. [7] გლახ – E.

ანუ რაჲ პასუხი მივსცე აურაცხელთათჳს ცოდვათა ჩემთა. უკუეთუ ესრეთ[1] იქმოდი სამარადისოდ და ესრეთ ჰყოფდე, ძალ-გიც ცხოვნებად[2].

2. კუალად თქუა: ოდეს შჯდე სენაკსა შინა შენსა, შემოიკრიბე გონებაჲ შენი და მოიჴსენე დღჱ[3] სიკუდილისა შენისაჲ და განიცადე გონებითა განსლვაჲ სულისაჲ და სიმკუდრჱ[4] ჴორცთაჲ, მოიგონე განსაცდელი იგი და მიიღე გულისკლებაჲ და დააგდე ამაოებაჲ საწუთროჲსაჲ და მიიღე[5] მიერ გულსმოდგინებაჲ კეთილისაჲ და მოსწრაფებაჲ, რაჲთა შეუძლო ამის სახით გებად ესრეთვე[6] კეთილსა ზედა და სათნოებასა. და გულსმოდგინე იყო ყოლადვე დაყუდებით და მშჳდობით თავისა წინაყოფისათჳს. ამას ზედა კუალად მოიჴსენე ყოფაჲ იგი ჯოჯოხეთისაჲ და იგონებდ, თუ ვითარ არიან მას შინა სულნი, რომელსა შინა მწარესა დუმილსა, რომელსა შინა ძნელსა სულთქუმასა. ვითარსაღა შინა[7] შიშსა და ძრწოლასა რასმე[8] მოელიან ფიცხელთა მათ შინა და სასტიკთა ტანჯვათა მყოფნი, ტირილსა მას შინა და ტყებასა სამარადისოსა დასჯილნი მოელიან აღდგომასა და სხუათა უძჳრესთა სატანჯველთა. იჴსენებდ უკუე ამას ზედა ზოგადსა მასცა დღესა ყოველთა აღდგომისასა და წინაშე ღმრთისა წარდგომასა, გეოცებოდენ[9] საშინელებაჲ იგი სამსჯავროჲსაჲ და /83v/ თუალუხუაობაჲ[10] მსაჯულისაჲ, მოიღე გონებასა შენსა წინამდებარე იგი სირცხჳლი ცოდვილთაჲ წინაშე ღმრთისა და ქრისტეს მისისა და წინაშე ყოველთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა და წინაშე ადამიანთა ყოველთა. ესრეთვე ყოველნი იგი სატანჯველნი: ცეცხლი იგი საუკუნოჲ, მატლი იგი დაუძინებელი, ტარტაროსი იგი და ბნელი, ღრჭენაჲ იგი კბილთაჲ სამარადისოჲ, შიშნი იგი და პატიჟნი მიმდემნი, გებადნი და დაუსრულებელნი. მოიღე გულად მართალთათჳს განმზადებულიცა[11] იგი საშუებელი, კადნიერებაჲ იგი ღმრთისა წინაშე მამისა და ქრისტეს მისისა, ანგელოზთა, მთავარანგელოზთა და ყოველთა თანა[12] დასთა ზეცისათა და სულებისა მის წმიდათაჲსა სიხარული სასუფეველსა მას შინა ზეცათასა. ორივე ესე ჴსენებაჲ შემოკრიბე[13] ერთად, ერთსა მას მისდევდი და მეორესა განეშორე, იგლოვდი, ტიროდე[14] და ცრემლოოდე და გეშინოდენ ყოლადვე, ნუუკუე შენცა დასჯილთა რიცხუსა შეერთო. და დაღაცათუ მართალი იყო, ესრეთვე გულად იპყარ, რამეთუ უმჯობეს არს შენთჳს. ხოლო მართალთათჳს განმზადებულთა[15] კეთილთა იჴსენებდ კუალად და სასოებითა კეთილითა[16] აღადგინებდი თავსა შენსა. და ისწრაფე საქმეთა მიერ კეთილთა შენიცა შერთვაჲ რიცხუსა მათსა. იხილე უკუე, იხილე, და

---

[1] ესრეთ – B. [2] ცხოვნებად] ცხორებად B. [3] დღჱ] დღე C. [4] სიმკუდრე C] მოკუდავებაჲE. [5] აქ E ნუსხა წყდება. [6] ესრეთვე] ერთვე B. [7] შინა- C. [8] რასმე] რასაღამე B. [9] გეოცებოდენ] გეოცებოდინ C. [10] თუალუხუაობაჲ + იგი B. [11] განმზადებულიცა] განმზადებული C. [12] თანა - B. [13] შემოკრიბე] შეკრიბე B. [14] ტიროდე] ტოროდი C. [15] განმზადებულთა + მათ C. [16] კეთილითა] კეთილთაჲთა BC.

ნუმცა ოდეს მოაკლდების ჯსენებაჲ ღმრთისაჲ შენგან, ნუცა დაივიწყებ[1] მსჯავრთა მათ მისთა და სამართალთა, რაჲთა ვითარ ნუუკუე ამით განერე მავნებელთა გულისსიტყუათა.

IV. თქუა **მამამან აიო**[2], ვითარმედ: იყო ვინმე მწყემსი ველური და მძჳნვარე სახელით აპოლონ. /84/ ამან იხილა დედაკაცი მუცელქუმული იყო რაჲ ველს და მძლავრებულ იქმნა ეშმაკისაგან და თქუა: ვიხილოღა თუ ვითარ-ძი წევს ჩჩჳლი მუცელსა შინა დედისასა. და განაპო დედაკაცი იგი და იხილა ჩჩჳლი მდებარე. და ვითარცა ქმნა საქმე იგი ბოროტი, მეყსეულად მოიწყლა გული მისი და შეელმა ფრიად, აღდგა და მივიდა სკიტედ და მიუთხრა მამათა საქმე იგი. ესმოდა მათგან გალობაჲ იგი, რომელი იტყჳს: წელნი ჩუენნი მათ თანა სამეოცდაათ წელ, ხოლო უკუეთუ ძლიერებასა შინა ოთხმეოც წელ და უმრავლესი მათი შრომაჲ[3] და სალმობაჲ[4]. და ჰრქუა მათ: ვარ, ვითარ ჰგონებ, ორმეოცისა წლისაჲ და ერთიცა ლოცვაჲ არა მილოცავს წინაშე უფლისა. ხოლო აწ, უკუეთუ ვიყო ცოცხალ სხუასა ორმეოცსა წელსა, არა დავსცხრე ვედრებად ღმრთისა, რაჲთა მომიტეოს ცოდვაჲ ესე, რომელსა შთავვარდი. ვინაჲცა[5] მონაზონ იქმნა მუნ და არა იქმნ რაჲთურთით ყოლად[6] ჯელთსაქმარსა, არამედ სამარადისოდ ილოცავნ და იტყჳნ: უფალო[7], ვითარცა კაცმან შეგცოდე და ვითარცა ღმერთმან შემინდვე. და ექმნა მას ლოცვაჲ იგი მისი წურთა სამარადისოდ დღით და ღამით. ხოლო იყო სხუაჲ ვინმე ძმაჲ მახლობელად მისა და ესმინ მას, იტყჳნ რაჲ: უფალო, ფრიად მოგაწყინე[8], განმიტევე მე, რაჲთა მცირედ განვისუენო. ვინაჲცა გულსავსე იქმნა გული მისი, ვითარმედ მიუტევნა მას ღმერთმან ყოველნი ცოდვანი მისნი და დედაკაცისაჲ მისცა, გარნა ყრმისათჳს ვერ გულსავსე იქმნა. ჰრქუა ვინმე მას ბერთაგანმან, ვითარმედ: ყრმისაჲცა შეუნდვია ღმერთსა, გარნა გიტევა, რაჲთა გულტკივნეულ იყო მისთჳს, /84v/ რამეთუ უმჯობეს არს ეგე სულისა შენისათჳს.

V. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ მაშფოთებენ მე გულისსიტყუანი, დამაყრევენ ჩემთა ცოდვათა და მარწმუნებენ ხედვად ნაკლულევანებასა ძმისასა. და ბერმან ჰრქუა მას: იყო ვინმე ბერი, რომელი ჯდა სენაკსა შინა თჳსსა და სტიროდა თავსა თჳსსა. ხოლო მოწაფე მისი ჯდა განშორებულად-რე მისგან სხუასა სენაკსა. და ოდენ მივიდის ხილვად ბერისა, პოვის[9] იგი, რამეთუ ტირნ. მერმე ჰრქუა მას[10]: რაჲსათჳს ესრეთ სტირ, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: მრავალთათჳს ცოდვათა ჩემთა ვტირ, შვილო. ჰრქუა მას მოწაფემან მისმან: არა გქონან ცოდვანი, მამაო! ჰრქუა მას ბერმან: რასა იტყჳ, ძმაო, უკუეთუმცა შენდობილ ვიქმენ

---

[1] დაივიწყებ] დაჲვიწყებ A. 2 აიო] აჲო A. 3 შრომაჲ] შრომით B. 4 სალმობაჲ] ტკივილით B. 5 აქედან E ნუსხა გრძელდება 5 r-ზე (აკინძვის შეცდომა). 6 ~ ყოლადვე რაჲთურთით B; ყოლად – CE. 7 უფალო + უფალო BE. 8 მოგაწყინე + და B. 9 პოვის] პოის B. 10 მას – B.

ხილვად ცოდვათა ჩემთა, ვერ კმა არიან ჩემდა სხუანი სამნი, გინა ოთხნი, რაჲთამცა სტიროდეს[1] ბრალთა ჩემთა.

2. ბერმან თქუა: იჴსენებდ მარადღ[2] სასჯელსა მას საუკუნესა და ნუ დაივიწყებ[3] ჟამსა მას[4] ამიერ განსლვისა შენისასა და არა აქუნდეს ბრალი სულსა შენსა.

VI. თქუა **მამამან ელია:** მე სამთა საქმეთაგან მეშინის: ერთად, ოდეს განიყვანებდენ სულსა ჩემსა ჴორცთაგან და მეორედ, ოდეს წარმადგინებდენ წინაშე ღმრთისა და მესამედ, ოდეს გამოვიდოდის ჩემთჳს განჩინებაჲ.

VII. 1. თქუა **მამამან ესაია**[5]: რომელი იყოს დაყუდებით, უჴმს რაჲთა აქუნდეს შიში წინაშე ღმრთისა წარდგომისაჲ უმახლობელეს აღმოფშჳნვისა, რამეთუ ვიდრემდის მიდრკებოდის გული კაცისაჲ ცოდვისა მიმართ, არა შეჰქმნია მას სურვილი შიშისა ღმრთისაჲ და შორს არს იგი ჯერეთ წყალობისაგან ღმრთისა.

2. /85/ იტყოდა **მამაჲ პეტრე, მოწაფ**[6] **მამისა ესაიაჲსი**[7]**,** ვითარმედ: ვიხილე იგი უძლურებასა შინა დიდსა და ვპოვე[8] რაჲ იგი ესრეთ, შემიძნდა ფრიად, ხოლო მან, ვითარცა მიხილა ესრეთ შეწუხებული, მრქუა მე: რაჲ ჭირი არს, ძმაო, რომელსა აქუს მოლოდებაჲ განსუენებისაჲ. ჭირი ძნელი და ბოროტი მაშინ არს, ოდეს განვითხეოდი პირისაგან ღმრთისა, სადა-იგი არღარა ვინ იყოს მსმენელ ჩემდა, არცაღა სადაჲთ მაქუნდეს მოლოდებაჲ განსუენებისაჲ.

3. კუალად თქუა: მივედ ოდესმე კუალად სხუასაცა ჟამსა და ვპოვე[9] იგი ფიცხელსა შინა სნებასა. და ვითარცა იხილა ტკივნეულებაჲ გულისა ჩემისაჲ, მრქუა მე: ოდენ ესევითარსა შინა სენსა სასიკუდინესა შეუძლებთ ძლით მოჴსენებად ჟამსა მას მწარესა, თუ არა, სიმრთელე ჴორცთა ამათ სიკუდილისათაჲ ყოლადვე[10] არას გუარგებს და რამეთუ ეძიებენ ჴორცნი სიმრთელესა, რაჲთა განჰკრთენ ღმრთისაგან ვითარცა ხ[11], რომელი დღითიდღე ირწყვებოდის ოდესცა განჴმეს ძირნი მისნი, რაჲთამცა არღარა გამოიღო ნაყოფი.

4. თქუა **მამამან პეტრე**, ვითარმედ: ვკითხე მას ოდესმე, თუ რაჲ არს შიში ღმრთისაჲ და მან თქუა: კაცი რომელი[12] ერჩდეს ვისცა[13] გარეშე მამათა სულიერთა, მის თანა არა არს შიში ღმრთისაჲ.

5. კუალად იტყოდა იგი ზიარებისათჳს[14] წმიდათა საიდუმლოთაჲსა[15], ვითარმედ: ვაჲ ჩემდა, რამეთუ ამაოდ ვეზიარები, უფროჲსღა მტერთა თანა ღმრთისათა შევირაცხები, რამეთუ ზიარებაჲ საქმეთაგან ჴამს

---

[1] მას+ცოდვათა და E. [2] მარადღ] მარადღე E, მარადის B. [3] დაივიწყებ] დაჲვიწყებ A. [4] მას – E. [5] ესაია] ესაჲა A. [6] მოწაფ] მოწაფე E. [7] ესაიაჲსი] ესაჲაჲსი A. [8] ვპოვე] ვპოე A. [9] ვპოვე] ვპოე A. [10] ყოლადვე] ყოლად B. [11] ხ] ხე CE. [12] რომელი +არა C. [13] ვისცა გარეშე – C. [14] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 28r-ზე (აკინძვის შეცდომა). [15] საიდუმლოთაჲსა] საჲდუმლოთაჲსა A.

სიმართლისათა. და ამისთჳს[1] ჴმობს მღდელი „წმიდაჲ წმიდათათჳს“, უკუეთუ წმიდაჲ[2] ვარ, ვითარ ჰპოებენ მტერნი[3] ჩემ შორის ადგილსა, ესე იგი არს ვნებანი.

6. იტყჳნ **მამაჲ ესაია[4]:** ვაჲ მე, ვაჲ მე, რამეთუ არა ვიღუაწე ცხოვნებად თავი ჩემი, რაჲთამცა ღირსქმნულ /85v/ ვიყავ წამისყოფასა წყალობისასა! ვაჲ მე, ვაჲ მე, უფალო, რამეთუ არა ვიღუაწე ძლევად მტერთა, რაჲთამცა მოსრულ იყო ჩემ ზედა მეუფებაჲ შენი!

7. კუალად თქუა: ვაჲ მე, ვაჲ მე, უფალო, რამეთუ ზედამაც მე ყოლადწმიდაჲ სახელი შენი და ვჰმონებ, უბადრუკი, მტერთა შენთა. ვაჲ მე, ვაჲ მე, რამეთუ არა ვევლტი რაჲ იგი სძულს ღმერთსა და ამისთჳს არა განმკურნებს მე.

8. თქუა კუალად: ვაჲ მე, ვაჲ მე, რამეთუ წინაწარმისწრობენ მე[5] შემასმენელნი ჩემნი და ვერ ძალ-მიც უვარყოფად[6] ბოროტთა ჩემთა. ვაჲ მე, ვაჲ მე, ვითარ-მე ვეჩუენო უფალსა ჩემსა და წმიდათა მისთა ყოველთა, რამეთუ არა უტევეს მტერთა ჩემთა ერთიცა ასოჲ ჩემი წმიდად წინაშე მისსა.

VIII. 1. იტყოდა **თეოფილე მთავარეპისკოპოსი**: ვითარიღა შიში და ძრწოლაჲ წინაგჳც, ძმანო, ოდეს-იგი სული ჴორცთაგან განეშორებოდის, რამეთუ მოვალს მაშინ მოსწრაფებით მჴედრობაჲ იგი ძალთა მათ[7] წინააღმდგომთაჲ, მთავრობანი იგი ბნელისანი, სოფლისმპყრობელნი იგი სულნი უკუეთურებისანი და სასჯელსა დასდებენ[8] სულისათჳს ჭირვეულისა და მოიხუმენ ყოველთავე მეცნიერებით და უმეცრებით ქმნილთა[9] ცოდვათა და დაუსხმენ წინა სიჩჩოჲთგან მისით, ვიდრე მას ჰასაკადმდე რომელსაცა დაეპყრას. დგანან უკუე და შეასმენენ ძლიერად და ყოველთავე მათ მის მიერ ქმნულთა მოაჴსენებენ. რაბამი უკუე შიში და ძრწოლაჲ აქუნდეს სულსა, მაშინ, ვიდრემდის გამოვიდეს განჩინებაჲ და განთავისუფლდეს მათგან, რამეთუ ჟამი იგი არს ძნელი, მწარე და ბოროტი და საშიში ყოველთაგან ადამეანთა[10], ვიდრემდის იხილოს სულმან აღსასრული საქმისაჲ. რამეთუ მოვლენ საღმრთონიცა იგი ძალნი და წმიდანი და მოიხუმენ იგინიცა, რაჲცა აქუნდეს საქმეთა კეთილისათა[11]. ხედავს უკუე სული /86/ გლახჭირვე/ული იმიერ და ამიერ და ორთავე მათ განიცდის, და ძრწის და ეშინის შავთა მათგან მედგართა, ვიდრემდის მართლისა მისგან და თუალუხუავისა მსაჯულისა მიიღოს განჩინებაჲ. და უკუეთუ ღირს იქმნას იგი წყალობასა, მიიღებენ შერისხვას[12] წამისყოფისაგან საღმრთოჲსა სულნი იგი ბოროტისანი და აღიტაცებენ სულსა მას შეწყალებულსა ღმრთისასა ჴელთაგან ბოროტთასა

---

[1] ამისთჳს] მისთჳს B. [2] წმიდაჲ] წმიდა E. [3] ჰპოებენ მტერნი] ჰპოებს მტერი BC. [4] ესაია] ესაჲა A. [5] მე – E. [6] უარისყოფად C ; უვარისყოფად E. [7] მათ – C. [8] დასდებენ] დასდებდენ B. [9] ქმნილთა] ქმნულთა C. [10] ადამეანთა] ადამიანთა E. [11] კეთილისათა] კეთილისათაჲ E. [12] შერისხვას] შერისხვასა BCE.

წმიდანი იგი ანგელოზნი და მიერითგან არს იგი უშიშ[1], და აღესრულების მაშინ სიტყუაჲ იგი წერილისაჲ, თუ ვითარ: „მხიარულთა ყოველთა მკჳდრობაჲ შენდამი არს“, და კუალად სხუაჲცა იგი წერილი[2], ვითარმედ: „ივლტის მუნით ყოველი ჭირი, მწუხარებაჲ და სულთქუმაჲ“. მერმე განთავისუფლდეს რაჲ მტერთა მათგან, წარიყვანებენ მას სიხარულსა მას გამოუთქუმელსა და დიდებასა მას თუალშეუდგამსა, წინაშე პირსა[3] ქრისტესსა და დააწესებენ მას სავანესა მას სანატრელსა მართალთასა. უკუეთუ კულა იპოოს სული უბადრუკი უდებებით ცხორებასა შინა მყოფი, ესმის მას ჴმაჲ იგი ძნელი და ბოროტი: მოისპენ უღმრთოჲ, რაჲთა არა იხილოს მან დიდებაჲ იგი უფლისაჲ[4]. მაშინ გლახ მოიცავს დღჱ[5] იგი რისხვეული და მწარე, დღჱ[6] ჭირისა და იწროებისაჲ, დღჱ[7] ბნელისა და წყუდიადისაჲ, დღჱ[8], რომელი გაჰგზავნის ბნელად გარესკნელად, დღჱ[9], რომელი წარმჰგზავნის[10] ცეცხლად გეჰენიისად, რაჲთა იტანჯებოდის მას შინა ყოველთა მათ საუკუნეთა. მაშინ სადა-მე იყოს სიქადული ამის სოფლისაჲ[11], სადა იყოს დიდებულებაჲ, სადა იყოს შუებაჲ, სადა იყოს განსუენებაჲ, სადა იყოს სილაღჱ[12], სადა საჴმარნი, სადა საფასენი, სადა აზნაურებაჲ, სადა იყვნენ მშობელნი, სადა მამაჲ, სადა დედაჲ, სადა ძმანი, სადა დანი, ანუ რაჲცა წარმავალთაგანი და აქა დაშთომადთაჲსა[13] სარგებელ-ეყოს მაშინ კაცსა, ანუ ვინ იჴსნეს მაშინ ცეცხლისა მისგან /86v/ სასტიკად შემწუველისა, ანუ სხუათა მათგან ყოველთა ძნელთა და მწარეთა სატანჯველთა?! აწ უკუე, ვინაჲთგან ესე ყოველი ესრეთ არს, ვითართაჲ ჯერ არს ჩუენდა ყოფაჲ აღზრდასა შინა წმიდასა და ღმრთისმსახურებასა რჩეულსა ქცევაჲ?! რაბამსა თანაგუაც სიყუარულსა მოგებაჲ[14] ღმრთისა მიმართ და მოყუსისა?! ვითარსა გჳღირს მოქალაქობასა მოგებაჲ და სარბიელსა მას მოღუაწებისასა გამოწულილვით სირბილი, ვითარსა ლოცვასა, ვითარსა კრძალვასა[15]. ესე ყოველი განვიცადოთ, საყუარელნო, და ვისწრაფოთ მოგებისათჳს კეთილთაჲსა და სივლტოლისათჳს ბოროტთაჲსა, რაჲთა ღირს ვიქმნეთ სმენად ჴმასა მას ტკბილსა მშჳდობისა და წყალობისასა, პირისა მისგან სამეუფოჲსა და წმიდისა: „მოვედით, კურთხეულნო, მამისა ჩემისანო და დაიმკჳდრეთ[16] განმზადებული თქუენთჳს[17] სასუფეველი, პირველ სოფლის დაბადებისა, რამეთუ მისი არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ“[18].

2. ესევე **მამაჲ თეოფილე მთავრეპისკოპოსი** მიიცვალებოდა რაჲ ამიერ, თქუა: ნეტარ ხარ[19], მამაო არსენი, რამეთუ მარადის იჴსენებდ[20] შენ ჟამსა ამას.

---

[1] უშიშ] უშიში E. [2] წერილი + იტყჳს B. [3] პირსა – C. [4] უფლისაჲ] ღმრთისაჲ E. [5] დღჱ] დღე BCE. [6] დღჱ] დღე BCE. [7] დღჱ] დღე BCE. [8] დღჱ] დღე BCE. [9] დღჱ] დღე BCE. [10] წარმჰგზავნის] წარჰგზავნის BC. [11] აქ E ნუსხა წყდება. [12] სილაღჱ] სილაღე C. [13] დაშთომადთაჲსა] დაშთომადთა B; დაშთომადთაჲ C. [14] მოგებაჲ] მოგებადB. [15] კრძალვასა] კრძალულებასა C. [16] დაიმკჳდრეთ] დაჲმკჳდრეთ A. [17] ~ თქუენთჳს განმზადებული C. [18] მთ. 25,34. [19] ხარ + შენ C. [20] იჴსენებდ] იჴსენებდი B.

IX. თქუეს მამათა, ვითარმედ: ჭამდეს ოდესმე ძმანი სიყუარულსა და განიცინნა ერთმან ძმამან ტაბლასა ზედა. იხილა რაჲ იგი ესრეთ **მამამან იოანე**, იწყო ტირილად და თქუა: რაჲმე არს გულსა ამის ძმისა[1], რამეთუ განიცინნა, რომელსა თანაედვა ტირილად, რამეთუ სიყუარულსა ჭამს.

X. მამაჲ ისაკ და **მამაჲ აბრაჰამ** ზოგად ცხოვნდებოდეს ურთიერთარს. და შევიდა ოდესმე მამაჲ აბრაჰამ და პოვა მამაჲ ისაკ, რამეთუ ტიროდა, ჰრქუა მას: რაჲსა სტირ? ჰრქუა მას ბერმან: და რაჲსათჳს არა ვტიროდით, რამეთუ არა გუაქუს თუ[2] სადა წარვიდეთ, რამეთუ დაიძინეს[3] ნეტართა მამათა ჩუენთა და რამეთუ კმა-ეყოფოდა[4] მენავეთა ჴელთსაქმარი ჩუენი, რომელსა მივსცემდით მიზდად /87/ ნავსა მისლვისათჳს ბერთაჲსა და აწ დაობლდით მათგან და არა გუაქუს თუ ვისა[5] წარვიდეთ, ამისთჳსცა მე ვტირ.

XI. თქუა **მამამან იაკობ:** ვითარცა ლამპარი შე-რაჲ-იღო[6] სახლსა შინა ბნელსა განანათლებს, ესრეთვე შიში ღმრთისაჲ ოდეს შევიდეს[7] გულსა კაცისასა, განანათლებს მას და ასწავებს ყოველთავე სათნოებათა და მცნებათა ღმრთისათა.

XII. მოგჳთხრა ჩუენ **მამამან იოვანე კელიელმან,** რომელ არს სენაკებისაჲ, ვითარმედ: იყო ვინმე ეგჳპტეს დედაკაცი, მეძავი სახნიერი ფრიად და ქმნულკეთილი და მდიდარი გარდარეულად, რომელსა თანა მთავარინიცა მივიდოდეს დიდ-დიდნი და დიდებულნი. დღესა უკუე ერთსა დღესასწაულსა მოიცალა მისლვად წმიდად ეკლესიად, ხოლო კერძოდიაკონმან, რომელი დგას კართა ზედა ეკლესიისათა, არა უტევა იგი შესლვად, არამედ ჰრქუა: არა ღირს ხარ შესლვად ტაძარსა შინა ღმრთისასა, რამეთუ არაწმიდა ხარ. ხოლო ვითარცა ჰბრძოდეს ამის პირისათჳს ურთიერთარს[8], ესმა ეპისკოპოსსა შფოთი მათი და გამოვიდა. ჰრქუა მას მეძავმან მან: არა მიტევებს მე შემოსლვად. ჰრქუა მას ეპისკოპოსმან: არა გიღირს შენ[9] შემოსლვაჲ[10], რამეთუ არაწმიდა ხარ. ხოლო იგი ლმობიერ იქმნა და ჰრქუა ეპისკოპოსსა[11]: ამიერითგან არღარა ვისიძავ. ჰრქუა მას ეპისკოპოსმან: უკუეთუ მოიღო საქონელი შენი აქა, ვიცი რამეთუ არღარა ისიძვო[12]. ხოლო მან მოიღო მოსწრაფებით ყოველივე. მაშინ უბრძანა ეპისკოპოსმან მნეთა თჳსთა[13], რაჲთა აღაგზნან[14] საჯუმილი მძაფრი. და ვითარცა აღაგზნეს, ჰრქუა დედაკაცსა მას: აღიღე ყოველივე ეგე[15], შთააბნიე საჯუმილსა მაგას შინა თჳთ ჴელითა შენითა. ხოლო მან ყო ეგრე და ყოველივე იგი დაწუა /87v/ ჴე/ლითა თჳსითა საჯუმილსა მას შინა, ტიროდა და იტყოდა: უკუეთუ ამას სოფელსა ესრეთ შემემთხჳა, რაჲღა ყოფად არს ჩემდა საუკუნესა მას.

---

[1] ძმისა] ძმისასა C. [2] თუ -C. [3] დაიძინეს] დაჲძინეს A. [4] კმა-ეყოფოდა] ეყოფვოდა BC. [5] ვისა] ვისსა C. [6] შე-რაჲ-იღო] შე-რაჲ-ღო C. [7] შევიდეს] შე-რაჲ-ვიდეს C. [8] ურთიერთარს] ურთიერთას C. [9] შენ – C. [10] შემოსლვაჲ] შესლვაჲ C. [11] ეპისკოპოსსა] ებისკოპოსსა C. [12] ისიძვო] ისიძავო B. [13] თჳსთა – B. [14] აქედან E ნუსხა გრძელდება 29r-ზე. [15] ~ეგე ყოველივე B; ეგე – E.

და ესრეთ შევიდა იგი წმიდად ეკლესიად და მიერითგან მოიგო ცხორებაჲ სათნოჲ და შეინანნა[1] ყოვლითა გულითა ცოდვანი იგი პირველნი და იქმნა ჭურ რჩეულ უფლისა.

XIII. 1. თქუა **მამამან ლონგინოს**[2]: მარხვაჲ დაამდაბლებს ჴორცთა, მღჳძარებაჲ განსწმედს გონებასა, დაყუდებაჲ მოართუამს გლოვასა, ხოლო გლოვაჲ და ტირილი ნათელ-სცემს კაცსა და ჰყოფს მას რაჲთურთით ყოლად უცოდველ.

2. აქუნდა უკუე **მამასა ლონგინოსს**[3] ლმობიერებაჲ ფრიადი ლოცვასაცა შინა და გალობასა მისსა. დღესა ერთსა ჰრქუა მოწაფემან მისმან: ესრეთ არსა, მამაო, წესი და კანონი სულიერი, რაჲთა ტიროდის მონაზონი ლოცვასა შინა თჳსსა? ჰრქუა მას ბერმან: ჰᲾ, შვილო, ესრეთ არს წესი და კანონი, რომელი უჴმს ღმერთსა. და რამეთუ არა შექმნა ღმერთმან კაცი, შვილო, ტყებისათჳს და გოდებისა, არამედ შექმნა, რაჲთა იშუებდეს და იხარებდეს[4] იგი და ადიდებდეს დამბადებელსა უცოდველად ანგელოზთა თანა წმიდათა. ხოლო[5] ვინაჲთგან შემოჴდა ცოდვაჲ და შთავარდა კაცი ცთომასა, მიერითგან დაესაჯა მას ტირილი და რამეთუ სადა ცოდვაჲ არა არს, მუნ არა საჴმარ არს ტირილი.

XIV. 1. ჰკითხეს ვიეთმე მამათა **მამასა მაკარის მეგჳპტელსა** და ჰრქუეს: ვითარ, მამაო, მარხვასაცა და ჭამასა[6] გუამი შენი ერთვე ჴმელ არს. ჰრქუა მათ ბერმან: შეშაჲ რომლითა აქცევედ[7] ცეცხლსა, ნედლი თუ იყოს, გინა ჴმელი, შეიჭამებინ იგი ცეცხლისა მისგან. ესრეთვე სახედ არს კაცი, უკუეთუ განიწმიდოს კაცმან გონებაჲ თჳსი შიშითა ღმრთისაჲთა, იგივე შიში ღმრთისაჲ შეშჭამს ძუალთა[8] და ჴორცთა მისთა.

2. /88/ მიუმცნეს ოდესმე ბერთა მთისათა **მამასა მაკარის** სკიტეს და ჰრქუეს: რაჲთა არა მოშურეს ყოველი ესე ერი მანდა[9], გლოცავთ შენ, რაჲთა მოხჳდე ჩუენდა და ღირს-გუყვნე ხილვისა[10] შენისა, ვიდრე მისლვადმდე შენდა ღმრთისა. აღდგა მამაჲ მაკარი და წარვიდა მათა[11] მთასა. და შეკრბა ყოველი იგი ერი მისა[12] და ევედრნეს მას ბერნი ფრიად, რაჲთა ჰრქუას ძმათა სიტყუაჲ ცხორებისაჲ. ხოლო მან ვითარცა იხილა ესე და ესმა, ჰრქუა მათ[13]: ვტიროდით, ძმანო, ვტიროდით, და გარდამოადინებდინ თუალნი ჩუენნი წყაროსა ცრემლთასა, ვიდრე განსლვადმდე ჩუენდა ამიერ და წარსლვად ჩუენდა[14] სხუასა მას სოფელსა, სადა-იგი უჴმარ იყოს გლოვაჲ, არამედ ცეცხლ გუექმნეს ტირილი ჩუენი. და იტირა ფრიად ყოველმან მან[15] სიმრავლემან. და დაცჳვეს ყოველნი პირთა ზედა მათთა და თქუეს: ლოცვა ყავთ ჩუენთჳს, მამაო!

---

[1] შეინანნა] შეინანა BCE. [2] ლონგინოს] ლონგინოზ B. [3] ლონგინოსს] ლონგინოზს C. [4] ~ იხარებდეს და იშუებდეს C. [5] ხოლო + აწ B. [6] მარხვისაცა და ჭამისა B; ჭამასაც აE. [7] რომლითა აქცევედ] რომელი თანაიქცევედ C. [8] ძუალთა] ძუალთაცა C. [9] მანდა – C. [10] ხილვისა] ხილვასა C. [11] მათა] მათდა E. [12] მისსა B. [13] მათ-E. [14] ჩუენდა– B. [15] მან – B

3. თქუა **მამამან პაფნოტი მოწაფემან მამისა მაკარისმან,** ვითარმედ: იტყოდა ოდესმე ბერი: ოდეს ვიყავ ყრმაჲ და ვაძოებდ[1] ზროხათა სხუათა თანა ყრმათა, წარვიდეს ყრმანი იგი და იპარეს ლეღჳ და სირბილსა მას შინა[2] მათსა დაჰვარდა მათგან ერთი ლეღჳ, ხოლო მე აღვიღე იგი და შევჭამე. და ოდეს მომეკსენოს იგი[3], ვზი და ვტირ[4].

4. თქუა **მამამან მაკარი**: ვიდოდე ოდესმე უდაბნოს და ვპოვე[5] ქუემდებარედ თავი კმელი კაცისაჲ და ვარქუ მას: შენ ვინ ხარ? და თავმან მან[6] მომიგო მე: მღდელთმოძღუარი ვიყავ კერპთა და წარმართთაჲ მათ, რომელნი მყოფ იყვნეს ადგილსა ამას, ხოლო შენ ხარ მაკარი სულითა შემოსილი, რამეთუ ოდეს მოწყალჱ იქმნე ჯოჯოხეთს დასჯილთათჳს და ილოცო მათთჳს, მიიღებენ მცირედ ნუგეშინისცემასა. ჰრქუა მას ბერმან: და რაჲ არს ნუგეშინისცემაჲ იგი, ანუ რაჲ არს სასჯელი იგი? ჰრქუა მას თავმან მან: რაოდენ შორავს ცაჲ ქუეყანასა[7], ესოდენი სხუაჲ აქუს სიღრმე სასჯელსა მას /88v/ სადა/-იგი ჩუენ დაშჯილ ვართ და ვდგათ ფერჴთაჲთგან, ვიდრე თხემადმდე[8] შორის საკუმილსა მას ცეცხლისასა. და არა არს მუნ რაჲთურთით ხილვაჲ[9] პირსა ერთისაგან მეორისაჲ, არამედ კაცად-კაცადისა პირი ზურგსა სხჳსასა დამართებულ არს. და რაჟამს ილოცო შენ ჩუენთჳს, მაშინ მცირედ რაჲმე ვხედავთ პირსა ურთიერთარს[10] და ესე არს ნუგეშინისცემაჲ ჩუენი. ამას ზედა ტიროდა ბერი და თქუა: ვაჲ, და ვაჲ გლახ[11] დღესა მას, რომელსა შინა იშვა კაცი! მერმე ჰრქუა მას: კუალად არსა სხუაჲ სატანჯველი უძჳრესი[12] მისა[13], რომელსა შინა ხართ თქუენ? ჰრქუა მას თხემმან მან: უძჳრესი სატანჯველი არს ქუეშეთ ჩუენსა. ჰრქუა მას ბერმან: და ვინ არიან უბადრუკნი იგი მას შინა? ჰრქუა მას თავმან[14]: ჩუენ, ვითარცა უმეცარნი ღმრთისანი, ბარე მცირედ შეწყალებულ ვართ, ხოლო რომელნი იცნობდეს ღმერთსა და უარ-ყვეს[15] იგი, ქუეშეთ ჩუენსა არიან იგინი. და აღიღო ბერმან თავი იგი და დაჰფლა მიწასა შინა.

XV. 1. ჰკითხა ძმამან **მამასა მოსეს** და ჰრქუა: რაჲ ყოს კაცმან ყოველთა შინა განსაცდელთა მომავალთა მის ზედა, ანუ ყოველთავე შინა[16] გულისსიტყუათა მისთა მოსრულთა მტერისა მიერ? ჰრქუა მას ბერმან: ტირილი უკმს წინაშე სახიერებათა ღმრთისათა, რაჲთა შეეწიოს მას და იკსნას იგი. და ადრე მიიღებს განსუენებასა, უკუეთუ გულისკმისყოფით ევედრბოდის[17], ვითარცა წერილ არს: არა შემეშინოს მე, რაჲ მიყოს მე კაცმან, რამეთუ[18] შენ ჩემ თანა ხარ.

---

[1] ვაძოებდ] ვაძოებდი B. [2] მას შინა – B; შინა – E. [3] იგი – E. [4] ვზი და ვტირ] ვიგლოვ BE. [5] ვპოვე] ვპოე C. [6] მან – B. [7] ქუეყანასა] ქუეყანისაგან C. [8] თხემადმდე] ყელადმედე BE. [9] ხილვად B. [10] ურთიერთარს] ურთიერთას C. [11] გლახ – B. [12] უძჳრესი] უძჳრეს C. [13] მის] მისსა B. [14] თავმან + მან B. [15] უარ-ყვეს] უვარ-ყვეს E. [16] შინა – BCE. [17] ევედრბოდის + იგი C. [18] რამეთუ – C.

2. თქუა **მამამან მოსე**: რაოდენნიცა ვიძლიენით ვნებათაგან ჴორციელთა, ნუმცა დავსცხრებით გლოვისაგან[1] და თავთა[2] ჩუენთა ტყებისა, ვიდრე მისლვადმდე ჩუენდა ტყებასა მას სასჯელისასა.

3. კუალად თქუა: ცრემლთა მიერ მოიგებს კაცი სათნოებათა და ცრემლთა მიერ მიემთხუევის შენდობასა ცოდვათასა. ხოლო ოდეს სტიროდი, ნუ აღიმაღლებ ჴმასა სულთქუმათა შენთასა და ნუმცა სცნობს ყოლად მარცხენე შენი, /89/ თუ რასა იქმს წუთღა მარჯუენე შენი, ხოლო ესე ყოველთა საცნაურ არს, რომელ მარცხენე არს ამპარტავანებაჲ.

XVI. ჰკითხა ძმამან **მამასა მატოჲს** და ჰრქუა: მარქუ მე სიტყუაჲ. ჰრქუა მას ბერმან: ყოველივე ცილობაჲ ყოვლისავეთჳს[3] საქმისა მოჰკუეთე შენგან და იგლოვდი და ტიროდი, რამეთუ მოახლებულ არს ჟამი.

XVII. გამოვიდა ოდესმე **მამაჲ მარკოზ** სკიტით და წარვიდა მთასა სინასა ყოფად მუნ. და მიუმცნო მოძღუარსა მარკოზისსა[4] ფიცით დედამან მისმან, რაჲთა გამოავლინოს ძჱ[5] მისი და იხილოს იგი. და ვითარცა აღიღო სიტყჳსაებრ ბერისა მალაკი თჳსი და მოვიდა მოკითხვად ბერისა, მეყსეულად შეიპყრა იგი ტირილმან და ვერღარა გამოვიდა.

XVIII. 1. წარჰვლიდა ოდესმე **მამაჲ პიმენ** ეგჳპტეს და იხილა დედაკაცი, რომელი ჯდა საფლავსა ზედა და ტიროდა მწარედ და თქუა: ამას უკუეთუ ვინ მოართუნეს ყოველნივე[6] სახიობანი სოფლისანი, ვერ უძლოს განცინებად. ესრეთვე უჴმს მონაზონსაცა, რაჲთა მარადის იგლოვდეს და ტიროდის.

2. კუალად თქუა: გლოვასა[7] ორკეცი აქუს შესაძინელი, ერთად იქმს და შურების კეთილსა და მეორედ დაჰმარხავს ნამუშაკევსა მას.

3. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: აბრაჰამ ოდეს შევიდა ქუეყანასა მას აღთქუმისასა, პირველად საფლავი მოიყიდა და საფლავისა მის მიერ დაიმკჳდრა[8] ქუეყანაჲ იგი. ჰრქუა მას ძმამან: რაჲ არს საფლავი? ჰრქუა მას ბერმან: ადგილი არს ტირილისა, გოდებისა და ტყებისაჲ.

4. წარჰვლიდეს ოდესმე **მამაჲ პიმენ და მამაჲ ანუბ**[9] კერძოთა ზღჳსკიდისათა და პოვეს დედაკაცი, რომელი ტიროდა მწარედ და ძნელად ეტყებდა[10] თავსა თჳსსა. /89v/ დადგეს მყოვარ[11] და ხედვიდეს მას. ხოლო მცირედ რაჲ წარვლეს, შეემთხჳნეს კაცსა ვისმე. ჰკითხა მას მამამან პიმენ და ჰრქუა: რაჲ შჭირს დედაკაცსა იმას, რამეთუ ესრეთ მწარედ ტირს? და მან თქუა: ქმარი მოუკუდა მას და ძჱ[12] და ძმაჲ. ჰრქუა მამამან პიმენ მამასა ანობს: ჭეშმარიტსა გეტყჳ შენ, უკუეთუ არა მოკუდეს კაცი ყოვლისაგანვე ჴორცთა ნებისა და მოიგოს გლოვაჲ ესე, ვერ ძალ-უც მონაზონყოფად,

---

[1] გლოვისაგან] გლოჲსაგან C. [2] თავთა] სულთა C. [3] ყოვლისავეთჳს] ყოვლისათჳს E. [4] მარკოზისსა] მარკოზისა E. [5] ძჱ] ძე E.[6] ყოველნივე] ყოველნივე – C; ყოველნი E. [7] გლოვასა] გლოასა E. [8] დაიმკჳდრა] დაჲმკჳდრა A. [9] ანუბ] ანობ E. [10] იტყებდა C. [11] მყოვარ] მყუარ E. [12] ძჱ] ძე BCE.

რამეთუ სრულად ყოველი[1] ცხორებაჲ მისი და გული და გონებაჲ გლოვაჲ არს და ტყებაჲ.

5. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: რაჲ უყო ცოდვათა ჩემთა, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: რომელსა ენებოს ჴსნაჲ ცოდვათაგან, გლოვითა დაეჴსნების და ტირილითა. და რომელსა უნდეს მოგებაჲ სათნოებათაჲ, გლოვითა მოიგებს მათ. და რამეთუ გზაჲ ცხორებისაჲ გლოვაჲ[2] არს, რომელსა მსწავლიან[3] ჩუენ წერილნიცა, წმიდანი მამანიცა და მეტყჳან: ტიროდეთ, კაცნო, ტიროდეთ, რამეთუ სხუაჲ გზაჲ არა არს, თჳნიერ ესე!

6. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: რაჲ უყო, მამაო, შფოთთა ჩემთა, რომელნი აღმძრვენ მე[4] გულისწყრომად? ჰრქუა მას ბერმან: ვტიროდით, ძმაო[5], წინაშე სახიერებათა ღმრთისათა ყოველსა ჟამსა და ადგილსა, ვიდრემდე ყოს ჩუენ თანა წყალობაჲ.

7. გჳთხრა ჩუენ **მამამან იოსებ, რამეთუ თქუა მამამან ისაკ**, ვითარმედ: ვჯედ ოდესმე მამასა პიმენს თანა და ვიხილე იგი აღტაცებულად გონებითა. და ვინაჲთგან მაქუნდა ფრიადი კადნიერებაჲ მისა[6] მიმართ, შეუვრდი მას და ვჰლოცევდ[7], რაჲთა მითხრას მე, თუ სადა იყო. ხოლო იძულებულ იქმნა რაჲ ჩემგან, თქუა: გულისსიტყუაჲ ჩემი მუნ იყო, სადა-იგი ყოლად წმიდაჲ ღმრთისმშობელი მარიამ მდგომარე იყო და ტიროდა წინაშე ჯუარსა მას მაცხოვარისასა, ვინაჲცა მენება მეცა, რაჲთამცა ყოლადვე ესრეთ ვტიროდე.

8. /90/ ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: ოდეს მოხედვა ყოს ღმერთმან წოდებად ჩუენდა, რაჲ არს რომელსა-იგი ვზრუნნავთ? მიუგო ძმამან: ცოდვათა ჩუენთა ვზრუნავთ, მამაო. ჰრქუა მას ბერმან: შევიდეთ, ძმაო[8], სენაკად ჩუენდა და დავსხდეთ და მოვიჴსენნეთ ცოდვანი ჩუენნი, და ვსტიროდით სულთა ჩუენთა, წინაშე უფლისა ღმრთისა, შემოქმედისა ჩუენისა და იგი თავადი შემწე მეყოს[9] ჩუენ ყოველსა შინა.

XIX. ნეტარი ათანასე ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსი ევედრა **მამასა პამბოს,** რაჲთა შთავიდეს უდაბნოჲთ ალექსანდრიად. და ვითარცა შთავიდა, იხილა ვინმე დედაკაცი საეროჲ და იწყო ტირილად. ჰკითხვიდეს მას, რომელნი-იგი[10] ხედვიდეს, თუ რაჲსათჳს ტირს. ხოლო მან ჰრქუა: ვტირ ორთათჳს მიზეზთა, ერთად წარწყმედისათჳს სულისა მისისა და მეორედ ჩემთჳს, რამეთუ[11] არა მაქუს ესოდენი მოსწრაფებაჲ სათნოყოფისათჳს ღმრთისა, რაოდენ[12] აქუს ამას სათნოყოფისათჳს კაცთა საძაგელთაჲსა.

---

[1] ყოველი – C. [2] გლოვაჲ] გლოაჲ E. [3] მსწავლიან] მასწავლიან B. [4] მე – BE. [5] ძმაო] ძამანო B. [6] მისსა B. [7] ვჰლოცევდ] ვჰლოცევდი B. [8] ძმაო] ძმანო B. [9] მეყოს] გუექმნეს C. [10] რომელნი-იგი] რომელნი E. [11] რამეთუ] რომელ B. [12] რაოდენ] რაოდენი C.

XX. თქუა **მამამან პავლე**: ლიემყრალსა[1] შინა დაფლულ ვარ მწყრისასა ვიდრე ყელადმდე. ამისთჳს ვტირ წინაშე იესუსა და ვეტყჳ[2]: შემიწყალე მე, უფალო!

XXI. 1. ჯდა ოდესმე **მამაჲ სილოვანე** ძმათა ვიეთმე თანა და მიეცა განკჳრვებასა. მერმე დავარდა პირსა ზედა თჳსსა და მყოვარჟამ[3] მდებარე იყო. ხოლო აღდგა რაჲ მიერ, იწყო ფიცხლად ტირილად. შეუვრდეს[4] მას ძმანი იგი და ეტყოდეს: რაჲ გჭირს, მამაო, გუაუწყე ჩუენცა. ხოლო იგი ტიროდა დუმილით, მერმე აიძულეს[5] რაჲ მას[6] მეტად, ჰრქუა: მე სასჯელად მივიტაცე და ვიხილენ[7] მუნ მრავალნი ჩუენსახენი მიმავალნი ჯოჯოხეთად, ხოლო ერისკაცნი /90v/ აღმავალნი სასუფეველად. და ტიროდა ფრიად ბერი[8] ამას ზედა და არღარა[9] ენება გამოსლვაჲ სენაკით. ხოლო უკუეთუ სამე[10] იიძულის გამოსლვად, დაიბურის[11] კუკულითა პირი თჳსი და იტყჳნ: რადღა მიჴმს ხილვად ნათელსა ამას წარმავალსა, რომელსა არარაჲ აქუს სარგებელი.

2. ძმამან ჰკითხა **მამასა სილოანეს**[12] და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, ვითარ მოვიგო ლმობიერებაჲ, რამეთუ ფრიად მებრძვის მე მოწყინებაჲ და ძილი. და ოდეს აღვდგე განთიად ლოცვად, დიად ვებრძვი და თჳნიერ ჴმითა ჟამობისა ფსალმუნსა[13] არა ვიტყჳ და ვერ შეუძლე ძლევად ძილსა და მცონარებასა. ჰრქუა მას ბერმან: შვილო, ფსალმუნისა[14] ჴმითა მეტყუელებაჲ და თჳსაგან ჟამობაჲ პირველი[15] არს ამპარტავანებისაჲ და სილაღე არს სრული. ესე იგი არს, მე ვგალობ, ხოლო ძმაჲ ჩემი არა გალობს, რამეთუ ჴმითა ჟამობაჲ განაფიცხებს გულსა და დააბრმობს გონებასა და არა უტევებს სულსა მოსლვად ლმობიერებად. აწ უკუე გნებავს თუ მოგებაჲ ლმობიერებისაჲ, დაუტევე ჴმითა ჟამობაჲ და ოდეს წარსდგე წინაშე უფლისა და ჰყოფდე ლოცვასა შენსა პირიმცა გალობს შენი, ხოლო გონებაჲ ძალსა მასმცა[16] განიცდის ფსალმუნისასა. და დაიმტკიცე[17] ესე თავსა შორის შენსა, ვითარმედ წინაშე ღმრთისა სდგა, რომელი განმკითხველი არს გულთა და თირკუმელთაჲ. და ოდეს ძილისაგან აღსდგე, პირველად ყოვლისა ადიდებდესმცა პირი შენი ღმერთსა და ნუ მეყსეულად იწყებ კანონსა შენსა, არამედ გამოვედ გარე სენაკისაგან და მცირედ მიმოვლე და იტყოდე: მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა. მერმე შევედ, დაიწყე[18] კანონსა შენსა ნელიად-ნელად[19] და ზედაჲსზედა სულთ-ითქუემდ[20] და იჴსენებდ /91/ ცოდვათა შენთა და

---

[1] ლიემყრალსა] ლიემპარსა B. [2] ვეტყჳ] ვიტყჳ BCE. [3] მყოვარჟამ] მყუარჟამ E. [4] შეუვრდეს] შეურდეს B. [5] აიძულეს] აჲძულეს A. [6] მას –E. [7] ვიხილენ] ვიხილენით B. [8] ~ ბერი ფრიად BC. [9] აქ E ნუსახა წყდება. [10] სამე] საქმე B. [11] დაჲბურის] დაჲბურის A. [12] სილოანეს] სილოვანეს BC. [13] ფსალმუნსა] ფსალმონსა B; ფსალმუნთა C. [14] ფსალმუნისა] ფსალმონსა B. [15] პირველი + ბოროტი B. [16] ძალსა მასმცა] ძალსამცა B. [17] დაიმტკიცე] დაჲმტკიცე A. [18] დაიწყე] დაჲწყე A. [19] ნელიად-ნელიად B] ნელად C. [20] სულთ-ითქუემდი B.

სასჯელსა მას, რომელსა შინა გეგულების ტანჯვაჲ. მიუგო ძმამან ბერსა: მე, მამაო, რაჲთგან მონაზონ ქმნილ ვარ, კანონსა ჩემსა და ჟამთა რვათავე ჴმათა ზედა ვფსალმუნებ[1]. ჰრქუა მას ბერმან: ამისთჳს ივლტის შენგან, ძმაო, ლმობიერებაჲ და გლოვაჲ, რამეთუ მოიჴსენენლა ნეტარნი და წმიდანი დიდნი მამანი ჩუენნი, თუ ვითარ მდაბიურნი[2] იყვნეს და უსწავლელნი და არარაჲ იცოდეს ყოლად, თჳნიერ მცირედნი ფსალმუნნი[3] და არცა ავაჯთა იცნობდეს[4], არცა ჴმათა[5], არცა ჟამობაჲ ესწავლა, არცა ძლისპირი და სახედ ელვარეთა მნათობთა განბრწყინდეს სოფელსა შინა. და ეწამებიან სიტყუათა ამათ ჩემთა მამაჲ პავლე და მამაჲ ანტონი და მამაჲ პავლე წრფელი, მამაჲ პამბო და მამაჲ აპოლო და შემდგომითი შემდგომად ყოველნივე წმიდანი მამანი, რომელთა-იგი მკუდარნიცა აღადგინნეს და ეშმაკთა ზედა ძლევაჲ მიიღეს, არა ჴმაჰამოდ გალობითა, არცა ძლისპირთა და ავაჯთა ჟამობითა, არამედ ლოცვითა და მარხვითა. და რამეთუ არა სიჰამე ჴმათა ჟამობისაჲ არს რომელი აცხოვნებს კაცსა, არამედ შიში ღმრთისაჲ და დამარხვაჲ ქრისტეს მცნებათაჲ, თუ არა, ჟამობასა და ჴმატკბილად გალობასა მრავალნი ქუესკნელად შთაუჴდიან არა ოდენ ერისკაცნი, არამედ მონაზონნიცა. და სიძვათა ბოროტთა და ვნებათა[6] შინა შთაუბნევიან. ვინაჲცა, შვილო, ჟამობაჲ და ჴმოანად გალობაჲ ერისკაცთაჲ არს და ამისთჳს შეკრბების ერი სამარადისოდ ეკლესიად[7]. მოიჴსენელა, შვილო, და მოიგონე თუ რაოდენი დასი არს მათ ზეცისათაჲ და არასადა წერილ არს მათთჳს თუ რვათავე ზედა ჴმათა ჟამობენ. არამედ დასი ერთი გალობს დაუცხრომელად „ალელუჲასა“ ოდენ და მეორე დასი: „წმიდა არს უფალი საბაოთ“ /91v/, ხოლო მესამე იგი მწყობრი იტყჳს: „კურთხეულ არს დიდებაჲ უფლისაჲ ადგილისაგან და სახლისა მისისა“. შენ უკუე, შვილო, შეიტკბე სიმდაბლე იგი ქრისტესი, შეიკრძალე თავი შენი და დაიცევ[8] გონებაჲ შენი ჟამსა ლოცვისასა. და სადაცა წარხჳდე ნუ გამოაჩინებ თავსა შენსა მეცნიერად და მოძღურად, ნუცა ბრძნად და გონიერად, არამედ იყავ მდაბალ, წრფელ და[9] უმანკო და ღმერთმან მოგცეს შენ ლმობიერებაჲ სხუასა მას თანა მწყობრსა ყოველთა სათნოებათასა.

XXII. 1. იტყოდეს **მამისა სერაპიონისთჳს,** ვითარმედ: ესრეთ იყო ცხორებაჲ მისი ვითარცა ერთისა რაჲსმე[10] მფრინველთაგანისაჲ, რომელმან არა მოიგო რაჲთურთით მონაგებთაგან ამის საწუთროჲსათა, ვიდრეღა არცა თუ დაადგრა სენაკსა შინა, არამედ სინდონი[11] ერთი ემოსა, რომელ არს პალეკარტი, და მცირე სახარებაჲ აქუნ[12] ჴელთა და ესრეთ მიმოიქცევინ იგი და ვალნ ვითარცა უჴორცოჲ. მრავალგზის იპოვის იგი მჯდომარე

[1] ვფსალმუნებ] ვფსალმონებ B. [2] მდაბიორნი B. [3] ფსალმუნნი] ფსალმონნი B. [4] იცნობდეს + და BC. [5] ჴმათა + და B. [6] და ვნებათა – C. [7] ეკლესიად – C. [8] აქედან E ნუსახა კვლავ გრძელდება 32r-ზე. [9] და – B. [10] რაჲსმე] რაჲსამე E. [11] სინდონი] სიდონი B. [12] აქუნ] აქუნდა BC.

გზასა ზედა გარეშე დაბისა და მწარედ მტირალი, ვიდრეღა ჰკითხვიედ[1] მას თანაწარმავალნი იგი გზისანი და ეტყჳიედ: რაჲსათჳს ესრეთ სტირ, ჲ კაცო? ხოლო იგი ეტყჳნ მათ ესრეთ[2]: მეუფემან ჩემმან მარწმუნა სიმდიდრე თჳსი დიდძალი და წარვწყმიდე იგი და აწ ეგულების ტანჯვაჲ ჩემი. ესმინ რაჲ ესე მოგზაურთა მათ, ჰგონებედ[3] იგი, ვითარმედ ოქროსა იტყჳს და საფასეთა წარმავალთა, ვინაჲცა[4] მრავალგზის მიუგდიან[5] მას მცირე პურის ნატეხი და ჰრქჳან: მიიღე, ძმაო, ესე და ჭამე და სიმდიდრე იგი, რომელ წარწყმიდე, შემძლებელ არს ღმერთი კუალად მოცემად მისა. და ბერმან თქჳს: ამინ!

2. ბერმან თქუა: დიდი ღუაწლი აქუს და შრომაჲ ფიცხელი პირველ მათ, რომელნი მოუჴდებიან ღმერთსა, ხოლო უკუანაჲსკნელ შეექმნების მათ სიხარული გამოუთქუმელი, ვითარცა სახედ შეემთხუევის მათ, რომელნი აღგზებად /92/ ცეცხლისა მოსწრაფე იყვნენ[6], რამეთუ პირველად კუამლცემულნი ცრემლოჲან[7] და ესრეთღა აღაგზნებენ ლამპარსა მას მათსა და საჴუმილსა. ესრეთვე უკუე იქმნების მოსურნეთაცა[8] ზედა ღმრთისათა საღმრთოჲ იგი მჴურვალებაჲ, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: „ღმერთი ჩუენი ცეცხლ შემწუველ არს“, ვინაჲცა ჯერ არს ჩუენდა ცეცხლსა მას სანატრელსა და საწადელსა აღგზებად თავთა შორის ჩუენთა შრომითა მრავლითა და[9] ნაკადულითა ცრემლთაჲთა.

XXIII. თქუა **მამამან იპერექი**[10]: დღედ შეიქმს ღამესა[11] მონაზონი მღჳძარე შემსჭუალვითა ლოცვისაჲთა, სწყლავს სულსა თჳსსა და გარდამოადენს[12] ნაკადულსა ცრემლთასა, ვინაჲცა მოიზიდავს ზეცით წყალობასა ღმრთისასა.

XXIV. მივიდა[13] ოდესმე ძმაჲ ვინმე **მამისა ფილიკისა** და თანა ჰყვეს რაოდენნიმე ერისკაცნი და ეტყოდა ბერსა: გუარქუ ჩუენ, მამაო, სიტყუაჲ. ხოლო ბერი დუმნა. ჰლოცვიდა კუალად ძმაჲ იგი და ეტყოდა ბერსა: მამაო, მარქუ ჩუენ სიტყუაჲ. მერმე ჰრქუა მათ ბერმან: სიტყუაჲ გნებავსა სმენად? და მათ ჰრქუეს: ჰჱ, მამაო. და ბერმან ჰრქუა მათ: აწ არღარა არს სიტყუაჲ, რამეთუ ოდეს ჰკითხვიდეს ძმანი ბერთა და იქმოდეს მათ მიერ თქუმულსა, ღმერთი მისცემდა ბერთა სიტყუასა თუ რაჲ თქუან. ხოლო აწ, ვინაჲთგან ჰკითხვენ და არა იქმან რაჲ-იგი ესმის, აღიღო ღმერთმან მადლი იგი ბერთაგან და ვერ[14] ჰპოებენ, თუ რაჲ თქუან, ამისთჳს რამეთუ არა არს მოქმედი. ესმა რაჲ ესე ძმათა მათ სულთ-ითქუნეს და ჰრქუეს[15]: ლოცვა ყავ ჩუენთჳს, მამაო.

XXV.1. იტყოდეს **მამისა ორისთჳს და მამისა თევდორესთჳს** ვითარმედ: თიჴაჲ შექმნეს, რაჲთა განგოზონ სენაკი. მერმე ჰრქუეს ურთიერთარს: აწ

---

[1] ჰკითხვედB; ჰკითხვიდეს C. [2] ~ ესრეთ მათ B. [3] ჰგონებედ] ჰგონებდიან BE. [4] ვინაჲცა] ვიდრემდის BE. [5] მი-ცა-უგდიანB. [6] იყვნენ] იყვნიან C. [7] ცრემლოჲან] ცრემლოდიან BE. [8] მოსურნეთაცა] მოსურნეთა B. [9] ~ და მრავლითა C. [10] იპერექი] იპერიქე BE. [11] ~ მონაზონი ღამესა C. [12] გარდამოადენს] გადამოადინებს B. [13] მოვიდა BE. [14] ვერ] ვერღარა B. [15] ჰრქუეს] თქუეს B.

უკუეთუ მოხედვა ყოს ღმერთმან ჩუენ ზედა და გჳწოდოს ჩუენ, რაჲ[1] ვყოთ? /92v/ და ესრეთ იტირეს ორთავე და დაუტევეს თიჴაჲ იგი მუნვე მდებარედ და წარვიდა თჳთოეული[2] მათი სენაკად თჳსა.

1. მახლობელად ბერისა ვისამე[3] მკჳდრ იყო ძმაჲ ვინმე უდები მცირედ მონაზონებისა ღუაწლთა შინა. ესე განვიდოდა[4] რაჲ ამიერ სოფლით, სხდეს მის თანა ვიეთნიმე მამათაგანნი და ხედვიდა ბერი, რამეთუ მხიარულებით და უჭირველად განვიდოდა ჴორცთაგან, ვინაჲცა ინება აღშენებაჲ ძმათაჲ[5] და ჰრქუა მას: გრწმენინ, ძმაო, ერთბამად გიცნობთ შენ, რამეთუ არა ფრიად მოსწრაფე იყავ მოღუაწებათათჳს და ვითარ აწ გულსმოდგინედ განხუალ ამიერ? ჰრქუა ბერსა ძმამან[6]: გრწმენინ, მამაო, ჭეშმარიტი სთქუ, გარნა რაჲთგან ვიქმენ მე მონაზონ, არა მაჴსოვს რაჲთამცა განმეკითხა კაცი და უკუეთუ ვისმე შეველალი, მასვე ჟამსა[7] დავეგი მას[8]. და აწ მნებავს სიტყუად ღმრთისა მიმართ, ვითარმედ: შენ სთქუ თავადმან, მეუფეო, „ნუ განიკითხავთ და არა განიკითხნეთ და მიუტევეთ და მოგიტევნენ თქუენ!“[9] ჰრქუა მას ბერმან: მშჳდობაჲ შენდა, შვილო, რამეთუ თჳნიერ ღუაწლთა და შრომათა სცხოვნდი[10].

2. ბერმან თქუა, ვითარმედ: იყო ვინმე ძმაჲ, რომელი მკჳდრ იყო სენაკებსა და დაყო ოცი წელიწადი დღე და ღამე აღმოკითხვასა შინა წმიდათა წერილთასა. აღდგა უკუე დღესა ერთსა და განყიდა ყოველივე იგი წიგნები, რაოდენიცა მოეგო და განუყო გლახაკთა და თჳთ წარვიდა უშინაგანესსა უდაბნოსა. შეემთხჳა მას მამაჲ ისაკ და ჰრქუა: სადა წარხუალ, შვილო? მიუგო ძმამან და ჰრქუა: მაქუს ოცი წელიწადი, მამაო, რაჲთგან აღმოვიკითხავ სიტყუათა[11] წმიდათა წერილთასა და აწ მნებავს, /93/ რაჲთა საქმითცა ჴელ-ვყო აღსრულებად, რასა-იგი აღმოვიკითხევდ წიგნთა შინა. და ყო ლოცვაჲ ბერმან და განუტევა იგი.

3. მივედით ოდესმე კანოპონს ალექსანდრიაჲსასა, რომელი ახს ქალაქსა, ვითარ ათ მილიონ. და მივემთხჳენით მამასა თეოდორეს კაცსა მოთმინესა და მოღუაწესა და მადლითა საღმრთოჲთა აღსავსესა. ამან მომითხრა ჩუენ ესე, ვითარმედ: ძმაჲ ვინმე მკჳდრ იყო სენაკებს, რომელსა აქუნდა მადლი ლმობიერებისაჲ. დღესა ერთსა შეემთხჳა მას უმეტესიღა გულისკლებაჲ და მოეცა მას მდიდრად წყაროჲ ცრემლთაჲ. და ვითარცა იხილა ძმამან მან[12] ესე, თქუა თავსა შორის თჳსსა, ვითარმედ: ესე ჭეშმარიტად ნაშანი არს და სასწაული სიკუდილისა ჩემისაჲ, ნანდჳლვე დასტურად მოახლებულ არს დღე აღსასრულისა ჩემისაჲ. ამას რაჲ იგონებ, უმეტესად განმრავლდის მის შორის ნეკტარი იგი და ნაკადული ცრემლთაჲ. და მან კუალად ვითარცა

---

[1] რაჲ] რაჲმე B. [2] თჳთოეული] თითოეული E. [3] ვისამე] ვისსამე BE. [4] აქ E ნუსხა წყდება. [5] ძმათაჲ + მამამან (ჩამატებული) B. [6] ძმამან + მან C. [7] ჟამსა + მოუჴი და C. [8] მას – B. [9] ლ. 6,37. [10] სცხოვნდი] სცხონდი C. [11] სიტყუათა] სიტყუასა B. [12] მან – C.

იხილის ცრემლი განმრავლებულად, მასვე იტყჳნ, ვითარმედ: ჭეშმარიტად მოახლებულ არს ჟამი[1] და ესრეთ დღითიდღე უმეტეს და უმეტეს გოდებდა ძმაჲ იგი სანატრელი. ხოლო ჩუენ სარგებელ-გუეყო[2] ფრიად თხრობაჲ იგი ბერისაჲ. ამისთჳსცა ვჰკითხეთ მას ვითარებისათჳს ცრემლთაჲსა, თუ ვითარ ოდესმე თჳთ თავით თჳსით მოვლენ იგი[3] და ოდესმე არცაღათუ შრომით მოვლენ. და ბერმან თქუა: ცრემლნი მსგავს არიან ზამთარსა და წჳმასა, ხოლო მონაზონი მსგავს არს მუშაკსა. უჴმს უკუე, რომელი მოვალს სამუშაკოსა მას მონაზონებისასა, რაჲთა არარაჲ წარაჴდუნვოს ცუდად წჳმისა მისგან, არამედ რაჲთა ყოველივე შეუგდოს ყანათა თჳსთა და ბოსტანთა. ჭეშმარიტსა გეტყჳ თქუენ, შვილნო, რამეთუ მრავალგზის /93v/ იპოვის წჳმაჲ დღისა ერთისაჲ და სძლის სრულისა წელიწდისა ნამუშაკევსა და აღავსის[4] უხუებითა კეთილთაჲთა ნაყოფიერებაჲ მტილთა, ვენაჴთა და ყანობირებთაჲ. და ამისთჳს ჯერ არს გულსმოდგინედ შეკრძალვაჲ ჟამსა მას და დღესა, ოდეს მოვიდეს, რაჲთა მოცალებით და სურვილით და მჴურვალედ ვევედრნეთ ღმერთსა მაშინ, რამეთუ არა უწყით, უკუეთუ ვპოოთღა სხუასა ჟამსა ეგევითარი იგი წჳმაჲ საცხორებელი სულისაჲ. ხოლო ჩუენ კუალადცა ვჰკითხეთ მას და ვარქუთ: და ვითარ ვინ დაიცვას[5], მამაო, ლმობიერებაჲ, ოდეს მოვიდეს? და ბერმან თქუა: რაჲთა არავისა[6] მივიდეს კაცთაგანისა მას დღესა და ჟამსა და რაჲთა დაიცვას[7] მუცელი თჳსი და გონებაჲ, რაჲთა არა ეოცოს ყოლადვე თუ ტირს და რაჲთა მოიცალოს ლოცვად და წიგნისკითხვად, გარნა ყოველსავე ზედა, ოდეს მოვიდეს ჩვენ თანა გლოვაჲ, მან მასწავნეს ჩუენ საქმენიცა, რომელნი შეეწევიან და არგებენ, ანუ რომელნი დამახრწეველ ექმნებიან და ავნებენ.

4. და მომითხრა ჩუენ კუალად სხუაჲცა თხრობაჲ ესევითარი, ვითარმედ: ვიხილე ძმაჲ, რომელი მჯდომარე იყო სენაკსა შინა თჳსსა და შურებოდა სირასა, ესე იგი არს თხზვიდა ბაიასა[8]. და გარდამოდიოდეს თუალთაგან მისთა ცრემლნი ვითარცა ნეკტარნი მდინარისანი და აღდგის ლოცვად და მეყსეულად დაეყენნიან. და კუალად დაჯდის და იქმნ ბაიასა[9] და შემოუკრბის გონებაჲ მისი და მეყსეულად მოვიდიან ცრემლნი. ესრეთვე სახედ წიგნისკითხვასაცა მსგავსადვე შეემთხუეოდის და მოვიდის[10] რაჲ ლმობიერებაჲ, მსწრაფლ აღდგის ლოცვად და მეყსეულად განეშორნიან ცრემლნი და ვითარცა წიგნი კუალად მიიღის, კუალად მოვიდიან. მერმე თქუა ძმამან მან, ვითარმედ: კეთილად თქუეს წმიდათა მამათა, რამეთუ /94/ გლოვაჲ[11] მოძღუარი არს და იგივე თჳთ ასწავებს კაცსა ყოველსავე, რაჲცა ერგებოდის და მოეზავებოდის.

---

[1] ჟამი + სიკუდილისაჲ B. [2] სარგებელ-გუეყო] სარგებელ-მეყო B. [3] იგი] იგინი C. [4] აღავსის] აღივსის C. [5] დაიცვას] დაჲცვას A. [6] არავისსა B. [7] დაიცვას] დაჲცვას A. [8] ბაიასა] ბაჲასა AE. [9] ბაიასა] ბაჲასა A. [10] მოვიდის] მივიდის C. [11] B ნუსხაში ტექსტი გრძელდება 90r-ზე.

5. კუალად მომითხრა[1] ჩუენ ბერმან, ვითარმედ: ძმასა ვისმე ენება განშორებაჲ სოფლით და მონაზონებაჲ და დაიხრწეოდა იგი დედისაგან თჳსისა. ხოლო იგი ეგის თჳსსავე ზედა ცილობასა და ეტყჳნ დედასა თჳსსა: განმიტევე მე[2], რამეთუ ცხოვნებაჲ[3] მნებავს სულისა ჩემისაჲ. და ვითარცა მრავალგზის აიძულა[4] მშობელმან მისმან პყრობად მის თანა ძჱ[5] იგი, და ვერ უძლო, მერმე განუტევა იგი წარსვლად. აღდგა უკუე იგი და[6] წარვიდა და მონაზონ იქმნა და უდბებით[7] ცხორებასა შინა წარჰჴადნა დღენი თჳსნი[8]. იქმნა ამას ზედა სიკუდილი დედისა მისისაჲ და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა დასნეულდა იგიცა სნებითა სასიკუდინოჲთა, ვიდრეღა განწირულ იქმნა მკურნალთაგან. და[9] იქმნა რაჲ იგი განკჳრვებასა შინა, მეყსეულად აღიტაცა იგი[10] და მიიტაცა სასჯელად და პოვა მუნ დედაჲ თჳსი დასჯილთა თანა. იხილა რაჲ მან ძჱ თჳსი მუნვე მისრული, განცჳბრდა და თქუა: რაჲ არს ესე, შვილო, და შენცა ადგილსავე[11] ამას დაისაჯეა[12] ანუ სადა არიან აწ სიტყუანი იგი, რომელთა მეტყოდე, ვითარმედ ცხოვნებაჲ მნებავს სულისა ჩემისაჲო? სირცხჳლეულ უკუე იქმნა ამას ზედა და კდემულ[13] ძმაჲ იგი[14] და შეურვებული მდგომარე იყო და არა აქუნდა, თუ რაჲ მიუგოს. მერმე ესმა კუალად სხუაჲ ჴმაჲ რომელი იტყოდა: აღიღეთ ესე ამიერ, რამეთუ სხჳსა მონაზონისა წარგავლინენ თქუენ, მის რომლისამე საკრებულოჲსა, რომელსა ერთი და იგივე ეწოდების სახელი. ხოლო აღსასრულად რაჲ მივიდა ხილვად იგი, მოეგო /94v/ თავსა თჳსსა ძმაჲ იგი[15] და მიუთხრა მუნ მყოფთა მათ ყოველივე. ხოლო სიმტკიცისათჳს და ჭეშმარიტებისა თქმულთაჲსა წარავლინა ძმაჲ ერთი საკრებულოსა მას მონასტერსა ხილვად ძმისა მის, რომლისათჳს ესმა, უკუეთუ ნანდჳლვე მიიცვალა. და წარვიდა რაჲ მივლინებული იგი, პოვა ეგრეთ, ვითარცა ჩუენებასა მას ეუწყა. ხოლო ვითარცა მოეგო თავად თჳსად ძმაჲ იგი და უძლურებისა მისგან აღფოლხუდა, შეაწყუდია თავი თჳსი სენაკსა შინა ერთსა[16], დაჯდა და ზრუნვიდა სულსა თჳსსა და ცხორებასა თავისა თჳსისასა ტიროდა, იგლოვდა და ეტყებდა თავსა თჳსსა და ინანდა გარდასრულთა მათ დღეთა უდებებისა თჳსისათა. ესოდენი უკუე იყო ლმობიერებაჲ მისი და გლოვაჲ[17], ვიდრეღა მრავალნი ჰლოცვიდესცა მას და ევედრებოდეს, რაჲთა მცირედ ლხინება სცეს თავსა თჳსსა, ნუუკუე და ვნებაჲცა რაჲმე შეემთხჳოს უზომოჲსა მისგან ტირილისა. ხოლო მან არა ინების ყოლადვე ყოფად ესე, არამედ იტყჳნ: უკუეთუ ყუედრებასა დედისა ჩემისასა ვერ დაუდგენ, რაოდენ უფროჲსღა ვერ დაუთმო ყუედრებასა მას[18] ქრისტესსა და წმიდათა ანგელოზთა მისთასა[19], დღესა მას დიდსა სასჯელისასა.

---

[1] მომითხრა] მითხრა B. [2] მე – C. [3] ცხოვნებაჲ] ცხორებაჲ B. [4] აიძულა] აჲძულა A. [5] ძჱ] ძმაჲ BC. [6] და - B. [7] უდბებით] უდებებით B. [8] თჳსნი] მისნი B. [9] და – B. [10] იგი – B. [11] ადგილსა C. [12] დაჲსაჯეა] დაჲსაჯეა A. [13] დაკდემულ – B. [14] იგი – B. [15] ძმაჲ იგი – C. [16] ერთსა + და B. [17] აქედან E ნუსხა გრძელდება 33r-ზე. [18] მას – B. [19] ანგელოზთა მისთასა] ანგელოზთასა C.

6. ბერმან თქუა: უკუეთუმცა იყოღა სიკუდილი შემდგომად აღდგომისა და[1] განსლვაჲ სულისაჲ ჯორცთაგან მოსლვასა მას ქრისტესსა დიდებით, ერთბამადმცა მოკუდა სრულად ყოველი სოფელი შიშისა მისგან და ძრწოლისა მოუთმენელისა, რამეთუ მაშინ იხილვებიან ცანი ახუმულად[2] და ღმერთი გამოცხადებულად ძალითა და ძლიერებითა გამოუთქუმელითა მჯედრობასა თანა ურიცხუსა ანგელოზთასა. ესრეთვე მუნ ყოფად არს ყოველივე კაცთა ნათესავი ადამისითგან[3] და ვიდრე აღსასრულადმდე. ვინაჲცა ესრეთ გჳღირს მოქალაქობაჲ, /95/ ვითარმცა დღითიდღე[4] სიტყუაჲ მოგუეჯადებოდა ღმრთისაგან ცხორებისათჳს ჩუენისა.

7. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: ვითარ მოვალს შიში ღმრთისაჲ სულსა ზედა? და ბერმან თქუა: უკუეთუ აქუნდეს კაცსა[5] სიმდაბლე და უპოვარებაჲ და არავისი განკითხვაჲ, მოვალს მის[6] ზედა შიში ღმრთისაჲ.

8. ძმაჲ მივიდა ბერისა, ჰკითხა მას და ჰრქუა: მამაო, რად ფიცხელ არს გული ჩემი და არა მეშინის ღმრთისაგან? ჰრქუა მას ბერმან: ვჰგონებ, ვითარმედ[7] უკუეთუ იპყრას კაცმან ყუედრებაჲ თავისაჲ გულსა შინა თჳსსა, მოიგებს შიშსა ღმრთისასა. და ძმამან ჰრქუა მას: რაჲ არს ყუედრებაჲ? ჰრქუა მას ბერმან: რაჲთა ყოველსავე ზედა საქმესა ჰყუედრიდეს კაცი სულსა თჳსსა და ეტყოდის: მოიჯსენე[8], უბადრუკო, რამეთუ თანაგაც წარდგომაჲ წინაშე საყდართა ღმრთისათა[9]. რომელსა ზედა და ამასცა იტყოდის, ვითარმედ: რაჲ მიც მე კაცსა[10] თანა? ვჰგონებ უკუე, ვითარმედ უკუეთუ დაადგრეს ამას ზედა კაცი, მოვიდეს მის ზედა შიში ღმრთისაჲ.

9. ბერმან ვინმე იხილა ძმაჲ ვინმე, რომელი იცინოდა და ჰრქუა მას: შორის ცისა და ქუეყანისა გუეგულების სიტყჳსა მიჯდაჲ ყოვლისავეთჳს ცხორებისა ჩუენისა და შენ იცინია?!

10. ბერმან თქუა: ვითარცა სახედ უკუეთურებაჲ თანაგუყვების სადაცა ვიდოდით, ესრეთვე გჳღირს, რაჲთა ლმობიერებაჲ და ცრემლნი თჳსაგან გუაქუნდენ, სადაცა[11] ვიყვნეთ[12].

11. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რაჲ ვყო? და მან თქუა: ტირილი გჳღირს, ძმაო, ყოლადვე.

12. შეემთხჳა ვისმე მამათაგანსა სიკუდილი და შემდგომად მყოვარჟამისა კუალად მოეგო თავად თჳსად და ვჰკითხეთ მას და ვარქუთ: რაჲ ჰნახე[13], მამაო? ხოლო მან გჳთხრა ცრემლით და თქუა: მესმა მუნ ჯმაჲ ტყებისა[14] და გოდებისაჲ, რომელნი იტყოდეს დაუცადებელად: ვაჲ, ვაჲ, ვაჲ! ესრეთ /95v/ უჯმს მონაზონსა ყოლადვე[15] სიტყუად.

---

[1] და – B . [2] ახუმულად] განხუმულად B. [3] B ნუსხაში ტექსტი გრძელდება 89r-ზე. [4] დღითიდღე – B. [5] კაცსა – B. [6] მის – C. [7] ვითარმედ- BE. [8] მოიჯსენე] მოჯსენე იყავ B. [9] ღმრთისათა] ქრისტესთა E. [10] კაცსა] კაცისა B. [11] სადაცა] სადა B. [12] ვიყვნეთ] ვიყოფებოდით B. [13] ჰნახე] იხილე B. [14] ტყებისა] ტყებისაჲ B. [15] ~ ყოლადვე მონაზონსა E.

13. ჰკითხა ძმამან ბერსა ვისმე და ჰრქუა: ვითარ სურის სულსა ჩემსა ცრემლთათჳს, ვითარცა მამათა სუროდა და არა მოვლენ და უძნს ესე ფრიად სულსა ჩემსა. და ბერმან ჰრქუა მას: ძენი ისრაელისანი ორმეოც წელ ოდენ შევიდეს ქუეყანასა მას აღთქუმისასა, სადა-იგი შევიდეს რაჲ, არღარა ეშინოდა მბრძოლთაგან. და რამეთუ ესრეთ ჰნებავს ღმერთსა, ოდესვე მჭმუნვარე იყოს სული და მარადის სუროდის შესლვად[1] ქუეყანასა მას ცხოველთასა.

14. ძმაჲ ვინმე მოსწრაფე მოვიდა უცხოჲ და დაემკჳდრა მცირესა შინა სენაკსა მთასა სინასა. და ვითარცა შევიდა, მასვე დღესა პირველსა პოვა მცირე ფიცარი დაწერილი ძმისა მისგან, რომელი ყოფილ იყო ოდესმე სენაკსა მას უწინარეს მისა[2]. ხოლო ეწერა ესრეთ ფიცარსა მას: მოსეს თანა ვარ თევდორე და ვწამებ. ამას დაიდებნ[3] წინაშე თუალთა თჳსთა[4] სამარადისოდ ძმაჲ იგი, ჰკითხავნ მწერალსა მას, ვითარცა მახლობელსა და ეტყჳნ: სადა ხარ აწ, ჲ კაცო, რომელ[5] იტყჳ, თუ: ესერა[6], თანა ვარ და ვწამებ, სადამე უკუე ხარ აწ, ანუ რომელსა სოფელსა ანუ სადაღა არიან აწ ჴელნი იგი რომელთა ესე დაწერეს?! ესრეთ იქმნ ყოველთა დღეთა და იჴსენებნ სიკუდილსა და ტირნ. ხოლო აქუნდა მას ჴელთსაქმარიცა[7] მწერლობისაჲ და მიართუეს მას ძმათა ეტრატი და ამცნეს რაჲ-იგი დაწეროს, გარნა იგი აღესრულა და არცა ერთი რაჲ ვის დაუწერა, არამედ დაწერა ქაღალდსა მას ზედა გინა ეტრატსა თჳს-თჳსად[8] სახელები მათი, რომელთაჲ იყო და კუალად ესეცა დასძინა, ვითარმედ: შემინდვეთ, უფალნო ჩემნო ძმანო, რამეთუ მცირე საქმე მაქუნდა ვისმე თანა[9] და ამისთჳს ვერ მოვიცალე დაწერად ამას სიყუარულისა[10] თქუენისა.

15. ამისა მახლობელად მყოფ იყო სხუაჲ ძმაჲ ელისელი, დღესა /96/ ერთსა აღდგა და წარვიდა ქალაქად. ხოლო წარვიდოდა რაჲ, ჰრქუა ძმასა მას მწერალსა: ყავ სიყუარული, ძმაო, და გვედია ბოსტანი ჩემი ვიდრე მოსლვადმდე ჩემდა. ჰრქუა მას ძმამან მან[11] მწერალმან: გრწმენინ ჩემი, არა უდებ-ვყო ძალისაებრ. და ვითარცა წარვიდა ძმაჲ იგი, ჰრქუა მწერალმან თავსა თჳსსა: აჰა, ჰავო[12], ჟამი[13] რამეთუ ჰპოვე, აწ იღუაწე ბოსტნისათჳს. და დადგა კანონსა მას ლოცვისასა მწუხრითგან ვიდრე განთიადადმდე[14] და არა დასცხრა ცრემლით ლოცვისაგან და გალობისა. ესრეთვე სახედ ყო და სრულსა მასცა დღესა. და რამეთუ იყოცა წმიდაჲ კჳრიაკჱ[15], მოვიდა უკუე სამწუხროდღა ძმაჲ იგი მეზობელი მისი და პოვა ბოსტანი თჳსი კოლტისაგან

---

[1] შესლვად – C. [2] მისა] მისსა BCE. [3] დაიდებნ] დაჲდებნ A. [4] თჳსთა] მისთა B. [5] რომელ] რომელი E. [6] ესერა – B. [7] ჴელთსაქმარიცა] ჴელთსაქმარი C. [8] თჳს-თჳსად] თჳსად-თჳსად BE. [9] ვისმე თანა] ვისთანამე BE. [10] სიყუარულისა] სიყუარულსა B. [11] მან – C. [12] ჰაო C] თავო BE. [13] ~ რამეთუ ჰპოვე ჟამი B. [14] განთიადადმდე] განთიად-მდე BC. [15] კჳრიაკჱ] კჳრიაკე C.

ღორთაჲსა განრყუნილ[1] და იავარქმნილ[2]. და ჰრქუა მას: ღმერთმან შეგინდვენ, ძმაო, რამეთუ არა იღუაწე ბოსტნისათჳს ჩემისა. ხოლო მან ჰრქუა: გრწმენინ, მამაო[3], რამეთუ ვყავ ყოველი, რომელი ძალ-მედვა და დავიცევ მცირე იგი ბოსტანი, რაჲთა მომცეს ჩუენ ნაყოფი. ჰრქუა მას ძმამან[4]: ჰრიდე, ძმაო, სრულებით მოოკრებულ არს! ჰრქუა მას მწერალმან: ვიცი, გარნა მრწამს ღმრთისაჲ, რომელ კუალადცა აღმოსცენდეს. ჰრქუა მას ბოსტნის[5] უფალმან: მოვედ, რაჲთა მოვრწყოთ. ჰრქუა მას მწერალმან: წარვედ შენ აწ და მორწყე და მერმე ღამით მე მოვრწყო. ხოლო ვითარცა იქმნა უწჳმროებაჲ, შეწუხნა მებოსტნე იგი და ჰრქუა მახლობელსა მას თჳსსა მწერალსა: გრწმენინ, ძმაო, არა თუ შემწე გუექმნეს ღმერთი, არა გუაქუს წელს წყალი. და მან ჰრქუა მას: ვაჲ ჩუენ, ძმაო, უკუეთუ განჴმეს წყაროჲ ბოსტნისაჲ[6], ჭეშმარიტად არღარა არს ჩუენდა ცხორებაჲ. ხოლო ამას ყოველსა იტყოდა იგი ცრემლთათჳს. ოდეს უკუე ეგულვა[7] მოსიკუდიდ ნეტარსა მას /96v/ და კეთილსა მოღუაწესა, ევედრა მეზობელსა მას თჳსსა ელისელსა და ჰრქუა: ყავ სიყუარული, ძმაო, და ნუვის უთხრობ თუ სნეულ ვარ, არამედ დაადგერ დღეს ჩემ თანა და ოდეს მოვკუდე, აღიღე მძორი ჩემი და[8] დააგდე იგი[9] უდაბნოსა ადგილსა, რაჲთა შეჭამონ იგი ნადირთა ველისათა და მფრინველთა ცისათა, ამისთჳს რამეთუ ფრიად შევსცოდე ღმერთსა და არა ღირს არს გუამი ჩემი დაფლვად საფლავსა შინა. ჰრქუა მას ძმამან ელისელმან: გრწმენინ, მამაო, ურვეულ არს სული ჩემი ყოფად საქმისა მაგის. ჰრქუა მას უძლურმან: ბრალი ესე ჩემ ზედა[10] იყავნ, ძმაო, და მე მივსცე ამისთჳს სიტყუაჲ ღმერთსა და უკუეთუ მერჩდე მე[11] და ისმინო ჩემი და ჰყო ესრეთ, ვითარცა-ესე გამცნებ და ძალ-მედვას, უეჭუელად შეგეწიო. ესე თქუა და მეყსეულად აღესრულა მასვე შინა ჟამსა[12]. და ძმამან მან ყო განწესებისაებრ მისისა და აღიღო გუამი მისი და დააგდო იგი უდაბნოსა ადგილსა. და რამეთუ მკჳდრ იყვნეს იგინი მახლობელად ქალაქსა, ვითარ ოც მილიონ ოდენ, რომელსა სახელად ეწოდებოდა მეტემერ[13], მესამესა უკუე დღესა გამოუჩნდა ძილსა შინა ძმასა მას მებოსტნესა ძმაჲ იგი მწერალი და ჰრქუა: ღმერთმან შეგიწყალენ შენცა, ძმაო, ვითარცა შენ მე შემიწყალე, გრწმენინ ჩემი, დიდი წყალობაჲ ყო ჩემ თანა ღმერთმან ამისთჳს, რამეთუ ეგო გუამი ჩემი დაუმარხავად და მრქუა მე[14]: აჰა ესერა, დიდისათჳს სიმდაბლისა შენისა მიბრძანებიეს ყოფაჲ შენი დიდსა[15] ანტონის თანა. და აჰა ესერა, ვედრებულ ვარ შენთჳსცა, გარნა შენ დაუტევე ბოსტანი ეგე და იზრუნე სხჳსა მის ბოსტნისათჳს[16]. და რამეთუ

---

[1] განრყუნილ] განრყუნილი BE. [2] იავარქმნილ] იავარქმნილი BE. [3] მამაო] ძმაო, ჩემი B. [4] ძმამან + მან E. [5] ბოსტნის] ბოსტნისა E. [6] ბოსტნისაჲ + ჩუენისაჲ C. [7] ეგულვა] ეგულვებოდა B. [8] და – C. [9] იგი – B. [10] ჩემ ზედა] ჩემდა C. [11] მე- B. [12] მასვე შინა ჟამსა – B. [13] მეტემერ] მეტემ B. [14] მე – B. [15] დიდსა] დიდისა BCE. [16] მის ბოსტნისათჳს] მისთჳს ბოსტნისა C.

ჟამსა მას ოდეს გამოვიდა სული ჩემი ჴორცთაგან, ვხედევდ, რამეთუ ცრემლთა ჩემთა /97/ და/ავსეს[1] ცეცხლი იგი, სადა მე მიმავალ ვიყავ.

16. ორთა ძმათა ჴორციელთა იჯმნეს და მონაზონ იქმნეს, და შევიდეს მორჩილებასა ქუეშე მამისა[2] სულიერისასა მთასა ნიტრიაჲსასა[3]. ხოლო მისცა ღმერთმან ორთავე მადლი ღმობიერებისა და ცრემლთაჲ. დღესა უკუე ერთსა იხილნა ბერმან ჩუენებით ორივე იგი ძმანი მდგომარენი ლოცვასა შინა. და რამეთუ აქუნდა ჴელთა ქარტაჲ დაწერილი და რცხიდეს მათ ცრემლთა მიერ თჳსთა. ხოლო ქარტაჲ იგი ერთისაჲ მის ადვილად აღიჴოცებოდა და მეორისაჲ მის შრომით, რამეთუ ჩანდა ძირი ნაწერისაჲ მის ვითარცა წამლისა მიერ შემგბრისა[4] წერილი. რომლისათჳს ევედრა ღმერთსა ბერი, რაჲთა საცნაურ-უყოს მას ჩუენებაჲ იგი, თუ რაჲ არს. და მეყსეულად დაადგა მას ანგელოზი უფლისაჲ და ჰრქუა: ქარტანი იგი დაწერილნი ცოდვანი არიან[5] ორთა ამათ[6] ძმათანი. და ერთმან მან ცოდვანი[7] ცოდნა ბუნებითნი და ამისთჳს ადვილად აღიჴოცებიან. ხოლო მეორე იგი[8] ბილწებითა[9] ხენეშითა და არაწმიდებითა საძაგელითა შეიგინა გარეშე ბუნებისა[10] და ამისთჳს შრომით აღიჴოცებიან და რამეთუ უმეტესი ღუაწლი უჴმს ამას მოგებად სინანულისათჳს და ფრიადი სიმდაბლჱ[11], მიერითგან ეტყჳნ ბერი ძმასა მას: დაშუერ, ძმაო, რამეთუ შემგბრითა წერილ არიან[12] და ძნელად აღიჴოცებიან, გარნა არა ოდეს გამოუცხადა ბერმან ძმასა მას საქმე იგი, ვიდრე სიკუდილადმდე მისა, რაჲთა არა მოჰკუეთოს გულსმოდგინებაჲ მისი, არამედ ყოლადვე ეტყჳნ მას: იღუაწე, ძმაო, რამეთუ შრომით აღიჴოცებიან.

17. სხუაჲ ვინმე მამათაგანი მკჳდრ იყო რაითს[13], ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან რვალი[14]. ამისა[15] მივიდა ვინმე ბერთაგანი და ჰრქუა მას: მამაო, მიძნს მე ფრიად ოდეს წარვავლინო ძმაჲ /97v/ ჩემი სამსახურსა სადამე[16]. ჰრქუა მას მანცა: და მეცა ოდეს წარვავლინო სადამე[17] მსახური ჩემი, ეგევე შემემთხუევის. რამეთუ დავჯდები კარსა თანა, ვხედავ და ოდეს მარქუას[18] გულისსიტყუამან, თუ ოდესმე[19] მოვალს ძმაჲ იგი[20], მეცა ვეტყჳ მას: და უკუეთუ უსწროს სხუამან მან ძმამან, რომელ არს ანგელოზი უფლისაჲ, და მოვიდეს წარყვანებად სულისა შენისა, გლახ, შენ რაჲ ჰყო? და ესრეთ მარადღე ვხედავ კარად და ვზრუნავ და ვსტყებ ცოდვათა ჩემთა და ვიტყჳ: ნეტარ რომელი ძმაჲ უსწრობს და მოვალს ქუემოჲ ანუ ზემოჲ?! და ესრეთ სარგებელ-ეყო ბერსა და წარვიდა და მიერითგან იპყრა მანცა იგივე წესი და კანონი.

---

[1] დაავსეს] დაშრიტეს B. [2] მამისა] მოძღურისა E. [3] ნიტრიაჲსასა] ნიტრისასა B. [4] შემბგვრისა C. [5] ~ არიან ცოდვანი B. [6] მათ E. [7] ცოდვანი – BC. [8] მეორე იგი] მეორემან მან B. [9] ბილწებითა ხენეშითა...შეიგინა – B. [10] ბუნებისა +ცოდა B. [11] სიმდაბლე BCE. [12] წერილ არიან] დაწერილ არიან B. [13] რაითს] რაჲთს A. [14] რვალი] რვათაჲ B. [15] ამისსა B. [16] სადამე] სადმე BE. [17] სადამე] სადმე BE. [18] მარქუას] მრქუას BE. [19] ოდესმე] ოდეს B. [20] იგი + და B.

18. ძმაჲ ვინმე მოსწრაფე აღასრულებდა კანონსა თჳსსა ოდესვე ძმისა თანა თჳსისა და იძლეოდა იგი ცრემლთაგან ფრიად, ვიდრეღა და-ცა-ჰვარდის მუჯლი ფსალმუნისა. დღესა ერთსა ევედრა მას ძმაჲ იგი მისი უწყებად მისა[1], თუ რასა იგონებს ფსალმუნებასა[2] მას შინა მისსა, რამეთუ[3] ესრეთ ტირს. ხოლო მან მიუგო[4]: შემინდვე მე, ძმაო, რამეთუ ოდეს ვჰყოფდე კანონსა ჩემსა ყოლადვე და მარადის წინაშე თუალთა ჩემთა ვხედავ მსაჯულსა მას. და მე ვითარცა დასჯილი მდგომარე ვარ წინაშე მისსა და განვიცდი, რამეთუ გამოეძიებს ცოდვათა ჩემთა და მეტყჳს: რაჲსათჳს სცოდე? ხოლო მე უბადრუკსა, ვინაჲთგან არარაჲ მაქუს სიტყუაჲ, თუ რაჲ პასუხი მივსცე, ამისთჳს დაიყოფვის პირი ჩემი და წარვჰსწყმედ მუჯლებსა ფსალმუნისასა, გარნა შემინდვე მე, რამეთუ გაჭირვებ შენ და უკუეთუ გნებავს თჳთოეული[5] ჩუენი თჳსაგან ჰყოფდეს კანონსა თჳსსა. ჰრქუა მას ძმამან მან: არა, მამაო, ნუ იყოფინ, რამეთუ დაღაცათუ მე ვერ /98/ ვტირ, გარნა ოდეს შენ სტიროდი, გხედვიდი მე და ვაებასა მივსცემდე თავსა ჩემსა ნაკლულევანებისათჳს საღმრთოთა მადლთაჲსა. და იხილა ღმერთმან სიმდაბლე იგი მისი და მიანიჭა მასცა გლოვაჲ იგი ძმისა თჳსისაჲ[6].

19. მივიდა ვინმე ძმაჲ ბერისა ვისამე[7], რომელი მკჳდრ იყო მთასა სინასა და ჰლოცვიდა მას და ეტყოდა: ყავ სიყუარული, მამაო, და მასწავე მე, თუ ვითარ მიჴმს ლოცვაჲ, რამეთუ დიდად განმირისხებიეს მე[8] ღმერთი. ჰრქუა მას ბერმან: მე, შვილო, ოდეს ვილოცვიდე, ესრეთ ვიტყჳ: უფალო, ღირს-მყავ მე მონებად შენდა, ვითარცა ვჰმონე მე სატანას! უფალო ღირს-მყავ მე შეყუარებად შენდა, ვითარცა-იგი შევიყუარე ცოდვაჲ! კუალად თქუა: კეთილ არს აღპყრობაჲ ჴელთაჲ და ვედრებაჲ ღმრთისაჲ[9] რაჲთა შეუძრწუნვებელად[10] განვიდეს სული ჴორცთაგან განსლვასა მას მისსა და არა დაიხრწიოს იგი ბოროტთა მათგან და მედგართა მცველთა ჰაერისათა.

20. ძმაჲ[11] მცირე წარიმგზავნა[12] მამისაგან თჳსისა ძმისა ვისმე თანა მთასა სინასა, რომელსა ედგა ბოსტანი, რაჲთა მიართუას ბერსა მიერ[13] მცირე რაჲმე ხილი[14]. და ვითარცა შევიდა მტილად, ჰრქუა ძმასა მას მემტილესა: გაქუსა, მამაო, მცირე რაჲმე ხილი[15], რამეთუ მომავლინა მე მამამან ჩემმან. და მან ჰრქუა მას: შვილო, ყოველივე[16] რაოდენიცა გენებოს, აქა გეპოების[17]. ჰრქუა მას მცირემან მან მონაზონმან: არს-მეა აქა, მამაო[18], წყალობაჲ ღმრთისაჲ? ხოლო მას ესმა რაჲ ესე, იწყო გონებად და ქუეხედვად და ჰრქუა ყრმასა მას: რაჲ სთქუ, შვილო? და მან ჰრქუა მას კუალადცა: ვთქუ, მამაო, ვითარმედ არს-მეა აქა წყალობაჲ ღმრთისაჲ? და კუალად მესამედცა

---

[1] მისა] მისსა B. [2] ფსალმუნებასა] ფსალმონებასა B. [3] რამეთუ] და BE. [4] მიუგო] ჰრქუა BE, [5] თჳთოეული] თითოეული E. [6] თჳსისაჲ] მისისაჲ B; მისი E. [7] ვისამე] ვისსამე BCE. [8] მე – E [9] ღმრთისაჲ – C. [10] შეუძრწუნვებელად] შეუძრწუნებელად B. [11] ძმაჲ + ვინმე C. [12] წარიმგზავნა] წარიგზავნა BCE. [13] მიერ – C. [14] ხილი] მხალი BC. [15] ხილი] მხალი BC. [16] ყოველივე – B. [17] გეპოების] გეპოვნების C. [18] ~ მამაო, აქა E .

იგივე სიტყუაჲ /98v/ ჰკითხა ყრმასა მას ძმამან მან[1] და ვითარცა კეთილად გულისჴმა-ყო სიტყუაჲ იგი მემტილემან მან, მცირედ დუმნა, მერმე სულთ-ითქუნა და ჰრქუა ყრმასა მას: წყალობა ყოს ღმერთმან, შვილო. და ვითარცა განუტევა სახედ თჳსა ყრმაჲ იგი, მეყსეულად აღდგა, დაუტევა მტილი იგი, აღიღო მალაკი[2] თჳსი და განვიდა უდაბნოდ და ეტყოდა თავსა თჳსსა: აღდეგ, კაცო უბადრუკო, აღდეგ, და ვიძიოთ წყალობაჲ! და რამეთუ[3] უკუეთუ ყრმისა მცირისა პასუხისგებაჲ ვერ უძლე, ვითარ უძლო შენ, ჭირვეულო, პასუხისგებაჲ ყოველთა ღმრთისაჲ[4], გეკითხვებოდის რაჲ დიდსა მას დღესა სასჯელისასა.

21. ძმაჲ ვინმე კეთილი მკჳდრ იყო მთასა ზედა ზეთისხილთასა. აღდგა და ჩამოვიდა იგი ქალაქად წმიდად იერუსალჱმ[5], მოუჴდა მთავარსა ქალაქისასა[6] და აღუვარნა[7] მას ცოდვანი თჳსნი[8] განცხადებულად წინაშე ყოვლისა ერისა და ჰრქუა მას: მტანჯე მე შჯულთაებრ სამეუფოთა. შეელმა უკუე მთავარსა მას[9] და ჰრქუა ძმასა მას: ნანდჳლვე, კაცო, რაჲთგან[10] შენ თჳთ აღიარენ თავით შენით[11] ცოდვანი შენნი, ვერმკადრე ვარ აწ პირველ ღმრთისა ტანჯვად შენდა, ნუუკუე და[12] შე-ცა-გინდვნა შენ ღმერთმან ბრალნი შენნი და ცოდვანი. აღდგა[13] უკუე ძმაჲ იგი და წარვიდა და შეიჭედა თავი თჳსი რკინითა და დაიდვა ჯაჭჳ ფერჩთა და ქედსა მისსა და შეაწყუდია თავი თჳსი სენაკსა შინა მცირესა. და უკუეთუ ვინ მოვიდის კაცთაგანი და ჰკითხავნ მას: ბერო, ვინ შეგაგდო შენ ესევითარსა განსაცდელსა და შეგჭედა რკინითა? მან მიუგის: მთავარმან შემაგდო. უწინარეს უკუე დღისა ერთისა მიცვალებისა მისისა, განეხუნეს[14] თჳთ თავით თჳსით რკინანი იგი და დასცჳვეს მისგან. /99/ და ვითარცა[15] მოვიდა მსახური მისი და იხილა იგი ესრეთ, დაუკჳრდა და ჰრქუა მას: ვინ გაგჴსნა[16] შენ რკინათაგან შენთა, ბერო? და მან ჰრქუა მას: რომელმან-იგი დაჴსნნა საკრველნი იგი[17] ცოდვათა ჩემთანი, მანვე განმჴსნა მე საკრველთაგანცა რკინისათა, რამეთუ გამომიჩნდა მე გუშინ მაცხოვარი და მრქუა მე: აჰა ესერა, მოთმინებისათჳს შენისა დავჰჴსნი მე ყოველთავე ცოდვათა შენთა. და შეახო წმიდათა მიერ თითთა თჳსთა საკრველთა ამათცა რკინისათა და მეყსეულად[18] დასცჳვეს ჩემგან. ესე თქუა ძმამან მან სანატრელმან და კურთხეულმან და მეყსეულად განვიდა ამიერ და წარვიდა წინაშე უფლისა.

22. იყო ვინმე მჴედართაგანი სკჳთოპოლის, რომელსა მრავალი ბოროტი ექმნა და ყოვლითავე სახითა არაწმიდებისაჲთა შეეგინნეს ჴორცნი თჳსნი. ესე ღმობიერ იქმნა ღმრთისა მიერ და მონაზონ იქმნა და აღაშენა სენაკი

---

[1] ყრმასა მას ძმამან მან] ძმასა მას ყრმამან მან BE. [2] მალაკი] მახალაკი B. [3] რამეთუ- B. [4] ღმრთისაჲ] ღმერთსა C. [5] იერუსალჱმ] იერუსალჱმად E. [6] ქალაქისასა – BE. [7] აღუვარნა] აუვარნაE. [8] თჳსნი] მისნი B. 9 მას – B. [10] რაჲთგან] ვინაჲთგან B. [11] შენით] თჳსით B. [12] და – BE. [13] ადგა E. [14] +უკუე E. [15] ვითარცა – C. [16] გაგჴსნა] განგჴსნა BCE. [17] იგი – E. [18] მეყსეულად – C.

თჳსი ადგილსა უდაბნოსა ქუე ღრმად მდინარისპირსა, და დაჯდა მუნ და ზრუნვიდა სულისათჳს თჳსისა. ესმა უკუე მეცნიერთა მისთა[1] და იწყეს წარმგზავნად[2] მისა პურსა და ფინიკსა და ყოველსავე რას საჭმარსა მისსა. და ვითარცა იხილა მან თავი თჳსი განსუენებით მყოფი და რამეთუ არცა ერთი რაჲ აკლდა, ჰრქუა თავსა თჳსსა: ჭეშმარიტად, აქაჲ ესე განსუენებაჲ საუკუნოჲსა მისგან განსუენებისა გამომთხევს ჩუენ, ამას უკუე ერთსაცა მე ღირს არა ვარ. ვინაჲცა დაუტევა მან სენაკი იგი თჳსი და წარვიდა და განეშორა და ეტყოდა თავსა თჳსსა: გუალე, უბადრუკო სულო ჩემო, და წარვიდეთ, სადაცა არს ჭირი, რამეთუ ჩემდა თივაჲ საჭმარ არს[3] და მდელოჲ, ჭამადი იგი პირუტყუთაჲ, ამისთჳს რამეთუ პირუტყულნიცა საქმენი მიქმნიან.

23. /99v/ მითხრეს ჩუენ ძმათა ვიეთმე რაითელთა[4] ბერისა ვისთჳსმე დიდად მგლოვარისა, ქუაბსა მას შინა მჯდომისა[5], რომელსა ეწოდა ზემო კერძოჲ ისრაჱლისაჲ. და ესოდენი მღჳძარებაჲ და სიფრთხილჱ[6] აქუნდა გონებასა ბერისასა, ვიდრეღა კნინღა რაჲ ნაბიჯ, განიკითხავ თავსა თჳსსა, სადაცა ვალნ და ეტყჳნ მას: რაჲ უკუე, ძმაო, სადა ვართ? და უკუეთუ პოვის გონებაჲ თჳსი მწურთელად საღმრთოთა სიტყუათა, კეთილ, უკუეთუ კულა არა და სხუაგან სამე განიბნიის, ჰგუემენ მას, ჰყუედრინ და აგინებნ და ეტყჳნ: მოიქეც თავად შენდა და შეუდეგ საქმესა შენსა, ბოროტო ბერო. ესრეთ სწყლავნ მარადღე სულსა თჳსსა ბერი იგი და ეტყჳნ: ძმაო, ახლოს არს აღსასრული შენი და ჯერეთღა[7] შუვაკედელსა ვხედავ შორის შენსა და ღმრთისა. ამას გამოუჩნდა სატანა და ჰრქუა მას: გრწმენინ, ვერ სცხოვნდები[8], ბერო, რად იჭირვი? ჰრქუა მას ბერმან: შენ ნუ გაგვა რაჲზომცა ვერ ვცხოვნდე, განაღა თავსა ზედა შენსა ვიპოები[9] მდგომარედ და შენ ქუეშეთ ყოველთასა[10] გნახავ დასჯილად.

24. ბერი ვინმე მჯდომარე იყო რაითს[11] და ესევითარი საქმე აქუნდა მას, ზინ ყოლადვე სენაკსა შინა თჳსსა და[12] გონებად ვარდებინ და ქუეყანად[13] ხედავნ[14], სამარადისოდ ხრინ თავსა და იტყჳნ სულთქუმით: ნეტარ რაჲ იქმნების?! და კუალად დუმნ ჟამ ერთ და თხზავნ სირასა, ძრავნ თავსა თჳსსა დაუცადებლად[15] და იტყჳნ: ნეტარ[16] რაჲ იქმნების?! და ესრეთვე[17] წარავლნა ყოველნი დღენი ცხორებისა თჳსისანი[8] და ზრუნვიდა მარადის სულისათჳს თჳსისა და დღისა მისთჳს სასჯელისა.

---

[1] მისთა – E. [2] წარმგზავნად] წარმოგზავნად BE. [3] საჭმარ არს] ჯერ არს B. [4] რაითელთა] რაჲთელთა A. [5] მჯდომისა] მჯდომარისა C. [6] სიფრთხილჱ] სიფრთხილე E. [7] ჯერეთღა] ჯერეთ B. [8] სცხოვნდები] სცხონდები E. [9] ვიპოები] ვიპოვები B. [10] ყოველთასა] ყოველთა B. [11] რაითს] რაჲთს A. [12] და – B. [13] ქუეB. [14] ხედავნ + და B. [15] დაუცადებლად] დაუცადებელად BC. [16] ნეტარ რაჲ იქმნების – B. [17] ესრეთ BC. [18] თჳსისანი] მისისანი C.

25. თქუა ბერმან: ესე საქმენი შუენიან მონანულსა, რაჲთა განმარტოვდეს და[1] /100/ უზრუნველ იქმნეს ყოვლისაგანვე[2] საქმისა მსოფლიოჲსა, და რაჲთა იქმნეს[3] გულტკივნეულ და მგლოვარე და მოურნე მარადის სულისა თჳსისა, და რაჲთა არავის ყოლადვე დაუმძიმოს, და რაჲთა შეაიწროს[4] თავი თჳსი და რაჲთა ჰყუედრიდეს მარადის სულსა თჳსსა, და რაჲთა მღჳძარითა და ფრთხილითა გონებითა და ნაკადულითა ცრემლთაჲთა ითხოვდეს წყალობასა ღმრთისასა.

26. ბერმან თქუა: ვითარცა სახედ ყოველი ცოდვაჲ, რომელი ქმნეს კაცმან, გარეშე ჴორცთა არს, ხოლო რომელი ისიძვიდეს, თჳსითა ჴორცითა ცოდავს, რამეთუ თჳთ მისგან გამოვალს ბილწებაჲ იგი, ესრეთვე ყოველი სათნოებაჲ, რომელი ქმნეს კაცმან, გარეშე ჴორცთა არს. ხოლო რომელი ტიროდის და ცრემლოოდის, თჳთ სულსა და ჴორცთა თჳსთა განსწმედს, რამეთუ ზემოჲთ მაღლით გარდამოვალს ცრემლი და ყოველსავე გუამსა განსწმედს და წმიდა-ჰყოფს.

27. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: ვითარ მოვალს, მამაო, გლოვაჲ კაცსა ზედა? ჰრქუა მას ბერმან: გლოვაჲ ჩუეულებაჲ არს და მოცალებაჲ უჴმს მისთჳს მრავალჟამ, რომელი ეძიებდეს მას, რაჲთა ყოლადვე და მარადის ზრუნვიდეს გონებაჲ მისი ცოდვათა თჳსთა[5], რომელნი უქმნიან და რაჲთა ოდესვე იჴსენებდეს სიკუდილსა თჳსსა, და სასჯელსა და რაჲთა მოკლედ ვთქუა, უჴმს მგლოვარესა, რაჲთა ყოველსავე საძნაურსა და ჭირვეულსა იგონებდეს და გარდასრულთა ნათესავთა და მშობელთა თჳსთა იჴსენებდეს და იტყოდის: სადა-მე არიან აწ სულნი მათნი? ჰრქუა მას ძმამან[6]: და უჴმსა[7], მამაო, მონაზონსა მოჴსენებაჲ მშობელთაჲ? ჰრქუა მას ბერმან: რაჲცა გუარი ჴსენებაჲ მოგართუმიდეს შენ /100v/ გლოვასა და ცრემლთა და ლმობიერ-ჰყოფდეს სულსა შენსა, მოცალე იქმენ მისთჳს. და ოდეს მოვიდენ ცრემლნი, შენ სადაცა გენებოს, მიუკუალენ იგი, გინათუ ცოდვათა შენთა, გინათუ სხუასა რასმე კეთილსა ჴსენებასა, რამეთუ ვიხილე მე ძმაჲ მოღუაწე და ოდეს ფიცხელ არნ გული მისი, სცემნ მრავალგზის თავსა თჳსსა და ტკივილისა მისგან ტირნ და მერმე მო-რაჲ-ვიდიან ცრემლნი, იჴსენებნ იგი ცოდვათა თჳსთა.

28. ბერმან თქუა: ვითარცა სახედ წყალი შეუგდო რაჲ მტილსა, სადაცა გენებოს, მოჰრწყავ. ესრეთვე და ცრემლთათჳს გულისჴმა-ყავ.

29. კუალად თქუა: სარწმუნოებისათჳს მეტყუელებაჲ და საძიებელთა საქმეთა აღმოკითხვაჲ განაჴმობენ გულსა კაცისასა და უჩინო-ჰყოფენ ლმობიერებასა[8] მისგან. ხოლო სწავლანი და თხრობანი წმიდათა მამათანი

---

[1] განმარტოვდეს და] მარტოებით B. [2] ყოვლისაგანვე] ყოვლისაგან BC. [3] იქმნეს] იქმნას B. [4] შეაიწროს] შეაჲწროს A. [5] ცოდვათა თჳსთა] ცოდვათათჳს C. [6] ძმამან + მან B. [7] უჴმსა] უჴმსაა C. [8] ლმობიერებასა] ლმობიერებისა C.

განანათლებენ სულსა.

30. თქუა კუალად: არარაჲ არს უძჯრეს ჩუეულებისა ბოროტისა, რამეთუ ფრიადი შრომაჲ უჴმს და სიგრძჱ[1] ჟამისაჲ ესევითარსა ამას[2], რაჲთა გარდაჰკუეთოს იგი. რამეთუ თჳნიერ შრომისა დიდისა და სიგრძისა ჟამთაჲსა შეუძლებელ არს მოწყუედაჲ ჩუეულებისაჲ, ვინაჲცა შრომაჲ მრავალთა მიიღეს, ხოლო სიგრძე ჟამთაჲ მცირედთა პოვეს და უმრავლესნი ადრე მოეკუეთნეს სიკუდილისაგან და ღმერთმან ოდენ უწყის მხოლომან, თუ რასა იქმს მათ ზედა დიდსა მას დღესა სასჯელისასა.

31. ძმაჲ[3] მკჳდრ იყო სენაკსა შინა თჳსსა და მრავალგზის იქმნის იგი ურვეულ ვითარცა განგრუნვებული[4]. და რამეთუ იყოცა იგი შევრდომილ[5] ცოდვასა[6] დიდსა და მარადის ტირნ და იგლოვნ და არა უწყინ, თუ რაჲ ყოს. მერმე ეტყჳნ თავსა[7]: აწ რაჲ-იგი იქმნა, იქმნა! მიუგის მას სჳნიდისმან მისმან და ჰრქჳს[8]: გარნა ბოროტად იქმნა! /101/ და ესრეთ იგლოვდა ყოველთა დღეთა ცხორებისა თჳსისათა[9], ვიდრე სიკუდილადმდე მისა[10].

32. თქუა ბერმან: კაცი რომელი ჯდეს სენაკსა შინა თჳსსა და იწურთიდეს ფსალმუნთა, მსგავს არს[11] იგი კაცსა, რომელი ეძიებნ მე[უ]ფესა. ხოლო რომელი ტიროდის და იგლოვდეს, მას ფერჴნი უპყრიან მეუფისანი და ითხოვს მისგან წყალობასა, ვითარცა-იგი ყო დედაკაცმან მან მეძავმან.

33. ბერმან თქუა: დააჩჳე გული შენი მცირედ-მცირედ თჳთოეულსა[12] ზედა ძმასა, რაჲთა იტყოდი ჭეშმარიტებით, ვითარმედ: ესე ძმაჲ უმჯობეს არს ჩემსა წინაშე ღმრთისა და კუალად ესე ვინმე უმოსწრაფეს არს. და ესრეთ მოხუალ შენ საზომსა მას, რაჲთა გაქუნდეს თავი შენი უდარეს ყოველთაჲსა და მერმე დაემკჳდრების შენ შორის სული[13] ღმრთისაჲ. ხოლო უკუეთუ შეურაცხ-ჰყო კაცი, წარვალს შენგან მადლი ღმრთისაჲ და მიეცემი შეგინებასა ჴორცთასა და განფიცხნების გული შენი და არცა ერთი ლმობიერებაჲ იპოების[14] შენ შორის[15].

34. ბერმან თქუა: უწყოდე, ძმაო, უკუეთუ იყოს კაცი მოღუაწე, მოსთხოვს ღმერთი სრულად ყოველთავე[16] სათნოებათა, ვიდრე ნემსოდნადმდეცა[17] და რამეთუ ძალ-უც ერთსაცა[18] ნემსსა დახრწევად გულისსიტყჳსა და მოწყუედად გონებისა გლოვისაგან და იესუჲს შემსჭუალვისა[19].

35. თქუა კუალად: ვაჲ შენდა[20], სულო, რამეთუ დაჩვეულ ხარ სმენად ოდენ და სიტყუად სიტყუათა საღმრთოთა და არცა ერთსა რას მათგანსა გნებავს საქმით აღსრულებაჲ! ვაჲ თქუენდა, ჴორცნო, რამეთუ შეისწავლეთ

---

[1] სიგრძჱ] სიგრძე BCE. 2 ამას] მას B. 3 ძმაჲ + ვინმე B. 4 განგრუნვებული] განცჳბრებული B. 5 შევრდომილ] შთავრდომილ B. 6 ცოდვასა + შინა B. 7 თავსა +თჳსსა BE. 8 ჰრქჳს] თქჳს B. 9 თჳსისათა] მისისათა BE. 10 მისა] მისსა B. 11 არს] არნ E. 12 თჳთოეულსა] თითოეულსა E. 13 სული] შიში C. 14 იპოების] იპოებოდის B. 15 შორის] თანა BC. 16 ყოვლთა B. 17 ნემსოდნადმდეცა] ნემსად უნდოდმდეცა BE. 18 ერთსა C. 19 შემშჭუალვისა BC. 20 შენდა] შენ B.

შემაგინებელი თქუენი და ყოლადვე მას ეძიებთ, ესე-იგი არს განძღომასა და გემოთა! ვაჲ, გლახ[1] ჭაბუკსა მონაზონსა, რომელი აღავსებდეს მუცელსა თჳსსა და შედგომილ იყოს ნებისა თჳსისადა, რამეთუ ცუდ არს მონაზონებაჲ მისი და ამაო!

36. /101v/ ძმაჲ ვინმე მკჳდრ იყო მონიდინს[2] და ცდუნებითა ეშმაკისაჲთა დაეცემოდის იგი სიძვითა და აიძულებნ[3] თავსა თჳსსა არა დატევებად სახესა მას მონაზონებისასა, არმედ ჰყოფდა მცირესა მას ლოცვასა თჳსსა, ევედრებოდა ღმერთსა სულთქუმით და ეტყოდა[4]: უფალო, უფალო, მეუფეო, ღმერთო ყოვლისა მპყრობელო, თუ მნებავს და[5] თუ არა, მაცხოვნე მე! ვითარცა მიწასა და თიჴასა[6] მიყუარს ცოდვაჲ, ხოლო შენ ვითარცა ღმერთმან ყოლად ძლიერმან დამიხრწიე მე და დამჴსენ ბორგნეულთა[7] ცოდვათა ჩემთა[8], რამეთუ უკუეთუ მართალი შეიწყალო, უფალო, არაჲ[9] დიდ არს და უკუეთუ წმიდაჲ აცხოვნო, მაცხოვარ, არაჲ საკჳრველ არს, რამეთუ ღირს არიან იგინი წყალობასა! ჩემ ცოდვილსა ამას ზედა საკჳრველ-ყავ წყალობაჲ შენი, მეუფეო, და ჩემ ზედა აჩუენე აურაცხელი იგი კაცთმოყუარებაჲ შენი, რამეთუ შენდა დაშთომილ არს გლახაკი და განწირულსა შენ ეყავ მწე! ამას იტყჳნ ყოლადვე და ამას ილოცავნ, გინათუ დაეცეს ანუ თუ არა. ვინაჲცა ღამესა ერთსა დაეცა ჩუეულებისაებრ სიძვითა და მეყსეულად აღდგა და იწყო ლოცვად კანონსა თჳსსა. იხილა რაჲ ეშმაკმან სასოებაჲ მისი ღმრთისა მიმართ და კეთილი იგი ურცხჳნოებაჲ, დაუკჳრდა, წარმოუდგა და ჰრქუა მას: ოდეს ჰგალობდე, კაცო, ვითარ არა სძრწი, ანუ ვითარ იკადრებ აწ პირითა[10] შენითა ხდად სახელსა ღმრთისასა, ანუ ყოლად წარდგომად წინაშე მისსა?! ჰრქუა ძმამან მან ეშმაკსა: სენაკი[11] ესე სამჭედლოჲ არს: ერთსა უროსა[12] ჰკრევდი და მეორესა მიიღებდი[13]. დავადგრე უკუე ბრძოლასა შინა შენსა, ვიდრე სიკუდილმდე[14] და სადაცა ვიპოო უკუანაჲსკნელსა მას დღესა. /102/ და ფიცით გულსავსე-გყოფ[15] შენ, ძალმან მისმან და წყალობამან, რომელი-იგი მოვიდა წოდებად ცოდვილთა და სინანულად, არა დავსცხრე შესმენისაგან შენისა ლოცვისა მიერ ღმრთისა მიმართ, ვიდრემდის დასცხრე შენ ბრძოლისაგან ჩემისა და ვიხილოღა[16], თუ[17] ვინ სძლოს, შენ-ძი, ანუ ღმერთმან! ესე რაჲ ესმა ეშმაკსა[18], ჰრქუა მას: დასტურად არღარა გებრძოდი შენ ამიერითგან, რაჲთა არა მოთმინებისა მიერ შენისა მოგატყუა გჳრგჳნი. და მეყსეულად განეშორა ეშმაკი იგი მისგან მიერ ჟამითგან. ხედავთა, ძმანო, თუ რაჲზომ კეთილ არს მოთმინებაჲ და არაწარკუეთაჲ სასოებისაჲ, დაღაცათუ შეგუემთხჳოს ჩუენ მრავალგზის დაცემაჲ და

[1] გლახ – B. [2] მონიდინს] მანდინს B. [3] აიძლებნ] აჲძულებნ A. [4] იტყოდა B. [5] და – BC. [6] ~ თიჴასა და მიწასა BE. [7] ბორგნეულთა + მათ B. [8] ჩემთა] ჩემთაგან BE. [9] არაჲ] არა E. [10] პირით E. [11] სენაკი – E. [12] უროსა] შენ B. [13] მიიღებდი] მე და B. [14] სიკუდილადმდე BE. [15] გულსავსე-გყოფ] გულსავსე-გყოს E. [16] ვიხილოღა] ვხილოთღა BC. [17] თუ – B. 18 ~ ეშმაკსა მას, ჰრქუა E.

ბრძოლაჲ და განსაცდელი. ვითარცა მოეგო უკუე ძმაჲ იგი თავს თჳსსა და მოვიდა მის ზედა ლმობიერებაჲ ფრიად და დაჯდა[1] და სტიროდა ცოდვათა თჳსთა, ხოლო ოდეს ჰრქჳს მას[2] გულისსიტყუამან მისმან: კეთილად ჰყოფ აწ, რამეთუ სტირ. მან მიუგის: წყეულ იყავნ კეთილი ესე და რად უჴმს ღმერთსა, რაჲთა წარიწყმიდოს კაცმან სული თჳსი და მერმე დაჯდეს და ტიროდის[3], ანუ აცხოვნოს ანუ არა!

37. სხუაჲ ძმაჲ მჯდომარე იყო მარტოებით მასვე მონასტერსა მონიდისასა[4] და ესე იყო ლოცვაჲ მისი სამარადისოდ[5]: უფალო, არა მეშინის მე შენგან, არამედ მოავლინე მეხისტეხაჲ ანუ სხუაჲ რაჲ ჭირი და განსაცდელი, ანუ სნეულებაჲ, ანუ ეშმაკეულობაჲ[6], რაჲთა ბარე ნუთუ ესრეთ მოვიდეს შიშად შენდა ყოლად განჴმელი სული ჩემი. ამას იტყოდა იგი და ევედრებოდა ღმერთსა და ესჯოდა: უფალო, ვიცი /102v/ რამეთუ შეუძლებელ არს შენდობაჲ ჩემი და რამეთუ ფრიად ვცოდე შენდამი[7], მეუფეო, გარნა უკუეთუ ჯერ არს აურაცხელთათჳს მოწყალებათა შენთა, შემინდვე მე. ხოლო უკუეთუ ესე არა ჯერ არს, მსწავლე მე აქა, მეუფეო, და მუნ ნუ მსწავლი მე. ხოლო უკუეთუ ესეცა უღონო არს, მომაგე[8] აქა კერძოჲ და საუკუნოდ აღმისუბუქე მცირედ სატანჯველთაგან ოდენ. იწყე ამიერითგან წურთად ჩემდა და სწავლად, გარნა ნუ რისხვითა შენითა, მეუფეო. ესრეთ დაყო ყოლად სრული იგი წელიწადი და ცრემლით ევედრებოდა ღმერთსა მრავლითა სიმდაბლითა გულისაჲთა და მარხვითა და იტყოდა თჳსაგან და[9] თავსა შორის თჳსსა: ნეტარ რაჲ-მე არს სიტყუაჲ იგი ქრისტესი, რომელსა იტყოდა, ვითრამედ: „ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იქმნენ“. დღესა უკუე ერთსა ჯდა იგი ქუემდაბლად და ტიროდა ჩუეულებისაებრ და მრავლისა მისგან ურვეულებისა[10] მიეძინა და აჰა ესერა, წარმოუდგა მას ქრისტე და მხიარულითა პირითა და ბრწყინვალითა ჴმითა ჰრქუა მას: რაჲ გჭირს, ჭ კაცო, რაჲსთჳს ესრეთ სტირ[11]? ჰრქუა მას ძმამან[12]: რამეთუ დავეცი, უფალო! ჰრქუა მას უფალმან: და უკუეთუ დაეცი, აღდეგ კუალად. მიუგო მდებარემან: ვერ ძალ-მიც აღდგომაჲ[13], არა თუ შენ, უფალო[14], მომცე ჴელი. და მეყსეულად განყო ჴელი მაცხოვარმან, მისცა მას და აღადგინა იგი. და ყოლად ნათლითა[15] პირითა ჰრქუა მას: რაჲსა სტირ, კაცო, და რაჲსა შეწუხებულ ხარ? მიუგო ძმამან: და არა გნებავსა, უფალო, რაჲთა ვტიროდი და ვწუხდე, რამეთუ ესოდენ შეგცოდე შენ და განგარისხე? მაშინ მიყო ჴელი მისი გამოჩინებულმან მან და სცხო თავსა მისსა ზეთი და ჰრქუა მას: ნუ შეწუხებულ ხარ შენ /103/ ფრიად, რამეთუ წყალობათაჲ არს ღმერთი და ვინაჲთგან შენ შეწუხებულ ხარ ჩემთჳს, მე არღარა შეწუხებულ

[1] და- B. [2] მას- E. [3] ტიროდის] სტიროდის E. [4] მანინდისასა B. [5] სამარადისოდ] მარადის B. [6] ეშმაკეულებაჲ BE. [7] შენდამი] შენდამო C. [8] მომაგე +მე E. [9] და – B. [10] ურვეულებისა] ურვეულობისა C. [11] ~ სტირ ესრეთ C. [12] ძმამან +მან E. [13] აღდგომაჲ +უფალო B. [14] უფალო- B. [15] ყოლად ნათლითა] კუალად მხიარულითა BE.

ვარ შენთჳს, რამეთუ შენთჳს და ცხორებისათჳს შენისა[1] სისხლნი მივსცენ ჩემნი, რაოდენ უფროჲსღა მივსცე კაცთმოყუარებაჲცა[2] ჩემი თჳთოეულსა სულსა მონანულსა. და ვითარცა განიფრთხო ჩუენებისა მისგან ძმამან მან და მოეგო თავად თჳსა, პოვა სული თჳსი აღვსებულად ყოვლითა სიხარულითა და გულსავსე იქმნა მტკიცედ, ვითარმედ ყო უფალმან მის ზედა წყალობაჲ და დაადგრა მიერითგან ფრიადსა ზედა სიმდაბლესა და ჰმადლობდა ღმერთსა.

38. ძმაჲ ვინმე მონაზონ იქმნა და დაემკჳდრა მთასა ნიტრიისასა. ხოლო იყო სენაკი მისი მახლობელად სხჳსა ძმისა. და ესმინ მას რამეთუ სტირნ[3] იგი დღითიდღე ცოდვათა თჳსთა. ხოლო ოდეს არა მოვიდიან ცრემლნი, ეტყჳნ იგი სულსა თჳსსა: არა სტირა თავსა შენსა, უბადრუკო და საწყალობელო, გრწმენინ, უკუეთუ არა გნებავს ტირილი, მე გყო შენ, რაჲთა სტიროდი! და აღდგის იგი და ვინაჲთგან აქუნდა საგუემელი საბლისაგან მაგრისა შემზადებული, სცემნ მით[4] ფიცხლად თავსა თჳსსა, ვიდრემდის ტკივილთა მათგან გუემისათა შეელმის[5] ფრიად და ტირნ. დაუკჳრდა უკუე ბერსა მას მახლობელსა[6] მისსა ესე და ილოცა ღმრთისა მიმართ, რაჲთა გამოუცხადოს მას ძმისა მისთჳს, უკუეთუ კეთილად ჰყოფს იგი, რამეთუ სტანჯავს[7] თავსა თჳსსა. ერთსა უკუე შინა[8] ღამესა იხილა ბერმან ჩუენებით, რამეთუ მდგომარე იყო ძმაჲ იგი მწყობრსა თანა წმიდათა მოწამეთასა და გჳრგჳნი ბრწყინვალჱ[9] ედგა ზედა თავსა მისსა. და რამეთუ ხედვიდა მას სხუაჲ[10] ვინმე და იტყოდა მისთჳს: ხედავთა /103v/ კეთილსა მას მოღუაწესა, რომელმან აჭირვა თავსა ქრისტესთჳს, თუ ვითარ მწყობრსა თანა მოწამეთასა მდგომარე არს გჳრგჳნოსანი?!

39. ბერი ვინმე მჯდომარე იყო უდაბნოსა მას დიდისა ანტონისსა, უბესა მას შინა იმიერ კერძო კოლჳზმასა[11]. ესე წარვიდა ოდესმე ეგჳპტეს საჴმრისა რაჲსათჳსმე და თანა წარიყვანა მოწაფეცა თჳსი. ხოლო ვითარცა მიიწია ქალაქსა მას, რომელსა კჳნო ეწოდების, დაადგრა მუნ ბერი შჳდეულსა ერთსა და ხედვიდა კაცთა მის ქალაქისათა, მამათა და დედათა, რამეთუ გამოვიდოდეს განთიად რიჟურაჟუ ოდენ საფლაოანსა[12] მათსა და სტიროდეს[13] მკუდართა მათთა ვიდრე სამ ჟამადმდე. ჰრქუა ბერმან მოწაფესა თჳსსა: ხედავა, ძმაო, თუ ვითარ იღჳძებენ ესენი და ღამეთა ათევენ?! გრწმენინ ჩემი, არა თუ ჩუენცა ესრეთვე[14] ვყოთ, წარსაწყმედელად წარვალთ. და უკუმოიქცეს[15] სენაკად თჳსად და მეყსეულად აღაშენეს თჳს-თჳსად საფლავები მათი შორის[16] ერთმან მეორისაგან, და გამოვიდიან

---

[1] ცხორებისათჳს შენისა] ცხორებისა შენისათჳს B. [2] კაცთმოყუარებაჲცა] კაცთმოყუარებაჲ C. [3] ტირნ E. [4] მით] მითა E. [5] შეელმინ B. [6] აქ E ნუსხა წყდება. [7] სტანჯავს + იგი B. [8] შინა – C. [9] ბრწყნვალჱ] ბრწყნვალე BC. [10] სხუაჲ] კაცი C. [11] კლჳზმასა A; კჳლიზმასა B. [12] საფლაოანსა] საფლაოვანსა B; საფლავოანს aC. [13] სტიროდეს] ტიროდეს B. [14] ესრეთ C. [15] უკუმოიქცეს + რაჲ B. [16] შორს B.

ადრე, პირველ განთენებისა და სტირნ[1] თჳთოეული სულსა თჳსსა, ვითარცა მკუდარსა საფლავსა მას ზედა. ხოლო უკუეთუ სამე მიეძინის განთიად მოწაფესა მას სიმძიმისაგან კანონთაჲსა, იწყის ბერმან ჴმობად მისა და ეტყჳნ: აღდეგ, ძმაო, აღდეგ, რამეთუ მათ ჟამი აქუს, რაჲთგან მოსრულ არიან საფლავსა მათსა და საქმესა. დღესა ერთსა ჰრქუა ძმამან მან ბერსა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ ფიცხელ არს სული ჩემი და ვერ ძალ-მიც ტირილად. ჰრქუა მას ბერმან: აიძულე[2], შვილო, და აჭირვე თავსა შენსა მცირედჟამ და იხილოს ღმერთმან შრომაჲ შენი და მოსცეს გლოვაჲ გულსა შენსა /104/ და არღარა იჭირვოდი. რამეთუ ჭეშმარიტსა გეტყჳ შენ, შვილო, ვითარცა სახედ კაცი, რომლისა გული მოიწყლას ისრითა, არღარა განიკურნების, ესრეთვე კაცისა, რომლისა გული მოწყლას ღმერთმან გლოჲთა[3], არღარა გამოვალს მისგან ტკივილი იგი გულისაჲ, არამედ ჰგიეს მის შორის წყლული იგი წყალობისაჲ ვიდრე სიკუდილადმდე მისა. და სადაცა იყოს და სადაცა ვიდოდის ესევითარი-იგი, სამარადისოდ[4] გლოვასა შინა არს სული და გონებაჲ მისი. ერთსა უკუე დღესა იხილა ბერმან ძმაჲ იგი დამძიმებული ჭამადთაგან, რამეთუ უცხონი ვინმე მივიდეს მისა[5] სამწუხაროდ და ჰრქუა მას თჳსაგან: არა უწყია, ძმაო, რამეთუ გლოვაჲ ბაზმაკი არს აღნთებული და უკუეთუ არა ვინმე[6] გულსმოდგინედ შეიკრძალოს, მეყსეულად დაივსების[7] იგი კუეთებისაგან ქართაჲსა. ესრეთვე სახედ გლოვაჲცა უჩინო იქმნების და წარჴდების და რამეთუ სიმრავლე ჭამადთაჲ დაავსებს მას და ნამეტნავი ძილი დაახრწევს მას და მრავლისმეტყუელებაჲ უჩინო-ჰყოფს მას, და რაჲთა მოკლედ ვთქუა: ყოველივე[8] განსუენებაჲ ჴორცთაჲ წარსწყმედს მას და იავარ-ჰყოფს. უჴმს უკუე, რომელსა უყუარდეს ღმერთი, რაჲთა ყოველსავე შინა საქმესა დაუტეობდეს ნაწილსა ქრისტესსა. ჰრქუა მას ძმამან: რაჲ არს სიტყუაჲ ეგე, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ დაგივრდეს შენ პური წმიდაჲ, დაუტევე[9] სხჳსათჳს და შენ ჭამე გარემოჲსი იგი ქრისტესთჳს. უკუეთუ დაგივრდეს შენ ღჳნოჲ კეთილი, ურიე[10] მას თანა მცირედ ძმარი ქრისტესთჳს, რომელმან-იგი სუა ჩუენთჳს ძმარი და ნუ განძღები[11] მითაცა, არამედ დაუტევე მცირედ და თქუ: აჰა ესერა და ნაწილიცა ქრისტესი! და უკუეთუ ჰპოო სასთუნალი ლბილი, დაუტევე იგი[12] და/104v/ შემო/იდევ ქვაჲ სასთუნლად შენდა ქრისტესთჳს. უკუეთუ მძინარე განსცივნე, დაითმინე და თქუ: სხუათა ყოლადვე არა სძინავს. უკუეთუ იგინო, დუმენ ქრისტესთჳს, და რამეთუ იგიცა იგინა ჩუენთჳს! უკუეთუ ჰყო თავისა შენისა გბოლვილი, განრყუენ იგი მცირედ და თქუ, ვითარმედ[13]: სხუათა მრავალთა ღირსთა არცათუ პური აქუს და მე გბოლვილსა ვჭამ უღირსი, რომელსა თანამედვა

[1] სტირნ] სტიროდიან B. [2] აიძულე] აჲძულე A. [3] გლოჲთა] გლოვითა BCE. [4] სამარადისოდ] მარადის B. [5] მის] მისსა B. [6] ~ ვინმე არა B. [7] დაივსების] დაჲვსების A. [8] ყოველივე] ყოველი B. [9] აქედან E ნუსხა გრძელდება 41r-ზე. [10] ურიე] ურთე B. [11] განძღები] განსძღები E. [12] იგი – B. [13] ვითარმედ – B.

ჭამაჲ მტუერისა და ნაცრისაჲ[1]. და რაჲთა შემოკლებულად ვთქუა, ყოველსავე შინა საქმესა შენსა შეზავე ჭირი მცირედ ჭამასაცა და სუმასა, ძილსა და ჴელთსაქმარსა და ყოველსავე ზედა სიმდაბლით ხჳდოდე და იჴსენებდ მარადის ცხორებასა წმიდათასა, თუ ვითარ იყვნეს იგინი სოფელსა ამას შინა ჭირვეულად და ურვეულად. იგონებდ[2] უკუე იგონებდ დღესაცა[3] და ჟამსა სიკუდილისა შენისასა, რაჲთა გულსმოდგინე იყო შენ ჭირთათჳს[4] და იწროებათა საწუთროჲსათა და ჰპოო შენ მუნ განსუენებაჲ საუკუნოჲ.

40. ბერმან თქუა: უკუეთუ გრქუას შენ გულისსიტყუამან თჳთოფერთა[5] ჭამადთა შემზადებაჲ დღესასწაულისა მიზეზითა, ნუ უსმენ მას, უკუეთუ არა, ჰურიაებრ[6] დღესასწაულობ[7], რამეთუ იგინი განჰმზადებენ[8] თჳთოსახეთა სანოაგეთა[9]. მონაზონისა კულა სანოაგენი[10] არიან გლოვაჲ და ტირილი.

41. კუალად თქუა: უკუეთუ გამოხჳდე სენაკისაგან შენისა და წარხჳდე სადამე და მცირედ უდებ იქმნე გლოვისათჳს[11], ადრე უკუმოიქეც სენაკადვე შენდა და უპყარ მოსწრაფებით პირველსავე მას წესსა შენსა.

42. თქუა კუალად: უკუეთუ გენებოს მოგებაჲ გლოვისაჲ[12], იღუაწე, რაჲთა ყოველივე საჴმარი შენი და ჭურჭელი[13] გლახაკი[14] იყოს, ვითარ აქუს მათ, რომელნი ურაკპარაკთა ზედა სხენან და ითხოვენ.

43. /105/ კუალად თქუა: უკუეთუ არა გაქუს ლმობიერებაჲ, უწყოდე, რამეთუ ცუდადმზუაობრობაჲ გაქუს, რამეთუ იგი არა უტევებს სულსა ლმობიერყოფად.

44. თქუა კუალად[15]: უკუეთუ მოგმადლოს შენ ღმერთმან გლოვაჲ, ნუ ჰგონებ, თუ დიდსა რასმე იქმ, რამეთუ ნეტარ ნანდჳლვე იგინი არიან, რომელთა ყოლადვე არა უჴმს გლოვაჲ. გარნა უკუეთუ იხილოს ღმერთმან კაცი, რომელი იქადოდის ცრემლთა ზედა, აღიხუამს მათ მისგან და მიერითგან განფიცხნების გული მისი და ჰგიეს იგი ულმობელად და წარწყმდების.

45. კუალად თქუა: უკუეთუ იცი, რომელ ჟამითი-ჟამად მოგცემს ღმერთი ცრემლთა, მას ჟამსა დაუტევე ჴელთსაქმარი შენი და შეეყავ გლოვასა სასოებით, ნუსადა ახლოს იყოს აღსასრული შენი. და ამისთჳს მოგმადლა[16] შენ ღმერთმან გლოვაჲ, რაჲთა მის მიერ ჰპოო მცირედ წყალობაჲ. რამეთუ ვითარცა სახედ სატანა ჟამსა აღსასრულისასა ისწრაფის წარწყმედად კაცისა, ესრეთვე ღმერთი სახიერი აურაცხელთათჳს წყალობათა თჳსთა მისცემს მიზეზსა წყალობისასა და აცხოვნებს კაცსა თჳთ ჟამსაღა სიკუდილისასა.

---

[1] ~ ნაცრისა და მტუერისაჲ C. [2] იგონებდ] იგონებდი B. [3] დღესაცა] დღესა მასცა E. [4] ჭირისათჳს C. [5] თითოფერთა E. 6 ჰურიათაებრ C. 7 სდღესასწაულობ E. [8] განმზადებენ B. [9] სანოაგეთა] სანოვაგეთა B. 10 სანოვაგენი] სანოვაგენი C. [11] გლოვისათჳს] გლოჲსათჳს B. [12] გლოვისაჲ] გლოჲსაჲ B. [13] ~ საჴმარი და ჭურჭელი შენი BE. [14] გლახაკი] საგლახაკოჲ BE. [15] ~ კუალად თქუა B . [16] მოგმადლა] მოგმადლოს B.

46. თქუა კუალად: უკუეთუ იპოოს[1] საფლაოანი ადგილსა მას, რომელსა მკჳდრ იყო, ზედაჲსზედა მიხჳდოდე მუნ და განიცდიდი მუნ მდებარეთა მათ და უფროჲსღა ჟამსა ჯორცთა ბრძოლისასა. და სადაცა გესმას, ვითარმედ ძმაჲ წარვალს წინაშე უფლისა, გულსმოდგინედ წარვედ მუნ და დაიყოვნე[2] მას[3] თანა, რაჲთა იხილო, თუ ვითარ სული განეშორების ჯორცთაგან.

47. კუალად თქუა: უკუეთუ შთაჰვარდე ცოდვასა და მოიქცე მისგან და იწყო ტირილად და სინანულად, იხილე და ნუ დასცხრები გლოვისაგან და სულთქუმისა უფლისა მიმართ, ვიდრე დღედმდე სიკუდილისა შენისა. უკუეთუ არა, კუალადცა /105v/ მასვე მთხრებლსა ადრე შთაჰვარდე. და რამეთუ ღმრთისამიერი იგი მწუხარებაჲ აღჳრი არს სულისაჲ და არა უტევებს მას დაცემად.

48. თქუა კუალად: ოდეს იხილოს სატანა, რამეთუ გწყალობს შენ ღმერთი და მოსცა ლმობიერებაჲ სულსა შენსა, მაშინ მოგართუამს საქმესა და საურავსა სენაკსა შინა შენსა და გეტყჳს: ქმენ ესე საქმე დღეს, რამეთუ საჭიროდ გიჴმს[4] ესე, ანუ თუ წარვედ და მოიხილე ძმაჲ იგი უძლური, რამეთუ სნეულ არს. ხოლო ამას ყოველსა იქმს იგი ამისთჳს, რაჲთა არა გიტეოს შენ მოცალებით განძღომად სიტკბოებითა მით, რომელი შეიქმნების გლოვისაგან. უკუეთუ კულა აგრძნა მზაკუვარებაჲ სატანაჲსი და დაიცვა[5] თავი შენი და მოიცალო ლოცვად ლმობიერებით, მეყსეულად მოელოდე განსაცდელსა ანუ კაცთაგან, ანუ ეშმაკთაგან. რამეთუ სატანა მაშინ ჰბრძავს კაცსა[6] ბოროტად, ოდეს კაცი ებრძოდის მას კეთილად. ხოლო გულისწყრომაჲ უმეტეს ყოველთა ვნებათასა[7] უჩინო-ჰყოფს ლმობიერებასა და სიმდაბლესა სულისასა განჰრყუნის. და არნ ოდესმე[8], მჯდომარე იყო თჳსაგან, მოგიცვენ შენ გულისსიტყუანი და გარემოგადგებიან ეშმაკნი თჳთოსახეთა ვნებათანი, შენ უკუე მაშინ აღდეგ მეყსეულად და ილოცე და მიმოვლე გარემოჲს სენაკისა[9] და იგინი თჳთ განიბნინენ შენგან.

49. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: მამაო, მარქუ მე სიტყუაჲ. ჰრქუა მას ბერმან: ოდეს მოწყლა[10] ღმერთმან ეგჳპტე, არა იყო სახლი, რომელსა შინა არა იყო გლოვაჲ და ტირილი[11].

50. ბერმან თქუა: ოდეს სჯდე სენაკსა შინა, გაქუნდინ ყოლადვე და მარადის ჴსენებაჲ[12] ღმრთისაჲ და გარემოგიცვას შენ შიშმან ღმრთისამან და განდევნოს სულისაგან შენისა[13] ყოველი ცოდვაჲ /106/ და ყოველი უკეთურებაჲ და ყოველი უსჯულოებაჲ.

51. თქუა კუალად: რომელმან მოიგოს შიში ღმრთისაჲ, აქუს მას საუნჯე აღსავსე ბევრეულთა მიერ კეთილთა. და რამეთუ შიში ღმრთისაჲ არს, რომელი იჴსნის კაცსა ცოდვათაგან.

---

[1] იპოოს] იყოს BE. [2] დაიყოვნე] დაჲყოვნე A; დაუჯედ E. [3] მას BC. [4] გიჴმს] გჳჴმს C. [5] დაიცვა] დაჲცვა AC. [6] კაცსა – B. [7] ვნებათასა] ვნებათა B. [8] ოდესმე + ოდესმეA. [9] სენაკისა] სენაკსა B. [10] მოწყლა] გუემა B. 11 ~ ტირილი და გლოვაჲ B. [12] ჴსენებაჲ] შიში E. [13] სულისაგან შენისა] სულისა შენისაგან B.

52. ბერი ვინმე მჯდომარე იყო თჳსაგან სენაკსა შინა, რომელსა დაეყო სამეოცი წელი მონაზონებასა შინა. ესე არაოდეს დასცხრა გლოვისაგან ყოველთავე მათ დღეთა ცხორებისა თჳსისათა[1], არამედ ზინ და ტირნ მარადის და იტყჳნ, ვითარმედ: ჟამი ესე მოუცემიეს ღმერთსა[2] ჩუენდა სინანულად, რომლისაჲ ფრიად გუეგულების ძიებაჲ უკუანაჲსკნელ.

53. ბერი ვინმე მჯდომარე იყო მთასა თჳსაგან დაყუდებით, ნათესავით ბერძენი. ესე, ოდეს იყო ჭაბუკ, მსახურ იქმნა ჯორთა მონასტრისათა. დღესა უკუე ერთსა შთავიდა იერიქოს[3] ჯორებითა და სადგურსა მას მისსა და სამასპინძლოსა იპოვა ყრმაჲ მცირჱ[4] და მანქანებითა ეშმაკისაჲთა დათრგუნა ჯორმან ფერჴითა[5] ყრმაჲ იგი და მოკლა, თჳნიერ ყოლად მეცნიერებისა ბერისა. ხოლო აგრძნა რაჲ ბერმან საქმე იგი, შეწუხნა ფრიად ამას ზედა, აღდგა და განეშორა და წარვიდა არნიანს და იქმნა მუნ განშორებულ. ტიროდა ყოლადვე და იტყოდა: მე მოვკალ ყრმაჲ იგი ჴელითა ჩემითა და ვითარცა კაცისმკლველი დასჯად ვარ მე[6] დღესა[7] სასჯელისასა. იყო უკუე[8] მახლობელად მისა ლომი ჴევსა მას შინა. და მივალნ იგი დღითიდღე საწოლსა მას ლომისასა და სცემნ[9] მას და გრგენ[10] და აიძულებნ[11], რაჲთამცა განაძჳნა, აღდგა და შეჭამა[12] იგი. ხოლო ლომმან მან არაოდეს[13] ავნო მას ყოვლადვე. მაშინ იხილა ბერმან, რამეთუ არარას[14] ავნებს ლომი იგი. შეუძნდა ფრიად და განიზრახა, რაჲთა წარვიდეს და დაწვეს[15] გზასა ზედა ლომისასა. და წარვიდოდის რაჲ /106v/ ლომი[16] მდინარედ სუმად წყლისა, შეჭამოს იგი. და ვითარცა ესე[17] ქმნა და დაწვა გზასა მას[18] ზედა, აჰა ესერა, მეყსა შინა წარმოვლო ლომმან და ვითარცა კაცმან ჰრიდა[19] ბერსა და მრავლითა მყუდროებითა აჰჴდა ბერსა[20] და გარდახლდა და ყოლადვე არა შეეხო მას. მაშინ გულსავსე იქმნა ბერი, ვითარმედ მიუტევა მას ღმერთმან ცოდვაჲ იგი და მოვიდა მონასტერსა თჳსსა და მუნ აღასრულნა ნეშტნი ნამეტნავნი დღეთა თჳსთანი. და ჰმოძღურინ ყოველთა და აღაშენებნ კეთილისა მიერ მოქალაქობისა თჳსისა, რომელსაცა შინა აღესრულა.

54. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ ოდეს ვიხილო ძმაჲ ცოდვად, განვიკითხავ მას და ოდეს მესმას სიუდბე ძმისაჲ, მძულს იგი და ესრეთ წარვსწყმედ[21] სულსა ჩემსა. ჰრქუა მას ბერმან: ოდეს გესმას[22] ესევითარი რაჲმე, მეყსეულად მოჰყარე[23] გონებაჲ შენი საქმისა მისგან და მიიყვანე გულისსიტყუაჲ[24] შენი ჴსენებად და ზრუნვად დღესა მას საშინელსა სასჯელისასა. და მოიგონე საყდარი იგი შესაძრწუნებელი და

---

[1] თჳსისათა] მისათა C. [2] ღმერთსა – C. [3] იერიქოს] ირიქოდ C. [4] მცირჱ] მცირე CE. [5] ~ ყრმაჲ იგი ფერჴითა C. [6] მე- B. [7] დღესა +მას C. [8] უკუე –B . [9] სცემნ] ჰსცემნ E. [10] გრგენნ B; ჰგრგენ E. [11] აიძულებნ] აჲძულებნ A. [12] შეჭამამაცა B. [13] არაოდეს] არა B. [14] არარას] არას E. [15] აქ E ნუსხა წყდება. 16 ლომი + იგი B. [17] ესე ქმნა და – B. [18] მას – C. [19] მიჰიდა E. [20] ბერსა- B. [21] წარვწყმედ B. [22] გესმას] გესმეს B. [23] მოჰყარე] მოაშორე B. [24] გულისსიტყუაჲ] გუნებაჲ B.

მსაჯული თუალუხუავი, მდინარე იგი ცეცხლისაჲ, სასტიკად[1] მავალი წინაშე საყდარსა მას, და მოუთმენელი იგი ტანჯვაჲ მას შინა შთათხეულთაჲ, მახჯლნი იგი და ლახუარნი ცეცხლებრ გაშანთებულნი, მტარვალნი იგი უწყალონი და ყოველნივე მწარენი სატანჯველნი, რომელთა არღარა აქუს აღსასრული! ბნელი იგი განუნათლებელი, წყუდიადი იგი ჯოჯოხეთისაჲ ულხინებელი! მატლნი[2] იგი წამლეანნი, ღრჭენაჲ იგი კბილთაჲ სამარადისოჲ და საკრველნი იგი განუჴსნელნი და ტირილი იგი და ტყებაჲ სამარადისოჲ! ესე ყოველი და სხუაჲ[3] მსგავსი ამათი მოიჴსენე და შეცვალე განკითხვაჲ მოყუსისაჲ განკითხვად /107/ თავისა შენისადა კეთილად და[4] გულსმოდგინედ განიცადე, თუ ვითარ საშინელ არიან სასჯელნი ღმრთისანი. და რამეთუ თჳთ წმიდანიცა იგი და უსხეულონი ძალნი შიშითა და ძრწოლითა აღივსებიან, მაშინ რაოდენ კაცი, ცოდვათა შინა შობილი და აღზრდილი! მუნ არა სცალს სხუასა სხჳსა ვნებად, ანუ თუ რგებად. ვერვინ იჴსნის მაშინ სასჯელისაგან კაცსა[5]: ვერ მამაჲ, ვერ დედაჲ, ვერ ძმანი, ვერ დანი, ვერ შვილნი, ვერ ნათესავნი, ვერ დიდებაჲ, ვერ სიმდიდრე და ვერარაჲ დაბადებული, თჳნიერ წყალობაჲ ოდენ ღმრთისაჲ და სარწმუნოებასა თანა მართალთასა მოქმედებაჲ საქმეთა სიმართლისათაჲ. და რამეთუ დიდი უგუნურებაჲ არს, დატევებაჲ თჳსისა მკუდრისაჲ და წარსლვაჲ ტირილად უცხოსა ზედა მკუდარსა. რამეთუ კაცად-კაცადი ჩუენი თჳთ აღიკიდებს ტჳრთსა თჳსსა და თჳთოეული ჩუენი თჳთ შეიბლარდნების[6] ბადეთა[7] შინა თჳსთა ცოდვათასა. და რამეთუ თჳსისა უფლისა არს კაცად-კაცადი ჩუენი ცოდვილ, გინათუ მართალ. და შემძლებელ არს ღმერთი ცხოვნებად ცოდვილსა მას, ვითარცა მართალსა, ვითარცა-იგი ყო მეზუერესა მას ზედა, მეძავსა და ავაზაკსა და მეათერთმეტისა მის[8]ჟამისათა ზედა. შენ უკუე, საყუარელო, ესე ყოველი განიცადე და იჯმენ განკითხვისაგან და სიძულილისა მოყუსისა, რამეთუ ბოროტ არს ცოდვაჲ ეგე და უძჳრეს ყოველთა ცოდვათასა, რამეთუ მიტაცებაჲ არს საყდარსა მას მხოლოდშობილისასა. და უკუეთუ გნებავს ჴსნაჲ მაგისაგან, სამარადისოდ საბჭოსა დაუდებდი თავსა შენსა და ეტყოდე: ესე რაჲმე რად ჰქმენ, იგი რაჲმე რად მოიგონე! რამეთუ მრავალი მიზეზი გეპოოს განკითხვად თავისა შენისა, ვინაჲთგან კაცი ხარ. და ესრეთ უცალო იქმნე სხჳსა განკითხვად და განისუენო მადლითა[9] ღმრთისაჲთა[10], რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ. /107v/

---

[1] სასტიკად] საშინლად B. [2] მატლნი იგი წამლეანნი] მატლი იგი წამლეანი B. [3] სხუაჲ – B. [4] და – B. [5] ~ კაცსა სასჯელისაგან B. [6] შეიბლარდნების] იბლარდნების C. [7] ბადეთა] ბადესა B. [8] მის – B. [9] მადლითა ღმრთისაჲთა.... ამინ- B. [10] აქედან E ნუსხა გრძელდება 43 r.

თავი ე

სწავლანი და თხრობანი წმიდათა მამათანი მრავალსახენი და მრავალგუარნი მარხვისათჳს და სხუათა ამათ[1] სათნოებათა. და ვითარმედ არა ჭამადთა ოდენ ზედა გამოისახვის მარხვაჲ, არამედ ყოველთავე ზედა საცნობელთა და აღძრვათა სულისათა

გუაკურთხენ, მამაო!

I. აღვიდეს ოდესმე ძმანი **მამისა ანტონისა**[2] სკიტით და შევიდეს ნავსა მუნ[3] მიმავალსა მათ კერძოთა. და პოვეს ბერი ერთი სხუაჲ მუნვე მიმავალი. ხოლო უმეცარ იყვნეს ამას ძმანი იგი, დასხდეს ნავსა შინა და იტყოდეს სიტყუათაგან მამათაჲსა და წიგნთაგან და ჴელთსაქმრისათჳსცა[4] მათისა, ხოლო ბერი იგი დუმნა. და ვითარცა მოვიდეს იგინი[5] სანავესა, პოვეს, რამეთუ ბერიცა მუნვე მიმავალ[6] იყო მამისა ანტონისა[7]. აღიმსთუეს ზოგად და მივიდეს დიდისა ანტონისა. ჰრქუა მათ მამამან ანტონი: კეთილი თანამოგზაური ჰპოვეთ, ძმანო, ბერი ესე? და ბერსა მას ჰრქუა: კეთილნი თანამავალნი ჰპოენ[8], ბერო, ძმანი ესე? მიუგო ბერმან: კეთილ[9] არიან ეგე, გარნა ეზოსა მაგათსა[10] კარი არა აბია და ვის ენებოს შევალს ახორსა მათსა და აღჰჴსნის[11] კარაულსა მათსა და წარიყვანებს. ხოლო ამას იტყოდა ბერი ამისთჳს, რამეთუ ყოველივე, რომელიცა[12] მოვიდეს პირად მათდა, უკრძალველად იტყჳანო.

II. 1. იტყოდა **მამაჲ დანიელ მამისა არსენისთჳს,** ვითარმედ: ყოლად სრული ღამე გარდავლის მღჳძარებასა შინა და ოდეს მოუჴდის ძილი განთიად უძლურებისათჳს ბუნებისა, ჰრქჳს ძილსა: მოვედ[13], ბოროტო

---

[1] ამათ] მათ C. [2] ანტონისა] ანტონისსა B. [3] მუნ – B. [4] ჴელთსაქმრისაგანცა C. [5] იგინი – E. [6] მიმავალ] მიმავალი B. [7] ანტონის] ანტონისსა E. [8] ჰპოენ] ჰპოვენ E. [9] კეთილნი B. [10] მაგათსა] მათსა C. [11] აღჰჴსნის] აჰჴსნის B. [12] რომელიცა] რომელი E. [13] მოვედ] მოედ B.

მონაო! და ესრეთ მიირულის მცირედ მჯდომარემან და მეყსეულად აღდგის.

2. იტყოდა **მამაჲ არსენი,** ვითარმედ /108/: კმა არს მონაზონისა[1] ერთი ჟამი ძილისათჳს, მოღუაწე თუ იყოს.

3. იტყოდა მისთჳსვე **მამაჲ[2] დანიელ**, ვითარმედ: ესოდენნი ჟამნი დაყვნა ჩუენ თანა და ერთი ოდენ თალიაჲ იფქლისაჲ, რომელ არს ძაძაჲ, უქმნით მას წელიწადსა შინა და ჩუენცა ოდეს მივიდით მისა[3], მისგანვე ვჭამდით და კმა-გუეყვის ყოველთა.

4. კუალად თქუა: თჳნიერ ერთგზის ოდენ წელიწადსა შინა გაცვალის წყალი იგი ბაიაჲსაჲ[4] და სხუად[5] უგებნ ოდენ ზედა და არღარა გაცვალის, რამეთუ თხზავნ იგი სირასა და კერავნ, ვიდრე ექუს ჟამადმდე. ევედრნეს უკუე ოდესმე ბერნი და ჰრქუეს მას: რაჲსათჳს არა გასცვალებ, მამაო, წყალსა მას სალბოლსა[6] ბაიაჲსასა[7], რამეთუ ყარს. და მან ჰრქუა მათ: ნაცვალად სურნელთა მათ და ნელსაცხებელთა, რომელთა ვიყნოსდი სოფელსა შინა, ჯერ არს ჩემდა[8] ყნოსად სულმყრალობასა ამას.

5. იტყოდა კუალად მისთჳსვე, ვითარმედ: ოდეს ესმის, რამეთუ დაესრულა ყოველი გუარი ხილისაჲ, მაშინღა თქჳს თჳთ თავით თჳსით, მომართჳთ მე. და იხილის გემოჲ ოდენ ყოველისაგანვე მცირედ-მცირედ, ერთგზის ოდენ წელიწადსა შინა. და ჰმადლობდის უფალსა, მომცემელსა ჩუენდა უხუად[9] ყოველთა კეთილთასა.

III. 1. იტყოდეს **მამისა აგათონისთჳს,** ვითარმედ: სამ წელ იპყრა ქვაჲ პირსა შინა თჳსსა, ვიდრემდის წარჰმართა დუმილი.

2. იგივე **მამაჲ აგათონ**[10] ვიდოდა ოდესმე გზასა მოწაფეთა თანა მისთა. და ერთმან მათგანმან პოვა არაკი მცირე ნედლი[11], ესე-იგი არს ნედლი ცერცჳ, გზასა ზედა და ჰრქუა ბერსა: მამაო, უკუეთუ მიბრძანო მე, აღვიღო ესე. მიხედნა ბერმან, დაუკჳრდა და ჰრქუა მას: შენ დასდევა ეგე მანდა? და ძმამან მან[12] თქუა[13]: არა. ჰრქუა მას ბერმან: და[14] ვითარ გნებავს აღებაჲ, რომელი არა დაგიც?

3. /108v/ იტყოდეს კუალად **მამისა აგათონისთჳს** და მამისა ამონაჲსთჳს, რამეთუ ოდეს განჰყიდდეს ჭურჭელსა[15] მათსა, ერთგზის ოდენ თქჳან ფასი მისი. და რაჲცა ვინ მისცის, მიიღიან დუმილით[16] და უდრტჳნველად. ესრეთვე კუალად ოდეს ენების რას მოსყიდად, რაჲცა ვინ და ვითარცა სთხოვიან, მისციან დუმილით და მოიღიან საჴმარი მათი რაჲთურთით ყოვლად უსიტყუელად.

4. აქუნდეს ოდესმე **მამასა აგათონს** ორნი მოწაფენი, რომელნი განშორებულად თჳსაგან მსხდომარე იყვნეს. დღესა უკუე ერთსა ჰკითხა

---

[1] მონაზონისა] მონაზონისადა B. [2] მამაჲ – C. [3] მის] მისსა BCE. [4] ბაიაჲსაჲ] ბაჲაჲსაჲ A. [5] სხუად] სხუა B. [6] სალბულსა B. [7] ბაიაჲსასა] ბაჲაჲსასა A. [8] ~ ყნოსად ჩემდა B. [9] უხუად] უხუებით C. [10] აგათუნ B. [11] ნედლი – B. [12] მან – C. [13] თქუა] ჰრქუა E. [14] და – B. [15] ჭურჭელსა] ჭურჭლებსაE. [16] აქ E ნუსხა წყდება.

ერთსა მათგანსა: ვითარ იყოფვი სენაკსა შინა შენსა? ხოლო მან ჰრქუა: ვიმარხავ ვიდრე მწუხრადმდე და შევსჭამ[1] ორსა პაქსიმადსა. ჰრქუა მას ბერმან: კეთილ არს განგებაჲ ეგე და არა ფრიადი აქუს შრომაჲ. ხოლო მეორესა მას ჰრქუა: და შენ ვითარ იქცევი, ძმაო? და მან ჰრქუა: ორ-ორით ვიმარხავ, მამაო, და ორსა პაქსიმადსა შევსჭამ[2]. ჰრქუა მას ბერმან: დასტურად იჭირვი შვილო, რამეთუ ორთა ბრძოლათა თავს ისხამ: ერთად, რამეთუ იმარხავ ორ-ორით და მეორედ, რამეთუ არა განსძლები. რამეთუ უკუეთუ, რომელი იმარხვიდეს მწუხრადმდე და არა განძღებოდის, შრომაჲ არს, რაოდენ უფროჲსლა რომელი იმარხვიდეს ორ-ორით და არა განძღებოდის, აქუნდეს[3] შრომაჲ.

IV.1. მივიდა[4] ოდესმე **მამაჲ აქილა** სენაკსა **მამისა ესაიაჲსსა**[5] სკიტეს, და პოვა იგი, რამეთუ ჭამდა და რამეთუ მოეღო ბერსა პინაკი და შთაესხა შინა წყალი და მარილი. იხილა რაჲ იგი[6] ბერმან, რამეთუ დამალა სირასა ქუეშე, ჰრქუა მას: მითხარ მე[7], რასა სჭამდი? ხოლო მან ჰრქუა[8]: შემინდვე მე[9], მამაო, რამეთუ ბაიასა[10] ვკაფდი ჟამსა ოდენ სიცხისასა. და მო-რაჲ-ვედ მე მუნით, შთავიდევ პირსა პური და მარილი და ვერ /109/ უძლე შთანთქმად, რამეთუ განჴმა ჴორჴი და სასაჲ ჩემი სიცხისაგან. და ვითარცა არა შთავიდოდა პური იგი ყიასა ჩემსა, ვიიძულე სხმად წყალსა პინაკსა შინა და მარილსა[11], რაჲთა ვითარ ესრეთ შეუძლო სამხრობად, არამედ შემინდვე, მამაო! და თქუა ბერმან: მოვედით და იხილეთ ესაია[12], რამეთუ წუენსა ჭამს სკიტეს! უკუეთუ წუენისა ჭამაჲ გნებავს, ვიდოდე ეგჳპტეს!

2. მივიდა ვინმე **მამისა აქილაჲსა** და იხილა იგი, რამეთუ სისხლი წარმოჰნერწყუა პირით მისით და ჰკითხა მას: რაჲ არს ესე, მამაო? და ბერმან ჰრქუა მას: სიტყუაჲ არს ძმისაჲ, რომელმან შემაწუხა და ვაიძულებდ[13] თავსა ჩემსა, რაჲთა არავის უთხრა იგი[14]. მერმე ვევედრე ღმერთსა, რაჲთა აღიღოს იგი ჩემგან. და იქმნა სიტყუაჲ იგი სისხლ პირსა შინა ჩემსა. და აჰა ესერა, წარმოვჰნერწყუე იგი და განვისუენე და მწუხარებაჲ იგი დამვიწყდა.

V. იტყოდეს **მამისა ამოჲსთჳს,** ვითარმედ დასნეულდა და მრავალთა წელთა ცხედარსა ზედა მივარდა. და არაოდეს[15] უტევა გულისსიტყუასა თჳსსა შეხედვად[16] უშინაგანესსა სენაკსა ხილვად, თუ რაჲ-ძი უც, რამეთუ დიად მოართუმიდეს მას უძლურებისათჳს. და ოდეს შევალნ იოვანე, მოწაფე მისი, სენაკად შინაკერძოსა მას სენაკსა, ანუ თუ გამოვალნ, დაიწუხნის[17] თუალნი თჳსნი[18], რაჲთა არა იხილოს თუ რასა იქმს და რამეთუ იცოდაცა[19], ვითარმედ სრწმუნოჲ მონაზონი არს იგი.

---

[1] შევსჭამ] შევშჭამ B ; შევჰჭამ C. [2] შევსჭამ] შევშჭამ B. [3] აქუნდეს] აქუს B. [4] მივიდა] მოვიდა B. [5] ესაიაჲსსა] ესაჲაჲსსა A. [6] იგი – B. [7] მითხარ მე- B. [8] +მას B. [9] მე – C. [10] ბაიასა] ბაჲასა AE. [11] ~ და მარილსა პინაკსა შინა B. 12 ესაია] ესაჲა A. 13 ვაი-ძულებდ] ვაჲძულებდ A. [14] იგი + და B. [15] არაოდეს] არა B. [16] შეხებად C. [17] დაიწუხნის] დაჲწუხნის A. [18] თჳსნი] მისნი C. [19] იცოდაცა] იცოდა B.

VI. თქუა **მამამან ანუბ**[1]: რაჲთგან წოდებულ არს სახელი ქრისტესი ჩემ ზედა, არა გამოსრულ არს ტყუვილი პირისაგან ჩემისა.

VII. ძმამან ჰკითხა **მამასა აბრაჰამს**: უკუეთუ შემემთხჳოს მე ორგზის ჭამაჲ დღესა შინა, რაჲ ჰბრძანო მისთჳს? ჰრქუა მას ბერმან: /109v/ რასა იტყჳ, ძმაო, ეგოდენსა ჭამასა, ანუ ჰგონებ, თუ კალოდ მოსრულ ხარ?!

VIII. 1. იტყოდა **მამაჲ ბენიამენ:** ვითარცა ჩამოვედით[2] მკისაგან სკიტედ, მოგუართუეს ჩუენ ევლოგიაჲ ალექსანდრიაჲთ, თვითო საწყაული ზეთი ჭურჭლითა, დაგოზილი ცარცითა. და[3] ვითა[4] მოვიდა კუალადცა ჟამი მკისაჲ, რაჲცა ვის დაჰმეტდის[5] ძმათა[6], ყოველთა მიიღიან იგი ეკლესიად. ხოლო მე ჭურჭელი იგი ჩემი ზეთისაჲ არა განმეღო, არამედ მახათითა შთამეჴურიტა და მცირედ მეჴმარა მისგან. და აქუნდა გულსა ჩემსა, ვითარმედ დიდი საქმე მიქმნიეს. ხოლო ვითარაცა მოიღეს ძმათა მათ მათი ყოლად სრულად დაგოზილი და ჩემი ოდენ იპოვა განჴურეტილი, ესოდენი სირცხჳლი მოიწია ჩემ ზედა, ვითარმცა დაცემულ ვიყავ.

2. თქუა **მამამან ბენიამენ,** მღდელმან სენაკებისამან, ვითარმედ მივედით ოდესმე სკიტედ ბერისა ვისამე[7] და ვინებეთ ზეთისა მიღებაჲ მისგან. და მრქუა ჩუენ: მონახეთ, თუ სადა დგას ჭურჭელი იგი ზეთისაჲ, რომელი მოიღეთ უწინარეს სამისა წლისა, რამეთუ ვითარცა დასდგით, ეგრეთვე დგას. ხოლო ჩუენ[8] გუესმა რაჲ ესე, დაგჳკჳრდა მოქალაქობაჲ ბერისაჲ.

3. მანვე თქუა: წარვედით ოდესმე სხჳსა ბერისა და დამიმჭირნა[9] ჩუენ სამხრად და ჩაურთო ოსპნსა მცირედ რაფნისა ზეთი. ხოლო ვარქუთ მას[10]: მამაო, მეც ჩუენ მცირედ ზეთისაგან კეთილისა, ხოლო მას ვითარცა ესმა, დაუკჳრდა, დაიწერა ჯუარი და თქუა: ყოლად არა ვიცი, თუ არს სხუაჲ ზეთი თჳნიერ ამისსა.

IX. მომითხრეს ჩუენ **მამისა დიმოკრატესთჳს**, რომელი იყო სწავლულ გარეშეთაცა, ვითარმედ პური მისი არნ ოსპნისა და ქრთილისაჲ. და რაჲ წელიწად იწყებნ სხუასა და სხუასა მოქალაქობასა, რამეთუ რომელსამე /110/ წელიწადსა არავის შეემთხუევინ სხუასა, არავის ზრახავნ, ოდესმე წუენსა არა ჭამნ, ოდესმე ხილსა, გინა მხალსა. და ესრეთ მოვალს რაჲ ყოველი იგი რაჲ წელიწად[11], მერმე კუალად იწყის. ესევითარი[12] იყო ცხორებაჲ მისი.

X. მიუმცნო **წმიდამან ეპიფანე მამასა ილარიონს**, ჰლოცვიდა მას და ეტყოდა: მოვედ, რაჲთა ვიხილოთ ურთიერთარს, პირველ განსლვადმდე ჩუენდა ამიერ სოფლით. და ვითარცა მოვიდა იგი, განიხარეს ზოგად[13] ურთიერთარს. ხოლო ჭამდეს რაჲ იგი სიყუარულსა, მოღებულ იქმნა

---

[1] ანუბ] ანობ BC. [2] ჩამოვედით] შთამოვედით B. [3] აქედან E ნუსხა გრძელდება 44r-ზე (აკინძვის შეცდომა). [4] ვითა] ვითარცა B. [5] დაჰმეტდის] დაჰმატოდის E. [6] ძმა-თა] მამათა B. [7] ვისამე] ვისმენ B; ვისსამე CE. [8] ჩუენ – B. [9] დამიმჭირნა] დამიჭირნა BC. [10] მას- B. [11] წელიწად] წელიწადი C. [12] ესევითარი] ესრეთ B. [13] ~ ურთიერთარს ზოგად B.

მფრინველი. მოიღო იგი მთავარეპისკოპოსმან და მისცა მამასა ილარიონს. ჰრქუა მას ბერმან: შენდობა ყავ ჩემთჳს, რამეთუ რაჲთგან შემიმოსიეს[1] სახჱ[2] ესე, არა მიჭამიეს დაკლული. ჰრქუა მას ეპისკოპოსმან: და მეცა რაჲთგან შევიმოსე სახჱ[3] ესე[4], არავის უტევე დაძინებად, რაჲთამცა აქუნდა ჩემთჳს ძჳრი გულსა[5]. ჰრქუა მას ბერმან: შემინდვე მე, რამეთუ შენი მოქალაქობაჲ, უფროჲს[6] არს ჩემსა.

XI. იტყოდეს **მამისა ელადისთჳს**, ვითარმედ დაყო წელიწადი სენაკებს და არაოდეს აღიხილნა თუალნი ზე, რაჲთა იხილოს ცაჲ ეკლესიისაჲ.

2. იტყოდეს მისვე **მამისა ელადისთჳს,** ვითარმედ პურსა ოდენ და მარილსა ჭამდა. ხოლო ოდეს მოვიდის აღვსებაჲ, თქჳს, ვითარმედ: ძმანი პურსა და მარილსა ჭამენ, გარნა ჩემდა ჯერ არს მცირედ შრომისა თავსდებად ვინაჲთგან პასექი არს. აწ უკუე, სამართალ არს ზედგომით ჭამაჲ წმიდისათჳს აღვსებისა, დაღათუ სხუათა დღეთა ქუეჯდომით ვჭამდი[7].

XII. იტყოდეს **მამისა ზინონისთჳს**, ვითარმედ ვიდოდა იგი ოდესმე პალესტინეს და ვითარცა დაშურა, დაჯდა ქუეშე ლეღოვანსა[8], რაჲთა ჭამოს პური. მერმე ჰრქუა მას /110v/ გულისსიტყუამან მისმან: აღიღე აქაჲთ ერთი ლეღჳ და შჭამე, რამეთუ არარაჲ არს საურავი. მიუგო ბერმან გულისსიტყუასა თჳსსა: არამედ რაჲ ვყო, რამეთუ მპარავნი სატანჯველად მივლენ. გამოცადეღა[9] უკუე[10] თავი შენი აწვე ამიერ აქაჲთ, თუ ძალ-გიც-ძი[11] დათმენაჲ სატანჯველთაჲ. და აღდგა მეყსეულად და დადგა სიცხესა მას ქუეშე ვითარ ხუთ დღე ოდენ და შეწუა თავი თჳსი. მერმე ეტყოდა თავსა თჳსსა: ვერ ძალ-გიც დათმენაჲ სატანჯველთაჲ. უკუეთუ სატანჯველთა ვერ დაუდგამ, ნუცაღა[12] იპარავ და სჭამ.

XIII. თქუა **მამამან ესაია**[13]: შეიყუარე დუმილი უფროჲს მეტყუელებისა, რამეთუ დუმილი შეიკრებს[14], ხოლო მეტყუელებაჲ განაბნევს.

2. მანვე **მამამან ესაია**[15] მოხადა ოდესმე ძმასა ვისმე და დაჰბანნა მას ფერჴნი და მოიღო მჯიღი ერთი ოსპნი და შთაასხა საგბოლსა. და ვითარცა აღდუღდა ოდენ, გარდამოიღო. ჰრქუა მას ძმამან მან: არღა შემგბარ არს, მამაო. ჰრქუა მას ბერმან[16]: და არა კმა არსა შენდა, რამეთუ ყოლად იხილა ცეცხლი?! და ესეცა დიდი ნუგეშინისცემაჲ არს.

XIV.1. თქუა **მამამან თეოდორე**: ნუ დაიძინებ[17] ადგილსა მას, სადა იყოს დედაკაცი.

---

[1] შემიმოსიეს B. [2] სახჱ] სახე E. [3] სახჱ] სახე E. [4] ესე] ესევითარი E. [5] ~ ძჳრი ჩემთჳს გულსა BE. [6] უფროჲს] უაღრეს BE. 7 ვჭამდი + აწ დღეს ზედგომით ვჭამ BCE. [8] ლეღოვანსა] ლეღუსა B. [9] გამოცადეღა] გამოცადე C. [10] უკუე – C. [11] ძალ-გიც B. [12] ნუცა B. [13] ესაია] ესაჲა A. [14] + საუნჯესა A მხედრულით. [15] ესაია] ესაჲა A. [16] ბერმან + მან B. [17] დაიძინებ] დაჲძინებ A.

2. კუალად თქუა: ნაკლულევანებაჲ პურისაჲ განაჴმობს ჴორცთა მონაზუნისათა[1].

XV. სხუამან თქუა: მღჳძარებაჲ უმეტეს განაჴმობს ჴორცთა.

XVI. თქუა **მამამან იოანე მოკლემან:** უკუეთუ ინებოს მეფემან გამოღებაჲ ქალაქისაჲ, პურსა მოუღებს პირველად და წყალსა. და ესრეთ შეიწრდენ რაჲ სიყმილისაგან მტერნი იგი, დაემორჩილებიან მას. ესრეთვე უკუე არიან და ვნებანიცა[2] ჴორცთანი[3]. უკუეთუ მარხვითა და სიყმილითა მოქალაქობდეს კაცი, მოუძლურდებიან მტერნი და მოეშორებიან ვნებანი სულისაგან მისისა. /111/

2. თქუა კუალად, ვითარმედ: აღვიდოდე ოდესმე გზასა მას სკიტისასა ბაიაებითა[4], რომელი მექმნა. და ვიხილე მეაქლემე იგი, რამეთუ ზრახვიდა არაკეთილად და აღმძრვიდა მე გულისწყრომად. და დაუტევე ყოველი იგი ჭურჭლები და ვივლტოდე.

3. თქუა კუალად: ვინ არს ძლიერ ვითარ ლომი, გარნა მუცლისა ძლით თჳსისა[5] იგიცა შეებმის მახესა და ყოველივე იგი ძლიერებაჲ მისი დამდაბლდების.

4. კუალად იტყოდა იგი, ვითარმედ: პურსა ოდენ და მარილსა ჭამდეს მამანი სკიტელნი და ეტყოდეს თავთა თჳსთა: ნუ განვაფიცხებთ თავთა ჩუენთა[6] და ვაჭირვებთ მეტად პურისათჳს და მარილისა. და ესრეთ ეპყრა. რაჲზომ ძლიერ იყვნეს საქმესა ღმრთისასა!

XVII.1. ძმამან ჰკითხა **მამასა ისიდორეს** და ჰრქუა: რაჲსათჳს ესრეთ ეშინის ეშმაკთა შენგან[7] ფიცხლად, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: რაჲთგან ვიქმენ მონაზონ, ვიღუწი ამას ზედა, რაჲთა არა შეუნდო აღმოსლვად გულისწყრომასა სასასა ჩემსა.

2. იგივე იტყოდა, ვითარმედ: მაქუს ორმეოცი წელიწადი, რაჲთგან ვაგრძნობ გონებისა ცოდვათა და არა ოდეს ჩამოვჰყევ თანა არცა გულისთქუმასა და[8] არცა გულისწყრომასა.

3. წარვიდა ოდესმე **მამაჲ ისიდორე მამისა თეოფილე მთავარეპისკოპოსისა** ალექსანდრიას. და ვითარცა უკუმოიქცა სკიტედ, ჰკითხვიდეს მას ძმანი: ვითარ არს ქალაქი, მამაო? ჰრქუა მათ ბერმან: ჰრიდეთ, ძმანო, არა მიხილავს პირი კაცისაჲ, თჳნიერ ოდენ მთავარეპისკოპოსისაჲ. ესმა რაჲ ესე ძმათა, აღშფოთნეს და ჰრქუეს მას: ნუუკუე განჰგრუნდია[9], მამაო? ჰრქუა მათ ბერმან: არა ეგრე[10], არამედ ვერ მძლო გულისსიტყუამან ხილვად ვისაცა. /111v/

---

[1] მონაზონისათა E. [2] ~ და ვნებანიცა არიან B. [3] ჴორცთანი] ჴორციელნი C. [4] ბაიაებითა] ბაჲაებითა A. [5] თჳსისა] მისისა C. [6] ჩუენთა] ჩუნცა B. [7] ~ შენგან ეშმაკთა B. [8] და- B. [9] განჰგრუნდია] განჰგრძნოდა B. [10] ეგრეთ E.

XVIII. 1. თქუა **მამამან ისაკ**: ვიხილე ძმაჲ, რომელი მკიდა ყანასა და ინება შეჭმაჲ თავსა ერთსა ჴუილისასა[1]. და ჰრქუა უფალსა მას ყანისასა: გნებავსა, რაჲთა შევჭამო თავი ერთი იფქლისაჲ? ხოლო მას ესმა რაჲ, დაუკჳრდა და ჰრქუა[2]: შენი არს, მამაო, ყანაჲ და[3] მე მკითხავა? ვიდრე აქამომდეცა იღუწიდა ძმაჲ იგი ნეტრეული.

2. იტყოდეს **მამისა ისაკისთჳს**, ვითარმედ ნაცარსა საცეცხურთასა ჭამნ პურსა თანა, რომელი-იგი დააკუმიის ჟამსა სამეუფოჲსა მის მსხუერპლისა შეწირვისასა. დასნეულდა ოდესმე მამაჲ ისაკ სნეულებითა დიდითა და დაყოვნა[4] მას შინა[5]. უქმნა ძმამან მან[6] მისმან მცირე სანუკვარი, და არა ინება მისგან გემოჲსხილვად. ჰრქუა მას ძმამან: იჴუმიე, ბერო, მცირედ ამისგან უძლურებისათჳს. ხოლო ბერმან ჰრქუა მას: ჰრიდე, ძმაო, მენება, რაჲთამცა დავყავ უძლურებასა ამას[7] შინა ოცდაათი წელი სხუაჲ.

XIX. მივიდა[8] ბერი ვინმე სხჳსა ბერისა, რაჲთა წარვიდენ ზოგად ორნივე და მოიხილონ **მამაჲ იოსებ**[9]. და ჰრქუა ერთმან მან მეორესა: არქუ, მამაო, მოწაფესა შენსა[10], რაჲთა მზა-მიყოს ჩუენ კარაული. და მან ჰრქუა: შენ ჴმა-უყავ მას და რაჲცა გნებავს, არქუ და ყოს. ხოლო მან ჰრქუა: რაჲ ეწოდების მას? ჰრქუა მას ბერმან[11]: არა უწყი! და მან ჰრქუა: რაოდენი ჟამი აქუს შენ თანა, რომელ არა იცი სახელი მისი? ჰრქუა მას ბერმან: არს ორი ოდენ წელიწადი. მიუგო სხუამან: უკუეთუ შენ გაქუს ორი წელიწადი და არა გიცნობიეს სახელი მოწაფისა შენისაჲ, რაოდენ უფროჲსღა[12] ჩემდა შეუმსგავს არს ერთ დღჱ[13] ცნობად სახელსა მისსა.

XX. 1. იტყოდეს **მამისა ისიდორესთჳს ხუცისა**, ვითარმედ მოვიდა ძმაჲ ვინმე და მიხადა მას სერად. ხოლო ბერმან არა თავს-იდვა წარსვლად, /112/ არამედ ჰრქუა: ადამი საჭმლისაგან იძლია და სამოთხისაგან კიდე იქმნა. ჰრქუა მას ძმამან[14]: და შენცა გეშინისა, მამაო, ყოლად სენაკისაგან გამოსლვად? ჰრქუა მას ბერმან: და რაჲსათჳს[15] არა მეშინოდის, შვილო, არა ვითარცა ლომი მყჳრალი მიმოვალსა ეშმაკი და ეძიებს, ვინმცა შთანთქა და წარწყმიდა?!

2. მრავალგზის იტყჳნ ნეტარი იგი, ვითარმედ: უკუეთუ ვინ[16] მისცეს თავი თჳსი მოსუმურობასა ღჳნისასა, ვერ განევლტოდის მზაკუვარებასა გულისთქუმათასა. და რამეთუ ლოთ იიძულა რაჲ ასულთაგან თჳსთა და დაითრო ღჳნითა, ადვილად შთააგდო ეშმაკმან სიმთვრალისაგან სიძვასა მას უსჯულოსა.

XXI. 1. მითხრა ჩუენ **მამამან კასიანე**, ვითარმედ: მოვიდა ოდესმე მამაჲ იოვანე, კაცი წინამძღუარი დიდისა ლავრისაჲ, მამისა პაესიოჲსა,

---

[1] ჴუილისასა] ჴუვილისასა B. [2] ჰრქუა +მას B. [3] და- BE. [4] დაყოვნა] დაყოვნდა B. [5] შინა+ჟამი მრვალი B. [6] მან – CE. [7] ამას – E. [8] მივიდა] მოვიდა B. [9] იოსებ] ისაკ B. [10] შენსა – B. [11] ~ ბერმან ჰრქუა მას B. [12] უფროჲსღა] უფროჲს BE. [13] დღე BE. [14] ძმამან +მან B. [15] რაჲსათჳს] რაჲსა C. [16] ვინ] ვინმე C.

რომელი მკჳდრ იყო უშინაგანესსა[1] უდაბნოსა ორმეოც წელ და ვინაითგან აქუნდა დიდი სიყუარული და სიყუარულისა გამო[2] დიდი კადნიერებაჲ, ჰრქუა მას: ესოდენთა[3] წელთა განშორებულ ხარ და არცა ერთისა ვის კაცთაგანისაგან შეურვებულ ხარ. აწ უკუე მითხარ მე, თუ ესოდენთა შინა ჟამთა რაჲ წარგიმართებიეს? ჰრქუა მას ბერმან: ვინაჲთგან ვიქმენ მე[4] მონაზონ, არაოდეს მიხილა მზემან ჭამასა შინა. და იოვანე მიუგო: არცაღა მე განრისხებასა შინა.

2. კუალად თქუა, ვითარმედ: მითხრა ჩუენ **მამამან მოსე მამისა სერაპიონისთჳს,** რამეთუ იტყოდა იგი, ვითარმედ: ოდეს ვიყავ ჭაბუკ, ვჴედ მამისა **თეონაჲს** თანა. და ვითარცა ვჭამით პური და აღვდგით ტაბლისაგან, მანქანებითა ეშმაკისაჲთა ვიპარევდი მე[5] პაქსიმადსა და ვჭამდი მას[6] იდუმალ ბერისაგან ჩემისა. და[7] ჟამთა უკუე არამცირედთა დაადგრა ვნებაჲ იგი /112v/ ჩემ თანა და ვიმძლავრებოდე მისგან და ვერ უძლებდი მას ძლევად, ოდენ ვისჯებოდე[8] შინაგან სჳნიდისისაგან ჩემისა, ხოლო[9] თხრობად ბერისა მრცხუენოდა. დღესა უკუე ერთსა იქმნა განგებაჲ[10] კაცთმოყუარისა ღმრთისაჲ და მოვიდა ვინმე ბერისა სარგებელისათჳს სულისა და ჰკითხა მას[11] თჳსთათჳს გულისსიტყუათა. ხოლო ბერმან მიუგო, ვითარმედ: არარაჲ ესრეთ ავნებს მონაზონსა და ახარებს ეშმაკსა, ვითარ დაფარვაჲ გულისსიტყუათაჲ სულიერთაგან მამათა, რომელსა ზედა დასძინა მარხვისათჳსცა[12] და სხუათა მათ სათნოებათა. ესე[13] რაჲ ესრეთ იქმნა და ესრე სახედ იტყოდა მამაჲ სერაპიონ, ვიგონებდიო მე[14], ვითარმედ[15] ღმერთმან გულსავსე-ყო ბერი[16] და აუწყა ჩემთჳს. და მეყსეულად ვიწყე ტირილად და გამოვიღე პაქსიმადი იგი უბეთაგან, რომელსა ბოროტად ვიპარევდი, და დავაგდე თავი ჩემი ქუეყანად ფერჴთა თანა ბერისათა და ვითხოვდ[17] შენდობასა გარდასრულთათჳს ცთომილებათა, ხოლო ლოცვასა წაღმართ კრძალულობისათჳს. მაშინ მრქუა მე ბერმან: ჭ შვილო, განგათავისუფლა შენ ქრისტემან ტყუეობისაგან შენისა, დაღათუ მე ვდუმენ, აწ აღსარებისა მიერ შენისა, და მომწყლველი იგი შენი ეშმაკი განაქიქე ძლიერად და მოსწყალ, რომელი-იგი უფლებდა შენ ზედა დუმილითა შენითა, რამეთუ არა ამხილე, არცა წინააღუდეგ, არცა შეასმინე. აწ უკუე უწყოდე მტკიცედ, რამეთუ არღარა აქუნდეს ამიერითგან ადგილი შენ თანა მტერსა, ვინაჲთგან დაფარული იგი სენი გულსა შინა შენსა ცხადად გამოაჩინე და გამოაცხადე. არღა დაესრულნეს ჯერეთ[18] ბერსა სიტყუანი ესე და აჰა ესერა, იხილვა მოძღუარი იგი ბოროტისაჲ, ვითარცა ალი ცეცხლისაჲ

---

[1] უშინაგანესსა +მას C. [2] გამო] მიერ C. [3] ესოდენთა] ესე ოდენთა E. [4] მე – C. [5] მე – C. [6] მას – B. [7] და – E. [8] ვისჯებოდე] ვისჯებოდი C. [9] ხოლო – C. [10] განგებაჲ] განგებულებაჲ B. [11] მას – B. [12] მარხვისათჳსცა] მარხვასაცა B. [13] აქ E ნუსხა წყდება. [14] მე – B. [15] ვითარმედ] ვითარ B. [16] ~ ბერი ღმერთმან გულსავსე-ყო C. [17] ვითხოვდ] ვთხოვდი B. [18] ~ ბერსა ჯერეთ C.

მყრალი, განმავალი /113/ უბ/ეთაგან ჩემთა და აღავსო[1] ყოველი იგი სახლი სულმყრალობითა, ვიდრეღა და ეგონაცა კაცთა, თუ სიმრავლე წუნწუბისაჲ იწუების ფრიადი[2]. მაშინ თქუა ბერმან: აჰა ესერა, სასწაულიცა მოგუცა უფალმან, შვილო, დასამტკიცებელად სიტყუათა ჩემთა და ბოროტისაგან ეშმაკისა თავისუფალ-გყო.

XXII. ბერი ვინმე მჯდომარე იყო საკრებულოსა მონასტერსა წმიდისა მამისა ჩუენისა **თეოდოსი არქიმანდრიტისასა**, სახელით **კონონ**. და ესევითარი კანონი აქუნდა მას: ოცდაათხუთმეტსა წელიწადსა შინა ერთგზის ოდენ მიიღებნ საზრდელსა შჳდეულსა შინა, პურსა ოდენ და წყალსა და სამარადისოდ შურებინ და ეკლესიისაგან არავე გამოვალნ.

XXIII. 1. მამაჲ ლონგინოს განირყუნა სენთაგან და ეტყოდა თავსა თჳსსა და განბოროტენ და მოკუედ[3] და უკუეთუ შენ უჟამოდ მთხოო ჭამადი, მე არცაღა ჟამსა მოგცე საზრდელი შენი.

XXIV. იტყოდეს **მამისა მაკარისთჳს,** ვითარმედ: უკუეთუ მოიცალოს მისლვად სერსა ძმათა თანა[4], დაუდვის თავსა თჳსსა საზღვარი, ვითარმედ: უკუეთუ დაგივრდეს ძმათა თანა ღჳნოჲ, სუ სიყუარულისათჳს. და რაოდენი სასუმელი ღჳნოჲ შესუა, ეგოდენთავე დღეთა, ნუ სუამ წყალსა სენაკსა შინა შენსა. იპოვა ოდესმე დღესა ერთსა ძმათა თანა და განსუენებისათჳს ბერისა მისციან ძმათა ღჳნოჲ, ხოლო ბერმან სიხარულით მიიღის, რაჲთა დატანჯოს თავი თჳსი. ჰლოცვიდა ძმათა მოწაფე მისი, ვინაჲთგან იცოდა საქმე იგი[5] და ეტყოდა: ყავთ სიყუარული და ნუ ასუამთ ბერსა ღჳნოსა, უკუეთუ არა, სენაკსა შინა /113v/ ეგულების დატანჯვაჲ თავისა თჳსისაჲ. და ვითარცა ცნეს ესე ძმათა[6], არღარა მისციან ბერსა ღჳნოჲ.

2. თქუა **მამამან მაკარი**: უკუეთუ ვისმე გენებოს შერისხვაჲ და გულისწყრომად აღიძრა, თჳსსა ნებასა აღასრულებ, რამეთუ არა ჯერ არს, რაჲთა სხუანი აცხოვნნე და თავისა თჳსისაჲ ჯერ-იჩინო წარწყმედაჲ.

3. მოართუეს ოდესმე ყურძენი **მამასა მაკარის,** რამეთუ სუროდა[7] ჭამად, ხოლო მან მასცა ზედა აჩუენა წესი მარხვისა თჳსისაჲ და წარმგზავნა[8] იგი სხჳსა ძმისა უძლურისა და რამეთუ მასცა სუროდა ყურძნისათჳს, რომელმანცა იხილა რაჲ იგი ფრიად განიხარა და სიხარულით მიითუალა, რამეთუ ეგულვა მასცა დაფარვაჲ მოღუაწებისა თჳსისაჲ. და ვითარცა განვიდა ძმაჲ იგი მიმრთუმელი, მეყსეულად[9] სხჳსა ძმისა წარმგზავნა[10], რომელი იგიცა უძლურ იყო და ვერ მიიღებდა საზრდელსა. ხოლო მან მიიღო რაჲ, კუალად იგივე ყო, დაღათუ ფრიად წადიერ იყო მისსა გემოჲსხილვასა და კუალად სხჳსა მიმართ წარმგზავნა[11]. ესრეთ უკუე მოვლო სიმრავლე

---

[1] აღავსო] აღივსო B. [2] ფრიად C. [3] მოკუედ] მოჰკუედ B. [4] თანა + და B. [5] იგი] მისი C. [6] ესე ძმათა] ბერთა ესე C. [7] სუროდა] სუროდაცა B. [8] წარგზავნა B. [9] აქედან E ნუსხა გრძელდება 47 r-ზე. [10] წარმგზავნა] წარგზავნა BCE. [11] წარმგზავნა] წარგზავნა BCE.

ძმათა მრავალთაჲ ყურძენმან მან და არცა ერთმან ვინ მათგანმან[1] იხილა გემოჲ მისი, დაღათუ ყოველთა უნდა. ხოლო უკუანაჲსკნელმან მან, რომლისა ჴელთა მივიდა, აღიღო იგი და ვითარცა დიდი ძღუენი წარმომგზავნა[2] მამისა მაკარისა[3]. იხილა რაჲ იგი ნეტარმან მან და იცნა, აღივსო სიხარულითა და ჰმადლობდა ღმერთსა და დაუკჳრდა ესოდენსა[4] მას[5] ზედა მოღუაწებასა ძმათასა. აღიღო იგი და მოიღო წმიდად ეკლესიად და ვითარცა ჭეშმარიტად ევლოგიაჲ, განუყო იგი[6] ყოველთავე მათ წმიდათა მამათა.

XXV. აღვიდა ოდესმე **მამაჲ მაკარი მოქალაქე** კაფად ბაიაჲსა[7] და სხუანიცა ძმანი მის თანა. და პირველსა /114/ მას დღესა ჰრქუეს ძმათა: მამაო, მოვედ ჩუენ თანა და ჭამე. და იგი მივიდა მათ თანა და ჭამა. ხოლო მეორესა დღესა კუალადცა აწჳეს[8] ბერსა მისლვად და ჭამად მათ თანა და არღარა[9] მივიდა, არამედ ჰრქუა მათ: თქუენ ჭამეთ შვილნო, რამეთუ ახლად მოსრულნი[10] ხართ. ხოლო ჩემდა შეუმსგავს არს უჟამოდ ჭამაჲ, რამეთუ მოხუცებულ ვარ.

XXVI. გჳთხრა ჩუენ **მამამან მინას**, ვითარმედ: ვჴედ ოდესმე სენაკსა შინა ჩემსა და მოვიდა ჩემდა ძმაჲ ვინმე უცხოჲ და მევედრა ფრიად, რაჲთა წარვიყვანო მამისა მაკარისა[11]. და აღვდეგ და წარვიყვანე იგი ბერისა. და ვითარცა წართქუა ჩუენ ზედა ლოცვაჲ, დავსხედით. ჰრქუა ძმამან მან მოსრულმან ბერსა: მამაო, მაქუს ოცდაათი წელი რაჲთგან არა მიჭამიეს ჴორცი. მიუგო ბერმან: არამედ ამას ზედა გულსავსე-მყავ, შვილო, და მართალი მითხარ, თუ რაოდენი დღე გაქუს, რაჲთგან არა განგიკითხავს ძმაჲ, ანუ არა ძჳრი გიზრახავს[12] მოყუსისადა, ანუ უქმი სიტყუაჲ არა გამოსრულ არს პირით შენით? მაშინ შეუვრდა ძმაჲ იგი[13] ფერჴთა ბერისათა და ჰრქუა: ლოცვა ყავ ჩემთჳს, მამაო, რაჲთა ვყო დაწყებაჲ კეთილისაჲ.

XXVII. იტყოდეს **მარკოზ განშორებულისათჳს**, ვითარმედ ყოლად სამეოცსა წელიწადსა ესევითარი მოღუაწებაჲ აქუნდა: შჳდეულთა ყოველთა იმარხავნ სრულად, თჳნიერ წმიდისა კჳრიაკისა, ვიდრეღა ეგონისცა მრავალთა, თუ უჭორცოჲ არს. ხოლო შურებოდა იგი დღით და ღამით და განუყოფნ მას გლახაკთა და არარაჲ ოდეს ვისგან აიღო[14] კნინოდენიცა. ამისთჳს[15] ესმა ვისმე ქრისტესმოყუარესა ერისკაცსა და მივიდა მისა[16] მიცემად სიყუარულისა. ხოლო მან არა მიიღო, არამედ ჰრქუა: ჴელთსაქმარი ჩემი კმა არს /114v/ ჩემდა გამოსაზრდელად და მათდაცა, რომელნი მოვიდოდიან ჩემდა ღმრთისათჳს.

---

[1] მათგანმან – B. [2] წარმომგზავნა] წარმოგზავნა BCE. [3] მაკარისსა C. [4] ესოდენსა] ესე ოდენსა E. [5] მას – C. [6] იგი – C. [7] ბაიაისა] ბაჲაისა A. [8] აწჳეს] აწყინეს BE. [9] არღარა] აღარა B, [10] მოსრულნი] მოსრულ C. [11] მაკარისა] მაკარისსა BC. [12] გიზრახავს] გიძრახავს B. [13] იგი – E. [14] აიღო] აჲღო A; აღიღო C. [15] ამისთჳს] არამედ E. [16] მის B.

XXVIII. ძმამან ჰკითხა **მამასა ზოილეს**[1] და ჰრქუა: მამაო, უკუეთუ ვიპოო სამე და შევჭამო სამი პური, ნუ დიად[2] არსა? ჰრქუა მას ბერმან: კალოდ მოხუედაო[3], ძმაო, რომელ ამას იტყჳ?

2. კუალად სხუამან ჰკითხა: უკუეთუ შევსუა სამი სასუმელი ღჳნოჲ, ნუუკუე დიად[4] არსა? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ არღარა არს ეშმაკი, არა დიდ არს, უკუეთუ კულა არს, დიად[5] არს. და რამეთუ ღჳნოჲ სრულიად უცხოჲ არს მონაზონთაგან, რომელნი მრთელ არიან და ჰნებავს ცხორებაჲ ღმრთისამიერითა მით ცხორებითა.

XXIX. 1. თქუა **მამამან პიმენ**: უკუეთუმცა არა ნაბუზარდან მზარეულთმთავარი მოსრულ იყო, არამცა დამწუარ იყო ტაძარი იგი უფლისაჲ. ესე იგი არს, უკუეთუმცა არა განსუენებაჲ იგი ნაყროვანებისაჲ[6] მოვიდა პირველად სულსა ზედა, არამცა გონებაჲ დაეცემოდა ბრძოლათა[7] შინა მტერისათა.

2. იტყოდეს **მამისა პიმენისთჳს,** ვითარმედ ოდეს იწოდის იგი სერად, წარვიდის თჳნიერ ნებისა თჳსისა და ტირნ. ხოლო მივალნ იგი ამისთჳს, რაჲთა არა შეაწუხოს ძმაჲ იგი თჳსი.

3. უთხრეს ვისთჳსმე მონაზონისა **მამასა პიმენს**, ვითარმედ: არა სუამს ღჳნოსა, ხოლო მან თქუა: ღჳნოჲ ყოლადვე არა არს მონაზონთაჲ.

4. თქუა კუალად: საძაგელ[8] არს შინაწე უფლისა ყოველივე ჴორციელი განსუენებაჲ.

5. თქუა კუალად: უკუეთუ მოიჴსენოს კაცმან სიტყუაჲ იგი წერილისაჲ, ვითარმედ: „სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო[9]“, აღირჩიოს ესევითარმან მან უფროჲსღა დუმილი.

6. თქუა კუალად სხუამან[10] ბერმან, ვითარმედ: ძმამან ჰკითხა მამასა პიმენს, უკუეთუ კეთილ არსა ქებაჲ მოყუსისაჲ. ჰრქუა მას[11] ბერმან: უფროჲსღა კეთილ არს დუმილი.

7. /115/ თქუა **მამამან პიმენ:** ვითარცა სახედ კუამლი იოტებს ფუტკართა და მაშინღა ნამუშაკევი მათი ნაყოფი სიტკბოებისაჲ მოეღების[12], ესრეთვე ჴორციელი განსუენებაჲ იოტებს შიშსა ღმრთისასა სულისაგან კაცისა და წარსწყმედს ყოველსავე ნამუშაკევსა მონაზუნისასა[13].

8. მითხრა ჩუენ მამათაგანმან ვინმე **მამისა პიმენისთჳს** და ძმათა მისთა, ვითარმედ მკჳდრ იყვნეს იგინი ეგჳპტეს და სურვიელ იყო დედაჲ მათი ხილვისათჳს მათისა და ვერ ძალ-ედვა. მერმე დაუმზირა მათ მიმავალთა ეკლესიად და შეემთხჳა მათ. ხოლო მათ იხილეს რაჲ იგი, გარეუკუნ-იქცეს სენაკადვე მათდა და დაჰჴშეს კარი წინაშე პირსა მისსა. ხოლო იგი დგა

---

[1] ზოილეს] ზოჲლეს] A. [2] დიად] დიდ CE. [3] მოხუედაო] მოხუედ C; მოხუედა E. [4] დიად] დიდ CE. [5] დიად] დიდ E. 6 ნაყროვნებისაჲ C. [7] ბრძოლათა] ბრძოლასა E. [8] საძაგელ] არა საძაგელ C. [9] დაისაჯო] დაჲსაჯო A. [10] სხუამან + მან E. [11] მას – C. [12] მოეღების] მოეღებვის B. [13] მონაზუნისასა] მონაზონისასა E.

გარეშე კარსა სენაკისასა, ჴმობდა და იტყოდა ტირილით და სულთქუმით: რაჲ არს უკუეთუ გიხილნე თქუენ, შვილნო ჩემნო საყუარელნო?! ესმოდა რაჲ ესე ყოველი მამასა ანობს, შევიდა მამისა პიმენისა[1] და ჰრქუა: რაჲ უყოთ დედაბერსა იმას, რამეთუ ტირს გარეშე კარისა ჩუენისა. აღდგა მამაჲ პიმენ და დადგა შინა კარისა და ესმოდა მწარე იგი გოდებაჲ მისი და ტირილი[2]. მერმე ჰრქუა მას: რაჲსა ესრეთ სტირ, დედაბერო? ხოლო მას ესმა რაჲ ჴმაჲ მისი, უმეტესადღა ფრიად გოდებდა და ტიროდა და მრავლითა სულთქუმითა და ცრემლითა ჰრქუა მას[3]: მინებს ხილვაჲ თქუენი, შვილნო, და რაჲ არს, უკუეთუ გიხილნე?! არა ვარა დედა თქუენი, არა მე გაწოენა ძუძუჲთა ჩემითა, არა სრულიად ბერ ვარა და უძლურ, რაჲ არს, უკუეთუ გიხილნე?! რამეთუ აჰა ესერა, მესმა რაჲ ჴმაჲ შენი, ყოვლითურთ აღიძრნეს ნაწლევნი ჩემნი. ჰრქუა მას ბერმან: აქა გნებავს[4] ხილვაჲ ჩუენი ანუ მუნ მერმესა მას სოფელსა? ჰრქუა მას დედაბერმან: და უკუეთუ არა გიხილნე თქუენ აქა, /115v/ გხედავა მუნ სხუასა მას სოფელსა? ჰრქუა მას მამამან პიმენ: უკუეთუ აიძულო[5] თავი შენი არახილვად ჩუენდა აქა, მუნ გუნახავ ჩუენ უეჭუელად. ესმა რაჲ ესე კეთილსა მას დედაბერსა, წარვიდა სიხარულით და იტყოდა: უკუეთუ ყოლად გიხილავ თქუენ მერმე[6], არღარა მნებავს ხილვაჲ თქუენი აქა.

9. იტყოდა **მამაჲ იოსებ მამისა პიმენისთჳს**, ვითარმედ: თქუა მან ესე რამეთუ, ესე არს სიტყუაჲ იგი სახარებისაჲ, რომელსა იტყჳს, ვითარმედ: „რომელსა აქუნდეს შესამოსელი განყიდენ და იყიდენ დანაკი“[7]. ესე იგი არს, რომელსა აქუნდეს განსუენებაჲ ჯორციელი, დაუტევენ იგი და შევედინ სლვად გზასა მას იწროსა ცხორებისასა.

10. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს:** ვითარ უჴმს, მამაო[8], ყოფაჲ[9] საკრებულოსა შინა მონასტერსა? ჰრქუა მას ბერმან: რომელი მყოფ იყოს ზოგადცხორებულთა თანა, უღირს, რაჲთა ყოველთავე სწორად[10] ხედვიდეს და ერთად და რაჲთა შეიკრძალოს პირი თჳსი და თუალნი. და ოდეს ესე ყოს, უზრუნველ იქმნეს[11] და განისუენოს.

11. კუალად თქუა[12]: დავით ოდეს[13] ებრძოდის ლომსა, ყიასა უპყრის და მეყსეულად მოაკუდინის იგი. ესრეთვე უკუეთუ ჩუენცა ვიპყრათ ყიაჲ და მუცელი ჩუენი, ვსძლევთ ღმრთისა მიერ ლომსა მას უხილავსა.

12. თქუა **მამამან პიმენ**: სამსა ამას ვერ ძალ-მიც მოკუეთად, ჭამადსა[14], შესამოსელსა და ძილსა. გარნა ზოგსრაჲმე კერძოჲ მოიკუეთების მისგან[15].

13. ჰკითხა ძმამან **მამასა პიმენს** და ჰრქუა: ფრიადსა მხალსა ვჭამ, მამაო, კეთილ არსა? ჰრქუა მას ბერმან: არა გიჯობს ეგე, არამედ ჭამე

---

[1] პიმენის] პიმენისსა B. [2] ~ ტირილი მისი და გოდებაჲ BE. [3] მას – B. [4] გნებავსა B. [5] აიძულო] აჲძულო AE. [6] მერმე] მერმესა მას BE. [7] ლ. 22,36. [8] მამაო – C. [9] ყოფაჲ] კრებაჲ C. [10] E ხელნაწერი დაზიანებულია. [11] იქმნეს] იყოს C. [12] თქუა + და B. [13] ~ ოდეს დავით B. [14] ჭამადსა] ჭამასა B. [15] მისგანვე B.

პური შენი და მცირედ მხალი და ნუ წარხუალ[1] მამულსა შენსა საჴმრისათჳს შენისა.

14. კუალად თქუა: არარაჲთ[2] სხჳთა დამდაბლდების სული, არა თუ მოაკლო მას პური.

XXX. 1. /116/ იტყოდეს **მამისა პამბოჲსთჳს და მამისა ბესარიონისთჳს და ესაიაჲსთჳს**[3] და **პაესიოჲსთჳს და მამისა ათრესთჳს**, ვითარმედ: იყო ოდესმე და ზრახვიდეს ურთიერთარს, ხოლო ხუცესმან მთისამან ჰკითხა მათ და ჰრქუა: ვითარ უღირს, წმიდანო მამაო, მოქალაქობაჲ ძმათა? ჰრქუეს მას ბერთა: მრავლითა მოღუაწებითა უღირს ყოფად და რაჲთა დაიცვან[4] გონებაჲ მათი განკითხვისაგან მოყუსისა.

XXXI. მამაჲ პიორ ვიდოდა ოდესმე და ჭამდა, ჰკითხა ვინმე მას: რაჲსათჳს ესრეთ შჭამ[5], ბერო? ხოლო მან ჰრქუა მას: არა მნებავს, რაჲთამცა საქმედ მეპყრა ჭამაჲ, არამედ ვითარცა გარეწარად.

2. კუალად სხუამან ჰკითხა ამისთჳსვე და მან მიუგო, რაჲთა არცაღა ჭამასა შინა აგრძნობდეს სული ჩემი განსუენებასა ჴორციელსა[6].

XXXII. იტყოდეს **მამისა პეტრე პიონელისათჳს**, რომელი იყო სენაკებსა[7], ვითარმედ არა სუმიდა იგი ღჳნოსა. ხოლო ოდეს დაბერდა იგი, უქმნიან ძმათა მცირე ზავებული, ესე იგი არს თერმონი წყლითა. და მან თქჳს: ვითარცა ილუმელსა მივიღებ ამას. და მიერითგან იჴუმევნ მას მცირედ სიბერისათჳს და უძლურებისა.

XXXIII. იტყოდეს **მამისა პავლესთჳს**, ვითარმედ: დაყო ორმეოცი[8] დღე კნინსა ზედა ოსპნსა და ლაგჳნსა ერთსა[9] წყალსა და ერთსა ზედა სფირიდსა, რამეთუ თხზავნ მას და[10] არღუევნ, ვიდრე აღსრულებამდე[11] დღეთა მათ. და ესრეთ მოიწია[12] რაჲ დღესასწაული, გამოვიდა.

XXXIV. ძმამან ჰკითხა **მამასა პალადიონს** და ჰრქუა: მამაო, მითხარ მე, თუ რაჲ ვყო, რამეთუ მაქუს სამი წელიწადი და ორ-ორით ვიმარხავ და ვერ უძლე თავისუფალყოფად ეშმაკისაგან სიძვისა. ჰრქუა მას ბერმან: შვილო, ესაია[13] წინასწარმეტყუელი ოდეს წარივლინებოდა /116v / უფლისა მიერ ერისა მის[14] მიმართ ისრაჱლთაჲსა, ესრეთ ითქუა მისა მიმართ: ღაღატ-ყავ[15] ძლიერად და ნუ ჰრიდებ და ვითარცა ნესტჳთა მით საყჳრისაჲთა აღიმაღლე ჴმაჲ შენი და მიუთხრენ ერსა ცოდვანი მათნი და სახლსა იაკობისსა უსჯულოებანი[16] მათნი. მე დღითი-დღე მეძიებენ და მიახლებად ღმრთისა გული-უთქუამს და იტყჳან, ვითარმედ: ვიმარხეთ და არა სცან, დავიმდაბლენით სულნი ჩუენნი და არა იხილე. რომლისათჳს მიეგო პასუხი

---

[1] წარხუალ] შეხუალ C. [2] არარაჲთ] არარაჲთა B. [3] ესაიაჲსთჳს] ესაჲაჲსთჳს A. [4] დაიცვან] დაჲცვან A. [5] შჭამ] სჭამ B. [6] ჴორციელსა] ჴორცთასა E. [7] სენაკებსა] სენაკებს C. [8] ორმეოცი] ორმოცი B. [9] ერთსა] ზედა E. [10] და – C. [11] აღსრულებადმდე BE. [12] მოიწია] მიიწია B. [13] ესაია] ესაჲა A. [14] მის – B. [15] ღაღად-ყავB. [16] უსჯულოებანი] უშჯულოებანი B.

სიტყჳსაჲ და ითქუა მათდა მიმართ ესრეთ, ვითარმედ: დღეთა[1] მარხვისა თქუენისათა[2] იპოვენით მოქმედად ნებათა თქუენთა და ბოროტსა უყოფდით ჴელსა ქუეშე თქუენსა მყოფთა, და ყოველთავე წინააღმდგომთა თქუენთა დასთრგუნევდით და იმარხევდით სასჯელად და სასარჩლოდ, ვიდრეღა და[3] სმენადცა უფლისა გამო ამას, ვითარმედ არა ესევითარი[4] მარხვაჲ გამოვირჩიე მე, თქუა უფალმან, არცა უკუეთუ მოიდრიკო ქედი შენი ვითარცა გრკალი და ძაძაჲ და ნაცარი[5] დაიფინო[6], არცაღა ესრეთ ეწოდოს მარხვაჲ შეწყნარებული. შენ უკუე, საყუარელო შვილო, იმარხვიდე რაჲ, ვითარ იყოფვი ანუ რასა იქმ? მიუგო ძმამან ბერსა: მე, მამაო[7], განთიად დავალბობ ბაიასა[8] და ვშურები და ზედა ვიწურთი ფსალმუნთა. და ოდეს მალაკი ერთი გავასრულო, აღვდგები და ვილოცავ, და იქმნას რაჲ შუვადღე, მცირედ დავიძინებ და აღვდგები და გამოვალ სენაკით. და მიმოვლო რაჲ მცირედ, კუალად შევალ და ვიწყებ ჴელთსაქმარსა ჩემსა, ვიდრემდის სრულ იქმნეს სამი მალაკი. მერმე მო-რაჲ-ვიდეს მიმწუხრი, ვილოცავ და ასსა მუჴლსა მოვიგდებ და დავიძინებ, და მო-რაჲ-ვიდეს ჟამი, აღვდგები და აღვასრულებ კანონსა ჩემსა. და მეორესა დღესა /117/ ცხ/რაჲჟმისა ჟამსა ვიქმ გბოლვილსა და მაძღრივ ვჭამ. ჰრქუა მას ბერმან: ამას, შვილო, არა ჰქჳვან მარხვაჲ სრული, რამეთუ უკუეთუ იმარხვიდე ჭამადთაგან და ბოროტი ვისთჳსმე სთქუა, ანუ განიკითხო, ანუ ძჳრი უზრახო, ანუ გული გითქუმიდეს რასმე არაკეთილსა[9], ანუ გულისსიტყუათა იწურთიდე მწიკულევანთა, უმჯობეს არს შენდა[10] ხუთგზის ჭამაჲ დღესა შინა და კრძალვაჲ ამათ საქმეთაჲ[11], რომელნი წარმოვთქუენ, ვიდრეღა მშიერ თუ იყო პურითა და მაძღარ ცოდვითა. რამეთუ და რაჲ იყოს სარგებელი, ოდეს ვინ ჭამადთაგან განეყენოს და სხუათა მიერ ვნებათა აღივსებოდის, რამეთუ მარხვაჲ ჭეშმარიტი არს სიტყჳსაებრ წმიდათაჲსა განყენებაჲ ყოველთაგანვე ბოროტთა. ანუ არა უწყია, რომელი გულისთქუმათა გონებით აღსასრულებდეს, დაღათუ პურითა მომყმარ იყოს, ცოდვითა მაძღარ არს იგი და დამთრვალ. არამედ უკუეთუ გნებავს მოღვაწებაჲ და მარხვაჲ და[12] რაჲთა მარხვაჲ იგი შენი სათნო[13] იყოს[14] უფლისა, პირველად ყოვლისა იმარხე, რაჲთა არარაჲ სიტყუაჲ უშუერი და არაკეთილი გამოვიდეს პირისაგან შენისა და იჯმენ ყოვლისაგანვე[15] განკითხვისა მოყუსისა და ყოვლისაგანვე ძჳრისსიტყჳსა და ყოვლისაგანვე სასმენელისა ამაოჲსა. და რაოდენ ძალ-გედვას, განწმიდე გული და გონებაჲ შენი ყოვლისაგანვე მწიკულევანებისა სულისა და

[1] დღეთა] დღესა B. [2] თქუენისასა B. [3] და – B. [4] ესევითარი] ეგევითარი C. [5] აქ E ნუსხა წყდება. [6] დაიფინო] დაჲფინო A. [7] მამაო – C. [8] ბაიასა] ბაჲასა A. [9] არაკეთილსა] კეთილსა B. [10] შენდა] შენთჳს B. 11 საქმეთაჲ] საქმეთა B. [12] და რაჲთა მარხვაჲ იგი შენი – B. 13 სათნო] სათნოდ B. [14] იყოს – B. [15] ყოვლისაგანვე განკითხვისა მოყუსისა და – B.

ჯორცთაჲსა და ყოვლისაგანვე მანკიერებისა და საძაგელშეძინებისა[1]. და რომელსა დღესა იმარხვიდე, კმა-იყოფდი პურსა და წყალსა და მხალსა და ჰმადლობდი ღმერთსა. ხოლო მას დღესა, რომელსა არა შჭამდე, გამოითუალე წარსაგებელი მისი და მიეც იგი ძმასა გლახაკსა, /117v/ მშიერსა და უცხოსა, ანუ თუ ქურივსა და ობოლსა, რაჲთა განიძღოს სული თჳსი ესევითარმან მან[2] და ილოცოს შენთჳს უფლისა მიმართ და კეთილი გეყოს შენ. დააჭნვენ უკუე ჯორცნი შენნი სიმრავლითა მუჯლთა დრეკისაჲთა და მღჳძარებითა და წურთითა მით საიდუმლოჲთა[3], ჯდომით და მიყრდნობით დაიძინებდი[4] ჰრულსა შენსა, დაუტევე საქმეცა იგი მალაკისაჲ და იქმოდე სფირიდსა. და რამეთუ სიჭაბუკჱ[5] არა თუ დაიმწყსოს[6] მრავალთა მიერ ჭირთა და ღუაწლთა და მარხვისა მიერ და მღჳძარებისა, ჯმელსა წოლისა და ჯმელსა ჭამისა და სხუათა მათ მიერ ყოველთავე[7] მოღუაწებათა, ვერ განერების ეშმაკსა სიძჳსასა. ამისთჳს და ნეტარნიცა მამანი ჩუენნი არა აწუევდეს ჭაბუკთა სენაკთა შინა და ადგილთა დასაყუდებელთა მკჳდრობად, არამედ შორის კრებულსა ამცნებდეს უფროჲსღა მოთმინებად, არცაღა შეჰმოსდეს სამოსელთა ლბილთა და ჩჩჳლთა, არამედ ძუელსა რასმე და დაკერულსა[8] და ფლასისასა ჩააცუმიდეს, და ყოველითავე შეკრძალვითა ამცნებდეს წინამძღუართა მათთა შეკრძალვად. და რამეთუ უქმობაჲ და განსუენებაჲ და ორგზის ჭამაჲ დღესა შინა და ძილი ფრიადი არა თუ ოდენ ეშმაკსა საძვისასა აღადგენს ჩუენ ზედა, არამედ და მოწყინებისა და ზუაობისასა და ამპარტავანებისა[9] და სხუათა მათ ბოროტთა სიმრავლესა მომართუამს ჩუენ, რომელთა ყოველთაგან გჳჯსენინ[10] უფალმან მრავალთაებრ თჳსთა[11] მოწყალებათა.

XXXV. 1. ძმამან ჰკითხა **მამასა სისოჲს** და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, უკუეთუ ეკლესიად მივიდოდი და იყოს სადამე[12] სიყუარული და შემიპყრან მე? ჰრქუა მას ბერმან: შრომაჲ აქუს საქმესა მაგას, შვილო. /118/

2. მამასა სისოჲს ჰკითხა მოწაფემან მისმან **აბრაჰამ** და ჰრქუა: უკუეთუ იქმნეს[13] სამე[14] შემთხუევაჲ[15] ძმათაჲ, მამაო, შაბათსა, გინა კჳრიაკესა და სუას ძმამან სამი სასუმელი ღჳნოჲ, ნუუკუე დიად არსა? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ ეშმაკი არღარა არს, არა დიდ არს.

3. მრავალგზის ეტყჳნ **მამასა სისოჲს** მოწაფე მისი: მამაო, აღდეგ და ვჭამოთ. და ბერმან თქჳს: არა ვჭამეთა, შვილო? და მან მიუგის: არა, მამაო. და ბერმან ჰრქჳს: უკუეთუ არღა გჳჭამიეს, მოიღე და ვჭამოთ.

---

[1] საძაგელშეძინებისა] საძაგელთა შეძინებისა B. [2] მან – B. [3] საიდუმლოჲთა] საჲდუმლოჲთა A. [4] დაიძინებდი] დაჲძინებდი A. [5] სიჭაბუკჱ] სიჭაბუკე BC. [6] დაიმწყსოს] დაჲმწყსოს A. [7] ყოველთავე] ყოველთა B. [8] დაკერულსა] დაკერებულსა B. [9] ამპარტავანებისა] ამპარტავნებისა BC. [10] გჳჯსენინ] გჳჯსნენინ B. [11] თჳსთა] მისთა B. [12] სადამე] სამე B. [13] იქმნ B. [14] ~ სამე იქმნეს C. [15] მიმთხუევაჲ B; დამთხუევაჲ C.

4. თქუა ოდესმე კადნიერებით მოწაფისა მიმართ თჳსისა **მამამან სისოჲ,** ვითარმედ: განმჴნდი, ძმაო, რამეთუ აჰა ესერა, მაქუს ოცდაათი წელი, ვინაჲთგან არღარა მილოცავს ღმრთისა მიმართ ცოდვათათჳს, არამედ ამას ვილოცავ და ვიტყჳ: უფალო იესუ ქრისტე, დამიცევ მე და[1] დამიფარე ენისაგან ჩემისა და ვიდრე მოაქამომდე დღითი-დღე დავეცემი მითა და ვცოდავ.

5. იქმნა ოდესმე ჟამისწირვაჲ მთასა **მამისა ანტონისსა** და იპოვა მუნ ჭურჭლითა რაჲთმე მცირითა ღჳნოჲ და აღიღო ერთმან ბერთაგანმან სამწდეოჲ და ჭიქაჲ და მივიდა **მამისა სისოჲსა**[2] და მისცა მას სასუმელი ერთი. ხოლო მან მიიღო და შესუა და მეორედ უწდია, მიიღო ბერმან იგიცა და[3] შესუა. ჴელ-ყო მწდემან მიცემად მესამესაცა და არა მიიღო, არამედ ჰრქუა: დასცხერ, ძმაო, არა უწყია, რამეთუ ცოცხალ არს ეშმაკი?

6. ძმამან ჰკითხა **მამასა სისოჲს** მოქალაქობისათჳს სულიერისა, რომელი იყო კლდისაგან. ჰრქუა მას ბერმან: განაღა იტყჳს დანიელ ვითარმედ, პური გულისსათქუმელი არა ვჭამე.

7. ჰკითხა ძმამან **მამასა სისოჲს** და ჰრქუა: უკუეთუ /118v/ ვიდოდით გზასა და შესცთეს მძღუარი ჩუენი, ჯერ არსა, რაჲთა ვამხილოთ მას? ჰრქუა მას ბერმან: არა, ნუ იყოფინ! ჰრქუა მას ძმამან: რაჲ უკუე, მიუშუათა, რაჲთა მოგუაცთუნნეს? ჰრქუა მას ბერმან: და რაჲ გნებავს, ჯოხსა აიღება[4], რაჲთა სცე მას? გეტყჳ, შენ, რამეთუ ვიხილენ მე ძმანი, რომელნი ვიდოდეს და მძღუარი იგი მათი შესცთა გზასა ღამით. ხოლო იყვნეს ძმანი იგი ათორმეტ და იცოდეს ყოველთა, რამეთუ შესცთეს. და იღუწიდა კაცად-კაცადი თჳსაგან რაჲთა არა თქუას, არცა ამხილოს. და ვითარცა იქმნა დღჱ[5], ცნა მძღუარმან მან მათმან, რამეთუ ცთომილ არიან გზასა. და ჰრქუა მათ: შენდობა ყავთ ჩემთჳს, რამეთუ ცთომილ ვართ. მაშინ მიუგეს ყოველთა, ვითარმედ: და ჩუენცა ვიცოდით, გარნა ვდუმენით. ხოლო მას ესმა რაჲ ესე, დაუკჳრდა ფრიად და თქუა: ვიდრე სიკუდილადმდე იღუწიან ძმანი ესე და იმარხვენ დუმილსა. და ადიდებდა იგი ღმერთსა მოთმინებისათჳს მათისა, ხოლო სიშორჱ[6] გზისაჲ, რომელსა ცთომილ იყვნეს, იყო ვითარ ათორმეტ მილიონ.

XXXVI.1. იტყოდეს მამისა **სისოჲ თიბელისათჳს**[7], ვითარმედ მკჳდრ იყო კალამონს არსენოჲტისასა და სხუაჲ ბერი იყო სნეულად სხუასა შინა ლავრასა. და ვითარცა ესმა უძლურებაჲ იგი ბერისაჲ მის, შეუძნდა ფრიად მამასა სისოჲს ამისთჳს, რომელ ორ-ორით იმარხვიდა და დღე იგი დახუდა, რომელსა არა ჭამდა, ვინაჲცა განიზრახვიდა იგი[2] თავსა შორის თჳსსა და

---

[1] და- C. [2] სისოჲსა] სისოჲსსა C. [3] ~ და იგიცა B. [4] აიღება] აჲღება A. [5] დღჱ] დღე BC. [6] სიშორჱ] სიშორე BC. [7] თიბელისათჳს] თებელისათჳს B; თებელისასა C.

[2] იგი- B

იტყოდა: რაჲ ვყო, უკუეთუ წარვიდე[1] მოხილვად ბერისა, ნუუკუე მაიძულონ[2] მე ძმათა ჭამად და უკუეთუ ველოდი ხვალის[3] დღემდე, ნუუკუე მიიცვალოს ძმაჲ იგი? გარნა ესე ვყო, წარვიდე და არა ვჭამო. და ესრეთ წარვიდა მარხული და /119/ აღას/რულა მცნებაჲ[4] ღმრთისაჲ და მოქალაქობაჲცა იგი[5] საღმრთოჲ არავე დაჰჴსნა.

2. იტყოდეს **მამისა სისოჲ თიბელისათჳს**[6], ვითარმედ პურსა არა ჭამდა და დიდსა მას დღესასწაულსა წმიდისა აღვსებისასა შეუვრდეს მას ძმანი, რაჲთა ჭამოს მათ თანა. მიუგო ბერმან და ჰრქუა მათ: ერთი თანამაც ყოფად, ანუ რაჲთა ვჭამო პური ოდენ მარტოდ, ანუ რაჲთა ვჭამო ყოველივე ჭამადი, რაოდენიცა განჰმზადეთ. ხოლო მათ ჰრქუეს მას: პური ოდენ ჭამე მარტოდ. და მან ყო ეგრეთ[7].

XXXVII. მომითხრა ჩუენ მამათაგანმან ვინმე **მამისა სისოჲ კალამონელისათჳს**, ვითარმედ ინება ოდესმე ძლევაჲ ძილისაჲ და შთამოაბა თავი თჳსი პარეხსა მას კლდისასა და მოვიდა ანგელოზი უფლისაჲ[8], განჴსნა იგი, ამცნო მას და ჰრქუა: ნუღარაოდეს იკადრებ ყოფად ამას, ნუცაღა სხუათა მისცემ ესევითარსა მოძღურებასა დრკუსა.

XXXVIII. მივიდეს ოდესმე **მამაჲ სილოვანე და მოწაფე მისი ზაქარია** მონასტერსა ერთსა და უქმნეს მათ მცირე[9] ჭამადი პირველ წარსლვადმდე გზასა. და ვითარცა გამოვიდეს მუნით, პოვა მოწაფემან მისმან წყალი გზასა ზედა და ინება სუმის. ჰრქუა მას ბერმან: ზაქარია, არა მარხვაჲ არსა დღეს? ხოლო მან ჰრქუა მას[10]: და არა ვჭამეთა, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: იგი ჭამადი, შვილო, სიყუარულისაჲ იყო, ხოლო ჩუენ გჳღირს პყრობად ჩუენსავე წესისაებრ მარხვასა.

XXXIX. იტყოდეს **მამისა სერინოჲსთჳს,** ვითარმედ: დიად შურებოდა და ორსა პაქსიმადსა შეშჭამნ[11] ყოლადვე. და მოვიდა მისა[12] მამაჲ იობ, თანაშეთქუმული მისი და იგიცა დიდი მოღუაწე და ჰრქუა მას, ვითარმედ: მე[13] წესსა ჩემსა სენაკსა შინა ჩემსა ვიმარხავ, უკუეთუ კულა გამოვიდე სენაკით ჩემით, ძმათავე თანა შთამოვჰყვე[14]. /119v/ ჰრქუა მას მამამან სერინოს: არა დიდ არს ეგე სათნოებაჲ, ოდეს სენაკსა შინა შენსა დაიმარხო[15] საქმე შენი, არამედ ოდეს სენაკით გამოხჳდე, უკუეთუ ვითარ[16] მაშინ დაიმარხო[17], იგი არს საქებელ.

---

[1] აქედან E ნუსხა გრძელდება 50r-ზე. [2] მაჲძულონ] მაჲძულონ A. [3] ხვალის] ხვალისა B. [4] მცნებაჲ] ნებაჲ E. [5] იგი – B. 6 თებელისათჳს B. [7] ეს თხრობა მოყვება სისო კალამონელის თხრობას, ადგილი შევუცვალეთ, რათა არ დარღვეულიყო დანომვრა სისოს თხრობებისა. [8] უფლისაჲ +და B. [9] მცირე] მცირედ B. [10] მას- B. [11] შეშჭამნ] შეშჭამდა B. [12] მისა] მისსა B. 13 მე – C. [14] შთამოვჰყვე] შთამოვჰყვები BE. [15] დაიმარხო] დაჲმარხო A. [16] ~ მაშინ ვითარ B . [17] დაიმარხო] დაჲმარხო A.

XL. მივიდეს ოდესმე მამანი სკიტელნი **დედისა სარრაჲსა**[1] და მან დაუგო მათ ტაბლაჲ, ხოლო მათ დაუტევეს კეთილი ჭამადი და ჭამდეს იგინი უდარესსა. ხოლო მან ჰრქუა მათ: დასტურად ნანდჳლვე სკიტელნი ხართ.

XLI. თქუა **დედამან სჳნკლიტიკე**: ჯერ არს ჩუენდა, რომელთა სახჱ[2] ესე შეგჳმოსიეს, მოგებად ჩუენდა[3] სრულსა სიწმიდესა. და რამეთუ ერისკაცთაცა ჰგონიეს სიწმიდით სლვაჲ, გარნა თანაშეექუსვის არაწმიდებაჲ, ვინაჲთგან სხუათა მათ საცნობელთა უნებლიეთ შეემთხუევის ცოდვაჲ, რომელ არიან სახედველნი და სასმელნი და სიცილისამიერი უწესოებაჲ.

2. თქუა კუალად: ვითარცა მაკუდინებელნი იგი მჴეცნი უფიცხლესთა[4] მათ წამალთა გარემიაქცევენ, ესრეთვე[5] გულისსიტყუათა ბოროტთა მართლუკუნ-აქცევს ლოცვაჲ მარხვასა[6] თანა.

3. თქუა კუალად: ნუ გაცთუნებს შენ სიმდიდრე და გემონი სოფლისანი, რამეთუ წარმავალ არს და ამაო. და შემძლებელ ხარ შენ მარხვისა მიერ უმეტეს მათსა დაჰამებად ჭამადსა[7]. ვინაჲთგან სული მაძღარი გოლსა ემღერის, ხოლო მომყმარსა ყოველივე ეჰამების და ნუ განსძღები პურითა, რაჲთა არა გული გითქუმიდეს ღჳნოსა.

XLII. 1. თქუა **მამამან ტითოჲ**, ვითარმედ: უცხოებაჲ არს სრული, უკუეთუ, შეიკრძალოს კაცმან პირი თჳსი.

2. ძმამან ჰკითხა **მამასა ტითოჲს**: ვითარ დავიცვა[8], მამაო[9], გული ჩემი? ჰრქუა მას ბერმან: ვითარ დავიცვათ, ძმაო, გული ჩუენი და გონებაჲ, რაჲთგან პირი ჩუენი და ენაჲ ღიაჲ არს მუცელსა თანა. /120/

XLIII.1. თქუა **მამამან იპერექი**[10]: ვითარცა ლომი საშინელ არს კანჯართათჳს, ეგრეთვე მონაზონი გამოცდილი ეშმაკთათჳს და გულისთქუმათათჳს ვნებულთა[11].

2. თქუა კუალად: მარხვაჲ აღჳრი არს მონაზონისაჲ ცოდვისათჳს და რომელმან დააგდოს იგი, ცხენ მცბიერ იქმნების ვნებათა მიმართ.

3. კუალად თქუა: რომელმან არა დაიმჭიროს[12] ენაჲ თჳსი ჟამსა გულისწყრომისასა, ესევითარი-იგი ვერცაღა ვნებასა აღუდგეს, წინამოიწიოს[13] რაჲ.

4. თქუა კუალად: კეთილ არს ჭამაჲ ჴორცისაჲ და სუმაჲ ღჳნისაჲ და არა ჭამაჲ ჴორცისა განკითხვისა მიერ.

5. კუალად თქუა[14]: ჰლიქნა რაჲ გუელმან ევას, სამოთხით გამოჴადა. ეგრეთვე განმკითხველი მოყუსისაჲ წარსწყმედს სულთა, რომელთაცა ესმოდის და თჳსსა ვერვე[15] აცხოვნებს.

---

[1] სარრაჲსსა] სარაჲსსა E. [2] სახჱ] სახე BCE. [3] ჩუენდა – B. [4] უფიცხლესთა] უფიცხელესთა B. [5] ესრეთვე] ეგრეთვე BE. [6] ~ მარხვაჲ ლოცვასა თანა B. [7] ჭამადსა] ჭამადისა BE. [8] დავიცვათ E. [9] მამაო] ძმაო E. [10] იპერექი] იპერიქე E. [11] გულისთქუმათა ვნებულთათჳს C. [12] დაიმჭიროს] დაჲმჭიროს A. [13] წინამოიწიოს] ვინაჲ მოიწიოს B. [14] ~ თქუა კუალად B. [15] ვერვე] ვერ B.

6. თქუა კუალად: დაღათუ განჴმენ მარხვითა ჴორცნი მონაზონისანი, გარნა სული სიღრმეთაგან ვნებათაჲსა აღმოიწოდების. და რამეთუ მარხვაჲ ღუართა[1] განაჴმობს გემოთასა[2].

7. თქუა კუალად: წმიდაჲ მონაზონი ქუეყანასა ზედა იდიდოს და ცათა შინა წინაშე მაღლისა[3] გჳრგჳნოსან იქმნეს.

8. კუალად თქუა[4]: სიტყუაჲ უკეთური ნუმცა გამოვალს პირით შენით, რამეთუ ვენაჲი ყურძენსა მოიღებს[5] და არა ეკალსა.

1. ფილორომოს[6] ვინმე სახელით იქმნა მონაზონ რჩეულ ჟამთა ივლიანე უსჯულოჲსათა და მრავლითა კადნიერებითა ამხილებენ სიმედგრესა მისსა, რომლისა ბრძანებითა მრავალთა სატანჯველთა დაუთმო ქრისტესთჳს. ესე განტევებულ იქმნა რაჲ ტანჯვათაგან და გუემათა, ებრძოლნეს ფიცხლად /120v/ სიძვისა და ნაყროვნებისა ეშმაკნი, რომელთაცა სძლო ძალითა ქრისტესითა და მრავალსახითა მოღუაწებითა თჳსითა. რამეთუ ოდესმე შეიჭედის რკინითა, ოდესმე შეაწყუდიის[7] თავი თჳსი მცირესა[8] შინა სენაკსა და ოდესმე განეყენის ჭამადთა და პურსაცა იფქლისასა. და რაჲთა მოკლედ ვთქუა: ყოველივე, რომელიცა[9] გამოცხვების ცეცხლითა, ათვრამეტსა წელსა არა ჭამა, ვიდრემდის სძლო ეშმაკთა მათ ცოდვისა და გულისთქუმისათა. იტყოდა უკუე ნეტარი იგი, ვითარმედ: მაქუს ოცდაათორმეტი[10] წელიწადი, რაჲთგან არარას დავეახლე ხილთაგანსა. იქმნა ოდესმე და ბრძოლაჲ შემექმნა ფრიადი[11] შიშისაჲ ესოდენ გარდარეულად, ვიდრეღა და თჳთ დღისითცა[12] მეშინოდის. მერმე შევედ საფლავსა შინა და ექუს წელ შევაწყუდიე მას შინა თავი ჩემი და ესრეთ ვსძლე მას ძალითა ქრისტესითა. ესრეთ აღდგეს ჩემ ზედა მრავალნი ბრძოლანი, გარნა ყოველნივე იგი დასცნა და იოტნა ძალმან საღმრთომან.

2. ორნი ძმანი მკჳდრ იყვნეს მახლობელად ურთიერთარს. და ერთი იგი[13] იქმოდა საქმესა საკჳრველსა, რამეთუ წარვიდის ფარულად სენაკად ძმისა და აღურიის კერმასა მისსა კერმაჲ, რომელ არს ფოლი, და პურსა მისსა პური და ბაიასა[14] მისსა ბაიაჲ[15]. და არა იცოდა ძმამან[16] ყოლადვე საქმე იგი, თჳნიერ უკჳრდა ოდენ, რამეთუ მდიდრდებოდა სენაკი მისი. დღესა ერთსა შეჰჴდა ანაზდაჲთ ზედა, რამეთუ იქმოდა ამას და იწყო ფიცხლად ბრძოლად მისა და ეტყოდა: რაჲსათჳს ჰქმენ, ძმაო, ესევითარი უსამართლოებაჲ და ჴორციელთათჳს საჴმართა /121/ წარმპარე სულიერი? და მოსთხოვა მას სიტყუაჲ, რაჲთა არღარა ოდენ ყოს ესევითარი რაჲმე[17] ოდესცა და[18] ესრეთღა მისცა შენდობაჲ.

---

[1] ღუართა] ღუარსა E. [2] გემოთასა] ნებათასა C. [3] წინაშე მაღლისა – E. [4] ~ თქუა კუალად C. [5] მოიღებს] გამოიღებს B. [6] ფილორომოს] მილორომოს C. [7] შეაწყუდიის] შეაწყუდიეს C. [8] ~ სენაკსა შინა მცირესა E. [9] რაჲცა B. [10] ოცდაათორმეტი] ოცდაათრვამეტი E. [11] ~ შიშისაჲ ფრიადი E. [12] დღისითცა] დღისაცა C. [13] იგი – B. [14] ბაიაჲ] ბაჲასა A. [15] ბაიაჲ] ბაჲაჲ A. [16] ძმამან + მან C. [17] რაჲმე] რაჲ C. [18] და – B.

3. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე, რომელი მკჳდრ იყო სენაკებს, ვითარმედ შეწყუდევით იყოფებოდა იგი, ვიდრეღა არცა თუ ეკლესიად მოვალნ[1] იგი. ამას ესუა სხუაჲ ძმაჲ ჯორციელი, სხუასა[2] შინა სენაკსა მჯდომი[3]. და დასნეულდა იგი სნეულებითა დიდითა და მიუვლინა დაყუდებულსა მას ძმასა თჳსსა, რაჲთა მივიდეს მისა და იხილოს იგი ვიდრე განსლვადმდე[4] მისა ჯორცთაგან. და მან ჰრქუა მივლინებულსა მას: ვერ ძალ-მიც მოსლვად და ხილვად მისა, რამეთუ ძმაჲ არს იგი ჩემი ჯორციელი. კუალად მიუმცნო მას ძმამან უძლურმან: ბარჩ[5] ღამით მოვედ, რაჲთა გიხილო შენ. ხოლო მან ჰრქუა: ვერ ძალ-მიც ყოფად საქმე ეგე, უკუეთუ არა[6], არღარა იპოოს გული ჩემი წმიდად წინაშე ღმრთისა. და ესრეთ შეისუენა მან და არა იხილეს ურთიერთარს.

4. აქუნდა წესად ეპისკოპოსსა ვისმე, რაჲთა წლითი წლად აღვიდოდის სკიტედ. ერთსა უკუე აღსლვასა მიეგება მას ძმაჲ ვინმე და წარიყვანა სენაკად თჳსად და[7] დაუგო მას პური და მარილი და ჰრქუა: შენდობაჲ ყავ ჩემთჳს, უფალო, რამეთუ არარაჲ სხუაჲ მედვა დაგებად შენდა. ჰრქუა მას ეპისკოპოსმან: ესრეთ სთნავს სულსა ჩემსა, რაჲთა სხუასა მას მოსლვასა არცაღა მარილი ვპოო.

5. იქმნა ოდესმე ძიებაჲ რაჲმე[8] სიტყჳსაჲ ლავრასა მას ეგჳპტისასა შორის ყოვლისა ძმობისა, ვიდრეღა ყოველთავე თქუეს დიდთა და მცირეთა, ხოლო ერთმან ოდენ ძმამან ყოლადვე არაჲ[9] თქუა. და ვითარცა /121v/ აღდ/გეს მიერ და გამოვიდეს, ჰკითხა ძმამან ერთმან ძმასა მას და ჰრქუა: ვითარ ყოველთავე ძმათა თქუეს სიტყუაჲ და შენ არაჲ[10] სთქუ? ხოლო იგი დუმნა და ვითარცა აიძულა[11] მას ფრიად, ჰრქუა ესრეთ: შენდობა ყავ ჩემთჳს, რამეთუ ვარქუ გულისსიტყუასა ჩემსა, ვითარმედ: უკუეთუ თქუას რაჲ ქვამან, რომელი ქუეშე შენსა მდებარე არს, შენცა თქუ, უკუეთუ არა, დუმენ. და ამისთჳს ვეგე დუმილსა ზედა და არაჲ ვთქუ.

6. ჭამდეს ოდესმე ძმანი სტოასა[12] ეკლესიისასა სენაკებს, დღესასწაულსა მას დიდსა წმიდისა აღვსებისასა. და მიუპყრეს ძმასა ერთსა სასუმელი ერთი ღჳნოჲ და აიძულეს[13] შესუმად, ხოლო მან ჰრქუა მათ: შემინდვეთ მამანო, რამეთუ შარშაცა[14] ესრეთვე ჰყავთ და ჩავვარდი მრავალთა ჭირთა და განსაცდელთა.

7. ბერი ვინმე შთამოვიდოდა სკიტით და გზა-ჰყვა[15] მას თანა ძმაჲ ვინმე და ვითარცა მივიდეს ადგილსა, რომელსა განიყოფვოდეს ურთიერთარს

---

[1] მივალნ C. [2] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 59r-ზე (აკინძვის შეცდომა). [3] მჯდომი] მჯდომარე B. [4] განსლვადმდე] განსლვამდე E. [5] ბარჩ] ბარე E. [6] არა – E. [7] და – C. [8] რაჲმე] რაჲსამე B. [9] არა C. [10] არაჲ] არარაჲ E. [11] აიძულა] აჲძულა A. [12] სტოსა BC. [13] აიძულეს] აჲძულეს A. [14] შარშა C. [15] გზა-ჰყვა] გამოჰყვა C.

ჰრქუა ბერმან ძმასა მას[1]: პირვი ჴსნათ, ძმაო, დღეს ორთავე ზოგად. და რამეთუ იყოღა[2] თავი და დაწყებაჲ შჳდეულისაჲ და ყვეს ეგრეთ. ხოლო ვითარცა მოიწია შაბათი, აღიმსთო ბერმან ადრე განთიად[3], მივიდა ძმისა მის და ჰრქუა მას[4]: არა მოგემშიაა[5], ძმაო, წუთღა ვჭამეთ რაჲ ზოგად. მიუგო ძმამან[6]: არა მამაო, რამეთუ დღითი-დღე ვჭამ და არა მომემშევის. ჰრქუა მას ბერმან: ჰრიდე, ძმაო, არღა[7] მიჭამიეს[8] ჯერეთ მიერითგან, ოდეს ზოგად ვჭამეთ. ესმა რაჲ ესე ძმასა მას, ლმობიერ იქმნა ფრიად და დიდად სარგებელ ეყო.

8. ბერმან თქუა: ოცსა წელიწადსა ვჰბრძოდე ერთსა გულისსიტყუასა, რაჲთა ყოველთა კაცთა ერთად ვხედვიდე.

9. იქმნა ოდესმე /122/ დღესას/წაული სკიტეს და მიუპყრეს ბერსა ერთსა სასუმელი ღჳნისაჲ. ხოლო მან მართლუკუნ-აქცია იგი და ჰრქუა მათ: აღიღეთ, აღიღეთ ჩემგან სიკუდილი ესე! და ვითარცა იხილეს ესე ძმათა მათ, რომელნი მისთანა მსხდომარე იყვნეს, არცაღა მათ მიიღეს.

10. შეემშია ვისმე ძმასა განთიადვე და ჰბრძოდა გულისსიტყუასა თჳსსა არაჭამად[9] სამ ჟამადმდე. და ვითარცა იქმნა სამ ჟამ, კუალად აიძულა[10] თავსა თჳსსა, რაჲთა დათმოს[11] ექუს ჟამადმდე. მერმე დაალბნა პაქსიმადნი და დაჯდა ჭამად და კუალად აღდგა და ჰრქუა გულისსიტყუასა თჳსსა: ვჰგებდეთღა ვიდრე ცხრაჲ ჟამადმდე. და მოიწია ჟამი ცხრაჲ ჟამისაჲ და ყო ლოცვაჲ[12] და დაჯდა. და მეყსეულად იხილა ძალი საეშმაკოჲ, ვითარცა კუამლი განსრული ჴელთსაქმრისაგან მისისა და ზე სიმაღლედ ჰაერისა აღსრული. და ესრეთ დასცხრა შიმშილი მისი უწესოჲ და წარემატა კეთილსა შინა ძალითა ქრისტესითა.

11. გჳთხრა ვინმე მოწაფემან ბერისამან სულიერისათჳს მამისა თჳსისა, ვითარმედ: ყოლად ოცსა წელიწადსა არა დაწვა გუერდსა ზედა, არამედ სავარძელსა ზედა, სადა იგი[13] ზინ და იქმნ ჴელთსაქმარსა, მუნვე ზედა მიიძინის. ხოლო ჭამდა იგი ოდესმე ორ-ორით[14], ოდესმე ოთხ-ოთხით და ოდესმე ხუთ-ხუთით. ესრეთ ჰყოფდა იგი ოცსა მას წელიწადსა. ხოლო ოდეს მიიღებნ იგი საზრდელსა, ერთი ჴელი აქუნ[15] აპყრობილი ლოცვად ღმრთისა მიმართ და მეორითა ჴელითა ჭამნ. და მე ვჰკითხე მას, ვითარმედ: რაჲსათჳს ესრეთ ჰყოფ, მამაო? და მან მრქუა მე: რამეთუ სასჯელი ღმრთისაჲ დგას წინაშე თუალთა ჩემთა და ვერ უძლებ დათმენად და ამისთჳს ვჰყოფ ესრეთ. /122v/ იქმნა უკუე ოდესმე და ვყავთ ჩუენ ლოცვაჲ ზოგად და შემცილდა მე სიტყუაჲ რაჲმე ფსალმუნისაჲ. და ვითარცა აღვასრულეთ ლოცვაჲ, მრქუა

---

[1] მას – C. [2] იყოღა] იყო C. [3] განთიად +და B. [4] მას – E. [5] მოგემშია C. [6] ძმამან + მან E. [7] არღა] არა C; არღარა E. [8] მიჭამიეს + მე BE. [9] არაჭამად – BE. [10] აიძულა] აჲძულა A. [11] დათმოს + ვიდრე B. [12] E ნუსხასი ტექსტი გრძელდება 61r-ზე. [13] იგი – E. [14] ორ-ორით + და B. [15] აქუნ] აქუნდა E.

მე ბერმან: მე ოდეს ვჰყოფდე ლოცვასა ჩემსა, ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ ცეცხლსა შინა ვდგა და ვიწუვები[1]. და ამის მიზეზისათჳს ვერ ძალ-უც გონებასა ჩემსა მიდრეკად მარჯულ გინა მარცხლ. სადა უკუე იყო გონებაჲ შენი, ოდეს ვჰყოფდით ლოცვასა ჩუენსა, რამეთუ შეგცილდა სიტყუაჲ ფსალმუნისაჲ, ანუ არა უწყია, რამეთუ წინაშე ღმრთისა წარსდგები და თავადისა ღმრთისა ზრახვად[2] და უბნობად ღირს იქმნები, რომელი-იგი[3] არს კურთხეულ უკუნისამდე.

12. კუალად სხუასა ჟამსა იყო ოდესმე და გამოვიდა ბერი ღამით და მპოვა მე მძინარედ ეზოსა შინა სენაკისასა. დადგა და იწყო ტირილად, გოდებდა და იტყოდა: ნეტარ სადა-მე არს გულისსიტყუაჲ ამისი[4], რომელ ესრეთ უზრუნველად სძინავნ?

13. მოიღეს ოდესმე სენაკებს ღჳნოჲ ჭურჭლითა პირველთაგანი, რაჲთა მიეცეს ძმათა სასუმელად. და აღჰდა ძმაჲ ვინმე კამარათა ზედა და ინება სივლტოლაჲ. და ვითარცა ვიდოდა იგი მას ზედა[5], დაეცა კამარაჲ იგი და შთამოირღუა[6], და ვითარცა გამოსცა ჴმაჲ დარღუევისაჲ შენებულმან მან[7], წარვიდეს ძმანი და[8] პოვეს კამარაჲ იგი შთამორღუეულად[9] და ძმაჲ იგი ქუეყანად მდებარე შემუსრვილი[10]. იწყეს ყუედრებად მისა ძმათა და ეტყოდეს: კეთილად შეგემთხჳა შენ, ამპარტავანო. ხოლო მამამან მონასტრისამან მიითუალა იგი და ჰრქუა მათ: უტევეთ ძესა ჩემსა, რამეთუ საქმე ქმნა კეთილი და ცხოველ არს უფალი, არა აღეშენოს კამარაჲ ესე დღეთა ჩემთა, რაჲთა ცნას ყოველმან სოფელმან, /123/ ვითარმედ ერთისათჳს სასუმლისა ღჳნისა დაეცა კამარაჲ სენაკებს.

14. წარვიდა ოდესმე ბერი ვინმე სხჳსა ბერისა და შემწყნარებელმან მან ბერმან ჰრქუა მოწაფესა თჳსსა: მიქმენ ჩუენ მცირედ ოსპნი. და ყო ეგრეთ. და კუალად ჰრქუა: დამილბენ ჩუენ პაქსიმადნი. და დაალბნა და ეგნეს ესრეთ[11], ვიდრე მეორესა დღესა შუვად[12] დღედმდე და ზრახვიდეს სულიერისათჳს ცხორებისა. მერმე კუალად ჰრქუა ბერმან მოწაფესა თჳსსა: მიქმენ ჩუენ, შვილო, მცირედ ოსპნი და მან ჰრქუა: გუშინვე ვყავ, მამაო. და ესრეთღა ჭამეს.

15. სხუაჲ ვინმე ბერი მივიდა მამათაგანისა ვისამე და მან ქმნა მცირე ოსპნი გბოლვილად და ჰრქუა ბერსა[13]: წარვთქუნეთ მცირედ ფსალმუნნი. და ერთმან მან დაასრულა „დავითი“ სრულებით და მეორემან[14] გაიზეპირნა[15] ორნივე იგი დიდნი საწინაწარმეტყუელონი[16]. და ვითარცა იქმნა განთიად, წარვიდა მისრული იგი ბერი და ჭამაჲ პურისაჲ დაჰვიწყდა.

---

[1] ვიწუვები] ვიწუები B. [2] ზრახვად – C. [3] რომელი-იგი] რომელ BC. [4] ამისი] ამის ძმისაჲ BE. [5] ზედა + და E. [6] შთამოირღუა] დაირღუა B. [7] მან – B. [8] და – E. [9] შთამორღუეულად] ჩამორღუეულად BE. [10] შემუსრვილი] შემუსრვილად C. [11] ესრეთ] ესრეთვე B. [12] შუად E. [13] ბერსა] ბერმან მან C. [14] მეორემან + მან C. [15] გაიზეპირნა] გაჲზეპირნა A. [16] საწინაწარმეტყუელონი] საწინაჲწარმეტყუელონი E.

16. დასნეულდა ოდესმე ბერთაგანი ვინმე და ვერღარა ძალ-ედვა მიღებად[1] საზრდელსა მრავალთა დღეთა. მერმე იწყო მოწაფემან მისმან ვედრებად მისა, რაჲთა უქმნეს[2] მას მცირე რაჲმე გბოლვილი. და წარვიდა და ქმნა იგი და მოართუა ბერსა ჭამად. ხოლო იყო მუნ ჭურჭელი მცირე ზეკიდული, რომელსა შინა დგა მცირედ თაფლი. და კუალად სხუაჲ ჭურჭელი, რომელსა შინა დგა ზეთი სელისაჲ. და იყო იგი დაყროლებულ, რამეთუ უჴმდა მათ იგი საგებლად[3] ბაზმაკისა. შესცილდა უკუე ძმასა მას ჭურჭელი იგი და ნაცვალად თაფლისა, ურთო წუენსა მყრალისა მისგან ზეთისა და მოართუა ბერსა ჭამად. იხილა ბერმან გემოჲ ჭამადისაჲ მის, გარნა არაჲ თქუა, /123v/ არამედ დუმილით იჴუმია მცირედ მისგან. ხოლო ძმამან მან, მოწაფემან მისმან კუალადცა აიძულა[4] ჭამად და მიიღო მისგან მცირედ და ჭამა. ჴელ-ყო უკუე მესამედცა მიცემად ბერისა ჭამადი იგი და არღარა მიიღო, არამედ ჰრქუა მას: ჰრიდე, ძმაო, ვერღარა ძალ-მიც ჭამად[5]. იწყო ძმამან[6] გულსმოდგინეყოფად ბერსა და ეტყოდა: ჭამე, მამაო, რამეთუ კეთილ არს და აჰა ესერა, მეცა ვჭამო შენ თანა. და ვითარცა იხილა გემოჲ, ცნა, რაჲ-იგი ყო[7]. დავარდა პირსა ზედა თჳსსა და ჰრქუა ბერსა: ვაჲ მე, მამაო, რამეთუ მოგაკუდინე და შენ ბრალი ცოდვისაჲ დაჰკრიბე ჩემ ზედა, რამეთუ არა მამხილე! ჰრქუა მას ბერმან: ნუ გულსა გაკლს, შვილო, რამეთუ უკუეთუმცა ყოფილ იყო ნებაჲ ღმრთისაჲ, რაჲთა ვჭამო თაფლი, უეჭუელად თაფლითამცა გეზავა[8] და თაფლი[9] გერთო ჭამადსა მაგას.

17. გჳთხრეს ჩუენ ბერისა ვისთჳსმე, ვითარმედ გულმან უთქუა ლეღჳსათჳს, რომელიცა იგი მიიღო და დაჰკიდა თუალთა წინაშე თჳსთა[10] და ეტყოდა თავსა თჳსსა: განძეღ, ბორგნეულო. ესრეთ აჭირვა თავსა თჳსსა და მოკლა გულისთქუმაჲ იგი და არა იძლია მისგან, არამედ ინანდაცა ფრიად, რომელ ყოლადვე უთქუა გულმან.

18. ძმაჲ ვინმე წარვიდა მონასტერსა სადედოსა მოხილვად დისა თჳსისა, რომელი იყო სნეულ. ხოლო იყო იგი რჩეული და სათნოჲ უფლისაჲ და არა თავის-იდებდა ხილვად მამაკაცისა, არცაღა კუალად ძმისა თჳსისაჲ ინება მიზეზითა მისითა შესლვაჲ შორის დედებსა, არამედ მიუმცნო მას ესრეთ და ჰრქუა: წარვედ, ძმაო, მშჳდობით სენაკად შენდა და ილოცევდ ჩემ-თჳს უფლისა მიმართ და მადლითა ქრისტესითა ვიხილოთ ურთიერთარს სასუფეველსა შინა ცათასა.

19. /124/ მონასტერსა წმიდისა თეოდოსი არქიმანდრიტისასა იყო ვინმე მონაზონი მჴედარყოფილი, სახელით **თეოდულე**[11]. ესე იმარხავნ ყოველთა დღეთა და არაოდეს[12] დაწვებინ იგი გუერდსა ზედა ძილად და არცა რას შეისხამნ ფერჴთა ყოლადვე.

---

[1] მიღებაჲ B. [2] უქმნეს] უქმნას B. [3] საგებელად BCE. [4] აიძულა] აჲძულა A. [5] ჭამად – B. [6] ძმამან + მან B. [7] ყო] იყო E. [8] გეზავა] შეგეზავა B. [9] თაფლი] თაფლიმცა B. [10] თჳსთა] მისთა C. [11] თეოდულე] თეოდოლე E. [12] არაოდეს – E.

20. მონაზონი ვინმე შეემთხჳა გზასა ზედა წესნიერსა და მიუქცია გზისაგან. ჰრქუა მას წესნიერმან[1]: უკუეთუმცა იყავ შენ სრული მონაზონი, ჩუენმცა არა მოგუხედენ ვითარცა დედათა.

21. ძმამან ვინმე სენაკებს მოიღო პური თჳსი ახლად გამომცხვარი და მოხადა ტაბლისა ერთისა ბერთა და დაუგო პური იგი. ხოლო მათ ჭამეს რაჲ ორ-ორი პაქსიმადი, დაუტევეს ჭამაჲ. და ვითარცა იხილა ძმამან შრომაჲ მათი და ღუაწლი, შეუვრდა ფერჴთა მათთა, ჰლოცვიდა მათ და ეტყოდა: მცნებისათჳს უფლისა ჭამეთ დღეს, ვიდრემდის განსძღეთ. და შეჭამეს სხუაჲღა ათ-ათი პაქსიმადი. იხილეთღა უკუე თუ რაჲზომ შორს იყვნეს განძღომისაგან ჭეშმარიტნი იგი მოღუაწენი და თუ ვითარ ყოველსა შინა აჭირვებდეს თავთა თჳსთა ღმრთისათჳს.

22. ბერი ვინმე განბოროტნა სნეულებითა დიდითა, ვიდრეღა და სისხლსა აღმოჰყრინ გუამით[2] მისით. სხუასა ვისმე ძმასა დაუვრდა მცირედ თევზი, შეზილა ცომი, შედვა იგი მას შინა და გამოაცხო ცეცხლითა, აღიღო იგი და მიართუა ბერსა. ჰლოცვიდა ბერსა[3], ჰლოცვიდა მას და ეტყოდა: ყავ სიყუარული, მამაო, და შეჭამე ესე, ნუუკუე დაგაშუნდეს უძლურებასა მაგას შენსა. მიხედნა ბერმან მყოვარჟამ[4] ძმასა მას და ჰრქუა: ჭეშმარიტად, მენება, რაჲთამცა მიტევა ღმერთმან უძლურებასა[5] ამას შინა /124v/ სხუასა ოცდაათსა წელსა. და არა თავსა-იდვა ბერმან ესევითარსა[6] მას შინა უძლურებასა გემოჲსხილვად ჭამადისა[7] მის, არამედ წარიღო ძმამან მანვე, რომელმანცა მოართუა და წარვიდა სენაკად[8] თჳსად.

23. სხუაჲ ვინმე ბერი მკჳდრ იყო უდაბნოსა განშორებულსა და მივიდა ვინმე მისა ძმაჲ მოსწრაფჱ[9] და ჰპოვა იგი უძლურებასა შინა დიდსა. დაუმზადა მას წყალი და დაბანა იგი და რაჲ-იგი მოეღო ძმასა მას საჴმარი, უქმნა მისგან გბოლვილი. და მოართუა ბერსა და აჭამა. აკურთხა იგი ბერმან და ჰრქუა მას: ყოლად შემცილდა, თუ არს კაცთა შორის ესევითარი განსუენებაჲ. მერმე მოიღო ძმამან სასუმელი ღჳნოჲ და მისცა ბერსა და მან ვითარცა იხილა, აღტირდა და თქუა: არღარა მოველოდე, ვიდრე სიკუდილადმდე ჩემდა, სუმასა ღჳნისასა.

24. ბერმან ვინმე იღუაწა, რაჲთა ორმეოც დღე არა სუას წყალი და უკუეთუ სამე იქმნის სიცხჱ[10] ფიცხელი, გარცხის[11] ბერმან გუბი თჳსი და აღავსის იგი წყლითა და დაჰკიდის წინაშე თჳსსა. ხოლო ეკითხა მიზეზი ძმისაგან, თუ რაჲსათჳს ჰყოფს ამას. და მან მიუგო: რაჲთა უმეტეს ელმოდის წყურილსა ჩემსა და უმეტესიცა სასყიდელი მაქუნდეს ღმრთისაგან.

---

[1] წესნიერმან + მან C. [2] გუამით მისით – B. [3] ჰლოცვიდა ბერსა – C. [4] მყოვარჟამ] მყუვარჟამ E. [5] უძლურებასა] უძლურებისასა C. [6] ესევითარსა] მან ჭირსა C. [7] ჭამადისაჲ B. [8] სენაკად] სახედ C. [9] მოსწრაფჱ] მოსწრაფე E. [10] სიცხე BC. [11] გარცხის] განრცხის BC.

25. ძმაꙋ ვინმე[1] ვიდოდა დედასა თანა თჳსსა[2] დედაბერსა და სლვასა მას შინა მათსა მიემთხჳნეს მდინარესა და ვერ უძლო წიაღსლვაꙋ[3] დედაბერმან. მერმე მოიღო ძმამან მან, ძემან მისმან, ფაკელი დედისა თჳსისაꙋ და წარიბლარდნა[4] ორნივე ჴელნი თჳსნი, რაꙋთა არა მიეახლოს ჴელი მისი ჴორცთა დედისა თჳსისათა[5]. და ესრეთ იტჳრთა დედაꙋ თჳსი და განიყვანა იგი წიაღ მდინარესა მას. და ვითარცა /125/ განვიდეს იგინი იმიერ კერძო, ჰრქუა დედაბერმან ძესა თჳსსა: რაꙋსათჳს, შვილო, წარიგრაგნენ ჴელნი შენნი, არა დედაꙋ ვარა შენი მშობელი[6]?! არა ბერ ვარა და მოხუცებულ და რაꙋთურთით ყოლად მიწაქმნულ?! მიუგო ძმამან მან[7] დედასა თჳსსა: ჰᲩ, ეგე ყოველი ეგრეთ არს, ვითარცა სთქუ, გარნა ცეცხლი არს ჴორცი დედაკაცისაꙋ და მაგის მიერ მოვალს ჴსენებად სხუათა დედათა და მიერ აღეგზების[8] ცეცხლი ცოდვისაꙋ და ამისთჳს ვყავ მე ესე ესრეთ.

26. თქუა ვინმე მამათაგანმან, ვითარმედ: ვიხილე ძმაꙋ სენაკებს, რომელმან იმარხა სრულიად შჳდეული იგი აღვსებისაꙋ. და ვითარცა შეკრბეს სამწუხროდ ეკლესიად, ივლტოდა იგი, რაꙋთა არა ჭამოს. და წარვიდა სენაკად თჳსა და ყო მშრალად მცირე ჭაკუნტელი და იგი შეჭამა[9] თჳნიერ პურისა.

27. შევიდეს ოდესმე წმიდანი მამანი ალექსანდრიას, რამეთუ წოდებულ იქმნეს ნეტარისა თეოფილე მთავარეპისკოპოსისაგან, რაꙋთა ყონ ლოცვაꙋ და დაამჴუნეს საკერპონი. და ვითარცა ჭამდეს იგინი ზოგად, დაგებულ იქმნა ჴორცი ჴბოꙋსაꙋ და ჭამეს იგი განუკითხველად. მერმე მოიღო მთავარეპისკოპოსმან ერთი ნაკუეთი მწჳსი და მიუპყრა ბერსა, რომელი ჯდა მახლობელად მისა და ჰრქუა: მიიღე, მამაო[10], ძუალოანი[11] ესე და ჭამე, რამეთუ კეთილ არს. ჰრქუეს მას ბერთა: ჩუენ ვიდრე მოაქამომდე მხალსა ვჭამდით, უკუეთუ კულა ჴორცი არს, ჩუენ ჴორცსა არა ვჭამთ.

28. იტყოდა ძმაꙋ ვინმე, ვითარმედ: ვიცი ბერი, რომელი მკჳდრ იყო მთასა[12] ფრიად მაღალსა და არარას ვისგან მიიღებდა ყოლადვე, რამეთუ აქუნდა მცირე წყალი და მოქმნის მითა მცირე მხალი და /125v/ მით იზარდებინ იგი ყოლად ორმეოცდაათსა წელიწადსა და არაოდეს განვიდა იგი ზღუდისა მისგან სენაკისა თჳსისა. ხოლო იქმნა იგი განთქუმულცა ფრიად სასწაულთა მათთჳს ურიცხუთა და კურნებათა, რომელთა იქმოდა ღმერთი ჴელითა მისითა. შეისუენა უკუე და დაიძინა მშჳდობით მასვე ადგილსა და დაუტევნა სენაკსა შინა თჳსსა ვითარ ხუთნი ოდენ მოწაფენი.

---

[1] ვინმე – C. [2] ~ თჳსსა თანა B. [3] წიაღსლვაꙋ] წიაღსლვად C. [4] წარიბლარდნა] წარიბლარდნენ B. [5] თჳსისათა] მისისათა E. [6] ~ მშობელი შენი B. [7] მან – C. [8] აღეგზების] აღეგზნების BE. [9] შეჭამა] ჭამა B. [10] მამაო] ძმაო B. [11] ძუალოანი] ძუალნი B; ძუალოვანი E. [12] აქ E ნუსხა წყდება.

29. დიდსა[1] ვისმე თანა[2] ბერსა[3] მკჳდრ იყო ძმაჲ უდები და ხედვიდა ბერსა[4], რამეთუ იღუწინ და ერთგზის მიიღებნ[5] საზრდელსა. იწყო სიტყუად ბერისა და ჰრქუა მას: მამაო, მასმიეს კაცთაგან ბრძენთა, ვითარმედ დიდი მოღუაწებაჲ დიდად სიამპარტავნედ მოიყვანებს. ჰრქუა მას ბერმან: ადვილ არს წამალი მაგისი, შვილო, რაჲთგან უდებებითა მოვალთ სიმდაბლედ. წარვიდეთ და მოვიყვანოთ თავისა ჩუენისა ცოლები, ვჭამოთ ჴორცი და ვსუათ ღჳნოჲ, რაჲთა ვიქმნნეთ მდაბალ. ვაჲ ჩუენდა, შვილო, ვითარღა ვიბასრვით ეშმაკთაგან[6] და ვერ ვაგრძნობთ! არა გესმისა დავით წინაწარმეტყუელისაჲ თუ რასა იტყჳს: „იხილე სიმდაბლე ჩემი და შრომაჲ ჩემი და მაშინღა[7] მომიტევენ ყოველნი[8] ცოდვანი ჩემნი“[8]. უწყოდე, შვილო, მტკიცედ, კაცმან, რომელმან შესცოდოს ღმერთსა, უჴმს მას[10], რაჲთა განაშოროს თავი თჳსი ყოვლისაგან[11] სიყუარულისა კაცთაჲსა და ყოვლისაგანვე საქმისა მსოფლიოჲსა, ვიდრემდის გულსავსე იქმნეს, ვითარმედ იქმნა მისა მოყუარე ღმერთი. და რამეთუ კაცობრივი სიყუარული განმაშორებს ჩუენ სიყუარულისაგან ღმრთისა.

30. ბერმან თქუა: ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რომელ სიტყუაჲ მიეჴადების[12] ღმრთისაგან მონაზონსა სიყუარულისა მისთჳს, რომელსა მიიღებს სხუათაგან.

31. ბერმან თქუა: უკუეთუ წარხჳდე სხჳსა მონაზონისა /126/ და იქმნეს ლოცვაჲ და გაწჳოს დაჯდომაჲ, არქუ მას: მამაო, მითხარ ჩუენ სიტყუაჲ ცხორებისაჲ, თუ ვითარ ვპოოთ ღმერთი და ლოცვა ყავ ჩემთჳს, რამეთუ მრავალნი მქონან[13] ცოდვანი ვიდრე აქამდე. თქუ და სხუასა ნურარას იტყჳ, არა თუ გეკითხოს.

32. კუალად თქუა ბერმან: დააჩჳენ თუალნი შენნი არა ხედვად ჴორცთა უცხოთა და უკუეთუ შესაძლებელ იყოს, ნუცაღა შენთა იხილავ.

33. თქუა კუალად: უკუეთუ გბრძოდის გული შენი მრავალფერთა სანოაგეთა, შეაიწრე[14] იგი პურითაცა, რაჲთა უკუანაჲსკნელ პურსა ოდენ გევედრებოდის.

34. კუალად თქუა: უკუეთუ წუთღა ჭაბუკ ხარ, ივლტოდე ღჳნისაგან ვითარცა გუელისაგან. და უკუეთუ სიყუარულსა დაეპყრა, მცირედ თუ სუა, დასცხერ და დაღათუ გაიძულებდენ[15], გინა გაფუცებდენ, ანუ თუ მუჴლთაცა გიყრიდენ, ყოლადვე[16] ნუ მიხედავ მათ, რამეთუ მრავალგზის ეშმაკი დაარწმუნებს მონაზონთა და აიძულებენ[17] ჭაბუკთა სუმად ღჳნისა,

---

[1] დიდსა] დიდისა B. [2] თანა – C. [3] ~ ბერსა თანა B. [4] ბერსა – C. [5] მიიღებნ + დღესა შინა B. [6] ეშმაკთაგან] ეშმაკისაგან B. [7] მაშინღა + და B. [8] ყოველნი – C. [9] ფს 24,18. [10] მას – C. [11] ყოვლისაგან სიყუარულისა კაცთაჲსა – C. [12] მიეჴადების] მიეჴდების B. [13] მქონან] მქუანან B. [14] შეაიწრე] შეაჲწრე AE. [15] გაიძულებდენ] გაჲძულებდენ AE. [16] ყოლადვე] ყოლა B. [17] აიძულებენ] აჲძულებენ AE.

რამეთუ იციან ეშმაკთა, ვითარმედ ღჳნოჲ და დედანი განაშორებენ[1] კაცსა[2] ღმრთისაგან.

35. ბერმან თქუა: გუასმიეს სოლომონისათჳს, ვითარმედ დედათმოყუარე იყო იგი. და რამეთუ ყოველსავე მამალსა უყუარს ბენებით დედალი, გარნა ვაიძულებთ[3] ბუნებასა და ვსტანჯავთ გულისსიტყუათა ჩუენთა, რაჲთა ყოველივე სიყუარული ამაოჲ მოვცვალოთ[4] სიყუარულად ღმრთისა, და არა მივერჩდეთ ბილწთა მათ და ხენეშთა გულისთქუმათა[5].

36. გჳთხრეს ჩუენ ძმისა ვისთჳსმე გლახაკისა, ვითარმედ უკუეთუ მისცის ვინ[6] მის დღისა დასარჩომელი, სხუასა არღარა მიიღებნ, არამედ თქჳს, ვითარმედ: აჰა ესერა, გამომზარდა მე უფალმან და კმა არს ჩემდა დღეს.

37. /126v/ იტყოდა მოწაფე დიდისა ვისმე ბერისაჲ მამისათჳს თჳსისა და მოძღურისა[7] სულიერისა, ვითარმედ შეემშია ოდესმე ბერსა ჟამსა ცხრაჲჟმისასა და დავდგით ტაბლაჲ და გუენება ჭამის. და დადგა ბერი ლოცვად და წარვთქუენით ფსალმუნნი. და იწყო ბერმან ზეპირით ფსალმუნებად და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად. და მოიწია კუალადცა ჟამი ცხრაჲჟმისაჲ და ძლით უძლო ბერმან დაცადებად, რამეთუ შეექცა გონებაჲ მისი ხედვად ხედვათა საღმრთოთა.

38. ბერმან[8] თქუა: ნაყროვანებისა ეშმაკსა აყოვნებდ და ეტყოდე: მგებდ, ნუ გეშინინ[9], რამეთუ არა მოგემშიოს. და რაოდენ იგი გასწრაფობდეს[10] შენ, უმეტეს აყოვნებდი. და ოდეს შჭამდე, ნელიად ჭამდი, რამეთუ ესე[11] ჰბრძავს ვიეთმე, რომელ ჰნებავს, რაჲთამცა ტაბლაჲ გარდაგებული მრავალთაგან კეთილთა ერთ ლუკმადმცა შთაიდვეს[12].

39. ბერმან თქუა: მოვესწარ ბერთა და მოვეწიფე უდაბნოსა ამას, რომელთა დაეყო სამეოცდაათი წელი განშორებულად და თივათაგან ოდენ და მდელოთა და ფინიკთა მიერ იზარდებოდეს.

40. თქუა ბერმან: არარაჲ ესრეთ შეაერთებს ღმერთსა, ვითარ სიწმიდე და ჯმნაჲ ყოველისაგანვე ნივთისა მსოფლიოჲსა, ვითარცა წამებს თჳთ თავადი სული წმიდაჲ პირითა პავლე მნათობისაჲთა.

41. ბერმან თქუა: ნაყროვანებაჲ[13] დედაჲ არს სიძვისაჲ.

42. კუალად თქუა: რომელმან შეუძლოს დამჭირვაჲ მუცლისაჲ, იგი შემძლებელ არს დამჭირვად ენისაცა.

---

[1] ~ კაცთა ღმრთისაგან განაშორებენ C. [2] კაცთა B. [3] ვაიძულებთ] ვაჲძულებთ A. [4] მოვცვალოთ] მოვიცალოთ B. [5] გულისთქუმათა] გულისსიტყუათა B. [6] ~ ვინ მისცის C. [7] აქედან E ნუსხა გრძელდება 53 r-ზე. [8] ბერმან თქუა...მნათობისათა – B. [9] ნუ გეშინინ] ნუ გეშინ A. [10] გასწრაფობდეს] გასწრაფებდეს C. [11] ესე] ესრეთ E. [12] შთაიდვეს] შთაჲდვეს A. [13] ნაყროვანებაჲ] ნაყროვნებაჲ B.

43. ძმაჲ ვინმე წოდებულ იქმნა სკიტეს, რაჲთა დაარჩიოს ბაიაჲ[1]. და იყო ვინმე მუნ უძლური მრავლისაგან მოღუაწებისა, იჴუელდა იგი და აღმოჰყრიდა თელგმასა, ხოლო ნერწყუაჲ /127/ იგი უნებლიეთ მისგან მივიდოდა ძმასა მას ზედა წოდებულსა. ეწყინებოდა უკუე იგი[2] ძმასა მას და იბრძოლებოდა თჳსთაგან გულისსიტყუათა მხილებად უძლურისა მის, რაჲთა დასცხრეს იგი მის ზედა ნერწყუვისაგან. ხოლო წინააღუდგა გულისსიტყუასა თჳსსა და განყო ჴელი და მოიღო ნერწყჳსა მისგან და თელგმისა და ინება შეჭმის. მერმე ჰრქუა თავსა თჳსსა: ნუცა შეშჭამ და ნუცა ამხილებ.

44. ბერმან თქუა: სიმდიდრჱ[3] სულისაჲ მარხვაჲ არს. მოვიგოთ უკუე ესე სიმდაბლითა გონებისაჲთა[4], ვევლტოდით ამპარტავანებასა, დედასა მას ყოველთა ბოროტთასა.

45. კუალად თქუა: კეთილ არს მარხვაჲ ფრიად და გამოზრდაჲ გლახაკთაჲ სარგებელ.

46. თქუა კუალად: სიტყუათაგან საღმრთოთა ვიზარდებოდით, თხრობათაგან წმიდათაჲსა ვდღესასწაულობდეთ, ნუმცა მუცლითა ვიშუებთ, არამედ სულიერად ვიხარებდეთ.

47. გჳთხრეს ჩუენ ბერისა ვისთჳსმე დიდისა, რომელი მკჳდრ იყო ლავრასა შინა მამისა პეტრესსა, ვითარმედ ორმეოცდაათი წელიწადი დაყო შეწყუდეულმან ქუაბსა შინა, არცა პური ჭამა და არცა ღჳნოჲ სუა, არამედ ქატოჲთა იზარდებინ[5] და მასცა სამგზის მიიღებნ შჳდეულსა შინა.

48. გჳთხრეს ჩუენ მამათა სიწმიდისმოყუარისა ვისთჳსმე, ვითარმედ შეიპყრეს იგი წარმართთა და წამებად წარადგინეს. და ესევითარსა ბოროტსა შეაგდეს, რაჲთა შჯულსა თანა სიწმიდეცა მიუღონ. ხოლო იქმნა სახჱ მანქანებისა მათისაჲ ესრე სახედ, რამეთუ მტილსა რასმე შინა და წალკოტსა ყოლად ტურფასა ცხედარი დადგეს[6] რჩეული და გარდაგებითა ფერად-ფერადითა გარდააგეს იგი და წმიდაჲ იგი დადვეს მას ზედა შეკრული და[7] დედაკაცი ვინმე /127v/ გლისპი და უწესოჲ მიუტევეს[8] ზედა, რაჲთა ადგილისა მისგან საშუებლისა და სხუათა მათგან სახიობათა და ჴელყოფისა მისგან ბორგნეულისა მის[9] დედაკაცისა, ყოლადვე ვერ განევლტოდის ცოდვასა, და რაჲთა უნებლიეთცა შეაწყუდიონ იგი ბადეთა მათ შინა უკეთურებისა და სიბილწისათა. არამედ სარწმუნომან მან კაცმან ღმრთისამან გარეუკუნაქცია[10] მახისრწყუმაჲ იგი ეშმაკისაჲ[11], რამეთუ მეძავი იგი დედაკაცი მიადგა რაჲ ზედა წმიდასა მას და კოცნისა მიერ და ამბორისყოფისა უწესოჲსა ტრფიალებასა მას ცოდვისასა აღატყინებდა,

---

[1] ბაიაჲ] ბაჲაჲ A. [2] ~ იგი უკუე CE. [3] სიმდიდრჱ] სიმდიდრე BCE. [4] გონებისაჲთა + და B. [5] იზარდებინ] იზარედბოდა B. [6] დადგეს + ყოლად BE. [7] და – C. [8] მიუტევეს + მის C. [9] მის] მისგან C. [10] E ნუსხასი ტექსტი გრძელდება 52r-ზე. [11] ეშმაკისაჲ + და E.

უღონოქმნულმან[1] ყოველითურთ ენაჲ თჳსი კბილითა თჳსითა გარდაიჭამა[2] და შეჰნერწყუა პირსა მისსა და თავსა თჳსსა შეუქმნა ტკივილი ფრიადი, ხოლო მეძავსა მას სირცხჳლი უმეტესი. ვინაჲცა ნეტარმან მან მდინარე იგი სისხლისაჲ და სიწმიდე უბიწოებისაჲ ძღუნად ძლევისა შეწირნა[3] უფლისა და დედაკაცია იგი აცხოვნავე, რომელსა ესხურა სისხლისა მისგან მისისა წმიდისა.

49. განშორებული ვინმე მჯდომარე იყო უშინაგანესსა უდაბნოსა უცხოჲ, ჟამთა შინა სამეოცისა წლისათა. ესე ჭამდა მდელოსა ოდენ და სხუასა არარას. უკუანაჲსკნელ მოართუა მას გულისსიტყუამან, ვითარმედ: ცუდად ზი აქა და წარსწყმიდენ დღენი ესოდენთა წელთანი[4], რამეთუ აჰა ესერა, მაქუს უდაბნოსა ამას სამეოცი წელი, რომელ არარაჲ სხუაჲ მიჭამიეს თჳნიერ მდელოჲ ესე და ესეცა სასიკუდინოჲ და არცა გამოცხადებაჲ ვიხილე, არცა სასწაული რაჲ ვქმენ, რომელი-იგი ქმნეს უწინარეს ჩემსა მრავალთა მონაზონთა. აღვდგე უკუე აქაჲთ და განვეშორო და წარვიდე სოფლად, რამეთუ აქა არაკეთილად ვზი. ამას რაჲ იგონებდა და სხუასა ესევითარსა, /128/ წარმოუდგა მას ანგელოსი[5] უფლისაჲ და ჰრქუა: რასა იურვი, ანუ რასა იგონებ, ჱ კაცო? ხოლო მან იწყო და მიუთხრა მას ყოველი იგი ზემოწერილი. ჰრქუა მას ანგელოზმან მან: და რომელიღა სასწაული გნებავს ყოფად ამისა უმეტესი, ანუ ვინ არს რომელმან განგაძლიერა შენ ესოდენთა წელთა მოთმინებად ადგილსა ამას, ანუ ვინ გიკურთხა უნდოჲ იგი მდელოჲ, რაჲთა მითა იზარდებოდი შენ[6] ესოდენთა ჟამთა? დაადგერ უკუე ადგილსავე ამას და ითხოვე ღმრთისაგან, რაჲთა მოგცეს შენ სიმდაბლჱ[7]. ხოლო იგი განმტკიცნა სიტყუასა მას ზედა მოძღურებასა ანგელოზისასა და დაადგრა მასვე ადგილსა ყოველთავე დღეთა და ჟამთა ცხორებისა თჳსისათა[8].

50. ბერმან თქუა: არა შეჰგავს მონაზონისა კითხვად, თუ ვითარ არს ესე ვინმე, ანუ რაულად არს იგი ვინმე, რამეთუ კითხვისა ამის მიერ მოსწყუედს გულსა თჳსსა ლოცვისაგან. მერმე კუალად შემოვალს ცუდი საზრახავი[9] და მიერ შთავარდების განკითხვასა, ვინაჲცა არარაჲ არს უმჯობეს დუმილისა.

51. მაუწყეს ჩუენ მამათა, ვითარმედ: იყო ვინმე ბერი ნათესავით პონტიელი, რომელსა დიდნი და მაღალნი წარმატებანი ექმნნეს. ამის ბერისათჳს გჳთხრა ეპისკოპოსმან რუსო ქალაქისამან, თეოდორე, ვითარმედ: მოვიდა ოდესმე ჩემდა, ვიყავ რაჲ პირსა იორდანისასა ლავრასა მას პირღოჲსასა[10] და მრქუა მე: ყავ სიყუარული, ძმაო თეოდორე, და

---

[1] უღონოქმნულმან] უღონოქმნილმან E. [2] გარდაიჭამა] გარდაჲკუეთა ACE. [3] შეწირნა] შეწირა BE. [4] წელთანი] წელთა B. [5] ანგელოსი] ანგელოზი C. [6] შენ – C. [7] სიმდაბლჱ] სიმდაბლე E. [8] თჳსისათა] მისისათა C. [9] საზრახავი] საზღვარი B. [10] პირღოჲსასა] პიღროჲსასა C.

მოვედ ჩემ თანა მთასა სინასა, რამეთუ აღმითქუამს მე[1] მუნ ლოცვისა[2] ყოფად. ხოლო მე ვერ უძლე ურჩებად ბერისა, არამედ ვარქუ მას: გუალე, წარვიდეთ. და ვითარცა განვლეთ წმიდაჲ იორდანე, მრქუა მე /128v/ ბერმან: ძმაო თეოდორე, მოვედ და ვყოთ მუჴლთმოდრეკაჲ, რაჲთა ვიდრე მთად წმიდად სინადმდე არცა ერთმან ჩუენგანმან ჭამოს. ხოლო მე ვარქუ მას: ჭეშმარიტად, მამაო, მე[3] ვერ ძალ-მიც ეგე[4]. და ვითარცა არა ვინებე მე ყოფად ესე, მოიდრიკნა ბერმან მუჴლნი და ვიდრე მთად წმიდად სინადმდე არარაჲსა გემოჲ იხილა. ხოლო მივიწიენით რაჲ მთასა სინასა, ეზიარა. მთით[5] სინით[6] წარვედით მინაწმიდას ალექსანდრიაჲსასა და არასადა მიიღო ბერმან კუალადცა საზრდელი, ვიდრემდე[7] ეზიარა წმიდათა საიდუმლოთა[8] და მაშინღა მიიღო საზრდელი ბერმან. ესრეთვე კუალად მუნცა და მერმეღა მიიღო საზრდელი. და კუალად მინაწმიდით, რომელ არს ალექსანდრიას, მოვედით ქალაქად წმიდად იერუსალჱმდ და ყოველსა მას გზასა არარაჲსა გემოჲ იხილა ბერმან, ეზიარა უკუე წმიდათა საიდუმლოთა[9] წმიდასა ზედა აღდგომასა უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, და ესრეთღა მიიღო საზრდელი. ვინაჲცა ესოდენსა მას და ესევითარსა სიშორესა გზისასა სამგზის ოდენ ჭამა ბერმან და სხუაჲ არა: ერთგზის მთასა სინასა, ერთგზის მინაწმიდას ალექსანდრიაჲსასა და ერთგზის წმიდასა ზედა აღდგომასა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა. ამიერ უკუე საცნაურ არს, რომელ მკჳდრ იყო მადლი ღმრთისაჲ კაცსა მას თანა ღმრთისასა, რომლისაგან-იგი გამომავალ არიან ყოველნი მოცემანი მადლთანი და ყოველნი ნიჭნი სრულნი, მამისა მისგან[10] ნათლისა, ძისა ძლიერისა და სულისა ცხოველისა, ყოლად წმიდისაგან სამებისა, ერთღმრთეებისა, ღმრთისა ჩუენისა, რომელი სუფევს ყოველთა ზედა საუკუნეთა, უკუნითი უკუნისამდე, ამინ. /129/

[1] მე – E. [2] ლოცვისა] ლოცვასა B. [3] მე – B. [4] ეგე] ყოფად ესე C. [5] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 54r-ზე აკინძვის შეცდომა. [6] სინით] სინაჲთ BE. [7] ვიდრემდე] ვიდრეღა C. [8] საიდუმლოთა] საჲდუმლოთა A. [9] საიდუმლოთა] საჲდუმლოთა A. [10] მამისა მისგან] მამისაგან C.

თავი 3

მოძღურებანი თვთოფერნი[1] და მოთხრობანი მრავალსახენი წმიდათა მამათანი განკრძალვისათჳს ჩუენდა ბრძოლათაჲსა, რომელნი-იგი[2] სიძვისა მიერ აღდგებიან ჩუენ ზედა

გუაკურთხენ, მამაო!

I. თქუა **მამამან ანტონი**: ვჰგონებ თუ აქუს ჴორცთა ბუნებითი[3] აღძრვაჲ, თანააღრეული ანაგებსა, გარნა არა მოქმედი. არა თუ უნდეს სულსა, ოდენ გამოაჩენს ჴორცთა შინა უვნებელსა აღძრვასა. ხოლო არს სხუაჲ აღძრვაჲ ჴორცთაჲ ჭამადთაგან და სუმათა და სხჳსა მის შუებულებისა ჴორციელისა მოწევნული, რომლისაგან შეიქმნების სიმჴურვალე აღდუღებითა[4] სისხლისაჲთა და მოიყვანებს ჴორცთა აღძრვად და საქმედ არაწმიდებისა, რომელსა და მოციქულიცა შეასმენს და იტყჳს: „ნუ დაითრობით[5] ღჳნითა, ვინაჲ იგი არს სიბილწე“. და კუალად უფალი სახარებასა შინა ამცნებს მოწაფეთა[6], ვითარმედ: „იხილეთ და ეკრძალენით, ნუსადა დამძიმდენ გულნი თქუენნი შუებითა და მთრვალობითა“[7]. ხოლო არს სხუაჲცა აღძრვაჲ ჴორცთაჲ, რომელი-იგი შეემთხუევის მოღუაწეთა მანქანებითა და შურითა ეშმაკისაჲთა, ვინაჲცა ჯერ არს რაჲთა უწყოდით, ვითარმედ სამნი სახენი არიან ჴორცთა აღძრვისანი: პირველი ბუნებისაგან, მეორე ჭამადთაგან, ხოლო მესამე ეშმაკთაგან.

II. ძმამან ჰკითხა **მამასა აგათონს** სიძვისათჳს და ბერმან ჰრქუა მას: წარვედ და დააგდე უძლურებაჲ შენი წინაშე ღმრთისა და გაქუნდეს განსუენებაჲ.

---

[1] თჳთოფერნი] თითოფერნი E. [2] რომელნი-იგი] რომელნი E. [3] ბუნებითი] ბუნებით BE. [4] აღდუღებითა] დუღებითა C. [5] დაითრობით] დაჲთრობით A; დაითრვები E. [6] მოწაფეთა] მოციქულთა C. [7] ლ. 21,34

III. მივიდა ოდესმე ბერი ვინმე დიდი **მამისა აქილაჲსა**[1] თებაიდაჲთ[2] /129v/ და ჰრქუა მას: ბრძოლაჲ მაქუს, მამაო, ბერისა ვისმე თანა დიდისა. ჰრქუა მას ბერმან: არა არს ეგე სიძვაჲ, არამედ შური არს უკეთურთა ეშმაკთაჲ, რომელნი-იგი ისწრაფიან ოდესვე ცთუნებად რჩეულთაცა.

IV. თქუა **მამამან გერონტი კლდისამან**: მრავალნი არიან განცდილნი[3] ჴორციელთაგან გემოთა და თჳნიერ შეხებისა უცხოთა ჴორცთაჲსა, გონებითა ისიძვენ და[4] დაღაცათუ ჴორცნი ქალწულად ეგნენ, სული შეიგინების. კეთილ არს უკუე, საყუარელნო, დამარხვაჲ დაწერილისაჲ და ყოვლითა კრძალულებითა შეკრძალვად სულისა[5], გულისა და გონებისა თჳსისა ჴორცთა თანა.

V. ძმამან ჰკითხა **მამასა დანიელს** და ჰრქუა: მომეც მე, მამაო, ერთი მცნებაჲ, რაჲთა დავიმარხო იგი. ჰრქუა მას ბერმან: ნუ ოდეს[6] შთაჰყოფ ჴელსა შენსა დედაკაცისა თანა პინაკსა შინა, ნუცა შჭამ[7] მის თანა და ამით განერე მცირედ ეშმაკისაგან სიძვისა.

VI. თქუა **მამამან ევდემონ მამისა პაფნოტისთჳს**, რომელი იყო მამაჲ და წინამძღუარი სკიტისაჲ, ვითარმედ: შთავედ ოდესმე სკიტეს სიჭაბუკესა ჩემსა და არა მიტევა მე მუნ დადგომად, არცა თუ დღე ერთ[8], არამედ მრქუა: დღეთა ჩემთა პირსა დედაკაცისასა არა მიუშუებ[9] სკიტეს ბრძოლათათჳს საეშმაკოთა.

VII. თქუა **მამამან იოვანე მოკლემან:** მოძღუარი[10], რომელი ყრმასა ზრახვიდეს, მუნთქუესვე ისიძვა მის თანა გულისსიტყჳთა თჳსითა.

VIII. თქუა **მამამან კარიონ**: რომელი იყოფოდის ყრმასა თანა, უკუეთუ არა ფრიად[11] ძლიერი იყოს, ქუე ჩამოვალს. უკუეთუ კულა ძლიერი იყოს და ქუე არა ჩამოვიდეს, დასტურად წარემართოს ვერ.

IX. /130/ თქუა **მამამან კასიანე**, ვითარმედ: იტყოდა მამაჲ მოსე და მასწავებდა ჩუენ, რამეთუ[12] კეთილ არს არა დაფარვაჲ გულისსიტყუათაჲ ბერთაგან სულიერთა, არამედ ჯერ არს მითხრობაჲ მათი, რომელთა აქუნდეს მადლი სულთა განკითხვისაჲ და არა რომელნი-იგი[13] დღეთაგან დაბერებულ იყვნენ. და რამეთუ მრავალთა მიხედნეს მჴცეთა და სიბერესა და გამოუცხადნეს გულისსიტყუანი მათნი, და ნაცვალად კურნებისა[14] მიიღეს წყლულებაჲ და უკუანაჲსკნელსა მას ყოველთა ბოროტთასა სასოწარკუეთილებასა შთაცჳვეს, ამისთჳს, რამეთუ უგუნურთა და გამოუცდელთა მიმართ ყვეს აღსაარებაჲ მათი. რამეთუ იყო ვინმე ძმაჲ ფრიად მოსწრაფე და მოშიში უფლისაჲ. ამას ებრძოლა ფიცხლად[15] სიძვისა ეშმაკი.

---

[1] აქილაჲსა] აქილაჲსსა BCE. [2] თებაჲდაჲთ A; თებაჲდით E. [3] განცდილნი] განსაცდელნი E. [4] და – B. [5] სულისა + და E. [6] ნუ ოდეს] ნუსადა C. [7] შჭამ] სჭამ E. [8] ერთ- C. [9] მიუშუებ] მოუშუებ C. [10] მოძღუარი] მაძღარი A. [11] ფრიად – C. [12] რამეთუ – B. [13] რომელნი C. [14] კურნებათა C. [15] ფიცხლად] ფირად E.

წარვიდა ბერისა ვისამე[1] და მიუთხრნა მას გულისსიტყუანი თჳსნი. ხოლო იგი, ვინაჲთგან უმეცარ იყო და გამოუცდელ, განრისხნა ფრიად, ესმა რაჲ, უბადრუკად და საწყალობელად სახელს-დებდა ძმასა მას და თჳთ სახესაცა მონაზონებისასა უღირსად. და რამეთუ თჳთ ყოლად რად შეიწყნარენო ესევითარნი გულისსიტყუანი. ესმა რაჲ ესე ძმასა მას, განიწირა თავი თჳსი და სასოებაჲ წარიკუეთა, დაუტევა სენაკი თჳსი, აღდგა და სოფლად წარემართა. ხოლო განგებითა ღმრთისაჲთა შეემთხჳა მას მამაჲ აპოლო. და ვითარცა იხილა იგი აღშფოთებული და ფრიად შეწუხებული, ჰკითხა მას და ჰრქუა: რაჲ არს, შვილო, მიზეზი ეგოდენისა მაგის მჭმუნვარებისა შენისაჲ? ხოლო მან უზომოჲსა მისგან შეწუხებისა[2] ვერცა თუ მისცა პასუხი პირველ. უკუნაჲსკნელ შემდგომად მრავლისა ვედრებისა და იძულებისა ბერისა ძნიადღა[3] აღაღო პირი /130v/ თჳსი და მიუთხრა ბერსა საქმე თჳსი და ჰრქუა: გულისსიტყუათა აღმაშფოთეს ბოროტად სიძვისათა და წარვედ მის ვისმე ბერისა და აღუვარე მას. ვითარცა[4] მან მითხრა, არა არს ჩემდა ცხორებაჲ. ამისთჳსცა განვიწირე თავი ჩემი და წარვალ ესერა სოფლად. ესმა რაჲ ესე მამასა აპოლონს, ვითარცა მკურნალმან ჴელოანმან იწყო ვედრებად მისა და კურნებად. ჰლოცვიდა მას[5] და ეტყოდა: ნუ უცხო გიჩნს, შვილო, საქმე ესე, ნუცა წარიკუეთ სასოებასა. და რამეთუ მე მხედავ, განაღა ესევითარსა ამას შინა ჰასაკსა და ღრმასა შინა სიბერესა მყოფსა, ფრიად შეურვებულ ვარ ეგევითართაგანვე[6] გულისსიტყუათა სიძვისათა. ნუ სულმოკლე იქმნები უკუე, ნუცა ურვეულ განჴურვებისა მაგისთჳს, რომელსა არა ესოდენ კაცობრივი მოსწრაფებაჲ, რაოდენ-იგი[7] განჰკურნებს წყალობაჲ ღმრთისაჲ. აწ უკუე, საყუარელო, დღენდელი ოდენ[8] ესე დღე მომანიჭე მე და კუალად იქეც სენაკადვე შენდა და იყავნ ნებაჲ უფლისაჲ[9]. ერჩდა ძმაჲ იგი ბერსა და მიიქცა სენაკად თჳსად. ხოლო მამაჲ აპოლონ წარვიდა ბერისა მის, რომელმან წარუკუეთა ძმასა მას სასოებაჲ[10]. დადგა გარეშე სენაკისა მისისა, ევედრებოდა ღმერთსა ცრემლით და ეტყოდა: უფალო, უფალო[11], რომელმან განსაცდელნი უმჯობესისათჳს მოავლინნი, მოაქციე ბრძოლაჲ ძმისაჲ მის ბერსა ამას ზედა, რაჲთა საქმით ისწაოს სიბერესა შინა მისსა, რომელი-იგი ვერ ისწავა ჟამთა შინა გრძელთა, რაჲთა თანავე ელმოდის ბრძოლილთა და განცდილთა. და ვითარცა აღასრულა ლოცვაჲ /131/ ბერმან, იხილა შავი ვინმე ჰინდოჲ, რომელი დადგა მახლობელად სენაკსა ბერისასა და სტყორცა მას ისარი, რომლისაგან იგი მოიწყლა ძლიერად და მეყსეულად ვითარცა მთრვალი აქა და იქი მიმოეკუეთებოდა[12]. და ვინაჲთგან ვერ

[1] ვისამე] ვისსამე E. [2] შეწუხებისა] მწუხარებისა C. [3] ძნიადღა] ძნიად BE. [4] ~ მან ვითარცა C. [5] ~ და ეტყოდა მას C. [6] ეგევითართაგანვე] ეგევითართაგან C. [7] რაოდენ-იგი] რავდენ-იგი B. [8] ესე ოდენ B. [9] უფლისაჲ] ღმრთისაჲ B. [10] სასოებაჲ + და BE. [11] უფალო, უფალო] უფალო ღმერთო C. [12] მიმოეკუეთებოდა] ეკუეთებოდა BE.

უძლო[1] ყოლად[2] დათმენად, აღდგა მსწრაფლ და გამოვიდა სენაკით თჳსით და გზასა მას შეუდგა სოფლად მიმყვანებელსა, რომელსაცა ვიდოდა ჭაბუკი იგი. ცნა მამამან აპოლო, რაჲ-იგი იქმნა, შეემთხჳა მას და ჰრქუა: სადა წარმართებულ ხარ, ბერო, ანუ რაჲ არს მიზეზი შფოთებისა შენისაჲ? შესწბა ბერსა და გულისჴმა-ყო, ვითარმედ გამოცხადებულ არს მისთჳს წმიდისა მისდა და სირცხლისაგან ვერღარაჲ თქუა. ჰრქუა მას მამამან აპოლო: შეიქეც, ბერო, სენაკადვე შენდა და[3] ამიერითგან იცან უძლურებაჲ შენი და გაქუნდინ თავი შენი უნდოდ, ვითარცა ყოლად არა გიცნობს ეშმაკი, ანუ თუ შეურაცხ უქმნიხარ და არად ჰკჳრ ამისთჳს, არცაღა თუ ღირს იქმენ მისა[4] მიმართ ბრძოლასა. და რად ვიტყჳ ბრძოლასა[5] ერთისა ჟამისა, გინა დღისა, მოსლვაჲცა მებრ გულისსიტყჳსაჲ ვერ იტჳრთე, ვერცა დაუთმე. ხოლო ესე შეგემთხჳა ამისთჳს, რომელ ჭაბუკსა მას წარუკუეთე სასოებაჲ, რომელი-იგი ზოგადისა მისგან ჩუენ ყოველთა მტერისა და მბრძოლისა იბრძოლებოდა, რომლისაჲ უფროჲსღა გიჴმდა განმჴნობაჲ და განძლიერებაჲ და ღუაწლთა მიმართ და წყობათა აღდგინებაჲ. ხოლო შენ ამის ყოვლისა წილ სასოწარკუეთილ-ჰყავ იგი, ანუ არა გასმიესა სწავლაჲ იგი ბრძნისაჲ მის, რომელი იტყჳს: იჴსენ სიკუდილად[6] /131v/ მიმავალი და დაღონებულსა შემწე ეყავ! ანუ არცაღა იგავი იგი გესმაა და ბრძანებაჲ მაცხოვრისაჲ: „ლერწამი შემუსრვილი არა განსტეხო და პატრუკი მბნდჳნვარე არა დაშრიტო“[7]. და რამეთუ არავის ძალ-უც დათმენა ბრძოლათა მტერისათა, არამედ არცაღა თჳთ[8] დუღილსა ბუნებისასა, არა თუმცა[9] მადლი ღმრთისაჲ სცვიდა უძლურებასა კაცობრივისა ბუნებისასა. ვინაჲთგან უკუე სრულ იქმნა ჩუენ ზედა ცხოველსმყოფელი განგებულებაჲ მისი, აწ ორნივე ზოგად ვევედრნეთ ღმერთსა, რაჲთა წყლულებაჲცა იგი, შენ ზედა მოწევნული, აღიღოს, რამეთუ იგი თავადი არს მხოლოჲ, რომელი სწყლავს და ჰკურნებს[10], დაამდაბლებს და აღამაღლებს, შთააგდებს ჯოჯოხეთად და აღმოიყვანებს. ესე თქუა და ილოცა და[11] მეყსეულად მის ზედა მოსრულისა მისგან ბრძოლისა განათავისუფლა. და ასწავა მას, რაჲთა ითხოოს ღმრთისაგან მოცემად მისა[12] სიტყუაჲ გულისჴმისყოფისაჲ, რაჲთა იცოდიო[13], თუ რაჲ სთქუა და განჰყოფდე ჟამსა სიტყჳსა და დუმილისასა.

X. ჰკითხა ვინმე **მამასა კჳროსს ალექსანდრიელსა** გულისსიტყუათათჳს სიძვისათა. ხოლო მან მიუგო: უკუეთუ გულისსიტყუანი არა გქონან[14], სასოებაჲ არა გაქუს და უკუეთუ გულისსიტყუანი არა გქონან[15], უეჭუელად საქმენი გქონან, ესე იგი არს, რომელი გულისსიტყჳთა[16] არა იბრძოლებოდის, ცოდვისა მიმართ და არა წინააღუდგებოდის, საქმით სამე იქმს მას. და

[1] უძლო] ეძლო C. [2] ყოლად] ყოლადვე B. [3] და – B. [4] მისა] მისსა B. [5] ვიტყჳ ბრძოლასა – B. [6] სიკუდილად] სიკუდიდ B. [7] მ. 12,20. [8] თჳთ – C. [9] არა თუმცა] არა თუ C. [10] ჰკურნებს] განჰკურნებს C. [11] და – E. [12] მისა – C. [13] იცოდიო] იცოდი B. [14] გქონან] გუქუანან B. [15] გქონან] გუქუანან B. [16] აქ E ნუსხა წყდება.

რამეთუ[1] რომელსა საქმე აქუნდეს ცოდვისაჲ, იგი გულისსიტყუათაგან არღარა იბრძოლების. ჰკითხა ბერმან ძმასა მას და ჰრქუა: გაქუსა /132/ ჩუეულებაჲ დედაკაცისაჲ? ჰრქუა მას ძმამან: არა, მამაო. გარნა ძუელნი და ახალნი მხატვარნი არიან გულისსიტყუანი ჩემნი და მაურვებენ მე და მაშფოთებენ და კერპებსა დედათასა წერენ გულსა შინა ჩემსა. ჰრქუა მას ბერმან: ცოცხალთა ევლტოდე, მკუდართაგან ნუ გეშინის, და რაოდენ ძალ-გედვას, განგრძვე ლოცვაჲ შენი ღმრთისა მიმართ.

XI. გუაუწყეს ჩუენ ძმისა ვისთჳსმე, რომელი შევარდა ცოდვასა და წარვიდა **მამისა ლოთისა** და აღშფოთებული შევალნ და გამოვალნ და ვერ ძალ-ედვა ჯდომაჲ ერთსა ადგილსა. ჰრქუა მას მამამან ლოთ: რაჲ გჭირს, ძმაო[2], რად შეწუხებულ ხარ? მიუგო ძმამან: ცოდვასა შევვარდი დიდსა და ვერ ძალ-მიც თხრობად მისა[3] მამათა. ჰრქუა მას ბერმან: აღმიარე მე იგი და მე ვიტჳრთო იგი. მაშინ მიუთხრა ძმამან: სიძვითა დავეცი და უზორე კერპთა, რაჲთა მივემთხჳო საქმესა მას. ჰრქუა მას ბერმან: მჴნე იქმნენ[4] და განძლიერდი[5], შვილო, რამეთუ არს სინანული. წარვედ უკუე და დაჯედ ქუაბსა იმას შინა და იმარხევდი ორ-ორით და მე ვიტჳრთო ნახევარი ცოდვისაჲ მაგის. ხოლო წარჴდეს რაჲ სამნი შჳდეულნი, გულსავსე იქმნა ბერი, ვითარმედ შეიწირა ღმერთმან სინანული იგი ძმისაჲ მის და დაადგრა ძმაჲ იგი მორჩილებასა ქუეშე ბერისასა, ვიდრე სიკუდილადმდე მისა.

XII. იტყოდა **მამაჲ მატოჲ**, ვითარმედ: მოვიდა ვინმე ძმაჲ და მეტყოდა, ვითარმედ: განკითხვაჲ უძჳრეს არს სიძვისა[6], ხოლო მე ვარქუ მას: ფიცხელ არს, ძმაო, სიტყუაჲ ეგე. და მან მრქუა: და ვითარ გნებავს, მამაო, რაჲთა იყოს? ხოლო /132v/ მე ვარქუ მას: ჭეშმარიტად ბოროტ არს განკითხვაჲ, გარნა მსწრაფლი აქუს კურნებაჲ, რამეთუ მრავალგზის მოვალს[7] და შეუვრდების მას, რომელი-იგი განიკითხა და ეტყჳს: მომიტევე, რამეთუ განგიკითხე. ხოლო სიძვაჲ კულა ბუნებითი[8] სიკუდილი არს.

XIII. მამაჲ ულჳმპი[9] სენაკებისაჲ ბრძოლილ იქმნა სიძვისაგან და ჰრქუა გულისსიტყუამან მისმან: წარვედ და შეირთე ცოლი. აღდგა უკუე და მოიღო თიჴაჲ და შეზილა და გამოქმნა დედაკაცად და ჰრქუა თავსა თჳსსა: აჰა ესერა, და ცოლიცა შენი, გიღირს უკუე აწ უმეტეს ადრე შრომად, რაჲთა ზრდიდე ცოლსა შენსა. და შურებოდა იგი და იქმოდა ჴელთსაქმარსა უმეტეს ძალისა. და შემდგომად დღეთა რავდენთამე გამოქმნა სხუაჲ თიჴაჲ და შეადევნა ასულად და ჰრქუა გულისსიტყუასა თჳსსა: გიშვა ცოლმან შენმან ასული, ჯერ არს რაჲთა უმეტესადრე შურებოდი, რაჲთა ვითარ შეუძლო გამოზრდად და შემოსად ასულისა შენისა. და ამით ესევითარითა სახითა

---

[1] რამეთუ – B. [2] ძმაო] მამაო B. [3] ~ მისა თხრობად B . [4] იქმნენ] იყავ C. [5] ~ შვილო, განძლიერდი B. [6] სიძჳსა] ცოდვისა C. [7] მოვალს] მივალს C. [8] ბუნებითი] ბუნებით B. [9] ულჳმპი] ულჳმპჳ C.

შეაიწრა[1] და განაჴმო სრულად თავი თჳსი. მერმე ჰრქუა გულისსიტყუამან: ვერღარა ძალ-მიც ესოდენსა მუშაკობად, ხოლო[2] მან მიუგო: უკუეთუ ვერ ძალ-გიც მუშაკობად, ნუცაღა ცოლსა ეძიებ. იხილა ღმერთმან შრომაჲ იგი მისი და აღიღო ბრძოლაჲ იგი მისგან და განისუენა.

XIV.1. თქუა **მამამან პიმენ**, ვითარცა სახედ მეაბჯრე მეფისაჲ სამარადისოდ მდგომარე არს მზად[3] წინაშე მეფისა, ესრეთვე უღირს სულსა, რაჲთა მზაჲ იყოს ეშმაკისა მიმართ სიძვისა.

2. ჰკითხა **მამამან ანუბ[4] მამასა პიმენს** უშუერთათჳს და არაწმიდათა გულისსიტყუათა და გულისთქუმათათჳს, რომელთა-იგი შობს უბადრუკი გული კაცისაჲ. ჰრქუა მას /133/ მამამან პიმენ: ნუუკუე იდიდოსა ცული, თჳნიერ მკუეთლისა? ესრეთვე და[5] შენცა ნუ მისცემ ჴელსა და იგინი თჳთ უქმ იქმნებიან.

3. მოვიდა ოდესმე ძმაჲ ვინმე **მამისა პიმენისა[6]** და ჰრქუა მას: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ ვიჭირვი მე სიძვისაგან და აჰა ესერა, წარვედ მამისა ივისტიონისსა[7] და მრქუა მე: არა გიღირს ყოლადვე შინა შეშუებად გულისსიტყუათა, არცაღა დაყოვნებად მათდა შენ თანა. ჰრქუა მას მამამან პიმენ: მამისა ივისტინის[8] საქმენი ზეცას არიან ანგელოზთა თანა და დაჰვიწყებიეს მას ესე, რომელ მე და შენ ყოლადვე სიძვასა შინა ვართ. გარნა ესე უწყოდე მტკიცედ, უკუეთუ დაიმჭიროს[9] მონაზონმან მუცელი თჳსი და ენაჲ და შეიკრძალოს უცხოებაჲ თჳსი, არა მოკუდეს.

4. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ ვიბრძოლები მე სიძვითა და გულისწყრომითა. ჰრქუა მას ბერმან: ამისთჳს იტყოდა დავით: „ლომსა მოვჰკლევდ, ხოლო დათუსა მოვაშთობდ“, ესე იგი არს ვითარმედ, გულისწყრომასა მოვაკუდინებ[10], ხოლო გულისთქუმასა შევაჭირვებდ[11].

5. თქუა **მამამან პიმენ**: სიძვისა და განკითხვისა გულისსიტყუათა ყოლადვე არა უჴმს კაცსა პასუხისა მიცემაჲ, რამეთუ ორნი ესე საქმენი ძლიერად ებრძვიან კაცსა. და უკუეთუ ჰყო მათდა მიმართ სიტყუაჲ, ვერარაჲ ჰპოო სარგებელი, არამედ უფროჲსღა განაფიცხნე და განაბოროტნე და არა გაქუნდეს მათგან განსუენებაჲ.

6. კითხულ იქმნა **მამაჲ პიმენ** ბიწიანობისათჳს, თუ რაჲ არს. ხოლო მან ჰრქუა: რომელსა აქუნდეს სარწმუნოებაჲ მართალი და საქმენი კეთილნი, არა არს ბიწი მას[12] თანა.

---

[1] შეაიწრა] შეაჲწრა A. [2] ხოლო...მუშაკობად – B. [3] მზად – B. [4] ანუბ] ანობ C. [5] და – C. [6] პიმენისა] პიმენისსა C. [7] ივისტიონისსა] ივსტიონისსა C. [8] ივისტინის] ივისტიონის C. [9] დაიმჭიროს] დაჲმჭიროს A. [10] მოვაკუდინებ] მოვაკუდენდB;მოვაკუდენC. [11] შევაჭირვებდ] შევაიწრებდ B. [12] მას] მისC.

7. /133v/ თქუა კუალად: კაცსა, რომელსა აქუნდეს ყრმაჲ თანამკჳდრად და შეატყუას თავსა თჳსსა, რომელ ევნების მისგან და არა განიყვანოს იგი, მსგავს არს იგი შეშასა შეჭმულსა ჭიათაგან და მატლთა.

8. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** სიძვისათჳს. ჰრქუა მას ბერმან: მრავალ არს და აურაცხელ წყალობაჲ ღმრთისაჲ, რომელი გარემოადგეს[1] კაცსა, დაღათუ ჩუენ ვერ ვხედავთ. უკუეთუმცა არა, ვერმცა განერა ყოველი ჯორციელი.

XV. იყო ვინმე ძმაჲ სკიტეს **მამისა პაფნოტის** თანა და ესოდენ ბრძოლილ იქმნა იგი სიძვისაგან, ვიდრეღა და[2] იტყოდა: უკუეთუ შევირთნე მე ათნი ცოლნი, ვერ აღმისრულებენ მე სურვილსა ჩემსა. ხოლო ბერი ჰლოცავნ მას და ეტყჳნ: ნუ, შვილო, რამეთუ ბრძოლაჲ არს ეგე ეშმაკისაჲ. გარნა იგი არა ერჩდა, არამედ წარვიდა ეგჳპტედ და შეირთო ცოლი. შემდგომად რაოდენისამე ჟამისა აღვიდა ბერი ეგჳპტესა საქმისა რაჲსათჳსმე. შეემთხჳა მას ეკიდა[3] რაჲ სფირიდებითა კეცი. ხოლო ბერმან ვერ იცნა იგი, გარნა მან იცნა და ჰრქუა: მე ვარ, მამაო, იგი ვინმე მოწაფჱ[4] შენი. იხილა რაჲ იგი ბერმან ეგევითარსა[5] შინა უწესოებასა[6] და უპატიოებასა, აღტირდა მას ზედა და თქუა: ვითარ დაუტევე შენ პატიოსნებაჲ იგი და მოხუედ შენ უპატიოებასა ამას, გარნა ყოველსავე ზედა შეირთენა ათნი ცოლნი? ხოლო მან სულთ-ითქუნა სიღრმით გულისაჲთ და ჰრქუა ბერსა: ჰრიდე, მამაო, ერთი შევირთე და ჭირსა შინა ვარ და ბოროტსა, რაჲთამცა ვითარ განვაძღე[7] პურითა. ჰრქუა მას ბერმან: მოვედ კუალადცა ჩუენ თანავე. და მან თქუა: და არსა სინანული[8], მამაო? ჰრქუა მას ბერმან: ჱ /134/ არს ჭეშმარიტად ძალითა ქრისტესითა. და დაუტევა ყოველივე და შეუდგა მას და შევიდა სკიტეს და საქმით გამოცდილებისა მისგან იქმნა რჩეულ მონაზონ.

XVI.1. გჳთხრეს ჩუენ **დედისა სარრაჲსთჳს**[9], ვითარმედ: ათცამეტ წელ იბრძოლებოდა იგი ძლიერად ეშმაკისაგან სიძვისა და არაოდეს[10] ილოცა ღმრთისა მიმართ განყენებად მისგან ბრძოლაჲ იგი, არამედ უფროჲსღა ამას ილოცავნ და იტყჳნ: უფალო ღმერთო, მომეც მე მოთმინებაჲ. ოდესმე ებრძოლა ფიცხლად ბოროტი იგი სული სიძვისაჲ და მოაგონებდა მას სახიობათა და ამაოებათა სოფლისათა. ხოლო მან არა მოაკლო ყოლადვე შიშსა ღმრთისასა და მოღუაწებასა, ვინაჲცა აღვიდა ერთგზის სართულსა ზედა სახლისასა, რაჲთა ყოს ლოცვაჲ და გამოუჩნდა მას ცხადად სული იგი სიძვისაჲ და ჰრქუა მას: შენ მძლეა მე სარრა?! ხოლო მან ჰრქუა მას[11]: არა მე გძლე, ნუ იყოფინ, არამედ ქრისტემან გძლო, მეუფემან ჩემმან და ყოველთამან.

---

[1] გარემოადგეს] გარემოადგსC. [2] და – B. [3] ~ ეკიდა მას C. [4] მოწაფჱ] მოწაფე BC. [5] ეგევითარსა + მას C. [6] უწესოებასა და – BC. [7] განვაძღე + იგი C. [8] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება. [9] სარრაჲსთჳს] სარაჲსთჳსE. [10] არაოდეს ილოცა...ამას – C. [11] მას – B.

XVII. თქუა **მამამან ფოკას**: მო-რაჲ-ვიდა სკიტეს მამაჲ იაკობ, იბრძოლა ძლიერად სიძვისა ეშმაკისაგან, ვიდრე კნინღა და იძლიამცა. აღდგა და მოვიდა ჩემდა და მითხრა მე და მრქუა: იმას[1], რომელსამე ქუაბსა წარვალ ორშაბათითგან და გევედრები შენ მცნებისათჳს უფლისა, ნუვის უთხრობ, ნუცაღა მამასა ჩემსა, არამედ ორმეოცნი დღენი გათუალენ და ოდეს აღესრულნენ, ყავ სიყუარული და მოვედ ჩემდა და მომართუ მე წმიდაჲ ზიარებაჲ. და უკუეთუ მპოვო[2] მე მომკუდარად[3] დამმარხე, ხოლო უკუეთუ ცოცხალღა ვიყო, მაზიარე წმიდათა მათ საიდუმლოთა[4]. ესე რაჲ მესმა მე მისგან, ვყავ ნებისაებრ მისისა. და ვითარცა აღესრულნეს /134v/ დღენი იგი ორმეოცნი, აღვიღე წმიდაჲ ზიარებაჲ და ზოგადიცა პური წმიდაჲ და მცირედ ღჳნოჲ და წარვედ მას თანა. და ვითარცა მივეახლე ოდენ ქუაბსა მას, მეცა სული სულმყრალობისაჲ სასტიკი, რომელი გამოვიდოდა პირით მისით. და ვთქუ თავისა თანა ჩემისა, ვითარმედ: უეჭუელად შეისუენა ნეტარმან. ხოლო ვითარცა შევედ ქუაბსა შინა მის თანა, ვპოვე იგი სულჴუებულად, რამეთუ კნინღა მოაკლდებოდა. და ვითარცა მიხილა მე, შეძრა მარჯუენე ჴელი თჳსი, რაოდენ-რაჲმე ძალ-ედვა და გამოისახა[5], რეცა რაჲმე წმიდისათჳს ზიარებისა. ხოლო მე ვარქუ მას: მყავს[6] წმიდაჲ საიდუმლოჲ[7], აღუღე უკუე პირი მისი ძლით და შთაუწთვე მსხუერპლისა მისგან წმიდისა, რაოდენ შეუძლებდა, რამეთუ წურილად[8] დავაწულილე იგი. და მიიღო ძალი წმიდისა მისგან ზიარებისა და შემდგომად მცირედისა დაუგე სხუაჲ ნაფშუენი პურისაჲ ღჳნითა და მცირედ-მცირედ ვაჭამე მას. და ესრეთ განძლიერდა მადლითა ღმრთისაჲთა, და შემდგომად დღისა ერთისა ჩემ თანა მოვიდა სენაკად თჳსა და ძალითა ქრისტესითა განთავისუფლდა ვნებისა მისგან ბოროტისა სიძვისა.

1. იყო ვინმე მოწაფე ბერისაჲ და ბრძოლილ იქმნა იგი სიძვისაგან[9]. ევედრებოდა მას ბერი და ეტყოდა: დაითმინე[10], შვილო, რამეთუ ბრძოლაჲ არს ეგე მტერისაჲ. ხოლო იგი ეტყოდა: ვერ ძალ-მიც მოთმინებაჲ, მამაო, არა თუ აღვასრულო საქმით. ხოლო ვინაჲთგან უღონო იქმნა ბერი, იჩემა მანცა საქმე იგი და ჰრქუა მას: მეცა, შვილო, ვიბრძოლები მაგითვე ბრძოლითა, წარვიდეთ უკუე ორნივე ზოგად და ვყოთ საქმე იგი. და მერმე კუალად მოვიქცეთ სენაკადვე ჩუენდა. /135/ ხოლო აქუნდა ბერსა დრაჰკანი ერთი, აღიღო იგი მის თანა და წარვიდეს. და ვითარცა მიიწინეს[11] ადგილსა მას ცოდვისასა, ჰრქუა ბერმან მოწაფესა თჳსსა: მელოდე შენ გარე, შვილო, და მე შევიდე პირველად. და მერმე შემდგომად ჩემსა შევედ შენ. შევიდა უკუე ბერი მეძავსა მას თანა, მისცა დრაჰკანი იგი, ევედრა მას და ჰრქუა:

[1] იმას] ამას C. [2] მპოვო] მპოო C. [3] მომკუდარად] მომკუდრად B. [4] საიდუმლოთა] საჲდუმლოთა A. [5] გამოისახა] გამოსახა BCE. [6] მყავს + მე B. [7] საიდუმლოჲ] საჲდუმლოჲ A. [8] წურილად] წულილად BE. [9] სიძვისაგან + და B. [10] დაითმინე] დაჲთმინე A. [11] მიიწინეს] მიიწივნეს B.

ნუ შეაგინებ ძმასა ამას. ხოლო მეძავმან მან მისცა სიტყუაჲ ბერსა, რაჲთა არა შეაგინოს ძმაჲ იგი. გამოვიდა უკუე ბერი და ჰრქუა ძმასა მას: შევედ აწ შენ, შვილო. და ვითარცა შევიდა, ჰრქუა მას მეძავმან: მგებდ მცირედ, ძმაო, რამეთუ დაღაცათუ ცოდვილი[1] ვარ, გარნა ჩუენცა შჯული გუაქუს და ჯერ არს პირველად მისი აღსრულებაჲ. და უბრძანა ძმასა მას დადგომაჲ ერთკერძო და მოყრაჲ ორმეოცდაათისა მუჴლისაჲ. და იგი დადგა მეორესა კერძსა სახლისასა და ორნივე ზოგად იყრიდეს მუჴლთა. ხოლო ვითარცა მოიყარა ძმამან მან ოცი გინა ოცდაათი მუჴლი, მოხედვა ყო ღმერთმან და განელო გული მისი და თქუა თავსა შორის თჳსსა: ვითარ ღმრთისა მიმართ ვილოცავ[2], რომელსა მეგულების ქმნაჲ საქმესა ამას საძაგელსა?! და მეყსეულად გამოვიდა შეუგინებელად. და იხილა ღმერთმან შრომაჲ ბერისაჲ[3] მის და აღიღო ძმისა მისგან ბრძოლაჲ იგი და მოიქცეს იგინი[4] სენაკადვე მათდა და ადიდებდეს ღმერთსა.

2. ძმაჲ ვინმე წარიმგზავნა[5] მოძღუარისაგან თჳსისა სამსახურსა. და მივიდა ადგილსა ერთსა, სადა იყო წყალი და პოვა მუნ დედაკაცი, რომელი რცხიდა სამოსელსა. ბრძოლილ იქმნა მისა მიმართ და ჰრქუა დაწოლად მის თანა. /135v / ჰრქუა მას დედაკაცმან მან: სმენაჲ შენი ადვილი არს მაგისთჳს, გარნა უკუეთუ გერჩდე, მიზეზ გექმნები შენ[6] მრავალთა ჭირთა. ხოლო მან მიუგო: ვითარ ანუ რომლითა სახითა? ჰრქუა მას დედაკაცმან: შემდგომად აღსრულებისა საქმისა მაგის, მოგწყლავს შენ ძლიერად გული შენი და გონებაჲ და ორთაგან[7] საქმეთა ერთი უეჭუელად შემთხუევად გიც, ანუ რაჲთა განიწირო თავი და წარიკუეთო სასოებაჲ ცხორებისაჲ და სოფლადვე მიიქცე, ანუ კულა უკუეთუ ესე არა, მრავალნი ცრემლნი გიჴმან და სულთქუმანი და მრავალნი ღუაწლნი და შრომანი ვიდრე მოსლვადმდე შენდა მაგასვე ალაგსა, რომელსაცა[8] აწ ხარ შენ. პირველ უკუე მოწევნადმდე თავსა ზედა შენსა ესოდენთა ძჯრთა და განსაცდელთა ვიდოდე მშჯდობით გზასა შენსა, სადაცა-იგი წარმართებულ ხარ. ესმა რაჲ ესე ყოველი ძმასა მას, ჰმადლობდა ღმერთსა და გონიერებასა[9] ბრძნისა მის დედაკაცისასა, რომლისაცა სიტყუათა ზედა ლმობიერ იქმნა. და ვითარცა კუალადიქცა, მიუთხრა საქმისა მისთჳს ყოველივე წურილად ბერსა თჳსსა, რომლისათჳს დაუკჯრდა მასცა და აკურთხა კურთხეული იგი დედაკაცი. ხოლო ევედრა ბერსა ძმაჲ იგი, რაჲთა არღასადა[10] გაგზავნოს მონასტრით. და იყო იგი ყოველთავე დღეთა ცხორებისა თჳსისათა[11] მონასტერსა შინა და არღარასადა გამოვიდოდა რაჲთურთით.

---

[1] ცოდვილი] ცოდვილ BC. [2] ვილოცავ] ვლოცავ C. [3] ბერისაჲ] ბერისა B. [4] იგინი – B. [5] წარიმგზავნა] წარიგზავნა BCE. [6] ~მრავალთა ჭირთა შენ E. [7] ორთაგან] ორთაგანვე C. [8] რომელსაცა] რომელსა B. [9] გონიერებასა] გონებასა B. [10] არღარასადა] არღარა C. [11] თჳსისათა] მისისათა E.

3. ძმაჲ ვინმე წარვიდა აღმოვსებად წყლისა მდინარისაგან. და პოვა მუნ დედაკაცი მრცხელი და დაეცა მას თანა. ხოლო შემდგომად ცოდვისა მის, აღიღო წყალი და წარემართა სენაკად თჳსად[1]. მეყსეულად მოიცვეს იგი[2] ეშმაკთა, გულისსიტყუათა მიერ აშთობდეს მას და ეტყოდეს: სადაღა წარხუალ, აწ არღარა არს შენდა ამიერითგან ცხორებაჲ, /136/ ბარე[3] სოფელსა შინა დაიჭირვებ[4] და საწუთროსა! აგრძნა უკუე ძმამან[5] მანქანებაჲ მტერთაჲ და ვითარმედ ჰნებავს მისი სრულიად წარწყმედაჲ, ჰრქუა გულისსიტყუათა მათ: ვინაჲ შემოხუედით თქუენ ჩემდა და მაჭირვებთ მე[6] და წარმიკუეთთ სასოებასა, გეტყჳ[7] თქუენ, ყოლა არა მიცოდავს და[8] კუალად გეტყჳ, არა მიცოდავს, არცა ვიცი, თუ რასა იტყჳთ. წარვიდა უკუე სენაკად თჳსად და იყო ვითარცა გუშინ და ძუღუან[9] ყოლად უცოდავი, ვინაჲცა გამოუცხადა ღმერთმან ერთსა ბერსა მახლობელსა მისსა, ვითარმედ: მან ძმამან[10] შემდგომად დაცემისა სძლო. მოეგო რაჲ ბერი თავად თჳსად გამოცხადებისა მისგან, წარვიდა ძმისა მის და ჰრქუა მას: ვითარ ხარ, შვილო? ჰრქუა მას ძმამან[11]: კეთილად, მამაო. ჰრქუა მას[12] ბერმან: გამომიცხადა მე შენთჳს ღმერთმან, ვითარმედ დაცემითა სძლე. მაშინ მიუთხრა მას ძმამან[13] ყოველივე[14] იგი, რაოდენიცა შეემთხჳა. ჰრქუა მას ბერმან: გრწმენინ, ძმაო, გონიერად განკითხვამან შენმან შემუსრა ყოველი ძალი მტერისაჲ.

4. გჳთხრა ვინმე ჩუენ ესე, ვითარმედ: ძმაჲ ვინმე ზოგადცხორებულთა მონასტრისაჲ წარივლინებოდა გარე სოფელთა შინა სამსახურისათჳს მონასტრისა. ხოლო იყო ვინმე ერისკაცი ღმრთისმოშიში ერთსა რომელსამე შინა დაბათაგანსა და შეიწყნარის მან ძმაჲ იგი სარწმუნოებით, რაოდენგზისცა მივიდის და უმასპინძლის სახლსა შინა თჳსსა. ხოლო ესუა ერისკაცსა მას ასული ერთი, ოდენ ახლად დაქურივებული[15], რომელსა დაეყო ქმარსა თანა ორი ოდენ წელიწადი. შევიდოდა რაჲ უკუე და გამოვიდოდა ძმაჲ იგი, ბრძოლილ იქმნა მისა[16] მიმართ, ხოლო იგი გონიერ იყო და იცვიდა თავსა თჳსსა მისგან, ვინაჲთგან /136v/ შეატყუა მას საქმე იგი. და არა გამოვიდოდა წინაშე პირსა მისსა სახილავად[17] მისა[18] და საჩუენებელად. დღესა უკუე ერთსა, წარვიდა მამაჲ ქალისაჲ მის მახლობელთა ქალაქთაგანსა ერთსა საჴმრისა რაჲსათჳსმე და იგი მარტოჲ დაუტევა სახლსა შინა მათსა. მოვიდა ძმაჲ იგი ჩუეულებისაებრ და წესისა და პოვა რაჲ იგი მარტოჲ, ჰრქუა მას: სადა არს მამაჲ შენი? და მან ჰრქუა: ქალაქად წარვიდა იგი. იწყო უკუე

---

[1] თჳსად +და E. [2] იგი – C. [3] A ნუსხაში გვიანდელი მხედრულით მიწერილია: ბარე წარვედ სოფლა და რასა იჭირვებ საწუთროსა; ბარე სოფელსა შინა დაიჭირვებ და საწუთროსა] ბარე სოფელსა რადღა დაიჭირვებ და საწუთროსა BCE. [4] დაიჭირვებ] დაჲჭირვებაA. [5] ძმამან + მან C. [6] მე – B. [7] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 64r-ზე (აკინძვის შეცდომა). [8] და კუალად – B. [9] ძუღუან] ძოღანB. [10] ~ ძმამან მან B. [11] ძმამან + მან BE. [12] მას – B. [13] ძმამან + მან E. [14] ყოველივე იგი] ყოველიB. [15] დაქურივებული] დაქურუებული B. [16] მისა] მისსა E. [17] სახილავად] სახილველად B. [18] მის] მისსა B.

აღშფოთებად[1] ძმამან მან ბრძოლისა მისგან და ენება ზედააღდგომად მისა. ჰრქუა მას დაწყნარებულად დედაკაცმან მან: ნუ აღშფოთნები, ვიდრემდე[2] მოვიდოდის მამაჲ ჩემი, ორნივე აქა ვართ, და ამას მეცნიერ ვარ, რომელ თქუენ, მონაზონნი, არარას იქმთ თჳნიერ ლოცვისა. აღდეგ უკუე და ილოცე ღმრთისა მიმართ და რაჲცა მოუვლინოს ღმერთმან გულსა შენსა, იგიცა ვყოთ. ხოლო მას არა ენება ესე, არამედ აღიძრვოდა ფიცხლად ბრძოლისა მისგან. ჰრქუა მას დედაკაცმან მან: ნანდჳლვე შე-ცა-გისწავლიესა დედაკაცი? ხოლო მან მიუგო: არა, და უფროჲსღა თჳთ ამისთჳს[3] მნებავს თანაყოფაჲ შენი, რაჲთა ვცნა, თუ რაჲ არს. კუალად ჰრქუა მას: დასტურად ამისთჳს აღშფოთებულ ხარ, რომელ უმეცარ ხარ სიმყრალესა უბადრუკთა დედათასა. ვინაჲცა ინება დავსებაჲ[4] ცეცხლსა მას გულისთქუმისასა და ჰრქუა მას: დასტურად დღეთა ზედა ვდგა ჩემთა და წესსა და ვერვის ძალ-უც მიახლებაჲ ჩემი და ვერცა ვინ იყნოსს საძაგელებასა სულმყრალობისა ჩემისასა. ესმა რაჲ ესე და სხუაჲ ესევითარი მრავალი გონიერისა მისგან დედაკაცისა /137/ ძმასა მას, მოეგო თავად თჳსად, ლმობიერ იქმნა და იწყო ტირილად. ხოლო ოდეს იხილა იგი ესრეთ დანელებული[5] მგზებარებისა მისგან, ჰრქუა მას: აჰა ესერა, და გერჩდი შენ და აწ ვითარცა აღგჳსრულებიეს ცოდვაჲ, მერმე რაჲ, რომლითა უკუე თუალითა მიხედევდიღა მამასა ჩემსა, ანუ ვითარღა წარხჳდოდე მონასტრად შენდა და მწყობრსა მას თანა წმიდასა დასდგებოდე მგალობელთასა, გევედრები შენ და შეგივრდები, განიფრთხვე ამიერითგან და ნუ წარსწყმედ ეგოდენთა შრომათა შენთა უნდოჲსათჳს[6] და მცირისა გემოჲსა და ნუცა კეთილთა მათგან საუკუნეთა დააკლდები და უცხო იქმნები. ესე და ესევითარნი სიტყუანი ესმნეს რაჲ კეთილისა მისგან დედაკაცისა ძმასა მას, რომელსაცა შეემთხჳა ესე, ჰმადლობდა ღმერთსა, რომელმან არა უტევა მას[7] სრულიად დაცემად და აკუთრხევდაცა გონიერებასა სიწმიდისმოყუარისა მის მზრახვალისასა და მაუწყა მე, რომელი-ესე მიგითხრობ[8] ამას, ყოველი ესე ყოფილი, რაჲთა თქუენცა განეკრძალნეთ და ჰმადლობდეთ ღმერთსა.

5. მონაზონი ვინმე მრავალთა წელთა იბრძოლებოდა ეშმაკისაგან სიძვისა და იყოღა ერი კრებულად ჟამსა ლოცვისასა წმიდასა შინა ეკლესიასა, უმეტესადღა აღიძრა მას[9] ზედა ბრძოლაჲ იგი. მერმე მოეწყინა, აღმოიკრიბა ზე სამოსელი თჳსი და მანქანებაჲ იგი ეშმაკისაჲ საჩინოდ წარმოადგინა, ცხადად გამოჩენითა ორღანოსა მას ასოჲსასა[10] და ჰრქუა ყოველთა: ლოცვა ყავთ ჩემთჳს, წმიდანო მამანო, რამეთუ აჰა ესერა მაქუს ათოთხმეტი წელიწადი, რაჲთგან /137v/ ვიბრძოლები მე ამით ესევითარითა განსაცდელითა, ვითარცა ესერა აწ ხედვენ თუალნი თქუენ ყოველთანი. ხოლო მათ დასწერეს ჯჯუარი

---

[1] ~ ძმამან მან აღშფოთებად E. [2] ვიდრემდის BCE. [3] ამისთჳს] მისთჳს B. [4] დავსებაჲ] დავსებად C. [5] ~დანელებულად ესრეთ C. [6] უნდოჲსათჳს] უნდოჲსა მისთჳს C. [7] მას – E. [8] მიგითხრობ] მოგითხრობ C. [9] მას] მის C. [10] ასოჲსასა] დაფარულისა მის ასუჲსაჲთა B.

და ლოცვა ყვეს და სიმდაბლისა მისთჳს მისისა და ვნებისა მის განქიქებისა, იჴსნა ღმერთმან ძმაჲ იგი განსაცდელისა მისგან ლოცვითა წმიდითა მათ[1] მამათაჲთა.

6. თქუა ბერმან გულისსიტყუათათჳს სიძვისათა, ვითარმედ: უდებებითა ჩუენითა შეგუემთხუევის ვნებულებაჲ. ესე თუ არა, უკუეთუმცა გულსავსე ვიყვენით, ვითარმედ ღმერთი მკჳდრს[2] ჩუენ შორის, არამცა შეუშჳთ ჩუენ უცხოჲ ჭურჭელი სახლად ჩუენდა. და რამეთუ მეუფჱ ჩუენი ქრისტე, მკჳდრ თუ არს ჩუენ თანა, გუხედავსცა ჩუენ და განაგებს ცხორებასა ჩუენსა. ვინაჲცა ვხედავთ მას[3] და გუმოსიეს იგი, არცა ჩუენ გჳჭმს უდებებაჲ, არამედ გჳღირს მოღუაწებაჲ, რაჲთა წმიდა-ვყვნეთ თავნი ჩუენნი, ვითარცა იგი თავადი წმიდა არს.

7. კუალად[4] ეტყჳს მტერი მაცხოვარსა: მოვავლინო ჩემი შენსა თანა, რაჲთა დავამჴუა შენი და დაღაცათუ ვერ უძლო ცთუნებად რჩეულთა შენთა, ბარე უცნებითა ღამისაჲთა განვცადნე იგინი. ხოლო მაცხოვარი ეტყჳს მტერსა: მე მოყუარენი ჩემნი მიყუარან. და ყოველი, რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო გარე და არავინ მიმტაცნეს იგინი[5] ჴელთაგან ჩემთა უკუნისამდე.

8. მოწაფჱ დიდისა ვისმე ბერისაჲ ბრძოლილ იქმნა სიძვითა. წარვიდა სოფლად და იქორწინა. ხოლო ბერი შეწუხნა ფრიად, /138/ ილოცა ღმრთისა მიმართ და თქუა: უფალო იესუ ქრისტე, ნუ შეუნდობ მონასა შენსა შეგინებად საძაგელისაგან შერევისა. და ვითარცა დაწვა დედაკაცისა მის თანა, მისცა სული თჳსი და არა შეიგინა.

9. გულისსიტყუათათჳს არაკეთილთა თქუა ბერმან: გევედრები თქუენ, ქრისტესმოყუარენო ძმანო, ვითარცა ვიჯმენით სოფლისაგან, ვიჯმნათ საქმეთაგანცა და გულისთქუმათა მსოფლიოთა[6], რამეთუ არარაჲ ვართ სხუაჲ, თჳნიერ მიწანი მიწათაგან.

10. ძმაჲ ვინმე ბრძოლილ[7] იქმნა სიძვისაგან და იყო ბრძოლაჲ იგი მისი ვითარცა ცეცხლი აღგზებული გულსა შინა მისსა დღე და ღამე. ხოლო ძმაჲ იგი იღუწიდა, რაჲთა არა თანაშთაჰყვეს[8] გულისსიტყუათა. და შემდგომად მრავლისა ჟამისა თჳთ ივლტოდა ბრძოლაჲ იგი, რამეთუ ვერარაჲ უძლო ყოფად მისა ძალითა ქრისტესითა და მოთმინებითა მისითა. და მეყსეულად განათლდა გული მისი და გონებაჲ განათლებითა საკჳრველითა.

11. სხუაჲ ვინმე ძმაჲ ბრძოლილ იქმნა სიძვითა და წარვიდა ღამითვე ბერისა ვისამე[9] და მიუთხრნა მას გულისსიტყუანი თჳსნი. ხოლო ბერმან განამჴნო იგი და ნუგეშინის-სცა მას. და სარგებელ ეყო ძმასა მას და წარვიდა

---

[1] მით BE. [2] მკჳდრს] მკჳდრ არს BC. [3] „მას და გუმოსიეს იგი“ ფრაზა აღდგენილია B ნუსხის მიხედვით. [4] კუალად + თქუა B. [5] იგინი] იგი E. [6] მსოფლიოთა] სოფლისათა E. [7] ბრძოლილ იქმნა] გუებრძოდის B. [8] თანაშთაჰყვეს] თანაშთამოჰყვეს C. [9] ვისამე] ვისსამე E.

სენაკად თჳსად. და აჰა ესერა, კუალადცა მოუჴდა[1] მას ბრძოლაჲ იგი და კუალადცა წარვიდა ბერისა მის. ესე მრავალგზის ყო, ხოლო ბერმან არაოდეს შეაწუხა იგი, არამედ აზრახებნ უმჯობესსა და ეტყჳნ: ნუ სულმოკლე იქმნები, ძმაო, ნუცა დაჰჴსნდები, არამედ უფროჲსღა რაოდენცა გებრძოდის მტერი, მოხჳდოდე და განაქიქებდი მას და თჳთ ივლტოდის იგი შენგან ძალითა ქრისტესითა. /138v/ და რამეთუ არარაჲ ესრეთ მოაუძლურებს მტერთა, ვითარ გამოცხადებაჲ საქმეთა მათთაჲ. და კუალად არარაჲ ახარებს მათ ესრეთ, ვითარ დაფარვაჲ მათმიერთა მათ გულისსიტყუათაჲ[2].

12. ბრძოლილ იქმნა ძმაჲ ფიცხლად გულისთქუმათაგან სიძვისათა, ხოლო იგი წინააღუდგებოდა და[3] რაოდენ ძალ-ედვა იღუწიდა და იმარხვიდა გულისსიტყუათა[4] თჳსთა არა თანაშთამოყოლად ბოროტთა მათ გულისსიტყუათა. მერმე შეეწყინა, აღდგა და მივიდა წმიდად ეკლესიად, და უჩუენა ცხადად ყოველთა განსაცდელი თჳსი. ხოლო მათ მისცეს კანონი და დაშურეს მისთჳს[5] ყოველნი შჳდეულსა ერთსა და ილოცვიდეს ღმრთისა მიმართ და დასცხრა ბრძოლაჲ იგი მიერითგან.

13. თქუა ვინმე ბერთაგანმან მეუდაბნოემან გულისსიტყუათა მათთჳს სიძვისათა: რაჲ უკუე მძინარესა გნებავსა ცხოვნებაჲ[6]?! წარვედ – შუერ, წარვედ – დაშუერ, წარვედ – ძიება-ყავ, რაჲთა ჰპოო განიღჳძე და ჰრეკდ კარსა და უეჭუელად განგიღონ[6] შენ. და რამეთუ არცა თუ რაჲ საქმეთაგან სოფლისათა წარემართების, თჳნიერ შრომისა და ღუწოლისა[7], არცა მუშაკობაჲ, არცა მორკინლობაჲ[8] და არცა მჴედრობაჲ. ესრეთვე და სულიერისათჳს გულისჴმა-ყავ და დეგ უკუე მტკიცედ და პირშეუქცეველად და ღმერთი ჰბრძოდის შენ წილ მტერთა შენთა.

14. სხუამან ვინმე ბერმან თქუა გულისსიტყუათა მათთჳს[9] სიძვისათა: იქმენ შენ მოგზაურ კეთილ, რომელნი-იგი წარჰვლიდენ რაჲ უბანთა ზედა და ურაკპარაკთა, დაღათუ მიეახლნენ კაპილონთა და /139/ [საგბო/ლთა ჴორცთასა][10], არა ყოველნივე შევლენ და ჭამენ, არამედ რაოდენნიმე თანაწარჰჴდებიან და დაღაცათუ[11] სული იგი ეცემის და ორთქლი გემოთაჲ მათ, მასცა გარემიაქცევენ. ესრეთვე უკუე შენ ყავ და სულმყრალობაჲ იგი ცოდვისაჲ გარემიაქციე შენგან. აღდეგ, ილოცე და თქუ: ძეო ღმრთისაო, შემწე მეყავ. ამას ყოველსავე ზედა გულისსიტყუასა იტყოდე და იქმოდე, რამეთუ არა თუ აღმომფხურელნი[12] ვართ ვნებათანი, არამედ მბრძოლნი ოდენ.

---

[1] მოუჴდა...სულმოკლე – C. [2] გულისსიტყუათაჲ] გულისსიტყუათა C. [3] და- E. [4] გულისსიტყუათა თჳსთა – B. [5] ~ ყოველნი მისთჳს BE. [6] ცხოვნებაჲ] ცხორებაჲ B. [7] განგიღონ] განგეღოს B. [8] ღუწოლისა] ღუაწლისა BC. [9] მორკინლობაჲ] მორკინალობაჲ E. [10] გულისსიტყუათა მათთჳს] გულისსიტყუათათჳს BE. [11] აღმომფხურელნი] დაღაცათუ] დაღათუ C. [12] ამომფხურელნი B.

15. ძმაჲ ვინმე წყენილ იქმნა სიძვისაგან. წარვიდა დიდისა ვისმე ბერისა, ევედრა მას და ჰრქუა: ყავ სიყუარული, მამაო, და ილოცე ჩემთჳს უფლისა მიმართ, რამეთუ ვიჭირვი მე სიძვისაგან. ხოლო ბერი ევედრა ღმერთსა მისთჳს. და იგი კუალად მოვიდა მეორედ და იგივე სიტყუაჲ ჰრქუა ბერსა. და ბერმან არა უდებ-ყო მისთჳს ვედრებაჲ[1] ღმრთისა მიმართ. მერმე ილოცა და თქუა: უფალო, გამომიცხადე მე ყოფაჲ ძმისაჲ მის, თუ ვითარ ზის, ანუ სადაჲთ არს საქმე იგი, რამეთუ გევედრე შენ მისთჳს და ვერ პოა[2] მან განსუენებაჲ. და გამოუცხადა მას ღმერთმან მისთჳს, და იხილა იგი მჯდომარე და სული იგი სიძვისაჲ მახლობელად მისა[3] და რამეთუ მდგომარე იყო ანგელოზი უფლისაჲ შემწედ მისა[4] მივლინებული და ჰრისხვიდა ძმასა მას ამისთჳს, რამეთუ არა დააგდო თავი თჳსი წინაშე ღმრთისა, არამედ ზის და იგემოვნებს ბოროტთა გულისსიტყუათა და მათ იწურთის და მათ იგონებს და მათდა შემსჭუალულ არს. და ცნა ბერმან, ვითარმედ უდებებისაგან არს ძმისა მის საქმე იგი და მიუთხრა მას, ვითარმედ: შენგან არს, ძმაო, მიზეზი, რამეთუ იწურთი[5] ბოროტთა და /139v/ მწიკუ/ლევანთა[6] გულისსიტყუათა. და ასწავა მას თუ ვითარ წინააღუდგებოდის უწესოთა გულისსიტყუათა და განიფრთხო ძმამან მან ლოცვისა მიერ და შჯულდებისა ბერისა და პოვა განსუენებაჲ.

16. ბრძოლილ იქმნა ოდესმე მოწაფე დიდისა ბერისაჲ სიძვითა, ხოლო ბერი ხედვიდა ღუაწლსა და ჭირსა მისსა და ჰრქუა მას: გნებავსა, რაჲთა ვევედრო ღმერთსა და აღგისუბუქოს ბრძოლაჲ ეგე შენგან? მიუგო მოწაფემან: დაღათუ ვშურები, მამაო, გარნა ვხედავ ნაყოფსაცა შრომისასა ჩემ შორის, უფროჲსღა ამისთჳს ევედრე ღმერთსა, რაჲთა მომცეს მოთმინებაჲ. ჰრქუა მას ბერმან მისმან: დღეს ვცან, რამეთუ წარმატებასა შინა ხარ და უფროჲს იქმენ ჩემსა.

17. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე, ვითარმედ შთავიდა[7] სკიტედ და ჰყუა ძჱ[8] ძუძუთაჲ[9] მის თანა, რომელმან ყოლად არა იცოდა თუ რაჲ არს დედაკაცი. ხოლო განმწჳსნა რაჲ იგი და იქმნა მამაკაც, უჩუენებდეს მას ეშმაკნი სახესა დედათასა. და მან მიუთხრა ესე მამასა თჳსსა. ხოლო მას უკჳრნ. აღვიდა ოდესმე მამაჲ მისი ეგჳპტედ და თანაწარიტანა[10] ყრმაჲ იგი. და ვითარცა იხილნა მან მუნ დედანი, ჰრქუა მამასა თჳსსა: ესენი არიან, მამაო, რომელნი მოვიდოდეს ჩემდა ღამით, სკიტეს, და მებრძოდეს მე. ჰრქუა მას მამამან მისმან: ესენი არიან მსოფლიონნი[11] მონაზონნი, შვილო, ხოლო სხუაჲ სახჱ[12] ჰმოსიეს ამათ და სხუაჲ მონაზონთა მათ უდაბნოჲსათა. დაუკჳრდა ბერსა თუ ვითარ უდაბნოს შინა უჩუენეს ეშმაკთა უცნებაჲ იგი დედათაჲ და მეყსეულად უკუმოიქცეს სენაკად მათდა.

---

[1] ~ვედრებაჲ მისთჳს BE. 2 პოა] პოვა E. 3 მისა] მისსა B. 4 მისა] მისსა B. 5 იწურთიდი C. 6 მწიკულევანთა] მწინკულევანთა E. 7 შთავიდა] განვიდა B. 8 ძჱ] ძე C. 9 ძუძუთაჲ] ჩჩჳლი B. 10 თანაწარიტანა] თანაწარიყვანა B. 11 მსოფლიონნი] მსოფლიოჲნნი B. 12 სახჱ] სახე BC.

18. ძმაჲ ვინმე მოღუაწე იყო სკიტეს და მოართუა მას ეშმაკმან ჴსენებაჲ დედაკაცისა[1] ვისმე ქმნულკეთილისაჲ და აჭირვებდა მას მითა /140/ ფიცხლად. ხოლო განგებითა ღმრთისაჲთა სხუაჲ ძმაჲ აღმოვიდა ეგჳპტით სკიტეს და ზრახვიდეს რაჲ ურთიერთარს, თქუა ძმამან მოსულმან: იგი ვინმე დედაკაცი, მის ვისიმე ცოლი მოკუდა, ხოლო იყო იგი, რომლისა მიმართ იბრძოლებოდა ძმაჲ იგი მოღუაწე. ესმა რაჲ ესე ძმასა მას, აღიღო ლევიტონი თჳსი, რომელ არს საბეჭური, გინათუ სამჴრე თჳსი, აღდგა ღამით და წარვიდა მუნ. განაღო საფლავი მისი და აღიღო წალისაგან და წუთხისა ჴორცთა მისთაჲსა სამჴრითა მით. და მოიქცა კუალად სენაკად თჳსად და დაიდებნ[2] სულმყრალობასა მას საძაგელსა წინაშე თჳსა[3] და ჰბრძავნ გულისსიტყუასა მას და ეტყჳნ: აჰა, მედგარო, გულისთქუმაჲ შენი, რომელსა ეძიებდ! აწ აღისრულე სურვილი[4] შენი და განძეღ მაგითა! და ესრეთ სულმყრალობითა მით ძნელითა სტანჯვიდა თავსა თჳსსა[5], ვიდრემდის დასცხრა ბრძოლაჲ იგი მისგან.

19. გამოვიდა ვინმე სოფლით და მოვიდა სკიტეს მონაზონებად. და ჰყვა მას ძჱ ძუძუთაჲ[6] მის თანა. და ვითარცა განმწჳსნა ყრმაჲ იგი და იქმნა ჭაბუკ, აღდგეს ბრძოლანი ფიცხელნი მის ზედა, ვინაჲცა ჰრქუა მამასა თჳსსა: მამაო, წარვალ მე[7] სოფლად, რამეთუ ვერ ძალ-მიც თავსდებაჲ ბრძოლათაჲ ამათ. ხოლო მამაჲ მისი ევედრებოდა მას თავსდებად და მოთმინებად. და ჭაბუკი იგი ეტყჳნ კუალადცა: მამაო, ვერ ძალ-მიც თავსდებად[8], განმიტევე[9], რაჲთა წარვიდე. ჰრქუა მას მამამან მისმან: მისმინე, შვილო, და მერჩდი ერთგზის ხოლო ესე. და წარიღე შენ თანა[10] ორმეოცი უღლეული პურთაჲ და ბაიაჲ[11] ორმეოცისა დღისაჲ და წარვედ უშინაგანესსა მას უდაბნოსა[12] და დაადგერ /140v/ მუნ ორმეოც დღე. და ნებაჲ უფლისაჲ[13] იყავნ ყოველსავე ზედა. ისმინა უკუე მცნებაჲ იგი[14] მამისა თჳსისაჲ და წარვიდა და შევიდა უდაბნოდ და დაადგრა მუნ, შურებოდა და იღუწიდა[15], თხზვიდა ბაიასა[16] ჴმელსა და ჭამდა პურსა ჴმელსა და დაეყუდა მუნ ოც დღე და ოც ღამე. და იხილა მანქანებაჲ იგი საეშმაკოჲ მომავალი მის ზედა. და გამოჩნდა წინაშე მისა[17] ვითარცა ქალი ჰინდოჲ, შავი და მყრალი, ვიდრეღა ვერცა თუ შემძლებელ იყო თავსდებად სულმყრალობასა მისსა, მისდევდა უკუე მას, განაძო იგი და ჰრქუა: ვითარ მყრალ ხარ შენ და შეურაცხ ფრიად. ხოლო ბილწმან მან[18] ჰრქუა: მე გულსა შინა კაცთასა ტკბილად ვჩან ფრიად, გარნა ლოცვისათჳს მამისა შენისა და მორჩილებისათჳს შენისა არა შემინდო ღმერთმან ცთუნებად შენდა, არამედ განგიცხადა შენ სიხენეშე ჩემი და

---

[1] დედაკაცისა] დედაკაცისაჲ B. [2] დაჲდებნ] დაჲდებნ A. [3] თჳსა] მისსა C. [4] სურვილი] სასურველი B. [5] თჳსა] მისსა C. 6 ძუძუთაჲ] ჩჩული E. [7] მე – B. [8] თავსდებად – B. [9] განმიტევე + მე C. [10] შენ თანა – C. [11] ბაიაი] ბაჲაი A. [12] მას უდაბნოსა] ადგილსა C. [13] უფლისაჲ] ღმრთისაჲ BE. [14] იგი – C. [15] იღუწიდა + და E. [16] ბაიასა] ბაჲასა A. [17] მის] მისსა BC. [18] მან – B.

სიმყრალჱ[1]. და აღდგა მასვე[2] ჟამსა შინა, ჰმადლობდა ღმერთსა და მოვიდა მამისა თჳსისა და ჰრქუა მას: არღარა მნებავს, მამაო, წარსვლაჲ სოფლად, რამეთუ ვიხილე საცთური იგი საეშმაკოჲ და სიმყრალეცა იგი ვიყნოსე მისი. გულსავსექმნილ[3] იყო უკუე მისთჳს მამაჲცა მისი და ჰრქუა მას: უკუეთუმცა აღგესრულნეს ორმეოცნი დღენი და დადგრომილ იყავ მუნ და სრულ გექმნა მცნებაჲ ჩემი, სხუაჲმცა გეხილვა ხილვაჲ ფრიად უაღრესი და უმჯობესი.

20. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე[4], ვითარმედ სოფლით გამოსრულ იყო და იბრძოლებოდა ცოლისა მიმართ თჳსისა და მიუთხრა ესე მამათა. ხოლო მათ იცოდეს ვითარმედ მუშაკი არს და უფროჲსსაცა იქმს მათ მიერ მიცემულისასა. ამისთჳს დასდებდეს მას ზედა თჳთოფერსა[5] კანონსა, ვიდრეღა[6] /141/ მოუძლურდესცა[7] ჴორცნი მისნი ესოდენ, ვიდრეღა ვერ ეძლო ზეაღდგომის. ხოლო განგებითა ღმრთისაჲთა მოვიდა ვინმე მამათაგანი უცხოჲ მოხილვად ბერთა სკიტელთა. და ვითარცა წარმოჰვლიდა სენაკსა მისსა, იხილა კარი[8] განღებულად, დაუკჳრდა და წარვლო, თუ ვითარ არავინ გამოვიდა მიერ[9] შემთხუევად მისა[10]. კუალად უკუე უკუმოიქცა და თქუა: ნუუკუე სნეულ არს ძმაჲ და ამისთჳს ვერ გამოვიდა შემთხუევად ჩემდა?! ჰრეკა კარსა და შევიდა შინა და პოვა ბერი იგი დიდსა შინა უძლურებასა და ჰრქუა მას: რაჲ გელმის შენ, მამაო? ხოლო მან იწყო და მიუთხრა მას[11] მისთჳს ყოველივე და ჰრქუა: მე სოფლით გამოსრული ვარ, პატიოსანო მამაო, და მბრძავს მე[12] მტერი [ცოლისა[13] მიმართ ჩემისა და] მიუთხარ მამათა საქმე იგი და დამიდვეს მე მრავალსახჱ[14] მოქალაქობაჲ და ვიქმოდე რაჲ მას, მე დავსნეულდი, ხოლო ბრძოლაჲ იგი აღორძინდა. ესმა რაჲ ესე ბერსა, შეწუხნა და ჰრქუა მას: წმიდათა უკუე მამათა ვითარცა შემძლებელთა კეთილად დაგდვეს შენ თჳთოსახჱ[15] მოქალაქობაჲ, გარნა უკუეთუ ისმინო სიმდაბლისა ჩემისაჲ, განყარენ იგინი ჟამისად შენგან და მიიღებდ საზრდელსა მცირედ[16] ჟამსა თჳსსა და ჰყოფდ მცირედსა მას შენსა ლოცვასა და მიუტევე უფალსა ზრუნვაჲ შენი, რამეთუ შრომითა შენითა[17] ვერ ძალ-გიც განთავისუფლებაჲ მაგის საქმისაგან. და რამეთუ ჴორცნი ჩუენნი ვითარცა სამოსელნი არიან, უკუეთუ იღუწიდე მათ, კეთილად ეგენ და გმსახურებდენ. უკუეთუ კულა უდებ ჰყვნე /141v/ [დალპენ[18] და წარჴდენ. ხოლო ბერმან ისმინა მისი და

[1] სიმყრალე B. [2] A ნუსხა დაზიანებულია და ტექსტი აღდგენილია B ნუსხის მიხედვით. [3] გულსავსექმნილ იყო უკუე] გულსავსე უკუე ქმნილ BCE. [4] ბერისა ვისთჳსმე] ბერისათჳს E. [5] თჳთოფერსა] თითოფერსა E. [6] ვიდრეღა + და B. [7] მოუძლურდესცა] მოუძლურდეს B. [8] კარი – B. [9] მიერ- B. [10] მისსა E. [11] მას – BE. [12] მე – B. [13] A ნუსხა დაზიანებულია, ფრაზა აღდგენილია B ნუსხის მიხედვით. [14] მრავალსახჱ] მრავალსახე BC. [15] თჳთოსახჱ] თითოსახე BCE. [16] მცირედ] მცირედსა B. [17] შრომითა შენითა] შრომისაგანითა C. [18] A ნუსხა დაზიანებულია, ტექსტი აღდგენილია B ნუსხის მიხედვით.

ყო] ეგრეთ, ვითარცა ამცნო და მცირეთა შინა[1] დღეთა ივლტოდა მისგან[2] ბრძოლაჲ იგი ბოროტი.

21. იყო ვინმე განშორებული[3], რომელი მკჳდრ იყო მთასა ზედა კერძოთა მათ ანტინოუსთა[4]. ესე წარემატებოდა შიშსა შინა ღმრთისასა და ყოველსავე ზედა სათნოებასა ესოდენ, ვიდრეღა მრავალთა სარგებელ ეყოფოდა სწავლაჲ და ქცევაჲ მისი, რომელი-იგი იყო განთქუმულ ფრიად მას ქუეყანასა. ამას რაჲ შინა იყო იგი და ესევითარსა მოქალაქობასა, აღიშურვა მტერმან, ვითარცა-იგი ყოლადვე ეშურების ყოველთავე მოღუაწეთა და შთაუგდო მას გულისსიტყუაჲ ესევითარი, რეცა თუ მიზეზითა უსრულესისა[5] მცნებისაჲთა არა გიღირსო შენ, რაჲთა სხუანი გმონებდენ და გმსახუბდენ, არამედ უფროჲსღა გიჴმს, რაჲთა შენ სხუათა ჰმონებდე და ჰმსახურებდე. და უკუეთუ ესე ვერ ძალ-გიც, ბარე თავსა შენსა თჳთ ჰმსახურე. წარვედ უკუე[6] აწ ქალაქად და თჳთ განყიდე სფირიდები შენი და იყიდე ყოველივე საჴმარი შენი და კუალად უკუემოიქეც ადგილადვე განშორებისა შენისა და ნუცა ერთსა ვის ყოლადვე[7] დაუმძიმებ. ესე განაზრახა მზაკუვარმან მან, რამეთუ შურდა დაყუდება იგი მისი მყუდროებით და სანატრელი იგი ღმრთისა მიმართ მოცალებაჲ და კუალად სულთა მათ მრავალთა მისა მიმავალთა სარგებელი, ვინაჲცა ყოვლითა ღონითა ისწრაფა ეშმაკმან მონადირებაჲ მისი. აღდგა უკუე იგი რეცა კეთილისა კერძოჲსათჳს, რამეთუ წრფელ იყო და გამოუცდელ მანქანებათა მათ მტერისათა მრავალსახეთა და ქალაქად შთავიდა. /142/ და ყოველთაგან საკჳრველი იგი და სახელოვანი[8] შორის დედათა და ურაკპარაკთა ზედა იქცეოდა და განთქუმული იგი განშორებული, ქალაქთა შინა და სოფელთა მავალად იხილვებოდა. ამას რაჲ და ესევითარსა დააჩჳა მრავალჟამ მოძღუარმან[9] უკეთურებისამან, მიემთხჳა დედაკაცსა[10] ვისმე, რომელსაცა თანა დაეცა, ვინაჲთგან გამოუცდელ იყო სივერაგეთა მტერისათა. ხოლო იქმნა ესრეთ დაცემაჲ მისი, რამეთუ გამოსლვასა მას მისსა ქალაქით და სენაკად თჳსად წარმართებასა, დაახუედრა[11] ეშმაკმან უდაბნოსა ადგილსა პირსა მდინარისასა მარტოჲ დედაკაცი, რომელსაცა თანა დაეცა. იწყლა უკუე იგი ძლიერად შემდგომად დაცემისა, რამეთუ მოეჴსენა, ვითარმედ სახარულ იქმნა მტერთა თჳსთა და სული იგი წმიდაჲ ღმრთისაჲ შეაწუხა და საკდემელ იქმნა რჩეულთა ანგელოზთა ღმრთისათა და დასი იგი წმიდაჲ წმიდათა მამათაჲ ბიწიან-ყო, რომელთაგანნი მრავლნი ქალაქთაცა შინა სძლევენ მტერსა, რომელთაგანსა ვერცა ერთსა ვის ემსგავსა. ამათ ესევითართა მოძღურებათა უმოძღურიდა ბელიარ, ძუელი იგი უსჯულოებითა, რომელი-იგი პირველ ცთომისა სხუებრთა ჰმოძღურიდა მოძღურებათა მათცა

---

[1] ~დღეთა შინა E. [2] აქ E ნუსხა წყდება. [3] განშორებული] დაყუდებული B. [4] ანტინოუსთა] ანტინოოსთა BC. [5] უსრულესისა] უსრულესითა B. [6] უკუე – B. [7] ყოლადვე- B. [8] სახელოვანი +იგი B. [9] მოძღუარმან +მან B. [10] ~ ვისმე დედაკაცსა C. [11] დაახუედრა + იგი C.

წარსაწყმედელთა[1] და ამათცა, რამეთუ მაშინ ჰმოძღურიდა, რაჲთა დასცეს და აწ, რაჲთა სასოებაჲ წარუკუეთოს. ესევითარნი არიან ღონენი და სივერაგენი მისნი ყოველნივე წარწყმედისათჳს ჩუენისა. მოართუა მას უკუე მედგარმან მწუხარებაჲ და სიბნელე და ბოროტი იგი სასოწარკუეთილებაჲ ესოდენ ფიცხელი, რომელ არა თუმცა[2] მოეყო ჴელი წყალობისაჲ მაღალსა მას, წამისყოფასა სრულიად სახარულადმცა /142v/ [ეშმაკთა[3] ბოროტთა შექმნილ იყო, რამეთუ მოართუა მას გულისსიტყუაჲ ესევითარი] ოდესვე მარადის და წარმწყმედელმან მან სულმან, რაჲთა[4] თავი თჳსი შთაიგდოს[5] მდინარესა მას და[6] რაჲთა ღელვათა მათ მდინარისათა მიიხუნენ ჴორცნი და სული მიითუალოს გეჰენიამან, რამეთუ ვაზირებაჲ[7] იგი უბადრუკისა იუდაჲსი უვაზირეს ამასცა მტერთა, არამედ არა უტევა უფსკრულმან მან ყოველთა წყალობათამან[8] ღმრთისამან სრულიად წარწყმედად დაბადებული თჳსი და ჴელი წყალობისაჲ აღუპყრა ჟამსა დაცემისა[9] და წარწყმედისასა, რამეთუ იგი რაჲ ამას იქმოდა და ამას იგონებდა და მდინარედ მიმართ თავისა შთასაგდებლად[10] მივიდოდა, მეყსეულად ესმა ჴმაჲ, რომელი ეტყოდა: რასა იქმ, ჱ უგუნურო, და ბოროტსა ზედა ბოროტსა დასძინებ და სრულად წარიწყმედ თავსა შენსა. უფროჲსღა[11] წარვედ სენაკადვე[12] შენდა და სტიროდე ცოდვათა შენთა და გულსმოდგინედ შეუვრდი ღმერთსა, რამეთუ მოწყალე არს და შემწყნარებელ, სულგრძელ და დიდად მოწყალე და მწყალობელ. ესმა რაჲ ჴმაჲ ესე დასულებულსა მას მტერისაგან, აღდგა მეყსეულად და განიფრთხო. წარვიდა სენაკადვე თჳსად, სადა-იგი განშორებულ იყო მთათა შინა და დაყო კარი სენაკისაჲ მის და თავი თჳსი მას შინა შეაწყუდია და ვითარცა მკუდარსა, ესრეთ სტიროდა სულსა თჳსსა წინაშე ღმრთისა[13]. ხოლო[14] ესევითართა ღუაწლთა[15] და შრომათა მისცა თავი თჳსი, ვიდრეღა განკფდეს და განილინეს ჴორცნი მისნი, გარნა გულსავსებაჲ შენდობისაჲ წუთღა ვერაჲ[16] მიიღო[17]. ხოლო უკუეთუ ვინ მივიდის მისა ძმათაგანი ვინმე სარგებელისათჳს სულისა და ჰრეკნ კარსა, მან ჰრქჳს შინაჲთ კერძო: შენდობა ყავ, ძმაო, რამეთუ ვერ განვაღებ, ამისთჳს /143/ რომელ[18] სიტყუაჲ მიმიცემიეს ღმრთისა და რაჲთა არა განვაღო ამას წელიწადსა კარი, არამედ ესრეთ ვსტიროდი თავსა ჩემსა და ცოდვათა ჩემთა. და ეტყჳნ: ლოცვა ყავთ ჩემთჳს წმიდანო მამანო, ლოცვა ყავთ! და რამეთუ ამისსა მეტსა ვერარას ეტყჳნ მისა მიმავალთა, რაჲთა არა დაჰბრკოლდენ

---

[1] წარსაწყმედელთა] წარმწყმედელთა C. [2] ~ თუმცა არა BC. [3] A ნუსხა დაზიანებულია, ტექსტი აღდგენილია B ნუსხის მიხედვით. 4 რაჲთა] რომელ B. [5] შთაიგდოს] შთაჲგდოს A. [6] აქედან E ნუსახა გრძელდება 69r. [7] ვაზირებაჲ] ვაზიარებაჲ B. [8] წყალობათამან] წყალობათა C. [9] ~ წარწყმედისა და დაცემისასა E. [10] შთასაგდებლად] შთასაგდებელად BCE. [11] უფროჲსღა] უფროჲსადღა B. [12] სენაკადვე] სენაკად B. [13] ღმრთისა] უფლისა B. [14] ხოლო] და E. [15] ღუაწლსა B. [16] ვერაჲ] არა B. [17] მიიღო] მოიღი B. [18] რომელ] რამეთუ C.

იგინი, ვინაჲთგან იყო იგი სახელგანთქუმულ დიდად[1] და წინაშე ყოველთა[2] პატიოსან და მონაზონ მაღალ და რჩეულ. დაყო უკუე ესევითარსა მას შინა მოღუაწებასა და გლოვასა და შევრდომასა ღმრთისასა სრული იგი წელიწადი, ვიდრემდის მოიწია ცხოველსმყოფელი იგი აღდგომაჲ ქრისტესი. ხოლო დღესასწაულსა მას წმიდისა აღვსებისასა, ღამესა მას განათლებულსა აღდგომისასა, მოიღო ბაზმაკი ახალი და მოჰმზადა იგი ყოვლითურთ აღსანთებელად მწუხრსავე და თჳთ დადგა ლოცვად და იტყოდა: [ყოვლად[3] მოწყალეო და მწყალობელო ღმერთო] , რომელსა წარმართთაცა ბარბაროზთაჲ გნებავს ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ, შენდა მოვივლტი, მე ცოდვილი, მაცხოვრისა სულთაჲსა, შემიწყალე მე არაღირსი ესე, რომელმან ფრიად განგამწარე შენ უფროჲს ყოველთა შეცოდებულთა და სახარულ ვექმენ მტერთა ჩემთა. და აჰა ესერა აწ, უფალო, მკუდარ ვარ მე[4] სულით და ჯორცით, ვინაჲთგან შევსცოდე ღმრთეებასა შენსა და მორჩილ ვექმენ მტერთა ჩემთა. არამედ[5] შენ, მეუფეო დიდებისაო, უსჯულოთაცა სწყალობ და განწირულთა[6] და ყოველთა კაცთა ამცნებ წყალობად მოყუსისა. აწ უკუე შეიწყალე სიმდებლჱ[7] ჩემი, ვინაჲთგან არარაჲ არს შეუძლებელ შენდა და რამეთუ ჯოჯოხეთად შთაბნეულ არს უბადრუკი სული ჩემი, ყავ ჩემ თანა წყალობაჲ, სახიერო, რამეთუ /143v/ ტკბ/ილ [ხარ[8] შექმნულთა შენთა ზედა და მოწყალე, რომელი-ეგე] ძუელთაცა მკუდართა აღადგინებ უკუანაჲსკნელ[9] დღესა მას აღდგომისასა[10]. აწ მომკუდარი ესე მე ცოდვითა აღმადგინე! შეისმინე, უფალო, ლოცვაჲ ცოდვილისაჲ, რამეთუ მოაკლდა სული ჩემი და განჰმეს ჰორცნი და ძუალნი ჩემნი, რომელნი მე შევაგინენ და ვერღარა[11] ძალ-მიც სიცოცხლედ, რამეთუ შემწუარ ვარ შიშითა და სურვილითა შენითა. და ვინაჲთგან ვიკადრე თხოვაჲ შენდობისაჲ[12] შეცოდებისა ამის ჩემისაჲ, ორკეცსა უსასოებასა მოუცავ მე. განმაცხოველე მე, უფალო, და განმამტკიცე შემუსრვილი ესე და დამიდევ იმედი წყალობისაჲ და სასოებაჲ ცხორებისაჲ და შენმიერითა მით ცეცხლითა ბრძანე აღნთებაჲ ბაზმაკისაჲ[13] ამის სადიდებელად ყოლად წმიდისა სახელისა შენისა, გამოსაჩინებელად უხუთა მათ და ხუავრიელთა[4] წყალობათა შენთა, განსამჴნობელად და ნუგეშინისსაცემელად ჩემ, მონისა შენისა ცოდვილისა. და რაჲთა წაღმართცა მაქუნდეს სასოებაჲ კეთილი ყოველთავე მათ დღეთა, რაოდენთაჲცა[15] ჰბრძანო ცხორებაჲ ჩემი სოფელსა ამას შინა დაცვისათჳს წმიდათა მცნებათა შენთაჲსა და რაჲთა არღარა ოდეს განვეშორო შიშსა შენსა, არამედ ძალისაებრ უნდოებისა ჩემისა უცონილად გმონო შენ ყოველთა დღეთა და ჟამთა ცხორებისა ჩემისათა. ესე

---

[1] დიდად] ფრიად C. [2] ~ ყოველთა წინაშე B. [3] ტექსტი აღდგენილია B ნუსხის მიხედვით. [4] მე – BE. [5] არამედ] აწ B. [6] განწირულთა – B. [7] სიმდაბლე BC] სიგლახაკე E. [8] ტექსტი აღდგენილია B ნუსხის მიხედვით. [9] უკუანაჲსკნელ] უკუანაისკნელსა B. [10] აქ E ნუსხა წყდება. [11] ვერღარა] ვეღარა B. [12] შენდობისა B. [13] ბაზმაკისაჲ] ბაზმაკისა B. [14] ხუავრიელთა – B; A ნუსხაში ჩამატებულია მხედრულით. [15] რაოდენთაცა B.

ლოცვაჲ ილოცა ღამესა მას წმიდისა აღდგომისასა ქუემდებარემან მრავლითა ცრემლითა და გულისკუნესითა და აღდგა ხილვად ბაზმაკისა მის, უკუეთუ აღენთო. და იხილა იგი, რამეთუ არღა[1] აღნთებულ იყო. კუალად დავარდა იგი პირსა ზედა თჳსსა, /144/ ევედ/რებოდა ღმერთსა და იტყოდა: უწყი უფალო, რომელ არა ვარ ღირს წყალობისა ამისთჳს, რამეთუ ჟამი წყალობისაჲ გჳრგჳნოსანყოფისათჳს ჩემისა, ჟამად ცოდვისად წარვაგე ჟამსა მას წყობისა და ბრძოლისასა. გარნა შენ უფალო, ნუ მომაგებ ჩემთაებრ უშჯულოებათა, რამეთუ აჰა ესერა, კუალადცა შეგივრდები, უფალო, და აღვიარებ სირცხჳლსა ჩემსა წინაშე ღმრთეებისა შენისა[2] და წინაშე ყოველთავე ანგელოზთა შენთა და სულებისა მის წმიდათაჲსა. და უკუეთუმცა არა დასაბრკოლებელ ვექმნებოდე ერსა შენსა, წინაშე კაცთაცა[3] ცხადადმცა აღვიარენ ბილწებანი ჩემნი. გარნა ჰრიდე, უფალო, შენთავე მრავალთა მოწყალებათა[4] და შემიწყალე, რაჲთა სხუათაცა უქადაგო სიმდიდრე კაცთმოყუარებათა შენთაჲ. უფალო, უფალო, სასოო ყოველთა მონათა შენთაო, აღმადგინე მე მწარედ დაცემული ესე. ესე ილოცა სამგზის [და[5] პოვა ბაზმაკი იგი, ვითარცა ლამპარი მგზებარე], რამეთუ შეისმინა უფალმან[6] ლოცვისა მისისაჲ. ვინაჲცა მოიღო მიერ სასოებაჲ კეთილი და განიხარა ფრიად სიხარულითა გულისაჲთა, დაუკჳრდა მადლთათჳს და მოწყალებათა ღმრთისათა და რამეთუ ისმინა ვედრებაჲ მისი უფალმან[7] და გულსავსე-ყო იგი სასწაულითა ამით[8]. ამისთჳსცა ლოცვათა მადლობისათა შესწირვიდა კუალადცა ღმრთისა კაცთმოყუარისა და იტყოდა, რამეთუ: მოხედენ, უფალო, ლოცვასა ცოდვილისასა და არა უღირს-იჩინე ჴმაჲ ვედრებისა ჩემისაჲ, არამედ შემიწყალე მე, დაცემული ესე, და აღმადგინე დიდებულითა ამით[9] ნიშითა და სასწაულითა. რაბამი მადლობაჲ ანუ ვითარი დიდებისმეტყუელებაჲ შევწირო შენდა, ყოველთა ღმრთისა და მეუფისა! ამას ესევითარსა შინა მადლობასა და აღსაარებასა განათია ყოლად ღამე იგი. და იყო იგი[10] მოხარულ უფლისა მიერ. /144v/ [ამისთჳსცა[11] საზრდელი ჰორციელი[12] დაჰვიწყდა, ხოლო ცეცხლი იგი ღმრთისამიერი ბაზმაკსა მას ზედა დაუვსებელად][13] დაჰმარხა ყოველთავე დღეთა ცხორებისა თჳსისათა, თჳნიერ ზეთსა ოდენ უგებნ და მოჰმზადებნ მას. და ესრეთ დაიმკჳდრა[14] მის თანა სულმან წმიდამან და იქმნა იგი უმეტესადღა განთქუმულ და პატიოსან წინაშე ყოველთასა და სხუათა მათ თანა ყოველთა სათნოებათა მოიგო[15] სიმდაბლეცა ფრიადი და მადლობაჲ ღმრთისაჲ და აღსაარებაჲ სახარულით წინაშე უფლისა ღმრთისა, შემოქმედისა თჳსისა. ხოლო ოდეს მიიცვალებოდა იგი ამიერ

[1] არღა – B. [2] შენისა – B. [3] კაცთაცა ცხადადმცა] კაცთამცა ცხადად B. [4] მრავალთა მოწყალებათა] მრავალმოწყალებათა C. [5] ტექსტი აღდგენილი B ნუსხის მიხედვით. [6] უფალმან] ღმერთმან BC. [7] უფალმან] ღმერთმან BC. [8] ამით] მით B. [9] ამით] მით BC. [10] იგი + ყოლად B. [11] აქედან E ნუსხა გრძელდება 60r-ზე (აკინძვის შეცდომა). [12] ჰორციელი + სრულიად C. [13] ტექსტი აღდგენილი B ნუსხის მიხედვით. [14] დაიმკჳდრა] დ აჲმკჳდრა A. [15] მოიგო] მოეგო E.

სოფლით, იხილა გამოცხადებაჲცა საღმრთოჲ, რომელი ახარებდა მას აღსლვად სასუფეველსა ზეცათასა ქრისტე[1] იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

22. კუალად სხუაჲ ვინმე ბერი მკჳდრ იყო უშინაგანესსა უდაბნოსა, ხოლო ესუა მას სოფელსა შინა დედაკაცი ნათესავი მისი, გინა მოყუასი, რომელსა მრავლით ჟამითგან გული უთქუმიდა ხილვად მისა და იკითხვიდა მისთჳს და იწულილვიდა, თუ სადამე მჯდომარე არს ბერი. ესმა უკუე მისთჳს, ვითარმედ უშინაგანესსა უდაბნოსა იყოფვის[2] იგი. აღდგა და მივიდა გზასა უდაბნოჲსასა და პოვნა მუნ მეაქლემენი, მოყუსად შევიდა მათ თანა უდაბნოსა მას. ხოლო იყო იგი ძღომილ[3] ეშმაკისაგან და ვითარცა მივიდა სენაკად ბერისა, იწყო გამოჩინებად[4] თავისა და დაჯერებად ბერისა, ვითარმედ: იგი ვინმე ვარო ნათესავი შენი, რომლისათჳსცა დაადგრა მას თანა. ხოლო დაყვნა რაჲ დღენი რავდენნიმე[5], ბრძოლილ იქმნა ბერი და დაეცა მის თანა. იყო უკუე სხუაჲ განშორებული ქუემო კერძო მისა[6] და აღავსის მან სარწყული წყლითა და ჟამსა ჭამისასა გარდაიქცის[7] იგი განგებითა ღმრთისაჲთა. ჰრქუა მაშინ[8] თავსა თჳსსა: /145/ აღვდგე და შევიდე უდაბნოდ და ვჰკითხო ბერსა, თუ რაჲსათჳს გარდაიქცევის სარწყული ჩემი. და აღდგა და მივიდოდა უდაბნოდ. ხოლო ვითარცა იქმნა მიმწუხრი[9], მივიდა და დაიძინა[10] ტაძარსა შინა საკერპოსა, რომელი იყო გზასა ზედა და ესმოდა ღამით ჴმობაჲ ეშმაკთაჲ, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ: ღამესა ამას დავეცით განშორებული იგი მეუდაბნოე სიძვითა. ესმა რაჲ ესე მუნ მწოლარესა მას ბერსა, შეწუხნა ფრიად და ვითარცა მოვიდა[11] ბერისა, პოვა იგი შეწუხებული ფრიად და ჰრქუა მას: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ აღვავსებ სარწყულსა ჩემსა და ოდეს ვჭამდე და მენებოს სუმის, გარდაიქცევის[12] იგი და დაიღურების[13]. ჰრქუა მას ბერმან: შენ მოსრულ ხარ კითხვად სარწყულისათჳს, თუ რაჲ ჰყო, რომელ გარდაიქცევის[14], გარნა მე რაჲ ვყო, რომელ ღამესა ამას დავეცი სიძვითა?! ხოლო მან ჰრქუა: და მეცა ვცან, მამაო, ეგე. და ბერმან მიუგო: ვითარ სცან? ხოლო მან ჰრქუა: მეძინა რაჲ ტაძარსა შინა, მესმა ეშმაკთაჲ, რამეთუ ზრახვიდეს შენთჳს. ჰრქუა მას ბერმან: აჰა ესერა, მე წარვალ სოფლად. ხოლო იგი ევედრებოდა მას და ეტყოდა: ნუ, მამაო, არამედ დაადგერ ადგილსა შენსა, ხოლო დედაკაცი განავლინე და რამეთუ არა ესოდენ[15] გაბრალობს[16] ამისთჳს ღმერთი[17], რამეთუ ესე შემთხუევაჲ იყო ეშმაკისაჲ. ხოლო ბერმან ისმინა მისი და დაადგრა მუნ და დაჰმატა ყოველსავე მოღუაწებასა მრავლითა ცრემლითა, ვიდრემდის მოვიდა იგი პირველსავე

---

[1] ქრისტე] ქრისტეს E. [2] იყოფვის] იყოფვოდა C. [3] ძღომითა C. [4] გამოჩინებად] გამოჩენად B. [5] რაოდენნიმე B; რაოდენნი C. [6] მისა] მისსა BE. [7] გარდაიქცის] გარდაჲქცის A. [8] მაშინ – E. [9] ~ მიმწუხრი იქმნა C. [10] დაიძინა] დაჲძინა A. [11] მოვიდა] მივიდა C. [12] გარდაიქცევის] გარდაჲქცევის A. [13] დაჲღურების A; დაიღურევის E. [14] გარდაიქცევის] გარდაჲქცევის A. [15] ესოდენ] ესე ოდენ E. [16] გაბრალობს] გაბრალებს BC. [17] ~ღმერთი ამისთჳს B.

წესსა. და გამოეცხადა ღმრთისა მიერ შენდობისათჳს მისისა და რიცხუსა მართალთასა შერთვისა.

23. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: უკუეთუ შევარდეს კაცი რასაცა გუარსა განსაცდელსა ცოდვისასა, რაჲ ყოს მათდა მიმართ, რომელნი /145v/ [დაჰბრკოლდებოდიან მისთჳს, მამაო? ხოლო ბერმან][1] მიუთხრა მას სახე ესევითარი: იყო ვინმე დიაკონი დიდად სახელოვანი ეგჳპტეს ზოგადცხორებულთა მონასტერსა შინა, ხოლო იყო სხუაჲ კაცი ვინმე მოქალაქე. ამას კაცსა სდევდა მთავარი. აღდგა იგი ყოვლითურთ სახლეულით[2] მისით და მონასტერსა მას მივიდა, სადა-იგი დიაკონი მკჳდრ იყო და მანქანებითა ეშმაკისაჲთა შეუბრკუმა დიაკონსა მას და დაეცა დედაკაცსა თანა და იქმნა სარცხჳნელ[3] ყოველთა. აღდგა უკუე და წარვიდა იგი ბერსა ვისმე თანა, მეგობარსა თჳსსა, და მიუთხრა მას საქმე იგი. ხოლო აქუნდა ბერსა სამალავი შინაკერძო სენაკისა თჳსისა. და ევედრა მას დიაკონი იგი და ჰრქუა: დამმარხე მე აქა ცოცხლივე, მამაო, და ნუვის უთხრობ საქმესა ჩემსა. შევიდა უკუე სიბნელესა მას შინა იგი[4] და შეინანა მას შინა ჭეშმარიტებით. და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა არა აღმოვიდა წყალი იგი მდინარისა მის დიდისაჲ, რომელ არს ნილოსი, მორწყვად ყოვლისა ეგჳპტისა. და იყვნეს ყოველნი ლოცვასა შინა და ლიტანიასა ამისთჳს, ვინაჲცა გამოეცხადა ერთსა ვისმე წმიდათაგანსა, ვითარმედ: უკუეთუ არა მოვიდეს იგი ვინმე დიაკონი, რომელი დამალულ არს[5] ვისმე თანა ბერისა[6], არა აღმოვალს წყალი ესე. ხოლო მათ ესმა რაჲ ესე, დაუკჳრდა და მოვიდეს და გამოიყვანეს დიაკონი იგი სამალავისა მისგან და აიძულეს[7] ლოცვად, ხოლო მან ილოცა უფლისა მიმართ და მეყსეულად აღმოვიდა წყალი იგი და მორწყო ეგჳპტე. და რომელნი-იგი პირველ[8] დაჰბრკოლდეს, უმეტესადღა აღეშენნეს სინანულსა ზედა მისსა და ადიდებდეს ღმერთსა.

24. /146/ ორნი ძმანი წარვიდეს ქალაქად, რაჲთა განყიდონ ჭურჭლები მათი. და ვითარცა განეშორნეს ურთიერთარს, ერთი იგი დაეცა სიძვითა. მივიდა ძმაჲ იგი და ეტყოდა: გუალე, ძმაო, წარვიდეთ სენაკად ჩუენდა. ხოლო მან ჰრქუა: მე არღარა მოვალ. და მან მიუგო: რად, ძმაო? ხოლო მან ჰრქუა: განშორებასა შენსა ჩემგან, დავეცი სიძვითა. და მან ინება შეძინებაჲ ძმისა თჳსისაჲ, მიუგო: ეგე ეგრეთვე მე შემემთხჳა, განგეშორე რაჲ. გარნა, გუალე, წარვიდეთ სენაკადვე[9] ჩუენდა და შევინანოთ ტკივილითა გულისაჲთა და ღმერთმან შემინდოს ჩუენ, რამეთუ მოწყალე არს. და მოვიდეს და უთხრეს ბერთა, რაჲ-იგი შეემთხჳა მათ. და მისცეს მათ ბერთა მცნებაჲ, რაჲთა შეინანონ. და ერთი იგი მეორისათჳს ინანდა, ვითარმცა

[1] ტექსტი აღდგენილი B ნუსხის მიხედვით. [2] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 70r-ზე აკინძვის შეცდომა. [3] სარცხჳნელ] სირცხჳლეულ C. [4] იგი + დიაკონი BC. [5] არს + მას B. [6] ~ ბერისა თანა BE. [7] აიძულეს] აჲძულეს A. [8] ~ დაჰბრკოლდეს პირველ C. [9] სენაკადვე] სენაკად E.

მასცა[1] ეცოდა. ამისთჳსცა[2] იხილა ღმერთმან შრომაჲ და სიყუარული მისი და მცირეთა დღეთა შემდგომად გამოუცხადა ერთსა[3] ვისმე ბერთაგანსა, ვითარმედ: ფრიადისათჳს სიყუარულისა ძმისა მის, რომელსა არა ეცოდა, შემინდობიეს მისდაცა[4], რომელმან-იგი ცოდა. აჰა ესერა, ესე არს დადებაჲ სულისაჲ ძმისათჳს თჳსისა.

25. მივიდა ოდესმე ძმაჲ ვინმე ბერისა ვისამე და ჰრქუა მას: ძმაჲ ჩემი დამჭსნის, მამაო, აქა და იქი მიმოსლვითა და შეწუხებულ ვარ მისთჳს ფრიად. ჰრქუა მას ბერმან: ვედრებით იტჳრთე, ძმაო, ძმაჲ იგი შენი და იხილოს ღმერთმან შრომაჲ და მოთმინებაჲ შენი და მოიყვანოს იგიცა წესსა ზედა. და რამეთუ არავინ მოიყვანების ადვილად სიფიცხლითა, არცა ეშმაკი ეშმაკსა განსდევნის, არამედ უფროჲსღა სიტკბოებითა[5] ჯერ არს /146v/ მოყვანებაჲ [ვისიცა] . და რამეთუ[6] მხოლოჲცა იგი თავადი ღმერთი ჩუენი სიტკბოებით და წყალობით მოიყვანებს კაცსა კეთილსა ზედა. და მიუთხრა მას თხრობაჲცა ესევითარი: ორნი ძმანი იყვნეს თებაიდას[7] და ერთი მათგანი ბრძოლილ იქმნა სიძვითა და ეტყოდა მეორესა მას: მე წარვალ, ძმაო, სოფლად. და მეორე იგი ტიროდა და ეტყოდა: არა განგიტევებ შენ, ძმაო, რაჲთამცა წარხუედ და წარსწყმიდე შრომაჲ და ქალწულებაჲ შენი. ხოლო იგი არა ერჩდა[8], არამედ ეტყოდა: არა დავდგები, არა თუ წარვიდე ანუ მოედ[9] ჩემ თანა, რაჲთა კუალად მოვიდე შენ თანა, ანუ განმიტევე მე[10] და წარვიდე და დავადგრე მიერითგან სოფელსა შინა. აღდგა ძმაჲ იგი და წარვიდა ბერისა ვისმე დიდისა და მიუთხრა მას ესე ყოველი. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ მის თანა და იხილოს ღმერთმან შრომაჲ შენი და არა უტეოს[11] მას დაცემად. და აღდგეს ორნივე იგი ზოგად და წარვიდეს სოფლად. და ვითარცა მიიწინეს დაბასა ერთსა, იხილა ღმერთმან შრომაჲ მეორისა მის ძმისაჲ და აღიღო ძმისა მისგან ბრძოლაჲ იგი. მოექცა ძმასა თჳსსა და ჰრქუა მას: გუალე, ძმაო, წარვიდეთ სენაკადვე ჩუენდა უდაბნოს. ესრეთ შეჰრაცხე, ვითარმცა ვცოდე, რაჲ შევიძინო[12] მისგან? და უკუმოიქცეს იგინი[13] უვნებელად სენაკადვე თჳსად.

26. ძმაჲ ვინმე ბრძოლილ იქმნა ეშმაკისაგან, წარვიდა ბერისა ვისამე და ჰრქუა: ისი რომელნიმე ძმანი ერთმანერთსა თანა არიან. ხოლო ბერმან ცნა, რამეთუ /147/ ეშმაკ/თაგან იბასრვის, წარავლინა და მოხადა მათ. და ვითარცა იქმნა მიმწუხრი ერთი ფსათიაჲ დაუგო ორთავე მათ ძმათა და ერთი საბურველი დაჰბურა ზედა ორთავე ზოგად და თქუა: ჭეშმარიტად წმიდა არიან შვილნი ღმერთისანი. მერმე ჰრქუა მოწაფესა თჳსსა: ძმაჲ ესე

---

1 მას E. 2 ამისთჳსცა] ამისთჳს C. 3 ~ ვისმე ერთსა E. 4 მისდაცა] მისდა E. 5 სიტკბოებით E. 6 რამეთუ +თჳთ B. 7 თებაიდას] თებაჲდას A. 8 აქ E ნუსხა წყდება. 9 მოედ] მოვედ C. 10 მე- B. 11 უტეოს] უტევა B. 12 შევიძინო] შევსძინო C. 13 იგინი] ორნივე C.

წარიყვანე და შეაგდე ერთსა სენაკსა მარტოჲ, რამეთუ მაგას თჳთ[1] თავსა შორის თჳსსა აქუს ვნებაჲ ცოდვისაჲ.

27. ძმამან ჰრქუა ბერსა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ მომაკუდინებენ ხენეშნი[2] გულისსიტყუანი? მიუგო ბერმან: დედასა ოდეს ენებოს ყრმისა მოწყუედაჲ ძუძუჲსაგან, მშხამსა მოიცხებს ძუძუსა ზედა. და მივალს ყრმაჲ ჩუეულებისაებრ წოვნად და ვითარცა იხილოს გემოჲ მშხამისაჲ, ივლტის სიმწარისა მისგან. ჰრქუა მას ძმამან: და რაჲ არს მშხამი იგი, რომლისაჲ მინა მოცხებაჲ? მიუგო ბერმან: ჴსენებაჲ არს სიკუდილისაჲ და სატანჯველთა[3] მათ საუკუნეთაჲ.

28. მანვე ძმამან ჰკითხა სხუასა ვისმე ბერსა მათვე გულისსიტყუათათჳს. ჰრქუა მას ბერმან: მე არა ოდეს ბრძოლილ ვარ ეგევითართა საქმეთაგან. და დაჰბრკოლდა[4] ძმაჲ იგი ამისთჳს და წარვიდა სხჳსა ბერისა და ჰრქუა მას[5]: მან ვინმე ბერმან ესე და ესე მითხრა და დავჰბრკოლდი მისთჳს, რაჲთა ზეშთა ბუნებისა თქუა. ჰრქუა მას ბერმან: არა ლიტონად გრქუა შენ ეგე[6] კაცმან მან ღმრთისამან, წარვედ უკუე და შეუვრდი მას, რაჲთა ძალიცა გითხრას მაგის სიტყჳსაჲ. აღდგა ძმაჲ იგი წარვიდა ბერისა მის, /147v/ მოუდრიკნა მას მუჴლნი და ჰრქუა: შემინდვე მე, მამაო, რამეთუ უგუნურად ვყავ და არა გკითხე ძალი სიტყჳსაჲ მის. აწ უკუე გევედრები, განმიმარტე მე[7], თუ ვითარ არაოდეს ბრძოლილ იქმენ სიძვისაგან. ჰრქუა მას ბერმან: რაჲთგან ვიქმენ მონაზონ, არაოდეს[8] განვძეღ პურითა, არცა წყლითა[9], არცა ძილითა და ურვაჲ ამათი მაწყინებდა ფრიად. ამისთჳს არღარა მომეცალა[10] გრძნობად ბრძოლათა მათ, რომელ სთქუ. ესმა რაჲ ესე ძმასა მას, სარგებელ ეყო ფრიად, გამოვიდა მიერ და ჰმადლობდა ღმერთსა.

29. ჰკითხა ვისმე მამათაგანსა ძმამან ვინმე და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ გულისსიტყუაჲ ჩემი ყოლადვე სიძვათა შინა არს და არა მიტევებს მე განსუენებად ერთსაცა ჟამსა და შეწუხებულ არს ამისთჳს ფრიად[11] სული ჩემი. ჰრქუა მას ბერმან: ოდეს ეშმაკთა დასთესონ ბოროტი გულისსიტყუაჲ შენ თანა, შენ ნუ ეუბნები მათ, რამეთუ მოგონებაჲ მათი არს ყოლადვე და[12] არა სცონის, გარნა შეწყნარებაჲ შენ ზედა არს, რამეთუ მათ იძულებად ვერ[13] ძალ-უც. იცია[14], თუ რაჲ ყვეს მადიანელთა? შეჰკაზმნეს[15] ასულნი მათნი და დააყენნეს, გარნა არცა ერთი ვინ მათგანი აიძულეს[16], არამედ რომელთა ენება, იგინი დაეცნეს მათ თანა, ხოლო სხუანი იგი არა[17] თუ ოდენ[18] არა დაეცნეს, არამედ განრისხნესცა მათთჳს და თქუმასა თანა და შინებასა

---

[1] თჳთ – C. [2] ხენეშნი] ბოროტნი B. [3] სატანჯველთა] სატანჯველთაჲ B. [4] დაჰბრკოლდა] დაბრკოლდა BC. [5] მას – B. [6] ეგე – C. [7] მე – B. [8] არაოდეს] არა B. [9] არცა წყლითა – C. [10] მომეცალა] მომეცა B. [11] ფრიად – B. [12] და – B. [13] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება. [14] იცი B. [15] შეჰკაზმნეს] შეამკვნეს B. 16 აიძულეს] აჲძულეს A. 17 არა + ხოლო BE. 18 ოდენ – BE.

მახჳლიცა იჴადეს მათ ზედა და მკვლელობაჲ იჴუმიეს[1]. ესრეთვე სახედ არს გულისსიტყუათაცა ზედა. მიუგო ძმამან ბერსა /148/ და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ უძლურ ვარ და მძლევს მე[2] ვნებაჲ იგი. ჰრქუა მას ბერმან: დაუმზირე მათ და ოდეს პირველად ჴელ-ჰყოფდენ შენ თანა სიტყუად, შენ ნუ ეზრახები მათ, ნუცა მიუგებ პასუხსა, არამედ აღდეგ და ილოცე, მოიდრიკენ მუჴლნი და თქუ: ძეო ღმრთისაო, შემიწყალე[3] მე. ჰრქუა მას ძმამან: აჰა ესერა, ვიწურთი, მამაო, ფსალმუნთა და არა არს ლმობიერებაჲ გულსა ჩემსა ამისთჳს, რამეთუ არა ვიცი ძალი მათ სიტყუათაჲ. ჰრქუა მას ბერმან: შენ ოდენ იწურთიდი, ძმაო, რამეთუ მესმა მამისა პიმენისგან და სხუათაცა წმიდათა მამათაგან, რომელ თქუეს სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: მსახრვალმან არა იცის სიტყუათა მათ ძალი, რომელთა იტყჳს, არამედ მჴეცმან მან[4] იცის, რომელსა ესმის და დაემორჩილების მსახრვალსა მას და დაუმდაბლდების. ესრეთვე უკუე ჩუენცა, ძმაო, დაღაცათუ არა ვიცით სიტყუათა მათ ძალი, რომელთა ვიტყჳთ, არამედ ეშმაკთა იციან, რომელთაცა ესმის და ივლტიან.

30. იტყოდეს წმიდანი ბერნი, ვითარმედ: გულისსიტყუაჲ სიძვისაჲ ქარტაჲ არს დასაწერელი. და უკუეთუ მოვიდეს დამწერელი იგი ბოროტთა გულისსიტყუათაჲ და არა შევიწყნაროთ ბოროტი იგი საწერელი, უქმ იქმნა[5] ღონისძიებაჲ მისი. და რამეთუ ქარტაჲ ბოროტსა წერილსა და კეთილსა სწორად მიიღებს, გარნა ჯერ არს ჩუენდა კეთილთა დაწერად და არა ბოროტთა. ხოლო უჴმს ყოვლისა პირველად ჯეროვანი[6] განკითხვაჲ გულისსიტყუასა ამას[7], ვითარმედ: მორჩილთა ცოდვისათა არა არს სასოებაჲ ცხორებისაჲ, ხოლო მორჩილთათჳს კეთილისათა და ურჩთა ბოროტისათა, სასუფეველი განმზადებულ არს ზეცათაჲ.

31. /148v/ ორნი ძმანი ბრძოლილ იქმნეს[8] სიძვითა. წარვიდეს და შეირთეს ცოლები. ხოლო უკანაჲსკნელ თქუეს ურთიერთარს: რაჲ შევიძინეთ, რამეთუ დავაგდეთ სახჱ[9] იგი ანგელოზებრი[10] და მოვედით ჩუენ არაწმიდებასა ამას და ამისა შემდგომად გუეგულების დაშჯაჲ ცეცხლსა მას შინა საუკუნესა. მოედ[11] და განვიდეთ კუალადცა უდაბნოდვე და შევინაოთ ცოდვაჲ ესე. აღდგეს უკუე იგინი და გამოვიდეს უდაბნოდ და აღუვარეს წმიდათა მამათა ცთომილებაჲ თჳსი და ევედრნეს მათ, რაჲთა მისცენ კანონი. ხოლო მათ შეაწყუდინეს[12] იგინი თჳს-თჳსად[13] წელიწადსა ერთსა და ორთავე სწორად მისცემდეს პურსა და წყალსა და რამეთუ იყვნესცა იგი[14] მსგავს ურთიერთარს. ხოლო ოდეს აღესრულა ჟამი სინანულისა მათისაჲ, გამოვიდეს და იხილნეს იგინი მამათა, რამეთუ ერთი იგი დაყჳთლებულ[15] იყო და შეჭმუნვილ ფრიად, ხოლო მეორე იგი დაშუენებულ იყო და ნათელ პირითა. დაუკჳრდა

[1] იჴუმიეს +და B. [2] მე – B. [3] შემიწყალე] შემეწიე B. [4] მან – B. [5] იქმნეს B. [6] ჯეროვანი] ჯეროანი A. [7] მას B. [8] იქმნეს] იქმნნეს B. [9] სახჱ] სახე BCE. [10] ანგელოზებრი] ანგელოზებრივი E. [11] მოედ] მოვედ C. [12] შეაწყუდინეს] შეაწყუდივნეს C. [13] თჳსად-თჳსად E. [14] იგი] იგინი B. [15] დაყჳთლებულ] დაყჳთვებულ A; დაყჳთებულ B.

ფრიად და[1] რამეთუ სწორებით მიიღებდეს საზრდელსა, ამისთჳსცა ჰკითხეს შეჭმუნვებულსა მას და ჰრქუეს: რასა იგონებდი გულისსიტყუათა შენთა[2] სენაკსა შინა შენსა? ხოლო მან თქუა: ბოროტსა მას ვიწურთიდი, რომელი ვყავ და სატანჯველთა მათ ვიგონებდი საუკუნეთა, რომელთაცა მიცემად ვარ და შიშისაგან შეჰკმეს კორცნი ჩემნი ძუალთა ჩემთა. ჰკითხეს მასცა, რომელი იგი დაშუენებულ იყო: და შენ რასა იგონებდი სენაკსა შინა? ხოლო მან თქუა: ღმერთსა ვჰმადლობდი, რამეთუ მიჴსნა მე არაწმიდებისაგან სოფლისა და სატანჯველთა /149v/ მათ/განცა საუკუნეთა და მომიყვანა მე ანგელოზებრსა ამას მოქალაქობასა და მოვიჴსენებდ ღმერთსა და ვიხარებდ. ხოლო წმიდათა მათ ბერთა თქუეს, ვითარმედ: სინანული ორთაჲვე[3] ამათ სწორ არს წინაშე ღმრთისა[4].

32. ბერი ვინმე იყო სკიტეს და შევარდა იგი სნეულებასა დიდსა და ჰმსახურებდეს მას ძმანი. ხოლო ბერი ხედვიდა, რამეთუ იჭირვიან ძმანი იგი[5] და თქუა: წარვიდე ეგჳპტეს[6], რაჲთა არა საწყინოდ გაუჴდე ძმათა. ჰრქუა მას მამამან მოსე: ნუ წარხუალ, ბერო[7], უკუეთუ არა, სიძვითა დაცემად ხარ. ხოლო იგი[8] შეწუხნა და ჰრქუა[9]: მომკუდარ არიან სრულებით კორცნი ჩემნი და შენ ამას მეტყჳა? აღდგა ბერი და წარვიდა ეგჳპტედ. ესმა კაცთა მისლვაჲ[10] მისი და ფრიად მოართუმიდეს მას, რომელსა[11] თანა და ქალწულიცა ვინმე ერთი მოვიდა სარწმუნოებით მსახურებად მისა. შემდგომად უკუე მცირედისა ჟამისა განმრთელდა ბერი უძლურებისაგან თჳსისა, აღდგა[12] ქალწულსა მას ზედა და განრხწნა იგი და მუცლად-იღო ქალმან მან მისგან, ხოლო კაცნი ჰკითხვიდეს დედაკაცსა მას: ვინაჲ შეგემთხჳა ეგე? და[13] მან მიუგის[14]: ბერისაგან. არა ჰრწმენა უკუე კაცთა ქალისაჲ მის თუ ბერმან ყო, ხოლო ბერმან ჰრქჳს: მე ვყავ ეგე, გარნა დაჰმარხეთ ყრმაჲ ეგე შობადი. და ვითარცა[15] მოსწყჳდეს ყრმაჲ იგი ძუძუსა, იყო დღესასწაული დიდი სკიტეს. აღიქუა ბერმან ყრმაჲ იგი მჴართა ზედა თჳსთა და წარვიდა მუნ და წინაშე ყოვლისა მის ერისა შევიდა ეკლესიად. ხოლო მათ იხილეს რაჲ ბერი ესრეთ[16], ტიროდეს ფრიად. /149v/ ჰრქუა მათ ბერმან: იხილეთ, ძმანო, ყრმაჲ ესე[17], რამეთუ ძჱ[18] არს ესე[19] ურჩებისაჲ და ეკრძალენით თავთა თქუენთა, რამეთუ მე სიბერესა ზედა ჩემსა ესე ვყავ და ლოცვა ყავთ ჩემთჳს ყოველთა. და წარვიდა სენაკად თჳსად, რაჲთა ყოს კუალადცა დაწყებაჲ პირველისავე ცხორებისა თჳსისაჲ.

33. /150/ ძმაჲ ვინმე განიცადა სიძვისა ეშმაკისაგან ძლიერად, რამეთუ ოთხნი ეშმაკნი შეიცვალნეს სახედ შუენიერთა დედათა და ჰბრძოდეს მას

---

[1] და – C. [2] შენთა + შინა E. [3] ორთაჲვე] ორთავე E. [4] ღმრთისა] უფლისა C. [5] იგი – BE. [6] ეგჳპტეს] ეგჳპტედ B. [7] ბერო] შვილო B. [8] იგი] ბერი C. [9] ჰრქუა] თქუა E. [10] მისლვაჲ] მოსლვაჲ B. [11] რომელსა] რომელთა CE. [12] აღდგა + იგი BE. [13] და] ხოლო B. [14] მიუგის] მიუგო B. [15] ვითარ C. [16] ესრეთ – BE. [17] ესე – B. [18] ძჱ] ძე BCE. [19] ესე – E.

ფიცხლად ორმეოც დღე და აიძულებდეს[1] შეგინებად მათ თანა შეყოფითა ბილწებისაჲთა. და იგი მჴნედ და ახოვნად წინააღუდგებოდა მათ და არა იძლია მათგან. ხოლო ღმერთმან წყალობააურაცხელმან და ნიჭმრავალმან[2] იხილა რაჲ კეთილი იგი მოღუაწებაჲ მისი, მიანიჭა მას, რაჲთა არღარა აქუნდეს ყოლადვე აღძრვაჲ ჴორცთა განჴურვებისაჲ.

34. განშორებული ვინმე იყო ქუემოთა მათ კერძოთა ეგჳპტისათა და იყო იგი ფრიად სახელოვან, რამეთუ უდაბნოსა მას შინა ერთსა სენაკსა იწროსა მკჳდრ იყო. და აჰა ესერა, ბირებულ იქმნა ეშმაკთაგან მრავალღონეთა დედაკაცი ვინმე განვრდომილი და არაწმიდაჲ. და ვითარცა ესმა მისთჳს, ჰრქუა ჭაბუკთა: რაჲ მომცეთ მე, უკუეთუ დავსცე განშორებული თქუენი? ხოლო მათ აღუთქუეს საჩინოსა რასმე მიცემად მისა. და გამოვიდა იგი მიმწუხრი და მივიდა ღამით სენაკად ბერისა, რეცა ვითარცა შეცთომილი. და ვითარცა დაჰრეკა კარსა, გამოვიდა ბერი და იხილა რაჲ იგი, აღშფოთნა და ჰრქუა[3]: ვითარ მოხუედ შენ აქა? ხოლო იგი ტიროდა სიცრუვით და ჰრქუა: შეცთომილი მოვედ მე აქა. შეეწყალა იგი ბერსა და შეიყვანა ეზოსა სახლისა თჳსისასა და შევიდა სენაკად თჳსა და დაჰჴშა კარი. და აჰა ესერა, ბორგნეულმან მან იწყო ჴმობად და[4] ტირილად და ეტყოდა: ბერო, მჴეცნი შემჭამენ მე აქა. ხოლო კუალადცა აღშფოთნა იგი /150v/ და სასჯელთაგან ღმრთისათა შეეშინა და თქუა: ვინაჲ მოვიდა ჩემდა განსაცდელი ესე? და განაღო[5] კარი და შეიყვანა იგი შინა. ხოლო იწყო ეშმაკმან სროლად მისა ბრძოლითა მისა მიმართ. ცნა ბერმან მანქანებაჲ ეშმაკისაჲ და თქუა: ესე ღონენი არიან მტერისანი და ძისა მის ბნელისანი, ხოლო ძჱ ღმრთისაჲ ნათელ არს. აღდგა უკუე და აღაგზნა ლამპარი აღგზნებულმან[6] მან გულისთქუმითა და იტყოდა: რომელნი ამას ესევითარსა იქმოდინ[7], სატანჯველად მივლენ იგი საუკუნოდ, გამოიცადეღა აქაჲთვე თავი შენი, თუ ძალ-გიც-ძია დათმენაჲ ცეცხლსა მას საუკუნესა. და მიუპყრნა თითნი თჳსნი ლამპარსა მას ზედა ცეცხლისასა და დაწუნა იგინი და ვერ აგრძნა შემწუველობაჲ იგი გარდამატებისაგან ცეცხლსა მას გულისთქუმისასა და აღდუღებისა ჴორცთაჲსა. ჰყოფდა უკუე იგი ამას ვიდრე განთიადადმდე, ვიდრემდის დაიწუნა[8] სრულებით ყოველნივე თითნი თჳსნი. ხოლო უბადრუკი იგი დედაკაცი ხედვიდა რაჲ ამას, რომელსა ჰყოფდა კაცი იგი ღმრთისაჲ, ზარგანჴდილ იქმნა შიშისაგან და მოკუდა. ხოლო იქმნა რაჲ განთიად, მივიდეს ჭაბუკნი იგი განშორებულსა მას თანა და ეტყოდეს: მოვიდაა აქა გუშინ მიმწუხრი დედაკაცი? ჰრქუა მათ ბერმან: ჰჱ, მოვიდა. აჰა ესერა შინა სძინავს. და ვითარცა შევიდეს იგინი, პოვეს დედაკაცი იგი რამეთუ

---

[1] აიძულებდეს] აჲძულებდეს A. [2] ნიჭმრავალმან – B. [3] ჰრქუა] თქუა E. [4] აქ E ნუსხა წყდება. [5] განუღოს C. [6] აღგზნებულმან] აგზებულმან B. [7] იქმოდინ] იქმოდიან C. [8] დაიწუნა] დაჲწუნა A.

მომკუდარ იყო და ჰრქუეს ბერსა: ესე მომკუდარ არს, მამაო! მაშინ უჩუენნა მათ ჴელნი თჳსნი და თქუა: იხილეთ რაჲ ესე მიყო ასულმან მან ეშმაკისამან, რამეთუ წარმიწყმიდნა თითნი ჩემნი. და მიუთხრა მათ ყოველი იგი ყოფილი. მერმე თქუა: წერილ არს არა მიგებად ბოროტი ბოროტისა წილ, /151/ და ყო ლოცვა და აღადგინა იგი და წარვიდა დედაკაცი იგი და მიერითგან[1] მოიგო მანცა ცხორებაჲ რჩეული. და ესრეთ ზოგად ყოველნი ჰმადლობდეს ღმერთსა.

35. ბრძოლილ იქმნა ოდესმე ძმაჲ ვინმე ეშმაკისაგან სიძვისა და აღდგა და წარვიდა სოფლად. და ვითარცა განჰვლიდა დაბასა ერთსა ეგჳპტისასა, იხილა ასული კერპთა მღდელისაჲ და შეუყუარდა იგი ფრიად. ამისთჳსცა ჰრქუა მამასა მისსა მოცემად მისა ასული მისი ცოლად. მიუგო ქურუმმან და ჰრქუა მას: ვერ ძალ-მიც მე[2] მიცემად შენდა ასული ჩემი, არა თუ პირველ ვჰკითხო ღმერთსა ჩემსა. და წარვიდა ეშმაკისა მიმართ და ჰრქუა მას: აჰა ესერა, მონაზონი ვინმე მოსრულ არს და მთხოვს ასულსა ჩემსა ცოლად, მივსცე იგი მას, ანუ არა? მიუგო ეშმაკმან და ჰრქუა მას: უკუეთუ უვარ-ჰყოფს ღმერთსა თჳსსა და ნათლისღებასა თჳსსა და აღთქუმასა მას და სახესა მონაზონებისა თჳსისასა[3], პირველად ჰკითხე მას ყოველივე ესე. გამოვიდა ტაძრით მღდელი იგი კერპთაჲ და ჰრქუა მას: მონაზონო, უვარ-ჰყოფა ღმერთსა შენსა და ნათლისღებასა შენსა და აღთქუმასა მას მონაზონებისასა[4]? ხოლო მან აღუთქუა ყოფად ამას ყოველსა. და მეყსეულად იხილა მონაზონმან ტრედი სპეტაკი, რამეთუ აღმოფრინდა პირით მისით და აღფრინდა ზეცად. და წარვიდა ქურუმი იგი ეშმაკისა თჳსისა და ჰრქუა: აჰა ესერა, აღუთქუამს ყოფად სამივე ესე. მაშინ ჰრქუა ეშმაკმან: ნუ მისცემ მას ასულსა შენსა ცოლად, რამეთუ ღმერთი მისი არა განეშორა[5] მისგან, არამედ ჯერეთცა შეეწევის მას. /151v/ მოვიდა მღდელი იგი კერპთაჲ და ჰრქუა მას: ვერ ძალ-მიც ასულსა ჩემსა მოცემად შენდა, რამეთუ ღმერთი შენი შეგეწევის შენ და არა განგეშორა შენგან. ესე რაჲ ესმა ძმასა მას, თქუა თავსა შორის თჳსსა: უკუეთუ ნანდჳლ[6] ესოდენი სახიერებაჲ აჩუენა ჩემ ზედა ღმერთმან, ხოლო მე უბადრუკმან უარ-ვყავ[7] იგი და წმიდაჲ ნათლისღებაჲ და აღთქუმაჲ და სახჱ მონაზონებისაჲ და მან სახიერმან ესოდენ გარდაჰმატნა ჩემ ზედა წარწყმედულსა სიმდიდრენი უხუთა მათ წყალობათა თჳსთანი[8], რომელ ჯერეთცა შემეწევის და ჯერეთცა მწყალობს, დიდებაჲ ყოველთავე მათ უფსკრულთა მოწყალებათა მისთასა! და ვითარცა მოეგო თავად თჳსად და განიფრთხო ვნებისა მისგან, აღდგა მეყსეულად და განვიდა უდაბნოდ და მივიდა დიდისა ვისმე ბერისა და მიუთხრა მას საქმე იგი. ჰრქუა მას ბერმან:

---

[1] მიერითგან – B. [2] მე – C. [3] თჳსისასა] თჳსსა B. [4] აღთქუმასა მას მონაზონებისასა] აღთქუმათა მათ მონაზონებისათა B; აღთქუმასა მონაზონებისასა C. [5] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება. [6] ნანდჳლ] ნანდჳლვე B. [7] უარ-ვყავ] უვარ-ვყავ BC. [8] თჳსთანი] მისთანი BC.

დაჯედ, ძმაო ჩემო, ქუაბსა ამას შინა და იმარხე ორ-ორით სამი შჯდეული და მე ვევედრო შენთჯს ღმერთსა. და მოიჭირვა ბერმან დიდად ძმისა მისთჯს, ევედრებოდა ღმერთსა და ეტყოდა: გევედრები შენ, უფალო, მომმადლე მე სული ესე და შეიწირე სინანული მისი! და შეისმინა მისი ღმერთმან და ვითარცა აღესრულა შჯდეული ერთი, მივიდა ბერი ძმისა მის და ჰრქუა: იხილე რაჲა, ძმაო[1], შჯდეულსა ამას? მიუგო ძმამან: ჰᲩ მამაო, ვიხილე ტრედი იგი ზე სიმაღლესა შინა ცათასა, რამეთუ ფრინვიდა დამართებით თავსა ჩემსა. ჰრქუა მას ბერმან: განეკრძალე, შვილო, და შეუვრდი ღმერთსა მჯურვალედ. და ვითარცა აღესრულა მეორეცა შჯდეული, მივიდა ბერი ძმისა, ჰკითხვიდა მას და ეტყოდა: ჰნახე რაჲა? მიუგო ძმამან: ვნახე /152/ მამაო, რამეთუ ფრინვიდა ტრედი იგი ზედა თავსა ჩემსა. ჰრქუა მას ბერმან: მოახლებულ არს, შვილო, წყალობაჲ ღმრთისაჲ, იღუაწე კეთილად და გულსმოდგინედ ილოცევდი. ხოლო აღესრულა რაჲ[2] მესამეცა იგი შჯდეული, მივიდა ბერი კუალადცა ძმისა მის კითხვად მისა[3], უკუეთუ რაჲ მეტი იხილა. და მან ჰრქუა: ვიხილე მამაო, ტრედი იგი, რამეთუ მოვიდა და დადგა ზედა[4] თავსა ჩემსა. და განვიმარტე[5] ჴელი ჩემი შეპყრობად მისა, ხოლო იგი აღფრინდა[6] და შეფრინდა პირსა შინა ჩემსა. და ჰმადლობდა ღმერთსა ბერი და ჰრქუა ძმასა მას: აჰა ესერა, შეიწირა ღმერთმან სინანული შენი, ამიერითგან ეკრძალე თავსა შენსა. მიუგო ძმამან და ჰრქუა ბერსა: აჰა ესერა, მამაო, ვიყო მე შენ თანა ამიერითგან, ვიდრემდის მივკუდე.

36. ბერი ვინმე თიბელი[7] გჯთხრობდა ამას, ვითარმედ: მე ძე ვიყავ კერპთა მღდელისაჲ და ვიდრე-იგი ყრმაღა ვიყავ, ვხედევდ მამასა ჩემსა, რამეთუ შევალნ და უზორავნ. დღესა უკუე ერთსა შეუდეგ უკუანა ფარულად მამასა ჩემსა და ვიხილე სამაელ ყოველსა თანა მჯედრობასა მისსა, რამეთუ დაუდგნეს საყდარნი და დაჯდა მას ზედა და სპაჲ იგი ყოველი მდგომარე იყო წინაშე მისსა. და აჰა ესერა, ერთი მთავართაგანი მისთაჲ[8] წარმოდგა წინაშე მისსა და თაყუანის-სცა მას[9] და მან ჰრქუა მას: ვინაჲ მოხუალ შენ? მიუგო ეშმაკმან: მას რომელსამე ქუეყანასა ვიყავ და აღვადგინე ბრძოლაჲ ფიცხელი და მრავალი სისხლი დავსთხიე და მოვედ თხრობად შენდა. ჰრქუა მას ბელიარ: რაოდენსა ჟამსა ჰყავ ესე? /152v/ და მან თქუა: ოცდაათ დღე. და მეყსეულად უბრძანა გუემაჲ მისი და ჰრქუა: ესოდენთა დღეთა ესე ოდენ[10] ჰყავა? და აჰა ესერა, წარმოდგა სხუაჲ და თაყუანის-სცა მას. და მან ჰრქუა: და შენ ვინაჲ მოხუალ? მიუგო ეშმაკმან: ზღუათა შინა ვიყავ და აღვადგინენ ქარნი და აღვძრენ[11] ღელვანი სასტიკნი და დავანთქენ ნავნი მრავალნი და სულნი ურიცხუნი წარვწყმიდენ მას შინა და მოვედ თხრობად

---

[1] ძმაო – B. [2] რაჲ – B. [3] კითხვად მისა – C. [4] ~ თავსა ზედაC. [5] განვიმარტე] განვჲმარტე A. [6] აღფრინდა] აფრინდა E. [7] თიბელი] თებელი BCE. [8] მთავართაგანი მისთაჲ] მთავართა მისთაგანი BE. [9] მას – B. [10] ესე ოდენ] ესოდენ C. [11] აღვძრენ] აღძვრენ C.

შენდა. ჰრქუა მას სამაელ: რაოდენსა ჟამსა ჰყავ ესე? მიუგო ეშმაკმან: ოც დღე. და უბრძანა მისიცა გუემაჲ და ჰრქუა: რაჲსათჳს ესოდენთა დღეთა ესე ხოლო მარტოდ ჰყავ? და აჰა ესერა, მესამე სხუაჲ წარმოდგა და თაყუანის-სცა მას და მან ჰრქუა მას: და შენ ვინაჲ მოხუალ? მიუგო ეშმაკმან: მას რომელსამე ქალაქსა ქორწილი იყო და აღვადგინე ურთიერთარს ბრძოლაჲ დიდი და სიძე-სძალნი დავჰოცენ და სულნი მრავალნი მოვსრენ. ჰრქუა მას ძუელმან მან სიბოროტითა: რაოდენთა დღეთა ჰყავ ესე? მიუგო: ათთა. და უბრძანა მისიცა გუემაჲ დაყოვნებისათჳს. შემდგომად ამათსა წარმოდგა ვინმე სხუაჲ და თაყუანი-სცა მას და მან ჰრქუა: და შენცა ვინაჲ მოხუალ? ხოლო მან მიუგო: უდაბნოს ვიყავ და აჰა ესერა, მაქუს ორმეოც წელიწადი რაჲთგან ვებრძოდე ერთსა მონაზონსა და ღამესა ამას დავეც იგი სიძვითა. და ვითარცა ესმა ესე მთავარსა მას ბნელისასა, მეყსეულად აღდგა და ამბორს-უყო მას და აღიჰვადა გჳრგჳნი იგი რომელი თჳთ /153/ ედგა და დაარქუა მას თავსა და დასუა იგი საყდართა ზედა თჳსთა და ჰრქუა, რამეთუ შეუძლე შენ ყოფად ამას საქმესა. და იტყოდა ბერი იგი: ესე ყოველი ვიხილე რაჲ მე, ვთქუო[1], ვითარმედ ნანდჳლვე ჭეშმარიტად დიდად სამე პატიოსან არს მწყობრი იგი მონაზონთაჲ და ჯერჩინებითა ღმრთისაჲთა, რომელმან ინება ცხორებაჲ ჩემი, გამოვედ მეცა უდაბნოსა ამას და ვიქმენ მონაზონ.

37. ჰკითხა ბერსა ძმამან და ჰრქუა: უკუეთუ შევარდეს მონაზონი განსაცდელსა და მერმე ინანდეს ვითარცა გარექცეული[2] კეთილთაგან და შურებოდის ვიდრემდის აღდგეს და სხუაჲ კუალად ახლად მოვიდეს სოფლით და იწყოს კეთილად სლვად, რომელი ორთა ამათგან[3] უმალე წარემართოს? მიუგო ბერმან: მონაზონი, რომელი განსაცდელსა ცოდვისასა შევარდეს[4], ვითარცა სახლი არს დაცემული. და უკუეთუ ყოლად განიფრთხოს გონებითა თჳსითა და ინებოს აღშენებაჲ სახლისა მის დაცემულისაჲ, მრავალსა ნივთსა ჰპოებს საფუძველსა: ქვასა, ძელსა და შემძლებელ არს მალიად[5] აღმართებად უმეტეს მისა[6], რომელსა-იგი ყოლადვე არა[7] აღმოუთხრიეს, არცა დაუც საძირკუელი[8], არცა რაჲ ყოლად სხუაჲ ნივთი აქუს, არამედ სასოებაჲ ოდენ ჴმელი, რაჲთა ვითარ სრულ-ყოს. ესრეთვე[9] უკუე, უკუეთუ შეუბრკუმეს ვისმე[10] წესისაგან მონაზონთაჲსა, მრავალსა საჴმარსა ჰპოებს, ინებოს თუ: წურთასა, ლოცვასა, გალობასა, ფსალმუნებასა, ჴელთსაქმარსა, რომელი-ესე არს საფუძველი და სხუასა ყოველსავე რას ჩუეულებასა კეთილისასა /153v/. ხოლო ახლად მოსრული იგი, ვიდრემდის ამას ყოველსა დაისწავებდეს[11], შენ მოხუალ პირველსავე ზედა წესსა და საზომსა[12] შენსა.

---

[1] ვთქუო] ვთქუ E. [2] გარექცეული] მიქცეული C. [3] მათგან C; ამათგანი E. [4] შთა-ვარდეს C. [5] მალიად] მაღლად B. [6] მისა] მისსა C. [7] არა] არარაჲ B. [8] საძირკუელი] საფუძველი B. [9] ესრეთვე] ესრეთ E. [10] ~ ვისმე შეუბრკუმეს B. [11] დაჲსწავებდეს A. [12] საზღვარსა C.

38. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, გულისთქუმათათჳს სიძვისათა? მიუგო ბერმან: ესევითართა გულისსიტყუათა ეკრძალე ყოვლითა ძალითა შენითა, რამეთუ ამათ გულისსიტყუათაგან იშვების სასოწარკუეთილებაჲ და განწირვაჲ ცხორებისაჲ[1], რომელნი იძლინენ ცოდვისაგან, რამეთუ ვითარცა სახედ ნავი, რომელი ჰბრძოდის სამნაკეცთა მათ ღელვატეხილობათა ზღჳსათა, უკუეთუ მცირე იგი სანდალი დაჰვარდეს, დაღაცათუ ჭირსა შევარდების, გარნა[2] ჯერეთცა ვალსვე. ესრეთვე კუალად, უკუეთუ განტყდეს რაჲმე ჭურჭელთაგან ნავისათა კატარტი, გინა ძელი იგი აფრისაჲ, ესრეთცა ჯერეთ ვალსვე ნავი თუ მრთელად იყოს და შინამყოფნი იგი არა განიწირვენ[3] ცხორებასა მათსა. ესრეთვე მონაზონი უკუეთუ უდებ იყოს სხუათა რომელთამე ზედა ვნებათა, ჯერეთცა სასოებით ვალს და მოელის სინანულისა მიერ განმართებასა[4] მისსა, ხოლო უკუეთუ ერთგზის ვნებითა მით სიძვისაჲთა დაინთქას[5], ადვილად შთავარდების მიერ უფსკრულსა მას შინა სასოწარკუეთილებისასა, ვითარცა ნავი სიღრმეთა შინა ზღჳსათა დანთქმული.

39. ბერთაგანი ვინმე ერთი გამოვიდა მოხილვად ძმათა. ხოლო იყო იგი ქალწულ, რომელმან ყოლადვე[6] არა იცოდა, თუ რაჲ არს სიძვაჲ. და ვითარცა აღიხილნა თუალნი ზე, იხილა სიმრავლჱ ეშმაკთა /154/ შავთაჲ, რომელნი გარემოადგეს მას ვითარცა ჰინდონი და აღსძრვიდეს მას ვნებისა მიმართ ცოდვისა. ხოლო იგი იტყოდა, ვითარმედ: ასოჲ ესე ათქს კაცსა ვითარცა სახედ სოლინარი და ვითარცა-იგი არს ძუძუჲ სძისათჳს, ესრეთვე არს ესე წყლისათჳს, რომელი გამოუშუებს წყალსა[7] გუამისაგან კაცისა. და აჰა ესერა, ჩამოვარდა[8] ზედაჲთ სახლისაგან სართულისა ქვაჲ და ჴმაჲ რაჲმე გამოსცა სიტკბოებისაჲ, რომელიცა დაუჰამდა ბერსა და მცირედ მიაყვანა გონებაჲ და აღდგა და მივიდა ერთისა ვისმე ბერთაგანისა და მიუთხრა მას საქმე იგი. ხოლო მან ჰრქუა: შენდობა ყავ ჩემთჳს, არა უწყი მე, თუ რაჲ არს საქმე ეგე. და წარმგზავნა[9] იგი მამისა პიმენისა. ხოლო მამამან პიმენ ჰრქუა მას: იხილენა ეშმაკნი? და რომელი-იგი ვითარცა ქვაჲ გარდამოვარდა სართულით, იგიცა ეშმაკივე არს და ჴმაჲ იგი, რომელი გესმა რეცა საწადელი, იგი გულისთქუმაჲ არს ცოდვისაჲ. ეკრძალე უკუე თავსა შენსა და ევედრებოდე ღმერთსა მჴურვალედ, რაჲთა შემწე გეყოს და გარეწარგჴადოს ბრძოლაჲ ეგე. და ასწავა მას თუ ვითარ უჴმს ბრძოლაჲ ეშმაკთა მიმართ და ყო ლოცვაჲ და განუტევა იგი. და[10] წარვიდა სენაკად თჳსად და იღუწიდა ყოველსავე კეთილსა ვედრებასა შინა ღმრთისასა და მისცა მას ღმერთმან ესოდენი წარმატებულებაჲ, ვიდრეღა უკუეთუ მოიწიის[11] მიცვალებაჲ ძმისაჲ,

---

[1] აქ E ნუსხა წყდება. [2] გარნა] განაღა B. [3] განწირვენ BC. [4] განმართლებასაB. [5] დაინთქას] დაჲნთქასA. [6] ყოლადვე] ყოლა დB. [7] წყალსა – B. [8] ჩამოვარდა] წამო ვარდა B. [9] წარმგზა ვნა] წარგზავნა B. [10] და – B. 11 მოიწიოს C.

გულსავსებით უწყინ მან თუ სადა მივალნ სული მისი – კეთილსა ადგილსა გინა ბოროტსა.

40. თქუა ვინმე მამათაგანმან, ვითარმედ მრავალნი[1] არიან და მრავალსახენი[2] ვნებანი იგი სიძვისანი, ვითარცა[3] და მოციქულიცა იტყჳს, /154v/ ვითარმედ: „სიძვაჲ გინა არაწმიდებაჲ, ანუ თუ ანგაჰრებაჲ, ნუცაღა სახელ-ედებინ თქუენ შორის, ვითარცა შუენის წმიდათა“[4]. და რამეთუ სიძვაჲ არს, რომელი ქმნეს[5] კაცმან ჴორცთა თანა სხჳსათა ცოდვაჲ, ხოლო არაწმიდებაჲ არს განხილვაჲ ჴორცთაჲ ჴელითა და სიცილიცა უწესოჲ და კადნიერებაჲ, იგივე არს. და რამეთუ მრავალგზის ვიტყოდით რასმე[6] და ვიგემოვნებდით ცოდვასა, ანუ თუ ვითარცა საწადელსა, ანუ თუ ვითარცა საბრალობელსა ესრეთ ორკერძოვე აღვასრულებდით არაწმიდებასა და რამეთუ მრავალთაგან სახეთა შეკრბების ვნებაჲ იგი და ბრძოლად[7] წარემართების. მრავალგზის ჴმამან გუავნის, მრავალგზის სიტყუამან, მრავალგზის სახემან. და არნ ოდესმე ყნოსამანცა შესამოსელთა სულისამან. ესრეთ მრავალთავ არს და მრავალფერ სენი იგი ცოდვისა და ვნებისაჲ, რომლისაგან უჴმს მონაზონსა დაცვაჲ და კრძალვაჲ ყოველსა შინა და ყოველსა ჟამსა.

41. კუალად თქუა ბერმან: მრავალგზის იქმნების ესეცა, რომელ ღმრთისამიერისა მისთჳს ცხორებისა და მოქალაქობისა სათნოჲსა ვეზრახებოდით ოდესმე პირთა საკრძალავთა, ხოლო გული შინაგან და გონებაჲ ცოდვასა აღასრულებნ, ვინაჲ იქმნის მრავალგზის ჴორცთაცა შეგინებაჲ.

42. ბერმან თქუა: უცხო არს ყოლადვე მონაზონთაგან კრებულსა შორის განთჳსებული რაფიკობაჲ, რამეთუ მათცა და სხუათა მრავალთა ავნებს ვნებულებისა მიერ და განკითხვისა.

43. თქუა ვინმე ბერთაგანმან გულისთქუმათა მათთჳს, რომელნი იქმნებიან გულსა შინა კაცისასა და არა აღესრულებიან იგინი[8] საქმით სახჱ[9] ესევითარი /155/ ვითარმედ, ვითარცა სახედ უკუეთუ იხილოს ვინმე ვენაჴი მსხმოჲ აღსავსე ყურძნითა და უთქუას გულმან, რაჲთამცა ჭამა ყურძნისა მისგან, ხოლო კუალად შეეშინოს შესლვად და მოპარვად, ნუუკუე შეპყრობილ იქმნეს და მოკუდეს, ესრეთვე არს ესეცა საქმე. და რამეთუ უკუეთუ გარეგნით ღობისა მის და ვენაჴისა იპოოს, არა მოკუდეს ამისთჳს[10], რამეთუ არცა[11] შესრულ არს, არცა უჭამია. არამედ ოდენ გულმან უთქუა, ამისთჳს არა მოკუდების, გარნა ოდენ გუემასა მიიღებს ამისთჳს, რამეთუ ყოლად გულმან უთქუა.

---

[1] მრავალ C. [2] მრავალსახჱნი A. [3] ვითარცა + იგი C. [4] შდრ .ეფ. 5,3. [5] ქმნეს] ქმნის B. [6] რასმე] რასამე B. [7] აქდან E ნუსხა ისევ გრძელდება. [8] იგინი – B. [9] სახჱ] სახე BC. 10 ამისთჳს – C. 11 არცა] არა B.

44. ძმამან ჰკითხა ბერსა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ ვიბრძოლები მე სიძვითა? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ კეთილ არს, რაჲსათჳს ევლტი მას და[1] უკუეთუ ბოროტ არს, რადღა[2] ეძიებ მას.

45. იტყოდეს ბერთაგანისა ვისთჳსმე, ვითარმედ ვიდოდა ოდესმე გზასა და სლვასა მას შინა თჳსსა[3] პოვა კუალი დედაკაცისა ფერჴთა და დაბურა იგი და თქუა: ნუსადა წარმოვჰლიდეს[4] ძმაჲ და ბრძოლაჲ მიიღოს ამიერ.

46. ჰკითხა ბერსა ძმამან და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ მაჭირვებს[5] მუცელი ჩემი და აღვავსო რაჲ იგი, აღაბორგებს ჴორცთა ჩემთა. ჰრქუა მას ბერმან: შვილო, ჴორცნი საჴედარნი არიან სულისანი და ჯერ არს მათი წესსა ზედა და ალაგსა დაჭირვაჲ[6], რაჲთა არცა მეტად განსუქებითა პარეხსა მას შთაგუთხევდეს ცოდვისასა, არცა მეტად მოუძლურებითა უქმ იყოს და უჴმარ ყოვლისავეთჳს სამუშაოჲსა კეთილისა. ვინაჲცა სასწორსა ზედა ვდგათ, შვილო, ყოველნი კაცნი ვიდრე დღედმდე სიკუდილისა. ვილოცოთ უკუე, ვილოცოთ, რაჲთა ღმერთი შემწე გუექმნეს ყოველსა შინა, რომლისაჲ არს დიდებაჲ[7] უკუნისამდე, ამინ!

47. /155v/ ძმაჲ ვინმე ვიდოდა გზასა და მიემთხჳა დედაკაცსა მოგზაურსა მასვე გზასა და ვიდოდეს ორნივე იგი[8] ზოგად. ხოლო იძლია შინაკერძო გონებაჲ მისი სიძვითა დედაკაცსა მას თანა. შეუძნდა მას ესე ფრიად, წარვიდა და უთხრა მამათა და ჰრქუა მათ: რაჲ ვყო, წმიდანო მამანო, რამეთუ არა მიიღებს ნუგეშინისცემასა გული ჩემი, რაჲთგან მივაყვანე გონებაჲ ბრძოლასა მას მტერისასა და ვითარცა სრულად საქმით მექმნა ცოდვაჲ, ესრეთ ვარი მე. ჰრქუეს მას მამათა[9]: არა არს ეგე განსრულებული ცოდვაჲ, არამედ განცდად მოვიდა მტერი, ხოლო ღმერთმან დაგიცვა შენ და არა გიტევა სრულად დაცემად. გარნა ძმაჲ იგი ესრეთცა არავე ერჩდა მათ, არამედ უზომოჲსაგან[10] მწუხარებისა ქუე მივარდა. მერმე მიართუეს მას სახე ესევითარი და თხრობაჲ: ორნი ძმანი წარივლინნეს სოფლად მონასტრისაგან[11] ზოგადცხორებულთაჲსა. და ვითარცა ვიდოდეს ორნივე იგი ზოგად და[12] მიიწინეს დაბასა რასმე, ჰბრძოლა ეშმაკმან სიძვისამან უხუცესსა მას ხუთგზის[13], რაჲთამცა ცოდა. ხოლო იგი წინააღუდგებოდა და ყოველს მას ჟამსა ბრძოლისასა ილოცავნ. და ვითარცა უკუმოიქცეს სულიერისა მის მამისა და წინამძღურისა[14] მათისა, იყო პირი ძმისაჲ[15] მის შეჭმუნვებულ ფრიად, მოუდრიკნა მუჴლნი და[16] ჰრქუა მას: ლოცვა ყავ ჩემთჳს, მამაო, რამეთუ დავეცი სიძვითა. და მიუთხრა მას თუ ვითარ იბრძოლა გონებაჲ მისი. ხოლო იყო ბერი მხილველ სულითა და იხილნა თავსა

---

[1] და – C. [2] რად C. [3] თჳსსა – C. [4] წარმოვჰლიდეს] წარმოვჰლიდენ B. [5] მაჭირვებს + მე E. [6] დაჭირვაჲ] დამჭირვაჲ BC. [7] დიდებაჲ + უკუნითი BE. [8] იგი – E. [9] მამათა] ძმათა C. [10] უზომოჲსაგან] უზომოჲსა მისგან C. [11] მონასტრისაგან] მონასტრისგან C. [12] და – B. [13] ხუთგზის – BE. [14] ~ წინამძღურისა და მამისა BE . [15] ძმისაჲ – C. [16] და – C.

ზედა მისსა ხუთნი გჳრგჳნნი. და ჰრქუა მას: მჴნე იქმენ, შვილო, რამეთუ ვითარცა მოხუედ, ვიხილენ შენ ზედა ხუთნი გჳრგჳნნი და რამეთუ არა იძლიე, არამედ უფროჲსღა სძლე /156/ ძა/ლითა ქრისტესითა, ვინაჲთგან არა აღასრულე საქმით ცოდვაჲ. და რამეთუ ნანდჳლვე დიდი ღუაწლი არს, ოდეს პოოს[1] კაცმან მოცალებაჲ ცოდვისაჲ და არა ქმნეს, არამედ წინააღუდგეს, ჭეშმარიტად დიდი მადლი აქუს და დიდი სასყიდელი. და რამეთუ მის ჟამისა იგი ბრძოლაჲ უძნელეს არს და უსასტიკეს და ფრიად ძნელ არს მაშინ განრომაჲ სივერაგეთაგან და საბრჴეთა მტერისა მის[2] ბოროტისათა. ანუ ვითარ ჰგონებ შენ ნეტარისა იოსებისთჳს, ცუდად დახუდაა და იბედივად საქმე იგი? არა, ნუ იყოფინ! არამედ ვითარცა სახილველსა შინა იქმნა და საასპარეზოსა წყობაჲ[3] იგი, რამეთუ ერთკერძო მჯდომარე იყო მეუფჱ იგი დიდებისაჲ ღმერთი და წინაშე მდგომარე იყვნეს ყოველნი ანგელოზნი მისნი და ხედვიდეს ღუაწლსა მას და წყობასა მოღუაწისასა. კუალად ერთკერძო მდგომარე იყო მონაჲ იგი განდგომილი, ბელიარ, გუნდითურთ მისით და უმეტესად აღაგზნებდა და განაძჳნებდა ბორგნეულსა მას დედაკაცსა ბრძოლად მართლისა მის და წმიდისა. ხოლო ოდეს სძლო მოღუაწემან მან, მაშინ ყოველთა ანგელოზთა ღმრთისათა ქებაჲ შეასხეს დამბადებელსა ღმერთსა ჴმითა მაღლითა და საწადელითა და იტყოდეს: დიდებაჲ შენდა ღმერთო, რამეთუ სძლო ძლევაჲ უცხოჲ და საკჳრველი კეთილმან მან და რჩეულმან მოღუაწემან. კეთილ არს უკუე, ძმაო, ყოლადვე არა მოგონებად ბოროტისა, ხოლო უკუეთუ არა დასცხრების[4] მტერი იგი და მბრძოლი ჩუენი, მერმე კეთილ არს წინააღდგომაჲ და არა დაცემაჲ.

48. განშორებული ვინმე იყო ქალწული, რომელი კნინღა და ყოლადვე არა იცნობდა დედაკაცსა. /156v/ ამას აწყინებდა ეშმაკი სიძვისაჲ ფიცხლად, რამეთუ განაჴურვის იგი და უყუარნ ვინმე, ხოლო თუ ვინ უყუარნ, არა უწყინ. მერმე ღონე-ყვეს ეშმაკთა და უჩუენეს უცნებით კაცი, დედაკაცსა ზედა მდებარე ცოდვისათჳს, გარნა იხილა ღმერთმან მოწყალებითა თჳსთა უმანკოებაჲ იგი ბერისაჲ და გულარძნილებაჲ[5] ეშმაკისაჲ[6] და აღუსუბუქა მას ბრძოლაჲ იგი და თავისუფალი მისგან ჰმადლობდა[7] ღმერთსა.

49. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე დიდისა, ვითარმედ მივიდა მონასტერსა ერთსა კრებულთასა და იხილა მუნ[8] ყრმაჲ და არღარა[9] ინება დადგომაჲ ადგილსა მას, რაჲთამცა დაიძინა[10] მუნ. ჰრქუეს მას ძმათა, რომელნი იყვნეს მის თანა: რაჲ, მამაო, და შენცა გეშინისვეა? მიუგო ბერმან: ჰრიდეთ, შვილნო, არა მეშინის, გარნა რაჲ არს სარგებელი ბრძოლისა უჴმრისაჲ.

---

[1] პოოს] პოვოს E. [2] მის – C. [3] წყობაჲ იგი] წყობასა შინა CE. [4] დასცხრების] დასცხრეს C. [5] გულარძნილებაჲ +იგი BE. [6] ეშმაკისაჲ] ეშმაკთაჲ B. [7] ჰმადლობდა] ადიდებდა B. [8] მუნ- B. [9] არღარა] არა B. [10] დაიძინა] დაჲძინა A.

50. იტყოდეს ბერნი, ვითარმედ წარვიდა ოდესმე ეშმაკი და ჰრეკა კარსა კრებულთასა და გამოვიდა მიერ ყრმაჲ, რაჲთა მისცეს პასუხი. იხილა რაჲ ეშმაკმან ყრმაჲ იგი, თქუა: უკუეთუ ყოლად შენ აქა ხარ, მე არღარად საჴმარ ვარ.

51. თქუეს წმიდათა მამათა: არა გამოიყვანებს ღმერთი ყრმათა უდაბნოდ, არამედ ეშმაკი, რაჲთა დასცნეს და დაამჴუნეს, რომელთა ენებოს ღმრთისმსახურებით ცხორებაჲ.

52. წიაღვლო ოდესმე ნავმან და მიიმართა[1] მთად მონაზონთა. და განვიდა ნავისა მისგან დედაკაცი და დაჯდა ბორცუსა ზედა. მივიდა ძმაჲ ვინმე ვსებად წყლისა და ვითარცა იხილა იგი, მივიდა და განუცხადა ხუცესსა ეკლესიისასა და ჰრქუა: აჰა ესერა, მამაო, მდინარისპირსა[2] ქედსა ზედა ზის დედაკაცი, რომელი-ესე /157/ არაოდეს ქმნილ არს აქა. ესმა რაჲ ესე მღდელსა მას და ბერსა, აღიღო არგანი, გამოვიდა, რბიოდა და ჴმობდა: ძმანო, შეგუეწიენით, ძმანო, შეგუეწიენით[3], რამეთუ ავაზაკნი მოვიდეს აქა. და ვითარცა იხილეს იგი, აღიღეს ყოველთა ჯოხები, გამოვიდეს და რბიოდეს მის თანავე[4] და ჴმობდეს და მიიმართეს[5] ნავად. ხოლო მენავეთა მათ შეეშინა ფრიად და ვითარცა აგრძნეს[6] მიმართებაჲ მათი, ზეპყრობით[7] აღიტაცეს დედაკაცი იგი და შეივლტოდეს ნავად. ხოლო ბერთა საბელი შეუკუეთეს ნავსა და უტევეს წარღებად ღელვათაგან.

53. ქალწული ვინმე ღმრთისმსახური მკჳდრობდა დედისა თანა თჳსისა ერთსა შინა ქალაქსა. ამისა მახლობელად მკჳდრობდა[8] მჴედარი ვინმე მედგარი. დღესა ერთსა წარვიდა სამე გზასა დედაჲ მისი და ვითარცა პოვა ჟამი მჴედარმან, რომელი-იგი ადრითგან იმსტოვრობდა[9], შეხლდნა მეყსეულად, აღდგა ქალწულსა მას ზედა და განხრწნა იგი. და ვითარცა გამოვიდა მზაკუარი იგი მიერ, განიძარცუა ქალწულებისა იგი სამოსელი თჳსი, უფროჲსღა განიბძარა, დაჯდა ჭილსა ერთსა ზედა და ტიროდა მწარედ. და ვითარცა მოვიდა დედაჲ მისი, მიუთხრა მას საქმე იგი. დაადგრა უკუე მრავალთა დღეთა ტირილსა მას ზედა და ტყებასა, მჯდომარე ერთსა ადგილსა. მერმე ესმა მისთჳს ქალწულთა და მღდელთა ეკლესიისათა, აღდგეს და მივიდეს მისა, ნუგეშინის-სცემდეს მას და ეტყოდეს: არა ნებითა შენითა იქმნა ცოდვაჲ იგი, რაჲთამცა გაქუნდა ბრალი. გარნა იგი არა ერჩდა მათ, არამედ ეტყოდა: დასტურად /157v/ განმწირა მე ღმერთმან და განმთხია, ანუ ვითარღა შევიმოსო მე სახე იგი, რომლისაჲ ღმერთმან არა ინება? არა ძალ-ედვაა[10] ღმერთსა დახრწევად საქმისა მის, გარნა რაჲთგან უღირსად შემრაცხა მე სახისა მის, ესრეთ დავადგრე სიკუდილადმდე ჩემდა.

---

[1] მიიმართა] მიჰმართა B. [2] მდინარისპირსა] მდინარისა პირსა B. [3] ძმანო, შეგუეწიენით- B. [4] მის თანავე – C. [5] მიჰმართეს B. [6] აგრძნეს] იგრძნეს E. [7] ზეპყრობით] ზეაპყრობით B. [8] მკჳდრობდა] მკჳდრ იყო C. [9] იმსტოვრობდა] იმსტურობდა B. [10] ძალ-ედვაა] ძალ-ედვა C.

დაადგრა უკუე ესრეთ ვიდრე აღსასრულადმდე[1] დღეთა ცხორებისა მისისათა და ტიროდა ტირილითა მით საქებელითა, მრავლითა ლმობიერებითა და ტკივილითა გულისა და სულისაჲთა.

54. ძმაჲ ვინმე მკჳდრ იყო უდაბნოს და წყენილ იქმნა ფრიად სიძვისაგან. წარვიდა და პოვა ჯურელი აფთრისაჲ, შევიდა მას შინა და დაადგრა უჭმელად ექუს დღე. მერმე მოვიდა აფთარი იგი, ხოლო ძმასა მას შეეშინა ფრიად და თქუა: უფალო[2], უკუეთუ მეგულების შეგინებაჲ ჯორცთა ჩემთაჲ, მიეც მას ჩემ ზედა ჯელმწიფებაჲ, რაჲთა შემჭამოს, ხოლო უკუეთუ არა, განმარინე მე და მაცხოვნე მისგან. მეყსეულად ისმა ჴმაჲ, რომელი იტყოდა: გამოსაჭურისეთ ეგე და უტევეთ, ვიდოდის! და მასვე ჟამსა ივლტოდა მისგან ბრძოლაჲ იგი.

55. წარვიდა ბერისა ვისამე ძმაჲ ბრძოლილი სიძვითა და ევედრა ბერსა, რაჲთა ლოცვა ყოს მისთჳს და აღუსუბუქდეს ბრძოლაჲ იგი. დაშურა უკუე ბერი და ილოცა მისთჳს შჳდ დღე. ხოლო მეშჳდესა მას დღესა ჰკითხა ძმასა მას: ვითარ არს ბრძოლაჲ იგი, ძმაო? და მან ჰრქუა: ფიცხლად და ბოროტად, მამაო, რომელ[3] არცა თუ ყოლად ვაგრძენ აღსუბუქებაჲ. რომელი-ესე დაუკჳრდა ბერსა ფრიად. და აჰა ესერა, წარმოუდგა ეშმაკი და ჰრქუა მას: გრწმენინ, ბერო, პირველსავე დღესა ოდეს-იგი ევედრე ღმერთსა, განვეშორე მისგან, გარნა მას თჳსი ეშმაკი ჰყავს და /158/ თჳსი ბრძოლაჲ აქუს მუცლისაგან მისისა, თუ არა, მე მას თანა საქმე არაჲ მიც, არცაღა ვებრძვი, არამედ თჳთ იგი ებრძვის თავსა თჳსსა, ჭამს და სუამს და სძინავს უძღებებით.

56. ბერმან თქუა: მუმლთა მსგავს არიან უკეთურნი გულისსიტყუანი, რომელნი შევლენედ სახლებსა. უკუეთუ თჳთოჲ[4] მოსწყჳდო, შემო-რაჲ-ვიდოდიან, არა ფრიად დაშურე. უკუეთუ კულა უტეო, რაჲთა აღივსოს სახლი, ფრიადი შრომაჲ შეგემთხუევის განსხმასა მათსა და[5] ანუ ვითარ განასხნე, ანუ მოგეწყინოს, დაუტევნე შინა და მობღალონ სახლი იგი.

57. სხუაჲ ვინმე ბერი დიდად მოღუაწე მკჳდრ იყო ალექსანდრიას მონასტერსა მას, რომელსა ცხრათაჲ ეწოდებოდა. ესე შევარდა ცოდვასა დიდსა და ზედადაესხნეს ეშმაკნი სასოწარკუეთილებისანი. ხოლო მან ვითარცა იხილა თავი თჳსი ძლეულად უზომოჲსაგან მწუხარებისა, ვითარცა გამოცდილი მკურნალი თჳთვე მისცემდა თავსა თჳსსა სასოებასა კეთილსა და იტყოდა: მრწამს ურიცხუთა მათ მოწყალებათა ღმრთისათაჲ, რომელ ყოს ჩემ თანა წყალობაჲ. ოდეს უკუე იგი[6] ამას იტყჳნ, ეტყჳედ მას ეშმაკნი: ჰჩ, განაღა ყოს შენ თანა წყალობაჲ? და იგი კუალად ეტყჳნ: ვინ ხართ, გინათუ ყოს, გინათუ არა. თქუენ ერთგზის ძჩ ბნელისა[7] ქმნილ ხართ და შვილ წარწყმედის და უკუეთუ ღმერთი სახიერ არს, თქუენდა რაჲ?! და ესრეთ ივლტოდეს იგინი სირცხჳლეულნი.

---

[1] აღსასრულადმდე] აღსასრულამდე C. [2] უფალო – CE. [3] რომელ] რამეთუ BE. [4] თჳთოჲ] თითოჲ E. [5] და – BCE. [6] ~ იგი უკუე C. [7] ბნელისა] ბნელის B.

58. ბერმან თქუა: უკუეთუ სიძვაჲ ჰბრძავს ჴორცთა შენთა ანუ თუ გულსა შენსა, გამოიძიეღა[1] /158v/ და ძიება-ყავ თუ სადაჲთ აღდგა შენ ზედა ბრძოლაჲ იგი, რამეთუ[2] ანუ ჭამადთაგან, ანუ ძილისაგან, ანუ ზუაობისაგან, ანუ რამეთუ გაქუს თავი შენი უმჯობეს ვისამე, ანუ თუ გან-ვინმე-იკითხე მცოდავთაგანი და რამეთუ თჳნიერ ამათ საქმეთა არა ებრძვის კაცსა სიძვაჲ.

59. კუალად თქუა: უკუეთუ დაეცე სიძვითა და არს პირი იგი მახლობელ შენდა, რომელსა თანა დაეცი, განეშორე ადგილისა მისგან. უკუეთუ არა, ვერ შეინანებ.

60. თქუა კუალად: უკეთუ იხილო ძილსა შინა უცნებაჲ დედაკაცისაჲ, ეკრძალე და იღუაწე, რაჲთა არა დღისითცა[3] იჴსენებდე მას, რამეთუ სიკუდილი არს სულისაჲ და უჩინომყოფელი ყოვლისა კეთილისაჲ.

61. თხრობაჲ საშინელი[4]

აღვიდა ვინმე მამათაგანი მოწაფითურთ თჳსით ალექსანდრიას[5] და მუნ ყოფასა მას მათსა[6] იქმნა საქმე ესევითარი: მონაზონსა ვისმე, რომელი მკჳდრ იყო ალექსანდრიას ათრვამეტთა[7] მონასტერსა, ესუა ძჱ ერისკაცი და ძესა მას ესუა ცოლად ქალი სახნიერი ვითარ ათრვამეტისა ოდენ წლისაჲ. და იყოფოდა[8] იგი ქმრისა თანა თჳსისა[9], ძისა მის მონაზუნისა[10]. ხოლო იყო ძე იგი მისი[11] მეთევზე, არამედ რომელ-იგი ძუელითგანვე[12] და პირველთაგან[13] მტერი არს და მბრძოლი სულთა ჩუენთა ცხორებისაჲ, ბოროტი ეშმაკი, აღუდგინა ბრძოლაჲ ცოდვისაჲ ჴორციელსა მას მამასა[14] სძლისა თანა[15] თჳსისა, რომელი იყო ძის ცოლი მისი. და ეძიებდა ჟამსა, რაჲთა თანა ეყოს მას ცოდვითა და ვერ ჰპოებდა, ვინაჲცა ზედაჲსზედა აკოცებნ მას. ხოლო ქალი იგი თავს-იდებდა მისსა, ვითარცა მამისასა. დღესა /159/უკ/უე ერთსა მივიდეს სხუანი მეთევზენი და უჴმეს ჭაბუკსა მას, რაჲთა წარვიდენ ღამით და ინადირონ. ხოლო შემდგომად განშორებისა ჭაბუკისა მის, აღდგა მამაჲ ყრმისაჲ მის ქალსა მას ზედა, ცოლსა ძისა თჳსისასა[16] და აიძულებდა[17] საქმედ ცოდვისა. ჰრქუა მას ქალმან მან: რაჲ არს ესე, მამაო, წარვედ სარეცელად შენდა და დაიწერე[18] ჯუარი, რამეთუ საქმე ეგე საეშმაკოჲ

---

[1] გამოიძიეღა] განიხილე B. [2] რამეთუ – BC. [3] დღისითცა] დღისიცა E. [4] თხრობაჲ საშინელი – B. [5] ალექსანდრიას] ალექსანდრიად E. [6] მათსა] მისსა B. [7] ათრვამეტთა] ათურამეტითა E. [8] იყოფოდა] იყოფვოდა C. [9] ~ თჳსისა თანა BE . [10] მონაზუნისა] მონაზონისასა B. [11] იგი მისი] რომელ იყო B. [12] ძუელითგანვე] დასაბამითგან B. [13] პირველთაგან- B. [14] ჴორციელსა მას მამასა – B. [15] თანა] მიმართ B. [16] ცოლსა ძისა თჳსისასა – B. [17] აიძულებდა] აჲძულებდა A. [18] დაიწერე] დაჲწერე A.

არს. ხოლო იგი არა თავს-იდებდა წარსლვად, არამედ ჰბრძოდა მას ფრიად და ჰგუემდა, გარნა არა[1] უტევა იგი[2] ქალმან მან მიახლებად მისა[3]. ეკიდა უკუე ზედაკერძო ცხედრისა მის ჴრმალი ძისა თჳსისაჲ, ჩამოიღო იგი რეცა შეშინებისათჳს და განაშიშულა ორპირი იგი მახჳლი მის ზედა და ჰრქუა მას: უკუეთუ არა ისმინო ჩემი და მერჩდე მე, ჴრმლითა ამით დაგჭრა შენ. მიუგო ქალმან მან: უკუეთუ ასოდ-ასოდცა[4] დავიჭრები, უსჯულოსა ამას საქმესა არაოდეს ვიქმ. და მეყსეულად აღიძრა იგი რისხვითა და გულისწყრომითა, უფროჲსღა უფლებულ იქმნა ეშმაკისაგან ბოროტისა და იჴადა მახჳლი იგი ძლიერად[5], დასცა შუვა ოდენ მისა და განკუეთა ქალი იგი ორად. და მასვე ჟამსა დააბრმო იგი ღმერთმან. და ვიდოდა და ეძიებდა კარსა და ვერ პოვა. ხოლო იქმნა რაჲ განთიად, მოვიდეს სხუანი მეთევზენი და ეძიებდეს ჭაბუკსა მას და ხადოდეს მას ჴმამაღლად. მიუგო მათ მამამან მისმან: წარვიდა იგი თევზობად, /159v/ გარნა სადა არს კარი, რამეთუ[6] ვერ ვხედავ. ჰრქუეს მას: აჰა ესერა, აქა არს კარი. და განაღეს იგი და შევიდეს შინა. ხოლო შე-რაჲ-ვიდეს შინა, იხილეს ნაქმარი იგი საშინელი და მძორი[7] იგი მდებარე შორის სახლისა. ჰრქუეს მას: რაჲ არს ესე? ხოლო მან ჰრქუა მათ: შემიპყართ მე და მიმგუარეთ მთავარსა, რამეთუ კაცისკლვაჲ ბოროტი აღვასრულე. და მათ შეიპყრეს იგი და მიჰგუარეს მთავარსა ქალაქისასა. ხოლო მთავარმან განიკითხა იგი და ცნა ყოველივე მისგან ჭეშმარიტებით. ტანჯა იგი და შეაგდო გუემათა ფიცხელთა. შემდგომად ამისა[8] ჰრქუა ბერმან მან, რომელი ზემო ვაჴსენეთ, მოწაფესა თჳსსა: გუალე, შვილო და წარვიდეთ და ვიხილნეთ ნაწილნი ღირსისა მის ქალისანი. და ვითარცა მივიდეს იგინი[9] მონასტერსა მას ათვრამეტთასა, გამოეგებნეს ბერსა მამანი მის მონასტრისანი და შეიწყნარეს იგი დიდითა პატივითა. ჰრქუა მათ ბერმან: ყავთ ლოცვაჲ, მამანო, რამეთუ არასადა დაეფლვიან სხუაგან[10] ნაწილნი ამის ქალისანი, თჳნიერ მამათა თანა. და ვიეთნიმე მათგანნი დრტჳნვიდესცა, ვითარმედ: ჴორცთა ქალისათა და ესეღა[11] მოკლულისათა გჳბრძანებსო დაფლვად სამარხოსა მამათასა. ჰრქუა მათ ბერმან: ქალი ესე მოკლული, დედაჲ არს ჩემი და თქუენიცა, რამეთუ სიწმიდისათჳს იღუაწა და პატიოსნებისათჳს მოიკლა. ესე რაჲ ესმა მათ, ყოველნივე ერჩდეს და არცა ერთი ვინ წინააღუდგა ბრძანებასა ბერისასა. ამისთჳსცა პატივით და სურვილით დაჰმარხნეს ნაწილნი წმიდისა მის ქალისანი სამარხოსა მამათასა. /160/ და მოიკითხნა ბერმან მამანი იგი მონასტრისანი და მიიქცა სკიტედვე მოწაფითურთ თჳსით.

დღესა უკუე ერთსა ბრძოლილ იქმნა ძმაჲ ვინმე სკიტეს შინა სიძვითა ფიცხლად და ძნელად[12] და მოვიდა და უთხრა ბერსა. ჰრქუა მას ბერმან:

---

[1] არა უტევა იგი ქალმან მან] არა უტევებდა ქალი იგი C. [2] იგი – E. [3] მისა] მისსა B. [4] ასო-ასოდ BE. [5] ძლიერად + და C. [6] რამეთუ – B. [7] მძორი] მკუდარი B. [8] ამისა] ამისსა E. [9] იგი C. [10] სხუაგან – C. [11] ესეღა] ესრეთღა BE. [12] და ძნელად- B.

წარვედ მონასტერსა მას ათრვამეტთასა[1] ალექსანდრიას და მივედ და დაწევ სამარხოსა ზედა წმიდათა მამათასა და თქუ: ღმერთო თომაჲდოჲსაო[2], შემწე მეყავ მე და მიჴსენ მე განსაცდელისა ამისგან სიძვისა. და ვესავ ღმერთსა, რომელ განთავისუფლდე განსაცდელისა მაგისაგან. ხოლო ძმამან მან მიიღო ლოცვაჲ და მცნებაჲ ბერისაჲ, აღდგა და წარვიდა მონასტერსა მას ათრვამეტთასა[3] და ყო ყოველივე ბრძანებისაებრ ბერისა. და შემდგომად სამისა დღისა კუალად აღმოვიდა[4] სკიტედვე და მოვიდა და შეუვრდა ფერჴთა ბერისათა და ჰრქუა მას: მოწყალებითა ღმრთისაჲთა და ლოცვითა შენითა, მამაო, განვთავისუფლდი ეშმაკისაგან სიძვისა. ჰრქუა მას ბერმან: ვითარ სახედ განთავისუფლდი, ძმაო? მიუგო ძმამან: მცნებისაებრ შენისა მოვიდრიკე ათორმეტი ოდენ მუჴლი და დავწევ სამარხოსა მას ზედა და[5] მიმეძინა და მო-ვინმე-ვიდა[6] ჩემდა[7] ქალი ერთი და მრქუა მე: მონაზონო[8], მიიღე ევლოგიაჲ ესე და წარვედ მშჳდობით სენაკად შენდა. და ვითარცა მივიღე ევლოგიაჲ იგი, მეყსეულად აღმისუბუქდა ბრძოლაჲ იგი და ვცან, რამეთუ განმათავისუფლა ღმერთმან ლოცვითა მისითა. ხოლო თუ რაჲ იყო ევლოგიაჲ იგი, ვერ ვცან, არცა უწყი. ჰრქუა მას ბერმან: /160v/ ესე/ ვითარი კადნიერებაჲ აქუს წინაშე ღმრთისა, ძმაო[9], რომელთა იღუაწონ სიწმიდისათჳს.

62. ძმამან ჰკითხა ბერსა ჴორციელთათჳს ვნებათა. ჰრქუა მას ბერმან: ესენი არიან, რომელნი ძნობენ ებნითა[10] კერპისა მისთჳს ნაბუქოდონოსორისა. და რამეთუ უკუეთუმცა არა ჴმოანებასა მას სახიობათასა ეცთუნნეს მაშინ[11] კაცნი, არამცა თაყუანის-ეცა კერპისა მისდა. ესრეთვე სახედ ვნებანი ჰმოგუნიან სულსა, რაჲთა ვითარ მოაცთუნონ ცოდვათა ზედა ჴორციელთა.

63. ბერმან თქუა: მცირე აფსინდი დაამწარებს დიდსა ჭურჭელსა თაფლსა[12] და მცირე ცოდვაჲ გამოგუასხამს ჩუენ[13] სასუფევლისაგან ცათაჲსა და წარგუასხამს ჩუენ გეჰენიასა მას ცეცხლისასა. ევლტოდე, ჲ მონაზონო, ჴორციელსა ცოდვასა!

64. ბერმან თქუა: უზრუნველობაჲ და დუმილი და დაფარული წურთაჲ შობენ სიწმიდესა.

65. კუალად თქუა ბერმან: ესე დაიცევ[14] სიკუდილადმდე და სცხოვნდე. ნუ სჭამ ნუ ოდეს[15] დედაკაცისა თანა, ნუცა მოიგებ მეგობრობასა ჭაბუკსა თანა, ნუ დასწვები ნუვის თანა ერთსა ზედა ფსიათსა, ჭაბუკ თუ იყო, თჳნიერ ძმისა და მამისა შენისა, და ესეცა შიშით და კრძალვით და არა უკრძალველად.

---

[1] ათრვამეტთასა] ათურამეტსა BE. [2] თომაჲდოჲსაო] თომაჲდაჲსო BC. [3] ათრვამეტთასა] ათუვამეტთასა BE. [4] აღმოვიდა] შემოვიდა B. [5] და მიმეძინა- C. [6] მო-ვინმე-ვიდა] მოვიდა ვინმე BE. [7] ჩემდა -C. [8] მონაზონო- B. [9] ~ ძმანო, წინაშე ღმრთისა C. [10] ებნითა – B. [11] მაშინ – B. [12] თაფლსა] თაფლისასა BE. [13] ჩუენ- BC. [14] დაიცევ] დაჲცევ A. [15] ნუ ოდეს – B.

ნუ განუტეობ უწესოდ თუალთა, შეიმოსდე რაჲ სამოსელსა შენსა, შენთჳსცა შეიკრძალენ თუალნი. უკუეთუ იქმნეს რაჲმე საჭიროებაჲ ვიდრე სამ ჭიქადმდე[1] კმა-ყავ[2] ღჳნოჲ, მცნებასა ნუ დაჰჴსნი ვისისაცა მეგობრობისათჳს, ნუ დაემკჳდრები ადგილსა მას, რომელსა[3] სცოდე ღმრთისა მიმართ, ნუ უგულებელს-ჰყოფ მსახურებასა შენსა, რაჲთა არა შეჰვარდე[4] ჴელსა მტერთა შენთასა, აიძულე[5] თავი შენი[6] /161/ წურთისა/თჳს ფსალმუნთაჲსა ამისთჳს, რამეთუ იგი დაგიცავს შენ ტყუეობისაგან მტერთაჲსა. შეიყუარე ყოველივე ძჳრისხილვაჲ და დაგიმდაბლდენ შენ ვნებანი. იღუაწე, რაჲთა არა ჰრაცხდე თავსა შენსა რასაცა ზედა საქმესა და მოცალე იქმნე[7] ამით ტირილად[8] ცოდვათა შენთა. დაიცევ[9] თავი შენი[10] ტყუილისაგან, რამეთუ იგი იოტებს შიშსა ღმრთისასა შენგან. განუცხადებდი გულისსიტყუათა შენთა მამათა სულიერთა, რაჲთა საფარველმან ღმრთისამან დაგიფაროს შენ, აიძულე[11] თავი შენი ჴელთსაქმარსა შენსა და შიშმან ღმრთისამან დაიმკჳდროს[12] შენ თანა.

66. გჳთხრეს ესეცა ვითარმედ, უცა ვისმე მონაზონსა გუელმან და შევიდა იგი ქალაქსა ერთსა კურნებად. ხოლო შეიწყნარა იგი დედაკაცმან ვინმე ღმრთისმსახურმან და მოშიშმან უფლისამან და ჰკურნებდა მას. და ვითარცა მცირედ ლხინება ეცა, მეყსეულად დაუთესნა მას ეშმაკმან გულისსიტყუანი ხენეშნი[13] დედაკაცისა მის მიმართ, ვიდრემდის და ჴელსაცა[14] უპყრა. ჰრქუა მას დედაკაცმან მან: კურნებად ჴორცთა მოსრულ ხარ, მამაო, ხოლო უკუეთუ სულითა მოიწყლა, რაჲ იყოს სარგებელი? ანუ არა მოიჴსენება ღუაწლთა მათ და შრომათა, რომელნი თავს-გისხმან სენაკსა შინა შენსა ქრისტესთჳს? სამართალი არსა ეგე პატიოსნებისაგან შენისა, ანუ ცრემლთა მათ მრავალთა და სულთქუმათა შენთა ღმრთისა მიმართ რადღა დაივიწყებ[15]? ესე და სხუა ესევითარი ესმა რაჲ მონაზონსა მას გონიერისა მისგან დედაკაცისა, შესწბა და შეჰრცხუენდა და ენება სივლტოლის, რამეთუ ვერღარა შეხედვიდა სირცხვილითა პირსა მისსა. შეატყუა რაჲ ესე კეთილმან მან დედაკაცმან, /161v/ იწყო აღდგინებად მისა და ეტყოდა: ნუ გრცხუნის მაგისთჳს, ნუცა წარხუალ, რამეთუ ჯერეთცა გიჴმს კურნებაჲ. და რამეთუ არა არს ეგე მართლისა მაგის სულისა შენისა საქმე, არამედ მოშურნისა და უკუეთურისა ეშმაკისაჲ[16] არს მანქანებაჲ. და განჰკურნა იგი დაუბრკოლებელად და განუტევა საგზლითა მშჳდობით სენაკად თჳსად.

67. ბერსა ვისმე დიდსა[17] აქუნდეს ათორმეტნი მოწაფენი. და შემთხუევითა ეშმაკისაჲთა განიცადა ერთი მათგანი სიძვითა და იპოვა ცოდვით დედაკაცსა

---

[1] ჭიქადმდე] ჭიქამდე B. [2] კმა-ყავ] კმა ჲყავ A. [3] რომელსაცა BE. [4] შეჰვარდე] შთაჰვ არდეC. [5] აჲძულე] აჲძულე A. [6] აქ E ნუსხა წყდება. [7] იქმენ B. [8] ~ცოდვათა შენთა ტირილად B. [9] დაჲცევ] დაჲცევ A. [10] შენი- C. [11] აჲძულე] აჲძულე A. [12] დაჲმკჳდროს] დაჲმკჳდროს A. [13] ხენეშნი] ბოროტნი C. [14] ჴელსაცა] ჴელიცა B. [15] დაივიწყებ] დაჲვიწყებ A. [16] ეშმაკისაჲ – C. [17] დიდსა – C.

თანა, რამეთუ ახლვიდა მათ დაბაჲ. და ყოლადვე წარვალნ, შემდგომად ცისკრისა ლოცვისა, ვინაჲთგან ადრე ილოცვიდეს და კუალად პირველ განთენებისა მოვიდის სენაკადვე თჳსად. ცნეს უკუე ესე ძმათა და ცნა მამამანცა[1] და წინამძღუარმან საქმე იგი[2] და ჰფარავნ ძმასა მას და სცავნ და არა ამხილა. მრავალგზის უკუე ატყდეს ძმანი იგი მისთჳს წინამძღუარსა მას ზედა მათსა და მამასა სულიერსა, გარნა იგი სიტკბოებით ანელებნ მათ და აწყნარებნ. წარვიდა ოდესმე ძმა იგი დაბასა მას, უადრესრე და დაეყოვნა და სისწრაფითა სამჴრისა წილ თჳსისა, შეისხა მოსასხმელი დედაკაცისაჲ მის და ესრეთ მოვიდა სენაკად თჳსად. იხილა იგი ბერმან მომავალი და რამეთუ ასხეს მოსასხმელი დედაკაცისაჲ განიცადა, აღდგა და მივიდა სენაკად ძმისა მის. ხოლო მან ვითარცა თჳსი საბეჭური გარდაჰკიდა იგი[3] სენაკსა შინა თჳსსა. გარნა ბერი დუმნა ჯერეთცა, მერმე ჰრქუა მას: სადა იყავ, ძმაო? ხოლო მან გარდაუცქაფა: აქა სამე[4] ვიყავ და იქი. ჰრქუა მას ბერმან: და არა იყავა სოფელს დაბასა მას[5]? /162/ მიუგო: არა, მეუფეო! მაშინ ჰრქუა მას ბერმან: და ვისი არს მაფორი ისი სადედოჲ, რომელი ჰკიდავს? ხოლო ცნა რაჲ ძმამან, რამეთუ დედაკაცისაჲ არს, დააგდო თავი თჳსი ფერჴთა თანა ბერისათა და თქუა: შემინდვე მე[6], მამაო, და ამიერითგან არღარა ვყო ესე. ხოლო ბერმან შეუნდოცა მას და ჰლოცვიდა და ეტყოდა: ეკრძალე, შვილო, ამიერითგან თავსა შენსა, რამეთუ და რაჲ შეიძინო არაწმიდებისა მისგან, თჳნიერ აქა სირცხჳლი კაცთაგან და ყუედრებაჲ და მერმესა მას საუკუნესა ცეცხლი უშრეტი და ბნელი გარესკნელი და მატლი იგი დაუძინებელი და დუსრულებელი. ნუ, შვილო, ნუ, გევედრები! ამიერითგან ნუღარა აღმოიმწუბვი მწჳრესა მას შინა ცოდვისასა, ნუცაღა არცხუენ სიბერესა ჩემსა. და[7] აურაცხელითა მით კაცთმოყუარებითა ღმრთისაჲთა და სულგრძელებითა წმიდისა მის ბერისაჲთა დასცხრა ძმაჲ იგი ცოდვისა[8] მისგან და იქმნა მონაზონ რჩეულ და კეთილ. და ყოველნივე იგი ძმანი მონასტრისანი ჰმადლობდეს ღმერთსა განმართლებისათჳს ძმისა მის[9]. მერმე ჰრქუეს ბერსა: ყავ სიყუარული, მამაო, და გუაუწყე ჩუენ, თუ რაჲსათჳს ესოდენ დიდად სულგრძელ ექმენ ძმასა მას[10]? მიუგო ბერმან და ჰრქუა ძმათა მათ: ვხედევდ, რამეთუ ეშმაკი მოკიდულ იყო ერთსა ჴელსა მისსა და მიზიდვიდა სოფლად და მე მეპყრა მეორე იგი ჴელი სულგრძელებისა მიერ, რაჲთა არა ემხილოს რაჲ, წარვიდეს[11] სოფლად. ხოლო ოდეს ჯერ-იჩინა ღმერთმან ცხოვნებაჲ დაბადებულისა თჳსისაჲ, აჰა ესერა, /162v/ გჳპყრიეს მეორეცა ჴელი და გუყავს ყოლად სრულად ცხოვნებული. კეთილ არს უკუე სულგრძელებაჲ ლოცვასა თანა, ოდეს ძმაჲ განსაცდელსა შევარდეს და

---

[1] მამამანცა] მოძღუარმანცა B. [2] იგი] ესე B. [3] იგი – C. [4] სადამე B. [5] მას – C. [6] მე – C. [7] აქედან E ნუსხა გრძელდება. [8] ცოდვისა მისგან] ცოდვისაგან E. [9] ძმისა მის] მისისა B. [10] მას] ამას C. [11] წარვიდეს +სრულად E.

ჯერ არს მაშინ გულსმოდგინედ ვედრებაჲ ღმრთისაჲ, რაჲთა მან სახიერმან მოდრიკოს გული მცთომისაჲ მის მოწყალებათაებრ თჳსთა, ვინაჲცა შერისხვაჲ უზომოჲ და მხილებაჲ უჟამოჲ არარას კეთილსა მოიღებს.

68. ეპისკოპოსი ვინმე იყო ქალაქსა რომელსამე შინა და შევარდა იგი სნეულებასა ჴორცთასა ესოდენ ფიცხლად, ვიდრეღა ყოველთავე[1] განწირეს იგი. ხოლო იყო მუნ მონასტერი სადედოჲ და ვითარცა ესმა დედათდიაკონსა[2] მის მონასტრისასა, ვითარმედ განწირეს მკურნალთა სასიკუდინოდ ეპისკოპოსი, აღიხუნა ორნი დანი მის თანა და წარვიდა მოხილვად მისა. და ვითარცა უბნობდა ეპისკოპოსი მის თანა, ერთმან მათ დათაგანმან მიყო ჴელი თჳსი მდგომარემან ფერჴსა ეპისკოპოსისასა ცნობად, თუ ვითარ-ძი არს. ხოლო მიყოფისა მისგან ჴელისა მიიღო ბრძოლაჲ ეპისკოპოსმან და ვითარცა წარვიდოდა დედათდიაკონი სახედ[3] თჳსა, ევედრა მას და ჰრქუა: არავინ მყავს მახლობელთაგანი, რომელმანმცა ჰმსახურა ჯერისაებრ უძლურებასა ამას ჩემსა, აწ უკუე ყავ სიყუარული და დაუტევე დაჲ ესე აქა ჩემ თანა, რაჲთა მმსახუროს მე რაოდენთამე დღეთა. ხოლო მან ვითარცა[4] არარაჲ ძჳრი მოიგონა მისთჳს გულსა შინა თჳსსა, დაუტევა იგი მუნ მის თანა. განძლიერდა უკუე უკეთურისაგან ეშმაკისა და ჰრქუა ქალსა მას: მიქმენ მე გბოლვილი, რაჲთა ვისამხრო. და უქმნა მას და შემდგომად ჭამისა /163/ ჰრქუა მას: დაწევ ჩემ თანა. და დაწვა მის თანა და ვითარცა იშვა ცოდვაჲ, მეყსეულად მუცლად იღო. შეიპყრეს დედაკაცი იგი მნეთა მათ ეკლესიისა მისისათა და ეტყოდეს: გჳთხარ ჩუენ, ვინ დაგაუძლება შენ? ხოლო მან არა ინება შეწამებაჲ, მაშინ ჰრქუა მათ ეპისკოპოსმან: არაჲ[5] გიც საქმე მაგის[6] თანა, უტევეთ, ვიდოდის, რამეთუ მე მიქმნიეს ცოდვაჲ ესე. და ვითარცა განმრთელდა სნებისა[7] მისგან, აღდგა და შევიდა წმიდად ეკლესიად და დადვა ზეწარი თჳსი ზედა წმიდასა საკურთხეველსა, აღიღო ჴელთა თჳსთა არგანი რაჲმე და გამოვიდა საეპისკოპოსოჲთ თჳსით და წარემართა მონასტრად, სადა არავინ იცნობდეს. ხოლო მამაჲ და წინამძღუარი მის მონასტრისაჲ, რომელსა მიემართა, იყო სულითა მხილველ და ცნა, ვითარმედ ეპისკოპოსი მივალს[8] მონასტრად. ამცნო მეკარესა და ჰრქუა: იხილე, ძმაო, რამეთუ ეპისკოპოსსა ეგულების მოსლვაჲ აქა. მოელოდა უკუე მეკრჱ[9] იგი გულსმოდგინედ, რამეთუ ჰგონებდა ეტლებითა და ჰუნებითა და სხჳთა მით საუცრებითა მოსლვასა მისსა, რამეთუ უმეცარ იყო იგი საქმესა მას. ხოლო ვითარცა მივიდა ეპისკოპოსი იგი კარსა მონასტრისასა, მეყსეულად გამოეგება წინა მამაჲ და წინამძღუარი მონასტრისაჲ, მოიკითხა იგი

---

[1] ყოველთა BE. [2] დედათდიაკონსა] დედათა დიაკონსა B. [3] სახედ] სახიდ C. [4] ვითარცა – B. [5] არაჲ] არა BE. [6] მაგის] მაგას C. [7] სნებისა] სნეულებისა C. [8] მივალს] მოვალს BC. [9] მეკრჱ] მეკრე BE.

მოწლედ და ჰრქუა მას: კეთილად მოხუედ, უფალო, ეპისკოპოს! ხოლო მას განუკჳრდა და დაუმძიმდა, რამეთუ იცნობა და ეგულვა სივლტოლაჲ სხუად მონასტრად. ჰრქუა მას ბერმან: სადაცა წარხჳდე, მეცა შენ თანა მოვიდე. და ევედრა მას ფრიად და შეიყვანა მონასტრად თჳსად მრავლითა სიხარულითა. შეინანა უკუე სრულად და /163v/ ჭეშმარიტებით მრავლითა მჴურვალებითა გულისაჲთა და მასვე მონასტერსა შინა მიიცვალა და ყოველთა ღმრთისა წინაშე მშჳდობით მივიდა, ვიდრეღა სასწაულნიცა და კურნებანი მრავალნი იქმნნეს განსლვასა მას სულისა მისისასა მადლითა ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ[1] უკუნისამდე,[2] ამინ.

[1] დიდებაჲ + უკუნითი E. [2] უკუნისამდე, ამინ – B.

თავი ზ

უპოვარებისათჳს და არა მიხუეჭისა და სხუათა მათთჳს სათნოებათა

გუაკურთხენ, მამაო!

I. იჴმნა ვინმე ძმამან სოფლისაგან და მონაგები თჳსი განუყო გლახაკთა. ხოლო და-რაჲმე-იმჭირა მისგან თავისათჳს თჳსისა. და აღდგა და წარვიდა **მამისა ანტონისა**[1]. და ვითარცა ისწავა ესე ბერმან, ჰრქუა მას: უკუეთუ გნებავს, რაჲთა იქმნე მონაზონ, წარვედ მას რომელსამე დაბასა და იყიდე ჴორცი და დაიდევ იგი ზედა ჴორცთა შენთა შიშულად და ესრეთ მოვედ აქა. წარვიდა ძმაჲ იგი და ყო ეგრეთ. და ვითარცა მოვიდოდა[2], ძაღლთა და ფრინველთა განბძარნეს ჴორცნი მისნი. და ვითარცა მოვიდა ბერისა, ჰკითხვიდა მას, უკუეთუ ყო სიტყჳსაებრ მისისა. ხოლო მან უჩუენნა ჴორცნი თჳსნი[3] დაჭრილნი და დაბძარულნი[4]. /164/ ჰრქუა მას წმიდამან ანტონი: რომელნი გამოვლენ სოფლით და ჰნებავს კუალად რაჲთამცა აქუნდეს საფასენი[5] სოფლისანი, ესრეთ დაიბძარვიან იგინი ეშმაკთაგან და ვნებათა ბრძოლილნი.

II. 1. დასნეულდა ოდესმე **მამაჲ არსენი** სკიტეს და უჴმდა საჴმარი რაჲმე და არა აქუნდა, თუ რაჲთა იყიდოს. მერმე სთხოა[6] ვისმე სიყუარული და თქუა: გმადლობ შენ, უფალო, რამეთუ ღირს მყავ მიღებად სიყუარულსა სახელისა შენისათჳს წმიდისა.

---

[1] ანტონისა] ანტონისსა E. [2] მოვიდოდა] ვიდოდა C. [3] თჳსნი] მისნი BCE. [4] A ნუსხაში ანდერძია: „ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, ცოდვილისა თეოფილე რეცა თარგმანისათჳს, რამეთუ ცოდვანი ერთბამად ყოველთანი მქონან, ხოლო სინანულსა ერთისაცა ყოლად არა ვახლავ. ლოცვა ყავთ უკუე ყოველთა, ლოცვა ყავთ, რაჲთა წყალობა ყოს ღმერთმან, რომელი არს კურთხეულ უკუნისამდე. და ბერი კლიმი აკურთხეთ ყოველთა, რამეთუ შემდგომად ღმრთისა და წმიდათა მისთა მოღუაწებითა ითარგმანების წმიდაჲ ესე და სულთა საცხორებელი წიგნი, საუკუნომცა არს საჴსენებელი და კურთხევაჲ მისი, ამინ!“. [5] საფასენი – C. [6] სთხოა] სთხოვა B.

2. მამასა არსენის ჰკითხა **მამამან მარკოზ** და ჰრქუა: კეთილ არსა, მამაო, რაꙋთა არარაꙋ აქუნდეს მონაზონსა ნუგეშინისსაცემელი სენაკსა შინა, რამეთუ ვიხილე ძმაꙋ, რომელსა ედგა მცირე მხალი და იგიცა აღმო-ვე-ჰფხურა. ჰრქუა მას მამამან არსენი: კეთილ არს ეგე, გარნა ჩუეულებასა[1] ზედა კაცისასა, რამეთუ უკუეთუ არა აქუნდეს ეგევითარი ჩუეულებაꙋ და შეძლებაꙋ, სხუაꙋ და-ვე-ჰნერგოს.

3. გჳთხრობდა **მამაꙋ დანიელ მამისა არსენისთჳს**, ვითარმედ მოვიდა ოდესმე მაგისტროსი ვინმე და მოართუა მას ანდერძი მთავრისა ვისმე[2] ჰრომაელისაꙋ, რომელი იყო თჳსი მისი, რომელსაცა სიმდიდრე დიდძალი ფრიად[3] დაეტევა მისდა. და ვითარცა[4] მიიღო წიგნი იგი, ინება[5] მყის განხეთქვაꙋ მისი, ხოლო მაგისტროსი იგი შეუვრდა ფერჴთა მისთა და ჰრქუა: გევედრები შენ, უფალო, ნუ განხევ[6] მაგას, უკუეთუ არა, აღიღების თავი ჩემი მჴართაგან ჩემთა. ჰრქუა მას მამამან არსენი: მე უწინარეს მისსა მოვკუედ, ხოლო იგი აწღა მოკუდა. და მართალუკუნ-აქცია იგი და არცა ერთი რაꙋ დაიჭირა[7] მისგანი.

III. 1. იტყოდეს **მამისა აგათონისთჳს**, ვითარმედ რაოდენთამე დღეთა აშენებდა[8] სენაკსა მოწაფეთა თანა თჳსთა. და ვითარცა განასრულეს სენაკი იგი და ენება დასხდომის, იხილა საქმე რაიმე მასვე /164v/ შინა[9] შჳდეულსა, რომელსა შინა აღეშენა სენაკი იგი. ხოლო საქმე იგი იყო რაიმე სავნოꙋ და არასარგებელი. და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: აღდეგით, წარვიდეთ ამიერ! და იგინი შეწუხნეს ფრიად და ეტყოდეს[10]: უკუეთუ ყოვლად გულსა გედვა წარსლვაꙋ ამიერ, რაꙋსათჳს ესოდენ დავშუერით ცუდად და ვაშენებდით სენაკსა[11] და ეგულების ჩუენდა მომართ[12] დაბრკოლებაꙋცა კაცთა და სიტყუად: აჰა ესერა, და[13] კუალადცა წარვიდეს დაუდგრომელნი იგი. იხილნა რაꙋ იგინი სულმოკლედ ბერმან, ჰრქუა მათ: დაღათუ დაჰბრკოლდენ ვიეთნიმე, არამედ სხუანი აღეშენნენ და იტყოდიან: ნეტარ არიან ესევითარნი იგი, რამეთუ ღმრთისათჳს ვლენან და ამიერსა ყოველსავე შეურაცხ-ჰყოფენ. ხოლო რომელსა ჰნებავს მოსლვაꙋ, მოვედინ, რამეთუ მე წარვალ. შეუვრდეს უკუე ძმანი იგი და ჰლოცვიდეს, რაꙋთა უბრძანოს მათცა და მას თანავე ვიდოდინ.

2. იტყოდეს კუალად მისთჳსვე, ვითარმედ ზედაꙋსზედა მიმოვალნ იგი და არარაꙋ აქუნდის[14] სხუაꙋ, თჳნიერ სახეველი ოდენ მალაკსა შინა.

3. ძმაꙋ ვინმე მივიდა მამისა აგათონისა[15] და ეტყოდა, რაꙋთა იყოს მის თანა. ხოლო ვითარცა მოვიდოდეს გზასა, პოვა მცირე ბავრუკი და მოართუა

---

[1] ჩუეულებასა] მოთმინებასა B. [2] ~ ვისამე მთავრისა B. [3] ფრიად – B. [4] ვითარცა – B. [5] ~მყის ინება E . [6] განხევ] განხეთქ E. [7] დაიჭირა] დაიმჭირა BCE. [8] აღაშენებ-და B. [9] შინა – C. [10] ეტყოდეს] იტყოდეს B. [11] ~სენაკსა ვაშენებდით C. [12] მომართ დაბრკოლებაꙋცა] მომართცა დაბრკოლებაꙋ E. [13] და – E. [14] აქუნდის] აქუნდინ B. [15] აგათონისსა C.

მას. ჰრქუა მას ბერმან: ვინაჲ ჰპოვე ბავრუკი ესე? მიუგო ძმამან[1]: გზასა ზედა ვჰპოვე, ვიდოდე რაჲ. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ აგათონს თანა მოსრულ ხარ ყოფად, რომელი არა დასდვა, ნუ აღიღებ[2]. და წარმგზავნა[3] იგი დადებად მუნვე, ვინაჲ მოიღო.

IV. იტყოდეს **მამისა გელასისთჳს**, ვითარმედ სიჭაბუკითგან მისით განშორებულსა და უპოვარსა ცხორებასა მისდევდა. ხოლო იყვნეს მათ ჟამთა შინა მრავალნი მათვე შინა[4] კერძოთა, რომელთა /165/ ეგევითარივე იგი მოქალაქობაჲ შეეტკბო, რომელთა თანა იყო და ბერიცა ვინმე, საკჳრველად წრფელი და სრულიად უპოვარი, რომელმან ერთსა ოდენ მარტოდ სენაკსა შინა დაყვნა ყოველნი დღენი ცხორებისა თჳსისანი[5] ვიდრე აღსასრულადმდე. და ესეღა, რამეთუ მოწაფენიცა მოიგნა სიბერესა შინა თჳსსა, გარნა ესოდენ იღუაწა მან, ვიდრეღა არა მოიგო ორი სამოსელი, არცა იზრუნა ხვალისა მის თანა მყოფითურთ ძმებით ვიდრე სიკუდილადმდე[6]. და რაჟამს იწყო გამოცხადებისა მიერ საღმრთოჲსა მამამან გელასი აღშენებად მონასტრისა, მოართუმიდეს მას დაბნებსა და მოიგნა სამსახურად[7] მონასტრისა კარაულებიცა და ჴარები, რამეთუ რომელი-იგი შეეწია დიდსა პახუმის აღშენებისათჳს მონასტრისა, შეეწია ამასცა[8]. ვინაჲცა ამას შინა რაჲ[9] ხედვიდა ზემოჴსენებული იგი ბერი და[10] აქუნდა მისა მიმართ სრული სიყუარული, ჰრქუა მას: მეშინის, მამაო გელასი, ნუსადა შეიკრას გულისსიტყუაჲ შენი მოგებისათჳს დაბათა და სოფელთაჲსა და სხჳსა მის სამსახურისა მონასტრისა. ჰრქუა მას მამამან გელასი: შე-სამე-ეკრას გონებაჲ[11] შენი სადგისსა მაგას, რომლით ჰკერავ, ვიდრე გონებაჲ გელასისი საჴმართა და საფასეთა წარმავალთა.

V. იტყოდეს **მამისა გიორგი განშორებულისათჳს**, ვითარმედ ოცდაათი წელი დაყო შიშუელმან უდაბნოთა შინა მიმოსლვასა.

VI. 1. თქუა **მამამან ევპრეპი,** ვითარმედ: ყოველივე ჰორციელი ნივთი არს ქუედამზიდვარი, რომელსა უყუარს სოფელი, უყუარან ნივთნიცა მისნი, ხოლო რომელსა არა უყუარდენ ნივთნი, უკუეთუ რაჲმე შეემთხჳოს ზღვევაჲ, გინა დაკლებაჲ, იხარებს იგი, რამეთუ განთავისუფლდა ზრუნვათაგან.

2. ძმამან ჰკითხა **მამასა ევპრეპის**[12] /165v/ სიცოცხლისათჳს. ჰრქუა მას ბერმან: თივაჲ ჭამე, თივაჲ შთაიცუ[13], თივაჲ დაიგე[14], ხოლო გული მარტოდ მოიგე რკინისაჲ, რაჲთა ყოველივე შეურაცხ-ჰყო.

VII. მამამან თეოდორე ფერმელმან მოიგო სამი წიგნი კარგი და მივიდა მამისა მაკარისა და ჰრქუა მას: მაქუს, მამაო, სამი წიგნი კარგი და

---

[1] ძმამან + მან E. [2] აღიღებ] აიღებ B. [3] წარმგზავნა] წარგზავნა BE. [4] ~ კერძოთა შინა E . [5] თჳსისანი] მისისანი BCE. [6] სიკუდილადმდე] სიკუდიდმდე C. [7] სამსახურად] სამსახურებელად C. [8] ამასცა] მასცა B. [9] ~ ხედვიდა რაჲ E. [10] და+რამეთუ C. [11] გონებაჲ შენი ... ვიდრე – B. [12] ევპრეპის] ევპრების C. [13] შთაიცუ] შთაჲცუ A. [14] დაჲგე] დაჲგე A.

ფრიად სარგებელ-მეყოფვის მათგან და ძმანიცა იჴმარებენ და სარგებელ-ეყოფვის მათ. მითხარ უკუე, რაჲ ვყო, დავიმჭირნე იგინი ჩემთჳს და ძმათა სარგებელისათჳს, ანუ განვყიდნე იგინი და განუყო გლახაკთა. ჰრქუა მას ბერმან: კეთილ არიან სიტყუანი, გარნა უმჯობეს არიან საქმენი. და რამეთუ უპოვარებაჲ უფროჲს არს ყოვლისა. ესე რაჲ ესმა მამასა თეოდორეს, წარვიდა და განყიდნა იგინი და განუყო გლახაკთა.

VIII. თქუა **მამამან ისიდორე**: ძნელ არს და მრავალკადნიერ საჴმართმოყუარებისა სურვილი, რომელმან ყოლად არცა თუ იცის განძღომაჲ და უკუანაჲსკნელთა ზედა ბოროტთა წარადგენს სულსა[1]. ჯერ არს უკუე პირველსავე ზედა სივლტოლაჲ მისგან, რამეთუ უკუეთუ ერთგზის დაემკჳდროს შენ თანა, გძლოს შენ და წარგწყმიდოს.

IX. 1. მამაჲ[2] ისაკ ეტყოდა ძმათა, რამეთუ: მამათა ჩუენთა და მამასა პამბოს ძუელი ეცჳს დაკერული სამწიროჲ და პალეკარტი სევინისაჲ[3], რომელ არს დათხზული ბაიაჲსაჲ[4], ხოლო აწ გაცჳეს მრავალსასყიდლისა სამოსლები. წარვედით ამიერ, რამეთუ მოაყივნეთ[5] ადგილი ესე! და კუალად ოდეს წარვიდოდიან ძმანი სამკალს, ჰრქჳს მათ: არღარა მოგცე თქუენ მცნებაჲ, რამეთუ არა იმარხავთ მას.

2. გჳთხრა ვინმე მამათაგანმან, ვითარმედ მოვიდა ძმაჲ ვინმე სენაკებისაჲ ეკლესიად /166/ მამისა ისაკისა, რომელსა ემოსა კუკული[6] ახალი. განდევნა იგი ბერმან და ჰრქუა მას: ესე ადგილი მონაზონთაჲ არს, ხოლო შენ ერისკაცი ხარ და ვერ ძალ-გიც აქა მკჳდრობად[7].

3. თქუა **მამამან ისაკ**, ვითარმედ: იტყოდა **მამაჲ პამბო**, რამეთუ ესევითარი უღირს მონაზონსა შემოსად სამოსელი, რაჲთა უკუეთუ დააგდოს იგი გარეგან სენაკისა სამ დღე, არავინ წარიღოს იგი სიჰავისაგან[8].

X. 1. თქუა **მამამან ისიდორე**: უკუეთუ გსურის სასუფეველისათჳს[9] ცათაჲსა, საჴმარნი შეურაცხ-ყვენ და საღმრთოსა მას სიყუარულსა შეუდეგ.

2. კუალად თქუა: შეუძლებელ არს ცხორებაჲ შენი ღმრთისამიერითა მით[10] ცხორებითა, გემოთმოყუარე თუ იყო ანუ ვეცხლისმოყუარჱ[11].

XI. გჳთხრა ჩუენ მამათაგანმან ვინმე **მამისა იოვანე სპარსისათჳს**, ვითარმედ: მრავლისა მისგან მადლისა საღმრთოჲსა, რომელ იყო მის ზედა, სრულიადსა უმანკოებასა მიიწია იგი. ესე მკჳდრ იყო არაბიას ეგჳპტისასა და ითხოვა ოდესმე ძმისაგან სესხებით ერთი დრაჰკანი, რაჲთა იყიდოს სელი ჴელთსაქმრად. და მოვიდა ძმაჲ ვინმე, ევედრა მას[12] და ჰრქუა: მანიჭე მე, მამაო, მცირე სელი, რაჲთა შევიქმნა თავისა ჩემისა სამოსელი. და მისცა მას

---

[1] სულსა] სულთა BE. [2] მამაჲ] ძმაჲ B. [3] სევინისაჲ] სევნისაჲ E. [4] ბაიაჲსაჲ] ბაჲაჲსაჲ AE. [5] მოაყივნეთ] მოაოჴრეთ B. [6] ~ კუკული ემოსა ახალი E. [7] მკჳდრობად] მკჳდრობაჲ BE. [8] სიჰავისაგან] სიავისაგან B. [9] სასუფეველისათჳს] სასუფევლისათჳს E. [10] მით – C. [11] ვეცხლისმოყუარჱ] ვეცხლისმოყუარე BCE. [12] მას – C.

სიხარულით. კუალად სხუაჲ მოვიდა, ჰლოცვიდა მას და ეტყოდა: მომეც მცირე სელი, რაჲთა ვიქმნე მე არდაგი. და მისცა მასცა ესრეთვე. და რაოდენთაცა სთხოეს[1] იგი, სიხარულით მისცემდა. უკუანაჲსკნელ მოვიდა პატრონი[2] იგი დრაჰკნისაჲ, გინა უფალი[3], და ჰრქუა მას: მამაო, მიჴმს მე დრაჰკარი იგი. ჰრქუა მას ბერმან: მე წარვიდე და მოვიღო იგი. და ვინაჲთგან არა აქუნდა, თუ სადაჲთ გარდაიჴადოს[4], აღდგა და /166v/ წარემართა მამისა იაკობისა[5], რომელი იყო წინამძღუარი კრებულისაჲ, რაჲთა ევედროს მას მიცემად მისა დრაჰკანი და მისცეს ძმასა მას. და ვითარცა მივიდოდა, პოვა დრაჰკანი მდებარჱ[6] გზასა ზედა. და არა შეეხო მას, არამედ ყო ლოცვაჲ და უკუმოიქცა სენაკადვე თჳსად. და აჰა კუალად მოვიდა ძმაჲ იგი და აწყინებდა მას დრაჰკანისათჳს[7]. ჰრქუა მას ბერმან: მე ვიზრუნო, ვინაჲთვე. და წარვიდა კუალად და პოვა დრაჰკანი იგი მუნვე, მასვე ადგილსა მდებარე და კუალადცა ყო ლოცვაჲ და უკუმოიქცა[8] სენაკადვე თჳსად. და აჰა, ძმაჲ იგი კუალადცა აჭირვებდა მას და ეტყოდა: მამაო, მიჴმს დრაჰკანი იგი. ჰრქუა მას ბერმან: ნანდჳლვე აწ მოვიღო იგი. და აღდგა და წარვიდა მასვე ადგილსა და პოვა დრაჰკანი იგი მუნვე მდებარედ[9], ყო ლოცვაჲ და აღიღო იგი და წარვიდა მამისა იაკობისა[10] და ჰრქუა მას: მამაო, მო-რაჲ-ვიდოდე შენდა, ვპოვე დრაჰკანი ესე გზასა ზედა, ყავ სიყუარული და მიუმცენ მოსაზღვრეთა ამის კერძისათა, ნუთუ ვინმე წარწყმიდა ეგე. და უკუეთუ იპოოს[11] უფალი მაგის დრაჰკნისაჲ, მიეც ეგე. წარვიდა უკუე ბერი და სამ დღე ქადაგებდა და არავინ იპოვა, რომელსამცა წარეწყმიდა დრაჰკანი. მაშინ ჰრქუა მამასა იაკობს ბერმან[12]: მამაო, უკუეთუ არავინ იპოვა, რომელსამე წარეწყმიდა დრაჰკანი ეგე, მივსცე მას, რომელსამე ძმასა, რამეთუ ზედამაც მისი. და მოვიდოდე შენდა თხოვად ქველისსაქმისა და გარდაჴდად ვალსა მას და ვპოვე ეგე გზასა ზედა. ესმა რაჲ ესე მამასა იაკობს, დაუკჳრდა ფრიად, თუ ვითარ ვალი ზედაედვა და პოვა რაჲ, არა მეყსეულად აღიღო და მისცა. და ამას ყოველსა ზედა ესეცა /167/ აქუნდავე საკჳრველი, რამეთუ უკუეთუ ვინ მოვიდის და სთხოვის რაჲმე საჴმარი, არა თავით თჳსით მისცის მას იგი, არამედ ჰრქჳს: წარვედ, ძმაო და აღიღე თჳთ თავით შენით, რაოდენი გიჴმს. და უკუეთუ ვინ მოიღის, კუალად ჰრქჳს: წარიღე და დადევ ეგე თჳსსა ადგილსა. ხოლო უკუეთუ არღარა მოიღის, რომელმან იგი წარიღის, ყოლადვე არარაჲ ჰრქჳს მას.

XII. იტყოდეს **მამისა იულიანესთჳს,** ვითარმედ სამეოცდაათი წელი[13] დაყო ერთსა შინა ქუაბსა მცირესა, რომელმან არარაჲ მოიგო ყოლად

---

[1] სთხოეს] სთოვეს E. [2] პატრონი] უფალი B. [3] გინა უფალი – BE. [4] გარდაიჴადოს] გარდაჲჴადოს BC. [5] იაკობისა] იაკობისსა E. [6] მდებარჱ] მდებარე BC. [7] დრაჰკანისათჳს] დრა ჰკნისათჳს BE. [8] უკუმოიქცა] უკუ მოიქცა E. [9] მდებარედ+და B. [10] იაკობისა] იაკობისსა C. [11] იპოოს] იპოვოს E. [12] ბერმან – B. [13] წელი] წელიწადი E.

საჴმართაგან ამის სოფლისათა, თჳნიერ პალეკარტი ფლასისაჲ და ერთი ჭილი და ერთი თასი შეშისაჲ.

XIII. 1. თქუა მამამან კასიანე, ვითარმედ: მთავართაგანი ვინმე მონაზონ იქმნა და სიმდიდრე თჳსი განუყო გლახაკთა, დაიმჭირა[1] რაჲზომიმე საჴმრადცა თავისა თჳსისა. და არა ინება სრულსა მორჩილებასა და სიმდაბლესა და უპოვარებასა შესლვაჲ და კანონსა მას ზოგადცხორებულთასა სრულსა შედგომაჲ, რაჲთამცა არა აქუნდა განთჳსებულად რაჲცა ვიდრე ნემსადმდეცა. რომლისა მიმართ დიდმანცა[2] ბასილი მიწერა სახჱ[3] ესევითარი, ვითარმედ: და მთავრობაჲცა წარსწყმიდე და მონაზონებაჲ ვერ ჰპოვე.

2. თქუა კუალად: იყო ვინმე მონაზონი, რომელი მკჳდრ იყო უდაბნოს ქუაბსა შინა. და მიუმცნეს მას ჴორციელთა მისთა ნათესავთა, ვითარმედ: მამაჲ შენი ძნელად სნეულ არს და მოკუდების. მოვედ, რაჲთა დაიმკჳდრო[4] მონაგები მისი. ხოლო მან მიუგო ესრეთ: მე უწინარეს მისსა მოვკუედ სოფლისაგან და მკუდარი ცოცხალსა[5] ვერ დაიმკჳდრებს[6].

XIV. წარვიდეს ოდესმე ძმანი **მამისა მაკარისა** სკიტეს და ვერარაჲ პოვეს სენაკსა შინა მისსა, თჳნიერ წყალი დაყროლებული და ჰრქუეს მას: გუალე, /167/ მამაო, და აღგიყვანოთ შენ დაბად და განგისუენოთ მუნ კეთილად. ჰრქუა მათ ბერმან: იცითა პურის საცხობელი იგი ვისიმე დაბასა მას შინა? ჰრქუეს მათ: ჰჱ! ჰრქუა მათ ბერმან: და მეცა ვიცი იგი. იცითა აგარაკი იგი მის ვისიმე, რომელსა სცემს მდინარე? ჰრქუეს მას: ჰჱ, ვიცით იგიცა. ჰრქუა მათ ბერმან: და მეცა ვიცი იგი. ოდეს უკუე მიჴმდეს აღმოსლვაჲ, თჳთ აღმოვალ და თქუენ მძღურად[7] არა მეჴმარებით.

XV. იტყოდეს **მამისა მოსესთჳს** სკიტეს, ვითარმედ: ოდეს ენება მას შესლვაჲ კლდესა მას, დაშურა სლვასა მას შინა და თქუა: ვითარ შეუძლო მე წყალსა ჩემსა აღმოღებად[8] აქა? და ვითარცა იგი ამას იგონებდა, მოიწია მისა ჴმაჲ, რომელი ეტყოდა: შეევედ და ნუ ზრუნავ. შევიდა უკუე მას შინა და დაემკჳდრა. და მივიდეს მისა ვიეთნიმე მამათაგანნი და არა აქუნდა მას[9] წყალი, თჳნიერ ერთი ოდენ სარწყული. და იქმოდა რაჲ იგი მცირედ ოსპნსა, წარაგო წყალი იგი და დაელია. შეწუხნა ბერი ამას[10] ზედა და შევიდის და გამოვიდის და ილოცვიდა იგი ღმრთისა მიმართ. და აჰა ესერა, ღრუბელი წჳმისაჲ მოვიდა კლდესა მას ზედა და აღავსნა ჭურჭელნი მისნი ყოველნი. შემდგომად ამისა ჰკითხვიდეს მას ბერნი: გჳთხარ ჩუენ, მამაო, რაჲსათჳს ზედაჲსზედა შეხჳდოდი და გამოხჳდოდი? ჰრქუა მათ ბერმან: სასჯელსა ვჰყოფდ[11] ღმრთისა თანა, რომელ არს სამართალი, ვითარმედ: მომიყვანე მე ადგილსა ამას და აწ უფალო, წყალი არა აქუს, რაჲთა სუან მონათა

---

[1] დაიმჭირა] დაჲმჭირა A. [2] დიდმან C. [3] სახჱ] სახე BCE. [4] დაიმკჳდრო] დაჲმკჳდრო A. [5] ცოცხლისასა BE. [6] დაიმკჳდრებს] დაჲმკჳდრებს A. [7] მძღურად] მოძღურად E. [8] ~ აღმოღებად წყალსა ჩემსა C. [9] მას – C. [10] ამას] მას B. [11] ვჰყოფდ] ვჰყოფდი E.

შენთა. და ამისთჳს შევიდოდე და გამოვიდოდე და ვევედრებოდე ღმერთსა, ვიდრემდის მომცა ჩუენ წყალი.

XVI. იტყოდეს **მამისა მეგეთისთჳს**, ვითარმედ: გამოვიდის სენაკით თჳსით და უკუეთუ ჰრქჳს გულისსიტყუამან /168/ წარსლვად მიერ ადგილით, არღარა უნდის კუალადქცევაჲ სენაკად. და რამეთუ არცა რაჲ აქუნდა ყოლადვე საჴმართაგან ამის საწუთროჲსათა[1], არამედ ერთი ოდენ საკერავი, რომლითა ხევნ ბაიასა[2] და რამეთუ შურებინ იგი დღე[3] ყოველ სამსა მალაკსა საზრდელად თჳსად.

XVII. 1. ჰკითხა ვინმე ძმამან **მამასა პისტამონს** და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ ვიჭირვი მე განსყიდასა შინა ჴელთსაქმრისასა. მიუგო ბერმან და ჰრქუა მას: და რამეთუ მამაჲცა სისოჲ და ყოველნივე წმიდანი მამანი განჰყიდდეს ჴელთსაქმარსა მათსა და ესე არა არს სავნებელი, თჳნიერ ოდეს განჰყიდდე ჭურჭელსა შენსა, თქუ ერთგზის ფასი მისი და უკუეთუ მცირედ გენებოს დაკლებაჲ ფასსა, ესე შენ ზედა არს. და ესრეთ ვჰგონებ, რომელ ჰპოო განსუენებაჲ.

2. კუალად ჰკითხა ძმამან: უკუეთუ მაქუნდეს ვინაჲვე საღუაწი ჩემი, გნებავსა, რაჲთა დაუტეო ჴელთსაქმარი[4]? ჰრქუა მას ბერმან: ჴელთსაქმარსა შენსა ნუ ოდეს დაუტეობ, არამედ რაოდენ ძალ-გედვას იქმოდე, თჳნიერ ნუ შფოთებით[5].

XVIII. 1. იტყოდეს **მამისა სილოვანესთჳს**, ვითარმედ გამოვიდა მოწაფე მისი ზაქარია თჳნიერ ცნობისა მისისა და აღიხუნა თანა ძმანი და დაარღჳა ღობე ბოსტნისაჲ და სხუაჲ ღობე მოდგა შორს-რე უფროესი[6]. ცნა ესე ბერმან და აღიკიდა მალაკი თჳსი და გამოვიდა და ჰრქუა ძმათა მათ: ლოცვა ყავთ ჩემთჳს. ხოლო მათ იხილეს რაჲ ბერი ესრეთ, შეუცჳვეს ფერჴთა და ეტყოდეს: გჳთხარ ჩუენ, მამაო, რაჲ არს საქმე ესე. ჰრქუა მათ ბერმან: არღარა შემოვალ შინა, არცაღა ჩამოვალს მალაკი ესე მჴართაგან ჩემთა, ვიდრემდის შემოსდგათ ღობე ეგე ადგილსავე თჳსსა, სადაცა იგი იყო პირველ. /168v/ ხოლო მათ შედგეს[7] მუნვე და ყვეს ყოველივე ესრეთ, ვითარცა იყო პირველ. და ესრეთღა ბერი უკუმოიქცა სენაკად თჳსად.

2. თქუა **მამამან სილოანოს**[8]: მე მონაჲ ვარ უფლისა ჩემისაჲ და უფალსა ჩემსა უბრძანებიეს ჩემდა ესრეთ: შენ შურებოდე ჴელთსაქმარსა ჩემსა და მე გზრდიო[9] შენ. და ნუ სადაჲთ ნუ ვისაგან ითხოვ, თჳნიერ ოდენ შურებოდე და გზრდი[10] შენ. აწ უკუე, უკუეთუ ვშურებოდი, სასყიდელსა ვჭამ ჩემსა, ხოლო უკუეთუ არა ვშურებოდი, სიყუარულსა ვჭამ სხჳსასა.

---

[1] საწუთროჲსათა] სოფლისათა E. [2] ბაიაჲსა] ბაჲასა AE. [3] დღე] ყოლადვე E. [4] ჴელთსაქმარი + ჩემი BE. [5] ნუშფოთებით] შფოთებისა B. [6] უფროესი] უფროჲსი BE. [7] შედგეს] შემოდგეს B. [8] სილოვანოს E. [9] გზარდო B. 10 გზრდიდი E.

XIX. ძმამან ჰკითხა **მამასა სერაპიონს** და ჰრქუა: მამაო, მარქუ მე სიტყუაჲ. ჰრქუა მას ბერმან: რაჲ გრქუა შენ, ძმაო, რამეთუ მოგიღებიეს ობოლთა და ქურივთაჲ და აღგივსიეს პატოჰანი[1] ეგე. რამეთუ იხილა სარკუმელი აღსავსე წიგნებითა.

XX. კითხულ იქმნა **სანატრელი სჳნკლიტიკი[2],** უკუეთუ სრულიად კეთილ არს უპოვარებაჲ. ხოლო მან მიუგო: ყოვლად სრულიად კეთილ არს იგი შემძლებელთათჳს. და რამეთუ რომელთა დაუთმონ მაგას, ჭირი აქუს ჴორცთაჲ[3], ხოლო სული მათი ფრიად განსუენებულ არს. რამეთუ ვითარცა სახედ მდგმოჲ და მაგარი ტანისამოსი, ვითარცა ვის უნდეს ესრეთცა და განირცხების ცემითა და ურიდად ქცევითა და სხჳთა ყოვლითავე ესევითარითა სახითა, ესრეთვე სული უპოვართაჲ მოწევნასა ზედა ძჳრთასა, რომელი-იგი ნეფსითისა მიერ სიგლახაკისა შეემთხუევის, უმეტეს და უმეტეს განმტკიცნების.

XXI. თქუა **მამამან ჳპერექი[4]**: საუნჯე არს დიდძალი მონაზონისაჲ ნეფსითი[5] უპოვარებაჲ. დაიუნჯე[6], ძმაო, ცათა შინა სიმდიდრჱ[7] შენი, რამეთუ დაუსრულებელ არიან განსუენებისა იგი საუკუნენი.

XXII. იყო ვინმე წმიდათაგანი, სახელით **ფილაღრიოს**. ესე მკჳდრ იყო უდაბნოსა /169/ იერუსალჱმისასა, იქმოდა და შურებოდა იგი[8] ჴელთსაქმარსა თჳსსა, რაჲთა მიერ იზარდებოდის. დღესა ერთსა აღვიდა წმიდად ქალაქად განსყიდად ჴელთსაქმრისა[9] თჳსისა[10]. და აჰა ესერა, დაჰვარდა ვისმე გუადრუცი, რომელსა შინა იდვა ათასი დრაჰკანი. და ვითარცა მდგომარე იყო ბერი სავაჭროს[11], პოვა ჭურჭელი იგი დრაჰკნითა და დადგა მასვე ადგილსა და მოელოდა მეძიებელსა მისსა. და აჰა ესერა, მოვიდა კაცი იგი მოტირალი[12] და შეწუხებული ფრიად. და განიყვანა იგი ბერმან თჳსაგან და მისცა იგი. ხოლო კაცსა მას ენება, რაჲთა მისცეს ბერსა კერძოჲ რაჲმე საფასოჲსაჲ[13] მის. გარნა ბერმან არცა თუ მოისმინა ესე. და კაცმან მან იწყო ჴმობად და იტყოდა: მოვედით და იხილეთ კაცი ღმრთისაჲ და თუ რაჲ-ესე ყო ჩემ ზედა. ხოლო ბერი[14] ივლტოდა[15] ფარულად და განვიდა ქალაქით, რაჲთა არა იდიდოს კაცთაგან.

XXIII. იტყოდა **მამაჲ ზოილე**, მღდელი ტამიათისაჲ[16], ვითარმედ: მამაჲ ჩემი ნათანაელ მითხრობდა, რამეთუ შჳდნი სხუანი დიდებულნი სჳნკლიტიკოსნი[17] აღეშურვნეს მამასა არსენის, მოვიდეს ჰრომით და მონაზონ იქმნნეს სკიტეს, რომელთა ესოდენსა სიმდაბლესა და სიგლახაკესა მისცნეს თავნი მათნი,

---

[1] პატოჰანი] არმარი B. [2] სჳნკლიტიკი] სჳნკლიტიკე BE. [3] ჴორცთა B. [4] უპერიქე BC; იპერიქე E. [5] ნეფსითი] ნეფსით E. [6] დაიუნჯე] დაჲუნჯე A. [7] სიმდირჱ] სიმდირე BCE. [8] იგი – BE. [9] ჴელთსაქმრისა] ჴელთსაქმარსა E. [10] თჳსისა] თჳსსა E. [11] სავაჭროს] სავაჭროსა B. [12] მოტირალი] მტირალი B. [13] საფასოჲსაჲ] საფასისაჲ BE. [14] ბერი +განვიდა და B. [15] განვლტოდა E. [16] ტამიათისაჲ] ტომიათისაჲ C. [17] სჳნკლიტიკოსნი] სჳკლიტიკოსნი C.

ვიდრეღა[1] ჭურჭლად მათდა უდარესთა მათ იძრვისთა ძუალსა იჴუმევდეს, ვჰგონებ თუ კუჲსასა იტყჳს, რაჲთა იხილოსო[2] ღმერთმან ცათამან შრომაჲ ჩუენი და მოწყალე გუექმნეს და შეგჳნდვნეს შეცოდებანი ჩუენნი.

1. ენება ვისმე ძმასა მონაზონებისა[3] და ჰრქუა ბერსა ვისმე: მამაო, მნებავს მონაზონების[4]. ჰრქუა მას ბერმან: ვერ ძალ-გიც. ხოლო მან მიუგო: ძალ-მიც. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ გნებავს მონაზონების, წარვედ და განაბნიე, რაჲცა გაქუს და მერმე მოვედ და დაჯედ სენაკსა ამას. წარვიდა ძმაჲ იგი და განაბნია /169v/ ყოველივე, რაჲცა აქუნდა და განუყო გლახაკთა, თჳნიერ ასი ოდენ დრაჰკანი დაიმჭირა[5] თავისა თანა თჳსისა და ესრეთ მოვიდა ბერისა. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და დაჯედ სენაკსა შინა შენსა. წარვიდა ძმაჲ იგი და დაჯდა. და ვითარცა დაჯდა იგი, ჰრქუეს მას გულისსიტყუათა: კარი ესე ძუელი არს სენაკისაჲ და უნა გამოცვალებაჲ. და მივიდა და უთხრა ბერსა: მამაო, გულისსიტყუანი მერჩიან, კარი ძუელი არს სენაკისაჲ და უჴმს[6] გამოცვალებაჲ. ჰრქუა მას ბერმან: არა გარქუა, თუ განაბნიე, წარვედ და განაბნიე და[7] მოვედ და დაჯედ აქა! ხოლო იგი წარვიდა და განუყო ოთხმოცდაათიცა[8] იგი დრაჰკანი და მოვიდა და ჰრქუა ბერსა: აჰა ესერა, განვაბნიე. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და დაჯედ სენაკსა შინა შენსა. ხოლო იგი წარვიდა და დაჯდა. და ვითარცა დაჯდა, ჰრქუეს გულისსიტყუათა: სართული ესე ძუელი არს სენაკისაჲ, ჯერ-იყო სხჳსა შემზადებაჲ. მივიდა და უთხრა ბერსა. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და განაბნიე და იჯმენ ყოვლისაგანვე. წარვიდა ძმაჲ იგი და განსცა[9] ათიცა[10] იგი დრაჰკანი და მოვიდა ბერისა და ჰრქუა: აჰა ესერა, მამაო, ვიჯმენ ყოვლისაგანვე ბრძანებისაებრ შენისა. ჰრქუა მას ბერმან: კეთილ, შვილო, და[11] დაჯედ აწ სენაკსა შინა შენსა. და ვითარცა დაჯდა იგი, ჰრქუეს მას გულისსიტყუათა: ყოვლითურთ ძუელი არს სენაკი ესე და მოვალს ლომი და შემჭამს მე. და მიუთხრნა ბერსა გულისსიტყუანი თჳსნი. ჰრქუა მას ბერმან: მე[12] ესრეთ მთნავს, რაჲთა დამეცეს[13] ზედა სენაკი ჩემი და მოვიდეს ლომი და შემჭამოს მე და განვერე ამიერისა ამისგან ცხორებისა. წარვედ უკუე და დაჯედ სენაკსა შინა შენსა და ილოცევედ ღმრთისა მიმართ, რაჲთა შეგიწყალოს.

2. /170/ იყო ვინმე ბერი უძლური და ვითარცა არა[14] აქუნდა საღუაწი, არცა მოღუაწე, შეივედრა იგი მამამან მონასტრისამან და განუსუენა მას და ეტყჳნ[15] ძმათა: ვიღუაწოთ, ძმანო, რაჲთა განუსუენოთ უძლურსა ამას ბერსა. ხოლო უძლურსა მას აქუნდა კოჭობი სავსე დრაჰკნითა და აღმოთხარა

---

[1] ვიდრეღა] ვითარმედ E. [2] იხილოსო] იხილოს C. [3] მონაზონებისა] მონაზონებაჲ C. [4] მონაზონების] მონაზონებაჲ C. [5] დაიმჭირა] დაჲმჭირა A. [6] უჴმს] უნა E. [7] და – BCE. [8] ოთხმოცდაათიცა] ოთხმეოცდაათი C. [9] განსცა] გასცა E. [10] ათიცა] ათი C. [11] და – BC. [12] მე – E. [13] დამეცეს + ჩემ B. [14] არაჲ C. [15] ეტყჳნ] ეტყჳედ B.

ქუეშე ცხედარსა მისსა და დაჰფლა იგი, ვინაჲცა შემდგომად მცირედთა დღეთა მოკუდა იგი და არა აღიარა, არცა ვის უთხრა ყოლად. და ვითარცა დაჰფლეს იგი, უბრძანა მამამან ძმათა, რაჲთა მოჰკაზმონ ადგილი იგი სადაცა მდებარე[1] იყო უძლური იგი. და ვითარცა ჰკაზმვიდეს[2], პოვეს ოქროჲ იგი. ჰრქუა ბერმან ძმათა: უკუეთუ სიცოცხლესა შინა თჳსსა არა აღიარა და[3] არცაღა[4] სიკუდილსა შინა მისსა თქუა, არამედ მაგისა მიმართ აქუნდა სასოებაჲ, დასტურად არა შევეხო მაგას, წარიღეთ ეგე და დაჰფალთ[5] მის თანავე. და[6] გარდამოჰდა ცეცხლი ზეცით და მრავალთა დღეთა სწუვიდა საფლავსა მას წინაშე ყოველთა[7] და ყოველთავე, რომელნიცა ხედვიდეს, დაეცა შიში და ზარი[8], უკჳრდა ესე ფრიად და ადიდებდეს ღმერთსა.

3. ჭაბუკსა ვისმე ენება სოფლით გამოსლვაჲ და მრავალგზის გამოვიდის წარსლვად მონასტრად და შეაქციან იგი გულისსიტყუათა და ზრუნვათა სოფლისათა და რამეთუ იყოცა იგი მდიდარ ფრიად. დღესა უკუე ერთსა აღდგა და გამოვიდა იგი. გარემოადგეს მას ეშმაკნი და გულისსიტყუანი და ყოვლითა ღონითა ისწრაფდეს კუალადცა შექცევად მისა. იხილა რაჲ მან თავი თჳსი კუალადცა[9] ძლეული მათგან, აღიძარცუა მყის[10] სამოსელი თჳსი და განაგდო იგი[11] მისგან. და ესრეთ ყოლად სრულიად შიშუელი წარემართა მონასტრად. ხოლო ერთსა ვისმე დიდთა ბერთაგანსა გამოუცხადა ღმერთმან და ჰრქუა: აღდეგ ადრე /170v/ და შეიწყნარე მოღუაწე იგი სახელისათჳს ჩემისა. აღდგა ბერი და მიეგება მას და ისწავა რაჲ საქმე მისი, დაუკჳრდა მისთჳს[12] ფრიად, წარიყვანა იგი და შეჰმოსა მას[13] სახჱ[14] მონაზონებისაჲ. ხოლო უკუეთუ ვინ[15] მოვიდის ბერისა კითხვად[16] გულისსიტყუათა თჳსთა[17], ყოვლისავეთჳს[18] სიტყჳსა მისცემნ პასუხსა, გარნა სოფლით გამოსლვისათჳს არა, არამედ ჰრქჳს: ამას ძმასა ჰკითხეთ, თუ ვითარ ჯერ არს სოფლით გამოსლვაჲ.

4. ბერსა ვისმე ევედრა ვინმე, რაჲთა მიიღოს საფასე საჴმარად[19] თავისა თჳსისა, ხოლო მან არა მიიღო, არამედ ჰრქუა: კმა არს ჩემდა ჴელთსაქმარი ჩემი. დაადგრა უკუე კაცი იგი ვედრებასა ზედა, რაჲთა ბარე სხუათა საჴმრად მიიღოს იგი. ჰრქუა მას ბერმან: ორკეცი სირცხჳლი არს, ძმაო, საქმე ეგე: ერთად, რაჲთა მივიღო, რომელი არა მიჴმს და მეორედ, რაჲთა უცხოსა ზედა ქველისსაქმესა ვზუაობდე.

---

[1] მდებარე] მწოლარე BE. [2] ჰკაზმვიდეს] ჰკაზმიდეს B. [3] და – B. [4] არცაღა] არცა B. [5] დაჰფალთ] დაჰფალით B. [6] და +ვითარცა დაჰფლეს BE. [7] ყოველთასა C. [8] ზარი + და B. [9] კუალადცა] კუალად E. [10] მყის – B. [11] იგი – E. [12] მისთჳს] საქმე მისი C. [13] მას – C. [14] სახჱ] სახე BCE. [15] ვინ] ვინმე B. [16] ~ კითხვად ბერისა C. [17] გულისსიტყუათა თჳსთა] გულისსიტყუათათჳს B. [18] ყოვლისავეთჳს] ყოვლისათჳს B. [19] საჴმრად] საჴმრად BCE.

5. მოვიდა ვინმე მდიდარი და დიდებული უცხოჲ და მოიღო მის თანა ფრიადი[1] ოქროჲ სკიტეს და ევედრა ხუცესსა სკიტისასა, რაჲთა განუყოს იგი ძმათა. ჰრქუა მას მღდელმან: არა უჴმს ეგე ძმათა. და ვითარცა აიძულა[2] მას ფრიად, შთაასხა ოქროჲ იგი ზამბილსა შინა[3] და დადგა სარკუმელსა[4] ეკლესიისასა. ჰრქუა მღდელმან ძმათა: ვისცა უჴმს ოქროჲ, აღიღენ მან აქაჲთ. და არცა ერთი ვინ მიეახლა მას ყოლად, ხოლო ვიეთმე არცა თუ ყოლად მიხედნეს. მერმე ჰრქუა მღდელმან კაცსა მას: შეიწირა ღმერთმან სიყუარული[5] და სარწმუნოებაჲ შენი, აღიღე უკუე ესე და წარიღე და განუყავ გლახაკთა. და ფრიად სარგებელ ეყო კაცსა მას და ესრეთ წარვიდა[6].

6. ბერსა ვისმე მოართუა ვინმე საფასე და ჰრქუა: იჴმარე, ბერო, ესე[7], რამეთუ /171r/ მო/ხუცებულ ხარ და უძლურ. და რამეთუ იყოცა ბერი განკეთროვნებულ. მიუგო ბერმან და ჰრქუა მას: და ამისთჳს მოხუედა შენ, რაჲთა რომელსა-იგი უზრდივარ სამეოცსა ამას წელსა, დღეს მიმიღო[8] იგი ჩემგან? და რამეთუ აჰა ესერა, ესოდენთა ამათ წელთა არცა ერთისა ვისდა შეუპოვნებივარ ღმერთსა, არამედ თჳთ მზრდის მე სახიერი იგი და კაცთმოყუარე, თჳსთათჳს ურიცხუათა მოწყალებათა. და არცა ერთისა რაჲს თავს-იდვა ყოლად მიღებაჲ.

7. გჳთხრეს ჩუენ ბერთა მებოსტნისა ვისთჳსმე, ვითარმედ შურებოდა იგი და ყოველსავე მას ნამუშაკევსა თჳსსა გასცემდა სიყუარულისათჳს და არარას ყოლადვე[9] დაიმჭირვიდა[10] თჳნიერ საზრდელისა თჳსისა. ხოლო უკუანაჲსკნელ შთაუგდო ეშმაკმან გულსა და ჰრქუა: შეიკრიბე თავისა შენისა მცირედ[11] კერმაჲ, ნუუკუე დაჰბერდე, ნუუკუე დაუძლურდე და გიჴმდეს წარსაგებელად რადმე საჭიროდ. იწყო უკუე და შეკრიბა[12] და აღავსო ლაგჳნტარი ერთი ფოლითა. ხოლო ესე რაჲ ესრეთ იქმნა და ესრე სახედ შეემთხჳა მებოსტნესა მას სნეულებაჲ და დაჰლპა სრულიად ფერჴი მისი და წარაგო ყოველივე[13] იგი კერმაჲ მკურნალთა ზედა და ყოლადვე არარას სარგებელ ეყო მას. უკუანაჲსკნელ მოვიდა ვინმე მკურნალი ჴელოვანი და ჰრქუა მას: უკუეთუ არა მოიკუეთოს[14] ფერჴი შენი, დალპენ[15] ყოლად სრულებით ყოველნივე ჴორცნი შენნი. და განემზადა იგი მოკუეთად ფერჴისა. ხოლო ღამესა მას მოეგო თავად თჳსად და შეინანა საქმე იგი, რომელი ქმნა, სულთ-ითქუნა და[16] აღტირდა[17] და თქუა: მოიჴსენე[18], უფალო, პირველი იგი საქმე ჩემი თუ ვითარ ვშურებოდე და მივსცემდი ძმათა. და ესე რაჲ თქუა მან, მეყსეულად დაადგა მას /171v/ ანგელოზი უფლისაჲ და

---

[1] ფრიადი] ფრიად B. [2] აიულა] ჲძულა A. [3] შინა – B. [4] სარკუმელსა + შინა B. [5] სიყუარული – C. [6] ~ წარვიდა ესრეთ C. [7] ესე, რამეთუ] ესერა E. [8] მიმიღო] მო-მიღო E. [9] ~ყოლადვე არარას B. [10] დაიმჭირვიდა] დაჲმჭირვიდა AC. [11] მცირედ] მცირე E. [12] შეკრიბა] შეიკრიბა E. [13] ყოველივე] ყოველი C. [14] მოიკუეთოს] მოიკუეთო B. [15] დალპენ] დაჰლპენ C. [16] და – B. [17] აღტირდა] აღიხილნაC. [18] ამ ადგილას C ნუსხა ნაკლულია.

ჰრქუა: სადა არს კერმაჲ იგი, რომელ შეჰკრიბე, ანუ სადა არს სასოებაჲ იგი, რომელ განიზრახე? მაშინ გულისჴმა-ყო საქმე იგი და თქუა: ვცოდე, უფალო, შემინდვე მე და ამიერითგან სხუაჲ არღარა ვყო ესევითარი. მაშინ შეახო ანგელოზმან უფლისამან ჴელი ფერჴსა მისსა და მეყსეულად განიკურნა იგი. აღდგა მსწრაფლ განთიად და წარვიდა მუშაკობად ბოსტანსა მას თჳსსა და მტილსა. მოვიდა უკუე განთიად მკურნალი იგი აღთქუმისაებრ თჳსისა საკუეთელთა თანა თჳსთა და მახჳლთა, რაჲთა გარდაჰკუეთოს ფერჴი მისი და ვითარცა ვერ პოვა იგი, ჰკითხვიდა მახლობელთა მისთა: სადა არს უძლური იგი? ხოლო მათ ჰრქუეს: განთიად, ვიდრე ბნელღა იყო, წარვიდა იგი მუშაკობად თჳსსა აგარაკსა. მაშინ განცჳბრდა მკურნალი იგი საქმესა მას ზედა და წარვიდა მოხილვად მისა, სადა-იგი მუშაკობდა. და იხილა იგი, რამეთუ თხრიდა ქუეყანასა და განკჳრვებული ჰმადლობდა ღმერთსა, რომელმან ზეშთა[1] ყოვლისა სასოებისა მიანიჭა მას სიმრთელჱ[2].

8. ჰკითხა ძმამან ბერსა და ჰრქუა: გნებავსა, მამაო, რაჲთა დავიმარხო თავისა ჩემისა ორი დრაჰკანი უძლურებისათჳს ჴორცთაჲსა? ჰრქუა მას ბერმან: არა კეთილ არს დამარხვაჲ მეტსა[3] საჴმრისასა. და რამეთუ უკუეთუ დაჰმარხო ორი იგი დრაჰკანი, სასოებაჲ შენი მისა მიმართ იპოების. და უკუეთუ მოჰჴდეს წარწყმედაჲ მათი, არღარა ზრუნავს მერმე შენთჳს ღმერთი. ყოველი უკუე სასოებაჲ ჩუენი ღმრთისა მიმართ მივაგდოთ, რამეთუ იგი ზრუნავს ჩუენთჳს ყოლადვე[4] ყოველსავე.

9. მოვიდეს ოდესმე ელენნი მიცემად სიყუარულისა და თანაწარიყვანნეს ჴელისუფალნი მონასტერთანი, რაჲთა უჩუენებდენ, რომელთა-იგი საჭიროდ უჴმს. და წარიყვანნეს იგინი განგონჯებულისა ვისმე /172/ თანა და მიუპყრეს მას მისაცემელი იგი. ხოლო მან არა თავს-იდვა მიღებად, არამედ ჰრქუა მათ: აჰა ესერა, მცირესა ამას ვთხზავ ბაიასა[5] და ვჭამ პურსა ნაბოძვარსა ღმრთისასა და კმა არს ჩემდა. და კუალად მიუძღუეს მათ სენაკად ქურივისა ვისმე ერთისა, რომელსა ესუა შვილი. და ვითარცა დაჰრეკეს კარსა, ესმა შინაკერძო ასულსა მისსა, რომელი მჯდომარე იყო შიშუელი და რამეთუ დედაჲ მისი წარსულ იყო საქმედ სარცხელსა, რამეთუ იყო იგი მრცხელ. და მისცეს მას სამოსელი და კერმაჲ. ხოლო მან არა მიიღო, არამედ ჰრქუა[6], რამეთუ: მოვიდა დედაჲ ჩემი და მრქუა მე: მჴნე იქმენ, შვილო, რამეთუ ინება ღმერთმან და ვპოვე დღეს საქმე, რომლისაგან გამოვიზარდნეთ ჩუენ. და ვითარცა მოვიდა დედაჲ ქალისაჲ მის, ჰლოცვიდეს მას რაჲთა მი-რაჲმე-იღოს. ხოლო მან არა ინება ყოფად ესე. არამედ ჰრქუა, რამეთუ: მაქუს მოურნე ჩემი და[7] მზრდელი ღმერთი და ვითარ აწ გნებავს თქუენ მიღებაჲ

---

[1] ზეშთა] ესთაE. [2] სიმრთელჱ] სიმრთელე BCE. [3] მეტსა] მეტისა B. [4] ყოლადვე + და E. [5] ბაისა] ბაჲასა A. [6] ჰრქუა + მათ B. [7] და მზრდელი – BE.

მისი ჩემგან. იხილეს რაჲ მათ და ესმა სარწმუნოებაჲ მისი[1], ადიდებდეს ღმერთსა.

10. გჳთხრეს ჩუენ მამათა ესე, ვითარმედ იყო ვინმე ბერი დიდთა მადლთა ღირსქმნული ღმრთისაგან და იქმნა დიდად განთქუმულ სახელი მისი სათნოებათათჳს და მოქალაქობისა მისისა. ხოლო მიიწია ჰამბავი და სახელი მისი ვიდრე თავადად მეფედმდე. მიავლინა უკუე მეფემან და მიიყუანა ბერი იგი თავისა თანა თჳსისა, რაჲთა იკურთხოს მისგან და ღირს იქმნეს ლოცვასა მისსა. და ვითარცა ეზრახა მას მრავალსა და ფრიად სარგებელ ეყო, მერმე მოართუა მას ოქროჲ. ხოლო ბერმან მიღო იგი და წარვიდა საყოფელად თჳსა და იწყო მოკაზმვად აგარაკსა და სხუასა მოგებად უკეთესსა, რომელსა ამას ზედა მოიყვანეს ეშმაკეული, რაჲთა განჰკურნოს ჩუეულებისაებრ პირველისა. ჰრქუა ბერმან ეშმაკსა მას: განვედ დაბადებულისაგან[2] ღმრთისა! /172v/ ჰრქუა მას ეშმაკმან: არღარა გისმენ. ჰრქუა მას ბერმან: რად? ჰრქუა მას ეშმაკმან: ამისთჳს, რამეთუ იქმენ ვითარცა ერთი ჩუენგანი და დაუტევე ჴსენებაჲ ღმრთისაჲ და მიეც თავი შენი ზრუნვათა ქუეყანიერთა[3], ამისთჳს არღა გისმენ, არცაღა გამოვალ აქაჲთ.

11. პოვა ძმამან[4] შეშაჲ გზასა ზედა, რომელი დაჰრდომოდა აქლემსა შეშითა ტჳრთულსა და მოიღო იგი სენაკად. ჰრქუა მას ბერმან: ვინაჲ მოიღე ეგე? მიუგო ძმამან: გზისაგან. ჰრქუა მას ბერმან[5]: უკუეთუ ქარისაგან ჰპოო მოლეწილი, იგი მოიღე, ეგე[6] კულა წარიღე და დადევ თჳსსავე[7] ადგილსა.

12. მოღუაწე ვინმე იყო და იბრძოლა ვეცხლისმოყუარებისაგან. ამან შექმნა ჴელთსაქმრითა თჳსითა ერთი დრაჰკანი, მერმე ორი, მერმე სამი, მერმე ისწრაფა და შექმნა იგი[8] ხუთად და მეყსეულად შევარდა იგი სნებასა ფიცხელსა და დაჰლპა ყოლად ფერჴი მისი. მერმე იწყო გამოღებად დრაჰკნისა და წარაგო ერთი და არარაჲ[9], და წარაგო მეორე და არარაჲვე, ვიდრემდის წარაგნა ხუთნივე[10] და არცა ერთი რაჲ სარგებელი პოვა, ვინაჲთგან უკუე დიდად[11] განფიცხნა სენი იგი. მო-ვინმე-ვიდა მკურნალი გამოცდილი და ჰრქუა მას: მოკუეთაჲ უნა, ბერო, ფერჴსა შენსა, თუ არა, ყოველი გუამი შენი დალპოლვად არს. და მისცა თავი თჳსი მოკუეთად. და აჰა ესერა, ღამესა მას ტიროდა რაჲ იგი, დაადგა[12] მას ანგელოზი უფლისაჲ და ვითარცა შეიპყრა იგი განკჳრვებამან, მიყო ჴელი თჳსი ანგელოზმან მან წუთხსა მას და წალასა ფერჴისასა და გამოწყო[13] იგი. მერმე ჰრქუა მას: რასა იტყჳ აწ შეჰქმნაღაა[14] თავისა შენისა ხუთი[15]? და მეყსეულად

---

[1] მისი] მათი E. [2] აქედან C ნუსხა ისევ გრძელდება. [3] ~ქუეყანიერთა ზრუნვათა B. [4] ძმამან] ბერმან C. [5] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 93r-ზე. (აკინძვის შეცდომა). [6] ეგე +უკუეთუ არა B. [7] თჳსსა E. [8] იგი – C; ~ იგი ხუთად E. [9] არარაჲ + ერგო B. [10] ხუთნივე + დრაჰკანნი BE. [11] დიდად] და C. [12] დაადგრა B. [13] გამოუწყო B. [14] შეჰქ-მენაღა E. [15] ხუთი + დრაჰკანი E.

განჰკურნა იგი/173/ და თჳთ უჩინო იქმნა. ხოლო ვითარცა იქმნა დღე, მოვიდა მკურნალი იგი, დაჰრეკა კარსა, აღდგა იგი და მიეგება მას. იხილა რაჲ იგი ესრეთ მკურნალმან მან, დაუკჳრდა და ვითარცა ისწავა ყოველივე ზედამიწევნით[1], იქმნა იგი ქრისტეანე, რამეთუ პირველ წარმართი იყო იგი და მეკერპჱ[2].

13. ბერმან თქუა: კაცმან, რომელმან იხილოს გემოჲ უპოვარებისაჲ, მძიმე უჩნს სამოსელიცა, რომელ ჰმოსიეს და ეწყინების თასიცა სასუმელი წყლისაჲ ამისთჳს, რამეთუ გონებაჲ მისი სხუაგან შექცეულ არს.

14. კუალად თქუა: რომელმან[3] ნივთნი სოფლისანი არა მოიძულნეს, ვითარ მოიძულოს მან სული თჳსი მცნებისა მისებრ სამეუფოჲსა.

15. თქუა ბერმან: ნუ გაქუს სენაკსა შინა შენსა მეტი სამოსელი ზეკიდებულად, რამეთუ სიკუდილი არს იგი სულისა შენისაჲ ამისთჳს, რამეთუ მრავალთა სხუათა ცივ ეყვის შენსა უმართლესთა და შენ, ცოდვილსა, ნამეტნავად გაქუს[4].

16. კუალად თქუა: ნუ მოიგებ სენაკსა შინა შენსა ჭურჭელსა რასმე ცუდად მდებარესა ვიდრე ერთ ნემსადმდეცა[5], თუ არა, სიტყუაჲ მიგეჴადების მისთჳს.

17. თქუა კუალად: ნუ მოიგებ ოქროსა ყოველსა შინა ცხორებასა შენსა, თუ არა, არღარა ზრუნავს ღმერთი შენთჳს. და უკუეთუ სადაჲთმე დაგივრდეს[6], უკუეთუ საჭიროდ გიჴმდეს იგი[7] საზრდელისათჳს, გინა სამოსლისა, მეყსეულად იყიდე იგი, უკუეთუ კულა არა გიჴმდეს, ნუმცა დაიძინებს[8] შენ თანა.

18. კუალად თქუა: უკუეთუ გაქუნდეს სენაკი, რომელსა ეტეოდის თავი შენი, ნუ აღაშენებ სხუასა ყოლადვე, რაჲთა მუნ ჰპოვო სივრცე და განსუენებაჲ.

19. თქუა კუალად: უკუეთუ მოიგო წიგნი, ნუ შეამკობ გარე შესამოსელსა მისსა[9] და ნუ მოიგებ დიდფასისა[10] კრეტსაბმელსა სალოცავსა შინა შენსა.

20. /173v/ კუალად თქუა[11]: ჭურჭელსა ვეცხლისა[12], გინა ოქროჲსასა ყოლადვე ნუ მოიგებ სენაკსა შინა შენსა, ნუცაღა მცირესა რას.

21. თქუა კუალად[13]: ტანისამოსი[14] ახალი ნუმცა შეემოსების ჰორცთა შენთა, ვიდრე ჩაფხუტად უნდოდცა.

22. კუალად თქუა: მანდილსა ნუ ჩამოკიდებ სარტყელსა შენსა, რამეთუ ესე ყოველი დაახრწევს ლმობიერებასა და იოტებს გლოვასა შენგან და რაჲთა

---

[1] ზედამიწევნით] ზედამიწევნულ B. [2] და მეკერპე- B; მკერპე E. [3] რამეთუ C. [4] გაქუს + ზეკიდებული B; ზეკიდებულად E. [5] ნემსამდეცა B. [6] დაგივარდეს C. [7] იგი- B. [8] დაიძინებს] დაჲძინებს A. [9] შესამოსელსა მისსა] სამოსელსა მისა B. [10] დიდფასისასა B. [11] ეს თხრობა B ნუსხაში გადასმულია მომდევნო თხრობის შემდეგ. [12] ~ ოქროჲსა გინა ვეცხლისასა B. [13] ~ კუალად თქუა B. [14] ტანისამოსი] ტანის სამოსელი B.

მოკლედ ვთქუა: ყოველივემცა საჴმარი[1] შენი და საგებელი და ჭურჭელი და ფერჴთა შესასხმელი და სარტყელი და რაჲთურთით ყოველივე[2] სამსახური შენი ესევითარიმცა არს, რომელ უკუეთუ მოვიდენ ავაზაკნი გინა მპარავნი წარღებად, არაჲ[3] მოაშუნდეს მათ, არცა რაჲ სთნდეს სენაკისაგან შენისა.

23. თქუა კუალად[4]: უკუეთუ გაქუს[5] რაჲმე ჭურჭელი, გინა დანაჲ, გინა ეჩოჲ[6], ანუ თოჴი, ანუ სხუაჲ რაჲმე ესევითარი და იხილო, რამეთუ შეკრულ არს ბუნებაჲ შენი სიყუარულითა მისითა, განაგდე იგი შენგან, რაჲთა ასწაო გონებასა შენსა არარაჲსა სხჳსა სიყუარული თჳნიერ ოდენ[7] ქრისტესი.

24. კუალად თქუა: უკუეთუ მისცე ქველისსაქმე და შეგაურვებდეს მისთჳს გული შენი, ვითარმედ დიად მიეც, ყოლადვე ნუ მიხედავ[8] მას, რამეთუ საეშმაკოჲ არს ესევითარი გულისსიტყუაჲ. თჳნიერ რაოდენ ძალ-გედვას სიგლახაკით და სიმდაბლით ცხოვნდებოდე, რაჲთა უფროჲსღა შენ გიჴმდეს ქველისსაქმე. და რამეთუ რომელი მისცემდეს, იხარებს გული მისი და იგონებს, ვითარმედ კეთილსა იქმს, ხოლო რომელსა არა აქუნდეს, არამედ სიგლახაკით იყოფვოდის[9], დიდად სიმდაბლედ მოვალს იგი და იგონებს, რამეთუ ვერარას კეთილსა საქმესა იქმს, ვერცა რას ვის მისცემს, არამედ უფროჲსღა მცნებასა /174/ ითხოვს სიყუარულისასა. ესრეთ ცხოვნდეს წმიდანი მამანი და ესრეთ პოვა ღმერთი მამამან არსენი.

25. ბერმან თქუა: შეიყუარე სიგლახაკე ყოვლითა გულითა და ნუ გნებავს ნივთთა ტურფათა ქონებაჲ სენაკსა შინა შენსა, რამეთუ ოდეს ეძიებდეს სული საჴმარსა რასმე და ვერ პოოს[10] იგი, სულთ-ითქუამს და დამდაბლდების და მაშინ ნუგეშინის-სცემს მას[11] ღმერთი და მოსცემს მას ლმობიერებასა. და ოდეს იხილოს სულმან გემოჲ სიტკბოებისა ღმრთისაჲ, მერმე მოსძულდების მას სამოსელიცა იგი, რომელ ჰმოსიეს და თჳთ ჴორცნიცა თჳსნი. ხოლო ამას გეტყჳ შენ, შვილო, უკუეთუ არა მოიძულნეს კაცმან ჴორცნი თჳსნი ვითარცა მტერნი[12] და წინააღმდგომნი, რაჲთა არცა ერთსა რას[13] ზედა ჰყოფდეს ნებასა და მომადლებასა მათსა ვიდრე კნინოდნადმდეცა, ვერ შემძლებელ იქმნეს განრომად მახეთაგან და ბადეთა ეშმაკისათა. და რამეთუ მახე და საბრჴე ეშმაკისაჲ[14] ჩუენდა მომართ ბრძოლისათჳს ჴორცნივე არიან ჩუენნი და უფროჲსღა სიჭაბუკესა შინა, ვითარცა-იგი და მამაჲ ესაიაცა[15] ასწავებდა რაჲ[16], ეტყოდა: ნუ შეუპყრობ ჴელსა ვისსაცა, ნუცა დაეახლები უცხოთა ჴორცთა, თჳნიერ უძლურებისა დიდისა, რომელ არს სნეულებაჲ და მაშინცა შიშით და კრძალვით, ნუმცა დაგეახლების[17] ჴელი უცხოჲ, ნუცამცა მოგფხანს, ნუცა ვის ეტყჳ: აღიღე ტილი წუერთაგან ჩემთა, ანუ

---

[1] საჴმარი – B. [2] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 92r-ზე. [3] არაჲ] არარაჲ E. [4] ~კუალად თქუა E. [5] გაქუს] გაქუნდეს B. [6] ეჩოჲ] ეჩუაჲ E. [7] ოდენ- B. [8] მიხედავ] მიჰხედავ B. [9] იყოფვოდის] იყოფებოდის C. [10] პოოს] პოვოს E. [11] მას – BC. [12] მტერნი] მტერისანი B. [13] ~რას ერთსა E. [14] ეშმაკისაჲ] ეშმაკისა E. [15] მამაჲ ესაჲაცა A] მამაჲცა ესაია C. [16] რაჲ + და BE. [17] დაგეახლების] დაგუეახლების C.

თავისა, გინა სამოსლისაგან, ნუცა ვის გუერდით დაიძინებ[1] რაჲთურთით ყოველთავე დღეთა ცხორებისა შენისათა, ნუ მისცემ ამბორსა ყრმასა, რომელსა არა ესხნენ წუერნი, ნუცაღა ეკლესიასა[2] შინა, ნუცა /174v/ გზით სადაჲთმე[3] მოსრულსა, ნუ თანა განიცინებ ყრმისა, რაჲთა არა წარსწყმიდო სული შენი, ნუცა დასჯდები გუერდით მისა, ნუცა[4] იარები მის თანა, ნუცა ერთმანერთსა მიეახლებით, ნუცა კუალად ჯდომასა შენსა საჴმრისათჳს მუცლისა დასჯდები ოდესცა ვის თანაცა, რამეთუ ჭეშმარიტსა მონაზონსა ჰრცხუენის თჳთ თავისაგანცა თჳსისა. მრავალთა უკუე უგულებელს-ყვნეს საქმენი ესე, ვითარცა მცირენი და უნდონი და ამათ მცირეთაგან და უნდოთა შთაცჳვეს დიდთა და ძნელთა ბოროტთა და წარწყმდეს. და რამეთუ ყოველივე დიდთაგანი ბოროტთაჲ[5] მცირისაგან მიიღებს დაწყებასა და მერმეღა იქმნების დიდ, ვითარცა-იგი და საჴუმილიცა[6] ცეცხლისაჲ დიდი, მცირისაგან ნაბერწყლისა აღეტყინების. ხოლო მოგუმადლენ უფალმან ღმერთმან, მეუფემან დიდებისამან, გულისჴმისყოფაჲ კეთილი შიშსა შინა თჳსსა და მოქმედებასა წმიდათა მათ[7] მცნებათა მისთასა იესუ ქრისტეს მიერ უფლისა ჩუენისა.

26. ბერსა ჰკითხა ძმამან და ჰრქუა: მარქუ მე, მამაო, ვითარ[8] ვცხოვნდე. ხოლო ბერმან განიძარცუა ლევიტონი თჳსი და მოირტყნა წელნი თჳსი და დამოჰკიდნა ზე ჴელნი თჳსნი და თქუა: ესრეთ უღირს მონაზონსა ყოფაჲ, შორს-ყოს თავი თჳსი ყოვლისაგანვე[9] ნივთისა მსოფლიოჲსა და ჯუარს-აცუნეს ჴორცნი თჳსნი განყენებითა ყოველთავე[10] ვნებათაჲთა, და რაჲთა სრულებით შეუდგეს ყოვლითა სულითა და გულითა და გონებითა და ჴორცითა სიყუარულსა ღმრთისასა, რომელი არს კურთხეულ[11] უკუნისამდე, ამინ. /175/

---

[1] დაიძინებ] დაჲძინებ A. [2] ეკლესიასა] ეკლესიას E. [3] სადაჲთმე] სადაჲთ C. [4] ნუცაღა B. [5] დიდთაგანი ბოროტთაჲ] დიდთა ბოროტთაგანიB. [6] აქ E ნუსხა წყდება. [7] მათ – B. [8] ვითარ] რაჲთა B. [9] ყოვლისაგანვე] ყოვლისაგან C. [10] ყოველთავე] ყოველთა B. [11] კურთხეულ +უკუნითი B.

თავი თ

თხრობაჲ თჳთოსახ[1] წმიდათა და ღმრთივსულიერთა მამათაჲ, რომელი აღმჭურავს ჩუენ და აღმადგინებს სიმჴნედ და მოთმინებად

გუაკურთხენ, მამაო!

I. წარვიდეს ოდესმე ძმანი **მამისა ანტონისა** და ჰრქუეს მას: გუარქუ ჩუენ, მამაო, სიტყუაჲ, რომლითა ვცხოვნდეთ. ჰრქუა მათ ბერმან: გასმიეს განაღა წმიდისა წერილისაჲ, რომელსა შინა ყოველივე კეთილად წერილ არს? ჰრქუეს მას[2] ძმათა: არამედ და შენგანცა გუნებავს სმენად, მამაო. ჰრქუა მათ ბერმან: წერილ არს წმიდასა შინა სახარებასა: უკუეთუ ვინ[3] გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ მას[4] ერთკერძოჲცა[5]. ჰრქუეს მას ძმათა: ესე ვერ ძალ-გჳც ყოფად. ჰრქუა მათ ბერმან: უკუეთუ ვერ ძალ-გიც სხჳსა მიპყრობაჲ, ბარე ერთკერძოჲ იგი დაითმინეთ[6]. ჰრქუეს მას: ვერცა ესე ძალ-გჳც. ჰრქუა მათ ბერმან: უკუეთუ ვერცა ესე ძალ-გიც თქუენ, ნუ სცემთ ნაცვალსა მცემელსა მას თქუენსა. ჰრქუეს მას: და ვერცა ესე ძალ-გჳც. ჰრქუა ბერმან მოწაფესა თჳსსა: უქმენ ძმათა მაგათ მცირედ გბოლვილი, რამეთუ სნეულ არიან და უძლურ. უკუეთუ ესე არა ძალ-გიც და იგი არა გნებავს, რაჲ გიყო თქუენ?!

II. ძმამან ჰკითხა **მამასა აგათონს** და ჰრქუა: მცნებაჲ მოიწია ჩემდა და არს ადგილსა მას ბრძოლაჲ, სადა-იგი არს მცნებაჲ. მნებავს უკუე წარსვლაჲ და მეშინის ბრძოლისაგან. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუმცა იყო აგათონ და მცნებაჲცამცა[7] იგი[8] აღასრულა, და ბრძოლასა მასცამცა მძლე ექმნა.

III. /175v/ თქუა **მამამან ამმონა,** ვითარმედ: ათოთხმეტი წელი დავყავ სკიტეს შინა და ვევედრებოდე ღმერთსა დღე და ღამე, რაჲთა მომანიჭოს მე ძლევად მრისხანებისა[9].

---

[1] თჳთოსახ[ჱ]] თჳთოსახე C. [2] მას – C. [3] ვინმე C. [4] მას – BC. [5] შდრ. მ. 5,39. [6] მოითმინეთ B; დაჲთმინეთ A. [7] მცნებაჲცამცა] მცნებაჲცა C. [8] იგი] მისი C. [9] მრისხანებისა] მრისხანებასა C.

IV. თქუა **მამამან ბესარიონ**, ვითარმედ: ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე დავყავ შორის ეკალთა მდგომარემან[1], რომელ ყოლადვე არა დავიძინე.

2. მანვე **მამამან ბესარიონ** თქუა, ვითარმედ: ორმეოცი წელი დავყავ, რომელ ყოლადვე არა მივწევ გუერდსა ზედა, არამედ ჯდომით ანუ დგომით მივიძინი.

3. გჳთხრობდეს **მამისა ბესარიონისთჳს** მოწაფენი მისნი, ვითარმედ ესრეთ იყო ცხორებაჲ მისი ვითარცა მფრინველისაჲ ანუ თუ ველურისა რაჲსამე ნადირისაჲ, ყოლად უშფოთველ და უზრუნველ. და ესრეთ მყუდროებით წარვლნა ყოველნივე დღენი ცხორებისა თჳსისანი[2], არა იურვა სახლისათჳს, არა უთქუა გულმან სულსა მისსა დამკჳდრებისათჳს ადგილსა საშუებელსა[3], არაოდეს განძღა[4] ჭამადითა, არაჲ მოიგო საჴმართაგანი[5] ამის სოფლისათაჲ, არცაღა თუ წიგნი, არამედ ესრეთ ვითარცა უჴორციჲ ზეშთა იქმნა ყოვლითურთ ჴორცთა და ვნებათა და[6] სასოებითა მით მერმეთა მათ კეთილთაჲთა. და იზარდებოდა და სარწმუნოებითა მით საღმრთოჲთა შემტკიცებული მოქალაქობდა, დაითმენდა[7] ყოველსავე[8] ჭირსა, რამეთუ სახედ ტყუეთაჲსა შიშუელი მიმოვიდოდა და ყინვათაგან ზამთრისათა და სიცხეთა ზაფხულისათა შეიწუებოდა. და ვალნ[9] იგი უვალთა ადგილთა და უკაცურთა და ძნელთა ღადოთა და კაპან-კაპანთა[10]. ოდესმე წარვალნ ზღჳსპირთა და სადაცა დახუდებინ, დადგებინ. ხოლო უკუეთუ სადამე მივიდის მონაზონთა თანა და მონასტერთა, /176/ გარეშე ბჭეთა დაჯდის და ტირნ. და ვითარცა კაცი ღელვაგუემულებისაგან ზღჳსა განთხეული, იგლოვნ. და უკუეთუ ვინ გამოვიდის ძმათაგანი და იხილის იგი ესრეთ მოტირალი[11], ვითარცა[12] ერთი მთხოელი ქუეყანად მდებარე, შეეწყალის იგი და ჰრქჳს: რაჲსა სტირ, კაცო, ანუ რაჲ გჭირს? და უკუეთუ ვინ[13] აიძულის[14] შინა შეყვანებად ანუ საზრდელისა[15] მიცემად, მან მიუგის: ვერ ძალ-მიც სართულსა ქუეშე შესლვად, არა თუ პირველ ვპოო სიმდიდრჱ[16] სახლისა ჩემისაჲ, რამეთუ წარვწყმიდეო მონაგები ფრიადი მრავლითა სახითა და რამეთუ მპარავთა შევვარდი ჴელსა და ღელვაგუემულებასა მივეცი და აზნაურებისაგან განვვარდი ჩემისა და[17] დიდებულებისაგან[18] და[19] აზნაურებისა დიდისა უპატიოებასა და სიგლახაკესა მივეცი ძნელსა. ხოლო უკუეთუ ვინ[20] მოდრკის სიტყუასა ზედა მისსა, მისცის პური და ჰრქჳს: მიიღე ესე, მამაო, ჟამისად და სხუაჲ იგი რომელ[21] სთქუ, ღმერთმან მოგცეს შენ:

---

[1] ~ მდგომარემან შორის ეკალთა B. [2] თჳსისანი] მისისანი B. [3] საშუებელსა] საშუებელთასა B. [4] განძღეს C. [5] საჴმართაგანი] საჴმართაგან C. [6] და – C. [7] დაითმენდა] დაჲთმენდა A. [8] აქედან E ნუსხა გრძელდება 91r-ზე. [9] ვალნ] დავალნE. [10] კაპან-კაპანთა] კაპანთა B. [11] მოტირალი] მტირალი BCE. [12] ვითარცა + ვინმე BC. [13] ვინ] ვინმე E. [14] აიძულის] აჲძულის A. [15] საზრდელსა BE. [16] სიმდიდრჱ] სიმდიდრე E. [17] და – C. [18] დიდებისაგან BE. [19] და აზნაურებისა – B. [20] ვინ] ვინმე E. [21] რომელ სთქუ ... სიმდიდრე – C.

მამული, სიმდიდრე და დიდებაჲ, ვითარცა იტყჳ. ხოლო იგი უფროჲსღა ტირნ ამას ზედა და ეტყჳნ: არა უწყი, თუ შეღა-ვითა-უძლო პოვნად მისა, რომელი-იგი წარწყმიდე, არამედ უფროჲსღა ვეძიებდე მეცა სიკუდილსა, ვინაჲთგან ვერღარას მოველი ამიერსა ლხენასა[1] და რამეთუ ჭირსა ამას შინა ჩემსა და აქა და იქი მიმოვრდომასა[2] ჯერ არს აღსრულებაჲ სარბიელისა ჩემისაჲ.

V. თქუა **მამამან ბენიამენ:** გზასა სამეუფოსა ხჳდოდეთ და მილოანსა თუალევდით და არა ოდეს მოგეწყინოს.

VI. ძმაჲ ვინმე მივიდა **მამისა ბიკტორ[3] დაყუდებულისა**, ლავრასა ელისღოჲსასა და ჰრქუა მას: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ მძლავრობს მე სენი სულმოკლებისაჲ? ჰრქუა მას ბერმან: სნეულებაჲ არს ეგე სულისაჲ, რამეთუ ვითარცა სახედ რომელთა თუალნი სტკიოდინ[4], ჰგონებენ ვითარმედ /176v/ მეტსა ნათელსა ხედვენ, ხოლო რომელთა-იგი თუალნი მრთელ იყვნენ, მცირედსა ხედვენ, ესრეთვე სახედ არიან სულმოკლენიცა. მცირედისაგან[5] რაჲსმე ჭირისა მეყსეულად დაემჴობვიან და ჰგონებენ თუ მოუთმენელი ჭირი მოწევნულ არს მათ ზედა. ხოლო რომელთა სული მრთელ იყოს, უფროჲსღა უხარის მოწევნასა ზედა ძჳრთა და განსაცდელთასა.

VII. თქუა **მამამან გრიგოლი ღმრთისმეტყუელმან**: უკუეთუ მოხჳდოდე რაჲ სწავლად სიბრძნისა და არა მოელოდე ძჳრთა შემთხუევასა, უგუნურ არს დაწყებაჲ ეგე, რამეთუ უკუეთუ მოელოდი ჭირსა და არა მოვიდეს, კეთილ. და უკუეთუ მოვიდეს და მოითმინო[6], იგიცა კეთილ. ხოლო უკუეთუ მოვიდეს და განუმზადებელი დახუდე, ორკეცი არს სირცხჳლი.

VIII. მითხრობდა[7] ჩუენ **მამაჲ დანიელ**, ვითარმედ: იყო ვინმე მონაზონი სახელით დულას[8], რომელი-იგი დიდთა მამათა თანა შეირაცხა. ესე დულას[9] პირველად კრებულსა შორის იყო ზოგადცხორებულთასა ორმეოც წელ და იტყოდა იგი, ვითარმედ: მრავალსახჱ[10] მოქალაქობაჲ გამოვცადე და ვპოე[11], რამეთუ კრებულსა შორის უადრეს[12] წარემართების საქმედ სათნოებისა, უკუეთუ ოდენ გულითა სრულითა ღმრთისათჳს შეკრებულ[13] იყვნენ ადგილსა მას. რამეთუ[14] იყო ვინმე ძმაჲ კრებულსა შორის სახით მდაბალი და შეურაცხი, ხოლო საქმითა მაღალი და პატივცემული. ესე ყოველთაგან კდემულ და შეურაცხ-იყო, ხოლო იგი მოხარულ და მხიარულ იყო. და რამეთუ ძმანი იგი შურითა ეშმაკისაჲთა ამწარობდეს[15] მას, რამეთუ რომელნიმე ჰგუემდეს, რომელნიმე ჰნერწყუვიდეს, რომელნიმე ჰყუედრიდეს და აგინებდეს. და ამას ყოველსა იქმოდეს არა მცირეთა რათმე დღეთა, არამედ

[1] ლხინსა C; ლხინებასა E. [2] მიმოვრდომასა] მიმორდომასა A. [3] ბიკტორ] ბიგტორ B. [4] სტკიოდინ] სტკიოდიან C. [5] მცირედისაგან რაჲსმე] მცირედისა რაჲსაგანმე C. [6] მოითმინო] მოითმინო C. [7] გჳთხრობდა BE. [8] დულას] დოლას BCE. [9] დულას] დოლას BCE. [10] მრავალსახჱ] მრავალსახე E. [11] ვპოვე BCE. [12] უადრეს] უდარეს B. [13] შეკრებულ] შეკრულ C. [14] აქ E ნუსხა წყდება. [15] ამწარობდეს] ამწარებდეს B.

ოც წელ ოდენ. ვერ დათმო[1] თავს-დებად ეშმაკმან დიდებულებასა მას სულსა მისისასა და ახოვნებასა გონებისა მისისასა /177/ და ფრიადსა მას მოთმინებასა მისსა ხილვად. ამისთჳსცა შეჰმზადა ღონე და სახე ესევითარი, რამეთუ მოაგონა ძმასა ვისმე და იყვნეს რაჲ ძმანი დაწყნარებით, შევიდა ეკლესიად და ყოველივე სამღდელოჲ[2] ჭურჭელი ეკლესიისაჲ გამოიპარა და ფარულად ყოველთაგან განვიდა მონასტრით. ხოლო ვითარცა მოიწია ჟამი ლოცვისაჲ, შევიდა კანანახი კუმევად საკუმეველისა და პოვა ყოველი იგი განკრეხულად. და წარვიდა და უთხრა მამასახლისსა და დაჰრეკეს ძელსა და შეკრბეს ყოველნი. და იწყეს შფოთებად ფიცხლად და თქუეს: არავინ სხუამან წარიღო იგი, არამედ მან რომელმანმე ძმამან და ამისთჳს არცაღა ეკლესიად მოვიდა[3]. და უკუეთუმცა არა[4] მას ექმნა ესე, ვითარცა ყოლადვე[5] უწინარეს სხუათაჲსა მოვიდის, აწცამცა მოსრულ იყო. და მიავლინნეს მისა და პოვეს იგი ლოცვასა შინა მდგომარე და შეჰლეწეს კარი და შევიდეს და გამოითრიეს იგი იძულებით. ხოლო იგი ევედრებოდა მათ და ეტყოდა: რაჲ არს საქმე ეგე, მამანო[6]? და მათ გინებით და შეურაცხებით ჰრქუეს მას: გამოვედ ეკლესიათა მკრეხველო, უღირსო სიცოცხლისაო, გამოვედ! არა კმა-გეყოა, რომელ ესოდენთა წელთა გუაჭირვენ ჩუენ და გუაშფოთენ, აწ კუალად[7] სულთაცა მოექეცა ჩუენთა ბასრობად?! ხოლო იგი ეტყოდა: შემინდევით[8], რამეთუ ვცოდე. და მოიყვანეს იგი წინამძღუარისა[9] და ჰრქუეს მას: ესე არს, მამაო, პირველითგანვე აღმაოჴრებელი მონასტრისა ჩუენისაჲ. და იწყო კაცად-კაცადმან მათმან სიტყუად, ვითარმედ: მე ვიხილე ეგე, რამეთუ მხალსა ჭამდა იდუმალ და კუალად სხუამან[10]: მე ვიხილე ეგე რამეთუ პურსა იპარვიდა და გაღმართ გასცემდა. და კუალად სხუამან დაურთო: მე ვნახე ეგე, რომელ[11] კეკელასა ღჳნოსა სუმიდა. /177v/ და ამას ყოველსა ცილსა სწამებდეს, დაღათუ სარწმუნო იყო ტყუილი მათი. ხოლო იგი მართალსა იტყოდა და არავის ჰრწმენა. მოსძარცუა უკუე წინამძღუარმან სახჱ[12] მოანზონებისაჲ ძმასა[13] მას და თქუა[14]: ესე საქმენი არა არიან ქრისტეანისანი. და დასდვეს მას ჯაჭჳ მძიმე და მიუთუალეს იკონომოსსა ლავრისასა, რომელ[15] არს ჴელოსანი, ხოლო მან განაშიშულა იგი და გუემა ფიცხლად ძარღჳთა ზროხისაჲთა. მერმე ჰკითხა, უკუეთუ ჭეშმარიტად არიან მისთჳს თქუმულნი იგი. და იგი სიცილით ეტყოდა: შემინდევით, რამეთუ შევსცეთ. განძჳნდა სიტყუასა ამას ზედა უფროჲსღა ჴელოსანი იგი და ბრძანა შეგდებაჲ მისი სატანჯველთა საპყრობილესა შინა და ჴუნდსა შინა დაჰკრძალნეს ფერჴნი მისნი. და მიწერა მისთჳს დუკისა და მეყსეულად მოვიდეს მსახურნი დუკისანი და აღიტაცეს იგი და აღსუეს საჴედარსა

[1] დათმო] დაუთმო B. [2] სამღდელოჲ] სამღრდელოჲ B. [3] მოვიდა + იგი C. [4] ~მას არა ექმნა B. [5] ყოლადვე – B. [6] ეგე მამანო] ესე ძმანო C. [7] კუალად] უკუე BC. [8] შემინდვეთ B. [9] წინამძღურისა C. [10] სხუამან + და B. [11] რომელ] რამეთუ BC. [12] სახჱ] სახე BC. [13] ძმასა მას – B. [14] თქუა] ჰრქუა C. [15] რომელ არს ჴელოსანი – B.

უბელოსა და ქედსა ზედა მისსა ედვა ჯაჭუ მძიმე და[1] ესრეთ განავლეს შუა[2] ქალაქი და მიიყვანეს დუკისა. ხოლო წარადგინეს რაჲ წინაშე მისსა[3], იწყო კითხვად მისა მთავარმან, თუ ვინ არს, ანუ სადაჲთ და თუ რაჲსათჳს შექმნილ არს მონაზუნად. და იგი არარას იტყოდა სხუასა, თჳნიერ ოდენ: შემინდვე. განრისხნა[4] ამას ზედა დუქსი[5] და ბრძანა გართხმაჲ[6] მისი და ზროხისა ძარღუთა უზელელითა დაბძარვაჲ ბეჭთა მისთაჲ. განირთხა რაჲ იგი[7] ოთხკერძო და ძარღუებითა მით უწყალოდ იგუემებოდა, მღიმვარითა პირითა ეტყოდა დუკსა: ჰგუემდი[8], ჰგუემდი ვეცხლსა ჩემსა, რაჲთა უბრწყინვალეს განანათლო იგი. /178/ ჰრქუა მას დუკმან: მე უფროჲს თოვლისა განვასპეტაკო სისულელე შენი და სიხელე. და უბრძანა დაფენად ცეცხლსა[9] მუცელსა ქუეშე მისსა და ძმარსა და მარილსა აღრეულსა დასხმად წყლულებათა ზედა მისთა. ხოლო წინაშემდგომელთა მათ უკჳრდა საკჳრველი იგი მოთმინებაჲ მისი და ეტყოდეს: გჳთხარ ჩუენ, სადა დასდევ ჭურჭლები იგი ეკლესიისაჲ და განტევებულ იქმნე. ხოლო იგი ეტყოდა: არაჲ მიც მაგას[10] თანა საქმე. ძნიადღა სამე უბრძანა დუკმან დაცადებაჲ მისი გუემათაგან და საპყრობილედ მიცემაჲ და უღუაწად და უჭმელად დატეობაჲ[11] მისი. და ხვალის დღე მიწერა ლავრასა[12] და მოხადა მონაზონთა მათ კრებულისათა და წინამძღუარსა მათსა. და ვითარცა მოვიდეს იგინი, ჰრქუა დუკმან: ფრიად ვიღუაწე და მრავალთა და[13] ფიცხელთა ტანჯვათა[14] შევაგდე იგი და ვერარას მეტსა უძლე[15] ცნობად. ჰრქუეს მას ძმათა: ყოლად პატივცემულო დუკო, სხუაჲ მრავალი ბოროტი უქმნიეს მას ჩუენდა და ღმრთისათჳს ვიტჳრთეთ იგი, რამეთუ მოველოდეთ[16] მოქცევასა და აჰა ესერა, უძჳრესისა მიმართ წარემართა. ჰრქუა მათ დუკმან: და რაჲ უყოთ მას? ხოლო მათ ჰრქუეს: რაჲცა ჰნებავს შჯულთა. ჰრქუა მათ დუკმან: შჯულნი ეკლესიათა მკრეხველთათჳს სიკუდილსა განაწესებენ. და მათ მიუგეს: და მოკუედინ იგი! განუტევნა იგინი დუკმან და შეჰმზადა სამსჯავროჲ დიდი[17], დაჯდა საყდართა ზედა მაღალთა[18], წარმოადგინა ძმაჲ იგი და ჰრქუა მას: უბადრუკო კაცო, აღიარე და იჴსენ თავი შენი სიკუდილისაგან. /178v/ მიუგო დუკსა ძმამან მან დასჯილმან და ჰრქუა: უკუეთუ მიბრძანებ სიტყუად, რომელი არა არს, ვთქუა. ჰრქუა მას დუკმან: არა მნებავს, რაჲთა დასწამო[19] თავსა შენსა ცილი. მიუგო ძმამან: უკუეთუ ცილი არა გნებავს დაწამებად, არაოდეს მიქმნიეს საქმე ესე, რომლისათჳს აწ ვიკითხვები. იხილა რაჲ დუკმან, რამეთუ არარას იტყჳს, უბრძანა წარყვანებაჲ მისი და თავისა წარკუეთაჲ. და მიითუალეს იგი მტარვალთა, რომელთა ეგულებოდა თავისა მისისა

[1] აქედან E ნუსხა გრძელდება 94r-ზე. [2] შუვა] შუა E. [3] მისა BC. [4] განრისხნა + უკუეთუ C. [5] დუქსი] დუკი CE. [6] გართხმაჲ] განრთხმაჲ C. [7] იგი- C. [8] ჰგუემდი- B. [9] ~ ცეცხლსა დაფენაჲ BE; დაფენად C. [10] მაგას] მაგის B. [11] დატეობაჲ] დატევებაჲ B. [12] ლავრასა] ლავრისა C. [13] და ფიცხელთა – C. [14] ტანჯვათა] სატანჯველთა B. [15] უძლე] შეუძლე B. [16] მოველოდეთ] ველოდეთ E. [17] დიდი + და E. [18] მაღალთა] დაB. [19] სწამო C.

წარკუეთაჲ. და ვითარცა მიჰყვანდა იგი ადგილსა[1] სასიკუდინესა, გონებად მოვიდა, რომელმან-იგი წარიპარა ჭურჭელი ეკლესიისაჲ და ჰრქუა თავსა თჳსსა: უბადრუკო კაცო და საწყალობელო, ანუ აწ, ანუ წაღმართ, ოდესცა გამოცხადებად არს განაღა[2] საქმე ესე და უკუეთუ აქაცა დაეფარო ყოველთა, რაჲ ჰყო, განწირულო, დღესა მას საშინელსა სასჯელისასა, ანუ რაჲ პასუხი მისცე ღმერთსა ესევითარისათჳს საქმისა?! და წარვიდა წინამძღურისა და ჰრქუა მას: ადრე-ადრე მიუმცენ დუქსსა[3], რაჲთა არა მოკუდეს ძმაჲ იგი, რამეთუ იპოვნეს ჭურჭელნი[4] ეკლესიისანი სხუაგან. წარმგზავნა უკუე კაცი და აცნობა დუკსა საქმე იგი და განტევებულ იქმნა ძმაჲ იგი და წარიყვანეს თჳსსავე მონასტერსა. ხოლო იწყეს მონაზონთა შევრდომად მისა და სიტყუად, ვითარმედ: ვცოდეთ შენდამი და[5] შემინდვე ჩუენ. და მან იწყო ტირილად და ჰრქუა: შემინდევით მე, წმიდანო[6] მამანო, რამეთუ დიდსა მადლსა აღგიარებ თქუენ, რომელ მცირეთა ამათ ძლით[7] ტკივილთა, მოველი დიდთა წყალობათა ღმრთისათა, რომლისა[8] ამისთჳს დიდად მხიარულ[9] ვიყავ ყოლადვე თქუენსა ზედა ჩემთჳს /179/ ძჯრის/სიტყუასა, ვინაჲთგან მცირეთა ამათ წილ შეურაცხებათა დიდთა მოსაგებელთა ღირს ვიქმნებოდე დღესა მას უკანაჲსკნელსა განკითხვისასა[10]. ხოლო უმეტესადღა აწ მხიარულ ვიყავ საქმისა ამისთჳს, რომელი ჰყავთ ჩემ ზედა. გარნა თქუენთჳს ოდენ მიძნდა, რამეთუ არა მენება სხუათა ვნებითა ჩემი რგებაჲ და რამეთუ ამიერნი ესე ჭირნი და განსაცდელნი მომატყუებელნი არიან სასუფეველსა ცათასა, რომელთა მადლობით დაუთმონ. დაყო უკუე ძმამან მან[11] სამი დღე და წარვიდა უფლისა, რომლისაცა სურვიელ იყო. და მივიდა მისა ძმაჲ ხილვად მისა, თუ ვითარ-ძი არს. და პოვა იგი მდებარედ მუჴლთა ზედა, რამეთუ მუჴლნი მოედრიკნეს მას[12] და ილოცვიდა და ლოცვასა მას შინა განეტევა სული. წარვიდა ძმაჲ იგი და აუწყა მამასა მონასტრისასა, ხოლო მან ბრძანა მოღებად გუამი მისი ეკლესიად, რაჲთა მუნ დაჰმარხოს[13] იგი. და ვითარცა დადვეს იგი წინაშე წმიდა საკურთხეველსა, უბრძანა ბერმან, რაჲთა დაჰრეკონ ძელსა და შეკრბეს[14] ყოველი ლავრაჲ და დიდებით დაეფლას გუამი მისი. და ვითარცა შეკრბებოდეს[15] იგინი, ენება კაცად-კაცადსა, რაჲთა ევლოგიაჲ მიიღონ. იხილა რაჲ საქმე იგი წინამძღუარმან, დაუსუენა გუამი მისი სადიაკონესა შინა და დაჰკრძალა იგი კლიტითა და მოელოდა მამასა დიდისა ლავრისასა, რაჲთა ზოგად ყოველთავე ერთბამად დაჰმარხონ გუამი მისი პატივით. და ვითარცა მოვიდა მამაჲ დიდისა ლავრისაჲ მღდელთა თანა და მგალობელთა და ყვეს ლოცვაჲ, ჰრქუა მამასა მის მონასტრისასა მამამან

---

[1] ადგილსა + მას BC. [2] განაღა – E. [3] დუქსსა] დუკსა B. [4] აქ E ნუსხა წყდება. [5] და – C. [6] წმიდანო – B. [7] ძლით] წილ B. [8] რომლისა ამისთჳს] რომლისათჳსცა B. [9] მხიარულ] მოხარულ C. [10] განკითხვისასა] სასჯელისასა C. [11] მან – C. [12] მას – B. [13] დაჰმარხოს] დაჰმარხონ B. [14] შემოკრიბეს C. [15] შემოკრბებოდეს C.

დიდისა ლავრისამან: განაღე კარი და გამოიღეთ[1] გუამი ძმისაჲ მის, რაჲთა დაემარხოს, რამეთუ ჟამი ცხრაჟმისაჲ არს. /179v/ და განაღეს რაჲ, არარაჲ პოვეს მას შინა, თჳნიერ სანდალნი ოდენ და სამოსელი. განკჳრდეს ყოველნივე და განცჳბრდეს დიდებულსა მას ზედა სასწაულსა და იწყეს საკჳრველებად[2] და ადიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს ცრემლით: ხედავთა, ძმანო, თუ რასა მოგუატყუებს ჩუენ სულგრძელებაჲ და სიმდაბლჱ[3] და მოთმინებაჲ ძჳრისხილვათაჲ, ვითარცა უკუე ჰნახეთ ესე, ესრეთვე და თქუენცა ვიდოდეთ[4] და იღუაწეთ დათმენად კდემათა და შეურაცხებათა და მჴნე იქმნენით მოწევნასა ზედა განსაცდელთასა, რომელნი მომატყუებენ ჩუენ სასუფეველსა ცათასა მადლითა და წყალობითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნისამდე, ამინ!

1. ძმაჲ ვინმე მკჳდრობდა შორის კრებულსა და იყო დამორჩილებულ ძმათა მრავლითა სიმდაბლითა, ხოლო ირგებდა ცხრასა და იზღვეოდა ერთსა. გამოვიდა მიერ და წარვიდა სხუასა კრებულსა და დააკლდა ერთი სახჱ[5], რამეთუ ირგებდა რვასა და იზღვეოდა ორსა. კუალად გამოვიდა მუნითცა[6] და წარვიდა სხუად მონასტრად და ირგებდა შჳდსა და ივნებდა სამსა. ესრეთვე[7] კუალად გამოვიდა მუნითცა[8] და წარვიდა სხუად და ვითარცა ჰყოფდა ამას, განახევრდა საქმჱ[9] მისი, რამეთუ ხუთსა ზედა საქმესა აღეშენებოდა, ხოლო ხუთი[10] ეწყინებოდა. უკუანაჲსკნელ ეგულვა[11] შესლვაჲ ხუასა მონასტერსა ზოგადცხორებულთასა და უწინარეს შესლვისა მიიღო[12] ჴელსა[13] ქარტაჲ, დაჯდა და ეტყოდა თავსა თჳსსა: უკუეთუ ერჩდე გულისსიტყუასა შენსა, არა კმა-გეყოს სავალად[14] ყოველი ქუეყანაჲ[15]. აწ აღმითქუ გულსა შინა შენსა, თუ რასა მოითმენ და დამიწერე /180/ ჴელი ქარტასა ამას ზედა: გამოხუედ პირველისა მისგან კრებულისა, რამეთუ გაქუნდა შფოთი, გამოხუედ მეორისაგან მონასტრისა ამის რაჲსმე[16] მიზეზისათჳს, გამოხუედ მესამისაგან[17] მონასტრისა ამის რაჲსმე[18] მიზეზისათჳს. დაიწყო და დაწერნა ყოველნივე იგი მიზეზნი, რომელთა ძლით გამოსრულ იყო მონასტერთაგან[19]. მერმე უკუანაჲსკნელ მის ყოვლისა დაწერა, ვითარმედ: ამათ ყოველთავე[20] მიზეზთა, რომელთა ევლტი, აქა ჰპოებ, სადა-ესე წარმართებულ ხარ, მოითმენა ანუ არა?! და ვითარცა[21] მოიმტკიცა მტკიცედ თავი თჳსი, მერმე დაწერა ესრეთ: სახელითა იესუ ქრისტეს ძისა ღმრთისაჲთა, მოვითმენ ყოველსავე ძჳრისხილვასა. და წარგრაგნა ქარტაჲ იგი და შთაიდვა[22] სარტ-

---

[1] მოიღე C. [2] საკჳრველებად] საკჳრველად B. [3] სიმდაბლჱ] სიმდაბლე BC. [4] ვიდოდეთ] ხჳდოდე C. [5] სახჱ] სახე BC. [6] მუნითცა] მიერცა C. [7] აქ E ნუსხა გრძელდება 95r-ზე. [8] მუნითცა] მიერ E. [9] საქმჱ] საქმე BC. [10] ხუთი] ხუთსა C. [11] ეგულვა] ეგულებოდა BE. [12] მიიღო] მოიღო B. [13] ჴელსა] ჴელთა E. [14] სავალად] სლვად B. [15] ქუეყანაჲ] სოფელი E. [16] რაჲსმე] რაჲსამე B. [17] მესამისაგან] მესამისა მისგან E. [18] რაჲსმე] რაჲსამე B. [19] მონასტერთაგან] მონასტრისაგან B. [20] ყოველთავე] ყოველთა B. [21] ვითარცა – BE. [22] შთაიდვა] შთაჲდვა A.

ყელსა თჳსსა და ილოცა ღმრთისა მიმართ და შევიდა მონასტერსა მას, რომლისადა მიემართა. ხოლო შემდგომად ჟამთა იწყო დახედვად საქმეთა რათმე, რომელნი არა აშუნდეს და ვითარცა აღდუღდის გული მისი აღძრვად, მეყსეულად გამოიღის ქარტაჲ იგი დაწერილი და აღმოიკითხის, ვითარმედ: სახელითა იესუ ქრისტეს ძისა ღმრთისაჲთა მოვითმენ ყოველსავე ძჳრისხილვასა! და ვითარცა აღმოიკითხის იგი, ელხინის[1] ფრიად და თქჳს: ღმრთისადა აღგითქუამს და მისგან ეძიებდი[2] შეწევნასა. ესრეთ რაჲ იყო იგი და ამას შინა და ესრეთ ჰყოფდა ყოველსავე რასა ზედა შემთხუევასა, ვერ დათმო ეშმაკმან უკეთურებითა თჳსითა ხედვად მოთმინებასა მას ძმისასა, არამედ დაარწმუნა[3] ძმათა მათ მონასტრისათა მზერად საქმისა მის, თუ ვითარ აღმოიკითხავს ძმაჲ იგი[4] ქარტასა მას და მიიღებს[5] კურნებასა. /180v/ იწყეს სიტყუად და იტყოდეს: გრძნეული არს კაცი ესე და აღმოიკითხავს რასმე საგრძნებოსა თჳსსა და არა აღშფოთნების. და აღვიდეს სამამოდ და განუცხადეს ესე წინამძღუარსა[6] მათსა და ჰრქუეს: ვერ ძალ-გჳც, მამაო, ყოფაჲ ამას რომელსამე თანა ძმასა[7], რამეთუ მოგჳ არს იგი და გრძნეული და სარტყელსა შინა თჳსსა უპყრიეს საგრძნებელი თჳსი. და უკუეთუ გნებავს მისი ყოფაჲ შენ თანა, ჩუენ განგჳტევენ და წარვიდეთ. ხოლო მამაჲ იგი და წინამძღუარი მათი სულიერი იყო და იცოდა სიმდაბლე ძმისაჲ მის და გულისჴმა-ყო, ვითარმედ შურისა საეშმაკოჲსაჲ არს[8] საქმე იგი. ამისთჳსცა ჰრქუა ძმათა მათ: წარვედით უკუე და ილოცეთ სამ დღე და მეცა ვილოცო და მერმე მოვედით და გითხრა თქუენ, რაჲცა ჯერ-იყოს. და მოიწყუდია ძმაჲ იგი მძინარჱ[9] წინამძღუარმან და შეჰჴსნა სარტყელი მისი და აღმოიკითხა ქარტაჲ იგი და კუალად დადვა მუნვე და შეარტყა მას თჳსივე[10] სარტყელი. და აჰა ესერა, შემდგომად სამისა დღისა კუალადცა შეკრბეს ძმანი იგი და ჰრქუეს მამასა მათსა: მამაო, შეგჳწყალენ ჩუენ და გჳბრძანე, თუ რასა იქმ. და მან თქუა: მოხადეთ ძმასა მას აქა. და ვითარცა მოვიდა იგი, ჰრქუა მას მამამან: რად აწუხებ, ძმაო, ძმათა ამათ? ხოლო მან მიუგო: ვცოდე, შემინდვე მე და ლოცვა ყავთ[11] ჩემთჳს. მერმე ჰრქუა ბერმან ძმათა: რაჲ სთქუთ, რამეთუ იქმს ძმაჲ ესე?! და მათ ჰრქუეს: გრძნეული არს ეგე და სარტყელსა შინა თჳსსა უც გრძნეულებაჲ თჳსი. ჰრქუა მათ მამასახლისმან: გამოუღეთ მაგას გრძნებაჲ მაგისი. და იგი არა მიუშუებდა ძმათა /181/ განჴს/ნად სარტყელსა[12] მისსა[13]. მაშინ უბრძანა წინამძღუარმან, რაჲთა შეჰკუეთონ სარტყელი მისი. და ვითარცა ჰყვეს ესე, იპოვა ქარტაჲ იგი. აღიღო იგი[14] მამამან და მისცა ერთსა დიაკონთაგანსა და უბრძანა აღსლვაჲ მაღალსა

---

[1] ელხინის] ეხილნის B. [2] ეძიებდი] ეძიებდ C. [3] დაარწმუნაცა C. [4] იგი – C. [5] მიიღებს] მიიღებნ C. [6] წინამძღუარსა] მოძღუარსა C. [7] ~ძმასა თანა BC. [8] არს] იყო C. [9] მძინარჱ] მძინარე BCE. [10] თჳსივე + იგი C. [11] ყავთ] ყავ C. [12] სარტყელისა B. [13] მისსა – B; თჳსსა E. [14] იგი – B.

ადგილსა და მუნ აღმოკითხვაჲ ქარტისაჲ მის, რაჲთა ამითცა ჰრცხუენესო[1] ეშმაკსა და განიქიქოს[2], რომელი-იგი მოაგონებს კაცთა გრძნებასა და მოგუებასა. ხოლო აღმოიკითხა რაჲ დიაკონმან ქარტაჲ იგი და პოვა, რამეთუ ეწერა ესრეთ, ვითარმედ: სახელითა იესუ ქრისტეს ძისა ღმრთისაჲთა მოუთმენ ყოველსავე ძმათა[3]. ჰრცხუენა ძმათა მათ ფრიად, უფროჲსღა ეშმაკსა, მიზეზსა მას შურისასა, დაცჳვეს უკუე ძმანი იგი პირთა ზედა მათთა და ითხოვდეს მამისაგან მათისა შენდობასა და ეტყოდეს[4]: შეგჳნდვე ჩუენ, მამაო, რამეთუ ვცოდეთ. ჰრქუა მათ ბერმან: ჩემგან ითხოვთა შენდობასა? ღმრთისაგან ითხოვეთ და ამის ძმისაგან. მერმე ჰრქუა ბერმან ძმასა მას: ვილოცოთ, ძმაო, ღმრთისა მიმართ, რაჲთა შეუნდოს ამათ ღმერთმან. და ილოცეს ზოგად უფლისა მიმართ და იქმნა მიერითგან დიდი მშჳდობაჲ და დიდი სიყუარული მათ შორის მადლითა ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე[5] უკუნისამდე, ამინ!

2. საჭურისი ვინმე მკჳდრობდა უშინაგანესსა უდაბნოსა სკიტისასა. ხოლო იყო სენაკი მისი შორს სკიტისაგან ვითარ ათრვამეტ[6] მილიონ. ესე მივალნ ერთგზის შჳდეულსა შინა ღამით მამისა დანიელისსა და არავინ იცოდა სხუამან, თჳნიერ მან და მოწაფემან მისმან. ხოლო დაემცნო ბერსა მოწაფისა მის თჳსისადა, რაჲთა შჳდეულსა შინა ერთგზის მიართუმიდეს ჭურჭლითა[7] წყალსა და დასდგმიდეს /181v/ გარეშე კარსა, ოდენ რეკებისა მიერ აცნობებდეს მას და ესრეთ მდუმრიად განეშორებოდის, რომელ ყოლადვე არას იტყოდის სიტყუასა. ხოლო ესეცა ეთხრა ბერსა მოწაფისადა, რაჲთა ოდესცა პოოს[8] კეცი დაწერილი, მოართუას[9] მას. და ესრეთ ჰყოფდა ყოველსავე მოწაფე იგი ბერისაჲ ვითარცა განეწესა მისდა მოძღუარსა მისსა. დღესა უკუე ერთსა პოვა კეცი დაწერილი გარეშე კარსა მას ქუაბისასა მოწაფემან მან[10] ბერისამან, რომელსა ზედა ეწერა ესრეთ: „მამაო, მოშუერ მარტოჲ[11] ვიდრე ჩემდადმდე და მოწაფეცა შენი და[12] თანა მოიტანეთ სათხროლი“. და ვითარცა აღმოიკითხა დაწერილი იგი ბერმან, იტირა ტირილითა დიდითა და ჰრქუა მოწაფესა თჳსსა: ეჰა, შვილო, ვითარიღა სუეტი ნათლისაჲ დამიტეობს ჩუენ დღეს. მერმე ჰრქუა: აღიღე ჭურჭელი ესე, შვილო, და შემომიდეგ მე და გუალე, და წარვიდეთ და[13] ნუთუ ვითა[14] მივესწრნეთ ბერსა, რაჲთა არა დავაკლდეთ ლოცვასა მისსა, რამეთუ წარვალს იგი უფლისა. და იტირეს ფრიად ზოგად ორთავე და წარვიდეს და პოვეს იგი მჭურვალებითა ფიცხლითა შეპყრობილად. და დააგდო ბერმან თავი თჳსი ზედა მკერდსა მისსა და იტირა ფრიად და ჰრქუა: ნეტარ ხარ შენ, რამეთუ ჟამისა ამისთჳს იურვოდე და ზრუნევდი და შეურაცხ-ჰყავ

[1] ჰრცხუენესო] არცხჳნოს BC; ჰრცხვენეს E. [2] განაქიქოს BC. [3] ძმათა + მათ B. [4] ეტყოდეს] იტყოდეს C. [5] სიმტკიცე + უკუნითი E. [6] ათურამეტE. [7] ~წყალსა ჭურჭლითა E. [8] პოოს] პოვოს E. [9] მოართუას] მიართუას E. [10] მან – BCE. [11] მარტოჲ – B. [12] და – B. [13] და – C. [14] ვით – B.

სამეუფოჲ ქუეყანისაჲ და დაუტევენ ყოველნი კაცნი და ყოველივე დიდებაჲ მსოფლიოჲ. ჰრქუა მას საჭურისმან მან: ნეტარ ხარ შენ, ახალო აბრაჰამ უცხოთშემწყნარებელო ქრისტესო, რამეთუ მრავალთა დაფარულთა მონათა მიიხუამს უფალი ჴელთაგან შენთა. ჰრქუა მას ბერმან: ყავ /182/ სიყუარული, მამაო, და ლოცვა ყავ ჩუენთჳს. ჰრქუა მას საჭურისმან: მე მრავალთა ლოცვანი მიჴმან ჟამსა ამას. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუმცა მე უწინარეს შენსა წარვიდოდე, მემცა ლოცვა ვყავ შენთჳს. და წარმოჯდა ზედა ფსიათსა საჭურისი იგი, უპყრა თავსა ბერისასა, ამბორს-უყოფდა მას და ეტყოდა: ღმერთმან, რომელმან მომიყვანა მე ადგილსა ამას, მან სრულ-ყავნ სიბერესა ზედა შენსა, რაჲ-იგი სრულ-ყო აბრაჰამს ზედა. და მოიყვანა ბერმან[1] მოწაფჱ[2] თჳსი და დააგდო ფერჴთა თანა საჭურისისათა და ჰრქუა მას: აკურთხე, მამაო, შვილიცა ესე ჩემი, აკურთხე! ხოლო მან აღადგინა იგი, ამბორს-უყო მას და ჰრქუა: ღმერთმან, რომელი მდგომარე არს ესერა აწ[3] ჩემ ზედა განყვანებისათჳს სულისა ჩემისა ჴორცთაგან, რომელმან უწყის[4], თუ რაოდენი ნაბიჯი წარმოუდგამს ძმასა ამას სახელისათჳს მისისა[5] წმიდისა და მოსრულ არს სენაკად მწირობისა ჩემისა, მან სახიერმან და კაცთმოყუარემან განსუენებულ-ყოს სული მამისა თჳსისაჲ მაგას ზედა, ვითარცა ელიაჲსი ელისეს ზედა. მერმე ჰრქუა საჭურისმან ბერსა: მცნებისათჳს უფლისა ნუ განმძარცჳთ[6] მე, რაჲ-ესე მმოსიეს, არამედ ვითარ ესე ვარ, ესრეთვე წარმგზავნეთ უფლისა და მიეცით მიწაჲ მიწასა და ნუმცა ვინ უწყის სხუამან ჩემთჳს თჳნიერ თქუენ ორთასა. მერმე ჰრქუა ბერსა: მომგუარეთ მე მსხუერპლი იგი საიდუმლოჲ[7], რაჲთა ვეზიარო. და ვითარცა ეზიარა წმიდასა მას სიწმიდესა, კუალად თქუა: მომეცით მე ამბორი იგი ქრისტესმიერისა სიყუარულისაჲ და ლოცვა ყავთ ჩემთჳს. და მიხედნა მარჯუენით კერძო და თქუა: /182v/ კეთილად მოხუედით. და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა ლამპარი ცეცხლისაჲ და დაიწერა პირსა მისსა[8] ჯუარი და თქუა: ჴელთა შენთა, ღმერთო ჩემო, შევჰვედრებ[9] სულსა ჩემსა! და ესრეთ მისცა სული თჳსი უფალსა. ხოლო იტირეს ზოგად[10] ორთავე ფრიად და აღმოთხარეს კარსა წინა ქუაბისასა საფლავი და განიძარცუა ბერმან სამოსელი თჳსი, რომელი ემოსა და ჰრქუა მოწაფესა თჳსსა: შეჰმოსე ესე ზედა კერძო სამოსელსა მისსა. ხოლო ეცუა მას სევინი თხზული ბაიაჲსა[11] შინაკერძო და გარეშე ვარემანდი[12] ფლასისაჲ. და ვითარცა ჰმოსდა მას ძმაჲ იგი, მიხედნა და იხილა, რამეთუ ძუძუნი მისნი იყვნეს ვითარცა დედაკაცისანი, რომელნი მსგავსად ორთა ფურცელთა გამჴმარ იყვნეს, გარნა დუმნა და არარაჲ თქუა. და ვითარცა დაჰფლეს იგი და ყვეს ლოცვაჲ. ჰრქუა ბერმან მოწაფესა

[1] ~ მოწაფე თჳსი ბერმან C. [2] მოწაფჱ] მოწაფე E. [3] ~ აწ ესერა B. [4] უწყის] უწყინ B. [5] სახელისათჳს მისისა] სახელისა მისისათჳს C. [6] განმძარცჳთ] განმძურცჳთ BC. [7] საიდუმლოჲ] საჲდუმლოჲ A. [8] მისსა – B. [9] ~ შევჰვედრებ, ღმერთო ჩემო E. [10] ~ ორთავე ზოგად E. [11] ბაიაჲსა] ბაჲაჲსა AE. [12] ვარავინდი B; ვარევანდი E.

თჳსსა: დავჰჴსნათ, შვილო, დღეს მარხვაჲ და ვყოთ სიყუარული სამარხოსა ზედა ბერისასა. და ეზიარნეს იგინი და პოვეს მცირედ პაქსიმადი და ოსპნი დამბალი და ყვეს სიყუარული საფლავსა მას[1] ზედა ბერისასა. და აღიღეს მათ თანა სირაჲ იგი, რომელ[2] შურებოდა, და უკუმოიქცეს სენაკად თჳსად და ჰმადლობდეს ღმერთსა მიზეზსა ყოველთა კეთილთასა. ხოლო ვიდოდეს რაჲ იგინი გზასა, ჰრქუა მოწაფემან მისმან: იცია, მამაო, რომელ[3] საჭურისი იგი დედაკაცი იყო, რამეთუ ვმოსდი რაჲ მას, ვიხილენ ძუძუნი მისნი ვითარცა ფურცელნი დამჭნარნი, რამეთუ იყვნეს დედაკაცისანი. ჰრქუა მას ბერმან: ვიცი, შვილო, რამეთუ დედაკაცი არს და უკუეთუ გნებავს, მე გითხრა[4] შენ მისთჳს. ისმინე უკუე ცხორებაჲ მისი. ესე უკუე ქალწული პირველთაგანი იყო და თავთა პალატისათაჲ შვილი /183/ მშობელთა დიდთა და წარჩინებულთაჲ. და მეფემან იუსტინიანე[5] ინება აღყვანებაჲ მისი პალატად ქმნულკეთილობისათჳს მისისა და მრავლისა გონიერებისა. ცნა ესე თეოდორა დედოფალმან და განრისხნა და ინება ექსორიაყოფაჲ მისი, რომელი-ესე ისწავა მაგან, დაიმიზდა ნავი ღამით და აღიღო რაჲმე საფასეთაგან თჳსთა და ალექსანდრიად მოიწია და დაემკჳრა პემპტონს ალექსანდრიაჲსასა, სადა-იგი მონსატერიცა აღაშენა, რომელსა ეწოდების ვიდრე მოდღესამომდე[6] პატრიკიაჲსაჲ. და ვითარცა მოკუდა თეოდორა დედოფალი, ცნა კუალად ამან, ვითარმედ კუალადცა ეძიებს მეფე და ჰნებავს წარყვანებაჲ მისი. აღდგა და ივლტოდა კუალადცა ალექსანდრიაჲთ სრულიად მარტოჲ და მოვიდა ჩემ თანა ღამით და მევედრა მე, რაჲთა მივსცე მას სენაკი შორს სკიტისაგან და მითხრა მე ყოველივე წურილად თავისათჳს თჳსისა და საქმეთათჳს თჳსთა[7]. და მივეც მას ქუაბი ესე და შეიმოსა მან სახჱ[8] სამამაკაცოჲ და აჰა ესერა, არს დღეს ოცდა რვაჲ წელიწადი, ვინაჲთგან დაემკჳდრა იგი სკიტეს და არცა ერთმან ვინ ცნა მისთჳს, თჳნიერ შენ და ერთმან ძმამან[9] სხუამან, და მე ბერმან. და ძმამან მან[10] სხუამან ამისთჳს იცოდა, რაჲთა უკუეთუ სადამე წარვიდოდით ჩუენ, მას დავჰვედრი მირთუმაჲ წყლისაჲ, არავინ უკუე ცნა მისთჳს, თუ ვინ არს იგი, თჳნიერ შენ ოდენ მარტოდ დღეს. და რაოდენნი დიდებულნი და მაგისტროსნი გამოგზავნნა მეფემან იუსტინიანე[11] ძიებად მაგისა და ვერ პოვეს ეგე ვერსადა. და არა ხოლო მეფემან, არამედ პაპამანცა ალექსანდრიაჲსამან და თჳთ სრულად ყოველმან ალექსანდრიამან /183v/ ფრიადი ძიებაჲ ყვეს მისთჳს და ვერსადა უძლეს პოვნად ანუ ცნობად მისთჳს, თუ სადა არს, ვიდრე მოდღესამომდე[12]. ხედავა, შვილო, თუ ვითარ-იგი სუფევათა შინა სამეუფოთა აღზრდილ იყვნეს, ვითართაღა მოღუაწებათა შეუდგეს ღმრთისათჳს და თუ ვითარი ბრძოლაჲ და ძლევაჲ შეიმოსეს

[1] მას – C. [2] რომელ] რომელსა B. [3] რომელ] რამეთუ C. [4] მიგითხრა E. [5] იუს-ტინიანე] იოსტჳნიანე B; ისტჳნიანე E. [6] მოდღესამომდე] დღესამომდე B. [7] თჳსთა] თჳსთჳსთა B. [8] სახჱ] სახე BC. [9] ძმამან] ბერმან BE. [10] მან – BC. [11] იუსტინიანე] იოს-ტინიანე BE. [12] მოდღესამომდე] დღესამომდე B.

ეშმაკთა ზედა და ჯორცნი მათნი შემუსრნეს და დაამდაბლნეს. ხოლო ჩუენ[1], უნდოთა შინა დაბათა შობილნი, რომელნი ვერცა თუ პურითა განვძღებოდეთ სოფელსა შინა, მო-რაჲ-ვედით მონაზონებად, ვიშუებთ და განვისუენებთ და ერთსაცა სათნოებასა მოგებად ვერ შეუძლებთ, ვილოცოთ უკუე[2] ჩუენცა, ვილოცოთ, რაჲთა უფალმან ღირს-გუყვნეს[3] ჩუენცა სლვად სარბიელსა მას მართალთასა და რაჲთა წმიდათა თანა მამათა და წმიდათა თანა ანასტასიას საჭურისსა, რამეთუ ანასტასია ეწოდებოდა, ჩუენცა ვპოოთ წყალობაჲ დღესა მას დიდსა სასჯელისასა ლოცვითა და მეოხებითა ყოლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და ყოველთა წმიდათაჲთა და ლოცვითა მამისა დანიელისითა წინაშე საყდართა მათ საშინელთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა, ამინ!

3. იყო ვინმე ვეცხლისმოფარდული დიდქალაქსა[4] შინა ანტიოქიას[5] ჭაბუკი ჰასაკითა, რომელსა ერქუა ანდრონიკოს[6]. ამან მოიყვანა ცოლად თჳსა ასული იოანე[7] მისცა[8] ვეცხლისმოფარდულისაჲ, რომელსა ეწოდა სახელად ათანასია. და რამეთუ საქმით გამოჩნდა ჭეშმარიტად სიმტკიცე სახელისაჲ სიტყუათა მიერ და საქმითა, ვინაჲთგან ათანასია უკუდავებად ითარგმანების. ხოლო იყო ანდრონიკე ღმრთისმოშიშებასა შინა აღზრდილ /184/ და აღსავსე[9] ყოვლითავე საქმითა კეთილითა, ესრეთვე და მეუღლეცა მისი. და იყვნეს ორნივე იგი მდიდარ ფრიად. ხოლო იყო ცხორებაჲ მათი ესრესახედ[10], ყოველივე მონაგები მათი სამად განეყო: ერთი ნაწილი[11] გლახაკთა, ერთი ნაწილი მონაზონთა და ერთიღა იგი ნაწილი სამსახურად სახლისა და თავისა მათისა. უყუარდა უკუე სრულსა ქალაქსა ანდრონიკე სიმშვიდისათჳს მისისა და სიკეთისა და მრავალთა მათთჳს სათნოებათა მათთა. ხოლო იცნა ცოლი თჳსი და მიუდგა[12] და შვა ძე და დასდვეს მას სახელად იოვანე. მერმეცა[13] კუალად შე-ღა-ვესძინა და შვა ასული და უწოდეს მას მარიამ. მიერითგან არღარა შესძინა ანდრონიკე მიახლებად მეუღლისა თჳსისა, არამედ იყო ყოველი მოსწრაფებაჲ მათი მოღუაწებისათჳს გლახაკთაჲსა და წმიდათა ეკლესიათა მსახურებისა, რამეთუ კჳრიაკეთა ყოველთა უძილად განათიის ღამე წმიდათა[14] შინა ეკლესიათა, ხოლო ორშაბათსა და ოთხშაბათსა და პარასკევსა მივლენედ[15] მწუხრითგან ვიდრე[16] განთიადადმდე ქსენონთა და აბანოებსა უძლურთა და გლახაკთასა და იღუწიედ მათ გულსმოდგინედ. და შემდგომად ათორმეტისა წლისა მოვიდა დღესა ერთსა დამაშურალი მსახურებისა მისგან უძლურთაჲსა ათანასია და შევიდა მოხილვად შვილთა თჳსთა და პოვნა იგინი ჭირსა შინა და

---

[1] ჩუენ – C. [2] უკუე+ვილოცოთ C. [3] ღირს-მყვნეს E. [4] დიდქალაქსა] დიდსა ქალაქსა BE. [5] ანტიოქიას] ანტიოქიასა E. [6] ანდრონიკოს] ანდრინიკე BE. [7] იოანე] იოანესი B E. [8] მისცა] მისიცა C. [9] აღსავსე] სავსე B. [10] ესრესახედ] ესრეთ B. [11] აქ E ნუსხა წყდება. [12] მიუდგა] მიჳდგა A. [13] მერმეცა] მერმე C. [14] წმიდათა- B. [15] მივლენედ] მივლენ B. [16] ვიდრე – C.

სულთქუმასა, რომელსა ამას ზედა შეუძნდა ფრიად, ვითარცა შე-ცა-ჰგვანდა, აღვიდა ცხედარსა ზედა და მოწლედ მოეხჳა შვილთა თჳსთა. ხოლო ნეტარი ანდრონიკე მოვიდა წმიდით ეკლესიით და ხადოდა ცოლსა თჳსსა და აბრალებდა მას, ვითარცა ფრიად მძინარესა. და მან მიუგო: ნუ განჰრისხნები, უფალო, რამეთუ ყრმანი უძლურ არიან და სნეულ. და ვითარცა შეახო მან ჴელი, პოვნა იგინი, რამეთუ მჴურვალებასა შეეპყრნეს ფიცხელსა. /184v/ ამისთჳსცა სულთ-ითქუნა და თქუა: ნებაჲ უფლისაჲ[1] იყავნ ყოველსავე ზედა. და აღდგა და განვიდა იგი[2] გარეშე ქალაქსა იულიანეწმიდას, რამეთუ მუნ დამარხულ იყვნეს მშობელნი მისნი. ხოლო დაყო მუნ ლოცვასა შინა ვითარ ექუს ჟამ ოდენ. და ვითარცა უკუმოიქცა მიერ, ესმა ჴმაჲ გოდებისა და ტყებისაჲ ფრიადი სახლსა შინა თჳსსა. აღშფოთნა იგი ამას ზედა და მიისწრაფა და პოვა კნინღა და სრული[3] ქალაქი შეკრებულად სახლსა შინა მისსა, რამეთუ ყრმანი იგი მომკუდარ იყვნეს. იხილნა რაჲ ჩჩჳლნი ორნივე ზოგად მდებარენი უსულოდ ერთსა ზედა ცხედარსა, შევიდა სალოცავსა თჳსსა და დავარდა წინაშე მაცხოვარისა და თქუა ტირილით: შიშუელი გამოვედ მე მუცლით დედისაჲთ და შიშუელიცა განვიდე მე[4] ამიერ! უფალმან მომცა და უფალმანცა მიმიღო, ვითარცა უფალსა ენება, ეგრეცა იქმნა! და იყავნ სახელი ღმრთისაჲ[5] კურთხეულ ამიერითგან უკუნისამდე! ხოლო დედაჲ იგი ყრმათაჲ მათ ეღონებოდა მოშთობად თავსა და იტყოდა, ვითარმედ: ყრმათავე თანა ჩემთა მეცა დავეფლა და დავემარხო. შეკრბა უკუე სრულებით ყოველივე იგი დიდქალაქი[6] ანტიოქიაჲ გამოხუმასა მას ყრმათასა, ვიდრეღა და თჳთ პატრიარქიცა მოვიდა მღდელთა თანა თჳსთა და ერსა[7]. და განვიდეს იგინი გარეშე ქალაქსა[8], ტაძარსა წმიდისა იულიანე მოწამისასა და მუნ დაჰმარხნეს იგინი საფლავსა მას ზედა[9] პაპთა მათთასა. ხოლო გოდებისათჳს და ტირილისა რადღა საჴმარ არს თქუმად, რაჲთგან[10] ყოველი ანტიოქიაჲ მუნ შეკრებულ იყო. წარიყვანა უკუე პატრიარქმან ნეტარი ანდრონიკე და აღვიდეს საპატრიაქოდ. ხოლო დედამან ყრმათამან არღარა ინება მიქცევაჲ სახლად თჳსად, არამედ დაადგრა მუნვე ტაძარსა მას შინა წმიდისა მოწამისსა. და აჰა ესერა, /185/ შუვა/ღამეს ოდენ გამოუჩნდა მას წმიდაჲ მოწამე სახითა მონაზონისაჲთა და ჰრქუა: რაჲსათჳს არა უტევებ ძილად, ჱ დედაკაცო, აქა მყოფთა? ხოლო მან მიუგო: ნუ განჰრისხნები, უფალო ჩემო, რამეთუ გულტკივნეული ვარ ძნელად, რამეთუ ორნი შვილნი მესხნეს მარტოდ და ორნივე იგი ესერა ზოგად[11] დღეს დამიმარხვან. ჰრქუა მას გამოჩინებულმან მან: რაოდენისა წლისანი იყვნეს ყრმანი შენნი? და მან მიუგო: ერთი იგი იყო ათორმეტისა წლისაჲ და მეორე იგი იყო ათისაჲ. და

[1] უფლისაჲ] ღმრთისაჲ B. [2] იგი – C. [3] სრული] ყოველი C. [4] მე – BC. [5] ღმრთისაჲ] უფლისაჲ B. [6] დიდქალაქი] დიდი ქალაქი BC. [7] ერსა] ერისა B. [8] ქალაქისა B. [9] ზედა – B. [10] რაჲთგან] ვინაჲთგან B. [11] ~ ზოგად ესერა C.

მან კუალად ჰრქუა მას: და რაჲსა სტირ ესევითართა მათ ჩჩჳლთა და უმანკოთა და არა უფროჲსღა სტირ ცოდვათა შენთა, რამეთუ გეტყჳ შენ[1], დედაკაცო, ვითარცა სახედ მოჰჴდის კაცსა ბუნებაჲ თჳსი ჭამადსა და შეუძლებელ არს არა მიცემაჲ ჭამადისაჲ, ესრეთვე მოჰჴდიან მერმე[2] ჩჩჳლნი ქრისტესა საუკუნეთა მათ კეთილთა და ეტყჳან: წმიდაო მეუფეო, მართალო და მართალმსაჯულო, დამაკლენ ჩუენ საწუთროთაგან კეთილთა, ნუ დამაკლებ ჩუენ სასუფეველისაგან ცათაჲსა. ხოლო მას ესმა რაჲ ესე, ნუგეშინისცემულ იქმნა და გოდებაჲ იგი სიხარულად გარდაექცა. და თქუა: უკუეთუ ყოლად ცოცხალ არიან შვილნი ჩემნი სასუფეველსა შინა ცათასა, რაჲსათჳსღა[3] ვტირ?! და მეყსეულად ძიება ყო მონაზონისა მისთჳს, რომელი ზრახვიდა მას და მიმოვლო ყოველი იგი ტაძარი და ვერსადა პოვა. მერმე განაღჳძა მნე იგი და მეკრე ეკლესიისაჲ და ჰრქუა: სადა არს მონაზონი იგი, რომელი აწღა[4] შემოვიდა აქა? ხოლო მნემან მან[5] მიუგო: ხედავ ყოველთა კართა ეკლესიისათა დაკრძალულთა და ამას მკითხავა, თუ სადა არს მონაზონი, რომელ შემოვიდა აწღა? რამეთუ გულისჴმა-ყო მნემან მან, ვითარმედ ხილვაჲ რაჲმე იხილა. ხოლო იგი შეძრწუნდა და ჰლოცვიდა მსახურთა თჳსთა, /185v/ რაჲთა წარიყვანონ იგი სახედ თჳსა. და ვითარცა წარვიდეს, მიუთხრა ყოველივე იგი, რომელიცა იხილა, ქმარსა თჳსსა. მერმე ჰრქუა მას ნეტარმან ათანასია: ჭეშმარიტად, უფალო, სიცოცხლესაცა შინა მათ ჩჩჳლთასა მენება სიტყუად შენდა და მრცხუენოდა. და აჰა ესერა, აწ შემდგომად სიკუდილისა მათისა მოგაჴსენებ, ისმინე ჩემი, მჴევლისა შენისაჲ, და შემიყვანე მე[6] მონასტერსა, რაჲთა მას შინა ვსტიროდი[7] ცოდვათა ჩემთა და შენცა გილოცვიდე. ჰრქუა მას ანდრონიკე: წარვედ და გამოცადე გულისსიტყუაჲ შენი შჳდეულსა ერთსა და უკუეთუ ეგო მაგასვე ზედა გონებასა, მერმე ვთქუათ, რომელი ჯერ-იყოს. და ვითარცა ყო ეგრეთ და[8] კუალადცა მოვიდა და მასვე ზედა ეგო ნებასა და გულისზრახვასა, მაშინ მოუწოდა ნეტარმან ანდრონიკე სიმამრსა თჳსსა და მისცა მას ყოველივე იგი სიმდიდრე თჳსი და ჰრქუა[9]: წმიდათა ადგილთა წარვალთ ჩუენ ლოცვად. უკუეთუ შეგუემთხჳოს ჩუენ სიკუდილი, რაჲცა ჰყო ჩუენსა ზედა მონაგებსა, ღმრთისაგან ჰპოო ნაცვალი. გევედრები შენ, რაჲთა კეთილად განაგო ყოველივე და სასნეულოჲ აღაშენე ამას ადგილსა და უცხოთსადგური[11] მონაზონთაჲ. და განათავისუფლნა მონანი თჳსნი და მისცა მათ შემსგავსებული[12] თჳთოეულისაჲ საფასჱ[13]. და მიიღო მცირე რაჲმე საგზალი სახლისაგან თჳსისა და ორი საჴედარი. და გამოვიდეს ქალაქით ღამე იგი და ცოლი მისი. ხოლო ნეტარმან ათანასია იხილა შორით სახლი თჳსი, აღიხილნა

[1] შენ +ჱ B. [2] მერმე + მას B. [3] რაჲსათჳსღა] რაჲსაღა B. [4] აწ B. [5] მან – B. [6] მე- B. [7] ვსტიროდი] ვტიროდი B. [8] და – B. [9] ჰრქუა + მას C. [10] უცხოთსადგური] უცხოთა სადგური B. [12] შემსგავსებულად B. [13] საფასჱ] საფასე B.

თუალნი ზეცად და თქუა: ღმერთო, რომელმან არქუ აბრაჰამს და სარრას: „გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა და მოვედ ქუეყანასა მას, რომელი მე გიჩუენო“, შენვე[1], თავადო მეუფეო დიდებისაო, წარმიძეღუ ჩუენცა შიშსა შინა შენსა[2], რამეთუ სახელისათჳს /186/ შენისა წმიდისა დაგჳყრიან ღიად კარნი სახლთა ჩუენთანი და ნუ დაჰჴშავ[3] წინაშე პირთა ჩუენთა კარსა მას სასუფეველისა შენისასა! და იტირეს ორთავე[4] ზოგად და წარვიდეს და მიიწინეს წმიდათა ადგილთა და თაყუანის-სცეს მათ და მიემთხჳნეს მრავალთა წმიდათა მამათა და მიიღეს ლოცვაჲ მათი. და მერმე მიიწინეს ალექსანდრიას ტაძარსა წმიდისა მინაჲსსა. და პატივ-უპყრეს მღდელთა მისთა წესისაებრ და ჯერისა. წარმოდგა უკუე გარდა-მოსადგომელსა მას ზედა[5] საღმრთოჲ ანდრონიკე ჟამსა ოდენ ცხრაჲჟმისასა და იხილა მონაზონი ვინმე, რომელი შფოთებდა ერისკაცსა თანა და ჰრქუა ერისკაცსა მას: რაჲსა[6] შფოთებ, ძმაო, მონაზონსა თანა და აჭირვებ მას? ჰრქუა მას კაცმან მან: მამაო, საჴედარი იმიზდა ჩემი და აწ ვეტყჳ მე, რაჲთა წარვიდეთ ღამით სიცხისათჳს და არა მოვალს ჩემ თანა, არცა მერჩის მე. ჰრქუა მას ანდრონიკე: გყავსა სხუაჲ საჴედარი? და მან მიუგო: ჰჩ, უფალო. ხოლო მან ჰრქუა: წარვედ და მოიყვანე იგი აქა და მოედ[7] და აღვიყვანო ერთი საჴედარი მე და ერთი ბერმან. და[8] რამეთუ მეცა სკიტეს მეგულების აღსლვაჲ. მერმე ჰრქუა მეუღლესა თჳსსა: იყავ შენ აქა მინაწმიდას, რაჲთა აღვიდე სკიტეს და ვიკურთხო მამათაგან და კუალად მოვიქცე. ჰრქუა მას დედაკაცმან: წარმიყვანე მეცა შენ თანა. მიუგო ანდრონიკე: დედაკაცი არა შევალს სკიტეს. ხოლო მან ჰრქუა ცრემლით: შენ გასცე ღმერთსა პასუხი და წმიდასა მინას, არა თუ მოხჳდე და შემიყვანო სადმე[9] მონასტერსა. და მოიკითხეს ურთიერთარს და განეშორნეს. აღვიდა უკუე ანდრონიკე სკიტედ და მოილოცნა წმიდანი მამანი ყოველთა მონასტერთანი. და ესმა მამისა დანიელისთჳს და წარვიდა მისა და მრავლითა შრომითა უძლო ხილვაჲ მისი და უბნობაჲ და მიუთხრა ბერსა ყოველივე წურილად[10]. /186v/ ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და მოიყვანე მოყუასიცა შენი და დაგიწერო შენ წიგნი, რაჲთა წარიყვანო იგი[11] თებაიდას[12] ტაბენესელთა[13] მონასტერსა ქალწულთასა. ხოლო ანდრონიკე ქმნა, ვითარცა ამცნო ბერმან და წარვიდა და მოიყვანა ათანასია ბერისა. და მიუთხრა მას ბერმან სიტყუაჲ ცხორებისაჲ და დაუწერა წიგნი და წარმგზავნა[14] იგი მონასტერსა დედათასა. და უკუმოიქცა მიერ ანდრონიკე და შეჰმოსა მას ბერმან სახჩ[15] მონაზონებისაჲ და ასწავა მას წესი და ქცევაჲ მონაზონთაჲ. და დაყო მას თანა ანდრონიკე

---

[1] შენვე] შენ B. [2] შენსა + და C. [3] დაჰჴშავ] დაგჳჴშავ B. [4] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება. [5] ზედა – C. [6] რაჲსა] რასა BE. [7] მოედ] მოვედ B. [8] და- C. [9] სადმე] სადამე BC. [10] წურილად] წული-წულილად B; წულილად E. [11] იგი – C. [12] თებაიდას] თებაჲდას A. [13] ტაბენესელთა] ტაბენესენთა BC. [14] წარმგზავნა] წარგზავნა BE. [15] სახჩ] სახე BE.

ვითარ ათორმეტი ოდენ წელიწადი. შემდგომად ამისა გამოეთხოვა ბერსა, რაჲთა წარვიდეს და მოილოცნეს წმიდანი ადგილნი, ხოლო ბერმან ყო ლოცვაჲ და განუტევა. და ვითარცა ვიდოდა იგი კერძოთა მათ ეგჳპტისათა, დაჯდა ეკლნარსა რასმე ქუეშე, რაჲთა მცირედ განისუენოს ფრიადისა მისგან სიცხისა. და აჰა ესერა, განგებითა ღმრთისაჲთა მოვიდოდა ცოლი მისი შემოსილი სამოსლითა სამამაკაცოჲთა და[1] რამეთუ წარვიდოდა[2] იგიცა ლოცვად წმიდათა ადგილთა[3], და მოიკითხეს მათ ურთიერთარს. და რამეთუ ტრედმან იცნა მეუღლე თჳსი, ხოლო ანდრონიკემცა ვითარღა იცნა ცოლი თჳსი, რომლისა იგი სახჱ[4] და შუენიერებაჲ დამჭნარ იყო და მრავლისა მისგან ღუაწლისა ჰინდოდ შავად გარდაქცეულ იყო. ჰრქუა მას ათანასია: სადა წარმართებულ ხარ, უფალო მამაო? და მან ჰრქუა მას: წმიდათა ადგილთა წარმართებულ ვარ ლოცვად. ხოლო მან მიუგო: და მეცა მუნვე წარვალ და უკუეთუ გნებავს, ვიდოდით ორნივე ზოგად, გარნა ესრეთ დუმილით ვიდოდით, ვითარმცა ყოლად არა ვართ ერთგან. ჰრქუა მას ანდრონიკე: ვითარცა ჰბრძანო. მერმე ჰკითხა მას და ჰრქუა: ნანდჳლვე შენ არა მოწაფჱ ხარა მამისა დანიელისი[5]? მან მიუგო: ჰჱ, ეგრეთ არს. და მან კუალად: არა ანდრონიკჱ /187/ გეწოდე/ბისა? და[6] მიუგო: ჰჱ, ეგრეთ არს. ხოლო მან ჰრქუა: ლოცვანი ბერისანი თანაგზა-გუყვენინ ჩუენ. მიუგო ანდრონიკე: ამინ! ვიდოდეს უკუე ორნივე ზოგად და მივიდეს და მოილოცნეს წმიდანი ადგილნი და კუალად უკუმოიქცეს ალექსანდრიადვე. და ჰრქუა ათანასე მამამან მამასა ანდრონიკეს: უკუეთუ გნებავს, ვიყვნეთ ზოგად ერთსა შინა სენაკსა. მიუგო ანდრონიკე: ვითარცა ჰბრძანო, მამაო! რამეთუ ვითარცა საჭურისსა ხედვიდა მას იგი, გარნა პირველად მნებავს აღსლვაჲ სკიტეს და მიღებაჲ ლოცვასა ბერისა ჩემისასა. ჰრქუა მას ბერმან ათანასე: წარვედ და მე გელოდი შენ[7] მონასტერსა ათრვამეტთასა, გარნა უკუეთუ მოხუალ, ვითარცა ვიდოდეთ ჩუენ დუმილით ყოველსა მას სლვასა ჩუენსა, ესრეთვე მდუმრიად ვიყოფებოდით. უკუეთუ კულა დუმილსა არა იმარხავ, ნუ მოხუალ, რამეთუ მე ათრვამეტთასა დავადგრები[8]. წარვიდა უკუე ანდრონიკე და მოიკითხა ბერი და მიუთხრა მას ყოველივე იგი[9] საჭურისისა მისთჳს, ხოლო ბერმან ჰრქუა მას: წარვედ და იყავ მის თანა და შეუტკბე დუმილი, რამეთუ იგი მონაზონი არს, ვითარცა ჯერ არს. და ვითარცა-იგი პოვა ბერი ათანასე და დაადგრეს ერთგან შეზღუდვილნი შიშითა ღმრთისაჲთა სხუასა ათორმეტსა წელსა და ვერაჲ ცნა ათანასესთჳს ანდრონიკე, თუ ნანდჳლვე ცოლი არს მისი, ხოლო აღვალნ ბერიცა მრავალგზის მოხილვად მათდა და ზრახავნ მათ ცხორებისათჳს სულთა მათთაჲსა. დღესა უკუე ერთსა აღვიდა

---

[1] და – BCE. [2] წარვიდოდა] წარემართებოდა C. [3] ადგილთა + იერუსალჱმს E. [4] სახჱ] სახე BC. [5] აქ E ნუსხა წყდებავ. [6] და + მან B. [7] შენ – BC. [8] დავადგრები] დავდგები B. [9] ყოველივე იგი] ყოველი B.

ბერი მოხილვად მათდა და ვითარცა დაუტევა მშჳდობაჲ და წარვიდა ტაძრად წმიდისა მინაჲსა, მიეწია მას ანდრონიკე და ჰრქუა: მამაო, ძმაჲ ათანასე წარვალს უფლისა. ესმა რაჲ ესე ბერსა, მეყსეულად უკუმოიქცა და პოვა იგი, რამეთუ მჴურვალებასა შეეპრა ფიცხელსა[1] და ტიროდა მწარედ. ჰრქუა მას /187v/ ბერმან: რომლისათჳს თანაგედვა სიხარული, რამეთუ მიხუალ უფლისა, შენ უფროჲსღა სტირა? მიუგო ბერსა ათანასე და ჰრქუა: არა ჩემთჳს ვტირ, მამაო, არამედ ანდრონიკესთჳს. გარნა ყავ სიყუარული და ოდეს დამმარხოთ ჰპოოთ პიტაკი სასთუნალსა ქუეშე ჩემსა, რომელ არს ქარტაჲ დაწერილი, აღმოიკითხეთ იგი[2] და მერმე მიეცით იგი მამასა ანდრონიკეს. და ყვეს ლოცვაჲ და აზიარეს იგი[3] წმიდათა საიდუმლოთა[4] და დაიძინა ძილი იგი მართალთაჲ უფლისა მიერ. და ვითარცა მივიდეს იგინი შემოსად მისა[5], პოვეს[6] იგი, რამეთუ ბუნებით იყო დედაკაცი და მიესმა ესე ყოველსა ლავრასა და მიუმცნო ბერმან და მოიყვანა მან ყოველი სკიტე და რომელნი-იგი მკჳდრ იყვნეს უშინაგანესსა უდაბნოსა, იგინიცა მოვიდეს. და შეკრბეს ყოველნი ლავრანი ალექსანდრიაჲსანი და მივიდეს[7] მუნ ესრეთვე სრულად ყოველი ქალაქი. ხოლო სკიტელნი ყოველნი იყვნეს მოსილ თეთრითა, რამეთუ ესრეთ იყო წესი მათი და მოვიდეს იგინი რტოებითა ბაიაჲსათა[8]. და ესევითარითა პატივითა გამოიხუნეს პატიოსანნი იგი ნაწილნი ათანასიაჲსნი და ადიდებდეს ზოგად ყოველნი ღმერთსა, რომელმან ესევითარი მოთმინებაჲ მისცა[9] უძლურსა მას ბუნებასა დედათასა. და დაადგრა ბერი მუნ ვიდრე შჳდადმდე ნეტარისა ათანასიაჲსა. და შემდგომად ამისა ინება ბერმან წარყვანებაჲ მამისა ანდრონიკესი მის თანა. ხოლო მან არა თავს-იდვა, არამედ ჰრქუა: საფლავსა ზედა დედოფლისა ჩემისასა მოვკუდე[10] მეცა. და კუალადცა დაუტევა მშჳდობაჲ ბერმან და წარემართა ტაძრად წმიდისა მინაჲსა და ვიდრე მიწევნადმდე ბერისა მუნ, მიეწია მას სხუაჲ ძმაჲ და ჰრქუა: მამაო, ბერი ანდრონიკე მოკუდების. ხოლო ბერმან მიუმცნო კუალადცა[11] სკიტეს და ჰრქუა: მოვედით, ძმანო, მოვედით, რამეთუ ბერი ანდრონიკე შეუდგს ბერსა /188/ ათანასეს. ხოლო მათ ესმა რაჲ ესე, აღვიდეს და პოვეს იგი[12] ცოცხალი და იკურთხნეს იგინი მისგან სურვილით. დაიძინა[13] უკუე მანცა უფლისა მიერ მშჳდობით და იქმნა ბრძოლაჲ ფიცხელი მამათა სკიტელთა და სხჳსა მის მონასტრისათა, რომელსა შინა აღესრულნეს, რომელთა ათრვამეტთაჲ[14] ეწოდებოდა. სკიტელნი იტყოდეს: ჩუენი არს ძმაჲ და სკიტეს წაგუყავს[15] ესე, რაჲთა შემეწეოდინ ჩუენ ლოცვანი მაგისნი. ხოლო სხუანი იგი იტყოდეს: დასა თანა მაგისსა დავჰმარხავთ მაგას. გარნა

---

[1] ფიცხელსა] საშინელსა C. 2 იგი- B. 3 იგი- C. 4 საიდუმლოთა] საიდუმლოთა A. 5 მისა – C. 6 პოვეს] იხილეს C. 7 მივიდეს] მოვიდეს B. 8 ბაიაჲსათა] ბაიაჲსათა A. 9 მისცა] მოსცა C. 10 აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება. 11 ~ კუალადცა მიუმცნო B. 12 იგი- E. 13 დაიძინა] დაჲძინა A. 14 ათრვამეტთაჲ] ათურამეტთაჲ E. 15 წაგუყავს] წარგუყავს BC.

ვინაჲთგან სკიტელნი უმრავლეს იყვნეს, თქუა მამასახლისმან სხჳსა მის[1] მონასტრისამან: რაჲცა ბრძანოს ბერმან და იგიცა ვყოთ. ხოლო მამასა დანიელს ენება რაჲთა მუნ დაემარხოს, სადაცა-იგი აღესრულა. გარნა ბერნი სკიტელნი არა ერჩდეს მას, არამედ თქუეს: მამაჲ დანიელ ზეცას არს გონებითა და არა ეშინის მას ბრძოლათაგან ჯორციელთა, ხოლო ჩუენ ქუეყანასა ზედა ვართ და რომელნიმე ჭაბუკცა ვართ და გჳჯმს ჩუენ თანა ძმაჲ ესე, რაჲთა შეგუეწეოდიან[2] ჩუენ ლოცვანი მისნი. კმა არს თქუენდა, რამეთუ დაგიტეობთ თქუენ დასა მაგისსა ათანასესა[3]. იხილა რაჲ ბერმან, რამეთუ შფოთი დიდი იქმნების, ჰრქუა ძმათა: გრწმენინ, მამანო, უკუეთუ არა ისმინოთ ჩემი, მეცა აქავე დავდგე[4] შვილთა თანა ჩემთა და მათ თანავე დავემარხო! ესმა რაჲ ესე ძმათა ბერისაგან, მაშინღა დადუმნეს და გამოიყვანეს ძმაჲ ანდრონიკე და დაჰმარხეს იგიცა[5] საფლავსავე ნეტარისა ათანასიაჲსსა. მერმე ჰრქუეს ძმათა ბერსა: გუალე, წარვიდეთ სკიტეს. ხოლო ბერმან ჰრქუა მათ: მაცადეთ მე, რაჲთა გარდავიჯადო შჳდი ძმისა ამის. და არღარა უტევეს მას ყოფად მუნ. ესე მიუთხრა მამამან დანიელ მოწაფესა თჳსსა. ვილოცოთ უკუე ჩუენცა, რაჲთა ღირს-მყვნეს უფალმან წყალობასა თჳსსა ლოცვითა /188v/ წმიდათა ამათ[6] და ნეტართა ათანასია და ანდრონიკესითა და ლოცვითა ყოველთა წმიდათაჲთა, ამინ!

IX. თქუა **მამამან ესაია**[6]: არარაჲ ესრეთ სარგებელ-ეყოფვის ახლადმოსრულსა, ვითარ გინებაჲ და შეურაცხებაჲ, რამეთუ ვითარცა ნერგი და ხე, რომელი დღითიდღე ირწყვებოდის, ადრე-ადრე[7] აღორძინდების, ესრეთვე[8] ახლადმოსრული მონაზონი მო-თუ-ითმენდეს კდემასა და შეურაცხებასა.

2. კუალად თქუა: ნეტარ არიან იგინი, რომელთა შრომანი მათნი ყვნეს გულისჴმისყოფით, რამეთუ განუსუენეს თავთა თჳსთა[9] ყოვლისაგან სიმძიმისა და გარეწარჴდეს მანქანებათა საეშმაკოთა, რომელნი-იგი დამახრწეველ ექმნებიან კაცსა ყოველსავე საქმესა კეთილისასა[10]. ხოლო უფროჲს ყოვლისა ლოცვისათჳს მოართუმენ უდებებასა[11], ოდეს ვინ მოთმინებით ღმრთისადა[12] შედგომილ იყოს. ამისთჳს სანატრელ არს ყოველსა შინა განკითხვაჲ და ზომითი მოღუაწებაჲ.

3. იტყოდა კუალად: პირველად ყოვლისა პირველი ღუაწლი არს უცხოებაჲ, უფროჲსღა ოდეს მარტოჲ ვინ ივლტოდის და დაუტეოს თჳსი ადგილი და სხუად წარვიდოდის. ხოლო უჴმს ესევითარსა მას, რაჲთა საგზლად თჳსად აქუნდეს სარწმუნოებაჲ და სასოებაჲ და მტკიცე გული და მჴნე ნებათა ზედა თჳსთა, რამეთუ მოიცვენ მაშინ ყოვლით კერძო მბრძოლნი,

---

[1] მის – E. [2] შეგუეწეოდიან] შეგუეწეოდინ E. [3] ათანასესა] ათანასიას BE. [4] დავდგე] დავდგები B. [5] იგიცა – C. [6] ამათ] მათ C. [7] ესაია] ესაჲა A. [8] ადრე-ადრე] ადრე B. [9] ესრეთვე] ეგრეთვე C. [10] თჳსთა] მითთა BC. [11] უდებებასა] უდბებასა B. [12] ღმრთისადა] ღმრთისათჳს BE.

მოიცვენ და მრავალთა სახეთა მოართუმენ ბრძოლისათა და აშინებენ მას შევრდომად განსაცდელთა[1], დაუმძიმებენ მას[2] ფიცხელსა მას სიგლახაკესა[3], უმისნიან სენთა, უწინაწარმეტყუელებენ სნეულებათა: უკეთუ ესე და ესე მოიწიოსო[4], შენ რაჲ ჰყოო, ოდეს არავინ გუსუას მეცნიერი გინა თჳსი, გინა გულმტკივანი?! რამეთუ და არნცა მრავალგზის, რომელ სახიერებაჲ ღმრთისაჲ გამოგცდის შენ, /189/ რაჲთა გამოჩნდეს მოსწრაფებაჲ შენი და სიყვარული ღმრთისა მიმართ. გარნა ამას ყოველსა ზედა[5] ნუ შეშინდები, რამეთუ არავინ მეძიებელთა თჳსთაგანი დაუტეობიეს[6] ღმერთსა, უეჭუელად არცა შენ დაგიტეობს.

X. თქუა **მამამან ელია**: უკუეთუ არა გონებაჲცა გალობდეს ჴორცთა თანა, ცუდ არს შრომაჲ იგი.

2. მანვე თქუა: უკუეთუ შეიყუარო ჭირი, უკუანაჲსკნელ[7] სიხარულად გარდაგექცეს.

XI. 1. ძმაჲ ვინმე ბრძოლილ იქმნა და მიუთხრა **მამასა ირაკლის**[8]. ინება ბერმან დამტკიცებაჲ მისი და ჰრქუა მას: იყო ვინმე ბერი და ჰყვა მას მოწაფე ყოლად მორჩილი მრავალთა წელთა. ერთგზის უკუე ბრძოლილ იქმნა იგი, მოუდრიკნა ბერსა მუჴლნი და ჰრქუა მას: მყავ მე მარტოდმყოფად. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და მოიძიე ადგილი, რომელი გაშუნდეს და აღგიშენოთ შენ სენაკი. და წარვიდა და[9] პოვა მილიონ ერთ შორს ადგილი და წარვიდეს და აღაშენეს სენაკი. მერმე ჰრქუა ძმასა მას: რაჲცა გრქუა შენ, იგიცა ყავ: ოდეს გშიოდის, ჭამე, ოდეს გწყუროდის, სუ, და ოდეს დაგეძინებოდის, დაიძინე[10], თჳნიერ ოდენ სენაკისაგან შენისა ნუ გამოხუალ[11], ვიდრე შაბათადმდე და მერმე მოედ[12] ჩემ თანა. ყო უკუე ძმამან მან[13] მცნებისაებრ ბერისა ორ დღე, ხოლო მესამესა დღესა მოეწყინა და თქუა: რაჲ ესე მიყო ბერმან?! და აღდგა და წართქუნა ნამეტნავნი ფსალმუნნი და შემდგომადღა მზისა დასლვისა ჭამა. და აღდგა და წარვიდა დაწოლად ცხედარსა[14] თჳსსა. და იხილა მას ზედა მწოლარედ შავი ვინმე ჰინდოჲ, რომელი იღრჭენდა მის ზედა კბილთა. აღდგა მყის და შიშითა მრავლითა მირბიოდა ბერისა, ჰრეკდა[15] კარსა და ეტყოდა: მამაო, შემიწყალე მე და განმიღე! აგრძნა ბერმან, რამეთუ არა დაიცვა მცნებაჲ მისი /189v/ და არა განუღო მას ვიდრე განთიადადმდე. ხოლო განთენა რაჲ, განუღო და პოვა იგი გარე მდგომარე, რამეთუ ევედრებოდა. შეეწყალა ბერსა და შეიყვანა იგი. და მან თქუა: გევედრები შენ, მამაო, ჰინდოჲ ვინმე შავი ვიხილე ფსიათსა ზედა ჩემსა, მივედ რაჲ მე დაწოლად. ჰრქუა მას ბერმან: ესე შეგემთხჳა შენ ამისთჳს, რამეთუ არა დაიმარხე სიტყუაჲ ჩემი. მერმე განუწესა მას წესი და კანონი

---

[1] აქ E ნუსხა წყდება. [2] მას- C. [3] სიგლახაკესა + და B. [4] მოიწიოსო] მოიწიოს B. [5] ზედა] შინა C. [6] დაუტევებიეს B. [7] უკუანაჲსკნელად C. [8] ირაკლის] ილაკრის B. [9] და – B. [10] დაიძინე] დაჲძინე A. [11] გამოხუალ] განხუალ B. [12] მოედ] მოვედ B. [13] მან – C. [14] ცხედარსა + ზედა B. [15] ჰრეკდა] ურეკდა B.

სამონაზონოჲ, რომელი ძალ-ედვა პყრობად და მცირედ-მცირედ იქმნა იგი[1] მონაზონ კეთილ და რჩეულ.

2. კუალად თქუა, ვითარმედ: ბერი ვინმე მკჳდრ იყო ტაძარსა შინა საკერპოსა. მოუჴდეს ეშმაკნი და ეტყოდეს მას: განვედ, ბერო, ადგილისაგან ჩუენისა. ხოლო ბერი ეტყოდა: თქუენ ადგილი არა გაქუს. მერმე იწყეს მიმოდაბნევად ბაიასა[2] მისსა ერთვე[3] და ბერი იღუწიდა და შეჰკრებდა მას. უკანაჲსკნელ უპყრა ეშმაკმან ბერსა ჴელი და გაზიდვიდა[4] მას გარე. და ვითარცა მიიყვანა იგი კარადმდე, მოჰკიდა ბერმან ჴელი ერთი კარსა და თქუა: იესუ ქრისტე, შემწე მეყავ მე! და მეყსეულად ივლტოდა ეშმაკი. ხოლო ბერმან იწყო ტირილად. ჰრქუა მას უფალმან: რად სტირ, ბერო? მიუგო ბერმან: რამეთუ იკადრებენ მკლავითა პყრობად კაცისა და ესრეთ უყოფენ. ჰრქუა მას მაცხოვარმან: შენ უდებ-ჰყავ, თუ არა, ოდეს მეძიებდ მე, ხადავა, თუ ვითარ ადრე გეპოვე?! ხოლო ამას ვიტყჳ, ვითარმედ შრომაჲ გჳჭმს ფრიადი, რაჲთა მოვიგოთ. და უკუეთუ არა იყოს შრომაჲცა და ღუაწლი, ვერვის ძალ-უც ღმრთისა შემწედ თჳსად მოგებად. და რამეთუ თჳთ თავადიცა ქრისტე ძჱ ღმრთისაჲ ჩუენთჳს ჯუარს-ეცუა ჰორცითა.

XII. 1. ძმაჲ ვინმე მჯდომარე იყო მარტოჲ სენაკსა შინა და აღშფოთნებოდა იგი. წარვიდა **მამისა თეოდორე ფერმელისა** და მიუთხრა მას საქმე იგი, ხოლო მან ჰრქუა: /190/ წარვედ და დაუმდაბლე ვის[5] გულისსიტყუაჲ შენი სხუასა და იყავ მის თანა. აღდგა და წარვიდა ძმაჲ იგი მთას და იყოფებოდა სხჳსა თანა. მერმე მოიქცა ბერისავე და ჰრქუა მას: ვერცაღა სხუასა თანა აღვეშენები. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ მარტოჲ ვერ განისუენებ, ვერცაღა სხუათა[6] თანა, რაჲსათჳს მოხჳდოდე მონაზონებად, ანუ არა რაჲთა[7] დაუთმოა ჭირსა და ძჳრისხილვასა? მითხარ უკუე, რაოდენი წელი გაქუს სახესა მაგას შინა? ჰრქუა მას ძმამან: რვაჲ წელიწადი, მამაო. ჰრქუა მას ბერმან: ჰრიდე, ძმაო, მაქუს სახესა ამას შინა ოთხმეოცი წელი და ვერცა თუ ერთსა დღესა ვპოვე განსუენებაჲ და შენ რვა წელ გნებავსა პოვნა განსუენებისა?! ესე რაჲ ესმა ძმასა მას, განემტკიცა იგი და განეშორა.

2. ჰკითხა ვინმე **მამასა თეოდორეს**, ვითარმედ: უკუეთუ იქმნეს რაჲმე ანაზდაჲთი[8] შიში, შენ რაჲ, მამაო, გეშინისღა ანუ არა? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ დაეკრას ცაჲ ქუეყანასა, თეოდორეს არა ეშინის. რამეთუ იყო იგი[9] ვედრებულ ღმრთისადა, რაჲთა აღიღოს მისგან შიში, ამისთჳსცა ჰკითხა მას.

XIII. 1. იტყოდეს **მამისა თევდორესთჳს** და **მამისა ლუკიოჲსთჳს**[10], რომელი იყო ცხრათაჲ, ვითარმედ დაყვეს ორმეოცდაათი წელი, რომელ ჰბასრობდეს გულისსიტყუათა თჳსთა და ეტყოდეს: შემდგომად ზამთრისა

---

[1] იგი – B. [2] ბაიასა] ბაჲასა A. [3] ერთვე] ესრეთვე B. [4] გამოზიდვიდა B. [5] ვის – B. [6] სხუათა] სხუასა BC. [7] რაჲთა – C. [8] ანასდაჲთი B. [9] იგი – B. [10] ლუკიოჲსთჳს] ლუკიაჲსთჳს B.

ამის წარვიდეთ აქაჲთ. ხოლო ოდეს მოვიდის[1] ზაფხული, კუალად თქჳან: შემდგომად, ზაფხულისა ამის წარვიდეთ აქაჲთ. და ესრეთ გარდავლნეს ყოველნი იგი[2] დღენი ცხორებისა მათისანი მარადის ჴსენებულთა წმიდათა მამათა.

XIV. 1.იტყოდა **დედაჲ თეოდორა**, ვითარმედ: ძმაჲ ვინმე ღმრთისმოშიში იგინებოდა ვისგანმე. ხოლო მან ჰრქუა: მცნებაჲ ღმრთისაჲ დაჰკრავს პირსა ჩემსა, /190v/ თუ არა ეგე, რომელ შენ იტყჳ, მეცა ძალ-მედვა[3] თქუმად.

2. ძმასა ვისმე შეექმნა ფხანაჲ ფრიადი განცდისათჳს და სიმრავლე ტილთაჲ დაუთმენელი. და რამეთუ იყოცა იგი შვილი მდიდართაჲ, რომლისათჳს ეტყოდეს ეშმაკნი: ესე შეგგვანდა შენ და ამას თავს-იდება დათმენად? ვინ უწყის წაღმართ ნუუკუე და მატლიცა დაგესხას?! გარნა ძმამან მან მადლითა ღმრთისაჲთა და მოთმინებითა თჳსითა სძლო ღონეთა ეშმაკისათა და იგი ყოველივე განქარდა.

XV. თქუა **მამამან იოვანე მოკლემან**, ვითარმედ: იყვნეს სამნი ფილოსოფოსნი ურთიერთარს მოყუარენი და მოკუდებოდა რაჲ ერთი იგი, დაუტევა ძჱ თჳსი მეგობარსა მას[4] თჳსსა, მეორესა ფილოსოფოსსა, მცირე. ხოლო განმწჳსნა რაჲ იგი და იქმნა ჭაბუკ, შევიდა ცოლსა თანა მზრდელისა მის მისისასა[5]. და ვითარცა ისწავა მან ესე, განავლინა იგი გარე სახლისაგან თჳსისა. ხოლო ჭაბუკმან მან შეინანა საქმე იგი ფრიად და ევედრებოდა მას, რაჲთა კუალადცა შეუტკეოს[6] იგი შინა, ხოლო მან არა ინება, არამედ ჰრქუა: წარვედ და სამ წელ ჩადეგ[7] მდინარესა შინა და მერმე მოვედ და შეგინდო შენ და შეგიწყნარო. წარვიდა უკუე და ყო ესრეთ, ვითარცა მცნებულ იყო მისდა. მერმე მოვიდა შემდგომად სამისა წლისა. ჰრქუა მას ფილოსოფოსმან: არღა ჯეროვნად შეგინანებიეს ჯერეთ. წარვედ კუალად[8] სხუასა სამსა წელიწადსა და მისცემდი ფასსა და იგინებოდე, და მერმე მოვედ ჩემდა. ხოლო ჭაბუკმან მან ყო ყოველივე იგი მცნებული მისდა. მერმე ჰრქუა მას ფილოსოფოსმან: გუალე, და წარვიდეთ აწ ქალაქსა ათინელთასა და ისწავე მუნ ფილოსოფოსობაჲ. ხოლო იყო ბერი ვინმე მჯდომარე კარსა მას ზედა ფილოსოფოსთასა და აგინებდა ყოველთავე მათ[9] მუნ შემავალთა. და ვითარცა აქუნდა წესად, აგინა ჭაბუკსა მასცა, ხოლო მან /191/ განიცინნა. ჰრქუა მას ბერმან მან: რაჲ არს ესე, რომელი მე გაგინებ და შენ იცინი? ჰრქუა მას ჭაბუკმან მან: და არა გნებავსა, რაჲთა ვიცინოდი, რამეთუ აჰა ესერა, მაქუს სამი წელიწადი, რაჲთგან მივსცემ ფასსა, რაჲთამცა ვიგინე. და აჰა ესერა, დღეს უსასყიდლოდ ვიგინები, ამისთჳსცა მე ვიცინი. ჰრქუა მას[10] ბერმან: აღვედ და შევედ ქალაქად. თქუა უკუე[11] მამამან იოვანე, ვითარმედ:

---

[1] მოვიდის] მოვიდეს B. [2] იგი – BC. [3] ძალ-მედვა] ძალ-მიც B. [4] მას- B. [5] მისისასა] თჳსისასა B. [6] შეუტკეოს] შეუშუას B. [7] ჩადეგ] შთადეგ C. [8] კუალად – C. [9] მათ – B. [10] მას – B. [11] უკუე – C.

ბჭე იგი არს ბჭე ღმრთისაჲ, ხოლო ქალაქი იგი არს ზეცისა იერუსალჱმის და ყოველნივე წმიდანი მამანი ჩუენნი მრავლითა ღუაწლითა და შეურაცხებითა შევიდეს მოხარულნი სასუფეველსა ცათასა.

XVI. თქუა **მამამან ისიდორე:** გონიერებაჲ წმიდათაჲ ესე არს, რაჲთა ცნან ნებაჲ ღმრთისაჲ და რამეთუ ყოველსავე სძლევს კაცი მორჩილებითა თჳსითა, რაჲთა ერჩდეს ჭეშმარიტებასა, ამისთჳს რამეთუ ხატი არს ღმრთისაჲ. ხოლო ყოველთავე მათ სულთა ურჩებისათა უძნელეს არს შედგომაჲ გულისა თჳსისაჲ, ესე იგი არს თჳსისა ნებისა და გულისსიტყჳსაჲ და არა შედგომაჲ რჩულსა[1] ღმრთისასა. და რამეთუ უკუანაჲსკნელ ექმნების მას საგლოველ ურჩებაჲ იგი შჯულისა ღმრთისაჲ, ამისთჳს რამთუ ვერ ცნა მან საიდუმლოჲ იგი ცხონებისაჲ, არცღა ინება სლვად გზასა მას წმიდათასა. და რამეთუ აჰა ესერა, აწ არს ჟამი უფლისა მონებისაჲ, აწ არს ჟამი ცხორებისაჲ, ოდესღა ესე არს ჭირი, ვითარცა-იგი წერილ არს, ვითრმედ: „მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი“[2].

XVII. თქუა **მამამან პიმენ იოვანე მოკლისათჳს,** ვითარმედ: ევედრა ღმერთსა და აღებულ იქმნა მისგან ყოველივე ვნებაჲ და ბრძოლაჲ. და იქმნა იგი ყოლად უზრუნველ. მერმე წარვიდა დიდისა ვისმე ბერისა და უთხრა მას ესე ყოველი. და ჰრქუა: ვხედავ თავსა ჩემსა დიდსა შინა განსუენებასა, რომელ არცა ერთი რაჲ მაქუს ბრძოლაჲ. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და ევედრე ღმერთსა, რაჲთა მიუშუას შენ ზედა ბრძოლაჲ[3], რამეთუ ბრძოლისა მის მიერ /191v/ წარე/მართების სული სიმდიდრედ კეთილთა. ილოცა უკუე და ევედრა ღმერთსა და მო-რაჲ-ვიდა ბრძოლაჲ, არღარა ოდეს ილოცა აღებად მისგან, არამედ ევედრებოდა ამას: უფალო, მომეც მე მოთმინებაჲ ჭირთა შინა.

XVIII. 1. იტყოდა **მამაჲ პიმენ მამისა კოპრესთჳს**, ვითარმედ: ესევითარსა საზომსა მისწუთა, ვიდრეღა დასნეულდა და ცხედარსა ზედა მივარდა და არცაღა მაშინ ინება ყოფად ნებისა თჳსისა, არამედ ჰმადლობდა ღმერთსა მოთმინებით.

2. თქუა **მამამან კოპრი**[4]: ნეტარ არს კაცი იგი, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა მადლობით.

XIX. 1. წარვიდა ოდეს **მამაჲ მაკარი დიდი მამისა ანტონისა** მთას. და ვითარცა ჰრეკა კარსა, გამოვიდა მისა და ჰრქუა მას: შენ ვინ ხარ? ხოლო მან ჰრქუა მას: მე ვარ მაკარი. და დაჰჴშა კარი და შევიდა შინა და დაუტევა იგი გარე. და ვითარცა იხილა მოთმინებაჲ მისი, განუღო მას და სიხარულით შეიწყნარა იგი და ჰრქუა მას: მრავლითაგან ჟამით[5] მსურდა ხილვად შენდა, რამეთუ მესმოდა შენთჳს. და უმასპინძლა მას კეთილად

---

[1] რჩულსა] შჯულსა B. [2] ლ. 21,19. [3] ბრძოლაჲ + იგი C. [4] კოპრი] კოპრე B. [5] მრავლითაგან ჟამით] მრავლით ჟამითგან C.

და განუსუენა, რამეთუ შორით და შრომით მოსრულ იყო. ხოლო ვითარცა იქმნა მიმწუხრი, დაალბო მამამან ანტონ ბაიაჲ[1] თავისათჳს თჳსისა. ჰრქუა მას მამამან მაკარი: მიბრძანე მეცა და დავალბი ჩემთჳს. ხოლო მან ჰრქუა: დაალბე. და შეკრა კონაჲ დიდი და დაალბო. და დასხდეს ორნივე იგი ზოგად მწუხრითგან ვიდრე განთიადადმდე[2], თხზვიდეს სირასა მას და ზრახვიდეს სულთა ცხორებისათჳს და ნათხზენი იგი გარდავიდოდა ზე სარკუმლით ქუაბისაჲთ და ვითარცა შთავიდა ქუე განთიად[3] სანატრელი ანტონი და იხილა თხზული იგი ფრიად მამისა მაკარისი, თქუა: მრავალი ძალი გამოვალს ჴელთა ამათგან ნეტართა.

2. აღვიდა ოდესმე **მამაჲ მაკარი** სკიტით ტერენუთს. ხოლო მომავალი შევიდა ტაძარსა შინა /192/ საკერ/პოსა, რაჲთა დაიძინოს. ხოლო იდვა მუნ ძუალები მკუდართა წარმართთაჲ ფრიად. და აღიღო ერთი და შემოიდვა თავსა[4] ქუეშე თჳსსა ვითარცა სასთუნალი, ხოლო ეშმაკთა იხილეს რაჲ[5] კადნიერებაჲ იგი მისი და სიმჴნე, აღიშურვეს და ჴელ-ყვეს შეშინებაჲ მისი ესრე სახედ, რამეთუ იწყეს ეშმაკთა ჴმობად მდებარისა მის და ეტყოდეს: შენ, ვინმე ვაჰმანო დედაკაცო, მოგუალე ჩუენ თანა აბანოს. ხოლო ესმა ქუეშე მდებარესა მას ეშმაკსა რეცა და ეტყოდა: უცხოჲ ვინმე წევს ჩემ ზედა და ვერ ძალ-მიც მე მოსლვად. ხოლო ბერი ეტყოდა უშიშად და სცემდა: აღდეგ და წარვედ, უკუეთუ ძალ-გიც ბნელსა მას გარესკნელსა. და ვითარცა ესმა ესე ეშმაკთა, ჴმა-ყვეს ჴმითა დიდითა და თქუეს: გუძლე ჩუენ ნანდჳლვე, მაკარი, გუძლე ჩუენ! და ივლტოდეს სირცხჳლეულნი.

3. ძმამან ჰკითხა **მამასა მაკარის** და ჰრქუა: მამაო, რაჲ არს სიმჴნე და ლოცვაჲ? ჰრქუა მას ბერმან: სიმჴნე და ლოცვაჲ არს, რაჲთა დაუთმოს კაცმან ყოველსავე განსაცდელსა მის ზედა მომავალსა, გინა კაცთაგან, გინათუ ეშმაკთაგან, ვითარცა წერილ არს: თმენით დაუთმეღა[6] და მომხედნა მე და ისმინა ლოცისა[7], ჩემისაჲ, ვინაჲცა კეთილ არს ლოცვაჲ და კეთილ არს მოთმინებაჲ ჭირთა შინა, რაჲთა შემწე გუეყოს ჩუენ ღმერთი ყოველსა შინა და რაჲთა წარვემართნეთ ჩუენ[8] ჩუეულებასა ზედა კეთილსა. და რამეთუ უცხო არს მონაზონისაგან განრისხებაჲ ძმისა მიმართ თჳსისა. და კუალად უცხო არს შეწუხებაჲ მოყუსისაჲ, არამედ ყოველსავე ზედა უღირს მონაზონსა, რაჲთა პირველად იქმოდის და მერმეღა იტყოდის. და რაჲთა ყოველსავე ზედა აჩუენოს სრული სიმდაბლე, ვითარცა იტყჳს მოციქული, ვითარმედ: „ვითარცა ნარჩევნი სოფლისანი შევიქმნენით მოაქამომდე /192v/ ყოველთა ნასხურ“[9] და ვითარმედ: „ჩუენ სულელ ქრისტესთჳს“ და ვითარმედ: „ჩუენ მონა თქუენდა იესუჲსთჳს, თანაგუაც უკუე სიხარული, რამეთუ ვიგინენით და შუებად შერაცხვაჲ გჳჴმს ჭირთა და ზღვევათა,

---

[1] ბაიაჲ] ბაჲაჲ A. [2] განთიადადმდე] განთიადმდე C. [3] განთიად – C. [4] თავსა – C. [5] რაჲ – C. [6] დაუთმეღა] დაუთმე C. [7] ლოცვისა] ვედრებისა B. [8] ჩუენ – C. [9] I კორ. 4,13.

რომელნი უფლისა ჩუენისათჳს მოიწეოდიან[1] ჩუენ ზედა“. და რამეთუ პეტრე არს მოციქული, რომელი[2] იტყჳს, ვითარმედ: „უკუეთუ შეურაცხ იქმნეთ სახელისათჳს უფლისა, ნეტარ ხართ, რამეთუ სული დიდებისა ღმრთისაჲ განისუენებს თქუენ ზედა“. აწ უკუე სიხარული ჯერ არს, ოდეს შეურაცხ ვიქმნებოდით ღმრთისათჳს, რამეთუ ნეტარ ვართ, რომელ[3] ღირს ვიქმნენით სახელისათჳს ღმრთისა გინებად. ანუ არა უწყითა, რომელ თანააც შვილთა, რაჲთა ემსგავსნენ მშობელთა და ჩუენცა გჳჯს, რაჲთა ვცნათ ჭეშმარიტი, ვითარმედ შვილნი ვართ წმიდათა მოციქულთანი, ვითარცა-იგი ნეტარი პავლე ღაღადებს და იტყჳს, ვითარმედ: „ქრისტე იესუს მიერ სახარებითა ამით ჩემითა მე გშვენ თქუენ“. ვინაჲთგან უკუე ამათნი შვილნი ვართ, თანაგუაც, რაჲთა სახესაცა და საქმესა მათსა ვემსგავსნეთ და ვებაძვნეთ, ხოლო იგინი იგინებოდიან რაჲ, უხარინ და ცილისწამებათა ზედა აღუძრველ[4] იყვნიან და უშფოთველ. და ესეღა, რამეთუ ესმოდის წარმართთაგანცა და ჰურიათა, ვითარმედ ესენი არიან, რომელთა აღაშფოთეს პირი ყოვლისა ქუეყანისაჲ გრძნებითა და მოგუებითა მაგათითა[5]. და ამას ყოველსა ზედა არა თუ ოდენ არა შეწუხდებოდეს, არამედ უხაროდაცა და იქადდეს[6], ვითარმედ: „მაგინებელთა ჩუენთა ვაკურთხევთ“ და შემდგომი ამის[7]. ესე ყოველი უკუე ამისთჳს დაწერილ არს, რაჲთა ჩუენცა მათ ვჰბაძვიდეთ და ოდეს რაჲმე შეგუემთხჳოს ძჳრი, გინა ვიგინნეთ, გინა ვიგუემნეთ, გინა ვიზღვინეთ, ანუ თუ ცილი დაგუეწამოს, ესრეთ ვიყვნეთ გულითა, ვითარცა დიდთა ზედა შეძინებათა[8], /193/ რამეთუ ღირს ვიქმნენით ზიარებად ღუაწლსა წმიდათა მოციქულთა[9] და მოწამეთასა. საცნაურ არს, რომელ უკუეთუ თანაზიარ ჭირსა ვიქმნენით, თანაზიარ დიდებასაცა მათსა ვიქმნნეთ, რომლისა ამისთჳს უფროჲსღა გჳღირს მოლოდინება[10] ჭირთა, რაჲთა დიდებაჲცა ჩუენი განდიდნეს და განმრავლდეს. ამას ესევითარსა უჯმს წურთაჲ ყოველსა ქრისტეანესა და[11] რაჲთა ვცნათ ვითარმედ, მათნი მოწაფენი ვართ, რომელთა ესე ყოველი ქადაგეს. ხოლო უფროჲსღა გლახაკსა მონაზონსა თანააც ესე, რომელი ლტოლვილ არს სოფლით და საქმეთაგან სოფლისათა.

XX. მამაჲ მატოჲ იტყოდა: მნებავს მოღუაწებაჲ სუბუქი და საგრძელოჲ, ვიდრეღარა ძნელი და ადრე გარდაკუეთილი.

XXI. მკჳდრობდა ოდესმე **მამაჲ მილისი** კერძოთა სპარსეთისათა ორთა თანა მოწაფეთა მისთა. განვიდეს ორნი ძენი მეფისანი, ძმანი ჰორციელნი, ნადირობად ველს[12] წესისაებრ და ჩუეულებისა მათისა. და მოსდვეს დიდბადჱ[13] სანადიროჲ შორს, ვითარ ორმეოცსა ოდენ მილიონსა, რაჲთა რაოდენიცა რაჲ პოონ ნადირთაგანი, შეაწყუდიონ მას შინა და ლახუარ-

[1] მოიწეოდიან] მოიწეოდინ C. [2] რომელი – B. [3] რომელ] რაჲთა B. [4] აქედან E ნუსხა გრძელდება 126r-ზე (აკინძვის შეცდომა). [5] მაგათითა] მათითა C. [6] იქადდეს] იქადოდეს E. [7] ამისი B. [8] შეძინებათა] შესაძინელთა B. [9] მოციქულთა] მოციქულთასა C. [10] მოლოდინება] მოლოდებაჲ BC. [11] და – E. [12] ველს] ველსა E. [13] დიდბადჱ] დიდბადე BC.

ისრებითა დაჩხუპონ იგი. იპოვა უკუე ბერი მოწაფითურთ თჳსით ბადესა მას შინა. და ვითარცა იხილეს იგი მოზრდილ თმითა და ველურ, განცჳრდეს და განკჳრდეს იგინი და მყოვარჟამ ხედვიდეს. მერმე ჰრქუეს ბერსა: კაცი ხარ ანუ მჯეცი, გჳთხარ ჩუენ, ანუ თუ სული რაჲმე ხარ საუცარი?! ჰრქუა მათ ბერმან: კაცი ვარ ცოდვილი და გამოსრულ ვარ აქა ტირილად ცოდვათა ჩემთა, ხოლო თაყუანის-ვსცემ იესუ ქრისტეს, ძესა ღმრთისა ცხოველისასა. ჰრქუეს ბერსა ჭაბუკთა მათ: არა არს სხუაჲ ღმერთი თჳნიერ მზისა და /193v/ ცეცხლ/ისა, რომელსაცა იგინი ესვიდეს, რომელთაცა მოუჯედ და უზორე მათ. ესე რაჲ ესმა ბერსა, ჰრქუა მათ[1]: ეგე დაბადებულნი არიან ღმრთისა ჩემისანი და თქუენ გაცთუნებს ეშმაკი მათდა მიმართ, არამედ გლოცავ თქუენ და გევედრები, დაუტევეთ ცთომილებაჲ ეგე და მოიქეცით და იცანთ ჭეშმარიტებაჲ და აღიარეთ ღმერთი, რომელმან დაჰბადნა ცანი და ქუეყანაჲ და ერთბამად ყოველნივე დაბადებულნი. ხოლო მათ ჰრქუეს: დასჯილსა მას იტყჳა და ჯუარცუმულსა ღმრთად ჭეშმარიტად?! ჰრქუა მათ ბერმან: ჰჱ, მას ვიტყჳ, რომელმან ჯუარს-აცუნა ჩემნი ცოდვანი და მოკლა სიკუდილი სიკუდილითა და იგი მრწამს ღმრთად ჭეშმარიტად! ხოლო მათ ტანჯეს იგი ფრიად ორთა მათ თანა ძმათა და აიძულებდეს[2] გებად. და შემდგომად მრავლისა სატანჯველისა მოსწყჳდნეს ორნი იგი ძმანი და მოკლნეს[3]. ხოლო ბერი განცადნეს[4] მრავალდღე მრავლითა ტანჯვითა და უკუანაჲსკნელ ჯელოვნებისაებრ მათისა დაიდგეს[5] საგნად და მოადგეს იგინი იმიერ და ამიერ და სტყორცეს ისარი ერთმან გულსა და მეორემან ბეჭთა. ხოლო ბერმან ჰრქუა მათ: ვინაჲთგან შეითქუენით დათხევად სისხლისა უბრალოჲსა, ერთსა შინა წამსა ხვალე, ამასვე[6] ჟამსა, უშვილო იქმნეს დედაჲ თქუენი თქუენგან და დააკლდეს სიყუარულსა თქუენსა და თქუენითავე ისრითა ურთიერთარს განიგურიმნეთ და ესრეთ დაითხიოს[7] სისხლი თქუენი. ხოლო მათ შეურაცხ-ყვეს სიტყუაჲ ბერისაჲ და განვიდეს ხვალისდღე კუალადცა ნადირობად. და აჰა ესერა, გამოჰკრთა ირემი დიდი უდაბნოჲთ, რომელსაცა დევნა-უყვეს მსხდომარეთა ჰუნებსა ზედა მათსა, რაჲთამცა მიეწინეს. გარნა ვინაჲთგან ირემი იგი უმალეს მათსა რბიოდა, სტყორცეს მათ ისრები /194/ და სიტყჳსაებრ ბერისა მის წმიდისა ურთიერთარს განგურიმეს[8], რამეთუ ირმისა ტყორცებული იგი ისრები მათსავე მას[9] გულსა განეწონა და მუნთქუესვე მოკუდეს. და აღესრულა წინაწარმეტყუელებაჲ იგი ბერისაჲ, ვითარ-იგი სწყევა მათ.

XXI. გჳთხრა ჩუენ **მამამან თეონა მამისა მარკელესთჳს**, ვითარმედ იყო იგი დაყუდებულ ქუაბსა შინა ერთსა მახლობელად დიდისა რაჲსმე სოფლისა

[1] ჰრქუა მათ – C. [2] აიძულებდეს] აჲძულებდეს A. [3] და მოკლნეს-B. [4] განცადნეს] განცადეს CE. [5] დაიდგეს] დაჲდგეს A. [6] აწ E ნუსხა წყდება. [7] დაითხიოს] დაჲთხიოს A. 8 განგუმირეს B. 9 მას – C.

კერძოთა მათ მთისა მის ლიბანისათა, რამეთუ დასასრულსა მთისასა იყო ქუაბი იგი, რომელსა შინა მკჳდრ იყო ბერი. ხოლო იყო მამაჲ ესე მარკელლოს[1] საკჳრველად მშჳდი და ტკბილი სხუათავე თანა ყოველთა სათნოებათა. და აქუნდა მას სრულებით შიში ღმრთისაჲ და სიწმიდე, რომლისათჳს ფრიადი სრწმუნოებაჲ ჰქონდა კაცთა მის სოფლისათა მისსა[2] მიმართ, ვიდრეღა მრავალნიცა მივიდოდეს მისა და ისწავებოდეს მისგან. ხოლო დაყო მან ესევითარსა მას[3] ადგილსა და ქუაბსა მას შინა ვითარ ექუსი ოდენ წელიწადი და მრავალნი განსაცდელნი დაითმინნა[4] ბერმან ეშმაკთაგან, ვითარცა თჳთ მითხრობდა ყოველსავე, რაჲთამცა ვითარ გამოაოტეს იგი ქუაბისა მისგან და რაჲთამცა დაუხრწიეს კეთილი იგი მყუდროებაჲ მისი, გარნა ყოველნივე იგი ღონენი და ბრძოლანი უკეთურისანი განაქარვნა ძალმან ქრისტესმან და მოთმინებამან მისმან. უკუანაჲსკნელ მოიგონა ეშმაკმან საქმე შემსგავსებული სიბოროტეთა თჳსთაჲ, რამეთუ იჩემა შემოსად სახჱ[5] ბერისაჲ და რეცა ბერისა გამო იწყო ცთუნებად დედათა, რომელნი მკჳდრ იყვნეს ქალაქ-სოფელსა მას შინა და განთიად და სამწუხროდ ეძიებენ თანადაწოლად დედათა /194v/ და ზრახავნ მათ უშუერთა სიტყუათა და დააჯერებნ, ვითარმედ იდუმალ სიძვაჲ, ყოლად არა არს ბრალი. ყო უკუე ესე ეშმაკმან რეცა[6] სახითა ბერისაჲთა არა ერთგზის და ორგზის, არამედ მრავალგზის და სადაცა იხილის დედაკაცი მარტოჲ მიმავალი, შეიქნის ბერად სახესა ზედა მარკელლესა და ეუბნებინ მას და თანაეყოფვნ. ვინაჲცა წყინებულ რაჲ[7] იქმნნეს დედანი იგი ამას ზედა მრავალგზის მივიდეს[8] და უთხრეს ქმართა თჳსთა. და განითქუა საქმე ესე ყოველსა მას შორის სოფელ-ქალაქსა და შეიყარა ერი და შეკრბეს დღესა წმიდასა კჳრიაკესა ეკლესიად სიმრავლჱ[9] დიდძალი და მოუწოდა მღდელთა უხუცესმან დედათა მათ[10] და ჰკითხვიდა მათ: უკუეთუ ნანდჳლვე ესე ესრეთ არს და თანაგეყოფვის თქუენ ბერი მარკელლე? იყვნეს უკუე დედანი იგი ვითარ ოც ოდენ, რომელთა შეემთხუეოდა ესე, რომელნიცა დაამტკიცებდეს და იტყოდეს, ვითარმედ[11] არა ერთგზის ოდენ ანუ ორგზის, არმედ მრავალგზის გუაიძულნა[12] ჩუენ და თანაგუეყო. ესე რაჲ ესმა მღდელთა უხუცესსა მას ყოველთავე მათ თანა მნეთა ეკლესიისათა და ერისა, ვერ აგრძნეს, თუ მანქანებაჲ არს ესე ეშმაკისაჲ[13], ამისთჳსცა წარავლინნეს ჭაბუკნი, რაჲთა ბოროტი იგი ბოროტად განიოტონ. ხოლო მიიწინეს რაჲ ჭაბუკნი იგი, სცემდეს ბერსა არგნებითა, ზიდვიდეს წუერთა, ჰგლეჯდეს თმათა, სცემდეს მას ფიცხლად და ეტყოდეს: ბერო ბორგნეულო, რად დაჰბილწენ დედანი ჩუენნი! და ვითარცა გუემეს იგი სასტიკად, განითრიეს ქუაბისა მისგან და წარითრიეს იგი, და დააგდეს გზასა ზედა მწყდარი. ხოლო წარჰვლიდეს გზასა მას კაცნი ვინმე ბივრიტელნი და პოვეს ბერი

---

[1] მარკელლოს] მარკელლეოს C. [2] მისსა] მისა B. [3] მას-C. [4] დაითმინნა] დაჲთ-მინნა A. [5] სახჱ] სახე BC. [6] რეცა – C. [7] რაჲ – B. [8] მივიდეს...განითქუა – C. [9] სიმრავლე BC. [10] მათ – B. [11] ვითარმედ + და B. [12] გუაიძულნა] გუაჲძულნა A. [13] ~ ეშმაკისაჲ ესე B.

/195/ მდებარე გზასა ზედა ყოლად სისხლითა შებღალული სიმრავლისაგან გუემათაჲსა. ჰკითხვიდეს მას მიზეზსა, თუ რაჲსათჳს ანუ ვიეთგან შეემთხჳა ესე. ხოლო ბერი ჰლოცვიდა მათ, ევედრებოდა, რაჲთა ტჳრთვით წარიღონ იგი ქუაბად. ყვეს კაცთა მათ ვედრებისაებრ ბერისა[1] და აღიყვანეს იგი და ტჳრთჳთ წარიღეს მისსავე მას ადგილსა, სადაცა-იგი პირველ იყოფებოდა. ხოლო კაცთა მათ მის სოფლისათა ცნეს რაჲ სიცოცხლე მისი, მივიდოდიან და შეურაცხებით აგინებდინ[2] მას. ამას ყოველსა ზედა მე ვჰმადლობდიო ღმერთსა, იტყოდა ნეტარი იგი, და დავყავ ჭირსა მას შინა და განსაცდელსა უზომოჲთა კდემითა და შეურაცხებითა, ვითარ ათრვამეტი ოდენ თუე ქუაბსა მას შინა და ყოლადვე და მარადის ვევედრებოდე ღმერთსა ცხორებისათჳს სულთა მათთაჲსა. შემდგომად ამისა გამოეცხადა მღდელთა უხუცესსა მას ჩუენებით მანქანებაჲ იგი საეშმაკოჲ და არა ესე ოდენ, არამედ დედანიცა იგი და ქმარნი მათნი ყოველნივე გამტერიანდეს, გორვიდეს და პერული სდიოდა პირსა, ვინაჲ-იგი აგრძნეს მის სოფლისათაცა[3] ყოველთა საუცრებაჲ იგი საეშმაკოჲ და აღდგეს ზოგად ყოველნი[4] ერთითა[5] ერთობითა ყრმათა თანა და დედათა და წარმოემართნეს ქუაბად, რაჲთა იკურთხნენ ჩემგან. ხოლო მე ვცან და ვივლტოდე მათგან და მოვედ და დავემკჳდრე მთასა ამას ნიტრიაჲსასა. აწ უკუე გეტყჳ შენ, ბერო თეონა, უკუეთუ გნებავს მშვიდობით ყოფაჲ და უშფოთველად და კეთილსა ზედა გთნავს[6] გარდავლად დღეთა ცხორებისა შენისათა და რაჲთა არარაჲ მიზეზი აქუნდეს შენ ზედა[7] მტერსა, მახლობელად სოფლისა, გინა ქალაქისა ნუ დაშჯდები და განისუენო. /195v/

XXII. 1. ბერი ვინმე იყო ლავრასა შინა სახელით **მჳროგენი** და ესოდენსა ფიცხლად მოღუაწებასა მისცა ამან თავი თჳსი, ვიდრეღა წყლითმანკიერცა იქმნა. ხოლო ეტყჳნ იგი მისა მიმავალთა ყოველთა, რამეთუ დიად მივიდოდეს მისა მამანი, ნუგეშინისცემისათჳს მისისა: ლოცვა ყავთ ჩემთჳს, მამანო, რაჲთა შინაჲ იგი კაცი არა იქმნეს წყლითმანკიერ, თუ არა, ამას სენსა განგრძობად ვილოცავ ღმრთისაგან ჩემ ზედა.

2. ამისვე **ბერისა მჳროგენისთჳს** ესმა **იერუსალჱმელ პატრიარქსა ევსტოქიოსს** და ინება გაგზავნად მის თანა საჴმარსა მისსა. ხოლო მან არარაჲ მიიღო, არამედ მიუმცნო ესრეთ: ლოცვა ყავთ ჩემთჳს, მამაო, რაჲთა ვიჴსნე სატანჯველთა მათგან საუკუნეთა.

XXIII. ძმამან ჰკითხა მამათაგანსა ვისმე და ჰრქუა: ვითარ მოაწევს ეშმაკი განსაცდელსა წმიდათა ზედა? ჰრქუა მას ბერმან: იყო ვინმე მამათაგანი სახელით **ნიკონ,** რომელი მკჳდრ იყო მთასა სინასა. და აჰა ესერა, წარვიდა ვინმე კარავსა ფარანელისა ვისსამე და პოვა ასული მისი მარტოჲ და დაეცა მის თანა და ჰრქუა მას: ესრეთ თქუ, ვითარმედ ბერმან ნიკონ ყო ესე ჩემ

[1] ბერისა] მისისა B. [2] აგინებდინ] აგინებდიან C. [3] სოფლისათაცა] სოფლისათაB. [4] ~ ყოველნი ზოგად B. [5] ერთითა – C. [6] გთნავს] გიჴმს C. [7] შენ ზედა – B.

თანა. და ვითარცა მოვიდა მამაჲ მისი და ცნა ესე, მეყსეულად აღიღო მახჳლი თჳსი და წარვიდა ბერსა ზედა. და ვითარცა დაჰრეკა კარსა, გამოვიდა ბერი და მყის განჰმარტა მახჳლი თჳსი ფარანელმან მოკლვად ბერისა. გარნა ძალმან ღმრთისამან განუჴმო ჴელი. წარვიდა იგი და მიუთხრა მღდელთა. და მათ მიუმცნეს ბერსა. და[1] მოვიდა და დასხნეს[2] მას ზედა წყლულებანი მრავალნი და ენება ოტებაჲ მისი. ხოლო იგი[3] ევედრებოდა მათ და ეტყოდა: მიტევეთ ღმრთისათჳს აქავე[4], რაჲთა შევინანო. და განაშორეს იგი სამ წელ მათგან, რაჲთა არავინ მივიდოდის მისა. /196/ და დასდვეს მას კანონი მძიმე. და იყო და ინანდა სამსა მას წელიწადსა, თჳნიერ ოდენ კჳრიაკესა მივიდის ეკლესიად და ევედრებინ ყოველთა და ეტყჳნ: ლოცვა ყავთ ჩემთჳს, რამეთუ ვცოდე! შემდგომად ამისა შეიპყრა მტერმან, რომელმან-იგი ცოდა და განსაცდელი განშორებულსა მას დაჰკრიბა, და აღიარა ცხადად ეკლესიასა შინა წინაშე ყოვლისა მის სიმრავლისა, ვითარმედ: მე ვქმენ ცოდვაჲ იგი და ცრუდ დავსწამე მონასა ღმრთისასა ბრალი ჩემი. და აღდგა ყოველი იგი ერი და წარვიდეს ბერისა, შეუვრდეს მას და ითხოვდეს შენდობასა და ეტყოდეს: შემინდვე ჩუენ, მამაო, რამეთუ შეგაწუხეთ. ჰრქუა მათ ბერმან: შენდობისათჳს შენდობილ იყვენით, გარნა დგომით თქუენ თანა არღარა ვდგე ამისთჳს, რამეთუ არა იპოვა თქუენგანი არცა ერთი, რომელსამცა აქუნდა განკითხვაჲ და ჩემ თანა დამაშურალ იყო. და ესრეთ განეშორა იგი მიერ. და თქუა ბერმან: ხედავა, ძმაო, თუ ვითარ მოიხუამს ეშმაკი განსაცდელსა წმიდათა ზედა[5]!

XXIV. 1. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ გული ჩემი დაიჴსნების[6], მცირედ თუ რასმე დავშურე. ჰრქუა მას ბერმან: არა გჳკჳრსა[7] იოსებისთჳს, თუ ვითარ ყრმაჲ იყო და მცირე ეგჳპტეს ქუეყანასა კერპთმსახურთასა, თუ ვითარ დაითმინა[8] განსაცდელი და თუ ვითარ ადიდა იგი[9] ღმერთმან, უკანაჲსკნელ კუალად ვხედავთ იაკობსცა, რომელ არა ოდეს ჩამოუტევა გული თჳსი ქუე[10] სასოებისაგან ღმრთისა, ვერცა რამან მოსწყჳდა იგი ოდესცა სრულსა მას სიყუარულსა ღმრთისასა.

2. თქუა კუალად: სათნოებაჲ მონაზონისაჲ განსაცდელთა შინა გამოჩნდების. კუალად თქუა, ვითარმედ[11] მამაჲ /196v/ ისიდორე, მღდელი სკიტისაჲ ეტყოდა ერსა და ჰრქუა: ძმანო, არა ღუაწლისათჳს და შრომისა შემოვკერბითა ადგილსა ამას? და აწ არღარა[12] აქუს შრომაჲ და ჭირი ადგილსა ამას, მე უკუე განმიმზადებიეს მალაკი ჩემი, რაჲთა მუნ წარვიდე, სადა არს ჭირი, რაჲთა უკუანაჲსკნელ ვპოო განსუენებაჲ.

---

[1] და – B. [2] დასხნეს] დაესხნეს C. [3] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 104r-ზე (აკინძვის შეცდომა). [4] ~ აქავე ღმრთისათჳს C. [5] ~ ზედა წმიდათა B. [6] დაიჴსნების] დაჲჴსნების A. [7] გჳკჳრსა] გიკჳრსა B. [8] დაითმინა] დაჲთმინა A. [9] ~ღმერთმან იგი C. [10] ქუე] ქუეშე C. [11] ვითარმედ – B. [12] არღარა] არა B.

3. მამასა პიმენს ჰკითხა ძმამან და ჰრქუა: ვხედავ მე, მამაო, თავსა ჩემსა, რომელ სადაცა წარვიდე, ვპოებ შეწევნასა. მიუგო ბერმან: ძმაო, რომელთა ჴელთა შინა მათთა აქუს მახჳლი კაცისა[1] საკლავი, მათცა ეპოების ღმერთი შემწედ სოფელსა ამას შინა. და მაგისთჳს ნუ ზუაობ[2], არამედ იღუაწე, რაჲთა ცხოვნდეს სული შენი საუკუნოდ.

4. კითხულ იქმნა ვისგანმე **მამაჲ პიმენ**, ვითარმედ: რომელსა ადგილსა მოეზავების სიტყუაჲ იგი დაწერილი, თუ: ნუ ზრუნავთ[3] ხვალისათჳს. ჰრქუა მას ბერმან: ყოველსავე კაცსა მორწმუნესა მოეზავების სიტყუაჲ ეგე, ხოლო უფროჲსღა მონაზონსა, რაჲთა ყოველივე სასოებაჲ ჩუენი გუაქუნდეს ღმრთისა მიმართ და არაოდეს ვიყვნეთ მოსავ თავთა ჩუენთა. და რამეთუ რაჲცა ვის აქუს, ყოველივე ღმრთისაჲ აქუს, ხოლო მოეზავების სიტყუაჲ ეგე კაცსაცა, რომელი შევარდეს განსაცდელსა, რაჲთა არა მოწყინე და სულმოკლე იქმნეს, არამედ რაჲთა ყოლადვე და მარადის მოელოდის მოსლვად წყალობასა ღმრთისასა.

XXV. თქუა **მამამან პავლე დიდმან გალატელმან**, ვითარმედ: მონაზონსა, რომელსა აქუნდეს მცირეცა საჴმარი სენაკსა შინა თჳსსა და განვიდეს იგი სხჳსა ზრუნვად, ეშმაკთა მიერ იბასრვის იგი და რამეთუ თჳთ მეცა შემემთხჳა ესე.

XXVI. ძმამან ვინმე ბერძენმან მოგჳთხრა[4] ჩუენ ეგე[5], ვითარმედ: იყო ვინმე ბერი და ესუა მას მოწაფე ფრიად კეთილი. დღესა ერთსა[6] სულმოკლე იქმნა ბერი და განდევნა იგი გარე[7] სენაკისაგან თჳსისა მახლაკსა თანა მისსა. ხოლო ძმამან მან /197/ დაუთმო ბერსა, დაჯდა გარეშე კარსა და ითმენდა. და ვითარცა განაღო ბერმან კარი და პოვა იგი მუნ მჯდომარე, შეიყვანა შინა, მოუდრიკნა მუჴლნი და ჰრქუა მას: ჱ შვილო, სიმდაბლემან შენმან და სულგრძელებამან სძლეს სულმოკლებასა ჩემსა, შემოვედ უკუე შინა, ამიერითგან შენ გეწოდოს ბერ და მამა, ხოლო მე – ჭაბუკ და მოწაფე!

XXVII. მამათაგანმან ვინმე ჰკითხა **მამასა სისოჲს**, ვითარმედ: უკუეთუ ვჯდე ადგილსა უდაბნოსა და მოვიდეს ბარბაროზი და მომკლვიდეს მე, კეთილ არსა, ძალ-მედვას თუ, რაჲთა უსწრო და მოვკლა? ჰრქუა მას ბერმან: არა, არამედ ღმერთსა მიანდვე საქმე იგი. რამეთუ ვითარცა და რაბამი განსაცდელი მოიწიოს კაცსა ზედა, ჯერ არს რაჲთა იტყოდის, ვითარმედ: ცოდვათა ჩემთაგან შემემთხჳა ესე. ხოლო უკუეთუ კეთილ იყოს, უჴმს რაჲთა იტყოდის, ვითარმედ: ესე განგებაჲ არს ღმრთისაჲ!

2. წარვიდა ოდესმე სამსახურსა მოწაფე **მამისა სისოჲსი აბრაჰამ** და დაეყოვნა მუნ დღეთა მრავალთა და არავისა ინება ბერმან შეწყნარებაჲ სენაკსა შინა თჳსსა, რაჲთამცა ჰმსახურა მას, არამედ იტყჳნ: და სხუასა

[1] კაცისა] კაცის E. 2 ზუაობ] ჰზუაობ B. 3 ზრუნავთ] ჰზრუნავ B. 4 მოგჳთხრა] მომითხრა C. 5 ეგე] ესე E. 6 აქ E ნუსხა წყდება. 7 გარე – B.

კაცსა შეუქმნაღა უფალსა ჩემ თანა ჩუეულებაჲ, თჳნიერ ძმისა ჩემისა?! და ესრეთ თჳთ[1] თავსა-იდვა შრომაჲ და მოელოდა მას, ვიდრემდის მოვიდა.

XXVIII. იტყოდეს **დედისა სარრაჲსთჳს**[2], ვითარმედ სამეოცი წელი დაყო მდინარისპირსა დამკჳდრებულმან და არაოდეს შთაიხედნა[3] ხილვად მდინარისა მის.

XXIX. 1. იტყოდა **ნეტარი სჳნკლიტიკჱ**[4]: უკუეთუ ხარ კრებულსა შორის, ნუ სცვალებ ადგილსა მას, უკუეთუ არა, დიდად გევნოს, რამეთუ ვითარცა სახედ მფრინველმან და-თუ-უტევნეს კუერცხნი თჳსნი უნდილად, მართუეთა /197v/ ვერ გამოისხამს, ესრეთვე მონაზონი, გინა ქალწული, განჴდების და მოკუდების სარწმუნოებისაგან, ადგილითი თუ ადგილად[5] მიმოვიდოდის.

2. კუალად თქუა: მრავალ არიან საბრჴენი მტერისანი, რამეთუ უკუეთუ ვერ მოინადიროს სული სიგლახაკითა, სიმდიდრესა დაურწყუამს მახედ. და უკუეთუ გინებითა და კდემითა ვერ შეძრას, ქებასა და დიდებასა მოართუამს. უკუეთუ სიმრთელისაგან იძლიოს, სნეულებასა შეუქმს ჴორცთასა. და უკუეთუ გემოთა მიერ ვერ აცთუნოს, უნებლიეთთაგან ჭირთა ისწრაფის მიდრეკად სულისა. და რამეთუ და თხოით შეუქმს იგი სენთა და სალმობათა ფიცხელთა, რაჲთა სულმოკლებისა მიერ[6] შეამრღჳოს წყაროჲ იგი სიყუარულისა ღმრთისაჲ. და რამეთუ შესდებს მრავალგზის მჴურვალებასა სასტიკსა და შეუქმს უზომოსა და მოუთმენელსა წყურილსა. უკუეთუ ცოდვილ ხარ, რომელსა ესე ყოველი შეგემთხუევის, მოიჴსენე მერმეთა მათ სატანჯველთა[7] და საუკუნოჲსა მის ცეცხლისაჲ და თუალუხუაობაჲ იგი მსჯავრისაჲ არა სულმოკლე იქმნე ოდესცა, არამედ უფროჲსღა იხარებდ, რამეთუ მოგხედნა შენ ღმერთმან წყალობით და აქავე ინება განწმედად ბრძჳლსა ცოდვათა შენთასა. და სიტყუაჲ იგი სახარულევანი პირად გაქუნდინ, ვითარმედ: „სწავლით განმსწავლა მე უფალმან და სიკუდილსა არა მიმცა[8] მე“. რკინაჲ ხარ შენ, გარნა ცეცხლითა მით ჭირთაჲთა გესლსა განიყრი. უკუეთუ მართალი ხარ და სნეულებაჲ შეგემთხჳა, დიდთაგან და რჩეულთა კეთილთა უაღრესთა და უმაღლესთა პატივთა აღიწევი. ოქროჲ ხარ, გარნა ცეცხლითა მით და ბრძმედითა უმეტეს გამოცდილ იქმნები. და დაღათუ მოეცა ჴორცთა შენთა /198/ ანგელოზ, სატანა იხარებდ. რამეთუ[9] განიცადეღა, თუ ვისსა მსგავს იქმნები, რამეთუ პავლეს ნაწილსა ღირსქმნულ ხარ, ვინაჲთგან ჴურვებითა გამოიცდები[10], ცხროჲთა განისწავლები, გარნა იტყჳს წერილი, ვითარმედ: „განვლეთ ჩუენ[11] ცეცხლი და წყალი და გამომიყვანენ ჩუენ განსასუენებელად“. უკუეთუ მიმთხუეულ

---

[1] თჳთ – C. [2] სარრაჲსთჳს] სარაჲსთჳს B. [3] შთაიხედნა] შთაჲხედნა A. [4] სჳნკლიტიკჱ] სჳნკლიტიკე B;სჳკლიტიკე C. [5] ადგილითი თუ ადგილად] ადგილითი ადგილად BC. [6] სულმოკლებისა მიერ] სულმოკლებით B. [7] სატანჯველთა] სატანჯველთაჲ BC. [8] მიმცა] გამცა B. [9] აქედან E ნუსხა გრძელდება 102r-ზე. [10] გამოიცადები BE. [11] ჩუენ – B.

ხარ პირველსა, უეჭუელად მოელოდე მეორესა, შურებოდე სათნოებასა და მოელოდე წყალობასა, ვითარცა წერილ არს: „გლახაკ და დავრდომილ ვარი[1] მე“, რამეთუ ორკეცობითა მით ჭირთაჲთა ორკეცთაცა[2] მოსაგებელთა ღირს იქმნები მადლითა ქრისტესითა.

3. ბერმან თქუა: უკუეთუ სნეულებაჲ შემაწუხებს ჩუენ, ნუმცა გჳძნს სნეულებისა მისთჳს და წყლულებისა ჴორცთაჲსა, ვითარცა ვერშემძლებელთა ლოცვად და გალობად ჴმითა, რამეთუ ესე ყოველივე მიერ აღესრულების და რამეთუ მარხვაჲ და სხუანი იგი საჭირონი საქმენი დამჴობისათჳს გულისთქუმათაჲსა განწესებულ არიან, უკუეთუ რომელსაიგი ჴმელსა წოლაჲ და ჴმელსა ჭამაჲ[3] აღასრულებს მოკუდინებასა ჴორცთასა, ესე სენმან აღასრულოს[4]. ნამეტნავ[5] არს მიერით[6] შეურვებაჲ და რამეთუ დიდი მოღუაწებაჲ ნანდჳლვე ესე არს, რაჲთა სნებათა შინა მოთმინე და მმადლობელ იყოს კაცი და მდუმრიად დიდებისმეტყუელებასა შესწირვიდეს ღმრთისა.

4. თქუა კუალად: რომელთა სოფელსა შინა ცოდონ, დაღათუ არა ენებოს, საპყრობილედ შეიწყუდევიან. ჩუენცა უკუე შევაწყუდინეთ თავნი ჩუენნი ცოდვათა ჩუენთათჳს, რაჲთა ნეფსითთა ამათ მიერ ჭირთა, საუკუნეთა მათგან და უნებელთა განვერნეთ სატანჯველთა.

5. კუალად თქუა: იმარხვიდე თუ, ნუ ჰმიზეზობ სენთა, /198v/ რამეთუ რომელნი არა იმარხვენ, მრავალგზის იგინიცა შთაცჳვიან სენთა. უკუეთუ გიწყიეს კეთილსა, ნუ მართლუკუნ-იქცევი, არამედ ხადე[7] წყალობასა ღმრთისასა და იგი თავადი შემწე გეყოს შენ და მოგცეს ყოველსა შინა მოთმინებაჲ და კდემულ იქმნეს მტერი შენი.

6. თქუა კუალად: რომელნი-იგი წიაღვიდოდიან[8] ნავითა ზღუასა, მრავალგზის მათსა ჰგონებდიან ქარსა, ხოლო შე-რაჲ-ვიდიან სიღრმეთა, წინააღმდგომი ქარი შეემთხჳს, გარნა არა ამისთჳს განიწირვენ თავთა, არცა ნავისაგან ზღუათა შინა ჩაცჳვიან[9], არამედ რაოდენ ძალ-ედვას, ებრძვიან და მომზავებელსა მას მათსა მოელიან ტაროსსა. ესრეთვე უკუე და ჩუენცა ვიქმოდით და მცირედ-მცირედ მივებრძოდით, რაჲთა შემწე გუექმნეს ღმერთი. ხოლო საჭედ ვიჴმაროთ ჩუენ ჯუარი იგი ქრისტესი და ესრეთ განვჰმარტნეთ[10] აფრანი იგი სულთა ჩუენთა ცხორებისანი.

XXX. 1. თქუა **მამამან ჳპერექი**[11]: გალობაჲ სულიერიმცა არს მარადის პირსა შენსა და წურთაჲ კეთილი გულსა შენსა, რომელნი-ესე აღგისუბუქებენმცა შენ სიმძიმესა მას განსაცდელთასა. ხოლო გაქუნდინ

---

[1] ვარი მე] ვარ E. [2] ორკეცთაც BE. [3] ჭამაჲ + ვერ (გვიანდელი ნუსხურით) B. [4] აღასრულოს + და C. [5] ნამეტნავ] ნამეტნავი B. [6] მიერით] მიერითგან E. [7] ხადე] ხადოდე B. [8] წიაღვიდოდეს B. [9] ჩაცჳვიან] შთაცჳვიან BE. 10 განვჰმარტნეთ + ჩუენ E. 11 ჳპერექი] ჳპერიქე E.

სახედ ამისა[1] განცხადებულად მოგზაური იგი მალემსრბოლი, რომელი სიმღერისა ჴმათა მიერ მოიპარავს სიმაშურალესა მას გზისასა.

2. კუალად თქუა: ჯერ არს, რაჲთა პირველ მოწევნისა განსაცდელთაჲსა განვჰმზადნეთ და აღვიჭურნეთ თავნი ჩუენნი, რაჲთა ოდეს მოვიდენ, მძლე ვიპოვნეთ და რჩეულ.

XXXI. თქუა **მამამან ფორტას:** უკუეთუ ჰნებავს ღმერთსა სიცოცხლ℔[2] ჩემი, იცის თუ ვითარ განაგოს, უკუეთუ კულა არა, თჳთ რადღა მიჴმს სიცოცხლ℔[3]?! და რამეთუ ყოლადვე არარას ვისგან მიიღებდა იგი და ესეღა რამეთუ ცხედარსა ზედა მირდომილ იყო სენთაგან და უძლურებათა მრავალთა. /199/ და მრავალგზის იტყჳნ იგი ამას, ვითარმედ: უკუეთუ რაჲ ვინ მომართუას მე და არა იყოს იგი ღმრთისათჳს, მე არაჲ მაქუს, თუ რაჲ მივსცე და ღმრთისაგან არარასვე მიიღებს მადლსა, რამეთუ არა ღმრთისათჳს მოიღო. და ესრეთ იზღვევის იგი ორკერძო. ჯერ არს უკუე მათდა, რომელნი ღმრთისადა შედგომილ იყვნენ, რაჲთა არა თჳსსა ოდენ სარგებელსა, არამედ მოყუსისაცა ხედვიდენ და რაჲთა იყვნენ მოთმინე ყოველსავე ზედა ძჳრისხილვასა.

XXXII. იტყოდეს **მამისა ქერემონისთჳს სკიტელისა**, ვითარმედ: იყო ქუაბი მისი შორს ეკლესიისაგან, ვითარ ორმეოც მილიონ და წყლისაგან და ტყისა შორვიდა ვითარ ათორმეტ მილიონ. და ესრეთ შრომით შეიღებდა ჴელთსაქმარსა თჳსსა ქუაბსა და ორი ლაგჳნტარი აქუნდა[4] წყლისათვის, ერთიერთსა შეიღებენ და დაეყუდებინ.

1. მივიდა ვინმე ეშმაკეული სკიტეს და მრავალჟამ ვერ განიკურნა. შეეწყალა[5] ვისმე ერთსა ბერთაგანსა უკუანაჲსკნელ, დასწერა ჯუარი და განდევნა მისგან ეშმაკი იგი. გულტკივნეულ უკუე იქმნა ეშმაკი იგი ამას ზედა და ჰრქუა ბერსა მას: რამეთუ განმიოტე მე საყოფლისაგან ჩემისა, აჰა ესერა, უეჭუელად შენ ზედა მოვიდე. ჰრქუა მას ბერმან: მოვედ[6], მე არა მიძნს ეგე. დაყო უკუე ბერმან ათორმეტი წელი, რამეთუ აჭირვებდა მას ეშმაკი იგი, შეჰმუსრავნ მას და ჰგუემნ. ხოლო ჭამდა ბერი დღითიდღე გურკასა ბაიაჲსასა[7] ათორმეტსა, ვინაჲცა გამოხლდნა ეშმაკი იგი მისგან. იხილა რაჲ იგი მისგან განსრული, ბერმან ჰრქუა[8] მას: რად წარხუედ, ანუ რად ივლტი, წუთღა დაადგერ[9] და იყავ. ჰრქუა მას ეშმაკმან: დაგწყევენ ღმერთმან, ბოროტო ბერო, რამეთუ /199v/ მომა/ყმე მე შიმშილითა და[10] რამეთუ შენ თანა თჳნიერ ღმრთისა ვერაჲ ვის[11] ძალ-უც ყოფად.

2. ბერმან თქუა: უკუეთუ მოიწიოს კაცსა ზედა განსაცდელი, ყოველგნითვე განმრავლდებიან ჭირნი მისნი, რაჲთა სულმოკლე იქმნეს და

---

[1] ამისა] ამისსა B. [2] სიცოცხლ℔] სიცოცხლე BE. [3] სიცოცხლ℔] სიცოცხლე BE. [4] აქუნდა] ედგა BE. [5] შეეწყალა] შეეწყლა A. [6] მოვედ] მოედ E. [7] ბაიაჲსასა] ბაჲაჲსასა A. [8] აქედან C ხელნაწერი კვალვ შემოდის. [9] დაადგერ + ჩემთან B. [10] და – B. [11] ვერაჲვის] ვერარაჲს C; ვერვი sE.

იდრტჳნოს. და მოგჳთხრა ჩუენ ბერმან სახე ესევითარი, ვითარმედ: ძმაჲ ვინმე იყო სენაკებს და მივიდა მას[1] ზედა განსაცდელი, რამეთუ მოსძულდა ყოველთა. და უკუეთუ ვინ ხედავნ, არა ჰნებავნ[2] მას მოკითხვაჲ მისი, არცა ვინ სენაკსა თჳსსა შეუშუებდა. და უკუეთუ უჴმნ პური, არავინ მისცემნ მას. და უკუეთუ მკით მოვიდის, არავინ უქმნის მას სიყუარული ეკლესიას, ვითარცა აქუნდა ჩუეულებაჲ ძმათა. მოვიდა უკუე იგი ერთგზის მკით და არცა თუ პური ედვა სენაკსა შინა მისსა[3] და ამას ყოველსა ზედა ჰმადლობდა ღმერთსა. იხილა რაჲ ღმერთმან მოთმინებაჲ იგი მისი, აღიღო ბრძოლაჲ იგი განსაცდელისაჲ[4] მისგან. და აჰა ესერა, დაჰრეკა ვინმე კარსა[5], რომელსა აქუნდა აქლემი აგებული პურითა ტფილითა და რეცა თუ მოვიდოდა ეგჳპტით. შეწუხნა ამას ზედა ძმაჲ იგი და იწყო ტირილით[6] სიტყუად: უფალო, არა ღირს ვიყავა მცირედ დაშრომად სახელისათჳს[7] შენისა წმიდისა? და ვითარცა წარვლო განსაცდელმან მან, მიერითგან[8] წარიყვანიან იგი ძმათა და განუსუენიან მას სენაკთა შინა მათთა და ეკლესიასა.

3. წარვიდეს ოდესმე ძმანი უდაბნოს დიდსა ვისმე ბერისა და ჰრქუეს მას: ვითარ თავს-იდებ, მამაო, აქაურსა ამას ჭირსა? ხოლო მან ჰრქუა მათ: ყოველნივე ჟამნი, რომელნი დამიყოფიან აქა, ვერ შეესწორებიან[9] ერთსა ჟამსა მერმისა მის ტანჯვისასა.

4. ბერმან თქუა: პირველნი მამანი ჩუენნი არა ადრე-ადრე /200/ აღიძრვოდეს ადგილთაგან მათთა თჳნიერ სამთა ამათ საქმეთაჲსა: ერთად, უკუეთუ ვინმე[10] იპოვის[11] კაცი გულმანკიერი და შეწუხებასა ზედა არღარაჲ[12] იქმნის ღონე დაგებისა და სიყუარულისაჲ. და მეორედ, უკუეთუ იდიდებოდის[13] მრავალთაგან. ხოლო[14] მესამე, უკუეთუ განსაცდელი სიძვისაჲ შეემთხჳის.

5. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ გულისსიტყუანი მაჭირვებენ მე და მეტყჳან: მარხვაჲ ვერ ძალ-გიც, ვერცაღა შრომაჲ, ბარე სნეულთა მოიხილევდი და რამეთუ ესეცა სიყუარულივე არს. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ, ძმაო, ჭამე, სუ, და დაიძინე[15], თჳნიერ ოდენ სენაკისაგან ნუ განხუალ[16], რამეთუ იცოდა ბერმან, ვითარმედ მოთმინებაჲ სენაკისაჲ მოიყვანებს მონაზონსა პირველსავე ზედა წესსა თჳსსა. დაყო უკუე სამი დღჱ[17] ძმამან მან ესრეთ. მერმე მოეწყინა და პოვა მცირედ ბაიაჲ[18] და დააპო იგი და კუალად ხვალისდღე[19] იწყო თხზვად და ვითარცა მოემშია, თქუა: აჰა ესერა, მცირედღა მიც ბაიაჲ[20] ესე, და-ხოლე-ვასრულო და ესრეთ ვჭამო. და ვითარცა დაასრულა იგი, კუალად თქუა: აღმოვიკითხო მცირედ წიგნი და ეს-

---

[1] მას] მის C. [2] ჰნებავნ] ჰნებავს C. [3] მისსა] თჳსსა BC. [4] განსაცდელისა E. [5] ~ კარსა ვინმე C. [6] ტირილით სიტყუად] ტირილად და იტყოდა □BE. [7] სახელისათჳს შენისა] სახელისა შენისათჳს E. [8] მიერითგან – B. [9] შეესწორებიან] ესწორებიან B. [10] ვინმე – B. [11] იპოვოსC. [12] არღარაჲ] არარაჲ B;აღარა C; არღარ აE. [13] აქ E ნუსხა წყდება. [14] ხოლო] და B. [15] დაიძინე] დაჲძინე A. [16] განხუალ] გამოხუალ B. [17] დღე BC. [18] ბაჲაჲ] ბაიაჲA. [19] ხვალისა დღეB. [20] ბაიაჲ] ბაჲაჲ A.

რეთ ვჭამო. და ვითარცა აღმოიკითხა[1], კუალად თქუა: წარვთქუნე[2] მცირენი იგი ფსალმუნნი ჩემნი და ესრეთ უზრუნველად ვჭამო. და ესრეთ მცირედ-მცირედ რაჲ წარემართა შეწევნითა ღმრთისაჲთა, მოვიდა პირველსავე ზედა წესსა თჳსსა და მიიღო[3] სიმჴნე და ახოვნებაჲ ძლევად გულისსიტყუათა.

6. კითხულ იქმნა ბერი ძმისაგან, ვითარმედ: რაჲსათჳს მომეწყინების, მამაო, ჯდომაჲ სენაკსა შინა ჩემსა? მიუგო ბერმან: ამისთჳს, რამეთუ არა გიხილავს არცა მოსალოდებელი იგი სუფევაჲ მართალთაჲ /200v/ და არცა ცოდვილთათჳს განმზადებული იგი სატანჯველი. თუ არა, უკუეთუმცა ესე მტკიცედ გეხილვა, დაღაცათუმცა მატლითა აღსავსე იყო სენაკი შენი და ვიდრე ყელადმდემცა შიგან სდეგ, მო-მცა-ითმინე და არამცა ყოლად[4] მო-გეწყინა.

7. ბერსა ვისმე დიდად მოღუაწესა ევედრნეს ძმანი[5], რაჲთა დასცხრეს ესოდენ დიდთაგან შრომათა თჳსთა[6]. მიუგო ბერმან: გეტყჳ თქუენ, შვილნო, რომელ აბრაჰამცა შეინანებს მაშინ, ოდეს-იგი ხედვიდეს დიდთა მათ ნიჭთა ღმრთისათა ამისთჳს, რომელ არა უფროჲსრე და უმეტეს იღუაწა.

8. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: გულისსიტყუანი ჩემნი იბნევიან აქა და იქი და მე მწუხარე ვარ ამისთჳს. ჰრქუა მას ბერმან: შენ დაჯედ სენაკსა შინა შენსა და იგინი კუალად მოვიდენ შენდავე, რამეთუ ვითარცა სახედ კარაული უკუეთუ ებას ქუე მუტრუკი მისი აქა და იქი მიმოვარდების, იმღერის და განსცხრების და რაჲზომცა შორს გავარდეს[7], კუალად დედისავე თჳსისა მოვალს, ესრეთვე არიან გულისსიტყუანიცა[8] მისნი, რომელი ღმრთისათჳს მჯდომარე იყოს სენაკსა შინა თჳსსა, დაღაცათუ მცირედ განიბნინენ[9], კუალად მის თანვე შეიქცევიან.

9. ბერი ვინმე მჯდომარე იყო უდაბნოს შორს წყლისაგან, ვითარ ათორმეტ მილიონ. და ვითარცა წარვიდოდა იგი აღმოვსებად წყლისა მრავალგზის, მერმე მოეწყინა და თქუა: რად საჴმარ არს ცუდი ესე შრომაჲ, მოვიდე და დავემკჳდრო მახლობელად წყლისა ამის. და ესე რაჲ თქუა, მიიქცა გარე და იხილა ვინმე, რომელი მიუდგა მას და თუალვიდა ნაბიჯსა მისსა. ჰკითხა მას და ჰრქუა: შენ ვინ ხარ? ხოლო მან ჰრქუა მას: მე ანგელოზი ვარ უფლისაჲ და მოვივლინე აღრიცხუვად ნაბიჯსა შენსა და მოცემად შენდა სასყიდელსა. /201/ ესე რაჲ ესმა ბერსა, ნუგეშინის-ეცა ფრიად და უგულსმოდგინეს იქმნა და წარვიდა და განაშორა სენაკი თჳსი სხუასა ხუთსა მილიონსა.

10. იტყოდეს წმიდანი მამანი, ვითარმედ: უკუეთუ შეგემთხჳოს შენ[10] განსაცდელი რაჲმე ადგილსა მას, რომელსა სჯდე, ნუ დაუტეობ ადგილსა

---

[1] აღმოიკითხა] დაასრულა C. [2] წარვთქუნე] წარვთქუენ B. [3] მიიღო] მოიღო C. [4] ყოლად] ყოლა B. [5] ძმანი + იგი C. [6] თჳსთა] მისთა B. [7] გავარდეს] განვარდეს BC. [8] გულისსიტყუანი BC. [9] განიბნინენ] განიბნივნენ B. [10] შენ – C.

მას ჟამსა განსაცდელისასა. უკუეთუ კულა არა, სადაცა წარხჳდე წინაშე შენსა დაგუხუდეს[1] საქმე იგი, რომელსა ევლტი. არამედ მოთმინე იქმენ, ვიდრემდის წარგჴდეს თანა განსაცდელი იგი, რაჲთა დაუბრკოლებელ იქმნეს განშორებაჲ შენი და ჟამსა მშჳდობისასა, რაჲთა არცა მკჳდრთა ადგილისათა შეექმნას მჭმუნვარებაჲ განშორებისათჳს შენისა[2] მათგან.

11. ძმაჲ ვინმე იყო შორის კრებულსა დაყუდებით და ზედაჲსზედა აღიძრვოდა იგი რისხვად. მერმე ჰრქუა თავსა თჳსსა: წარვიდე მე ამიერ და მარტოებით დავეყუდო, და ოდეს არავინ იყოს ჩემ თანა, არცა ვის თანა რაჲ მედვას საქმჱ[3], უეჭუელად ივლტოდის ვნებაჲ იგი ჩემგან. გამოვიდა უკუე მიერ[4] მონასტრით და წარვიდა ქუაბსა რასმე შორს[5] და დაეყუდა მას შინა მარტოებით. ხოლო დღესა ერთსა აღავსო გუბი წყლითა და დადგა ქუე ვაკედ და მეყსა შინა[6] გარდაიქცა[7] იგი. კუალად მეორედ აღავსო იგი და გარდაიქცა[8]. აღავსო იგი მესამედცა და გარდაიქცა[9]. მერმე განრისხნა მას ზედა, აღიღო იგი და შეახეთქა კლდესა და განტეხა იგი[10]. ამას ზედა მოეგო გონებასა თჳსსა და ცნა, რამეთუ მოიკიცხა ეშმაკთაგან. მერმე თქუა: აჰა ესერა და მარტოებით განშორებასაცა შინა გან-ვე-რისხენ[11] და ვიძლიე. წარვიდე უკუე კუალადცა[12] ჩემსავე მას მონასტერსა, რამეთუ ყოველგანვე მოღუაწებაჲ საჭმარ არს და მოთმინებაჲ და პირველ ყოვლისა შეწევნაჲ ღმრთისაჲ. და აღდგა და მოიქცა სენაკადვე თჳსად. /201v/

12. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ არა სარგებელ ვარ მონაზუნად, არამედ ყოვლითა უდბებითა[13] ვიყოფვი, ვჭამ და ვსუამ და მძინავს და ხენეშთა და აღშფოთებულთა გულისსიტყუათა შინა ვიქცევი და საქმეთაგან ცუდთა საქმედ არაკეთილად ვიცვალები. ჰრქუა მას ბერმან: დაჯედ შენ სენაკსა შინა შენსა და რომელი ძალ-გედვას, იქმოდე უშფოთველად. და რამეთუ მნებავს და მთნავს მცირე ეგე, რომელსა ჰყოფ შენ აწ, ვიდრეღა დიდნი იგი საქმენი მამისა ანტონისნი, რომელთა ჰყოფდა უდაბნოს. და მრწამს, რამეთუ რომელი დაჯდეს სენაკსა შინა თჳსსა ღმრთისათჳს და იმარხვიდეს გულისსიტყუასა თჳსსა, იპოოს[14] იგიცა ადგილსა მამისა ანტონისსა.

13. კითხულ იქმნა ბერი, ვითარმედ: ვითარ ეგების, რაჲთამცა არა განიკითხნა ძმამან მოსწრაფემან იგინი, რომელნი მიიქცეოდინ სოფლად? ჰრქუა მას ბერმან: უჴმს ესევითარსა მას განცდაჲ[15] ძაღლთა მათ მონადირეთაჲ[16],

---

[1] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 101r-ზე. [2] შენისა მათგან] მათისა შენგან E. [3] საქმჱ] საქმე BCE. [4] მიერ – B. [5] ~ შორს ქუაბსა რასმე B. [6] მეყსა შინა] მეყსეულად C. [7] გარდაიქცა] გარდაჲქცა A. [8] გარდაიქცა] გარდაჲქცა A. [9] გარდაიქცა] გარდაჲქცა A. [10] იგი – B. [11] გან-ვე-რისხენ] განვრისხენ B. [12] კუალადცა] კუალად B. [13] უდბებითა] უდებებითა BCE. [14] იპოოს] იპოვოს E. [15] განცდაჲ + მსგავსად E. [16] მონადირეთაჲ] მონადირეთაჲსა B.

რომელნი სდევენ[1] ყურდგელსა. და ვითარცა სახედ იხილოს თუ ერთმან მათგანმან ყურდგელი, წარეტევების მას და მისდევს[2], ვიდრემდის შეიპყრას და არარაჲსათჳს არა დაეხრწევის სირბილსა მას, ხოლო სხუანი იგი ძაღლნი ხედვენ ოდენ მდევარსა მას და დგანან ამისთჳს, რამეთუ არა უხილავს მათ ყურდგელი იგი და მცირედჟამ რბიან იგინიცა[3] სათნოყოფისათჳს მისისა. მერმე შემოიქცევიან იგინი და იგი ოდენ მარტოჲ მისდევს, რომელმან იხილა და არღარა მოსწყდების რაჲთურთით, არცა დაერიდების ეკალთა, არცა კაპანთა, არცა ხერდოანთა[4] ადგილთა. ესრეთვე უჴმს მონაზონსაცა, რომელი ეძიებდეს მეუფესა ქრისტესა, რაჲთა გულსმოდგინედ მისდევდეს და წინამძღურად სრბისა მის და სლვისა თჳსისა იჴუმიოს ჯუარი იგი პატიოსანი, წმიდაჲ ძელი ცხორებისაჲ, რაჲთა /202/ ყოველთა/ვე დასაბრკოლებელთა მსოფლიოთა თანაწარჴდეს.

14. ბერმან თქუა: ვითარცა სახედ ხე ზედაჲსზედა აღმოფხურა-დარგვითა[5] ძირთა ვერ განიგებს, ესრეთვე ვერცა მონაზონსა მიმომავალსა ძალ-უც სრულყოფად სათნოებისა.

15. ძმაჲ ვინმე შეიწრებულ იქმნა გულისსიტყუათაგან[6] თჳსთა, რაჲთა განვიდეს მონასტრით და მიუთხრა[7] ესე მამასა. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და დაჯედ სენაკსა შინა შენსა და შეაწყუდიე თავი შენი ღობეთა მათ შინა სახლისათა და ნუ გამოხუალ მიერ[8] და[9] იყვნენ რაჲ ჴორცნი შინა, უტევე გულისსიტყუათა სლვად, ვინაჲცა ენებოს, ოდენ ჴორცთა ნუ გამოიხუამ სენაკით.

16. თქუა ბერმან: სენაკი მონაზონისაჲ, არს საჴუმილი იგი ბაბილოვნისაჲ, სადა-იგი სამთა მათ ყრმათა[10] პოვეს ძჱ ღმრთისაჲ და კუალად სუეტი არს ღრუბლისაჲ, ვინაჲ-იგი ღმერთი მოსეს ეუბნებოდა.

17. ძმაჲ ვინმე იბრძოლებოდა ცხრა წელ, რაჲთა განვიდეს კრებულისაგან ზოგადცხორებულთაჲსა და დღითიდღე აღჰკაზმავნ იგი მალაკსა თჳსსა, რაჲთა გამოვიდეს და ვითარცა იქმნის სამწუხრო, თქჳს თჳსაგან: ხვალე უღონეოდ[11] წარვიდე აქაჲთ. და განთიად კუალად ჰრქჳს გულისსიტყუასა თჳსსა: ვაიძულოთ[12] თავსა ჩუენსა დღესაცა სიყუარულისათჳს უფლისა. და ამას ესევითარსა ზედა საქმესა გარდაჴდა ცხრაჲ წელიწადი, მერმე აღიღო ღმერთმან მისგან ყოველივე განსაცდელი და განისუენა.

18. ძმაჲ ვინმე შევარდა განსაცდელსა და მრავლისა მისგან მწუხარებისა წარწყმიდა კანონი მონაზონებისაჲ და ენება, რაჲთამცა კუალად იწყო. და

---

[1] სდევენ] სდევედ AC. [2] მისდევს] მისდევენ C. [3] იგინიცა] იგინი B. [4] ხერდოანთა] ხერდოვანთა B. [5] აღმოფხურა-დარგვითა] აღმოფხურული დარგვითა BE. [6] აქ E ნუსხა წყდება. [7] მიუთხრნეს B. [8] მიერ] სენაკი B. [9] და იყვნენ ....გამოიხუამ სენაკით – B. [10] ~ სამთა ყრმათა მათ B. [11] უღონეოდ] უღონოდ BC. [12] ვაიძულოთ] ვაჲძულოთ BC.

არა უტევებდა მას წუხილი[1] იგი გონებისაჲ, არამედ ეტყჳნ[2]: ოდესღა უძლო შენ ყოფად, ვითარ იყავ. და ამას ზედა სულმოკლე იქმნის და ვერღარა უძლის დაწყებად საქმესა მონაზონებისასა. მერმე აღდგა და მივიდა /202v/ ბერისა ვისმე და მიუთხრა მას საქმე მისი. ესმა რაჲ ბერსა ჭირვეულებაჲ იგი მისი, მოართუა მას სახჱ[3] ესევითარი და ჰრქუა: კაცსა ვისმე ედგა ყანაჲ და უდებებითა მისითა განკორდდა ყანობირი იგი და ეკლითა და კუროჲსთავითა აღივსო იგი[4]. უკანაჲსკნელ მოსწადდა კაცსა მას განკაზმვაჲ მისი და ჰრქუა ძესა თჳსსა: წარვედ, შვილო, და განწმიდე ყანობირი იგი. ხოლო იგი წარვიდა. და ვითარცა იხილა სიმრავლე იგი ეკალთაჲ, სულმოკლე იქმნა და თქუა: ოდეს ეგების განწმედაჲ ამისი! დაწვა ქუე და დაიძინა[5]. გარდაჴდეს უკუე ამას ზედა მრავალნი დღენი. მერმე წარვიდა მამაჲ მისი ხილვად, თუ რაჲ-ძი უქმნიეს. და პოვა იგი, რამეთუ ყოლადვე[6] არა ეშრომა. და ჰრქუა მას: რაჲ არს ესე, შვილო, რომელ ყოლად არა გიშრომიეს? ჰრქუა ჭაბუკმან მამასა თჳსსა: მამაო, ოდეს მოვიდი და ვიხილი ეკლნარი ესე, ზარი დამეცის შიშისაჲ და მრავლისა მისგან მწუხარებისა დავსულბი და დამეძინის. ჰრქუა მას მამამან მისმან: შვილო, სწორი ოდენ საგებლისა შენისაჲ მოქმენ დღე ყოველ და ესრეთ წარემართოს საქმე შენი და არა მოგეწყინოს. ხოლო ჭაბუკმან მან ყო განწესებისაებრ მამისა თჳსისა და მცირეთა შინა დღეთა განწმიდა კეთილად ყანობირი იგი, დასთესა იფქლი და გამოიღო თავწარსხმული ცხორებისაჲ უხუებით. ესრეთვე სახედ ქმენ, ძმაო, შენცა და მცირედ-მცირედ შურებოდე და არა მოგეწყინოს და ღმერთმან კაცთმოყუარემან მადლთაებრ თჳსთა და წყალობათა მოგიყვანოს შენ პირველსავე მას ზედა[7] წესსა და საზომსა შენსა. ხოლო ძმასა მას ვითარცა ესმა ესე ბერისაგან, დაჯდა მოთმინებით სენაკსა თჳსსა და ჰყოფდა, ვითარცა ისწავა ბერისაგან და /203/ პო/ვა განსუენებაჲ მადლითა ქრისტესითა.

19. ბერი ვინმე იყო და ზედაჲსზედა შეიპყრობნ[8] მას სენი[9] და არნ იგი სნეულ. ხოლო გარდაჴდა ოდესმე მას ზედა წელიწადი ერთი და არა დასნეულდა[10]. მერმე შეწუხნა იგი ამას ზედა ფრიად, იწყო ტირილად და იტყოდა: ნანდჳლვე დამიტევა მე ღმერთმან და არღარა[11] მომხედნა.

20. ბერმან თქუა, ვითარმედ: ძმაჲ ვინმე განიცადებოდა გულისსიტყუათაგან ცხრა წელ, რაჲთა განიწიროს ცხორებაჲ თჳსი და სიმდაბლით დაშჯინ იგი თავსა თჳსსა და ეტყჳნ: წარვწყმიდე სული ჩემი, წარვწყმიდე! ბარე წარვიდე სოფლად, რაჲთგან ესრეთცა[12] წარ-ვე-ვწყმდები[13]. აღდგა და წარვიდა იგი და ვითარცა ვიდოდა გზასა მას, მოიწია მისა ზეცით ჴმაჲ[14], რომ-

[1] წუხილი] მწუხარებაჲ C. [2] ეტყჳნ] იტყჳნ B. [3] სახჱ] სახე BC. [4] იგი + და C. [5] დაიძინა] დაჲძინა A. [6] ყოლადვე] ყოლად C. [7] ზედა- B. [8] შეიპყრობნ] შეუპყრობნ A; შეიპყრობდა B. [9] სენი + იგი C. [10] აქედა E ნუსხა ისევ გრძელდება 105r-ზე (აკინძვის შეცდომა). [11] არღარა] არა B. [12] ესრეთცა] ესრეთ BE. [13] წარვწყმდები E. [14] ~ ჴმაჲ ზეცით C.

ელი ეტყოდა, ვითარმედ: ცხრაჲ ეგე წელიწადი, რომელთა შინა განიცადე საგჳრგჳნონი იყვნეს შენნი. ვინაჲთგან უკუე ვერღარა ძალ-გიც დათმენად, შეიქეც ადგილადვე შენდა და მე აღგისუბუქო შენ გულისსიტყუათაგან. ხედავთა, ძმანო, რომელ[1] არა კეთილ არს წარკუეთაჲ სასოებისაჲ გულისსიტყუათათჳს და რამეთუ უფროჲსღა იგინი არიან მომატყუებელნი ჩუენდა გჳრგჳნთანი, კეთილად თუ ვიჴმარნეთ იგინი.

21. ბერი ვინმე მკჳდრ[2] იყო თებაიდას[3] ქუაბსა შინა და ჰყვა მას მოწაფჱ[4] რჩეული. ხოლო აქუნდა ბერსა ჩუეულებაჲ ყოველთა მწუხრთა სწავლად ძმისა მის ცხორებისათჳს სულისა და სარგებელისა. და შემდგომად სწავლისა მის, ყვის ლოცვაჲ და განუტევის, რაჲთა წარვიდეს სარეცელად თჳსა[5] და განისუენოს. დღესა უკუე ერთსა მოვიდეს მუნ ღმრთისმოშიშნი ვინმე ერისკაცნი, რომელთა იცოდეს მოღუაწებაჲ იგი ბერისაჲ და აიძულეს[6] მას ნუგეშინისცემად. და ვითარცა წარვიდეს იგინი, დაჯდა ბერი კუალადცა მიმწუხრი და ასწავებდა ძმასა /203v/ მას[7]. და ზრახვასა მას შინა მისსა შეიპყრა ბერი ძილმან. ხოლო ძმაჲ იგი ელოდა, რაჲთა განიღჳძოს ბერმან და ყოს მის ზედა ლოცვაჲ. და ვითარცა განუგრძნდა ძმასა მას ლოდინებაჲ და ბერმან არღა[8] განიღჳძა, ბრძოლილ იქმნა გულისსიტყუათაგან ძმაჲ იგი, რაჲთა წარვიდეს და დაიძინოს[9] თჳნიერ განტეობისა[10] ბერისა. და იგი აიძულებნ[11] თავსა თჳსსა და წინააღუდგებინ გულისსიტყუასა თჳსსა. ესრეთვე კუალადცა წყენილ იქმნა იგი და არა წარვიდა. ხოლო იქმნა ესე შჳდგზის, რამეთუ შჳდგზის იბრძოლა წარსლვად და[12] დაძინებად, თჳნიერ კურთხევისა ბერისა და შჳდგზის წინააღუდგა იგი და არა წარვიდა, არამედ ელოდა. შემდგომად ამისსა[13] წარვლო რაჲ უმეტესმან ჟამმან ღამისამან, განიღჳძა ბერმან და პოვა ძმაჲ იგი მუნვე მჯდომარე. და ჰრქუა მას: არა განეშორეა ამიერ ვიდრე აქამომდე[14]? ხოლო მან ჰრქუა: არა, მამაო, რამეთუ არა განგეტევე შენ. ჰრქუა მას ბერმან: და რაჲსათჳს არა განმაღჳძე, შვილო? მიუგო ძმამან: ვერ ვიკადრე, მამაო, რაჲთა არა შეგაურვო. აღდგეს უკუე და წართქუნნეს ფსალმუნნი განთიადისანი და შემდგომად ლოცვისა განუტევა ბერმან ძმაჲ იგი და თჳთ დაჯდა თჳსაგან. და აჰა ესერა, დაეცა ბერსა განკჳრვებაჲ და იხილა ვინმე, რომელი უჩუენებდა მას ადგილსა დიდებულსა, რომელსა შინა დგა საყდარი ყოლად რჩეული და ზედა საყდარსა მას ისხნეს შჳდნი გჳრგჳნნი სამეუფონი. ჰკითხვიდა ბერი მჩუენებელსა მას და ეტყოდა: ვისნი არიან ესე ნეტარისანი[15]? ხოლო მან ჰრქუა: მოწაფისა შენისანი არიან ეგე და რამეთუ ადგილი ეგე და საყდარი მიანიჭა მას ღმერთმან მორჩილებისათჳს მისისა,

---

[1] რომელ] რამეთუ C. [2] მკჳდრ იყო] მკჳდრობდა C. [3] თებაიდას] თებაჲდას A. [4] მოწაფჱ] მოწაფე BCE. [5] თჳსა] თჳსად E. [6] აიძულეს] აჲძულეს A. [7] მას] ამას C. [8] არღა] არა C. [9] დაიძინოს] დაჲძინოს A. [10] განტეობისა] განტევებისა BE. [11] აიძულებნ] აჲძულებნ A. [12] და – C. [13] ამისა C. [14] აქამომდე] მოაქამომდე C. [15] ნეტარისანი] ნეტარისნი B.

ხოლო შჳდნი ესე გჳრგჳნნი ამას ღამესა მოიგნა. ესე რაჲ ესმა ბერსა, /204/ განუ/კჳრდა[1] და შეეშინა, მოუწოდა ძმასა მას და ჰრქუა: მითხარ მე, რასა იქმოდე ღამესა ამას? ხოლო მან ჰრქუა: შემინდვე[2] მე, მამაო, რამეთუ არარაჲ მიქმნიეს. ხოლო ბერი ჰგონებდა, თუ სიმდაბლით არა აღიარებს და ჰრქუა მას: არა შეგინდობ შენ, არა თუ მითხრა, თუ რასა იქმოდე, ანუ[3] რასა გონებდი[4] ღამესა ამას. ხოლო ძმაჲ იგი, ვინაჲთგან ვერარას ეგევითარსა შეაცნობდა თავსა თჳსსა, უღონო იყო, თუ რაჲ თქუას. ამისთჳსცა ჰრქუა მას: მამაო, გრწმენინ ჩემი[5], არარაჲ ვიცი, არცა რაჲ მიქმნიეს ღამესა ამას, თჳნიერ ესე[6], რომელ ვიიძულე გულისსიტყუათაგან შჳდგზის თჳნიერ განტეობისა[7] შენისა წარსლვად და არა წარვედ. ესმა[8] რაჲ ესე ბერსა, გულისჴმა-ყო, ვითარმედ რაოდენგზის იგი ჰბრძოდა გულისსიტყუასა და წინააღუდგა, ეგეოდენგზისცა გჳრგჳნოსან-ყო იგი ღმერთმან. და ძმასა მას არარაჲ უთხრა, ხოლო სარგებელისათჳს განუცხადა ესე კაცთა სულიერთა და ღმრთისმოყუარეთა, რაჲთა ვცნათ და ვისწაოთ, თუ ვითარ მცირეთათჳსცა მოგონებათა მოგუანიჭებს ჩუენ ღმერთი გჳრგჳნთა დაუჭნობელთა. კეთილ არს უკუე, კეთილ არს ყოველსავე შინა საქმესა იძულებაჲ თავისაჲ ღმრთისთჳს, და რამეთუ მაიძულებელთაჲ არს სასუფეველი ცათაჲ და რომელნი აიძულებდენ[9], იგინიცა მიიტაცებენ მას.

22. დასნეულდა ოდესმე ბერი ვინმე, რომელი მკჳდრ იყო სენაკებს მარტოჲ და ვინაჲთგან არავინ ჰყვა, რაჲთამცა ჰმსჰახურა მას, აღდგის და რაჲცა პოვის სენაკსა შინა, შეჭამის იგი კრძალულებით. დაყვნა უკუე ესრეთ მრავალნი დღენი და არავინ მივიდა მოხილვად მისა, აღესრულნეს რაჲ ამას ზედა დღენი ვითარ ოცდაათნი /204v/ და არავინ მივიდა[10] მისა, მერმე მოუვლინა მას ღმერთმან ანგელოზი თჳსი მსახურად მისა. და ვითარცა დაყო მის თანა შჳდი დღჱ[11], მოეჴსენა მამათა ბერი და თქუეს ურთიერთას: ნუუკუე, მოკუდა იგი ვინმე ბერი. და ვითარცა მოვიდეს[12] და[13] დაჰრეკეს კარსა, განეშორა ანგელოზი იგი. ხოლო ბერმან იწყო შინაკერძო ჴმობად მათდა: წარვედით, ძმანო, წარვედით. ხოლო მათ განაღეს კარი და შევიდეს და ჰკითხვიდეს მას, თუ რაჲსათჳს ჴმობდა. ხოლო მან ჰრქუა მათ: ოცდაათი დღე მაქუნდა ჭირსა შინა და არცა ერთმან ვინ თქუენგანმან მომიხილა, და აჰა ესერა, არს შჳდ დღჱ[14] ოდენ[15], ვინაჲთგან მომივლინა ღმერთმან ანგელოსი თჳსი მსახურებად ჩემდა. და აწ ესერა მოსლვასა ზედა თქუენსა წარვიდა იგი. ესე რაჲ თქუა ბერმან, დაიძინა[16]. ხოლო ძმათა მათ დაუკჳრდა ფრიად, თუ ვითარ არავის განსწირვს ოდესცა მოსავთა მისთაგანსა.

---

[1] განუკჳრდა] განუკჳრდაცა B. [2] აქ E ნუსხა წყდება. [3] ანუ] ანუ თუ B. [4] გონებდი] იგონებდი C. [5] ჩემი – B. [6] ესეთჳნიერ – B. [7] განტეობისა] განტევებისა BC. [8] ~ ესე რაჲ ესმა B. [9] აიძულებდენ] აჲძულებდენ A. [10] მივიდა] მივიდეს C. [11] დღჱ] დღე BC. [12] მოვიდეს] მივიდეს C. [13] და – B. [14] დღჱ] დღე C. [15] ~ შჳდი ოდენ დღე B. [16] დაიძინა] დაჲძინა A.

23. ბერმან თქუა: უკუეთუ მოგეწიოს სნეულებაჲ ჴორცთაჲ, ნუ სულმოკლე იქმნები და რამეთუ უკუეთუ მეუფესა შენსა ჰნებავს ჰავად გაჴდაჲ ჴორცთა შენთაჲ, შენ რად გიძნს[1]?! არა იგი იურვისა შენთჳს ყოველსა შინა, ნუუკუე ძალ-გიცა თჳნიერ მისა სიცოცხლე? მოითმინე უკუე, იქმენ და ჰმადლობდი მას და ევედრებოდე მოცემად შენდა უმჯობესსა, ესე იგი არს ნებაჲ მისი, დაჯედ უკუე სულგრძელებით და ჭამე სიყუარული.

24. მონაზონი ვინმე მოღუაწე ყოველსა შინა და წინააღმდგომი ეშმაკისაჲ შევარდა განსაცდელსა, რამეთუ დაუბრმეს[2] სრულიად თუალნი მისნი და მან არა ილოცა აღხილვად, არამედ ითხოვდა მოთმინებასა და მოთმინებისა მისთჳს მიანიჭა მას ღმერთმან ნათელი და /205/ კუალადცა აღეხილნეს.

25. მოგჳთხრა ჩუენ მამათაგანმან ვინმე, ვითარმედ: ვიყავ რაჲ მე ოქსჳრინხოს[3], მოვიდეს მუნ გლახაკნი შაბათსა მიმწუხრი, რაჲთა მიიღონ სიყუარული. და ვითარცა დავწევით ძილად, იყო ვინმე მუნ ერთი გლახაკი, რომელსა ერთი ოდენ ფსიათა[4] აქუნდა, ნახევარი ეგო ქვეშეთ და ნახევარი ებურა ზედაჲთ, რამეთუ იყო ყინვაჲ ფიცხელი. და ვითარცა გამოვედ წყლად, ვიხილე იგი შეიწრებულად მრავლისა მისგან[5] ყინელისა, ხოლო იგი ნუგეშინის-სცემდა თავსა თჳსსა და იტყოდა: გმადლობ შენ, უფალო[6] ღმერთო ჩემო და მეუფეო, შენთათჳს ურიცხუთა მოწყალებათა. რაოდენნი არიან აწ საპყრობილეთა შინა მდიდარნი შეკრულნი რკინითა და სხუანი არიან ჴუნდთა[7] შინა დაკრძალულნი, რომელთა ვერცა თუ წყალთა[8] ძალ-უც დათხევად. ხოლო მე ცოდვილი ესე, ვითარცა მეფჱ[9] განსუენებულ ვარ, განვიწუდი ფერჴთა ჩემთა, ვითარცა მინდეს და ოდეს მენებოს, აღვდგები და ოდეს მენებოს დავჯდები და სადაცა[10] მინდეს, წარვალ და ვადიდებ სახელსა შენსა, ყოლად წმინდასა, უფალო[11]! ესე რაჲ მესმა, მიუთხარ ძმათა და მათ ფრიად სარგებელ ეყო და ჰმადლობდეს ღმერთსა.

26. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: უკუეთუ მოიწიოს რაჲმე ჭირი ჩემ ზედა და ვერვის თანა სავსე ვიყო, რაჲთამცა მიუთხარ, რაჲ ვყო? ჰრქუა მას ბერმან: მრწამს ღმრთისაჲ, რომელ მოავლინოს შენ ზედა მადლი თჳსი ღმერთმან და შემწე გეყოს შენ, უკუეთუ ოდენ გულითა ევედრო და ჭეშმარიტებით, რამეთუ მესმა მე[12] ვითარმედ, იქმნა სკიტეს ესევითარი საქმჱ[13]:

იყო ვინმე მოღუაწე და არცა ერთსა ვის თანა აქუნდა გულსავსებაჲ, ამისთჳსცა განჰმზადა მალაკი თჳსი, რაჲთა განეშოროს /205v/ და წარვიდეს მიერ ადგილით. და აჰა ესერა, ეჩუენა მას ცხადად მადლი ღმრთისაჲ, ვითარცა ქალწული და ჰრქუა: დაადგერ ჩემ თანა და ნუსადა წარხუალ, რა-

---

[1] გიძნს] გიმძიმს B. [2] დაუბრმეს] დაუბ რმდეს C. [3] ოქსჳრინხოს] ოქსჳრიხონს C. [4] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება. [5] მრავლისა მისგან] მრავლისაგან B. [6] უფალო – BE. [7] ჴუნდთა] ჴუდთა A. [8] წყალთა] წყალთაჲ E. [9] მეფჱ] მეფე BC. [10] სადა B. [11] უფალო – B. [12] მე – C. [13] საქმჱ] საქმე BCE.

მეთუ არავისდა მომიტყუამს ბოროტი, რომლისა თანაყოფილ ვარ. ხოლო იგი ერჩდა მას და დაადგრა მუნვე და მეყსეულად განიკურნა გული მისი.

27. ბერი ვინმე მივიდოდა განსყიდად მალაკებსა თჳსსა. შეემთხჳა მას ეშმაკი და უჩინო-ყო ყოველივე იგი ჴელთსაქმარი მისი. ხოლო ბერი დადგა ლოცვად და იტყოდა: გმადლობ შენ, უფალო ღმერთო, რამეთუ მიჴსენ ჭირთაგან. ვერ თავს-იდვა ეშმაკმან დათმენად სიბრძნე იგი ბერისაჲ, იწყო ჴმობად და ეტყოდა: აჰა ესერა, აქა არს ჭურჭლები შენი, ბერო ბოროტო. ხოლო ბერმან წარიღო იგი და განყიდა და ჰმადლობდა ღმერთსა.

28. იტყოდა ბერთაგანი ვინმე ლაზარესთჳს გლახაკისა, ვითარმედ არა ვჰპოებო[1] მას, რაჲთამცა ექმნა ერთიცა სათნოებაჲ, თჳნიერ ვჰპოებთ მას, რომელ არაოდეს იდრტჳნა ღმრთისა მიმართ, თუ რად არა შეიწყალებს ჭირთაგან, არამედ მადლობით თავს-ისხმიდა ტკივილთა თჳსთა, არცა კუალად განიკითხჳდა მდიდარსა მას. ამისთჳსცა შეიწყალა იგი ღმერთმან და შეიწყნარა.

29. თქუა ვინმე მამათაგანმან: უკუეთუ არა იძროდის[2] ხჱ[3] ქართაგან, არცა აღორძნდების და აღვალს სიმაღლედ, არცა კუალად ძირთა განიგებს სიღრმედ დამართ, ესრეთვე სახედ მონაზონი, არა თუ განიცადოს და მოითმინოს, ვერ იქმნების მჴნე და აჴოვან.

30. ბერმან თქუა: ამისთჳს ვერ წარვემართებით, ვერცა ვიცნობთ საზომსა ჩუენსა, რამეთუ არა გუაქუს მოთმინებაჲ, ოდეს ვიწყოთ რასმე საქმესა, /206/ არამედ უჭირველად გუნებავს მოგებაჲ[4] სათნოებისაჲ. ამისთჳს ადგილთა ვიცვალებთ და ზედაჲსზედ მიმოვალთ, რამეთუ ვჰგონებთ, თუ ვჰპოებთ სამე ადგილსა, სადა არა არს ეშმაკი.

31. ბერმან თქუა: მონაზონი უკუეთუ მცირეთა დღეთა შურებოდის და მერმე[5] კუალად მომედგრდეს და კუალად შურებოდის და კუალად უდებ იყოს, ესევითარი იგი ვერას იქმს, ვერცა მოიგებს მოთმინებასა.

32. ბერმან თქუა: უკუეთუ სადმე იპოო უცხოდ და არავინ შეგიწყნაროს შენ, ნუ შესწუხნები[6], არამედ თქუ: უკუეთუმცა ღირს ვიყავ, გან-მცა-მისუენა[7] მე ღმერთმან.

33. ბერმან თქუა: აღიხუენ განსაცდელნი და არავინ იყოს წმიდაჲ[8] და რამეთუ რომელი ევლტოდის განსაცდელთა სარგებელისათა, ევლტის იგი ცხორებასა საუკუნესა.

---

[1] ვჰპოებო] ვჰპოებთ BE. 2 იძროდის] იძრვოდის BCE. 3 ხჱ] ხე BC. 4 მოგებაჲ სათნოებისაჲ] მოგებად სათნოებისა B. 5 მერმე – B; მერმე კუალად... და კუალად – E. 6 შესწუხნები] შეძრწუნდები B. 7 E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 109r-ზე (აკინძვის შეცდომა). 8 წმიდაჲ] წმიდა BE.

34. მამათაგანმან ვინმე შეაწყუდია თავი თჳსი[1] დღეთა წმიდისა მარხჳსათა, ხოლო ეშმაკმან, რომელი-იგი ყოლადვე და მარადის ეშურების[2] მოღუაწეთა, აღუვსო ქუაბი იგი მისი სრულიად ქუეითგან ზედმდე[3] ბალღინჯითა და საზრდელი და სასუმელი და ყოველივე აღივსო, ვიდრეღა არა იპოებოდა ქუაბსა მას შინა ადგილი არცა თუ თითისა დასადებელი, სადა არა აღსავსე[4] იყო ბალღინჯითა. დაითმინა[5] უკუე ახოვნად განსაცდელი იგი მჭნემან მან მოღუაწემან და იტყოდა: დაღათუ მოვკუდე, არა განვიდე ამიერ, ვიდრე მოწევნადმდე დიდისა მის დღესასწაულისა. ხოლო მესამესა მას შჳდეულსა წმიდათა მარხვათასა, იხილვა საქმე საკჳრველი, რამეთუ აჰა ესერა, სიმრავლე დიდძალი მოიწია[6] ჯინჭველთაჲ აღურაცხელი და[7] აღუჰამრავი და შემოკრბეს ქუაბსა მას შინა /206v/ წარწყმე/დისათჳს ბალღინჯთაჲსა და ვითარცა სახედ იქმნების ბრძოლათა შინა, ყოველნივე[8] გარეგანსა მას სტოსა გამოასხნეს და დაჰოცნეს მუნ. მერმე უპყრეს და ყოველივე იგი გაკრიბეს ქუაბით და ესრეთ განწმიდეს ადგილი იგი. ხედავთა, თუ ვითარ კეთილ არს მოთმინებაჲ განსაცდელთაჲ, რამეთუ აღსასრული კეთილსა ზედა ხედავს!

35. თქუა ბერმან, ვითარცა სახედ ცჳლი არა თუ დალბეს და დაიზილოს[9], ვერ მიიღებს საბეჭდავსა კეთილად, ესრეთვე[10] კაცი, არა თუ[11] ჭირთა შინა და შრომათა გამოიცადოს, ვერ შეუძლებს მიღებად ბეჭედსა მას სულისასა[12]. ამისთჳსცა უფალი ეტყჳს რჩეულსა პავლეს: კმა არს შენდა მადლი ჩემი, რამეთუ ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების. ხოლო კუალად იგივე მოციქული იქადის და იტყჳს: გემოვნად ვიქადოდიო უძლურებათა ზედა[13] ჩემთა, რაჲთა დაიმკჳდროს[14] ჩემ თანა ძალმან ღმრთისამან.

36. ინება ვინმე ჯმნაჲ სოფლით და მონაზონებაჲ. და ვითარცა განვიდოდა უდაბნოდ, იხილა შორით პირღოჲ, რომელ არს გოდოლი, და თქუა თავსა შორის თჳსსა: მივჰმართო გოდოლსა იმას და ვინცა ვპოო მას შინა, ვჰმსახურო მას[15] ვიდრე სიკუდილადმდე ჩემდა. და ვითარცა[16] მიიწია გოდლად[17], დაჰრეკა კარსა, გამოვიდა მიერ ბერი ვინმე მონაზონი და ჰრქუა მას: რაჲ გიჴმს, ძმაო? მიუგო ძმამან: ლოცვად მოსრულ ვარ მე, მამაო. შეიწყნარა უკუე იგი[18] ბერმან და განუსუენა მას. მერმე ჰრქუა მას: გაქუს სადაა საქმე, ძმაო? ხოლო მან ჰრქუა: არა, მამაო, არამედ აქა მნებავს ყოფაჲ. დაუტევა იგი ყოფად მუნ. ხოლო ბერი დაცემულ იყო სიძვითა და მუნ ჰყვა ჯერეთცა დედაკაცი იგი. ამისთჳსცა ჰრქუა ძმასა მას: უკუეთუ გნებავს, რაჲთა სარგებელ გეყოს /207/ წარ/ვედ მონასტრად, რამეთუ მე აქა დედა-

---

[1] თჳსი – B. [2] ეშურების] ებრძვის BE. [3] ზედმდე] ვიდრე ზემდე BE. [4] აღსავსე] აღვსებულ BE. [5] დაჲთმინა] დაჲთმინა A. [6] ~ მოიწია დიდძალი C. [7] და აღუჰამრავი – B. [8] ყოველნივე] ყოველნი C. [9] დაიზილოს] დაჲზილოსA. [10] ესრეთვე] ეგრეთვე B. [11] არა თუ] უკუეთუ არა B. [12] სულისასა] საღმრთოსა B. [13] ზედა] შინა B. [14] დაჲმკჳდროს] დაჲმკჳდროს A. [15] მას – BE. [16] ვითარცა – C. [17] გოდლად] გოდოლად CE. [18] იგი – E.

კაცი მყავს. მიუგო ძმამან მან[1]: დაჲ თუ არს შენი გინა ცოლი, მე არა ვიცი, ესე[2] ვიცი, რომელ გმსახურო თქუენ[3] ვიდრე სიკუდილადმდე ჩემდა. ხოლო ვითარცა განსრულდა წელიწადი მსახურებისა მისისაჲ, ჰრქუა ბერმან დედაკაცსა მას: არა კმა-გუეყოფისა ტჳრთი სიმძიმისაჲ, რომელი ძეს ჩუენ ზედა, არამედ სულიცა ძმისაჲ ამის ზღვევად არს ჩუენდა. გუალე, წარვიდეთ აქაჲთ და დაუტეოთ ძმაჲ ესე სენაკსა ჩუენსა. აღიღეს უკუე, რომელი რაჲ ძალედვა და[4] გამოვიდეს მიერ და ჰრქუეს ძმასა მას: ლოცვად წარვალთ ჩუენ, კეთილად გვედიეს[5] შენ[6] სენაკი ჩუენი. და ვითარცა წარვლეს მათ მცირედ რაჲმე სიშორჱ[7] გზისაჲ, ცნა ძმამან განზრახვაჲ მათი და მეყსეულად ეწია მათ. ხოლო მათ იხილეს რაჲ იგი[8], აღშფოთნეს და ჰრქუეს: ვიდრემდის, ძმაო, დაგუშჯი[9] ჩუენ? აჰა ეგერა გაქუს სენაკი, დაჯედ და იყავ და ეკრძალე თავსა შენსა. მიუგო ძმამან: მე არა მოსრულ ვარ სენაკისათჳს, არამედ თქუენთჳს მოსრულ ვარ, რაჲთა გმსახურო და სადაცა წარხუალთ, მეცა თქუენ თანავე[10] მოვალ. განკჳრდეს იგინი ერთგულებასა მას[11] ზედა[12] ძმისასა და მორჩილებასა და შეეშინა ღმრთისაგან და შეჰრცხუენდა კეთილისა მისგან მოწაფისა. ამისთჳსცა განიზრახეს განზრახვაჲ კეთილი და საცხორებელი, დაუტევეს ცოდვაჲ იგი და მოიქცეს სინანულად, რამეთუ დედაკაცი იგი შევიდა მონასტერსა დედათასა და მუნ დაემკჳდრა. ხოლო ბერი უკმოიქცა[13] გოდლადვე, სენაკად თჳსად და მოთმინებითა მით ძმისაჲთა ცხოვნდეს[14] ერთობით სამნივე იგი[15], სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა[16], რომელსა შუენის ყოველივე დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ! /207v/

[1] მან – BCE. 2 ესე ვიცი – E. 3 თქუენ – B. 4 და – B. 5 გვედრიეს B. 6 შენ – E. 7 სიშორჱ] სიშორე BCE. 8 იგი- C. 9 დაგუშჯი] დაგუსჯი E. 10 თანავე] თანა B. 11 მას – B. 12 ზედა – C. 13 უკმოიქცა] უკუმოიქცა C. 14 ცხოვნდეს] ცხონდესE. 15 იგი – B. 16 ~ სულისა წმიდისა B.

თავი თ

სწავლანი და თხრობანი წმიდათა და ნეტართა მამათანი, ვითარმედ არარასა[1] ჯერ არს ქმნაჲ საჩუენებელად კაცთა

გუაკურთხენ, მამაო!

I. 1. ესმა **მამასა ანტონის** ჭაბუკისა ვისთჳსმე მონაზონისა, რომელმან ყო[2] სასწაული გზასა ზედა, რამეთუ იხილნა ვინმე ბერნი დამაშურალნი, რომელნი მისა მივიდოდეს და უბრძანა კანჯართა მისლვაჲ და ტჳრთვაჲ მათი და ვიდრე მისდამდე[3] მიყვანებაჲ. მიუთხრეს ესე ბერთა მათ მამასა ანტონის, ხოლო მან ჰრქუა მათ: ჰგავს მონაზონი ესე ნავსა აღსავსესა[4] ყოვლითა კეთილითა, გარნა არა უწყი, უკუეთუ[5] ვითარ მიიწიოს ნავთსადგურად[6]. და შემდგომად რაოდენისამე[7] ჟამისა იწყო მამამან ანტონი მეყსა შინა ტირილად და მოფხურად თმათა მისთა და ტყებად. ჰრქუეს მას[8] მოწაფეთა მისთა: რაჲსათჳს სტირ, მამაო? ჰრქუა მათ ბერმან: დიდი სუეტი ეკლესიისაჲ დაეცა აწღა. ხოლო იტყოდა ჭაბუკისა მისთჳს მონაზონისა, გარნა წარვედით ვიდრე მისდამდე და იხილეთ რაჲ, იგი იქმნა. წარვიდეს უკუე მოწაფენი იგი[9] ბერისანი და იხილეს იგი, რამეთუ მდებარე იყო ფსიათსა ზედა და სტიროდა ცოდვასა მას, რომელიცა ქმნა. იხილნა რაჲ მოწაფენი იგი[10] ბერისანი, ჰრქუა მათ: მივედით და უთხართ ბერსა, რაჲთა ევედროს ჩემთჳს ღმერთსა და მომმადლნეს მე[11] ათნი ოდენ დღენი და ვესავ, რაჲთა მივსცე პასუხი[12]. და ხუთთა დღეთა შინა აღესრულა.

2. ქებულ იქმნა ძმათაგან მონაზონი ვინმე **მამისა ანტონის** წინაშე, ხოლო მან გამოცადა იგი, უკუეთუ მოითმენს შეურაცხებასა და პოვა იგი, რამეთუ ვერ თავს-იდებდა. ჰრქუა მას: მსგავს ხარ შენ დაბასა განშუენე-

---

[1] არარას] არაჲ B; არა E. [2] ყო] ქმნა BE. [3] მისდადმდე] მისდადმი CE. [4] აღსავსესა] აღტჳრთულსა C. [5] უკუეთუ – E. [6] ნავთსადგურად] ნავთსადგურსა C. [7] რაოდენისამე] რაოდენისა B. [8] მას – E. [9] იგი ბერისანი] მისნი E. 10 იგი – B. 11 მე – B. 12 ~ პასუხი მივსცე C.

ბულსა /208/ წინაკერძოჲ[1], ხოლო უკუანაჲთ ავაზაკთაგან განკრეხილსა[2].

II. იტყოდეს **მამისა არსენისთჳს და მამისა თევდორე ფერმელისთჳს,** ვითარმედ უფროჲს ყოვლისა სძულდა კაცთამიერი ქებაჲ და რამეთუ მამაჲ არსენი არავის შეემთხუეოდა ადრე-ადრე, ხოლო მამაჲ თევდორე შეემთხუეოდა, გარნა ვითარცა მახჳლი წუდილი.

III. 1. იყო ვინმე ბერი სკიტეს, სახელით **დანიელ** და ესუა მას მოწაფჱ. ხოლო მოწაფესა მას თანა მისსა[3] დაემკჳდრა ძმაჲ სახელით სერგი და მცირედთა შინა ჟამთა მიიცვალა უფლისა. ხოლო შემდგომად მიცვალებისა ძმისა მის სერგისა, მისცა ბერმან კადნიერებაჲ მოწაფესა მისსა ყოფად მის თანა, რამეთუ უყუარდა იგი. დღესა უკუე ერთსა წარიყვანა ბერმან მოწაფე თჳსი და აღვიდა ალექსანდრიად, რამეთუ წეს არს წინამძღუართა სკიტისათა, რაჲთა აღვიდოდიან პაპსა[4] თანა დღესასწაულსა მას დიდსა აღვსებისასა. და მიიწინეს ქალაქად ჟამსა მეათერთმეტესა[5]. და ვითარცა ვიდოდეს იგინი გზასა მას, იხილეს[6] ძმაჲ ვინმე შიშუელი[7], რომელსა ბანდი რაჲმე მოესხა სარცხჳნელთა[8] მისთა. ხოლო ძმაჲ იგი იჩემებდა სისულელესა. და იყვნეს სხუანიცა სულელნი მის თანა და წინაუძღოდა მათ ძმაჲ იგი, ვითარცა ხელი და განცოფებული და იტაცებდა სავაჭროთაგან და მისცემდა სხუათა მათ ხელთა. ხოლო ეწოდა მას სახელიცა მარკოზ იპპელი, ხოლო არს იპპოჲ იგი სამეუფოჲ და მუნ არნ მარკოზ სალოსი და მუნ დაიძინებნ[9] და წარაგებნ დღესა შინა ასსა დრამასა. ხოლო ოდეს ჰნებავნ მას დაწოლის, დაწვებინ იგი სკამთა[10] ზედა, ხოლო ასისა მისგან დრამისა იყიდინ იგი[11] თჳსა საზრდელად ათორმეტისა დრამისასა და სხუასა მას /208v/ მისცემნ სხუათა მათ სალოსთა. ხოლო ყოველი იგი ქალაქი ალექსანდრიაჲ იცნობდა მარკოზს სალოსსა სიხელისათჳს მისისა. ჰრქუა ბერმან მოწაფესა თჳსსა: წარვედ და იხილე, თუ სადა დადგების მარკოს სულელი. ხოლო იგი წარვიდა და იკითხა და ჰრქუეს[12] მას: ცხენთსარბიელსა მას დადგების, რამეთუ სულელ არს. და შემდგომად გამოსლვისა ბერისა პაპაჲსგან, სხუასა მას დღესა, განგებითა ღმრთისაჲთა პოვა ბერმან მარკოს სალოსი ოთხბჭესა მას დიდსა და მიისწრაფა ბერმან და შეიპყრა იგი და იწყო ჴმობად და იტყოდა: კაცნო ალექსანდრიელნო, შემეწიენით მე. ხოლო სულელი იგი ემღერდა ბერსა. შეკრბა უკუე სრული ქალაქი მუნ. ხოლო მოწაფე ბერისაჲ დგა შორსრე და ხედვიდა კრძალვით. და ყოველნი[13] იგი ეტყოდეს ბერსა: ნუთუ გაგინოს, მამაო, რამეთუ სულელი არს ეგე. ჰრქუა მათ ბერმან: სულელნი და ხელნი თქუენ ხართ, თუ არა, მე

---

[1] წინაკერძოჲ] წინაკერძო BE. [2] განკრეხილსა] განკრეხულსა E. [3] ~ მას მისსა თანა BC. [4] პაპსა] პაპასა B. [5] მეთერთმეტესა C. [6] იხილეს] იხილა ბერმან B. [7] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 107r-ზე (აკინძვის შეცდომა). [8] სარცხუენელთა + ზედა E. [9] დაიძინებნ] დაჲძინებნ A. [10] სკამთა] სკამსა B. [11] იგი – E. [12] ჰრქუეს] ჰრქუა BC. [13] ყოველნი] ყოველნივე BCE.

ვერ ვპოე[1] ამას შინა ქალაქსა[2] სხუაჲ კაცი, თჳნიერ ესე. ამას ზედა მოვიდეს მღდელნიცა და მნენი ეკლესიისანი, რომელნი იცნობდეს ბერსა და ეტყოდეს მას: გიყო რაჲ-მეა შენ, მამაო, ხელმან მაგან? ჰრქუა მათ ბერმან: წარმგუარეთ მე ეგე ვიდრე პაპაჲსადმდე, რამეთუ დღეს ქალაქსა ამას შინა არა არს ესევითარი ჭურჭელი. ხოლო პაპმან[3] ცნა ესე, ვითარმედ ღმრთისამიერ გულსავსექმნილ არს ბერი მისთჳს. და დააგდო თავი თჳსი ფერჴთა თანა სულელისათა, ჰლოცვიდა მას და აფუცებდა, რაჲთა გამოუცხადოს მათ, თუ ვინა არს. მოეგო უკუე იგი გონებასა თჳსსა და ჰრქუა მათ: მე მონაზონი ვიყავ და ვიმძლავრებოდე ეშმაკისაგან სიძვისა ათხუთმეტსა წელიწადსა[4]. მერმე მოვეგე გონებასა და ვთქუ: უბადრუკო მარკე, ათხუთმეტი /209/ წელი გიმონებიეს მტერისადა, მოვედ აწ[5] და ჰმსახურე მსგავსადვე მეუფესა შენსა ქრისტესა. და წარვედ მონასტერსა პემპტოჲსასა და რვაჲ წელიწადი დავყავ მას შინა. და შემდგომად რვისა წლისა, ვარქუ თავსა ჩემსა: მარკე გლახაკო, მოვედ და შევიდეთ ქალაქად და ყავ თავი შენი სულელად სხუასა მას რვასა წელიწადსა, და აჰა ესერა, დღეს გასრულდეს რვანი იგი წელნი სისულელისა ჩემისანი. და იტირეს ერთბამად ამას ზედა[6] ყოველთა და დაიძინა[7] მარკოს საპატრიარქოს, მახლობელად ბერისა. და ვითარცა განთენა, ჰრქუა ბერმან მოწაფესა თჳსსა: წარვედ და მოხადე ბერსა მარკოზს, რაჲთა ყოს ლოცვაჲ ჩუენთჳს და წარვიდეთ სენაკად ჩუენდა. და ვითარცა წარვიდა მოწაფჱ[8] იგი, პოვა მარკოზ, რამეთუ დაეძინა უფლისა მიერ. მოვიდა და აუწყა ბერსა, ვითარმედ: მარკოზ აღესრულა. ხოლო ბერმან მიუთხრა პაპას და პაპამან[9] აუწყა დუკსა და უბრძანა[10] დუკმან, რაჲთა დაჰჴშნენ ყოველნი სავაჭრონი და წარმგზავნა[11] ბერმან მოწაფე თჳსი სკიტეს და მიუმცნო ესრეთ: დაჰრეკეთ, მამანო[12], ძელსა დაჰრეკეთ[13], და შეკრიბენით ყოველნი მამანი და მიუთხართ მათ, რაჲთა მოვიდენ და იკურთხნენ ბერისაგან. და აღვიდა ყოველი სკიტე მოსილნი სპეტაკითა[14], რტოებითა ბაიაჲსაჲთა[15], ესრეთვე და ენატელნიცა და სენაკებისანი და მთისა მის ნიტრიაჲსანი[16] და ყოველნივე ლავრანი ალექსანდრიაჲსანი, ვიდრეცა არა უტევნეს დაფლვად ნაწილნი მისნი ვიდრე ხუთ დღედმდე. ხოლო შეკრბა ყოველი ქალაქი ალექსანდრიაჲ მუნ რტოებითა და კერეონებითა და ქუეყანასა დაალტობდეს ცრემლითა და ესრეთღა გამოიხუნეს დაფლვად /209v/ ნაწილნი ნეტარისა მარკოზ სალოსისანი და აქებდეს და ადიდებდეს კაცთმოყუარესა ღმერთსა, რომელი მისცემს[17] მადლთა ყოველთავე მისა მილტოლვილთა და ადიდებს[18] მოყუარეთა სახელისა მისისათა, მისა დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

---

[1] ვპოე] ვპოვე B. [2] ~ ქალაქსა ამას შინა E. [3] პაპმან] პაპას AE. [4] წელიწადსა] წელსა C. [5] აწ – B. [6] ~ ამას ზედა ერთბმად CE. [7] დაიძინა] დაჲძინა A. [8] მოწაფე BC. [9] პაპამან] პაპასA. [10] უბრძანა] ბრძანა B. [11] წარმგზავნა] წარგზავნა BCE. [12] მამანო] ძმანო B. [13] დაჰრეკეთ – B. [14] სპეტაკითა] სპეტაკებითა C. [15] ბაიაჲსაჲთა] ბაჲაჲსაჲთა A. [16] ნიტრიაჲსანი] ნიტრიისანი B. [17] მისცემს] მოსცემს B. [18] ადიდებს] ადიდებდეს C.

2. აღვიდა ოდესმე დიდი **დანიელ სკიტელი** მოწაფითურთ[1] თჳსით ზემოსა მას თებაიდასა[2] საჯსენებელსა მამისა აპოლოჲსსა. და გამოკრბეს ყოველნი იგი მამანი მიგებებად მისა, ვითარ შჳდ უტევან. ხოლო იყვნეს იგინი რიცხჳთ ვითარ ხუთ ათას ოდენ. და იხილვებოდეს იგინი ყოველნივე პირთა ზედა დაცჳვნებულ, ვითარცა ანგელოზნი და შიშით და ძრწოლით შეიწყნარეს ბერი, ვითარცა ქრისტე, რამეთუ რომელნიმე დაუფენდეს სამოსლებსა მათსა გზასა ზედა, სხუანი მიჰყრიდეს კუკულებსა[3] მათსა სარწმუნოებით, რაჲთა შეეხოს სამე ბერსა. და იხილვებოდა მუნ წყაროები ცრემლთაჲ ვითარცა მდინარე ღუარისაჲ. და გამოვიდა არქიმანდრიტი მათი და თაყუანისსცა ბერსა შჳდგზის, ვიდრე მიახლებადმდე მისა ბერისა. და ვითარცა მოიკითხეს ურთიერთარს, დასხდეს. მაშინ ევედრა არქიმანდრიტი[4] ბერსა, რაჲთა ესმეს მისგან სიტყუაჲ ცხორებისაჲ. და რამეთუ არა ადრე-ადრე ზრახავნ ვის[5] ბერი, ხოლო სხდეს იგი[6] ყოველნივე გარეშე მონასტრისა ქუე მიწასა ზედა ამისთჳს, რამეთუ ვერ იტევდა მათ ეკლესიაჲ. მაშინ ჰრქუა მამამან დანიელ მოწაფესა თჳსსა: დაწერე და არქუ მამათა ამათ, უკუეთუ გნებავს ცხოვნებაჲ მოიგეთ უპოვარებაჲ და დუმილი, რამეთუ ორთა ამათ სათნოებათა ჰკიდავს ყოველი ცხორებაჲ მონაზონისაჲ[7]. ხოლო ვითარცა დაწერა ესე მოწაფემან, მისცა ძმასა ვისმე დაწერილი იგი, რაჲთა გარდათარგმნოს /210/ ენასა ზედა ეგჳპტურსა[8]. და ვითარცა იქმნა ესე და აღმოიკითხეს დაწერილი იგი მამათა, იტირეს ყოველთა და[9] წარმგზავნეს[10] ბერი მრავლითა მლევანებითა და არცა ერთმან ვინ იკადრა რქუმად მისა, თუ: ყავ სიყუარული, მამაო. შემდგომად ამისა შევიდა ბერი ერმო ქალაქად და ჰრქუა მოწაფესა თჳსსა: წარვედ მონასტერსა იმას სადედოსა და არქუ დედათდიაკონსა, ვითარმედ აქა ვარ. რამეთუ იყო მუნ მონასტერი სადედოჲ, რომელსა ეწოდა წმიდისა იერემიაჲსი, რომელსა შინა იყვნეს დანი ვითარ სამასნი. წარვიდა უკუე მოწაფე იგი ბერისაჲ და ჰრეკა კარსა მონასტრისასა, ჰრქუა მას მეკრემან[11] ნელითა ჴმითა: ცხოვნდი, კეთილად მოხუედ, რასა ჰბრძანებ? ჰრქუა მას მოწაფემან: მოხადე[12] დედასა არქიმანდრიტსა, რამეთუ მნებავს სიტყუად მისა. მიუგო მეკრემან[13]: არავის ზრახავს იგი ოდესცა, არამედ მე მითხარ, თუ რასა ჰბრძანებ და ვაუწყო მას. ჰრქუა მას ძმამან: არქუ მას, ვითარმედ მონაზონსა ვისმე ჰნებავს სიტყუად შენდა. წარვიდა იგი და აუწყა მას და მოვიდა შედეგი არქიმანდრიტისაჲ და ჰრქუა მას ნელითა ჴმითა: დედასა მოუვლენიე შენდა, ვითარმედ რაჲ გიჴმს, ანუ რასა ჰბრძანებ[14]. ჰრქუა

[1] მოწაფითურთ] მოწფითურთ B C. [2] თებაიდასა] თებაჲდასა A. [3] კუკულებსა] კუნკულებსა E. [4] არქიმანდრიტი] ანქიმანდრიტი C. [5] ~ ვის ზახავნ E. 6 იგი] იგნი C. [7] მონაზონისაჲ] მონაზონთაჲ C. [8] ეგჳპტურსა] მეგჳპტურსა B. [9] და – B. [10] წარმგზავნეს] წარგზავნეს BCE. [11] მეკრემან] მეკარემან BCE. [12] მოხადე – B. [13] მეკრემან] მეკარემან BCE. [14] აქ E ნუსხა წყდება.

მას ძმამან მან[1]: ყავთ სიყუარული და დავიძინოთ აქა მე და ერთმან ბერმან სხუამან, რამეთუ მწუხრ[2] არს, ნუუკუე შემჭამონ ჩუენ მჴეცთა. ჰრქუა მას დედათდიაკონმან: არა ოდეს მამაკაცი შემოვალს აქა და რამეთუ უმჯობეს არს თქუენდა, რაჲთა გარე შეგჭამნენ მჴეცთა და არა შინა. მაშინ ჰრქუა მას ძმამან: მამაჲ დანიელ არს სკიტელი. ხოლო მას ესმა რაჲ ესე, განახუნეს ორნივე კარნი მონასტრისანი და სრბით გამოეგებნეს წინა, ყოველსა მას თანა სიმრავლესა /210v/ დათასა და ფაკეოლებსა[3] მათსა დაუფენდეს გზასა ზედა და ბჭეთა, ბერისაჲთგან ვიდრე ეკლესიადმდე და გორვიდეს იგი[4] ფერჴთა თანა ბერისათა და ჰლოკდეს[5] მტუერსა მას ჴამლთა მისთასა. და ვითარცა შევიდეს იგინი მონასტრად, მოიღო თავადმან მან[6] დედამან ფილი და ლაკნაჲ აღსავსე წყლისა მიერ ტფილისა[7] და თივათა[8] სურნელთა და დაადგინნა დანი ორ მწყობრად და დაჰბანნეს ფერჴნი ბერსა და მოწაფესაცა მისსა. მერმე მოიღო თასი და აღმოიღებ[9] ლაკნისაგან[10] წყალსა მას ნაბანსა თასითა მით და დაასხამს თავსა თჳთოეულსა მას[11] დათაგანსა. ხოლო უკუანაჲსკნელ შთაისხა[12] თჳთცა უბეთა და თავსაცა ზედა დაისხა[13] თჳსსა. იყო უკუე ხილვაჲ მათი ვითარცა ქვათა უძრავთაჲ, უსიტყუელ და მდუმარე, თჳნიერ ოდენ[14] მცირისა რაჲსმე[15] რეკებისა მიერ საცნაურ უყვის ერთმან მეორესა, უკუეთუ რაჲმე ჰნებავს სიტყუად, გინათუ საქმედ. ჰრქუა[16] ბერმან დედათდიაკონსა მას: ჩუენ გუერიდებიან დანი ესე და გუეკრძალვიან, ანუ ყოლადვე ესრეთ არიან? მიუგო დედამან: ყოლადვე ესრეთ არიან, მეუფეო, მჴევალნი შენნი, არამედ ლოცვა ყავ მაგათ ყოველთათჳს. ჰრქუა მას ბერმან: ღმერთმან ყოველნივე აცხოვნნეს[17] მოწყალებათა მიერ[18] თჳსთა. ხოლო ერთი ვინმე მათგანი მდებარე იყო შორის და ეძინა ძონძითა რაჲთმე[19] დაბებკულითა მოსილსა და თქუა ბერმან მისთჳს: ვინ არს ისი, რომელი ესრეთ უღუაწად მდებარე არს და სძინავს. მიუგო ერთმან დათაგანმან: სულელი არს ეგე და[20] დასულებული, მამაო, და არა უწყით, თუ რაჲ უყოთ მაგას და განდევნად მონასტრისაგან გუებრალების ეგე და უკუეთუ უტეოთ მაგას, /211/ აუგე/ან-ჰყოფს[21] ეგე დათა. ჰრქუა ბერმან მოწაფესა თჳსსა: აღიღე ლაკნაჲ ესე, დაასხ მას ზედა. და ვითარცა ყო ესე ძმამან, აღდგა იგი ვითარცა სიმთრვალისაგან. ჰრქუა დედამან ბერსა: ესრეთ არს ყოლადვე, მეუფეო. მერმე წარიყვანა დედამან მონასტრისამან ბერი[22] და შეიყვანა იგი სატრაპეზოდ და უქმნა სერი დათა და ჰრქუა ბერსა: აკურთხენ მჴევალნი ესე შენნი, მეუფეო,

[1] მან – BC. [2] მწუხრ] მწუხრი B. [3] ფაკეოლებსა] ფაკეულებსა BC. [4] იგი – BC. [5] ჰლოკდეს] მოჰლოკდეს B. [6] მან – B. [7] ტფილისა] ტფილითა B. [8] თივათა] თივათათაგან B. [9] აღმოიღებ] ამოიღებ B. [10] ლაკნისაგან] ლანკნისაგან C. [11] მას] მათ C. [12] შთაისხა] შთაჲსხა A. [13] დაისხა] დაჲსხა A. [14] ოდენ] უკუე C. [15] რაჲსმე] რაჲსამე B. [16] ჰრქუა....მიერ თჳსთა C ნუსხაში ჩამატებულია განსხვავებული ხელით. [17] აცხოვნნეს] აცხოვნენ B. [18] მოწყალებათა მიერ] მოწყალებათაებრ B. [19] რაჲთმე – B. [20] და – C. [21] აუგიან-ჰყოფს C. [22] ბერი....სატრაპეზოდ – C.

რაჲთა წინაშე სიწმიდისა შენისა ისერონ. ხოლო ბერმან აკურთხა[1] იგინი და დედათდიაკონი იგი ოდენ და შემდგომი მისი დასხდეს ბერისა თანა მარტოდ და სხუაჲ არავინ. და დაუგო ბერსა ცერცჳ დამბალი და მხალი უმგბარი და დანაკისკუდი, რომელ არს ფინიკი, და თასითა წყალი. ხოლო მოწაფესა ბერისასა დაუგო ოსპნი შემგბარი და მცირე პური და ღჳნოჲ ზავებული ცხელითა წყლითა[2] სუბუქად, ხოლო დათა მათ დაუგო ფერად-ფერადი ჭამადი და თევზი და ღჳნოჲ და განისუენეს კეთილად. და ჭამეს ყოველთა და არარაჲ თქუეს. შემდგომად ტაბლით აღდგომისა ჰრქუა ბერმან დედათდიაკონსა: რაჲ არს ესე, რომელ ჰყავ, რამეთუ ჩუენდა ჯერ-იყო ჭამად კეთილი და თქუენ შჭამეთ კეთილი. მიუგო დედამან: შენ მონაზონი ხარ და ჭამადი მონაზონისაჲ[3] დაგიგეთ და მოწაფჱ[4] შენი მოწაფე არს მონაზონისაჲ და შემსგავსებული მოწაფისაჲ ჭამადი დაუგეთ[5], ხოლო ჩუენ ახლად მოსრულნი ვართ და უძლურნი და ვითარცა შეჰგვანდა[6] სიხარულსა ამას ზედა თქუენისა[7] მოსლვისასა განვისუენეთ და ნუგეშინისცემაჲ კეთილი მივიღეთ. ჰრქუა მას ბერმან: იჯსენედ, სიყუარული ნანდჳლვე სარგებელ-გუეყო. და ვითარცა წარვიდოდეს იგინი ძილად და განსუენებად, ჰრქუა მამამან დანიელ მოწაფესა თჳსსა: /211v/ წარვედ და იხილე თუ სადა სძინავს დასულებულსა მას, რომელ-იგი[8] იდვა შორის ავლინსა, გინა[9] ეზოსა. წარვიდა ძმაჲ, იგი და იხილა. მოვიდა და ჰრქუა ბერსა: სადა-იგი არს შესავალი საუძლურეთაჲ, მუნ მდებარე არს იგი. ჰრქუა ბერმან მოწაფესა თჳსსა: მღჳძარე იქმენ ჩემ თანა ღამესა ამას. და ოდეს დაწვეს ძილად ყოველნივე[10] იგი, წარიყვანა ბერმან მოწაფჱ[11] თჳსი და წარვიდეს იგინი და დადგეს უკუანა კერძო კანკელსა[12]. და ხედვიდეს დასა მას დასულებულსა, რამეთუ აღდგა და აღიპყრნა ჴელნი თჳსნი ზეცად და ვითარცა სახედ მდინარე წყლისაჲ გარდამოდიოდეს ცრემლნი თუალთაგან მისთა და ბაგენი ოდენ იძრვოდეს[13] ლოცვისათჳს, ხოლო ჴმაჲ ყოლად არა გამოვიდოდა პირით მისით, თჳნიერ ოდენ წუთ-წუთ დავარდებინ პირსა ზედა და შეუვრდებინ ღმერთსა თაყუანისცემით ქუეყანასა ზედა. და ოდეს აგრძნის, თუ წარჰვლინ[14] ვინ მიერ საჭიროებისათჳს ჴორცთაჲსა, დავარდებინ იგი ქუე[15] და ხურინავნ. ესრეთ იყოფებოდა იგი ყოველთავე დღეთა ცხორებისა თჳსისათა[16]. ჰრქუა ბერმან მოწაფესა თჳსსა: წარვედ ნელიად და მოხადე აქა დედათდიაკონსა. და წარვიდა და უწოდა მას. და შემდგომსა მისსა და ყოველსა მას სრულსა ღამესა ხედვიდეს, რასაიგი იქმოდა. ხოლო დედათდიაკონმან იწყო ტირილად და იტყოდა: ვაჲ მე,

[1] აკურთხა] აკურთხნა BC. [2] წყლითა – C. [3] მონაზონისაჲ] სამონაზუნოჲ C. [4] მოწაფჱ] მოწაფე BC. [5] ~ დაუგეთ ჭამადი B. [6] შეჰგვანდა + და C. [7] აქედან E ნუსხაში ტექსტი კვალავ გრძელდება 111r-ზე (აკინძვის შეცდომა). [8] რომელ-იგი] რომელი-იგი E. [9] ავლინსა, გინა – B. [10] ყოველნივე] ყოველნი B. [11] მოწაფჱ] მოწაფე BC. [12] კანკელსა] კანკელთა B. [13] იძრვოდეს] იძრვოდის B. [14] წარჰვლინ] წარჰვლის E. [15] ქუე – B. [16] თჳსისათა] მისისათა B.

რაოდენიღა ბოროტი მიქმნიეს მე მაგისდა. და ვითარცა დაჰრეკეს ძელსა, განისმა მისთჳს შორის ყოვლისა მის /212/ კრებულისა დათაჲსა და დაეცა შიში მას ზედა[1]. აგრძნა უკუე მან საქმე ესე პირველ განთენებისა და წარვიდა ნელიად, სადა იყო სარეცელი ბერისაჲ და მოიპარა კუერთხი ბერისაჲ და სამჭრე[2] და განაღო სულღებით კარი მონასტრისაჲ და დაწერა ქარტაჲ და შთაუპყრა იგი საკლიტესა, რომელსა ეწერა ესრეთ: ლოცვა ყავთ ჩემთჳს და შემინდვეთ მე, რაოდენიცა[3] ვცოდე თქუენდა მომართ. და[4] განვლო მან და უჩინო იქმნა. და ვითარცა განთენა, ძიება ყვეს მისთჳს ფრიად და ვერღარასადა[5] უძლეს პოვნად მისა. მერმე მოიღეს ქარტაჲ იგი დაწერილი, რომელი პოვეს[6] კართა თანა განხუმულთა[7] მონასტრისათა და აღმოიკითხეს იგი და იქმნა ტირილი დიდი და გლოვაჲ საკჳრველი მისთჳს მონასტერსა მას შინა. მერმე ჰრქუა მათ ბერმან: მე ამისთჳს მოვედ აქა და რამეთუ ესევითართა სულელთა ეძიებს ღმერთი და ესევითარნი იგი უყუარან. ამას ზედა იწყეს ყოველთავე აღსარებად ბერისა თუ, რაოდენი ძჳრი შეამთხჳა[8] მას[9] თითოეულმან[10]. და ყო ბერმან ლოცვაჲ ყოველთა მათ ზედა დათა და გამოვიდა მიერ და წარვიდა სენაკად თჳსად. და ზოგად ყოველნი ადიდებდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომელმან უწყნის მხოლომან დაფარულნი ყოველთანი და თუ რაოდენნი მონანი უსხენ მას დაფარულნი.

IV. ევლოგიოს ვინმე იყო, რომელი მოწაფექმნილ იყო ნეტარისა დიდისა ათანასე ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისადა. ხოლო იყო ესე მღდელი და მოღუაწე დიდი და განთქუმული, რამეთუ ორ-ორით იმარხავნ იგი და მრავალგზის /212v/ სრუ/ლსაცა გარდაჰვლინ შჳდეულსა და პურსა ოდენ და მარილსა ჭამდა იგი და იდიდებოდა კაცთაგან ფრიად. აღდგა ესე ოდესმე და წარვიდა პანეფოდ მამისა იოსებისა[11]. ჰგონებდა, თუ მეტი რაჲმე სიფიცხლჱ[12] იხილოს ცხორებისაჲ, ვინაჲცა შეიწყნარა იგი ბერმან სიხარულით და რაჲცა ოდენ აქუნდა მას, ყო ნუგეშინისცემაჲ კეთილი. ჰრქუეს ბერსა მოწაფეთა ევლოგისთა: არარას ჭამს ეგევითარსა მღდელი, თჳნიერ პურსა ოდენ და წყალსა. ხოლო მამაჲ იოსებ დუმნა და ჭამდა. დაყვეს უკუე მათ მუნ[13] სამი დღე. და არა ესმა მათგან გალობაჲ გინა ლოცვაჲ, რამეთუ ფარულად იყო ყოველივე საქმე მათი. და გამოვიდეს იგინი მიერ და არარაჲ სარგებელ ეყო. ხოლო განგებითა ღმრთისაჲთა შეემთხჳა მათ გზასა ნისლი[14] და ღრუბელი ბნელი და შესცთეს იგინი გზასა და უკუმოიქცეს ბერისავე. და ვიდრე დარეკადმდე[15] კარსა, ესმოდა შინაკერძო გალობაჲ მათი და ელოდეს მრავალჟამ, რაჲთამცა დაასრულეს და არავე იქმნა დაცადებაჲ. მერმე მოეწყინა

[1] ზედა + ხოლო B. [2] სამჭრეცა B + ბერისაჲ E. [3] რაოდენიცა + რაჲ C. [4] და – B. [5] ვერღარასადა] ვეღარასადა B. [6] პოვეს] პოეს B. [7] ~ მონასტრისათა განხუმულთა E. [8] შეამთხჳა] შეამთხჳეს E. [9] მას – B. [10] თითოეულმან] თჳთოეულმან B. [11] იოსებისა] იოსებისასა C. [12] სიფიცხლჱ] სიფიცხლე BCE. [13] ~ უკუე მათ მუნ B. [14] ~ ნისლი და ღრუბელი გზასა ბნელი E. [15] დარეკადმდე] რეკადმდე B.

მოლოდებაჲ[1] და დაჰრეკეს[2] კარსა. ხოლო იგინი დადუმდეს[3] გალობისაგან და შეიწყნარნეს იგინი სიხარულით. და მრავლისა მისგან სიცხისა ფრიად შეიწრებულ იყვნეს იგინი. ხოლო ერთმან, ევლოგის მოწაფეთაგანმან, ასხა წყალი და მიართუა მას სასუმლად. და იყო იგი[4] აღზავებულ ზღჳსაგანცა და მდინარისა და ვერ უძლო მან სუმად. მერმე მოეგო გონებასა და შეუვრდა[5] ბერსა, რაჲთა აუწყოს მოქალაქობაჲ მათი და ეტყოდა: რაჲ არს ესე, მამაო, რომელ არა ჰგალობდით და აწ, ოდეს განვედით ჩუენ, იწყეთ ლოცვად და გალობად? და კუალად /213/ წყალი ესე პირველ[6] იყო ტკბილ და აწ მარილეან[7]? ჰრქუა მას ბერმან: ძმაჲ ეგე სულელ[8] არს და ნეფსით ურევია[9] თანა ზღჳსაჲ. ხოლო ევლოგიოს ჰლოცვიდა ბერსა და ევედრებოდა გულსმოდგინედ, რაჲთა აუწყოს ჭეშმარიტი, თუ რაჲ არს. ჰრქუა მას ბერმან: მცირჱ[10] იგი სასუმელი ღჳნისაჲ სიყუარულისაჲ იყო, ესრეთვე და წყალიცა იგი ტკბილი[11]. ხოლო წყალი ესე არს, რომელსა სუმენ ძმანი ყოლადვე[12]. და ასწავა მას გონიერი განკითხვაჲ გულისსიტყუათაჲ და მოჰკუეთა მისგან ყოველივე კაცობრივი. და იქმნა იგი მიერითგან განმგე რჩეულ და თანასწორ სხუათა. და მიერითგან ჭამდა იგი ყოველსავე წინადაგებულსა და ისწავა მანცა ფარულად მოღუაწებაჲ და ეტყოდა ბერსა: ნანდჳლვე, ჭეშმარიტად სარწმუნო არს და კეთილ თქუენი ეგე მოღუაწებაჲ!

V. 1. თქუა **მამამან ესაია**[13]**:** დიდად ვჰგონებ და პატიოსნად, რომელმან სძლოს ზუაობასა და წარემართოს იგი ღმრთისმეცნიერებასა. რამეთუ რომელი შევარდეს ჴელთა უკეთურისა ამის ვნებისა ამპარტავანებისათა, უცხო იქმნების იგი მშჳდობისაგან და განფიცხნების გული მისი წმიდათა მიმართ და ზუაობისაგან სილაღისა დედასა მას ყოველთა ბოროტთასა შთავარდების ამპარტავანებასა. ხოლო შენ, სარწმუნოო მონაო ქრისტესო, გაქუნდინ ფარულად მუშაკობაჲ შენი და ტკივილითა გულისაჲთა იღუწიდ კეთილსა, რაჲთა არა კაცთმოთნებისათჳს[14] წარწყმიდო სასყიდელი შრომათა შენთაჲ და რამეთუ რომელი საჩუენებელად კაცთა იქმოდის რასაცა, მიუღებიეს მას სასყიდელი თჳსი ბრძანებისაებრ უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა.

2. კუალად იტყოდა იგივე: რომელსა უყუარდეს დიდებაჲ კაცთაგან, ვერ ძალ-უც მას ყოფაჲ /213v/ თჳნიერ შურისა. და რომლისა თანა იყოს შური, ვერ ძალ-უც მას პოვნად სიმდაბლისა. ხოლო ესევითარსა მას განუცემიეს სული თჳსი მტერთა თჳსთადა და იგინი შთასთხევენ მას მრავალსა შინა ბოროტსა, ვიდრემდის მოკლან[15] იგი და მოაკუდინონ.

---

[1] მოლოდებაჲ] ლოდინებაჲ E. [2] დაჰრეკეს] ჰრეკეს C. [3] დადუმდეს] დადუმნეს B. [4] იგი – E. [5] შეუვრდა] შეურდა B. [6] პირველ – E. [7] მარილეან] მარილიან B. [8] სულელ] სულელი BCE. [9] ურევია] ურევიეს BE. [10] მცირჱ] მცირე BC. [11] ტკბილი – B. [12] ყოლადვე] ოდესმე B. [13] ესაია] ესაჲა A. [14] კაცთმოთნებისათჳს] კაცთა მოთნებისათჳს E. [15] მოკლან იგი და – B.

3. თქუა კუალად: ივლტოდე ცუდისა დიდებისაგან და ღირს იქმნე შენ მიმთხუევად დიდებასა ღმრთისასა საუკუნესა მას.

VI. 1. მივიდა[1] ოდესმე ძმაჲ **მამისა** თევდორესსა[2] და დაყო სამი დღე და ევედრებოდა მას, რაჲთა ესმას მისგან სიტყუაჲ და არა ჰრქუა მას არარაჲ, არცა რაჲ მიუგო და გამოვიდა იგი შეწუხებული. ჰრქუა ბერსა მოწაფემან მისმან: მამაო, ვითარ არა არქუ მას სიტყუაჲ და წარვიდა იგი[3] შეწუხებული. ჰრქუა მას ბერმან: ჰრიდე ძმაო, არა ვეტყოდე მას, რამეთუ ვაჭარი არს იგი და უცხოთა სიტყუათა ზედა ჰნებავს, რაჲთა იდიდებოდის.

2. კუალად სხუამან ძმამან ჰკითხა მას: გნებავსა, მამაო, რაჲთა მცირედთა რათმე დღეთა არა ვჭამო პური? ჰრქუა მას ბერმან: კეთილად ჰყო და რამეთუ მეცა მიქმნიეს ეგე. ჰრქუა მას ძმამან: გნებავსა, რაჲთა წარვიღო ერევინდი ჩემი წისქჳლს და შევქნა იგი ფქვილად? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ კუალადცა წისქვილს გეგულების წარსვლაჲ, რაჲთა შეჰქნა ფქვილი, ბარე იფქლივე შექმენ ფქვილად, რამეთუ და რად საჴმარ იყოს ეგევითარი ეგე ჭირი.

3. წარვიდა კუალად სხუაჲ ძმაჲ მისავე და იწყო სიტყუად დიდროანსა და გამოძიებად საქმეთა, რომელნი არაოდეს ექმნნეს. ჰრქუა მას ბერმან: ჯერეთ ნავი არა გიპოვნიეს, არცაღა საგზალი ნავსაჲ[4] ჩაგიც შინა და არცა ნავი ზღუად შეცურვებულ არს და აწვე ქალაქსა მას მიხუედა[5] /214/ ძნელად სავალსა? პირველად ყავ საქმე და ოდეს ჰყო, მაშინ მოხჳდე შენ ადგილსა მაგას[6], რომელსა იტყჳ აწ.

4. გჳთხრობდა მოწაფე **მამისა თევდორესი[7],** რომელი იყო ფერმით ამისვე მოძღურისათჳს თჳსისა, ვითარმედ: მივედ ოდესმე პირველ მწუხრისა სენაკად ბერისა და ვპოვე იგი, რამეთუ ემოსა მას[8] ძუელი[9] რაჲმე ძონძი დაბებკული და მკერდი მისი და მჴარნი იყვნეს ყოლად შიშულად და მცირეცა იგი სამჯრე მოჰქცეოდა წინაჲთკერძო. და აჰა ესერა, კომსი ვინმე მოვიდა ხილვად მისა[10] და ვითარცა დაჰრეკა კარსა, განვიდა ბერი განღებად მისა და შეემთხჳა მას ესრეთ. და დასხდეს გარეშე[11] კარსა და ზრახვიდეს. ხოლო მე აღვიღე ზეწარი მცირე და დავჰბურე ზედა მჴართა მისთა, ვინაჲთგან იყვნეს იგინი შიშულ. და ბერმან განხარა ჴელი და განსტყორცა იგი. და ვითარცა წარვიდა კომსი იგი, ვარქუ ბერსა: რაჲ ესე ჰყავ, მამაო, რამეთუ მოვიდა კაცი, რაჲთამცა აღეშენა და წარვიდა იგი შეწუხებული. ხოლო ბერმან მრქუა მე: რასა იტყჳ, ძმაო, ჯერეთ კაცთავე ვჰმსახურებთა, რომელი ჯერ-იყო ყოფად, ვყავთ, ვის ჰნებავს რგებაჲ, ირგებდინ და ვის ჰნებავს დაბრკოლებაჲ, დაჰბრკოლდებოდენ. მე ვითარცა ვიპოო, ესრეთცა შევემთხუევი კაცთა. და

[1] მივიდა] მოვიდა B. [2] აქ E ნუსხა წყდება. [3] იგი – B. [4] ნავსაჲ] ნავსა B. [5] მიხუედა] მიხჳდეა C. [6] მაგას – B. [7] თევდორესი] თოედორესი C. [8] მას – C. [9] ძუელი – B. [10] მისა] მისსა C. [11] გარეშე] წინაშე C.

აჰა ესერა, გეტყჳ შენ, უკუეთუ ვინ[1] მოვიდეს ხილვად ჩემდა, ნურას ეტყჳ მას კაცობრივსა, არამედ უკუეთუ ვჭამდე, არქუ ვითარმედ ჭამს და უკუეთუ მეძინოს, არქუ ვითარმედ სძინავს.

VII. ესმა ოდესმე მთავარსა **მამისა მოსესთჳს** და წარვიდა სკიტედ, რაჲთა იხილოს იგი. და უთხრეს ვიეთმე ბერსა საქმე იგი, ხოლო იგი ივლტოდა მინდორად და შეემთხჳნეს მას /214v/ მთავარი და ერი მისი და ჰრქუეს: გჳთხარ ჩუენ, ბერო, სადა არს სენაკი მამისა მოსესი? და მან ჰრქუა მათ: და რად გიჴმს იგი, რამეთუ კაცი ცოფი არს იგი. და ვითარცა მოვიდა მთავარი ეკლესიად, მიეგებნეს მას მნენი ეკლესიისანი. და მთავარმან ჰრქუა მათ: მესმოდა მამისა მოსესთჳს და მოვედ ხილვად მისა, და აჰა ესერა, შემემთხჳა ჩუენ ბერი ვინმე მიმავალი ეგჳტედ. და ვჰკითხეთ მას ვითარმედ, სადა არს სენაკი მამისა მოსესი და მან მრქუა ჩუენ: და რად გიჴმს იგი, რამეთუ კაცი ცოფი არს იგი. ესმა რაჲ ესე[2] მნეთა ეკლესიისათა, შეუძნდა[3] ფრიად და იტყოდეს[4]: რაბამი იყო ბერი იგი და ვითარი, რომელი ამას იტყოდა წმიდისა მისთჳს? ხოლო მათ ჰრქუეს: ბერი იყო იგი და ძუელითა მოსილი და გრძელი და შავი. ხოლო მათ ჰრქუეს მათ: იგი არს ჭეშმარიტად მამაჲ მოსე და ამისთჳს, რომელ არა ენება[5] შემთხუევაჲ თქუენი, ესე გრქუა თქუენ. და სარგებელ ეყო მთავარსა მას ფრიად და განეშორა იგი და წარვიდა სახედ თჳსად.

VIII. ძმამან ჰკითხა **მამასა მატოჲს**[6] და ჰრქუა: უკუეთუ წარვიდე სადამე ადგილსა ყოფად მუნ, ვითარ გნებავს, რაჲთა ვიყოფებოდი[7] მე მუნ? ჰრქუა ბერმან: უკუეთუ სადამე დაემკჳრო და გენებოს ყოფაჲ მუნ, ნუ განიღებ სახელსა შენსა რასაცა ზედა, თუ არა გამოვალ ეკლესიად, ანუ თუ არა ვჭამ სიყუარულსა, რამეთუ ესე ყოველნი სახელნი არიან ცუდნი და უკუანაჲსკნელ შეგიქმან შენ შფოთსა დიდსა, რამეთუ სადაცა ესმის კაცთა ესევითარი რაჲმე, მუნცა მირბიან და მიისწრაფიან. ჰრქუა მას ძმამან: და რაჲ ვყო, მამაო, ანუ ვითარ ვყო? მიუგო ბერმან: სადაცა დასჯდე, სწორად იყავ ყოველთა და რასაცა ხედვიდე, /215/ უმოკრძალესთა/რე ძმათა, რომელთა მიმართ გულსავსე იყო, შენცა მასვე იქმოდე და განისუენო. და რამეთუ ესე სიმდაბლე არს, რაჲთა იყო შენცა სწორადვე სხუათა და კაცნიცა გხედვენ[8] შენ[9], რამეთუ არარას მეტსა იქმ, არამედ სწორად ხუალ ყოველთა და არცა ერთი[10] ვინ გაჭირვებდეს შენ.

IX. მამაჲ ნისთერეონ დიდი ვიდოდა ოდესმე უდაბნოს ძმათა ვიეთმე თანა და იხილეს მათ ვეშაპი და ივლტოდეს. და ჰრქუა ბერსა ერთმან მათგანმან: და შენცა გეშინისვეა, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: არა მეშინის,

[1] ვინ] ვინმე B. [2] ესე – B. [3] აწედან E ნუსახში ტექსტი გრძელდება 120r-ზე (აკინძვის შეცდომა). [4] იტყოდეს] თქუეს C. [5] ენება] ინება B. [6] მათოჲს] მატოის E. [7] ვიყოფებოდი] ვიყოფვოდი E. [8] გხედვენ- B; გხევიდე ნE. [9] შენ – C. [10] ერთი] ერთინ A.

შვილო, გარნა უმჯობეს იყო, რომელ ვივლტოდე, უკუეთუმცა არა, ვერმცა[1] განვლტოლვილ[2] ვიყავ სულისა[3] მისგან ცუდადმზუაობრობისა.

X. ინება ოდესმე მთავარმან მის ქუეყანისამან ხილვაჲ **მამისა პიმენისი**[4] და არა თავს-იდებდა ბერი ყოფად ამას. მერმე მიზეზითა ბოროტისმოქმედობისაჲთა[5], შეიპყრა დისწული მისი და შეაგდო საპყრობილესა და იტყოდა: მოვიდესო ბერი და მევედროს მისთჳს და მე განუტეო[6] იგი. ვინაჲცა მოვიდა დედაჲ ყრმისაჲ მის, დაჲ ბერისაჲ, და ტიროდა კარსა გარეთ ბერისასა, ხოლო ბერმან, არცა თუ ყოლად მისცა მას მოკითხვაჲ. და იგი აგინებდა მას და ეტყოდა: რვალნაწლეო, შემიწყალე მე, რამეთუ პირმშოჲ არს იგი ჩემი. ხოლო ბერმან მიუმცნო მას და ჰრქუა. პიმენს შვილნი არა უსხენ. და ესრეთ წარვიდა იგი. ესმა რაჲ ესე მთავარსა, თქუა: ბარე სიტყჳთ მომიცნას და განუტეო. ხოლო ბერმან მიუმცნო მას ესრეთ: გამოიძიე შჯულთაებრ სამეუფოთა და უკუეთუ ღირს არს[7] სიკუდილისა, მოკუედინ ეგე და უკუეთუ არა, ვითარცა გნებავს ყავ.

2. თქუა **მამამან პიმენ:** ასწავე გულსა შენსა დამარხვად, რასა-იგი ასწავებს პირი შენი.

3. კუალად თქუა: სიტყუად სჯობან კაცნი, ვიდრეღა[8] საქმედ.

4. თქუა კუალად: ასწავე პირსა შენსა სიტყუად იგი, რომელი აქუნდეს[9] გულსა შენსა. /215v/

5. იტყოდა **მამაჲ დანიელ,** ვითარმედ: წარვედ ოდესმე მამისა პიმენისა[10] და ვისამხრეთ ერთად[11]. მერმე მრქუა ჩუენ: წარვედით და განისუენეთ მცირედ[12], ძმანო. და წარვიდეს ძმანი მცირედ განსუენებად. და მე ველოდე მას, რაჲთა ვეზრახო მარტოებით. და აღვდეგ და მივედ სენაკად მისა. ხოლო მან ვითარცა მიხილა მე მიმავალი მისა, ყო თავი თჳსი მძინარედ, რამეთუ ესევითარი იყო სათნოებაჲ ბერისაჲ, რომელ ყოველსავე ფარულად იქმნ.

6. თქუა **მამამან პიმენ:** რომელი მოსწრაფე იყოს სიყუარულსა ოდენ კაცთასა, მოაკლდეს იგი სიყუარულისაგან ღმრთისა. და[13] რამეთუ არა არს კეთილ, რაჲთამცა უნდა ვის ყოველთავე[14] სათნოყოფაჲ, ვითარცა იტყჳს: ვაჲ თქუენდა, ოდეს კეთილსა იტყოდიან[15] თქუენთჳს[16] ყოველნი კაცნი.

XI. ჰკითხა **მამამან ამმონ**[17] **რაითელმან**[18] **მამასა სისოჲს** და ჰრქუა: ოდეს აღმოვიკითხვიდე წერილსა, ჰნებავს გულისსიტყუასა ჩემსა, რაჲთამცა დავიწუართე სიტყუაჲ, რაჲთა მზად მაქუნდეს საკითხავად. ჰრქუა მას

---

[1] ვერამცა E. [2] განვლტოლვილ] განლტოლვილ E. [3] სულისა მისგან] სულისაგან C. [4] პიმენისი] პიმენისა C. [5] ბოროტისმოქმედობისაჲთა] ბოროტისმოქმედებისაჲთა E. [6] განუტეო] განუტევო E. [7] არს – E. [8] ვიდრეღა] ვიდრე E. [9] აქუნდეს] აქუნდა C. [10] პიმენისა] პიმენისსა E. [11] ერთად] ერთგან B. [12] მცირედ – B. [13] და – C. [14] ყოველთავე] ყოველთა BE. [15] იტყოდიან] გეტყოდიან B. [16] თქუენთჳს] თქუენ B. [17] ამმონ] ამმო E. [18] რაითელმან] რაჲთელმან A.

ბერმან: არად[1] საჴმარ არს ეგე, არამედ უფროჲსღა სიწმიდითა[2] გონებისაჲთა მოიგე უზრუნველობაჲცა და დუმილი და მეცნიერებაჲ სიტყუად კეთილისა.

XII. 1. მოვიდა ოდესმე მთავარი ხილვად **მამისა სიმონისა**. ხოლო მას ესმა რაჲ, მოირტყა სარტყელი და წარვიდა განწმედად ფინიკოანსა. ხოლო იგინი მოვიდეს და ჴმობდეს: ბერო, ბერო, სადა არს განშორებული იგი? ხოლო მან ჰრქუა მათ: არა არს აქა განშორებული. და ესმა მათ ესე[3] და[4] წარვიდეს მიერ.

2. მოვიდა კუალად ოდესმე სხუაჲ ვინმე მთავარი ხილვად მისა და მიუსწრეს მას მნეთა ეკლესიისათა და მივიდეს ბერისა და ჰრქუეს მას: განემზადე, ბერო, რამეთუ ესმა მთავარსა შენთჳს და მოვალს შენდა, რაჲთა იკურთხოს შენგან. ხოლო მან ჰრქუა მათ: ჰᲩ, მე განვჰმზადო თავი ჩემი. და აღდგა და შეიმოსა დაბებკული და მიიღო ჴელად პური და ყველი /216/ და აღჴდა სართულსა ზედა სახლისა თჳსისასა და იწყო ურიდად ჭამად. და ვითარცა მოვიდა მთავარი ერსა თანა თჳსსა და მჴედრობასა და იხილეს ბერი ესრეთ, შეურაცხ-ყვეს იგი[5] და თქუეს: ესე არსა განშორებული იგი, რომლისათჳს გუესმა?! და მეყსეულად მართლუკუნ-იქცეს იგინი.

XIII. თქუა **დედამან სჳნკლიტიკი**[6]: ვითარცა სახედ საუნჯᲩ[7] გამოცხადებული უჩინო იქმნების და იავარ, ესრეთვე სათნოებაჲ გამოცხადებული[8] უჩინო იქმნების. და ვითარცა სახედ ცჳლი დადნების წინაშე ცეცხლსა, ესრეთვე სული, ქებათაგან კაცობრივთა დაიჴსნების[9] და განუქარვებს მას ლმობიერებასა.

XIV. ჯდა ოდესმე **მამაჲ ტითოჲ** და ახლვიდა მას სხუაჲ ძმაჲ მაშინ და ვერ აგრძნა, თუ ახლავს ვინ, რამეთუ განკჳრვებასა შეეპყრა იგი[10]. სულთითქუნა და ვითარცა ცნა და მოეგო გონებასა[11] თჳსსა, შეუვრდა ძმასა მას და ჰრქუა: შემინდვე, ძმაო, რამეთუ არღარა ქმნილ ვარ მონაზონ და სულთვითქუენ წინაშე შენსა.

1. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე, რომელი მკჳდრ იყო დაყუდებით ქუემოთა მათ კერძოთა, ვითარმედ ერისკაცი ვინმე ღმრთისმოშიში ჰმსახურებდა მას. ხოლო შეემთხჳა ოდესმე სნეულებაჲ ძესა მის ერისკაცისასა[12] და აიძულა[13] ბერსა მრავლითა იძულებითა, ჰლოცვიდა მას და ევედრებოდა, რაჲთა შევიდეს და ყოს ლოცვაჲ ძესა მას მისსა ზედა სნეულსა. ვინაჲცა ერჩდა ბერი ვედრებასა მას მისსა, აღდგა და შეუდგა მას და წარუსწრა წინა ერისკაცმან მან და შევიდა სახლსა თჳსსა და ეტყოდა მათ: გამოვედით მიგებებად მეუდაბნოჲსა მის დიდისა და განშორებულისა. და ვითარცა იხილა ბერმან

---

[1] არად] რად B. [2] სიწმიდითა] სიწულოჲთა BE. [3] ~ ესე მათ C. [4] და – E. [5] იგი – BE. [6] სჳნკლიტიკი] სინკლიტიკი C; სჳნკლიტიკე E. [7] საუნჯᲩ] საუნჯე BCE. [8] გამოცხადებული] გამოჩინებული B. [9] დაიჴსნების] დაჲჴსნების AD. [10] იგი + და C. [11] გონებასა] ნებასა BE. [12] ერისკაცისასა] კაცისასა BC. [13] აიძულა] აჲძულა A.

შორით ერი[1] მომავალი[2] მისა ლამპრებითა, აგრძნა და /216v/ აღი/ძარცუა სამოსელი თჳსი და შთაალბო მდინარესა[3] შინა, დადგა შიშუელი და რცხიდა მას. ხოლო ერისკაცმან მან[4], მსახურმან მისმან, იხილა რაჲ ბერი ესრეთ, შეჰრცხუენდა და ევედრებოდა შექცევად[5] კაცთა მათ და ეტყოდა: შეიქეცით[6], შეიქეცით, რამეთუ ბერი განცოფნა. მერმე მოვიდა მისა და ჰრქუა: ბერო, რაჲ ესე ჰყავ, რამეთუ ყოველნივე იტყოდეს[7], ვითარმედ ეშმაკეულ არს ბერი. ჰრქუა მას ბერმან: და მეცა ამასვე მენება სმენად.

2. იყო ოდესმე დღესასწაული სენაკებს და ჭამდეს ძმანი ეკლესიას. ხოლო იყო მუნ ძმაჲ ერთი და ჰრქუა მას, რომელი ჰმსახურებდა: არა ვჭამ წუენსა, არამედ მარილსა. ჴმა-უყო მსახურმან მან სხუასა ძმასა წინაშე ყოველთასა და ჰრქუა: ესე ძმაჲ არა ჭამს წუენსა, მოართუ მას მარილი. აღდგა ერთი ბერთაგანი და ჰრქუა მას: უმჯობეს იყო შენდა დღეს სენაკსა შინა შენსა ჭამად ჴორცისა, ვიდრეღა სმენად ჴმისა ამის წანაშე ერისა.

3. ძმაჲ ვინმე მოღუაწე არა ჭამადა პურსა. აღდგა და წარვიდა იგი ხილვად დიდისა ვისმე ბერისა. ხოლო იპოვნეს მუნ სხუანიცა ვინმე უცხონი. და ქმნა ბერმან მცირედ გბოლვილი მათთჳს. და ვითარცა დასხდეს იგინი ჭამად, დაიგო მოღუაწემან მან ერევინდი ოდენ დამბალი წინაშე თჳსსა და ჭამდა მას. და ვითარცა აღდგეს სამხრობისაგან, განიყვანა იგი ბერმან თჳსაგან და ჰრქუა მას: უკუეთუ ვისსამე წარხჳდე, ძმაო, ნუ გამოაცხადებ მოქალაქობასა შენსა. და უკუეთუ გნებავს პყრობაჲ კანონისა შენისაჲ, დაჯედ სენაკსა შინა შენსა და ნუსადა განხუალ. ხოლო იგი განისწავლა მოძღურებასა მას[8] ზედა ბერისასა და მოიგო განკითხვაჲ და იქმნა სწორ სხუათა შემთხუევასა მას ზედა ძმათასა.

4. თქუა ვინმე მამათაგანმან, /217/ვითარმედ: მდინარისკიდესა[9] მას მახლობელად დაბისა, სადა-იგი **ნეტარიცა სილოვანე** იყოფებოდა, პალესტინეს, იყო ძმაჲ ვინმე, რომელი სისულელესა იჩემებდა, რამეთუ ოდეს შეემთხჳს მას ძმაჲ, მეყსეულად იცინინ იგი და განცხრებინ[10]. და ამის მიზეზისათჳს თანაწარჰჴდებოდეს მას მრავალნი. დღესა ერთსა მოვიდეს ვინმე სამნი[11] მამათაგანნი მამისა სილოვანესსა და ვითარცა ყვეს ლოცვაჲ, ევედრნეს მას, რაჲთა თანაწარიყვანოს ძმაჲ და მოიხილნენ ძმანი სენაკებსა შინა მათსა. და ჰრქუეს ბერსა: ყავ სიყუარული და ამცენ ძმასა[12], რომელი მოვალს ჩუენ თანა, რაჲთა ყოველთასა მიგჳყვანნეს. ხოლო ბერმან ჰრქუა ძმასა მას სასმენელად მათდა, ვითარმედ: ყოველთავე მამათასა მიიყვანენ ეგე, ხოლო თჳსაგან ამცნო: იხილე და ნუ მიგყვანან ეგე ძმისა მის სულელისა, რაჲთა არა დაჰბრკოლდენ ეგე. და ვითარცა მოჰვლიდეს იგინი სენაკებსა ძმათასა,

---

[1] ერი+მრავალი C. [2] მომავალი] მიმავალი C. [3] მდინარესა] წყალსა C. [4] მან – B. [5] ~კაცთა მათ შექცევად C. [6] შეიქეცით – B. [7] იტყოდეს] ივლტოდეს B. [8] მას – B. [9] მდინარისკიდესა] მდინარისა E. [10] განცხრებინ] განსცხრებინ CE. [11] ~ სამნი ვინმე C. [12] ძმასა + მას C.

ეტყოდეს მამანი იგი ძმასა მას მძღუარსა: ყავ სიყუარული და ყოველთასავე მომიყვანენ ჩუენ. ხოლო იგი ეტყოდა მათ: კეთილ. და არა წარიყვანნა იგინი ძმისა მის სულელისა სენაკად, სიტყჳსაებრ ბერისა. უკუმო-რაჲ-იქცეს[1] იგინი, ჰრქუა ბერმან: მოიხილენითა ძმანი? მიუგეს: ჰჱ, წმიდაო მამაო, მოვიხილენით და გმადლობთ. თჳნიერ ოდენ ესე შეგჳძნდა, რომელ ვერ ყოველთასა მივედით. ჰრქუა ბერმან ძმასა მას მძღუარსა: არა გარქუა, რაჲთა ყოველთასავე[2] მიიყვანნე ეგე? და მან თქუა: ესრეთ ვყავ, მამაო, ვითარცა გებრძანა. და ვითარცა წარვიდოდეს ბერნი იგი, იგივე სიტყუაჲ ჰრქუეს მამასა სილოვანეს, ვითარმედ: მოხილვისათჳს ძმათაჲსა მადლიერ ვართ, გარნა ყოველთავე[3] არაჩუენებისათჳს გჳმძიმს. /217v/ მაშინ ფარულად ჰრქუა ძმამან ბერსა: ძმისა მის ოდენ სულელისა[4] არა მივიყვანენ იგინი[5]. და ვითარცა წარვიდეს მამანი იგი, იგონებდა ბერი[6] თჳსაგან, თუ რაჲ-მე არს საქმე ესე. და აღდგა და წარვიდა ძმისა მის, რომელი სისულელესა იჩემებდა. და არა ჰრეკა კარსა, არამედ მდუმრიად განაღო და ანაზდეულად[7] შევიდა ძმისა მის. და პოვა იგი, რამეთუ ჯდა საქმესა თჳსსა და ორნი სფჳრიდნი[8] ედგნეს იმიერ და ამიერ[9], ერთი მარჯუენით მისა[10] და ერთი მარცხენით მისა. და ვითარცა იხილა ბერი ჩუეულებისაებრ იწყო სიცილად. ჰრქუა მას ბერმან[11]: დაუტევე ეგე აწ და[12] მითხარ მე ჯდომაჲ შენი. ხოლო იგი კუალადცა იცინოდა. ჰრქუა მას მამამან სილოვანე: იცი განაღა, რომელ[13] თჳნიერ შაბათ-კჳრიაკეთაჲსა[14] არა გამოვალ სენაკისაგან[15] ჩემისა, და აჰა ესერა, აწ მოსრულ ვარ შუვა ოდენ შჳდეულისა და რამეთუ ღმერთსა [მოუვლინებიე მე შენდა. ესმა რაჲ მას სახელი ღმრთისაჲ][16] შეეშინა ფრიად, შეუვრდა[17] ბერსა და ჰრქუა მას: შემინდვე მე, მამაო, რამეთუ განთიად დავჯდები და დავისხამ[18] ღჳნჭთა[19] ამათ წინაშე ჩემსა და უკუეთუ მომიჴდეს მე გულისსიტყუაჲ კეთილი, ჩავაგდებ ღჳნჭსა[20] ამას მარჯუენესა შინა სფირიდსა[21], და უკუეთუ არაკეთილი მომიჴდეს, შთავაგდებ მარცხენესა შინა. და სამწუხაროდ დავსთუალავ წურილოანსა[22] მას ქვასა, და უკუეთუ იპოვნენ უფრო მარჯუენისა კერძისანი – ვჭამ პურსა, უკუეთუ კულა მარცხენისანი იპოვნენ უფრო, არა ვჭამ მას დღესა. და კუალად ხვალისდღე უკუეთუ მომიჴდეს გულისსიტყუაჲ რაჲმე ხენეში, ვეტყჳ თავსა ჩემსა: იხილე, რასა იგონებ, გრწმენინ, კუალადცა

[1] უკუმო-რაჲ-იქცეს] რაჲ უკუმოიქცეს C. [2] ყოველთასავე] ყოველთასავე- B. [3] ყოველთავე] ყოველთასავე C. [4] ~ სულელისა ოდენ C. [5] იგინი] ეგენი B. [6] ბერი + იგი B. [7] ანაზდეულად] ანასდეულად B. [8] სფჳრიდნი] სფირიდნი BE. [9] ~ ამიერ და იმიერ B. [10] მისა – C. [11] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 113r-ზე (აკინძვის შეცდომა). [12] ~ და აწ C. [13] რომელ – B. [14] შაბათ-კჳრიაკეთაჲსა] შაბათ-კჳრიაკეთასა B. [15] სენაკისაგან ჩემისა] ჩემით სენაკით B. [16] ტექსტი აღდგენილი B ნუსხის მიედვით. [17] შეუვრდა] შეურდა B. [18] დავისხამ + მე B. [19] ღჳნჭთა] ღჳნჭათა C. [20] ღჳნჭსა] ღჳნჭასა B. [21] სფირიდსა] სფჳრიდსა E. [22] წურილოანსა] წურილოვანსაB.

არავე შჭამ[1]. /218/ [ესმა[2] რაჲ ესე მამასა სილოვანეს, დაუკჳრდა და თქუა: ნანდჳლვე] მოსრულნი იგი მამანი[3] წმიდანი იყვნეს, რაჲთა განცხადნეს სათნოებაჲ ძმისაჲ ამის სარგებელად მრავალთა და რამეთუ დიდი სიხარული მომეტყუა მე დღეს სულიერი მოსლვასა მას ზედა მათსა.

5. ბერმან თქუა: უკუეთუ სადამე წარხჳდე, ნუ გნებავს ჩუენებად მოქალაქობაჲ შენი: თუ არა ვჭამ ზეთსა, ანუ წუენსა, ანუ თევზსა. მარტოდ ოდენ ღჳნოსა ნუ განჰჴსნი, გეშინოდის თუ ბრძოლისაგან. და დაღათუ გძაგონ ვიეთმე, ნუვე გგლიან რაჲთურთით მათთჳს.

6. კუალად თქუა: უკუეთუ მოვიდეს შენდა ძმაჲ, აღიღე გლოვაჲ პირისაგან შენისა და დაჰმარხე იგი გულსა შინა შენსა, ვიდრემდის განუტეო ძმაჲ იგი. და მაშინ კუალადცა მოართუ გლოვაჲ იგი პირსა შენსა. და რამეთუ გევლტიან[4] ეშმაკნი, ხედვიდენ თუ მას შენ თანა.

7. იტყოდეს მამათათჳს სკიტელთა, ვითარმედ უკუეთუ გამოჩნდის სათნოებაჲ განცხადებულად არღარა ვითარცა სათნოებაჲ, არამედ ვითარცა ცოდვაჲ შეერაცხის იგი მიერითგან.

8. ბერმან თქუა: კაცთმოთნებაჲ მოუღებს ყოველსა ძალსა მონაზონსა და დაუტეობს მას ყოლად განჴმელსა.

9. კუალად თქუა: რომელი გამოაცხადებდეს[5] საქმეთა თჳსთა კეთილთა, მსგავს არს იგი კაცსა, რომელი სთესავნ უჴნავსა ზედა ქუეყანასა თესლსა თჳსსა და მოვიდიან მფრინველნი ცისანი და შეჭამიან იგი. ხოლო რომელი ჰფარვიდეს მოქალაქობასა თჳსსა, მსგავს არს იგი კაცსა, რომელი სთესავნ ურნატეულსა შინა და წიაღთა ქუეშე ქუეყანისათა, რომელმანცა მოიმკოს სამკალი თჳსი მრავალწილად.

10. ბერმან თქუა: ანუ სივლტოლით ევლტოდე კაცთა, ანუ კიცხევით /218v/ და ბასრობით ჰბასრობდი სოფელსა და კაცთა, რაჲთა ჰყო თავი შენი სულელ და ხელ ღმრთისათჳს.

11. იყო ვინმე მამასახლისი საკრებულოჲსა მონასტრისაჲ, რომელსა აქუნდეს მის ქუეშე ვითარ ორასნი ოდენ ძმანი. ესე იდიდებოდა კაცთაგან ფრიად. ამას ესტუმრა ქრისტე, ვითარცა ვინმე ბერი გლახაკი და ევედრებოდა მეკრესა[6], რაჲთა მოაჴსენოს მისთჳს მამასა, ვითარმედ იგი ვინმე ბერი[7] არს, [8] ოდესმე მეგობარი შენი და მეცნიერი და თანამოძმე[9]. ვინაჲცა წარვიდა მეკრე[10] იგი და მრავლითა შრომითა შევიდა მამისა, რაჲთამცა მოაჴსენა მისთჳს და პოვა მამასახლისი, რამეთუ სხუათა ეუბნებოდა. დადგა უკუე მყოვარჟამ, მერმე მოაჴსენა გლახაკისა მისთჳს ბერისა და არა უწყოდა მან, თუ ქრისტე არს იგი. ხოლო მამასახლისი შეჰრისხნა მას და ეტყოდა: არა ხედავა, რომელ კაცთა ვეუბნები, უტევე ჟამისად ეგე. და მას ვითარცა

---

[1] შჭამ] ვჭამ B. [2] ტექსტი აღდგენილია B ნუსხის მიხედვით. [3] ~ წმიდანი მამანი E. [4] გევლტიან] გევლტინ C. [5] გამოაცხადებდეს] გამოაცხადებს C. [6] მეკარესა CE. [7] ბერი არს, ოდესმე – C; ~ ბერი ვინმეE. [8] არს – C. [9] თანამოძმე + არს C. [10] მეკრე] მეკარე CE.

ესმა ესე, მოეშორა. სულგრძელ იქმნა უკუე უფალი და მოელოდა და ვიდრე ხუთ ჟამადმდე, რაჲთა ნუ[1] ვინმე გამოჩნდეს. ხოლო მეხუთესა ოდენ ჟამსა დღისასა მო-ვინმე-ვიდა მდიდარი, რომლისათჳს მეყსეულად განაფეთნეს კარნი და მიეგება მამასახლისი მრავლითა მოსწრაფებითა, რომელიცა-იგი, იხილა რაჲ მდიდარსა მას[2] თანა მდიდარმან მან მოწყალებითა და გლახაკთა[3] მოყუარემან ღმერთმან, სთხოვა ვედრებით, ვითარმედ: უბნობაჲ შენი მნებავს, მამაო. ხოლო მან არცა თუ მისცა პასუხი, არამედ შეჰყვა მდიდარსა მას თანა, რაჲთა ისამხრონ, რამეთუ ისწრაფდა რეცა უცხოთა მათთჳს. და ვითარცა ისამხრეს, გამოჰყვა მდიდარსა მას კუალადცა ვიდრე კარადმდე. და ვითარცა შეიქცა მიერ ტყუექმნილი[4] ზრუნვათაგან სოფლისათა, კუალადცა უცალო იქმნა და დაივიწყა ნუგეშინისცემაჲ გლახაკისა[5] მის ბერისა[6] და /219/ ძჳრუჴსენებლობაჲ[7] უფლისაჲ. ვითარცა იქმნა მიმწუხრი და არცა ერთისა რაჲ ევლოგიისა ღირს-ყვეს ნანდჳლვე ყოლად კურთხეული იგი და უცხოჲ ყოველთაგანვე ბრალთა, განეშორა მიერ და წარვიდა. ხოლო მიუმცნო მამასახლისსა ესრეთ, ვითარმედ: ვინაჲთგან დიდებაჲ გიყუარს კაცობრივი, პირველთათჳს შრომათა შენთა და მრავალსახეთა მოქალაქობათა, რომელთა ჰყოფდი შენ ოთხთაგან კიდეთა ქუეყანისათა მოვიყვანნე შენდა კაცნი[8] მაქებელად შენდა, ვინაჲთგან ეგე არს საწადელი შენდა და სასწრაფო. ხოლო კეთილთა მათ ჩემთა მერმეთა და სასუფეველისა ჩემისა გემოჲ არღარა იხილო შენ. და ესრეთ იცნობა ყოვლისა მპყრობელი იგი გლახაკი უფალი ჩუენი და მაცხოვარი იესუ ქრისტე, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

[1] ნუ] ნუთუ B. 2 მას – C. 3 გლახაკთა მოყუარემან] გლახაკთმოყუარემან E. 4 ტყუექმნილი] ტყუექმნული C. 5 გლახაკისაჲ E. 6 ბერისა] ბერისაჲ C. 7 ძჳრუჴსენებლობაჲ] ძჳრუჴსენებლისა BC. 8 კაცნი – B.

თავი ი

ვითარმედ ჯერ არს ყოვლითა ძალითა ჩუენითა კრძალვად, რაჲთა არავის განვიკითხჳდეთ

გუაკურთხენ, მამაო!

I. შეემთხჳა ოდესმე განსაცდელი ძმასა ვისმე მონასტერსა შინა **მამისა ელიაჲსსა** და განიდევნა მისთჳს მიერ და წარვიდა მთასა **მამისა ანტონისსა** და დაყო მის თანა წელიწადი ერთი. მერმე წარმგზავნა[1] მასვე მონასტერსა, სადაჲთ-იგი გამოვიდა. ხოლო მათ იხილეს რაჲ იგი, კუალადცა გამოაძეს მუნით. ხოლო იგი კუალადცა უკუმოიქცა მამისა ანტონისავე[2] და ჰრქუა: არა ინებეს შეწყნარებაჲ ჩემი, მამაო! წარმგზავნა[3] იგი ბერმან კუალადცა და მიუმცნო ესრეთ: ნავი დაიქცა[4] ზღუასა შინა და ტჳრთი წარწყმიდა და მრავლითა შრომითა ძლით უძლო ქუეყანად გამოდგმაჲ, ხოლო თქუენ ქუეყანად[5] გამოდგომილისა მისცა კუალად გნებავს წარწყმედაჲ! /219v/ ხოლო მათ ესმა რაჲ ესე[6], ვითარცა მიუმცნო მამამან ანტონი, მეყსეულად შეიწყნარეს იგი.

II. მამამან აგათონ უკუეთუ რაჲმე იხილის საქმე[7] დასაბრკოლებელი, ჰრქჳს თავსა თჳსსა: აგათონ, შენ ნუ იქმ მას. და ესრეთ დააცხრვის გულისსიტყუაჲ თჳსი.

III. მამისა ამონაჲსთჳს წინაწარმეტყუელა[8] მამამან ანტონი და თქუა, ვითარმედ: წარემართო შენ შიშსა ღმრთისასა ფრიად. და გამოიყვანა იგი გარეშე სენაკისა თჳსისა და უჩუენა მას ლოდი მდებარჱ[9] და ჰრქუა: აგინე ლოდსა მაგას და გუემე ეგე. ხოლო მან ყო ესრეთ. ჰრქუა მას მამამან ანტონი: გრქუა რაჲა ლოდმან მაგან? და მან თქუა: არა, მამაო. ჰრქუა

---

[1] წარმგზავნა] წარგზავნა BCE. [2] ანტონისავე] ანტონისსავე E. [3] წარმგზავნა] წარგზავნა BCE. [4] დაიქცა] დაჲქცა A. [5] თქუენ ქუეყანად] თქუენად B [6] ესე, ვითარცა მიუმცნო მამამან ანტონი] მცნებაჲ მამისა ანტონსი B. [7] ~ საქმე რაჲმე იხილის B. [8] წინაწარმეტყუელა] წინაჲსწარმეტყუელა BE. [9] მდებარჱ] მდებარე BCE.

მას მამამან ანტონი: ესრეთვე შენ გეგულების მიწევნად[1] საზომსა ამას, რომელიცა ესე იქმნა და რამეთუ წარემატა მამაჲ ამმონა ესრეთ, ვიდრეღა გარდარეულისაგან სიწრფოებისა, სრულებით დაჰვიწყდა, ბოროტებაჲ თუ რაჲ არს. ვინაჲცა ვითარცა იქმნა იგი ეპისკოპოს, მოჰგუარეს მას ქალწული ვინმე, რომელი იყო უძლებ და ჰრქუეს მას: მიეც ამას კანონი მეუფეო. ხოლო მან დასწერა ჯუარი მუცელსა მისსა და უბრძანა მიცემად[2] ორთა სამოსელთა და თქუა: ნუსადა ვითარცა მივიდოდის გზასა, მოკუდეს ეგე, ანუ შვილი მაგისი და არარაჲ აქუნდეს საგრაგნელად მათდა. კუალად ჰრქუეს[3] მას, რომელნი-იგი ესჯოდეს მისთჳს: რაჲ ესე ჰყავ?! მიეც მაგას კანონი პატიჟისაჲ. ხოლო მან ჰრქუა მათ: ხედავთ, ძმანო, რომელ[4] თჳთ ახლოს არს სიკუდილსა და მე რაჲღა უყო მაგას! და განუტევა იგი და ვერვისი[5] იკადრა ყოლად განკითხვაჲ.

2. წარვიდა ოდესმე **მამაჲ[6] ამმონა** ადგილსა რასმე სამხრობად და იყო ვინმე მუნ ძმაჲ, რომლისა სახელი არაკეთილი განსრულ იყო. და დახუდა დედაკაცი[7] იგი მუნ. და /220/ შე/ვიდა სენაკად ძმისა მის განკითხულისა. ხოლო ისწავეს რაჲ ესე მკჳდრთა მათ ადგილისათა, აღშფოთნეს ფრიად და წარვიდეს, რაჲთა განდევნონ იგი სენაკისაგან თჳსისა. და ვითარცა ცნეს, ვითარმედ ეპისკოპოსი ამონა[8] მუნ არს, წარვიდეს და ევედრნეს მას, რაჲთა მივიდეს მათ თანა. და ვითარცა აგრძნა ესე ძმამან მან, მიიყვანა დედაკაცი იგი და ჩასუა ჭურსა შინა დიდსა, რაჲთამცა დამალა მუნ. და ვითარცა შეკრბა ერი ერთად, ცნა მამამან ამმონა[9] საქმე იგი და ღმრთისათჳს დაფარა იგი, რამეთუ უწინარეს ყოველთაჲსა შევიდა და დაჯდა იგი ჭურსა მას ზედა და უბრძანა მონახვად სენაკისა მის. და ვითარცა მოიხილეს იგი და ძებნეს და ვერ პოვეს დედაკაცი მას შინა, ჰრქუა მათ მამამან ამმონა: რაჲ არს ესე, ღმერთმან შეგინდვენ! და ლოცვა ყო და განუტევნა იგინი. მერმე უპყრა ჴელი ძმასა მას და ჰრქუა: ეკრძალე ძმაო, თავსა შენსა. ესე ოდენ ჰრქუა და განეშორა მიერ[10].

III. ძმამან ცოდა და განაყენა მღდელმან ეკლესიით. აღდგა **მამაჲ ბესარიონ**, გამოვიდა მას თანავე და თქუა: და[11] მეცა ცოდვილვე ვარ.

IV. თქუა **მამამან ელია,** ვითარმედ: ვიხილე ძმაჲ, რომელმან აყიროჲთა აღმოიდგა ღჳნოჲ ღლიასა ქუეშე. და ვინებე, რაჲთა ჰრცხუენეს ეშმაკთა საუცრებისათა, ვარქუ მას: ძმაო, ყავ სიყუარული და აღიღე ჴელი შენი ზე. და ვითარცა აღიღო[12] პალეკარტი ზე, იპოვა იგი, რამეთუ არარაჲ აქუნდა ყოლადვე. ხოლო ესე ამისთჳს ვთქუ, რაჲთა უკუეთუ თუალითაცა იხილოთ რაჲმე, არავე გრწმენეს, რაოდენ უფროჲსღა, რაჲთა შეიკრძალოთ გული

[1] მიწევნად] მიწევნაჲ B. [2] მიცემად] მიცემაჲ BE. [3] ჰრქუეს] ჰრქუა B. [4] რომელ] რამეთუ C. [5] ვერვისი] ვერვინ BCE. [6] მამაჲ – C. [7] დედაკაცი(ცა] დედაკაცი C. [8] ამონა] ამონნ C. [9] ამონა – E. [10] მიერ] მათგან BE. [11] და – E. [12] აღიღო] აიღო B.

და გონებაჲ არავისა[1] განკითხვად, არამედ რაჲთა ყოლადვე და მარადის ვიწურთიდეთ ჩუენ ჴსენებასა ღმრთისასა და ვიგონებდეთ ცოდვათა ჩუენთა სიმრავლესა. /220/

V. თქუა **მამამან ესაია**[2]: უკუეთუ მოგიჴდეს გონებასა შენსა განკითხვაჲ მოყუასისაჲ რასაცა ზედა ცოდვასა, პირველად მოიგონე თავისა შენისათჳს, რამეთუ ფრიად უცოდვილეს ხარ მისსა და მერმე რომელსა ჰგონებდი[3], თუ კეთილად გიქმნიეს, ნუცა მისი გრწამს თუ სთნდა ღმერთსა. და[4] ესრეთ ვერღარა იკადრო განკითხვად მოყუსისა.

2. კუალად თქუა: არაგანკითხვაჲ მოყუსისაჲ და შეურაცხყოფაჲ თავისაჲ ადგილი არს მყუდროჲ, რომელსა შინა განისუენებს სჳნიდისი.

3. მოვიდა ოდესმე ყრმაჲ[5] ეშმაკეული, რაჲთამცა განიკურნა და კუალად სხუაჲ ძმაჲ მოვიდა ეგჳპტისა მონასტრისაგან. და გამოვიდა ბერი და იხილა ძმაჲ იგი, რამეთუ ცოდვიდა ყრმასა[6] მას თანა და არა ამხილა მას, არამედ თქუა: უკუეთუ ღმერთსა, რომელსა დაუბადებიეს იგი და ხედავს, არა დასწუავს, მე ვინ ვარ, რაჲთა ვამხილო მას, ანუ თუ[7] განვიკითხო!

VI. წარვიდა ოდესმე **მამაჲ ისაკ თიბელი**[8] კრებულსა, მონასტერსა და იხილა მუნ ძმაჲ, რომელი სცნა და განიკითხა იგი. და ვითარცა განვიდა უდაბნოდ, მოვიდა ანგელოზი უფლისაჲ და დადგა წინაშე პირსა მისსა კარსა ზედა შესავალსა სენაკისასა და ჰრქუა მას: არა შეგიშუებ შენ აქა. ხოლო იგი ჰლოცვიდა მას და ეტყოდა: რაჲ არს საქმე ეგე?[9] მიუგო ანგელოზმან: ღმერთსა მოუვლინებიე[10] მე შენდა და მოგიმცნებს, სადა მიბრძანებო და დავაწესო ძმაჲ ესე ცთომილი, რომელი შენ განიკითხე. შეიპყრა იგი ზარმან, მეყსეულად დაემჴუა პირსა ზედა თჳსსა, შეინანა[11] და თქუა: ვცოდე ჭეშმარიტად, უფალო, შემინდვე. ჰრქუა მას ანგელოზმან მან უფლისამან: აღდეგ, შეგინდო შენ ღმერთმან, გარნა ამიერითგან[12] ნუღარა ვისსა იკადრებ განკითხვასა, ვიდრემდის ღმერთმან განიკითხოს კაცად-კაცადი.

VII. 1. თქუა **მამამან პაფნოტი**, მოწაფემან **მამისა მაკარისმან**, ვითარმედ: ვევედრე მამასა ჩემსა, /221/ რაჲთა მრქუას მე სიტყუაჲ, და მან მრქუა მე: ნუვის უყოფ ბოროტსა ყოლადვე, ნუცა ვის განიკითხავ, ესე დაიმარხე[13] და სცხოვნდე.

2. იტყოდეს **მამისა მაკარისთჳს დიდისა,** ვითარმედ იქმნა იგი, ვითარცა იტყჳს წერილი, ღმერთ ქუეყანისა. და ვითარცა ღმერთი ჰფარავს სოფელსა, ესრეთვე ჰფარვიდა მამაჲ მაკარი ნაკლულევანებასა კაცთასა, ვითარმცა ყოლადვე არა ხედვიდა და ესმოდა ესრეთ, ვითარმცა ყოლად არა ესმოდა.

---

[1] არავის E. [2] ესაია] ესაჲა A. [3] ჰგონებდი] ჰგონებდე B. [4] და – C. [5] ყრმაჲ + ერთი E. [6] ყრმასა მას თანა – C. [7] თუ – B. [8] თიბელი] თებელი BCE. [9] ეგე + და C. [10] მოუვლინებიე] მოუვლენიე C. [11] შეინანა – BE. [12] ამიერითგან + და B. [13] დაიმარხე] დაჲმარხე A.

VIII. 1. ძმაჲ ვინმე შესცთა სკიტეს და ყვეს კრებაჲ მისთჳს, წარმგზავნეს[1] **მამისა მოსესაცა**[2] და უწოდეს მას. ხოლო მას არა ენება მისლვად, კუალად მიუმცნო მღდელმან და ჰრქუა: შენ გელის ყოველი ესე ერი. ხოლო იგი აღდგა და გამოვიდა და აღიღო სფჳრიდი განჴურეტილი და აღავსო იგი ქჳშითა და წარმოიკიდა ზურგსა. და ვითარცა გამოვიდეს შემთხუევად მისა, ჰრქუეს მას: რაჲ არს ეგე, მამაო? ხოლო ბერმან ჰრქუა მათ: ცოდვანი არიან[3] ჩემნი, რომელნი უკუანა კერძო ჩემსა ჩამცჳვიან[4] და არა ვხედავ მათ, და აჰა ესერა, მოსრულ ვარ მე დღეს უცხოთა ცოდვათა სჯად. ხოლო მათ ესმა რაჲ ესე, არღარაჲ ჰრქუეს ძმასა მას, არამედ შეუნდვეს.

2. იტყოდა **მამაჲ მოსე,** ვითარმედ: უჴმს კაცსა, რაჲთა მოკუდეს მოყუსისაგან და არა განიკითხოს იგი არარას ზედა საქმესა.

3. კუალად თქუა: აღსასრული ყოვლისა საქმისა კეთილისაჲ ესე არს, რაჲთა არავის განიკითხჳდე.

4. მანვე თქუა: ოდეს ჴელი უფლისაჲ[5] სრვიდა პირმშოთა ეგჳპტისათა, არა იყო სახლი, რომელსა შინა არა იდვა მკუდარი. ჰრქუა მას ძმამან: რაჲ არს, მამაო, სიტყუაჲ ეგე? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუმცა ვხედევდით ცოდვათა ჩუენთა, არღარამცა ვხედევდით[6] მოყუსისათა რაჲთურთით, რამეთუ სისულელე არს დიდი კაცისათჳს, ედვას თუ /221v/ შინა თჳსი მკუდარი, დატევებაჲ მისი და წარსლვაჲ და ტირილი მოყუსისა მკუდარსა. და რამეთუ სიკუდილი მოყუსისაგან[7] ესე არს, რაჲთა თჳსთა ოდენ ცოდვათა ზრუნვიდეს კაცი და ყოვლისაგანვე სხჳსა უზრუნველ იყოს. და რამეთუ არა უჴმს კაცსა[8] სიტყუად ამას, თუ ესე ვინმე კეთილ არს და იგი ვინმე ბოროტ, ამისთჳს რამეთუ განკითხვანი უფლისანი[9] უფსკრულ მრავალ არიან. კუალად არა უჴმს კაცსა ვისთჳსცა გონებად ბოროტსა, ანუ ვისაცა შეურაცხებად, ანუ შეურაცხისმყოფელთა თანა სხჳსათა მხიარულებად და რამეთუ ესე არს გზაჲ მშჳდობისა და ჭეშმარიტებისაჲ.

IX. იტყოდეს **მამისა მარკოზ მეგჳპტელისათჳს**, ვითარმედ: დაყო სენაკსა შინა ოცდაათი წელი, რომელ ყოლადვე არა გამოვიდა. ხოლო აქუნდა მღდელსა წესი მისლვად მისა და შეწირვად მსხუერპლისა. ხოლო ეშმაკი ვინაჲთგან ხედვიდა სათნოსა მას[10] მოთმინებასა მისსა, მოიპოვა ღონედ[11], რაჲთა დაურწყუას მას საბრჴე განკითხვისაჲ. და შეჰმზადა ვინმე მტერიანი წარსლვად ბერისა ლოცვისათჳს. და ვითარცა მივიდა, პირველ ყოვლისა ჰრქუა ბერსა: სული ცოდვისაჲ არს ხუცესსა ამას თანა და ნუღარა უტეობ[12] მას მოსლვად შენ თანა. ხოლო კაცმან მან ღმრთისამან ჰრქუა მას:

---

[1] წარმგზავნეს] წარგზავნეს BCE. [2] მოსესაცა] მოსესსა E. [3] არიან + მამო B. [4] ჩამცჳვიან] შთამცჳვიან BE. [5] უფლისაჲ] ღმრთისაჲ BE. [6] ვხედევდით] ვხედვიდით B. [7] მოყუსისაგან] მოყუასისაგან B. [8] კაცსა – B. [9] უფლისანი] ღმრთისანი B. [10] მას + და E. [11] ღონე – B. [12] უტეობ] უტევებ BCE.

შვილო, ყოველნივე ცოდვასა[1] გარეგანსთხევენ, ხოლო შენ მომართუ იგი შინა, გარნა წერილ არს: „ნუ განიკითხავთ, რაჲთა არა განიკითხნეთ“. და უკუეთუ ნანდჳლვე ცოდვილცა არს, უფალმან აცხოვნოს ეგე, რამეთუ წერილ არს: „ულოცევდით ურთიერთარს, რაჲთა განიკურნნეთ“. და ამას სიტყუასა ზედა ყო ლოცვაჲ და განიოტა ეშმაკი იგი კაცისა მისგან და განუტევა იგი ცოცხალი. და ვითარცა მოვიდა ჩუეულებისაებრ ხუცესი იგი, შეიწყნარა ბერმან სიხარულით, ხოლო ყოლად სახიერმან და მრავალმოწყალემან ღმერთმან იხილა რაჲ უმანკოებაჲ იგი ბერისაჲ, უჩუენა მას ესევითარი სასწაული, /222/ რამეთუ შევიდოდა რაჲ მღდელი წარდგომად წინაშე წმიდასა საკურთხეველსა, ვითარცა გჳთხრობდა ბერი, იხილვა ანგელოზი უფლისაჲ[2] გარდამომავალი ზეცით. და დასდვა ჴელი თჳსი თავსა ზედა მღდელისასა და იქმნა ხუცესი იგი ვითარცა სუეტი ცეცხლისაჲ. და ვითარცა მიკჳრდაო მე ხილვასა მას ზედა, მოიწია ჩემდა ჴმაჲ, რომელი მეტყოდა: რაჲსათჳს გიკჳრს[3], კაცო, საქმესა ამას ზედა და რამეთუ უკუეთუ მეფჱ[4] მიწისა და ქუეყანისაჲ არა უტევებს დიდებულთა თჳსთა შებღალულითა მოსილთა და ხენეშითა დგომად წინაშე თჳსა[5], არა თუ იყვნენ იგი მოსილ რჩეულითა და ტურფითა, რაოდენ უფროჲსღა ძალმან საღმრთომან განწმიდნეს და წმიდა-ყვნეს მსახურნი თჳსნი და შემწირველნი გამოუთქუმელთა მათ საიდუმლოთანი და მდგომნი იგი წინაშე დიდებისა მის საკჳრველისა და ზეცათაჲსა. ამას ღირს იქმნა ხილვად ნეტარი იგი და მჴნე მოღუაწე ქრისტესი მარკოზ მეგჳპტელი ამისთჳს, რამეთუ არა განიკითხა ხუცესი იგი და ესევითართა სასწაულთა გამოცხადებასა მიემთხჳა მადლითა ქრისტესითა.

X. 1. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: მარქუ მე სიტყვაჲ, მამაო, თუ ვითარ ვიქმნე მონაზონ. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ გნებავს პოვნად განსუენებისა ამასცა სოფელსა და მერმესა მას საუკუნესა, ყოველსავე ზედა საქმესა იტყოდე: მე ვინ ვარ?! და ნუცა ერთსა ვის განიკითხავ.

2. ესმა ოდესმე **ხუცესსა პილუსიელსა**[6] ძმათა ვიეთთჳსმე, ვითარმედ: ზედაჲსზედა ჩავლენ[7] ქალაქად და იბანებიან აბანოებსა და უდებ არიან თავთა თჳსთათჳს. და წარვიდა ეკლესიად და პოვა ძმანი იგი და აღსძარცუა მათ სახჱ მოანზონებისაჲ. და ვითარცა ყო ესე, მეყსეულად იწყლა სჳნიდისი მისი და შეინანა საქმე იგი. აღდგა და /222v/ მოვიდა იგი **მამისა პიმენისა**[8] აღშფოთებული გულისსიტყუათაგან. და ეტჳრთა ჴელთა სამოსლებიცა იგი ძმათაჲ და მიუთხრა ბერსა საქმე იგი. ჰრქუა მას ბერმან: არღარაჲ გაქუსა შენ ყოლად ძუელისა მის კაცისაჲ, განგიძარცჳესა შენ[9] იგი სრულად? მიუგო მღდელმან: ვჰპოებ ჯერეთ თავსაცა შორის ჩემსა კუალსა ძუელისა მის

---

[1] ~ ცოდვასა ყოველნივე BE. [2] უფლისაჲ] ღმრთისაჲ BE. [3] ~ კაცო, გიკჳრს C. [4] მეფჱ] მეფე BCE. [5] თჳსა] თჳსსა E. [6] პილუსიელსა] პილოსელსა B. [7] ჩავლენ] წარვლენ BCE. 8 პიმენის] პიმენისსა E. [9] შენ იგი] შენგან B.

კაცისასა. ჰრქუა მას ბერმან: აჰა ესერა, ერთ ხარ შენცა ძმათავე მათ თანა, დაღაცათუ მცირე სახჱ გაქუნდეს სიძუელისაჲ და რამეთუ შენცა ცოდვასა თანამდებ ხარ და ბრალსა. მაშინ წარვიდა ხუცესი იგი და შეუვრდა ძმათა მათ, რომელნი იყვნეს რიცხჳთ ათერთმეტნი და შეჰმოსა მათ კუალადცა სამოსლები მათი, ყო სიყუარული მათ თანა და განუტევნა.

3. თქუა კუალად: არს კაცი და ჰგონიეს, თუ იმარხავს დუმილსა და გული მისი განიკითხავს სხუათა. ესევითარი იგი ყოლადვე ზრახავს. და არს სხუაჲ განთიადითგან ვიდრე მიმწუხრადმდე მეტყუელებს და იმარხავს იგი[1] დუმილსა. ესე იგი არს, არარას იტყჳს თჳნიერ სარგებელისა.

4. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: უკუეთუ ვიხილო ცთომაჲ ძმისაჲ, კეთილ არსა, რაჲთა დავფარო იგი? ჰრქუა მას ბერმან: რომელსა შინა ჟამსა დავფარნეთ ცთომანი[2] ძმისანი და ღმერთმანცა დაფარნეს ცოდვანი ჩუენნი უეჭუელად. და რომელსა ჟამსა გამოვაცხადნეთ ცთომანი ძმისანი, ჩუენიცა გამოაცხადნეს ღმერთმან[3].

5. სხუამან ძმამან ჰკითხა მასვე **მამასა პიმენს** და ჰრქუა: უკუეთუ ვიხილო ძმაჲ, რომლისათჳს მასმიოდის ცთომაჲ, არა მნებავს შეყვანებაჲ მისი სენაკსა შინა ჩემსა. და უკუეთუ ვიხილო სხუაჲ ძმაჲ კეთილი, მხიარულ ვარ მის თანა. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ კეთილსა მას თანა ერთსა ჰყოფ რასმე სათნოსა, თანაგაც რაჲთა მეორესა მას თანა ორი ჰყო, რამეთუ წამალი წყლულსა უჴმს, არა მრთელსა. /223/ და ისმინე მაგის პირისათჳს სახეცა შემსგავსებული: იყო ვინმე მონასტერსა შინა ზოგადცხორებულთასა დაყუდებით თჳსაგან მჯდომარე სახელით ტიმოთე. და იყო იგი რჩეულ და სათნო. ხოლო მამასა მის მონსტრისასა ესმა ძმისა ვისთჳსმე მუნვე მყოფისა ჰამბავი[4] ცოდვისაჲ და ჰკითხა მისთჳს ტიმოთეს, თუ რაჲ უყოს. ხოლო მან განაზრახა, რაჲთა განდევნოს ძმაჲ იგი მონასტრით. და ვითარცა განიოტეს ძმაჲ იგი, მეყსეულად მოვიდა განსაცდელი იგი ბრძოლისაჲ ტიმოთეს ზედა, ვიდრემდის დაეცა. ხოლო ტიმოთე ტიროდა წინაშე ღმრთისა და იტყოდა: შემინდვე[5], უფალო, რამეთუ ვცოდე. და მოიწია მისა ზეცით ჴმაჲ[6], რომელი ეტყოდა: ტიმოთე, ნუ ჰგონებ, თუ სხჳსა რაჲსათჳს[7] შეგემთხჳა ეგე, არამედ ამისთჳს, რომელ უგულებელს-ჰყავ ძმაჲ იგი ჟამსა ბრძოლისა და განსაცდელისასა და რგებისა წილ, უფროჲსღა ავნე მასცა და სულსაცა შენსა.

6. იყო ვინმე განშორებული დიდი მთასა ათლივესსა[8] და მივიდეს მის[9] ზედა ავაზაკნი[10]. ხოლო ბერმან ჴმა-ყო ჴმითა მაღლითა[11] და ესმა მახლობელთა მისთა. მივიდეს და შეიპყრნეს ავაზაკნი იგი და წარსცნეს

[1] იგი – B. [2] ცთომანი] ცოდვანი E. [3] ღმერთმან+ცოდვანი BE. [4] ჰამბავი] ჰანბავი E. [5] შემინდვე + მე E. [6] ~ ჴმაჲ ზეცით C. [7] რაჲსათჳს] რაჲსათჳსმე B. [8] ათლივესსა] აღლივესსა B. [9] მას C. [10] ავაზაკნი + იგიC. [11] მაღლითა] დიდითა E.

წინაშე მთავრისა. და მან მისცნა იგინი საპყრობილედ. უკუანაჲსკნელ შეწუხნეს ძმანი იგი და თქუეს, ვითარმედ: ჩუენ ძლით შეცჯვეს იგინი ჭირსა. და აღდგეს და მივიდეს მამისა პიმენისა[1] და მიუთხრეს მას საქმე იგი. ხოლო მამამან პიმენ მიუწერა ბერსა მას წიგნი[2] ესრეთ: ცან პირველი იგი განცემაჲ, თუ სადაჲთ იქმნა და მერმე იხილო მეორეცა. რამეთუ არა თუმცა პირველ განცემულ იყავ შინაჲთ, არამცა მეორე ესე განცემაჲ გექმნა. ესმა რაჲ ბერსა მას[3] ეპისტოლე[4] იგი მამისა პიმენისი, მხიარულ იქმნა ფრიად და რამეთუ იყოცა[5] იგი დიდად სახელგანთქმული[6] ყოველსა მას ქუეყანასა, რომელი ყოლადვე არა გამოვიდოდა სენაკისაგან თჯსისა, /223v/ გარნა ვითარცა წარიკითხა წიგნი იგი მამისა პიმენისი, აღდგა მეყსეულად და შთავიდა ქალაქად და გამოიყვანნა საპყრობილოჲთ კაცნი იგი და საეროდ განუტევნა იგი[7] და ათავისუფლნა.

7. თქუა **მამამან პიმენ**: წერილ არს, რომელი იხილეს თუალთა შენთა, მას წამებდი. ხოლო მე ვიტყჯ, დაღათუ ჴელითა ჩუენითა განვიხილოთ რაჲმე, ნუცა ვწამებთ, რამეთუ ძმაჲ ვინმე მოიკიცხა ამით სახითა: და რამეთუ იხილა რეცა ძმაჲ თჯსი, რომელ ცოდვიდა დედაკაცსა[8] თანა, და იბრძოლა ფრიად გულისსიტყუათაგან, რაჲთამცა დათმო და არა ამხილა. გარნა ვერვე დათმო, არამედ მივიდა და შეჰკრა მათ[9] ფერჯი, ჰგონებდა, თუ იგინი არიან. და ჰრქუა: დასცხერით ამიერითგან, ვიდრემდის ჰყოფთ. და აჰა ესერა, იპოვნეს იგინი ძაძანი სავსენი იფქილთა. ხოლო ამისთჯს გითხარ ესე თქუენ, რაჲთა დაღათუ ჴელითა თქუენითა განიხილოთ რაჲმე საქმე, არავე ამხილოთ მოქმედსა მას.

8. ჰკითხეს ვიეთმე მამათაგანთა **მამასა პიმენს** და ჰრქუეს: ვითარ იტყჯრთა მამამან ნისთერეონ ესევითარი იგი მოწაფე თჯსი? ჰრქუა მათ მამამან პიმენ: უკუეთუმცა მე ყოფილ ვიყავ, საბეჭურიმცა ჩემი დამედვა სასთუნლად[10] მისა[11]. ჰრქუა მას მამამან ანუბ: და მერმე რასა ეტყოდე ღმერთსა? ჰრქუა მას მამამან პიმენ: ვეტყოდე უკუე ღმერთსა ამას, ვითარმედ: შენ სთქუ, უფალო, პირველად აღმოღებად დჯრჱ[12] თუალისაგან ჩემისა და მერმეღა ხედვად წუელსა[13], თუალსა შინა ძმისა ჩემისასა.

9. მოსცთა ოდესმე ძმაჲ შორის კრებულსა მყოფი. ხოლო იყო მათ ადგილთა განშორებული ვინმე, რომელსა მრავალი წელი აქუნდა დაყუდებასა შინა და არა გამოსრულ იყო სენაკით. ამისა აღვიდა მამაჲ მის მონასტრისაჲ და მიუთხრა მას ცთომილისა მისთჯს /224/ ძმისა. ხოლო მან ჰრქუა განდევნაჲ მისი. განიოტეს რაჲ ძმაჲ იგი მონასტრით, შევიდა იგი მინდორს და ტიროდა მწარედ, ხოლო განგებითა ღმრთისაჲთა მოიცალეს ძმათა ვიეთმე და

---

[1] პიმენისსა E. [2] ~ წიგნი ბერსა მას CE. [3] მას – E. [4] ეპისტოლე] ებისტოლე E. [5] იყოცა] იყო B. [6] სახელგანთქმული] სახელგანთქმულ C. [7] იგი] იგინი C. [8] დედაკაცისა C. [9] მათ – C. [10] სასთუნლად] სასთუნალად B. [11] მისა] მისსა E. [12] დჯრჱ] დჯრე BE. [13] წუელასა E.

წარვიდეს მამისა პიმენისა[1]. და ვითარცა წარჰვლიდეს იგინი ადგილსა მას, ესმა ჴმაჲ ტირილისაჲ და შევიდეს იგინი ლერწმოანსა მას შინა და პოვეს ძმაჲ იგი დიდსა შინა მწუხარებასა. და ჰლოცვიდეს მას, რაჲთა გზა-ჰყვეს მათ ვიდრე ბერისადმდე. ხოლო მან არა ინება, არამედ თქუა: აქა მოვკუდე მე[2] უეჭუელად და არღარასადა[3] წარვიდე. მოვიდეს ძმანი იგი მამისა პიმენისა[4] და მიუთხრეს მას ძმისა მისთჳს. ხოლო ბერი ევედრა მათ და წარმგზავნა[5] იგინი და ჰრქუა: ესრეთ არქუთ, ვითარმედ გიწეს შენ პიმენ. და ვითარცა მოვიდა ძმაჲ იგი ბერისა და იხილა იგი შეწუხებული, აღდგა და მიეგება მას სიხარულითა[6] და მოწლედ ამბორს-უყოფდა და ნუგეშინის-სცა მას კეთილად და განჰკურნა შემუსრვილებაჲ მისი სიტყჳთ და საქმით. მერმე წარავლინა ძმაჲ ვინმე მამამან პიმენ განშორებულისა მის და მიუმცნო ესრეთ: მრავლით ჟამითგან მენება ხილვად შენდა[7], რამეთუ მესმოდა შენთჳს, და ორთავე უდებებისაგან ვერ ვიხილეთ ურთიერთარს, ხოლო[8] აწ ნებითა ღმრთისაჲთა მიზეზიცა დავარდა შორის, მოშუერ უკუე ვიდრე ჩუენდადმდე და ვიხილოთ ურთიერთარს. ხოლო იგი არა გამოვიდოდა სენაკით თჳსით და ესმა რაჲ მიმცნებული ესე, თქუა: უკუეთუმცა არა ღმერთსა გულსვსე ეყო ბერი, არამცა მოემცნო ესე ჩემდა. და აღდგა და მოვიდა მისა[9] და მოწლედ მოიკითხეს ურთიერთარს და დასხდეს[10]. მერმე ჰრქუა მამამან პიმენ განშორებულსა მას: ორნი კაცნი იყვნეს ადგილსა რომელსამე და თჳთოეულსა[11] მათსა ედვა შინა მკუდარი თჳსი. დაუტევა[12] /224v/ უკუე ერთმან მათგანმან თჳსი მკუდარი და წარვიდა და მეორისასა სტიროდა. ესმა რაჲ ესე ბერსა, გულისჴმა-ყო და მოეჴსენა რაჲ-იგი ქმნა, და თქუა: პიმენ ზე არს ზეცას, ხოლო მე ქუე ვარ და ქუესკნელს! და შეინანა საქმესა მას ზედა ფრიად და მიერითგან განისწავლა განკითხვასა ჯეროვანსა. ხოლო მიუმცნეს მამასახლისსაცა მის მონასტრისასა და კუალად-აგეს ძმაჲ იგი სენაკადვე თჳსად და ესრეთ აღსავსენი სიხარულითა ჰმადლობდეს ღმერთსა.

10. ჰკითხეს ვიეთმე მამათაგანთა **მამასა პიმენს** და ჰრქუეს: უკუეთუ ვიხილოთ[13] ძმაჲ, რომელი ცოდვიდეს, გნებავსა, რაჲთა ვამხილოთ მას? ჰრქუა მათ ბერმან: მე დასტურად ამას ვიქმ, უკუეთუ იყოს გზაჲ ჩუენი მუნით, სადა-იგი ვიხილოთ ძმაჲ და ცოდვიდეს, თანაწარვჰჴდე მას და არა ვამხილო.

11. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ სულმოკლე ვიქმნები ჯდომასა შინა ჩემსა. ჰრქუა მას ბერმან: ნუვის შეურაცხ-ჰყოფ, ნუვის განიკითხავ, ნუვის[14] უზრახავ ძჳრსა და ღმერთმან მოგცეს შენ განსუენებაჲ და იყოს ჯდომაჲ შენი აღუძრველ და უშფოთველ.

---

[1] პიმენისა] პიმენისსა E. [2] მე – B. [3] არღარასადა] არასადა B. [4] პიმენისა] პიმენისსა E. [5] წარმგზავნა] წარგზავნა BE. [6] სიხარულითა] სიხარულით CE. [7] შენდა + დაE. [8] ხოლო აწ ნებითა... ურთიერთარს – C. [9] მის] მისსა E. [10] დასხდეს + და E. [11] თითოეულსაE. [12] დაუტევა უკუე ...თჳსი მკუდარი – B. [13] აქ E ნუსხა წყდება. [14] ნუვის] ნუცა ვის B.

12. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს**: რაჲ ვყო? ჰრქუა მას ბერმან: წერილ არს: „უშჯულოებაჲ ჩემი მიუთხრა და ვზრუნვიდე მე ცოდვისა ჩემისათჳს“.

13. წარვიდა ოდესმე **მამაჲ პიმენ** კერძოთა ეგჳპტისათა დამკჳდრებად მუნ. და იპოვა[1] სხუაჲ ძმაჲ მახლობელად მისა, რომელსა ჰყვა დედაკაცი. და არაოდეს ამხილა მას ბერმან. ხოლო შეემთხჳა დედაკაცსა მას შობაჲ ღამესა შინა ერთსა. და ვითარცა ცნა ესე ბერმან, მოუწოდა ძმასა ერთსა უმრწემესსა[2] და ჰრქუა: წარიღე შენ თანა დორაჲ ერთი ღჳნოჲ და მიართუ ძმასა მას მახლობელსა, რამეთუ უჴმს მას დღეს. და ვერ აგრძნეს ძმათა /225/ მისთა საქმე იგი, რომელი[3] ქმნა ბერმან. ხოლო სარგებელ-ეყო ძმასა მას საქმე იგი ფრიად და ლმობიერ იქმნა მას ზედა. და შემდგომად მცირეთა დღეთა მისცა ძმამან მან დედაკაცსა მას, რაჲცა აქუნდა, და განუტევა იგი და ჰრქუა ბერსა: დღესითგან წაღმართ ვინანდე მე[4], მამაო, ცოდვათა ჩემთა. და წარვიდა და აღიშენა სენაკი გუერდით სენაკსა ბერისასა და სამარადისოდ შევალნ იგი ბერისა და განათლდებინ და ისწავებნ მისგან გზასა ცხორებისასა. და მოთმინებითა მით[5] თჳსითა[6] შეიძინა ძმაჲ იგი ბერმან.

XI. იქმნა ოდესმე ერისკრებაჲ სკიტეს ძმასა ზედა შეცოდებულსა და ზრახვიდეს მისთჳს მამანი. ხოლო **მამაჲ პიორ** დუმნა. მერმე აღდგა და წარიღო ძაძაჲ დიდი და აღავსო იგი ქჳშითა და წარმოიკიდა ზურგსა, ხოლო მცირესა რასმე შინა ზამბილსა ჩაყარნა მცირენი რაჲმე ღჳნჭნი[7] ქჳშისანი და იპყრა იგი წინაჲთ მისა და ესრეთ წარემართა იგი შესლვად კრებულსა შორის. და ვითარცა ჰკითხეს მამათა, ვითარმედ: რაჲ არს ესე, მამაო? ჰრქუა მათ: ძაძაჲ ესე სავსჱ[8], არს სიმრავლჱ[9] დიდძალი ცოდვათა ჩემთაჲ და დამიტეობიან იგინი უკუანა ჩემსა და დამივიწყებიან, რაჲთამცა ვსტიროდე[10] მათ და ვეტყებდი. ხოლო მცირე ესე და კნინი ზამბილი, არს ცთომაჲ მცირე ძმისა ჩემისაჲ, რომლისათჳს აჰა ესერა, მე დღესა მოცალექმნილ ვარ და ბჭე და კრიტის, არა ჴამს ესე ყოფად, არა ჴამს! არამედ გჳლირს ჩუენთა წინამოხუმად ცოდვათა, ხოლო ძმისათა უკუანა კერძო დავიწყებად. და აღდეგ მამანი და თქუეს: ნანდჳლვე, ჭეშმარიტად ესე არს გზაჲ ცხორებისაჲ.

XII. იტყოდა **მამაჲ პაფნოტი,** ვითარმედ: ვიდოდე ოდესმე გზასა და შევსცეთ მე ნაწჳმარსა. და ვიპოვე[11] მახლობელად დაბისა და ვიხილენ ვინმე, რომელნი ურთიერთარს ზრახვიდეს. და დავდეგ წინაშე ღმრთისა ლოცვად /225v/ და ვედრებად ცოდვათა ჩემთათჳს. და აჰა ესერა, დადგა წინაშე ჩემსა ანგელოზი უფლისაჲ და აქუნდა ლახუარი ცეცხლისაჲ ჴელთა მისთა[12] და მრქუა მე: პაფნოტი, ყოველნივე, რომელნიცა განიკითხვენ ძმათა თჳსთა, ლახურითა ამით და მახჳლითა მოისრვიან. ხოლო შენ, ვინაჲთგან

[1] იპოვა] პოვა B. [2] უმრწემესსა] უმრწამესსა B. [3] რომელ B. [4] მე – C. [5] მით – C. [6] თჳსითა] მისითა C. [7] ღჳნჭანი B. [8] სავსჱ] სავსე BC. [9] სიმრავლჱ] სიმრავლე BC. [10] ვსტიროდე] ვსტიროდი B. [11] ვიპოვე] ვიპოე B. [12] ~ მისთა ჴელთა B; ~ ჴელთა თჳსთა C.

არა განიკითხენ, არამედ დაიმდაბლე თავი შენი წინაშე ღმრთისა ესოდენ, ვიდრეღა შენმცა გექმნა ცოდვაჲ იგი, ამისთჳს სახელი შენი დაიწერა[1] წიგნსა მას შინა ცხოველთასა საუკუნოდ.

1. ბერმან თქუა: ნუ განიკითხავ მეძავსა[2], წმიდა თუ იყო, თუ არა, ესრეთცა შჯულსა გარდაჰჴდები, რამეთუ რომელმან-იგი თქუა, თუ[3] ნუ ისიძავ, მანვე თქუა: ნუ განიკითხავ.

2. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე დიდისა, რომელი მჯდომარე იყო ეგჳპტეს მარტოებით სენაკსა შინა, ვითარმედ აქუნდა ჩუეულებაჲ მისა მისლვისაჲ ერთსა ვისმე ძმასა და ერთსა ქალწულსა თჳს-თჳსად და კიდეს-კიდე. ხოლო დღესა ერთსა დახუდეს ორნივე იგი ზოგად ბერისა და ვითარცა იქმნა მიმწუხრი, დააგო ბერმან ფსიათი, რომელ არს ჭილი, და დაწვეს იგინი მას ზედა. ხოლო ბერი დაწვა შორის მათსა. და ღამესა მას ბრძოლილ იქმნა ძმაჲ იგი და აღდგა ქალწულსა მას ზედა და აღასრულეს ცოდვაჲ. ხოლო ბერი წვა შუა[4] მათსა, აგრძნა საქმე იგი, გარნა არა ჰრქუა მათ არარაჲ. და ვითარცა განთენა, მხიარულითა პირითა წარმგზავნნა[5] იგინი ბერმან და არცა ერთი რაჲ მჭმუნვარებაჲ უჩუენა მათ. ხოლო წარვიდეს რაჲ იგინი და ვიდოდეს გზასა მათსა, იწყეს სიტყუად ურთიერთარს და თქუეს: აგრძნა-მეა ბერმან, რაჲ-იგი ვყავთ, ანუ არა? და უკუმოიქცეს იგინი[6] ბერისავე, შეუვრდეს მას და ჰრქუეს: არა სცანა, მამაო, თუ ვითარ /226/ მოგუკიცხნა ჩუენ ეშმაკმან? ჰრქუა მათ ბერმან: ჰჱ, ვცან. და მათ ჰრქუეს მას: სადა უკუე იყო მას ჟამსა შინა გონებაჲ შენი, მამაო? ჰრქუა მათ[7] ბერმან: ჩემი გონებაჲ მუნ იყო, სადა-იგი ჯუარს-ეცუა ქრისტე და მას ჟამსა მუნ ვდეგ მე წინაშე მისსა და ვტიროდე. და მიიღეს მათ სინანული ბერისაგან და წარვიდეს იგინი და იქმნნეს ჭურ რჩეულ მადლითა ქრისტესითა.

3. იყო ვინმე ბერი და რაჲ დღე ჭამნ იგი[8] სამსა პაქსიმადსა. მივიდა ოდესმე ძმაჲ ვინმე მისა და დასხდეს სამხრობად. და დაუგო ძმასა მასცა სამი პაქსიმადი. და ვითარცა შეჭამა იგი, შეატყუა ბერმან, რამეთუ სხუაჲცა უჴმს. და მოართუა მას სხუაჲ სამი პაქსიმადი. და ვითარცა განძღეს და აღდგეს, განიკითხა ბერმან ძმაჲ იგი და ჰრქუა მას: არა ჴამს, ძმაო, შედგომად ესრეთ[9] ჴორცთა. ხოლო ძმამან მან ითხოვა შენდობაჲ და გამოვიდა და ხვალისდღე[10] მოიწია ჟამი ბერისა მის სამხრობისაჲ და დაიგო[11] სამი პაქსიმადი. და ვითარცა შეჭამა იგი, ჯერეთცა შიოდა, გარნა აიძულა[12ბ] თავსა თჳსსა დათმენად. ესრეთვე უკუე და სხუასა მასცა დღესა შეემთხჳა და იწყო მოკლებად და უძლურებად. მერმე ცნა, ვითარმედ დატეობაჲ იყო იგი ღმრთისა შეწევნისაჲ. ამისთჳსცა დააგდო თავი თჳსი წინაშე ღმრთისა

[1] დაიწერა] დაჲწერა A. [2] მეძავთა B. [3] თუ – B. [4] შუა] შორის C. [5] წარგზავნნა] წარგზავნნა BC. [6] იგინი] იგი B. [7] მათ – B. [8] ჭამნ იგი რაჲ დღე C. [9] ~ ესრეთ შედგომად B. [10] ხვალისა დღე BC. [11] დაიგო] დააგო B. [12] აიძულა] აჲძულა A.

და ცრემლით შესტიროდა მას და ევედრებოდა, რაჲთა აუწყოს მიზეზი, თუ რაჲსათჳს დატევებულ იქმნა. და აჰა ესერა, წარმოუდგა მას ანგელოზი ღმრთისაჲ და ჰრქუა: რამეთუ განიკითხე ძმაჲ იგი, ამისთჳს შეგემთხჳა შენ ეგე. უწყოდე უკუე, ვითარმედ ვისცა ძალ-უც მარხვაჲ, გინა სხუაჲ რაჲმე საქმე კეთილისაჲ, არა თჳსითა ძალითა ძალ-უც იგი, არამედ სახიერებაჲ ღმრთისაჲ არს, რომელი განაძლიერებს კაცსა.

4. თქუეს ბერთა, ვითარმედ: არარაჲ არს უძჳრეს განკითხვისა[1]. /226v/

5. დაყუდებულსა ვისმე თანა აქუნდა ჩუეულებაჲ მღდელსა და ხუცესსა ეკლესიისასა მისლვად და შეწირვად მსხუერპლისა მის სამეუფოჲსა. წარვიდა ვინმე ბერისა და შეასმინა ხუცესი იგი. და ვითარცა მივიდა წესისაებრ და ჩუეულებისა ჟამისწირვად, დაჰბრკოლდა ბერი ხუცისა მისთჳს და არღარა განუღო მას კარი, ვინაჲცა წარვიდა ხუცესი იგი სახედ თჳსა მჭმუნვარჱ[2]. და აჰა ესერა, ესმა ჴმაჲ ზეცით დაყუდებულსა მას, რომელი ეტყოდა: აღიღეს[3] კაცთა[4] საბჭოჲ ჩემი და მსჯავრი აღიღეს[5]. და ვითარცა ესმა ესე, შეიპყრა განკჳრვებამან და იხილა ჯურღმული ოქროჲსაჲ და საბელი[6] ოქროჲსაჲ და აღმოსაღებელი ოქროჲსაჲ და წყალი წმიდაჲ და რჩეული ლაკუასა მას შინა. და ხედვიდა გონჯსა ვისმე, რამეთუ აღმოიღებდა მიერ წყალსა მას და მისცემდა, ვიეთ იგი უჴმდა. ენება უკუე ბერსაცა სუმად მისგან, რამეთუ სწყუროდა და არა სუა გონჯობისათჳს[7] აღმვსებელისა[8]. და აჰა ესერა, კუალადცა ჴმაჲ[9] მისა მიმართ, რომელი ეტყოდა: რაჲსათჳს არა სუამ წყლისაგან მაგის[10] წმიდისა ანუ რაჲ ბიწი შეხუდების გონჯობისაგან აღმომავსებლისა, რამეთუ აღმოავსებს ოდენ და განუყოფს და სხუაჲ არარაჲ. მოეგო უკუე გონებასა თჳსსა განშორებული იგი და გულისჴმა-ყო ძალი ჩუენებისაჲ მის, ვინაჲცა მოუწოდა მღდელსა მას, ითხოვა მისგან შენდობაჲ და არწმუნა ყოფად, ვითარცა იყო პირველ და შესწირვიდა.

6. ორნი ძმანი იყვნეს კრებულსა შორის მონასტრისასა დიდნი, მაღალნი და რჩეულნი. ესენი ღირს იქმნნეს მადლსა ღმრთისასა ხედვად თავსა ზედა ერთმანერთისასა. იქმნა ოდესმე და ერთი მათგანი განვიდა გარე მონასტრით დღესა პარასკევსა და[11] იხილა ვინმე[12] ჭამდა განთიად და ჰრქუა მას: /227/ ესრეთ სჭამა უჟამოდ დღესა შინა პარასკევსა? და ამისა[13] შემდგომად იქმნა წესისაებრ ლოცვაჲ ეკლესიას და მიხედნა ძმამან მან[14] მისმან და იხილა მადლი ღმრთისაჲ განშორებულად მისგან და შეწუხნა ფრიად. და ვითარცა

---

[1] განკითხვისა] განკითხვისაჲ B. [2] მჭმუნვარჱ] მჭმუნვარე BC. [3] აღიღეს] აიღეს B. [4] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 123r-ზე (აკინძვის შეცდომა). [5] აღიღეს] აიღეს B. [6] ~ აღმომავსებელისა ოქროჲსაჲ დ საბელი ოქროჲსაჲ E. [7] გონჯისათჳს C. [8] აღმვსებელისა] აღმომავსებელისა E. [9] ჴმაჲ + იყო E. [10] წყლისაგან მაგის] წყლისა მაგისაგან BE. [11] და იხილა.....დღესა შინა პარასკევსა – B. [12] ვინმე + რომელი C. [13] ამისა] მისა B; ამისსა C. [14] მან – B.

შეკრბეს სენაკად თჳსად, ჰრქუა ერთმან მან[1] ძმამან მეორესა: რაჲ გიქმნიეს, ძმაო, რამეთუ ვერღარა ვნახე შენ ზედა მადლი ღმრთისაჲ, ვითარცა პირველ. ხოლო მან ჰრქუა მას: მე არცა ჴორცითა ჩემითა, არცა გულისსიტყჳთა ჩემითა[2] შემიცნობიეს თავისა ჩემისადა ბოროტი რაჲმე. ჰრქუა მას ძმამან მისმან: არცაღა[3] ვისდა სიტყუაჲ რაჲმე გითქუამს? მაშინ მოეჴსენა მას და ჰრქუა: გუშინ განვედ მონასტრით და ვიხილე ვინმე, რომელი ჭამდა განთიად და ვარქუ მას: ამას შინა ჟამსა[4] სჭამა დღესა პარასკევსა? და ესე არს ცოდვაჲ ჩემი და ბრალი. აწ უკუე დაშუერ ჩემ თანა ორთა ოდენ შჳდეულთა და ვევედრნეთ ღმერთსა, რაჲთა შემინდოს მე ცოდვაჲ ესე. და ყვეს ესრეთ და შემდგომად ორთა მათ შჳდეულთა იხილვა მადლი ღმრთისაჲ კუალადცა მოსრულად ძმასა მას ზედა და აღსავსენი სიხარულითა ჰმადლობდეს ღმერთსა.

7. თქუა ვინმე მამათაგანმან, ვითარმედ არა არს[5] ცასა ქუეშე ნათესავი რჩეულ ესრეთ ვითარ ქრისტეანეთაჲ. და კუალად შორის[6] ქრისტეანეთა არარაჲ არს ესრეთ პატივცემულ ვითარ დასი მონაზონთაჲ. თჳნიერ ესე ოდენ აქუს სავნებელი, რომელ არწმუნებს ეშმაკი ძჳრისჴსენებად ძმათა და ეტყჳს: და მარქუა მე და ვარქუ მას. და თჳს-თჳსად გუაქუს სიხენეშე ჩუენი და ვერ ვხედავთ მას, არამედ მოცალე ვართ ძებნად[7] უცხოთა ცოდვათა და ესე საქმე არს წარსაწყმედელი სულთაჲ[8].

8. კაცმან ვინმე წმიდამან იხილა სხუაჲ, რომელი ცოდვიდა, იწყო ტირილად, /227v/ და თქუა: ესე დღეს და ხვალე მე.

9. ბერმან თქუა: თუცა თუ ვინ იხილო, რომელი თუალთა წინაშე შენთა ცოდვიდეს, ნუვე განიკითხავ მას, არამედ თქუ, ვითარმედ[9]: მე უცოდვილეს ვარ ყოველთა, დაღათუ იყოს იგი ერისკაცი.

10. ძმამან ჰკითხა ვისმე ბერსა განრჩევისათჳს წულილადთა გულისსიტყუათაჲსა და ჰრქუა: აჰა ესერა, ვხედავ რასმე საქმესა და მიუთხრობ მას სხუასა, არა არსა ესე განკითხვაჲ, არა თუ რაჲთამცა განვიკითხეთ[10], არამედ ოდენ უბნობთ მისთჳს და ვზრახავთ, არა შეგუერაცხოსა იგი განკითხვად? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ გაქუნდეს რაჲმე მისთჳს მანკი გულსა და იტყოდი ვნებულებით[11], ესე განკითხვაჲ არს. ხოლო უკუეთუ თავისუფალ იყო ვნებისაგან, არა შეგერაცხების განკითხვად, გარნა რაჲთა არა აღორძნედეს ბოროტი, უმჯობეს არს დუმილი.

11. სხუამან ძმამან ჰკითხა კუალად მასვე ბერსა და ჰრქუა: უკუეთუ წარვიდე ბერისა ვისამე[12] და ვჰკითხო მას, ვითარმედ მნებავს მას რომელსამე

---

[1] მან – E. [2] ჩემითა – B. [3] არცაღა] არცა B. [4] ~ ჟამსა შინა B. [5] არა არს] არარაჲ C. [6] შორის] შემოდგომად B. [7] ძებნად] ძიებად B. [8] სულთაჲ] სულისაჲ E. [9] ვითარმედ – C. [10] განვიკითხვიდეთ C. [11] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 129r-ზე (აკინძვის შეცდომა). [12] ვისამე] ვისმე E.

თანა ძმასა[1] დამკჳდრებაჲ და მან იცოდის, რომელ არა სჯობს ესე ჩემთჳს, რაჲ მომიგოს მე? რამეთუ უკუეთუ მრქუას მე, თუ ნუ წარხუალ, არა განიკითხავსა მას გონებითა? ჰრქუა მას ბერმან: ესე ესევითარი სიჴშოჲ და სიწლოჲ[2] არა მრავალთა აქუს. რამეთუ უკუეთუ იყოს იგი აღუძრველ ვნებათაგან და თავისუფალ, არა შეერაცხების მას ეგე განკითხვად, რამეთუ არა თუ ძმისათჳს ძჳრი ჰნებავს, არამედ შენსა უმჯობესსა ეძიებს, რომელი ჰკითხავ[3]. ხოლო უკუეთუ ვინ იყოს სრულთაგანი, არავის განიკითხავს, არამედ იტყჳს: ჰრიდე, ძმაო, კნინღა თჳთ დაუწყნარებელ ვარ, გარნა ვჰგონებ, რომელ ესე რაჲმე არა უმჯობეს არს შენდა. და უკუეთუ იყოს გონიერთაგანი, არღარა წარვალს, რამეთუ უმჯობესსა თჳთცა გულისჴმა-ჰყოფს, არამედ ესე საცნაურ არს ყოველთა, რომელ განუკითხველობაჲ /228/ ძმისაჲ ბრძანებულ არს[4] ჩუენდა, არა ცოდვისაჲ[5], თუ არა, ცოდვაჲ ყოველთავე წმიდათა განიკითხეს, რამეთუ უკუეთუ არა ვინმე პირველადვე დასაჯოს ცოდვაჲ და განიკითხოს, ვითარმედ ბოროტ არს და ხენეშ, ვითარ დაუტეოს იგი კაცმან და მოიძულოს. კუალად, უკუეთუ სათნოებაჲ არა გამოარჩიოს[6] უმჯობესად და აქოს, ვითარ შეიყუაროს იგი და შეიტკბოს. ვინაჲცა არა მცოდავსა ჯამს[7] განკითხვაჲ და მოძულებაჲ, არამედ ცოდვასა უკეთურსა.

11. ესმა წმიდათაგანსა ვისმე ძმისა ვისთჳსმე, ვითარმედ დაეცა სიძვითა და თქუა: ოჲ ბოროტად ქმნა. შემდგომად უკუე მცირეთა დღეთა აღესრულა ძმაჲ იგი, და აჰა ესერა, ანგელოზი ღმრთისაჲ მოვიდა ბერისა მის და ეპყრა ჴელთა სული იგი ძმისა მის დაძინებულისაჲ და ჰრქუა ბერსა: აჰა ესერა, ძმაჲ იგი, რომელი განიკითხე, დაიძინა[8], სადა უკუე მიბრძანებ, რაჲთა დავაწესო ესე: სასუფეველსა ანუ სატანჯველსა? და დაადგრა ბერი ვიდრე სიკუდილადმდე მისა სინანულსა შინა და შესტიროდა ღმერთსა მისთჳს მრავლითა[9] ცრემლითა და სულთქუმითა და მჴურვალებითა დიდითა და ტკივილითა სულისა[10], გულისა და გონებისაჲთა.

12. თქუა ვინმე წმიდათაგანმან, ვითარმედ: არარაჲ არს მცნებისა[11] ამის უმჯობეს, რაჲთა არა შეურაცხ-ჰყოფდეს კაცი მოყუასსა თჳსსა, რამეთუ წერილ არს: მხილებით ამხილო მოყუასსა შენსა და არა მიიღო მისთჳს ცოდვაჲ, რამეთუ უკუეთუ იხილო ძმაჲ შენი ცოდვით და არა უთხრა მას ჟამსა ჯეროვანსა უმჯობესი, რაჲთა ბარე ცნას ბრალი თჳსი, სისხლი მისი ჴელთაგან შენთა ძიებულ[12] იქმნეს. ხოლო უკუეთუ კულა ამხილო შემსგავსებულად და იგი მასვე ზედა ეგოს, შენ უბრალოდ იპოო[13]. კეთილ არს უკუე მხილებაჲ სიყუარულითა და არა ძაგებაჲ სიძულილით, არცა

---

[1] ~ ძმასა თანა BCE. [2] სიწლოჲ] სიწლუოჲ B. [3] ჰკითხავ] იკითხავ B. [4] არს – C. [5] არა ცოდვისაჲ] და E. [6] გამოარჩიოს] გამოარჩიეს C. [7] ჯამს] უჯმს B. [8] დაიძინა] დაჲძინა A. [9] მრავლითა – C. [10] სულისა] სულისაჲთა B. [11] მცნებისა] მცნებაჲ C. [12] ძიებულ] მიღებულ B. [13] იპოო] იპოვო E.

მტერულად[1] შეურაცხყოფაჲ და განქიქებაჲ, რომელი-ესე საეშმაკოჲ არს. /228v/

13. ბერმან თქუა: უკუეთუ იხილო ვინმე, რომელი იცინოდის ანუ თუ დიად ჭამდეს, ნუ განიკითხავ მას, არამედ უფროჲსღა თქუ, ვითარმედ: ნეტარ არს ესე, რამეთუ არა ჰქონან ცოდვანი და ამისთჳს მხიარულ არს სული მისი.

14. ბერი ვინმე დიდი ჯდა ასურატანს მთათა შინა დიდისა ანტიოქიისათა და ჰყვა მას ძმაჲ, მზაჲ განკითხვისათჳს. და უკუეთუ ვინ იხილის ძმაჲ რასაცა ზედა ცთომასა, ჴელისჴელ[2] განიკითხავნ მას, მრავალგზის უკუე შჯულს-უდებნ ბერი და ასწავებნ მას, ამისთჳს[3] და ეტყჳნ: ჰრიდე, შვილო, რამეთუ სცთები და წარიწყმედ[4] სულსა შენსა საქმითა მაგით. და რამეთუ არავინ იცის კაცისაჲ, გარნა სულმანვე კაცისამან, რომელი მკჳდრ არს მის შორის. და რამეთუ[5] მრავალთა მრავალგზის მრავალი ბოროტი ქმნეს წინაშე კაცთა და ფარულად წინაშე ღმრთისა შეინანეს. და რამეთუ ცოდვაჲ იგი ოდენ ვიცოდით ჩუენ, ხოლო კეთილსა მას საქმესა, რომელი ქმნნეს და სინანულსა, უმეცარ ვიყვენით. ოდენ მხოლოდ მხოლომან ოდენ იცოდის ღმერთმან. ესრეთვე კუალად სხუათა მრავალი ბოროტი ქმნეს ყოველთავე[6] დღეთა ცხორებისა მათისათა და ჟამსა ოდენ სიკუდილისასა შეინანეს და ცხოვნდეს იგინი ღმრთისა მიერ. კუალად სხუანი ლოცვითა და ოხითა წმიდათაჲთა შეწყალებულ იქმნნეს და შეწყნარებულ ცოდვილნი და წინაკერძო მართალთაჲსა[7] იპოვნეს. ამისთჳსცა დაღათუ თუალითა თჳსითა იხილოს კაცმან კაცი მცოდავად, ნუსადამცა განიკითხავს, რამეთუ ერთი ოდენ არს მხოლოდ განმკითხველი ყოველთაჲ, იესუ ქრისტე, ძჱ ღმრთისაჲ. ხოლო ყოველივე კაცი, რომელიცა ვის განიკითხავს, თავსა თჳსსა თჳთ დასჯის, რამეთუ წინააღმდგომად გამოჩნდების ქრისტესა, ამისთჳს რამეთუ პატივსა მას და ჴელმწიფებასა, რომელი მისცა მას ღმერთმან მამამან, /229/ მიტა/ცებად იკადრებს რაჲთურით ყოლად ვისიცა განმკითხველი.

15. ბერმან თქუა: უკუეთუ იხილო თუალითა შენითა ძმაჲ შენი, რამეთუ დაეცა წინაშე შენსა, ნუ განიკითხავ მას, არამედ თქუ: შეჩუენებულ ხარ, ბელიარ, თუ არა, ძმასა ჩემსა არაჲ უც საქმე ცოდვასა თანა. და დაიცევ გული შენი არა განკითხვად ძმისა, უკუეთუ არა, ივლტოდის შენგან სული წმიდაჲ.

16. თქუა ბერმან: რაჲსათჳს განიკითხავ კაცისმკვლელთა და მემრუშეთა და საფლავთა[8] მკრეხველთა, ანუ ვისცა უსჯულოთა საქმეთა მოქმედსა, რამეთუ ჰყავს მათ თჳსი მსაჯული. ანუ რად ერთკერძო განიკითხავ

---

[1] მტერულად] მტერეულად E. [2] ჴელისჴელ] ჴელ-ჴელ C. [3] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 132r-ზე (აკინძვის შეცდომა). [4] წარსწყმედ B. [5] რამეთუ – C. [6] ყოველთავე] ყოველთა E. [7] მართალთაჲსა] მართალთასა CE. [8] საფლავთა] საფლავისა C.

საქმეთა და უცხოთა გამოეძიებ და შენთა თანაწარჴდები მრავალგზის? უკუეთუ გონიერად განვიცადოთ, ვპოვნეთ ცოდვანი ჩუენნი უძჳრეს მათსა და რამეთუ მრავალგზის მიგჳხედვან თუალთა მიერ უძღებთა, ხოლო ესე ყოველთა ვიცით, თუ ვითარ მრუშებაჲ არს განსრულებული. მრავალგზის კუალად გჳგინებიეს მოყუსისადა და არცა ამისთჳს უმეცარ ვართ, თუ რაჲ განაჩინა მაცხოვარმან, ვითარმედ: რომელმან ჰრქუა ძმასა თჳსსა – სულელ, თანამდებ არს იგი გეჰენიასა ცეცხლისასა. ხოლო არს სხუაჲ უსაშინელესიღა ამისსა, რამეთუ[1] მრავალგზის უღირსად ზიარებულ ვართ წმიდათა ქრისტეს საიდუმლოთა[2]. და რომელსა-იგი განვიკითხავ კაცისკლვისათჳს, იპოოს იგი, რამეთუ კაცი მოკლა ლიტონი. ხოლო ჩუენ, მეშინის, ნუუკუე ვიპოვნეთ თჳთ თავადისა ქრისტეს მკლველად და უღირსად ზიარებითა წმიდასა მას ჴორცსა და სისხლსა მისსა, ვიპოვნეთ თანაზიარ მკლველთა მათ მისთა და ჯუარისმცუმელთა ჰურიათა და ფრიადცა სამართლად. და რამეთუ რომელმან განბძაროს პორფირი სამეუფოჲ და რომელმან შებღალოს[3] და დასუაროს ბაყლითა, ერთითა /229v/ პატიჟითა განიპატიჟნენ ორნივე იგი, ვიდრეღა რომელთა მაშინ[4] ჯუარს-აცუეს და აწ უღირსებით ეზიარებოდინ წმიდათა მათ[5] საიდუმლოთა, ერთსა სასჯელსა მისლვად არიან განჩინებისაებრ ნეტარისა მის[6] მოციქულისა პავლესა[7].

17. კითხულ იქმნა ბერი ვისგანმე, ვითარმედ: რაჲსათჳს ვერ ძალ-მიც მკჳდრობაჲ ძმასა თანა? ჰრქუა მას ბერმან: ამისთჳს, რამეთუ არა გეშინის შენ ღმრთისაგან და რამეთუ უკუეთუმცა მოიჴსენებდი შენ წერილსა მას თუ ვითარ ლოთ სოდომელთა შორის[8] ცხოვნდა, რამეთუ არავინ განიკითხა, ნუუკუე და მჴეცთაცამცა შორის აღირჩიე[9] მკჳდრობაჲ.

18. ბერმან თქუა: უკუეთუ იხილო ძმაჲ შენი, რამეთუ ცოდა, ნუ მას ზედა დაჰკრებ ბრალსა მას, არამედ მბრძოლსა მას მისსა ზედა ეშმაკსა და თქუ: ვითარცა ესე იძლია აწ და მოსცთა, ესრეთვე მე. და ტიროდე წინაშე უფლისა და ეძიებდ შეწევნასა ღმერთისასა და თანაგელმოდენ უნებლიეთ მცთომსა მას და რამეთუ არავის ჰნებავს შეცოდებაჲ ღმრთისაჲ, არცა წარწყმედაჲ სულისაჲ, გარნა ყოველნივე ვსცთებით და ვიმძლავრებით.

19. გჳთხრა ჩუენ ესე ბერმან ვინმე, ვითარმედ მკჳდრ იყო იგი ოდესმე უშინაგანესსა უდაბნოსა და მივიდა მისა ძმაჲ ვინმე მონასტრისაჲ მოხილვად მისა[10]. ჰკითხა მას ბერმან თუ ვითარ არიან მამანი და მან მიუგო: კეთილად ლოცვითა თქუენითა. მერმე ჰკითხა ძმისა ვისთჳსმე, რომელსა სახელი არაკეთილი აქუნდა. და მან ჰრქუა: არღა თავისუფალ ქმნილ არს, მამაო, წუთღა სახელისა მისგან პირველისა. და ვითარცა ესმა ესე ბერსა, თქუა

---

[1] რამეთუ – C. [2] საიდუმლოთა] საიდუმლოთა A. [3] შებღალოს და დასუაროს] შესუაროს და შებღალოს E. [4] ~ მაშინ რომელთა B. [5] მათ] მისთა E. [6] მის – B. [7] პავლესა] პავლესსა C. [8] შორის] თანა C. [9] აღირჩიე] აღირჩია E. [10] მისა] მისსა C.

ესე ოდენ[1] მარტოდ: ოჲ. და მეყსეულად სიტყუასავე ამას თანა მიიტაცა იგი ვითარცა[2] ძილად ღრმად და იხილა თავი თჳსი წინაშე გოლგოთასა მდგომარედ და უფალი ჩუენი იესუ ქრისტე იხილა შორის ორთა მათ ავაზაკთა ჯუარცმულად. /230/ ვაზმენ უკუე, რაჲთამცა მივეახლი და თაყუანის-ვცე მას, იტყოდა იგი თჳთ თავისათჳს თჳსისა, და ვითარცა ვეღონებოდე მე ამას, უბრძანა ჴმითა მაღლითა წინაშემდგომელთა მათ მისთა წმიდათა ანგელოზთა და ჰრქუა: განაძეთ ეგე გარე, რამეთუ წინააღმდგომი არს ჩემი, რამეთუ პირველ ჩემისა განკითხვისა[3] მაგან განიკითხა ძმაჲ თჳსი. და ვითარცა მდევდეს მე იგინი[4] და მოვედ გამოსლვად კარსა, დაემჭკლო[5] ზეწარი ჩემი სივიწრესა მას კარისასა. და დაუტევე იგი მუნ და ვივლტოდე. და მეყსეულად განმკრთა და განმეღჳძა და ვარქუ ძმასა მას მოსრულსა: ბოროტ არს დღენდელი ესე დღე[6] ჩემდა. და მან მრქუა მე: რაჲსათჳს, მამაო? მაშინ მიუთხარ მას, რაჲ-იგი ვიხილე და ვარქუ, ვითარმედ: ზეწარი იგი ჩემი საფარველი ღმრთისაჲ იყო ჩემ ზედა და აჰა ესერა, აწ დავაკლდი მისგან უბადრუკი[7]. და ღმერთსა[8] ვიმოწმებ დიდებისასა, რომელ მიერ დღითგან შჳდი წელიწადი დავყავ შეცდომილმან უდაბნოთა შინა, არა ვნახე გემოჲ პურისაჲ, არა შევედ სართულსა ქუეშე, არა ვეუბნე კაცსა, ვიდრემდის კუალადცა ვიხილე მსგავსად პირველისა უფალი ჩემი და უბრძანა მოცემად ჩემდა პალეკარტისა ჩემისა. ამას იტყოდა ნეტარი იგი ბერი თავისათჳს თჳსისა, ხოლო ჩუენ, რომელთა-ესე გუესმის საქმე ესე საშინელი საკჳრველისა მისგან[9] კაცისა, რაჲ ვთქუათ, რაჲ სხუაჲ, თჳნიერ ესე, ვითარმედ უკუეთუ მართალი[10] ძლით ცხოვნდის, ცოდვილი და უღმრთოჲ სადაღამე[11] გამოჩნდენ?!

20. ბერმან თქუა: არარაჲ ესრეთ განარისხებს და არარაჲ ესრეთ განაშიშულებს კაცსა საფარველისაგან ღმრთისა და წყალობისა, ვითარ განკითხვაჲ და ძჳრისსიტყუაჲ და შეურაცხებაჲ მოყუასისაჲ. და ესოდენ[12] მძიმე არს ცოდვაჲ ესე განკითხვისაჲ, ვიდრეცა თჳთ /230v/ ქრისტემანცა გამოაჩინა სიძნელე და უფროჲსობაჲ მისი სხუათა ყოველთა ცოდვათა[13], ვითარმედ: ორგულო, განაგდე პირველად დჳრე[14] თუალისაგან შენისა და მერმე იხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა. ესრეთ შეაწყო მაცხოვარმან და შეასწორა, რამეთუ ცოდვაჲ მოყუსისაჲ წუელასა ამსგავსა, ხოლო ჩუენი დჳრესა. აწ უკუე, უწყითმცა, საყუარელნო, რომელ არარაჲ არს უძჳრეს და უძნელეს განკითხვისა და ერთბამად ყოველთა ცოდვათა უმძიმეს არს და უბოროტეს განკითხვაჲ მოყუსისაჲ და ძჳრისზრახვაჲ და შეურაცხყოფაჲ, რომელსა ამას მოწმე არს ფარისეველი, რამეთუ განკითხჳთა მით მეზუერისაჲთა ცუდ იქმნა და ოჯერ ყოველთაგანვე კეთილთა. ესრეთვე

---

[1] ესე ოდენ] ესოდენ C. [2] ~ ვითარცა იგი B. [3] ~ განკითხვისა ჩემისა CE. [4] იგინი] ეგენი C. [5] დაემჭკლო] დაეჭკლო B. [6] დღე- B. [7] ~ უბადრუკი მისგან E. [8] ღმერთსა] უფალსა BC. [9] მისგან] ამისგან BC. [10] ~ ძლით ცხოვნდის მართალი E. [11] სადაღამე] სადამე B. [12] ესოდენ] ესე ოდენ E. [13] ცოდვათასა C. [14] ~ დჳრე პირველად C.

და ავაზაკიცა იგი ერთკერძოჲ ამისთჳს ოდენ დაისაჯა[1]. და რამეთუ არარაჲ ესრეთ მოხუეტს სიმდიდრესა მას სულიერსა და სრულებით იავარ-ჰყოფს[2], ვითარ განკითხვაჲ მოყუსისაჲ. რად არა უკუე უფროჲსღა თავთა ჩუენთა განვიკითხავთ? ხოლო ვიტყჳ მე ბოროტთა ჩუენთა, რომელთა ზედამიწევნით მეცნიერ ვართ, დაღათუ არა ყოველთა. და რამეთუ სხუანი მრავალნი გუქონან ცოდვანი და არა მეცნიერ ვართ, გარნა რომელთა მეცნიერ ვართ, იგიცა კმა-გუეყოფიან[3] დასასჯელად. რაჲსათჳს უკუე აღვიტაცებთ საბჭოსა ღმრთისასა?! რაჲ საქმე გჳც დაბადებულსა თანა ღმრთისასა?! რაჲ გჳნა მოყუსისაგან?! რაჲ გუერგების უცხოთა ცოდვათაგან, უკუეთუ უქმად ვერ ვდგათ, გუაქუს კაცად-კაცადსა თჳსი საქმე და საურავი, თჳს-თჳსად ცოდვანი ჩუენნი მრავალნი და მათთჳს განმზადებული იგი გეჰენიაჲ, რამეთუ განმართლებაჲ ვისიცა და დასჯაჲ არა ჩუენი არს საქმე, არამედ ღმრთისაჲ, რომლისა ჴელთა შინა არს /231/ ცხოვნებაჲ[4] გინა წარწყმედაჲ ყოველთა დაბადებულთაჲ. და რამეთუ უკუეთუ დამბადებელად ყოველთა დაბადებულთა გურწამს ღმერთი, საცნაურ არს, ვითარმედ რომელმან დაჰბადნა[5], იგივე გან-ცა-იკითხავს. ნუ ვიცნობთ, ძმანო, ღმერთსა[6] ნახევრებით, ნუ ვიცნობთ, რაჲთამცა სხუაჲ იყო დამბადებელი და სხუაჲ იყო განმკითხველი, არამედ სრულებით ვიცნათ და ყოველივე მას მიუტეოთ, რამეთუ უკუეთუ თჳთ ჩუენთა საქმეთა ღმრთისაჲ ჴამს მინდობაჲ, რაოდენ უფროჲსღა სხჳსათაჲ?! და რამეთუ ღმრთისაჲ ოდენ არს საქმე ეგე, რაჲთა თჳთოეულსა[7] ღირსად მიაგოს, რომელმან უწყის თჳთოეულისა[8] აგებულებაჲ და ზრდილობაჲ და წურთილებაჲ და მადლი და ძალი და შეზავებულებაჲ და სიმარჯუჱ[9] და მომზავებლობაჲ. და რაჲთურთით შეერთებაჲ და განყოფაჲ სულისა და ჴორცთაჲ, ყოველივე უკუე ცხორებაჲ და საქმე სახიერსა მას მივანდოთ მეუფესა, ჩუენიცა და სხუათაჲ, რომელი-იგი განმკითხველი არს გულთა და თირკუმელთა[10], გულისზრახვათა[11] და მოგონებათაჲ და მისწუთების იგი ვიდრე განსაყოფელადმდე სულისა და სამშჳნველისა, ტჳნთა, ნაწევართა და ნასხმანთა, რომლისა მიმართ, მხოლოჲსა ღმრთისა, მოდრკების ყოველი მუჴლი ზეცისათა და ქუეყანისათა და ქუესკნელისათაჲ. ხოლო ჩუენ, ძმანო, უძლურებათა ოდენ ჩუენთა[12] ვიგონებდეთ და თავთა და სულთა და ცხორებასა ჩუენსა ვსტიროდით და ამას ოდენ ვიწურთიდეთ, თუ ვითარ-მე წარვდგეთ დიდსა მას დალიჭსა წინაშე მეუფისა ჩუენისა იესუ ქრისტეს, ძისა ღმრთისა[13].

---

[1] დაისაჯჳ] დაჲსაჯა A. [2] იავარ-ჰყოფს] იავარ-ჰყოფდეს C. [3] კმა-გუეყოფიან] კმა-გუეყოფვიან E. [4] ცხოვნებაჲ] ცხორებაჲ BE. [5] დაჰბადნა] დაჰბადა C. [6] ~ ღმერთსა ძმანო BE. [7] თჳთოეულსა] თითოეულსა E. [8] თჳთოეულისა] თითოეულისა E. [9] სიმარჯუეჱ] სიმარჯუე BC. [10] თირკუმელთა] თირკუმელთაჲ B. [11] გულისზრახვათა] გულისზრახვათაჲ B. [12] ~ ჩუენთა ოდენ C. [13] ღმრთისა] ღმრთისასაC.

21. კუალად თქუა: მოვიგოთ, ძმანო, სიყუარული, მოვიგოთ, ძმანო, მოწყალებაჲ, რაჲთა ამით სახითა განვერნეთ სიმედგრისაგან, განკითხვისა, გინა /231v/ ძჯ/რისზრახვისა ანუ შეურაცხყოფისა მოყუსისა, უფროჲსღა ურთიერთარს შევეწინეთ[1], ურთიერთარს ვიტჯრთოთ და ვითარცა ასოთათჳს ჩუენთა გუელმოდის და რამეთუ ასოებ ვართ ურთიერთარს, ვითარცა მოციქული იტყჳს, ვითარმედ: ჩუენ ყოველნი ერთგუამ ვართ, ხოლო თჳთოეული[2] ჩუენი – ასოებ. და უკუეთუ ელმინ ერთსა ასოსა, მის თანა ელმიედ[3] ყოველთავე ასოთა. ხოლო ქრისტე მოვიდა, მღდელთმოძღუარი იგი ყოფადთა მათ კეთილთაჲ და წყალობით შეგუაერთნა თავსა თჳსსა და დამაგნა ჯუარითა ღმერთსა და მამასა და იგი თავადი თჳთ თავ გუექმნა, მისა დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ![4]

[1] შევეწინეთ, ურთიერთარს ... ურთიერთარს – C. [2] თჳთოეული] თითოეული E. [3] ელმიედ] ელმინ B. [4] A ნუსხაში მთარგმნელის ანდერძი: „ღმერთმან შეუნდვენ, ცოდვილი, თეოფილჱ ამისი თარგმანი“.

თავი ია

განკითხვისათჳს საღმრთოჲსა და განრჩევისა კეთილისა ბოროტისაგან

გუაკურთხენ, მამაო!

I. 1. თქუა **მამამან ანტონი**: მრავალთა განკაფნეს ჯორცნი მათნი მოღუაწებათა შინა და ბოლოჲსა ჟამსა შორს იპოვნეს ღმრთისაგან ამისთჳს, რამეთუ ვერ პოეს განკითხვაჲ.

2. წარვიდეს ოდესმე ძმანი ვინმე **მამისა ანტონისა**[1] კითხვად ოცებათათჳს[2], რომელ ხედვიდეს, რაჲთა ისწაონ მისგან, თუ სარწმუნო არიან ანუ ეშმაკთაგან. და ვითარცა მიიწინეს ბერისა, უსწრო ბერმან და ჰრქუა მათ: ვითარ მოკუდა კარაული იგი მცირე გზასა ზედა? და მათ ჰრქუეს: და შენ ვინაჲ სცან, მამაო? ხოლო მან ჰრქუა: ეშმაკთა მიჩუენეს. და მათ კუალად ჰრქუეს მას: და ჩუენცა ამისთჳს მოვედით კითხვად, რამეთუ მრავალგზის ვხედავთ რასმე უცნებითა. და ოდესმე /232/ იქმნისცა იგი ჭეშმარიტებით და გუეშინის, ნუუკუე რასმე შევსცთეთ. და გულსავსე-ყვნა იგინი ბერმან იგავითა მით ვირისაჲთა, ვითარმედ ეშმაკთაგან არს ყოველი საუცრებაჲ[3].

3. იყო ვინმე უდაბნოს მონადირე ნადირთა ველისათა[4]. ამან იხილა ოდესმე მამაჲ ანტონი მოხარულად ძმათა თანა და დაჰბრკოლდა მისთჳს. ხოლო ბერმან ინება გულსავსეყოფად მისა ვითარმედ, ჯეროვან არს ჟამად-ჟამად თანაშთამოსლვად ძმათა და ჰრქუა მას: შედევ ისარი მშჳლდსა შენსა და მოზიდე[5]. და ყო ეგრეთ. და ჰრქუა მას კუალადცა: მოზიდე. და მოზიდა. მერმე კუალად[6] ჰრქუა მას მესამედ: მოზიდე. მიუგო მონადირემან: უკუეთუ უმეტეს ზომისა მოვზიდნე, მამაო, განტყდეს[7] მშჳლდი ესე ჩემი. ჰრქუა მას ბერმან: ესრეთვე არს, ძმაო, საქმეცა ღმრთისაჲ, უკუეთუ ზომისა მეტად

---

[1] ანტონისა] ანტონისსა CE. [2] უცნებათათჳს BE. [3] საუცრებაჲ] საოცრებაჲ E. [4] ნადირთა ველისათა] ნადირთაჲ ველისათაჲ B; ველისათაჲ E. [5] მოზიდე] მოიზიდე C. [6] კუალად – E. [7] გატყდეს B.

ვაჭირვოთ ძმათა ადრე-ადრე დაჰჴსნდენ იგინი. ჯერ არს უკუე ხანად-ხანად თანაშთამოსლვაჲ ძმათაჲ. ესე რაჲ ესმა მონადირესა მას, გულსავსე იქმნა და ფრიად სარგებელ ეყო. ესრეთვე ძმანი იგი განემტკიცნეს კეთილსა ზედა და აღსავსენი სიხარულითა ჰმადლობდეს ღმერთსა და წარვიდეს სახედ თჳსა.

4. ჰრქუა ვინმე ძმამან **მამასა ანტონის**: ლოცვა ყავ ჩემთჳს, მამაო. ჰრქუა მას ბერმან: არცა მე შეგიწყალო, არცა ღმერთმან, არა თუ შენცა ისწრაფო და ითხოვო ღმრთისაგან.

5. თქუა **მამამან ანტონი**: ღმერთი არა მოუშუებს ბრძოლათა ნათესავსა ამას ზედა, ვითარცა-იგი პირველთა ზედა ამისთჳს, რამეთუ იცის, ვითარმედ უძლურ არიან და ვერ თავს-იდებენ.

6. კუალად თქუა: მოვლენან ჟამნი, რაჲთა ცბოდიან კაცნი. და უკუეთუ ვინმე იხილონ, რომელი არა ცბოდის, აღდგენ მას ზედა და ეტყოდინ: შენ სცბი ამისთჳს, რამეთუ არა იყოს მსგავს მათდა.

7. ცილი ვისმე დასდვეს ძმასა სიძჳსათჳს, რომელი იყო კრებულთა მონასტრისაჲ[1]. /232v/ ესე აღდგა და მოვიდა **მამისა ანტონისა**[2]. ხოლო მოვიდეს ძმანიცა მის მონასტრისანი, რაჲთა განჰკურნონ იგი და წარიყვანონ მათ თანავე და იწყეს მხილებად მისა, ვითარმედ ესე-რაჲმე ესრეთ ჰქმენ. ხოლო იგი მისცემდა უკუღმართ პასუხსა, ვითარმედ: არარაჲ ესევითარი მიქმნიეს. იპოვა უკუე მუნ მამაჲცა პაფნოტი, რომელსა ერქუა კეფალას. და იგავ-დგა[3] სახე ესევითარი: ვიხილე ვინმე კაცი, რომელი დაფლულ იყო ვიდრე მუჴლთადმდე ლიემპალსა შინა და უყესა მდინარისასა. და მოვიდეს ვიეთნიმე მიცემად მისა ჴელისა და დაჰფლეს იგი ვიდრე ყელადმდე მისა. ესმა რაჲ ესე, თქუა მამამან ანტონი მამისა პაფნოტისთჳს: აჰა[4] კაცი ჭეშმარიტი, შემძლებელი განმართებად[5] და ცხოვნებად სულისა. ჰკდემა სიტყუასა მას ზედა ბერთასა ძმათა მათ და მოუდრიკნეს ძმასა მას მუჴლნი და ნუგეშინისცემულ იქმნნეს წმიდათა მათგან მამათა და წარიყვანეს იგი მათ თანა მონასტრადვე.

8. მიიღო ოდესმე **მამამან ანტონი** ეპისტოლე მიწერილი მეფისა კოსტანტისი[6], ვითრამედ: შემოვედ კოსტანტინეპოლედ, რაჲთა ვიკურთხნეთ შენგან. და განიზრახვიდა თჳსაგან, თუ რაჲ ყოს. მერმე ჰრქუა მამასა პავლეს, მოწაფესა თჳსსა, ვითარმედ ჯერ იყო წარსლვაჲ. ჰრქუა მას პავლე, მოწაფემან მისმან: უკუეთუ წარხჳდე, ანტონი გერქუას, ხოლო უკუეთუ არა წარხვიდე, მამაჲ ანტონი გეწოდებოდის.

9. წარვიდა ოდესმე **მამაჲ ანტონი** მთასა ნიტრიაჲსასა **მამისა ამმონაჲსა**[7] და მოიკითხეს[8] ურთიერთარს და მყოვარჟამ[9] ეზრახნეს. მერმე

[1] მონასტრისაჲ] მონასტრისათა C. [2] ანტონისა] ანტონისსა E. [3] იგავ-სდგა E. [4] აჰა + ესერა E. [5] განმართებად] განმართლებად BC. [6] კოსტანტისი] კონსტანტინესი BCE. [7] ამმონაჲსა] ამმონაჲსსა E. [8] მოიკითხეს] მოიკითხნეს B. [9] მყოვარჟამ] მყოვარ B.

ჰრქუა მამამან ამონა მამასა ანტონის: ვინაჲთგან მადლითა ღმრთისაჲთა და ლოცვითა შენითა /233/ განმრავლდეს ძმანი და ჰნებავს ვიეთმე მათგანთა აღშენებად სენაკები მათი შორს-რე, რაჲთა დაეყუდნენ, რაოდენსა[1] ჰბრძანებ ქონებად შუვა[2] სიშორესა გზისასა სენაკებისა მისთჳს აღშენებადისა? ჰრქუა მას მამამან ანტონი: ვჭამოთ პური ჟამსა ცხრაჲჟმისასა და განვიდეთ და მოვლოთ უდაბნოჲ ესე მთისაჲ და გამოვარჩიოთ ადგილი. და ვითარცა ვლეს უდაბნოჲ იგი ვიდრე დასლვადმდე მზისა, თქუა[3] მამამან ანტონი: ვყოთ ლოცვაჲ და დავჰნერგოთ აქა ჯუარი, რაჲთა აქა აღაშენებდენ, რომელთა ენებონ აღშენების. რაჲთა ოდეს ინებოს ურთიერთარს მისლვად თჳსსა სენაკსა შინა, მიიღებდენ მცირესა მას საზრდელსა მათსა ჟამსა ცხრაჲჟმისასა. და ესრეთღა წარვიდოდიან ძმაჲ ძმისა თჳსისა, რაჲთა ადვილადცა აწევდენ მი-და-მო და უშფოთველადცა იყვნენ. ხოლო აქუს სიშორე შუვა[4] გზასა მას, რომელი განუწესა ვითარ ათორმეტ ოდენ უტევან.

II. 1. ჰკითხა **მამამან მარკოზ მამასა არსენის** და ჰრქუა: რაჲსათჳს არიან ვიეთნიმე კაცნი კეთილ და ჟამსა სიკუდილისა მათისასა მრავლითა ჭირითა და იძულებითა გამოვლენ სულნი მათნი ჴორცთაგან? მიუგო ბერმან: რაჲთა ვითარცა მარილი დაიფქვნენ აქავე და მუნ წარვიდენ სრულიად[5] წმიდანი.

2. გჳთხრობდა **მამაჲ დანიელ**, მოწაფე **მამისა არსენისი**, და თქუა, ვითარმედ: ვიპოვე ოდესმე მახლობელად მამისა ალექსანდრესა[6]. და შეიპყრა იგი გურემამან და ტკივილისა მისგან განირთხა თავი თჳსი პირაღმართ. ხოლო დახუდა მას ჟამსა და გამოვიდა ნეტარი არსენი წოდებად მისა. და იხილა იგი განრთხმით[7] მდებარედ და ვითარცა უწოდა მას, ჰრქუა: ვინ იყო ერისკაცი იგი, რომელი /233v/ ვიხილე აქა? ჰრქუა მას ალექსანდრე: და სადა იხილე იგი? და მან თქუა: გარდამოვიდოდე რაჲ მთით, მივხედენ ქუაბით კერძო და ვიხილე ვინმე, რომელი განრთხმულ იყო პირაღმართ. მერმე შეუვრდა მას და ჰრქუა: შენდობა ყავ ჩემთჳს, რამეთუ მე ვიყავ და რამეთუ ტკივილმან შემიპყრა მე სასტიკმან. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ შენ იყავ, არა კეთილად ვაზმენ მე[8], თუ ერისკაცი იყო, ამისთჳსცა ვიკითხე.

3. იტყოდა **მამაჲ დანიელ** ვითარმედ: ძმათა ვიეთმე ენება წარსლვაჲ თებაიდას[9] სელისათჳს და მგზავრ ინებეს ხილვაჲცა **მამისა არსენისი**. და შევიდა ალექსანდრე და უთხრა ბერსა, ვითარმედ: ძმანი მოსრულ არიან ალექსანდრიაჲთ და ჰნებავს ხილვაჲ შენი. ჰრქუა მას მამამან არსენი: ცან პირველად მიზეზი, თუ[10] რაჲსათჳს მოსრულ არიან. და ვითარცა ისწავა, ვითარმედ სელობად წარვლენ თებაიდას[11], მიუთხრა ბერსა. და ბერმან ჰრქუა

---

[1] რაოდენსა] რავდენსა B. [2] შუვა] შუა E. [3] თქუა] ჰრუა E. [4] შუა E. [5] სრულიდ C. [6] ალექსანდრესა] ალექსანდრესსა CE. [7] განრთხმით] განრთხმული C. [8] მე – B. [9] ~ თებაჲდას(A) წარსლვაჲ BC. [10] თუ – C. [11] თებაჲდას AE.

მას: არა იხილონ მათ პირი არსენისი, რამეთუ არა ჩემთჳს მოსრულ არიან, არამედ თავიეთ საქმისათჳს. განუსუენე უკუე მათ და განუტევენ იგინი წარსლვად მშჳდობით და არქუ, ვითარმედ: ბერსა ვერ ძალ-უც შემთხუევად თქუენდა.

III. ჰრქუა **მამამან პეტრე მამასა ლოთს**, ვითარმედ: ვიყავ ოდესმე სენაკსა **მამისა აგათონისსა** და მოვიდა მისა ძმაჲ ვინმე[1] და ჰრქუა: მამაო, მნებავს ძმისა თანა დამკჳდრებაჲ, მარქუ მე, თუ ვითარ ვიყოფებოდი[2] მას[3] თანა. ჰრქუა მას ბერმან: ვითარცა პირველსა მას დღესა, ოდეს შეხჳდე მის თანა, ესრეთ დაიცევ უცხოებაჲ შენი ყოველთავე დღეთა ცხორებისა შენისათა, რაჲთა არა შეგექმნას კადნიერებაჲ მას[4] თანა. ჰრქუა მას მამამან მაკარი: /234/ და რასა იქმს კადნიერებაჲ? ჰრქუა მას ბერმან: მსგავს არს კადნიერებაჲ ხორშაკსა შემწუველსა, რომელი-იგი მოვიდეს, რაჲ ყოველნივე ივლტიან მისგან, რომელი-იგი და ნაყოფსაცა განჰრყუნის ხეთასა. ჰრქუა მას მამამან მაკარი: და ესოდენ ბოროტ არსა კადნიერებაჲ? მიუგო მამამან აგათონ: არარაჲ არს ყოველთა შორის ვნებათა უძჳრეს კადნიერებისა, რამეთუ მშობელი არს იგი ყოველთა ბოროტთაჲ, ხოლო შუენის მუშაკსა კეთილისასა, რაჲთა არა კადნიერობდეს, დაღათუ მარტოჲ იყოს სენაკსა შინა. რამეთუ ვიცი ძმაჲ, რომელმან დაყო სენაკსა შინა მრავალი ჟამი წელთაჲ და იყო არდაბაგი[5] ცხედრისაჲ სენაკსა მას შინა და დაუტევა სენაკი იგი და სხუად წარვიდა. და არა იცოდა დუქნისა მისთჳს, ცხედრისა თუ არს, არა თუმცა სხუასა ეთხრა მისდა[6]. ესევითარი იგი მუშაკი არს კეთილი და წინამბრძოლი რჩეული.

2. იტყოდეს **მამისა აგათონისათჳს**, ვითარმედ წარვიდეს ოდესმე მისა ვიეთნიმე, რომელთა ესმოდა დიდი იგი განკითხვაჲ მისი და ჴელ-ყვეს გამოცდაჲ მისი, განრისხნების თუ გინა არა. და ჰრქუეს მას: შენ ხარა აგათონ, გუესმა შენთჳს, რამეთუ მეძავ ხარ და ამპარტავან? და მან თქუა: მე ვარ, ჰჩ, ეგრეთ არს. და მათ ჰრქუეს: შენ ხარა აგათონ, მომზრახი და მასმენელი? და მან თქუა: მე ვარ. მერმე კუალად ჰრქუეს მას[7]: შენ ხარა აგათონ, მწვალებელი? და მიუგო: არა, ნუ იყოფინ! მწვალებელი არა ვარ. მაშინ შეუვრდეს მას და ჰლოცვიდეს: გჳთხარ ჩუენ, მამაო, თუ რაჲსათჳს ესოდენი[8] ძჳრი ვთქუთ შენთჳს და ყოველივე თავს-იდევ, ხოლო ერთი ეგე ოდენ სიტყუაჲ ვერ იტჳრთე? ჰრქუა მათ ბერმან: პირველსა მას ყოველსა თავით ჩემით ვიჩემებდ[9], რამეთუ სარგებელ არს სულისა, მწვალებლობაჲ კულა განშორებაჲ არს ღმრთისაგან და სრულიად უცხოქმნაჲ /234v/ და ამისთჳს არა თავს-ვიდევ მოსმენად. ხოლო მათ ესმა რაჲ ესე, დაუკჳრდა

[1] ვინმე – C. [2] ვიყოფებოდი] ვიყოფოდი E. [3] მას] მის CE. [4] მას] მის CE. [5] არდაბაგი] არდაბაგაჲ B. [6] მისდა] მისთჳს C. [7] მას – E. [8] ესოდენი] ესე ოდენი E. [9] ვიჩემებდ + და C.

განკითხვაჲ იგი რჩეული ბერისაჲ და წარვიდეს აღშენებულნი სახედ თჳსად და ჰმადლობდეს ღმერთსა.

3. კითხულ იქმნა ოდესმე **მამაჲ აგათონ,** თუ რაჲ არს უმეტეს, შრომაჲ ჴორციელი ანუ ცვულებაჲ გონებისაჲ შინაკერძო. მიუგო ბერმან: მსგავს არს კაცი ხესა და შრომაჲ ჴორციელი არს ფურცელი, ხოლო შინაკერძო ცვულებაჲ გონებისაჲ არს ნაყოფი, ვინაჲთგან უკუე წერილ არს, ვითარმედ: „ყოველმან ხემან, რომელმან არა ყოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას“[1]. საცნაურ არს, რომელ ყოველი[2] მოსწრაფებაჲ ყოვლისავე მუშაკისაჲ ნაყოფისათჳს არს, რომელ არს ცვულებაჲ გონებისაჲ. გარნა საჭმარ არს ფურცელთამიერიცა იგი ჩრდილი შემკობილებისათჳსცა და ნაყოფთა ცვულებისა, ესე იგი არს ჴორციელი შრომაჲ[3]. იყო უკუე ესე **წმიდაჲ მამაჲ აგათონ** ბრძენ ყოვლითურთ სიტყჳთ და საქმით, რომელი არა ოდენ თავსა თჳსსა კმა-ეყოფოდა, არამედ ყოველთავე[4], რომელნიცა მიემთხუეოდეს. ხოლონ იყო იგი უფროჲსღა კეთილად შეწყობილ და შეზავებულ ლოცვითა[5] და ჴელთსაქმრითა და საზრდელითა და სამოსლითა.

4. იქმნა ოდესმე ერისკრებაჲ სკიტეს საქმისა რაჲსათჳსმე და განაწესეს რაჲმე წესი. მოვიდა მამაჲ აგათონ უკუანაჲსკნელ და ჰრქუა მათ: არაკეთილად განიწესა წესი ესე. და მათ ჰრქუეს: და შენ ვინ ხარ, რომელ[6] ყოლად იტყჳ სიტყუასა? ხოლო მან ჰრქუა: ძჱ[7] ვარ კაცისაჲ, რამეთუ წერილ არს: „უკუეთუმცა იქმოდეთ სიმართლესა, ჭეშმარიტებასამცა ჰზრახევდით[8], ძენო კაცთანო“.

5. მანვე თქუა: მრისხანემან დაღათუ მკუდარი აღადგინოს, არა შეწყნარებულ არს იგი ღმრთისა მიერ.

6. კუალად თქუა: უკუეთუ ვინმე იყოს მოყუარე ჩემდა /235/ გარ/ დარეულად და ჩამომიყვანებდეს დაჴსნილობად, მოვკუეთო იგი ჩემგან.

7. იტყოდა **მამაჲ დანიელ,** ვითარმედ: პირველ მოსლვისა მამისა არსენისა მამათა თანა ჩემთა, მეცა დავყავ **აგათონს** თანა. და რამეთუ უყუარდა მამასა აგათონს მამაჲ ალექსანდრე ამისთჳს, რამეთუ მშჳდ იყო და მოღუაწე. დღესა ერთსა ოდესმე იყვნეს ერთად ყოველნივე მოწაფენი მისნი მდინარედ და რცხიდეს სელსა, ხოლო მამაჲ ალექსანდრე მყუდროებით რცხიდა. ჰრქუეს უკუე ბერსა სხუათა მათ ძმათა: მამაო, ძმაჲ ალექსანდრე ვერას ვერ იქმს. ინება ბერმან აღშენებაჲ მათი და ჰრქუა მას: ძმაო ალექსანდრე, კეთილად განრცხი ეგე, რამეთუ სელი არს. და ვითარცა ესმა ესე ალექსანდრეს, შეწუხნა. ხოლო ბერმან ინება მისიცა[9] აღშენებაჲ და ჰრქუა მას: ნუუკუე არა უწყია მე შენთჳს, რომელ კეთილად იქმ, გარნა ესე გითხარ შენ ნეფსით[10], რაჲთა შენსა ზედა მორჩილებასა აღეშენოს გულისსიტყუაჲ ძმათა შენთაჲ.

---

[1] მ. 3,10. [2] ყოველი] ყოველივე C. [3] ~ შრომაჲ ჴორციელი B. [4] ყოველთავე] ყოველთა B. [5] ლოცვითა] ლოცვითაცა C. [6] რომელ ყოლად] რომელი C. [7] ძჱ] ძე C E. [8] ჰზრახევდით] ჰზრახევდით E. [9] მისიცა] მისცა B. [10] ნეფსით] ნებსით E.

IV. გჳთხრა ჩუენ ესე[1] მამათაგანმან ვინმე, ვითარმედ: იყო ვინმე ბერი გულტკივნეული[2] სენაკებს და ემოსა მარტოდ ფსიათი ოდენ ბაიაჲსაჲ[3]. ესე წარვიდა ოდესმე **მამისა ამონაჲსა**[4]. და ვითარცა იხილა იგი ბერმან მოსილად დანაჲსკუდისა ფურცლითა, ჰრქუა მას: ესე არარას გარგებს შენ ყოლადვე. ხოლო მან ჰკითხა თჳსთათჳს გულისსიტყუათა და ჰრქუა[5]: სამნი გულისსიტყუანი მაჭირვებენ მე, მამაო, ერთი – რაჲთა ვიქცეოდი შეცთომილი უდაბნოთა შინა, და მეორჱ[6] – რაჲთა წარვიდე უცხოსა სამე ქუეყანასა, სადა არავინ მიცნობდეს, და მესამედ – რაჲთა შევაწყუდიო თავი ჩემი გამოუვალად სენაკსა შინა, და არცა ერთსა ვის ვზრახვიდე და ორ-ორით ვიმარხვიდე. ჰრქუა მას მამამან ამონა: არცა ერთი არს სამთა მაგათგანი[7] კეთილ შენთჳს, არამედ უფროჲსღა დაჯჯედ სენაკსა შინა შენსა და ჭამდი ყოველთა დღეთა მცირედ-მცირედ და /235v/ გე/ჴსენედ გულსა შინა შენსა სამარადისოდ სიტყუაჲ იგი მეზუერისაჲ და სცხოვნდე ძალითა ქრისტესითა.

V. 1. წარვიდეს ოდესმე სამნი ვინმე ბერნი **მამისა აქილაჲსა**[8] და ერთსა მათგანსა აქუნდა სახელი არაკეთილი. ჰრქუა მამასა აქილას ერთმან მათ ბერთაგანმან: მამაო, მიქმენ მე ბადჱ[9]. ხოლო ბერმან ჰრქუა: არა გიქმ. და კუალად მეორემან ჰრქუა: მამაო, მიქმენ ჩუენ ბადჱ[10], რაჲთა გუაქუნდეს მოსაჴსენებელად სიყუარულისა შენისა მონასტერსა შინა ჩუენსა. და მან ჰრქუა: ვერ მცალს. მაშინ ჰრქუა სხუამან მან[11] ძმამან, რომლისა ჰამბავი[12] არაკეთილი ითქუმოდა: მამაო, ყავ სიყუარული და მიქმენ მე მცირე ბადჱ[13], რაჲთა მაქუნდეს ჴელთაგან შენთა კურთხევაჲ. და ბერმან მეყსეულად[14] ჰრქუა მას: მე გიქმნა შენ ბადჱ[15] კეთილი. მერმე ჰრქუეს ფარულად ორთა მათ ბერთა მამასა აქილას: მამაო, რაჲ ესე ჰყავ, რამეთუ ჩუენ გევედრებოდეთ შენ, რაჲთამცა მიქმენ ბადჱ[16] და არა ინებე და ოდეს ძმამან ამან სხუამან ითხოვა, სიხარულით აღუთქჳ ყოფად. ჰრქუა მათ ბერმან: გითხარ თქუენ, ვითარმედ არა გიქმ, და არა შესწუხდით, რამეთუ არა მცალს. ხოლო ამას უკუეთუ არა უქმნე, იტყჳს: ცოდვაჲ ჩუენი ესმა ბერსა და ამისთჳს არა ინება ქმნად ჩემდა ბადე და შევჰკუეთოთ ამითა[17] საბელესა სულგრძელებისასა. ხოლო აწ, აჰა ესერა, ამით აღვადგინეთ სული მისი, რაჲთა არა გარდამატებითა მწუხარებისაჲთა დაინთქას[18].

2. იტყოდა **მამაჲ ამონა,** ვითარმედ: მივედით მე და **მამაჲ ბიტიმი მამისა აქილაჲსსა** და გუესმა ჩუენ, რამეთუ იწურთიდა იგი სიტყუასა ამას, ვითარმედ: „ნუ გეშინინ, იაკობ, შთასლვად ეგჳპტედ“. და მრავალჟამ დაადგრა

---

[1] ~ ესე ჩუენ BE. [2] გულტკივნეული] გლახაკი B. [3] ბაიაჲსაჲ] ბაჲაჲსაჲ A. [4] ამონაჲსა] ამონაჲსსა CE. [5] ჰრქუა + მას C. [6] მეორჱ] მეორე BCE. [7] მაგათგანი] მამათაგანი C. [8] აქილაჲსა] აქილაჲსსა E. [9] ბადჱ] ბადე BCE. [10] ბადჱ] ბადე BCE. [11] მან – B. [12] ჰანბავი E. [13] ბადჱ] ბადე BCE. [14] მეყსეულად – B. [15] ბადჱ] ბადე BC. [16] ბადჱ] ბადე BC. [17] ამითა] ამით C. [18] დაინთქას] დაჲნთქას AE.

წურთასა ზედა ამის სიტყჳსასა. და ვითარცა ვჰრეკეთ კარსა, განმიღო ჩუენ და მკითხვიდა, თუ სადანი ხართ. ხოლო ჩუენ შევშინდით თქუმად, თუ/236/ სენაკებისანი ვართ, ამისთჳსცა ვთქუთ, ვითარმედ: ნიტრიისა მთისანი ვართ. და მან მრქუა ჩუენ: რაჲ გიყო თქუენ, რამეთუ შორიელნი ხართ. და შეგჳყვანნა ჩუენ შინა და ვპოვეთ[1] იგი[2], რამეთუ ღამე ყოველ ეშრომა, დაეთხზა[3] ფრიად ბაიაჲ[4] და ვჰკითხეთ მას, რაჲთა გჳთხრას ჩუენ სიტყუაჲ. და მან თქუა, ვითარმედ: მე მწუხრითგან ვიდრე აქა ჟამადმდე[5] დამითხზავს ოცი მჯარი და გრწმენინ[6], არა მიჯმს იგი, გარნა რაჲთა არა განრისხნეს ღმერთი ჩემთჳს და მეშჯოდის და მრქუას: შემძლებელ იყავ საქმედ, რაჲსათჳს არა შურებოდე?! ამისთჳს ვიჭირვი და ვშურები და ვჰყოფ ყოველსა ძალსა ჩემსა. და სარგებელ გუეყო და გამოვედით მიერ.

VI. იტყოდეს **მამისა ამონაჲსთჳს**[7]**,** ვითარმედ ყო ოდესმე ორმეოცდაათი საწყაული იფქლი საჯმრად[8] თჳსა და მოწაფეთა თჳსთა და დაჰფინეს იგი მზესა. და ვიდრე კეთილად განჯმობადმდე[9] მისა, იხილა რაჲმე საქმე არასარგებელი მას[10] ადგილსა და ჰრქუა ყრმათა თჳსთა: აღდეგით, წარვიდეთ ამიერ. ხოლო იგინი შეწუხნეს ფრიად. იხილნა რაჲ იგინი ესრეთ შეწუხებულნი, ჰრქუა მათ: ესრეთ შეწუხებულ ხართა პურთა[11] ამათთჳს? ჭეშმარიტად, მიხილვან მე ვიეთნიმე, რომელნი ივლტოდეს და დაუტევნეს მოგლესილნი სარკუმელნი ეტრატისა წიგნებითა, რომელთა არცაღა[12] თუ კარები დაეჯშა, არამედ წარვიდეს და ღიად დაუტევნეს სენაკნი მათნი.

VII.1. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე, ვითარმედ დაყო ორმეოცდაათი წელი, არცა პურსა ჭამდა, არცაღა წყალსა სუმიდა ადრე-ადრე და იტყოდა ვითარმედ: მომიკუდინებიან ვნებანი: სიძვაჲ და ვეცხლისმოყუარებაჲ და ცუდადმზუაობრობაჲ. და მოვიდა მისა **მამაჲ აბრაჰამ,** რამეთუ ასმიოდა სიტყუაჲ ესე, რომელი ეთქუა /236v/ ბერსა და ჰრქუა მას: შენ სთქუა სიტყუაჲ ესე, ბერო? და მან ჰრქუა მას: ჰჱ, მე ვთქუ. ჰრქუა მას მამამან აბრაჰამ: აჰა ესერა, შეხუედ სენაკსა შინა შენსა და ჰპოვე ცხედარსა ზედა შენსა მწოლარე[13] დედაკაცი, ძალ-გიცა შერაცხვად, თუ არა არს იგი დედაკაცი? ჰრქუა მას ბერმან: არა, გარნა ვებრძოდი გულისსიტყუასა ჩემსა არა შეხებად მისა. ჰრქუა მას მამამან აბრაჰამ: აჰა ესერა, არა მოგიკლავს, არამედ ცოცხალ არს ჯერეთ ვნებაჲ იგი, თჳნიერ ოდენ დაბმულ არს. კუალად სლვასა შინა შენსა ხედავ კლდესა და კეცსა, ხოლო შორის ორთავე მათ მდებარესა ოქროსა. ძალ-უცა გონებასა შენსა სწორად ქვისა და კეცისა შერაცხვად ოქროსა მას, რაჲთამცა ჰგონე, თუ არა ოქროჲ არს? მიუგო ბერმან: არა, არამედ ვჰბრძოდი გულისსიტყუასა ჩემსა არა აღებად მისა. ჰრქუა მას აბრაჰამ: აჰა

---

[1] ვპოვეთ] ვპოეთ E. [2] იგი – C. [3] დაეთხზა] დაეთხზნა E. [4] ბაჲაჲ A; ~ ბაიაი ფრიად C. [5] აქა ჟამადმდე] აქამომდე C. [6] გრწმენინ + ჩემი E. [7] ამონნაჲსთჳს CE. [8] საჯმრად] საქმრადE. [9] განჯმობადმდე] გაჯმობადმდე E. [10] მას ადგილსა – BE. [11] პურთა] იფქლთაB; იფქლისათჳს E. [12] არცა B. [13] მწოლარე] მწოლარედ C.

ესერა, ესეცა ცოცხალ არს, გარნა დაბმულ არს. კუალად ჰრქუა მას მამამან აბრაჰამ: აჰა ესერა, გესმის ორთათჳს ძმათა, რამეთუ ერთი გყუარობს შენ და ერთი გძულობს და ბოროტსა იტყჳს შენთჳს. უკუეთუ მოვიდენ ორნივე იგი შენდა, სწორად იპყრნეა ორთავე[1]? და მან თქუა: არა, გარნა ვჰბრძოლო გულისსიტყუასა ჩემსა კეთილისყოფად მოძულისა მის ჩემისა, ვითარცა-იგი და მოყუარისათჳს[2]. ჰრქუა მას მამამან აბრაჰამ: აჰა ესერა, ცოცხალ არიან ვნებანი და[3] დაბმულ ოდენ[4] არიან წმიდათა მიერ შეწევნითა ღმრთისაჲთა.

2. იტყოდა ვისთჳსმე მამათაგანისა **მამაჲ აბრაჰამ,** ვითარმედ: მწერალი იყო ჴელოვანი და პურსა არა ჭამდა. და[5] მოვიდეს ოდესმე ძმანი ვედრებად მისა, რაჲთა დაუწეროს წიგნები. ხოლო ბერი შექცეულ იყო გონებითა ხედვათა მათ საღმრთოთა და მიიღო ჴელად და დაწერა ნახევარი /237/ მუჴ/ლისაჲ და არა განასრულა. და ვითარცა მიიღო[6] ძმამან, პოვა რამეთუ უსრული[7] იყო და ჰრქუა ბერსა: უსრული არს, მამაო, მუჴლიცა იგი, რომელ დასწერე. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ, ძმაო, და პირველად ქმენ საქმით[8] დაწერილი ეგე და მერმე მოვედ და სხუაჲ დაგიწერო შენ.

VIII. ჰკითხა ოდესმე **მამამან აგათონ მამასა ალონის** და ჰრქუა: ვითარ ვიპყრა მამაო, ენაჲ ჩემი, რაჲთა არა იტყოდის ცრუსა? ჰრქუა მას მამამან ალონი: უკუეთუ არაჲ[9] სთქუა ცრუდ, მრავალსა ცოდვასა შთაჰვარდე. და მან ჰრქუა: ვითარ? მიუგო ბერმან: აჰა ესერა, ორთა კაცთა კაცი მოკლეს და ერთი მათგანი მოივლტოდა სენაკად შენდა. და მთავარი ეძიებს მას სასიკუდინედ. და შენ გკითხავს მისთჳს და გეტყჳს, შენ თანა არსო[10], კაცისმკლველი იგი, უკუეთუ არა სთქუა ნაცილი, მისცე კაცი სიკუდილად. უფროჲსღა უტევე საქმე ეგე წინაშე ღმრთისა თჳნიერ კრულებისა, რამეთუ მან უწყის ყოველივე საიდუმლოჲ[11] გულისაჲ.

IX. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე, ვითარმედ: მრავალსახენი მოღუაწებანი ქმნნა თებაიდას[12] სიყრმესა შინა მისსა და სიჭაბუკესა. და სიბერესა შინა მისსა დასნეულდა და დაბრმა და[13] მრავალსა ნუგეშინისცემასა მოართუმიდეს ძმანი და თჳთ აჭამებდეს ჴელთა მიერ თჳსთა. მერმე ჰკითხეს **მამასა აიონს**[14] ამისთჳს[15], თუ რაჲ იქმნეს[16] მრავალსა მას ზედა ნუგეშინისცემასა მისსა. ჰრქუა მათ ბერმან: გეტყჳ თქუენ, უკუეთუ გულისთქუმით და გემოვნებით თანაშთამოჰყვეს გონებითა, ერთიცა თუ ფინიკი შეჭამოს, მოაკლოს ღმერთმან შრომათაგან მისთა. უკუეთუ კულა გონებაჲ დაიმჭიროს[17] ზე და არა თანაშთამოჰყვეს გემოვნებათა, არამედ უფროჲსღა უძნდეს და ეწყინებოდის, სრულად დაუმარხოს ღმერთმან სასყიდელი შრომათა მისთაჲ, რამეთუ უნებლიეთ იიძულების. ხოლო რომელნი-იგი /237v/ ანუ/კვებენ მას, მადლი დიდი მიეცემის მათ ღმრთისაგან.

---

[1] ორნივე C. [2] მოყუარისათჳს] მოყუარისთჳს B. [3] და] არამედ B. [4] ოდენ – C. [5] და – BC. [6] მიიღო – B. [7] უსრულ CE. [8] ~ საქმით ქმენ E. [9] არა E. [10] არსE. [11] საიდუმლოჲ] საჲდუმლოჲ AE. [12] თებაიდას] თებაჲდას AE. [13] და – B. [14] აგათონს B; აჲონს A. [15] ამისთჳს] მისთჳს BE. [16] იქმნეს] ქმნეს E. [17] დაიმჭიროს] დაჲმჭიროს AE.

X. მამასა გელასის დაუტევა ბერმან ვინმე სენაკი თჳსი და დაბაჲ სენაკისაჲ მის. ხოლო ბერი იგი იყო მკჳდრყოფილი ნიკოპოლის პალესტინისასა. და ესე ბერი მოკუდა და სენაკი მისი[1] და დაბაჲ კეთილი დაუტევნა მამასა გელასის. ხოლო იყო მათ ჟამთა შინა ბაკატოს ვინმე, რომელსა პირველობაჲ აქუნდა ნიკოპოლის შინა. ამის ბაკატოჲს მუშაკი იყო თჳსი ბერისა მის აღსრულებულისაჲ. და ვითარცა ესმა სიკუდილი მისი, აუწყა ბაკატონს ბერისა მისთჳს და სენაკისა და[2] დაბისა. ხოლო ბაკატოს[3] უგუნურებით მკლავითა ჴელ-ყო დაპყრობაჲ დაბისაჲ მის და მოღებაჲ მამისა გელასისგან[4]. გარნა წინააღუდგებოდა მას მამაჲ გელასი და ეტყოდა: არა მივსცე სენაკი მონაზონისაჲ ერისკაცსა უკუნისამდე. ვინაჲცა დაუმზირა ვაკატოს კარაულთა მამისა გელასისთა, მო-რაჲ-აქუნდა დაბისა მისგან ზეთისხილი და წარასხნა სახედ თჳსად და ტჳრთი იგი მათი ყოველივე წარიღო და ძნიადღა კარაულნი ცალიერნი[5] შეაქცინა მუქერთა თანა მისთა[6]. გარნა ნეტარმან მამამან[7] გელასი ნაყოფისა მისთჳს ყოლადვე[8] არაჲ იზრუნა, ხოლო დაბაჲ იგი ჴელმწიფებისაგან თჳსისა[9] არა განუტევა მიზეზისა მისთჳს პირველჴსენებულისა. შეუძნდა საქმე ესე ბაკატონს და რეცა თუ სხუათაცა საქმეთათჳს კოსტანტინეპოლედ წარემართა. და ჴმელით იწყო სლვად გზასა მას თჳსსა. და ვითარცა მიიწია ანტიოქიად, ესმა წმიდისა სჳმეონისთჳს, რომელი-იგი მაშინ ბრწყინვიდა სახედ დიდთა მათ მნათობთა ელვისათა.[10] უთქუა გულმან ვითარცა ქრისტეანესა აღსლვად[11] და ხილვად წმიდისა მის და რამეთუ იყოცა ნეტარი იგი /238/ ზეშთა უაღრეს ბუნებისაგან კაცთაჲსა. და ვითარცა მიიწია იგი და შევიდა მონასტრად, ჰკითხვიდა მას წმიდაჲ სჳმეონ[12] სუეტით გარდამო: ვინ ხარ, კაცო, ანუ ვინაჲ მოხუალ, ანუ სადა წარმართებულ ხარ? მიუგო წმიდასა ბაკატოს და ჰრქუა: პალესტინით მომავალ[13] ვარ მე, წმიდაო ღმრთისაო, და კოსტანტინეპოლედ[14] წარმართებულ ვარ. და წმიდამან ჰრქუა მას: რომლისა მიზეზისათჳს, ძმაო? მიუგო ვაკატოს: მრავალთათჳს საქმეთა და საურავთა და ვესავ წმიდათა ლოცვათა თქუენთა, რაჲთა კუალადცა აქაჲთვე მოვიქცე და თაყუანის-ვსცე კუალსა წმიდათა[15] ფერჴთა თქუენთასა. ჰრქუა მას წმიდამან სჳმეონ[16]: არა იტყჳა[17], უსასოო, რომელ კაცისა ღმრთისა შესმენად წარხუალ, გარნა არა განგემარჯოს შენ, არცაღა[18] იხილო სახლი შენი. აწ უკუე ერჩდე თუ ზრახებასა ჩემსა, ამიერვე აქაჲთ[19] შეიქეც და წარვედ და შეუვრდი მას და ითხოვე შენდობაჲ, უკუეთუ ოდენ მიღაიწიო ცოცხალი. და მასვე ჟამსა შეიპყრა იგი მჴურვალებამან

[1] სენაკი მისი – B. [2] და- C. [3] ბაკატოს] ბაკატო E. [4] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 145r-ზე (აკინძვის შეცდომა). [5] ცალიერნი] ცარიელნი BE. [6] ~ მისთა თანა E. [7] მამამან – C. [8] ყოლადვე] ყოლად E. [9] თჳსისა + ყოლადვე C. [10] ელვისათა] ელვარეთა E. [11] აღსლვად] მისლვად BE. [12] სჳმეონ] სიმეონ C; სჳმიონ E. 13 მომავალ] მომავალი E. [14] კოსტანტინეპოლედ] კოსტანტინოპოლედ E. [15] წმიდათა – E. [16] სჳმიონ + რად E. [17] არა იტყჳა] რად არა იტყჳს B. [18] არცაღა] არცა B. [19] აქაჲთ] აქაჲთვე E.

და მის თანა მყოფთა მათ აღიღეს იგი და შესუეს ნავსა შინა[1] მალესა და წარემართნეს სიტყჳსაებრ წმიდისა სჳმეონისა[2], რაჲთა მიუთუალონ დაბაჲ იგი და ითხოონ შენდობაჲ მამისა გელასისგან. გარნა მიიწინეს რაჲ ბივრიტე ქალაქად, მოკუდა ბაკატოს და აღესრულა წინაწარმეტყუელებაჲ იგი წმიდისაჲ და სახლი თჳსი ვერღარა იხილა. ესე ძემან მისმან, რომელსა მასცა ბაკატოს ეწოდებოდა, შემდგომად სიკუდილისა მამისა მისისა[3] მიუთხრა კაცთა ღმრთისმოშიშთა და სარწმუნოთა.

XI.1. იტყოდეს **მამისა დანიელისთჳს**, ვითარმედ ოდეს[4] მოვიდეს ბარბაროზნი[5] სკიტეს, ივლტოდეს ყოველნივე იგი მამანი, ხოლო ბერმან თქუა: უკუეთუ არა ზრუნავს ჩემთჳს ღმერთი, რაჲსათჳს ვზი აქა! და განვლო შორის /238v/ ბარბაროზთა მათ[6] და ვერ ნახეს იგი. მერმე თქუა, თჳსაგან: აჰა ესერა, გიზრუნა ღმერთმან და არა მოჰკუედ. აწ უკუე ყავ შენცა კაცობრივი და ივლტოდე, ვითარცა სახედ ივლტოდეს მამანი.

2. კუალად თქუა **მამამან დანიელ**: რაოდენცა განსუქნენ[7] ჴორცნი, ეგოდენცა დამჭლდების[8] სული და რაოდენ დამჭლდენ[9] ჴორცნი, ეგოდენ განიშუებს[10] სული.

3. გჳთხრობდა ჩუენ **მამაჲ დანიელ,** ვითარმედ: ოდეს იყო მამაჲ არსენი სკიტეს, იყო ვინმე მუნ ძმაჲ მონაზონი და იპარვიდა ჭურჭლებსა ბერთასა. მერმე წარიყვანა იგი მამამან არსენი სენაკად თჳსა[11], რამეთუ ინება შეძინებაჲ ძმისაჲ მის და ბერთაცა განსუენებაჲ. და ჰრქუა: ოდეს რაჲმე გიჴმდეს, ჩემ თანა მოხჳდოდე და წარიღებდი, ოდენ იპარავ ნუ. და მისცა მას ოქროჲცა და კერმაჲ და სამოსლები სამონაზნოჲ და ყოველივე საჴმარი მისი. ხოლო იგი წარვიდა და კუალადცა იპარვიდა. ვითარცა იხილეს ესე ბერთა, რამეთუ არა დასცხრა პარვისაგან, განიოტეს იგი და განდევნეს მონასტრით[12] და თქუეს: უკუეთუ იპოოს ძმაჲ და აქუნდეს[13] რაჲმე უძლურებაჲ რაჲცა გუარი, ჯერ არს ტჳრთვაჲ მისი და ჩუენებად მისა სულგრძელებაჲ. ხოლო უკუეთუ კულა მპარავი იყოს, ჯერ არს განდევნაჲ მისი და ოტებაჲ, რამეთუ სულსაცა თჳსსა წარსწყმედს[14] და მყოფთა მათ ადგილისათა აღაშფოთებს.

XII.1. კითხულ იქმნა ოდესმე **ნეტარი ეპიფანე,** თუ რაჲსათჳს ათნი არიან მცნებანი შჯულისანი, ხოლო ნეტარებანი იგი მომიჴსენისანი არიან ცხრანი. და მან მიუგო: ათთა მათ გუემათა ეგჳპტისათა სახედ არიან ათნი მცნებანი, ხოლო ნეტარებანი იგი ცხრანი სამკეცად რაჲ შეიკეცნენ, /239/ გა/მოსახვენ ყოლად[15] წმიდასა სამებასა.

---

[1] შინა – BE. [2] სჳმეონისა] სჳმიონისსა E. [3] მისისა] თჳსისა BE. [4] ოდეს] ოდესმე C. [5] ბარბაროზნი] ბარბაროსნი E. [6] მათ – C. [7] განსუქნენ] განასუქნე E. [8] დამჭლდენ] დამდაბლდების C. [9] დამჭლდებინ] დამდაბლდებინ C. [10] განიშუებს] განისუენებს E. [11] თჳსა] თჳსად CE. [12] მონასტრით] მონასტრისაგან BE. [13] აქუნდეს] ჰქონდის B. [14] წარსწყმედს] წარიწყმედს B. [15] ყოლად] კუალად E.

2. კუალად კითხულ იქმნა იგივე, თუ: კმა არს ერთი მართალი ვედრებად ღმრთისა ერისათჳს? და მან თქუა: ჰᲩ, და რამეთუ თჳთ იგივე თავადი იტყჳს: მიმოვლეთ და ძიება ყავთ, უკუეთუ იპოოს ერთი, რომელი[1] ჰყოფდეს მსჯავრსა და სიმართლესა და მოწყალე ვექმნე ყოველსავე ამას ერსა.

XIII. წარჰვლიდა ოდესმე **ნეტარი ეფრემ** და ზრახებითა ეშმაკისაჲთა მოუჴდა მას ერთი დედათაგან გარემავალთა და ჰლიქნიდა მას მის თანა ბილწებისათჳს, რაჲთა ორთაგან საქმეთა არაკეთილთა ერთი მოავლინოს[2], ანუ რაჲთა თანაზიარ ცოდვისა ქმნას[3] ანუ კულა, რაჲთა აღძრას იგი გულისწყრომად, რამეთუ არავის ეხილვა განრისხებული. მაშინ ჰრქუა ნეტარმან ეფრემ დედაკაცსა მას: შემომიდეგ მე ვიდრეცა ვიდოდი. და წარვიდა იგი შორის ურაკპარაკთა სიმრავლესა თანა დიდძალსა და ჰრქუა დედაკაცსა მას: ამას ადგილსა მნებავს აღსრულებაჲ[4] წადილსა გულისა შენისასა, Ჰ დედაკაცო. ხოლო მან იხილა რაჲ სიმრავლᲩ[5] იგი ერისაჲ, ჰრქუა მას: ვითარ ეგების შორის ესოდენისა ერისა ყოფაჲ საქმისა[6] მაგის, ანუ არა სირცხჳლ არსა ჩუენდა? ჰრქუა მას წმიდამან ეფრემ: უკუეთუ ნანდჳლვე კაცთაგან გურცხუენის[7], არა უფროჲსღა ჯერ არსა სირცხჳლი ღმრთისაგან, რომელი-იგი ხედავს დაფარულთა გულისათა და ცხადად ამხილებს საქმეთა ბნელისათა. ვინაჲცა ჰკდემა დედაკაცსა მას და წარვიდა სირცხჳლით[8].

XIV. 1. იტყოდეს **მამისა ზენონისთჳს**, ვითარმედ პირველად არარას ვისგან მიიღებდა ყოლადვე და ამის საქმისა გამო უძნდა მათ, რომელთა მოაქუნდა, რამეთუ არა მიიღებდა. და კუალად სხუანი მოვიდოდეს[9] და ეძიებდეს /239v/ მისგან ევლოგიასა, ვითარცა ბერისაგან დიდისა. და არაჲ[10] აქუნდა მას, რაჲცა მისცა. და იგინიცა წარვიდოდეს შეწუხებულნი. მერმე თქუა ბერმან: რაჲ ვყო, რამეთუ რომელთა იგი მოაქუს და რომელთა იგი ჰნებავს მიღების, ორნივე წარვლენ შეწუხებულნი. უფროჲსღა ვჰგონებ თუ ესე უმჯობეს იყოს, რაჲთა რომელი ვინ მოიღებდეს, დავიყენო და რომელი ითხოვდეს, მივსცემდე. ესე ყო და განისუენა და ყოველნივე გულსავსე-ყვნა.

2. მივიდეს[11] ოდესმე მისა ძმანი და ჰკითხვიდეს, თუ რაჲ[12] არს სიტყუაჲ იგი, რომელი წერილ არს იობსა, ვითარმედ: „ცანიცა არავე წმიდა არიან წინაშე შენსა უფალო“. მიუგო ბერმან და ჰრქუა მათ: დაუტევეს ძმათა ზრუნვაჲ ცოდვათათჳს თჳსთა და ცათასა გამოეძიებენ[13]. ხოლო ძალი სიტყჳსაჲ[14] მაგის ესე არს, ვითარმედ: მხოლოჲ ოდენ არს ღმერთი სრულად წმიდაჲ, ამისთჳს იტყჳს თუ, ცანიცა ვერ წმიდა არიანო[15] წინაშე შენსა, რამეთუ ვერარაჲ შეესწორების დაბადებულთაგანი ნეტარსა მას თანა სიწმიდესა ღმრთისასა.

---

[1] რომელი] რაჲთა B. [2] მოავლინოს] მოივლინოს B. [3] ქმნას] იქმნეს CE. [4] აღსრულებაჲ] აღსრულებად C. [5] სიმრავლᲩ] სიმრავლე BCE. [6] საქმისა] საქმისაჲ E. [7] გურცხუენის] გრცხუენის E. [8] ~სირცხჳლეული წარვიდა B; სირცხჳლეული E. [9] მოვიდოდეს] მოვიდეს E. [10] არაჲ] არა E. [11] მივიდეს] მოვიდეს E. [12] რაჲსათჳს B. [13] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 141r-ზე (აკინძვის შეცდომა). [14] სიტყჳსაჲ] სიტყჳსა E. [15] არიან E.

3. იტყოდეს **მამისა ზენონისთჳს,** ვითარმედ მცირედ სწავლულ იყო და ჴმელ ჴორცითა, ხოლო მახჳლ გონებითა და ფრთხილ და გულსმოდგინედ მჴურვალებითა ღმრთისა სიყუარულისაჲთა[1] აღსავსე. ხოლო აქუნდა მას კაცთაცა[2] მიმართ სიყუარული და მოწლებაჲ[3] ფრიადი, რომლისათჳს ყოვლით კერძოვე[4] მოვიდოდეს მისსა ერისკაცნიცა და მონაზონნი და განიკითხვიდეს მის თანა თჳსთა გულისსიტყუათა და განიკურნებოდეს და წარვიდოდეს, ხოლო ერთი ვინმე მამათაგანი მკჳდრობდა მახლობელად მამისა ზენონისა[5] ოდესმე და ვეზრახენით მას და მან ყო სიტყუაჲ ჩუენდა[6] მომართ სარგებელისათჳს სულისა. ხოლო ჩუენ ვჰკითხეთ მას /240/ გულისსიტყუათათჳს რომელთამე და ვარქუთ: უკუეთუ ვისმე აქუნდეს გულისსიტყუაჲ და ხედვიდეს თავსა თჳსსა ძლეულად მისგან და აღმოიკითხვიდეს მრავალგზის და ესმოდის, თუ რაჲ თქუეს წმიდათა მამათა სიწმიდისათჳს და ენებოს, რაჲთამცა წარჰმართა და ვერ ეძლოს[7], რაჲ ყოს? კეთილ არსა, რაჲთა მიუთხრას ვისმე მამათაგანსა, ანუ უღირს, რაჲთა აჩუენოს მოსწრაფებაჲ მას ზედა, რასა-იგი აღმოიკითხავს და კმა-იყოს[8] აღწერილი იგი და სჳნიდისი თჳსი? და ბერმან მრქუა ჩუენ: უჴმს უეჭუელად, რაჲთა მიუთხრას, გარნა მას რომელი შემძლებელ იყოს რგებად მისა და[9] რამეთუ არავის უღირს ოდესცა მინდობად თავსა თჳსსა, ვერცა ვის ძალ-უც შეწევნად გინა სარგებელყოფად თავისა და უფროჲსღა, უკუეთუ უსწროს და დაიმონოს[10] იგი[11] რამანცა[12] ვნებამან. და რამეთუ სიჭაბუკესა ჩემსა შემემთხჳა მეცა ესევითარი რაჲმე[12] და მაქუნდა მე ვნებაჲ რაჲმე სულიერი და ვიძლეოდე[14] მე[15] მისგან და მესმოდა მამისა ზენონისთჳს, რამეთუ მრავალთა ჰკურნა. ვინებე რაჲთამცა წარვედ[16] და მიუთხარ[17] მას და დამიხრწიის მე[18] ეშმაკმან და მრქჳს, ვითარმედ: ვინაჲთგან იცი, თუ რაჲ ჯერ არს ყოფად, ქმენ ვითარცა აღმოიკითხავ და რაჲსაღა წარხუალ და დააბრკოლებ[19] ბერსა. და ოდეს მენების გამოსლვაჲ[20] და წარსლვაჲ ბერისა, მცირედ აღმისუბუქდის მე ბრძოლაჲ იგი, რაჲთა არღარა წარვიდე. ხოლო ოდეს დავიდვი გულსა არღარა წარსლვად ბერისა, კუალადცა მაშთობნ[21] მე ვნებაჲ იგი და კუალად ვეცადი წარსლვად და კუალად აღმისუბუქდის. და მასვე მზაკუავნ მტერი და არა მიტეობდა[22] მე[23] წარსლვად და თხრობად ბერისა. მრავალგზის უკუე მივედ ბერისა, რაჲთამცა აღუვარე[24] და არა მიტევის მე მტერმან, რამეთუ სირცხჳლი /240v/ მომა/რთჳს მე და ეტყჳნ გულსა ჩემსა, ვითარმედ: ვინაჲთგან იცი განკურნებაჲ თავისაჲ, რადღა

[1] სიყუარულისაჲთა] სიყუარულითა B. [2] კაცთაცა] კაცთა C. [3] მოწყალებაჲ BC. [4] კერძოვე] კერძო E. [5] ზენონისა] ზენონისსა E. [6] ჩუენდა] ჩუენ C. [7] ეძლოს] უძლოს C. [8] კმა-იყოს] კმა-ჲყოს A. [9] და – B. [10] დაიმონოს] დაჲმონოს AC. [11] იგი] იგიცა B. [12] რამანცა – B. [13] რაჲმე – B. [14] ვიძლეოდე] ვიძლიე ოდესმე B. [15] მე – E. [16] წარვედ] წარ-ვიდე E. [17] მიუთხარ] მიუთხრა E. [18] მე- B. [19] დააბრკოლებ] აბრკოლებ C. [20] გამოსლვაჲ და – BC. [21] მაშთობენ E. [22] მიტეობდა] მიტევებდა C. [23] მე – E. [24] აღუვარე] აღუარე E.

საჴმარ არს თქუმაჲ ვისიცა. და რამეთუ შენ თჳთ უდებ-გიყოფიეს თავი შენი, თუ არა, იცი, თუ[1] რაჲ თქუეს მამათა. ამას ესევითარსა მეტყჳნ მე წინამოსაჴული იგი ჩემი, რაჲთა არა უჩუენო წყლული ჩემი მკურნალსა და განვიკურნო. უწყოდა უკუე შეტყუებით ბერმან, ვითარმედ, მქონან მე გულისსიტყუანი და არა მამხილებდა მე, რამეთუ მოელოდა თჳთ ჩემგან აღსარებასა[2], გარნა მასწავებენ ოდენ მოქალაქობისათჳს კეთილისა და ესრეთ განმიტევის. უკუანაჲსკნელ უკუე გოდებით და ცრემლით[3] ვარქუ სულსა ჩემსა[4]: ვიდრემდის, უბადრუკო სულო, არა გნებავს განკურნებაჲ, სხუანი შორით მოვლენ ბერისა და განიკურნებიან[5], შენ არა გრცხუენისა, რამეთუ მახლობელად შენსა გყავს მკურნალი და არა განიკურნები? და განვჰურდი გულითა, აღვდეგ და ვთქუ: წარვიდე ბერისა და უკუეთუ არავინ ვპოო მე მისა სხუაჲ, უწყი, რამეთუ ნებაჲ ღმრთისაჲ არს თხრობად მისა გულისსიტყუათა ჩემთა. და ვითარცა წარვედ, არცა ერთი ვინ ვპოვე[6]. ხოლო ბერმან ჩუეულებისაებრ იწყო სწავლად ჩემდა ცხორებისათჳს სულისა და რაჲთა შეუძლოს ვინ განწმედად თავსა თჳსსა ხენეშთაგან გულისსიტყუათა. და მე[7] კუალადცა მრცხუენოდა და ვერ ძალ-მედვა აღსაარებად. ამისთჳს ვევედრებოდე, რაჲთა ადრე განმიტეოს მე. და აღდგა ბერი და ყო ლოცვაჲ და წარმგზავნა[8] მე, რამეთუ ვიდოდა წინაშე ჩემსა ვიდრე გარეგანად კარადმდე. ხოლო მე ვისაჯებოდე გულისსიტყუათაგან, უთხრა, ანუ თუ[9] არა უთხრა ბერსა. ამისთჳს ნელიად-ნელიად ვიდოდე შემდგომად ბერისა. ხოლო ბერმან არა მომხედნა[10] მე, არამედ დასდვა ჴელი განღებად /241/ კარსა[11] და ვითარცა მიხილა მე, რამეთუ ვისაჯებოდე გულისსიტყუათა მათგან მრავალჟამ, მოიქცა ჩემდა და მცა ჴელითა მკერდსა და მრქუა მე: რაჲ გჭირს, და რამეთუ მეცა კაცი ვარ. და ვითარცა მრქუა მე ბერმან სიტყუაჲ ესე, ვჰგონე, ვითარმედ გული ჩემი განაღო, დავვარდი ფერჴთა თანა მისთა, შეუვრდი ცრემლით და ვარქუ მას: შემიწყალე მე, მამაო! ხოლო მან მრქუა მე: რაჲ გჭირს? და მე ვარქუ: შენ უწყი, მამაო, თუ რაჲ მჭირს. და მან მრქუა მე: შენგან ჯერ არს თქუმაჲ, თუ რაჲ არს. და მე სირცხჳლით აღუვარე მას ვნებაჲ იგი ჩემი. და მან მრქუა მე: და რაჲსათჳს გრცხუენოდა, მითხარღა, არა მეცა კაცი ვარა თანამდები ბრალთა და ცოდვათაჲ?! გნებავსა, რაჲთა გითხრნე ბრალნი ჩემნი? არა სამი წელიწადი გაქუსა გულისსიტყუათა ამას შინა და მოხჳდი ჩემდა და ვერ აღმიარნი? ხოლო მე კუალადცა შეუვრდი[12] და ვევედრებოდე მას და ვეტყოდე: შემიწყალე მე ღმრთისათჳს. და მან მრქუა მე: წარვედ და ნუ უდებ-ჰყოფ ლოცვასა შენსა და ნუცა ერთსა ვის განიკითხავ. წარვედ უკუე სენაკად ჩემდა და არა უდებ-ვყავ ლოცვაჲ ჩემი

[1] თუ – B. [2] აღსარებასა] აღსაარებასა E. [3] ცრემლით] სულთქუმით C. [4] აქ E ნუსხა წყდება. [5] განიკურნებიან + და C. [6] იპოვა B. [7] მე – C. [8] წარმგზავნა] წარგზავნა BC. [9] თუ- B. [10] მომხედნა] მომხედა B. [11] ~ კარსა გაბღებად B. 12 შეუვრდი] შეურდი B.

და მადლითა ქრისტესითა და ლოცვითა ბერისაჲთა არღარა შევიწრდი ვნებისა მისგან. ხოლო შემდგომად წელიწდისა ერთისა მომიჴდა მე[1] გულისსიტყუაჲ ესევითარი და მეტყოდა: ღმერთმან თჳთ ყოო[2] შენ თანა წყალობაჲ თჳსი[3] მრავალთაებრ მოწყალებათა თჳსთა და არა თუ ბერისა გამო რაჲმე სარგებელ-გეყო. და წარვედ მისა და ვინებე გამოცდაჲ მისი. და განვიყვანე მე თჳსაგან, მოუდრიკენ[4] მუჴლნი და ვარქუ: გევედრები[5] ღმრთისმოყუარებასა შენსა, მამაო, ლოცვა ყავ ჩემთჳს გულისსიტყუათა მათთჳს, რომელნი აღგიარენ შენ ოდესმე. და მან მიტევა მე მდებარედ ფერჴთა თანა /241v/ მისთა და მცირედ დადუმნა და მრქუა მე: აღდეგ და მოიგე გონიერებაჲ. ხოლო მე მესმა რაჲ ესე[6], მენება, რაჲთამცა ქუეყანამან დამიღო. და ვითარცა აღვდეგ მრავლისა მისგან სირცხჳლისა, ვერ ძალ-მედვა მიხედვად პირსა მეუფისასა[7] და წარვედ სენაკსა ჩემსა და მიკჳრდა. ხოლო ბერმან სიმტკიცისათჳს თჳსთა სათნოებათაჲსა და სარგებელისათჳს ჩუენისა გჳთხრა ჩუენ ესეცა, ვითარმედ: ორნი ძმანი იყვნეს ოდესმე ერთსა შინა ლავრასა, რომელთა თჳს-თჳსად აქუნდა სენაკი. ხოლო მივალნ ოდესმე ერთი მეორისა. დღესა შინა ერთსა ჰრქუა[8] ერთმან მეორესა: სურვილი მაქუს წარსლვად[9] მამისა ზენონისა და თხრობად მისა გულისსიტყუათა ჩემთა. და მან ჰრქუა: და[10] მეცა მნებავს კითხვად გულისსიტყუასა რასმე. და აღდგეს და წარვიდეს ორნივე იგი ზოგად და მივიდეს მამისა ზენონისა. და თჳს-თჳსად განიყვანა[11] იგი თჳთოეულმან[12] და მიუთხრნეს მას გულისსიტყუანი მათნი. და ერთი იგი შეუვრდა ბერსა ცრემლითა მჴურვალითა და ევედრა მას. და ბერმან ჰრქუა მას: წარვედ და ნუ გასცემ[13] თავსა შენსა და ნუცა ვის ყოლად განიკითხავ და ნუ უდებ-ჰყოფ ლოცვასა შენსა. წარვიდა ძმაჲ იგი და განიკურნა. ხოლო მეორემან მან ძმამან ვითარცა აღუვარა[14], ჰრქუა: ლოცვა ყავ ჩუენთჳს, მამაო! და არა ითხოვა მან[15] მჴურვალედ და ტკივილითა გულისაჲთა[16]. შემდგომად უკუე რაოდენისამე ჟამისა შეკრბეს კუალადცა[17] ძმანი იგი ერთად და ჰკითხა ერთმან მეორესა: ოდეს-იგი წარვედით ბერისა მითხრობად მისა გულისსიტყუათა ჩუენთა, უთხარა მას გულისსიტყუაჲ იგი რომელ იტყოდე? ხოლო მან ჰრქუა: ჰჩ. და მან კუალად ჰკითხა: და სარგებელ-გეყოა, აღუვარე[18] რაჲ მას? ჰრქუა მას ძმამან: ჰჩ, ჭეშმარიტად, ლოცვითა ბერისაჲთა განმკურნა მე ღმერთმან. ხოლო მან თქუა: მე დაღაცათუ აღუვარე[19], გარნა /242/ ვერარაჲ ვაგრძენ სიმრთელისა[20] კერძი. ჰრქუა მას ძმამან, რომელსა-იგი სარგებელ-ეყო: და

[1] მე- C. [2] ყოო] ყო C. [3] ~ წყალობაჲ თჳსი შენ თანა C. [4] მოუდრიკენ + მას C. [5] ვეევედრები BC. [6] ესე- B. [7] მეუფისასა] ბერისასა BC. [8] ჰრქუა + ოდესმე C. [9] აქდან E ნუსხა გრძელდება 142r-ზე. [10] და – C. [11] განიყვანა] განიყვანეს C. [12] თჳთოეულ-მან] თითოეულმან E. [13] გასცემ] განსცემ BE. [14] აღუვარა] აღუარა BE. [15] მან – B. [16] გულისაჲთა] გონებისაჲთა C. [17] ~ ძმანი იგი კუალადცა E. [18] აღუვარე] აღუარე E. [19] აღუვარე] აღუარე E. [20] სიმრთელითა E.

ვითარ ევედრე ბერსა? ხოლო მან ჰრქუა: ვარქუ[1] მას, ვითარმედ ლოცვა ყავ ჩემთჳს, რამეთუ ესე რაჲმე გულისსიტყუაჲ მჭირს. და სხუამან მან[2] თქუა[3]: მე ოდეს აღუვარე[4] გულისსიტყუაჲ ჩემი, დავალტვენ ფერჴნი მისნი ცრემლითა და ვევედრე[5] მას მჴურვალედ, რაჲთა ლოცვა ყოს ჩემთჳს. და ლოცვითა მისითა წმიდითა განმკურნა მე ღმერთმან. ხოლო ამას გჳთხრობდა ჩუენ ბერი ამისთჳს, რომელ უკუეთუ ვისმე ევედრებოდის მამათაგანსა ვინმე გულისსიტყუათათჳს, უჴმს, რაჲთა მჴურვალედ და ყოვლითა გულითა და ტკივილითა სულისაჲთა ითხოოს მისგან ლოცვაჲ და შეწევნაჲ, ვითარცა ღმრთისაგან. ხოლო რომელი უდბებით[6] აღიარებდეს ანუ თუ გამოცდით, არა თუ ოდენ არარაჲ სარგებელ-ეყოფვის მისგან[7], არამედ დაისაჯების[8].

XV. 1. თქუა **მამამან ესაია[9]:** სიწრფოებაჲ და არად შერაცხვაჲ თავისაჲ წმიდა-ჰყოფენ გულსა უშუერთაგან გულისსიტყუათა.

2. კუალად თქუა: რომელი ვიდოდის მანქანებით და გულარძნილებით ძმისა თანა თჳსისა, არა მოაკლდეს მას ტკივილი და მწუხარებაჲ გულისაჲ.

3. თქუა კუალად: რომელი იტყოდის პირითა სხუასა და გულსა ედვას სხვაჲ მანქანებით, ესევითარისა მის ამაო არს მსახურებაჲ[10]. ნუ დაეახლები უკუე ესევითარსა მას, რაჲთა არა შეიბილწო გესლისა მისგან მისისა შეგინებულისა.

4. კუალად თქუა: შეძინებაჲ და პატივი და განსუენებაჲ ჰბრძვანან კაცსა სიკუდილადმდე, ხოლო არა ჯერ არს ამათ თანა შთამოსლვაჲ.

XVI. თქუა მამამან **თეოდორე ფერმელმან**: უკუეთუ გაქუნდეს მეგობრობაჲ ვისთანამე და შეემთხჳოს მას განსაცდელი სიძვისაჲ და შთავარდეს მას შინა და ძალ-გედვას, მიეც ჴელი და აღმოიყვანე იგი ზევე. /242/ უკუეთუ კულა წვალებასა შთავარდეს და არა გერჩდეს შენ მოქცევად ადრე მისგან, მალიად მოჰკუეთე იგი შენგან და ადრე, რაჲთა არა დაგეყოვნოს რაჲ მის თანა, შენცა შთაჰვარდე მთხრებლსა მას წარწყმედისასა.

2. მივიდა ვინმე ბერთაგანი და ჰრქუა **მამასა თეოდორეს**: აჰა ესერა, მამაო, იგი რომელიმე ძმაჲ მიიქცა სოფლად. და ბერმან ჰრქუა მას: ნუ გიკჳრს ესე, არამედ უფროჲსღა გიკჳრდინ, უკუეთუ გესმას, თუ შეუძლო ვინმე განრომად პირისა მისგან ვეშაპისა მის ბოროტისა.

3. ესევე **მამაჲ თეოდორე** წარვიდა ოდესმე **მამისა იოანესსა**, რომელი იყო შობითგან საჭურისი. და ზრახვიდეს რაჲ ურთიერთარს, თქუა: ოდეს ვიყავ მე სკიტეს, საქმე სულისაჲ იყო საქმედ ჩუენდა, ხოლო ჴელთსაქმარი გუაქუნდა გარეწარად. და აწ, საქმე სულისაჲ ქმნილ არს გარეწარად, ხოლო ჴელთსაქმარი საქმედ სათანადოდ.

---

[1] ვაქუ B. [2] მან – B. [3] ჰრქუა B. [4] აღუვარე] აღუარე E. [5] ვევედრე] ვევედრებოდე E. [6] უდბებით] უდებებით E. [7] მისგან – E. [8] დაისაჯების] დაჲსაჯების A. [9] ესაია] ესაჲა A. [10] მსახურებაჲ] მისა ცხორებაჲ E.

XVII. მანვე თქუა: სხუაჲ სათნოებაჲ არა არს, ვითარ შეურაცხებაჲ თავისაჲ. ჰკითხა **მამამან აბრაჰამ ქართველმან მამასა თეოდორეს ელევთერიპოლელსა** და ჰრქუა: რაჲ გნებავს, მამაო, და ვითარ არს კეთილ, დიდებაჲ მოვატყუა თავსა ჩემსა ანუ შეურაცხებაჲ? ხოლო მან ჰრქუა მას: მე ჟამისად ესრეთ მნებავს, რაჲთა დიდებაჲ მოვატყუა[1] თავსა ჩემსა, ვიდრეცა უპატიოებაჲ[2]. და რამეთუ უკუეთუ ვქმნე რაჲმე საქმე კეთილისაჲ და ვიდიდო, ძალ-მიც დასჯაჲ[3] თავისაჲ და დამდაბლებაჲ გულისსიტყჳსაჲ, ვითარმედ არა ვარ მე ღირს ქებისა მის[4] და დიდებისა[5]. უპატიოებაჲ კულა და შეურაცხებაჲ ნაშობი არს ხენეშთა და არაკეთილთა საქმეთაჲ, ანუ ვითარღა უძლო მე ნუგეშინისცემად თავისა ჩემისა და აღდგინებად გულისა ჩემისა, ოდეს დაჰბრკოლდენ ჩემდა /243/ მო/მართ კაცნი, უმჯობეს არს უკუე ქმნაჲ საქმეთა კეთილთაჲ და დიდებაჲ, ვიდრეღარა ხენეშთა და შეურაცხებაჲ. ჰრქუა მას მამამან აბრაჰამ: კეთილად სთქუ, მამაო, ჭეშმარიტად ესრეთ არს.

XVIII. ჰკითხა ვინმე მამათაგანმან მამასა **იოანეს[6] მოკლესა** და ჰრქუა: რაჲ არს მონაზონი? ხოლო მან ჰრქუა: ჭირი არს და შრომაჲ. და რამეთუ მონაზონი ყოველსა შინა საქმესა იჭირვის და რომელი იჭირვოდის, იგი არს მონაზონი.

XIX. 1. წარვიდეს ოდესმე ბერნი **მამისა ისაკისა,** რაჲთა აკურთხონ იგი ხუცად. ხოლო[7] მან ვითარცა აგრძნა ესე, ივლტოდა ეგჳპტედ. და წარვიდა აგარაკსა ვისსამე და დაიმალა იგი თივასა შინა, ხოლო მამათა დევნა უყვეს უკუანა მისსა[8]. და ვითარცა მიიწინეს აგარაკსა მას, ინებეს მათ მუნ მცირედ განსუენებაჲ და განუტევეს კარაული მათი ძოვნად. და რამეთუ იყოცა ღამე, წარვიდა უკუე ვირი იგი და დადგა თივასა მას ზედა, რომელსა შინა დამალულ იყო ბერი. ხოლო განთიად ეძიებდეს რაჲ ვირსა, პოვეს მამაჲ ისაკი. და დაუკჳრდა და ინებეს შეკრვაჲ მისი. ხოლო მან არა უტევა ყოფად ესე, არამედ ჰრქუა: არღარა ვივლტი[9] ამიერითგან, რამეთუ უწყი, ვითარმედ ნებაჲ ღმრთისაჲ არს ყოფად ესე. და სადაცა ვივლტოდი[10], კუალად ჴელთავე მივალ მისთა.

2. თქუა **მამამან ისაკ**: ნუ მოიყვანებთ აქა ყრმებსა, რამეთუ ოთხნი ეკლესიანი მოოჴრდეს სკიტეს ყრმათაგან.

XX. ჰკითხა **მამამან პიმენ მამასა იოსებს** და ჰრქუა: ოდეს მომიჴდეს მე[11] გულისსიტყუაჲ ვნებული, რაჲ უყო მას, წინააღუდგე მას პირველვე, ანუ თუ უტეო შემოსლვად? ჰრქუა მას ბერმან: უტევე შემოსლვად და მერმე ჰბრძოლე მისა მიმართ. და ვითარცა უკუმოიქცა იგი სკიტედ და დაჯდა სენაკსა შინა თჳსსა, მოვიდა ვინმე ბერი თიბელი[12] /243v/ და ეტყოდა ძმათა,

---

[1] მოვატყუა] მოვატყუო BC. [2] უპატიოებაჲ] უპატივოებაჲ E. [3] დასჯაჲ] დაშჯაჲ E. [4] მის – B. [5] დიდებისა] დიდებისაჲ E. [6] იოანე] იოვანე E. [7] ხოლო] და E. [8] მისსა] მისა E. [9] ვივლტი] ვევლტი E. [10] ვივლტოდი] ვევლტოდი ,E, [11] მე – E. [12] თიბელი] თებელი BCE.

ვითარმედ: ვკითხე მამასა იოსებს და ვარქუ, ვითარმედ: უკუეთუ მომიჴდეს მე გულისსიტყუაჲ რაჲმე ვნებული, წინააღუდგე მას, ანუ უტეო შემოსლვად ჩემ შორის? და მან მრქუა მე: ყოლადვე ნუ დაიახლებ[1] მას, ნუცა უტევებ შემოსლვად შენ შორის რასაცა გუარსა ვნებასა, არამედ მეყსეულად ჴელ-ჴელ[2] მოჰკუეთე იგი შენგან. ესმა რაჲ ესე მამასა პიმენს, ვითარმედ ესრეთ უთხრა მამამან იოსებ თიბელსა[3] მას, აღდგა მსწრაფლ და მივიდა მამისა იოსებისა[4] პანეფოდ და ჰრქუა მას: მამაო, მე გარწმუნენ შენ გულისსტიყუანი ჩემნი და აჰა ესერა, სხუებრ არქუ თიბელსა[5] მას. ჰრქუა მას ბერმან: შენ იცი, რამეთუ მიყუარ შენ. და მან თქუა: ჰჱ, ეგრეთ არს. და ბერმან ჰრქუა მას: არა შენ მითხარა, თუ ვითარცა თავისათჳს შენისა ეგრეთვე მე მითხარ? მიუგო: ეგრეთ არს ჭეშმარიტად. ჰრქუა მას ბერმან: მე უკუე გითხარ[6] შენ, ვითარცა თავისათჳს ჩემისა, რამეთუ უკუეთუ უტეო შემოსლვად შენ შორის ვნებათა და ჰბრძო მათ და იბრძოლო მათგან, უმეტეს გამოსჩნდები[7] მძლედ და ძლიერად, რამეთუ ვითარცა ჩემთჳს, გარქუ შენცა, თჳნიერ ესე სრულთაჲ არს და გამოცდილთაჲ. ხოლო არიან სხუანი, რომელთა არცა თუ უღირს[8] ყოლად მიახლებად ვნებულსა რას გულისსიტყუასა უძლურებისათჳს, არამედ მეყსეულად უჴმს სივლტოლაჲ და მოკუეთაჲ მათგან.

2. ძმამან ჰკითხა **მამასა იოსებს** და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ ვერცა მოღუაწებაჲ რას[9] ძალ-მიც და შემთხუევაჲ თავსა ჩემსა შრომისაჲ, ვერცა კუალად საქმე ძალ-მიც, რაჲთამცა მივსცემდი სიყუარულსა. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ ორთა ამათგან საქმეთა ვერ ძალ-გიც ყოფად, ერთიცა ბარე დაიცევ გული შენი მოყუსისაგან ყოველსავე რას[10] ზედა საქმესა და სიტყუასა და სცხოვნდე[11] მოწყალებათა მიერ ღმრთისათა.

3. იტყოდა ამას ძმაჲ ვინმე, ვითარმედ: წარვედ ოდესმე ქუემოთა მათ კერძოთა /244/ ირა/კლოჲსთა[12] და მივედ **მამისა იოსებისა** და ედგა მას ლეღოვანი მონასტერსა შინა თჳსსა ფრიად კეთილი და რჩეული. და იყო ჟამი ოდენ ნაყოფთაჲ და განთიადვე ცისკარს მრქუა ბერმან: წარვედ ლეღოანსა[13] იმას და ჭამე. და რამეთუ იყოცა დღე პარასკევი, ხოლო მე[14] მარხვისა მიზეზითა ვერ წარვედ. მერმე შეუვრდი და ვარქუ მას: მამაო, მცნებისათჳს უფლისა გამომიცხადე მე ძალი სიტყჳსაჲ მის, თუ რომლითა გულისსიტყჳთა მარქუ მე წარსლვად განთიადვე და ჭამად და მე მიზეზითა მარხვისაჲთა ვერ უძლე წარსლვად და კუალად მეშინოდა მცნებისაგან და მრცხუენოდა შენგან და ვიგონებდი, თუ რომლითა[15] გულისსიტყჳთა მრქუა მე ესე ბერმან, ანუ რაჲ-მე ჯერ იყო ყოფად სიტყუასა ზედა ბერისასა. ხოლო

---

[1] დაჲახლებ] დაჲახლებ A. [2] ჴელ-ჴელ] ჴელის-ჴელ E. [3] თიბელსა] თებელსა BCE. [4] იოსებისა] იოსებისსა E. [5] თიბელსა] თებელსა BC. [6] გითხარ] მიგითხარ C. [7] გამოსჩნდები] გამოჰჩნდები B გამოშჩნდები C. [8] ~ ყოლად უღირს E. [9] რას] რაჲ BE. [10] რას] რასაცა B. [11] სცხოვნდე] სცხონდე E. [12] ირაკლოჲსთა] ირაკლიოჲსთა C. [13] ლეღოვანსა C. [14] მე – E. [15] რომლითა] რომლითამე E.

ბერმან მრქუა მე: მამანი ჩუენნი პირველად არა ეტყოდეს ძმათა მართალსა, არამედ მრუდსა. და უკუეთუ პოვნიან[1] იგინი მოსწრაფედ მოქმედად მრუდსა მას, არღარა ეტყოდიან იგინი დრკუსა, არამედ ყოველსავე ჭეშმარიტსა, რამეთუ ცნიან, ვითარმედ ყოველსავე ზედა მორჩილ არიან იგინი.

4. ძმამან ჰკითხა **მამასა იოსებს** და ჰრქუა: მამაო, მნებავს გამოსლვაჲ მონასტრისაგან ზოგადცხორებულთაჲსა და დაჯდომაჲ მარტოებით თჳსაგან. ჰრქუა მას ბერმან: სადაცა ხედავ, რომელ განესუენების სულსა შენსა და არა ევნების, მუნცა დაჯედ. ჰრქუა მას ძმამან: და შორის კრებულსაცა აღვეშენები[2] და თჳსაგანცა[3], რაჲ გნებავს უკუე რომელ ვყო? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ შორის კრებულსაცა და თჳსაგან აღეშენები, აღწონენ ორნივე იგი გულისსიტყუანი ვითარცა სასწორითა და სადაჲთცა სძლევდეს და მიზიდვიდეს გონებაჲ შენი და ხედვიდე სარგებელსა, იგიცა ყავ.

5. წარვედით ოდესმე მე და **სოფრონიოს ბრძენი** /244v/ ენატას **მამისა იოსებისსა** და სიხარულით შემიწყნარნა ჩუენ ბერმან და გულსმოდგინედ მეზრახა ჩუენ. და რამეთუ იყოცა ბერი შემკულ ყოვლითა სათნოებითა და აქუნდა მას გამოცდილებაჲ გარეშისაცა სწავლისაჲ. და ვითარცა დავსხედით ჩუენ და ურთიერთარს ვმეტყუელებდით საქმეთათჳს სულისა სარგებელთა, აჰა ესერა, მოვიდა ვინმე ქრისტესმოყუარე ერისკაცი ილაჲთ და მიუპყრა ბერსა სამი დრაჰკანი და ჰრქუა: მიიღე, მამაო პატიოსანო, ესე და ლოცვა ყავ ნავისათჳს ჩემისა, რამეთუ აღმივსიეს[4] იგი, წარმიგზავნიეს ეთიოპიად[5]. ხოლო ბერმან არცათუ მიხედნა მას. ჰრქუა მას სოფრონიოს: მამაო, მიიღე ეგე და მიეც ძმათა, რამეთუ უჴმს. ჰრქუა მას ბერმან: ორკეცი სირცხჳლი შეიქმნების, შვილო, უკუეთუ მივიღო ეგე, ერთად, რამეთუ აღვიღებ, რომელი არა მიჴმს, და მეორედ, რამეთუ თჳსითა ჴელითა უცხოსა ეკალსა მოვჰმკი, ჰეთუმცა ვითარ უძლე მომკად ეკლოვანებასა მას სულისა ჩემისასა, რამეთუ წერილ არს: „უკუეთუ სთესავ, შენი სთესე, თუ არა უცხოჲ უმწარეს იყოს ღუარძლისა[6]“. და[7] უფროჲსღა, შვილო, რამეთუ არა არს სათხოველი სულისათჳს არამედ ნავისათჳს. ჰრქუა მას სოფრონიოს: რაჲ უკუე, მამაო, რაოდენსაცა ჰყოფს კაცი ღმრთისათჳს არა შეერაცხებისა მას მოწყალებად? ჰრქუა მას ბერმან: მრავალნი გზანი არიან და მრავალნი სახენი, შვილო, მოწყალებისანი. და რამეთუ არს კაცი და იქმს მოწყალებასა, რაჲთა იკურთხოს სახლი მისი და ღმერთი აკურთხევს სახლსა მისსა[8]. სხუაჲ იქმს კუალად მოწყალებასა დაცვისათჳს ნავისა მისისა და ღმერთი დაიცავს ნავსა მისსა, კუალად სხუაჲ იქმს მოწყალებასა მშჳდობით /245/ დაცვი/სათჳს შვილთა მისთაჲსა[9] და ღმერთი დაიცავს[10] შვილთა მისთა, კუალად სხუაჲ

[1] პოვნიან] იპოვნიან E. [2] აღვეშენები] აღვშენდები B. [3] თჳსაგანცა] თჳსაგან C. [4] აქ E ნუსხა წყდება. [5] ეთიოპიად] ეთიოპედ C. [6] ღუარძლისა] ღუარძლისასა B. [7] და უფროჲსღა, შვილო, ...არამედ ნავისათჳს – B. [8] მისსა + და B. [9] მისთაჲსა] თჳსთაჲსა C. [10] დაიცვას] დაჲცვას A.

იქმს მოწყალებასა, რაჲთა იდიდოს და ღმერთი ადიდებს მას, და არცა ერთსა ვის უგულებელს-ჰყოფს ღმერთი, არამედ ნებისაებრ თჳთოეულისა მისცემს ღმერთი ყოველთავე ოდეს არაჲ[1] ევნებოდის საქმისა მისგან სულსა მათსა. გარნა მათ ყოველთავე მიუღებიეს სასყიდელი მათი და არცა რაჲ მიუცემიეს ღმრთისადა[2] საგრძელოდ, ვერცა რას ეძიებენ ამისთჳს, რამეთუ ყოფაჲ იგი მოწყალებისაჲ არა სულისათჳს იყო საუკუნოდ, არამედ საწუთროჲსათჳს და ჯორცთათჳს. და გულისჯმა-ყავღა, გონიერად ჰქმენ მოწყალებაჲ, რაჲთა იკურთხოს სახლი შენი და ღმერთმან აკურთხა სახლი შენი! ჰქმენ მოწყალებაჲ ნავისათჳს და ღმერთმან განარინა ნავი შენი! ჰქმენ მოწყალებაჲ შვილთათჳს და ღმერთმან დაიცვნა[3] შვილნი შენნი! ჰქმენ დიდებისათჳს და ღმერთმან გადიდა შენ, რაჲღა უკუე ზედააც შენი?! გნებავსა ცხოვნებაჲ, ქმენ მოწყალებაჲ ცხოვნებისათჳს სულისა და ღმერთმან აცხოვნოს სული შენი, რამეთუ წერილ არს: მოგცეს შენ უფალმან გულისაებრ შენისა. და რამეთუ არიან მრავალნი მდიდარნი, რომელნი ჰგონებენ ქმნად მოწყალებასა[4] და უფროჲსღა განარისხებენ იგინი ღმერთსა. ჰრქუა მას სოფრონიოს: განმიმარტე ჩუენ სიტყუაჲ ეგე, მამაო. ჰრქუა მას ბერმან: ღმერთსა უბრძანებიეს, რაჲთა პირველთა ნაყოფთა უკეთესთა და უაღრესთა შევსწირვიდეთ[5] ღმრთისა იფქლისაგანცა და ღჳნისა და ყოველთაგანვე თესლთა და მცენარეთა, ესრეთვე და კაცთაგანცა პირმშოთა ესრეთვე კუალად პირუტყუთაგანცა და საცხოვართა, რომელთა თანა არარაჲ იყოს ბიწი. ესე იგი არს, რაჲთა არა იყოს იგი მოკუეთილ ყურითა, ანუ თუ[6] რქამოლეწილ, არამედ ყოლად სრულთა და ცოცხალთა[7] /245v/ ჯერ არს შეწირვაჲ ღმრთისაჲ მსხუერპლად[8] შესანდობელად ცოდვათა. ხოლო მდიდარნი არა ესრეთ იქმან, არამედ წინაუკუმო, რამეთუ უკეთესსა და უმჯობესსა თჳთ შესჭამენ, ხოლო უდარესსა და უუჯმრესსა[9] გლახაკთა მისცემენ. და რამეთუ რჩეულთა ღჳნოთა თჳთ სუმენ, ხოლო შეძმარებულსა ქურივთა და ობოლთა განუყოფენ, ესრეთვე სამოსელსა ძუელძულსა[10] და დაბებკულსა გლახაკთა განუყოფენ, ხოლო თჳთ იმოსებიან შესამოსელთა მიერ ფერად-ფერადთა, ხილი დამპალი და დაყროლებული განიყოფვის და რჩეული და კეთილი შეიჭამების. და ესრეთ ყოველივე კაენის[11] ძღუნად შეიქმნების და შეუწირავ იქმნების ღმრთისაგან ყოველთაჲსა. კუალად, უკუეთუ ვისმე მდიდარსა ესხნენ შვილნი შუენიერნი და ასულნი სახნიერნი და ქმნულკეთილნი სიძე-სძალთათჳს მოცალე არს და მზახობათათჳს განმზადებულ. და ამას იგონებს და იურვის, რაჲთამცა უმდიდრესთა და უშუენიერესთა მიათხოვა. ხოლო უკუეთუ სამე დახუდეს ცალთუალი, გინა

[1] არაჲ] არა B. [2] ღმრთისად B. 3 დაიცვნა] დაჲცვნა A. [4] მოწყალებასა] მოწყალებისა B. 5 შევსწირვიდეთ] შევსწირევდით BC. [6] თუ – B. [7] ცოცხალთა] ცოცხალთაჲ C. [8] მსხუერპლად] მსხუერპლთა C. [9] უუჯმრესსა] უუჯმარესსა BC. [10] ძუელძულსა] ძუელსა BC. [11] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 149r-ზე.

ასომიღებული ანუ თუ მჭლე და უსახური, იგი განაღამცა ღმრთისაჲ იყო რამეთუ უკუეთუ წული იყოს, ესევითარი იგი მონასტრად განიმზადების, ხოლო უკუეთუ ქალი იყოს, ქალწულთა თანა მოღუაწეთა შეიმგზავნების[1]. ჯერ-იყო უკუე ესევითართა მათ და რაჲთამცა გულისჴმა-ყვეს და გაიგონეს[2] ვითარმედ, უკუეთუ კაცთა მოკუდავთა და განხრწნადთა ინებოს ვინ მომადლებაჲ და პატივი, პირველთაგან და უკეთესთა შესწირვენ და[3] რომელი-იგი მათ უაღრეს უჩნდეს და უპატიოსნეს[4], ღმრთისა კულა ყოველთა მეუფისა და დამბადებელისა, ვითარ არა ჯერ-იყო ყოფად ესე, რაჲთამცა უაღრესსა და უკეთესსა /246/ შევსწი/რევდით ყოველთაგანვე მის მიერ ჩუენდა ნაბოძვართა[5]. საცნაურ არს უკუე, რომელ სიტყუათამიერსაცა მადლობასა ესრეთვე სახედ მომჴდის ჩუენ ღმერთი, არა თუ რად-მე მას უჴმს სიტყუათამიერი ქებაჲ, რამეთუ და რაჲ ვინ იკადროს მიწამან, არამედ რაჲთა ჩუენ მსწავლნეს მადლიერყოფად და ყოვლითა სულითა[6] და გულითა შეყუარებად ღმრთისა და შემოქმედისა ჩუენისა, და რაჲთა რაჲ-იგი აღუთქუთ[7] ღმერთსა მიცემად, არა ვეცრუვნეთ, არამედ შიშითა მრავლითა და მოსწრაფებითა მივსცეთ ფრიადითა ყოველივე იგი ჩუენ მიერ აღნათქუემი. და რამეთუ ვითარცა სახედ მსხუერპლი იგი ნოესი ორთქლი იყო და კუამლი და სულად სურნელად შეწირულ იქმნა უფლისა და რამეთუ ესრეთ წერილ არს, ვითარმედ: „იყნოსა უფალმან სულად სურნელებისად[8]“. ესრეთვე უკეთურთა კაცთა ძღუენი და მსხუერპლი და ვითარცა შესაწირავი საძაგელ უფლისა შეირაცხვის[9], რამეთუ ისმინეღა წინაწარმეტყუელისაჲ, თუ რასა ეტყჳს ჰურიათა და ესეღა, რამეთუ მაშინ ერ ღმრთისა იყვნეს ჯერეთ: საკუმეველი თქუენი საძაგელ არს ჩემდა. ხედავა, თუ ვითარ ყოველივე გონებასა ზედა არს შემწირველისასა, რამეთუ მუნ გონებამან კეთილმან ორთქლი და კუამლი სულად სურნელებისად შეჰმზადა. და აქა გონებამან ხენეშმან ჰურიათამან სურნელებაჲ[10] სურნელთაჲ, საკუმეველი, საძაგელებად გარდააქცია. უჴმს უკუე ყოველსა კაცსა, რომელსა ჰნებავს ცხორებაჲ, რაჲთა[11] არა ოდენ ლოცვათა და მოწყალებათა თჳსთა სიწრფოებით ჰყოფდეს და გულსმოდგინედ, არამედ რაჲთა ყოველსავე, რაოდენსაცა შესწირავს ღმრთისა, უაღრესი და უმთავრესი და უპატიოსნესი შესწიროს[12] /246v/, რაჲთა არა ლოცვაჲ ჩუენი სირცხჳლეულთაჲ წიაღადვე ჩუენდა[13] კდემით[14] მოიქცეს და რაჲთა არა ძღუენი ჩუენი და მსხუერპლი ბიწიან იქმნეს და შეუწირავ და საძაგელად შეირაცხოს მსახურებაჲ ჩუენი, ვითარცა კაენისი. ხოლო ჩუენ კუალადცა ვჰკითხეთ მას: უკუეთუ ევნებისა სულსა

---

[1] შეიგზავნების BCE + და E. [2] გაიგონეს] გაჲგონეს AE. [3] და – E. [4] უპატიოსნეს] უკეთეს BC. [5] ნაბოძვარსა B. [6] ~გულითადა სულითა E. [7] აღუთქუთ] აღუთქჳთ BE. [8] სურნელებისად] სულნელებისად E. [9] შეირაცხვის] შეირაცხების B. [10] სურნელებაჲ] სულნელებაჲ E. [11] რაჲთა – C. [12] შესწიროს] შეწიროს BE. [13] ჩუენდა+ და B. [14] ~ მოიქცეს კდემით E.

თანამიყოლითა გულისსიტყუათაჲთა? და მან მრქუა ჩუენ: უკუეთუ ხენეშთაგან და არაწმიდათა გულისსიტყუათა[1] არა ევნების სულსა, არცა წმიდათაგან და ღმრთისმსახურთა და ღმრთისმოყუარეთა სასმენელთა ერგების. რამეთუ ვითარცა სახედ კეთილნი სარგებელ-ეყოფვიან, ესრეთვე ბოროტნი ავნებენ. რამეთუ დაღათუ ბევრეულგზის[2] გუაქუნდეს ჩუენ გარეთ მშჯდობაჲ, უკუეთუ შინაკერძო ჩუენსა იშვებოდის შფოთი გულისსიტყუათაგან ბილწთა და ხენეშთა და აღძრვაჲ და ღელვატეხილებაჲ[3], არცა ერთი რაჲ იყოს ჩუენდა სარგებელ გარეგანისა[4] მისგან მშჯდობისა და მყუდროებისა, ვითარცა-იგი სახედ არარას სარგებელ-ეყოფვიან ქალაქსა ზღუდენი და სიმაგრენი ოდეს მას შინა მკჯდრთაგანი განეცემოდის. რამეთუ უკუეთუ დავიცვნეთ თავნი ჩუენნი თანამიყოლისაგან ხენეშთა გულისსიტყუათაჲსა, დიდნი და მაღალნი ნიჭნი აღმითქუნა ჩუენ მეუფემან, რომელი-იგი ფრიადცა ჰმატს და ზეშთა აღვალს გონებათა ჩუენთა. შუებასა მას ვიტყჯ ზეცათა სუფევისასა და გამოუთქუმელთა მათ კეთილთა მიხუმასა მარჯჳენისა მისგან[5] სამეუფოჲსა ყოვლისა მპყრობელისა, ანგელოზთა მწყობრსა თანა ქცევასა მას სანატრელსა, მწარისა მისგან და ძნელისა გამოჴსნასა გეჰენიისა[6] და ყოველთა მათგან სატანჯველთა საუკუნეთა თავისუფლებასა. ამათ უკუე ყოველთა შუებათა და სუფევათა /247/ და სხუათა უმრავლესთა, რომელნი თუალმან არა იხილნა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა აღვიდა, რაჲ-იგი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თჯსთა[7], არა არს მოკლებაჲ, არცა ცვალებაჲ და არცა აღსასრული, არამედ ყოველივე სრულცა არს და მტკიცე და თანაგანგრძელებულ[8] ყოველთავე მათ უკუდავთა საუკუნეთა. დაასრულნა[9] რაჲ ბერმან სიტყუანი ესე საცხორებელნი, გჯხილნა ჩუენ იჭუეულად მის მიერ[10] თქუმულთა ამათ ზედა მოძღურებათა. მერმე აღდგა ზე წინაშე ჩუენსა და აღიპყრნა თუალნი და ჴელნი ზეცად მიმართ და თქუა სასმენელად ჩუენდა[11]: იესუ ქრისტე, ძეო და სიტყუაო ღმრთისა ცხოველისაო, ღმერთო ჩუენო, რომელმან ჰქმნენ ცანი[12], ზღუანი და ქუეყანაჲ ყოვლითურთ სამკაულით მათით, მჴსნელო სულთა ჩუენთაო და მაცხოვარო[13], უკუეთუ არიან ტყუვილ[15] სიტყუანი ესე ჩემ მიერ თქუმულნი[14] ძმათა მიმართ, უვნებელად ეგენინ ლოდი ესე მდებარე, უკუეთუ კულა მართალ არიან, სარწმუნო და ჭეშმარიტ, განსთქდინ და დაირღჯნ და განიპინ ლოდი ესე. და სიტყუასავე თანა ბერისასა მეყსეულად განსთქდა ლოდი იგი ხუთად ნაკუეთად, რამეთუ მდებარე იყო მუნ ნაკუეთი მარმარილოჲსა სუეტისაჲ[16],

---

[1] გულისსიტყუათა] გულისსიტყუათაგან C. [2] ბევრეულგზის] ბევრგზის B. [3] ღელვატეხილობაჲ E. [4] გარეგნისა C. [5] მარჯჳენით მისგან] მარჯჳენისაგან B. [6] გეჰენიისა] გეჰენიისასა E. [7] თჯსთა] მისთა E. [8] თანაგაგრძელებულ B. [9] დაასრულნა] და აღასრულნა BC. [10] მის მიერ] მისა მიმართ B. [11] ჩუენდა] ყოველთა E. [12] ცანი + და E. [13] მაცხოვარო] საზღვარო B. [14] ტყუვილ] ტყუილ BE. [15] თქუმულნი +ძალითურთ B. [16] სუეტისაჲ] სუეტი C.

რომელსა ოთხი მტკაველი[1] აქუნდა სისქჱ[2]. ხოლო ჩუენ განვკურდით და განვცუბრდით სასწაულსა მას ზედა დიდებულსა და ვჰმადლობდით ღმერთსა, ყოველთა კეთილთა მიზეზსა და სარგებელ-გუეყო ფრიად და გამოვედით. და ვითარცა წარმგზავნიდა ჩუენ ბერი, მრქუა ჩუენ: შვილნო, მომავალსა მას შაბათსა კუალადცა მოვედით ჩემდა[3], რამეთუ თანამდებ-გყოფ თქუენ, რაჲთა მოხუდეთ. და მო-რაჲ-იწია შაბათი, კუალადცა მივედით ბერისა ჟამსა ოდენ სამჟმისასა და ვპოვეთ ბერი, რამეთუ აღსრულებულ იყო. და /247v/ და/ვჰმარხეთ იგი მოწლედ და სურვილით. და ვჰმადლობდით ღმერთსა წყალობააურაცხელსა, რომელმან ღირს-მყვნა ჩუენ ესევითარისა წმიდისა მამისა ხილვად და ზრახვად და უკუანაჲსკნელ დამარხვად.

XXI. 1. თქუა **მამამან იაკობ**: უფროჲს არს უცხოებაჲ უცხოთა შეწყნარებასა.

2. კუალად თქუა: სიტყუანი მარტოდ არა სრულ არიან, არამედ უფროჲსღა საქმენიცა საჭმარ არიან. და რამეთუ ფურცელი ოდენ მარტოდ არა ზრდის კაცთა, არამედ უფროჲსღა ნაყოფი სასწრაფო არს.

XXII. მამაჲ იოანე[4] საჭურისი ჭაბუკ რაჲ იყო, ჰკითხა ბერსა ვისმე და ჰრქუა: ვითარ შეუძლეთ თქუენ ქმნად საქმესა ღმრთისასა განსუენებით და ჩუენ ვერცაღა შრომით უძლებთ მას. ჰრქუა მას ბერმან: ამისთჳს უძლეთ ჩუენ ადვილად წარმართებად, რამეთუ თავადად გუაქუნდა ჩუენ საქმე ღმრთისაჲ, ხოლო ჯორცთა საჭმარი უდარესად. თქუენ კულა თავადად გაქუს ჯორციელი[5] საქმე და საღმრთოჲ საქმე გარეწარად და ამისთჳს იჭირვით. და რამეთუ ამისთჳს ჰრქუა მაცხოვარმან მოწაფეთა: „მცირედ მორწმუნენო, ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“[6].

XXIII. თქუა **მამამან ისიდორე**: რომელნი შჯულიერად იღუწით და იმარხავთ, ნუ აღჰლაღნებით, უკუეთუ კულა ამას ზედა აღჰზუავნებით უფროჲსღა ჭამეთ ჯორცი. და რამეთუ უკუეთუ ჰლაღოოდით მარხვასა ზედა, რად სარგებელ იყოს ესევითარი იგი[7] მარხვაჲ? და რამეთუ უმჯობეს არს კაცისა ჭამაჲ ჯორცისაჲ, ვიდრეღა ზუაობაჲ[8] და ამპარტავანებაჲ.

2. კუალად თქუა: უჯმს მოწაფეთა, რაჲთა, ვითარცა მშობელნი[9], უყუარდეს[10] მოძღუარნი, რომელნი-იგი ნანდუსლვე[11] ჭეშმარიტებით არიან მოძღუარ. /248/ და რაჲთა[12] ვითარცა მთავართაგან ეშინოდის და ნუცამცა სიყუარულისა ძლით დაიჯსნების[13] შიში და ნუმცა უზომოჲსა მიერ შიშისა განილევის სიყუარული.

---

[1] მკაველი C. [2] სისქჱ] სისქე BCE. [3] ჩემდა + და B. [4] იოანე] იოვანე E. [5] ჯორციელი] ჯორცთა BE. [6] მთ. 6,33. [7] იგი მარხვაჲ] გლოვაჲ B. [8] ზუაობაჲ] ზრახვაჲ B. [9] მშობელნი + მათნი B. [10] უყუარდეს] ოდენ B. [11] ნანდუსლვე – C. [12] რაჲთა] არა B. [13] დაიჯსნების] დაჲჯსნების A.

3. კუალად თქუა: უკუეთუ გსურის ცხორებისათჳს, ყოველსავე იქმოდე, რომელიცა-რაჲ[1] მას მოგატყუებდეს.

XXIV. ჰრქუა ვინმე მამათაგანმან **მამასა იოანეს[2] სპარსსა**: ესოდენი შრომაჲ თავს-გჳც სასუფეველისათჳს ცათაჲსა, ნეტარ მივემთხუევით-მე ანუ არა? ჰრქუა მას ბერმან: მე მრწამს დამკჳდრებად ზეცისა მას იერუსალჱმსა, რომელი-იგი დაშენებულ არს და დაწერილ ცათა შინა. და რამეთუ სარწმუნო არს, რომელმან-იგი აღმითქუა ჩუენ, ანუ რაჲსათჳს ურწმუნო ვიყო მისა და რამეთუ უცხოთშემწყნარებელ[3] ვიქმენ ვითარცა აბრაჰამ, მშჳდ ვიქმენ ვითარცა მოსე, წმიდა ვიქმენ ვითარცა აჰრონ, მოთმინე ვიქმენ ვითარცა იობ[4], მდაბალ ვიქმენ ვითარცა დავით, უდაბნოს მკჳდრ ვიქმენ ვითარცა იოანე, მგლოვარე ვიქმენ ვითარცა იერემია, მოძღუარ ვიქმენ ვითარცა პავლე, მორწმუნე ვიქმენ ვითარცა პეტრე, ბრძენ ვიქმენ ვითარცა სოლომონ[5], აღმსაარებელ ვიქმენ ვითარცა ავაზაკი. უკუეთუ[6] ამათ ყოველთა ვებაძვო სათნოებათა მიერ, მრწამს მრავალთა მათ[7] მოწყალებათა ღმრთისათაჲ, რაჲთა დიდებასაცა მათსა ზიარ-მყოს. უკუეთუ კულა წინააღმდგომსა ვიქმოდი, ვითარ მოველოდი, ძმაო, სასუფეველსა?!

XXV. ჰკითხა **მამამან ლონგიონს[8] მამასა ლუკიონს** ოდესმე სამთათჳს გულისსიტყუათა და[9] ჰრქუა: მნებავს უცხოებაჲ. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ არა შეიკრძალო ენაჲ შენი, არა ხარ უცხოჲ, სადაცა წარხჳდე. და აქა უკუეთუ იპყრა ენაჲ შენი, უცხოჲ ხარ. კუალად ჰრქუა: მნებავს მარხვაჲ. მიუგო ბერმან: ესაია[10] /248v/ წინაწარმეტ/ყუელი იტყჳს: „უკუეთუ მოიდრიკო ქედი შენი, ვითარცა გრკალი, არცაღა ესრეთ ეწოდოს მარხვაჲ შეწყნარებული“, არამედ უფროჲსღა დაიცევ[11] თავი შენი ბოროტთაგან გულისსიტყუათა. ჰრქუა მას მესამედ: მნებავს სივლტოლაჲ კაცთაგან. მიუგო ბერმან: უკუეთუ არა პირველად წარჰმართო სათნოებაჲ კაცთა თანა, ვერცაღა მარტოდ ძალგიც წარმართებაჲ მისი.

XXVI. ორნი ვინმე ძმანი შესცთეს სკიტეს და განაყენნა იგინი **მამამან მაკარი მოქალაქემან.** წარვიდეს ვიეთნიმე და უთხრეს ესე მამასა მაკარის დიდსა, რომელი იყო მეგჳპტელი. ხოლო მან თქუა: არა არიან ძმანი იგი განყენებულ, არამედ მაკარი არს განყენებულ, რამეთუ უყუარდა იგი. ესმა ესე მამასა მაკარის მოქალაქესა, რამეთუ განაყენა იგი ბერმან და ივლტოდა იგი მინდორსა მას შამბოანსა[12]. გამოვიდა უკუე მამაჲ მაკარი დიდი ძიებად მისა და პოვა იგი შამბსა[13] მას შინა დაწერტილი და დასივებული მუმლთაგან და ჰრქუა მას: შენ განაყენენ ძმანი და აჰა ესერა, ეგულვა მიქცევაჲ სოფლად. ხოლო მე შენ განგაყენე და შენ ვითარცა პატიოსანი ქალწული

[1] რაჲ – C. [2] იოანეს] იოვანეს E. [3] უცხოთშემწყნარებელ] უცხოთა შემწყნარებელ C. [4] იობ + და C. [5] სოლომონ] სულომონ E. [6] უკუეთუ +კულა C. [7] მათ – B. [8] ლონგიონს B; ლონგინოზ C. [9] და + ჰრქუა B. [10] ესაია] ესაჲა AE. [11] დაიცევ] დაჲცევ A. [12] შამბოანსა] შამბოვანსა B; შანბოანსა E. [13] შამბსა] შანბსა E.

უშინაგანესად[1] კუბოდ შემოივლტოდე აქა[2]. და რამეთუ მე მოუწოდე ძმათა მათ და ვეზრახე და ვისწავე მათგან, რომელ არარაჲ ეგევითარი ქმნილ არს. იხილე უკუე შენცა, ძმაო, ნუსადა ეშმაკთაგან მოიკიცხე და რამეთუ არარაჲ გიხილავს შენ მათთჳს, არამედ უფროჲსღა აღიღე სინანული ბრალისათჳს შენისა. ხოლო მან ჰრქუა: უკუეთუ გნებავს, მომეც მე სინანული. ვითარცა იხილა იგი ბერმან, რამეთუ განესუენების, ჰრქუა: წარვედ და იმარხენ[3] სამნი შჳდეულნი, ერთგზის ოდენ ჭამდი შჳდეულსა შინა, რამეთუ ესე იყო წესი მათი და საქმე, რაჲთა შჳდეულსა სრულად იმარხჳდენ.

XXVII. 1. წარვიდა ძმაჲ ვინმე **მამისა მაკარი მეგჳპტელისა** /249/ და ჰრქუა მას: მამაო, მარქუ მე სიტყუაჲ, თუ ვითარ[4] ვცხოვნდე[5]. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ საფლავოანსა და აგინენ მკუდარნი. წარვიდა ძმაჲ იგი და აგინნა მკუდარნი და დაქოლნა იგინი ქვითა. და მოვიდა და მიუთხრა[6] ბერსა. ჰრქუა მას ბერმან: არარაჲ გრქუესა? მიუგო: არა. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ უკუე ხვალისდღე[7] და ადიდენ იგინი. წარვიდა ძმაჲ იგი, ადიდებდა მათ[8] და ეტყოდა: მოციქულნო წმიდანო და მართალნო! და მოვიდა ბერისა და ჰრქუა მას: წარვედ და ვადიდენ იგინი[9], მამაო. ჰრქუა მას ბერმან: არარაჲ მოგიგესა? მიუგო ძმამან[10]: არა, მამაო! ჰრქუა მას ბერმან: ხედავა, თუ ვითარ აგინენ იგინი და მათ არარაჲ მოგიგეს შენ და[11] კუალად თუ რაჲზომ ადიდენ იგინი და მათ არარაჲვე[12] გრქუეს შენ, ესრეთვე უკუე და შენცა უკუეთუ გნებავს ცხოვნებაჲ, იქმენ ყოვლითურთ მკუდარ და ნუცა რად ქებაჲ შეგირაცხიეს კაცთაჲ, ნუცა ძაგებაჲ და შემძლებელ იქმნე ცხოვნებად ძალითა ქრისტესითა.

2. წარჰვლიდა[13] ოდესმე **მამაჲ მაკარი** კერძოთა ეგჳპტისათა რაოდენთამე თანა ძმათა და ესმა ჴმაჲ ყრმისაჲ, რომელი ხადოდა დედასა თჳსსა. და ეტყოდა: დედაო, მდიდარი ვინმე მყუარობს მე[14] და მე მძულს იგი და გლახაკი ვინმე მძულობს მე და მე მიყუარს იგი. ესმა რაჲ ესე მამასა მაკარის, დაუკჳრდა ფრიად. ჰრქუეს მას ძმათა: რაჲ არს სიტყუაჲ ესე, რომელ დაგიკჳრდა, მამაო? ჰრქუა მათ ბერმან: ნანდჳლვე ჭეშმარიტად[15] მდიდარი არს უფალი ჩუენი და მყუარობს ჩუენ და ჩუენ არა გუნებავს სმენაჲ მისი. და გლახაკი არს მტერი ჩუენი, ეშმაკი და გუძულობს ჩუენ და ჩუენ გჳყუარს არაწმიდებაჲ იგი მისი.

3. თქუა **მამამან მაკარი**: უკუეთუ ვიჴსენებდეთ კაცთამიერთა შეწუხებათა ჩუენთა, მოუღებთ ძალსა ჴსენებასა ღმრთისასა. უკუეთუ კულა ეშმაკთაგან /249v/ მოწევ/ნულთა ჩუენ ზედა ძჳრთა ვიჴსენებდეთ, მოუწყლველად დავშთებით ისართა მათგან მტერისა მზაკუვარისათა[16].

---

[1] უშინაგანესად- C. [2] აქა – E. [3] იმარხენ] ჲმარხენ AE. [4] თუ ვითარ] რომლითა C. [5] ვცხოვნდე] ვცხონდე E. [6] მიუთხრა + იგი B. [7] ხვალისდღე] ხვალისა დღე B. [8] მათ – BCE. [9] იგი E. [10] ძმამან] ბერმანE. [11] და – B. [12] არარაჲვე] არა ვერაჲC. [13] წარჰვლიდა] წარვიდა E. [14] მე – C. [15] ჭეშმარიტად – C. [16] მზაკუვარისათა] ბოროტისათა BE.

XXVIII. 1. თქუა **მამამან მატოჲ**, ვითარმედ: არა იცის ეშმაკმან პირველ ცთომისა, თუ რომლითა ვნებითა იძლევის სული, თჳნიერ ოდენ სთესავს, გარნა არა უწყის, უკუეთუ მო-ცა-იმკოს. რომელთამე შორის სთესავს სიძვისა გულისსიტყუათა და რომელთამე შორის სთესავს განკითხვისათა, ესრეთვე სახედ ყოვლისავე ვნებისათა და უკანაჲსკნელ სადაჲთცა იხილოს მიდრეკილად სული, უმეტესადღა[1] მუნ შეუდგების.

2. ძმამან ჰკითხა **მამასა მატოჲს** და ჰრქუა: რაჲ ვყო[2], მამაო, უკუეთუ მოვიდეს ჩემდა ძმაჲ და იყოს ანუ დღე მარხვისაჲ ანუ განთიად და უჟამო, რამეთუ მიძნს ამას ზედა. ჰრქუა მას[3] ბერმან: უკუეთუ არა დაჰბრკოლდებოდი და სჭამო ძმისა თანა, კეთილად ჰყოფ და[4] უკუეთუ არავის მოელოდი[5] სხუასა და შჭამო, ესე ნებასა ზედა არს შენსა.

XXIX. ჰკითხეს ვიეთმე მამათაგანთა **მამასა მეგეთის** და ჰრქუეს: უკუეთუ დარჩეს წუენ-საჭმელი[6], გნებავსა რაჲთა მეორე[7] დღესა დაუგოთ იგი ძმათა? ჰრქუა მათ ბერმან: უკუეთუ განრყუნილ იყოს, არაკეთილ არს დაგებაჲ მისი ძმათა. რაჲთა არა ჭამონ რაჲ, დასნეულდენ. არამედ უფროჲსღა გარდაითხიენ[8]. უკუეთუ კულა კეთილ იყოს და ზუაობით განითხიოს[9] და სხუაჲ შეიმზადოს, იგი არაკეთილ არს.

XXX. კითხულ იქმნა **მამაჲ მიოს**[10] ოდესმე მჴედრისა ვისგანმე, უკუეთუ ნანდჳლვე არს სინანული და შეიწყნარებს ღმერთი მოქცეულთა. ხოლო ბერმან მრავალთა მიერ[11] სახეთა[12] და იგავთა დაარწმუნა ვითარმედ, ჭეშმარიტად არს სინანული აურაცხელთათჳს ღმრთისა მოწყალებათა. მერმე ესეცა დაურთო და ჰრქუა მას: მითხარ უკუე, საყუარელო, უკუეთუ განიხიოს ქლამინდი შენი გარე განაგდება მას? და მან თქუა: არა, არამედ კუალადცა /250/ შევჰკე/რავ და შთავიცუამ მას. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ შენ სამოსელსა შენსა ჰრიდებ, არა უფროჲსღა ჰრიდოსა ღმერთმან დაბადებულსა თჳსსა, რომელთა[13] ყოველთათჳს ცოდვილთა წყალობისა და ლხინებისა ძესაცა თჳსსა საყუარელსა არა ჰრიდა, ვითარ არა აწ მითურთ მოგუცეს ჩუენ[14] სინანული და მოტევებაჲ ცოდვათაჲ.

XXXI. წარვიდა ოდესმე **მამაჲ მაკარი მამისა პახუმისა**, რომელი იყო ტაბენესელი[15]. ჰკითხა უკუე მამამან პახუმი მამასა მაკარის და ჰრქუა: ძმანი უწესოებენ, მამაო, გნებავსა, რაჲთა ვწუართნე იგინი? ჰრქუა მას მამამან მაკარი: წუართენ იგინი წყალობით და სიმართლით, რომელნი ჴელსა ქუეშე[16] შენსა არიან, ხოლო სხუასა გარეშესა ნუვის განიკითხავ, რამეთუ წერილ არს: შინათა არა[17] თჳთ[18] თქუენ სჯითო, ხოლო გარეშენი იგი საჯნეს ღმერთმან.

---

[1] უმეტესადღა] უმეტესღა C. [2] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 147r-ზე (აკინძვის შეცდომა). [3] მას – C. [4] და – B. [5] მოელოდო E. [6] წუენ-საჭმელი] წუენი საჭმელი C. [7] მეორე] მეორესა E. [8] გარდაითხიენ] გარდაჲთხიენ AE. [9] განითხიოს] განჲთხიოს AE. [10] მიოს] მიუს C. [11] მიერ] მათ C. [12] ~ იგავთა და სახეთა BE. 13 რომელთა] რომელმან C. [14] ჩუენ- C. [15] ტაბენესელი] ტაბენსიელი A; ტაბენესიელი E. [16] ~ შენს ქუეშე C. [17] არა – B; [18] ~ თქუენ თჳთ C.

XXXII. გჳთხრეს ჩუენ **მამისა ნეტრაჲსთჳს, მოწაფისა მამისა სილოვანესა**, ვითარმედ: ოდესმე მკჳდრ იყო იგი მათასა სინასა, შეზავებული და ზომიერი აქუნდა მოქალაქობაჲ სენაკსა[1] შინა თჳსსა. ხოლო ოდეს იქმნა იგი ეპისკოპოს ფარანს[2], შეაიწრა[3] თავი თჳსი მეტად მოღუაწებითა. ჰრქუა მას მოწაფემან მისმან: მამაო, ოდეს-იგი ვიყვენით უდაბნოს, არა ესოდენ იღუწიდი. ჰრქუა მას ბერმან: მუნ, შვილო, უდაბნოჲ იყო და სიგლახაკჱ[4] და თანამედვა ძღომაჲ თავისაჲ[5], რაჲთა არა დავსნეულდე რაჲ, მას მენუკევდეს, რომელი არა მაქუნდეს. აქა კულა, შვილო, სოფელი არს და მიზეზნი გუქონან მრავალნი და უკუეთუ დავსნეულდე, ვპოებ[6] ნუგეშინისსაცემელსა, რაჲთა არა სრულებით ქუე მივარდე[7] და უჴმარ ვიქმნე.

XXXII. 1. წარვიდა ოდესმე ძმაჲ ვინმე უცხოებად კერძოთაგან **მამისა პიმენისთა.** და უცხოებასა მას შინა თჳსსა მიემთხჳა ვისმე /250v/ დაყუდე/ბულსა დიდად განთქუმულსა და სახელოვანსა, რომელსა სიყუარულიცა აქუნდა. და მრავალნი მივიდოდეს ხილვად მისა. მიუთხრა უკუე მას ძმამან მან[8] მამისა პიმენისთჳს, ხოლო მას ვითარცა ესმა სათნოებაჲ მისი, სურვიელ იქმნა ხილვად მისა. და ვითარცა უკუმოიქცა ძმაჲ იგი ეგჳპტედ[9], შემდგომად რაოდენისამე ჟამისა აღდგა დაყუდებულიცა იგი და წარვიდა ეგჳპტედ და მოიძია ძმაჲ იგი, ვითარცა ესწავა მისდა[10] ადგილი საყოფლისა თჳსისაჲ მახლობელად მდინარისა მის დიდისა. იხილა რაჲ ძმამან მან მარტოდმყოფი იგი და დაყუდებული, განუკჳრდაცა[11] და განეხარნეს ფრიად და[12] გულსმოდგინედ მიეგება და მოწლედ ისტუმრა იგი[13]. მერმე ჰრქუა მას დაყუდებულმან: ყავ სიყუარული და წარმიყვანე მე მამისა პიმენისსა. და წარუძღუა მას და წარიყვანა ბერისა და მიუთხრა მას ძმამან დაყუდებულისა მისთვის ყოველივე, ვითარმედ დიდი კაცი არს და ფრიადი პატივი და სიყუარული აქუს ქუეყანასა შინა მისსა და რამეთუ მიეთხრა მას შენთჳს და სურვილითა ხილვისა შენისაჲთა მოსრულ არს აქა. შეიწყნარა უკუე იგი მამამან პიმენ სიხარულით და ვითარცა მოიკითხეს ურთიერთარს, დასხდეს და[14] იწყო უცხოჲთ მოსრულმან მან სიტყუად სულისათჳს და ზეცათათჳს. ხოლო მამამან პიმენ გარემიიქცია პირი თჳსი და არა მისცა მას პასუხი. და ვითარცა იხილა შორით მოსრულმან მან, ვითარმედ არა ზრახავს მის თანა, შეწუხნა და გამოვიდა და ჰრქუა ძმასა მას, რომელმან მოიყვანა იგი, ვითარმედ: ცუდად დავშუერ ყოველსა[15] ამას გზასა, რომელსაცა მოვედ, რამეთუ მოვედ ბერისა, რაჲთა სარგებელ-მეყოს და აჰა ესერა, არცაღა[16] თუ ჰნებავს სიტყუად ჩემ თანა. შევიდა ძმაჲ იგი მამისა პიმენისა და ჰრქუა მას:

---

[1] სენაკსა] სენაკებსა B. [2] ფარანას B. [3] შეაიწრა] შეაჲწრა A. [4] სიგლახაკჱ] სიგლახაკე BCE. [5] თავისაჲ] თავისა E. [6] ვპოებ] ვიპოებ C. [7] მივარდე] მივვარდე BE. [8] მან- E. [9] ეგჳპტედ, შემდგომად ...წარვიდა ეგჳპტედ – C. [10] მისდა – C. [11] განუკჳრდაცა] განკჳრდაცა C. [12] და – B. [13] იგი – B. [14] და – B. [15] ყოველსა] ყოველსავე BE. [16] არცაღა] არცა C.

მამაო, შენთჳს მოსრულ არს დიდი ესე კაცი, რომელსა ესოდენი[1] დიდებაჲ და პატივი აქუს ქუეყანასა შინა მისსა და რაჲსათჳს არას იტყჳ მის თანა? ჰრქუა მას ბერმან: ეგე ზეცას არს და ზეცისასა იტყჳს და მე ქუე ვარ და ქუეყანისასა ვიტყჳ, რამეთუ უკუეთუმცა რას /251/ მეტყოდა ეგე ვნებათათჳს სულისა[2], სიტყუას-უგემცა[3] მე მას, სისრულისათჳს კულა და ზეცათაჲსა[4] ვერ მცალს მე[5] მეტყუელებად. გამოვიდა ძმაჲ იგი და ჰრქუა უცხოჲთ მოსრულსა მას დაყუდებულსა: არა აქუს ბერსა წესად ადრე-ადრე სიტყუად წერილთაგან, არამედ უკუეთუ რას ვინ ჰკითხვიდეს მას ვნებათათჳს სულისათა, მიუგებს[6]. ლმობიერ იქმნა ამას ზედა იგი[7], შევიდა ბერისა და ჰრქუა მას: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ ვიმძლავრები მე ვნებათაგან სულისათა? მიხედნა მას ბერმან მოწლედ და ჰრქუა: აწ კეთილად მოხუედ, აწ აღაღე პირი შენი და აღვავსო ეგე კეთილთაგან სულიერთა. ვინაჲცა ეზრახა მას ფრიად და სარგებელ-ეყო უფროჲს მოლოდებისა და იტყოდა: ნანდჳლვე ჭეშმარიტად ესე არს გზაჲ ცხორებისაჲ და ჰმადლობდა ღმერთსა, რომელმან ღირს-ყო იგი ხილვად და ზრახვად ესევითარისა მის წმიდისა. და ესრეთ აღსავსჱ[8] სიხარულითა წარვიდა სახედ თჳსად.

2. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: ცოდვაჲ ვქმენ დიდი, მამაო, და მნებავს შენანებაჲ მისი სამ წელ. ჰრქუა მას ბერმან: დიად[9] არს ეგე. ჰრქუა მას ძმამან: და რაჲ, წელიწად ერთ ჰბრძანება? ჰრქუა მას ბერმან: ეგეცა დიად[10] არს. ხოლო მუნ მყოფნი იგი ეტყოდეს: ორმეოც დღე შეინანების. და კუალადცა ჰრქუა მათ ბერმან: და ეგეცა დიად[11] არს. მერმე თქუა, ვითარმედ: მე მრწამს ჭეშმარიტად და ვიტყჳ, ვითარმედ: უკუეთუ შეინანოს კაცმან ყოვლითა გულითა და არღარა შესძინოს ქმნად ცოდვისა მის, სამთა შინა დღეთა შეიწიროს ღმერთმან სინანული მისი და მიუტევნეს ცოდვანი მისნი!

3. ჰკითხა **მამამან ესაია**[12] **მამასა პიმენს** უშუერთათჳს და ხენეშთა გულისსიტყუათა. ჰრქუა მას მამამან პიმენ: ვითარცა სახედ კიდობანი აღსავსე სამოსლებითა არიან გულისსიტყუანი, უკუეთუ უტევნე იგინი და არა ამზევნებდე, თჳთ დალპენ[13] იგინი და მღილთა დაჭამნენ /251v/. ესრეთვე არიან გულისსიტუანიცა[14] ხენეშნი[15] და არაწმიდანი. უკუეთუ არა აღასრულნე იგინი საქმით და არა იწურთიდე მათ[16], თჳთ დალპენ[17] იგინი სიგრძესა შინა ჟამთასა და წარჴდენ და განქარდენ.

4. ესევე სიტყუაჲ ჰკითხა **მამამან იოსებ მამასა პიმენს**, ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: ვითარცა სახედ გუელნი და ღრიაკალნი შე-თუ-აწყუდინე

---

[1] ესოდენი] ესე ოდენი E. [2] სულისა] სულისათა E. [3] სიტყუას-უგემცა] სიტყუა-უგემცა BC. [4] ზეცათაჲსა] ზეცათათჳს C. [5] მე – C. 6 მიუგებს + მას C, [7] იგი + და B. [8] აღსავსჱ] აღსავსე BCE. [9] დიად] დიდ BCE. [10] დიად] დიდ BCE. [11] დიად] დიდი B; დიდ C, [12] ესაია] ესაჲა A. [13] დალპენ] დალლპენ C. [14] გულისსიტუანიცა] გულისსიტუანი BC. [15] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 153v-ზე (აკინძვის შეცდომა). [16] მათ თჳთ] მათჳთს B. [17] დალპენ] დაჰლპენ C.

რასმე შინა ჭურჭელსა და დაუყო კარი სიგრძესა შინა ჟამთასა, დაიჯოცნენ[1] უეჭუელად, ესრეთვე ეშმაკთაგან მოსრულნი გულისსიტყუანი მოწყალებითა ღმრთისაჲთა და მოთმინებითა მოაკლდებიან.

5. ძმაჲ მოვიდა **მამისა პიმენისა** და ჰრქუა მას[2]: მამაო, ვსთესავ ყანობირსა ჩემსა და ვჰყოფ მისგან სიყუარულსა. ჰრქუა მას ბერმან: კეთილად იქმ, ძმაო. და წარვიდა იგი[3] და შურებოდა გულსმოდგინედ და დაჰმატა სიყუარულსა. ესმა სიტყუაჲ ესე მამასა ანუბს[4] და ჰრქუა მამასა პიმენს: არა გეშინისა შენ ღმრთისა, რამეთუ ესრეთ არქუ ძმასა მას? ხოლო ბერი დუმნა და შემდგომად ორისა დღისა მოუწოდა მამამან პიმენ ძმასა მას და სასმენელად მამისა ანობისა ჰრქუა მას: რაჲ მითხარ მე[5] ძუღან[6], რამეთუ გონებაჲ ჩემი სხუაგან სამე შექცეულ იყო და ვერ გავიგონე[7]. ჰრქუა მას ძმამან: აგარაკისა ჩემისათჳს მოგაჴსენე, მამაო, ვითარმედ ვსთესავ და ვჰყოფ მისგან სიყუარულსა. ჰრქუა მას მამამან პიმენ: მე ვჰგონებდ, ვითარმედ ძმისა შენისა ერისკაცისათჳს მეტყოდე მე, უკუეთუ კულა შენ ხარ, რომელი ჰყოფ ამას, ესე საქმე არა არს მონაზონისაჲ. შეწუხნა ამას ზედა ძმაჲ იგი, ესმა რაჲ ესე და თქუა: რაჲ ვყო, რამეთუ მე სხუაჲ ჴელთსაქმარი არარაჲ ვიცი, თჳნიერ ესე და შეუძლებელ არს, რაჲთამცა არა დავსთესე ყანობირი ჩემი. და ვითარცა წარვიდა ძმაჲ იგი, მოუდრიკნა მუჴლნი მამამან ანუბ და ჰრქუა: შემინდვე მე, რამეთუ შევსცეთ. ჰრქუა მას მამამან პიმენ: და მეცა ვცოდე[8] პირველითგანვე, რომელ ესე საქმე /252/ არა არს მონაზონთაჲ[9], გარნა გულისსიტყჳსაებრ[10] მისისა მიუგე და მივეც მას გულსმოდგინებაჲ, რაჲთა დაჰმატოს სიყუარულსა და აჰა ესერა, აწ წარვიდა შეწუხებული და კუალადცა[11] მასვე იქმს.

6. თქუა **მამამან პიმენ**: უკუეთუ ცოდოს კაცმან და უვარ-ყოს და თქუას: არა მიცოდავს, ნუღარა ამხილებ მას. უკუეთუ არა, მოჰკუეთ გულსმოდგინებასა მისსა. უკუეთუ კულა ჰრქუა მას: ნუ ურვეულ ხარ, ძმაო, წაღმართ ოდენ შეიკრძალე, აღადგინებ[12] ამით სულსა მისსა სინანულად.

7. კუალად თქუა: კეთილ არს მეცნიერებაჲ გონიერი, რამეთუ იგი ასწავებს კაცსა და მოიყვანებს გამოცდილებად.

8. თქუა კუალად: კაცი, რომელი ასწავებდეს სხუათა და თჳთ არა იქმოდის, რასა იგი ასწავებს, მსგავს არს იგი ავაზანსა, რომელი სხუათა რწყავს და რცხის, ხოლო თავსა თჳსსა განწმედად ვერ ძალ-უც.

9. ძმაჲ მოვიდა **მამისა პიმენისა** და ჰრქუა მას: მრავალნი გულისსიტყუანი მქონან, მამაო, და ფრიად ვიჭირვი მე მათგან. გამოიყვანა იგი ბერმან გარე და ჰრქუა მას: განიპყრენ წიაღნი შენნი და შეიპყრენ ქარნი ესე მომავალნი.

---

[1] დაიჯოცნენ] დაჲჯოცნენ AE. [2] მას – E. [3] ~ და შურებოდა იგი B. [4] ანუბს] ანობს C. [5] მე – C. [6] ძუღან] ძუღუან A. [7] გავიგონე] განვიგონე C. [8] ვცოდე] ვიტყოდე C. [9] მონაზონთაჲ] მონაზონისაჲ C. [10] გულისსიტყჳსაებრ] გულისსიტყუათაებრ B. [11] კუალადცა] კუალად C. [12] აღადგინებ] აღადგინება C.

და მან ჰრქუა[1]: ვერ ძალ-მიც[2] მე ყოფად ესე. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ ეგე ვერ ძალ-გიც ყოფად, ვერცაღა გულისსიტყუათა[3] ძალ-გიც პყრობად[4], რაჲთამცა არა მოვიდეს, თჳნიერ ოდენ წინააღდგომაჲ არს შენი და იგიცა მოწყალებითა ღმრთისაჲთა.

10. კუალად თქუა **მამამან პიმენ**: უკუეთუ სამნი იყვნენ ერთად და ერთი დაეყუდოს კეთილად და მეორე დასნეულდეს და ჰმადლობდეს და[5] მესამე იგი ჰმსახურებდეს წრფელითა გონებითა, სამთაჲვე[6] მათ სწორ არს საზომიცა და სათნოებაჲ.

11. ჰკითხა **მამამან იოსებ მამასა პიმენს**[7]: ვითარ ჯერ არს, მამაო, მარხვაჲ? ჰრქუა მას მამამან პიმენ: მე ესრეთ მნებავს, რაჲთა ყოველთა დღეთა ჭამდეს მცირედ, თჳნიერ განძღომისა. ჰრქუა მას[8] /252v/ მამამან იოსებ: და შენ ოდეს იყავ ჭაბუკ არა გიმარხავსა ორ-ორით? ჰრქუა მას ბერმან: ჰრიდე, მამაო, და სამ-სამითცა და ოთხ-ოთხით და შჳდეულით. და ესე ყოველთავე[9] გამოცადეს მამათა, ვითარცა შემძლებელთა და პოვეს და გამოარჩიეს რაჲ დღე მიღებაჲ საზრდელისაჲ ნაკლულად და დამიტევეს ჩუენ გზაჲ სამეუფეოჲ სუბუქიცა და რჩეული.

12. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: მამაო, დამიშთა მე სამკჳდრებელი, რაჲ უყო მას? ჰრქუა მას ბერმან: წარვედ, ძმაო, და შემდგომად სამისა დღისა მოვედ და გითხრა შენ. და ვითარცა მოვიდა იგი ჟამსა მას[10] განწესებულსა, ჰრქუა მას ბერმან: რაჲ გრქუა შენ, ძმაო, არა უწყი. უკუეთუ გრქუა შენ, თუ მიეც ეკლესიასა, ტაბლად შეჭამენ და სერად. უკუეთუ გრქუა შენ, თუ მიეც თჳსთა შენთა და ნათესავთა, არარაჲ მოგხუდების მადლი. უკუეთუ გრქუა შენ, თუ განუყავ გლახაკთა, უზრუნველ იქმნები და მინდობილ. წარვედ უკუე და თჳთ, ვითარცა გნებავს, განაგე, რამეთუ მე მაგას თანა საქმე არაჲ მიც.

13. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: უკუეთუ ვიხილო რაჲმე საქმე, გნებავსა რაჲთა ვთქუა იგი? ჰრქუა მას ბერმან: წერილ არს, განაღა რომელი მიუგებდეს პასუხსა პირველ სმენისა, უგუნებურება არს მისდა და საკდემელ. უკუეთუ გეკითხოს და ჯერ იყოს, თქუ, უკუეთუ არა, დუმენ.

14. მამასა პიმენს ჰკითხა ძმამან და ჰრქუა: ძალ-უცა კაცსა მინდობაჲ ერთსა რასმე სათნოებასა? და[11] ბერმან ჰრქუა მას: მამამან იოანე[12] მოკლემან თქუა, ვითარმედ: მე იგი კაცი მთნავს და აღმირჩევიეს, რომელმან შეიკრიბოს მცირედ-მცირედ ყოველთაგან სათნოებათა[13].

15. კუალად თქუა **მამამან პიმენ,** ვითარმედ: თქუა სიტყუაჲ ესე მამამან ამმონ, რამეთუ: არს კაცი, რომელსა მრავალჟამ უპყრიეს ცული, დასცემს

---

[1] ჰრქუა] თქუა C. [2] ძალ-მიც + მე C. [3] გულისსიტყუათაჲ E; + ვერ C. [4] პყრობად] შეპყრობად B. [5] და – C. [6] სამთაჲვე] სამთავე E. [7] პიმენს + ვითარმედ C. [8] მას – E. [9] ყოველთავე] ყოველი B. [10] მას – BE. [11] აქედან B ნუსხა ნაკლულია. [12] იოანე] იოვანე BCE. [13] სათნოებათა] სათნოებათაგან C.

ხესა და ვერ ძალ-უც მოკუეთად. და არს კუალად სხუაჲ გამოცდილი კუეთისაჲ და მცირედისა მიერ ცემისა /253/ მოჰკ/უეთს ხესა მას. ხოლო ცულად იტყოდა იგი გონიერსა განკითხვასა.

16. თქუა **მამამან პიმენ**: ნებაჲ კაცისაჲ ზღუდჱ[1] არს რვალისაჲ შორის მისა და ღმრთისა და კლდჱ[2] საცთურებისაჲ. ხოლო უკუეთუ დაუტეოს კაცმან ნებაჲ თჳსი, ძალ-უც მასცა თქუმად, ვითარმედ ღმრთისა ჩემისა მიერ გარდავჰჴდე ზღუდესა. უკუეთუ კულა ნებასა ზედა დაერთოს განმართლებაჲცა თავისაჲ, ჭირსა შევარდების დიდსა კაცი იგი.

17. მივიდეს ოდესმე მწვალებელნი **მამისა პიმენისა**[3] და იწყეს განკითხვად მთავარეპისკოპოსსა ალექსანდრიაჲსასა[4], ვითარმედ ხუცისაგან არსო ჴელთდასხმულ. ხოლო ბერი დუმნა, მერმე ჴმა-უყო მოწაფესა თჳსსა და ჰრქუა: დაუდგ ამათ ტაბლაჲ და აპატივე[5] და წარმგზავნენ[6] მშჳდობით.

18. კუალად თქუა, ვითარმედ: იტყოდა **მამაჲ სისოჲ**, რამეთუ სიგლისპჱ[7] და უშიშოებაჲ დიდ არიან ცოდვათა[8].

19. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: მამაო, უკუეთუ დაეპყრას კაცი რომელსამე ბრალსა და მოიქცეს, დასტურად შეუნდობსა ღმერთი? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ კაცთა ამცნო ყოფაჲ ამისი ღმერთმან, არა უფროჲსღა[9] თავადმან ყოსა ესე?! და რამეთუ ამისთჳს ამცნო პეტრეს შენდობაჲ სამეოცდაათშჯგზის, რაჲთა ჩუენ დაგჯდვას იმედი წყალობისა[10] და შენდობისა[11].

20. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: შემძლებელ არსა კაცი პყრობად ყოველთა[12] გულისსიტყუათა, რაჲთამცა არა მისცა მტერსა არცა ერთი? ჰრქუა მას ბერმან: არს კაცი[13], რომელი მოიღებს ათსა და მისცემს ერთსა.

21. თქუა **მამამან პიმენ**: რომელი იყოს ცუნდრუკ, იგი არა არს მონაზონ. და რომელი ეძიებდეს ნაცვლისა[14] მიგებად ბოროტსა, არცა იგი არს მონაზონ, და რომელი იყოს გულმწყრალ და მრისხანე, არცა იგი არს მონაზონ.

22. მივიდეს ვინმე ბერთაგანნი **მამისა პიმენისა**[15] და ჰრქუეს: გნებავსა, უკუეთუ ვიხილოთ ძმაჲ, რომელსა ჰრულოდის ეკლესიას[16], რაჲთა[17] უგუმიროთ მას და /253v/ განვა/ღჯძოთ იგი ღამისთევასა? ჰრქუა მათ ბერმან: მე ჟამად უკუეთუ ვიხილო ძმაჲ ჩემი მძინარედ, დავიდვა თავი მისი მუჴლთა ზედა ჩემთა და განუსუენო[18] მას.

---

[1] ზღუდჱ] ზღუდე CE. [2] კლდჱ] კლდე C. [3] პიმენისა] პიმენისსა E. [4] ალექსანდრიაჲსასა] ალექსანდრიისასა E. [5] აპატივე] პატივ-ეც E. [6] წარმგზავნენ] წარგზავნენ CE. [7] სიგლისპჱ] სიგლისპე CE. [8] ცოდვათა] ცოდვათანი E. [9] უფროჲსღა] უფროჲსად E. [10] წყალობისა] წყალობისაჲ E. [11] შენდობისა] შენდობისაჲ C. [12] ყოველთავე C. [13] კაცი – E. [14] ნაცვლისა] ნაცვალსა C. [15] პიმნისა] პიმნისსა E. [16] ეკლესიას] ეკლესიასა E. [17] რაჲთა – C. [18] განუსუენო] განუსუენოს C.

23. იტყოდეს ძმისა ვისთჳსმე, ვითარმედ ბრძოლილ იქმნა გმობითა და ჰრცხუენოდა მას თხრობად ვისაცა. და სადაცა ესმის დიდისა ბერისათჳს, წარვიდის მუნ, რაჲთამცა მიუთხრა. და ვითარცა მიიწიის მუნ, ჰრცხუენოდის აღსარებად. მრავალგზის უკუე წარვიდა მამისა პიმენისაცა და ხედვიდა მას ბერი, ვითარმედ ჰქონან[1] გულისსიტყუანი, და უძნ მას, რამეთუ ძმაჲ იგი არა აღიარებდა თჳთ. დღესა უკუე ერთსა წარჰგზავნიდა რაჲ ბერი, ჰრქუა მას: აჰა ესერა, ესოდენთა ჟამთა მოხუალ აქა და გქონან გულისსიტყუანი, რაჲთამცა[2] აღმიარენ და ოდეს მოხჳდე, არა გნებავს თქუმაჲ მათი, არამედ ყოლადვე და მარადის წარხუალ შეწუხებული და გიტჳრთვან იგი თავსა შორის შენისა. თქუ უკუე, შვილო, რაჲ არს, რომელი შეგემთხვევის შენ?! ხოლო მან თქუა: გმობად ღმრთისა მბრძავს მე მტერი, მამაო, და მრცხუენის თქუმად და აღსაარებად. და ვითარცა წარმოუთხრა მას, რაჲ-იგი იყო, მეყსეულად აღუსუბუქდა ძმასა მას. ჰრქუა მას ბერმან: ნუ შეწუხებულ ხარ, შვილო, არამედ ოდეს მოგიჴდეს შენ გულისსიტყუაჲ ეგე, იტყოდე, გმობაჲ შენი თავსავე ზედა[3] შენსა დაგიჴედინ ეშმაკო, მე მაგას თანა საქმჱ[4] არაჲ მიც, არცა ჰნებავს საქმე ეგე სულსა ჩემსა! ხოლო ყოველივე საქმჱ[5], რომელი არა უნდეს სულსა, იგი მოკლე არს და მცირედჟამისაჲ. ესრეთ განიკურნა ძმაჲ იგი მოწყალებითა ღმრთისაჲთა და ლოცვითა ბერისაჲთა. და წარვიდა მოხარული სენაკად თჳსა და ჰმადლობდა ღმერთსა.

24. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: რაჲსათჳს არწმუნებენ ეშმაკნი სულსა ჩემსა ყოფად ჩემდა უაღრესთა თანა ჩემთა /254/ და მმოგუნიან[6] შეურაცხყოფად უმრწემესთა ჩემთა. ჰრქუა მას ბერმან: ამისთჳს თქუა მოციქულმან, ვითარმედ: „სახლსა შინა დიდსა არა არიან ჭურჭელნი ოქროჲსანი ოდენ და ვეცხლისანი, არამედ და შეშისანიცა და კეცისანი“[7]. ვინაჲცა უკუეთუ ვინ განწმიდოს თავი თჳსი სავნებელთაგან საქმეთა, იქმნეს იგი ჭურჭელ პატიოსან მეუფისა, განმზადებულ ყოვლისავეთჳს[8] საქმისა კეთილისა.

25. თქუა **მამამან პიმენ**: უჴმს კრებულსა ზოგადცხორებულთასა ქონებად სამთა საქმეთა: ერთსა უმდაბლესსა და მეორესა დასამორჩილებელსა და მესამესა უაღრესსარე, ყოველსავე სადიდებელად ღმრთისა და აღსაშენებელად კრებულებისა[9] ძმათაჲსა.

26. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: ჟამსა ჭირისა ჩემისასა ვსთხოვე ვისმე წმიდათაგანსა საჴმარი და მომცა მან სიყუარულად. აწ უკუე უკუეთუ მომცეს ღმერთმან, სხუაგან მივსცე სიყუარული, ანუ მასვე, რომელმან-იგი მომცა მე? ჰრქუა მას ბერმან, რამეთუ: სამართალი წინაშე

---

[1] ჰქონან + მას C. [2] შემორჩენილია B ნუსხის 2 ფურცელი. [3] ~ შენსა ზედა E. [4] საქმჱ] საქმე CE. [5] საქმჱ] სქმე CE. [6] მმოგუნიან] მომაგონიან BE. [7] II ტიმ. 2,20. [8] ყოვლისავეთჳს] ყოვლისათჳსვე B. [9] კრებულებისა] კრებულისა B.

ღმრთისა ესრეთ არს, რაჲთა მასვე მიეცეს[1], რამეთუ მისი არს. ჰრქუა მას ძმამან: უკუეთუ მივართუა მას და არა აღიღოს, არამედ მრქუას: წარვედ და ვითარცა გნებავს, მიეც ეგე სიყუარულად, რაჲ უყო? ჰრქუა მას ბერმან: ყოველსავე ზედა მისი არს საჯმარი იგი[2] და რამეთუ, უკუეთუ შენ არა სთხოო[3] ვისმე და მოგცეს, ესე შენი არს. ხოლო უკუეთუ სთხოო გინა მონაზონსა, გინა ერისკაცსა და მან არღარა ინებოს მიღებად, ესე არს საძიებელი, ჯერ არს უკუე, რაჲთა მისდა საცნობელად განსცე იგი მისთჳს სიყუარულად, რომელ არს მოწყალებაჲ.

27. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: რაჲ არს, მამაო, ცუდად განრისხებაჲ ძმისაჲ? ჰრქუა მას ბერმან: ყოვლისავეთჳს უსამართლოებისა, რომელი შეგამთხჳოს ძმამან და განურისხნე მას, ცუდად განჰრისხნები. დაღათუ თუალი მარჯუენჱ[4] /254v/ აღმოგიღოს, დაღათუ ჴელი შენი[5] მარჯუენჱ[6] მოგკუეთოს, ცუდად განჰრისხნები, ხოლო უკუეთუ ღმრთისაგან განგაშორებდეს, მაშინ განრისხენ.

28. ჰკითხა ძმამან **მამასა პიმენს** და ჰრქუა: რაჲ არს, მამაო, სინანული ცოდვისაჲ? ჰრქუა მას ბერმან: არღარა ქმნაჲ ცოდვისაჲ, არს სინანული, და რამეთუ ამისთჳს იწოდნეს უბიწოდ[7] მართალნი, რომელ დაუტევეს ცოდვაჲ და იქმნნეს იგინი მართალ.

29. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: ძალ-უცა, მამაო, კაცსა რაჲთა მკუდარ იქმნეს? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ შევარდეს ცოდვასა, მკუდარ იქმნების იგი და უკუეთუ შევარდეს კაცი საქმესა კეთილისასა, ცხოვნდების[8] იგი[9].

30. კუალად თქუა: სწავლაჲ მოყუსისაჲ მრთელსა ხუდების და უვნებელსა, თუ არა, რად საჯმარ იყოს აღშენებაჲ სახლსა სხჳსასა და თჳსსა აოჯრებაჲ?!

31. მანვე თქუა: რაჲ ირგოს კაცმან, წარვიდეს თუ სწავლად ჴელოვნებისა და ვერ დისწავლოს[10] იგი.

32. კუალად თქუა: ზომისა მეტი ყოველივე[11] ეშმაკთაგან არს.

33. კუალად თქუა: შიმშილმან და უძილობამან არა მიტევეს ჩუენ ძებნად უდარესთა საქმეთა.

34. ჰკითხა ვინმე მამათაგანმან **მამასა პიმენს** და ჰრქუა: ვინ იტყჳს, მამაო, სიტყუასა მას თუ: ნაწილი ჩემი ხარი შენ, უფალო. ჰრქუა მას ბერმან: სული წმიდაჲ არს, რომელი იტყჳს მაგას[12].

35. ძმაჲ ვინმე მივიდა **მამისა პიმენისა**, დასხდეს რაჲ მუნ სხუანიცა, აქო ძმაჲ ვინმე ვითარმედ, ბოროტისმოძულე არს იგი. ჰრქუა მას ბერმან:

---

[1] მიეცეს] მისცე B. [2] იგი – C. [3] სთხოო] სთხოვო E. [4] მარჯუენჱ] მარჯუენე E. [5] შენი- E. [6] მარჯუენჱ] მარჯუენე E. [7] ~ მართალნი უბიწოდ C. [8] ცხოვნდების] ცხონდების E. [9] იგი – C. [10] დისწავლოს] დაჲსწავლოს A. [11] ყოველივე] ყოველი E. [12] მაგას] მას B.

რაჲ არს ბოროტისმოძულებაჲ? განჰკრთა ძმაჲ იგი და ვერ პოა[1], თუ რაჲ მიუგოს. აღდგა და შეუვრდა ბერსა და ევედრებოდა თხრობად, თუ რაჲ არს ბოროტისმოძულ[ებ][2]. ჰრქუა მას ბერმან: ბოროიტისმოძულ[ებ][3] იგი არს, რომელმან მოიძულნეს ცოდვანი თჳსნი და მოყუასი განამართლოს.

36. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: რაჲ უყო, მამაო, გულისსიტყუათა ჩემთა /255/ არა/წმიდათა? ჰრქუა მას ბერმან: ესე საქმე ჰგავს კაცსა, რომელსამცა მარცხენით კერძო ედვა ცეცხლი და მარჯუენით კერძო ედგამცა წყალი. და ოდეს მოვალნ ცეცხლი იგი მას ზედა, დაასხამნმცა[4] წყალსა და დაავსებნ ცეცხლსა მას. ცეცხლი უკუე არს ცეცხლი იგი გულისთქუმათაჲ, რომელსა სთესავს მტერი. ხოლო წყალი არს წყალობაჲ ღმრთისაჲ და რაჲთა შეუგდოს კაცმან თავი თჳსი ღმერთსა.

37. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: რაჲ უმჯობეს არს, მამაო, მეტყუელებაჲ ანუ დუმილი? ჰრქუა მას ბერმან: ღმრთისათჳს მეტყუელებაჲ კეთილ არს და კუალად ღმრთისათჳს დუმილი კეთილვე არს!

38. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: ვითარ ძალ-უც კაცსა სივლტოლად ძჳრისმეტყუელებისაგან მოყუსისა? ჰრქუა მას ბერმან: ჩუენ და ძმანი ჩუენნი ორნი ხატნი ვართ. და ოდეს კაცი თჳსსა ხატსა და თავსა ხედვიდეს და სძაგებდეს, მაშინ გამოჩნდების ხატი იგი მოყუსისაჲ პატიოსან. ოდეს კულა თჳსისა მის ხატისა ვერკეთილობაჲ დაჰვიწყდეს, მაშინ იწყებს ძაგებად ხატსა მას მოყუსისასა.

39. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** მოწყინებისათჳს. ჰრქუა მას ბერმან: მოწყინებაჲ თანადგას ყოველსავე საქმესა კეთილისასა და არა არს უძჳრეს მისსა სხუაჲ ვნებაჲ. ხოლო განსდევნის მას და იოტებს სიყუარული ღმრთისაჲ[5].

40. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: მნებავს შესლვაჲ საკრებულოსა მონასტერსა და დამკჳდრებაჲ მუნ. ჰრქუა მას ბერმან: არა თუ მოიცალო ყოვლისაგანვე საქმისა და სრულებით უზრუნველ იქმნე, ვერ ძალ-გიც შესლვაჲ შორის კრებულსა[6] და რამეთუ არა გაქუს მუნ ჴელმწიფებაჲ არცა თუ თასსა[7] ზედა.

41. ეტყოდეს ძმანი მისნი **მამასა პიმენს**: წარვიდეთ ადგილისა ამისგან, რამეთუ გუაშფოთებენ ჩუენ მონასტერნი, რომელნი არიან მახლობელ ჩუენდა. და აჰა ესერა, ტირილიცა ყრმათაჲ ისმის აქა და არა მიტევებენ ჩუენ დაყუდებად და წარვსწყმედთ[8] სულთა ჩუენთა. /255v/ ჰრქუა მათ მამამან პიმენ: ჴმისაგან ანგელოზთაჲსა ივლტითა და გნებავს თქუენ ამიერ განშორებაჲ?!

---

[1] პოვა CE ; +იგი B. [2] ბოროტისმოძულ[ებ] ბოროტისმოძულე CE. [3] ბოროტისმოძულ[ებ] ბოროტისმოძულე CE. [4] დაასხამნმცა] დაასხამნცა E. [5] ღმრთისაჲ + რომლისაჲ არს...აქ წყდება B ნუსხა. [6] კრებულსა] კრებულისა C. [7] თასსა] თავსა E. [8] წარვსწყმედთ] წარვწყმედთ E.

42. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს**: ჴორცნი ჩემნი მოუძლურდეს, მამაო, ხოლო ვნებანი ჩემნი აღორძნდეს. ჰრქუა მას ბერმან: ეკალსა და კუროჲსთავსა ჰგვანან, ძმაო, ვნებანი: შეუდევ უკუე ცეცხლი იგი ღმრთისა სიყუარულისაჲ და დაიწუნენ.

43. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: ვითარ ძალ-მიც, მამაო, დაჯდომაჲ[1] სენაკსა შინა ჩემსა? ჰრქუა მას ბერმან: საქმე სენაკსა შინა ჯდომისაჲ ცხადი ესე არს ლოცვაჲ და ჴელთსაქმარი და დუმილი და წურთაჲ და ერთგზის მიღებაჲ საზრდელისაჲ. ხოლო დაფარული საქმე ჯდომისაჲ ესე არს, რაჲთა სამარადისოდ აქუნდეს კაცსა გულსა შინა თჳსსა ძაგებაჲ და შეურაცხებაჲ თავისაჲ ყოველსა ჟამსა და ადგილსა და რაჲთა არა უდებ-იყოს განწესებულთა მათ ლოცვათა თჳსთა და წურთათა მათ საიდუმლოთა[2]. ხოლო უკუეთუ სადამე[3] იქმნას მოცალებაჲ ჴელთსაქმრისაგან და ენებოს წარსლვაჲ წმიდად ეკლესიად, მყუდროებით და მშჳდობით აღასრულოს. ხოლო აღსასრულად ყოვლისა ჯერ არს თანამოძმეთა და მეგობართა კეთილთა მოგებაჲ და ამხანაგობისაგან ხენეშთაჲსა და თანაქცევისა სივლტოლაჲ.

44. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ შემჭირდეს რაჲ, აღვიძრვი. ჰრქუა მას ბერმან: ჭირი მოიყვანებს, ძმაო, დიდთაცა და მცირეთა აღძრვად, გარნა მათ ჭირთა შინა დამალულ არს ცხორებაჲ.

45. ჰკითხა მამამან მონასტრისამან **მამასა პიმენს** და ჰრქუა: ვითარ მოვიგო შიში ღმრთისაჲ, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: შიში ღმრთისაჲ მოიგების სიმდაბლითა და უპოვარებითა.

46. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: მამაო, ორნი კაცნი იყვნეს, ერთი მონაზონი და ერთი ერისკაცი. და მონაზონი /256/ იგი განიზრახვიდა სამწუხროდ, რაჲთა განთიად განიძარცოს სახჱ მონაზონებისაჲ. ხოლო ერისკაცი იგი განიზრახვიდა[4], რაჲთა შეიმოსოს განთიად[5] სახჱ მონაზონებისაჲ. და ღამესა მას ორნივე იგი მოკუდეს და აღესრულნეს, ვითარ უკუე შეირაცხნენ ორნივე იგი? ჰრქუა მას ბერმან: მონაზონი იგი მონაზუნადვე მოკუდა და ერისგანი იგი ერისკაცადვე, რამეთუ თჳთოეული მათი, ვითარცა იპოვა, წარვიდა.

47. წარვიდა ოდესმე **მამაჲ ისაკ მამისა პიმენისა** და ვითარცა იხილა, რამეთუ[6] მცირე წყალი ისხა[7] ფერჴთა და ვინაჲთგან აქუნდა მისა მიმართ სიყუარული და კადნიერებაჲ, ჰრქუა მას: ვითარ ვიეთმე განგმეს ყოველივე[8] ნუგეშინისცემაჲ ჴორციელი და უზომოდ მოღუაწებითა განკაფნეს ჴორცნი

[1] დაჯდომაჲ] ჯდომაჲ E. [2] საიდუმლოთა] საჲდუმლოთა A. [3] სადამე] სადა E. [4] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 158r-ზე (აკინძვის შეცდომა). [5] განთიად – C. [6] რამეთუ – E. [7] ისხა] ესხა C. [8] ყოველივე] ყოველი C.

მათნი? ჰრქუა მას მამამან პიმენ: ჩუენ არა გჳსწავიეს მოკუდინებაჲ ჯორცთაჲ, არამედ მოკუდინებაჲ ვნებათაჲ.

48. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: მამაო, ვიზღვევ სულსა ჩემსა მახლობელად ბერისა ჩემისა, ვიყოღა გუერდით მისა[1], ანუ არა? იცოდა უკუე ბერმანცა, რამეთუ ევნების, დაუკჳრდა, რომელ ყოლად ჰკითხავსღა მას, თუ ვიყო და ჰრქუა მას: უკუეთუ გნებავს, იყავ. წარვიდა ძმაჲ იგი და იყო მუნვე. კუალად მოვიდა და ჰრქუა ბერსა: მამაო, ვიზღვევ სულსა ჩემსა. ჰრქუა მას მამამან პიმენ: გამოვედ ადგილისა მისგან. და კუალად მოვიდა[2] იგი მესამედ და ჰრქუა: გრწმენინ, მამაო, არღარა ვზი მე მუნ. ჰრქუა მას ბერმან: კეთილ[3], შვილო, აწ კეთილად ჰქმენ, წარვედ და ნუღარა ზი[4] მუნ. ამას ზედა თქუა ბერმან: ვინ არს კაცი იგი[5], რომელი ხედვიდეს ზღვევასა სულისა თჳსისასა და უჯმდეს მას ჯერეთცა კითხვაჲ, რამეთუ დაფარულთათჳს ვინმე გულისსიტყუათა იკითხავს და ბერთაგან მოელის გამოცდილებასა. /256v/ ხოლო ცხადთათჳს ცოდვათა, რადღა უჯმს ყოლად კითხვაჲ ვისიცა, არამედ ჴელ-ჴელ ჯერ არს მოკუეთაჲ მათი ჩუენგან.

49. ჰკითხა **მამამან აბრაჰამ მამისა აგათონისმან, მამასა პიმენს** და ჰრქუა მას: ვითარ მბრძვანან მე ეშმაკნი, მამაო? ჰრქუა მას მამამან პიმენ: შენ გებრძვანა ეშმაკნი? არა გუებრძვან ჩუენ ეშმაკნი, ვინაჲთგან ნებანი ჩუენნი აღესრულებიან. და რამეთუ ნებანი ჩუენნი გუექმნეს ჩუენ ეშმაკ და იგინი არიან, რომელნი მაჭირვებენ ჩუენ. ხოლო უკუეთუ გნებავს, თუ ვიეთ ებრძოდეს ეშმაკნი, ცან, ვითარმედ მოსეს და სხუათა მათ მსგავსთა მათთა.

50. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: მამაო, აღვშფოთნები და მნებავს დატევებაჲ ადგილისა ჩემისაჲ. ჰრქუა მას ბერმან: რომლისა საქმისათჳს? მიუგო ძმამან: ვინაჲთგან მესმიან სიტყუანი ძმისა ვისთჳსმე, რომელნი არას მარგებენ. ჰრქუა მას ბერმან: არა ჭეშმარიტ არიან, რაჲ-იგი გესმნეს? ჰრქუა მას ძმამან: ჰჱ, მამაო, და რამეთუ რომელმან-იგი მითხრა მე ძმამან, სარწმუნო არს. ჰრქუა მას ბერმან: არა არს იგი[6] სარწმუნო, რამეთუ უკუეთუმცა იყო სარწმუნო, არამცა გეტყოდა შენ ეგევითართა სიტყუათა. და რამეთუ უკუეთუ ესმოდა ღმერთსა ჴმაჲ სოდომისაჲ და არა ჰრწმენა, ვიდრე არა იხილა თუალითა, ვითარ ჩუენ ვიკადროთ რწმუნებად, რომელი არა გჳხილავს?! ჰრქუა მას ძმამან: და მეცა მიხილავს იგი[7] თჳთ თუალითა ჩემითა. ესმა რაჲ ესე ბერსა, იწყო ჭურეტად ქუეყანისა და აღიღო მიერ წუელაჲ მცირე და ჰრქუა ძმასა მას: რაჲ არს ესე, ძმაო? ჰრქუა მას ძმამან: წუელაჲ არს ეგე, მამაო. მერმე ახედნა ბერმან ზე სართულსა სენაკისასა და უჩუენა დჳრე სახლისაჲ და ჰრქუა მას: და ესე რაჲ არს, ძმაო? მიუგო

[1] მისა] მისსა E. [2] მოვიდაE] მივიდა E. [3] კეთილ] კეთილო E. [4] ზი] ჰზი E. [5] იგი – C. [6] იგი] ეგე C. [7] იგი – C.

ძმამან: დჳრე არს ეგე, მამაო. ჰრქუა მას ბერმან: ესრეთ დაიდევ[1] გულსა შენსა, ძმაო, ვითარმედ შენნი ცოდვანი დჳრე /257/ არიან, ხოლო ძმისა შენისანი წუელა მცირ[ც][2]. ესმა სიტყუაჲ ესე მამასა ტითოჲს, დაუკვჳრდა და ჰრქუა მას: რომლითა ნეტარებითა ნეტარ[3] გყო შენ, მამაო პიმენ, ქვაო პატიოსანო და მარგალიტო ფასუდებო, რამეთუ სიტყუანი შენნი აღსავსე არიან სიხარულითა და ყოვლითავე მადლითა და დიდებითა.

51. წარვიდა ოდესმე **მამაჲ სერინოს ისაკითურთ, მოწაფით თჳსით, მამისა პიმენისა** და ჰრქუა მას: რაჲ უყო, მამაო, ჩემსა ამას ისაკსა, რამეთუ გულსმოდგინედ ისმენს სიტყუათა ჩემთა. ჰრქუა მას მამამან პიმენ: უკუეთუ გნებავს სარგებელყოფაჲ მაგისი, საქმით უჩუენე მაგას სათნოებაჲ, რაჲთა არა სიტყუათა ხედვიდეს და უქმად ეგოს, რამეთუ უკუეთუ საქმით უჩუენო მაგას, იგი დაადგრების მაგას თანა.

52. თქუა **მამამან პიმენ**: ძალი ღმრთისაჲ არა დაემკჳდრების კაცსა თანა, რომელი მონა იყოს ვნებათა.

53. კუალად თქუა: უკუეთუ განსუენებასა მივსდევდეთ, ივლტოდის იგი ჩუენგან და უკუეთუ ვევლტოდით მას, იგი უეჭუელად მომდევდეს ჩუენ.

54. თქუა **მამამან პიმენ**, ვითარმედ: ძმამან ჰკითხა მამასა მოსეს და ჰრქუა: რომლითა სახითა მკუდარ-ჰყოფს კაცი თავსა თჳსსა მოყუსისაგან? და მან ჰრქუა მას: უკუეთუ არა დააჯეროს კაცმან გული თჳსი, ვითარმედ აჰა ესერა, სამი წელიწადი აქუს საფლავსა შინა, ვერ მიიწევის სიტყუასა მაგას.

XXXIII. 1. იტყოდეს **მამისა პამბოჲსთჳს**, ვითარმედ: სამ წელ ილოცვიდა ღმრთისა მიმართ და იტყოდა: უფალო, ნუ მადიდებ მე ქუეყანასა ზედა. და ესოდენ ადიდა იგი ღმერთმან, ვიდრეღა ვერვინ შემძლებელ იყო მიხედვად პირსა მისსა დიდებისა[4] მისგან და ბრწყინვალებისა, რომლითა დიდებულ იყო.

2. წარვიდეს ოდესმე ორნი ვინმე ძმანი **მამისა პამბოჲსა** და ჰკითხა მას ერთმან და ჰრქუა: მამაო, ორ-ორით ვიმარხავ და ორსა პურსა შევშჭამ, /257v/ ვცხო/ვნდე-მეა ამით, ანუ თუ[5] ვსცთები? და სხუამან მან თქუა: მე, მამაო, ორსა კერატსა ვიყიდი დღით ჴელთსაქმრითა ჩემისა და დავიყენებ საზრდელად თავისა ჩემისა მცირედ დრამასა და სხუასა გავსცემ სიყუარულად, ვცხოვნდეა ამით, ანუ თუ ვსცთები? და ფრიად სხუასაცა მრავალსა ევედრნეს და არა მისცა მათ ბერმან ყოლადვე სიტყუაჲ, გინა[6] პასუხი. ხოლო შემდგომად ოთხისა დღისა მოვიდეს იგინი წარსლვად და ჰლოცვიდეს მათ მღდელნი და მნენი ეკლესიისანი და ეტყოდეს: ნუ შესწუხდებით, ძმანო, რამეთუ ღმერთი მოგცემს თქუენ მადლსა და

[1] დაიდევ] დაჲდევ A. [2] მცირ[ც] მცირე CE. [3] აქ E ნუსხა წყდება. [4] დიდებისა მისგან] დიდებისაგან C. [5] თუ – C. [6] გინა] გინათუ C.

სასყიდელსა შრომისასა. და რამეთუ ესრეთ არს ჩუეულებაჲ ბერისაჲ, არა ადრე-ადრე იტყჳს სიტყუასა, ვიდრემდის გულსავსე-ყოს იგი ღმერთმან. შევიდეს უკუე ძმანი იგი ბერისა და ჰრქუეს მას: ლოცვა ყავ ჩუენთჳს[1], მამაო. და მან ჰრქუა მათ: წარსლვაჲ გნებავსა? ჰრქუეს მას: ჰ. და აღიხუნა საქმენი იგი მათნი თავისა თჳსისა, იწყო წერად ქუეყანასა ზედა და იტყოდა: პამბო, ორ-ორით იმარხავს და ორსა პურსა შეშჭამს, არა იქმნესა ამას ზედა, მონაზონ? არა! პამბო შურების ორსა კერატსა და მისცემს სიყუარულად, იქმნესა იგი ამას ზედა მონაზონ? არა! მერმე ჰრქუა მათ: კეთილ არიან საქმენი ეგე, გარნა უკუეთუ გნებავს ცხოვნების, დაიცევით[2] გონებაჲ თქუენი მოყუსისაგან. ესრეთ გულსავსე იქმნნეს იგინი, წარვიდეს სახედ თჳსა და ჰმადლობდეს ღმერთსა.

3. იტყოდეს **მამისა პამბოჲსთჳს**, ვითარმედ: არაოდეს იხილვა პირი მისი გაცინებულად. დღესა უკუე ერთსა შეკრბეს ეშმაკნი და ჴელ-ყვეს განცინებად მისა. და დაჰკრეს გრჭოსა ფრთაჲ ერთი, იწყეს ჴმობად და ღაღადებად და ზიდვიდეს მას და იტყოდეს: ჰა, გაზიდეთ, ჰა, გაზიდეთ. მიხედნა მათ მამამან პამბო /258/ და განიღიმნა. ხოლო ეშმაკთა მათ განაწყვეს მრგუალი, იწყეს სიმღერად და იტყოდეს[3]: უა, უა[4], პამბო[5] განიცინნა. ჰრქუა მათ პამბო: არა განვიცინენ, არამედ განგბასრენ უძლურებისა მაგისთჳს თქუენისა, რომელ ეგოდენსა სიმრავლესა ერთი ფრთაჲ გიტჳრთავს.

4. ძმამან ჰკითხა **მამასა პამბოს** და ჰრქუა: რაჲსათჳს, მამაო[6], მაყენებენ მე ეშმაკნი კეთილისყოფად მოყუსისა? ჰრქუა მას ბერმან: ნუ იტყჳ სიტყუასა მაგას, უკუეთუ არა, მტყუვრად გამოაჩინებ ღმერთსა, არამედ უფროჲსღა იტყოდე ვითარმედ, არა მნებავს ყოლადვე საქმე წყალობისაჲ და რამეთუ უსწრო ღმერთმან პირველადვე და თქუა: აჰა ესერა, მიგეც თქუენ ჴელმწიფებაჲ დათრგუნვად გუელთა და ღრიაკალთა და ყოველთა ზედა ძალსა მტერისასა[7].

XXXIV. თქუა **მამამან პალადიოს,** ვითარმედ: უჴმს სულსა, რომელი საღმრთოდ იღუწიდეს, ანუ რაჲთა ისწავებდეს სარწმუნოებით, რომელი არა იცოდის, ანუ რაჲთა ასწავებდეს განცხადებულად, რომელსა მეცნიერ იყოს. ხოლო უკუეთუ ერთი რომელიმე ამათგანი არა ენებოს[8], დრკუ არს იგი და გესლიან. და რამეთუ დასაბამი განდგომილებისაჲ არს სიმაძღრე მოძღურებისაჲ და ჩაუტევარობაჲ სიტყჳსაჲ, რომლისათჳს სამარადისოდ შიან სულსა ღმრთისმოყუარესა.

---

[1] ჩუენთჳს] ჩემთჳს C. [2] დაიცევით] დაჲცევით A. [3] იტყოდეს] იტყოდე C. [4] უა, უა] ოჲ, ოჲ C. [5] აქედა E ნუსხა ისევ გრძელდება 159r-ზე. [6] ~ მაყენებენ,მამაო E. [7] შდრ. ლ. 10,19. [8] ენებოს] ინებოს C.

XXXV. პაფნოტი ვინმე იყო ეპისკოპოსი ზემოჲსა მის[1] თებაიდაჲსაჲ[2] ერთსა რომელსამე ქალაქსა შინა. ესე იყო კაცი ღმრთისმოყუარე და მოღუაწე ფრიად, ვიდრეღა და სასწაულნიცა აღასრულნა საკჳრველნი. ესე ჟამსა მას დევნულებისასა შეიპყრეს მეკერპეთა და სხუათა მათ თანა[3] ტანჯვათა მრავალთა, რომელი მოაწიეს[4] მას ზედა, აღმოსთხარეს[5] მას თუალიცა მისი მარცხენე, რომლისათჳს ფრიად უყუარდა იგი დიდსა მას შორის მეფეთა კოსტანტინოსს და დიდად პატივს-სცემდა[6] /258v/ და ზედაჲსზედა აღიყვანებნ მას პალატად სამეუფოდ და მოწლედ ამბორს-უზამნ თუალსა მას ქრისტესთჳს აღმოღებულსა. ესოდენი[7] იყო ღმრთისმოყუარებაჲ და წმიდათა მოსურნეობაჲ ნეტარისა მეფისა კოსტანტინესი, რომელსაცა დიდად უწოდეს საქმეთა. ხოლო პირველსა მას კრებასა ნიკიისასა, ოდეს-იგი შეკრბეს სამას ათრვამეტნი[8] წმიდანი მღდელთმოძღუარნი, თანა იყო ნეტარიცა ესე პაფნოტი დიდად შემატებად წმიდათა მათ[9] მამათა და წესთა საეკლესიოთა განმაწესებელად.

XXXVI. იტყოდეს ბერნი, ვითარმედ: **პაესიოს, ძმამან პიმენისმან** უმრწმესმან, პოვა მცირე ჭურჭელი დრაჰკნითა და ჰრქუა ძმასა თჳსსა უხუცესსა, ანუბს[10]: იცი მამაო, რომელ სიტყუაჲ მამისა პიმენისი ფიცხელ არს ფრიად[11], არამედ გუალე, და წარვიდეთ და აღვიშენოთ თავისა ჩუენისა სადამე[12] მონასტერი და დავსხდეთ მუნ უზრუნველად. ჰრქუა მას მამამან ანობ: და რაჲთა აღვაშენოთ იგი? ხოლო მან გამოიღო ჭურჭელი იგი დრაჰკნისაჲ და უჩუენა მას. შეწუხნა მისთჳს ფრიად მამაჲ ანობ, რამეთუ იგონებდა ვითარმედ ზღვევა[13] არს სულისა მისისა[14]. და ჰრქუა მას: კეთილ, გუალე და აღვაშენოთ სენაკი იმერით მდინარესა. და აღიღო ჭურჭელი იგი დრაჰკნისაჲ მამამან ანუბ და შთაიდვა იგი კუკულასა თჳსსა. და ვითარცა წიაღჰვლიდეს მდინარესა და მიიწინეს[15] შუა ოდენ, ყო თავი თჳსი მამამან ანუბ[16] რეცა გარექცეულ[17]. და ვითარცა განხარა თავი, შთაჰვარდა კუნკული მისი დრაჰკნითურთ მდინარესა მას. და ვითარცა იქმნა ესე, იწყო ურვად[18] რეცა და შეწუხებად დრაჰკნისა მისთჳს მამამან ანუბ[19]. ჰრქუა მას პაესიოს: ნუ შეწუხებულ ხარ, მამაო, რაჲთგან ესრეთ იქმნა და წარჴდეს[20] დრაჰკანნი იგი, გუალე, შევიქცეთ კუალადცა ძმისავე /259/ ჩუენისა. და უკუმოიქცეს იგინი და ცხონდებოდეს[21] მშჳდობით.

---

[1] მის- E. [2] თებაიდაჲსაჲ] თებაჲდაჲსაჲ AE. [3] ~ ტანჯვათა თანა E. [4] მოაწიეს] მოაწინეს E. [5] აღმოსთხარეს] აღმოჰფხურეს C; აღმოთხარე sE. [6] პატივს-სცემდა] პატივ-სცემდა C. [7] ესოდენი] ესე ოდენ E. [8] ათრვამეტნი] ათურამეტნი E. [9] მათ – E. [10] ანუბს] ანობს CE. [11] ფრიად – C. [12] სადამე] სადმეC. [13] ზღვევაჲ E. [14] მისისა] მისისაჲ E. [15] მიიწინეს] მივიდეს E. 16 ანუბ] ანობ CE. [17] გარექცეულ] გარდაქცეულ B. [18] ~ რეცა ურვად E. [19] ანობ C. [20] წარჴდეს] წარჴდა C. [21] ცხონდებოდეს] ცხოვნდებოდეს C.

XXXVII. მოვიდა ოდესმე მონაზონი ვინმე ჰრომაელი და დაემკჳდრა იგი სკიტეს მახლობელად ეკლესიისა, რომელსა ჰყვა მის თანა მონაჲცა ერთი, რომელი ჰმსახურებდა მას. იხილა რაჲ ხუცესმა სკიტისამან უძლურებაჲ მისი და ისწავა, თუ რომლისა დიდებისაგან და განსუენებისა სადა მიწევნეულ არს, რასაცა განაგებნ ღმერთი და მოიღებნ[1] ეკლესიად, იღუწინ მისგან ბერსა და წარუგზავნინ. დაყო უკუე ესევითარსა ამას[2] შინა მოქალაქობასა სკიტეს ოცდახუთი წელიწადი და იქმნა იგი სულითა მხილველ და სახელგანთქუმულ. ესმა ვისმე მისთჳს დიდთა ბერთაგანსა მეგჳპტელსა და მოვიდა ხილვად მისა. და მოელოდა ჰორციელთა რათმე მეტთა ჭირთა პოვნად მუნ[3]. და ვითარცა შევიდა, მოიკითხნეს ურთიერთარს, ყვეს ლოცვაჲ და დასხდეს. იხილა რაჲ იგი მეგჳპტელმან მოსილად ჩჩჳლითა და ტყავი მცირჱ[4] ქუეშე მისსა, ესრეთვე და სასთაულიცა მცირე თავსა მისსა და ფერჯნი, რამეთუ ესხნეს დაბანილ და ემოსნეს სანდალნიცა, დაჰბრკოლდა მისთჳს. და რამეთუ მას ქუეყანასა არა იყო წესად მონაზონთა ეგევითარი რაჲ ყოლადვე, არამედ ფიცხლად მოღუაწეობდეს. ხოლო ბერი იყო სულითა მხილველ და აგრძნა, რამეთუ დაჰბრკოლდა და ჰრქუა მსახურსა თჳსსა: მიქმენ ჩუენ დღესასწაული ბერისათჳს დღეს. და იპოვა მუნ მცირედ მხალი და შეაგბო იგი. და ვითარცა მოიწია ჟამი, აღდგეს და ისამხრეს. და კუალად იპოვა ღჳნოჲცა მცირედ უძლურებისათჳს ბერისა და სუეს იგიცა. და ვითარცა იქმნა მიმწუხრი, წართქუნეს ათორმეტნი იგი ფსალმუნნი და დაიძინეს[5], ესრეთვე და ღამითცა. ხოლო განთიად აღდგა მეგჳპტელი /259v/ იგი და ჰრქუა ბერსა: ლოცვა ყავ ჩემთჳს, მამაო. და გამოვიდა იგი ვერაღშენებული მუნით. და ვითარცა წარვლო მცირედ, ინება ბერმან სარგებელყოფად მისა და წარმგზავნა და უწოდა მას. და ვითარცა მოვიდა, შეიწყნარა იგი, კუალადცა სიხარულით იწყო კითხვად მისა და ჰრქუა მას: რომლისა ქუეყანისაჲ ხარ შენ? და მან ჰრქუა: მეგჳპტელი. რომლისა ქალაქისაჲ? მიუგო: ყოლადვე არა ვარ მე მოქალაქე. კუალად ჰრქუა: და რაჲ იყო საქმე შენი სოფელსა შინა შენსა? მიუგო: მწყემსი ვიყავ მე სამწყსოთაჲ. ჰრქუა მას ბერმან: სადა დაიძინი[6] შენ ღამით? მიუგო: ველს. და გაქუნდაა მუნ საგებელი?[7] ჰრქუა მას მეგჳპტელმან: და საგებელი არსა, მამაო, უდაბნოს? ჰრქუა მას ბერმან: და ვითარ დასწვი? მიუგო: ველს დავწვი, ქუეყანასა ზედა ჴმელსა. კუალად ჰრქუა მას: რაჲ გაქუნდა ჭამადად შენდა ველს, ანუ ვითართა ღჳნოთა სუემდი მუნ? მიუგო: და[8] არსა კაზმვაჲ უდაბნოს ანუ თუ[9] სუმაჲ ღჳნოთაჲ? ჰრქუა მას ბერმან: და ვითარ ცოცხალ იყავ? მიუგო მეგჳპტელმან: პური ჴმელი იყო საჭმელად

[1] მოიღებნ] მიიღებნ E. [2] მას C ; ~ ამას ესევითარს aE. [3] ~ მუნ პოვნად C. [4] მცირჱ] მცირე CE. [5] დაიძინეს] დაჲძინეს A. [6] დაიძინი] დაჲძინი A; დაიძინებდი C. [7] საგებელი + და E. [8] და – E. [9] თუ – E.

ჩემდა და[1] წყალი მდინარისაჲ სასუმელად ჩემდა. ჰრქუა მას ბერმან: ფრიადი შრომაჲ არს ეგე და ძნელი, გაქუნდაა აბანოჲ საბანელად სოფელსა შინა შენსა? მიუგო: არა, მამაო, არამედ ოდეს გუენების ბანაჲ, მდინარესა შინა დავიბანნით. და ვითარცა გამოჰკითხა ბერმან ყოველივე და ცნა პირველი იგი ცხორებაჲ მისი, ინება სარგებელყოფაჲ მისი და ჰრქუა მას: მე გლახაკსა ამას, რომელსა მხედავ, მამაო, დიდისა მის ქალაქისა ჰრომაელთაჲსა ვიყავ, დიდად წარჩინებული პალატსა შინა მეფისასა. ესმა რაჲ თავი სიტყჳსაჲ მეგჳპტელსა მას, ლმობიერ იქმნა და გულსმოდგინედ ისმენდა თქუმულთა მათ. კუალად ჰრქუა მას ბერმან: დაუტევე უკუე ქალაქი იგი და უდაბნოსა ამას /260/ მო/ვიწიე და კუალად მე, რომელსა-ესე მხედავ, დარბაზნი დიდნი მედგნეს და საქონელი ფრიადი მაქუნდა და უგულებელს-ვყავ იგი ყოველი და შემოვედ მცირესა ამას შინა სენაკსა. კუალად მე, რომელსა-ესე მხედავ, ცხედრები მედგა ყოლად ოქროჲსაჲ, რომელთა[2] ზედა ეგო დიდფასისა საგებლები[3] და[4] მის ყოვლისა წილ მომცა მე ღმერთმან მცირე ესე[5] ლოგინი და ტყავი მას ზედა. კუალად, შესამოსლები ჩემი ფრიად იყო დიდფასისაჲ და აწ მის წილ მმოსიეს მე უნდოჲ ესე სამოსელი. კუალად, ტაბლასა ზედა ჩემსა ფრიადი ოქროჲ და ვეცხლი წარეგებოდა და აწ მომცა მე ღმერთმან კნინი ესე მხალი და მცირე ესე ღჳნოჲ მის წილ ნუგეშინისსამცემელად. კუალად, სიმრავლე მონათა და მსახურთაჲ დიდძალი იყო სახლსა შინა ჩემსა და მათ ყოველთა წილ არწმუნა ღმერთმან ბერსა ამას და მმსახურებს მე. კუალად აბანოთა წილ და სურნელთა, რომელთა ვიჴუმევდ მაშინ, მოსცა ღმერთმან მცირე ესე წყალი და სანდალნი უძლურებისათჳს ფერჴთა ჩემთა. კუალად სახიობათა მათ წილ და ორღანოთა, რომელთა მაშინ ვისმენდი, მომცნა ღმერთმან ათორმეტნი ესე ფსალმუნნი. კუალად ღამით ცოდვათა მათ წილ, რომელთა ვიქმოდე, ვჰყოფ მცირესა ამას ლოცვასა ჩემსა განსუენებით და გევედრები შენ, მამაო, ნუ დაჰბრკოლდები უძლურებასა ზედა ჩემსა. ესმა რაჲ ესე მეგჳპტელსა, მოეგო გონებასა და თქუა: აჰა, ვაჲ მე უბადრუკსა, რამეთუ მე მრავლისაგან ჭირისა, რომელი მაქუნდა სოფელსა შინა, განსუენებად მოსრულ ვარ და რომელი მაშინ არა მაქუნდა, აწ მაქუს. ხოლო შენ დიდისაგან განსუენებისა ჭირად მოსრულ ხარ და დიდებისაგან დიდისა და სიმდიდრისა ფრიადისა სიმდაბლედ და სიგლახაკედ შთამოსულ ხარ. /260v/ და ფრიად სარგებელ ეყო მას და წარვიდა. და მიერითგან იქმნა იგი მეგობარ ბერისა და ზედაჲსზედა მივალნ მისა და სარგებელ-ეყოფვინ. და რამეთუ იყოცა იგი კაცი გონიერად განმკითხველი და აღსავსჱ[6] სურნელებითა სულისა წმიდისაჲთა.

---

[1] და წყალი ... ჩემდა – C. [2] რომელთა] რომელსაE. [3] საგებლები] სამოსლები C. [4] აქ E ნუსხა წყდება. [5] ესე – C. [6] აღსავსჱ] აღსავსე C.

XXXVIII. 1. ჰკითხეს ვიეთმე **მამასა სისოჲს** და ჰრქუეს: უკუეთუ დაეცეს ძმაჲ, არა უჯმსა შენანებაჲ წელიწად ერთ? ჰრქუა მათ ბერმან: ფიცხელ არს სიტყუაჲ ეგე. და მათ ჰრქუეს: ექუსსა თუესსა? და მან კუალადცა ჰრქუა მათ: და ეგეცა დიდ[1] არს. ხოლო მათ ჰრქუეს: ორმეოც დღეთა? და ბერმან კუალადცა ჰრქუა მათ: დიდ[2] არს ეგეცა. მერმე ჰრქუა მას: რაჲ უკუე, უკუეთუ ცოდოს ძმამან და იპოოს[3] სიყუარული, მეყსეულად წარმოჯდეს და დაჯდეს იგიცა სიყუარულსა მას? ჰრქუა მას ბერმან: არა, არამედ უჯმს სინანული მცირეთა დღეთა და მრწამს ღმრთისაჲ, რომელ უკუეთუ სულითა სრულითა შეინანოს ესევითარმენ მან, სამთა შინა დღეთა შეიწყნაროს იგი ღმერთმან და შეიწიროს სინანული მისი.

2. ჰკითხა **მამამან იოსებ მამასა სისოჲს** და ჰრქუა: რაოდენთა შინა ჟამთა უჯმს კაცსა, რაჲთა გარდაჰკუეთნეს ვნებანი? ჰრქუა მას ბერმან: ჟამთაჲ გნებავსა ცნობაჲ? ჰრქუა მას მამამან იოსებ: ჰჱ, მამაო! მიუგო ბერმან: რომელსაცა ჟამსა მოვიდეს შენ თანა ვნებაჲ, მეყსეულად მოჰკუეთე იგი შენგან.

3. ძმამან ჰკითხა **მამასა სისოჲს** და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ დავეცი? ჰრქუა მას ბერმან: კუალადცა აღდეგ. ჰრქუა მას ძმამან: აღვდეგ და კუალადცა დავეცი. ჰრქუა მას ბერმან: აღდეგ კუალადცა. და კუალადცა ჰრქუა მას ძმამან: ვიდრემდის, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: ვიდრემდის შეიპყრა ერთსა ზედა, გინათუ კეთილსა, გინა დაცემასა. და რამეთუ რასაცა ზედა იპოვოს კაცი ჟამსა სიკუდილისასა, მასცა ადგილსა წარვალს.

4. ძმამან ჰკითხა **მამასა სისოჲს** და ჰრქუა: რაჲ უყო, მამაო, /261/ ვნებათა ჩემთა? ჰრქუა მას ბერმან: კაცად-კაცადი ჩუენი განიცადების გულისთქუმათაგან თჳსთა.

XXXIX. 1. ჰრქუა მამამან **სისოჲ თიბელმან**[4] მოწაფესა თჳსსა: მითხარ მე რასაცა ხედავ ჩემ თანა და მე გითხრა შენ რასაცა ვხედავ შენ თანა. ჰრქუა მოწაფემან ბერსა: შენ კეთილ ხარ გონებითა, გარნა მცირედ ფიცხელ ხარ. ჰრქუა ბერმან მოწაფესა[5]: და შენცა კეთილ ხარ, გარნა უდებ ხარ გონებითა.

2. ბერთაგანი[6] ვინმე იტყოდა, ვითარმედ: ვჰკითხე მამასა სისოჲს, რაჲთა მითხრას სიტყუაჲ და მრქუა მე: ყოვლისაგანვე, რომლისა ძალ-უც კაცსა სივლტოლაჲ და არა ივლტოდის, ცოდავს.

XL. 1. წარვიდა ძმაჲ ვინმე მთასა სინასა **მამისა სილოვანესსა** და იხილნა ძმანი, რამეთუ შურებოდეს და ჰრქუა ბერსა: ნუ შურებით საზრდელსა წარსაწყმედელსა და რამეთუ მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია. ჰრქუა ბერმან ფარულად მოწაფესა თჳსსა ზაქარიას: წარიყვანე ძმაჲ ესე და შეიყვანე სენაკსა შინა, რომელსა არარაჲ იპოებოდის ჭამადთაგანი, მიეც წიგნი

---

[1] დიდ] დიად C. [2] დიდ] დიად C. [3] იპოოს] პოოს C. [4] თიბელმან] თებელმან C. [5] მოწაფესა + თჳსსა C. [6] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 161r-ზე.

და იკითხვიდეს. და მან ყო ესრეთ. და ვითარცა იქმნა ჟამი ცხრაჲჟმისაჲ, იჭურეტდა ძმაჲ იგი კარით, თუ ვინმე მოვიდეს ხდად მისა ჭამად[1]. და ვითარცა არავინ მივიდა, არცა ვინ ხადა მას, აღდგა და მოვიდა იგი ბერისა და ჰრქუა მას: არა ჭამესა დღეს ძმათა, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: ჰჱ, ჭამეს. და მან თქუა: და ვითარ არა მხადეთ მე? ჰრქუა მას ბერმან: ამისთჳს, რამეთუ შენ კაცი ხარ სულიერი და განქარვებადი, ესე საზრდელი არად გიჴმს, ხოლო ჩუენ კაცნი ვართ ჴორციელნი და გჳჴმს ჭამაჲ, ამისთჳს დავშურებითცა. ხოლო შენ კეთილი ნაწილი გამოგირჩევიეს, რამეთუ დღე ყოველ იკითხავ და არა გიჴმს ჴორციელი საზრდელი. ესმა რაჲ ესე ძმასა მას, შეუვრდა ბერსა და ჰრქუა: შემინდვე მე, მამაო. ჰრქუა /261v/ მას ბერმან: განაღა საჴმარ არს მარიამს თანა მართაცა და რამეთუ მართაჲსგან მარიამიცა ქებულ არს.

2. ბერმან თქუა, ვითარმედ: შეუცთა ოდესმე ძმასა ვისმე და შთავარდა ცოდვასა დიდსა. უკუანაჲსკნელ ლმობიერ იქმნა და მოვიდა სინანულად. წარვიდა ბერისა ვისამე და არა მიუთხრა მას საქმე იგი, არამედ ჰკითხა, ვითარმედ: უკუეთუ ვისმე მოუჴდეს ესევითარი რაჲმე[2] გულისსიტყუაჲ, აქუსა მასღა სასოებაჲ ცხორებისაჲ? ხოლო ბერი იგი ვინაჲთგან გამოუცდელ იყო განკითხვისა[3], ჰრქუა მას: რასა იტყჳ, ძმაო, წარსწყმიდე სული შენი[4]. ესე რაჲ ესმა ძმასა[5], თქუა: უკუეთუ ნანდჳლვე წარვწყმიდე სული ჩემი, ბარე წარვიდე სოფლად. წარ-რაჲ-ემართა იგი სოფლად, მოუჴდა მას გულისსიტყუაჲ, რაჲთა წარვიდეს და მიუთხრას გულისსიტყუაჲ იგი მამასა სილოვანესცა. იყო უკუე მამაჲ სილოვანე დიდ განკითხვითა და მდიდარ გულისჴმისყოფითა. და ვითარცა მივიდა ძმაჲ იგი, არცა მას უთხრა საქმე იგი, არამედ მითვე სახითა ეზრახა, ვითარცა პირველსა მას ბერსა. ხოლო მამამან აღაღო პირი თჳსი და იწყო უწყებად მისა წიგნთაგან, ვითარმედ არა არს ბრალ მათდა, რომელთა მო-ოდენ-იგინონ. და ვითარცა ესმა ესე ძმასა მას და მიიღო ძალი სულისაჲ და რაჲთურთით იქმნა ყოვლად სასოებაშემოსილ, მიუთხრა მას და საქმეცა[6] იგი. ესმა რაჲ სანატრელსა მას მამასა საქმეცა იგი, ყოლადვე არა შეჭმუნდა, არამედ ვითარცა ბრძენმან მკურნალმან შეუხჯა წყლული იგი სულისაჲ და უჩუენა წმიდათაგან წერილთა ცხადად, ვითარმედ არს სინანული, რომელნი გულითა შეუვრდენ ღმერთსა. და ვითარცა წარვიდა ოდესმე ბერი ჩემი მამისა სილოვანესა[7], მიუთხრა მას ესე და ჰრქუა, ვითარმედ: აჰა ესერა, რომელმან-იგი წარიკუეთა სასოებაჲ ცხორებისაჲ და სოფლად ეგულვა წარსლვაჲ, ვითარცა ვარსკულავი ბრწყინვალჱ[8] /262/ ნათობს შორის ყოვლისა ძმობისა. ესე უკუე მიგითხარ თქუენ ამისთჳს[9], რაჲთა სცნათ, ვითარმედ ზღვევასა შეიქმს დიდსა და ბოროტსა განუკითხველთა და გამოუცდელთა კაცთა მითხრობაჲ გინა გულისსიტყუათა[10], გინა საქმეთაჲ.

---

[1] ჭამად] ჭამადი C. [2] რაჲმე – E. [3] განკითხვისა] განკითხვისაჲ E. [4] შენი + წარ-სწყმიდე E. [5] ძმასა + მას CE. [6] საქმჱცა] საქმეცა C. [7] სილოვანესსა E. 8 ბრწყინვალჱ] ბრწყინვალე CE. [9] ამისთჳს + ძმანო E. [10] გულისსიტყუათა] გულისსიტყუათაჲ C.

XLI. თქუა **მამამან ჯპერექი**[1]: ბრძენ ჭეშმარიტად იგი არს, რომელი არა სიტყჳთ ოდენ ასწავებდეს, არამედ საქმითცა ჰმოძღურიდეს.

XLII. წარვიდა ოდესმე **მამაჲ პავლე მოწაფე მამისა ორისი,** რაჲთა იყიდოს ბაიაჲ[2] და პოვა, რამეთუ სხუათა ესწრა[3] და მიეცა არავონი, რამეთუ არაოდეს მისცემდა რაბუნსა მამაჲ ორ არარაჲსათჳს, არა, არამედ მასვე ჟამსა, რომელსა უჴმნ მისცის ფასი და იყიდის. წარვიდა უკუე სხუაგან ბაიაჲსათჳს[4] მოწაფე მისი და ჰრქუა მას მემტილემან მან, ვითარმედ: ადრევე ვინმე მომართუა წინდი და არღარა მოვიდა წარღებად, აწ შენ წარიღე ბაიაჲ[5] იგი. და აღიღო იგი და მოვიდა ბერისა და მიუთხრა მას ესე. და ვითარცა ესმა ესე ბერსა, შეიტყუელნა ჴელნი თჳსნი და თქუა: ორ წლეულად არღარა შურების. და არა უტევა ბაიაჲ[6] იგი შემოღებად შინა, არამედ მეყსეულად წარმგზავნა[7] იგი მუნვე დადებად, ვინაჲცა-იგი მოიღო[8].

1. ბერმან თქუა: ესე ჴმაჲ ღაღადებს ყოველთა მომართ კაცთა ვიდრე უკუანაჲსკნელად აღმოფშჳნვადმდე, ვითარმედ: დღეს მოიქეცით.

2. ბერმან თქუა: იოსებ არიმათიელმან მიიხუნა ჰორცნი უფლისა იესუჲსნი და წარგრაგნა იგინი სინდონსა[9] შინა წმიდასა და დაჰკრძალნა იგი საფლავსა შინა ახალსა, ესე იგი არს ახლად განახლებულსა შინა გონებასა. ჯერ არს უკუე ჩუენდა მოსწრაფებად ყოვლითა ძალითა[10], რაჲთა არა ვცოდოთ, არცა ჩუენ შორის მკჳდრსა[11] მას მადლსა ღმრთისასა ვეცრუვნეთ და ვიოტოთ იგი სულისაგან ჩუენისა. და რამეთუ ისრაელთა მანანაჲ მიეცა საჭმელად უდაბნოს, ხოლო ჭეშმარიტსა მას ახალსა ისრაელსა მიეცა ჭამად ჰორცი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი.

3. /262v/ ძმამან ვინმე უცხოჲთ მოსრულმან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: წარსლვაჲ მნებავს, მამაო, ქუეყანად ჩემდა. ჰრქუა მას ბერმან: ესე უწყოდე, ძმაო[12], რომელ[13] მოსლვასა შენსა ქუეყანისაგან შენისა აქა, უფალი გაქუნდა წინამძღურად შენდა, ხოლო აწ კუალადქცევასა შენსა მუნვე, არღარა იგი გყავს მძღურად[14], არამედ წინააღმდგომი.

4. ძმაჲ ვინმე მჯდომარე იყო ეგჯპტეს სენაკსა შინა და მრავლითა სიმდაბლითა მოქალაქობდა იგი. ამას ესუა დაჲ მეძავი ქალაქსა შინა, რომელი მრავალთა სულთა მოატყუებდა წარწყმედასა. მრავალგზის უკუე აიძულეს[15] ბერთა ძმასა მას წარსლვად და შჯულდებად დისა მის მისისა, ვინაჲცა არწმუნეს მას და წარვიდა, რაჲთა ნუუკე ვითარ უძლოს მოქცევაჲ მისი ცოდვისა მისგან. და ვითარცა მიიწია იგი ადგილსა მას, იხილა იგი

---

[1] ჯპერექი] იპერიქე E. [2] ბაიაჲ] ბაჲაჲ A. [3] ესწრა] ესწრო C. [4] ბაიაჲსათჳს] ბაჲაჲსათჳს A. [5] ბაიაჲ] ბაჲაჲ A. [6] ბაიაჲ] ბაჲაჲ A. [7] წარმგზავნა] წარგზავნა C. [8] მოიღო] მოეღო E. [9] სინდონსა] სიდონსა E. [10] ძალითა] გულითა E. [11] მკჳდრსა] მყოფსა C. [12] ძმაო – C. [13] რომელ] რამეთუ E. [14] მძღურად] წინამძღურად C. [15] აიძულეს] აჲძულეს A.

ვინმე მეცნიერთაგანმან, წარუსწრა და მიუთხრა დასა მას[1] მისსა და ჰრქუა, ვითარმედ: ძმაჲ შენი, აჰა ესერა, კართა ზედა. ხოლო მას ვითარცა ესმა სახელი ძმისაჲ, შეელმა გულსა მისსა ფიცხლად, დაუტევნა ტრფიალნი იგი მისნი, რომელთაცა ჰმსახურებდა და თავითა შიშულითა ხილვად ძმისა მის თჳსისა გამოისწრაფა. და ვითარცა იხილა იგი, ჴელ-ყო მოხუევად მისა და ამბორისყოფად. ჰრქუა მას ძმამან მან მისმან: დაო ჩემო სასურველო, ჰრიდე ამიერითგან სულსა შენსა, რამეთუ შენ ძლით მრავალნი სულნი წარწყმდებიან და ვითარ უძლო შენ თავსდებად საუკუნეთა მათ და მწარეთა სატანჯველთა?! ხოლო იგი შემუსრვილ იქმნა გონებითა და ჰრქუა მას: იცია, ძმაო, რომელ არსღა ამიერითგან ჩემდა სასოებაჲ ცხორებისაჲ? ჰრქუა მას ძმამან მისმან: უკუეთუ ოდენ გნებავს, ჭეშმარიტად არს შენდა სასოებაჲ ცხორებისაჲ. მაშინ დააგდო მან თავი თჳსი ფერჴთა თანა ძმისა მისისათა, ჰლოცვიდა მას და ევედრებოდა, რაჲთა წარიყვანოს იგი უდაბნოს მის თანა. ხოლო მან ჰრქუა მას: დაიდევ[2] /263/ სამოსელი შენი თავსა შენსა და შემომიდეგ მე. ჰრქუა მას დამან: გუალე, და წარვიდეთ, რამეთუ უმჯობეს არს ჩემდა სირცხჳლი შიშულოებისათჳს თავისა, ვიდრეღა არა შესვლაჲ სახლსა მას ცოდვისასა. და ვითარცა შეუდგეს იგინი გზასა და გამოვიდეს, შჯულ-უდებდა მას და ასწავებდა სინანულისათჳს. ხოლო სლვასა მას შინა მათსა, იხილნეს[3] ვიეთნიმე მომავალნი წინადამთხუევად და ჰრქუა მას: ვინაჲთგან არა ყოველთა გიციან შენ დად ჩემდა, მცირედ მოეშორე[4] გზისაგან, ვიდრემდის წარგუჴდენ. და ვითარცა წარვლეს კაცთა მათ, იწყო სიტყუად დისა თჳსისა და ეტყოდა: წარვიდეთ, დაო, გზასა ჩუენსა, წარვიდეთ. და ვითარცა არაჲ მიუგო მან, მყოვარჟამ[5] მოელოდა, ჰგონებდა, თუ სძინავს. მერმე უგუმირა მას და პოვა იგი, რამეთუ მომკუდარ იყო და ფერჴნი მისნი რამეთუ შებღალულ იყვნეს სისხლითა, ვინაჲთგან იყო იგი შიშუელ ფერჴითა და უჴამურ. წარვიდა უკუე ძმაჲ იგი მისი და მიუთხრა მამათა ყოველი[6] იგი, რომელიცა შეემთხჳა. ხოლო მათ იპყრეს ყოველთა მისთჳს სინანული, ვიდრეღა გამოუცხადა ღმერთმან მისთჳს ერთსა ვისმე ბერთაგანსა, ვითარმედ ვინაჲთგან არცა ერთი[7] რაჲ იზრუნა ჴორციელი[8], არამედ და თჳსნიცა ჴორცნი უგულებელს-ყვნა და არა შეწუხნა[9] გამოსლვისათჳს, არცა სულთ-ითქუნა წყლულებათათჳს[10] ფერჴთა მისთაჲსა, ამისთჳს შევიწირე სინანული მისი და აღვრაცხე იგი რიცხჳსა თანა მართალთასა.

5. ძმამან ჰრქუა ბერსა ვისმე: არცა ერთსა რას ბრძოლასა[11] ვხედავ გულსა შინა ჩემსა. ჰრქუა მას ბერმან: შენ ოთხ კარ ხარ და რომელსა უნდეს შემოვალს და რომელსა უნდეს გამოვალს და ამისთჳს ვერ აგრძნობ შენ.

[1] მას- E –. [2] დაიდევ] დაჲდევ A. [3] იხილნეს] იხილვნეს E. [4] მოეშორე] მოეშურე C. [5] მყოვარჟამ] მყუარჟამ E. [6] ყოველი] ყოველივე E. [7] ერთი რაჲ] ერთისაჲ E. [8] ჴორციელი] მონაგებთგან თჳსთა E. [9] შეწუხნა + იგი C. [10] წყლულებათათჳს] წყლულებისათჳს C. [11] ~ ვხედავ ბრძოლასა E.

ხოლო უკუეთუ შეაბა კარი სახლსა შენსა და დაჰჴშა იგი და არა უტევებდე შესლვად შენ შორის გულისსიტყუათა ბოროტთა, მაშინ იხილნე იგინი გარეგნით /263v/ მდგომარედ და მებრძოლნი[1] შენდა.

6. მამამან კრებულთა მონასტრისამან ჰკითხა ოდესმე წმიდასა **კჳრილეს პაპსა ალექსანდრეაჲსასა**[2] და ჰრქუა: რომელი უაღრეს არს მოქალაქობითა, ჩუენ, რომელთა-ესე ძმანი გუყვანან და მრავალთა მრავალსახედ სარგებელ-ვეყოფვით და მიუძღჳთ ცხორებად მიმართ, ანუ იგინი[3], რომელნი უდაბნოს არიან და თავთა ოდენ თჳსთა აცხოვნებენ. მიუგო პაპმან და ჰრქუა მას: შორის მოსეს და ელიაჲს[4] არარაჲ განიკითხვის, რამეთუ ორნივე ღმერთსა სათნო-ეყვნეს.

7. შურებოდა ვინმე მონაზონი ჴელთსაქმარსა თჳსსა დღესა საჴსენებელსა მოწამისასა. იხილა იგი სხუამან მონაზონმან და ჰრქუა მას: დღეს იქმნებისა საქმჱ[5]? ხოლო მან ჰრქუა მას: დღენდელსა ამას დღესა მონაჲ ღმრთისაჲ ქრისტესთჳს დაიჭრებოდა[6] და მე არა თანამაცა დღეს უმეტესღა შრომისა თავსდებაჲ და ქმნაჲ საქმესა ჩემსა.

8. ინანდა ვინმე ბრალთა დაყუდებით. ხოლო შეემთხჳა მას მეყსა შინა დაცემაჲ კლდესა ზედა და მოწყლვაჲ ფერჴისაჲ, რომლისაგან სისხლი ფრიადი გამოჴდა ესოდენ, ვიდრეღა სულმოკლე იქმნა და სული წარჴდა. მოვიდეს უკუე ეშმაკნი წარყვანებად სულისა მისისა, ჰრქუეს მათ ანგელოზთა: მიხედენითღა კლდესა იმას და იხილენით სისხლნი მისნი, რომელ უფლისათჳს დასთხინა. ესე რაჲ თქუეს ანგელოზთა, განთავისუფლდა სული, რამეთუ ივლტოდეს ეშმაკნი და წარიყვანეს იგი ანგელოზთა.

9. კითხულ იქმნა ბერი, თუ ვინ არს მონაზონი, მიუგო: რომელი მხოლოდ მხოლოსა ოდენ შეუდგეს ღმერთსა.

10. კითხულ იქმნა კუალად ბერი: რაჲსათჳს ოდეს უდაბნოს[7] ვიდოდი მეშინის? მიუგო: ამისთჳს, რამეთუ ჯერეთ ცოცხალ ხარ.

11. ჰკითხა ვინმე ბერსა, ვითარმედ: რაჲ უჴმს ყოფად რომელსა ენებოს ცხოვნების? ხოლო ბერი თხზვიდა ბაიასა[8] /264/ და არა აღიღო ყოლად[9] თავი საქმისაგან, არამედ ჰრქუა მას[10]: წარვედ და შურებოდე რასა ესე მე[11] მხედავ.

12. ბერსა ჰკითხა ძმამან და ჰრქუა: რაჲსათჳს ზედაჲსზედა სულმოკლე ვიქმნები, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: ამისთჳს, რომელ[12] უმეცარ ხარ შენდა წინამდებარესა მილოანსა.

13. კუალად ჰკითხეს ბერსა თუ რაჲ არს საქმე მონაზონისაჲ. მიუგო: დატევებაჲ ბოროტისაჲ და ქმნაჲ კეთილისაჲ.

---

[1] მებრძოლნი] მბრძოლად C. [2] ალექსანდრეაჲსასა] ალექსანდრიაჲსასა C ; ალექსანდრიისას E. [3] ~ რომელნი იგინი C. [4] ელიაჲს] ელიასა C. [5] საქმჱ] საქმე C. [6] დაიჭრებოდა] დაჲჭრებოდა AE. [7] უდაბნოს] უდაბნოსა C. [8] ბაჲასა] ბაჲასა A. [9] ~ თავი ყოლად E. [10] მას – C. [11] მე – E. [12] რომელ] რამეთუ C.

14. ბერსა ჰკითხა ძმამან: ვინაჲ მაქუს, მამაო[1], ბრძოლაჲ სიძვისაჲ? ჰრქუა მას ბერმან: ურიდად ჭამისაგან და მეტად ძილისა.

15. ბერსა ჰკითხა ძმამან: რაჲ უჴმს მოგებად მონაზონსა?[2] მიუგო ბერმან: მუშაკობაჲ ყოველსავე საქმესა კეთილისასა და ჯმნაჲ ყოვლისაგანვე[3] უკეთურებისა.

16. იტყოდეს ბერნი, ვითარმედ: არა ოდეს ჴამს ნებასა მიცემაჲ გულისსიტყუათაჲ, არამედ ყოველივე, რომელიცა აღმოვიდეს შენდა გულისსიტყუაჲ, ჰკითხევდი მას და ეტყოდე: ჩუენი ხარ ანუ წინააღმდგომთაჲ? და უეჭუელად აღგიაროს.

17. იტყოდეს ბერნი, ვითარმედ: სული მსგავს არს წყაროსა, უკუეთუ მოჰკაზმო იგი და მოსთხარო, განწმდების, უკუეთუ კულა ზედა შეაქციო ნეხოვნებაჲ – უჩინო იქმნების და წარჴდების.

18. ბერმან თქუა: მე მრწამს[4], რამეთუ არა არს ღმერთი უსამართლო, რაჲთამცა ერთისაგან საპყრობილისა გამოიყვანა და მეორესა შეიყვანა.

19. ბერმან თქუა: ყოველსავე შინა იძულებაჲ[5] თავისაჲ არს ნანდჳლვე გზაჲ ღმრთისაჲ.

20. ბერმან თქუა: ყოლადვე ნურარას[6] იქმ პირველ გამოცდისა თუ საღმრთოდ-ძი იქმნების საქმე იგი, გინა არა.

21. ბერმან თქუა: უკუეთუ მაშინ ოდენ ილოცავს მონაზონი, ოდეს დადგეს ლოცვად, ესევითარი იგი ყოლადვე არა ილოცავს.

22. ბერმან თქუა, ვითარმედ: უფროჲს არს ყოველთა სათნოებათა განკითხვაჲ.

23. /264v/ ბერმან თქუა: სირცხჳლ არს მონაზონისა, უკუეთუ დაუტეოს ქუეყანაჲ თჳსი და უცხო იქმნეს და ამისა[7] შემდგომად ჯოჯოხეთად მივიდეს.

24. ბერთა თქუეს: უკუეთუ იხილო ჭაბუკი მონაზონი ნებითა თჳსითა აღმავალი ზეცად, უპყარ ფერჴი მისი და დააკუეთე ქუეყანად, რამეთუ ფრიად უმჯობეს არს[8] ესე მისთჳს.

25. ბერმან თქუა: ნათესავი ესე არა ეძიებს დღენდელსა, არამედ ხვალინდელსა.

26. ბერმან თქუა: ნუ გნებავს, რაჲთამცა არავის დაუმდაბლდი.

27. ბერმან თქუა: ვაჲ მის კაცისა, რომლისა სახელი უფროჲს იყოს საქმეთა.

28. ბერმან თქუა: კანდიერებაჲ და სიცილი მსგავს არიან ცეცხლსა, რომელი ედებინ ლერწმოანსა.

---

[1] ~ ბრძოლაჲ სიძვისაჲ, მამაო E. [2] მონაზონსა + და E. [3] ყოვლისაგანვე უკეთურებისა] ყოვლისავე უკეთურებისაგან E. [4] მე მრწამს – C. [5] იძულებაჲ] ჲძულებაჲ AE. [6] ნურარას] ნურას CE. [7] ამისა] ამის C. [8] ~ ესე არს E.

29. ბერმან თქუა: რომელი აიძულებდეს[1] თავსა თჳსსა ღმრთისათჳს, მსგავს არს იგი წმიდათა მოწამეთა.

30. ბერმან თქუა: რომელი იქმნეს სულელ ღმრთისათჳს, განაბრძნოს იგი უფალმან.

31. ბერმან თქუა: სამსა ამას ეძიებს კაცისაგან[2] ღმერთი: გონებასა, სიტყუასა და საქმესა.

32. ბერმან თქუა: უჯმს კაცსა ქონებად ესე, რაჲთა ეშინოდის სასჯელთაგან ღმრთისათა და რაჲთა მოიძულოს ცოდვაჲ და შეიყუაროს სათნოებაჲ და რაჲთა ევედრებოდის ღმერთსა სამარადისოდ.

33. ბერმან თქუა: უკუეთუ განიკითხო ძმაჲ, შენცა მასვე შინა შთაჰვარდე.

34. ძმამან ჰკითხა ბერსა: კეთილ არსა, მამაო[3], რაჲთა მაქუნდეს ჩუეულებაჲ მისლვად[4] მოყუსისა? ჰრქუა მას ბერმან: ესევითარნი ჩუეულებანი ურგებ[5] არიან და უჯმარ, უფროჲსღა მოიგე სურვილი ღმრთისაჲ და სიყუარული.

35. ძმამან სთხოვა ბერსა ლოცვაჲ, რამეთუ ისწრაფდა წარსლვად ქალაქად. ჰრქუა მას ბერმან: ნუ ისწრაფი, ძმაო, წარსლვად ქალაქად, არამედ უფროჲსღა ისწრაფე სივლტოლაჲ ქალაქთაგან და სცხოვნდე[6].

36. ძმამან ჰკითხა ბერსა, /265/ უკუეთუ შეიგინების კაცი იგონებდეს რაჲ ხენეშთა გულისსიტყუათა. ხოლო იქმნა ძიებაჲ ამის პირისათჳს, რომელნიმე იტყოდეს შეიგინების და რომელნიმე იტყოდეს არა შეიგინების, უკუეთუ არა, ვერ ძალ-გჳც ჩუენ ცხოვნებაჲ, რომელნი ესე ლიტონ ვართ და უსწავლელ, არამედ ესე ოდენ კმა არს, რაჲთა არა ვქმნათ იგი ჴორცითა. აღდგა ძმაჲ იგი და წარვიდა სხჳსა ვისმე გამოცდილისა ბერისა და ჰკითხა მას ამისვე ჯერისათჳს. ჰრქუა მას ბერმან: საზომისაებრ კაცად-კაცადისა ითხოების საქმე ეგე. ხოლო ძმაჲ იგი ჰლოცვიდა და ევედრებოდა ბერსა, რაჲთა განუმარტოს სიტყუაჲ იგი. ჰრქუა მას ბერმან: აჰა ესერა, მდებარე არს აქა ჭურჭელი რაჲმე გულისსათქუმელი და შემოვიდეს ორნი ძმანი, ერთსა მას აქუნდა საზომი უაღრესი და მეორესა აქუნდა საზომი უდარესი. უკუეთუ ჰრქუას[7] გულისსიტყუამან უსრულესსა მას, ვითარმედ მინდა რაჲთამცა მაქუნდა ჭურჭელი ესე და არა დაიყოვნოს[8] განცდასა შინა მისსა, არამედ ადრე მოჰკუეთოს ნებებაჲ[9] იგი, არა შეიგინა იგი ამით. ესრეთვე კუალად, რომელი-იგი არღა მიწევნულ არს უმაღლესსა მას საზომსა, უკუეთუ უთქუას გულმან ჭურჭლისა მისთჳს და და-ცა-იყოვნოს განცდასა შინა მისსა, გარნა[10] არა აღიღოს იგი, არცა იგი შეიგინა.

---

[1] აიძულებდეს] აჲძულებდეს AE. 2 ~ ღმერთი კაცისაგან C. 3 მამაო – C. 4 მისლვად მოყუსისა] მისლვაჲ მოყუსისაჲ C. 5 ~ უჯმარ არიან და ურგებ CE. 6 სცხოვნდე] სცხონდე E. 7 ჰრქუეს E. 8 დაიყოვნოს] დაჲყოვნოს A. 9 ნებებაჲ] ნებაჲ CE. 10 გარნა არა აღიღოს – E.

37. ბერმან თქუა: არა თუ შემოსლვაჲ გულისსიტყუათაჲ არს ჩუენ შორის ბოროტ გინა დასასჯელ ჩუენდა, არამედ ბოროტად ჴმარებაჲ გულისსიტყუათაჲ არს წარსაწყმედელი. თუ არა, გულისსიტყუათაგან მოიგების გჳრგჳნი, უკუეთუ ჯეროვნად განვაგნეთ.

38. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ მრავალ არიან /265v/ გულის/სიტყუანი რომელნი მბრძვანან და არა უწყი, თუ ვითარ ვჰბრძოდი მათდა მიმართ[1]. ჰრქუა მას ბერმან: ნუ ჰბრძავ შენ მათდა მიმართ, არამედ ერთისა მიმართ ოდენ. და რამეთუ ყოველთავე გულისსიტყუათა მონაზონისათა, ერთი ჰყავს წინამძღურად, უთავადესი მათ ყოველთაჲ, მის უკუე უთავადესისაჲ ჯერ არს განცდად და მისა მიმართ ჴამს ბრძოლისა[2] ყოფად. და ოდეს იგი დასცე, მის თანა დაეცემიან სხუანიცა იგი[3] ყოველნივე გულისსიტყუანი.

39. ბერმან თქუა: რომელსა ენებოს უდაბნოს მკჳდრყოფაჲ, უჴმს მას, რაჲთა იყოს იგი თჳთ მოძღუარ და არა რაჲთა მოქენე იყოს სხუათა მოძღურებასა, რაჲთა არა უმეტესსა ზღვევასა შთავარდეს იგი.

40. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: მამაო, აჰა ესერა, მივალ ბერთასა და ვევედრები მათ და იგინი მზრახვენ მე ცხორებისათჳს სულისა ჩემისა და მე არცა ერთი რაჲ დამირჩების სწავლისაგან მათისა. რაჲსაღა უკუე მივალ მათდა და ვაწყენ მათ, რაჲთგან ვერარას ვჰყოფ საქმით სიტყუათაგან მათთა და ყოვლითურთ ვარ მე არაწმიდაჲ?! ხოლო იყვნეს მუნ ჭურჭელი ორნი, კოკანი ცალიერნი. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და მოიღე ერთი ჭურჭელთა იმათგან და შესცხე ზეთი და აგორვე და რცხი ეგე კეთილად და წარიღე და[4] დადგი ადგილსავე თჳსსა. ყო უკუე ესე ძმამან ერთგზის და ორგზის. მერმე ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და მოიხუენ აწ[5] ორნივე იგი ჭურჭელნი და იხილე, თუ რომელი-ძი უწმიდეს არს. ჰრქუა მას ძმამან, რომელსა-იგი ვსცხეთ ზეთი და განვწმიდეთ, იგი უწმიდეს არს. ჰრქუა მას ბერმან: ესრეთვე სახედ არს სულიცა, დაღათუ ვერცა ერთსა რას დაიჭირვიდეს[6], /266/ რომელსა-იგი ჰკითხავს, გარნა ყოველსავე ზედა უმეტეს განწმდების მისსა, რომელი-იგი ყოლადვე არა ჰკითხავს. და რამეთუ ჭურჭელსა შინა, რომელსა ზეთი შთაისხას[7], ნაზეთავი არს და რომელსა შინა ღჳნოჲ შთაისხას[8] – ნაღჳნევი, დაღათუ ნივთნი იგი წარმოიცალნენ. ესრეთვე კითხვისაგან და სმენისა შეუძლებელ არს, თუმცა არარაჲ დაჰრჩა სურნელებისა მისგან სათნოებათაჲსა.

41. ძმაჲ ვინმე ჯდა თჳსაგან დაყუდებით და ჴელ-ყვეს ეშმაკთა შეცთუნებაჲ მისი ესრე სახედ, რამეთუ გამოუჩნდეს მას სახით ანგელოზთაჲთა და აღადგინეს იგი ლოცვად და უჩუენებდეს მას რეცა ბრწყინვალებასა და

[1] მიმართ - C. 2 ბრძოლისა] ბრძოლის E. 3 იგი – CE. 4 და – C. 5 აწ – C. 6 აქ E ნუსხა წყდება. 7 შთაისხას] შთაჲსხას A. 8 შთაისხას] შთაჲსხას A.

ნათელსა. აღდგა ძმაჲ იგი და წარვიდა ბერისა ვისმე და ჰრქუა მას: მამაო, ანგელოზნი მოვლენ ბრწყინვალებითა და ნათლითა და აღმადგინებენ მე გალობად. ჰრქუა მას ბერმან: ნუ უსმენ მათ, შვილო, რამეთუ ეშმაკნი არიან იგი უკეთურნი, არამედ ოდეს მოვიდენ განღჳძებად შენდა, არქუ მათ: მე ოდეს მენებოს, თჳთ აღვდგები, ხოლო თქუენ არა გისმენ. და ვითარცა მიიღო მცნებაჲ ესე ბერისაჲ ძმამან მან, წარვიდა სენაკად თჳსად. და აჰა ესერა, მომავალსა მას ღამესა, ჩუეულებისაებრ პირველისა, კუალადცა მივიდეს ეშმაკნი აღდგინებად ძმისა მის. ხოლო მან მცნებისაებრ ბერისა ჰრქუა მათ: მე ოდეს მენებოს, თჳთ აღვდგები, ხოლო თქუენ არა გისმენ. ჰრქუეს მას ეშმაკთა: მან ბოროტმან ბერმან და მტყუანმან შეგაცთუნა შენ, რამეთუ მივიდა მისა ძმაჲ და სთხოვა კერმაჲ სესხებით და აქუნდა მას და ტყუვა და ჰრქუა: არა მაქუს და არა მისცა მას, ამის გამო ცან ტყუვილი მისი. /266v/ და ვითარცა განთენა, წარვიდა ძმაჲ იგი ბერისა და მიუთხრა მას ესე ყოველი. და ბერმან ჰრქუა მას, რამეთუ: მაქუნდა კერმაჲ, აღვიარებ და მოვიდა ძმაჲ და მთხოვა და არა მივეც, არცა ამას უვარ-ვყოფ, გარნა ამისთჳს არა მივეც, რამეთუ ზღვევაჲ იქმნებოდა სულისაჲ და აღვირჩიე გარდასლვაჲ ერთისა მცნებისაჲ და არა ათთაჲ, რაჲთა არა უმეტეს ზომისა შევწუხნე. შენ კუ-ლა, ძმაო, სიბორგილესა ეშმაკთასა ნუ ერჩი, რაჲთა არა შეგაცთუნონ. და განემტკიცა ძმაჲ იგი კეთილსა ზედა სწავლითა მით ბერისაჲთა, წარვიდა სენაკად თჳსად და ჰმადლობდა ღმერთსა.

42. იტყოდეს მამათაგანისა ვისთჳსმე დიდისა ბერისა, ვითარმედ: ოდეს მივიდეს ვინ კითხვად მისა რასმე სიტყუასა, ჰრქუა მას ბერმან: აჰა ესერა, მე ვიჩემებ პირსა ღმრთისასა და დაჯდომილ ვარ საყდართა ზედა განკითხვისათა. რაჲ გნებავს, უკუე რაჲთა[1] გიყო შენ? უკუეთუ სთქუა, თუ შემიწყალე მე, გეტყჳს შენ ღმერთი: შეიწყალე შენცა ძმაჲ შენი. და უკუეთუ სთქუა, თუ შემინდვე მე, გეტყჳს შენ ღმერთი: შეუნდვე შენცა მოყუასსა შენსა. ნუუკუე არსა უსამართლობაჲ ღმრთისა თანა?! არა, ნუ იყოფინ! ხედავა, რომელ ჩუენ ზედა არს ცხოვრებაჲ, უკუეთუ ოდენ გუენებოს!

43. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე, რომელი მკჳდრ[2] იყო სენაკებს, ვითარმედ: მივიდა მისა ბერთაგანი ვინმე ჟამსა ოდენ ლოცვისასა და ესმოდა გარემდგომარესა შინაკერძო შფოთებაჲ ბერისაჲ, რამეთუ ესჯოდა თავსა და ეტყოდა: ვიდრემდის, ანუ ერთისა სიტყჳსათჳს ვიდრე ჴდა იგი ყოველი? ჰგონა გარეთ მდგომარემან მან, თუ ებრძვის ვინმე ბერსა, ჰრეკა კარსა, რაჲთა შევიდეს და დააწყნარნეს იგინი. და ვითარცა შევიდა და[3] /267/ პო/ვა მარტოჲ ბერი და რამეთუ აქუნდა მისა მიმართ კადნიერებაჲ, ჰრქუა მას: მამაო, ვის ელალებოდე, ანუ ვის ჰბრძოდე? ჰრქუა მას ბერმან: თავსა ვებრძოდე ჩემსა და თჳთ ჩემთავე გულისსიტყუათა, რამეთუ ათოთხმეტი

[1] რაჲთა] რაჲ C. [2] მკჳდრ – C. [3] და – C.

წიგნი ვიცი ზეპირით და ერთი სიტყუაჲ მესმა გარე და ვჰყოფდი რაჲ ლოცვასა ჩემსა, იგი[1] ყოველი უქმ იქმნა და ესე ოდენ მარტოდ[2] წარმომიდგა[3] წინაშე ჩემსა ჟამსა ლოცვისასა. ამისთჳს ვჰბრძოდე მე თავსა და გულისსიტყუათა ჩემთა.

44. ბერმან თქუა: წინაწარმეტყუელთა შექმნეს წიგნები, მოვიდეს წმიდანი მამანი და აღასრულნეს იგინი[4] საქმით და შემდგომთა მათთა დაისწავლნეს იგინი ზეპირით, მოვიდა ნათესავი ესე და დაწერნა იგინი და დასხნა სარკუმელთა შინა უქმად.

45. განვიდეს ოდესმე ძმანი მონასტრით და წარვიდეს ბერისა ვისამე[5] განშორებულისა უდაბნოს. ხოლო მან შეიწყნარნა იგინი სიხარულით, ვითარცა არს წესი მეუდაბნოეთაჲ. და იხილნა რაჲ იგინი დამაშურალად, დაუგო ტაბლაჲ პირველ ჟამისა და რაჲცა-რაჲ ოდენ აქუნდა[6], განუსუენა და კეთილად ისტუმრნა. და ვითარცა იქმნა მიმწუხრი, წართქუნეს ათორმეტნი იგი ფსალმუნნი, ესრეთვე და შუვაღამედცა[7]. და ვითარცა თჳსაგან იღჳძებდა ბერი, ესმა ძმათა მათ, რამეთუ იტყოდეს ურთიერთარს, ვითარმედ: მეუდაბნოენი ესე და განშორებულნი უმეტეს ჩუენსა განისვენებენ, რომელნი ვართ შორის[8] კრებულსა და მონასტერთა შინა. და განთიად, ვითარცა ეგულებოდა მათ წარსლვაჲ სხჳსა ბერისა, რომელი მკჳდრ იყო მახლობელად მისა, ჰრქუა მათ: მოიკითხეთ ბერი ჩემ მიერცა და არქუთ მას: ნუ მოჰრწყავ დღეს ბოსტანსა. და მათ ქმნეს ესრეთ. ხოლო ბერსა ესმა რაჲ ესე, /267v/ გულის/ჴმა-ყო ძალი სიტყჳსაჲ მის და დაიმჭირნა[9] იგინი მუშაკობასა შინა დღე ყოველ მარხვეულნი. და ვითარცა იქმნა მიმწუხრი, ყო გრძელად ლოცვაჲ, მერმე თქუა: დავჰჴსნათ დღეს მარხვაჲ თქუენთჳს, რამეთუ მაშურალნი ხართ, დაღათუ არა გუაქუს წესად, რაჲთამცა ყოველთა დღეთა პირ-ვიჴსნიდით[10], არამედ თქუენთჳს ვყოთ აწ ესე დღეს. და დაუგო მათ პური ჴმელი და მარილი, მერმე თქუა: ჯერ არს დღესასწაულსა[11] ყოფად თქუენთჳს, დაურთო მცირედ ძმარი მარილსა თანა. და ვითარცა აღდგეს სერისა მისგან, განაგრძო ბერმან ლოცვაჲ მწუხრითგან ვიდრე[12] განთიადადმდე. მერმე ჰრქუა მათ: ვერ ძალ-გჳც თქუენ ძლით ყოველსავე წესსა ჩუენსა და კანონსა აღსრულებად, რაჲთა განისუენოთ თქუენ მცირედ და რამეთუ უცხოჲთ[13] მოსრულ ხართ თქუენ და შორით. და ვითარცა იქმნა განთიად, ინებეს სივლტოლაჲ ძმათა მათ, ხოლო ბერი ჰლოცვიდა მათ და ეტყოდა: დაადგერით ჩუენ[14] თანა ჟამ რაოდენმე და უკუეთუ ესე არა გნებავს, ბარე მცნებისათჳს დაადგერით ჩუენ თანა წესისაებრ უდაბნოჲსა

[1] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 166r-ზე. [2] მარტოდ] მარტოჲ E. [3] წარმომიდგა] წარმოდგა E. [4] იგინი – E. [5] ვისამე] ვისსამე E. [6] აქუნდა] ჰქონდა C. [7] შუვაღამედცა] შუვაღამედა C. [8] შორის – C. [9] დაიმჭირნა] დაჲმჭირნა A. [10] პირ-ვიჴსნიდით] პირ-სა ვიჴსნიდით E. [11] დღესასწაულსა] დღესასწაულისა C. [12] ვიდრე – C. [13] უცხოჲთ] უცხოჲთცა C. [14] ჩემ C.

სამ დღე. ხოლო მათ იხილეს რაჲ, რამეთუ არა განუტევებს[1] მათ, აღდგეს და ივლტოდეს იგინი ფარულად ბერისაგან.

46. ძმამან ჰკითხა ვისმე მამათაგანსა და ჰრქუა: უკუეთუ დამძიმდეს ძილი ჩემ ზედა და გარდაჴდეს ჟამი ლოცვისაჲ, არღარა ჰნებავს სულსა ჩემსა სირცხჳლისაგან ყოფაჲ ლოცვისაჲ. ჰრქუა მას ბერმან: დაღაცათუ შეგემთხჳოს შენ დაძინებაჲ ვიდრე განთენებადმდე, აღდეგ და დაჰჴშენ კარნი შენნი და სარკუმელნი და დადეგ ლოცვად და აღასრულე წესი შენი და კანონი. და რამეთუ წერილ არს: „შენი არს დღჱ და შენი არს ღამჱ და რამეთუ ყოველსავე ჟამსა შინა და ყოლადვე იდიდების ღმერთი“[2].

47. /268/ ბერმან თქუა: არს კაცი, რომელი ჭამს დიად და ჯერეთცა შიის. და არს სხუაჲ, რომელი მცირედ ჭამს და განძღების. გარნა რომელი იგი უმეტესსა შეშჭამს და წუთღა შიან, მას უფროჲსი სასყიდელი აქუს მისსა, რომელი-იგი მცირედისა ჭამითა განძღების.

48. ბერმან[3] თქუა: დაღაცათუ დაშურეს წმიდანი დიდად სოფელსა ამას შინა, გარნა ამიერვე მიიღეს კერძოჲ განსუენებისაჲ, ესე იგი არს, რამეთუ განთავისუფლდეს იგი ზრუნვათაგან მსოფლიოთა.

49. ბერმან თქუა: უკუეთუ იცოდის მონაზონმან ადგილი, რომელსა შინა წარჰმართებდეს სათნოებასა[4] დაკლებისათჳს ჴორცთა საჴმრისა, არა წარვიდეს მუნ, ესევითარსა მას არა ჰრწამს, თუ არს ღმერთი, რომელსა ძალ-უც გამოზრდაჲ[5] მისი.

50. ძმამან ჰკითხა ყრმასა მცირესა და ჰრქუა: კეთილ არს დუმილი ანუ მეტყუელებაჲ? ჰრქუა მას ყრმამან: უკუეთუ იყვნენ სიტყუანი ურგებნი, დაუტევენ იგინი და უკუეთუ კეთილ იყვნენ, მიეც მცირედ ადგილი კეთილსა და თქუ, გარნა დაღაცათუ კეთილ იყვნენ სიტყუანი იგი, ნუ დაიყოვნებ მათ შინა ფრიად, არამედ მალიად გარდაჰკუეთენ და განისუენო.

51. თქუა ვინმე მამათაგანმან: მიეც გულსა შენსა ჴსენებაჲ ღმრთისაჲ და მოცალე იყავ მისთჳს ყოლადვე. და რამეთუ მოვალს მტერი ხანითი ხანად, გარნა გაქუნდეს თუ ჴსენებაჲ ღმრთისაჲ შენ შორის, ვერღარა ჰპოებს მტერი ადგილსა შენ თანა დავანებად. ესრეთვე კუალად უკუეთუ ვინ ტყუე იქმნეს მტერისაგან, მივალნ მისაცა სული წმიდაჲ ჟამითი ჟამად, გარნა სიმრავლისაგან ბოროტთაჲსა ვერღარა პოვის[6] ადგილი, რაჲთამცა დაივანა[7] მის შორის, ამისთჳსცა ივლტოდის იგი მისგან და განეშორის.

52. შთავიდეს ოდესმე მონაზონნი /268v/ ეგჳპტით სკიტედ მოხილვად ბერთა. და ვითარცა იხილნეს იგინი გრძელთაგან მარხვათა მომყმარნი, რამეთუ გულსმოდგინედ იჴუმევდეს საზრდელსა, დაჰბრკოლდეს მათთჳს. ისწავა ესე ხუცესმან სკიტისამან და ინება აღშენებაჲ მეგჳპტელთაჲ მათ.

---

[1] განუტევებს] განუტეობს C. [2] ფს. 73,16. [3] ბერმან თქუა...მსოფლიოთა – C. [4] სათნოებასა + და CE. [5] გამოზრდაჲ] გამოზრდა C. [6] პოვის] პოის E. [7] დაივანა] დაჲვანა AE.

ამისთჳსცა ქადაგა მარხვაჲ ეკლესიას და ჰრქუა ერსა: იმარხეთ მარხვაჲ და განაგრძვეთ მოღუაწებაჲ მოქალაქობისა თქუენისაჲ, ძმანო. ინებეს უკუე წარსვლაჲ მოსრულთა მათ მეგჳპტელთა, გარნა არა განუტევნეს იგინი წარსლვად სკიტელთა. და ვითარცა იმარხეს მათ ერთი დღე, დაბრმეს და დაჰჴსნდეს შიმშილისაგან. მერმე ამარხვია მათ ხუცესმან ორ-ორით, ხოლო სკიტელნი იმარხვიდეს სრულიად შჳდეულსა. და ვითარცა მოიწია შაბათი, დასხდეს მეგჳპტელნიცა იგი ჭამად ბერთა თანა. და ვითარცა შფოთიანად[1] ჭამდეს მეგჳპტელნი იგი, ერთმან ბერთაგანმან სკიტელმან დაუმჭირა ჴელი ერთსა მათგანსა და ჰრქუა: ჯეროვნად ჭამე, ვითარცა მონაზონმან. ხოლო მან განყარა ჴელი ბერისაჲ და ჰრქუა მას: განმიტევე მე, რამეთუ ყოლად სრულსა ამას შჳდეულსა წუენი არა მიჭამიეს და მოვკუდები. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ თქუენ ორ-ორით იმარხეთ და ესრეთ მოაკლდით, ვითარ დაჰბრკოლდით ძმათათჳს, რომელნი-იგი სამარადისოდ ესრეთ განაგრძობენ მოღუაწებასა. მაშინ ითხოვეს შენდობაჲ და გულსავსე იქმნნეს და სარგებელ ეყო ფრიად. და აღსავსენი სიხარულითა წარვიდეს სახედ თჳსა და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომელი არს კურთხეულ უკუნისამდე.

53. ძმაჲ ვინმე გამოვიდა სოფლით და ვითარცა შეიმოსა სახჱ მონაზონებისაჲ, მეყსეულად შეაწყუდია თავი თჳსი სენაკსა შინა და იტყოდა, ვითარმედ მე დაყუდებული /269/ ვარო. ესმა ესე ბერთა, წარვიდეს და გამოიყვანეს იგი და დასდვეს კანონად, რაჲთა ვიდოდის სენაკებსა ძმათასა, უყრიდეს მუჴლთა და ეტყოდეს: შემინდევით მე, რამეთუ არა ვარ დაყუდებული, არამედ ახლად ოდენ მოსრული.

54. ორნი ძმანი ჴორციელნი განვიდეს სოფლით და მონაზონ იქმნეს. ხოლო უმრწემესი იგი ძმაჲ პირველ მოუჴდა წესსა მას და სახესა მონაზონებისასა, ესრეთღა და უხუცესიცა იგი. მივიდა[2] ოდესმე მათსა მამათაგანი ვინმე და წარმოდგეს მათ ტაშტი. და მოვიდა უმრწემესი იგი, რაჲთა დაჰბანნეს ბერსა ფერჴნი, ხოლო ბერმან უპყრა ჴელი[3] უმრწემესსა მას და უკუნადგინა იგი და უხუცესი იგი ძმაჲ წარმოადგინა. ჰრქუეს უკუე მუნ მყოფთა მათ ბერსა: მამაო, უმრწემესი უხუცეს არს სახესა შინა მონაზონებისასა. ჰრქუა მათ ბერმან: მე მოუღებ უხუცესობასა უმრწემესსა მას და მივსცემ უხუცესსავე ძმასა. ესე ქმნა ბერმან ამისთჳს, რაჲთა არა აღლაღნეს უმრწემესი იგი ძმაჲ ძმასა ზედა თჳსსა უხუცესსა და წარწყმდეს სულითა.

55. ბერმან თქუა: უკუეთუ მკჳდრ იყოს ვინმე რომელსამე[4] ადგილსა და არა იქმოდის იგი ნაყოფსა შემსგავსებულსა, თჳთ იგივე ადგილი განსდევნის მას, ვითარცა არამყოფელსა საქმესა მას ადგილისასა.

---

[1] შფოთიანად] შფოთოვანად E. [2] მივიდა] მოვიდა C. [3] აქ E ნუსხა წყდება. [4] რომელსამე] რომელსაცა C.

56. ბერმან თქუა: უკუეთუ ვინმე ქმნეს რაჲმე საქმე შედგომითა ნებისა თჳსისაჲთა და არა იყოს იგი საღმრთოდ, არამედ იყოს უმეცრებით, უკუანაჲსკნელ უეჭუელად მოსლვად არს იგი გზასავე ღმრთისასა. ხოლო რომელსა ეპყრას ნებაჲ თჳსი არა საღმრთოდ და სხჳსაგან არავე ენებოს სმენად, რაჲთამცა განემართა, /269v/ არამედ აზმნობდეს, ვითარმედ თჳთ კმა-ეყოფვის თავსა თჳსსა, ესევითარი იგი შრომით მოვალს გზასა ღმრთისასა.

57. ბერმან თქუა: ვითარცა სახედ დასი მონაზონთაჲ უპატიოსნეს არს ერისკაცთასა, ესრეთვე უჴმს უცხოსა მონაზონსა, რაჲთა სარკე ექმნეს[1] ადგილისათა ყოველსავე შინა სახესა და საქმესა.

58. თქუა ვინმე მამათაგანმან, ვითარმედ: უკუეთუ დაემკჳდროს მუშაკი ადგილისა, სადა არა იყვნენ სხუანიცა მუშაკნი, ვერ წარემართების იგი. თჳნიერ უკუეთუ ოდენ ესე შეუძლოს, რაჲთა უკუღმართ არღარა წარვიდეს. და კუალად უქმი მუშაკთა თუ თანა იყოს, გან-თუ-იფრთხოს, წარემართების. ხოლო უკუეთუ არა, ჩაღმართ არღარა წარვიდეს.

59. ბერმან თქუა: სულსა უკუეთუ სიტყუაჲ აქუნდეს და საქმე არა, მსგავს არს იგი ხესა, რომელსა აქუნ ფურცელი, ხოლო ნაყოფი არა. და რამეთუ ოდეს აღსავსე იყოს ხე[2] ნაყოფითა, მაშინ ფურცელიცა უშუენიერეს არს. ესრეთვე შუენის სულსა, რაჲთა სიტყუათა თანა საქმენიცა აქუნდეს კეთილისანი.

60. წარვიდეს ოდესმე სამნი ძმანი[3] ვინმე სკიტეს და მივიდეს ბერისა ვისამე. და ჰკითხა ერთმან მან და ჰრქუა: მამაო, ძუელი და ახალი აღთქუმაჲ დამისწავლიეს ზეპირით. ჰრქუა მას ბერმან: ჰაერნი აღგივსიან, ძმანო, სიტყჳთა. და მეორემან ჰკითხა: და მეცა, მამაო, ძუელი და ახალი წიგნი დამიწერიეს თავისა ჩემისა. ჰრქუა მას ბერმან: და შენცა, ძმაო, სარკუმელნი აღგივსიან ქარტითა. და მესამემან ჰრქუა მას: და მეცა, მამაო, ესოდენ უგულებელს-მიყოფია[4] თავი, ვიდრეღა ჭურჭელსა[5] შინა, რომელსა ვიბანდი ფერჴთა, ჭილი აღმოჴდა და შოლდოჲ. მიუგო ბერმან მასცა და ჰრქუა: და შენცა, ძმაო, უცხოთმოყუარებაჲ გიოტებიეს შენგან.

61. /270/ ბერმან თქუა: ჯერ არს ქონებად სარწმუნოებაჲ მართალი და საქმენი კეთილნი.

62. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რაჲსათჳს, მამაო, სულმოკლებით ვჰყოფ მცირესა მას ჩემსა ლოცვასა? მიუგო ბერმან და ჰრქუა მას: მაშინ გამოჩნდების სიყუარული ღმრთისაჲ, ოდეს ყოვლითა გულსმოდგინებითა და ლმობიერებითა აღასრულებდეს საქმესა ღმრთისასა და გონებითა არა მიმოტაცებულითა.

---

[1] ექმნეს] ექმნას C. [2] ~ ხე აღსავსე იყო C. [3] ~ ვინმე ძმანი C. [4] უგულებელს-მიყოფეს C. [5] ჭურჭელსა] ჭუჭრჭელსა C.

63. წარვიდეს ბერისა ვისმე[1] დიდისა ოდესმე ხუთნი ძმანი. და ბერმან ჰკითხა ერთსა მათგანსა: რასა შურები, ძმაო? ხოლო მან ჰრქუა: სირასა ვთხზავ, მამაო. ჰრქუა მას ბერმან: ღმერთმან დაგითხზენინ[2] შენ გჳრნჳნი, შვილო. და მეორესა მას ჰრქუა: და შენ რასა შურები[3]? და მან თქუა: ფსიათსა, მამაო. ჰრქუა მას ბერმან: ღმერთმან განგაძლიერენ შენ, შვილო. და მესამესა მას ჰრქუა: და შენ რასა შურები, ძმაო? და მან თქუა: საცერსა, მამაო. ჰრქუა მას ბერმან: ღმერთმან დაგიცევინ შენ, შვილო. და მეოთხესა მას ჰრქუა: და შენ რასა შურები? და მან თქუა: მწერალი ვარ, მამაო. ჰრქუა მას ბერმან: შენ იცი, თუ ვითარ სწერ, ძმაო. და მეხუთესა მას ჰრქუა: და შენ რასა შურები? და მან თქუა: მე სამოსელსა, მამაო. ჰრქუა მას ბერმან: მე მაგას თანა საქმე არაჲ მიც. და რამეთუ რომელი-იგი თხზავს სირასა, უკუეთუ ფრთხილი იყოს და მღჳძარე, ღმრთისა წინაშე თხზავს გჳრგჳნსა თჳსსა. ხოლო ფსიათსა ძალი უჴმს, რამეთუ შრომაჲ აქუს. კუალად საცერსა კრძალვაჲ უჴმს[4], ხოლო სოფლითი სოფლად მიმოვალს, რაჲთა განიყიდოს. მწერალსა, კულა სიმდაბლჱ[5] უჴმს დიდი, რაჲთა არა აღლაღნეს გული მისი სიმაღლისათჳს საქმისა მის. ხოლო მესამოსელსა თანა არარაჲ მიც საქმე, რამეთუ /270v/ ვაჭა/რი არს იგი. და რამეთუ უკუეთუ ვინმე იხილოს შორით, რომელსა ეტჳრთოს სფირიდები, ანუ ფსიათები, გინა საცრები, იტყჳს: აჰა, მონაზონი. რამეთუ თივაჲ არს ჴელთსაქმარი ჩუენი და ნივთი ცეცხლისაჲ. ხოლო უკუეთუ ვიეთმე იხილონ, ჰყიდდეს სამოსლებსა და არდაგებსა და სხუასა ესევითარსა, იტყჳან: აჰა ესერა, ვაჭარნი მოვიდეს, და რამეთუ მსოფლიოთაჲ არს ჴელთსაქმარი ესე და არა ფრიად სარგებელი.

64. გჳთხრა ჩუენ ესე ბერთაგანმან ვინმე, ვითარმედ იყო ძმაჲ ვინმე ფრიად განკრძალული და ესუა მას დედაჲ გლახაკი. იქმნა უკუე[6] შიმშილი დიდი მათ კერძოთა. აღიღო ძმამან მან პური და წარემართა, რაჲთა მიართუას დედასა თჳსსა. და აჰა ესერა, მოიწია მისა ჴმაჲ ზეცით, რომელი ეტყოდა: შენ ზრუნავა დედასა შენსა, ანუ მე ვზრუნავდე? გულისჴმა-ყო ძმამან მან ძალი ჴმისაჲ მის და დააგდო თავი თჳსი პირსა ზედა ქუეყანად[7], ევედრებოდა ღმერთსა და ეტყოდა: შენ გჳღუაწე ჩუენ[8], უფალო სახიერო, და შენ იზრუნე ჩუენთჳს. და აღდგა და უკუმოიქცა სენაკადვე თჳსად. და მესამესა დღესა მივიდა მისა დედაჲ მისი და ჰრქუა მას: მან რომელმანმე მონაზონმან მომცა მე მცირედ იფქლი, მიიღე[9] ესე და მიქმენ ჩუენ მცირედ პური, რაჲთა გამოვიზარდნეთ. ესმა რაჲ ესე ძმასა მას, ადიდებდა ღმერთსა, რომელი არავის ყოლადვე დაივიწყებს[10]. და იქმნა სასოებაშემოსილ და წარემატებოდა მადლითა ღმრთისაჲთა ყოველსავე სათნოებასა და საქმესა კეთილისასა.

---

[1] ვისმე] ვისამე C. [2] დაგითხზენინ] შეგითხზენინ C. [3] შურები + ძმაო C. [4] უჴმს] აქუს C. [5] სიმდაბლჱ] სიმდაბლე C. [6] უკუე – C. [7] ქუეყანისასა C. [8] ჩუენ – C. [9] მიიღე + და C. [10] დაივიწყებს] დაჲვიწყებს A.

65. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: აჰა ესერა, წარვალ სადამე ადგილსა ძმისა ვისმე და დამიგებენ ჩუენ ჭამადსა, რაჲცა-იგი ებოძოს ღმერთსა. და ძმათა მათ ანუ-მე[1] მარხვისათჳს, ანუ-მე უჭამიეს და განმაძღარ არიან, არღარა ჰნებავს ჭამად, /271/ ხოლო მე მშიის, რაჲ ვყო, ამას[2]? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ გშიოდის შენ, განიცადენ[3] მუნ მსხდომარენი იგი ესრეთვე და წინადაგებულიცა იგი და რომელი[4] შეატყუა, ვითა ნაწილად გამოგხუდების, იგი ჭამე და არა არს ბრალ შენდა, არცა დასაბრკოლებელ, რამეთუ სათანადოსა საქმესა აღასრულებ. ხოლო უკუეთუ იძლიო და მეტად შჭამო, იგი არს ძლეულებაჲ შენი.

66. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რაჲ არს ძჯრისსიტყვაჲ და რაჲ არს განკითხვაჲ? ჰრქუა მას ბერმან: ძჯრისმეტყუელებაჲ ყოვლისავეთჳს ითქუმის, ხოლო განკითხვაჲ ცხადთა ოდენ ზედა საქმეთა. ყოველივე უკუე სიტყუაჲ, რომელი ვერ ძალ-უც პირისპირ თქუმად მოყუსისა, ძჯრისმეტყუელებაჲ არს. ესრეთვე კუალად უკუეთუ თქუას, ვითარმედ იგი ვინმე ძმაჲ სარწმუნო არს და კეთილ და განუკითხველად თქუას ესე და დახუდომით, ესეცა ძჯრისმეტყუელებაჲვე არს. ხოლო განკითხვაჲ არს, ოდეს ვინ თქუას ვითარმედ, იგი ვინმე ძმაჲ ვაჭარი არს და ვეცხლისმოყუარჱ[5]. ესე განკითხვაჲ არს. რამეთუ განიკითხნა საქმენი მისნი, რომელი-ესე უბრალეს არს ფარულად მეტყუელებისა.

67. ბერი ვინმე წარჰვლიდა მდინარესა და პოვა მდინარის კიდესა მას ლერწმოანსა შინა ადგილი მყუდროჲ დასაყუდებელად. და დაჯდა მას შინა და თხზავნ სირასა ფურცელთაგან ლერწმისათა და შთაუტევებენ[6] იგი[7] მდინარესა მას შინა. ესრეთ იქმოდა იგი, ვიდრემდის იხილეს კაცთა ვიეთმე, მაშინღა აღდგა და განეშორა მიერ. და რამეთუ არა თუ უჴმდა და ამისთჳს შურებოდა, არამედ რაჲთა აჭირვოს თავსა და დაეყუდოს მყუდროებით.

68. იყო[8] ვინმე ძმაჲ, რომელსა ჰბრძოდა გულისსიტყუაჲ, რაჲთა წარვიდეს ბერისა ვისამე[9] მოხილვად მისა. და უქადებნ იგი რაჲ დღე /271v/ გულისსიტყუასა თჳსსა და ეტყჳნ: ხვალე წარვიდე. დაყო უკუე ამას ზედა სამი წელიწადი. და ესრეთ ჰბრძოდა და აჭირვებდა გულისსიტყუასა თჳსსა. ხოლო უკანაჲსკნელ ჰრქუა თავსა თჳსსა[10]: აჰა ესერა, ვითარცა წარვედით ბერისა და მრქუა ჩუენ, კეთილად მოხუედ, მრთელად ხარა ბერო? და ჩუენ ვარქუთ: კეთილად, მამაო, წმიდითა ლოცვითა თქუენითა, რაოდენთაღა წელთა სურვიელ ვიყავ ხილვად სიწმიდისა თქუენისა. მერმე მოიღო ტაშტი, ვითარცა ბერისა გამო და დაიბანნა ფერჴნი თჳსნი და იტყოდა:

---

[1] ანუ-მე] ანუ C. [2] ამას + ზედა C. [3] განიცადენ + შენ C. [4] რომელი-იგი C. [5] ვეცხლისმოყუარჱ] ვეცხლისმოყუარე C. [6] შთაუტევებენ] შთაუტევებნ C. [7] იგი – C. [8] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება (168r), თუმცა დასაწყისში დაზიანებულია, არ იკითხება პირველი სვეტის ნახევარი. [9] ვისამე] ვისსამე E. [10] აქ შემოდის D ნუსხა.

კეთილად მოხუედ, ძმაო, შემინდვე მე, რამეთუ ჩემთჳს დამაშურალ ხარ, უფალმან მოგცეს სასყიდელი შრომისაჲ. და აღდგა და შექმნა წუენი და ყო ნუგეშინისცემაჲ და ჭამა და სუა[1] კეთილად და განისუენა და მეყსეულად ივლტოდა ბრძოლაჲ იგი მისგან და ჰმადლობდა იგი[2] ღმერთსა.

69. ბერმან თქუა: არა თუ რამეთუ კეთილ არს და სარგებელ ჴორციელად და ამისთჳს ვზი აქა უძლური ესე, არამედ ჭირისათჳს და იწროებისა, რამეთუ იტყჳს: ძლიერ არიან იგინი[3], რომელნი მყოფ იყვნენ შორის ძმობისა[4].

70. კუალად თქუა ბერმან[5]: ადგილსა, რომელსა მკჳდრ იყოს კაცი და ინებოს რასმე საქმესა კეთილისასა ქმნაჲ და ვერ უძლოს, ნუ ჰგონებს იგი, თუ სხუაგან სამე[6] შეუძლებს[7] ყოფად მისა.

71. კითხულ იქმნა ოდესმე ბერი მათთჳს, რომელნი-იგი მიმოვლენ და ეძიებენ ლოცვასა სხუათასა. ხოლო თჳთ უდებ არიან და მცონარ და არარას კეთილსა შურებიან. მიუგო ბერმან და ჰრქუა მათ, ვითარმედ: დიდად შემძლებელ არს ჭეშმარიტად ლოცვაჲ მართლისაჲ თანაშეწევნული და რამეთუ უჴმს, რომელი-იგი სხუათაგან ლოცვასა ითხოვდეს, რაჲთა ყოვლითა ძალითა თჳსითა მოსწრაფე იყოს ქმნად ყოველსავე საქმესა /272/ კე/თილისასა და განეყენოს ყოვლისაგანვე[8] უჯეროჲსა საქმისა და გულისსიტყჳსა. უკუეთუ კულა განუკრძალველ იყოს იგი, რაჲ იყოს მისდა სარგებელი. და[9] დაღათუ[10] წმიდანი ილოცვიდენ მისთჳს და რამეთუ იტყჳს: ოდეს ერთი აღაშენებდეს და მეორჱ[11] აღაოჴრებდეს[12], რაჲ შეიძინეს თჳნიერ ცუდი შრომაჲ[13]. ხოლო ვთქუა სახეცა ამის პირისათჳს, რომელი-ესე ჩუენსა ამას[14] ნათესავსა ზე იქმნა: ბერი ვინმე იყო წმიდაჲ და საღმრთოჲ, მამაჲ კრებულთა მონასტრისაჲ. ესე ყოვლითავე საქმითა კეთილისაჲთა განშუენებულ იყო და ყოვლითავე სათნოებითა შემკობილ. ხოლო უმეტეს ყოვლისა სამითა ამით სათნოებითა გარდამატებულ იყო: სიმდაბლითა, სიყუარულითა და მოწყალებითა ყოველთა მიმართ. ესე ევედრებოდა ღმერთსა და ეტყოდა: უფალო, ვიცი რამეთუ ცოდვილ ვარ, არამედ მოწყალებათა მიმართ ღმრთეებისა შენისათა მაქუს სასოებაჲ ცხორებისაჲ, რაჲთა ვცხოვნდე მოწყალებითა შენითა. და აწ უფალო[15] მეუფეო, შეუვრდები მრავალთა მათ სახიერებათა შენთა, რაჲთა არა განმყო მოყუასთაგან და ძმათა ჩემთა, არცა ამას საწუთროსა და არცა მერმესა მას საუკუნესა, არამედ რაჲთა ჩემ თანავე ღირს-ყვენ[16] იგინიცა[17] სასუფეველსა აურაცხელთათჳს მოწყალებათა შენთა. ერთვე[18] უკუე და ყოლადვე ამას ილოცავნ ნეტარი იგი ბერი. ხოლო კაცთმოყუარემან ღმერთმან, რომელი-იგი

---

[1] სუა + და D. [2] იგი – DE. [3] იგინი] იგი D. [4] ძმობისა] ძმობასა C. [5] კუალად თქუა ბერმან] ხოლოD. [6] სამე – D. [7] შეუძლებს] შეუძლოს C. [8] ყოვლ ისაგანვე] ყოვლისავე D. [9] და – E. [10] დაღათუ] დაღაცათუ D. [11] მეორე CD. [12] აღაოჴრებდეს] აღაუჴრებდეს D. [13] ~ შრომაჲ ცუდი D. [14] ამას – D. [15] უფალო – D. [16] ღირს-ყვენ] ღირს-ჰყვნე C. [17] იგინიცა] იგინი C. [18] ერთვე] ესრეთვე C.

ყოლადვე ახს[1] მოშიშთა სახელისა მისისათა, გულსავსე-ყო იგი ესრე სახედ, რამეთუ აღესრულებოდა საჯსენებელი წმიდისაჲ[2] ერთსა მონასტერთაგანსა, რომელი არა ფრიად შორვიდა მათგან. მუნ მიხადეს ბერსა მოწაფითურთ თჳსით, ხოლო მას არა ენება წარსლვაჲ[3], გარნა ღამესა მას ჰრქუა უფალმან ჩუენებით: წარვედ და წინაწარმგზავნენ[4] მოწაფენი შენნი და შემდგომად მათსა შენ[5] წარვედ მარტოჲ. არამედ რომელი-იგი ჩუენთჳს დაგლახაკნა ქრისტე და ყოლად ყოველივე /272v/ ჩუენთჳს თავს იდვა, რაჲთა ყოველნი[6] გუაცხოვნნეს, გლახაკისა და უძლურისა სახჱ შეიმოსა და შუვა ოდენ გზასა დავრდომილად იხილვა. წარმოვლეს უკუე მოწაფეთა ბერისათა და პოვეს იგი ტკივნეული. ჰკითხეს მიზეზი თუ რაჲ სჭირს. ხოლო მან ჰრქუა მათ: უძლურ ვარ მე და სნეულ და მჯდომარე ვიყავ საჯედარსა ზედა და გარდამაგდო მე და იგი ივლტოდა. და მათ ჰრქუეს მას: და რაჲ გიყოთ შენ, ბერო, რამეთუ ჩუენ ქუეითნი ვართ. და დაუტევეს იგი და წარვიდეს. ხოლო შემდგომად მცირედისა მოვიდა ბერი მამაჲ იგი მათი და მოძღუარი და პოვა იგი ეგრეთვე მდებარედ და შეიწრებულად. და ვითარცა ისწავა მიზეზი, ჰრქუა მას: არა წარმოვლესა აქა მონაზონთა პირველ მცირედისა და გპოვეს შენ ესრეთ? ხოლო მან ჰრქუა: ჰჱ, წარმოვლეს და ვითარცა ისწავეს, მრქუეს მე: ჩუენ ქუეითნი ვართ, რაჲ გიყოთ შენ. ჰრქუა მას ბერმან: ძალ-გიცა მცირედ-მცირედ სლვაჲ და წარვიდეთ? ხოლო მან ჰრქუა: ვერ ძალ-მიც ყოლად სლვაჲ. მერმე ჰრქუა მას: მოვედ უკუე და აღგიკიდო და შემწე გუექმნეს ღმერთი და წარვიდეთ ზოგად. და მან ჰრქუა: და ვითარ ძალ-გიც ყოფად ესე[7] ესოდენსა სიშორესა, არამედ უფროჲსღა[8] წარვედ და ლოცვა ყავ ჩემთჳს. ჰრქუა მას ბერმან: ნუ იყოფინ, არა წარვიდე, არცა დაგაგდო შენ და რამეთუ აჰა ესერა, არს კლდე, აღგიღო შენ და დაგდვა მას ზედა, მერმე შემოგიჯდე და აღგიკიდო შენ. და ყო ესრეთ და ვითარცა აღიკიდა იგი, პირველად სცნობდა, რომელ[9] კაცისა სიმძიმე აქუნდა მას და მცირედ-მცირედ აღსუბუქნებოდა იგი, ხოლო უკუანაჲსკნელ სრულიად აღსუბუქნა იგი, ვიდრემდის უკჯრდაცა ბერსა ფრიად საქმე იგი. და ვითარცა უჩინო იქმნა ტჯრთული იგი, ჰრქუა ბერსა[10] ტკბილისა მიერ ჯმისა და სახიერისა: აჰა ესერა, ყოლადვე და მარადის მევედრებოდე მე მოწაფეთა შენთათჳს, /273/ რაჲთა შენ თანავე ღირს იქმნენ იგინიცა სასუფეველსა ცათასა, გარნა ხედავა, თუ ვითარ სხუაჲ არს შენი საზომი და სხუაჲ არს მათი. აწ უკუე გნებავს თუ მათი შენ თანა მოსლვაჲ, ასწავე მათ მიბაძვაჲ საქმეთაცა შენთაჲ, უკუეთუ არა, მე მსაჯული ვარ სიმართლისაჲ და კაცად-კაცადსა მივაგებ საქმეთაებრ მისთა.

---

[1] ახს მოშიშთა სახელისა მისისათა] ღმობიერებითა სახელისა მისისათა CD. [2] წმიდისაჲ] მოწამისაჲ D. [3] წარსლვაჲ] წარსლვად E. [4] წინაწარმგზავნენ] წინაწარგ-ზავნენ DE. [5] შენ – D. [6] ყოველნი] ყოველნივე CD. [7] ესე ესოდენსა] ესე ოდენსა D. [8] უფროჲსღა] უფროჲს E. [9] რომელ] რამეთუ D. [10] ბერსა – D.

72. იყო ვინმე ოდესმე განშორებული, ფრიად გულისჴმისმყოფელი და გონიერად განმკითხველი. ამან ინება ოდესმე მკჳდრობაჲ უდაბნოს და ვერ პოვა ჟამისად სენაკი, რაჲთა დაეყუდოს მას შინა. ხოლო იყო მუნ სხუაჲ ბერი და აქუნდა მას განშორებულად-რე სენაკი თჳსაგან და ევედრებოდა ბერსა და ეტყოდა: მოვედ და დაჯედ სენაკსა მას, ვიდრემდის იპოოს სხუაჲ სენაკი. ხოლო მან ყო ეგრეთ და წარვიდა და დაჯდა იგი[1] სენაკსა მას შინა. ვინაჲცა უცხოებისათჳს მისისა და სიკეთისა მოვიდოდეს ვიეთნიმე მისა[2] და მოართუმიდეს მას საჴმარსა მისსა და იგი კუალად[3] განუსუენებნ მათ და კეთილად ისტუმრებნ, რაჲცა-იგი ებოძის ღმერთსა. იწყო უკუე ბერმან შურობად მისა, რომელმან-იგი მისცა მას სენაკი და ბოროტისმეტყუელებად მისთჳს, ვითარმედ მე ესოდენნი[4] წელიწადნი მქონანო[5] აქა მოღუაწებათა შინა მრავალთა და არცა ერთი ვინ მოვიდა ჩემდა და[6] ესერა, ამას გრძნეულსა რაჲზომ მცირედნი დღენი ჰქონან და ვითარ მრავალნი მოვლენან[7] მისა. და ჰრქუა მოწაფესა თჳსსა: წარვედ და არქუ მას, განეშორე ადგილისა მაგისაგან და წარვედ, რამეთუ მიჴმს მე სენაკი[8] ეგე. წარვიდა მოწაფჱ[9] იგი მის და ჰრქუა მას: ბერი ჩემი მოგიმცნებს, თუ ვითარ ხარ ამათ დღეთა შინა? ხოლო მან მიუმცნო: ლოცვა ყავ ჩემთჳს, მამაო, რამეთუ დამიმძიმდა სტომაქი ჩემი. და მივიდა ძმაჲ იგი და ჰრქუა ბერსა: ესრეთ მოგიმცნებს, ვითარმედ: ვიძიო სენაკი და წარვიდე. და შემდგომად ორისა დღისა კუალად ჰრქუა მას: წარვედ და არქუ მას, ვითარმედ: /273v/ უკუეთუ არა წარხჳდე ნეფსით, მე კუერთხითა მოვიდე და გაოტო[10] შენ. წარვიდა ძმაჲ იგი და ჰრქუა მას: ბერსა ჩემსა ესმა უძლურებაჲ შენი და დიდად შეწუხნა და მომავლინა მე ხილვად შენდა. და მან ჰრქუა მას: მოახსენე ბერსა, ვითარმედ: ლოცვითა შენითა კეთლად ვარ აწ. წარვიდა ძმაჲ იგი და ჰრქუა მას: ამას მოგაჴსენებს ბერი, ვითარმედ: დრო-მეც კჳრიაკედმდე და ნებითა ღმრთისაჲთა განვიდე ამიერ. და ვითარცა მოიწია[11] კჳრიაკეცა და არა განვიდა[12], აღიღო ბერმან კუერთხი და წარემართა გუემად მისა[13] და განდევნად. ჰრქუა მას მოწაფემან მისმან: წარვიდე მე პირველ, ნუუკუე იპოვნენ ვინმე უცხონი მუნ და დაჰბრკოლდენ ჩუენთჳს. და[14] წარუსწრა[15] მოწაფემან და ჰრქუა ბერსა მას: ბერი ჩემი მოვალს ხილვად შენდა და ვედრებად, რაჲთა წარგიყვანოს შენ სენაკსა თჳსსა. და ვითარცა ესმა მას სიყუარული ბერისაჲ, გამოვიდა მიგებებად მისა და დავარდა შორითვე პირსა ზედა თჳსსა, თაყუანის-სცა მას და ჰრქუა: ნუ მოშურები, მამაო, მე მოვიდე სიწმიდისა მომართ შენისა. და ვითარცა იხილა ღმერთმან საქმე იგი ჭაბუკისაჲ მის, ლმობიერ-ყო გული

[1] იგი – C. [2] მისა – D. [3] კუალად] კეთილად C. [4] ესოდენნი] ესე ოდენნი D. [5] მქონანო] მქონან D. [6] და – D. [7] მოვლენან] მივლენან C. [8] სენაკი] ადგილი D. [9] მოწაფჱ] მოწაფე CDE. [10] გაოტო] გიოტო DE. [11] მოიწია] მოვიდა E. [12] განვიდა + მიერ D. [13] მისა] მისსა D. [14] და – C. [15] წარუსწრა] წარუსწრო D.

ბერისაჲ და დააგდო ჴელთაგან კუერთხი და მირბიოდა შემთხუევად მისა[1], მოწლედ შეიტკბო იგი და წარმოიყვანა სენაკად თჳსად. მერმე ჰრქუა ბერმან მოწაფესა თჳსსა: არარაჲ უთხარა[2] მას[3], რაოდენი-რაჲ გარქუ შენ? და მან ჰრქუა: არა, მამაო[4]. განიხარა უკუე ამას ზედა ბერმან ფრიად, რომელ არცა ერთი რაჲ ესმა მას და ცნა ვითარმედ შური იყო საეშმაკოჲ და განუსუენა ბერსა მას კეთილად და დიდად ნუგეშინის-სცა. მერმე შეუვრდა მოწაფესა თჳსსა და ჰრქუა: ამიერთგან შენ ხარ მამაჲ ჩემი და მე მოწაფჱ[5] შენი, რამეთუ გონიერებითა საქმისა შენისაჲთა ცხოვნდეს ჩუენ ორთავე სულნი.

73. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე წმიდისა, ვითარმედ შეპყრობილ იქმნა იგი[6] ჟამსა მას დევნულებისასა /274/ და მან აღიარა კეთილი იგი აღსაარებაჲ და წამა წამებაჲ ჭეშმარიტი, ამისთჳსცა ტანჯეს იგი ესოდენ მტერთა მათ ჭეშმარიტებისათა, ვიდრეღა და ცხედარსაცა[7] ზედა რვალისასა დასუეს იგი განჴურვებულსა. ხოლო შორის[8] ამის ყოვლისა იქმნა მეფობაჲ ნეტარისა მეფისა კოსტანტინე დიდისაჲ და განტევებულ იქმნნეს ქრისტეანენი. და განიკურნა რაჲ წმიდაჲ იგი, კუალად იქცა სენაკადვე თჳსად. და ვითარცა იხილა შორით სენაკი თჳსი, სულთ-ითქუნა და თქუა: ეჰა, ვაჲ მე, რამეთუ კუალადცა შრომათა[9] მოვედ მრავალთა. ხოლო ესე თქუა ღუაწლთათჳს და წყობათა მტერისათა.

74. ბერმან თქუა: რომელი აქებდეს მონაზონსა[10] პირსა პირისპირ[11], შთაუგდებს მას ეშმაკსა პირსა.

75. კუალად თქუა: ყოველსავე, რაოდენსაცა იგონებს კაცი ცათაჲთგან ვიდრე ქუეყანადმდე, ცუდად იგონებს და ამაოდ. ხოლო რომელი იჴსენებდეს იესუს ოდესვე[12], იგი ჭეშმარიტებით ვალს.

76. ბერი ვინმე მკჳდრ იყო სკიტეს, რომელსა ესუა შვილი სოფელსა შინა. შეიპყრა ძჱ[13] იგი მისი მთავარმან და შეაგდო საპყრობილესა. ხოლო დედამან[14] ყრმისამან მიუმცნო მამასა მისსა, რაჲთა მიუწეროს მთავარსა და განუტეოს იგი. ჰრქუა ბერმან მივლინებულსა მას: და უკუეთუ ესე განუტეოს, სხუასა მის წილ არა შეიპყრობსა? და მან ჰრქუა: ჰჱ, შეიპყრობს. ჰრქუა მას ბერმან: და რაჲ იყოს სარგებელი, ოდეს მშობელნი ამისნი იხარებდენ, ხოლო სხჳსანი ტიროდიან.

77. ესევე ბერი შურებოდა ფრიად ჴელთსაქმარსა თჳსსა და თჳსსა ოდენ საზრდელსა დაიჭირვიდა[15], ხოლო სხუასა ყოველსავე გლახაკთა განუყოფდა. იქმნა ოდესმე სიყმილი მას ქუეყანასა და მიავლინა მისა დედამან ყრმისამან

---

[1] მისა] ბერისა E. [2] უთხარა] უთხრა D. [3] მას] ამას E. [4] მამაო – D. [5] მოწაფჱ] მოწაფე DCE. [6] იგი – D. [7] ცხედარსაცა] ცხედარსა D. [8] შორის] შემდგმად E. [9] შრომათა] შრომათავე E. [10] მონაზონსა] მოყუასსა D. [11] აქ E ნუსხა წყდება. [12] ოდესვე – D. [13] ძჱ] ძე D. [14] დედამან + მან C. [15] დაიჭირვიდა] დაჲჭირვიდა A; დაიმჭირვიდა D.

ძჱ[1] მისი, რაჲთა მი-რაჲმე-სცეს მათ[2] მცირედ გამოსაზრდელი. ესმა რაჲ ესე ბერსა, ჰრქუა ძესა თჳსსა: არიანა, შვილო, მახლობელად თქუენსა სხუანიცა, რომელთა უჴმს ვითარცა თქუენ? ჰრქუა მას ყრმამან: ჰჱ, მამაო, არიან მრავალნი. ხოლო მან დაჰჴშა კარი წინაშე /274v/ პირსა მისსა და ჰრქუა მას ცრემლით: წარვედ, შვილო, რამეთუ რომელმან ყოს მოღაწებაჲ მათ ყოველთაჲ, ყოს თქუენიცა. და არარაჲ მისცა მას. მაშინ ჰკითხა მას ძმამან ვინმე და ჰრქუა[3]: აწ არა შეგელმნესა ნაწლევნი შენნი, რამეთუ ესრეთ მართლუკუნ-აქციე ძჱ[4] შენი? ჰრქუა მას ბერმან: არა თუ ყოველსავე[5] შინა საქმესა აიძულებდეს[6] კაცი თავსა თჳსსა, სასყიდელი არა აქუს.

78. ბერმან თქუა: ყოველივე უკეთურებაჲ, რომელი არა აღასრულოს კაცმან საქმით, არა არს იგი უკეთურებაჲ და ყოველივე სიმართლჱ[7], რომელი არა აღასრულოს კაცმან საქმით, არა არს იგი სიმართლჱ[8]. და რამეთუ კაცსა, რომელსა არა ჰქონან გულისსიტყუანი კეთილნიცა და ბოროტნი, მსგავს არს იგი ქუეყანასა სოდომისა და გომორისასა, რომელი-იგი მარილეან არს და არცა ნაყოფს მოიღებს და არცა მდელოსა. ხოლო ქუეყანაჲ კეთილი აღმოაცენებს იფქლსაცა და ღუარძლსაცა.

79. ბერმან თქუა, ვითარმედ: ვჯედ ოდესმე[9] მახლობელად სხჳსა ბერისა და მოვიდა ვინმე[10] მისა ქალწული და ჰრქუა მას: მამაო, მიმარხავს ორასი კჳრიაკჱ[11] ექუს-ექუსით და დამისწავლიეს მე ზეპირით ძუელი და ახალი, აწ რაჲღა მაკლს საქმედ? ჰრქუა მას ბერმან: შეგირაცხიესა შეურაცხებაჲ ვითარცა პატივი? და მან ჰრქუა: არა, მამო! აღგირჩევიესა ზღვევაჲ შეძინებისა, ანუ უცხოჲ – შენსა ნათესავსა, გინა სიგლახაკჱ[12] – სიმდიდრესა? და მან ჰრქუა: არა. ჰრქუა მას ბერმან: არა გიმარხავს შენ ექუს-ექუსით, არცაღა ძუელი და ახალი დაგისწავლიეს, არამედ ოდენ თავსა შენსა აცთუნებ, წარვედ უკუე, წარვედ, დაშუერ შენ, რამეთუ არარაჲ გიშრომიეს.

80. ბერმან თქუა, ვითარმედ: კაცმან, რომელმან მისცეს ნეფსით თჳსით თავი თჳსი ჭირთა, მრწამს, რამეთუ მოწამეთა თანა თჳსთა აღჰრაცხოს იგი ღმერთმან. და რამეთუ ნაცვალად /275/ სისხლთა მიითუალავს ღმერთი ცრემლთა მისთა.

81. ბერმან თქუა: ყრმაჲ, რომელი შთააგდებდეს სიტყუასა შორის უხუცესთა მისთა, მსგავს არს იგი კაცისა, რომელმან შთაუგდის ცეცხლი წიაღთა შინა და უბეთა ძმისა თჳსისათა.

82. ბერთა თქუეს: მოწუართენით ყრმანი, ძმანო, რაჲთა არა ყრმათა მოგწუართნენ თქუენ.

---

[1] ძჱ] ძე D. 2 მათ – D. 3 ჰრქუა + მას C. 4 ძჱ] ძე CD. 5 ყოველსავე] ყოველსა C. 6 აიძულებდეს] აჲძულებდეს AD. 7 სიმართლჱ] სიმართლე CD. 8 სიმართლჱ] სიმართლე CD. 9 ოდესმე] ოდეს C. 10 ვინმე – C. 11 კჳრიაკე CD. 12 სიგლახაკე CD.

83. ძმაჲ ვინმე წარვიდა მთასა ფერმისასა დიდისა ვისმე ბერისა და ჰრქუა მას: მამაო, რაჲ ვყო, რამეთუ წარწყმდების სული ჩემი? ჰრქუა მას ბერმან: რად, შვილო? ჰრქუა მას ძმამან: ოდეს ვიყავ, მამაო, სოფელსა შინა, ფრიად ვიმარხევდი და ვიღჳძებდი და ლმობიერებაჲ მაქუნდა დიადი და მჴურვალებაჲ გულისაჲ საკჳრველი. და აწ, მამაო, არცა თუ კნინოდენსა რას ვხედავ ჩემ შორის კეთილსა და სარგებელსა. ჰრქუა მას ბერმან: გრწმენინ ჩემი, შვილო, რაოდენსაცა რას იქმოდე სოფელსა შინა, ცუდისაგან დიდებისა და კაცთამიერისა ქებისა გაქუნდა გულისმოდგინებაჲ, ამისთჳსცა შეუწირავ იყვნეს ღმერთისა მაშინდელნი შრომანი შენნი და ამისთჳს არა გბრძოდა შენ ეშმაკი, რამეთუ არად ჰგლოდა მას ცუდისათჳს მოსწრაფებისა შენისა. ხოლო აწ, გხედავს შენ, რამეთუ მჴედარ იქმენ ღმრთისა და გამოხუედ ბრძოლად მისა და იგიცა აღჭურვილ არს შენდა მომართ. გარნა სთნავს ღმერთსა ერთი ფსალმუნი აწინდელი, ვიდრეცა ბევრეულნი ფსალმუნნი, ოდეს იყავ სოფელსა შინა. და უფროჲს შეიწირავს ღმერთი მცირესა მას მარხვასა შენსა აწინდელსა, ვიდრეცა მრავალთა შჳდეულთა მარხვასა მაშინდელსა, ოდეს-იგი იყავ სოფელსა შინა. ჰრქუა მას ძმამან: ყოლადვე არღარა ვიმარხავ აწ, არამედ აღებულ იქმნა ჩემგან ყოველივე კეთილი, რაოდენიცა რაჲ მაქუნდა სოფელსა შინა. ჰრქუა მას ბერმან: ძმაო, კმა-გეყოფვის /275v/ რომელი-ეგე გაქუს, ოდენ მოთმინე იქმენ და კეთილად ხარ. ხოლო ძმაჲ იგი ეგო მასვე ზედა გულისსიტყუასა და ეტყოდა ბერსა: მამაო, წარწყმდების სული ჩემი. მაშინ ჰრქუა მას ბერმან: გრწმენინ, ძმაო, არა მენება სიტყუად შენდა, რაჲთა არა ევნოს გონებასა შენსა, გარნა ვინაჲთგან გხედავ შენ დაღონებულად და სულმოკლექმნილად ეშმაკთაგან, გითხრობ შენ აწ, რამეთუ თჳთ ეგე, რომელ გგონიეს ვითარმედ კეთილად[1] იყავ სოფელსა შინა და იქმოდე რასმე რეცა სათნოებასა, ზუაობისაგან არს და ამპარტავანებისაგან[2], და რამეთუ ესრეთ წარწყმიდა ფარისეველმან მან ყოველივე, რაჲცა ექმნა კეთილი. და აწ კუალად, რომელ გაქუს თავი შენი, ვითარმედ არარას კეთილსა იქმ, კმა-გეყოფვის, ძმაო, საცხორებელად, რამეთუ სიმდაბლე არს ეგე და რამეთუ ესრეთ განმართლდა მეზუერე იგი, რომელსა არარაჲ კეთილი ექმნა და რამეთუ სთნავს ღმერთსა კაცი ცოდვილი და უდები, რომელსა აქუნ[3] შემუსრვილებაჲ გულისაჲ და სიმდაბლე, უფროჲს მისსა, რომელსა ექმნიან მრავალნი კეთილნი[4] და აქუნ თავი თჳსი, ვითარმედ[5] ყოლად უქმნიეს რაჲმე კეთილი. ესმა რაჲ ესე ძმასა მას, განემტკიცა იგი და სარგებელ ეყო ფრიად. შეუვრდა ბერსა და ჰრქუა მას: დღეს შენ მიერ ცხოვნდა სული ჩემი, მამაო!

---

[1] კეთილად] კეთილ D. 2 ამპარტავანებისაგან] ამპარტავანებისა D. 3 აქუნ] აქუს C. 4 კეთილნი] კეთილისანი C. 5 ვითარმედ – D.

84. კითხულ იქმნა ბერი, თუ რაჲ არს უქმისათჳს[1] სიტყჳსა სიტყჳსმიცემაჲ. მიუგო ბერმან: ყოველივე სიტყუაჲ საქმეთათჳს ჯორციელთა თქუმული უქმადმეტყუელებაჲ არს, ხოლო ყოველი სიტყუაჲ, რომელი ითქუას ცხორებისათჳს სულისა, იგი არა არს ცუდადმეტყუელებაჲ. თჳნიერ ყოვლისავე კრძალვაჲ და დუმილი უმჯობეს არს, რამეთუ ოდეს-იგი იტყოდი კეთილსა, შორის შემოვარდების არაკეთილიცა.

85. /276/ ბერსა ვისმე გამოუჩნდა ეშმაკი და ჰრქუა მას: შენ არა ხარ ქრისტეანე. ჰრქუა მას ბერმან: რაჲცა ვარ, განაღა შენსა უმჯობეს ვარ. ჰრქუა მას ეშმაკმან: გეტყჳ შენ, ბერო, სატანჯველად გინა წარსლვაჲ. ჰრქუა მას ბერმან: შენ არა ხარ მსაჯულ ჩემი და[2] არცა ღმერთი ჩემი. და ესრეთ ივლტოდა იგი სირცხჳლეული.

86. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: ვითარ, მამაო, რომელ ნათესავსა ამას ჩუენსა ვერ ძალ-უც პყრობად მოღუაწებასა მას პირველთა მამათასა? ჰრქუა მას ბერმან: ამისთჳს, რამეთუ არა უყუარს ღმერთი, არცა ევლტის კაცთა, არცა სძულობს ნივთსა სოფლისასა. რამეთუ კაცი, რომელი ევლტოდის კაცთა და მოძულე ექმნეს[3] ნივთთა სოფლისათა, თჳთ თავით თჳსით მივალს მას თანა მოღუაწებაჲცა და ლმობიერებაჲ. და რამეთუ ვითარცა სახედ, რომელსა ენებოს დავსებაჲ ცეცხლისაჲ აგარაკსა შინა მისსა, უკუეთუ არა უსწრას[4] და წინაჲთკერძო ცეცხლისა ნივთი ცეცხლისაჲ გარდაკუეთოს, ვერ დაავსებს ცეცხლსა მას, ესრეთვე არს კაცისა, უკუეთუ არა წარვიდეს ადგილსა ჭირვეულსა, სადა-იგი პურიცა ძნიად ეპოებოდის[5], ვერ მოიგებს მოღუაწებასა. და რამეთუ სული უკუეთუ არა ხედავდეს, არცა ადრე-ადრე[6] გული უთქუამს.

87. კუალად[7] თქუა ბერმან, ვითარმედ: რომელი იპარვიდეს, გინა ტყუოდის, გინა სხუასა რასაცა ცოდვასა იქმოდის, მრავალგზის შემდგომად ცოდვისა მის აღსრულებისა სულთ-ითქუნის და აბრალის თავსა თჳსსა და ცრემლითა შეინანის და მყის მოვიდის წესსავე ზედა თჳსსა. ხოლო რომელი ძჳრისჴსენებასა დაჰმარხვიდეს ძმისათჳს სულსა შინა თჳსსა, გინათუ ჭამდეს, გინა სუმიდეს, გინა ეძინოს, ანუ თუ ვიდოდისცა ვითარცა გესლი /276v/ მაკუდი/ნებელი, შჭამს სენი იგი ძჳრისჴსენებისაჲ სულსა ძჳრმოჴსენისასა. ამისთჳსცა ყოლადვე განუშორებელ არს მისგან ცოდვაჲ იგი და ლოცვაჲ მისი წყევად შეექმნების მას. და ესოდენ[8] შეუწირავ არს ყოველივე[9] მსახურებაჲ ძჳრმოჴსენებისაჲ, ვიდრეცა სისხლნიცა თუ[10] თჳსნი დასთხინეს ქრისტესთჳს, საძაგელ არიან უფლისა.

---

[1] უქმისათჳს სიტყჳსა] სიტყჳსათჳს უქმისა D. [2] და – C. [3] ექმნეს] ექმნას C; ექმნნეს D. [4] უსწრას] უსწროს C. [5] ეპოებოდის] იპოებოდის C. [6] ადრე-ადრე] ადრე C. [7] კუალად თქუა ბერმან, ვითარმედ] ხოლო D. [8] ესოდენ] ესე ოდენ D. [9] ყოველივე] ყოველი C. [10] თუ – D.

88. ბერმან თქუა[1]: უკუეთუ მოვიდენ შენდა ვიეთნიმე და იხილნე იგი, რამეთუ შორით მოსრულ არიან, დადეგ ლოცვად და თქუ: უფალო, იესუ ქრისტე, გჳჴსნენ ჩუენ ძჳრისზრახვისაგან და განკითხვისა მოყუსისა და მშჳდობით წარიყვანენ ესე ადგილისა ამისგან.

89. კუალად თქუა: უკუეთუ უძლურ იყო ჴორცითა, მისა მიმართ ყავ საჴმარი შენი, ნუუკუე უგუნურებით მოაჭირვო და დასნეულდე და ეძიებდე ჭამადთა, რომელნი არა გაქუნდენ[2] და მეტად დაუმძიმო მსახურსა შენსა.

90. კითხულ იქმნა ბერი საოცრებათათჳს ძილსა შინა, რომელიცა შეემთხუვის კაცსა[3] დინებაჲ დედაკაცისა თანა, ანუ თუ თჳსაგან მარტოდ. მიუგო ბერმან: ყოლადმცა[4] ნურარად[5] შეგირაცხიეს საქმე ეგე, თჳნიერ ესოდენ შეჰრაცხე, რაოდენ სხუანიცა[6] იგი ნივთნი წარდიან უძლურებისაგან ჴორცთა ჩუენთაჲსა. და რამეთუ უკუეთუ წარჰვლიდე ურაკპარაკთა[7] და დაეახლო საგბოლველთა ჴორცისათა, დაგეცეს ორთქლი იგი გბოლვილისაჲ მის, გიჭამიეს ჴორცი, ანუ არა, განაღა სთქუა, ვითარმედ არა გიჭამიეს. ესრეთვე არცა ძილისა ოცებაჲ[8] შეგაგინებს შენ, უკუეთუ არავის ძალ-უც ცხოვნებად. და რამეთუ გიხილოს რაჲ მტერმან ამისთჳს მოშიშად, უმეტეს განძლიერდების შენ ზედა. ხოლო შენ ერთი ოდენ შეიკრძალე, რაჲთა არა მღჳძარჱ თანაშთამოჰყვე მწიკულევანთა გულისსიტყუათა გონებითა.

91. /277/ კითხულ იქმნეს ბერნი სკიტელნი სიძვისათჳს, ვითარმედ: უკუეთუ იხილოს კაცმან პირი სახნიერი და ქმნულკეთილი, განუკჳრეს მისთჳს, ანუ თუ შეჰრისხნეს მას? მიუგეს ბერთა: განკჳრვებაჲ ზომისა მეტად, გინა შერისხებაჲ, ორნივე ტრფიალებისაგან არიან. თჳნიერ მსგავს არს საქმე ეგე ტაბლასა გარდაგებულსა, აღსავსესა მრავლითა სანოაგითა[9] და ჰნებავნ ვისმე და გული-უთქუამნ ჭამად მისგან. უკუეთუ არა მიყოს ჴელი და მოიღოს[10] და ჭამოს მისგან, უცხოჲ დარჩა იგი და უზმოჲ ტაბლისა მისგან. ესრეთვე არს გულისთქუმათათჳსცა, უკუეთუ არა ქმნეს[11] იგინი კაცმან საქმით, არა არიან იგინი ცოდვა.

92. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რომელი უმჯობეს არს, მამაო, მისლვაჲ ბერთასა, ანუ თუ ჯდომაჲ სენაკსა შინა თჳსსა. ჰრქუა მას ბერმან: მისლვაჲ ბერთასა იყო კანონი პირველთა მათ მამათაჲ და რამეთუ სენაკსაცა შინა კეთილად ჯდომაჲ მათ მიერვე განემტკიცებოდა.

93. ბერმან თქუა: მოვიძულენ ჭაბუკნი ცუდადმზუაობარნი, რამეთუ შურებიან და სასყიდელი არა აქუს ამისთჳს, რამეთუ კაცთამიერსა ქებასა

---

[1] ბერმან თქუა] ხოლო D. [2] გაქუნდენ] გქონდენ D. [3] კაცსა] კაცთა D. [4] ყოლადმცა] ყოლადცა C. [5] ნურად D. [6] სხუანიცა იგი ნივთნი წარდიან – C. [7] ურაკპარაკთა] ორაკპარაკთა D. [8] ოცებაჲ] ოცნებაჲ D. [9] სანოაგითა] სანოვაგითა D. [10] მოიღოს] მიიღოს C. [11] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 171r-ზე.

ხედვენ. ჰრქუა მას სხუამან[1] ბერმან[2] უგონიერესმან: მე ფრიადცა მთნვანან იგინი. და რამეთუ უმჯობეს არს ჭაბუკისა ცუდადმზუაობრობაჲ, ვიდრეღა უდებებაჲ, და რამეთუ ოდეს უყუარდეს ცუდი დიდებაჲ, უნებლიეთ[3] თანააც, რაჲთა იყოს იგი მმარხველ და მღჳძარე და შიშუელ და მოყუარე და მოწყალე და თავსმდებელ ჭირთა და ძჳრისხილვათა ქებისათჳს კაცთაჲსა. ხოლო ოდეს ესევითარი იქმნეს[4] და ესევითარი მოღუაწებაჲ და მოქალაქობაჲ მოიგოს, მერმე მოვალს მადლი ღმრთისაჲ და ეტყჳს მას: რაჲსათჳს რაჲთგან თავს-ისხამ ჭირთა, არა ჩემთჳს თავს-ისხამ, არამედ კაცთათჳს! /277v/ მაშინ დაემორჩილების მადლსა მას მუშაკი იგი სათნოებათაჲ და შეურაცხ-ჰყოფს კაცობრივსა დიდებასა და ქებასა და მოელის ღმრთისა მიერსა მადლსა და წყალობასა. ესმა რაჲ ესე ბერსა მას, თქუა: ნანდჳლვე ჭეშმარიტად ესრეთ არს ესე.

94. ძმაჲ ვინმე შეიპყრა შეჭირვებამან, წარვიდა ბერისა ვისამე[5] და ჰრქუა მას შეჭირვებულმან: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ გულისსიტყუანი შემაურვებენ[6] მე და მეტყჳან, ვითარმედ: უჟამოდ მონაზონ იქმენ და[7] ვერ ძალ-გიც ცხოვნებაჲ. ჰრქუა მას ბერმან: დაღაცათუ ვერ შევიდეთ ქუეყანასა მას აღთქუმისასა, უმჯობეს არს ჩუენდა, რაჲთა ძუალები ჩუენი დაცჳვეს უდაბნოს გზასა შინა ღმრთისასა, ვიდრე მიქცევაჲ ჩუენი ეგჳპტედ მონებასა შინა ფარაოჲსსა.

95. კითხულ იქმნა ბერი, უკუეთუ კეთილ არს შევრდომაჲ შორის ძმათა შელალებულთა. ჰრქუა მას ბერმან: ევლტოდე ესევითართა[8], რამეთუ წერილ არს: „დაიმძიმენ[9] ყურნი შენნი არა სმენად შჯასა სისხლისასა და დაიწუხენ[10] თუალნი შენნი, რაჲთა არა იხილო უსამართლოებაჲ“[11].

96. ჰკითხა ვინმე ბერსა და ჰრქუა: ვითარ ძალ-უც კაცსა[12] დაყუდებად თჳსაგან? ჰრქუა მას ბერმან: მორკინალმან და მოლაშქრემან არა თუ ერსა[13] თანა ისწაონ ჴელოვნებაჲ ძლევისაჲ და სიმარჯუჱ[14], ვერ ძალ-უც მათ მარტოებით თჳს-თჳსად ბრძოლაჲ. ესრეთვე არს მონაზონი[15], უკუეთუ არა პირველად განიწუართოს ძმათა თანა და დაისწავლოს[16] ჴელოვნებაჲ გულისსიტყუათა ბრძოლისაჲ, ვერ ძალ-უც მას თჳსაგან დაყუდებაჲ და ვერცა წინააღდგომაჲ ვნებათაჲ.

97. ძმამან ჰკითხა ბერსა: კეთილ არსა, მამაო, საღმრთოთა წიგნთა აღმოკითხვაჲ? ჰრქუა მას ბერმან: ცხოვარი მიიღებს ჭამად მდელოსა კეთილსა /278/ მწყემსი/საგან და კუალად ძოვს იგი თივათაცა[17] უდაბნოჲსათა. და ოდეს

---

[1] სხუამან – C; ~ ბერმან სხუამან E. [2] ბერმან + მან D. [3] უნებლიაჲთ D. [4] ქმნეს D. [5] ვისამე] ვისსამე E. [6] შემაურვებენ] შემაჭირვებენ E. [7] და – D. [8] ესევითართა + მათგან D. [9] დაიმძიმენ] დაჲმძიმენ A. [10] დაიწუხენ] დაჲწუხენ A; დაიწუხნენ C. [11] NC 33,15. [12] კაცსა დაყუდებად] დაყუდებაჲ კაცსა E. [13] ერისა D. [14] სიმარჯუჱ] სიმარჯჳე CD. [15] მონაზონი] მონაზონიცა D. [16] დაისწავლოს] დაჲსწავლოს A. [17] თივათაცა] თივათაგანცა D.

მოჰმუხოს პირი ეკალმან, აღმოიცოხნის იგი და დაიტკბობს[1] პირსა თჳსსა და დასცხრების მისგან სიმწარე იგი ეკალთამიერისა მომუხვისაჲ. ესრეთვე, უკუე და შეემთხუევის კაცსაცა. და რამეთუ ფრიად კეთილ არს წურთაჲ წმიდათა[2] წერილთაჲ და აღმოკითხვაჲ მათი, რამეთუ წინაგანსაწყობელ[3] არს მანქანებასა მას ეშმაკთასა. ხოლო უკუეთუ ვინმე მოცალე იქმნეს და წარვიდეს ეკლესიად, გინა მრავალთა თანა, გინა[4] მცირეთა და დაიყოს[5] პირი თჳსი და არა ღაღადებდეს ღმრთისა მიმართ სხუათავე მათ თანა მგალობელთა, იგი საქმესა ეშმაკისასა აღასრულებს[6]. და რამეთუ ეშმაკთა ვერ ძალ-უც სმენად ქებასა ქრისტესსა და ამისთჳს მგალობელთა მათ სწყევენ და შეაჩუენებენ.

98. ბერმან თქუა: შური და ჴდომაჲ მიუთუალვენ კაცსა მრისხანებასა და მრისხანებაჲ მიუთუალავს კუალად სიბრმესა და სიბრმე შთააბნევს კაცსა სიღრმესა და მთხრებლსა მას ყოველთა ბოროტთასა.

99. იყო ვინმე მონაზონი თებაიდას[7] ჭაბუკი ჰასაკითა. ესე იქცეოდა უზომოჲთა[8] მოღუაწებითა და მოქალაქობითა, საკჳრველითა მარხვითა, დღე და ღამე დაუდუმებელად ლოცვითა, უპოვარებითა და სხჳთა ყოვლითავე ძჳრთა თავსდებითა შეჰმუსრვიდა[9] ჴორცთა თჳსთა. ხოლო წესი საზრდელისა მისისა[10] მიღებისაჲ იყო ესრეთ: პირველად მწუხრითი მწუხრად მიიღებს ოსპნსა დამბალსა მჯიღსა ერთსა. მერმე იწყო და ორ-ორით[11] მიიღებს მასვე, მერმე სამ-სამით, ვიდრემდის მიიწია, რომელ დღეს ოდენ წმიდასა კჳრიაკესა მიიღებს მჯიღსა მას ერთსა ოსპნსა დამბალსა და სხუათა მათ შჳდეულისა[12] დღეთა ყოლად გარდაჰვლინ უჭმელად და ოდესმე მდელოთა იჴუმევნ თჳთ /278v/ აღმომცენარეთა მასვე ზედა წესსა და კანონსა. დაყო უკუე ესევითარსა მას ზედა მოღუაწებასა მრავალი ჟამი და შჳდეულთა გარდავლასა, არამედ მომპოვნებელმან მან ბოროტისამან ეშმაკმან აღიშურვა მისი იგი სათნოდ მოქალაქობაჲ და ვინაჲ-იგი თჳთ დაეცა ამპარტავანებითა, მისიცა დაცემაჲ მოიგონა და შთაუთესნა მას გულის-სიტყუანი ზუაობისანი, ვითარმედ ესევითართა მოღუაწებათა შინა[13] ხარო, ვითარღა არავინ სხუაჲ კაცთაგანი. და რაჲსათჳს არა ვიქმო სასწაულთა და კურნებათა, რაჲთა მე უგულსმოდგინეს[14] ვიქმნე მოღუაწებათათჳს და რომელნი მხედვიდენ კაცნი, აღეშენნენ და განიცდიდენ საკჳრველებათა ღმრთისათა და ადიდებდენო მამასა ჩუენსა ზეცათასა. ვითხოო უკუე, ვითხოვო ნიშთა და სასწაულთა აღსრულებაჲ, ვითარცა-იგი და თჳთ თავადმანცა მაცხოვარმან განაწესა, ვითარმედ: „ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძიებდით და ჰპოოთ“. ამას ესევითარსა ლოცვასა და ვედრებასა

[1] დაიტკბობს] დაჲტკბობს A. [2] წმიდათა] საღმრთოთა D. [3] წინაგანსაწყობელი E. [4] გინა] და გიცნა D. [5] დაიყოს] დაჲყოს AE. [6] აქ E ნუსხა წყდება. [7] თებაიდას] თებაჲდას AE. [8] უზომოჲთა] უზმოჲთა D. [9] შეჰმურვიდა D. [10] ~ მიღებისაჲ მისისა C. [11] ორ-ორით + იმარხავნ და D. [12] შჳდეულისა] შჳდეულთა C.

შეუდგა მონაზონი იგი, რაჲთა მოსცეს მას ღმერთმან[1] მადლი ნიშთა და სასწაულთაჲ. ხოლო ყოლად კაცთმოყუარემან და მრავალმოწყალემან ღმერთმან, რომელსა ყოველთა[2] ჰნებავს ცხორებაჲ, იხილა რაჲ ცთომილებაჲ იგი მისი, არა დაივიწყნა[3] ურიცხუნი იგი[4] თჳსნი ქველისმოქმედებანი ჩუენ ყოველთა ზედა, არამედ მოიჴსენნა ჭირნი იგი[5] და შრომანი მოღუაწისანი და არა შეუნდო მტერსა სრულიად უფლებად მის ზედა, არცა უღრმესსა მას ყოველთა ბოროტთასა შთაგდებად ამპარტავანებასა, რომლისათჳს ჟამიერად მოეზავების აწ საქმესა გალობაჲ იგი მეფსალმუნისაჲ, ვითარმედ: „უბრკუმეს ღათუ მართალსა, არავე დაეცეს, რამეთუ უფალი განამტკიცებს ჴელსა მისსა“[6]. ამათ საქმეთა რაჲ შინა იყო იგი და ამათ გულისსიტყუათა, მოუვლინა ღმერთმან გულსა მისსა სიტყუაჲ იგი მოციქულისაჲ, ვითარმედ: „ვერ კმა ვართ თავით თჳსით მოგონებად რასმე“. /279/ ამისთჳსცა გონებად შევარდა და იტყოდა: უკუეთუ დიდმან მან საკჳრველმან შორის მოციქულთა პავლე ესე თქუა თუ: „ვერ კმა ვართ თავით თჳსით“, რაოდენ უფროჲსღა მე მიჴმდეს მოძღუარებაჲ სხუათაჲ[7]. აღვდგე უკუე და წარვიდე განშორებულსა მას თანა და რაჲცა მრქუას მე და განმაზრახოს, ვითარცა ღმრთისა მიერ მოვლინებული სწავლაჲ შევიწყნარო საცხორებალად ჩემდა. ხოლო იყო ბერი იგი, რომლისა მიმართ წარემართა დიდი და სახელოვანი და საღმრთოთაცა ხედვათა ღირსქმნული და შემძლებელი[8] სარგებელყოფად ყოველთავე, რომელნიცა მიემთხუეოდეს და ჯეროანსა[9] და შემსგავსებულსა პასუხსა მისცემნ კაცად-კაცადსა მისა მიმავალთაგანსა. ამისთჳსცა განრაჲ-ვიდა სენაკით თჳსით და ბერისა მის წმიდისა მიიწია, იხილნა ბერმან ზედა მჴართა მისთა ორნი[10] ჰინდონი შავნი მსხდომარენი, რომელთა ჯაჭუები მოედვა ქედსა მისსა და ყელსა და თჳთოეული თავისა მიმართ თჳსისა[11] მიზიდვიდა. ესე რაჲ განიცადა ბერმან და ცნა მიზეზიცა, რამეთუ იყო ნეტარი იგი ყოლად ღმრთივსწავლულ[12], სულთ-ითქუნა და თჳსაგან ცრემლნი გარდამოუტევნა და შემდგომად ლოცვისა და ჩუეულებითისა მოკითხვისა, დასხდეს მოყვარჟამ მდუმრიად[13], რამეთუ ესე იყო წესი მაშინდელთა მათ მამათაჲ. შემდგომად ამისა ჰრქუა მოსრულმან მან მონაზონმან[14]: მამაო, სარგებელ მეყავ მე და მასწავე გზაჲ ცხორებისაჲ. მიუგო ბერმან: ვერ ძალ-მიც, შვილო, ყოფად ესე, და რამეთუ[15] მე თჳთცა მიჴმს შემწე და ჴელისამპყრობელი. და მან ჰრქუა მას: ნუ იჯმნი, უფალო ჩემო მამაო, სარგებელყოფად ჩემდა და რამეთუ გულსავსე ვარ შენდამი და სიტყუაჲ მიმცემიეს თავისა ჩემისადა, რაჲთა შევიწყნარო განზრახვაჲ შენი.

[1] ღმერთმან] უფალმან D. [2] ყოველთა] ყოველთაჲ CD. [3] დაივიწყნა C;+თჳსნი D. [4] იგი თჳსნი – D. [5] იგი – D. [6] ფს. 36,24. [7] ~ სხუათა მოძღურებაჲD. [8] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება. [9] ჯეროანსა] ჯეროვანსა D. [10] ~ ორნი ჰინდონი შავნი მსხდომარენი ორთავე ზედა მჴართა მისთა C. [11] თჳსისა – D. [12] ღმრთივსწავლულ] ღმრთივსწავლული D. [13] მდუმრიად] მდუმრად C. [14] მონაზონმან + მან C. [15] რამეთუ – D.

ჰრქუა მას ბერმან: ვიცი, რამეთუ ვერ მისმენ და ამისთჳს /279v/ ვიჯმნი[1] ზრახებისაგან შენისა. და იგი კუალადცა მისცემდა სიმტკიცესა, ვითარმედ ყოველივე, რაოდენიცა მრქუა მე, ესრეთ ვისმინო, ვითარცა ანგელოზისა ღმრთისაჲ. მაშინ ჰრქუა მას ბერმან: წარიღე ჭურჭელი ისი კერმაჲსაჲ და წარვედ ქალაქად და იყიდე ათი პური და ათი სასწყეოჲ ღჳნოჲ და ათი ლიტრაჲ ჴორცი და მოიღე იგი. იწყო უკუე შეწუხებად მოღუაწემან მან ამას ზედა, გარნა მცნებისათჳს დაემორჩილა და წარვიდა. და ვიდოდა რაჲ გზასა მას ქალაქისასა, მრავალთა მიერ გულისსიტყუათა იღელვებოდა და იტყოდა თავსა შორის თჳსსა, ვითარმედ: რაჲ ესე მოსწადდა[2] ბერსა, ანუ ვითარ ვიყიდო მე ესე ყოველი და დაჰბრკოლდენ კაცნი ჩემდა მომართ, მეტჳრთოს რაჲ ესე და მომაქუნდეს. გოდებით უკუე და ცრემლით წარვლო ყოველი იგი გზაჲ და სხჳსა მიერ იყიდა პური და სხჳსა მიერ ღჳნოჲ, ხოლო უმეტესადღა სირცხჳლეულ იყო ჴორცისათჳს და იტყოდა: ვაჲ მე უბადრუკსა, ვითარ ვიყიდო ჴორცი, გინა თავისა მიერ ჩემისა, გინა სხჳსა მიერ. გარნა ყოველსავე ზედა პოვა ვინმე[3] ღმრთისმოშიში ერისკაცი და მდუმრიად იყიდა ჴორციცა მრავლითა კდემულებითა და აღიღო იგი ყოველი და მოიღო ბერისა. ჰრქუა მას ბერმან: ნუ დაივიწყებ[4], საყუარელო, რაჲ-იგი აღმითქუ წინაშე ღმრთისა, ვითარმედ მორჩილ მექმნე ყოველსავე, რაოდენიცა-რაჲ გრქუა შენ. წარიღე უკუე ესე ყოველი და წარვედ სენაკად შენდა და აღასრულო რაჲ წესი სუბუქი[5] ლოცვისაჲ, ჟამსა თჳსსა შეჭამე ერთი პური და ლიტრაჲ ჴორცი დღით და სუ საწყეოჲ ერთი ღჳნოჲ მას ზედა და შემდგომად ათისა დღისა მოედ[6] აქა და გრქუა შენ, რაჲცა-იგი უფალმან მოგჳვლინოს. ესმა რაჲ ესე მოღუაწესა მას[7], შეძრწუნდა ფრიად, გარნა ვინაჲთგან მიეცა სიტყუაჲ, ვერღარა იკადრა წინააღდგომად. აღიღო იგი და წარიღო ტირილით და გოდებით და ურვეულ იყო ფრიად საქმესა მას ზედა, /280/ ვინაჲცა იგონებდა და იტყოდა: ეჰე, ვაჲ[8] მე უბადრუკსა[9], რომლისაგან[10] მარხვისა და მოღუაწებისა, რომელსაღა უძღებებასა მივიწიე, რაჲ ვყო უკუე ვჭამო, ანუ თუ არა ვჭამო? უკუეთუ არა ვჭამო, განვარისხებ ღმერთსა, რამეთუ სიტყუაჲ მიმიცემიეს წინაშე მისსა, ვითარმედ რაჲცა მრქუას, ვითარცა ღმრთისაგან მოვლინებული შევიწყნარო. და აწ უფალო, უფალო[11], მოხედენ[12] უბადრუკებასა ზედა ჩემსა და შემიწყალე მე ჭირვეული ესე და შემინდვენ შეცოდებანი ჩემნი, რამეთუ აჰა ესერა, ვიიძულები[13] საქმედ წინააღმდგომსა წესისა ჩემისასა. და ესრეთ გლოვით[14] და ტირილით მიიწია სენაკად თჳსად. და ყო ყოველივე განწესებისაებრ ბერისა და უმეტესადღა შეემსჭუალა

[1] ვიჯმნი] ვიმჯნი D. [2] მოსწადდა ბერსა] მიყო მე ბერმან D. [3] ვინმე + კაცი D. 4 დაივიწყებ] დაჲვიწყებ A. [5] სუბუქი] სუბუქის D. [6] მოედ] მოვედ D. [7] მას – C. [8] ვაჲ] ვითარ D. [9] უბადრუკსა + ვითარ D. [10] რომლისაგან] რომლისაგანღა D. [11] უფალო – CD. [12] მოხედენ] მომხედენ D. [13] ვიიძულები] ვიჲძულები AD. [14] გლოვით] გლოჲთ C.

ლოცვასა. და ოდეს ეგულებინ ჭამაჲ, დაალტობნ იგი ცრემლითა ჭამადსა მას და იტყჳნ: უფალო[1], ნანდჳლვე დამიტევე მე. იხილა რაჲ ღმერთმან სიმდაბლჱ[2] იგი მისი და მორჩილებაჲ, მისცა ნუგეშინისცემაჲ გულსა მისსა. და ცნა მიზეზი იგი საქმისაჲ მის და კეთილად გულისჴმა-ყო, თუ რაჲსათჳს შეემთხჳა მას იგი. ამისთჳსცა ცრემლით ჰმადლობდა ღმერთსა და აღუვარებდა სიტყუასა მას საწინაწარმეტყუელოსა, ვითარმედ: „ყოველი სიმართლჱ[3] კაცისაჲ, ვითარცა ძონძი წიდოვნისაჲ“ და არა თუ უფალმან აღაშენოს სახლი და დაიცვას[4] ქალაქი, ცუდად შურებიან მაშენებელნი და ამაოდ იღჳძებენ მჴუმილნი მისნი. ესრეთ უკუე აღესრულნეს რაჲ დღენი იგი, უკუმოიქცა კუალად ბერისავე უმეტეს[5] დამჭნარი[6] და დამდნარი ჴორცითა უფროჲს, ოდეს-იგი შჳდეულთა[7] გარდაჰვლიდა უჭმელად. იხილა რაჲ იგი ბერმან ესრეთ დამდაბლებული და რამეთუ ჰინდონიცა იგი შავნი ნათლისა ანგელოზად ცვალებულ[8] იყვნეს, ბრწყინვალითა პირითა მიეგება მას და მხიარულებით შეიწყნარა. /280v/ და ყვეს ლოცვაჲ და დასხდეს დუმილით. მერმე ჰრქუა ბერმან: შვილო, კაცთმოყუარემან[9] ღმერთმან მოხედვა ყო შენ ზედა და არა უტევა მტერთა უფლებად შენ ზედა და რამეთუ მარადის ჩუეულ არს იგი, რაჲთა ვითარცა რეცა სამართალთა მიზეზთა[10] მიერ აცთუნნეს მუშაკნი სათნოებისანი და ესრეთ ვითარ შეყარნეს სილაღესა მას შინა ზუაობისასა. ამისთჳს მოაგონებს ქმნად საქმეთა უმეტეს ძალისა და აწუევს საზომთა დიდთა და მაღალთა, რაჲთა ესრეთ უადვილე დასცეს და უჭირველად წინააღმდგომი იგი მისი. და რამეთუ არარაჲ არს ცოდვათა და ვნებათაგანი ესრეთ საძაგელ ღმრთისა, ვითარ ზუაობაჲ და ამპარტავანებაჲ. და კუალად არარაჲ არს ესრეთ პატიოსან წინაშე ღმრთისა სათნოებათაგანი, ვითარ სიმდაბლე და შემუსრვილებაჲ. და ორიოდე[11] ესე იხილე და განიცადე იგავისა მისგან ფარისეველისა და მეზუერისა და მწვერვალნი[12] მაღალთა მათ მოღუაწებათანი ფრიად საშიშ არიან და ადვილად დასაცემელ, ვითარცა-იგი და მამათაგანიცა ვინმე იტყჳს, ვითარმედ: მეტი ზომისაჲ ყოველივე ეშმაკთაგან[13] არს. გზასა უკუე სამეუფოსა ხჳდოდე ბრძანებისაებრ საღმრთოჲსა წერილისა და ნუ მისდრკები მარჯჳულ, გინა მარცხლ[14], არამედ შუვაჲ[15] გზაჲ იჴუმიე საზრდელისა მიღებისაჲ და ზომით ჭამდი ყოველთა მწუხრთა[16]. და უკუეთუ საჴმარ[17] იქმნეს, შეუორგულებელად შეცვალე ჟამი გინა უძლურებისათჳს, გინა სხჳსა რაჲსამე მიზეზისათჳს, ნუ ჰრიდებ განწესებულისა

[1] უფალო – D. [2] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CDE. [3] სიმართლჱ] სიმართლე CDE. [4] დაჲცვას A; დაიცვეს E. [5] უმეტეს] უმეტესად D. [6] ~ დამდნარი და დამჭნარი C. [7]] შჳდეულსა D. [8] შეცვალებულ CE. [9] კაცთმოყუარემან – D. [10] მიზეზთა მიერ] მიზეზთათჳს CD. [11] ორიოდე] ორივ E. [12] მწვერვალნი] წუერვალნი CD. [13] ეშმაკთაგან] ეშმაკისაან E. [14] მარცხულ C; მარცხ ნD. [15] შუვაჲ] შუაჲ E. [16] მწუხრთა] მწუხრთაჲ C. [17] საჴმარ] საქმარ C.

ჟამისა ცვალებასა. და უკუეთუ სადამე შეგემთხჳოს დღესა შინა ორგზისცა მიღებაჲ საზრდელისაჲ, ნუვე შესწუხნები[1], რამეთუ არა ვართ შჯულსა ქუეშე იძულებულსა, არამედ მადლსა ქუეშე ვართ და წყალობასა ღმრთისასა. ხოლო ოდეს შჭამდე[2], ნუ გნებავს განძღომის, /281/ არამედ იპყარ თავი შენი, რაოდენ ძალ-გედვას მარხვასავე ზედა. ხოლო უფროჲსღა პოხიერთა ზედა ჭამადთა[3] ყავ ესე და უუნდოესსა[4] აღირჩევდი ყოლადვე და უმეტეს ყოვლისა დაიცევ[5] გული შენი და უფროჲს ყოვლისა მოღუაწებისა იღუაწე სიმდაბლე. და რამეთუ მსხუერპლ ღმრთისა არს, ვითარცა იტყჳს წინაწარმეტყუელი[6]: „სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს“[7]. და კუალად იგივე წმიდაჲ[8] დავით იტყჳს: „დავმდაბლდი და მაცხოვნა მე“[9]. და კუალად ესაიას[10] მიერ წინაწარმეტყუელისა იტყჳს უფალი: „ვის მივხედნე და ვის ზედა განვისუენო, თჳნიერ მშჳდსა, მდაბალსა და მყუდროსა და რომელი ძრწოდის სიტყუათაგან ჩემთა“. ყოველივე უკუე სასოებაჲ შენი მიანდვე უფალსა და მას მიუტევე ყოველი ზრუნვაჲ შენი და რამეთუ არა თუ მან სახიერმან მიხედვა-ყოს ჩუენ ზედა წყალობით, ცუდ არს და ამაო ყოველივე შრომაჲ ჩუენი. წარვედ უკუე, შვილო, მშჳდობით გზასა შენსა და მან მხოლომან წარჰმართოს სლვაჲ შენი და გამოაბრწყინვოს ვითარცა ნათელი სიმართლე შენი და განკითხვაჲ შენი, ვიდრე დღჱ[11]. ესრეთ უკუე სარგებელ ეყო ბერი ძმასა მას და განამტკიცა და რაოდენი-რაჲ ეპოვა, კეთილად ისტუმრა და განუსუენა და განუტევა იგი წარსლვად განმხიარულებელი უფლისა მიერ. და ესრეთ გამო-რაჲ-ვიდა მიერ, იტყოდა: მომაქციედ მე მოშიშთა შენთა და რომელნი მეცნიერ არიან წამებათა შენთა და სწავლით განმსწავლა მე უფალმან და სიკუდილსა არა მიმცა მე! და მსწავლოს მე მართალმან წყალობითა და მამხილოს მე! და კუალად თავისა მომართ თჳსისა იტყოდა: „მოიქეც, სულო ჩემო, განსასუენებელად შენდა[12], რამეთუ უფალი ქველისმოქმედ გექმნა შენ“, და შემდგომი ამისი. /281v/ და ესრეთ მადლობასა შინა ღმრთისასა და ლოცვასა უკუმოიქცა სენაკად თჳსად და ცხოვნდებოდა იგი მიერითგან კეთილად[13] და შუენიერად, განწესებისაებრ ბერისა ყოველთავე დღეთა ცხორებისა მისისათა, ვიდრემდის მისწუთა საზომსა სრულებისა[14] ჰასაკისა მის ქრისტეს სავსებისასა.

100. ბერსა ჰკითხეს, თუ რაჲ არს ცხორებაჲ მონაზონისაჲ. და მან მიუგო: პირი ჭეშმარიტი, ჰორცნი უბიწონი და გული წმიდაჲ.

---

[1] შესწუხდები E. [2] შჭამდე] სჭამდე E. [3] ~ ჭამადთა ზედა C. [4] უუნდოესსა] უდარესსა D. [5] დაიცევ] დაჲცევ AE. [6] აქ E ნუსხა წყდება. [7] შდრ. ფს. 50,19. [8] წმიდაჲ დავით- D. [9] შდრ. ფს.114,6. [10] ესაიას] ესაჲას AE. [11] დღჱ] დღე CD. [12] შენდა + და C. [13] ~ კეთილად მიერითგან D . [14] სრულებისა] სრულებისასა C.

101. ბერმან[1] თქუა: მამანი ჩუენნი სიფიცხლითა შევიდეს ცხორებასა საუკუნესა, ხოლო ჩუენ, ჰე თუმცა ვითარ შეუძლეთ შესლვად[2] სიტკბოებითა?!

102. ბერმან[3] თქუა სიტყჳსა მისთჳს ფსალმუნთაჲსა, თუ რაჲ არს ძალი მისი, ვითარმედ: „დავდვა ჴელი ჩემი ზღუასა ზედა[4] და მდინარეთა ზედა მარჯუენე ჩემი“[5]. ესე სიტყუაჲ ითარგმანების მაცხოვარისა ჩუენისა იესუ ქრისტესთჳს, ვითარმედ: „დავდვა ჴელი ზღუასა ზედა[6]“, ესე იგი არს, ყოველსა ზედა სოფელსა და „მდინარეთა ზედა მარჯუენე ჩემი“, მდინარენი არიან წმიდანი მოციქულნი, რომელთა სრწმუნოებისა მიერ მართლისა მორწყეს პირი ყოვლისა ქუეყანისაჲ.

103. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რაჲ არს, მამაო, სამუშაკოჲ სულისაჲ? ჰრქუა მას ბერმან: სამუშაკოჲ სულისაჲ არს დაყუდებაჲ ჴორცთაჲ და მიმდემი ლოცვაჲ და არავის კაცისა მიხედვაჲ ცოდვათაჲ[7], თჳნიერ თჳსთაჲ ოდენ. უკუეთუ ამას შინა მოითმინოს კაცმან, ადრე გამოიღოს ნაყოფი სულისაჲ.

104. ძმამან[8] ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: მამაო, რასა მოასწავებს სიტყუაჲ იგი წინაწარმეტყუელისაჲ, თუ არა არს ცხორებაჲ მისი ღმრთისა მიერ მისისა. ჰრქუა მას ბერმან: გულისსიტყუათა მოასწავებს უკეთურთა, რომელნი განაშორებენ სულსა ღმრთისაგან ოდეს რასმე ჭირსა შევარდეს კაცი.

105. /282/ ბერმან თქუა: სივლტოლაჲ ჯერ არს მოქმედთაგან უშჯულოებისათა, დაღაცათუ მეგობარი იყვნენ, ანუ თუ[9] ნათესავნი, დაღათუ პატივთა[10] შინა იყვნენ მღდელობისა, გინა[11] მეფობისათა. და რამეთუ სივლტოლაჲ მოქმედთაგან უშჯულოებისათა,მეგობარ-მყოფს ჩუენ ღმრთისა და კადნიერებასა მომატყუებს[12] წინაშე დიდებისა მისისა.

106. ბერმან[13] თქუა: უმჯობეს არს დამკჳდრებაჲ სამთა თანა მოშიშთა ღმრთისათა, ვიდრეღა ბევრეულთა თანა უშიშთა. და რამეთუ უკუანაჲსკნელთა დღეთა მონასტერთა შინა საკრებულოთა ასთა შორის ფრიად მცირედნი იპოვნენ ცხოვნებადნი, ხოლო ორმეოცდაათთა შორის ფრიად უმცირესნი იპოვნენ. და რამეთუ მათ დღეთა შინა ყოველნივე მისდრკენ და შეიყუარონ ტაბლები და ნაყროვანებაჲ[14], და რამეთუ: „მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო[15] მცირედნი რჩეულ“[16]. ამისთჳს რამეთუ, შეიტკბონ მაშინ მთავრობისმოყუარებაჲ და ვეცხლისმოყუარებაჲ.

107. მანვე[17] თქუა: არა ჯერ არს ოდესცა მიახლებაჲ უშჯულოჲსაჲ, არა ეკლესიას, არა უბანს, არა გზას, არა სავაზიროდ, არცა სამშჯავროდ და რაჲთა მოკლედ ვთქუა, ყოლადვე არასადა ჴამს მიახლებაჲ ეგევითართაჲ,

---

[1] ბერმან] კუალად D. [2] შესლვად] შესლვაჲ D. [3] ბერმან თქუა] ხოლო D. [4] ~ ზღუასა ზედა ჴელი ჩემი CD. [5] ფს. 88,26. [6] ~ ზღუასა ზედა ჴელი ჩემი CD. [7] ცოდვათაჲ – D. 8 ძმამან] კუალად D. [9] თუ – C. [10] პატივთა] პატივსა CD. [11] გინა] გინათუ C. [12] მომატყუებს + ჩუენ D. [13] ბერმან თქუა] ხოლო D. [14] ნაყროვანებაჲ] ნაყროვნებაჲ C. [15] ხოლო] და C. [16] მთ. 20,16. [17] მანვე თქუა] რამეთუ D.

არამედ სრულიად ჯერ არს ჯმნაჲ მათგან და განშორებაჲ. და რამეთუ ყოველივე უშჯულოჲ გარემიქცევისა ღირს არს, ხოლო უშჯულოჲ არს ყოველივე გარდამავალი მცნებათა ღმრთისათა.

108. ბერმან თქუა: არარაჲ არს უგლახაკეს გონებისა, რომელი სიბრძნისმეტყუელებდეს ღმრთისათჳს თჳნიერ ღმრთისა. და რამეთუ რომელი ასწავებდეს სხუასა ეკლესიასა შინა, გინა სენაკსა, თანააც, რაჲთა პირველად თჳთ ქმნას, რასა-იგი სხუასა ასწავებს, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: მუშაკისა[1] მის მშრომელისა თჳთ ჯერ არს პირველად ნაყოფისა გემოჲსხილვად.

109. ბერსა ჰკითხა ძმამან და ჰრქუა: ვითარ, მამაო, ვიეთნიმე იხილვენ ჩუენებათა და გამოცხადებასა /282v/ ანგელოზთასა? და ბერმან ჰრქუა მას: ნეტარ არს, შვილო, იგი, რომელი[2] ხედვიდეს ცოდვათა თჳსთა ოდესვე და სამარადისოდ, რამეთუ ესევითარი იგი ყოლადვე ფრთხილ არს და მღჳძარე. ჰრქუა მას ძმამან: მე[3], მამაო, ვიხილე უწინარეს რაოდენთამე დღეთა ძმაჲ ვინმე, რომელმან განდევნა ეშმაკი სხჳსაგან ძმისა. და ბერმან ჰრქუა მას: მე არად მიჴმს განსხმაჲ ეშმაკთაჲ და კურნებაჲ სენთაჲ, არამედ ესე ოდენ მნებავს და ვევედრები ღმერთსა, რაჲთა არა შემოვიდეს ჩემ შორის ეშმაკი, არამედ რაჲთა წმიდა-მყოს მე ბილწთაგან და ხენეშთა გულისსიტყუათა. და აჰა ესერა, დიდ ვიქმენ, რამეთუ უკუეთუ ვინმე განიწმიდოს თავი თჳსი არაწმიდათაგან გულისსიტყუათა და უცონილად[4] აღასრულებდეს ლოცვასა და კანონსა თჳსსა[5] ცხად არს, რამეთუ ნიშებშემოსილთა მათ თანა დაეწესოს წმიდათა მამათა სასუფეველსა შინა[6] ცათასა.

110 გჳთხრა ჩუენ ესე მამათაგანმან ვინმე, ვითარმედ: თესალონიკეს შინა იყო მონასტერი სამოღუაწეო[7] ქალწულთაჲ, რომელსა შინა იყვნეს დედანი მოღუაწენი მრავლად. ხოლო ერთი მათგანი ზოგადისა მისგან ჩუენ ყოველთა მტერისა ბრძოლილ იქმნა განსლვად მონასტრით. და ვითარცა განვიდა, დასცა იგი[8] მანვე ეშმაკმან, რომელმანცა განიყვანა, სიძვითა. და ვითარცა დაეცა, დაყო სიძვასა მას შინა რაოდენიმე[9] ჟამი, ხოლო შემდგომად ამისა შეწევნითა ღმრთისაჲთა, რომელსა არავისი[10] ჰნებავს წარწყმედაჲ, მოდრკა სინანულად და კუალად იქცა[11] მონასტრადვე თჳსად, ვინაჲ-იგი განვიდა. და ვითარცა მიიწია ბჭეთა მონასტრითა, მეყსეულად მოკუდა და გამოეცხადა წმიდათაგანსა ვისმე სიკუდილი მისი და იხილნა წმიდანი ანგელოზნი, რამეთუ მოვიდეს წარყვანებად სულისა მისისა. და კუალად ეშმაკნიცა მოვიდეს ერთკერძო და იქმნა ცილობაჲ შორის ორთავე მათ /283/ კე/რძოთა. წმიდანი ანგელოზნი იტყოდეს, ვითარმედ: სინანულად მოვიდა

[1] მუშაკისა] მოშაკისა D. [2] ~ რომელი იგი D. [3] მე – D. [4] უცონილადCD] ოცონილად CD. [5] ~ თჳსსა და კანონსა D. [6] შინა – D. [7] სამოღუაწეო] სამოღუაწეოჲ CE. [8] ~ იგი დასცა D. [9] რავდენიმე D. [10] არავისი] არა E. [11] კუალად იქცა] კუალადცა იქცა D.

და ჩუენი არს. ხოლო ეშმაკნი, იტყოდეს, ვითარმედ: ესოდენთა წელთა ჩუენ გუმსახურებს[1] და ჩუენი არს. ყვეს უკუე მრავალი[2] ცილობაჲ ამის ჯერისათჳს და იტყოდეს ეშმაკნი, ვითარმედ: არცა თუ მიიწია მონასტრად, ვითარ უკუე იტყჳთ თქუენ, თუ შეინანა. მიუგეს წმიდათა ანგელოზთა და ჰრქუეს: რაჲთგან იხილა ღმერთმან გულსმოდგინებაჲ მაგისი, რამეთუ მოდრკა სინანულად, შეიწირა ღმერთმან მიერითგანვე სინანული მაგისი[3] და[4] რამეთუ შენანებისა ეგე იყო უფალი, რომელსაცა წარემართა დღეთა კულა და წელთა ცხორებისათა, უფალ ღმერთი არს და მეუფჱ[5] ყოველთაჲ. ამას ზედა ჰრცხუენა ეშმაკთა და მოეშორნეს. რომელი-ესე იხილა წმიდამან მან[6] ბერმან და ეპისკოპოსმან[7] და მან გჳთხრა ჩუენ და ჩუენ რაჲ-იგი გუესმა პირისაგან მისისა, მიუთხრობთ სიყუარულსა თქუენსა. ესე უკუე ყოველი განვიცადოთ, ძმანო, და პირველ ყოვლისა განვაკრძალნეთ თავნი ჩუენნი შეწევნასა თანა ღმრთისასა, რაჲთა არა მივსცეთ გულისსიტყუათა გზაჲ რომლისაცა ცოდვისაჲ, არამედ წინააღუდგეთ მათ და ვჰბრძოდით. ხოლო უფროჲს ყოვლისა, რაჲთა არა განვიდეთ მონასტრით ჩუენით და რამეთუ სადაჲთ წარვალთ და განვეშორებით, ვიცით, ხოლო თუ სადა მივალთ ანუ რასა შინა შთავცჳვით, უმეცარ ვართ.

111. ბერმან თქუა: წმიდათა, რომელთა აქუნდეს ქრისტე თავთა შორის მათთა, ამიერსაცა ამას დაიმკჳდრებენ[8] და მერმესაცა უვნებელობისა მიერ. ამისთჳს, რამეთუ ესეცა ამიერი და იგიცა მერმე ყოველივე ქრისტესი არს. საცნაურ არს უკუე, რომელსა აქუნდეს ქრისტე, აქუს იგიცა და მისი ყოველივე. ხოლო რომელსა აქუნდენ /283v/ ვნებანი, დაღაცათუ ყოველი სოფელი აქუნდეს, ყოლადვე არარაჲ აქუს მას, თჳნიერ ვნებანი ოდენ მისნი, რომელნიცა უფლებენ მას ზედა.

112. კუალად თქუა: ნუ გიკჳრს უკუეთუ კაცი იყო და ანგელოზ იქმნა და რამეთუ ესე დიდებაჲ წინაუც წმიდათა, რომელიცა აღუთქუა უფალმან მოყუარეთა მათ თჳსთა და მოღუაწეთა.

113. ბერმან თქუა: არაოდეს არს კაცი კეთილ, რაჲზომცა ენებოს[9] კეთილისყოფად, არა თუ ღმერთმან დაიმკჳდროს[10] მის შორის. და რამეთუ არავინ არს კეთილ და სახიერ, თჳნიერ ოდენ[11] მხოლოჲ ღმერთი.

114. კუალად თქუა: რომელსა უსამართლოჲ ნეფსით შეემთხუეოდის და ითმენდეს და მავნებელსა მას ულოცვიდეს, ესევითარი იგი მიჰგავს[12] ბუნებით იესუს. ხოლო რომელი არცა ავნებდეს, არცა ივნებდეს, იგი მსგავს არს ადამს ბუნებითა[13]. ხოლო რომელი ავნებდეს და ვახშთა მოჰჴდიდეს და მოყუასსა ზედა გულარძნილობდეს[14], იგი მსგავს არს ეშმაკსა ბუნებითა.

---

[1] გუმსახურებს] გუმსახურებდა C. [2] მრავალი – D. [3] მაგისი] მისი E. [4] და – D. [5] მეუფჱ] მეუფე CD. [6] მან – CD. [7] ეპისკოპოსმან] ებისკოპოსმან D. [8] დაიმკჳდრებენ] დაჲმკჳდრებენ A. [9] ენებო D. [10] დაიმკჳდროს] დაჲმკჳდროს A. [11] ~ მხოლოჲ ოდენ E. [12] მიჰგავს] მიჰბაძავს CE. [13] ბუნებითა] ბუნებით D. [14] გულარძნილობდეს] გულარძნილებდეს D.

115. ბერმან[1] თქუა: გონებასა ცთომილსა[2] მოაქცევს წიგნისკითხვაჲ და მღუძარებაჲ და ლოცვაჲ, ხოლო გულისთქუმასა შემწუველსა დააჭნობს მარხვაჲ და შრომაჲ და განშორებაჲ. და[3] კუალად გულისწყრომასა დააწყნარებს გალობაჲ და სულგრძელებაჲ და მოწყალებაჲ. ხოლო ამათ ყოველთავე თჳსი ჟამი[4] უჴმს[5] შემსგავსებული და საზომი. და რამეთუ უჟამოდ და უზომოდ ქმნილი ყოველივე მოკლე არს და მცირედჟამისაჲ. და უფროჲსღა სავნებელ არს, ვიდრე სარგებელ.

116. მამათაგანსა ვისმე ჰკითხეს ძმათა ვიეთმე და ჰრქუეს: რაჲსათჳს, მამაო, არა მიივლტის სული აღთქუმათა მათ მიმართ, რომელნი აღუთქუნა წმიდათა მიერ წერილთა? ხოლო ბერმან ჰრქუა მათ: მე ამას ვიტყჳ, ვითარმედ: ამისთჳს, რამეთუ[6] არღა[7] უხილავს მას გემოჲ ზეცისა მათ კეთილთაჲ, ამისთჳს მიდრკების /284/ უშ/უერთა მიმართ გულისსიტყუათა სული კაცისაჲ.

117. ბერმან[8] თქუა: უკუეთუ სადამე მიხჳდე ადგილსა დამკჳდრებად, ნუ მიხედავ მათ, რომელთა აქუნდეს განსუენებაჲ, არამედ გლახაკთა მიხედევდ, რომელნი პურსაცა ნაკლულ[9] იყვნენ და განისუენო.

118. ბერმან[10] თქუა: ტყუვილი ძუელი კაცი არს, ხოლო ჭეშმარიტებაჲ ახალი.

119. კუალად თქუა[11]: ძირი კეთილთა საქმეთაჲ არს ჭეშმარიტებაჲ, ხოლო ტყუვილი სიკუდილი არს.

120. ბერმან თქუა: ირწმუნეთ, შვილნო, სიტყუათა ჩემთაჲ, ვითარცა დიდად საქადულ[12] არს და დიდება მეფისა, დაუტეოს[13] თუ მეფობაჲ და მონაზონ იქმნეს ამისთჳს, რამეთუ წარუვალი უმჯობეს არს წარმავალსა. ესრეთვე დიდი სირცხჳლი არს, დაუტეოს თუ კაცმან მონაზონებაჲ და მეფე იქმნეს.

121. კუალად თქუა: დაღაცათუ გულისთქუმაჲ აღიძრვის ბუნებისაგან, ძმანო, გარნა მოღუაწებამან[14] გრძელმან დაავსენ იგი.

122. ბერმან ჰრქუა ბერსა ვისმე სიყუარულით, რომელი-იგი შეემთხუეოდა ერისკაცთაცა და მონაზონთა, ვითარმედ: სანთელი სხუათა განანათლებს, ხოლო თავსა თჳსსა დასწუავს.

123. ბერმან[15] თქუა: ნუ დაემკჳდრები ადგილსა, რომელსა[16] ხედავ, თუ აქუს ვიეთმე შენდა მომართ შური, უკუეთუ არა, ვერ წარემართო.

---

[1] ბერმან თქუა] და რამეთუ D. [2] ცთომილსა] ცთუმილსა D. [3] და – D. [4] ჟამი – C. [5] უჴმს] უჩნს E. [6] რამეთუ] ვითარმედ D. [7] არღა] არარა C. [8] ბერმან თქუა] ხოლო D. [9] ნაკლულ] ნაკლულევან D. [10] ბერმან თქუა] რამეთუ D. [11] კუალად თქუა] ხოლო D. [12] სიქადულ DE. [13] დაუტეოს] ჩაუტეოს D. [14] აქ E ნუსხა წყდება. [15] ბერმან თქუა – D. [16] რომელსა] რომელ D.

124. ბერსა ჰკითხა ძმამან და ჰრქუა: რაჲსათჳს ვერ დავაჯერებ თავსა[1] ჩემსა განკითხვად გულისსიტყუათა ბერთა ჩემთა თანა. ჰრქუა მას ბერმან: ამისთჳს, რამეთუ არარას ზედა ესრეთ მოხარულ არიან მტერნი, ვითარ დაფარვასა ზედა გულისსიტყუათასა.

125. ბერმან[2] თქუა: შეუძლებელ არს, რაჲთამცა არა ცხოვნდა კაცი, რომელი ეგოს მტკიცედ სრწმუნოებასა ზედა მართალსა და მუშაკობასა შინა კეთილთა საქმეთასა მადლითა ქრისტესითა, რომლისაჲ არს[3] დიდებაჲ და მეუფებაჲ უკუნისამედე, ამინ![4] /284v/

[1] თავსა] გულსა D. [2] ბერმან თქუა] კუალად D. [3] არს – C. [4] A ნუსხაში მთარგმნელის ანდერძია: „ღმერთმან შეუნდვენ ცოდვანი, თეოფილე ამისი თარგმანი“

თავი იბ

ვითარმედ ჯერ არს ჩუენდა ყოლადვე და მარადის მღვძარებაჲ და სიფრთხილით[1]

გუაკურთხენ, მამაო!

I.1. იტყოდა **მამაჲ ანტონი**, ვითარმედ: ვიხილენ მონაზონნი, რომელნი შემდგომად მრავალთა შრომათა დაეცნეს და ცნობასა მიჰჴდეს ამისთჳს, რამეთუ ესვიდეს თჳსთა საქმეთა და უგულებელს-ყვეს მცნებაჲ იგი მეტყუელისაჲ მის, ვითარმედ: ჰკითხე მამასა შენსა[2], გითხრას შენ და მოხუცებულთა შენთა გაუწყონ შენ.

2. კუალად თქუა მანვე[3]: უკუეთუმცა შესაძლებელ იყო, რაოდენსა ნაბიჯსა წარდგამს მონაზონი, ანუ რაოდენსა ნაწუეთსა წყლისასა სუამს სენაკსა შინა თჳსსა, უთხრამცა იგი ბერთა, უკუეთუ სცთების იგი მას შინა, გინა არა. და რამეთუ იყო ძმაჲ ვინმე მორჩილებასა შინა ბერისასა და წარვიდა უდაბნოდ და მოიძია ადგილი განშორებული, რაჲთა დაეყუდოს მუნ. და ვითარცა პოვა, უკუმოიქცა[4] ბერისავე, ევედრებოდა მას და ეტყოდა: მიბრძანე მე, მამაო[5], წარსლვად და დაყუდებად მუნ და ვესავ ღმერთსა და წმიდათა ლოცვათა შენთა, რომელ ფრიად დავშურე. და არა განუტევა იგი ბერმან, არამედ ჰრქუა: ვიცი ჭეშმარიტად, რომელ დიდად დაშურე ამისთჳს, რომელ არა გაქუნდეს ბერი, რაჲთამცა მას განუცხადებდი გულისსიტყუათა შენთა და მინდობილ იქმენ საქმეთა შენთა, ვითარმედ სათნო არიან ღმრთისა. და ოდეს შეგექმნას თავმოთნებაჲ, რომელ ყოლადვე აზმნობ ყოფად საქმესა მონაზონისასა, მაშინ წარსწყმედ შრომათაცა შენთა და ცნობასა.

3. თქუა[6] **მამამან ანტონი:** მჭედელი ოდეს გასჭედდეს შანთსა რკინისასა, პირველად განიზრახავს გულსა შინა თჳსსა, თუ რაჲ /285/ შე/ქმნას: მანგალი, დანაჲ ანუ თუ ცული. ესრეთვე ჩუენცა გჳჯმს გამოძიებად, თუ რომელსა სათნოებასა მოუჯედით და თუ რომელი წარვჰმართეთ ანუ რომელი გუაკლს, რაჲთა არა ცუდად ვშურებოდით.

---

[1] სიფთხილჱ] სიფთხილე CD. [2] შენსა + და C. [3] კუალად თქუა მანვე] რამეთუ D. [4] უკუმოიქცა] უკმოიქცა D. [5] მამაო – D. [6] თქუა მამამან ანტონი] რამეთუ D.

II. 1. მამასა არსენის ევედრა ძმაჲ ვინმე, რაჲთა ესმას მისგან სიტყუაჲ. ჰრქუა მას ბერმან: ისწრაფე ყოვლითა ძალითა და იღუაწე, რაჲთა ყოველივე საქმე შინაჲსა მის კაცისაჲ საღმრთოდ იყოს და რაჲთა შინაგანმან სძლოს გარეშეთა მათ ვნებათა.

2. კუალად თქუა[1]: უკუეთუ ვძებნოთ ღმერთი, გამომიჩნდეს ჩუენ და უკუეთუ ვიპყრათ იგი, დაადგრეს ჩუენ თანა.

3. იტყოდა **მამაჲ დანიელ**, ვითარმედ: მიმხადა ოდესმე მამამან არსენი და მრქუა მე: განუსუენე მამასა შენსა, რაჲთა ოდეს[2] წარვიდეს უფლისა, ევედროს შენთჳს და კეთილი გეყოს შენ.

III. 1. თქუა **მამამან აგათონ**: უჴმს მონაზონსა, რაჲთა არა უტეოს სჯნიდისსა თჳსსა განკითხვად მისა რასაცა ზედა საქმესა.

2. კუალად[3] თქუა: თჳნიერ ცვულებისა და მცნებათა საღმრთოთა მიხედვისა, ვერ წარჰმართებს კაცი ერთსაცა სათნოებასა[4].

3. თქუა[5] კუალად: უჴმს კაცსა, რაჲთა ყოლადვე და მარადის განიცდიდეს სამსჯავროსა მას ღმრთისასა.

IV. მივიდა ოდესმე **მამაჲ ამონა,** რაჲთა წიაღვლოს მდინარჱ[6] და ვერ პოვა ნავი საეროჲ[7] კაზმულად. დადგა და ელოდა. და აჰა ესერა, სხუაჲ ნავი წიაღვიდოდა ერითა. მიხადეს ბერსაცა, რაჲთა შევიდეს მათ თანა ნავად და არა ინება, არამედ[8] ჰრქუა: უკუეთუ არა საეროჲ იგი მოვიდეს ნავი, არა წიაღვალ. ხოლო აქუნდა კონაჲ ბაიაჲსაჲ[9] თხზავნ მას და დაარღუევნ[10], ვიდრემდის მოცალჱ[11] იქმნა ნავი და ესრეთღა წიაღვლო. მაშინ[12] შეუვრდეს ბერსა ძმანი /285v/ და ჰრქუეს: რაჲ ესე ჰყავ, მამაო? და ბერმან ჰრქუა მათ: ორთათჳს მიზეზთა ვყავ ესე, ერთად, რაჲთა დავაჩჳიო თავი ჩემი განკუეთად ნებასა[13] თჳსსა[14] და მეორედ, რაჲთა დაწყნარებულად ვიდოდი გზასა ღმრთისასა.

V. 1. იტყოდეს **მამისა ამოჲსთჳს**[15], ვითარმედ ოდეს მივალნ[16] იგი ეკლესიად, არა უტევის მოწაფე მისი[17] სლვად მახლობელად მისა, არამედ შორს მოვალნ[18] იგი. და უკუეთუ მივიდის კითხვად გულისსიტყუათა, ვითარცა დაასრულის თხრობაჲ, მეყსეულად წარდევნის იგი და ეტყჳნ: ნუსადა ვზრახვიდეთ რაჲ ჩუენ[19] სარგებელისათჳს სულისა, შუვა შემოჴდეს[20] უცხოჲ რაჲმე საუბნარი[21], ამისთჳს არა გიტევებ შენ მახლობელად ჩემსა სლვად.

---

[1] კუალად თქუა] რამეთუ D. [2] ოდეს] ოდესცა D. [3] კუალად თქუა] ხოლო D. [4] ~ სათნოებასა ცა ერთსა D. [5] კუალად თქუა] რამეთუ D. [6] მდინარჱ] მდინარე CD. [7] საეროჲ – D. [8] არამედ] და D. [9] ბაიაჲსაჲ] ბაჲაჲსაჲ A .[10] არღუევნ CD. [11] მოცალჱ] მოცალე C. [12] მაშინღა D. [13] ნებასა] ნებისა C. [14] თჳსსა] ჩემსა D. [15] ამონაჲსთჳს D. [16] მივალნ] მოვალ CD. [17] მისი – D. [18] მოვალნ] მისლვად D. 19 ჩუენ] თჳსთა C. 20 შემოჴდეს] შემოვიდეს D. 21 საუბარი C.

2. ჰკითხა **მამამან ამოჲ მამასა ესაიას**[1] და ჰრქუა: დაწყებასა ვითარ მხედევდ შენ? ხოლო[2] მან ჰრქუა: ვითარცა ანგელოზსა, მამაო! და[3] აწ კუალად ვითარ მხედავ შენ? და მან ჰრქუა: ვითარცა ეშმაკსა, მამაო, და დაღაცათუ კეთილი რაჲმე სიტყუაჲ მრქუა, ვითარცა მახჳლი განმეწონების გულსა.

3. წარვიდა ოდესმე მამაჲ ამმონა უდაბნოს ორ თუე. მერმე მივიდა მამისა პიმენისა და ჰრქუა მას: უკუეთუ წარვიდე სენაკად მოყუსისა, ანუ თუ იგი მოვიდეს ჩემდა საქმრისა რაჲსათჳსმე, ვიკრძალვით სიტყუად ურთიერთარს[4], ნუუკუე უცხოჲ რაჲმე საუბნარი[5] შუვა შემოვარდეს. ჰრქუა მას ბერმან: კეთილად ჰყოფ, რამეთუ უჴმს სიჭაბუკესა ცვულებაჲ. ჰრქუა მას მამამან ამონა: ბერნი რასა იქმოდეს? მიუგო მამამან პიმენ: ბერნი წარემატნეს სათნოებათა შინა მაღალთა და არღარაჲ[6] აქუნდა უცხოჲ თავთა შორის მათთა[7], რაჲთამცა თქუეს პირითა. კუალად ჰრქუა მას: უკუეთუ /286/ საჴმარ იქმნეს საჭიროდ სიტყუად მოყუასსა თანა, რაჲ გნებავს, წერილთაგან ვიტყოდი ანუ სიტყუათაგან ბერთაჲსა? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ დუმილი ვერ ძალ-გიც, კეთილ არს სიტყუად უფროჲსღა ბერთაგან, ვიდრეღა წერილთაგან და რამეთუ[8] წერილთაგან მეტყუელებასა ჭირი დიდი შეუდგეს.

V. თქუა **მამამან ალონი**: უკუეთუ არა დაიდვას[9] კაცმან გულსა ესე, ვითარმედ მე ოდენ და ღმერთი ვართ მარტოდ ქუეყანასა ზედა, არა აქუნდეს[10] განსუენებაჲ.

2. კუალად[11] თქუა: უკუეთუ ენებოს კაცსა, განთიადითგან ვიდრე მიმწუხრადმდე მოვალს საზომსა საღმრთოსა.

VI. მამაჲ ბესარიონ მოკუდებოდა რაჲ, თქუა: უჴმს მონაზონსა, რაჲთა იყოს ვითარცა ქერობინ-სერაბინი ყოვლითურთ თუალ.

VII. ვიდოდის ოდესმე **მამაჲ დანიელ და მამაჲ ამოჲ** ზოგად. და ჰრქუა მამამან ამოჲ მამასა დანიელს: ოდეს დავსხდებით ჩუენ სენაკსა შინა, მამაო? ჰრქუა მას მამამან დანიელ: და ვინ მიმიღებს აწ ჩუენგან უფალსა და რამეთუ სენაკსაცა შინა ღმერთი არს და გარეცა ღმერთი არს და[12] რამეთუ თუალნი უფლისანი ხედვენ ყოველთაგან[13] ყოველსავე[14].

VIII.1. თქუა **მამამან ესაია**[15]: სულმოკლებაჲ და ძაგებაჲ გონებითა, არა შეუნდობენ ხილვად ნათელსა ღმრთისასა.

2. კუალად თქუა: ვილოცოთ ღმრთისა მიმართ და ვითხოოთ, რაჲთა მოგუეცეს ჩუენ გლოვაჲ და ვსტიროდით[16] ცოდვათა ჩუე/ნთა. და რაჲთა

---

[1] ესაიას] ესაჲას A. [2] ხოლო] და C. [3] და – D. [4] ურთიერთარს] ურთიერთას C. [5] საუბნარი] საუბარი C. [6] არღარაჲ] არღარა D. [7] მათთა] თჳსთა C. [8] და რამეთუ – D. [9] დაიდვას] დაჲდვას A. [10] აქუნდეს + მას D. [11] კუალად თქუა] ხოლო D. [12] და – D. [13] ყოველთაგან] ყოველგანვე D. [14] ყოველსავე] ყოველსა D. [15] ესაია] ესაჲა A. [16] ვსტიროდით] ვტიროდით D.

ვაჩუენოთ ყოველი მოსწრაფებაჲ სივლტოლად კაცთაგან და[1] რაჲთა არა კადნიერ ვიქმნნეთ ერისკაცისა მიმართ, არცა ვმეტყუელებდეთ სიტყუათა ამაოთა, რაჲთა არა დაბნელდეს გონებაჲ ჩუენი ცნობისაგან ღმრთისა. და რამეთუ /286v/ შეუძლ/ებელ არს, რომელსა ესმოდინ, გინა იტყოდის[2] სიტყუათა მსოფლიოთა, რაჲთამცა აქუნდაღა გულსა მისსა კადნიერებაჲ წინაშე ღმრთისა. ხოლო რომელი იტყოდის, თუ არა მევნების სმენისაგან და ხილვისა მსოფლიონთა[3] საქმეთაჲსა[4], მსგავს არს იგი ბრმასა, რომელი დაღაცათუ მიეახლოს სანთელსა მნთებარესა, ვერვე[5] ხედავს ნათელსა მისსა. და რამეთუ უმეტესადღა ცხად არს ესე მზისაგან, რომელი-იგი აღმობრწყინვებითა თჳსითა განანათლებს ყოველსა ქუეყანასა, თუ ვითარ მცირისა მიერ ღრუბლისა დაიფარვის[6] ნათელიცა მისი და სიცხე.

3. კუალად თქუა: იღუაწე და ისწრაფე სივლტოლაჲ სამთა ამათგან ვნებათა, რომელნი დაამჴობენ სულსა, რომელ არს ვეცხლისმოყუარებაჲ და პატივი და განსუენებაჲ, რომელნი-ესე მძლე თუ ექმნენ სულსა, არა უტეობენ[7] მას წარმართებად.

4. იტყოდა **მამაჲ პეტრე,** ვითარმედ: ვჰკითხე ოდესმე ბერსა ჩემსა, ვითარმედ: ვინ არს მონაჲ ღმრთისაჲ? და მან მრქუა მე: ვიდრემდის იყოს კაცი მონა ერთისაცა ვნებისა, არა შერაცხილ არს იგი მონად ღმრთისად[8], არამედ მონაჲ არს ვნებისაჲ მის, რომლისაგანცა უფლებულ არს. და ვიდრემდის იგი თჳთ იყოს ვნებათა შინა, მათვე ვნებათაგან ძლეულთა სწავლად ვერ ძალ-უც. და რამეთუ სირცხჳლ არს მისა სწავლად სხუათა, პირველ განთავისუფლებისა თჳსისა[9], ანუ თუ ლოცვად სხუათათჳს. და რამეთუ ვითარ ითხოოს სხუათა თავისუფლებაჲ, ოდეს თჳთ შეპყრობილ იყოს მათგან. და რამეთუ არა არს იგი არცა მონა ღმრთისა, არცა მეგობარ, არცა ძე, რაჲთამცა ითხოვა სხუათათჳს, არამედ მიმდემად უჴმს მას /287/ და ჴშირად ვედრებაჲ ღმრთისაჲ, რაჲთა თჳთ ჴსნილ იქმნეს ვნებათა მათგან. და რამეთუ უკუეთუ ვერ დაეჴსნას ვნებათა მათ, რომელთაცა[10] ჰმონებს, პირი მისი აღსავსე არს სირცხჳლითა წინაშე ღმრთისა. და რამეთუ ვიდრემდის იყოს მორჩილ ვნებათა კაცი[11], ტირილი უჴმს და გლოვაჲ სამარადისოჲ[12], რამეთუ ვერ ღირს იქმნა კადნიერებასა წინაშე ღმრთისა, რომელი-იგი არს ჭეშმარიტი სიწმიდჱ[13] და უბიწოებაჲ, რომელსა მოსთხოვს ღმერთი ყოველსავე კაცსა.

5. კუალად თქუა: რომელი ეძიებდეს უფალსა ტკივილითა გულისაჲთა, ისმენს ღმერთი მისსა და რაოდენიცა რაჲ სთხოოს[14] მეცნიერებით და ურვით

---

[1] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება. [2] იტყოდის] მეტყოდის C. [3] მსოფლიონთა] მსოფლიოთა E. [4] საქმეთაგან D. [5] ვერ C. [6] დაიფარვის] დაჲფარვის A. [7] უტევებნ CD. [8] ღმრთისად] ღმრთისა C. [9] თჳსისა] მისისა E. [10] რომელთაცა] რომელთა D. [11] კაცი + იგი D. [12] სამარადისოჲ + და E. [13] სიწმიდჱ] სიწმიდე D. [14] სთხოოს] სთხოვოს E.

და ტკივილითა გულისაჲთა, მისცემს ღმერთი. თჳნიერ უჭმს მას, რაჲთა არცა ერთისა რაჲს მსოფლიოჲსადა შეკრულ[1] იყოს, არამედ რაჲთა[2] სამარადისოდ ზრუნვიდეს სულსა თჳსსა, თუ ვითარ წარუდგინოს იგი საყდარსა მას ქრისტესსა დაუშჯელად[3].

X. თქუა მამამან **თეოდორე ენატელმან**, ვითარმედ: უკუეთუ შეგჳრაცხნეს ღმერთმან ლოცვასა მებრ შინა[4] უდებებანი ჩუენნი და წარტყუენვანი გონებისანი ფსალმუნებასა შინა, ვერ ძალ-გჳც ცხოვნებად.

XI. თქუა მამამან **თეოდორე სკიტელმან**: მოვალს გულისსიტყუაჲ და მაჭირვებს და აღმაშფოთებს და უცალო-მყოფს. და[5] დაღაცათუ საქმით აღსრულებაჲ ვერ უძლოს[6], გარნა სათნოებისა მიმართ სლვასა[7] დამიხრწევს. ხოლო გონიერი და ფრთხილი კაცი განიფრთხობს და აღდგების ლოცვად და ვედრებად ღმრთისა.

XII. თქუა **მამამან თეონა:** ამისთჳს, რამეთუ მოვაკლებთ გონებათა ჩუენთა ხედვათა მათგან საღმრთოთა[8], ტყუე ვიქმნებით ვნებათაგან ჴორციელთა.

XIII. ბერმან თქუა: იყო ვინმე მონაზონი და სიმრავლისათჳს განსაცდელთაჲსა /287v/ ინება წარსლვაჲ მიერ ადგილით. და ვითარცა შეისხნა სანდალნი თჳსნი, იხილა[9] ვინმე სხუაჲ კაცი, რომელმან და მანცა შეისხნა სანდალნი თჳსნი და ჰრქუა მას: არა ჩემთჳს წარხუალა ამიერ, აჰა ესერა, მე წარგისწრა შენ, ვიდრეცა ხჳდოდი.

XIV. 1. წარვიდეს ოდესმე ძმანი ვინმე გამოცდად **მამისა იოანე მოკლისა**, რამეთუ არა გამოუშუებდა სიტყუასა საწუთროჲსასა[10]. ამისთჳს და ჰრქუეს მას: ვჰმადლობთ[11] ღმერთსა, მამაო, რომელ წჳმა წელს ფრიად და სუეს ფინიკთა და გამოიღეს რტოები და ჰპოებენ ძმანი ჴელთსაქმარსა მათსა. ჰრქუა მათ მამამან იოანე: ესრეთვე იქმს და სულიცა წმიდაჲ, ოდეს მოეფინოს გულსა შინა წმიდათასა, განაახლებს მათ და ახოვან-ჰყოფს და გამოიხუმენ იგი[12] რტოებსა[13] სათნოებათასა შიშსა შინა ღმრთისასა.

2. იტყოდეს მისთჳსვე, ვითარმედ დათხზა ბაიაჲ[14] ორისა სფირიდისაჲ და შეკერა ერთი სფირიდი[15] და ვერ ცნა, ვიდრემდის მიუდგა კედელსა, რამეთუ გონებაჲ მისი შექცეულ იყო ხედვათა საღმრთოთა.

3. თქუა **მამამან იოანე**, ვითარმედ: მსგავს ვარ მე კაცსა, რომელი წევნ ხეთა ქუეშე დიდთა და მაღალთა და ხედავნ იგი მჴეცთა და ქუეწარმავალთა მრავლად[16] მომავალთა მის ზედა[17]. და ოდეს ვერ ძალ-ედვის წინადადგომად[18]

---

[1] შეკრულ] შეკრებილ D. [2] რაჲთა – C. [3] დაუშჯელად] დაუსჯელად E. [4] ~ შინა მებრს DE. [5] და – E. [6] უძლოს] შეუძლოს C. [7] სლვასა] სურვილსა E. [8] საღმრთოთა + და D. [9] იხილა] იხილვა D. [10] საწუთროჲსასა] ს აწუთროჲსა CD. [11] ვჰმადლობთ] ვჰმადლობდეთ D. [12] იგი] იგინი E. [13] რტოებსა] ნაყოფსა C. [14] ბაიაჲ] ბაჲაჲ ACD. [15] სფირიდი] სფჳრიდი D. 16 მრავლად – D. 17 ზედა – C. 18 წინადადგომად] წინააღდგომად D.

მათდა, აღჴდის ხეთა მათ ზედა მაღალთა და ცხოვნდის, ესრეთვე და მეცა მჯდომარჱ[1] ვარ სენაკსა შინა ჩემსა და ვხედავ უკეთურთა გულისსიტყუათა[2] მომავალთა ჩემ ზედა და ოდეს ვერ ძალ-მედვას ბრძოლად მათდა, მივივლტი ღმრთისა მიმართ ლოცვისა მიერ და განვერები მე მტერთაგან.

4. ბერი ვინმე იყო სკიტეს მოღუაწე ჴორცითა, ხოლო გონებითა ვერ ფრიად შეკრძალული. ესე აღდგა და წარვიდა **მამისა იოანესა**[3] /288/, რაჲთა ჰკითხოს მას დავიწყებისათჳს. და ვითარცა ესმა მისგან სიტყუაჲ, კუალად იქცა სენაკად თჳსად და დაჰვიწყდა სიტყუაჲ იგი, რომელი ჰრქუა მას მამამან იოანე. და კუალადცა წარვიდა იგი კითხვად მისა და ვითარცა[4] ესმა კუალადცა სიტყუაჲ იგი მისგან, უკუმოიქცა სენაკად თჳსად. და ვითარცა მი-ოდენ-იწია[5] კარად სენაკისა, კუალადცა დაჰვიწყდა სიტყუაჲ იგი. ესე უკუე მრავალგზის შეემთხჳა და მივალნ და ჰკითხავნ და მოვალნ და დაჰვიწყდებინ. შემდგომად ამისა შეემთხჳა იგი ბერსა და ჰრქუა: ხედავა, მამაო, რამეთუ კუალადცა დამვიწყდა[6] სიტყუაჲ იგი, რომელ[7] მარქუ. და რაჲთა არა მოგაწყინო, არღარა მოვედ მე[8] კითხვად შენდა. ჰრქუა მას მამამან იოანე: მოიღე სათნელი და აღანთე იგი. და ყო ეგრეთ. მერმე ჰრქუა: მოიხუენ სხუანი სანთელნი და აღანთენ მაგისაგან. და აღანთნა იგინი. მაშინ ჰრქუა მამამან იოვანე ბერსა მას: ნუუკუე ევნო რაჲმ[9] სანთელსა მაგას, რამეთუ აღანთენ მაგისაგან სხუანი სანთელნი? და მან ჰრქუა: არა, მამაო! ჰრქუა მას ბერმან: ესრეთვე ყოველი თუ[10] სკიტჱ[11] მოვიდეს ჩემდა, ვერ დამახრწიოს მე მადლისაგან ქრისტესა. აწ უკუე ოდეს გენებოს, დაუბრკოლებელად მოხჳდოდე ჩემდა. და ესრეთ ორთავე მოთმინებითა აღიღო ღმერთმან დავიწყებაჲ ბერისა მისგან და რამეთუ ესე იყო საქმე სკიტელთაჲ, რაჲთა გულსმოდგინე-ყვნენ[12] მოღუაწენი და მაიძულებელნი[13] თავისანი და რაჲთა შეიძენდენ ურთიერთარს კეთილსა ზედა.

5. ძმამან ჰკითხა **მამასა იოანეს** და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ მრავალგზის მოვლენ ძმანი წარყვანებად ჩემდა საქმესა და მე[14] უძლურ ვარ და სნეულ და ვიჭირვი საქმესა მას შინა და კუალად მეშინის მე მცნებისაგან. მიუგო ბერმან[15] და ჰრქუა მას: ხალებ[16] ჰრქუა ისოს ძესა ნავესსა, ვითარმედ: ორმეოცისა წლისაჲ ვიყავ, /288v/ ოდეს წარმომავლინა[17] მე მოსე, მონამან ღმრთისამან, უდაბნოჲთ[18] შენ თანა ქუეყანასა ამას. და აწ ვარ მე ოთხმეოცდა ხუთისა წლისაჲ და ვითარცა მაშინ ძალ-მედვა, ეგრეთვე[19] აწ ძალ-მიც შესლვაჲ წყობათა შინა. ესრეთვე უკუე და შენცა, უკუეთუ ძალ-

---

[1] მჯდომარჱ] მჯდომარე CD. [2] გულისსიტყუათა უკეთურთა D. [3] იოანესა] იოანესსა E. [4] ვითარცა + წარვიდა D. [5] მო-ოდენ-იწია D. 6 დამვიწყდა] დამავიწყდა E. [7] რომელ] რომელი C. [8] მე – CD. [9] რაჲ D. [10] ~ თუ ყოველი D. [11] სკიტჱ] სკიტე CDE. [12] იყვნენ C. [13] მაიძულებელნი] მაჲძულებელნი A. [14] მე – D. [15] ბერმან] ძმამან D. [16] ხალებ] ქალებ D. [17] წარმომავლინა] წარმავლინა D. [18] ~ შენ თანა უდაბნოჲთ E. [19] აქ E ნუსხა წყდება.

გიც შემოსლვად, ვითარი განხჳდე, წარვედ. უკუეთუ[1] კულა ვერ ძალ-გიც ყოფად ესე, დაჯედ სენაკსა შინა შენსა და სტიროდე ცოდვათა შენთა. და უკუეთუ გიხილონ შენ ძმათა მტირალად ბრალთა შენთა, არღარა გაიძულონ შენ გამოსლვად.

6. იგივე[2] ეტყოდა მოწაფესა თჳსსა: პატივ-ვსცეთ ერთსა და ყოველთავე პატივ-მცენ ჩუენ. უკუეთუ კულა უგულებელს-ვყოფი ერთი იგი, რომელ არს ღმერთი[3], შეურაცხ-მყვნენ ჩუენ ყოველთა და წარსაწყმედელად წარვიდეთ.

7. იტყოდეს მისვე **მამისა იოანესთჳს**[4], ვითარმედ წარვიდა ეკლესიად სკიტეს და ესმა ცილობაჲ ძმათაჲ და უკუმოიქცა[5] სენაკად თჳსა. და შემოვლო მრგულივ გარეშე სენაკისა სამგზის და ესრეთღა შევიდა შინა[6]. იხილეს იგი ძმათა და ვერ გულისჴმა-ყვეს, თუ რაჲსათჳს ყო. მივიდეს მისა და ჰკითხეს. ხოლო მან ჰრქუა მათ: ყურნი ჩემნი სავსე იყვნეს ცილობითა და შემოვლე მრგულივ სენაკი, რაჲთა განვწმიდნე სასმელნი ჩემნი და ესრეთღა შევიდე დაწყნარებითა გონებისა ჩემისაჲთა სენაკსა შინა ჩემსა.

8. მოვიდა ოდესმე ძმაჲ სენაკსა **მამისა იოანესსა** მიმწუხრი და ისწრაფდა წარსლვად. და უბნობდა რაჲ იგი[7] სათნოებათათჳს, იქმნა განთიად და ვერ აგრძნეს და გამოჰყვა თანა, რაჲთა წარმგზავნოს იგი და დაადგრეს კუალადცა მეტყუელებასა მას შინა სულიერსა, ვიდრე შუვადღემდე, რომელ არს ჟამი მეექუსე. მერმე შეიყვანა იგი სენაკადვე და ისერეს /289/ და ესრეთღა წარვიდა იგი.

9. იტყოდა **მამაჲ იოანე,** ვითარმედ: საპყრობილჱ[8] არს მონაზონისა სენაკსა შინა ჯდომაჲ, ხოლო მარადის ჴსენებაჲ ღმრთისაჲ არს სასუფეველი და სრულ იქმნების სიტყუაჲ იგი, ვითარმედ: „საპყრობილეს[9] ვიყავ და მოხუედით ჩემდა“[10].

10. მივიდა ოდესმე ძმაჲ ვინმე, რაჲთა წარიღოს სფირიდები[11] **მამისა იოანესგან**. და გამოვიდა და ჰრქუა მას: რაჲ გიჴმს, ძმაო? ხოლო მან ჰრქუა: სფირიდები[12], მამაო. შევიდა უკუე ბერი, რაჲთა გამოართუას და დაჰვიწყდა. და დაჯდა კერვად. კუალად ჰრეკა ძმამან მან და გამოვიდა ბერი და[13] ჰრქუა მას: მამაო, მოიღე სფირიდები[14]. და შევიდა გამოღებად და კუალადცა დაჯდა კერვად. და იგი კუალადცა ჰრეკდა კარსა და გამოვიდა ბერი და ჰრქუა მას: რაჲ გიჴმს, ძმაო, რაჲ გნებავს? ხოლო მან ჰრქუა: სფირიდები[15], მამაო. მაშინ უპყრა ჴელსა მისსა და შეიყვანა იგი შინა და ჰრქუა მას: უკუეთუ სფირიდები[16] გინებს, აღიღე იგი[17] და ხჳდოდე, რამეთუ მე ვერ მცალს.

---

[1] უკუეთუ კულა...წარვიდეთ – C. [2] იგივე + მამაჲ იოანე D. [3] ღმერთი] უფალი D. [4] იოანესთჳს] იოანე მოკლისა C. [5] უკუნიქცა C; უკმოიქცა D. [6] შინა + და D. [7] იგი] იგინი C. [8] საპყრობილჱ] საპყრობილე CD. [9] საპყრობილეს] საპყრობილესა D. [10] შდრ. მ. 25,36. [11] სფირიდები] სფჳრიდები D. [12] სფირიდები] სფჳრიდები D. [13] და – D. [14] სფირიდები] სფჳრიდები D. 15 სფირიდები] სფჳრიდები D. 16 სფირიდები] სფჳრიდები D. [17] იგი – C.

11. მივიდა ოდესმე მეაქლემე **მამისა იოანესა**, რაჲთა წარიღოს ჭურჭლები მისი და წარვიდეს სხუასა ადგილსა. და ვითარცა შევიდა გამოღებად, დაჰვიწყდა, რამეთუ გონებაჲ მისი აქუნდა აღპყრობილ[1] ღმრთისა მიმართ. ხოლო მეაქლემე იგი კუალადცა აწყინებდა მას და ჰრეკდა კარსა და მას კუალადცა დაჰვიწყდა გამოღებაჲ. და ვითარცა მესამედ ჰრეკა კარსა მეაქლემემან შესლვასა თჳსსა მამაჲ იოანე[2] იტყოდა: სირაჲ, აქლემი, სირაჲ, აქლემი.

12. იტყოდეს **მამისა იოანესათჳს**, ვითარმედ ოდეს მოვიდეს მკით, პირველ მისლვადმდე ბერთაჲსა და ლოცვად და წურთად და ფსალმუნებად მოიცალის, ვიდრემდის მოეგის გულისსიტყუაჲ მისი პირველსავე მას[3] ზედა წესსა დაწყნარებისასა.

XV. 1. თქუა **მამამან ისიდორე**: მე ოდეს ვიყავ ჭაბუკ /289v/ და ვჯედ სენაკსა შინა ჩემსა, არა მაქუნდა განწესებული ოდენ ჟამი ლოცვისათჳს და გალობისა, არამედ დღე და ღამე სწორ იყო მისთჳს.

2. კუალად თქუა: წარვედ ოდესმე ქალაქად განსყიდად ჭურჭლებისა[4] ჩემისა და ვიხილე, რამეთუ მომეახლებოდა მე[5] მრისხანებაჲ, დაუტევე ჭურჭლები იგი და ვივლტოდე[6].

XVI. ჰრქუა **მამამან იოსებ მამასა ლოთს**: ვერ ძალ-უც კაცსა მონაზონებაჲ, არათუ იქმნეს ყოვლითურთ ლამპარ.

XVII. იტყოდეს **მამისა აპოლოჲსთჳს**, ვითარმედ ჰყვა მოწაფჱ[7] სახელით **ისაკ**, განწურთილი ყოველსავე საქმესა[8] კეთილისასა. ამან მოიგო დუმილიცა და მყუდროებაჲ საკჳრველი. და ოდეს[9] გამოვალნ იგი მისლვად ეკლესიად, არავის შეუნდობდა უბნობად მისა, არამედ იყო სიტყუაჲ მისი ესე, ვითარმედ: ყოველივე კეთილ არს ჟამსა თჳსსა. და ოდეს განუტევიან ლოცვაჲ, ვითარცა ცეცხლისაგან მძაფრისა მლტოლვარე, მიისწრაფინ იგი სენაკად თჳსად. მრავალგზის უკუე მისციანცა ძმათა შემდგომად ეკლესიით გამოსვლისა პაქსიმადი და სასუმელი ღჳნისაჲ და მან არა მიიღის, არა თუ ევლოგიასა მას[10] განიშორებდა ძმათასა, არამედ მყუდროებასა მას იპყრობდა[11] ლოცვისასა[12]. დასნეულდა იგი ოდესმე ესოდენ, ვიდრეღა მივარდა ცხედარსა ზედა. და ესმა ძმათა მისთჳს და მივიდეს ხილვად მისა[13]. და ვითარცა სხდეს ძმანი, იწყეს კითხვად მისა[14] და ჰრქუეს: მამაო ისაკ, რაჲსათჳს ევლტი ძმათა[15], განეტეოს რაჲ ლოცვაჲ? ხოლო მან ჰრქუა მათ[16]: არა ვევლტი მე[17] ძმათა, ნუ იყოფინ, არამედ მანქანებათა ვევლტი ეშმაკისათა. და რამეთუ უკუეთუ

[1] აღპყრობილ] აღპყრობით D. [2] ~ იოანე მამაჲ C. [3] მას – D. [4] ჭურჭლებისა] ჴელთსაქმრისაD. [5] მე – D. [6] ვივლტოდე] ვივლტოდი D. [7] მოწაფჱ] მოწაფე CD. [8] საქმესა + ზედა D. [9] აქედან E ნუსახა კვლავ გრძელდება 179r-ზე. [10] მას – C. [11] იპყრობდა + და D. [12] ლოცვისასა] ლოცვასა D. [13] მისა] მისსა D. [14] მისა] მისსა D. [15] ძმათა] ძმათაგან C. [16] მათ – D. [17] მე – D.

ვისმე აქუნდეს ჴელთა სანთელი მნთებარე, და-თუ-იყოვნოს[1] ჰაერსა ქუეშე, დაევსების. ესრეთვე და ჩუენცა განვნათლდებით ჟამსა მას მსხუერპლისა მის[2] უბიწოჲსა შეწირვისასა. /290/ ხოლო დავყოვნოთ[3] თუ გარეშე[4] სენაკისა ჩუენისა, დაბნელდების გონებაჲ ჩუენი. ესევითარი იყო ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ისაკისი.

XVIII. გჳთხრა ჩუენ **მამამან კასიანე** ბერისა ვისთჳსმე, რომელი მკჳდრ იყო უდაბნოს, ვითარმედ ევედრა იგი ღმერთსა, რაჲთა მიჰმადლოს მას[5] ნიჭი ესე და არა ოდეს მიერულოს ჟამსა ლოცვისა[6], გინა სულიერისა უბნობისასა. ხოლო უკუეთუ რაჲმე მსოფლიოჲ ანუ უქმადმეტყუელებაჲ ისმოდის, რაჲთა მეყსეულად დაეძინოს და არა შევარდეს[7] სასმენელთა მისთა ცუდი სიტყუაჲ. ესე ნეტარი ბერი იტყოდა, ვითარმედ: ეშმაკი მოსწრაფე არს შემოღებად ცუდადმეტყუელებასა[8], ხოლო ყოვლისავე მოძღურებისა მტერი არს და მბრძოლი, რომელსა ამას ზედა სახეცა მოიღო ესევითარი, ვითარმედ: ვიტყოდე ოდესმე სარგებელისათჳს[9] სულისა[10] ძმათა მიმართ, რომელნი-იგი ესოდენ ღრმისა მიერ ძილისა შეპყრობილ იქმნნეს, ვიდრეღა ვერცა[11] თუ უძლეს ახილვაჲ თუალთაჲ. ხოლო მე ვინებე გამოცხადებად სივერაგეთა მტერისათა და ცუდი სიტყუაჲ შორის შემოვიღე, რომელსა ზედა მხიარულ იქმნნეს და მეყსეულად განიფრთხვეს, ხოლო მე სულთ-ვითქუენ და ვთქუ, ვითარმედ: ვიდრე მოაქამომდე[12] საქმეთათჳს ზეცათაჲსა ვზრახევდით და თუალნი თქუენ ყოველთანი ძილითა დამძიმდეს. და ოდეს სიტყუაჲ შორის შემოვარდა, ყოველთავე გულსმოდგინედ განიფრთხვეთ, რომლისათჳს გლოცავ და გევედრები, ძმანო, გულისჴმა-ვყოთ მანქანებაჲ ეშმაკისაჲ და განვაკრძალნეთ თავნი ჩუენნი ჰრულისაგან უდბებისა[13], ოდეს რაჲმე ითქუმოდის, გინა ისმოდის სიტყუაჲ რაჲმე სულიერი.

XIX. 1. ევედრა **მამაჲ პიმენ** ცრემლთა მიერ მჴურვალეთა **მამასა მაკარის** და ჰრქუა: მარქუ მე სიტყუაჲ, თუ ვითარ ვცხოვნდე. ჰრქუა მას ბერმან: საქმესა მაგას[14], რომელსა ეძიებ, წარვიდა აწ მონაზონთაგან.

2. /290v/ თქუა **მამამან მაკარი დიდმან**, ვითარმედ: უჴმს სულსა გულისსიტყუათა თჳსთა შეკრებად ლოცვასა შინა და გალობასა ლმობიერებით. და რაჲთა არარას სხუასა იგონებდეს, თჳნიერ მოლოდებასა ოდენ უფლისასა და იწურთიდეს სიყუარულსა მას მისსა გულსა შინა დანერგილსა[15] და[16] მისდა ოდენ შემსჭუალულ იყოს. და რაჲთა, ვითარცა

[1] და-თუ-ეყოვნოს C. 2 მის- E. [3] ~ თუ დავყოვნოთ D. [4] გარეშე] გარეგან C. [5] მას – C. [6] ლოცვისა] ლოცვისასა DE. [7] შევარდეს] შევიდეს C. [8] ცუდადმეტყუელებასა] ცუდისმეტყუელებასა C. [9] სარგებელისათჳს] სარგებელსა D. [10] სულისა] სულისასა D. [11] ვერცა] ვერცაღა D. [12] მოაქამომდე] მოაქამდე D. [13] უდბებისა] უდებებისა E. [14] მაგას] მასC. [15] დანერგილსა] დანერგულსა DE. [16] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 178r-ზე (აკინძვის შეცდომა).

დედაჲ შეჰკრებს შვილთა თჳსთა და სწავლის და შჯულს-უდებს[1], ესრეთვე სული შეჰკრებდეს განბნეულთა გულისსიტყუათა თჳსთა, ვითარცა შვილთა და დაღაცათუ ცოდვისა მიერ განიბნეოდინ[2] იგი, ძალსა თჳსსა სრულად აჩუენებდეს ერთად შეკრებისათჳს გულისსიტყუათაჲსა და მოელოდის უფალსა სარწმუნოებითა მტკიცითა, რაჲთა თჳთ იგი თავადი მოვიდეს და ასწავოს სულსა მას მისსა მოსურნესა ჭეშმარიტი და შეუმრღუეველი ლოცვაჲ ნებისაებრ მისისა და ჯერჩინებისა.

XX.1. თქუა **მამამან მოსე**: ვერ ძალ-უც კაცსა შესლვაჲ მჴედრობასა მას ქრისტჱსსა, უკუეთუ არა ყოვლითურთ ცეცხლ იქმნეს და შეურაცყოს პატივიცა და განსუენებაჲ და მოჰკუეთნეს ნებანი ჴორცთანი[3] და დაიმარხნეს[4] ყოველნივე[5] მცნებანი ღმრთისანი.

2. კუალად[6] თქუა: მოვიგოთ[7] კრძალულებაჲ, სიწმიდჱ[8], სიმშჳდჱ[9] და ღმრთისმსახურებაჲ და კეთილადმოსავობაჲ[10] და მშჳდობაჲ ყოველთა მიმართ კაცთა, რაჲთა ვითარ შეუძლოთ სივლტოლად დედასა მას ყოველთა ბოროტთასა – კადნიერებასა.

3. კუალად[11] თქუა: უჴმს კაცსა, რაჲთა მოაკუდინოს თავი თჳსი ყოვლისაგანვე საქმისა ბოროტისა პირველ განსლვადმდე მისა ჴორცთაგან და რაჲთა არავინ კაცთაგანი შეაწუხოს.

XXI. თქუა **მამამან ნისთერეონ,** ვითარმედ: უჴმს მონაზონსა და თანააც, რაჲთა ყოველთა მწუხრთა და დილათა სიტყუასა ჰყოფდეს თავისა თანა თჳსისა, თუ რაჲ ვქმენით, რომელი ჰნებავს ღმერთსა, ანუ რაჲ ვქმენით[12], რომელი არა სთნავს[13] ღმერთსა. და გჳჴმს, რაჲთა ყოლადვე და მარადის ამას ვზრუნვიდეთ და ამას ვიურვოდით ყოველთავე დღეთა ცხორებისა /291/ ჩუენისათა. და რამეთუ ესრეთ ცხოვნდა ნეტარი მამაჲ არსენი და ყოველნივე წმიდანი მამანი. ისწრაფე უკუე ყოველთა შინა დღეთა წარდგომად წინაშე ღმრთისა თჳნიერ ცოდვისა და ესრეთ ილოცევდ ღმრთისა მიმართ, ვითარმცა ახლავ[14] და გახლავს. და რამეთუ გუახლავს ჭეშმარიტად და თუალნი იგი ცხოველნი ხედვენ ყოლადვე ყოველსავე. ნუ დაუდებ შჯულსა[15] თავსა შენსა, ნუ განიკითხავ ნუვის, უცხო არს მონაზონისა განკითხვაჲ, ფიცი, ცრუფიცობაჲ, ტყუილი[16] და წყევაჲ და სიცილი, ხოლო რომელი უფროჲს ღირსებისა თჳსისა იქოს, გინა იდიდოს, ესევითარი იგი უმეტესადღა იზღვიოს.

---

[1] შჯულს-უდებს] სჯულს-უდებს D; სჯულსა უდებს E. [2] განიბნეოდინ] განიბნეოდენ D. [3] ჴორცთანი] ჴორციელნი C. [4] დაიმარხნეს] დაჲმარხნეს A. [5] ყოველნივე – D. [6] კუალად თქუა – D. [7] მოვიგოთ + ძმანო D. [8] სიწმიდჱ] სიწმიდე CD. [9] სიმშჳდჱ] სიმშჳდე CD. [10] კეთილადმოსავობაჲ] კეთილადმოსაობაჲ E. [11] კუალად თქუა] ხოლო D. [12] ვქმენით] ვქმნეთ E. [13] სთნავს] თნავს D. [14] ახლავ] ახლავს D. [15] შჯულსა] სჯულსა D. [16] ტყუვილი DE.

XXII. თქუა **მამამან ქსანთიას**[1]: ავაზაკი ჯუარსა ზედა[2] იყო და ერთისა მიერ სიტყუსა განმართლდა და იუდა მოციქულთა თანა აღრაცხილ იყო და ერთსა შინა ღამესა წარწყმიდა ყოველივე შრომაჲ თუსი და ზესკნელისაგან ცათაჲსა ქუესკნელსა მას შთაითხია[3] ჯოჯოხეთსა. ამისთუსცა ნუვინ კეთილად წარმართებულთაგანი იქადის და[4] რამეთუ ყოველნივე, რომელნიცა[5] ესვიდეს თავთა თუსთა, დაეცნეს.

XXIII. თქუა **მამამან ულიმპიოს**[6], ვითარმედ: შთამოვიდა ოდესმე მღდელი კერპთაჲ სკიტედ და მოვიდა სენაკად ჩემდა. და ღამესა მას მუნ დაიძინა[7] და ვითარცა იხილა მოქალაქობაჲ მონაზონთაჲ, მრქუა მე: უკუეთუ ესრეთ იქცევით სამარადისოდ, არარას ხილვასა იხილავთა ღმრთისა მიერ თქუენისა? და მე ვარქუ მას: არარას, მრქუა მე მღდელმან[8] კერპთამან: ჩუენ დასტურად ვჰმსახურებდეთ რაჲ ღმერთსა ჩუენსა, არარას დაჰფარავს ჩუენგან, არამედ გამომიცხადებს ჩუენ საიდუმლოთა[9] თუსთა. და თქუენ ესოდენთა შრომათა ჰყოფთ და მარხვითა და მღუძარებითა და დაყუდებითა და სხუთა[10] ყოვლითავე მოღუაწებითა ჰმსახურებთ ღმერთსა თქუენსა და იტყუ: არარას ვხედავთო[11] გამოცხადებასა. ნანდულვე, უკუეთუ არარას ხედავთ, გულისსიტყუანი სადმე /291v/ ხენეშნი და არაწმიდანი არიან გულთა შინა თქუენთა, რომელნი განგაშორებენ თქუენ ღმრთისაგან თქუენისა და ამისთუს[12] არა გამოგიცხადებს თქუენ საიდულოთა[13] მისთა. და წარვედ და მიუთხრენ ბერთა სიტყუანი იგი[14] კერპთა მღდელისანი, ხოლო მათ დაუკურდა[15] და თქუეს: ნანდულვე ჭეშმარიტად ესრეთ არს. და რამეთუ მწიკულევანნი გულისსიტყუანი განაშორებენ კაცსა ღმრთისაგან.

XXIV. 1. წარვიდა ოდესმე **მამაჲ პიმენ,** ჭაბუკ რაჲ იყო, ბერისა ვისამე[16] კითხვად სამთა გულისსიტყუათა. და ვითარცა[17] მიიწია ბერისა, დაჰვიწყდა ერთი სამთა მათგანი და უკუმოიქცა[18] სენაკად თუსად. და ვითარცა დასდვა ჴელი განსაღებელსა კარისასა, მოეჴსენა სიტყუაჲ იგი, რომელი დაჰვიწყდა და დაუტევა განსაღებელი კარისაჲ მუნვე, კუალადიქცა ბერისავე. ჰრქუა მას ბერმან: ადრე ჰყავ მოსლვაჲ შენი, ძმაო. და მან მიუთხრა, ვითარმედ: მივყავ რაჲ ჴელი მოღებად კლიტისა, მომეჴსენა სიტყუაჲ იგი, რომელსა ვეძიებდ და არღარა განვაღე კარი, ამისთუს ადრე მოვედ შენდა. ხოლო იყო სიშორე გზისაჲ მის დიდ ფრიად. ჰრქუა მას ბერმან: ანგელოზ ხარ შენ, პიმენ, და ითქუმოდის სახელი შენი ყოველსა ქუეყანასა ეგუპტისასა.

---

[1] ქსანთიას] ქსანთიოს C. [2] ზედა – C. [3] შთაითხია] შთაჲთხია AE. [4] და – E. [5] რომელნიცა] რომელნი C. [6] ულიმპიოს] ულომპიოს D. [7] დაიძინა] დაჲძინაA. [8] მღდელ-მან კერპთამან] კერპთა მღდელმან C. [9] საიდუმლოთა] საჲდუმლოთა AE. [10] სხუთა ყოვლითავე მოღუაწებითა – C. [11] ვხედავთო] ვიხილავთო C. [12] ამისთუს] მისთუს C. [13] საიდულოთა] საჲდულოთა AE. [14] იგი – E. [15] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 180r-ზე (აკინძვის შეცდომა). [16] ვისამე] ვისსამე D. [17] ვითარ E. [18] უკუმოიქცა] უკმოიქცა D.

2. იტყოდეს **მამისა პიმენისთჳს**, ვითარმედ: ოდეს ჰნებავნ მისლვაჲ ლოცვად, დაჯდის თჳსაგან მყოვარჟამ[1] და განიკითხავნ გულისსიტყუათა თჳსთა და ესრეთღა გამოვალნ იგი გინა[2] ეკლესიით, გინა სენაკით.

3. თქუა **მამამან პიმენ**: უკუეთუ ქმნეს[3] კაცმან ახალი ცაჲ და ახალი ქუეყანაჲ, ვერ ძალ-უც უზრუნველყოფად.

4. ბერმან თქუა, ვითარმედ: ჰკითხა ვინმე ოდესმე **მამასა პაესიოსს** და ჰრქუა: რაჲ უყო, მამაო, სულსა ჩემსა, რამეთუ უგუნურ არს[4] და არა ეშინის ღმრთისა?! ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და შეეყავ კაცსა ღმრთისმოშიშსა და მიეახლო რაჲ მას, გასწაოს შენცა[5] შიში ღმრთისაჲ.

5. /292/ თქუეს[6] **მამისა პიესიოსთჳს**, ვითარმედ: დაწყებაჲ დღისაჲ კმა არსო მიზეზად კეთილთა[7] დაწყებისა.

6. ჯდა ოდესმე **მამაჲ[8] ისაკ მამისა პიმენს[9]** თანა, და ისმა ჴმაჲ ქათმისაჲ და ჰრქუა მას: არსა ესე აქა, მამაო? ხოლო მან ჰრქუა: ისაკ, ისაკ, რაჲსა[10] მაიძულებ[11] სიტყუად შენდა, რამეთუ შენ და მსგავსთა შენთა გესმის ეგევითარი, ხოლო რომელი ფრთხილ იყოს და მღჳძარე, არცა ერთი რაჲ ესმის ჴმათაგან საწუთროჲსათა[12].

7. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: მარქუ[13] სიტყუაჲ, მამაო. ჰრქუა მას ბერმან: ოდეს ცეცხლი მძაფრი ეგზებოდის სიავსა ქუეშე, ვერ დაეახლების მას მუმლი ანუ თუ სხუაჲ რაჲმე ქუეწარმავალი. ხოლო ოდეს განგრლიდეს, მაშინ მიაკრბიან[14] ბუზნი. ესრეთვე უკუე არს მონაზონიცა, ვიდრემდის ეგოს სიმჴურვალესა[15] შინა[16] სულიერთა[17] საქმეთასა, ვერ ძალ-უც მტერთა დაცემად მისა.

8. კუალად თქუა: უკეთურებაჲ[18] კაცთაჲ უკუანაჲთ მათსა არს დაფარულ.

9. მრავალგზის იტყჳნ **ნეტარი პიმენ**, ვითარმედ: არარაჲ გჳჴმს სხუაჲ თჳნიერ ოდენ გული მართალი და წრფელი.

10. თქუა **მამამან პიმენ**, ვითარმედ: ძმამან ჰკითხა **მამასა სიმონს[91]** და ჰრქუა: უკუეთუ გამოვიდე სენაკით ჩემით და ვპოო ძმაჲ, რომელი შფოთებდეს, მეცა აღვშფოთნები მის თანა. და უკუეთუ ვპოო, რომელ[20] იცინოდის, მეცა ვიცინი მის თანა. და ოდეს შევიდე სენაკად ჩემდა, არღარა მაქუს იგივე განსუენებაჲ[21] გონებისაჲ[22], რომელი[23] პირველ. ჰრქუა მას ბერმან: და ვითარ ეგების ეგე, რაჲთამცა[24] გამო-რაჲ-ხუედ სენაკით შენით, მეშფოთეთა თანა შფოთებდი და მოცინართა თანა იცინოდე, და შე-

---

[1] მყოვარჟამ] მყოარჟამ C. [2] გინა – C. [3] ქმნეს] ქმნას D. [4] არს] არცა C. [5] ~შენცა გასწაოს D. [5] ~ შენცა გასწაოს D. [6] თქუეს – D. [7] კეთილთა] კეთილად D. [8] მამაჲ – D. [9] პიმენს] პიმენის DE. 10 რაჲსათჳსD; რასა E. [11] მაიძულებ] მაჲძულებ AE. [12] საწუთროჲსათა] საწუთოჲსათა D. [13] მარქუ + მე E. [14] მიაკრბიან + მას C. 15 სიმჴურვალესა] სიმჴურვალეთა C. 16 შინა] ზედა D. [17] სულიერთა] საღმრთოთა E. [18] უკეთურებაჲ] უძლურებაჲ C. [19] სჳმონს C. [20] რომელი CD. [21] ~ განსუენებაჲ იგივე D. [22] გონებისაჲ] გონებისა D. [23] რომელი] რომელ C. [24] რაჲთამცა] ვითარმცა C.

რაჲ-ხუედ სენაკად შენდა, ჰპოვემცა იგივე განსუენებაჲ და იყავ ვითარ[1] პირველ. ჰრქუა მას ძმამან: და რაჲ ჴამს[2], მამაო? მიუგო ბერმან და ჰრქუა მას: შინაკრძალულებაჲ და[3] გარეკრძალულებაჲ[4].

11. კუალად[5] თქუა: ჴმაჲ ესე ღაღადებს ყოველთა მიმართ კაცთა ვიდრე უკუანაჲსკნელად აღმოფშუნვადმდე, ვითარმედ: დღეს მოიქეცით!

12. /292v/ კუალად[6] თქუა: სამი ესე თავი არს უსაჴმარეს ყოვლისა: შიში უფლისაჲ[7] და ლოცვაჲ და კეთილისყოფაჲ მოყუსისაჲ.

13. თქუა[8] კუალად: ვერ ძალ-უც კაცსა[9] ხილვად გარეგნით, არამედ ოდეს შინაჲთ აღდგენ ბრძოლად[10], ხოლო უკუეთუ ვინ გონიერად ჰბრძოდის, განასხამს მათ გარევე.

14. კუალად[11] თქუა: არა განხილვაჲ წაღმართ საქმისაჲ არა მიტევებს ჩუენ წარმართებად უმჯობესისა მიმართ.

15. მანვე ჰრქუა **მამასა ანობს:** მიაქციენ თუალნი შენნი გარე, რაჲთა არა იხილო ამაოებაჲ და რამეთუ თავისუფლებაჲ მკვლელი არს სულისაჲ.

16. მანვე[12] თქუა: უკუეთუ ვინმე იჯმნეს[13] ყოვლისაგან ცილობისა და შფოთთაგან კაცობრივთა და ურვათა, მოვალს მას[14] ზედა სული ღმრთისაჲ[15] და მაშინ შეუძლებელს ნაყოფსა კეთილსა გამოღებად პირველად ბერწი იგი და უნაყოფოჲ სული.

17. მანვე[16] თქუა: დასაბამი და დასასრული არს შიში უფლისაჲ[17]. და რამეთუ ესრეთ წერილ არს: დასაბამი სიბრძნისაჲ არს შიში უფლისაჲ. და კუალად აბრაჰამ ოდეს აღასრულა შეწირვაჲ იგი მსხუერპლისაჲ, ჰრქუა მას უფალმან: აწ უწყი, რამეთუ გეშინის შენ ღმრთისა.

XXV. თქუა **მამამან პამბო**: მოწყალებითა ღმრთისაჲთა რაჲთგან მონაზონ ვიქმენ, არა შევინანე სიტყუასა ზედა, რომელსა იტყოდა პირი ჩემი.

XXVI. ჰკითხა ვინმე **მამასა პეტრეს, მოწაფესა[18] აბბა[19] ლოთისსა** და ჰრქუა: ოდეს სენაკსა შინა ვიყო ჩემსა, მშუდობით არს სული ჩემი, ხოლო ოდეს შემოვიდეს ძმაჲ და შემომართუნეს მე სიტყუანი უცხონი, მაშინ აღშფოთნების სული ჩემი. ჰრქუა მას მამამან პეტრე, ვითარმედ: იტყოდა მოძღუარი ჩემი მამაჲ ლოთ, ვითარმედ: კლიტე შენი განაღებს კარსა ჩემსა. ჰრქუა მას ძმამან: რაჲ არს სიტყუაჲ ეგე, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ ვინმე მოვიდეს შენდა, შენ ეტყჳ მას, ვითარ ხარ, ვინაჲ მოხუალ, ვითარ არიან ძმანი, წარგჴდა ვინ[20] მათგან ანუ არა და ესრეთ განაღებ კარსა ძმისა

---

[1] ვითარმედ C;ვითარი D. [2] ჴამს] ჯერ არს D. [3] და – D. [4] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 185r-ზე (აკინძვის შეცდომა). [5] კუალად თქუა-D. [6] კუალად თქუა] ხოლო D. [7] უფლისაჲ] ღმრთისაჲ E. [8] თქუა კუალად] რამეთუ D; კუალად თქუა E. [9] ~ კაცსა ვერ ძალ-უც E. [10] ბრძოლად] ბრძოლნი E. [11] კუალადთ ქუა] რამეთუ D. [12] მანვე თქუა] რამეთუ D. [13] იჯმნეს] იმჯნეს D. [14] მას] მის C. [15] ღმრთისაჲ] წმიდაჲ E. [16] მანვე თქუა] ხოლო D. [17] უფლისაჲ] ღმრთისაჲ DE. [18] მოწაფესა – CDE. [19] აბბა] მამისა CDE. [20] ვინ მათგან] ვინმე E ამათგანი D.

შენისასა და გესმის, /293/ რომელი არა გენებოს. და მან ჰრქუა მას: ესრეთ არს, მამაო. და რაჲ ყოს კაცმან, ოდეს მივიდეს[1] მისა[2] ძმაჲ? ჰრქუა მას ბერმან: გლოვაჲ ყოვლითურთ მოძღუარი არს[3] და სადა[4] არა არს გლოვაჲ, მუნ შეუძლებელ არს დაცვაჲ. ჰრქუა მას ძმამან: ოდეს სენაკსა შინა ვიყო, ჩემ თანა არს გლოვაჲ, ხოლო უკუეთუ ვინ მოვიდეს ჩემსა ანუ თუ გამოვიდე სენაკისაგან, ვერღარა ვჰპოებ მას. ჰრქუა მას ბერმან: არღა დამორჩილებულ არს იგი შენდა, არამედ ჟამეულად არს იგი შენ თანა. და რამეთუ წერილ არს შჯულსა, ვითარმედ: „უკუეთუ მოიგო მონაჲ ჰურიაჲ, ექუს წელ გმონოს შენ[5] და გმსახუროს, ხოლო მეშჳდესა განუტეო იგი თავისუფალი. ხოლო უკუეთუ შეჰრთო მას ცოლი და შვილ-ისხნეს სახლს შინა შენსა და არა ინებოს წარსლვაჲ ცოლისა ძლით და შვილთა, განიყვანო იგი კართა სახლისა შენისათა და განუკრიტო[6] მას ყური მისი[7] მარცხენე და იყოს მონად შენდა უკუენისამდე“[8]. ჰრქუა მას ძმამან[9] მან: რაჲ[10] არს სიტყუაჲ ეგე, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ დაშურეს კაცი რასაცა ზედა საქმესა ძალისაებრ, რასაცა ჟამსა ინებოს კმარებაჲ მისი, ეპოოს მას იგი. ჰრქუა მას ძმამან: ყავ სიყუარული, მამაო, და გან-რე-მიმარტე[11] სიტყუაჲ ეგე. ჰრქუა მას ბერმან: არცაღა უცხოჲ მოგებული შვილი დაადგრების ვის თანამე მონებად, არამედ რომელი[12] იყოს ბუნებით ჭეშმარიტად[13] შვილი, იგი არა დაუტეობს მამასა თჳსსა.

XXVII. 1. ჯდა ოდესმე **მამაჲ[14] სისოჲ** სენაკსა შინა თჳსსა და დაჰრეკა მოწაფემან მისმან კარსა, ხოლო ბერმან კმა-უყო შინაჲთკერძო[15] და ჰრქუა მას: ივლტოდე, რამეთუ ვერ მცალს აწ შემთხუევად შენდა.

2. ესევე **მამაჲ სისოჲ** ვედრებულ იქმნა ძმისა ვისგანმე ფრიად, რაჲთა ჰრქუას მას სიტყუაჲ, /293v/ ხოლო მან ჰრქუა მას: დაჯედ სენაკსა შინა შენსა მღჳძარედ და შეჰვედრე თავი შენი ღმერთსა[16] ცრემლთა მიერ მრავალთა და განისუენო.

3. ძმამან ჰკითხა **მამასა სისოჲს** და ჰრქუა: მამაო, მნებავს დაცვაჲ გულისა[17] ჩემისაჲ და ვერ ძალ-მიც. ჰრქუა მას ბერმან: ვითარ დავიცვათ გული ჩუენი და გონებაჲ, ვინაჲთგან ღიად არს პირი ჩუენი და ენაჲ.

XXVIII. 1. ჯდა ოდესმე **მამაჲ სილოვანე[18]** მთასა სინასა. და წარვიდა სამე საქმესა მოწაფე მისი ზაქარია და ჰრქუა ბერსა: განუტევე წყალი და

---

[1] მოვიდეს D. [2] მისა] მისსა D. [3] არს – D. [4] სადა] სადაცა D. [5] შენ – D. [6] განუკრიტო] განუკრიტოს D. [7] მისი- E. [8] ვტ.15,12. [9] ძმამან მან] ბერმან C. [10] რაჲ არს სიტყუაჲ ეგე, მამაო? ჰრქუა მას ბერმან – C. [11] გან-რე-მიმარტე] განმიმარტე DE. [12] რომელი] რაჲთა D. [13] ~ ჭეშმარიტად ბუნებით C. [14] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 182r-ზე (აკინძვის შეცდომა). [15] შინაჲთკერძო] შინაკერძო C. [16] ~ ღმერთსა თავი შენი D. [17] გულისა] გულისსიტყჳსა E. [18] ~ სილოვანე მამაჲ E.

მორწყე მტილი. ხოლო იგი გამოვიდა[1] და დაიბურა[2] პირი მისი კუნკულითა, რაჲთა არარაჲ იხილოს სხუაჲ თჳნიერ ოდენ გზაჲ ქუეშე ფერჴთა მისთა. ხოლო მოვიდა მისა[3] ძმაჲ ვინმე მასვე ჟამსა შინა. და იხილა იგი შორით და განიცადა, რაჲ-იგი ყო. და ვითარცა შევიდა სენაკად, ჰრქუა ბერსა: მითხარ მე, მამაო, თუ რაჲსათჳს დაიბურე პირი შენი კუნკულითა და ესრეთ ჰრწყევდი მტილსა. ჰრქუა[4] მას ბერმან: შვილო, რაჲთა არა იხილონ თუალთა ჩემთა ხევნარი იგი და შეექცეს გული ჩემი განცდად მისა[5] და დაუტეოს[6] შინაგანი იგი მუშაკობაჲ სულისაჲ და ცვულებაჲ გონებისაჲ.

2. ჰკითხეს ოდესმე **მამასა სილოვანეს** და ჰრქუეს: რომელი მოღუაწებაჲ ჰყავ, მამაო, რაჲთა მიიღო ეგევითარი ეგე ცნებაჲ[7] და მეცნიერებაჲ? ხოლო მან ჰრქუა მათ: არაოდეს უტევე სულსა შინა[8] ჩემსა გულისსიტყუაჲ, რომელიმცა განარისხებდა ღმერთსა.

3. მამამან მოსე ჰკითხა **მამასა სილოვანეს** და ჰრქუა: ძალ-უცა კაცსა რაჲ დღე დაწყებისა ყოფად[9]? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ იყოს მოღუაწე, ძალ-უც რაჲ ჟამცა დაწყებისა ყოფად.

XXIX. 1. თქუა **მამამან სერაპიონ:** ვითარცა მჴედართა მეფისათა ვერ ძალ-უც აქა და იქი მიმოხედვად[10], დგენ რაჲ წინაშე მეფისა, ესრეთვე კაცი წარდგეს რაჲ წინაშე ღმრთისა, უკუეთუ მას ოდენ ხედვიდეს /294/ მარადის, ვერ უძლებს მტერი შერყევად[11] მისა[12] და დაცემად.

2. ბერმან[13] თქუა: განვიფრთხოთ, ძმანო, განვიფრთხოთ, რამეთუ საცნობელთაგან ჩუენთა ვითარცა სარკუმელთა აღმოვლენ მპარავნი, დაღათუ არა გუენებოს.

3. მანვე თქუა: ჯერ არს ჩუენდა ყოლადვე წინაგანწყობაჲ მტერთა ჩუენთაჲ. და[14] რამეთუ გარეგნით გჳმზირიან და შინაკერძო აღიძრვიან და[15] რამეთუ სული ჩუენი ვითარცა სახედ არს ნავი, ოდესმე სამნაკეცთა მათგან ღელვათა გარეგნით შეიმუსრვის და ოდესმე[16] ანტლიაჲსა მისგან შინაგანისა დამძიმდების და დაინთქმის[17]. ესრეთვე სახედ შეგუემთხუევის ჩუენცა, ოდესმე გარეგანთაგან[18] ცოდვათა წარვწყმდებით და ოდესმე შინაგანთაგან გულისსიტყუათა ოჴერ ვიქნებით. ჯერ არს უკუე გარეგნით კაცთამიერსა მასცა კრძალვად სავნებელსა[19] და შინაკერძო ვნებათა მათ აღმოსხმად[20] გონებისათა[21].

---

[1] მოვიდა C. [2] დაიბურა] დაჲბურა AE. [3] მისა] მისსა D. [4] ჰრქუა] ჰკითხა C. [5] მისა] მისსა D. [6] დაუტეოს] დაუტეო D. [7] ცნებაჲ] ცნობაჲ CDE. [8] შინა – E. [9] ყოფად] ყოფაჲ D. [10] მიმოხედვად] მიხედვად E. [11] შერყევად] შეპყრობდ D. [12] ~ და დაცემად მისა C. [13] ბერმან თქუა – D. [14] და – D. [15] და – D. [16] ოდესმე] ოდეს D. [17] დაინთქმის] დაჲნთქმის AE. [18] გარეგანთაგან ცოდვათა] გარეგანთა ცოდვათაგან E. [19] სავნებელსა] სავნებელთაგან D. [20] აღმოსხმად] აღმოხმად C. [21] გონებისათა] გონებითა E.

4. მანვე თქუა[1]: შვილნო[2], ცხოვნებაჲ ყოველთა ვიცით, თუ[3] ვითარ ჯამს, გარნა უდებებისა მიერ დავაკლდებით ცხორებასა.

XXX. თქუა **ნეტარმან სჳნკლიტიკი[4]:** საყუარელნო, არა გუაქუს აქა უზრუნველობაჲ ვითარცა და წმიდაჲ წერილიცა იტყჳს: „რომელსა ეგონოს დგომის, ეკრძალენ, ნუუკუე დაეცეს!“[5] და რამეთუ უცნაურად[6] ვცურავთ ზღუასა შინა ამის სოფლისასა, ვითარცა-იგი და საღმრთომან მანცა მგალობელმან უწოდა სოფელსა ამას ზღუად, ხოლო კერძონიცა იგი ზღუათანი განყოფილებით არიან, რომელიმე არს ქვოანი, და რომელიმე არს მჴეცნარი, ხოლო სხუაჲ კუალად წყნარი-რე და მყუდროჲ. აწ უკუე ჩუენ რომელთა სახე ესე შეგჳმოსიეს, უმყუდროესსა-რე ვცურავთ კერძოსა ზღჳსასა. ხოლო ერისკაცნი ცურვენ უმეტეს მღელვარესა[7] კერძოსა[8] და კუალად ჩუენ დღისით[9] წიაღვალთ მზისა მის[10] მიერ სიმართლისა ძღომილნი, ხოლო ერისკაცნი ღამესა მას შინა ვლენან /294v/ სოფ/ლისა ამის შფოთთასა. გარნა ესე ეგების და შესაძლებელ არს მრავალგზის, რაჲთა ბნელსა მას შინა და ზამთარსა მღჳძარე იქმნენ ერისკაცნი და ნავი იგი მათი განარინონ ღელვაგუემულებისაგან და დანთქმისა. და კუალად ჩუენ მი-თუ-გუერულოს[11] უდებებითა, რაჲთა წყნარსა მას შინა და ნათელსა და დავანთქათ ნავი იგი სულისაჲ, უკუეთუ დაუტეოთ საჭჱ[12] იგი და ანკჳრაჲ სიმართლისაჲ[13].

XXXI. 1. თქუა **მამამან იპერექი[14]**: საგონებელ შენდა იყავნ ყოლადვე[15] და მარადის სასუფეველი ცათაჲ და ადრე დაიმკჳდრო[16] იგი.

2. მანვე[17] თქუა: ჰგავსმცა ცხორებაჲ მონაზონისაჲ ანგელოზთა, რომელნი-იგი დასწუვენ ცოდვათა.

XXXII. ჰრქუა[18] **მამამან ორ მამასა სისოჲს[19]**: ვჰგონებ, თუ არა შეიკრძალოს კაცმან ყოვლითა კრძალულებითა გული[20] თჳსი, ყოველივე რაოდენიცა[21] ესმის, დაჰვიწდების და მოვალს[22] უდებებად. და ესრეთ ჰპოებს მტერი მის შორის ადგილსა და დასცემს მას.

1. იყო ვინმე განშორებული კერძოთა იორდანისათა, რომელი იღუწიდა რაოდენთამე[23] წელთა. ამისდა მიემადლა ღმერთსა, რაჲთა არა ოდეს ებრძოლის[24] მას მტერი, ვიდრეღა ყოველნივე, რომელნიცა მივიდოდიან მისა[25] სარგებელისათჳს სულისა მათთაჲსა, აგინებნ ეშმაკსა, ჰყუედრინ და ეტყჳნ, ვითარმედ: არცა ერთი რაჲ ძალ-უც მას მოღუაწეთა მიმართ,

---

[1] მანვე თქუა – D. [2] შვილნო] შვილო D. [3] თუ – C. [4] სჳნკლიტიკი] სჳნკლიტიკე CE. [5] I კორ. 10, 11. [6] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 181r-ზე (აკინძვის შეცდომა). [7] მღელვარესა] მღელვარისა D. [8] კერძოსა] კერძსა D. [9] დღისით] დღისი C. [10] მის – D. [11] მი-თუ-გუერულოს] მიგუერულოს D. [12] საჭჱ] საჭე CD. [13] სიმართლისაჲ] სამართლისაჲ D. [14] იპერექი] იპერიქე DE. [15] ყოლადვე და მარადის-D. [16] დაიმკჳდრო] დაჲმკჳდრო AE. [17] მანვე თქუა] ხოლო D. [18] ჰრქუა] თქუა E. [19] სისოჲსთჳს E. [20] გული] თავი C. [21] რაოდენიცა] რავდენიცა C. [22] მოვალს] მოვალ D. 23 რაოდენთამე] რავდენთამე CD. 24 ებრძოლოს CD; ებრძოდის E. 25 მისა] მისსა D.

არა თუ მსგავსნივე[1] ვინმე მისნი პოვნეს ბილწნი და ყოლად ცოდვათა დამონებულნი. ვერ აგრძნა ესე ბერმან, თუ შეწევნითა ღმრთისაჲთა არს იგი[2] დაცვულ, რაჲთა არა ებრძოდის[3] მას მტერი, არამედ ჰგონებდა, თუ თჳსითა ძალითა უძლევიეს[4] მისდა. დღესა უკუე ერთსა გამოუჩნდა მას შენდობითა ღმრთისაჲთა პირისპირ ეშმაკი[5] და ჰრქუა: ბერო, რაჲ გიყავ შენ, რომელ ყოლადვე და მარადღჱ[6] მრცხი[7] გინებითა, ნუუკუე გაწყინე რაჲა, /295/ ანუ შეგაურვე შენ? და მან კუალადცა შეჰნერწყუა მას და მათვე სიტყუათა იჯუმევდა მისა მიმართ კდემისათა და ეტყოდა: წარვედ ჩემგან მართლუკუნ ეშმაკო, რამეთუ არარაჲ ძალ-გიც მონათა ზედა ქრისტესთა! ხოლო ეშმაკმან განუტევა კმაჲ ესევითარი და ჰრქუა მას[8]: ჰჱ, ჰჱ გიც შენ, ორმეოც წელი სხუაჲ დღეთაგან ცხორებისა შენისათა და ესოდენთა[9] ამათ შინა[10] წელთა ვერ ვპოოა[11] ერთი ჟამი დაცემად შენდა?! და ვითარცა წარმოსცალა სამსალაჲ იგი მაკუდინებელი, მეყსეულად უჩინო იქმნა. ესმა რაჲ ესე ბერსა მას[12], მეყსეულად შევარდა გულისსიტყუათა, იწყო თავსა შორის თჳსსა ურვად და იტყოდა: ესოდენნი[13] წელნი მქონან უდაბნოსა ამას შინა, რაჲთგან ვიჭირვი და განკაფულ ვარ და აწ კუალად ორმეოცი სხუაჲ წელიწადი ჰნებავსა[14] ღმერთსა სიცოცხლჱ[15] ჩემი. განვიდე უკუე აქაჲთ და წარვიდე სოფლად და განვისუენო[16] ძმათა თანა და მოყუასთა ჩემთა რაოდენთამე[17] წელთა და მერმე კუალად მოვიქცე და ვიწყო ჩემსავე მოღუაწებასა. და ვითარცა მოოდენ-იგონა ესე, მეყსეულად[18] გამოვიდა სენაკით თჳსით და გზასა[19] შეუდგა სოფლისასა, რაჲთა მოგონებული იგი საქმითცა აღასრულოს. ხოლო ვიდოდა რაჲ იგი[20] გზასა და არღა ფრიად შორს განშორებულ იყო საყოფლისაგან თჳსისა, და აჰა, ანგელოზი უფლისაჲ ,რომელი მოივლინა ღმრთისა მიერ წყალობააურაცხელისა შეწევნად მისა[21] და ჰრქუა მას: სადა წარმართებულ ხარ, ბერო? და მან თქუა: ქალაქად აღვალ. ჰრქუა მას ანგელოზმან უფლისამან: შეიქეც სენაკადვე შენდა და ნურად შეჰრაცხავ სიტყუათა მათ სატანაჲსთა, თჳნიერ გაქუნდინ თავი შენი ამიერითგან[22] მოკიცხულად მისგან. ხოლო ბერი მოეგო გონებასა თჳსსა[23], /295v/ უკუნ/იქცა სენაკადვე და დაყო სამი დღე და მესამესა დღესა აღესრულა.

2. ბერმან ვინმე იხილა ჭაბუკი მონაზონი, რამეთუ[24] იცინოდა და ჰრქუა მას: ნუ იცინი ძმანო, უკუეთუ არა, განიოტებ[25] შიშსა ღმრთისასა შენგან.

---

[1] მსგავსნივე ვინმე მისნი] მსგავსნი მათნივე C. [2] იგი – D. [3] ებრძოდის] ებრძოლოს E. [4] უძლევია E. [5] ~ ეშმაკი პირისპირ E . [6] მარადღჱ] მარადღე CD. [7] მრცხი გინებითა] მწყევ და მაგინებ D. [8] მას – E. [9] ესოდენთა] ესე ოდენთა D. [10] შინა – E. [11] ვპოოა] პოვაD. [12] მას-E. [13] ესოდენნი] ესე ოდენნი DE. [14] ჰნებავსა] ჰნებავს C. [15] სიცოცხლჱ] სიცოცხლე CD. [16] განვისუენო + მე C. [17] რაოდენთამე] რაოდენთა D. [18] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 184r-ზე (აკინძვის შეცდომა). [19] ~ შეუდგა გზასა სოფლისასა C. [20] იგი – D. [21] მისა] მისსა D. [22] ამიერითგან – C. [23] თჳსსა + და CD. [24] რამეთუ] რომელი CD. [25] განიოტებ] განუტეობ C.

3. ბერისა ვისთჳსმე იტყოდეს, ვითარმედ: ჯდა სენაკსა შინა თჳსსა და მივიდა ვინმე მისა[1] ძმაჲ ღამით და ესმოდა შინაკერძო ბრძოლაჲ, რამეთუ ეტყოდა: ჰჩ, კეთილ არს, გარნა ვიდრემდის წარვედ ამიერითგან აწ და შენ მოვედ, მეგობარო კეთილო. და ვითარცა შევიდა[2] ძმაჲ იგი, ჰრქუა ბერსა: მამაო, ვის ესაჯებოდე? ჰრქუა[3] მას ბერმან: ბოროტთა გულისსიტყუათა განვიოტებდი, ხოლო[4] კეთილთა მოუწოდდი.

4. ბერმან[5] თქუა: ოდეს დავდვა საკერავი ჩემი ქუე, არღარა მოველი აღებად მისა[6] შიშისაგან სიკუდილისა.

5. ბერმან[7] თქუა: რაოდენსაცა რას შეუძლე მიწუთომად[8], არღარა შევაქციე მეორედ.

6. ბერმან[9] თქუა: კაცსა, რომელსა აქუნდეს წინაშე მისა[10] სიკუდილი სამარადისოდ, სძლევს იგი მოწყინებასა.

7. ბერმან[11] თქუა: ოქროჲ უკუეთუ[12] ვინ წარწყმიდოს გინა ვეცხლი, ნუუკუე და[13] უძლოსცა პოვნად სხუასა, ხოლო უკუეთუ ვინ წარწყმიდოს ჟამი, სხუასა[14] ვერ ძალ-უც პოვნაჲ[15] ნაცვალად მისა.

8. ბერი ვინმე წარვიდა სხჳსა ბერისა და ვითარცა ზრახვიდეს ურთიერთარს, თქუა ერთმან მათგანმან, ვითარმედ: მომკუდარ ვარ მე სოფლისაგან. ჰრქუა მას სხუამან მან ბერმან: ნუ მიენდობვი[16], ძმაო, ვიდრემდის განხჳდე[17] ჴორცთაგან და რამეთუ შენ იტყჳ, ვითარმედ მომკუდარ ხარ[18], გარნა ეშმაკი არა მომკუდარ არს.

9. ბერმან თქუა: მჴედარნი ოდეს განვიდე[19] წყობად, არა ზრუნვენ სხუაჲ სხჳსათჳს, თუ ვინ[20] მოიწყლვის, არამედ თჳთოეული[21] თავისათჳს[22] თჳსისა. ესრეთვე უჴმს[23] ყოფად[24] მონაზონსაცა.

10. ბერმან[25] თქუა: ვითარცა ვერვის ძალ-უც ვნებად მისა[26], რომელი მახლობელად მეფისა მდგომარე იყოს, ესრეთვე[27] ვერარაჲ ძალ-უც ეშმაკსა ვნებად სულისა მის, რომელი მახლობელად ღმრთისა /296/ მდგომარე იყოს, რამეთუ[28] იტყჳს: „მომეახლენით მე და მოგეახლო თქუენ“[29]. გარნა ვინაჲთგან ადვილად მიმოგანვიბნევით, ადვილადცა აღიტაცებს მტერი სულთა ჩუენთა და შთაჰყრის[30] მათ ვნებათა შინა უპატიოებისათა.

11. ბერმან თქუა: ოდეს აღსდგე განთიად, არქუ თავსა შენსა: ჴორცნო, შუერით, რაჲთა გამოიზარდნეთ, სულო, განიფრთხვე, რაჲთა დაიმკჳდრო[31].

---

[1] მისა] მისსა D. [2] შევიდა] შეიწია C. [3] ჰრქუა მასბერმან –D. [4] ხოლო] და D. [5] ბერმან თქუა] და D. [6] მისა] მისსა D. [7] ~ თქუა ბერმან D. [8] მიწუთომად] მიწთომად E. [9] ბერმან] მანვე D. [10] მისა] მისსა D. [11] ბერმან თქუა] ხოლო D. [12] უკუეთუ ვინ] თუ ვუნმე D. [13] და – D. [14] სხუასა] სხჳსა D. [15] პოვნაჲ] პოვნად DE. [16] მიენდებვი C. [17] განხჳდე + სოფლისაგან და D. [18] ხარ+სოფლისაგან D. [19] განვიდეს] განვიდოდეს E. [20] ვინ] ვინმე D. [21] თჳთოეული] თითოეული E. [22] თავისათჳს] თავისა D. [23] უჴმნ D. [24] ყოფად – D. [25] ბერმან თქუა] რამეთუ D. [26] მისა] მისსა D. [27] ესრეთვე] ესრეთ D. [28] რამეთუ] და E. 29 ეს. 41,1. [30] შთაჰყრის] შთაჰჴდის E. [31] დაიმკჳდრო] დაჲმკჳდრო AE.

12. ბერისა ვისთჳსმე იტყოდეს ამას, ვითარმედ ოდეს[1] ჰრქჳს მას გულისსიტყუამან მისმან, ვითარმედ: მიუშუ[2] დღეს და ხვალე შეინანე. მან ჰრქჳს თავსა თჳსსა: არა, არამედ დღესა[3] შევინანო და ხვალე ნებაჲ ღმრთისაჲ იყავნ.

13. ბერთა თქუეს, ვითარმედ: სამნი არიან ძალნი ეშმაკისანი, რომელნი წინაუძღჳან ყოველთა ცოდვათა: დავიწყებაჲ, უდებებაჲ და[4] გულისთქუმაჲ, რამეთუ ოდეს მოვიდეს დავიწყებაჲ, შობს უდებებასა და უდებებისაგან მოვალს გულისთქუმაჲ, ხოლო გულისთქუმისაგან დაეცემის კაცი. და[5] რამეთუ უკუეთუ მღჳძარე იყოს გონებაჲ, არა მოვალს დავიწყებად და უკუეთუ არა მოვიდეს დავიწყებად, არა მოვალს უდებებად და[6] უკუეთუ არა მოვიდეს უდებებად, არა მოვალს გულისთქუმად და უკუეთუ არა მოვიდეს გულისთქუმად, არაოდეს დაეცემის მადლითა ქრისტესითა.

14. ბერმან თქუა: იღუაწე დუმილი და ნურარას ზრუნავ. შეიკრძალე წურთაჲ შენი და[7] მდგომარემანცა და მწოლარემან შიშითა ღმრთისაჲთა და არა შეგეშინოს შენ ზარტეხისაგან[8] უსჯულოთაჲსა.

15. ბერმან[9] ჰრქუა ძმასა ვისმე: ეშმაკი მტერი არს და შენ სახლი ძმაო. და მტერი არა ოდეს დასცხრების შემოყრად სახლსა შენსა ყოველსავე უშუერებასა, ვინაჲცა მისი შემოყრაჲ არს და შენი გაყრაჲ, უკუეთუ მცირედ-მცირედ დაეჩჳო გაყრასა[10], სძლო შენ ძალითა ქრისტესითა და ეგოს სახლი შენი წმიდად.

16. ბერი ვინმე იტყოდა, ვითარმედ: უკუეთუ არა პირველად დაუბურნენ /296v/ ჴარსა თუალნი საშიშსა რასმე ზედა მანქანასა, ვერ შეიყვანებენ. ესრეთვე და ეშმაკმან, არა თუ დაუბნელნეს თუალნი გონებისანი კაცსა, ვერ შთააგდებს მას ცოდვასა.

17. ბერნი ვინმე შჳდნი მსხდომარე იყვნეს მთასა მამისა[11] ანტონისსა და ჟამსა ბაიაჲსასა[12] სცვიდეს ნაყოფსა მას ხეთასა ერთ-ერთი. ხოლო[13] იყო მათ თანა ბერი ერთი და ოდეს მიხუდის ცვაჲ, ჴმობნ და იტყჳნ: განვედით გულისაგან უკეთურნი გულისსიტყუანი და ნაყოფისაგან ხეთაჲსა ივლტოდეთ მფრინველნი ცისანი.

18. ბერისა ვისთჳსმე იტყოდეს სკიტეს, ვითარმედ მოკუდებოდა[14]. გარემოადგეს ძმანი ცხედარსა მისსა და ბერი შემოსეს სქემითა და მათ იწყეს ტირილად. ხოლო ბერმან აღახუნა თუალნი თჳსნი და განიცინნა. და კუალად განიცინნა და მესამედ კუალად განიცინნა. ჰლოცვიდეს მას ძმანი[15]

---

[1] ოდეს – D. [2] მიუშუ] მიუშჳ D. [3] დღესა] დღესვე D. [4] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 183r-ზე (აკინძვის შეცდომა). [5] და] ხოლო D. [6] და უკუეთუ...უდებებად – C. [7] და – CDE. [8] ზარტეხისაგან] ზახებისაგან C. [9] ბერმან ჰრქუა ძმასა ვისმე] კულა D. [10] გაყრასა – D. [11] მამისა – D. [12] ბაიაჲსასა] ბაჲაჲსასა A. [13] ხოლო იყო მათ თანა ბერი ერთი – D. [14] მოკუდებოდა + რაჲ D. [15] ძმანი – E.

და ეტყოდეს: მამაო, გჳთხარ ჩუენ[1], თუ რაჲსათჳს ჩუენ ვტირთ და შენ იცინი? ჰრქუა მათ ბერმან: პირველად ამისთჳს განვიცინენ, რომელ ყოლად გეშინის სიკუდილისაგან. და[2] მეორედ ამისთჳს განვიცინენ, თუ[3] რად არა ხართ თქუენ მზა. ხოლო მესამედ განვიცინენ ამისთჳს, რამეთუ ჭირისაგან განსუენებად მივალ. და მეყსეულად დაიძინა[4] ბერმან.

19. თქუა ვინმე მამათაგანმან, ვითარმედ: იყო ვინმე მონაზონი სწავლული და მოკრძალე თავისაჲ. ხოლო შეემთხჳა მას მცირედ[5] უდებებაჲ. და უდებებასა მას შინა დაჰგმო თავსა თჳსსა და ეტყოდა: ვიდრემდის, სულო უბადრუკო, უდებ ხარ ცხორებისათჳს[6] შენისა და არა მოხუალ შიშად[7] საშჯელთაგან[8] ღმრთისათა. ვინ უწყის, ნუუკუე მოჰკუდე უდებებასა ამას შინა და მიეცე შენ სატანჯველთა მათ საუკუნეთა?! ამას[9] იტყოდა თჳსაგან და აღადგინებდა თავსა თჳსსა საქმესა ღმრთისასა. დღესა უკუე ერთსა აღასრულებდა იგი კანონსა ლოცვისა თჳსისასა და მივიდეს ეშმაკნი აღშფოთებად მისა. ხოლო მან ჰრქუა მათ: ვიდრემდის მაჭირვებთ მე[10], უკეთურნო, არა კმა-გეყვნესა გარდასულნი იგი დღენი /297/ უდებებისა ჩემისანი? ჰრქუეს მას ეშმაკთა: ოდეს შენ უდებ იყავ ჩუენდა მომართ, ჩუენცა უდებ ვიყვენით შენდა მომართ. და ოდეს აღსდეგ შენ ბრძოლად ჩუენდა, ჩუენცა აღვდეგით ბრძოლად შენდა. ესე რაჲ ესმა ძმასა მას, უმეტესადღა განემტკიცა[11] იგი და წარემართა საქმესა ღმრთისასა ძალითა და მადლითა ქრისტესითა.

20. ბერმან თქუა: უჯმს კაცსა, რაჲთა დაიცვას[12] ნამუშაკევი[13] თჳსი, რაჲთა არა წარწყმიდოს იგი და რამეთუ უკუეთუ შურეს ვინ დიად[14] და არა დაიცვას[15], რაჲ იყოს სარგებელი? და რამეთუ ფრიად უმჯობეს არს, შურეს თუ მცირედ და დაიცვას ნამუშაკევი თჳსი მტკიცედ. და მომითხრა ჩუენ ამისთჳს[16] სახეცა ესევითარი, ვითარმედ: ძმას ვისმე დაჰრჩა სამკჳდრებელი და ინება ყოფად სიყუარულსა[17] მიცვალებულისა მისთჳს. ხოლო მოიცალა ძმამან ვინმე უცხომან და მივიდა მისა და მან აღადგინა იგი ღამით და ჰრქუა: აღდეგ და შემეწიე მე. ხოლო ძმაჲ იგი ჰლოცვიდა მას და ეტყოდა: შენდობა ყავ ჩემთჳს, რამეთუ დამაშურალ[18] ვარ და ვერ ძალ-მიც. და მან ჰრქუა: უკუეთუ არა მოხუალ და შემწევ, აღდეგ და ხჳდოდე[19]. და აღდგა ძმაჲ იგი უცხოჲ და წარვიდა. ხოლო მომავალსა მას ღამესა იხილა მან ჩუენებით, ვითარმედ მიართუა[20] იფქლი თჳსი მეპურესა და არა მისცა მან მას[21] არცა თუ ერთიღა[22] პური. და აღდგა იგი და წარვიდა დიდისა ვისმე ბერისა და მიუთხრა მას ყოველივე. ჰრქუა მას ბერმან: კეთილი საქმე ჰქმენ, გარნა არა

---

[1] ჩუენ] შენ D. [2] და – E. [3] თუ – D. [4] დაიძინა] დაჲძინა AD. [5] ~უდებებაჲ მცირედ D. [6] ცხორებისაგან E. [7] შიშად] სჯად D. [8] სასჯელთაგან E. [9] ამას] მას D. [10] მე – C. [11] განემტკიცა +ძმაჲ D. [12] დაჲცვას A. [13] აქ E ნუსხა წყდება. [14] დიად] დიდად C. [15] დაიცვას] დაჲცვას A. [16] ამისთჳს] ამისთჳსცა D. [17] ~ სიყუარულსა ყოფად C. [18] დამაშურალ] მაშურალ C. [19] ვიდოდე C. [20] მიართუა + მან C. [21] მას – C. [22] ერთიღა] ერთი D.

გიტევა შენ მტერმან მიღებად სასყიდელსა. უჴმს უკუე კაცსა სიფრთხილჱ[1], რაჲთა დაიცვას[2] საქმე თჳსი.

21. ბერმან თქუა: არა ოდეს წარვდგი ნაბიჯი ფერჴისა ჩემისა[3], არა თუ პირველ განვიცადე[4], თუ სადა დავსდგამ ფერჴსა ჩემსა, არამედ ვდგი და ვიგონებდი, ვიდრემდის წარმიძღჳს მე უფალი.

22. ბერსა ვისმე წინადაადგა ეშმაკი ჟამსა ოდეს სულთა აღმოსლვისასა და ჰრქუა მას: /297v/ განმერია შენ ჴელთაგან ჩემთა? ჰრქუა მას ბერმან: არა უწყი ჯერეთ, ღმერთმან უწყის ყოველივე. ხედავთა, თუ სადამდე განკრძალულ იყვნეს ნეტარნი იგი მამანი და არცა ერთსა რას ზედა საქმესა[5] იქადდეს[6] ვიდრე სიკუდილადმდე.

23. ბერმან თქუა, ვითარმედ: იყო ვინმე ძმაჲ სკიტეს მოსწრაფჱ[7] მსახურებასა შინა თჳსსა, ხოლო სხუასა ყოველსა რას უდები. დღესა ერთსა გამოუჩნდა ბერთაგანსა ვისმე ეშმაკი და ჰრქუა მას: ჱ საკჳრველი, მას ვისმე მონაზონსა ღლიასა ქუეშე უპყრივარ და მაჭირვებს მე, რაჲთა არა წარვიდე მისგან და[8] დღითი დღე წარმოუდგების ღმერთსა და ეტყჳს: უფალო, მიჴსენ მე ბოროტისაგან.

24. ბერმან თქუა: ყოველსა ჟამსა და ყოველსა ზედა საქმესა იტყოდე, ვითარმედ: უკუეთუ მოხედვა ყოს აწ ღმერთმან[9], რაჲ ყოფად არს? და იხილე, თუ რასა-ძი მოგიგებს გულისსიტყუაჲ შენი და უკუეთუ განგიკითხვიდეს შენ, მეყსეულად დააგდე საქმე იგი, რომელი გაქუნდეს და აღიღე სხუაჲ, რომელსა მინდობილ იყო აღსრულებად მისა[10]. და რამეთუ ჯერ არს მუშაკისა, რაჲთა ყოველსა ჟამსა მზა იყოს წარსლვად გზასა თჳსსა და საქმესა. და დაღათუ ჴელთსაქმრად შჯდე, დაღათუ გზასა ხჳდოდი, დაღათუ პურსა სჭამდე, ყოლადვე იტყოდე სიტყუასა ამას, ვითარმედ: უკუეთუ მოხედვა-ყოს აწ ჩუენ[11] ზედა ღმერთმან და გჳწოდოს, რაჲ ყოფად არს? და განიხილე კეთილად[12], თუ რასა-ძი[13] მოგიგებს სჳნიდისი შენი და ისწრაფე ყოფად მისა ადრე, რასაცა გეტყოდის[14] და უკუეთუ გენებოს ცნობად, თუ ყო შენ თანა ღმერთმან[15] წყალობაჲ, ჰკითხე სჳნიდისსა შენსა და ნუოდეს დასცხრები ყოფად ამისა[16], ვიდრემდის გულსავსე იქმნეს გული შენი და სჳნიდისმან შენმან გრქუას შენ, ვითარმედ: მრწამს მოწყალებათა ღმრთისათაჲ, რომელ ყოს ჩუენ თანა წყალობაჲ. ხოლო ეკრძალე გულსა შენსა, ნუუკუე შიშით გეტყჳს სიტყუასა და რამეთუ უკუეთუ ორგულებდეს და სდრეკებოდის ვიდრე თმის ოდნადცა, შორს არს შენგან წყალობაჲ.

25. /298/ გჳთხრეს ჩუენ ბერთა, ვითარმედ: იყო ვინმე მონაზონი, რომელი

---

[1] სიფრთხილჱ] სიფრთხილე CD. [2] დაიცვას] დაჲცვას A. [3] ჩემისა] ჩემისაჲ D. [4] განვიცადი CD. [5] ~ საქმესა ზედა D. [6] იქადდეს] იქადოდეს C. [7] მოსწრაფჱ] მოსწრაფე CD. [8] და – D. [9] ~ ღმერთმან აწ CD. [10] მისსა D. [11] ჩუენ ზედა – D. [12] კეთილად] კუალად C. [13] რასაძი] რასა C. [14] გეტყოდის] იტყოდის D. [15] ~ ღმერთმან შენ თანა D. [16] ამისა] ამისასა D.

ევედრებოდა ღმერთსა, რაჲთა ღირს-ყოს იგი საზომსა ისაკ მამათმთავრისასა. და ვითარცა მრავლთა დღეთა ევედრებოდა ამას[1], მოიწია მისა ზეცით ჴმაჲ, რომელი ეტყოდა: ვერ ძალ-გიც მისლვად საზომსა ისაკისსა. და[2] მონაზონმან მან[3] თქუა: უკუეთუ ვერ ძალ-მიც მისლვად საზომსა ისაკისსა, ბარე იობის საზომსა მიმაწიე. ჰრქუა მას ჴმამან მან საღმრთომან: უკუეთუ ებრძოლო შენცა ეშმაკსა იობისებრ და სძლო, მიხჳდე საზომსა მისსა. ხოლო მონაზონმან მან აღუთქუა ყოფად ყოველივე. და კუალადცა ესმა ზეგარდმო ჴმაჲ იგი საღმრთოჲ, რომელმან ჰრქუა: წარვედ აწ სენაკად შენდა და განემზადე კეთილად. და აჰა ესერა, შემდგომად რაოდენთამე დღეთა შეიცვალა ეშმაკი სახედ მჴედრისა და მივიდა მონაზონისა მის და ჰრქუა[4]: მამაო, გევედრები სიწმიდესა შენსა, შემიწყალე მე დევნული ესე მეფისაგან და მიიღე ჩემგან ორასი ესე ლიტრაჲ დრაჰკანი და ქალი ესე და ყრმაჲ და დამიმარხენ სადა-ესე[5] ადგილსა ფარულსა[6]. ხოლო მე დავიხუეწო სადამე ჟამისად უცხოსა ქუეყანასა. ჰრქუა მას მონაზონმან, რამეთუ არა უწყოდა თუ მანქანებაჲ არს ეშმაკისაჲ: შვილო, ვერ ძალ-მიც დამარხვაჲ ამისი, რამეთუ მე გლახაკი ვინმე და მდაბალი კაცი ვარ და ვითარ ეგების ჩემგან დაცვაჲ ესოდენსა ამას ნამარხევსა. ხოლო რეცა მჴედარი იგი აიძულებდა[7] მონაზონსა დამარხვად მრავლითა ვედრებითა, მაშინ ჰრქუა მონაზონმან[8]: წარვედ, შვილო, და წარიღე საფასჱ[9] ეგე მახლობელსა იმას[10] კდლესა და დაჰფალ ეგე მას[11] ქუეშე. და ვითარცა წარემართა იგი დაფლვად, ჴმა-უყო უკუანა მისსა ბერმან და ჰრქუა: მომართუ, შვილო, ეგე[12] აქა, მომართუ! და მიიღო ოქროჲცა იგი, ქალი და ყრმაჲ დამარხვად, რამეთუ /298v/ მოიკიცხა ეშმაკისაგან. შემდგომად უკუე დღეთა რაოდენთამე შეექმნა ბრძოლაჲ მონაზონსა[13] ქალისა მის მიმართ, აღდგა მას ზედა და განხრწნა იგი. და შეუძნდა საქმე იგი, რომელი ქმნა, დასძინა ძჳრსა და მოკლა ქალი იგი. მერმე ჰრქუა მას გულისსიტყუამან: მოკალ[14] ყრმაჲცა ისი, რაჲთა არა განმცემელ გექმნეს და შემასმენელ საქმისა შენისა. აღდგა და მოკლა ყრმაჲცა იგი. მერმე კუალად ჰრქუა მას გულისსიტყუამან: აღიღე აწ საფასჱ[15] ეგე ნამარხევი და ივლტოდე სხუასა ადგილსა, რაჲთა არა მოვიდეს და გაწყინებდეს შენ, რომელმან-იგი მოგითუალა. აღდგა და წარვიდა იგი სხუასა ადგილსა და აღაშენა მუნ განძისა მისგან ეგუტერი და სენაკი. და ვითარცა განასრულა საქმე იგი, აჰა ესერა, მოვიდა სახითა მჴედრისაჲთა შემოსილი იგი ეშმაკი და იწყო ჴმობად და იტყოდა: ჱ ზღვევაჲლა ესე, ჱ ზღვევაჲ[16]! კაცნო[17], შეგუეწიენით, რამეთუ ამან მონაზონმან ნამარხევისა მისგან, რომელი

---

[1] ამას] მას C. [2] და მონაზონმან...ისაკისსა-D. [3] მან – D. [4] ჰრქუა + მას D. [5] სადა-ესე – D. [6] ~ ფარულსა ადგილსა C. [7] აიძულებდა] აჲძულებდა A. [8] მონაზონმან + მან D. [9] საფასე CD. [10] იმას] მას C. [11] მას] მის C. [12] ~ ეგე შვილო D. [13] ~ მონაზონსა ბრძოლაჲ C. [14] მოკალ] მოკლა D. [15] საფასჱ] საფასე CDE. [16] ზღვევაჲ – D. [17] კაცნო] ძმანო C.

მე მივეც, ესე ნაშენები აღაშენა. აღდგეს უკუე კაცნი მის ქუეყანისანი მზაკუვარსა მას ზედა მჴედარსა და ყოვლითა შეურაცხებითა წარიოტეს იგი მიერ. ხოლო იგი უთქუმიდა თქუმითა საშინელითა და ეტყოდა მონაზონსა: იგი მოვაწიო შენ ზედა, რომელი[1] არცა თუ ოდეს გონებასა მოგსულოდის! და განეშორა იგი მიერ და წარვიდა. ხოლო მონაზონსა არა აქუნდა დღე და ღამე განსუენებაჲ გულისსიტყუათაგან შფოთებისათა, რომელნი ჰგუემდეს სულსა მისსა და გონებასა, ვიდრემდის სძლო[2] მას[3] გულისსიტყუამან და დაარწმუნა, რაჲთა განეშოროს ადგილისა მისგან. და ეტყოდა თავსა თჳსსა: ამიერითგან განცხადნა საქმე შენი აქაცა, აწ აღიღე საფასჱ[4] ეგე, რომელი დაშთომილ არს და წარვედ სადა ქალაქსა შორსა, სადა-იგი მხედარსა მას[5] მოსლვად ვერ ძალ-ედვას. აღდგა უკუე და წარვიდა იგი ქალაქსა სამე[6] შორსა, /299/ რომელი მან კეთილად ჰგონა. და დაეცა მუნ ქალსა ერთსა თანა ასულსა ვისმე[7] მტარვალისასა. და შეეზრახა მამასა ქალისასა და შეირთო იგი ცოლად. შემდგომად[8] რაოდენთამე დღეთა, მოვიდა მუნ ახლად დადგინებული მთავარი მის ქუეყანისაჲ, ხოლო მამაჲ იგი ქალისაჲ მის მოკუდა, ვინაჲცა ძიება ყო მთავარმან თჳს-თჳსად რიცხუსა მსახურთა და მტარვალთასა. მაშინ ჰრქუეს მთავარსა[9] კაცთა მის ქუეყანისათა, ვითარმედ: არს ძუელითგანვე ჩუეულებაჲ ამის ქუეყანისაჲ, რაჲთა უკუეთუ მოკუდეს მსახურთაგანი ანუ მტარვალთაჲ, ვინ[10] შეირთოს ცოლი აღსრულებულისაჲ მის[11] გინა[12] ასული, იგი შევიდეს სამსახურსა მისსა ნეფსით გინა უნებლიეთ[13]. ჰრქუა მათ მთავარმან: და არს ვინა თქუენ შორის ესევითარი? ხოლო მათ ჰრქუეს: ჰჱ, არს რომელი ჰგავს, თუ მონაზონთა დასისაჲცა ყოფილ არს. ჰრქუა მათ მთავარმან: წარვედით და მოიყვანეთ იგი ჩემდა. და ვითარცა მიიყვანეს[14] იგი მთავრისა, აღუთქუა შერთვად[15] მსახურებასა მას დასასჯელსა საქმეთაგან შეწყუდეულმან[16]. უკუეთუ გრწამს ჩემი, ვერ უძლებ უცრემლოდ წარვლად[17] თხრობასა ამას მოწლებითა[18] ბუნებისაჲთა, რამეთუ რასაცა ვინ სასჯელსა და პატიჟსა შევარდებინ კაცთაგან მის ქუეყანისათა, იგი არნ მსახურ და ჰრლემს[19] ოდესმე მონაზონი იგი, ხოლო აწ მტარვალი უწყალოჲ. ეჰა უბადრუკებაჲღა ესე, რამეთუ მრავალგზის იბრძანებინცა იგი მთავრისაგან სიავთა აღდუღებად, ლანძუთა განჴურვებად და სხუათა მათ მრავალსახეთა სატანაჯველთა შემზადებად მათთჳს, რომელნი განსაკითხავსა მიეცნიან[20] სამსჯავროჲსასა. ვიდრეღა უკუე ამათ საქმეთა შინა იყო ახლად დაწესებული იგი მტარვალი, აჰა ესერა და სატანა სახითა მით მჴედრისაჲთა

---

[1] რომელი] რომელ C. [2] სძლო] სძლოს D. [3] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 186r-ზე. [4] საფასე CD, [5] მას] ამას E. [6] სამე] მას C. [7] ~ მტარვალისა ვისსამე C. [8] შემდგომად + უკუე C. [9] მთავარსა + მან D. [10] ვინ] ვინცა D. [11] მის – D. [12] გინა] ანუ C. [13] უნებლიეთ] უნებლიაჲთ DE. [14] მიიყვანეს] მოიყვანეს D. [15] შერთვად] შესლვაჲ D. [16] შეწყუდეულმან] შეწუხებულმან D. [17] წარსლვად D. [18] მოწლებითა] მოწყალებითა DE. [19] ჰრლემს] მტანჯველ D. [20] მიეცნიან] მიეცემიან D.

მოვიდა /299v/ და[1] იწყო ჴმობად და ზახილად ესოდენ სასტიკად, ვიდრეღა ერიცა[2] შეკრბა დიდძალი ჴმობისაგან მისისა, რამეთუ შეჰყიოდა მთავარსა და საბჭოსა ითხოვდა მავნებელისათჳს მისისა. მიხედნა მთავარმან რეცა მჴედარსა მას და ჰრქუა: დაიწყნარე[3], კაცო, გონებაჲ შენი და მოეგე თავად შენდა და გონიერად გუაუწყე შენთჳს ყოველივე და ნუ ესრეთ ჰყივ და ჰყეფ ძაღლებრ. მიუგო მედგარმან მან მჴედარმან მთავარსა და ჰრქუა: მტარვალი ესე, ჱ მთავარო, მონაზონი იყო ოდესმე და მტერთა ვიეთგანმე დევნულ ვიყავ მე და მივეც მაგას ნამარხევად ოქროჲ ფრიადი და ყრმაჲ მონაჲ ჩემი და ქალი ქალწული მჴევალი ჩემი. და აწ უბრძანეთ, რაჲთა მომცეს ნამარხევი ჩემი. ხოლო მთავარსა ესმა რაჲ ჴმაჲ ოქროჲსაჲ, გულსმოდგინედ ისმენდა თხრობასა მას შეძინებისა მიზეზითა. და იწყო გამოწულილვითა[4] კითხვად მონაზონისა მის, ხოლო აწ მტარვლისა[5], უკუეთუ სარწმუნო არიან და დასაჯერი სიტყუანი მჴედრისანი. ხოლო მან ჰრქუა, ვითარმედ: ეგრეთ იყო ეგე, გარნა შემდგომად რაოდენთამე დღეთა მოვიდა და ყოველივე ჴელთა მიუთუალე დაუკლებლად[6]. ჰრქუა მას მთავარმან: და გაქუსა[7] ჴელითწერილი მისი, ვითარმედ მიიღო შენგან ეგე ყოველი? ხოლო იგი შეიწრდა წერილისათჳს და უკუანაჲსკენელ იძულებულმან აღიარა სიკუდილი ყრმისაჲ მის და ქალისაჲ ჴელთა მიერ მისთა და წარგებაჲ და დალევნაჲ განძისაჲ მის. იხილა რაჲ მთავარმან, რამეთუ არარაჲ მიხუდების მისგან, ბრძანა განჩინებაჲ სიკუდილისაჲ მოწევნად უბადრუკსა მას ზედა მტარვალსა. მი-რაჲ-ჰყვანდა იგი ადგილსა მას სასიკუდინესა, აჰა ესერა, მჴედარი /300/ იგი, შემასმენელი მისი, მიეგება მას უბანთა ზედა და ჰრქუა: მიცნობა, მონაზონო, თუ ვინ ვარ მე? ხოლო მან მიხედნა და ჰრქუა[8]: ვჰგონებ თუ მჴედარი იგი ხარ, რომელი ბოროტად შეგისწავლე, რომელმან მომგუარენ მე ყრმაჲ[9] და ქალი და მოიღე საფასჱ[10] ნამარხევად. ჰრქუა მას მჴედარმან[11]: მე სამაელ ვარ და სატანა, რომელმან პირველდაბადებულიცა იგი ადამ შევაცთუნე და არავის შეუნდობ კაცთაგანსა ცხოვნებად, რაოდენ ჩემგან შესაძლებელ არს, არცა საზომსა ისაკ და იობისსა[12] აღსლვად, არამედ ყოველთასა ვისწრაფი, რაჲთა ვითარცა აქიტუფელ[13] იგი და იუდა ისკარიოტელი და კაინ და მოხუცებულნი იგი[14] ბაბილოვნისანი და სხუანი ყოველნივე[15] მსგავსნი მათნი წარვწყმიდენ. წარვედ უკუე აწ შენცა და ჩემმიერ თხზულებაჲ ზაკულებისაჲ თავს-იდევ, რომელმან ვერ ისწავლე ბრძოლაჲ და წყობაჲ უხილავი, ნუღარა უკუე ჰლაღოჲ და ზუაობ და მეტსა ძალისასა თხოვად შეჰკადრებ. და რამეთუ

---

[1] და – D. [2] ვიდრეღა ერიცა] ვიდრეცა ერი C. [3] დაიწყნარე] დაჲწყნარე A. [4] გამოწულილვითა] გამოწულილვით CE. [5] მტარვლისა] მტარვალსა CD. [6] დაუკლებლად] დაუკლებელად CD. [7] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 188r-ზე (აკინძვის შეცდომა). [8] ჰრქუა + მას C. [9] ~ ქალი და ყრმაჲ CE. [10] საფასჱ] საფასე CD. [11] მჴედარმან + მან D. [12] იობისსა] იაკობისსა C. [13] აქიტუფელ] აქიფოპელ D; აქიტობელ E. [14] იგი – D. [15] ყოველნივე] ყოველნი D.

იობსა[1] მასცა არარაჲ დავაკლე წყობად ჴელოვნებათაგან ჩემთა, რომელთაცა აღვსძრავ ყოლადვე ბრძოლად ყოვლისავე ნათესავისა კაცთაჲსა. ესე რაჲ თქუა და სხუაჲ უმრავლესი ამისა[2] ყოლადვე და მარადის მტერმან მან[3] და მბრძოლმან ნათესავისა ჩუენისამან[4], მეყსეულად უჩინო იქმნა. და დაითმინა[5] უბადრუკმან მან და საწყალობელმან მონაზონმან ჩამორჩობისამიერი[6] სიკუდილი და მოიკიცხა ეშმაკთაგან ზუაობისათჳს და ამპარტავანებისა. და აწ ჩუენცა განვეკრძალნეთ, ძმანო, უზეშთაესსა ძალისა ჩუენისასა თხოვად ღმრთისაგან და აღთქუმულებისა ყოფად, რომელსა ვერ ძალ-გუედვას საქმით აღსრულებად. კეთილ არს უფროჲსღა[7] და ფრიადცა კეთილ სლვაჲ გზასა მას[8] სამეუფოსა სიმდაბლისასა და /300v/ არა მიდრეკაჲ მარჯუულ გინა მარცხლ, რაჲთა შეუძლოთ განრომაჲ[9] დღეთა ამათ ბოროტებისა ჩუენისათა და პირისა მისგან ვეშაპისა მის განუძღომელისა მოწყალებითა ქრისტესითა[10].

26. მაუწყა[11] ჩუენ ესე[12] მოწაფემან დიდისა ვისმე ბერისამან, ვითარმედ: ვიდოდეთ ოდესმე ორნივე ზოგად მე და ბერი ჩემი. ხოლო ბერი ჟამად-ჟამად დადგებინ და მე ვარქუ მას: მამაო, წა-რე-ვლე მცირედ, ხოლო მან მრქუა მე: არა გისმენ შენ. და მე ვარქუა: რად, მამაო? და მან თქუა: მესმის, რამეთუ გალობენ ანგელოზნი ცათა შინა და მეჰამების ჴმაჲ იგი გალობისა მათისაჲ, ამისთჳს ნელიად ვიარები, რომლისათჳს ჩუენდაცა საჭმარ არს, შვილო, მღუძარებაჲ და ლოცვაჲ. და რამეთუ იტყოდა მამაჲ ანტონი, ვითარმედ: არარაჲსა უჭმს ზრუნვაჲ ყოლადვე მონაზონსა, თჳნიერ ოდენ სულისა ცხორებისა[13].

27. ბერმან თქუა: მცირითგან დიდადმდე რომელსა ვშურები, განვიცდი და ვგონებ მუშაკობისასა, თუ რასა გამოიღებს გინა გულისსიტყუათა, ანუ თუ საქმეთასა.

28. ორნი ვინმე[14] ფილოსოფოსნი მივიდეს ბერისა ვისსამე და ჰკითხეს მას, რაჲთა ჰრქუას მათ სიტყუაჲ ცხორებისაჲ. ხოლო ბერი დუმნა. კუალადცა უკუე აიძულეს[15] ბერსა ფილოსოფოსთა მათ და ჰრქუეს: არარას მომიგება ჩუენ, მამაო? მაშინ ჰრქუა მათ ბერმან: რამეთუ სიტყუათმოყუარენი[16] ხართ, ვიცი და ვითარმედ არა ჭეშმარიტებით ფილოსოფოსნი ხართ, ვწამებ, ვიდრემდის უკუე ისწავებთ მეტყუელებასა და არა უწყით, ვითარმედ საქმითცა ჯერ არს ქმნაჲ. წარვედით უკუე და ისწავეთ დუმილი და ჴსენებაჲ სიკუდილისაჲ და დაყუდებაჲ და შეკრძალვაჲ თავისაჲ.

29. ბერმან თქუა: მონაზონმან, რომელმან შემდგომად სოფლით გამოსლვისა მისცეს თავი თჳსი /301/ შფოთთა და ურვათა საძნაურისა ამის

---

[1] იობსა + და D. [2] ამისა] ამისსა D. [3] მან – D. [4] ჩუენისამან + და D. [5] დაითმინა] დაჲთმინა AE. [6] ჩამორჩობისმიერი] ჩამორჩობისა მიერ C. [7] უფროჲსღა] უკუე C. [8] მას – C. [9] განრომაჲ] განრომად E. [10] ქრისტესითა] ღმთისაჲთა E. [11] მაუწყა] გუაუწყა DE. [12] ესე – C. [13] ცხორებისა] ცხორებასა E. [14] ვინმე – C. [15] აიძულეს] აჲძულეს AE. [16] სიტყუათმოყუარენი] სიტყუათა მოყუარენი E.

და უბადრუკისა საწუთროჲსათა[1] და მიცემასა და მოღებასა შეექცეს, მსგავს არს იგი გლახაკსა მთხოველსა და კარითი კარად მრორინესა[2], რომელსამცა აკლნ ყოველივე საჭმარი ამის ცხორებისაჲ, რომელი-იგი მრავლისა მისგან ჭირისა და რუდუნებისა, თუ ვითარ გამოიზარდოს, ანუ თუ რაჲ შეიმოსოს, დასულბამცა[3] და მივარდა ძილად და ჰრულად და იხილამცა ძილსა შინა[4] თავი თჳსი მდიდრად და ბრწყინვალედ მოსილად, სამოსელთა მიერ ფერად-ფერადთა. მერმე[5] გა-მცა-ჰკრთა მას სიხარულისაგან და იხილა თავი თჳსი მასვე შინა[6] უკუანაჲსკნელსა[7] სიგლახაკესა და ჭირვეულებასა[8]. ესევე სახჱ ესრეთ შეემთხუევის მონაზონსაცა, უკუეთუ არა განიფრთხოს, არამედ უცბად და ამაოდ წარჰკდიდეს დღეთა თჳსთა და შფოთთა შინა და ურვათა წარიტყუენვის გულისსიტყუათაგან და მოიკიცხვის ეშმაკთაგან, რომელნი ჰბასრობენ მას და დაარწმუნებენ დაჯერებად, ვითარმედ ღმრთისათჳს არს აღძრვაჲ და ურვაჲ და შფოთებაჲ მისი და ჟამსა მას საშინელსა, ოდეს სული ჴორცთაგან განეშორებოდეს, ჰპოებს თავსა თჳსსა უბადრუკად და გლახაკად და მოქენედ და ნაკლულევანად ყოვლისაგანვე სათნოებისა. და მაშინღა სცნობს კეთილად, თუ რაოდენთა[9] კეთილთა მომატყუებელ არს სიმდაბლე და მყუდროებაჲ და თჳსაგან შეკრძალვაჲ თავისაჲ და თუ რაოდენთა სატანჯველთა მიზეზ არს შფოთებაჲ და ურვაჲ საწუთროჲსაჲ.

30. ბერმან[10] თქუა: იგონებდი ყოლადვე კეთილსა, რაჲთა იქმოდიცა მას, რამეთუ არარაჲ საგონებელთაგან კაცისათაჲ დაეფარვის ღმერთსა. და იყავნ გონებაჲ შენი წმიდა ყოვლისაგანვე ბოროტისა.

31. /301v/ ბერმან თქუა: განვიფრთხოთ, ძმანო, და მღჳძარე ვიქმნნეთ ჟამსა ბრძოლისა ჩუენისასა, დაუტეოთ წარმავალი და ვზრუნვიდეთ წა-რუვალისათჳს, ნუ შთამოვიყვანებთ გონებასა წურთად ბოროტთა გულის-სიტყუათა, ნუცა რას უკეთურებასა შეუშუებთ და უჯეროსა სულთა შინა ჩუენთა ოდესცა.

32. მანვე[11] თქუა კუალად: ვიღუაწოთ, ძმანო, მერმეთა მათთჳს კეთილთა და განვჰმზადნეთ თავნი ჩუენნი ამიერ[12] განსლვისათჳს და ნუ ცუდად გარდავჰკდით კნინთა ამათ და მცირეთა დღეთა და ჟამთა ამაოჲსა ამის ცხორებისა ჩუენისათა, არამედ ყოლადვე და მარადის ვევედრებოდით[13] უხუად მომნიჭებელსა წყალობათასა ღმერთსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე და სუფევაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

---

[1] საწუთროჲსათა] საწუთროჲსაჲთა E. [2] მრორინესა] მავალსა D. [3] დასულბამ-ცა] შესულბამცა D. [4] შინა + თჳსსა D. [5] მერმე გა-მცა-ჰკრთა] მერმემცა გაჰკრთა E. [6] შინა – E. [7] ~ უკუანაჲსკნელსა შინა C. [8] ჭირვეულებასა] ჭირვეულობასა D. [9] რაოდენთა] რავდენთა D. [10] ბერმან თქუა – D. [11] მანვე თქუა – D; ბერმან თქუა E. [12] ამიერ+სოფლით C. [13] ვევედრებოდით] ვევედრებით C.

თავი იგ

ვითარმედ ჯერ არს მოუკლებელად და მღჳძარედ ლოცვაჲ ყოლადვე და ყოველსა ჟამსა

გუაკურთხენ, მამაო[1]!

I. მამასა ანტონის ჰკითხა ძმამან სიტყუაჲ „ლევიტელთაგან“, ხოლო ბერი განვიდა უდაბნოდ. და შეუდგა მას ფარულად მამაჲ ამონა, რამეთუ იცოდა მან ჩუეულებაჲ მისი. და ვითარცა განეშორა ბერი ფრიად, დადგა ლოცვად, ჴმა-ყო და თქუა: ღმერთო, მოავლინე მოსე და მასწავე მე სიტყუაჲ ესე. და მოვიდა მისა[2] ჴმაჲ, რომელი იტყოდა მის თანა. თქუა უკუე მამამან ამონა, ვითარმედ: მესმოდა ჴმაჲ იგი, რომელი მეტყუელებდა[3] მის თანა, ხოლო ძალი სიტყვისაჲ მის ვერ ვცან.

II. მამისა არსენისთჳს იტყოდეს, ვითარმედ: შაბათსა მიმწუხრი, რომელი განთენდების[4] წმიდად კჳრიაკედ, დაუტევის მზჱ[5] უკუანაჲთ მისა[6] და აღიპყრნის ჴელნი /302/ ზეცად და დადგის ლოცვად, ვიდრემდის კუალად აღმოჰჴდის მზჱ[7] პირისპირ მისა და ესრეთღა დაჯდის.

III. მამასა აგათონს ჰკითხა ძმამან და ჰრქუა: რომელი[8] სათნოებაჲ არს, მამაო, ყოველთა შინა მოქალაქობათა, რომელსა უჴმს უმეტესი შრომაჲ? ჰრქუა მას ბერმან: შემინდვე, ძმაო, მე ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ არარაჲ არს ესრეთ საშრომელ, ვითარ ლოცვაჲ ღმრთისა მიმართ. და რამეთუ ყოველივე მოქალაქობაჲ, რომელი ქმნეს კაცმან, უკუეთუ დაიყოვნოს[9] მას შინა, ჰპოებს განსუენებასა, ხოლო ლოცვასა ვიდრე უკუანაჲსკნელად აღმოფშჳნვადმდე[10] შრომაჲ უჴმს ამისთჳს, რამეთუ ოდეს ინებოს კაცმან ლოცვაჲ ღმრთისა მიმართ, ჴელ-ჰყოფენ ეშმაკნი დახრწევად მისა, რამეთუ იციან, ვითარმედ მიერ მოგუეცემის ჩუენ ყოველივე[11] კეთილი და მიერ

---

[1] მამაო, გუაკურთხენ D. [2] მისა] მისსა D. [3] მეტყუელებდა] იტყოდა C. [4] განთენდების] განთენდებოდა C. [5] მზჱ] მზე CDE. [6] მისა] მისსა D. [7] მზჱ] მზე CD. [8] რომელი] რაჲ D. [9] დაიყოვნოს] დაჲყოვნოს A. [10] აღმოფშჳნვადმდე] აღმოფშჳნვამდე D. [11] ყოველივე] ყოველი D.

მოუძლურდების ყოველივე ძალი მათი. ამისთჳს საჭმარ არს მოღუაწებაჲ დიდი ლოცვისათჳს ვიდრე აღსასრულადმდე[1] ჩუენდა.

IV. მამისა ბესარიონის მოწაფემან მამამან დულას[2] გჳთხრა ჩუენ ესე, ვითარმედ: მივედ ოდესმე სენაკსა ბერისასა და ვპოვე იგი[3], რამეთუ დგა ლოცვად და ჴელნი მისნი აღპყრობილ იყვნეს ზეცად მიმართ. ხოლო დაყო ამას შინა ათოთხმეტი[4] ოდენ დღე. და შემდგომად ამისა ჴმა-მიყო მე და მრქუა: შემომიდეგ მე. და განვედით და წარვედით უდაბნოდ. და ვითარცა ვიდოდეთ უდაბნოთა მათ შინა, მომეწყურა მე და ვარქუ ბერსა: მამაო, მწყურის. და აღიღო ბერმან მალაკი ჩემი და განმეშორა[5] ქვისსატყორც[6] ოდენ, ყო ლოცვაჲ და მომართუა მე იგი სავსჱ[7] წყლითა. ხოლო სლვასა მას შინა[8] ჩუენსა მივემთხჳვით ქუაბსა რასმე და შე-რაჲ-ვედით მას შინა, ვპოვეთ ძმაჲ ვინმე, რომელი ჯდა და /302v/ თხზ/ვიდა ბაიასა[9]. და არა მომხედნა ჩუენ[10], არცა მომიკითხნა, არცა ყოლად ინება ჩუენ თანა სიტყჳსა ყოფად. და ბერმან მრქუა მე: გუალე, წარვიდეთ აქაჲთ, რამეთუ არა გულსავსე იქმნა ბერი მოკითხვად ჩუენდა და სიტყუად ჩუენ თანა. და გამოვედით მიერ და ვვლეთ[11] ჩუენ უდაბნოჲ იგი, ვიდრემდის მოვიწიენით მამისა იოანესა[12] და მოვიკითხეთ იგი და ვყავთ ლოცვაჲ და დავსხედით. და იწყო სიტყუად მამამან ბესარიონ გამოცხადებისა მისთჳს, რომელი იხილა, ვითარმედ განჩინებაჲ გამოჴდა, რაჲთა დაემჴუნენ საკერპონი, რომელიცა-იგი იქმნა და დაემჴუნეს. ხოლო უკუმო-რაჲ-ვიქეციით[13] ჩუენ და მივედით კუალად ქუაბსა მას, სადა-იგი ვიხილეთ ძმაჲ, მრქუა მე ბერმან: შევიდეთ და ვიხილოთ იგი. და ვითარცა შევედით, ვპოვეთ იგი რამეთუ აღსრულებულ იყო. და მრქუა მე ბერმან: მოვედ და შევმუროთ[14] ძმაჲ ესე, და რამეთუ[15] ამისთჳს მომავლინნა[16] ჩუენ ღმერთმან. და ვითარცა ვჰკაზმევდით მას, რაჲთა დავჰმარხოთ, ვპოვეთ, რამეთუ ბუნებით დედაკაცი იყო იგი. და დაუკჳრდა ბერსა და თქუა: ხედავა[17], თუ ვითარ დედანიცა მჴნდებიან ბრძოლასა მას და წყობასა ეშმაკისასა უდაბნოთა შინა, ხოლო ჩუენ ქალაქთა შინა და სოფელთა ვითრევებით. ვადიდეთ უკუე ღმერთი, რომელი ყოლადვე და მარადის[18] შემწე არს და ჴელისამპყრობელი[19] ყოველთავე მეძიებელთა და მოყუარეთა მისთაჲ და განვეშორენით მიერ და წარვედით სენაკად ჩუენდა.

V. 1. ნეტარსა ეპიფანე კჳპრელ მთავარეპისკოპოსსა მიუმცნო მამამან მონასტრისა მისისამან, რომელი აქუნდა პალესტინეს, ვითარმედ: ლოცვითა შენითა არა უდებ ვართ კანონსა ჩუენსა, არამედ მოსწრაფედ აღვასრულებთ

---

[1] აღსასრულადმდე] აღსასრულამდე D. [2] დულას] დოლას CDE. [3] ~ რამეთუ იგ იE . [4] ათოთხმეტი] ათორმეტი C. [5] განმეშორა + მე C. [6] ქვისსატყორც] ქვისა სატყორც D. [7] სავსჱ] სავსე CDE. [8] შინა – E. [9] ბაიასა] ბაჲასა AD. [10] ჩუენ + და E. [11] ვვლეთ] ვლეთ A. [12] იოანესა] იოვანესა D. [13] უკუ-მორაჲ-ვიქეციით] უკუმოვიქეციით რაჲ C. [14] შევმუროთ] შევმოსოთ CE. [15] რამეთუ – D. [16] მომავლინნა] მოგუავლინნა E. [17] ხედავა] ხედავ D. [18] მარადის – D. [19] ჴელისამპყრობელი] ჴელისამპყრობელ D.

ჟამსა სამჭმისა[1], შუვადღისა[2] და ცხრაჲჟმისასა. ხოლო მან აბრალა და /303/ მიუმც/ნო ესრეთ, ვითარმედ: საცნაურ არს, რომელ სხუანი იგი[3] ჟამნი დღისანი უდებ-გიყოფიან და უქმ ხართ ლოცვისათჳს. და რამეთუ ჭეშმარიტსა მონაზონსა უჴმს, რაჲთა სამარადისოდ და მოუკლებელად აღასრულებდეს ლოცვასა და გალობასა თჳსსა გულითა და გონებითა.

2. მანვე თქუა: დავით წინაწარმეტყუელი უჟამოდ ილოცვიდა, შუვაღამე[4] აღდგებოდა, პირველ განთიადისა აღიმსთობდა, განთიად ევედრებოდა, მწუხრი, დილეულ და სამხრად ილოცვიდა, ამისთჳსცა იტყოდა: „შჳდ გზის დღესა შინა გაქებდი[5] შენ, უფალო!“[6]

VI. ბერმან თქუა: უკუეთუ მოგიჴდეს შენ გულისსიტყუაჲ, მბრძოლი გონებისაჲ, ეკრძალე, რაჲთა არა სხუაჲ სხჳსა წილ ითხოო[7] ლოცვასა შინა, არამედ მბრძოლისა მის[8] მიმართ აღლესე მახჳლი იგი ცრემლთაჲ.

VII. მამაჲ მოსე წარვიდა ოდესმე ვსებად წყლისა და პოვა მამაჲ ზაქარია, რამეთუ ილოცვიდა ჯურღმულსა მას ზედა და სული ღმრთისაჲ განსუენებულ იყო თავსა ზედა მისსა.

VII. თქუა **მამამან ესაია**[9], ვითარმედ, წარვიდა ოდესმე მამაჲ **ისიდორე პილუსიელთა**[10] ხუცესი ძმათა თანა სიყუარულსა ეკლესიას. და ვითარცა ჭამდეს და ზრახვიდეს ურთიერთარს, შეჰრისხნა მათ და ჰრქუა: დადუმენით, ძმანო, რამეთუ ვიცი ძმაჲ, რომელი ჭამდა ჩუენ თანა და სუმიდა რაოდენსა სასუმელსა მივიღებთ ჩუენ და ლოცვაჲ მისი აღვიდოდა წინაშე ღმრთისა ვითარცა ცეცხლი.

VIII. მამისა იოსებისა[11] წარვიდა[12] ოდესმე **მამაჲ ლოთ** და ჰრქუა მას: მამაო, ძალისაებრ ჩემისა ვჰყოფ მცირესა მას ლოცვასა ჩემსა და კნინსა მას[13] მარხვასა და წურთასა და დაყუდებასა. და ძალისაებრ[14] გულსაცა[15] განვიწმედ უკეთურთაგან გულისსიტყუათა, რაჲღა თანამაც ყოფად სხუაჲ? აღდგა ბერი და[16] აღიპყრნა ჴელნი თჳსნი ზეცად და იქმნნეს ათნივე თითნი მისნი /303v/ ვითარცა ათნი ლამპარნი ცეცხლისანი და ჰრქუა მას: უკუეთუ გნებავს, იქმენ ყოვლითურთ ვითარცა ცეცხლ[17].

IX. მამაჲ იაკობ გჳთხრობდა ამას, ვითარმედ თქუა ვინმე ბერთაგანმან: ოდეს ვიყავ ჭაბუკ, მკჳდრ ვიყავ[18] უდაბნოს და მაქუნდა მახლობელად ჩემსა ყრმაჲ, რომელი თჳსაგან იყოფებოდა. დავხედენ უკუე ოდესმე მას[19] და ვიხილე იგი, რამეთუ ილოცვიდა და ითხოვდა ღმრთისაგან, რაჲთა მშჳდობა ყოს მის შორის და მჴეცთა. და შემდგომად ლოცვისა იყო მუნ აფთარი

---

[1] სამჭმისა] სამჟმისასა C. [2] შუვადღისა] შუადღისა E. [3] იგი – C. [4] შუვაღამე] შუაღამე E. [5] გაქებდი] გაქებდე D. [6] შდრ. ფს. 118,164. [7] ითხოო] ითხოოს D; ითხოვო E. [8] მის – C. [9] ესაია] ესაჲა A. [10] პილუსიელთა] პილოსელთა C; პილოსაელთ aD; პილოსიელთა E. [11] იოსებისა] იოსებისასა C; იოსებისსა E. [12] წარვიდა ოდესმე] წარვიდოდა ოდეს D. [13] ამას D. [14] ძალისაებრ + ჩემსა C. [15] გულსაცა + ჩემს C. [16] და – D. [17] ცეცხლ] ცეცხლი CD. [18] ~ ვიყავ მკჳდრ C. [19] მას – D

მახლობელად და აწოებდა[1] შვილთა თჳსთა, წარვიდა ყრმაჲ იგი და შეუყო თავი აფთარსა მას და წოვდა იგიცა მართუეთა თანა მისთა. კუალად სხუასა ჟამსა ვიხილე იგივე ყრმაჲ, რამეთუ ილოცვიდა და ითხოვდა ღმრთისაგან და იტყოდა: უფალო, მომმადლე მე მეგობრობაჲ ცეცხლისაჲ. და აღაგზნა[2] საჴუმილი ცეცხლისაჲ და შორის ცეცხლსა მას იყრიდა მუჴლთა და თაყუანის-სცემდა მეუფესა.

X. მამისა ლუკიოჲსა[3], რომელი მკჳდრობდა ენატას[4], მივიდეს ოდესმე მონაზონნი, რომელთა მლოცავ ეწოდების[5], ჰკითხა მათ ბერმან და ჰრქუა: რაჲ არს ჴელთსაქმარი თქუენი, ძმანო? ხოლო მათ ჰრქუეს: ჩუენ ყოლად[6] არა ვეძიებთ ჴელთსაქმარსა, არამედ ვითარცა მოციქული იტყჳს[7], მოუკლებელად ვილოცავთ. ჰრქუა მათ ბერმან: და არა შჭამთა? და მათ თქუეს: ჰჱ, ვჭამთ. და არა დაიძინებთ? ჰჱ, დავიძინებთ. ჰრქუა მათ ბერმან: ოდეს უკუე სჭამდეთ, გინათუ გეძინოს ვინ ილოცავს თქუენთჳს? და ვერ პოვეს, თუ რაჲ მიუგონ ამისთჳს. მაშინ ჰრქუა მათ ბერმან: შემინდვეთ მე, რამეთუ არა ჰყოფთ[8], ვითარ-ეგე იტყჳთ, ხოლო მე გიჩუენო თქუენ საქმე ეგე[9], თუ ვითარ არს, გინა[10] ვითარ ილოცვების /304/ სამარადისოდ. აჰა ესერა, დავჯდები ჴელთსაქმარსა ჩემსა შეწევნითა ღმრთისაჲთა და ვთხზვიდე რაჲ ბაიასა[11], ვიტყჳ: შემიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აჰოცე უსჯულოებაჲ ჩემი. არსა ესე ლოცვაჲ ანუ არა? და მათ ჰრქუეს: ჰჱ, არს. ჰრქუა მათ ბერმან: ვშურები ჴელთსაქმარსა ამას ჩემსა და ვილოცავ დღე ყოველ და აღვიღებ ჴელთსაქმრითა ჩემითა დღით[12] უფრო ანუ უმცრო[13] ათექუსმეტსა[14] დრამასა და ათსა მას დავიყენებ ჴელთსაქმრად და საზრდელად თავისა ჩემისა და ექუსსა მას დრამასა გავსცემ[15] გარე გლახაკთა. და რომელთა იგი მიიღონ დრამაჲ, ილოცვენ იგინი ჩემთჳს, ვჭამდე თუ გინა მეძინოს. და მადლითა ღმრთისაჲთა აღესრულების ჩემ ზედა[16] სიტყუაჲ ეგე, ვითარმედ: მოუკლებელად ილოცვიდით.

XI. მამასა მაკარის ჰკითხეს ვიეთმე, თუ ვითარ თანაგუაც ლოცვაჲ. ჰრქუა მათ ბერმან: არად საჭმარ არს მრავლისმეტყუელებაჲ, არამედ აღპყრობაჲ ჯერ არს ჴელთაჲ[17] ზეცად და თქუმაჲ: უფალო, ვითარცა გნებავს და ვითარცა იცი, შემიწყალე მე. ხოლო უკუეთუ ბრძოლაჲ იყოს: უფალო, შემწე მეყავ! და მან თავადმან უწყის უმჯობესი ჩუენი და ჰყოფს ჩუენ თანა წყალობასა.

XII. მამამან მოსე თქუა: არა თუ შეესწოროს საქმე ლოცვასა, ცუდად შურები. ჰკითხა მას სხუამან და ჰრქუა: რაჲ არს შესწორებაჲ საქმისაჲ

---

[1] აწოებდა] აწუებდა E. [2] აღაგზნა] აღეგზნაC. [3] ლუკიოჲსა] ლუკიანესსა D; ლკიოჲსსა E. [4] ენატას] ენატის E. [5] ეწოდების] ეწოდებოდა C. [6] ყოლად] ყოლა E. [7] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 130r-ზე (აკინძვის შეცდომა). [8] ვჰყოფ C. [9] იგი C. [10] გინათუ C. [11] ბაიასა] ბაჲასა A. [12] დღით – D. [13] უმცრო + დღით D. [14] ათექუსმეტსა] თექუსმეტსა D. [15] განვსცემE. [16] ზედა] ზედაცა C. [17] ~ჴელთაჲ ჯერ არს C.

ლოცვასა თანა? ჰრქუა მას ბერმან: რაჲთა რომლისათჳს-იგი ვილოცვიდეთ[1], თუ გჳჰსნან, არღარა ვიქმოდით მას. რამეთუ[2] რაჟამს კაცმან დაუტევნეს[3] ნებანი თჳსნი და შეუდგეს ქმნად ნებასა ღმრთისასა, მაშინ დაეგების მას ღმერთი და ისმენს ლოცვათა მისთა. /304v/

XII. თქუა **მამამან ნილოს:** რაოდენიცა რაჲ ძჳრი მიაგო ბოროტის-მყოფელსა შენსა, ყოველივე დასაბრკოლებელ შენდა იქმნეს ჟამსა ლოცვისასა.

2. მანვე[4] თქუა: სიწრფოებისა და ურისხველობისა რტოჲ არს ლოცვაჲ.

3. მანვე თქუა: წამალი არს[5] ძლიერი ლოცვაჲ, განმაქარვებელი ყოვლისავე ჭირისა[6] და მწუხარებისაჲ.

4. მანვე[7] თქუა: წარვედ და განყიდე ყოველივე მონაგები შენი და განუყავ გლახაკთა და აღიღე ჯუარი და უარ-ყავ[8] საწუთროჲ, რაჲთა შეუძლო უშფოთველად ლოცვაჲ.

5. მანვე თქუა: ყოველივე სათნოებაჲ, რომელიცა ჰქმნე, ნაყოფსა მისსა ჟამსა ლოცვისასა ჰპოვებ.

6. მანვე[9] თქუა: უკუეთუ გსურის ლოცვისათჳს ვითარცა ჯერ არს, ნუ შეაწუხებ სულსა, უკუეთუ არა, ცუდად ჰრბი[10].

7. მანვე[11] თქუა: ნუ გნებავს ესრეთ, ვითარცა შენ გინდეს, არამედ ვითარცა ენებოს ღმერთსა შენთჳს განგებაჲ, იგი ჯერ-გიჩნდინ[12] და იყო განსუენებულ და მადლიერ ლოცვასა შინა შენსა.

XIII. მამასა პიმენს ჰკითხა ძმამან და ჰრქუა: კეთილ არსა, მამაო, ლოცვაჲ? ჰრქუა მას ბერმან: მამაჲ ანტონი იტყოდა, ვითარმედ ჴმაჲ ესე გამოვალს პირისაგან უფლისა და იტყჳს: ჰლოცევდით ერსა ჩემსა, ჰლოცევდით, თქუა უფალმან. ჟამთა მათ ივლიანე განდგომილისათა, ოდეს-იგი წარვიდა სპარსეთს, წარმოავლინა ეშმაკი მოსწრაფებით დასავლეთს, რაჲთა მი-რაჲმე-ართუას[13] ჰამბავი[14] მუნით[15]. და[16] ვითარცა მიიწია ეშმაკი იგი ადგილსა ერთსა, სადა-იგი[17] დამკჳდრებულ იყო მონაზონი, დაადგრა შეუძრველად[18] ვითარ ათ დღე ოდენ და ვერ უძლო წარსლვად ამისთჳს, რამეთუ შეეკრნეს ჰაერნი მონაზონსა მას და არა დასცხრა ლოცვისაგან, არცა დღით და არცა ღამით. /305/ და უკუნიქცა ცუდად და უსაქმოდ ეშმაკი იგი მომავლინებელისავე[19] თჳსისა. ჰრქუა მას ივლიანე: რაჲსათჳს დაგეყოვნა? მიუგო[20] ეშმაკმან: და და-ცა-მეყოვნა და უქმადცა მოვედ, რამეთუ ველოდე ათ დღე პოპლიონს ვისმე მონაზონსა, რაჲთა დასცხრეს

---

[1] ვილოცვიდეთ] ვილოცევდით E. [2] რამეთუ] რაჲთა CD. [3] ~დაუტევნეს კაცმან D. [4] მანვე თქუა] რამეთუ D. [5] ~ ძლიერი არს E. [6] ჭირისა] ჭირისაჲ D. [7] მანვე თქუა] ამისთჳს წერილ არს D. [8] უვარ-ყავ D. [9] მანვე თქუა – D. [10] ჰრბი] შურები D. [11] მანვე] კუალად D. [12] ჯერ-გიჩნდინ] ჯერ-გიჩნდენ E. [13] მი-რაჲმე-ართუას] მი-რაჲმე-ართუან C. [14] ჰამბავი] ჰანბავი C. [15] ~ მუნით ჰამბავი D. [16] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 125r-ზე (აკინძვის შეცდომა). [17] სადა-იგი] სად აC. [18] შეუძრველად] შეუძლებელად D. [19] მომავლინებელისავე] მოვლინებულისავე D. [20] მიუგო] და ჰრქუა E.

ლოცვისაგან და წარვლო და არა დასცხრა იგი ლოცვისაგან, ამისთჳსცა ვერ უძლე წარვლად[1], არამედ უქმად[2] უკუმოვიქეც[3]. მაშინ განრისხნა უღმრთოჲ ივლიანე და თქუა: უკუმოვიქცე[4] რაჲ[5], ვიძიო შური ჩემი მისგან. და მცირედთა შინა დღეთა მოიკლა იგი განგებითა ზეგარდამოჲთა და მეყსეულად ერთმან მთავართაგანმან, რომელი იყო მის თანა, განუყო ყოველი მონაგები თჳსი გლახაკთა და წარვიდა მამისა პოპლიოჲსა[6] და ჴელთაგან მისთა წმიდათა შეიმოსა სახჱ[7] მონაზონებისაჲ და იქმნა იგი[8] მოღუაწე დიდ და მონაზონ რჩეულ და ძილი იგი მართალთაჲ დაიძინა[9] უფლისა მიერ.

XIV. მამასა სისოჲს ჰკითხა ძმამან და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, ვითარ ვცხოვნდე, ანუ ვითარ სათნო-ვეყო ღმერთსა? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ ნანდჳლვე გნებავს სათნოყოფაჲ ღმრთისაჲ[10], იჯმენ სოფლისაგან, კიდე იქმენ ქუეყანისაგან, დაუტევენ დაბადებულნი და შეუდეგ დამბადებელსა, და ლოცვისა მიერ და ცრემლთა შემსჭუალე თავი შენი ღმერთსა და ჰპოო განსუენებაჲ აქაცა და მერმესა მას საუკუნესა.

XV. მამისა ტითოჲსთჳს იტყოდეს, ვითარმედ უკუეთუ არა ადრე-ადრე შთამოიხუნის ჴელნი თჳსნი ქუე, ოდეს დადგის[11] ლოცვად, აღტაცებულ იქმნის გონებაჲ მისი ზეცად და უკუეთუ ვინ მივიდის[12] /305v/ მისა ძმაჲ და ილოცავნ მას თანა, მოსწრაფე იყვის შთამოხუმად ჴელთა ქუე, რაჲთა არა აღტაცებულ იქმნეს გონებაჲ მისი ზე და დაეყოვნოს.

1. ბერისა ვისთჳსმე იტყოდეს, ვითარმედ: მივალნ იგი ძმისა ვისამე[13] სკიტეს ოთხსა თუესა ზედაჲსზედა და ვერცა ერთ ჟამ პოვა იგი მოცალედ[14] ლოცვისაგან. დღესა უკუე ერთსა აღდგა და წარვიდა მისა[15] და დადგა კარსა გარეგნით და მოელოდა დაცადებასა და ესმოდა ჴმაჲ ტირილისა მისისაჲ, რამეთუ იტყოდა: უფალო, არა შევალსა[16] ლოცვაჲ ჩემი ცოდვილისაჲ ყოლად წმიდათა სასმენელთა შენთა, რაჲთამცა შემიწყალე, ანუ თუ მრავალნი იგი ცოდვანი ჩემნი აყენებენ მას შემოსლვად შენ წინაშე?! ამას იტყჳნ და სამარადისოდ ტირნ და იგლოვნ იგი.

2. განშორებულმან ვინმე მონაზონმან იხილა ეშმაკი, რომელი უბრძანებდა[17] სხუასა ეშმაკსა განღჳძებად მონაზუნისა მძინარისა და ესმოდა ბერსა სხჳსაჲ[18] მის, რამეთუ ეტყოდა: ვერ ძალ-მიც ყოფად ეგე, რამეთუ განვაღჳძე ოდესმე და აღდგა და დამწუა მე ლოცვისა მიერ და გალობისა.

3. ბერთა თქუეს, ვითარმედ: სარკჱ[19] არს მონაზონისა[20] ლოცვაჲ.

4. ბერთაგანი ვინმე იტყოდა, ვითარმედ: ვითარცა შეუძლებელ არს წყალსა შინა მრღჳესა განცდაჲ ხატისა თჳსისაჲ, ესრეთვე სულმან არა თუ განიწმიდოს თავი თჳსი უცხოთაგან საქმეთა, ვერ ძალ-უც ლოცვად.

---

[1] წარვლად] წარსლვად CD. [2] უქმად – D. [3] უკმოვიქეც D. [4] უკუმოვიქცე] უკუეთუ მოვიქცე D. [5] რაჲ –D. [6] პოპლიოჲსა] პოპლიოჲსსა DE. [7] სახჱ] სახე CD. [8] იგი – D. [9] დაიძინა] დაჲძინა AE. [10] ღმრთისაჲ] ღმრთისა D. [11] ~ ლოცვად დადგის D. [12] მივიდის] მოვიდის CD. [13] ვისამე] ვისსამე D. [14] მოცალედ] მოცალე C. [15] მისა] მისსა D. [16] შევალსა] შევალს E. [17] უბრძანებდა] ობრძანებდა D. [18] სხჳსაჲ] სხჳსა D. [19] სარკჱ] სარკე CDE. [20] ~ ლოცვა მონაზონისაჲ D.

5. ბერნი იტყოდეს ძმისა ვისთჳსმე, ვითარმედ: არაოდეს განეშორა იგი ჴელთსაქმრისაგან თჳსისა და ლოცვაჲ მისი სამარადისოდ[1] აღვიდოდა წინაშე ღმრთისა. ხოლო იყო ძმაჲ იგი დაშნ[2] და მდაბალ ფრიად.

6. ბერმან თქუა: ოდეს დაიცვას[3] კაცმან თავი თჳსი, რაჲთა არარაჲ ავნოს[4] მოყუასსა, მაშინ შეიწირვის ლოცვაჲ მისი წინაშე ღმრთისა. /306/ ხოლო უკუეთუ ავნოს რაჲმე[5] მოყუასსა, ლოცვაჲ მისი საძაგელ და შეუწირავ იქმნების, რამეთუ სულთქუმაჲ ვნებულისაჲ მის მისგან არა უტევებს ლოცვასა მის[6] მავნებელისასა შესლვად წინაშე ღმრთისა.

7. ბერმან[7] თქუა: უკუეთუ შურებოდი ჴელთსაქმარსა შენსა სენაკსა შინა შენსა და მოვიდეს ჟამი ლოცვისაჲ, ნუ იტყჳ, და-ხოლე-ვასრულო მცირე ესე ჴელთსაქმარი და ესრეთ ვილოცო. არამედ აღდეგ ჟამსა და ჟამსა და მიეც ღმერთსა[8] ვალი ლოცვისა შენისაჲ. უკუეთუ არა, მცირედ-მცირედ[9] დაეჩჳო უდებებასა ლოცვისათჳს და მსახურებისა შენისა და იქმნეს ოჴერ სული შენი ყოვლისაგანვე[10] საქმისა სულიერისაცა[11] და ჴორციელისა და რამეთუ აღ-რაჲ-სდგე განთიად, მაშინვე გამოჩნდების[12] გულმოდგინებაჲ შენი.

8. მანვე თქუა: უკუეთუ გესმას ვისთჳსმე, ვითარმედ გაგინა და მერმე მოვიდეს შენდა, ნუ აცნობებ მას, თუ ყოლად გასმიეს, ნუცა უჩუენებ პირსა შეჭმუნვილსა[13], არამედ მხიარულითა პირითა მიეგებე მას, რაჲთა გაქუნდეს კადნიერებაჲ ლოცვასა შინა შენსა.

9. ბერმან ვინმე გჳთხრა ჩუენ ესე[14] ძმისა ვისთჳსმე, რომელი მკჳდრ იყო ეგჳპტეს, ვითარმედ: ვიდოდა ოდესმე ძმაჲ იგი გზას[15] და ვითარცა შეუღამდა, შევიდა სამაროანსა, რაჲთა დაიძინოს[16] მუნ სიცივისათჳს. და ვითარცა წარჰვლიდეს ეშმაკნი მიერ, ჰრქუა ერთმან მეორესა: ხედავა რაბამიღა[17] კადნიერებაჲ აქუს მონაზონსა იმას და თუ სადა წევს საფლავსა შინა, გუალე, და შევაშინოთ იგი. მიუგო მეორემან და ჰრქუა მას: რასა ვაშინებთ მაგას, რამეთუ ეგე ჩუენი არს და ჩუენთა ნებათა მოქმედი, ჭამს და სუამს და ძჳრისმეტყუელებს[18] /306v/ და ლოცვასა თჳსსა უდებ-არს. რაჲსათჳს უკუე ცუდად შევექცევით მაგას ზედა? გუალე, წარვიდეთ და მაჭირვებელთა ვაჭირვოთ ჩუენთა, რომელნი-იგი სამარადისოდ მბრძვანან ჩუენ და მწყევენ დღე და ღამე ლოცვისა მიერ.

10. ბერმან[19] თქუა: ხოლო ჩუენ[20] ვადიდებდეთ მამასა[21] და ძესა და წმიდასა სულსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ, სიმტკიცე[22] და სუფევაჲ აწ და მარადის და[23] უკუნისამდე, ამინ!

---

[1] სამარადისოდ] სამარადისოდ – C. [2] დაშნ] მშჳდ D. [3] დაიცვას] დაჲცვას AC. [4] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 187r-ზე (აკინძვის შეცდომა). [5] ~ რაჲმე ავნოს D. [6] მის მავნებელისა] მავნებელისასა C. [7] ბერმან თქუა] ხოლო D. [8] ღმერთსა – CD. [9] მცირედ-მცირედ] პირველად C. [10] ყოვლისაგანვე] ყოვლისაგან C. [11] სულიერისაცა] სულიერისა CD. [12] გამოჩნდების] გამოუჩნდების D. [13] შეჭმუნვილსა] შეჭმუნვებულსა C. [14] ესე – D. [15] გზას] გზასა DE. [16] დაიძინოს] დაჲძინოს A. [17] რაბამიღა] რაჲბამიღა E. [18] A ნუსხაში მთარგმნელის ანდერძი: „ბერსა კლიმის შეუნდვენ ღმერთმან, ამინ!“. 19 ბერმან თქუა – D. [20] ჩუენ –D. [21] მამასა ... არს] ღმერთსა ჩუანსა D. [22] სიმტკიცე და სუფევაჲ აწ და მარადის და უკუნისამდე] ყოლადვე აწ და ყოველთა საუკუნეთა D. [23] და+უკუნითი E.

თავი იდ

ვითარმედ გვჰმს და თანაგუაც უცხოთმოყუარებაჲ და მოწყალებაჲ სიხარულით

გუაკურთხენ[1], მამაო[2]!

I. მამამან აპოლო თქუა შეწყნარებისათჳს ძმათაჲსა, ვითარმედ: ჯერ არს მომავალთა ძმათა მოკითხვაჲ და თაყვანისცემაჲ, რამეთუ არა თუ მათ, არამედ ღმერთსა თაყუანის-ვსცემთ, ვითარცა იტყჳს: იხილო ძმაჲ შენი, იხილო ღმერთი შენი, და კუალად აბრაჰამისგან გუაქუსვე ესე, ოდეს-იგი აიძულებდა[3] შეწყნარებისა[4] და განსუენებისათჳს და კუალად ლოთისგანცა ვისწავებთ ამას, ოდეს-იგი აიძულა[5] ანგელოზთა სტუმრობად.

II. იტყოდა **ნეტარი ეპიფანე,** ვითარმედ: ფრიად ადვილად მიჰყიდის ღმერთი სიმართლესა, რომელთაცა ისწრაფონ მოსყიდად მცირედ პურის ნატეხად, უნდოდ შესამოსლად[6], ერთ სასუმლად წყლად, /307/ ერთ ფოლად, დიდებაჲ სახიერებათა და წყალობათა ღმრთეებისა მისისათა! ხოლო არა კმა-ჰყოფს ამას ოდენ, არამედ სხუასა უაღრესსა[7] ქველისმოქმედებასა[8] დასძინებს, რამეთუ კაცმან კაცისაგან უკუეთუ რაჲმე ივალოს სიგლახაკისათჳს და ჭირისა, დაღათუ მადლიერ იყოს, ფარულად მიართუამს ვალსა მას და ვახშსა, რამეთუ ჰრცხუენის. ხოლო მეუფჱ[9] ღმერთი არა ესრეთ იქმს, არამედ ფარულად ივალებს მცირესა და უნდოსა და წინაშე ყოველთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა[10] და ნეტარისა მის კრებულისა მართალთაჲსა მისცემს უხუებით გამოუთქუმელთა[11] მათ კეთილთა, ვინ-მე იტყოდის ძლიერებათა შენთა, უფალო, და სასმენელ ყვნეს ქებულებანი დიდებულებისა შენისანი?!

---

[1] ~ მამაო გუაკურთხენ D. [2] მამაო] უფალო E. [3] აიძულებდა] აჲძულებდა A. [4] შეწყნარებისა და განსუენებისათჳს] შეწყნარებისათჳს და განსუენებისა E. [5] აიძულა] აჲძულა A. [6] შესამოსლად] შესამოსელად D. [7] უაღრესსა] ვაღრესსა CD. [8] ~ ქველისმოქმედებასა უაღრესსა E. [9] მეუფჱ] მეუფე CD. [10] მთავარანგელოზთა] მთავა-რანგელოსთა CD. [11] აქ E ნუსხა წყდება.

III. აღვიდა ოდესმე **მამაჲ დანიელ** მოწაფითურთ თჳსით ალექსანდრიად. და იხილა ბერმან კაცი ვინმე ბრმაჲ და შიშუელი, რომელი იდვა უბანთა ზედა და იტყოდა: მოგუეცით, შეგჳწყალენით. ჰრქუა ბერმან მოწაფესსა თჳსსა: ხედავა უთუალოსა იმას, გეტყჳ შენ, დიდისა საზომისაჲ არს კაცი ესე და უკუეთუ გნებავს, მე გიჩუენო შენ და განგიცხადო, დაადგერ შენ აქა და მელოდე. და წარვიდა ბერი და ჰრქუა მას: ყავ სიყუარული ჩემ ზედა, ძმაო, რამეთუ არა მაქუს, თუ[1] რაჲ ვიყიდო ბაიაჲ[2] და ვშურებოდი ჴელთსაქმარსა ჩემსა და ვიზარდებოდი. ჰრქუა მას უთუალომან: რაჲ ჰნახა ჩემ თანა, მამაო, რამეთუ მხედავ მე შიშუელსა და მთხოველსა, ამისთჳს მეტყჳა, თუ მო-რაჲ-მეც, რაჲთა ვიყიდო ბაიაჲ[3], დავშურე[4], გარნა ყოველსავე ზედა მცირედ მოთმინე იქმენ. მაშინ წამ-უყვნა ბერმან მოწაფესა თჳსსა, რაჲთა შეუდგეს მას. და წარვიდეს იგინი მარკოზწმიდას /307v/ გარეთ ქალაქსა, რამეთუ მუნ იყო სენაკი მისი. და ჰრქუა ბერსა: მელოდე, მამაო, და შევიდა და გამოართუა ბერსა მალაკი, რომელსა შინა იდვა ჩამიჩი და ბროწეული და ლეღჳ და სამი კერატი ოქროჲ. და გამოიღო პირისაგან ნაჭერი მესამედი კერატისაჲ, მისცა ბერსა და ჰრქუა მას: ლოცვა ყავ ჩემთჳს, მამაო. და მოვიდა ბერი მოწაფისა თჳსისა, აღტირდა და თქუა: რაოდენნიღა[5] მონანი დაფარულნი უსხენ ღმერთსა და ცხოველ არს უფალი, არარაჲ ვაქციო გარე ევლოგიის ამისგან, რამეთუ სიყუარული არს. ხოლო შემდგომად განშორებისა ბერისა, რაოდენთამე დღეთა, ისმა ჰამბავი ვითარმედ: იკონომოსსა საპატრიაქოჲ-სასა ასტკივდა ფიცხლად ღჳძლი და გამოუჩნდა მას წმიდაჲ მარკოზ მოციქული და მახარებელი და ჰრქუა[6]: წარავლინე და მოიყვანე იგი რომელიმე უთუალოჲ და დასდვას ჴელი თჳსი[7] ადგილსა მაგას, რომელი გტკივის და განჰმრთელდე[8]. და მან წარვლინნა ყრმანი თჳსნი და მოიყვანეს იგი ვედრებითაცა და იძულებითა[9]. და ვითარცა ილოცა და დასხნა მის ზედა ჴელნი, მეყსეულად განქარდა ტკივილი იგი და განისმა ესე ყოველსა შორის ქალაქსა. და ესმა პაპას[10] მისთჳს და გამოვიდა შემთხუევად მისა და პოვა იგი, რამეთუ მიცვალებულ იყო უფლისა. და განისმა აღსრულებაჲ მის ქალაქსაცა შორის ყოველსა და სკიტეს. და აღვიდა ბერი მოწაფითურთ თჳსით და მრავალნი მამათაგანნი თანააჰყვეს მას და იკურთხნეს ნეტარისა მისგან თანამოძმისა და კნინღა ქალაქი იგი ყოველი გამოვიდა კურთხევად მისგან. გამოიხუნეს უკუე ჴორცნი მისნი დიდებისმეტყუელებითა ღმრთისაჲთა და მადლობითა მრავლითა და დასხნეს იგინი სამარხოსა მამისა მარკოზ სულელისასა. /308/ ხოლო ცხორებაჲ მისი იყო ესევითარი, რაოდენსაცა

[1] თუ რაჲ] რაჲთა D. [2] ბაიაჲ] ბაჲაჲ AE. [3] ბაიაჲ] ბაჲაჲ AE. [4] დავშურე] დავშვრე-ბოდი D. [5] რავდენნიღა D. [6] ჰრქუა + და D. [7] თჳსი –D. [8] განჰმრთელდე] გაჰმრთელდე C. [9] იძულებითა] ჲძულებითა A. [10] პაპას] პაპსა C.

რას მიიღებდა სიყუარულსა[1], იყიდდა მისგან ვაშლსა, ჩამიჩსა, ბროწეულსა, განუყოფდა იგი სხჳსა მიერ სასნეულოთა შინა მწოლარეთა სნეულთა ყოველთა კჳრიაკეთა. ორმოცდა[2] რვაჲ წელი დაყო[3] ესევითარსა მას შინა სათნოებასა სადიდებელად ღმრთისა[4].

2. წარვიდა ოდესმე **მამაჲ დანიელ,** მღდელი სკიტისაჲ, თებაიდას[5] და ჰყვა თანა ერთი მოწაფეთაგანი. და ვითარცა ვიდოდეს იგინი მდინარესა შინა ნავითა, მიიწინეს დაბასა ერთსა და უბრძანა ბერმან მუნ განყვანებად. და თქუა ბერმან: აქა გჳნებს დღეს ყოფაჲ. და იწყო დრტჳნვად მოწაფემან მისმან და იტყოდა: ვიდრემდის ვცურავთ და ვრორინებთ[6], გუალე, აქაჲთგან წარვიდეთ სკიტეს. ხოლო ბერმან ჰრქუა მას: არა, არამედ აქა დავდგეთ დღეს. და დასხდეს შუვა ოდენ დაბისა მის ვითარცა უცხონი. და ჰრქუა ძმამან ბერსა: და აწ სთნავსა ღმერთსა ჩუენი, ვითარცა მთხოველთაჲ, სხდომად[7] აქა, გუალე ბარე, ეკლესიად წარვიდეთ. ჰრქუა მას ბერმან: არა, არამედ აქა ვსხეთ. და დაყვეს მუნ მსხდომარეთა ვიდრე მიმწუხრად ღრმადმდე. და იწყო ძმამან შფოთისა ყოფად ბერისა თანა და ეტყოდა: შენ ძლით მეცა შემემთხუევის ბოროტად სიკუდილი. და ვიდრეღა-იგი[8] ურთიერთარს იტყოდის[9], აჰა ესერა, მოვიდა კაცი ვინმე მოხუცებული ერისკაცი, გრძელი ჰასაკითა, ყოლად სპეტაკი თმითა. და ვითარცა იხილა მამაჲ დანიელ, იწყო ამბორისყოფად ფერჴთა მისთა ცრემლით[10], მოიკითხა უკუე მოწაფეცა მისი და ჰრქუა მათ: ბრძანეთ /308v/ სახლად. ხოლო ეპყრა მას ლამპარიცა და წინამიძღოდა ჩუენ ფოლოცთა და ეძიებდა სხუათაცა უცხოთა. და წარიყვანა ბერი და მოწაფე მისი და რაოდენნიცა პოვნა უცხონი და წარვიდა სახლსა თჳსსა. და შთაასხა წყალი საბანელსა და დაჰბანნა ფერჴნი ძმათა და ბერისანი, ხოლო არავინ აქუნდა მას სახლსა შინა თჳსსა თჳსი, ანუ ნათესავი, არცა სადა სხუაგან, თჳნიერ ღმერთი[11] ოდენ მხოლოდ. და დაუგო მათ ტაბლაჲ და შემდგომად სერობისა, რაჲცა დაუშთა ნეშტი, ყოველივე გაართუა ძაღლთა სოფლისათა. და რამეთუ ესრეთ აქუნდა წესად და არაოდეს დაუტევის სამწუხროდ განთიადისა არცა თუ[12] ერთი ნამცუეცი[13], არცა კნინი ნაბიჭევი. და განიყვანა იგი ბერმან თჳსგან და კნინღა განათიეს ღამე უძილოდ, რამეთუ დასხდეს და ზრახვიდა მას ბერი ცხორებისათვის სულისა და იგი ისმენდა ცრემლთა მიერ მჭურვალეთა. და განთიად მოიკითხეს ურთიერთარს და განეშორნეს. ხოლო ვიდოდეს რაჲ იგინი გზასა სკიტისასა, მოუდრიკნა მოწაფემან ბერსა[14] მუჭლნი, ევედრებოდა მას და ეტყოდა: ყავ სიყუარული, მამაო, და მაუწყე

[1] სიყუარულსა – D] სასყიდელსა C. [2] ორმოცდა] ორმეოცდა C. [3] დაყო – D. [4] ღმრთისა] ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა D. [5] თებაიდას] თებაჲდას A. [6] ვრორინებთ] ვრონინებთ D. [7] სხდომად] სხდომაჲ C. [8] ვიდრეღა-იგი] ვიდრე D. [9] იტყოდის] იტყოდეს CD. [10] ცრემლით] ცრემლითა C. [11] ღმერთი] ღმრთისა D. [12] თუ – D. [13] ნამცუეცი] ნამცეცჳ C. [14] ~ ბერსა მოწაფემან D.

მე[1], თუ ვინ არს, ანუ სადაჲთ ბერი ესე, ანუ ვინაჲ იცნობ შენ მას? და არა ინება ბერმან თხრობად მოწაფისა მის თჳსისა მისთჳს. კუალად შეუვრდა მას ძმაჲ იგი[2] და ეტყოდა: განაღა სხუაჲცა მრავალი გითხრობიეს ჩემდა და ამის ბერისათჳს რად არა მითხრობ? და რამეთუ ეთხრნეს მისდა სათნოებანი მრავალთა წმიდათანი. ხოლო ბერმან არა ინება თხრობად ძმისა მის ბერისა მისთჳს კაცისა, ვიდრეღა და შეწუხნაცა ძმაჲ იგი ესოდენ, რომელ არცაღა თუ სიტყუაჲ მიუგო ბერსა[3] /309/ ვიდრე სკიტემდე. და ვითარცა მივიდა ძმაჲ იგი[4] სენაკად, არღარა მიართუა ბერსა მცირე იგი ჭამადი ჩუეულებისაებრ ჟამსა მეათერთმეტესა, რამეთუ მას[5] შინა მიიღებნ ბერი საზრდელსა ყოველთა დღეთა ცხორებისა თჳსისათა. და ვითარცა შემწუხრდა, მივიდა ბერი სენაკად ძმისა და ჰრქუა მას: რაჲსათჳს, შვილო, უტევე[6] მამასა შენსა მოსიკუდიდ სიყმილითა? ხოლო მან ჰრქუა მას: მე მამაჲ არა მივის! უკუეთუმცა მესუა მამაჲ, უყუარდამცა[7] თჳსი შვილი. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ გნებავს ხილვად მამისაჲ[8], და-რაჲ-უგე?! და აღდგა ბერი და ჴელ-ყო გამოსლვად. მიეწია ძმაჲ იგი და შეიპყრა და იწყო ამბორისყოფად მისა[9] და ეტყოდა: ცხოველ არს უფალი, არა განგიტეობ შენ, არა თუ მითხრა, თუ ვინ იყო ბერი იგი. და რამეთუ ვერ ეძლო ძმასა მას ხილვაჲ[10] ბერისაჲ წუხილსა შინა, ამისთჳს რამეთუ უყუარდა იგი ფრიად. მაშინ ჰრქუა მას ბერმან: მიქმენ მე მცირე[11] ჭამადი პირველ და მერმე გითხრა შენ. და შემდგომად სერობისა ჰრქუა ძმასა მას: რად ხარ ესოდენ ქედფიცხელ ამისთჳს, რომელ წინააღმიდეგ შენ, ოდეს-იგი ვიყვენით დაბასა და სდრტჳნევდი, არა გითხარ შენ ბერისა მისთჳს, და აჰა ესერა, გამცნებ შენ, ნუღარაოდეს შესძინებ უკუღმართ პასუხისა მოცემად და ცილობად, რომელი ერთგზის გესმას.

მას უკუე ბერსა ჰრქჳან ევლოგი. და არს იგი ჴელოვნებით ქვითხუროჲ და მოიგებს დღით[12] ჴელთსაქმრითა მით თჳსითა კერატისა ერთისა დრამასა და ვიდრე მწუხრადმდე არარაჲსა გემოსა იხილავს ჭამადისასა და მიმწუხრი მივალს /309v/ დაბასა თჳსსა და რაოდენნიცა პოვნეს უცხონი, წარიყვანებს მათ სახლად თჳსა და ზრდის მათ და ნეშტსა მას ნამუსრევსა განართუამს ძაღლთა. ხოლო აქუს ჴელოვნებაჲ იგი ქვითხურობისაჲ სიყრმითგან[13] მისით ვიდრეცა მოაქამომდე. და არს დღეს კაცი ესე ასისა წლისაჲ და მისცემს ქრისტე ძალსა და მუშაკობს ყოველთა დღეთა თჳთო კერატისა ოქროჲსა დრამასა. ხოლო ოდეს ვიყავ მე ჭაბუკ, უწინარეს ორმეოცისა წლისა[14], აღვედ განსყიდად ჴელთსაქმრისა ჩემისა და მივედ დაბასა მას და სოფელსა. და მო-რაჲ-იწია მიმწუხრი, მოვიდა და წარმიყვანა მე და სხუანიცა ჩემ თანა მოძმენი წესისაებრ თჳსისა და ჩუეულებისა და გჳსტუმრნა ჩუენ. ხოლო მე ვითარცა

[1] მე – D [2] იგი – D. [3] ბერსა – C. [4] იგი – C. [5] მას შინა] მაშინა D. [6] ~ უტევე, შვილო C. [7] უყუარდამცა] უყუარდიმცა C. [8] მამისა + შენისაჲ C. [9] მისა] მისდა D. [10] ხილვაჲ ბერისაჲ] ხილვად ბერისა D. [11] მცირე – D. [12] დღით – D. [13] სიყრმითგან] სიყრმითგანვე D. [14] წლისა] წლისაჲ D.

მოვედ[1] აქა, ვიწყე მარხვად და შემდგომად შჳდეულთა[2] ვიხილე რაჲ სათნოებაჲ კაცისაჲ მის და[3] ვევედრებოდე ღმერთსა, რაჲთა მისცეს მას უმეტესი წარსაგებელი, რაჲთა აქუნდეს და უმრავლესთა ქველისმოქმედ ექმნებოდის. და ვიმარხენ სამნი შჳდეულნი შედგომით და მივვარდი ქუე, მწყდარი მრავლისაგან მოღუაწებისა. და ვიხილე ვინმე, რომელი მოვიდა მახლობელად ჩემსა მღდელ შუენიერი და ჰაეროვანი, სპეტაკი სახითა და მრქუა მე: დანიელ, რაჲ გჭირს? და მე ვარქუ მას: სიტყუაჲ მიმიცემიეს[4] ქრისტესდა, მეუფეო, რაჲთა არა ვიხილო გემოჲ პურისაჲ, ვიდრემდის ისმინოს ჴმაჲ[5] ლოცვისა ჩემისაჲ[6] ევლოგისთჳს ქვითხუროჲსა, რაჲთა სხუათა უმრავლესთა ქველისმოქმედ ექმნებოდის. და მან მრქუა მე: არა სჯობს, კეთილად /310/ არს, ვითარ არს[7]. და მე ვარქუ მას: უფროჲსღა, უფალო, მიეც მას მეტი, რაჲთა მის მიერ ყოველნივე ადიდებდენ სახელსა შენსა წმიდასა. და მან მრქუა მე: გეტყჳ შენ, კეთილად არს ესრეთ, ვითარ არს აწ. ხოლო უკუეთუ გნებავს, რაჲთა მივსცე მას მეტი, თავსმდებ იქმენ შენ სულისათჳს მისისა, რაჲთა ცხოვნდეს სიმდიდრესა შინა და მე მივსცე მას მეტი. და მე ვარქუ მას: ჴელთა ჩემთაგან ძებნე სული მისი. და ვიხილე, რამეთუ ვიყვენით მდგომარე წმიდასა შინა აღდგომასა და ყრმაჲ შუენიერი მჯდომარე იყო ლოდსა[8] ზედა წმიდასა საფლავისასა და ევლოგი უდგა მარჯუენით მისსა[9]. და წარმომიგზავნა ვინმე ჩემდა წინაშემდგომელთაგანი და მრქუა მე: ესე არსა თავსმდები იგი ევლოგისი? და ყოველთავე მათ წინაშემდგომელთა ურიცხუთა თქუეს ერთბამად: ჰწ, მეუფეო, ეგე არს. და მან კუალად ბრძანა: არქუთ მაგას ვითარმედ, უეჭუელად მიგჴდი თავსმდებობასა მაგისსა. და მე კუალად ვარქუ მას: ჰწ, მეუფეო, ჩემ ზედა იყავნ თავსმდებობაჲ მისი, ოდენ მიეც მას სიმდიდრჱ[10]. და ვხედევდ მე[11], რამეთუ შთაუსხმიდეს განძსა ფრიადსა ევლოგის. და რაოდენ[12] იგი შთაუსხმიდეს, ესოდენ უფროჲს შთაიტევდეს[13] უბენი ევლოგისნი. და ვითარცა განმეღჳძა, ვცან, რამეთუ შეისმა[14] ვედრებაჲ ჩემი და ვადიდე ღმერთი. ხოლო ევლოგიოს განვიდა საქმესა თჳსსა და ჰკრა წერაქჳ კლდესა. და ესმა ჴმაჲ რაჲმე ღრუჲსაჲ და კუალად ჰკრა[15] და პოვა ჴურელგუარი მცირჱ[16], ხოლო სცა მესამედ და პოვა ქუაბი კლდისაჲ სავსე განძითა. განუკჳრდა საქმე ესე /310v/ ევლოგის და თქუა თავსა შორის თჳსსა: განძი ესე ისრაიტჱლთაჲ[17] ყოფილ არს და რაჲ უყო, უკუეთუ წარვიღო ესე დაბად, ესმის მთავარსა[18], მოვალს და წარიღებს იგი და მე ჭირსა შევარდები[19], გარნა ესე ვყო: წარვიდე სამე შორსა ქუეყანასა, სადა არავინ მიცნობდეს და მუნ ვიგულო, ვითარცა ჯერ იყოს. და იმიზდნა ჯორნი, ვითა ქვასა მოჰკრებს

[1] მოვედ] გამოვედ C. [2] შჳდეულთა] შჳდთა D. [3] და –D. [4] მიმიცემიეს] მიმიცემია D. [5] ჴმაჲ – D. [6] ჩემისაჲ] შენისაჲ D. [7] არს – D. [8] ლოდსა + მას C. [9] მისსა] მისა D. [10] სიმდიდრჱ] სიმდიდრე CD. [11] მე] მას C. [12] რაოდენ] რავდენ D. [13] შთაიტევდეს] შთაჲტევდეს A. [14] შეისმა] შეისმინა D. [15] დაჰკრა C. [16] მცირე CD. [17] ისრაიტჱლთაჲ] ისრაჲტჱლთაჲ A. [18] მთავარსა + და D. [19] შევარდები] შთავარდები CD.

და ქვისა წილ ჩაკრიბა ოქროჲ ღამით მდინარისპირსა და დაუტევა მდღევრი იგი საქმჱ[1] კეთილისაჲ, რომელსა იქმოდა და ჩაკრიბა ნავსა საფასჱ[2] იგი და მიიწია ბიზინტიად, რომელ არს კოსტანტინეპოლი. ხოლო მეფობდა მაშინ იუსტინოს[3] ბერი და მისცა ევლოგი საფასჱ[4] ფრიადი მეფესა და დიდებულთა მისთა, რაჲთა შექმნან იგი ეპარხოსად[5] დიდისა პრეტორისადა[6]. და დარბაზნი იყიდნა[7] დიდნი, რომელსაცა ჰრქჳან მეგჳპტელთაჲ, ვიდრე დღენდელად დღედმდე. და შემდგომად ორისა წლისა ვიხილე ჩუენებით კუალადცა[8] ყრმაჲ იგი სამეუფოჲ მასვე წმიდასა ზედა[9] აღდგომასა მჯდომარედ და ვთქუ თავსა შორის ჩემსა: ნეტარ სადა-მე არს ევლოგი, რამეთუ არა ვხედავ მას, ვითარცა პირველ. და აჰა ესერა, შემდგომად მცირედისა ვიხილე ევლოგი, რამეთუ გამოითრია პირისაგან და წინაშედგომისა ყრმისა შავმან ვინმე ჰინდომან საძაგელმან. და ვითარცა განმეღჳძა, ვთქუ თავსა შორის ჩემსა[10]: აჰა, ვაჲ გლახ მე საწყალობელსა, რამეთუ წარვწყმიდე სული ჩემი ცოდვილი! და აღვიღე კუერთხი ჩემი და წარვედ დაბასა მას, ვითარცა რეცა განსყიდად ჴელთსაქმრისა და ვითარცა მოველოდე ევლოგის, რაჲთა მოვიდეს და წარმიყვანოს, იქმნა ზედა[11] /311/ ფრიად შემწუხრებულ და არცა ერთმან ვინ წარმიყვანა სახედ თჳსა, რაჲთამცა მიმასპინძლა. აღვდეგ უკუე და ვკითხე ერთსა დედაბერსა და ვარქუ მას: არა არსა სოფელსა ამას შინა თქუენსა სადგური უცხოთაჲ, და მან თქუა: არა. მერმე ვარქუ მას: მომართუენ მე, დედაო[12], სამნი[13] პაქსიმადნი[14], რაჲთა ვჭამო, რამეთუ არარაჲ[15] მიჭამიეს დღეს, ხოლო იგი წარვიდა და მომართუა მე მცირე გბოლვილი და დამიგო და დამიჯდა გუერდით და იწყო სიტყუად და მეტყოდა მე სიტყუათა სარგებლისათა: უფალო, მამაო, არა უწყია, რამეთუ ჭაბუკ ხარ და არა გიღირს შენ წარსლვაჲ სოფლად, ანუ არა მეცნიერ ხარა, რომელ სახესა მონაზონებისასა დაყუდებაჲ უჯმს?! ესე და სხუაჲ[16] ესევითარი რაჲმე მრავალი[17] მრქუა და მე ვარქუ მას: რაჲ ჰბრძანო, დედაო, რამეთუ ჴელთსაქმრისა ჩემისა მოვედ განსყიდად. ხოლო[18] მან მრქუა მე: დაღაცათუ[19] ჴელთსაქმრისა[20] გენებოს განსყიდაჲ, ნუ შეიღამებ ესრეთ სოფელსა შინა და უკუეთუ გნებავს, რაჲთა იყო მონაზონი[21], წარვედ სკიტეს[22]. და[23] მე ვარქუ მას: დაუტევენ, დედაო, ჟამისად[24] სიტყუანი ეგე და რომელსა ესე გკითხავ, მაუწყე ჭეშმარიტებით, დასტურად არავინ არსა სოფელსა ამას შინა ღმრთისმოშიში კაცი, რაჲთამცა შეჰკრებდა უცხოთა? და მან მრქუა მე: ჲ

---

[1] საქმჱ] საქმე CD. [2] საფასჱ] საფასე CD. [3] იოსტინოს CD. [4] საფასჱ] საფასე CD. [5] ეპარხოსად] ეპარხოზად CD. [6] პრეტორისადა] პრეპორისა C. [7] ~ და იყიდნა დარბაზნი დიდნი D. [8] ~კუალადცა ყრმაჲ D. [9] ზედა – CD. [10] ჩემსა] თჳსსა CD. [11] ზედა] თჳსად D. [12] დედაო] მამაო C. [13] სამნი – D. [14] ~ პაქსიმადნი დედაო D. [15] არაჲ C. [16] სხუაჲ – D. [17] მრავალი – D. [18] ხოლო მან მრქუა მე – D. [19] დაღაცათუ] დაცათუD. [20] ჴელთსაქმრისა] ჴელთსაქმარისა D. [21] მონაზონი] მონაზონ D. [22] სკიტეს] სკიტედ D. [23] და მე ვარქუ მას – D. ჟამისად – C.

უფალო მამაო, რაჲღა სთქუ, გუაქუნდა აქა ქვითხუროჲ ვინმე[1] და ფრიადსა[2] კეთილსა უყოფდა უცხოთა და მწირთა. და იხილა ღმერთმან შრომაჲ მისი და მისცა მას მადლი და ვითარცა[3] გუესმა, არს დღეს პალატსა[4] შინა სამეუფოსა პატრიკი. ესე რაჲ მესმა და ვცან, მოიწყლა ძლიერად სული ჩემი და ვთქუ თავსა შორის ჩემსა: მე უბადრუკმან ვქმენ მკლველობაჲ იგი მისი. და აღვედ /311v/ ნავსა და მივიწიე კოსტანტინეპოლედ და ძიება-ვყავ სახლი ევლოგი მეგჳპტელისაჲ. და დავჯედ გარეშე ბჭეთა სახლისა მისისათა, ვიდრემდის გამოვიდეს და ვიხილე[5] იგი, რამეთუ გამოვიდა საოცრებითა[6] მრავლითა და ჴმა-უყავ[7] და ვთქუ[8]: შემიწყალე მე, რამეთუ მაქუს რაჲმე სიტყუად[9] შენდა ფარულად. და ყოლადვე არა მომხედნა მე, თჳნიერ ოდენ რომელ[10] მგუემეს წინამავალთა მისთა. და კუალადცა წარუსწარ წინაკერძო მათსა და კუალადცა ვიწყე ჴმობად და მათ კუალადცა მგუემეს მე[11] და ესრეთ ესევითართა ჭირთა შინა და გუემათა დავყვენ ოთხნი შჳდეულნი და ვერ შეუძლე[12] უბნებად მისა. მაშინ მომეწყინა და წარვედ სულმოკლექმნილი და მივედ და დავაგდე თავი ჩემი ხატსა წინაშე ყოლად წმიდისა ღმრთისმშობელისასა ცრემლით და ვეტყოდე მაცხოვარსა: უფალო, ანუ დამჴსენ თავსმდებობისაგან კაცისა ამის, უკუეთუ არა, მეცა სოფლად მივიქცევი. და ვითარცა ამას ესევითარსა ვიწურთიდი და ვილოცევდი გულსა შინა ჩემსა, მიმეძინა და აჰა ესერა, ზარი დიდი წარმოჰვლიდა და იტყოდეს წინამავალნი, ვითარმედ ავღუსტა[13] დედოფალი წარმოჰვლის. და წარმოვლეს წინაშე მისსა ათასეულთა და ბევრეულთა მწყობრთა და ჴმა-ვყავ წინაშე მისსა და ვთქუ: წმიდაო დედოფალო, შემიწყალე მე. ხოლო იგი ყოლად კურთხეული დადგა და მრქუა მე: რაჲ არს, რომელი გჭირს შენ? და მე ვარქუ მას: ევლოგი ეპარხოსსა თავსმდებ ვექმენ, და აწ ბრძანე განტევებაჲ ჩემი თავსმდებობისა მისგან[14]. ხოლო მან მრქუა მე: მე მაგას თანა საქმე არაჲ მიც, ვითარცა გნებავს განასრულე თავსმდებობაჲ შენი. და ვითარცა განმეღჳძა, ვთქუ თავსა შორის ჩემსა, დაღათუ[15] /312/ მოვ/კუდე, არა განვეშორო ბჭეთაგან ევლოგის სახლისათა, არა თუ ვეზრახო მას. და წარვედ კუალადცა კართავე[16] ზედა სახლისა მისისათა და ვითარცა გამოჰვლიდა[17] ჴმა-ვყავ და მომახლდნა ვესტარიტი მისი და მგუემა ესოდენ[18] წკეპლებითა, ვიდრეღა ქუე დამცჳვეს ყოველნივე[19] ჴორცნი ჩემნი და სულმოკლე ვიქმენ ფრიად და ვთქუ თავსა შორის ჩემსა: აღდეგ, წარვიდეთ სკიტედ და უკუეთუ ენებოს ღმერთსა, აცხოვნოს ევლოგიცა. წარვედ უკუე და ძიება-ვყავ და ვპოვე ნავი

---

[1] ვინმე – D. [2] ფრიადსა] ფრიად CD. [3] ვითარცა გუესმა] გუესმა ვითარმედ D. [4] პალატსა] ქალაქსა CD. [5] ვიხილო CD. [6] საოცრებითა] საუცრებითაA. [7] ჴმა-უყავ] ჴმა-ვყავნD. [8] ვთქუ] ვარქუ D. [9] სიტყუად] სიტყუაჲ D. [10] რომელ - D. [11] მე - D. [12] შეუძლე] უძლე D. [13] ავღუსტა] ავღოსტა C. [14] მისგან] მისისა C. [15] დაღათუ] და არათუ D. [16] კართავე] კართა D. [17] გამოვჰლიდა D. [18] ესოდენ] ესე ოდენ D. [19] ყოველნივე] ყოველნი D.

ალექსანდრიელი[1] და შევედ მას შინა და ვითარცა აღვედ ოდენ[2] ნავსა, მივვარდი ქუე სულმოკლებისაგან და დამეძინა. და აჰა ესერა, კუალადცა[3] ვიხილე თავი ჩემი წმიდასა შინა აღდგომასა და ყრმაჲ იგი საუფლოჲ კუალადცა მჯდომარე მასვე ზედა ლოდასა და მომხედნა მე ხედვითა საზარელითა ესოდენ, ვიდრეღა შეძრწუნებული შიშისაგან მისისა ვირყეოდე ვითარცა ფურცელი უნდოჲ ქარისაგან ძლიერისა და ვერ ვიკადრებდი ვერცა აღებად პირსა, ვერცაღა შედგმად თუალთა, რამეთუ[4] ყოლად განგრუნვებულ იქმნა გული ჩემი. და მრქუა მე: არა წარხუალა და აღასრულებ თავსმდებობასა შენსა? და უბრძანა ორთა ვიეთმე წინაშემდგომელთა თჳსთა და[5] დამკიდეს მე ზე შეკრული უკუღმართ ჴელითა, მგუემდეს[6] მე და მეტყოდეს[7], ნუ უმეტეს ძალისა შენისა[8] თავსმდებ ექმნები ვისცა და ნუ წინააღუდგები განგებათა ღმრთისათა. და ვერ ძალ-მედვა აღებად პირსა და თქუმად რასაცა ზეკიდებასა მას შინა ჩემსა, და აჰა ესერა, იქმნა ჴმაჲ, რომელი იტყოდა: ავღუსტა დედოფალი წარმოჰვლის. და ვითარცა ვიხილე იგი, მომექცა სული, /312v/ შეუვრდი მას და ვარქუ ნელითა ჴმითა: შემიწყალე მე, დედოფალო დაბადებულთაო. და მან მრქუა მე: რაჲ კუალად[9] გნებავს? და მე ვარქუ მას: თავსმდებობისათჳს ევლოგისა ვჰკიდავ მე ესერა ზე. და მან მრქუა მე: მე ვევედრო შენთჳს. და ვხედევდ მე, რამეთუ წარვიდა ყოლად წმიდაჲ იგი და იწყო ამბორისყოფად ფერჴთა ყრმისა მის მეუფისათა და ევედრებოდა ჩემთჳს. მაშინ მრქუა მე ყრმამან მეუფემან: ნუღარაოდეს იკადრებ საქმესა ამას. და მე ვარქუ მას: არღარა, მეუფეო, არღარა, ნუ იყოფინ! რამეთუ მე გევედრე მისთჳს, რაჲთამცა უმჯობეს იქმნა და არა უძჯრეს. და ვთქუ: ვცოდე[10], მეუფეო, შემინდვე მე. და უბრძანა განჴსნაჲ ჩემი და მრქუა მე: წარვედ სენაკად შენდა და მე თუ ვითარ[11] მოგგუარო ევლოგი პირველსავე ზედა წესსა თჳსსა, თჳთ იხილო და გიკჳრდეს. და ვითარცა[12] განმეღჳძა, განმეხარნეს სიხარულითა დიდითა ფრიად, რამეთუ განვთავისუფლდი თავსმდებობისაგან მისისა და წიაღმოვლე ზღუაჲ იგი მშჳდობით და ვჰმადლობდი ღმერთსა. ხოლო შემდგომად სამისა თჳსა მესმა სიკუდილი იუსტინე[13] მეფისაჲ და გამეფდა მის წილ იუსტინიანე[14] მეფჱ[15]. და შემდგომად მცირეთა რათმე დღეთა მოიგონეს წინააღდგომაჲ მისი ოთხთა მთავართა იპატიოს[16], დექსოკრატის[17], პომბიოს[18] და ამან ევლოგი ეპარხოსმან. და სამთავე მათ მაშინვე თავნი წარეკუეთნეს და მონაგები მათი იავარ იქმნა.

---

[1] ალექსანდრიელი] ალექსანდრიელ D. [2] აღვედ ოდენ] აღვიდოდე D. [3] კუალადცა - D. [4] რამეთუ] და D. [5] და - D. [6] მგუემდეს] მგუემეს C. [7] მეტყოდეს + მე D. [8] შენისა - D. [9] ~ კუალად რაჲ D. [10] ვცოდე – D. [11] ვითარ] ვერ D. [12] ვითარცა – D. [13] იუსტინე] იოსტინე C; იოსტენე D. [14] იუსტინიანე] იოსტინიანე CD. [15] მეფჱ] მეფე CD. [16] იპატიოს + და D. [17] დექსოკრატის] დაქსოკრატის C; ექსოკრაკის D. [18] პომბიოს] პამბიოს D.

ხოლო ევლოგი ივლტოდა ღამით ქალაქისაგან კოსტანტინეპოვლისა[1]. და ბრძანებაჲ განავლინა იუსტინიანე[2] მეფემან, რაჲთა სადაცა იპოოს ევლოგიოს, მოიკლას. /313/ მაშინ ივლტოდა ევლოგი და მოვიდა ადგილსავე და სოფელსა თჳსსა და შეცვალა სამოსელი თჳსი მდაბიურადვე. შეკრბა უკუე დაბაჲ იგი და სოფელი სრულად ხილვად ევლოგისა[3] და ჰრქუეს მას: კეთილად მოხუედ, ჩუენ[4] გუესმა შენთჳს, რომელ პატრიკად შექმნილ ხარ. და მან ჰრქუა მათ: განაღამცა მე უკუეთუმცა პატრიკად შექმნილ ვიყავ, ვჰნახევდიღა[5] პირსა თქუენსა? არღარა ეგებოდა, რამეთუ პატივისა უფალნი პალატსავე[6] შინა არიან. და რომლისათჳს იგი გასმიეს, სხუაჲ ევლოგი არს ამისვე ქუეყნისა და მეცა მასმიეს მისთჳს, ხოლო მე წმიდათა ვიარებოდე და ვილოცევდი. და მოეგო გონებასა ევლოგი და ჰრქუა თავსა თჳსსა: გლახაკო ევლოგი, აღდეგ და მოეკიდე წერაქუსავე[7] შენსა და წარვედ, დაშუერ, რამეთუ[8] პალატი არა არს, ნუუკუე და საქონელსა თანა თავიცა შენი წარსწყმიდო. და უპყრა წერაქუსავე თჳსსა და განვიდა კლდესა მას, სადა იგი პირველ პოვა განძი. ჰგონებდა, თუ პოოს სხუაჲცა. და სცა მას[9] განთიადითგან ვიდრე ექუს ჟამადმდე და ვერარას უძლო პოვნად. მერმე მოეჴსენა მას დიდებაჲ იგი და სიმდიდრჱ[10] პალატისაჲ, განსუენებაჲ, ერმრავლობაჲ, სანოაგენი[11] და სხუაჲ იგი საოცრებაჲ სოფლისაჲ[12] ამის ამაოჲსაჲ,[13] იწყო შეწუხებად[14] და ურვად, კუალად აღადგინებდა თავსა თჳსსა და ეტყოდა: აღდეგ, გლახაკო ევლოგი, აღდეგ, რამეთუ აქა ეგჳპტე არს და არა კოსტანტიპოვლე[15]. და ესრეთ მცირეთ-მცირედ მოიყვანა იგი მეუფემან მან ყრმამან და ყოლად წმიდამან დედოფალმან ღმრთისმშობელმან პირველსავე ზედა წესსა და ალაგსა თჳსსა. და რამეთუ არა არს ღმერთი უსამართლო, რაჲთამცა დაივიწყნა[16] პირველნი იგი შრომანი მისნი. /313v/ ხოლო შემდგომად დღეთა რაოდენთამე აღვედ მე[17] კუალად სოფელსა მას და დაბასა განსყიდად ჴელთსაქმრისა ჩემისა. და ვითარცა მოიწია მიმწუხრი, აჰა ესერა, ევლოგი მოვიდა და წარმიყვანა მე პირველისაებრ წესისა თჳსისა და ჩუეულებისა. და ვითარცა ვიხილე იგი შემტუერებული და შებაყლებული მუშაკობისაგან და ჭირისა, სულთ-ვითქუენ დიდად, აღმეტრინეს და ვთქუ: ვითარ განდიდნეს საქმენი შენნი, უფალო, და ყოველივე სიბრძნით ჰქმენ, „ვინ არს ღმერთი დიდ, ვითარ ღმერთი ჩუენი“, შენ[18] ხარ ღმერთი, რომელმან ჰყვი[19] საკჳრველი მხოლომან, რომელი აღადგენ[20] ქუყანისაგან გლახაკსა და სკორეთაგან აღამაღლებ დავრდომილსა.

---

[1] კოსტანტინეპოვლისა] კოსტანტინეპოლისა C. [2] იუსტინიანე] იოსტინიანე CD. [3] ევლოგისა] ევლოგისსა C. [4] ჩუენ – D. [5] ვჰნახევდიცა D. [6] პალატსავე] პატივსავე C. [7] წერაქუსავე] წერაქუსა C. [8] რამეთუ + აქა CD. [9] მას – D. [10] სიმდიდრჱ] სიმდიდრე CD. [11] სანოვაგენი C. [12] სოფლისაჲ] სოფლისა A. [13] ამაოჲსაჲ + და C. [14] შეწუხებად] ზრუნვად C. [15] კოსტანტიპოვლე] კოსტანტინეპოვლე C. [16] დაივიწყნა] დაჲვიწყნა A E. [17] მე – C. [18] შენ...ღმერთი – CD. [19] ჰყვის D. [20] აღადგენ] აღადგინებს D.

უფალი, დააგლახაკებ და განამდიდრებ[1], შენ, უფალი, აღამაღლებ და დაამდაბლებ და საკჳრველებანი შენნი[2] და მსჯავრნი შენნი ვინ-მე[3] იკადრნეს გამოძიებად! ხოლო მე ცოდვილმან ამან ვიკადრე კადნიერებაჲ[4] დიდი და საშინელი და მცირედღა და კნინღა და-მცა-ემკჳდრა ჯოჯოხეთს სული ჩემი. და ვითარცა წარმიყვანა მე სახედ თჳსა[5] ევლოგი, შთაასხა წყალი საბანელსა და დამბანნა ფერჴნი ჩემნი, ესრეთვე და სხუათაცა უცხოთანი ჩუეულებისაებრ და დამიგო ჩუენ ტაბლაჲ და ვჭამეთ. და შემდგომად სერობისა ვარქუ მას: ვითარ ხარ, ბერო ევლოგი? და მან მრქუა მე: ლოცვა ყავ ჩემთჳს, უფალო მამაო, რამეთუ გლახაკი[6] ვარ და არარაჲ მაქუს ჴელთა ჩემთა. და მე ვარქუ მას: ჰჩ, თუმცა რომელი გაქუნდა[7], არცა იგი გქონებოდა. და მან მრქუა მე: რაჲსათჳს, უფალო მამაო, ნუუკუე და-რაჲმე-გაბრკოლეა შენ? და მე ვარქუ მას: და რაჲ არს, რომლითა არა დამაბრკოლე? მაშინ ვიწყე და მიუთხარ მას ყოველივე იგი წურილად, რაოდენიცა რაჲ შემემთხჳა[8] და ვიტირეთ ფრიად ორთავე[9] ზოგად. მერმე მრქუა მე /314/: ლოცვა ყავ, უფალო მამაო, რაჲთა მომცეს ღმერთმან საქონელი და ამიერითგან განვემართო. და მე ვარქუ მას: ნანდჳლვე, შვილო, ნუღარას მოელი ქრისტესაგან რწმუნებად შენდა, ამიერითგან ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისა, ვიდრემდის იყო სოფელსა ამას შინა, თჳნიერ მდღევრისა მის კერატისა ნამუშაკევისა შენისა. და აჰა ესერა ესოდენნი წელნი ჰქონან და მიუცემიეს ღმერთსა ძალი[10], რაჲთა ყოველთა დღეთა შურეს ჴელითა ერთსა მას კერატსა წარსაგებელად სახლისა თჳსისა და უცხოთა, რომელსა არცა ემატების და არცა დააკლდების. აჰა ესერა, შვილო, გითხარ შენ, თუ ვინაჲ ვიცნობ მას, ანუ თუ ვითარ არს საქმჱ[11] მისი და მოქალაქობაჲ. გარნა შენ ნუღარა შესძინებ თხრობად ამას ვისაცა. ესე უთხრა მამამან დანიელ მოწაფესა თჳსსა უკუმო-რაჲ-იქცა[12] თებაიდაჲთ[13] და მისგან ვისწავეთ ჩუენ და აღვწერეთ სადიდებელად ღმრთისა, ხოლო განკჳრებაჲ ჯერ არს აურაცხელთა სიბრძნეთა ღმრთისათა, თუ ვითარ ყოველი ადვილ არს მის წინაშე[14] და თუ ვითარ მეყსა შინა აღამაღლა ევლოგი კაცთმოყუარებით და თუ ვითარ წამსა შინა დაამდაბლა მოწყალებით. ვილოცოთ უკუე ჩუენცა[15] ყოველთა დამდაბლებად აქავე, რაჲთა საშინელსა მას[16] დღესა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა ვპოოთ წყალობაჲ წინაშე დიდებისა ღმრთისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ[17] უკუნისამდე, ამინ.

IV. 1. მამისა თეოდორეს მოწაფემან გჳთხრა ესე, ვითარმედ: მოვიდა[18] ვინმე ოდესმე მსყიდელი ხახჳსაჲ და აღავსო საწყაული კეცისაჲ და მრქუა

---

[1] განამდიდრებ] განამდიდრებს C. [2] შენნი...შენნი D. [3] ვინმე] ვინ D. [4] კადრებაჲ C. [5] თჳსა] თჳსად C. [6] გლახაკი] გლახაკ CD. [7] გაქუნდა] გაქონდა CD. [8] შემემთხჳა] შეემთხჳა D. [9] ურთავე D. [10] ~ ძალი ღმერთსა D. [11] საქმჱ] საქმე CD. [12] უკუ-მო-რაჲ-იქცა] უკუმოიქცა რაჲ D. [13] თებაიდაჲთ] თებაჲდაჲთ A. [14] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 192r-ზე. [15] ჩუენცა] ჩუენ D. [16] ~ დღესა მას CD. [17] დიდებაჲ + უკუნით იE. [18] მოვიდა ვინმე] მო-ვინმე-ვიდა D.

მე[1] ბერმან: აღიღე საწყაული ეგე ხახჳსაჲ და აღუვსე იფქლითა და მიეც. ხოლო იდვა მუნ ორი გორი იფქლისაჲ ერთი წმიდაჲ და ერთი მრღჳე. და წარვიღე ჭურჭელი იგი და აღუვსე მას მრღჳითა და არაწმიდითა და /314v/ მომხ/ედნა მე[2] ბერმან რისხვით ესოდენ[3] სასტიკად, ვიდრეღა შიშისაგან და ზარისა დავმუსრე ჭურჭელი იგი საწყეოჲ და მოუდრიკენ მუჴლნი და შეუვრდი მას. და მან მრქუა მე: აღდეგ, არა არს ბრალი შენი, არამედ მე ვცოდე, რამეთუ გარქუ შენ. და შევიდა ბერი და აღუვსნა კაცსა[4] მას უბენი მისნი[5] იფქლითა წმიდითა და ხახჳცა იგი მისი მი-ვე-სცა მას.

2. იტყოდა მისვე **მამისა თეოდორესთჳს** მოწაფჱ[6] მისი, ვითარმედ: ოდეს[7] მოოჴრდა სკიტე, მივიდა[8] იგი[9] ფერმეს დამკჳდრებად და დაბერდა იგი და დაუძლურდა. და მოართუმიდეს მას სანოაგეთა[10] მრავლად და რომელი მოიღის პირველმან, მისცემნ მას მეორესა. და ესრეთ რასაცა მიიღებდა სხჳსასა, სხუასაცა[11] მისცემდა. ხოლო რომელიცა დახუდის ჟამსა საზრდელსა მიღებისასა და მოიღის ვინ, მასცა ჭამნ განუკითხველად.

V. იტყოდეს **მამისა იოანესთჳს მოკლისა,** ვითარმედ ნაშრომსა თჳსსა ყოველსავე, რომელიცა მოიგის მკითა, მოიღებნ სკიტეს და იტყჳნ, ვითარმედ: ჩემნი ობოლნი და გლახაკნი სკიტეს არიან.

VI. წარვიდეს ვიეთნიმე მამათაგანნი **ძმისა[12] იოსებისა** პანეფოდ, რაჲთა ჰკითხონ მას, თუ ვითარ ჯერ არს შეწყნარებაჲ ძმათა[13] უცხოჲთ მომავალთაჲ და უკუეთუ სამართალ არს განმხიარულებაჲ მათ თანა და ნუგეშინისცემაჲ. ხოლო ბერმან პირველ კითხვისა მათისა ჰრქუა მოწაფესა თჳსსა: განიცადე, რომელსა ესე დღეს[14] მნებავს მე[15] ქმნაჲ და დაითმინე[16], რომელ არაჲ სთქუა. და მოიღო ბერმან ორი საჯდომი და განყო იგი მარჯჳლ და მარცხლ[17] დადგმითა და შუვა[18] დაუტევა გზაჲ და მოსრულნი იგი მამანი დასხნა მას ზედა ორკერძო. და შევიდა სენაკსა შინა თჳსსა და შეიმოსა სამოსელი სამთხოვლოჲ[19] ძუელი, ხენეში[20] და დაბებკული. და გამოვლო შორის მათსა და მყოვარ მიმოვლო გარე და კუალად შევიდა და შეიმოსა თჳსივე იგი სამოსელი და გამოვიდა და დაჯდა შორის მათსა. ხოლო მათ დაუკჳრდა /315/ საქმჱ[21] იგი ბერისაჲ, თუ რად ყო. ჰრქუა მათ ბერმან: განიცადეთა[22], თუ რაჲ[23] ესე ვყავ? და მათ ჰრქუეს: ჰჱ, ვნახეთ. და მან ჰრქუა მათ: ნუუკუე ვიცვალეა ცვალებითა სამოსელთაჲთა[24]? და მათ ჰრქუეს: არა. ჰრქუა მათ ბერმან: უკუეთუ მე იგივე ვარ ორსავე შინა სამოსელსა,

---

[1] მე – CD. [2] მე – CD. [3] ესოდენ] ესე ოდენ E. [4] კაცსა მას – D. [5] მისნი – E. [6] მოწაფჱ] მოწაფე CDE. [7] უდეს D. [8] მივიდა] მოვიდა D, [9] იგი – D. [10] სანოაგეთა] სანუვაგეთა C; სანუაგეთაD. [11] სხუასაცა] სხუასა CDE. [12] ძმისა] მამისა DE. [13] ძმათა უცხოჲთ] ძმათაჲ უცხოთა CD. [14] დღეს – C. [15] მე – DE. [16] დაითმინე] დაჲთმინე A. [17] მარცხლ] მარცხულ D. [18] შუვა] შუა E. [19] ~ ძუელი სამთხოვლოჲ CD. [20] ხენეში – CE. 21 საქმჱ] საქმე E. 22 განიცადეთა] განიცადეთ D. 23 რაჲ] ვითარ C. 24 სამოსელთაჲთა] სამოსლისათა C.

ვითარცა-იგი პირველმან მცვალა, ვერცა რაჲ ამან მეორემან მავნო. ესრეთ უკუე თანაგუაც ყოფად შეწყნარებასა ზედა მომავალთა ძმათასა, ვითარცა ბრძანებს წმიდაჲ სახარებაჲ: მიეცითო კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა[1]. ოდეს უკუე მოვიდენ ძმანი, მხიარულად[2] მივეგებნეთ მათ და ოდეს კუალად მარტოებით ვიყვნეთ[3], გლოვაჲ იყავნ მოყუას ჩუენდა, რაჲთა სამარადისოდ დაადგრეს[4] ჩუენ თანა შიში ღმრთისაჲ. ხოლო მათ ესმა რაჲ ესე, დაუკჳრდა, თუ ვითარ რომელი-იგი გულსა აქუნდა მათ, განუმარტა პირველ[5] კითხვისა[6]. წარვიდეს აღშენებულნი და ადიდებდეს ღმერთსა.

VII. მამამან კასიანე გჳთხრა ჩუენ ესე, ვითარმედ: წარვედით პალესტინით და მივედით ეგჳპტედ[7] მამათაგანისა ვისამე[8] და მან გჳსტუმრნა ჩუენ კეთილად და ვჰკითხეთ ჩუენ მას, თუ რაჲსათჳს შეწყნარებასა ზედა უცხოთა ძმათასა არა დაიმარხვენ[9] წესსა მარხვისა მათისასა, ვითარცა-იგი პალესტინეს მიგჳღებიეს. და მომიგო[10] ჩუენ ბერმან ესრეთ[11]: მარხვაჲ ყოლადვე ჩუენ თანა არს, ხოლო თქუენი ყოლადვე პყრობაჲ ჩუენ თანა შეუძლებელ არს. მერმე კუალად, მარხვაჲ დაღათუ კეთილ არს და სათანადო, გარნა ჩუენი არს და ნებითა ჩუენითა აღესრულების, ხოლო სიყუარული კულა მცნებაჲ არს სამეუფოჲ და იძულებით მომჴდის მას[12] შჯული ღმრთისაჲ. ოდეს უკუე თქუენ შეგიწყნარნე, თქუენ თანა ქრისტესაცა შევიწყნარებ. და ამისთჳს თანამაც ყოვლითა მოსწრაფებითა განსუენებად თქუენდა, ხოლო ოდეს თქუენ წარმგზავნნე[13], შესაძლებელ არს კუალად პყრობად კანონსა მას[14] მარხვისასა /315v/. და რამეთუ ვერ ძალ-უც მარხვად ძეთა სიძისათა, ვიდრემდის მათ თანა იყოს სიძე იგი. ხოლო ოდეს[15] აღებულ იქმნეს მათგან სიძე, მაშინ ჴელმწიფებით იმარხვიდენ.[16]

2. კუალად[17] თქუა, ვითარმედ: მივედით კუალად სხჳსა ბერისა და მისტუმრნა ჩუენ და ვითარცა განვძეღით[18] ჭამადითა, კუალადცა გუაიძულებდა[19] მეტსა-რე მიღებად. ხოლო მე მიზეზ ვყავ სიმაძღრე და ბერმან მრქუა მე: მეექუსედ დავსდგამ დღეს ტაბლასა და ვჭამ ძმათა თანა და ჯერეთცა მშიის და შენ ერთგზის ჭამით ესოდენ განსძეღა, რომელ[20] ვერღარა ძალ-გიც?

3. მიეცა ოდესმე მცნებაჲ სკიტეს, რაჲთა იმარხონ შჯდეული სრულად. და მოვიდეს ვინმე[21] ძმანი ეგჳპტით[22] მამისა მოსესა და უქმნა მათ მცირედ

---

[1] მთ. 22,21. [2] მხიარულად] იხარულით E. [3] ვიყვნეთ] ვიყუნეთ D. [4] დაადგრეს] დაადგრე D. [5] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 194r-ზე (აკინძვის შეცდომა). [6] კითხვისა + და D. [7] ეგჳპტედ] ეგჳპტეს E. [8] ვისამე] ვისსამე CD. [9] დაიმარხვენ] დაჲმარხვენ A. [10] მომიგო] მოგჳგო D. [11] ~ ესრეთ ბერმან CD. [12] მას] ჩუენ C. [13] წარმგზავნნე] წარგზავნნე CD; წარგგზაննე E. [14] მას – CD. [15] უდეს D. 16 შდრ. მრ. 2,19-20. [17] კუალად თქუა, ვითარმედ] ხოლო D. [18] განვძეღით + ჩუენ E. [19] გუაიძულებდ] გუაჲძულებდა AE. [20] რომელი D. [21] ვინმე] ვიეთნიმე CD. [22] ~ მამისა მოსესსა ეგჳპტით C.

გბოლვილი და ვითარცა იხილეს მახლობელთა მისთა კუამლი[1], უთხრეს მღდელთა და მნეთა ეკლესიისათა, ვითარმედ მამამან მოსე დაჰჴსნა მცნებაჲ თქუენი და გბოლვილი შექმნა თავისა თჳსისა. ხოლო მათ თქუეს, ოდეს მოვიდეს იგი ეკლესიად, უთხრათ მას. და ვითარცა მოიწია შაბათი და იხილეს მღდელთა და მნეთა დიდი იგი მოქალაქობაჲ ბერისაჲ, თქუეს წინაშე ყოვლისა ერისა: მამამან მოსე მცნებაჲ კაცთაჲ დაჰჴსნა, ხოლო მცნებაჲ ღმრთისაჲ დაიცვა და აღასრულა.

VIII. მამაჲ ნისთერეონ იხილა ძმამან, რამეთუ ემოსა ორი პალეკარტი და ჰრქუა მას: უკუეთუ მოვიდეს გლახაკი და გთხოოს შენ სამოსელი, რომელსა მისცემ? ჰრქუა მას[2] ბერმან: უკეთესსა. ჰრქუა მას ძმამან: და უკუეთუ სხუამანცა გთხოოს, რასა მისცემ მას? ჰრქუა მას ბერმან: ნახევარსა მეორისასა. და ძმამან მან[3] ჰრქუა: და უკუეთუ სხუამანცა გთხოოს, რასა მისცემ? და ბერმან ჰრქუა მას: ნახევარსა მას კუალადცა განვხევ და მივსცემ მას და სხუასა მას მე მოვირტყამ. და უკუეთუ იგიცა, რაჲ? მასცა მივსცემ და დავჯდები შიშუელი ერთსა ადგილსა, ვიდრემდის ღმერთმან შემმოსოს, ხოლო კაცისაგან არა ვითხოვ. /316/

IX. მამასა პიმენს ჰკითხა ძმამან და ჰრქუა: უკუეთუ მივსცე ძმასა მცირჱ[4] პური, გინა სხუაჲ რაჲმე, ეშმაკნი შემიმრღუევენ მე და მეტყჳან, ვითარმედ: კაცთმოთნებით[5] ჰქმენ. ჰრქუა მას ბერმან: დაღათუ კაცთმოთნებით[6] იქმნებოდის, ჩუენმცა მიცემისაგან ნუ დავსცხრებით საჴმარსა მას ძმათასა, რომელსა ზედა და სახისმეტყუელებაჲცა შესძინა: ორნი კაცნი იყვნეს მუშაკნი, რომელნი-იგი ერთსა შინა ქალაქსა[7] მკჳდრ იყვნეს. და ერთმან მან დასთესა და მოიმკო მცირედ არაწმიდაჲ, ხოლო სხუაჲ იგი უდებ იქმნა და ყოლადვე არაჲ[8] სთესა[9]. მოიწია უკუე სიყმილი ორთავე მათ ზედა, რომელმან მათგანმან პოოს საზრდელი? მიუგო ძმამან: რომელმან-იგი ყო მცირედ[10] არაწმიდაჲ[11]. ჰრქუა მას ბერმან: ესრეთვე უკუე და ჩუენცა ვსთესოთ მცირედ, დაღათუ იყოს არაწმიდაჲ, რაჲთა არა სიყმილმან განმლინეს ჩუენ.

2. ძმაჲ მივიდა[12] **მამისა პიმენისა**[13] მარხვათა შინა შემდგომად ორისა კჳრიაკისა და უთხრნა მას გულისსიტყუანი მისნი და მიემთხჳა განსუენებასა და ჰრქუა ბერსა[14]: კნინღა და დავეყენე – ე დღესა[15] აქა მოსლვასა. ჰრქუა მას ბერმან: და რად ძმაო? ხოლო მან მიუგო: არა ვგონებდი განღებად[16] მარხვათა გზითა. ჰრქუა მას მამამან პიმენ: ჩუენ არა გჳსწავიეს დაჴშვად შეშისა კარსა, არამედ უფროჲსღა ენისასა[17].

---

[1] კუამლი – D. [2] მას – C. [3] მან – C. [4] მცირე CDE. [5] კაცთმოთნებით] კაცთა მოთნებით E. [6] კაცთმოთნებით] კაცთა მოთნებით E. [7] ~ ქალაქსა შინა CD. [8] არა CD. [9] სთესა] დასთესა D. [10] მცირედ – D. [11] არაწმიდაჲ] წმიდაჲ D. [12] მივიდა] მოვიდა C. [13] პიმენისა] პიმენისსა E. [14] ბერსა: კნინღა ...ბერმან – C. [15] დღესა – E. 16 ~ მარხვათა განღებად C. 17 ენისასა] ენისსა D.

X. მამამან თეოდორე ფერმელმან ჰკითხა **მამასა პამბოს** და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, მარქუ მე. და ძნიადღა სამე[1] ჰრქუა მას ბერმან: თეოდორე, წარვედ და გაქუნდინ წყალობაჲ ყოველთა მიმართ და რამეთუ წყალობამან პოვა კადნიერებაჲ წინაშე ღმრთისა.

2. ბერმან თქუა: დაღათუ კაცთა საჩუენებელად ვიქმოდით წყალობასა, კეთილვე არს, რამეთუ უკუანაჲსკნელ მოვალს იგი სათნოყოფად[2] ღმრთისა.

XI. იტყოდეს **მამისა სერაპიონისთჳს** ვითარმედ, შეემთხუა ოდესმე ალექსანდრიას /316v/ შიშუელი ვინმე, რომელი სასტიკად განცივნებოდა. და დადგა თჳსაგან და იგონებდა: ვითარ მე, რომელი[3] მოღუაწედ საგონებელ ვარ, მმოსიეს შესამოსელი და ესე გლახაკი, უფროჲსღა ქრისტე, ყინელითა მოკუდების. გრწმენინ, უკუეთუ უტეო ესე მოსიკუდიდ, ვითარცა კაცისმკლველი განვიკითხვი დღესა მას დიდსა სასჯელისასა. და მეყსეულად აღიძარცუა[4] ვითარცა ახოვანმან მჴედარმან სამოსელი თჳსი და მისცა გლახაკსა მას და დაჯდა იგი ესრეთ შიშუელი და მცირჱ[5] იგი სახარებაჲ, რომელი აქუნდა, აღმოიდვა ღლიასა[6] ქუეშე, წარჰვლიდა უკუე მეცნიერთა[7] მისთაგანი ვინმე და ჰრქუა მას: მამაო სერაპიონ, ვინ განგძარცუა შენ? და მან გამოიღო სახარებაჲ იგი, უჩუენა მას და ჰრქუა: ამან განმძარცუა მე. და აღდგა მიერ და შეემთხუა ვისმე სხუასა, რომელი ვალისათჳს შეეპყრა და მიზიდვიდეს, რამეთუ არა აქუნდა, თუ რაჲთა გარდაიჴადოს. განყიდა უკუე მცირე იგი სახარებაჲ მიმსგავსებულმან უჴორცოთამან სერაპიონ და მისცა მას, რომელი ვალისათჳს აჭირვებდა კაცსა მას და განათავისუფლა იგი. და წარვიდა და შევიდა სენაკად თჳსად ყოლად შიშუელი. და ვითარცა იხილა იგი[8] მოწაფემან მისმან ესრეთ შიშუელი, ჰრქუა მას: მამაო, სადა არს მცირჱ[9] იგი პალეკარტი შენი? და ბერმან ჰრქუა მას: წინა წარმიმგზავნიეს[10] იგი შვილო, სადა-იგი უფროჲს გუეჴმარების. ჰრქუა მას ძმამან: და სადა არს მცირჱ[11] იგი სახარებაჲ? ჰრქუა ბერმან: ჰრიდე, შვილო, რომელი-იგი მარადის მეტყოდა მე, თუ: განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა, თჳთ იგი განვყიდე[12] და მივეც მათ, რაჲთა უმეტესი კადნიერებაჲ ვპოოთ დღესა მას დიდსა სასჯელისასა.

XII. მამასა პიმენს ჰკითხა **მამამან ტიმოთე მღდელმან** და ჰრქუა: მამაო, არს ეგჳპტეს დედაკაცი მეძავი, რომელი რასაცა მოიგებს /317/ სასყიდელსა მისსა[13] მისცემს, ყოველსა მოწყალებად. ჰრქუა მას მამამან პიმენ: არა დაადგრეს[14] იგი სიძვასა მას ზედა, რამეთუ ჩანს მის შორის ნაყოფი სარწმუნოებისაჲ. იქმნა ოდესმე და მოვიდა დედაჲ მღდელისა ტიმოთესი

---

[1] სადმე C. [2] სათნოყოფად] სათნოდ C. [3] რომელი – C. [4] აღიძარცუა] აღიცარცუა C. [5] მცირჱ] მცირე CE. [6] ღლიასა] იღლიასაC. [7] მეცნიერთა მისთაგანი ვინმე] მეცნიერთაგანი ვინმე მისთაC; მეცნიერთაგანი ვინმე მისთაჲ; [8] იგი – E. [9] მცირჱ] მცირე CDE. [10] წარმიმგზავნიეს] წარმიგზავნიეს CD. [11] მცირჱ] მცირე CDE. [12] განვყიდე] გავყიდე E. [13] მისსა] თჳსსა E. 14 დაადგრეს] დაადგრა D.

ხილვად მისა[1] და მან ჰკითხა მას მისთჳს და ჰრქუა: დედაკაცი იგი მეძავი დაადგრაა სიძვასა მას ზედა? ხოლო მან ჰრქუა: ჰჱ, და უფროჲსღა შე-ცა-სძინა და მოწყალებასა მას და-ვე-ჰმატა[2]. წარვიდა[3] მღდელი იგი და მიუთხრა ესე მამასა პიმენს, ხოლო მან ჰრქუა: არა დაადგრეს იგი სიძვასა მას ზედა[4]. კუალად სხუასა ჟამსა მოვიდა დედაჲ იგი მღდელისაჲ და ჰრქუა ძესა თჳსსა: ხედავა, რომელ მეძავსა მას ენება მოსლვაჲ ჩემ თანა, რაჲთა ლოცვა ჰყოთ მისთჳს. და[5] წარვიდა და მიუთხრა მან მამასა პიმენს თხრობაჲ იგი დედისაჲ. ჰრქუა მას ბერმან: უფროჲსღა არქუ დედასა შენსა, რაჲთა წარვიდეს[6] და ეზრახოს მას. ხოლო იგი წარვიდა სიტყჳსაებრ ბერისა, იხილა[7] იგი და ეზრახა მას ცხორებისათჳს სულისა. და მოწყალებითა ღმრთისაჲთა ლმობიერ იქმნა იგი და აღტირდა და თქუა: მე ამიერითგან შეუდგე ღმერთსა და არღარა შევსძინო ცოდვად. და მეყსეულად შევიდა მონასტერსა ქალწულთასა და სათნო-ეყო იგი[8] ღმერთსა.

1. ბერმან თქუა, ვითარმედ: იყო ვინმე ჯმნილი[9] სოფლისაგან, რომელსა ცოლი ესუა, იყო რაჲ სოფელსა შინა[10], ერთი ასული კათაკუმეველი, გარნა ქრისტეანე. და მოკუდა ქალი იგი კათაკუმეველობასა მას შინა და განყო მამამან ქალისამან საქონელი იგი მისი სამად[11] ნაწილად და განუყო გლახაკთა საჯსრად სულისა მისისა[12], პირველად[13] ნაწილი მისი, მერმე ცოლისაჲ და მერმე თჳსიცა და არა დასცხრებოდა მისთჳს ვედრებად ღმრთისა მარადის[14], ვიდრემდის მოიწია მისა ჯმაჲ ზეცით, რომელი ეტყოდა, ვითარმედ: ნუ მწუხრე ხარ /317v/ ასულისათჳს შენისა, რამეთუ ნათელ-უღებიეს. ხოლო იგი ურწმუნო იქმნა ჯმასა მას. კუალად უკუე ჰრქუა ჯმამან მან[15] უხილავმან: ნათელს-უღებიეს[16] ასულსა შენსა და უკუეთუ არა გრწამს, აღმოთხარე[17] საფლავი მისი, ჰპოო-ძია მას შინა იგი[18]? და ვითარცა წარვიდა იგი საფლავად და აღიღო[19] იგი და ვერ პოვა გუამი ასულისა თჳსისაჲ[20], ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ გარდაცვალა იგი ანგელოზმან უფლისამან და დადგა სადაცა მან უწყის მორწმუნეთა თანა ქრისტესთა.

2. იტყოდა ვინმე მამათაგანი, ვითარმედ: იყო ვინმე მაგისტროსი, რომელი წარვლენილ იყო სადამე სამეუფოთათჳს[21] განსაგებელთა[22]. და ვითარცა მივიდოდა გზასა, იხილა მკუდარი[23] გლახაკისაჲ[24] შიშულად მდებარე. და შეეწყალა მას იგი, გარდაჯდა ჰუნესა თჳსსა, მისცა ყრმასა ცხენი იგი თჳსი და ჰრქუა: მიზიდევდი მცირედ ამას. და ვითარცა წარჰჯდა

---

[1] მისა – D. [2] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 193r-ზე (აკინძვის შეცდომა). [3] წარვიდა + უკუ ეD. [4] ზედა + ხოლ ოC. [5] და – C. [6] წარვიდეს + იგ იC. [7] იხილა იგი და ეზრახა მას – C. [8] იგი – D [9] ჯმნილი – C. [10] შინა + და E. [11] სამად] სამ CD. [12] მისისა] თჳსისა E. [13] პირველად] პირველ D .[14] მარადის –D. 15 მან-D. 16 ნათელს-უღებიეს] ნა-თელ-უღებიეს C. 17 აღმოთხარე] ამოთხარ E. 18 ~იგი მას შინა D. 19 აღიღო] აღაღო CD. 20 თჳსისაჲ] მისისაჲ E. 21 სამეუფოთათჳს] სამეფოთათჳს D. 22 გასაგებელთა D. 23 მკუდარი] გუამი E. 24 გლახაკისაჲ] გლახაკი C.

ყრმაჲ იგი, აღიძარცუა[1] ერთი სამოსელთაგან მისთა და დააგდო მკუდარსა მას ზედა მდებარესა და წარვიდა. კუალად უკუე სხუასა ჟამსა წარივლინა იგივე მაგისტროსი სამეუფოთათჳს მოციქულობათა და ვითარცა გამო-ოდენ-ვიდა ქალაქით, მანქანებითა ეშმაკისაჲთა გარდავარდა[2] ცხენისაგან და შეიმუსრა ფერჴი მისი. და მართლუკუნ-აქციეს იგი[3] ყრმათა მისთა სახლადვე[4] მისა. და მკურნალნი დაადგეს ზედა და იღუწიდეს მას. ხოლო შემდგომად ხუთისა დღისა დაუშავდა ფერჴი მისი. და ვითარცა იხილეს მკურნალთა დაშავებაჲ იგი ფერჴისაჲ, იწყეს თუალყოფად[5] ურთიერთარს, ვითარმედ მოკუეთაჲ უჴმს ფერჴსა ამას, უკუეთუ არა, დალპების სრულებით[6] ყოველივე[7] აგებულებაჲ მისი[8] და მოკუდების კაცი. მერმე[9] ჰრქუეს მას[10]: ხვალე მოვიდეთ ადრე და გკურნოთ შენ, ხოლო უძლურმან მან წამ-უყვნა /318/ ყრმასა თჳსსა და ჰრქუა მას: განჰყევ თანა და ისწავე მკურნალთაგან, თუ რაჲ არს განზრახვაჲ მათი. და მათ ჰრქუეს ყრმასა მას: ფერჴი უფლისა შენისაჲ დაშავებულ არს და უკუეთუ არა მოიკუეთოს, მოკუდების კაცი. ხვალე უკუე მოვიდეთ და რაჲცა ჯერ-უჩნდეს ღმერთსა ყოფად, ვყოთ[11]. და შევიდა ყრმაჲ იგი მოტირალი წინაშე უფლისა თჳსისა და ჰრქუა: ამას და ამას განიზრახვენ შენთჳს. ხოლო მას[12] ესმა რაჲ ესე, შეწუხნა ფრიად და მრავლისა მისგან ურვეულებისა[13] ვერცა თუ უძლო ძილად. ხოლო იყო კანდელი მნთებარე ბრწყინვალედ. და აჰა ესერა, შუვაღამეს[14] ოდენ იხილა კაცი შემომავალი სარკუმლით, რომელი მოვიდა მისა და ჰრქუა მას: რად შეწუხებულ ხარ, ანუ რად სტირ? ხოლო მან ჰრქუა მას: და არა გნებავსა რაჲთა ვტიროდი და შეწუხებულ ვიყო, რამეთუ შევიმუსრე[15] და ამას და ამას განიზრახვენ მკურნალნი ჩემთჳს. ჰრქუა მას გამოჩინებულმან მან: მიჩუენე მე ფერჴი შენი. და სცხო რაჲმე მას და ჰრქუა: აღდეგ აწ და წარვედ. და უძლურმან ჰრქუა მას, რამეთუ: ფერჴი ჩემი შემუსრვილი[16] არს და ვერ ძალ-მიც აღდგომად. კუალად ჰრქუა მან: მე მომეყრდენ და აღდეგ. და წარვლო მკელობრად[17]. და გამოჩინებულმან მან ჰრქუა მას: და ჯერეთცა ჰკელობა? მიწევ კუალად და კუალადცა გცხო შენ. და რეცათუ შეაწყვნა და დაასწორნა ფერჴნი მისნი და კუალად სცხო მას და ჰრქუა: აღდეგ აწ და ვიდოდე. და იგი აღდგა და ვიდოდა ყოვლითურთ მრთელი. და მან კუალად ჰრქუა მას[18]: მიწევ აწ[19] და განისუენე. და ჰრქუა მას რავდენნი[20] რაჲმე სიტყუანი მოწყალებისათჳს, ვითარმედ თქუა უფალმან: ნეტარ იყვნენ მოწყალენი,

---

[1] აღიძარცუა] აღიცარცუა C. 2 გარდამოვარდა E. 3 ~ ყრმათა მისთა იგი D. 4 სახლადვე] სახედვე E. 5 თუალყოფად] თუალყოფაჲ C. 6 სრულებით] სრულად E. 7 ყოველივე] ყოველი D. 8 მისი] გუამისაჲ C. 9 მერმე ჰრქუეს მას – C. 10 მას + უკუე C. 11 აქ E ნუსხა წყდება. 12 მას – C. 13 ურვეულობისა CD. 14 შუვაღამესა D. 15 შევიმუსრე + ფერჴი ჩემი CD. 16 შემუსრვილი] შემუსრვილ CD. 17 მკელობრად] მკელობელად C. 18 მას – C. 19 აწცა D. 20 რავდენნი] რაოდენნი CD.

რამეთუ იგინი შეიწყალნენ და ვითარმედ[1] უწყალო არს სასჯელი[2] /318v/ მათთჳს, რომელთა არა ყონ წყალობაჲ და სხვაჲ ესევითარი. მერმე ჰრქუა მას: ცხოვნდი. ჰრქუა მას მაგისტრიანოსმან: წარხუალა? და მან ჰრქუა მას: ჰწ, წარვალ და რაჲ გნებავს, რაჲთგან განჰმრთელდი? ჰრქუა მას მაგისტრიანოსმან[3]: ღმერთსა, რომელმან მოგავლინა შენ[4], მითხარ მე, თუ ვინ ხარ შენ? და მან ჰრქუა მას: მოხედენ ჩემდა, იცნობა ქნარსა ამას ტილოჲსასა კეთილად. და მან ჰრქუა მას: ჰწ, უფალო, ჩემი არს. და მან ჰრქუა მას: მე ვარ, რომელი-იგი მიხილე გზასა ზედა მკუდრად მდებარედ და მომაგდე ჩემ ზედა ტილოჲ ესე და აჰა ესერა, მომავლინა მე ღმერთმან განკურნებად შენდა, რომლისათჳს ყოლადვე და მარადის ჰმადლობდი ღმერთსა. ესე თქუა და აღვიდა კუალადცა სარკუმლისა მისგან, ვინაჲ-იგი შთამოვიდა. ხოლო მაგისტრიანოსი იგი განმრთელდა[5] სრულიად და მიზეზსა მას ყოველთა კეთილთასა ადიდებდა ღმერთსა.

3. კუალად სხუაჲ ვინმე მაგისტრიანოსი უკუმოიქცა[6] პალესტინით კონსტანტინეპოლედ და შეემთხჳა ვისმე კერძოთა ტჳროსისათა გზასა ზედა კაცსა უთუალოსა, რომელსა არცა ერთი ვინ აქუნდა მძღურად[7], რომელსაცა ჴმაჲ იგი ტერფისცემისაჲ[8] რაჲ ესმა ცხენისაჲ, მეყსეულად ქუეყანად მივარდა გზასა ზედა და აღიპყრნა ჴელნი თჳსნი და საწყალობელთა და საგლახაკოთა სიტყუათა იტყოდა, რაჲთამცა წყალობად მოდრიკა იგი. ხოლო მაგისტრიანოსმან მან[9] უგულებელს-ყო იგი და წარვლო და წარჴდა მას თანა. და ვითარცა მცირედ ოდენ წარვლო, დააყენა ჰუნწ[10] თჳსი და გამოიღო სადრაჰკნე თჳსი[11] და აღმოიღო ერთი რუბაჲ, მესამედი დრაჰკნისაჲ და უკუმოიქცა[12] თჳთ და მისცა გლახაკსა მას უთუალოსა ჴელთა მიერ თჳსთა. ხოლო მან მიიღო რაჲ იგი, დალოცა[13] ესრეთ და თქუა: მრწამს ღმრთისაჲ, რომელ გიჴსნეს შენ მოწყალებამან ამან /319/ განსაცდელისაგან დიდისა. მიითუალა უკუე ლოცვაჲ იგი მაგისტრიანოსმან[14] გულსავსებით და წარვიდა და შევიდა ქალაქად ტჳროდ და პოვა მუნ მთავარი და ვიეთნიმე მჴედართაგანნი, რომელნი ევედრებოდეს, რაჲთა მისცეს მათ ნავი და წარმგზავნნეს იგინი. ხოლო მჴედართა მათ იხილეს რაჲ მაგისტრიანოსი, მხიარულ იქმნნეს ფრიად და ჰლოცვიდეს მას, რაჲთა დაუთხოოს[15] მათ ნავი მთავრისაგან და წარვიდენ გზასა თჳსსა კოსტანტინეპოლედ. ერჩდა უკუე მაგისტრიანოსი ვედრებასა მათსა და წარვიდა მთავრისა და ითხოვა განმარჯუებაჲ გზისა თჳსისაჲ და მჴედართა მათთჳს ნავი. ჰრქუა განცხრომით მთავარმან მჴედართა მათ: არწმუნეთ მაგისტრიანოსსაცა თქუენ თანა მოსლვაჲ ნავად და განგიტევნე

---

[1] ვითარმედ] რამეთუ D. [2] ~ მათთჳს სასჯელი D. [3] მაგისტრიანოსმან] მაგისტროსმან C. [4] შენ – D. [5] განმრთელდა] გამრთელდა D. [6] უკუმოიქცა] უკმოიქცა D. [7] მძღურად] მოძღურად D. [8] ტერფისცემისაჲ] ფერჴისცემისაჲ C. [9] მან –D. [10] ჰუნწ] ჰუნე C. [11] თჳსი – C. [12] უკუმოიქცა] უკმოიქცა D. [13] დალოცა] ილოცა CD. [14] მაგისტრიანოსმან + მან C. [15] დაუთხოოს] მიუთხოოს CD.

თქუენ. რომელთაცა ესმა რაჲ ესე, რომლითა ვედრებითა არა ევედრებოდეს მაგისტრიანოსსა, რაჲთა თავს-იდვას მათ თანავე შესლვაჲ ნავად. და ვითარცა მრავლითა წყინებითა აწყინეს მას, აღუთქუა მან ყოფად ესე. და მისცა მათ მთავარმან ნავი და[1] შევიდეს ერთბამად მჴედარნი იგი და მაგისტრიანოსი. და მისცა ღმერთმან ქარი კეთილი და[2] ვიდოდეს გზასა თჳსსა[3]. ხოლო ღამესა მას წყენილ იქმნა მაგისტრიანოსი იგი უძლურებისაგან ბუნებისა ჩუენისა და მივიდა კიდესა ნავისა[4] საჴმრისათჳს მუცლისა, სადა იგი ჰკრა ქარმან და აფრამან და[5] შთააგდო იგი ზღუასა შინა, ხოლო მენავეთა მათ ესმა[6] ჴმაჲ ჩაგდებისაჲ[7], გარნა ვინაჲთგან ნავი მალიად ვიდოდა[8] ქარისაგან მომზავებლისა[9], და[10] იყო[11] ღამე უმთოაროჲ. უქმ იქმნა ყოველივე ღონე მათი, ვინაჲცა დაუტევეს იგი და ვიდოდეს. მიმოაქუნდა უკუე მაგისტრიანოსი იგი[12] წყალთა მათ და ზღუასა, რომლისათჳს ჰგონებდეს მენავენი იგი, თუ მაშინვე მოკუდა. /319v/ არამედ ნებითა ღმრთისაჲთა და სიმრავლითა გამოუთქუმელთა მათ წყალობითა მისთაჲთა[13] იპოვა იგი ხვალისდღე[14] ცოცხალი[15] და[16] მრთელი და[17] რაჲთურთით ყოლად უვნებელად დაცვული, რომლისა მახლობელად წარმოჰვლიდა და განგებითა ღმრთისაჲთა სხუაჲ ნავი. და ვითარცა იხილეს იგი მენავეთა, აღიყვანეს მათ თანა ნავად. და შევიდა ნავიცა იგი მასვე ქალაქსა, რომელსაცა მჴედარნი იგი შესრულ იყვნეს. ხოლო მენავენი იგი ორისავე მის ნავისანი განვიდეს რაჲ ქუეყანად, იპოვნეს ერთსა შინა კაპილონსა. და მოეხსენა ერთსა ვისმე მენავეთაგანსა მის ნავისასა მაგისტრიანოსი, სულთ-ითქუნა და თქუა: ნეტარ რაჲ-მე იქმნა მაგისტრიანოსი იგი?! ესმა რაჲ ეს მეორისა მის[18] ნავისათა, ჰკითხვიდეს მას, თუ რომლისა მაგისტრიანოსისათჳს სულთ-ითქუნა. და ვითარცა ისწავეს საქმე იგი, ჰრქუეს მას: ჩუენ ვაცხოვნეთ იგი და გამოვიყვანეთ და გუყავს ჩუენ თანა. და ვითარცა იცნობა ესე, შექმნეს სიხარული რაჲზომ[19] ფრიადი და წარვიდეს და გამოიყვანეს იგი და მიიყვანეს ნავად თჳსად. და უთხრობდა მათ მაგისტრიანოსი იგი, ვითარმედ: უთუალოსა მას, რომელსა მივეც გზასა ზედა რუბაჲ, მას ვეტჳრთე მე ზე და ვიდოდე წყალთა ზედა, რომელი ესმა რაჲ ესე, ადიდებდეს მაცხოვარებასა ღმრთისასა. ამისგან უკუე ვსცნობთ და ვისწავებთ, ვითარმედ გულითა ქმნილი მოწყალებაჲ არა წარჴდების, არამედ ჟამსა ჭირისასა მიაგებს ღმერთი მოქმედსა მას მოწყალებისასა წერილისაებრ უკუე საღმრთოჲსა, ნუმცა ოდეს დავეხრწევით[20] კეთილისყოფისაგან მოქენისა, რაჟამს-იგი შემძლებელ იყოს ჴელი ჩუენი და აქუნდეს ღონე.

---

[1] და – C. [2] და – C. [3] გზასა თჳსსა – D. [4] ნავისა] ნავისასა CD. [5] და – C. [6] ესმა + რაჲ D. [7] ჩაგდებისაჲ] შთაგდებისაჲ CD. [8] ვიდოდა] მივიდოდა D. [9] მომზავებლისა] მომზავებელისა CD. [10] და + იგი CD. [11] ~ ღამე უმთუაროჲ იყო CD. [12] იგი – D. [13] მისთაჲთა] თჳსთაჲ C. [14] ხვალისდღე] ხვალისა დღე D. [15] ცოცხალი] ცოცხლად C. [16] და – C. [17] და – C. [18] მის – C. [19] რაჲზომ – CD. [20] დავეხრწევით] დავსცხრებით C.

4. იტყოდა ვინმე ქრისტესმოყუარეთაგანი, ვითარმედ: რომელსა აქუნდეს მადლი მოწყალებისაჲ, უღირს, რაჲთა ესრეთ მისცემდეს, ვითარმცა თჳთ იგი არს მიმღებელი /320/ და არა იგი, რომელსა მისცემს. და რამეთუ ესევითარი-იგი მოწყალებაჲ მიაახლებს ღმერთსა, მოქმედსა მისსა.

5. გჳთხრობდა ვინმე მამათაგანი, ვითარმედ ალექსანდრიას შინა დედაქალაქსა იყო ვინმე კაცი მდიდარი. ესე დასნეულდა და შეეშინა სიკუდილისა და გამოიღო ოქროჲ ოცდაათი ლიტრაჲ და განუყო გლახაკთა და განმრთელდა იგი. ამას ზედა სულგრძელებითა ღმრთისაჲთა დაიწყო შენანებად საქმისა მის კეთილისა, რომელიცა ქმნა. ხოლო ესუა მას მეგობრად კაცი ვინმე კეთილი და მორწმუნე, მას მიანდო გულისსიტყუაჲ თჳსი, ვითარმედ ინანის იგი[1] საქმესა მას ზედა, რომელი ქმნა. და მან ჰრქუა მას: მაგას ზედა უფროჲსღა სიხარული გიღირს, რამეთუ ქრისტესდა შეგიწირავს იგი ყოველი. ხოლო ვერ ერჩდა, ვერცა გულსავსე იყო, მაშინ ჰრქუა მას მეგობარმან: აჰა ესეცა მიც მზად ოცდაათი იგი ლიტრაჲ, და[2] რამეთუ იყო იგიცა[3] მდიდარ, წარმოვედ[4] უკუე ტაძარსა წმიდისა მინაჲსსა და თქუ: არა ვარ მე, რომელმან ვყავ მოწყალებაჲ იგი, არამედ ესე არს და მიიღე იგი. და ვითარცა წარვიდა წმიდისა მინაჲს[5] წინაშე და თქუა ესრეთ და მიიღო ოცდაათი იგი[6] ლიტრაჲ[7], მეყსეულად გამოსლვასა ოდენ მისსა კარსა დაეცა და მოკუდა. ჰრქუეს უკუე მოძმეთა მისთა უფალსა მას განძისასა: მიიღე განძი შენი[8]. ხოლო მან ჰრქუა მათ: ნუ ყოს ეგე უფალმან, რაჲთაგან შევწირე ეგე ქრისტესა, მისი არს, არამედ გლახაკთა განუყავთ ეგე. ხოლო მათ ესმა რაჲ ესე და იხილეს კეთილსა ზედა სიმტკიცე[9] კაცისა მის ღმრთისაჲ, განუკჳრდა ფრიად[10], ყვეს ეგრეთ და ადიდებდეს ღმერთსა.

6. ბერი ვინმე იყოფებოდა ზოგად ძმასა ვისმე თანა. ხოლო ბერი იგი იყო მოწყალე ფრიად. და ვითარცა შეიქმნა სიყმილი მას ქუეყანასა, მოვიდოდინ კარად ბერისა თხოვად სიყუარულისა, ხოლო ბერი მისცემდა ყოველთავე, რომელნიცა მოვიდოდეს თხოვად სიყუარულისა. იხილა რაჲ /320/ ძმამან მან, რასა-იგი იქმოდა ბერი, ჰრქუა მას: მომეც მე, მამაო, ჩემი ნაწილი პური ჩემთჳს და შენ ვითარცა გენებოს, ყავ შენსა მას ზედა ნაწილსა. ხოლო ბერმან განყო[11] ორად ნაწილად პური იგი და ძმასა მას მისცა მისი ნაწილი, ხოლო თჳსისა მისგან ნაწილისა იქმოდა ბერი უხუებით მოწყალებასა. და რამეთუ მრავალნი შეკრბებოდეს ბერისა, ვინაჲთგან ისწავეს, ვითარმედ ყოველთავე[12] მისა მიმავალთა მისცემს მოწყალებასა. იხილა რაჲ ღმერთმან გულკეთილობაჲ ბერისაჲ, აკურთხნა პურნი იგი და უმეტეს და უმეტეს განმრავლდებოდეს, ხოლო ძმამან მან დაჭამნა პურნი იგი მისნი და მერმე

---

[1] იგი – D. [2] და – C. [3] იგი D. [4] წარმოედ C. [5] მინაჲს] მინას D. [6] იგი – D. [7] ლიტრაჲ + ოქროჲ D. [8] შენი] იგი D. [9] სიმტკიცე + მისი C. [10] ფრიად + და D. [11] განყო] განუყო D. [12] ~ მისსა მიმავალთა ყოველთა D.

ჰრქუა ბერსა: ვინაჲთგან წუთღა მისხენ მე[1] მცირედ პურნი, ვიყო მე შენ თანავე ერთ პურად. და ბერმან ჰრქუა მას: ვითარცა გნებავს, ეგრეცა ვყო. და იყვნეს კუალად ორნივე ზოგად ერთ მეპურისმტჱ[2]. და ვითარცა გარდაჴდა ჟამი იგი და იქმნა იეფობაჲ, დაეჩუნეს მომავალნი იგი თხოვად სიყუარულისა და კუალადცა მოვიდოდეს წესისაებრ. დღესა უკუე ერთსა შევიდა ძმაჲ იგი საპურეს და პოვა, რამეთუ პური მოკლებულ იყო. და მოვიდა გლახაკი და სთხოვდა მას, ჰრქუა ბერმან ძმასა მას[3] მიცემად სიყუარულისა, მიუგო ძმამან[4]: არღარა არს, მამაო. ჰრქუა მას ბერმან: შევედ და ძიება ყავ. შევიდა ძმაჲ იგი და პოვა სახლი იგი საპურჱ[5] სავსჱ[6] პურითა[7]. იხილა რაჲ ესე ძმამან მან, შეპყრობილ იქმნა შიშითა და ზარითა, მისცა გლახაკსა მას პური და ცნა სარწმუნოებაჲ ბერისაჲ იგი მტკიცე და სათნოებაჲ მისი, განემტკიცა იგიცა[8] კეთილსა ზედა და ჰმადლობდა და ადიდებდა ღმერთსა.

7. ბერმან თქუა: არს კაცი, რომელი მრავალსა კეთილსა იქმს და მცირედსა ზედა დაახედვებს მტერი, რაჲთა ყოვლისა მის სასყიდელი /321r/ წარ/უწყმიდოს, რაოდენიცა-რაჲ იგი ექმნეს[9] კეთილი. და რამეთუ[10] ვჯედ ოდესმე ოქსურინხოს[11] მღდელსა ვისმე თანა, რომელი ჰყოფდა მოწყალებასა. და მოვიდა[12] ვინმე ქურივი გლახაკი და ითხოვდა მცირედსა იფქლსა. და ჰრქუა მას: მოიღე სამოსელი შენი და აღგიწყო შენ. და ვითარცა მოიღო, იწყო მან ჴელითა განხილვად, ვითარმედ დიდი[13] არს ჭურჭელი ესე და შეარცხუნა ქურივსა მას. ხოლო მე ვარქუ მას: ბერო, მიჰყიდია იფქლსა მაგას? და მან თქუა: არა, არამედ სიყუარულად[14] მივსცემ. და მე ვარქუ მას: უკუეთუ ყოლად გეგულების მოწყალებისა ყოფად, რაჲსათჳსღა[15] იწულილავ და არცხუენ გლახაკსა, რომელ არს ქრისტე!

8. მივიდა ვინმე ძმაჲ გაშრებულისა ვისამე და გამოსლვასა[16] მისსა ჰრქუა მას: შემინდვე მე, მამაო, რამეთუ მოგაცთუნე კანონისაგან შენისა. მიუგო ბერმან და ჰრქუა მას: ჩემი /321/ კანონი იგი არს, რაჲთა ვითარ[17] შენ[18] განგისუენო და წარგგზავნო მშჳდობით.

9. განშორებული ვინმე მკჳდრ იყო მახლობელად კრებულთა მონასტრისა და მრავალსახითა მოღუაწებითა მოქალაქობდა. იქმნა ოდესმე და მივიდეს უცხონი ვინმე მონასტერსა მას, მიაკრბეს იგინი ბერსა და აიძულეს[19] მასცა ჭამად მათ თანა პირველ ჟამისა. შემდგომად ამისა ჰრქუეს მას ძმათა: აწ არავე შესწუხდია, მამაო? ხოლო მან ჰრქუა მათ: შეწუხებაჲ ჩემი მაშინ არს, უკუეთუ ოდეს მე ვყო ნებაჲ ჩემი.

---

[1] მე – CD. [2] მეპურისმტჱ] მეპურისმტე CD. [3] მას] მან C. [4] ძმამან] მან. [5] საპურე CD. [6] სავსე CD. [7] აქედან E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 197r-ზე (აკინძვის შეცდომა). [8] იგიცა – D. [9] ექმნეს] ექმნას C. [10] რამეთუ – C. [11] ოქსურინხოს] უქსურინხოს E. [12] მოვიდა] მო-ვინმე-ვიდა CD. [13] დიდი] დიდ D. [14] სიყუარულად] მოწყალებად E. [15] რაჲსათჳსღა] რასაღა D. [16] გამოსლვასა + მას C. [17] ვითარ – C. [18] ~ განგისუენო შენ C. [19] აიძულეს] აჲძულეს ACDE.

10. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე, ვითარმედ მკჳდრ იყო იგი[1] ასურასტანს, გზასა ოდენ[2] ზედა უდაბნოჲსასა. და ესე იყო საქმე მისი, რომელსაცა ჟამსა მივიდის[3] მისა მონაზონი უდაბნოჲთ, გონებითა კეთილითა უმზადის მას განსასუენებელი. ერთგზის უკუე მივიდა ვინმე მისა[4] განშორებული და უქმნა მას განსასუენებელი, ხოლო მან არა ინება /321v/ ჭამად, არცა ყოლად გემოჲსხილვად, არამედ ჰრქუა: მე ვიმარხავ. ხოლო იგი შეწუხნა[5] და ჰრქუა მას: ნუ შეურაცხ-მყოფ მე, გლახაკსა ამას[6], ნუცა თანაწარმჴდები მონასა შენსა, გევედრები შენ, არამედ მოვედ და ვილოცოთ. და აჰა ესერა, დგას ხე ესე აწ უკუე, რომლისაცა ლოცვასა და მუჴლთა მოდრეკასა[7] თანავე მოდრკეს ხეცა[8] ესე თაყუანისცემად უფლისა, მისსაცა ნებასა დავემორჩილნეთ. მოდრიკნა უკუე მუჴლნი უდაბნოჲთ მომავალმან მან ლოცვისათჳს და არარაჲ იქმნა. და მოიდრიკნა უცხოთშემწყნარებელმან მან და მეყსეულად მოდრკა ხეცა[9] იგი მის თანა, რომელსა ზედა გულსავსე იქმნნეს და ჰმადლობდეს ღმერთსა.

11. იყო ვინმე მონაზონი და ესუა მას ძმაჲ ერისკაცი[10] გლახაკი და რაოდენსაცა რას შურებოდა, მისცემდა მას. ხოლო რაოდენ იგი მისცემდა, ეგოდენ უმეტეს დაგლახაკნებოდა იგი. წარვიდა ძმაჲ იგი და მიუთხრა ესე[11] ბერსა ვისმე დიდსა. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ გნებავს სმენაჲ ჩემი, ნუღარას მისცემ მას ყოლადვე, არამედ არქუ მას: ძმაო, მე ვიდრემდის მაქუნდა, მოგცემდი შენ. და აწ შენ[12], რომელსა სადაჲთ მოგცემს ღმერთი, მიღუაწე მისგან მეცა და რაჲცა მოგართუას მიიღე იგი და სადაცა იცნოდი[13] უცხონი ანუ ბერნი, მიეც მათ და ევედრე, რაჲთა ლოცვა ყონ მისთჳს. წარვიდა უკუე ძმაჲ იგი და ყო ესრეთ[14], ვითარცა განუწესა მას ბერმან. და ვითარცა მოვიდა ძმაჲ იგი მისი ერისკაცი ბრძანებისაებრ ბერისა, სიტყუაუგო მას, ხოლო იგი წარვიდა შეწუხებული. და აჰა ესერა, პირველსა მას დღესა მოიღო ნამუშაკევი მისი ნედლი მხალი და მიიღო იგი ძმამან[15] და მიართუა ბერთა და ევედრა მათ, რაჲთა ლოცვა ყონ მისთჳს. და იკურთხა მათგან და წარვიდა სახედ თჳსა. ესრეთვე[16] კეთილად კუალად მოიღო მხალი და სამი პური და აღიღო იგი ძმამან[17] და ყო, ვითარცა-იგი პირველ და იკურთხა იგი კუალადცა და წარვიდა სახედ თჳსა. ხოლო მესამედ მოვიდა[18] იგი და /322/ მოიღო ფრიად საჴმარი ღჳნოჲ და თევზი და მრავალგუარი სანოაგე[19] და ვითარცა იხილა იგი ყოველი ძმამან მისმან, დაუკჳრდა და მოხადა გლახაკთა და განუსუენა მათ. მერმე ჰრქუა ძმასა მას თჳსსა: ნუ გიჴმსა მცირედ პური, რაჲთა მოგცე? ხოლო მან ჰრქუა: არა, უფალო, რამეთუ ოდეს რაჲცა მომცი მე და წარვიღი შენგან, ვითარცა ცეცხლი

---

[1] იგი – E. 2 ~ ზედა ოდენ C. 3 მივიდის] მივიდეს C. 4 მისა] მისსა D. 5 შეწუხნა] შეწუხდა E. 6 მას C. 7 მუჴლთა მოდრეკასა] მუჴლთმოდრეკასა CDE. 8 ხე E. 9 ხეცა იგი] ხე იგიცა C. 10 ერისგანი E. 11 ესე – E. 12 შენ – D. 13 იცნოდი] იცნოდნა C. 14 აქ E ნუსხა წყდება. 15 ძმამან +მან C. 16 ესრეთვე კეთილად...სახედ თჳსა – D. 17 ძმამან + მა ნC. 18 მოვიდა] მივიდა D. 19 სანოაგე] სანოვაგე C; სანუვაგეD.

შემოვიდოდა სახლსა[1] ჩემსა და შეშჭამდა[2] ყოველსავე, რაოდენსაცა რას ჰპოებდა, ხოლო რაჲთაგან არღარას მივიღებ შენგან, ღმერთმან აკურთხა სახლი ჩემი. წარვიდა უკუე ძმაჲ იგი და მიუთხრა[3] ბერსა მას ყოველივე იგი, რომელიცა[4] იქმნა. და ბერმან ჰრქუა მას: არა უწყია, რომელ ყოველივე საქმე მონაზონისაჲ ცეცხლი არს და სადაცა შევიდეს დასწუავს. და რამეთუ იგი არგებს მას უფროჲსღა, რაჲთა ნაშრომისაგან თჳსისა იქმოდის მოწყალებასა და მიიღებდეს ლოცვასა წმიდათაგან და ესრეთ იკურთხოს იგი[5].

12. მონაზონსა ვისმე თიბელსა[6] მიეცა მადლად ღმრთისაგან, რაჲთა რაოდენსაცა იქმოდის მოწყალებასა, ყოლადვე არა მოაკლდებოდის საფასეთა მისთა, არამედ რაჲთა კმა-ეყოფოდის ყოველთავე, რომელნიცა მივიდოდიან მისა[7]. ვინაჲცა აღავსის მან სფირიდები და მალაკები კერმაჲთა და ოქროჲსა ნაჭერითა და მივალნ[8] სოფლებსა და განუყოფნ მუნ ყოველთავე, რაოდენთაცა უჴმდის. ხოლო იქმნა ერთგზის საქმე საკჳრველი, რამეთუ წარვიდა ჩუეულებისაებრ მონაჲ იგი ღმრთისაჲ დაბასა რასმე ერთსა და განუყოფდა გლახაკთა ვეცხლსა და ოქროსა. და მოვიდა დედაკაცი ვინმე მის თანა, რაჲთა მიიღოს მოწყალებაჲ, რომელსა ემოსა სამოსელი საგლახაკოჲ. და ვითარცა იხილა იგი ბერმან ძუელითა და დაბებკულითა მოსილი, შეეწყალა და შთაყო ჴელი მალაკსა, რაჲთამცა აღმოიღო დიადი და შეუდრკა ჴელი მისი და აღმოიღო მცირედი და მისცა მას. და აჰა ესერა, სხუაჲ მოვიდა, რომელსა /322v/ ემოსა სამოსელი კეთილი და შთაყო ბერმან ჴელი მალაკსა და ინება, რაჲთამცა მისცა მცირედ და განემარტა ჴელი მისი და აღმოიღო დიადი და[9] მისცა მას. განუკჳრდა საქმე ესე ბერისა და ჰკითხა მუნ მყოფთა მათ ორთა მათთჳს დედათა, თუ რაჲ არს საქმე მათი და ცნა მათგან, რამეთუ სამართალად განბჭო ღმერთმან, რამეთუ რომელსა-იგი ემოსა სამოსელი კეთილი, სხჳსაგან ეთხოვა სირცხჳლისათჳს, რამეთუ მდიდართა შვილი დაგლახაკებულ იყო[10]. და კუალად რომელსა-იგი სამოსელი საგლახაკოჲ შეემოსა, მასცა სხჳსაგან ეთხოა მიღებისა მიზეზითა, თუ არა,აქუნდა დასარჩომელი თჳსი. ამისთჳს[11] ღმერთმან წყალობააურაცხელმან, რომელი-იგი ყოველგან არს და ყოველსავე ხედავს, გამოაჩინა საქმე ორთაჲვე მათ სადიდებელად ღმრთეებისა თჳსისა და სამოძღურებელად ჩუენდა.

13. ორნი ვინმე ძმანი მივიდეს ბერისა ვისმე, ხოლო ჩუეულებაჲ ბერისაჲ არა იყო ყოველთა დღეთა ჭამაჲ. და ვითარცა იხილნა ძმანი, მხიარულ იქმნა და თქუა: დაღათუ მარხვასა აქუს მადლი, გარნა რომელი იქმოდის სიყუარულსა, ორთა მცნებათა აღასრულებს: ერთად, რამეთუ განჰკუეთს ნებასა თჳსსა და მეორედ, რამეთუ აღასრულებს ნებასა ღმრთისასა და განუსუენებს ძმათა.

---

[1] სახლსა] სახლად D. [2] შეშჭამდა] შესჭამდა D. [3] უთხრა C. [4] რომელიცა იქმნა – C. [5] იგი+უფლისა მიერ CD. [6] თიბელსა] თებელსა CD. [7] მისს] მისსა D. [8] მივალნ + იგი C. [9] და – D. [10] იყო] იქმნაC. [11] ამისთჳს] ამისთჳსცა CD.

14. წმიდათაგანი ვინმე მკჳდრ იყო ეგჳპტეს[1] ადგილსა უდაბნოსა, ხოლო იყო განშორებულად მისგან სხვაჲ ვინმე მანიქეველი შჯულითა და მათ მიერ ხუცად სახელდებული. ესე მანიქეველი წარვიდა ოდესმე მოხილვად სხუათა ვიეთმე მისისავე[2] წვალებისათა. და ვითარცა მივიდოდა სადგურად თჳსად, შეუღამდა მახლობელად წმიდისა მის მართლმადიდებელისა და ჭირსა შევარდა იგი. იგონებდა და იურვოდა, თუ რაჲ ყოს, რამეთუ ეშინოდა შესლვად /323/ წმიდისა მის თანა და დავანებად მუნ, რამეთუ იცნობდა მას[3], ვითარმედ მანიქეველი არს და არა აგონებდა შეშუებასა, გარნა ყოველსავე ზედა იძულებულმან ჭირისაგან მიჰმართა[4], მივიდა კარად ბერისა და იწყო რეკად. გამოვიდა ბერი, განაღო[5] კარი და იცნა იგი და მიეგება მას მრავლითა სიხარულითა, შეიყვანა შინა, მოწლედ მოიკითხა იგი და აწუევდა მას[6] ლოცვისა ყოფად და აიძულებდა[7] დაუდგა ტაბლაჲ და განუსუენა მას კეთილად და ესრეთ დაწვა მუნ და დაიძინა[8]. ხოლო მანიქეველი იგი მოეგო გონებასა თჳსსა და ღამე ყოველ განიზრახვიდა და უკჳრდა სათნოებაჲ ბერისა მის წმიდისაჲ, თუ ვითარ არცა ერთი[9] რაჲ იჭუეულებაჲ აჩუენა, არცა რას ყოლად დაერიდა მას, ნანდჳლვე ჭეშმარიტად მონაჲ არს ესე ღმრთისაჲ. და ვითარცა იქმნა განთიად, აღდგა იგი მეყსეულად და შეუვრდა ფერჴთა ბერისათა და ჰრქუა მას: მე ამიერითგან მართლმადიდებელი ვარ და მონაჲ და მოწაფე შენი და დღესითგან არღარა განგეშორო შენ. დაადგრეს უკუე ორნივე ზოგად[10] და ადიდებდეს ღმერთსა.

15. იყო ვინმე კაცი ჰურიასტანს, ისრაჱლთა შორის მდიდარი ფრიად, ხოლო სიმდიდრე იგი[11] მისი ყოველი იყო მოხუეჭითა და უსამართლობითა მოგებული და ცილისწამებითა სხუათაჲთა. ესე მოეგო ოდესმე[12] გონებასა თჳსსა და მოეჴსენა სასჯელთათჳს ღმრთისათა, წარვიდა მოძღურისა მის მათისა და ჰრქუა მას: გევედრები შენ, მოძღუარო, გონებაჲ ჩემი, ტყუექმნულ და შექცეულ არს ზრუნვათა მსოფლიოთა და რაჲცა ძალ-გიც განჰკურნე იგი, რაჲთა არა სრულიად წარვწყმდე. ხოლო მან გამოიღო „სიბრძნჱ სოლომონისი“ და მისცა მას და ჰრქუა: ესე აღმოიკითხე და გერგოს. და ვითარცა წარიღო წიგნი იგი და იკითხვიდა, პოვა ადგილი იგი, რომელსა წერილ იყო: /323v/ „რომელი სწყალობდეს გლახაკსა, ავასხებს იგი ღმერთსა“. და შეყო წიგნი იგი და მისცა მოძღუარსა და თქუა: და[13] ვინ პოოს ვინცა უსარწმუნოესი ღმრთისაჲ, რომელმან თავთა თანა სარგებელიცა მომიზღოს[14] მე, ვსწყალობდე თუ გლახაკთა? და[15] წარვიდა და განყიდა ყოველივე, რაჲცა აქუნდა და განუყო გლახაკთა, რომელ არარაჲ ყოლადვე[16]

---

[1] ~ ადგილსა უდბნოსა ეგჳპტისასა D. [2] მისისავე] მისისა მის D. [3] მას –CD. [4] მიჰმართა + დ აD. [5] განუღო C. 6 მას – C. [7] აიძულებდა] აჲძულებდა A. [8] დაიძინა] დაჲძინა A. [9] ~რ აჲ ერთ იCD. [10] ზოგად – C. [11] იგი – CD. [12] ოდესმე – C. [13] და – C. [14] მომიზღოს] მომიძიოს D. [15] და წარვიდა და .....განუყო გლახაკთა – C. [16] ყოლადვე – C.

დაიმჭირა[1] თავისათჳს თჳსისა, თჳნიერ ოთხი ოდენ დრაჰკნი სამკუდროდ[2] საგრაგნელისათჳს. ხოლო დაგლახაკნა იგი ფრიად და არცა ერთი ვინ სწყალობდა მას. და ვითარცა გარდაჴდეს ამას[3] ზედა რაოდენნიმე ჟამნი და შეშჭირდა დიდად კაცსა მას, უკუანაჲსკნელ თქუა გულსა შინა თჳსსა: წარვიდე მე[4] იერუსალჱმს, უფლისა ღმრთისა ჩემისა და სამართალი მოვსთხოო მას სიგლახაკისათჳს ჩემისა, რამეთუ მომაცთუნა მე და განვაბნიე სიმდიდრჱ[5] ჩემი. და ვითარცა აღვიდოდა იგი იერუსალჱმს, იხილნა ვინმე ორნი კაცნი, რომელნი ჰბრძოდეს ურთიერთარს, რომელთა ეპოვნა თუალი პატიოსანი, რომელი წარწყმედილ იყო თუალთა მათგან[6] პატიოსანთა, რომელნი უსხდეს[7] ომფორსა მას აჰრონ მღდელთმოძღუარისასა და იგინი არა იცნობდეს, თუ რაჲ არს ქვაჲ იგი. რომელთაცა ჰრქუა მათ კაცმან მან აღმავალმან იერუსალჱმდ: რაჲსათჳს იბრძჳთ თქუენ და ილალებით? და მათ ჰრქუეს მას: ქვაჲ ესე ვპოვეთ ჩუენ და არა უწყით თუ რომელი არს. და მან ჰრქუა მათ: მომეცით მე ეგე და მიიღეთ დრაჰკანი. ხოლო მათ სიხარულით მისცეს მას ქვაჲ იგი. და ვითარცა აღვიდა იგი იერუსალჱმს, უჩუენა ოქრომჭედელსა და მან ვითარცა იხილა თუალი იგი პატიოსანი, ჰრქუა მას: სადა ჰპოვე შენ თუალი ესე, რამეთუ აჰა ესერა, სამი წელიწადი არს დღეს, რაჲთგან შფოთსა შინა არს დიდსა ყოველი იერუსალჱმი ამის თუალისათჳს, არამედ წარვედ და მიართუ ეგე /324/ მღდელთ/მოძღუარსა[8] და უეჭუელად განჰმსდიდრდე. და ვითარცა[9] წარვიდა კაცი იგი ტაძრად, ანგელოზი უფლისაჲ დაადგრა[10] მღდელთმოძღუარსა და ჰრქუა მას: ესერა მოვალს შენდა კაცი და აქუს მას თუალი იგი პატიოსანი, რომელი წარწყმდა შესამოსელთაგან აჰრონისთა. მიიღე იგი და მიეც მას ოქროჲ და ვეცხლი და ქვათაგან პატიოსანთა, რაოდენი-რაჲ უჴმდეს, გუემე იგი და არქუ მას: ნუ ორგულებ გულსა შინა შენსა[11], ნუცა ურწმუნო ხარ ღმრთისა, ვითარმედ რომელი სწყალობდეს გლახაკსა, ავასხებს იგი ღმერთსა. მივიდა[12] უკუე მღდელთმოძღურისა კაცი იგი და მისცა მას, რაოდენი რაჲ უნდა და მიიღო მღდელთმოძღუარმან თუალი იგი აჰრონისი, გუემა კაცი და ჰრქუა მას: ნუ ორგულებ გულსა შინა შენსა, ნუცა ურწმუნო ხარ ღმრთისა, რამეთუ აჰა ესერა, მოგცა[13] ღმერთმან შჳდწილად სიმდიდრჱ[14] შენი აქა და საუკუნესა მას მომავალსა ცხორებაჲ საუკუნოჲ ქრისტეს იესუჲს[15] მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ[16] უკუნისამდე, ამინ!

---

[1] დაიმჭირა] დაჲმჭირა A. [2] სამკუდროდ] სიმდიდრე CD. [3] ამას] მას CD. [4] მე – C. [5] სიმდიდრე CD. [6] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 198r-ზე. [7] უსხნეს E. [8] მღდელთმოძღუარსა] მღუდელთმთავარსა C. [9] ვითარცა – E. [10] დაადგრა] დაადგა E. [11] შენსა – C. [12] მივიდა] მოვიდა CD. [13] მოგცა + შენ CD. [14] სიმდიდრეჰCDE. [15] ~ იესუჲს ქრისტეს E. [16] დიდებაჲ + უკუნითი CE.

თავი იე

ვითარმედ ჯერ არს სულიერთა მიმართ მოძღუართა მოგებად მორჩილებასა შეუორგულებელსა

გუაკურთხენ, მამაო[1]!

I. თქუა **მამამან ანტონი:** მორჩილებაჲ მარხვითურთ დაიმორჩილებს[2] მჴეცთა.

II. თქუა **მამამან არსენი:** მორჩილებაჲ სიმდაბლითა შეუღლვილი დაიმორჩილებს[3] ეშმაკთა.

III. მამისა ამონაჲსა[4] მივიდა ძმაჲ სკიტით და ჰრქუა მას: მამაჲ ჩემი წარმგზავნის სამე[5] სამსახურსა და მეშინის სიძვისაგან. ჰრქუა მას[6] ბერმან: რომელსა ჟამსა იხილო[7] განსაცდელი შენ ზედა მომავალად, თქუ: ღმერთო ძალთაო, ლოცვითა მამისა ჩემისაჲთა განმარინე მე! დღესა უკუე ერთსა წარიგზავნა ძმაჲ იგი ბერისაგან თჳსისა ეგჳპტედ თხოვად იფქლისა და მივიდა მისა, რომელი-იგი ყოლად ჩუეულ იყო მიცემად მათდა და ვერ პოვა იგი შინა. ხოლო ასულმან მისმან, /324v/ რომელი-იგი იყო[8] წუთღა ქალწულ, დაჰჴშა ძმასა მას ზედა კარი, ხოლო მან ღაღად-ყო ჴმითა დიდითა და თქუა: ღმერთო მამისა ჩემისაო, განმარინე მე[9]! და მეყსეულად იპოვა იგი[10] გზასა ზედა სკიტისასა.

IV. წარვიდა ოდესმე **მამაჲ აბრაჰამ მამისა არესა**[11]**,** და ვითარცა სხდეს იგინი, მოვიდა[12] ძმაჲ ვინმე ბერისა და ჰრქუა მას: მარქუ მე სიტყუაჲ, მამაო, რომლითა ვცხოვნდე[13]. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ წელიწადსა ამას და მწუხრითი მწუხრად ჭამდი[14] პურსა ოდენ და მარილსა და მერმე მოვედ და გრქუა შენ. წარვიდა ძმაჲ იგი და ყო ეგრეთ, ვითარცა უბრძანა მას ბერმან.

---

[1] მამაო] უფალო E. [2] დაიმორჩილებს] დაჲმორჩილებს A. [3] დაიმორჩილებს] დაჲმორჩილებს A. [4] ამონაჲსა] ამონაჲსსა C. [5] სამე] სადმე C. [6] ამას C. [7] იხილო + შენ E. [8] ~ წუთღა იყო CD. [9] მე –D. [10] იგი – D. [11] არესა] არესსა DE. [12] მოვიდა ძმაჲ ვინმე] მო-ვინმე-ვიდა CD. [13] ვცხონდე E. [14] ჭამადი C.

და ვითარცა სრულ იქმნა წელიწადი, კუალად მივიდა[1] იგი მამისა არესა[2] და კუალადცა იპოვა მუნ მამაჲ აბრაჰამ და ჰრქუა კუალად ბერმან ძმასა მას: წარვედ და იმარხევდ წელიწადსა ამას ორ-ორით. და ვითარცა წარვიდა ძმაჲ იგი, ჰრქუა მამამან აბრაჰამ არეს: რაჲსათჳს ყოველთავე ძმათა უღლითა სუბუქითა ეტყოდი[3], ხოლო ამას ძმასა[4] ტჳრთი მძიმე დასდევ? ჰრქუა მას ბერმან: ძმანი ვითარცა მოვლენ და ეძიებენ, ესრეთცა წარვლენ. ხოლო ესე ღმრთისათჳს მოვალს, რაჲთა ესმეს სიტყუაჲ, რამეთუ მუშაკი არს და რაჲცა ვჰრქუა მას, მოსწრაფებით ჰყოფს და ამისთჳს[5] მეცა ვეტყჳ მას სიტყუათა საღმრთოთა.

V. თქუა ვინმე ბერთაგანმან, ვითარმედ წარვიდა ოდესმე **წმიდაჲ ბასილი** მონასტერსა ზოგადცხორებულთასა და შემდგომად შემსგავსებულისა მოძღურებისა ჰრქუა წინამძღუარსა მონასტრისასა: გყავს[6] ვინა[7] აქა ძმაჲ ცხოვნებადი? ხოლო მან ჰრქუა მას: ყოველნივე მონანი არიან შენნი და ისწრაფიან ცხოვნებად, მეუფეო. და მან კუალად ჰრქუა მას: გყავს ვინა, რომელსა აქუს ჭეშმარიტი მორჩილებაჲ? /325/ ხოლო მან მოიყვანა მისა[8] ძმაჲ ერთი და დაიყენა იგი წმიდამან ბასილი მის თანა ჟამსა სამხრობისასა და შემდგომად სამხრობისა უსხა წმიდასა ჴელთა[9] წყალი ძმამან მან. მერმე ჰრქუა მას წმიდამან ბასილი: მოიღე აწ და მე შენ გისხა და დაგბანნე ჴელნი. ხოლო ძმამან მან მიუპყრნა ჴელნი განუკითხველად და წმიდაჲ ბასილი უსხმიდა წყალსა და იგი იბანდა. მაშინ ჰრქუა მას წმიდამან: ოდეს აღვიდე საკურთხეველად, მოვედ ჩემდა, რაჲთა[10] გაკურთხო შენ დიაკონად[11]. და ვითარცა იქმნა ესე, აკურთხა იგი[12] ხუცადცა და წარიყვანა ძმაჲ იგი მის თანა სამთავარეპისკოპოსად[13] მორჩილებისათჳს მისისა.

VI. იტყოდა **მამაჲ ესაია[14],** ვითარმედ: ვითარცა პირველი საღებავი პორფირისაჲ არა გამოჰქარდების და კუალად რტონი ჩჩჳლნი ადვილად მოდრკებიან ვითარცა ვის ენებოს, ესრეთვე სახედ ახლად მოსრულნი მონაზონებად[15] და-თუ-ემორჩილნენ ღმრთივსულიერთა მამათა, ადვილად წარემართნენ მორჩილებითა გზასა მას ცხორებისასა.

VII. გჳთხრეს ჩუენ **მამისა იოანე მოკლისათჳს,** ვითარმედ: წარვიდა იგი[16] ოდესმე ბერისა ვისმე[17] თიბელისა[18] სკიტეს და დაჯდა იგი უდაბნოსა ადგილსა მორჩილებასა შინა ბერისასა. ხოლო ბერმან მან მისმან მოიღო შეშაჲ ჴმელი[19], დაჰნერგა იგი ქუეყანად და ჰრქუა მას: ყოველთა დღეთა

---

[1] მოვიდა CE. [2] არესა] არესსა D. [3] ეტყოდი] ეტყოდე C. [4] ძმასა – CD. [5] ამისთჳს მეცა] ამისთჳსცა C. [6] გყავს] გყავსა D. [7] ვინა] ვინ CD. [8] მისა] მისსა D. [9] ~ წყალი ჴელთა წმიდასა CD. [10] რაჲთა] და D. [11] დიაკონად] დიაკუნად A; სადიაკონად C. [12] იგი – C. [13] სამთავარეპისკოპოსად] სამთავარებისკოპოსად D. [14] ესაია] ესაჲა A. [15] მონა-ზონებად] მონაზუნებად D. [16] იგი – C. [17] ვისმე] ვისსამე D. [18] თიბელისა] თებელისა CD. [19] ჴმელი + და CDE.

მოჰრწყევდი ამას თჳთო[1] ლაგჳნითა წყლითა, ვიდრემდის გამოიღოს ნაყოფი. ხოლო იყო წყალი შორს ფრიად ადგილისა მისგან, რამეთუ სამწუხროდ წარვალნ იგი და განთიადღა[2] მოვიდის. შემდგომად უკუე სამისა წლისა განედლდა ხცჱ იგი და ყო ნაყოფი. და აღიღო ბერმან ნაყოფი იგი ხისაჲ მის[3], მიიღო წმიდად ეკლესიად და ჰრქუა ძმათა: მიიღეთ და ჭამეთ ნაყოფი ესე მორჩილებისაჲ.

VIII. /325v/ **მამისა პავლეს მოწაფისა იოანესთჳს** იტყოდეს, ვითარმედ აქუს დიდი მორჩილებაჲ. იყო ადგილსა[4] ერთსა სამარხოჲ ძუელი, რომელსა შინა მკჳდრ იყო აფთარი. ხოლო ბერმან იხილა ადგილსა მას მოლოქი და ჰრქუა იოანეს, მოწაფესა თჳსსა[5], წარსლვად და მოღებად მოლოქისა მის. ხოლო მან ჰრქუა მას: რაჲ უყო, მამაო, აფთარსა მას? ჰრქუა მას ბერმან განცხრომით: უკუეთუ მოვიდეს იგი შენ ზედა, შეკარ იგი და მოიღე აქა. წარვიდა უკუე ძმაჲ იგი მუნ მიმწუხრი. და ვითარცა იხილა იგი აფთარმან მან[6], მოვიდა მას ზედა. ხოლო მან სიტყჳსაებრ ბერისა ჴელ-ყო შეპყრობად მისა და აფთარი იგი ევლტოდა მას. ხოლო იგი მისდევდა მას და ეტყოდა: მამასა ჩემსა უბრძანებიეს, რაჲთა შეგკრა შენ და მიგიყვანო მისა. და შეიპყრა იგი და შეკრა. ხოლო ბერი შეწუხებულ იყო ყოვნასა ზედა მისსა, ჯდა და მოელოდა მას და აჰა ესერა, მოვიდა იგი და თანა ჰყვა აფთარი იგი შეკრული. და ვითარცა იხილა აფთარი ბერმან, დაუკჳრდა და ინება დამდაბლებაჲ მისი, ჰგუემდა მას და ეტყოდა: სულელო, ძაღლი ცოფი მომგუარეა[7] მე აქა? და მეყსეულად განჰჴსნა იგი ბერმან და განუტევა წარსლვად[8] ადგილად თჳსად.

IX.1. იტყოდეს **მამისა სილოვანესთჳს**, ვითარმედ ჰყვა მას მოწაფჱ[9] სახელით **მარკოზ**, რომელსა აქუნდა მორჩილებაჲ დიდი, ხოლო იყო იგი ჴელოვნებით მწერალი. უყუარდა იგი ბერსა ფრიად[10] მორჩილებისათჳს მისისა. ხოლო ჰყვეს მას სხუანიცა მოწაფენი, ვითარ ათერთმეტნი ოდენ. და უძნდა მათ სიყუარული იგი ძმისაჲ მის, რამეთუ უმეტეს მათსა უყუარდა. და ესმა ესე[11] ბერთა და მათცა უმძიმდა[12]. დღესა უკუე ერთსა მივიდეს მისა ბერნი და ეშჯოდეს მას ამის[13] მიზეზისათჳს[14], ხოლო ბერმან წარიყვანნა იგინი მის თანა და გამოვიდა სენაკით თჳსით /326/ და იწყო რეკად სენაკებსა ძმათასა და ეტყოდა: შენ, ძმაო რომელო[15], გამოვედ[16] რამეთუ მიჴმ შენ. და არცა ერთი ვინ მათგანი შეუდგა მეყსეულად. მერმე წარვიდა სენაკსა მარკოზისსა, ჰრეკა კარსა და თქუა: მარკე! და მეყსეულად ჴმასავე თანა ბერისასა გამოირბინა[17] გარე და წარგზავნა იგი ბერმან საქმესა და ჰრქუა

---

[1] თითო E. [2] განთიადღა] დილასაღა E. [3] მის+ დ აE. [4] ~ ერთსა ადგილსა CD. [5] თჳსსა] მისსა E. [6] მან – CD. [7] მომგუარე C. [8] წარსლვად +მშჯობით CD. [9] მოწაფე DE. [10] ~ მორჩილებისათჳს მისისა ფრიად C. [11] ესე – CD. [12] უმძიმდა] დაუმძიმდა CD. [13] ამის] მის C. [14] მიზეზისათჳს] პირისათჳს E. [15] რომელო – CD. [16] გამოვედ] გამოედ C. [17] გამოირბინა] გამოვიდა CD.

ბერთა მათ: სადა არიან, მამანო, სხუანი იგი ძმანი? და შევიდა სენაკად მისა[1] და მონახა ჴელთსაქმარი მისი. და პოვა, რამეთუ „ონსა“ დაეწყო, რაჲთამცა დასუა[2] და არღარა მოავლო კალამი, ესმა რაჲ ჴმაჲ ბერისაჲ, რაჲთამცა განასრულა იგი. მერმე ჰრქუეს ბერთა: მამაო, ჭეშმარიტად, რომელი[3] შენ გიყუარს, ჩუენცა იგივე გჳყუარს და რამეთუ ღმერთსაცა უყუარს იგი.

2. მივიდა ოდესმე დედაჲ მარკოზისი ხილვად მისა და აქუნდა მას მრავალი საუცრებაჲ[4] სოფლისაჲ ამის მის[5] თანა. გამოვიდა ბერი ხილვად მისა და ვითარცა მოიკითხნეს და მცირედ ეზრახნეს, ჰრქუა მან ბერსა: მამაო, არქუ ძესა ჩემსა, რაჲთა გამოვიდეს და ვიხილო იგი. შევიდა ბერი და ჰრქუა მას: განვედ, რაჲთა გიხილოს შენ დედამან შენმან. ხოლო იყო იგი მაშინ მოსილ ძუელითა და სამზარეულოჲსა[6] ბაყლითა შებაყლებულ[7] და კუამლ-ნაჴშირითა შეღებილ და გამოვიდა იგი მორჩილებისათჳს ბერისა. და დაიწუხნა თუალნი თჳსნი და ჰრქუა მათ: ცხოვნდით, ცხოვნდით, ცხოვნდით[8], და არა იხილნა იგინი. ხოლო დედამან მისმან ვერ იცნა იგი. კუალად შეგზავნა ბერისა და ეტყოდა: მამაო, გამოავლინე ძჱ[9] ჩემი, რაჲთა ვიხილო იგი. ჰრქუა ბერმან მარკოზს: არა გარქუ შენ, ვითარმედ განვედ, რაჲთა გიხილოს შენ დედამან შენმან? ჰრქუა მას მარკოზ: მამაო, განვედ ბრძანებისაებრ შენისა და გევედრები შენ, ნუღარა მიბრძანებ განსლვად, რაჲთა არა ურჩ გექმნე. /326v/ და განვიდა ბერი და ჰრქუა მას: იგი არს შვილი შენი, რომელი გამოვიდა და გრქუა თქუენ: ცხოვნდით, ცხოვნდით[10] და ნუგეშინის-სცა მას სწავლითა სულიერთა და განუტევა[11] იგი[12] წარსლვად მშჳდობით.

X. იტყოდეს **მამისა მეგეთისთჳს**, ვითარმედ იყო იგი[13] მდაბალ ფრიად და დაეყო მოწფობასა შინა დიდთა ბერთასა და მრავალთა წმიდათა მამათა და მიმთხუეულ იყო ეგჳპტეს და ეხილვა მამაჲ სისოჲცა და მამაჲ პიმენ. ხოლო მკჳდრ იყო იგი[14] ადგილსა ერთსა მთასა სინასა. და მივიდა მისა[15] ერთგზის წმიდათაგანი ვინმე, ვითარცა თჳთ იტყოდა იგი და ჰრქუა მას: ვითარ ხარ, ძმაო, უდაბნოსა ამას, ანუ ვითარ იყოფვი? და მან მიუგო: ვიმარხავ ორ-ორით, მამაო, და ერთსა პურსა შევშჭამ[16]. ჰრქუა მას ბერმან: ისმინე ჩემი, ძმაო, და რაჲ დღე შესჭამდი ნახევარსა მას პურისასა. ესრეთ ვყავ და ვპოვე განსუენებაჲ.

XI. თქუა **მამამან მიოს**, ვითარმედ: სრული მორჩილებაჲ ნაცვალი არს მორჩილებისაჲ, ესე იგი არს, უკუეთუ ისმინო შენ[17] ღმრთისაჲ, ისმინოს[18] შენი ღმერთმან.

---

[1] მისა] მისსა C. [2] დასუა] დაესუა D. [3] რომელი შენ გიყუარს] რომელგუარს C. [4] საცრებაჲ C. [5] მის – DE. [6] სამზარეულოჲსა] სამზარაულოჲსა C. [7] შებაყლებულ] შებღალულ C. [8] ცხოვნდით, ცხოვნდით, ცხოვნდით] ცხონდით, ცხონდით, ცხონდით E. [9] ძჱ] ძე CD. [10] ცხოვნდით, ცხოვნდით] ცხონდით, ცხონდით E. [11] განუტევა] განუტევნა D. [12] იგი] იგინი D. [13] იგი – C. [14] იგი – C. [15] მისა] მისსაD. [16] შევშჭამ] შევჭამ C. [17] ~ შენ ღმრთისაჲ ისმინო D. [18] ისმინოს – D.

XII. 1. ჰრქუა **მამამან მოსე** ძმასა ვისმე: მოვიგოთ მორჩილებაჲ, რომელი შობს სიმდაბლესა და მოთმინებასა და სულგრძელებასა[1] და ლმობიერებასა და ძმათმოყუარებასა და სიყუარულსა. და რამეთუ[2] ესენი არიან საჭურველნი ჩუენნი სულიერნი[3].

2. კუალად[4] თქუა: მოედ, ძმაო, მორჩილებასა ჭეშმარიტებისასა, სადა-იგი არს სიმდაბლჱ[5], სადა-იგი არს ძლიერებაჲ, სადა-იგი არს სიხარული, სადა-იგი არს მოთმინებაჲ, სადა-იგი არს ძმათმოყუარებაჲ[6], სადა-იგი არს ლმობიერებაჲ, სადა-იგი არს სიყუარული. და რამეთუ რომელსა აქუნდეს კეთილი და[7] სრული და მტკიცჱ[8] მორჩილებაჲ, ყოვლითავე ნებითა და მცნებითა ღმრთისაჲთა აღსავსე[9] არს იგი.

3. კუალად[10] თქუა: მონაზონი, რომელი იმარხვიდეს და იყოს იგი /327/ მამასა ქუეშე სულიერსა და არა აქუნდეს მას[11] მორჩილებაჲ და სიმდაბლჱ[12], ესევითარი იგი ვერცა ერთსა სათნოებასა შეუძლებს მოგებად, არცა იცის მან, თუ რაჲ არს მონაზონი.

XIII. იყო ვინმე ერისკაცი ღმრთისმოშიში, განკრძალული ყოვლითავე ძალისაებრ. ესე მივიდა ოდესმე **მამისა პიმენისსა.** დახუდეს მუნ სხუანიცა ძმანი, რამეთუ მოეცალა და მისრულ იყვნეს მუნ, რომელნი-იგი ითხოვდეს სიტყუათა სწავლისათა ბერისაგან. ჰრქუა ბერმან მორწმუნესა მას ერისკაცსა: არქუ ძმათა ამათ სიტყუაჲ ცხორებისაჲ. ხოლო იგი შეუვრდა ბერსა და ეტყოდა: შემინდვე, მამაო, რამეთუ მე სწავლად მოსრულ ვარ და არა მოძღურებად. და ვითარცა აიძულა[13] ფრიად ბერმან, თქუა მან[14] ესრეთ: მე ერისკაცი ვარ და მხალსა ვიყიდი და განვჰყიდი, განვჰჴსნი კონასა[15] შეკრულსა მხლისასა, დავჰყოფ მას უმცრო, დიდროანსა[16] ვიყიდი და უწლოესსა[17] განვჰყიდი, ხოლო წერილთაგან არარაჲ ვიცი, თუმცა გითხარ, თჳნიერ სახისმეტყუელებასა გითხრობდი[18] იგავსა: კაცი ვინმე იყო და ესხნეს მას მეგობარნი სამნი. და პირველსა მას მეგობარსა ჰრქუა: სურვილი მაქუს ხილვად მეფისა, მოვედ ჩემ თანა და წარმიყვანე მე. ჰრქუა მას მეგობარმან მან[19] მისმან: მე მოვიდე შენ თანა, ვიდრე შუვაგზადმდე[20] ოდენ. კუალად მეორესა მასცა მეგობარსა ჰრქუა: მოვედ შენცა და წარმიყვანე მეფისა. და მან ჰრქუა მას: მიგიყვანო შენ მე, ვიდრე პალატადმდე მეფისა. ჰრქუა კუალად მესამესა მას: წარმოგუალე შენცა მეფისადმდე[21]. ხოლო მან ჰრქუა

---

[1] სულგრძელებასა – D. [2] რამეთუ ესენი] ესე D. [3] სულიერნი] სრულნი D. [4] კუალად თქუა – D. [5] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CDE. [6] ძმათმოყუარებაჲ, სადა-იგი არს ლმობიერებაჲ, სადა-იგი არს – C. [7] და სრული – E. [8] მტკიცჱ] მტკიცე CDE. [9] აღსავსე] სავსე D. [10] კუალად თქუა] ხოლო D. [11] მას – D. [12] სიმდაბლჱ] სიმდაბლეCDE. [13] აიძულა] აჲძულა A. [14] მან – C. [15] ~ შეკრულსა კონასა D. [16] დიდროანსა] დიდროვანსა C. [17] უწლოესსა] უწლოჲსსა CDE. [18] გითხრობდი] გითხრობ D. [19] მან – DE. [20] შუვაგზადმდე] შუაგზამდე CD. [21] მეფისადმდე] მეფისამდე CD.

მას: მე წარმოვიდე და წარგიყვანო შენ პალატად[1] სამეუფოდ და დავდგე შენ თანა, ვეტყოდი შენთჳს და შეგიყვანო შენ /327v/ წინაშე მეფისა. ხოლო მათ ჰკითხეს მას[2], თუ რაჲ არს ძალი იგავისაჲ ამის[3]. და მან ჰრქუა მათ: პირველი მეგობარი[4] არს მოღუაწებაჲ[5], რომელი მიიყვანებს ვიდრე გზადმდე. მეორე არს სიწმიდჱ[6], რომელი აღიყვანებს ვიდრე ცადმდე, ხოლო მესამე არს მორჩილებაჲ, რომელი შეიყვანებს კადნიერებით წინაშე მეუფისა ღმრთისა, რომელსა[7] ამას ზედა აღეშენნეს ძმანი იგი და წარვიდეს სახედ თჳსად და ჰმადლობდეს და ადიდებდეს ღმერთსა.

XIV. წარვიდეს ოდესმე ოთხნი ბერნი სკიტელნი, რომელთა ემოსა ხალენები, **დიდისა მამისა პამბოჲსსა** და მიუთხრა კაცად-კაცადმან სათნოებაჲ მოყუსისა თჳსისაჲ. ერთი იმარხვიდა დიად, მეორე უპოვარ იყო, მესამესა მოეგო დიდი სიყუარული, ხოლო მეოთხისა მისთჳს თქუეს, ვითარმედ ოცდაორი წელიწადი აქუს მორჩილებასა შინა ბერისასა, რომელთაცა მიუგო მამამან პამბო: ესრეთ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ ამისი სათნოებაჲ უფროჲს არს ყოველთასა. და რამეთუ კაცად-კაცადმან თქუენმან რომელიცა სათნოებაჲ მოიგო[8], თჳსითა ნებითა მოიგო და დაიმჭირა[9]. ხოლო ამან ნებაჲ თჳსი განკუეთა და სხჳსა ნებასა დაემორჩილა, რამეთუ ესევითარნი იგი მოწამენი არიან, უკუეთუ ოდენ აღსასრულადმდე დაიცვან[10] მორჩილებაჲ თჳსი.

XV. თქუა **მამამან რუფოს**[11], ვითარმედ: რომელი მორჩილებასა ქუეშე მყოფ იყოს მამისა სულიერისასა, უფროჲსი მადლი აქუს მისსა, რომელი უდაბნოს განშორებულ იყოს. და რამეთუ გჳთხრობდა ვინმე მამათაგანი[12] ამას და თქუა, ვითარმედ: ვიხილე ოთხი მწყობრი ცათა შინა და ერთი მწყობრი იყო კაცთა უძლურთაჲ, რომელნი ჰმადლობენ ღმერთსა, და მეორჱ[13] მწყობრი იყო მათი, რომელნი უცხოთმოყუარებასა და[14] მათსა მსახურებასა შედგომილ არნ[15], ხოლო მესამე მწყობრი იყო მათი, /328/ რომელი-იგი[16] უდაბნოდ ივლტიან და ხილვისაგან იჳმნიან კაცთაჲსა[17], ხოლო მეოთხჱ[18] იგი მწყობრი იყო მათი, რომელი-იგი[19] მორჩილებასა შინა არიან მამათა და მოძღუართა სულიერთასა ღმრთისათჳს. ხოლო ემოსა მორჩილებასა შინა მყოფთა მათ მანიაკი ოქროჲსაჲ და სარტყელი ოქროჲსაჲ და უმეტესი და სხუათა მათ მწყობრთაჲსა აქუნდა მათ დიდებაჲ. და მერმე[20] ვიხილე რაჲ ესე, ვარქუ მოძღუარსა მას ჩემსა, თუ ვითარ უმცირესსა ამას მწყობრსა უმეტესი სხუათაჲსა აქუს დიდებაჲ. ხოლო მან მომიგო და მრქუა მე: ამისთჳს, რამეთუ

---

[1] პალატად] პალატადმე E. [2] მას – CD. [3] მის CD. [4] მეგობარი] იგავი D. [5] ~ მოღუაწებაჲ არს D. [6] სიწმიდჱ] სიწმიდე CD. [7] რომელსა] ხოლო D. [8] მოიგო – D. [9] დაიმჭირა] დაჲმჭირა A. [10] დაიცვან] დაჲცვან A. [11] რუფოს] როფოს DE. [12] ~ მამათა-განი ვინმე D. [13] მეორჱ] მეორეCD. [14] და...მსახურებასა – C. [15] არნ] იყვნენ C; არიან D. [16] რომელი-იგი] რომელნი D. [17] ~კაცთაჲსა იჳმნიან D. [18] მეოთხჱ] მეოთხე CD. [19] რომელი-იგი] რომელნი DE. [20] და მერე] მე D.

რომელი-იგი უცხოთმოყუარებისადა შედგომილ არს, თჳსითა ნებითა იქმს ამას და რომელი უდაბნოს იყოფვის[1], ესრეთვე თჳსითა ნებითა განშორებულ არს. ხოლო ესე[2], რომელი მორჩილებასა შინა იყოს, დაუტეობს ყოველსავე[3] ნებასა თჳსსა სიყუარულისათჳს ღმრთისა და სულიერისა მის[4] მამისა ნებისადა[5] დამოკიდებულ არს, ამისთჳს უმეტესი დიდებაჲ აქუს მათ სხუათასა, რომლისათჳს კეთილ არს, შვილნო[6], მორჩილებაჲ ღმრთისათჳს ქმნული[7] და ესე რაჲ გესმა, განაღა მცირჱ[8] ნიშანი და კუალი სათნოებისაჲ[9] ამის და დიდებისაცა მისისაჲ, თუ რაბამ არს, ანუ ვითარ უაღრეს[10] არს სხუათა ყოველთავე სათნოებათა. ოჲ[11] მორჩილებაო, მაცხოვარებაო[12] მორწმუნეთაო! Ჭ მორჩილებაო, მშობელო ყოველთა სათნოებათაო! Ჭ მორჩილებაო, მპოვნელო[13] სუფევისაო! Ჭ მორჩილებაო, განმხუმელო ცისა[14] კართაო[15] და კაცთა ქუეყანით ცად აღმყვანებელო! Ჭ მორჩილებაო, მზრდელო ყოველთა წმიდათაო, რომლისაგან წოვეს სძჱ[16] სიპოხისაჲ და თაფლი სიტკბოებისაჲ და რომლისაგან სრულ იქმნნეს სრულებითა მით სულიერისა მის ჰასაკისაჲთა! Ჭ მორჩილებაო, თანამკჳდრო ანგელოზთაო!

XVI. მოვიდა[17] ვინმე თიბელი[18] **მამისა სისოჲსსა** /328v/ და ენება მონაზონების. ჰკითხა მას ბერმან, უკუეთუ უვის ვინ[19] სოფელსა შინა და მან თქუა: ერთი ძჱ[20] მივის, მამაო. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და შთააგდე იგი მდინარესა შინა და მაშინ შეიქმნა[21] შენ მონაზუნად[22]. და ვითარცა წარვიდა კაცი იგი შთაგდებად მისა[23], წარმგზავნა[24] ბერმან ძმაჲ დახრწევად მისა[25]. და ვითარცა აღიღო მან ყრმაჲ იგი ზე, რაჲთამცა შთააგდო, ჰრქუა ძმამან მან: დასცხერ, რასა[26] ჰყოფ? ხოლო მან ჰრქუა მას: ბერსა უბრძანებიეს შთაგდებაჲ ამისი. და ძმამან მან[27] ჰრქუა მას: არამედ კუალად თქუა არღარა შთაგდებაჲ. და დაუტევა იგი და მივიდა[28] ბერისა და იქმნა მონაზონ რჩეულ მორჩილებისათჳს მისისა.

XVII. ევედრა ვინმე **მამასა სოსიპატროს**[29] და ჰრქუა[30]: მომეც მე მცნებაჲ, მამაო, რაჲთა დავიცვა იგი. ხოლო მან ჰრქუა მას: ნუ შეუშუებ დედაკაცსა სენაკად შენდა და ნუ აღმოიკითხავ წიგნსა დაფარულსა და ნუ გამოეძიებ ხატისათჳს, რამეთუ დაღაცათუ არა არს ესე წვალებაჲ, გარნა

---

[1] იყოფვის] იყოფვოდის C. 2 ესე] ყოველი E. 3 ყოველსა C. 4 მის – C. 5 ნებისადა] ნებასა D. 6 ~ მორჩილებაჲ , შვილნო E. 7 ქმნული] ქმნილი CD. 8 მცირჱ] მცირე CD. 9 სათნოებისაჲ] სათნოებისა C. 10 უვაღრეს CD. 11 ოჲ] Ჭ CD. 12 მაცხოვარებაო] მაცხოვარო E. 13 მპოვნელო] მომპოვნებელო CE. 14 ცისა კართაო] კართა სასუფველისათაო E. 15 კართაო] კამარათაო C. 16 სძჱ] სძე CDE. 17 მოვიდა] მო-ვინმე-ვიდა D. 18 თიბელი] თებელი CD. 19 ვინა CD. 20 ძჱ] ძე CDE. 21 შეიქმნა] შეგქმნა D. 22 მონაზუნად] მონაზონად CDE. 23 მისა] მისსა D. 24 წარმგზავნა] წარგზავნა CD. 25 მისა] მისსა D. 26 რასა] რას D. 27 მან – CDE. 28 მივიდა] მოვიდა DE. 29 სოსიპატროს] სოპატროს AE;სუსიპატროსს D. 30 ჰრქუა+ მას C.

შრომასა შეგამთხუევს ცუდი ძიებაჲ, და რამეთუ საღმრთოჲ საქმე სრულიად მიწთომად შეუძლებელ არს ყოველთაგან[1] დაბადებულთა.

XVIII. 1. დედამან სჳნკლიტიკი[2]: რომელნი ვართ კრებულსა შორის[3], მორჩილებასამცა აღვირჩევთ, ვიდრე მოღუაწებასა. და რამეთუ ესე სილაღესა[4], ხოლო იგი სიმდაბლესა გუასწავებს.

2. მანვე თქუა[5]: გჳღირს ჩუენ, რაჲთა გულისჴმისყოფით უძღოდით სულსა. და რომელნი ვართ კრებულსა შორის ნუ თავთა ჩუენთა[6] ვეძიებთ, ნუცა ჩუენთა ნებათა ვჰმონებთ, არამედ სულიერსა მას[7] მამასა მივერჩდეთ და რამეთუ საექსორიოდ მიგჳცემიან თავნი ჩუენნი, ესე იგი არს კიდე გამოსრულ ვართ სოფლისაგან და ზრუნვათა მისთა და რომელი-იგი[8] დაგჳტეობიეს[9], /329/ ნუღარამცა მას ვეძიებთ, რამეთუ ნუუკუე მუნ დიდებაჲ გუაქუნდა[10], ხოლო აქა შეურაცხებაჲ, მუნ სიმდიდრჱ[11], ხოლო აქა ნაკლულევანებაჲ პურისაცა და საზრდელისაჲ.

XIX. თქუა **მამამან იპერექიოს[12]:** სიმდიდრჱ[13] არს და საუნჯჱ[14] მონაზუნისა[15] მორჩილებაჲ, და რომელმან მოიგოს იგი, ისმინოს ღმერთმან[16] მისი და კადნიერებით წარმოუდგეს იგი ჯუარცუმულსა უფალსა[17], რომელი-იგი მორჩილ ექმნა ღმერთსა და მამასა ვიდრე ჯუარადმდე[18] და სიკუდილად.

1. გჳთხრა ჩუენ ესე მამათაგანმან ვინმე, ვითარმედ: სწავლული ვინმე სიბრძნესა კაცი[19] ღმრთისმოშიში შედგომილ იყო ბერისა ვისმე[20] დაყუდებულისადა და ევედრებოდა მას, რაჲთა შეიწყნაროს იგი[21] და შექმნას მონაზუნად. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ გნებავს, რაჲთა მიგითუალო შენ, წარვედ და განყიდე მონაგები შენი ბრძანებისაებრ[22] უფლისა და განუყავ გლახაკთა და მერმე მოვედ[23] და შეგიწყნარო შენ. წარვიდა უკუე და ყო ყოველივე განწესებისაებრ ბერისა. მერმე კუალად[24] ჰრქუა მას: მნებავს, რაჲთა სხუაჲცა მცნებაჲ დაიმარხო[25], ესე იგი არს დუმილი, რაჲთა ყოლადვე არა იტყოდი სიტყუასა. ყო ესეცა კაცმან მან საკჳრველმან და დაყო ხუთი წელიწადი, რომელ ყოლადვე არა თქუა სიტყუაჲ. მერმე იწყეს ვიეთმე ქებად მისა და დიდებად. ჰრქუა მას ბერმან: არღარაჲ გერგების აქა სულსა,

---

[1] ყოველთაგან დაბადებულთა] ყოველთა დაბადებულთაგან E. [2] სჳნკლიტიკე CE; სჳნკლიტიკტე D. [3] შორის] შინა D. [4] სიმაღლესა C. [5] მანვე თქუა] და რამეთუ D. [6] ჩუენთასა CDE. [7] მას – E. [8] რომელი-იგი] რომელი C. [9] დაგჳტევებიეს DE. [10] გაქუნდა C. [11] სიმდიდრჱ] სიმდიდრე CDE. [12] იპერექიოს] იპერიქე CD; იპერიქიოს E. [13] სიმდიდრჱ] სიმდიდრე CDE. [14] საუნჯჱ] საუნჯე CDE. [15] მონაზუნისა] მონაზონისაჲ CDE. [16] ~ მისი ღმერთმან CD. [17] უფალსა] მეუფესა D. [18] ჯუარადმდე] ჯუარცუმადმდეცა D; ჯუარადმდეც aE. 19 ~ კაცი სიბრძნესა E. 20 ვისმე] ვისსამე D. 21 იგი] შემდგომად C. 22 ~ და განუყავ გლახაკთა ბძანებისაებრ უფლისა E. 23 მოედ C. 24 E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 243v-ზე (აკინძვის შეცდომა). 25 დაიმარხო] დაჲმარხო A.

წარგავლინო შენ ეგჳპტედ, მონასტერსა კრებულთასა. და[1] წარმგზავნა[2] იგი მუნ, გარნა არა ჰრქუა, თუ უბნობდი, ანუ თუ დუმენ. ხოლო მან იპყრა პირველივე იგი წესი და კანონი თჳსი, დადუმდა და არას[3] იტყოდა. ხოლო წინამძღუარმან მის მონასტრისამან ინება გამოცდაჲ მისი, თუ უტყჳ-ძი არს ანუ არა. და წარგზავნა იგი ვისთანამე წიაღ მდინარისა[4], დიდროოდა რაჲ მდინარე იგი დიდი, რაჲთა შეიქცეს და იძულებულმან თქუას სიტყუაჲ, ვითარმედ: ვერ /329v/ უძლე წიაღსლვად. და წარავლინა ძმაჲ შემდგომად მისა[5], რაჲთა იხილოს, თუ რასა იქმს. და ვითარცა მივიდა მდინარედ და ვერ შემძლებელ იყო განსლვად, მოიდრიკნა მუჯლნი და ილოცა. და აჰა ესერა, მოვიდა ხჳთქი და იტჳრთა იგი და განიყვანა[6] წიაღ მდინარესა მას. და ვითარცა ყო საქმე იგი, სადა წარვლენილ იყო, მოვიდა კუალად მდინარედ და კუალად იტჳრთა იგი ხჳთქმან და წიაღ მოიყვანა იგი. და ვითარცა უკუმოიქცა[7] ძმაჲ იგი, რომელი წარვლენილ[8] იყო ხილვად მისა და მზერად, თუ რასა იქმს, განუცხადა ყოველივე, რაოდენიცა იხილა, მამასა მას მათსა და წინამძღუარსა, ესრეთვე და ძმათაცა მონასტრისათა, რომელნიცა-იგი[9] განკჳრდეს საქმესა მას ზედა საკჳრველსა. ხოლო შემდგომად რაოდენთამე ჟამთა აღესრულა ნეტრეული იგი და მივიდა უფლისა, რომელსაცა[10] სურვიელ იყო. და მიუმცნო მამამან მის მონასტრისამან ბერსა მას დაყუდებულსა, წარმომგზავნელსა მისსა[11] ესრეთ, ვითარმედ: დაღათუ[12] უტყჳ და უენოჲ წარმოავლინე ჩუენდა, გარნა ანგელოზი ღმრთისაჲ. ხოლო დაყუდებულმან მან შეწყუდეულმან მოუწერა და მოუმცნო ესრეთ[13], ვითარმედ: არა იყო იგი უენო[14] და უტყჳ, არამედ ფრიადცა კეთილად მეტყუელ, გარნა იმარხვიდა მცნებასა, რომელი პირველითგანვე მიმეცა მისდა და ამისთჳს დაადგრა უტყუებასა შინა. დაუკჳრდა უკუე[15] ესე ყოველთავე, რომელთაცა[16] ესმა და ადიდებდეს ღმერთსა.

2. ბერსა ვისმე ესუა მოწაფჱ[17] და ენება მისი ყოფაჲ მის თანა, და რაჲთამცა მიაწია იგი სრულსა მორჩილებასა,[18] ჰრქუა მას: წარვედ და შეაგდე წიგნი ისი, რომელი[19] გუაქუს სალოცავად, თორნესა შინა განჯურვებულსა. /330/ წარვიდა ძმაჲ იგი და ყო ბრძანებაჲ ბერისაჲ განუკითხველად. და ვითარცა შეაგდო იგი, მეყსეულად დაივსო[20] თორნე იგი და[21] ფურნე განჯურვებული, რაჲთა ვცნათ[22], გულისჯმა-ვყოთ, თუ რაოდენ კეთილ არს მორჩილებაჲ და რამეთუ ნანდჳლვე კიბე არს იგი სასუფეველისა ცათაჲსაჲ[23].

---

[1] და – C. 2 წარმგზავნა] წარგზავნა CDE. 3 არარას C. 4 მდინარისა] მდინარესა C. 5 მისა] მისსა D. 6 განიყვანა+იგიCD. 7 უკუმოიქცა] უკმოიქცაD. 8 წარვლინე ბულ D. 9 რომელნიცა-იგი] რო მელნიცაD. 10 რომელსაცა] რ ომელისაცა D; რომლის აE. 11 მისსა – E. 12 E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 204r-ზე (აკინძვის შეცდომა). 13 ~ მოუმცნო ესრეთ E. 14 ~ უტყჳ და უენო E. 15 უკუე – C. 16 რომელთაცა] რომელთა E. 17 მოწაფჱ] მოწაფე CDE. 18 სრულსა მორჩილებასა] სისრულესა მორჩილებისასა D. 19 რომელი] რომელ C. 20 დაივსო] დაჲვსო A. 21 და ფურნე – CD. 22 ვცნათ + და D. 23 ცათაჲსა CE.

3. იყო ვინმე მონაზონი[1] მონასტერსა შინა კრებულთასა, რომელსაცა ჰყვა მის თანა ძჱ[2] თჳსი[3]. ხოლო ინება მამამან[4] მონასტრისამან გამოცდაჲ მისი და ჰრქუა მას: ნუ ეუბნები ყოლად ძესა შენსა, ნუცა მიუგებ სიტყუასა, არამედ გაქუნდინ იგი ვითარცა უცხოჲ. ხოლო მან აღუთქუა ყოფად ესე. და დაყვნა მრავალნი წელნი და არა მიუგო მას სიტყუაჲ. უკუანაჲსკნელ მოვიდა მწოდებელი ძისა მისისაჲ და მიახდა იგი სიკუდიდ[5]. ჰრქუა ბერმან მამასა[6] მისსა: წარვედ ამიერითგან და ეზრახე ძესა შენსა. ხოლო მან ჰრქუა მას: უკუეთუ ჰბრძანო[7], დავიცვა მცნებაჲ ესე აღსასრულადმდე[8]. ხოლო მან დაიძინა[9] უფლისა მიერ და არა ეზრახა მას მამაჲ მისი. და დაუკჳრდა ყოველთა საქმე ესე საკჳრველი, თუ ვითარ სიხარულით მიითუალა მცნებაჲ იგი და თუ ვითარ დაიცვა[10] იგი ვიდრე აღსასრულადმდე.

4. იტყოდეს ბერნი, ვითარმედ უკუეთუ ვისმე აქუნდეს სარწმუნოებაჲ სრული ვისთანამე და მისცეს თავი თჳსი მორჩილებად მას, არღარა უჴმს მას[11] ძებნად მცნებათა ღმრთისათა, არამედ უღირს მას, რაჲთა მამასა მას მისსა სულიერსა მიუტევნეს იგინი და არა აქუს ამისთჳს ბრალი ღმრთისაგან. და რამეთუ არარას ესრეთ ეძიებს ღმერთი ახლად მოსრულთაგან, ვითარ მორჩილებისა მიერსა წურთილებასა.

5. ძმაჲ ვინმე მკჳდრ იყო სკიტეს და წარვიდოდა მკად. აღდგა და მივიდა დიდისა ვისმე ბერისა და ჰრქუა მას[12]: მარქუ მე სიტყუაჲ, რამეთუ წარვალ მკად. ჰრქუა მას ბერმან: და უკუეთუ გრქუა შენ, ჰყოა იგი? ჰრქუა მას /330v/ ძმამან: ჰჱ, გისმენ შენ. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და იჯმენ[13] მკისა მისგან და მოვედ[14] და მიგითხრა შენ, თუ რაჲ ჰქმნა. და წარვიდა ძმაჲ იგი და იჯმნა[15] მკისაგან და მოვიდა ბერისა. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და შევედ სენაკად შენდა და იმარხევდ მწუხრითი მწუხრად[16] და პურსა ოდენ და მარილსა მიიღებდი, და მერმე მოვედ[17] და გითხრა შენ სხუაჲ[18] საქმე. წარვიდა ძმაჲ იგი და ყო ეგრეთ და[19] მოვიდა და უთხრა ბერსა. ხოლო ბერმან, ვითარცა იხილა იგი, რამეთუ მუშაკი არს, მიუთხრა მას წესი და განგებაჲ სენაკსა შინა ჯდომისაჲ. და წარვიდა ძმაჲ იგი და დავარდა პირსა ზედა თჳსსა სენაკსა შინა მისსა სამ დღე და ტიროდა წინაშე ღმრთისა ცრემლითა მჴურვალითა. შემდგომად ამისა[20] იწყეს გულისსიტყუათა ურვებად მისა[21], ვითარმედ: აჰა ესერა, აჰმაღლდი და დიდ იქმენ. ხოლო მან მოიხუნის წინაშე მისა ბრალნი და ცოდვანი თჳსნი[22] და დამდაბლდის. კუალად ეტყჳედ მას გულისსიტყუანი: დიდად ცოდვილ ხარ და არა ეგების ცხოვნებაჲ შენი.

---

[1] მონაზონი – D. [2] ძჱ] ძე CDE. [3] თჳსი] თჳთC. [4] მამამან + მის CD. [5] სიკუდიდ] სიკუდილად E. [6] მამასა მისსა – D. [7] ბრძანო E. [8] აღსასრულადმდე] აღსასრულამდე CE. [9] დაიძინა] დაჲძინაA. [10] დაიცვა] დაჲცვაA. [11] მას – D. [12] მას – D. [13] იჯმენ] იმჯენ D. [14] მოედ C მოედ C. [15] იმჯენ D. [16] ~ და მწუხრითი მწუხრად D. [17] მოედ C. [18] ~ სხუაჲ საქმე გითხრა შენ D. [19] და + ვითარცაD. [20] ამისსა CD. [21] მისა] მისსა CDE. [22] თჳსნი] მისნი E.

და იგი /331/ კუალად ეტყჳნ: დაღაცათუ[1] ფრიად ცოდვილ ვარ, ვჰყოფდე მცირესა მას[2] ლოცვასა ჩემსა წინაშე ღმრთისა და ვესავ ურიცხუთა მათ მოწყალებათა ღმრთისათა, რაჲთა შემიწყალოს. და ვითარცა ამით სახითა ორკერძოვე იძლინეს მტერნი იგი ჩუენნი, გამოუჩნდეს მას ცხადად სულნი იგი უკეთურებისანი[3] და ეტყოდეს: მოგუეწყინა შენ თანა, კაცო. ხოლო მან ჰრქუა მათ: რად, ანუ რაჲსათჳს? და მათ ჰრქუეს მას: უკუეთუ აღგამაღლოთ შენ, ივლტი სიმდაბლესა მიმართ და უკუეთუ დაგამდაბლოთ შენ, აღისწრაფი სიმაღლედ. და ესრეთ მადლითა უფლისაჲთა და სწავლითა მით ბერისაჲთა იქმნა მონაზონ რჩეულ ძმაჲ[4] იგი და ადიდებდა ღმერთსა.

6. ბერსა ვისმე აქუნდა მსახური თჳსი[5] დაბასა რომელსამე შინა. და დაეყოვნა მას ოდესმე მისლვად ბერისა ესოდენ[6], ვიდრემდის სრულებით დაელია საზრდელი, ესრეთვე და ჴელთსაქმარიცა მისი. შეუძნდა ბერსა მრავალჟამ[7] უქმობაჲ იგი მისი და უზმობაჲ და ჰრქუა მოწაფესა თჳსსა: გნებავსა წარსლვაჲ დაბად? ხოლო მან ჰრქუა მას: ვითარცა გნებავს, ვყო. რამეთუ ეშინოდა ძმასა მას მიახლებად დაბისა ბრძოლისათჳს, გარნა რაჲთა არა ურჩ ექმნეს მამასა მას თჳსსა[8], თავსა-იდვა წარსლვა. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და ვესავ ღმერთსა მამათა ჩემთასა[9], რომელ დაგიცავთ შენ ყოვლისაგან განსაცდელისა. და ყო ლოცვაჲ ბერმან და წარმგზავნა[10] იგი. და ვითარცა მივიდა ძმაჲ იგი დაბად, დახუდა ყოველთავე[11] მათ სახლეულთა და მოღუაწისა მის მათისა საჴსენებელსა სამე წარსლვაჲ შორს სოფლისაგან, თჳნიერ ერთი ოდენ ასული კაცისაჲ მის[12] იპოვა შინა, რომელი-იგი გამოვიდა მყის, ესმა რაჲ რეკაჲ კარისაჲ. და ვითარცა განაღო, ჰკითხვიდა ძმაჲ მამისათჳს მისისა, თუ სადა არს. ხოლო იგი /331v/ აწუე/ვდა მას[13] შესლვად შინაკერძო სახლისა და შეზიდვიდა, ხოლო იგი არა თავს-იდებდა. უკუანაჲსკნელ, ვითარცა აიძულა[14] უმეტესრე, შეიყვანა შინა და მიიზიდა[15] სიყუარულად მისა. ხოლო მან, ვითარცა იხილა თავი თჳსი აღძრული ბილწებათათჳს და გულისსიტყუათაგან ცოდვისათა შეიწრებული, სულთ-ითქუნა მწარედ და ღაღად-ყო ღმრთისა მიმართ და[16] თქუა: უფალო, ლოცვითა მამისა ჩემისაჲთა, მაცხოვნე მე ჟამსა ამას. და ვითარცა თქუა ესე, მეყსეულად იპოვა იგი მდინარისპირსა[17] მიმავალი მონასტრად თჳსა. და ესრეთ შეწევნითა ღმრთისაჲთა მივიდა[18] მშჳდობით მამისავე თჳსისა.

---

[1] დაღაცათუ] დაღათუ E. 2 მას] ამას E. 3 უკეთურებისანი] უკეთურნი E. 4 ძმაჲ იგი – CD. 5 თჳსი – E. 6 ესოდენ] ესე ოდენ E. 7 მრავალჟამ უქმობაჲ იგი მისი] უქმობაჲ მისი მრავალჟამ D. 8 თჳსსა] მისსა E. 9 ჩუენთასა CD. 10 წარგზავნა CDE. 11 ყოველთა D. 12 მის – E. 13 ~ შინაკერძო შესლვად მას C. 14 აიძულა] აჲძულა AE. 15 მიიზიდა] მიიზიდვიდა D; მიზიდვიდა E. 16 და თქუა – D. 17 მდინარისპირსა] მდინარისა პირსა C. 18 მივიდა] მოვიდა D.

7. ორნი ძმანი ჴორციელნი წარვიდეს დამკჳდრებად მონასტერსა ერთსა. ერთი იგი[1] იყო მოღუაწე ფრიად, ხოლო მეორესა მას აქუნდა მორჩილებაჲ დიდი და რასაცა ეტყჳნ მას მამაჲ მისი, მზა იყო იგი აღსრულებად. და უკუეთუ ჰრქჳს მას თუ ჭამე, განთიადვე ჭამის და უკუეთუ ჰრქჳს მას, ნუ შჭამ[2], ნუცაღა მიმწუხრი, არა ჭამის. და იდიდებოდა იგი კრებულისაგან ძმათაჲსა მორჩილებისათჳს მისისა. ხოლო ძმაჲ იგი მისი მოღუაწე მოიწყლა შურითა მისთჳს[3] და თქუა თავსა შორის თჳსსა[4]: მე გამოვცადო იგი, უკუეთუ ნანდვილვე აქუნდეს-ძი[5] მორჩილებაჲ. და მოუჴდა მამასა მონასტრისასა და ჰრქუა: წარმოავლინე ჩემ თანა ძმაჲ ჩემი, რამეთუ წარვალ სადამე. და განუტევა იგი მამამან[6] წარსლვად მის თანა. წარიყვანა უკუე იგი ძმამან მოღუწემან და ჴელ-ყო გამოცდად მისდა[7]. და აღდგეს და მივიდეს მდინარედ, რომელი აღსავსჱ[8] იყო სიმრავლითა ხჳთქთაჲთა და ჰრქუა მას: წიაღვლე, ძმაო, მდინარე ისი. და მეყსეულად შთავიდა მდინარესა მას[9]. და მივიდეს ხჳთქნი იგი და ჰლოშნიდეს ჴორცთა მისთა და არა ავნეს მას ყოლადვე, არცა თუ კნინოდენ რაჲ. ვითარცა იხილა ესე მოღუაწემან /332/ მან, ჰრქუა მას[10]: აღმოვედ აწ მაგიერ მდინარით. და აღმოვიდა იგი და ვითარცა ვიდოდეს იგინი, პოვეს მკუდარი დაგდებული გზასა ზედა. ჰრქუა მას მოღუაწემან მან: უკუეთუმცა ძუელი რაჲ სამოსელი, მი-მცა-ვაგდეთ ამას ზედა. ჰრქუა მას მორჩილმან: უფროჲს-ღა ვილოცოთ, რაჲთა აღდგეს ეგე. და დადგეს იგინი ლოცვად. და ლოცვასა მას ზედა მათსა[11] აღდგა მკუდარი იგი. და იქადოდა მოღუაწე იგი და იტყოდა თავსა შორის თჳსსა, ვითარმედ: მოღუაწებითა ჩემითა აღდგა მკუდარი[12]. ხოლო გამოუცხადა ღმერთმან ყოველივე ესე მამასა მონასტრისასა და თუ ვითარ განცადა ძმაჲ იგი[13] თჳსი ხჳთქთა ზედა და თუ ვითარ აღდგა მკუდარი იგი. და ვითარცა მოვიდეს[14] იგინი მონასტრად, ჰრქუა ბერმან ძმასა მას მოღუაწესა: რაჲ ესე ჰყავ და განსცადე ძმაჲ შენი? და აჰა ესერა, მორჩილებითა მისითა აღდგა მკუდარი იგი. და რომელთა ესმა ესე, ადიდებდეს ყოველნი[15] ღმერთსა.

8. ძმაჲ ვინმე ერისკაცი მონაზონ იქმნა და წარვიდა მონასტრად და[16] დაუტევნა სამნი ძენი ქალაქსა შინა. და ვითარცა დაყო სამი წელიწადი მონასტერსა შინა, იწყეს გულისსიტყუათა ურვებად მისა და შეჭირვებად ფრიად ყრმათა მათთჳს. და რამეთუ[17] არა ეთხრა წინამძღურისადა, თუ უვის ვინ. იხილა რაჲ იგი ბერმან ესრეთ მჭმუნვარედ, ჰრქუა მას: რაჲ არს ეგე, რამეთუ ვხედავ მჭმუნვარედ[18] პირსა შენსა. მაშინ იწყო და მიუთხრა მას მამამან ყრმათამან, ვითარმედ: სამნი ძენი მისხენ ქალაქსა შინა და მნებავს

---

[1] იგი – C. 2 შჭამ] სჭამ E. [3] მისთჳს – E. [4] თჳსა C. [5] აქუსძი C; აქუნდესღა E. [6] ~ წარსლვად მამამან E. [7] მისდა] მისსა C. [8] აღსავსჱ] აღსავსე CDE. [9] მას – C. [10] აქ E ნუსხა წყდება. [11] ~ მათსა ზედა C. [12] მკუდარი + იგ იD. [13] იგი – D. [14] მოვიდეს] მოვიდოდეს D. [15] ყოველნი – D. [16] და – D. [17] რამეთუ – D. [18] ~ პირსა შენსა მჭმუნვარედ D.

მათიცა აქა მოყვანებაჲ მონასტრად. და უბრძანა წარსლვად და მოყვანებად. და ვითარცა წარვიდა იგი ქალაქად, პოვნა ორნი იგი, რამეთუ აღსრულებულ[1] იყვნეს. და აღიყვანა ყრმაჲ იგი ერთი და საფასჱ[2], რომელ დაშთომილ იყო, და მოვიდა მონასტრადვე და ძიება-ყო წინამძღურისათჳს და მოძღურისა. და პოვა იგი სახლსა შინა საცხობელსა პურისასა. და ვითარცა იხილა ბერმან ყრმაჲ იგი, შეიტკბო და[3] მოწლედ /332v/ ამბორს-/უყოფდა მას. მერმე ჰრქუა მამასა ყრმისასა: გიყუარსა ესე ფრიად? და მან ჰრქუა მას: ჰჱ, მამაო, მიყუარს ეგე. და მან კუალადცა ჰრქუა: დასტურად, ფრიად[4] გიყუარსა ესე? და მან კუალადცა მიუგო: ჰჱ, მამაო, დიად მიყუარს ეგე. ესმა რაჲ ესე ბერსა, ჰრქუა მას: აღიღე ეგე და შეაგდე ფურნესა მას[5] განჴურვებულსა. და მეყსეულად აღიღო ყრმაჲ იგი მამამან მისმან და შესტყორცნა იგი აღგზებულსა მას შინა ფურნესა. და ეჰა წყალობათა შენთა, ქრისტე! რამეთუ ვითარცა სახედ საჴუმილი იგი სამთა ყრმათაჲ, ცუარითა შეიცურია, ფურნეცა იგი და ალი[6] მოტყინარე მყის ცუარად გრილად გარდაიქცა. და მსგავს იქმნა მსხუერპლსა მას აბრაჰამ მამათმთავარისასა. და უვნებელად დაცვულ იქმნა ყრმაჲ[7] იგი მისვე თავადისა მიერ მეუფისა. და რომელთა ესმა ესე, ადიდებდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა.

9. ბერმან თქუა: ძმანო, პირველადვე ჰრქუა მაცხოვარმან მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ პირველად ჭირი გაქუნდეს და იწროებაჲ. და[8] რამეთუ დაწყებაჲ ყოვლისავე საქმისაჲ ჭირით იქმნების. და რომელი დაწყებისა[9] ჭირთა[10] ევლტოდის, იგი ევლტის ცნობასაცა[11] ღმრთისასა. და რამეთუ დაწყებაჲ წმიდათა წერილთა[12] სწავლისაჲ შრომით იქმნების და ყრმათა მიეცემის სასწავლელად ჩჩჳლთა. ესრეთვე მონაზონი ჭირით და შრომით მოიგებს მორჩილებასა. და ესრეთ იქმნების ძჱ[13] ღმრთის და თანამკჳდრ ქრისტესა.

10. ბერმან[14] თქუა: ამას[15] ეძიებს ქრისტეანეთაგან ღმერთი, რაჲთა შეუდგეთ წმიდათა წერილთა. და რომელსა იგი ვიტყჳთ სიტყჳთ, საქმითცა ვიქმოდით. და რაჲთა ვერჩდეთ წინამძღუართა სულიერთა და მამათა მართლმადიდებელთა.

11. ძმაჲ ვინმე შეწუხნა ვისგანმე. აღდგა და წარვიდა სენაკებს ბერისა ვისამე და ჰრქუა მას[16]: /333/ მამაო, შეწუხებულ არს ფრიად[17] სული ჩემი. ჰრქუა მას ბერმან: რად ძმაო? მიუგო ძმამან: რამეთუ შემაწუხა მე[18] ვინმე ფრიად და შემაურვებს მე ეშმაკი, რაჲთა მივაგო მე[19] მას უმეტეს[20]. ჰრქუა

---

[1] აღსრულებულ] მომკუდარ C. [2] საფასჱ] საფასე CD. [3] და – D. [4] ~ გიყუარსა ფრიად ესე C. [5] მას] იმას CD. [6] ალი + იგი C. [7] ყრმაჲ იგი – CD. [8] და – C. [9] დაწყებისა] დაწყებასა CD. [10] ჭირთა] ჭირთასა D. [11] ცნობასაცა] მცნებასაცა C. [12] წერილთა სწავლისაჲ] წერილისაჲ D. [13] ძჱ] ძე CD. [14] ბერმან თქუა – D. [15] ამას] ამისთჳს D. [16] მას – C. [17] ~ სული ჩემი ფრიად CD. [18] მე – CD. [19] მე – C. [20] უმეტეს] უმეტესი CD.

მას ბერმან: უკუეთუ მერჩდე მე, შვილო, და ისმინო ჩემი, გიჴსნას[1] შენ ღმერთმან ვნებისა მაგისგან[2]. ხოლო მან აღუთქუა ყოფად, რაჲცა უბრძანოს. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ სენაკად შენდა და დაეყუდე და ევედრე ღმერთსა გულსმოდგინედ შევრდომითა მისთჳს შენისა. წარვიდა ძმაჲ იგი და ყო ეგრეთ, ვითარცა ამცნო მას ბერმან. და შჳდეულსა ერთსა შინა აჰჴოცა ღმერთმან მრისხანებაჲ გულისაგან მისისა იძულებისა მისთჳს, რომლითა აიძულა[3] თავსა თჳსსა დამორჩილებისათჳს ბერისა მის წმიდისა.

12. ძმაჲ ვინმე ღმრთისათჳს დამორჩილებულ იყო სულიერისა და წმიდისა ბერისადა. მერმე ჰრქუა მას: მამაო, წერილი იტყჳს, ვითარმედ მრავლითა ჭირითა გჳღირს ჩუენ შესლვაჲ სასუფეველსა ცათასა. და ვხედავ მე თავსა ჩემსა, რომელ არცა ერთი რაჲ ჭირი მაქუს, აწ რაჲ თანამაც ყოფად, ნუუკუე წარვწყმიდო სული ჩემი? ვითარცა ჰრქუა ესე ბერსა, ჰრქუა მას ბერმან: ნუ შეწუხებულ ხარ, შვილო, ნუცა გიმძიმს ამისთჳს. და რამეთუ ყოველთავე, რომელთაცა მისცნეს თავნი მათნი მორჩილებასა მამათა სულიერთასა, ესევითარი უზრუნველობაჲ და განსუენებაჲ აქუს მათ ყოლადვე.

13. ბერსა ვისმე ესუა მოწაფჱ[4], რომელსა აქუნდა დიდი მორჩილებაჲ. და რაოდენსაცა რას ეტყჳნ ბერი, ყოველსავე უცონილად და სარწმუნოებით აღასრულებნ იგი. და ოდეს უჴმდის ჩოჴაჲ, მისცემნ მას[5] ბერი. და ვითარცა შეკერის იგი და შეჰკაზმის კეთილად, მოხადის ბერმან და ჰრქჳს მას[6]: შვილო, შეჰკერეა /333v/ ჩოჴაჲ იგი? და მან თქჳს: ჰჱ, მამაო, შევკერე იგი და შევჰკაზმე. და ბერმან ჰრქჳს: წარვედ, შვილო, და მიეც ეგე[7] რომელსამე ძმასა, ანუ თუ მას ვისმე უძლურსა. და მან ყვის ეგრეთ სიხარულით და გულსმოდგინედ. და ბერმან კუალად სხუაჲ მისცის მას[8] და ვითარცა შეჰკაზმის იგი, ჰრქჳს მას: მიეც ეგე მას ძმასა. და მან მეყსეულად მისცის იგი თჳნიერ დრტჳნვისა და შეწუხებისა. და უკუეთუ[9] ჰკითხავნ ბერსა გულისსიტყუასა, ესევითარითა სარწმუნოებითა მიითუალავენ[10] მას, ვითარცა პირისაგან ღმრთისა გამოსრულსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე[11] უკუნისამდე, ამინ![12]

---

[1] გიჴსნას] გიჴსნეს C. [2] მაგისგან] მისგან CD. [3] აიძულა] აჲძულა A. [4] მოწაფჱ] მოწაფე CD. [5] მას – D. [6] მას – D. [7]]ესე C. [8] მას – D. [9] უკუეთუ+რასმე D. [10] მიუთუალავინ CD. [11] სიმტკიცე +აწ და მარადისC. [12] A ნუსხაში არის ანდერძი: „საუკუნომცა არს საჴსენებელი და კურთხევაჲ ნეტარისა და წმიდისა მამისა, მზრდელისა და მოძღურისა ჩემისა გიორგი მთაწმიდელისა, ახლისა ოქროპირისაჲ და მშობელთა მისთაჲ, უკუნისამდე, ამინ, ღმერთმან ამინ! ბერსა კლიმის შეუნდვენ!“.

თავი ივ

სიმდაბლისათჳს კეთილისა და მას შინა განათლებულთათჳს[1] მამათა

გუაკურთხენ[2], მამაო!

I. 1. მამამან ანტონი აღიხედნა ოდესმე განკითხვათა მიმართ და საშჯელთა ღმრთისათა, ითხოვა და თქუა: უფალო, ვითარ რომელნიმე მცირედთა შინა[3] დღეთა მოსწყდებიან და კუალად სხუანი დიდად დაბერდებიან და რაჲსათჳს რომელნიმე[4] უსამართლონი მდიდარ არიან და მართალნი[5] გლახაკ? და მოაწია მისა[6] ჴმაჲ ზეცით, რომელი ეტყოდა: ანტონი, თავსა შენსა ეკრძალე, რამეთუ ესე ყოველნი მსჯავრნი ღმრთისანი არიან და არა შეჰგავს შენდა ძიებაჲ მათი.

2. ჰრქუა **მამამან ანტონი მამასა პიმენს**, ვითარმედ: ესე არს დიდი სათნოებაჲ კაცისაჲ, რაჲთა ბრალი თჳსი დაკრიბოს[7] კაცმან თავსა ზედა თჳსსა წინაშე ღმრთისა და მოელოდის განსაცდელსა, ვიდრე უკუანაჲსკნელად აღმოფშჳნვადმდე.

3. კუალად თქუა[8]: ვერვინ გამოუცდელთაგანმან /334/ შეუძ/ლოს შესლვად სასუფეველსა ცათასა.

4. კუალად თქუა, ვითარმედ: ვიხილენ ყოველნივე საბრჴენი მტერისანი, განფენილნი[9] ქუეყანასა ზედა და სულთ-ვითქუენ და ვთქუ: ვინ-მე უკუე თანაწარჴდეს მათ?! და მესმა ჴმაჲ, რომელი მეტყოდა მე, ვითარმედ: სიმდაბლე თანაწარჰვალს მაგათ ყოველთა[10] და არცა თუ შეეხებიან მას.

5. წარვიდეს ოდესმე ბერნი **მამისა ანტონისა**[11] და იყო **მამაჲ იოსებცა** მათ თანა. და ინება ბერმან გამოცდაჲ მათი და წარმოაგდო შორით სიტყუაჲ წერილისაჲ და იწყო კითხვად უმცირესითგან მათით, თუ რაჲ არს სიტყუაჲ

---

[1] განათლებულთათჳს + წმიდათა D. [2] ~ მამაო, გუაკურთხენ D. [3] ~ დღეთა შინა D. [4] რომელნიმე – D. [5] მართალნი] სამართლიანნი D. [6] მისა] მისსა D. [7] დაკრიბოს] დაიკრიბოს D. [8] კუალად თქუა] რამეთუ D. [9] განფენილნი] განფენილად C. [10] ყოველთა] ყოველთავე CD. [11] ანტონისა] ანტონისსა CD.

ესე. და კაცად-კაცადი მათი იტყოდა ძალისაებრ თჳსისა[1]. ხოლო ბერი ეტყჳნ თჳთოეულსა[2] მათსა: არღა[3] გიპოვნიეს ჯერეთ. უკუანაჲსკნელ ყოველთასა ჰკითხა მამასა იოსებს და ჰრქუა: შენ ვითარ აგონებ[4] სიტყუასა ამას[5]? და მან თქუა: არა ვიცი. თქუა უკუე მამამან ანტონი: ნანდჳლვე მამამან იოსებ პოვა გზაჲ, რამეთუ თქუა, არა ვიცი.

6. სამთა ვიეთმე მამათა აქუნდა ჩუეულებაჲ რაჲ წელიწად აღსლვად **ნეტარისა ანტონისა**[6] და რამეთუ ორნი იგი ჰკითხვიდეს მას გულისსიტყუათათჳს თჳსთა[7] და ცხორებისათჳს სულისა, ხოლო ერთი იგი დუმნ[8] ყოლადვე და არარას ჰკითხავნ. შემდგომად უკუე მრავლისა ჟამისა ჰრქუა მას მამამან ანტონი: აჰა ესერა, ესოდენნი წელნი გქონან და მოხუალ აქა და არცა ერთსა რას მკითხავ მე. მიუგო მან და ჰრქუა მას: კმა არს ჩემდა მებრ ხილვაჲცა შენი, მამაო!

II. 1. მამასა არსენის დაეხჳნეს[9] ოდესმე ეშმაკნი და აჭირვებდეს მას. წარვიდეს მსახურნი იგი მისნი და დადგეს გარეშე სენაკისა მისისა და ესმოდა შინაკერძო, რამეთუ ჴმობდა და ღაღადებდა ღმრთისა მიმართ და იტყოდა: ღმერთო ჩემო, ნუ დამაგდებ მე, არარაჲ მიქმნიეს წინაშე შენსა კეთილი, არამედ მომეც მე სახიერებათათჳს[10] შენთა, /334v/ რაჲთა აწ ახლად ვყო[11] დაწყებაჲ კეთილისაჲ.

2. იტყოდეს მისვე **მამისა არსენისთჳს,** ვითარმედ ვითარცა-იგი არავის პალატსა შინა ემოსის მისსა უმჯობესი, ესრეთვე სკიტეს შინა არავის ეცჳს მისგან უდარესი, მო-რაჲ-ვალნ იგი ეკლესიად.

3. ჰრქუა ვინმე **ნეტარსა არსენის,** თუ ვითარ ჩუენ ესოდენსა ზედა[12] სიბრძნესა და სწავლულებასა არარაჲ გუაქუს, ხოლო ამათ მდაბიურთა და მეგჳპტელთა ესოდენნი სათნოებანი მოუგიან. ჰრქუა მას მამამან არსენი: ჩუენ ამისთჳს არაჲ[13] გუაქუს, რომელ სიბრძნესა ამის სოფლისასა სწავლულ ვართ. ხოლო ამათ მდაბიურთა და მეგჳპტელთა თჳსთაგან შრომათა მოუგიან სათნოებანი.

4. ჰკითხვიდა ოდესმე **მამაჲ არსენი** ბერსა ვისმე მეგჳპტელსა თჳსთა გულისსიტყუათა. იხილა იგი სხუამან და ჰრქუა მას: მამაო არსენი, ვითარ შენ სიბრძნესა ჰრომაულსა და ბერძულსა სწავლული ამას მდაბიურსა ჰკითხავ შენთა გულისსიტყუათა? ხოლო მან ჰრქუა მას: ჰრომაელთა და ბერძენთა წურთილებაჲ კეთილად მისწავლიეს, ხოლო ანბანი ამის მდაბიოჲსაჲ ჯერეთ არღა დამისწავლიეს.

---

[1] თჳსისა] მათისა CD. [2] თჳთოეულსა მათს – C. [3] არღა] არღარა D. [4] აგონებ] ჰგონებ C. [5] მას C. [6] ანტონისა] ანტონისსა D. [7] თჳსთა – C. [8] დუმნა C; თჳს-თჳსთ აD. [9] დაეხჳნეს] დაეხსნეს C. [10] სახიერებათათჳს შენთა] სახიერებათა შენთათჳს CD. [11] ვყო] ვიწყო CD. [12] ~სიბრძნესა ზედა D. [13] არაჲ] არარაჲ D.

5. იტყოდა **მამაჲ არსენი:** უცხოჲ მონაზონი უცხოსა ქუეყანასა ნურას[1] განაგებნ[2] და განისუენოს.

6. იტყოდეს ბერნი, ვითარმედ მიეცა ოდესმე სკიტეს ძმათა[3] მცირედ[4] ლეღჳ და ვითარცა არარაჲ სიმცროჲსათჳს და უნდოებისა არა წარმგზავნეს[5] **მამისა არსენისა[6],** რამეთუ დაერიდნეს პატივსა მისსა. ესმა ესე ბერსა და არღარა მოვიდა ეკლესიად, არამედ თქუა: გამომჴადეთ მე კურთხევისა მისგან და ევლოგიისა, რომელი მოუძღუანა ღმერთმან ძმათა, რომლისა არცა ღირს ვიყავ მიღებად. და ესმა ყოველთა და სარგებელ /335/ ეყო სიმდაბლესა მას მისსა ზედა საკჳრველსა და წარვიდა მღდელი და მიართუა ლეღჳ და მოიყვანა იგი ეკლესიად სიხარულით.

7. თქუა **მამამან დანიელ**, ვითარმედ: მოვიდეს ოდესმე ალექსანდრიაჲთ მამანი ხილვად მამისა არსენისა[7]. და ერთი მათგანი იყო მამისაძმაჲ ძუელისა მის პატრიარქისა[8] ტიმოთესი, რომელსა ერქუა უპოვარ და ჰყვა ძმისწულიცა სხუაჲ მის თანა. ხოლო მამაჲ არსენი იყო მაშინ უძლურად[9] ფრიად და არა შეიწყნარნა იგინი, რაჲთა არა სხუანიცა მივიდენ და აწყინებდენ მას. ხოლო იყო იგი მაშინ კლდესა მას[10] ტროჲსასა[11] და წარვიდეს იგინი შეწუხებულნი. ხოლო ამისა[12] შემდგომად იქმნა მოსლვაჲ ბარბაროზთაჲ. და წარვიდა არსენი ქუემოთა მათ კერძოთა და მუნ დაემკჳდრა. ესმა მათ კუალად მუნ მკჳდრობაჲ[13] მისი და წარვიდეს კუალადცა ხილვად მისა[14], ხოლო მან სიხარულით შეიწყნარნა იგინი. მერმე ჰრქუა ერთმან ძმამან, რომელი იყო მათ თანა: უწყია, მამაო, რომელ კუალადცა მოვედით შენდა, იყავ რაჲ ტროჲდს[15] და არა შეგჳწყნარენ ჩუენ. ჰრქუა მას ბერმან: ნუუკუე თქუენ გემოჲ პურისა[16] ანუ წყლისაჲ იხილეთ[17], ხოლო მე არცა იგი მაშინ და არცაღა თუ[18] ქუე დავჯედ, შვილო, შეწუხებისაგან, რამეთუ ვსტანჯევდი თავსა ჩემსა, ვიდრემდის ვჰგონე მიწევნაჲ თქუენი ადგილსავე თქუენსა, არამედ შემინდვეთ მე, ძმანო, რამეთუ ჩემთჳს დაშუერით. და ნუგეშინისცემულ იქმნნეს იგინი და წარვიდეს სახედ თჳსა.

8. იტყოდეს[19] **მამისა არსენისთჳს**, ვითარმედ დასნეულდა ოდესმე სკიტეს შინა და წარვიდა მღდელი და მოიყვანა იგი ეკლესიად და წარუგდო /335v/ მის[20] ქუეშე ტყავი და მცირჱ[21] სასთაული სასთუნლად მისა და აჰა ესერა, ერთი ვინმე ბერთაგანი მეგჳპტელთაჲ მოვიდა ხილვად მისა[22]. და იხილა რაჲ იგი ტყავსა მას ზედა მირდომილად და მცირე სასთაული, რამეთუ ედვა ქუეშე თავსა მისსა, დაჰბრკოლდა იგი და თქუა: ესე არსა მამაჲ არსენი

---

[1] ნურას] ნურარას C. [2] განაგებნ] განაგებს C. [3] ძმათა – C. [4] მცირჱ] მცირე C. [5] წარმგზავნეს] წარგზავნეს CD. [6] არსენისა] არსენისსა CD. [7] არსენისა] არსენისსა CD. [8] პატრიარქისაჲ D. [9] უძლურად] უძლურ D. [10] მას+შინა C. [11] ტროჲსასა] ტროჲსსა D. [12] ამისა] ამისსა D. [13] მკჳდრებაჲ C. [14] მისა] მისსა D. [15] ტროადას + შინა C. [16] პურისა] პურისაჲ CD. [17] ~ იხილეთ ანუ წყლისაჲ C. [18] თუ – CD. [19] აქ D ნუსხა წყდება. [20] მის] მას C. [21] მცირჱ] მცირე C. [22] მისა] მისსა C.

და ესევითარსა ზედა[1] ცხედარსა გარდაგებულსა მწოლარე არს. ესმა რაჲ ესე მღდელსა მას[2] და ხუცესსა ეკლესიისასა განიყვანა თჳსაგან[3] ბერი იგი და ჰრქუა მას: რაჲ იყო საქმე შენი დაბასა შინა შენსა? ხოლო მან[4] ჰრქუა: მწყემსი ვიყავ ცხოვართაჲ. ჰრქუა მას მღდელმან: ვითარი იყო ცხორებაჲ შენი? მიუგო: მრავლითა ჭირითა და ურვითა. ჰრქუა მას მღდელმან: და აწ ვითარ ხარ სენაკსა შინა შენსა? ჰრქუა მას ბერმან მან: უფროჲსღა განსუენებასა შინა ვარ აწ დიდსა. მაშინ ჰრქუა მას მღდელმან: ხედავა ამას ძმასა[5] არსენის, მამაჲ იყო მეფეთაჲ სოფელსა შინა და ათასი მონაჲ ოქროჲსა სარტყელითა და ყელსა მანიაკითა და ზეზითა და ჭიჭნაურითა მოსილნი უდგეს წინაშე მაგისსა და დიდფასისა საგებელნი ეგნეს მაგისსა ქუეშე. ხოლო შენ მწყემსი იყავ და რომელი არა გაქუნდა სოფელსა შინა განსუენებაჲ, იგი აწ გაქუს და ესე ესევითართაგან შუებათა და განსუენებათა იხილეღა, თუ რომელსა ჭირსა ჩამოჭრილ არს. აწ განიცადე კეთილად, თუ ვითარ შენ განსუენებად მოსრულ ხარ და ესე ჭირად და ღუაწლად. ესმა რაჲ ესე ბერსა მას მეგჳპტელსა, ლმობიერ იქმნა ფრიად, მოუდრიკნა მუჯლნი მღდელსა, ითხოვა შენდობაჲ და ჰრქუა მას: შემინდევ, მამაო, რამეთუ ვცოდე და რამეთუ ნანდჳლვე ესე არს ჭეშმარიტად გზაჲ სიმართლისაჲ, რამეთუ ესე სიმდაბლედ, ხოლო მე განსუენებად[6] მოსრულ ვარ.

9. /336/ იტყოდა **მამაჲ დანიელ**, ვითარმედ: ოდეს ეგულებოდა მოსიკუდიდ მამასა არსენის, მამცნო[7] ჩუენ და მრქუა: ნუ ზრუნავთ ყოლად ჩემთჳს სიყუარულისა ყოფად, რამეთუ მე, უკუეთუ რაჲ მიქმნიეს კეთილი თავისა ჩემისა, იგიცა პოვნად მიც.

10. ეგულვა რაჲ აღსრულებად **მამასა არსენის**[8], აღშფოთნეს მოწაფენი მისნი და მან ჰრქუა მათ: არღა[9] მოსრულ არს ჯერეთ ჟამი, ხოლო ოდეს მოვიდეს, გითხრა თქუენ, გარნა სასჯელი მოგეპადოს თქუენ წინაშე საყდართა მათ საშინელთა, უკუეთუ მისცნეთ ვისცა ჴორცნი ჩემნი. და მათ[10] ჰრქუეს: რაჲ უყოთ უკუე, რამეთუ ვერ ვიცით შემურვაჲ. ჰრქუა მათ ბერმან: არა იცითა მობმაჲ საბელსა ფერჴთა ჩემთა[11] და განთრევაჲ გარე მთასა? ხოლო ესე სიტყუაჲ არნ ყოლადვე ბერისაჲ: არსენი, რომლისათჳს გამოხუედ?![12] სიტყუასა ზედა მრავალგზის შევინანე, ხოლო დუმილსა ზედა არასადა. ვითარცა მიახდა იგი სიკუდიდ, იხილეს იგი ძმათა, რამეთუ ტიროდა და ჰრქუეს მას: ჭეშმარიტად შენცა გეშინისვეა, მამაო? და მან ჰრქუა მათ: ჭეშმარიტად შიში ესე რომელი არს ჩემ თანა აწ, ჩემ თანა იყო ყოლადვე, მო-რაჲ-ვედ მონაზონებად! და ესრეთ ძილი იგი მართალთაჲ დაიძინა[13] ნეტრეულმან[14].

---

[1] ~ ცხედარსა ზედა C. [2] მას – C. [3] ~ ბერი თჳსაგან C. [4] მან – C. [5] ძმასა] მამასაC. [6] განსუენებად + კეთილად C. [7] მამცნო] მომიმცნო C. [8] აქედან E ნუსხა გრძელდება 210r-ზე (აკინძვის შეცდომა). [9] არღა] არღარა C. [10] ~ჰრქუეს მათ E. [11] ჩემთა] ჩემთაჲ E. [12] გამოხუედ + და E. [13] დაიძინა] დაჲძინა A. [14] ნეტრეულმან + მან C.

11. იტყოდეს ამის **მამისა არსენისთჳს,** ვითარმედ ყოველთავე დღეთა ცხორებისა მისისათა, დაჯდებინ რაჲ იგი ჴელთსაქმრად, მჩუარი აქუნ უბეთა შინა მისთა ცრემლთა მათთჳს, რომელნი გარდამოდიოდეს სამარადისოდ[1] თუალთაგან მისთა. ესმა უკუე მამასა პიმენს, რამეთუ დაიძინა[2] მამამან არსენი. აღტირდა და თქუა ცრემლით: ნეტარ ხარ შენ, მამაო არსენი, რამეთუ[3] დაიტირე[4] თავი შენი ამასვე[5] სოფელსა და რამეთუ[6] რომელი აქა არა სტიროდის თავსა თჳსსა, საუკუნოდ წინაუც ტირილი, რამეთუ ანუ აქა ნეფსით, ანუ მუნ სატანჯველთაგან შეუძლებელ არს, რაჲთამცა არა ვტიროდით[7].

12. გჳთხრა ჩუენ ესე **მამამან დანიელ**, /336v/ ვითარმედ არაოდეს ინება **მამამან არსენი** ძიებაჲ წიგნთაგან. და რამეთუ ძალ-ედვა უკუეთუმცა ენება, არამედ არცაღა ვის წიგნი ადრე მიუწერის. და[8] რამეთუ მრავალთა წელთა, ოდეს მოვალნ იგი ეკლესიად, სუეტსა უკუანა დადგებინ იგი, რაჲთა არავინ ხედვიდეს პირსა მისსა[9], არცაღა იგი სხჳსასა ხედვიდეს. იყო უკუე ხილვაჲ და სახჱ[10] მისი ანგელოზებრი, სპეტაკი[11] ყოველითურთ ვითარცა მამათმთავარი იაკობ, მდგმო გუამითა და მართლ[12] და ჴმელ ჴორცითა, ხოლო წუერნი მისნი იყვნეს ჴშირ[13] და გრძელ და შთამოვიდოდეს ვიდრე მუცლადმდე[14] მისა, თჳნიერ წამწამნი თუალთა მისთანი დასცჳვეს ტირილისაგან. გრძელ იყო იგი ჰასაკითა, გარნა დამოკლდა იგი სიბერითა. ხოლო იქმნნეს ყოველნივე დღენი ცხორებისა მისისანი ოთხმეოცდაათხუთმეტ წელ. დაყო უკუე პალატსა შინა სამეუფოსა კეთილად ჴსენებულისა დიდისა[15] თევდოსი მეფისასა ოცი წელიწადი და მამაჲ იქმნა მორწმუნეთა მეფეთა ონორი და არკადისსა. და კუალად სკიტეს დაყო ორმეოცი წელიწადი და ზემო ბაბილონს, ტროადას დაყო ათი წელიწადი პირისპირ მემფოჲსა და სამი წელიწადი დაყო კანოპონს[16] ალექსანდრიაჲსასა და სხუაჲ ორი წელიწადი კუალად, ოდეს მივიდა ტროინსვე[17] და მუნ დაიძინა[18], აღასრულა უკუე კეთილად და მშჳდობით და შიშითა ღმრთისაჲთა სარბიელი თჳსი, რამეთუ იყო კაცი და სახიერი და სავსჱ[19] სულითა წმიდითა და სარწმუნოებითა. ხოლო მე, მოწაფესა მისსა, დამიტევა ხალენი მისი და ბალნისა ჩოჩაჲ თეთრი და სანდალნი სებინისანი[20] და მე უღირსამან ამან შევიმოსე ესე ყოველი, რაჲთა ვიკურთხო მისგან.

13. გჳთხრა ჩუენ კუალად **მამამან დანიელ მამისა არსენისთჳს**, ვითარმედ: უწოდა ოდესმე მამათა ჩემთა[21] მამასა /337/ ალექ/სანდრეს და[22]

---

[1] სამარადისოდ – C. [2] დაიძინა] დაჲძინა A. [3] რამეთუ – C. [4] დაიტირე] დაჲტირე AE. [5] ამას C. [6] რამეთუ – E. [7] ვტიროდით] ვტიროდეთ C. [8] და – C. [9] მისსა + და E. [10] სახჱ] სახე C. [11] სპეტაკ C. [12] მართლ] მართალ C. [13] ჴშირ] ჴშირნი E. [14] მუცლამდე C. [15] დიდისა – C. [16] კანოპონს] კანოპს C. [17] ტროინსვე] ტროჲნსვე AE. [18] დაჲძინა] დაჲძინა A. [19] სავსჱ] სავსე C. [20] სებინისანი] სებენისანი C. [21] ჩუენთა C. [22] აქ E ნუსხა წყდება.

ზოილოს[1], დაიმდაბლებდა[2] თავსა თჳსსა და ჰრქუა მათ: ვინაჲთგან მბრძვანან მე ეშმაკნი და არა უწყი, თუ[3] წარმიტაცებენ მე ძილად, დაშუერით ჩემ თანა ღამესა ამას და დამიცევით მე, და-თუ-მეძინოს ღამისთევასა შინა. და დაუსხდეს მას იგინი ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით მწუხრითგანვე დუმილით. და თქუეს მამათა ჩემთა[4], ვითარმედ: ჩუენ დავიძინეთ და აღვდეგით და ვერ ვაგრძენით მისთჳს, უკუეთუ დაიძინა[5] და განთიად, ღმერთმან იცის, თუ ნეფსით ყო, რაჲთა ჩუენ ვჰგონოთ[6] თუ დაიძინა[7] და თუ ჭეშმარიტებით ბუნებაჲ ძილისაჲ მოვიდა, არა უწყით, აღმოჰბერნა სამგზის, აღდგა მეყსეულად და თქუა: დამეძინაა? ჰჱ, დამეძინა! და ჩუენ მიუგეთ, ვითარმედ: არა[8] უწყით.

III. მამასა აგათონს ეგულვა მოსიკუდიდ და დაადგრა სამ დღე, რამეთუ ახუმულად აქუნდეს თუალნი მისნი და ყოლადვე არა იძრვიდა მათ. ხოლო ძმათა უგუმირეს მას და ჰრქუეს: სადა ხარ, მამაო აგათონ? და მან ჰრქუა მათ: სამსჯავროსა მას წინაშე მდგომარე ვიყავ ღმრთისასა. ჰრქუეს მას: და შენცა გეშინისა, მამაო? და მან ჰრქუა მათ: მე[9] ყოველსავე ზედა ძალისაებრ ჩემისა ვიღუაწე დაცვად მცნებათა ღმრთისათა, გარნა ყოველსავე ზედა კაცი ვარ და ვინაჲ ვიცი მე, უკუეთუ საქმენი ჩემნი სათნო-ეყვნეს ღმერთსა?! ჰრქუეს მას ძმათა: და არა მოსავ ხარა საქმეთა შენთა, თუ საღმრთოდ იქმნნეს? ჰრქუა მათ ბერმან: ვერ მინდობილ ვარ, არა თუ წარვდგე წინაშე ღმრთისა, რამეთუ სხუებრ არიან სასჯელნი ღმრთისანი და სხუებრ კაცთანი. და ვითარცა ენება მათ სხჳსაცა სიტყჳსა კითხვად, ჰრქუა მათ: ყავთ სიყუარული და ნუ მეუბნებით მე ჟამსა ამას, რამეთუ ვერ მცალს. და ესრეთ აღესრულა /337v/ სიხარულით ზრახვასა შინა და უბნობასა წმიდათა ანგელოზთასა, რომელნი-იგი მოსრულ იყვნეს მოკითხვად მისა, ვითარცა მეგობარი მეგობრისა და გზაყოლად და აღყვანებად ნეტარისა მის სულისა მისისა წინაშე მეუფისა და უფლისა[10] ჩუენისა იესუ ქრისტესა[11].

IV. 1. იტყოდეს **მამისა ამონაჲსთჳს,** ვითარმედ მოვიდეს ვინმე, რაჲთა განისამართლნენ წინაშე მისა, ხოლო ბერმან მიზეზ-ყო სისულელე. და აჰა ესერა, დედაკაცი ვინმე დადგა მახლობელად მისა და თქუა: ესე ბერი სულელი არს. ესმა ესე ბერსა, ხადოდა მას და ჰრქუა: რაოდენნი შრომაჲ ვყვენ უდაბნოს, რაჲთა მოვიგო სისულელე ესე და აწ შენ ძლით წარვწყმიდოა ესე დღეს?

2. კითხულ იქმნა **მამაჲ ამონა**, ვითარმედ: რაჲ არს გზაჲ იგი იწროჲ და საჭირველი? და მან მიუგო და ჰრქუა: გზაჲ[12] იწროჲ და საჭირველი,

---

[1] ზოილოს] ზოილოსს C. [2] დაიმდაბლებდა] დაჲმდაბლებდა A. [3] თუ + ვითარ C. [4] ჩემთა] ჩუენთა C. [5] დაიძინა] დაჲძინა A. [6] ვჰგონეთ C. [7] დაიძინა] დაჲძინა A. [8] არა უწყით – C. [9] მე ყოველსა ზედა – C. [10] უფლისა] ღმრთისა C. [11] ქრისტესა] ქრისტესსა C. [12] გზაჲ + იგი C.

არს იძულებაჲ თჳსთა გულისსიტყუათაჲ და განკუეთაჲ ღმრთისათჳს ნებისა[1] თჳსისაჲ. და ესე არს თუ, აჰა ესერა, ჩუენ დაუტეეთ ყოველივე და შეგიდეგით შენ.

3. თქუა **მამამან პიმენ**, ვითარმედ მივიდა ძმაჲ **მამისა ამოჲსა**[2] და ჰრქუა მას: მამაო, მარქუ მე სიტყუაჲ. და დაყო მის თანა შჳდი დღე და არა მიუგო მას ბერმან სიტყუაჲ. მერმე წარჰგზავნიდა რაჲ მას[3], ჰრქუა: წარვედ და ეკრძალე თავსა შენსა, რამეთუ მე ჟამისად ცოდვანი ჩემნი მექმნნეს ზღუდე ბნელ[4] შორის ჩემსა და ღმრთისა.

V. გჳთხრა ჩუენ **მამამან იოანე**, ვითარმედ **მამაჲ ანუბ და მამაჲ პიმენ** და სხუანი იგი ძმანი მათნი ერთისაგან მუცლისა იყვნეს და ერთგან მონაზონ იქმნნეს სკიტეს. და ოდეს მოვიდეს მარზიკნი და მოაოჴრეს სკიტჱ[5], პირველად წარვიდეს მუნით და მივიდეს ადგილსა, რომელსა ეწოდებოდა ტერენუთი[6], ვიდრემდის განიგულონ, თუ სადა დაადგრენ. და დაყვნეს მუნ დღენი რაჲმე მცირენი ტაძარსა /338/ შინა ძუელსა საკერპოსა. ჰრქუა მამამან ანუბ მამასა პიმენს: ყავ სიყუარული შენ და ძმათა შენთა[7] და კაცად-კაცადი ჩუენი თჳსაგან[8] დაეყუდენ და ნუ შევემთხუევით ურთიერთარს შჳდეულსა ამას. ჰრქუა მას მამამან პიმენ: ვითარცა გნებავს, ეგრეცა ვყოთ. და დაადგრეს ესრეთ[9] მდუმარედ[10]. ხოლო იყო მუნ კერპი ქვისაჲ, მდგომარე ტაძარსა შინა და აღდგის განთიად ბერი, მამაჲ ანუბ, და ქოლავნ ქვითა პირსა მის კერპისასა განთიადითგან ვიდრე მიმწუხრადმდე და მიმწუხრი ჰრქჳს მას[11]: შემინდვე[12], რამეთუ შეგაწუხე. და აღასრულა შჳდეული იგი ესრეთ და ამას იქმოდა იგი ყოველთა დღეთა. ხოლო დღესა შაბათსა შეკრბეს კუალად ერთად და ჰრქუა მამამან პიმენ მამასა ანუბს[13]: მამაო, გიხილე შენ შჳდეულსა ამას, რამეთუ ჰქოლევდი ქვითა პირსა იმის[14] კერპისასა და კუალად, რამეთუ შეუვრდი მას მუჴლთდრეკით[15] და ითხოვდი შენდობასა. მორწმუნემან კაცმან ყვისა ესე, რაჲთამცა მუჴლთა იყრიდა წინაშე კერპისა? მიუგო ბერმან: ესე საქმე თქუენთჳს ვყავ, რამეთუ ოდეს მიხილეთ მე ქვითა მსროლელად პირსა მას[16] კერპისასა, ნუ თქუა: რაჲა, ანუ გარისხნაა ჩემთჳს? ჰრქუა მას მამამან პიმენ: არა. და კუალად ოდეს უდრეკდი[17] მას მუჴლთა, ნუ აღშფოთნა და თქუა: არა შეგინდობ შენ. რქუა მას მამამან პიმენ: არა. ჰრქუა მას ბერმან: და ჩუენცა უკუე ვართ შჳდნი ძმანი, უკუეთუ გნებავს, რაჲთა ვიყოფებოდით ერთბამად, ვიქმნეთ ვითარცა ძეგლი ისი[18] ქვისაჲ[19], რომელი არცა გინებასა ზედა[20], არცა

---

[1] ნებისა თჳსისაჲ] ნებასა თჳსსა C. [2] ამოჲსა] ამონაჲსსა C. [3] ~ ჰრქუა მას C. [4] A ნუსხაში სხვა ხელით ჩამატებულია „ის“ - „ბნელის“. [5] სკიტჱ] სკიტე CE. [6] ტერენუთი] ტერენოთი C. [7] აქედან E ნუსხაკვლავ გრძელდება 211r-ზე (აკინძვის შეცდომა). [8] თჳსაგან] თჳსისაგან C. [9] ესრეთ მდუმარედ] ეგრეთ მდუმრიად C. [10] მდუმარედ] მდუმრიად E. [11] მას – C. [12] შემინდვე + მე E. [13] ანუბ] ანობს E. [14] იმის] ამის C. [15] მუჴლთდრეკით] მუჴლთმოდრეკით C. [16] მას] მას E. [17] უდრეკდი] უყრიდი C. [18] იგი E. [19] ქვისაჲ] ქვისა E. [20] ზედა + და E.

დიდებასა არა აღშფოთნების. უკუეთუ კულა არა გნებავს ესრეთ ყოფად, აჰა ესერა, ოთხნი ბჭენი არიან /338v/ ამის ტაძრისანი, თჳთოეული[1] ჩუენი ვიდოდენ, ვიდრეცა ჰნებავს. ხოლო მათ ესმა რაჲ ესე, დაყარნეს თავნი თჳსნი[2] ქუე, შეუვრდეს მამასა ანუბს[3] და ჰრქუეს: ვითარცა გნებავს, მამაო, ესრეთცა ვყოთ და ვისმინოთ შენი, რასაცა მეტყოდი ჩუენ. და იტყოდა მამაჲ პიმენ, ვითარმედ: დავყვენით ერთგან ყოველნი დღენი ჩუენნი და ვიქმოდეთ ყოველსავე სიტყვისაებრ ბერისა, ვითარცა მრქუა ჩუენ. და დავადგინეთ ერთი ჩუენგანი იკონომოსად და ყოველსავე, რაოდენსაცა დამიგებენ ჩუენ, იგი იყო საჭმელ ჩუენდა და შეუძლებელ იყო ჩუენგანისა ვისგანმე თქუმად, და-თუ-მომართუ[4] სხუაჲ რაჲმე, ანუ თუ სიტყუად თუ, ამას რასმე არა ვჭამ. და დავყვენით ყოველნივე დღენი ცხორებისა ჩუენისანი განსუენებასა შინა და მშჳდობასა.

VI. თქუა **მამამან ალონი**: უკუეთუმცა არა ყოველივე დამერღჳა, ვერმცა შემეძლო აღშენება თავისა ჩემისა.

VII. გჳთხრეს ჩუენ **ოქსჳრინხოჲსა ეპისკოპოსისათჳს,** რომელსა ერქუა სახელად **ამფი**, ვითარმედ ოდეს იყო იგი[5] მონაზუნად[6] უდაბნოს, ფრიადსა მოღუაწებასა იქმოდა ფიცხლად ცხორებისასა, ხოლო ოდეს იქმნა ეპისკოპოს, ინება[7] მასვე[8] სიფიცხლესა ცხორებისასა ყოფად სოფელსა შინა და ვერ უძლო. მერმე დააგდო თავი თჳსი წინაშე ღმრთისა, ევედრებოდა მას და იტყოდა: უფალო, ნუუკუე ეპისკოპოსობისათჳს გამეშორაა[9] მადლი შენი? და გამოეცხადა მას, ვითარმედ: არა, არამედ ვინაჲთგან მაშინ უდაბნოჲ იყო და კაცი სხუაჲ არა იყო შენ თანა, ღმერთი შემწე გექმნებოდა, ხოლო აქა სოფელი არს და კაცნი შეგეწევიან.

VIII. თქუა **ნეტარმან გრიგოლი ღმრთისმეტყუელმან:** ვითარ შთავიდეთ ჩუენ საცხორებელსა მას სიმდაბლესა არა თუ დაუტეოთ /399/ წარმწყ/მედელი იგი ტჳრთი მძიმჱ[10] ამპარტავანებისაჲ! და რამეთუ უკუეთუ ვიღუაწოთ და ვიხარკოთ, ამისთჳს ესრე სახედ ეგების წარმართებაჲ სიმდაბლისაჲ. ნუ ვიტყჳთ ამას, თუ: ესე რაჲმე არას გუავნებს. და რამეთუ ყოველივე, რომელიცა არა გუარგებს[11], უეჭუელად გუავნებს, ვითარცა და მაცხოვარიცა განაჩინებს, ვითარმედ: „რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს“. და[12] რამეთუ საქმეთა და ჴელოვნებათა ემსგავსების სული და ვითარცა-იგი საბეჭდავი, ესრეთვე საქმე აღმოჰბეჭდავს[13] სულსა. და რასაცა იგი იქმოდა, მას სახესაცა ზედა შეიცვალების. აწ უკუე იყავნ და

---

[1] 4 თჳთოეული] თითოეული E. [2] თჳსნი – -C. [3] ანობს C. [4] და-თუ-მომართუ] თუ მომართუ C. [5] იგი – C. [6] მონაზუნად] მონაზონად C. [7] ინება] ენება C. [8] მასვე] მას C. [9] გამეშორაა] გამეშორა C. [10] მძიმჱ] მძიმე CE. [11] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 206r-ზე (აკინძვის შეცდომა). [12] და – E. [13] აღმოჰბეჭდავს] აღმჰბეჭდავს C.

სახჱ[1] შენი და სამოსელი და სლვაჲ, დაჯდომაჲ და საზრდელი და ქცევაჲ და საგებელი და განმზადებულებაჲ და სახლი და ყოველივე, რაჲცა არს ჭურჭელი სახლისაჲ, უნდოჲ და შეურაცხი. ესრეთვე და ფსალმუნებაჲცა შენი და გალობაჲ და მოყუსისა მიმართ ქცევაჲ შენი, ყოველივემცა ესე უნდოებისა მიმართ ხედავს და არა სილაღისა. ნუ შეხუალ დიდროანად[2] მეტყუელებასა სიბრძნისა მსოფლიოჲსა სიტყუათასა[3], ნუცა სიჰამესა ჴმათა და ჟამობათასა უჭურეტ, ნუცა უბნობასა ლაღსა და ზუავსა მოიგებ, არამედ ყოველსავე ზედა სიტყუასა, სახესა და საქმესა მოულე სიდიდესა და მიეც სიმცირესა. ტკბილ იყავ მეგობართა მიმართ, მშჯდ[4] იყავ მონასა ზედა, ძჯრუჴსენებელ კადნიერთა მიმართ, კაცთმოყუარე მდაბალთა მიმართ, ნუგეშინისმცემელ იყავ შეჭირვებულთა, მოიხილევდი ტკივნეულთა, და რაჲთა მოკლედ ვთქუა: ნუვის კაცთაგანსა შეურაცხ-ჰყოფ ოდესცა, ტკბილ იყავ მოუბნარად, მხიარულად მიმგებელ სიტყჯსა, კეთილად მომზავებელ ყოველსა და ადვილად მისაახლებელ ყოველთა.

IX. /339v/ თქუა **მამამან დანიელ**, ვითარმედ: იყო ვინმე ბაბილოვნს[5] მთავართაგანი, რომელსა ესუა ასული ეშმაკეული. ხოლო მამასა ქალისასა აქუნდა ვინმე მეგობრად მონაზონი და ჰრქუა მას: ვერვინ შემძლებელ არს განკურნებად ასულისა შენისა, თჯნიერ განშორებულნი, რომელნი მე ვიცნი. და უკუეთუ ევედრო მათ, არა თავს-იდებენ ყოფად ამას მრავლისათჯს სიმდაბლისა, არამედ ესე ვყოთ, ოდეს ჩამოვიდენ იგინი განსყიდად ჴელთსაქმრისა მათისა, მიზეზ-ყავთ სყიდაჲ ჭურჭლებისა მათისაჲ და ოდეს მოვიდენ იგინი მიღებად ფასისა, ვჰრქუათ მათ, რაჲთა ყონ ლოცვაჲ და მრწამს ღმრთისაჲ, რამეთუ განიკურნოს ასული შენი. და გამოვიდეს და ძიებაჲ ყვეს უბანთა ზედა და პოვეს ერთი მოწაფჱ[6] ბერთაჲ, რამეთუ ჯდა და ჰყიდდა[7] ჴელთსაქმარსა და აღიყვანეს იგი, წარიყვანეს ჭურჭლებითურთ სახედ თჯსა და [ვითარცა შე] ვიდოდა[8] მონაზონი იგი სახლსა მას, რაჲთა მიიღოს საფასჱ[9] მისი. გამოვიდა ეშმაკეული იგი და სცა ყურიმალსა მონაზონსა მას, ხოლო მან მცნებისაებრ მაცხოვრისა მიუპყრა ერთკერძოჲცა იგი[10] და მასვე ჟამსა ტანჯულ იქმნა ეშმაკი, ჴმა-ყო და თქუა: ჱ იძულებაჲღა ესე, რამეთუ მცნებაჲ იგი იესუჲსი განმჴდის მე. და მეყსეულად განიკურნა დედაკაცი იგი მიერ ჟამითაგან. და ვითარცა მოვიდეს ბერნი, მიუთხრეს[11] მათ საქმე იგი, რომელი იქმნა და ადიდეს ღმერთი და თქუეს: წეს არს, რაჲთა ამპარტავანებისა იგი ეშმაკი დაეცეს სიმდაბლისაგან ქრისტეს მცნებათაჲსა.

---

[1] სახჱ] სახეცა C. [2] დიდროანად] დიდროვანად C. [3] სიტყუათასა] სიტყუათაჲსა C. [4] მშჯდ იყავ ... მდაბალთა მიმართ – C. [5] ბაბილოვნს] ბაბილონს C. [6] მოწაფჱ] მოწაფე CE. [7] ჰყიდდა] ჰყოფდა C. [8] აღდგენილია C ნუსხის მიხედვით. [9] საფასჱ] საფასე CE. [10] იგი – C. [11] მიუთხრეს] მიუთხრა C.

X. თქუა **მამამან ეპიფანე**: ქანანელი იგი კმობს და შეისმის, წიდოვანი იგი დუმს და ნეტარ იქმნების, ფარისეველი ღაღადებს /340/ და დაისაჯების[1], მეზუერჱ არა აღაღებს პირსა თჳსსა[2] და განმართლდების.

XI. თქუა **ბერმან ევაგრე**: დასაბამი ცხორებისაჲ არს ბრალობაჲ თავისაჲ.

XII. მივიდა ოდესმე ძმაჲ მეგჳპტელი **მამისა ზენონისა**[3] ასურეთს და აბრალებდა ფიცხლად თავსა თჳსსა და შეასმენდა გულისსიტყუათა თჳსთა წინაშე ბერისა, ხოლო ბერსა დაუკჳრდა და თქუა: მეგჳპტელთა სათნოებანი, რომელნი ჰქონდინ[4], მალვენ, და ბრალთა რომელნი არა ჰქონდინ, იჩემებენ და მარადის შეასმენენ. ხოლო ასურნი და ბერძენნი სათნოებათა, რომელნი არა ჰქონდიან, იჩემებენ, ხოლო ნაკლულევანებათა, რომელნი აქუნდენ, მათ ჰფარვენ[5].

XIII. 1. თქუა **მამამან კარიონ**, ვითარმედ: მრავალნი შრომანი ვქმნენ უდაბნოს უმეტეს ძისა ჩემისა **ზაქარიაჲსა**[6] და ვერ მივსწუეთ საზომსა მისსა სიმდაბლითა მისითა და დუმილითა.

2. ჰრქუა **მამამან მოსე** ოდესმე **ძმასა ზაქარიას**: მითხარ მე, თუ[7] რაჲ ვყო? ხოლო მან დააგდო თავი თჳსი ქუე ფერჴთა თანა[8] მისთა და ჰრქუა მას: და შენ მე მკითხავა, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: გრწმენინ ჩემი, შვილო ზაქარია, ვიხილე სული წმიდაჲ შენ ზედა გარდამოსრული, და ამისთჳს ვიიძულე[9] კითხვად შენდა. მაშინ აღიძარცუა ზაქარია კუნკული თჳსი თავისაგან თჳსისა და დააგდო ქუეყანად და დათრგუნა იგი ფერჴითა თჳსითა და თქუა: უკუეთუ შემუსროს[10] კაცმან ესრეთ[11] თავი თჳსი, ვერ ძალ-უც მას მონაზონებად.

3. ჯდა ოდესმე **მამაჲ ზაქარია** სკიტეს და მოვიდა მისა ჩუენებაჲ რაჲმე ხედვათაგანი. და აღდგა და მიუთხრა მამასა თჳსსა კარიონს. ხოლო ბერი იყო ფრიად სულიერ და არა აქუნდა მეტი გამოცდილებაჲ ესევითართათჳს საქმეთა. და აღდგა და გუემა იგი და /340v/ ჰრქუა მას: ეშმაკთაგან არს ეგე. და ვითარცა დაადგრა მას თანა გულისსიტყუაჲ იგი, აღდგა ღამით და წარვიდა იგი მამისა პიმენისა[12] და მიუთხრა მას საქმე იგი და თუ ვითარ იწუების შინაკერძო გული მისი. იხილა რაჲ ბერმან, რამეთუ ღმრთისა მიერ არს საქმე იგი[13], ჰრქუა მას: წარვედ მას ვისმე თანა ბერსა[14] და რაჲცა გრქუას შენ მან, იგიცა ყავ. და წარვიდა იგი ბერისა მის და ვიდრე კითხვადმდე მისა[15], უსწრო ბერმან და ჰრქუა მას: ხილვაჲ იგი შენი ღმრთისაგან არს, გარნა შენ[16] წარვედ და დაემორჩილე მამასა შენსა.

4. თქუა **მამამან პიმენ**, ვითარმედ: ჰკითხა **მამამან მოსე მამასა ზაქარიას,** ეგულებოდა რაჲ მოსიკუდიდ და ჰრქუა: რასა ხედავ შენ? და

---

[1] დაჲსაჯების] დაჲსაჯების A. [2] თჳსსა – C. [3] ზენონისა] ზენონსსა E. [4] ჰქონდინ] ჰქონდიან E. [5] ჰფარვენ] დაჰფარვენ E. [6] ზაქარიაჲსსა E. [7] თუ – C. [8] თანა – CE. [9] ვიიძულე] ვიჲძულე A. [10] შემუსროს] შეიმუსროს E. [11] ესრეთ – C. [12] პიმენისა] პიმენისსა CE. [13] იგი] მისი E. [14] ~ თანა ბერსა E. [15] მისა] მისსა C. [16] შენ – C.

მან მიუგო: არარას უმჯობესსა დუმილისასა, მამაო. და მან ჰრქუა მას: ჰჱ, შვილო, დუმენ. და ჟამსა მას[1] მებრ სიკუდილისა მისისა ჯდა მამაჲ ისიდორე მის თანა, ახედნა[2] ცად და თქუა: იხარებდ, შვილო ზაქარია, და მხიარულ იყავ, რამეთუ განგეხუნეს შენ ბჭენი სასუფეველისა ცათაჲსანი.

XIV 1. თქუა **მამამან ესაია**[3]: სიყუარული კაცობრივისა დიდებისაჲ შობს ტყუვილსა, ხოლო სიმდაბლედ მოყვანებაჲ თავისაჲ შობს უმეტესსა შიშსა ღმრთისასა გულსა შინა მისსა, რომლისათჳს ნუ გნებავს მეგობარყოფაჲ დიდებულთა ამის სოფლისათა[4], რაჲთა არა დიდებაჲ ღმრთისაჲ შეიმრღჳოს შენგან.

2. მანვე თქუა: ჰყოფდე რაჲ მსახურებასა შენსა და ლოცვასა, უკუეთუ ჰყოფდე სიმდაბლით, ვითარცა უღირსი, სარწმუნო არს ღმრთისა და შეწყნარებულ. უკუეთუ კულა აღმოვიდეს გულსა შენსა ამპარტავანებაჲ და თანაშთამოჰყვე და მოგეჴსენოს ვინმე სხუაჲ მძინარე, გინა უდები და განიკითხო ოდესცა, უწყოდე, რამეთუ ცუდ არს შრომაჲ შენი და უქმ /341/.

3. კუალად თქუა მანვე: რაჲსათჳს არს მდაბალი, ამისთჳს რამეთუ ენაჲ არა ათქს, რაჲთამცა ზრახვიდა ვისთჳსმე, თუ ესე უდებ არს, ანუ რაჲთამცა წინააღუდგა მავნებელსა თჳსსა. არცაღა თუალნი ასხენ, რაჲთამცა ხედვიდა ნაკლულევანებათა[5] სხჳსათა, ანუ განიცდიდა. არცა ყურნი ასხენ, რაჲთამცა[6], რომელი არა სარგებელ-ეყოფვოდა სულსა, მას ისმენდა. არცა პირი ათქს მითხრობად ვისაცა[7] ნაკლულევანებათა სხჳსათა, არცა ვის თანა-უც საქმე, თჳნიერ თჳსთა[8] ოდენ ცოდვათა, არამედ ყოველთა მიმართ კაცთა არს მშჳდობისმყოფელ მცნებისათჳს უფლისა[9]. და არარაჲს სხჳსათჳს ჰყოფს კეთილსა რასაცა, თჳნიერ ოდენ ღმრთისათჳს მარტოდ. და რამეთუ დაღაცათუ იმარხვიდეს ექუს-ექუსით და მისცეს თავი თჳსი ბევრეულთა ჭირთა, თჳნიერ გზისა ამის სიმდაბლისა, ცუდ არს[10] და ამაო ყოველი შრომაჲ მისი.

4. კუალად თქუა: რომელმან მოიგოს სიმდაბლჱ[11], სცნობს იგი ცოდვათა თჳსთა და რომელი მისდევდეს სიმდაბლესა და გლოვასა[12] და დაადგრენ ორნივე ესე მას თანა, განიოტებენ სულისაგან მისისა ყოველსავე საეშმაკოსა გულისსიტყუასა და ზრდიან სულსა მას[13] პატივისა მიერ თჳსისა და წმიდათა სათნოებისა. და რამეთუ რომელსა აქუნდეს გლოვაჲ და სიმდაბლჱ[14], არა ჰგლიან მას კდემულებათათჳს კაცობრივთა, უფროჲსღა საჭურველ ექმნებიან მას კაცობრივნი ყუედრებანი და დაიცვენ მას მრისხანებისაგან და

---

[1] მას – C. [2] ახედნა] აღიხედნა C. [3] ესაია] ესაჲა A. [4] სოფლისათა] სოფლისათაჲ CE. [5] ნაკლულევანებათა] ნაკლულევანებასა C. [6] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 212r-ზე (აკინძვის შეცდომა). [7] ვისაცა] ვისსაცა C. [8] თჳსთა] მისთსE. [9] უფლისა] ღმრთისაC. [10] ~ და ამაო არს C. [11] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CE. [12] გლოვასა] გლოასა E. [13] მას] მისსა E. [14] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CE.

ნაცვლისა[1] მიგებისა და ასწავებენ მას მოთმინებად ყოველთავე ძჳრთა, მის ზედა მომავალთა. და რამეთუ რომელმან ყუედრებამან ანუ გულისწყრომამან შეუძლოს მიახლებად მას[2], რომელი იგლოვდეს და სტიროდის ცოდვათა თჳსთა წინაშე ღმრთისა /341v/.

5. თქუა კუალად: დაგდებაჲ თავისაჲ წინაშე ღმრთისა, მეცნიერებით დამორჩილებაჲ მცნებათაჲ სიმდაბლით, მოიღებს სიყუარულსა და სიყუარული ღმრთისაჲ მოიღებს უვნებელობასა.

6. კითხულ იქმნა **მამაჲ ესაია**[3], თუ რაჲ არს სიმდაბლჱ[4] და მან თქუა: სიმდაბლე არს, რაჲთა შეერაცხოს თავი თჳსი კაცსა[5] უცოდვილეს ყოველთა კაცთა. და რაჲთა შეურაცხ-ჰყოფდეს თავსა თჳსსა, ვითარმედ არარას კეთილსა იქმს წინაშე ღმრთისა. ხოლო საქმე სიმდაბლისაჲ არს ესე: დუმილი და არარად შერაცხვაჲ თავისაჲ არარას ზედა საქმესა. და რაჲთა არავის ჰბრძოდის, არცა ვის ყოლად აცილობდეს, მორჩილებაჲ[6] და ქუეხედვაჲ[7] ყოლადვე თუალითა. და წინაშე თუალთა ქონებაჲ სიკუდილისაჲ, უტყუვარობაჲ, არა ცუდადმეტყუელებაჲ, არა წინააღდგომაჲ უხუცესისა და უფროესისაჲ[8], არს დამტკიცებაჲ სიტყჳსა[9] თჳსისაჲ, მოთმინებაჲ გინებისაჲ, სიძულილი განსუენებისაჲ, იძულებაჲ თავისაჲ ყოველსა ზედა საქმესა, მღჳძარებაჲ და სიფრთხილჱ[10] და მოკუეთაჲ ნებისა თჳსისაჲ და არავისი განრისხებაჲ, არცა ვისი შური და ჴდომაჲ.

7. კუალად თქუა: ყავ თავი შენი ძალისაებრ შენისა არარად[11] შერაცხილ, რაჲთა ვითარ მოიცალო გლოვისათვის და ისწრაფე ყოვლითა ძალითა შენითა არავისა ცილობად სარწმუნოებისათჳს, ნუცა რას დაამტკიცებ შენსა, არამედ შეუდეგ კათოლიკე ეკლესიასა და რამეთუ ვერვის ძალ-უც ოდესცა მიწუთომად ღმრთეებისა.

8. თქუა კუალად: რომელმან მოიგოს სიმდაბლე თავსა ზედა[12] თჳსსა, დაჰკრებს ბრალსა ძმისასა და იტყჳს, ვითარმედ: მე შევსცეთ. ხოლო რომელი ძმასა შეურაცხ-ჰყოფდეს, აქუს მას თავი თჳსი ბრძნად, და ყუედრილ და /342/ კდე/მულ ჰყოფს მოყუასსა თჳსსა. ხოლო რომელი თავსა თჳსსა ჰკდემდეს, იგი სხუასა არავის სადა შეაწუხებს.

9. კუალად თქუა: ნუმცა მეტყუელებს ენაჲ შენი, არამედ საქმე[13] შენი. და იყავნ სიტყუაჲ შენი უმდაბლეს საქმეთა შენთა. ნურარას ჰმეტყუელებ გარეშე სჳნიდისისა და ნუ ჰმოძღური თჳნიერ სიმდაბლისა, რაჲთა შეიწყნაროს ქუეყანამან თესლი შენი.

---

[1] ნაცვლის C. [2] მას] მისსა C; მისა E. [3] ესაია] ესაჲა A. [4] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CE. [5] ~ კაცსა თავი თჳსი CE. [6] მორჩილებაჲ] დამორჩილებაჲ E. [7] ~ ყოლადვე ქუეხედვაჲ C. [8] უფროესისაჲ] უფროჲსისაჲ C. [9] სიტყჳსა თჳსისაჲ] სიტყუასა თჳსსა C. [10] სიფრთხილჱ] სიფრთხილე CE. [11] არარად] არასადა C. [12] ~ თჳსსა ზედა C. [13] საქმე შენი] საქმენი შენნი C.

10. თქუა კუალად: არა არს სიბრძნე მეტყუელებაჲ, არამედ სიბრძნე არს ცნობაჲ ჟამისაჲ, თუ ოდეს ჯერ არს მეტყუელებაჲ. მეცნიერებით დუმენ, მეცნიერებით ზრახევდ, ეკრძალე პირველ სიტყჳსა და მიუგე ჯეროვანი, იქმენ უმეცარ მეცნიერებასა შინა, რაჲთა განევლტოდი მრავალთა ჭირთა, რამეთუ თავსა თჳსსა აღუდგენს ჭირთა, რომელი გამოაჩინებდეს თავსა თჳსსა მეცნიერად. ნუ იქადი გულისჴმისყოფასა ზედა შენსა, რამეთუ არავინ იცის არარაჲ, ხოლო აღსასრულად ყოვლისა კდემაჲ თავისაჲ და ქუეშეთ მოქცევაჲ მოყუსისაჲ შეგაერთებს[1] ღმრთეებასა.

11. თქუა კუალად მანვე **მამამან ესაია**[2] სიმდაბლისათჳს: მოვიჴსენოთ, ძმანო, იგი, რომელსა არა აქუნდა, თუ სადა თავი მიიდრიკოს[3]. გაიგონე[4], ჲ კაცო, და ნუ დიდად ჰმაღლოჲ, თუ ვინ იყო, ანუ ვინ იქმნა შენთჳს მეუფჱ შენი, თუ ვითარ უცხო იქმნა და მწირ, რომელ არცა თუ სახლი აქუნდა. ჲ გამოუთქუმელსაღა კაცთმოყუარებასა შენსა, უფალო! რაჲსათჳს ესოდენ დაიმდაბლე[5] თავი შენი ჩემ, მონისა შეცოდებულისათჳს, ვიდრეღა რომელმან ყოველივე სიტყჳთ დაჰბადე, არა გაქუს სადა თავი მიიდრიკო?! რაჲსა შფოთოჲ, უბადრუკო კაცო, და მონაგებთათჳს მოცალე ხარ, რაჲსათჳს დაბრმობილ ხარ უძღებებითა, რაჲსათჳს საუცრებათადა შედგომილ ხარ, რაჲსათჳს არა /342v/ შეიკრებ და მოისთულებ მერმეთა მათ განმზადებულთა კეთილთა?! ყოველივე გამოიცადე და უმჯობესი შეიკრძალე.

XV. 1. მოცალე იქმნა ოდესმე **მამაჲ თევდორე**[6] ძმათა თანა. და ვითარცა ჭამდეს იგინი კრძალვით და მიიღებდეს სასუმელსა ღჳნისასა დუმილით, რამეთუ არა ითხოვდეს შედობასა, თქუა მამამან თევდორე[7]: წარწყმიდეს მონაზონთა აზნაურებაჲ თჳსი, რამეთუ არღარა ითხოვენ შენდობასა.

2. მანვე[8] თქუა: სხუაჲ სათნოებაჲ არა არს, ვითარ არავისი შეურაცხყოფაჲ.

3. ძმამან ჰკითხა **მამასა თეოდორეს** და ჰრქუა: მნებავს აღსრულებაჲ მცნებათაჲ. ჰრქუა მას ბერმან მამისა თეონაჲსთჳს, ვითარმედ მანცა თქუა ოდესმე თუ: მნებავს გულისსიტყუასა ჩემსა დადებად ღმრთისა თანა. და წარიღო იფქლი[9] მისი საპურესა და შექმნა პური. და სთხოვეს გლახაკთა და მისცა მათ პურები იგი და კუალად სთხოვეს მათ სხუათა და მისცა მათ სფირიდები და რაჲცა იგი ემოსა. და შევიდა სენაკსა[10] თჳსსა და მოირტყა საბეჭური თჳსი და ესრეთცა აბრალებდა თავსა თჳსსა და იტყოდა, ვითარმედ: ვერ აღვასრულე მცნებაჲ ღმრთისაჲ.

4. ძმამან ჰკითხა **მამასა თეოდორეს** და ჰრქუა: მარქუ მე სიტყუაჲ, მამაო, რამეთუ წარვწყმდები. და ძნიადღა სამე[11] ჰრქუა მას: მე თჳთ ჭირსა შინა ვარ და შენ რაჲ გრქუა, ძმაო!

---

[1] შეგაერთებს] შეგუაერთებს C. [2] ესაია] ესაჲა A. [3] მიიდრიკოს] მოიდრიკოს C. [4] გაიგონე] გაჲგონე A. [5] დაიმდაბლე] დაჲმდაბლე A. [6] თევდორე] თეოდორე CE. [7] თევდორე] თეოდორე CE. [8] მე-2 თხრობა E ნუსხაში გამოტოვებული იყო და გვიან ჩაამატეს. [9] იფქლი] ფქვილი E. [10] სენაკსა თჳსსა] სენაკად თჳსად E. [11] სამე] სადმე C.

5. იტყოდეს მისთჳსვე, ვითარმედ: იქმნა იგი დიაკონ სკიტეს და არღარა ინება თავსდებაჲ მსახურებისაჲ მის და მრავალთა ადგილთა ივლტოდა მისთჳს. და კუალად ბერთა მოიყვანიედ[1] იგი და ეტყჳედ: ნუ დაუტევებ მსახურებასა შენსა. ჰრქუა მათ მამამან თეოდორე: მაცადეთ მე და ვევედრო ღმერთსა, უკუეთუ გულსავსე-მყოს მე[2] დგომად ადგილსა მსახურებისა ჩემისასა. და /343/ ევედრებოდა ღმერთსა და ეტყოდა[3]: უკუეთუ არს ნებაჲ შენი დგომად[4] ადგილსა ჩემსა, გულსავსე-მყავ მე. და ეჩუენა მას სუეტი ცეცხლისაჲ, ქუეყანით ცადმდე აღმავალი და ჴმაჲ მოიწია მისა, რომელი ეტყოდა: უკუეთუ ძალ-გიც ყოფად, ვითარცა სუეტი ეგე ცეცხლისაჲ, წარვედ და დიაკონობდი. ესე რაჲ ესმა მას, განბჭო არღარა თავსდებად მსახურებისა მის. და ვითარცა მივიდა იგი ეკლესიად, შეუვრდეს მას ძმანი და ეტყოდეს: უკუეთუ არა გნებავს დიაკონობის, ბარე ბარძიმი იპყარ. და არა თავს-იდვა ყოფად არცა ესე, არამედ ჰრქუა: უკუეთუ არა მიტეოთ მე[5], წარვიდე ადგილისა ამისგან. და ესრეთღა უტევეს იგი ყოფად, ვითარცა ენებოს.

XVI. წარვიდა ოდსმე **თეოფილე მთავარეპისკოპოსი** მთასა ნიტრიისასა და მოვიდა მამაჲ მთისაჲ მთავარეპისკოპოსისა. ჰრქუა მას მთავარეპისკოპოსმან: რაჲ ჰპოვე[6], მამაო, მეტი გზასა ამას[7]? ჰრქუა მას ბერმან: რაჲთა დააკრიბოს კაცმან ბრალი თავსა ზედა თჳსსა და ჰკდემდეს[8] და ჰყუედრიდეს მას ყოლადვე. ჰრქუა მას მამამან თეოფილე: სხვაჲ გზაჲ არა არს, თჳნიერ ესე.

2. იგივე **თეოფილე მთავარეპისკოპოსი**[9] წარვიდა ოდესმე სკიტეს. შეკრბეს ძმანი და ჰრქუეს მამასა პამბოს: არქუ ერთი სიტყუაჲ პაპას, რაჲთა სარგებელ ეყოს. ჰრქუა მათ ბერმან: უკუეთუ არა სარგებელ ეყოფვის დუმილისაგან ჩემისა, არცაღა სიტყვისაგან უც სარგებელყოფად.

XVII. იტყოდა **დედაჲ თევდორა**[10], ვითარმედ[11]: არცა მოღუაწებაჲ, არცა მღჳძარებაჲ, არცა სხუაჲ ვითარიცა შრომაჲ აცხოვნებს კაცსა, თჳნიერ ოდენ სიმდაბლე სრული. და[12] რამეთუ იყო ვინმე განშორებული, რომელი განასხმიდა ეშმაკთა და გამოჰკითხავნ მათ, თუ რომლითა /343v/ საქმითა სათნოებისაჲთა განვლენ იგინი, მარხვითაა[13]? და იტყჳედ იგინი: ჩუენ ყოლად არა ვჭამთ, არცა ვსუამთ. მღჳძარებითა? და იტყჳედ[14]: ჩუენ ყოლად არა დავიძინებთ. განშორებითაა? და იტყჳედ[15]: ჩუენ ყოლადვე უდაბნოთა შინა ვიქცევით. და ჰკითხავნ მათ: რომელითაღა სახითა განხუალთ თქუენ?

---

[1] მოიყვანიედ] მოიყვანიან E. [2] მე – C. [3] ეტყოდა + ღმერთო C. [4] ~ ადგილსა ჩემსა დგომად C. [5] ~ წარვიდე მე C. [6] ჰპოვე] ჰპოე C. [7] ამას] ზედა მას C. [8] ჰკდემდეს + მას C. [9] მთავარეპისკოპოსი] მთავარებისკოპოსი C. [10] თევდორა] თეოდორა C. [11] D ნუსხა ისევ გრძელდება. [12] და – E. [13] მარხვითაა] მარხვითა DE. [14] იტყჳედ] ეტყჳედ DE. [15] იტყჳედ] ეტყჳედ DE.

ხოლო მათ ჰრქჳან: არარაჲ გუძლევს[1] ჩუენ სხუაჲ, თჳნიერ ოდენ სიმდაბლ̃ჲ[2]. ხედავთა, თუ ვითარ სიმდაბლე მძლე არს ეშმაკთაჲ?!

XVIII. 1. იტყოდეს **მამისა**[3] **იოანე მოკლისათჳს,** ვითარმედ ჰრქუა ოდესმე ძმასა თჳსსა უხუცესსა: მენება, რაჲთამცა ვიყავ უზრუნველ, ვითარცა ანგელოზნი უზრუნველ არიან და არარას შურებიან, არამედ დაუცადებელად უგალობენ ღმერთსა. და განიძარცუა სამოსელი თჳსი და განვიდა იგი უდაბნოდ და დაყო შჳდეული ერთი. მერმე კუალად[4] უკუმოიქცა ძმისავე თჳსისა და ვითარცა ჰრეკა კარსა, ესმა მას შინაკერძო პირველ განღებისა კარისა, [და[5] ჰრქუა:] შენ ვინ ხარ? ხოლო მან ჰრქუა: მე ვარ იოანე, ძმაჲ შენი. და მან მიუგო: იოანე? იოანე ანგელოზ იქმნა და არღარა არს კაცთა თანა. ხოლო იგი ევედრებოდა მას და ეტყოდა: მე ვარ. და არა განუღო მას განთიადადმდე, არამედ უტევა, რაჲთა იჭირვოდის. უკუანაჲსკნელ განუღო მას და ჰრქუა: აწ ცან[6], რამეთუ კაცი ხარ და გიჴმს შრომაჲ, რაჲთა იზარდებოდი. ხოლო მან მოუდრიკა მას მუჴლნი და ჰრქუა: შემინდვე მე, მამაო.

2. ესმა[7] ოდესმე **მამასა იოანეს** მკას ძმისა ვისიმე[8], რომელი შეელალა მოყუასსა თჳსსა და ჰრქუა მკსინვარედ: ჰა, შენ! და მამამან იოანე დაუტევა მკაჲ იგი და ივლტოდა.

3. თქუა **მამამან იოანე**, ვითარმედ: კარი არს და ბჭ̃ჲ[9] ზეცათაჲ სიმდაბლ̃ჲ[10], და მამანი ჩუენნი მრავლითა კდემულებითა და შეურაცხებითა შევიდეს სიხარულითა[11] ქალაქსა მას ღმრთისასა.

4. კუალად[12] თქუა: სიმდაბლ̃ჲ[13] და შიში ღმრთისაჲ უფროჲს არიან და უზეშთაეს ყოველთავე სათნოებათა.

5. /344/ კუალად თქუა მანვე: ვინ განყიდა იოსებ? მიუგო მას ძმამან ვინმე და ჰრქუა: ძმათა მისთა განყიდეს იგი. ჰრქუა მას ბერმან: არა, არამედ სიმდაბლემან მისმან განყიდა იგი. და[13] რამეთუ ძალ-ედვა წინააღდგომად მათდა და თქუმად, ვითარმედ ძმაჲ ვარი მე მაგათი, არამედ დუმნა[14] და სიმდაბლითა მისითა განისყიდა იგი. და კუალად სიმდაბლისათჳს მისისა დაადგინა იგი ღმერთმან მთავრად ყოველსა ზედა ეგჳპტესა.

6. თქუა **მამამან იოანე**: სუბუქი იგი ტჳრთი დაუტევეთ[15], რომელ არს ბრალობაჲ თავისაჲ, და მძიმე[16] იგი გჳტჳრთავს, ესე იგი არს განმართლებაჲ თავისაჲ.

---

[1] გჳძლევს C. [2] სიმდაბლ̃ჲ] სიმდაბლე CDE. [3] მამისა – C D. [4] კუალად უკუმოიქცა] უკუ მოიქცა კუალად C. [5] აღდგენილია C ნუსხის მიხედვით. [6] ცან] ვცან E. [7] ესმა +ესე E.; 2 თხრობა არ არის D ნუსხაში. [8] ვისიმე] ვისგანმეC. [9] ბჭ̃ჲ] ბჭე CE. [10] სიმდაბლ̃ჲ] სიმდაბლე C E. [11] სიხარულითა] სიხარულით E. [12] კუალად თქუა] ხოლო D. [13] სიმდაბლ̃ჲ] სიმდაბლე CE. [14] და – CD. [15] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 208r-ზე (აკინძვის შეცდომა). [16] დაუტევეთ – D. [16] მძიმე იგი გჳტჳრთავს.....თავისაჲ – D.

7. იგივე **მამაჲ იოანე** ჯდა ოდესმე ეკლესიას და სულთ-ითქუნა, რამეთუ უმეცარ იყო, თუ დგას ვინ სხუაჲ ზურგით მისა[1]. ხოლო ცნა რაჲ, შეუვრდა მას და ჰრქუა: შემინდვე მე[2], მამაო, რამეთუ არღა მიწყიეს მე ჯერეთ.

8. მანვე ჰრქუა ძმასა თჳსსა: დაღათუ ფრიად უნდო ვართ კაცთა წინაშე, გარნა მივენდვნეთ ღმერთსა, რაჲთა მან პატივ-გუცეს წინაშე დიდებისა თჳსისა.

9. ესევე მამაჲ **იოანე** მჴურვალე იყო სულითა და მივდა ვინმე მისა და აქო საქმე მისი, რამეთუ თხზვიდა იგი სირასა. ხოლო იგი დუმნა და მან კუალადცა აქო, და იგი კუალადცა დუმნა. ხოლო მესამესა ზედა ჰრქუა მოსრულსა მას: რაჲთგან შენ[3] შემოხუედ აქა, ღმერთი მიმიღე ჩემგან.

10. ესევე **მამაჲ იოანე** ჯდა ოდესმე სკიტეს. გარემოადგეს მას ძმანი და ჰკითხვიდეს გულისსიტყუათა მათთა. ჰრქუა მას ერთმან[4] ბერთაგანმან[5]: იოანე, ვითარცა მეძავი შემკობილი ხარ შენ აწ[6], რომელი-იგიცა მოიწყობს გარე ტრფიალთა თჳსთა. ხოლო მამამან იოანე შეიტკბო იგი და ჰრქუა: ჭეშმარიტსა იტყჳ, მამაო. და შემდგომად ამისა[7] ჰრქუა ვინმე მოწაფეთა მისთაგანმან: და აწ არავე აღშფოთენა[8] შინაკერძო, მამაო? და მან ჰრქუა მას: არამედ ვითარცა-ესე ვარ[9] გარეთ, ესრეთვე და შინაჲთცა.

11. თქუა ვინმე მისთჳს /344v/ მამათა/განმან, ვითარმედ: ვინ არს იოანე, რომელმან სიმდაბლითა თჳსითა დამოიკიდე ყოველი სკიტე მცირესა მას ნეკსა მისსა.

12. თქუა **მამამან იოანე მოკლემან,** ვითარმედ: ბერმან ვინმე[10] სულიერმან შეაწყუდია თავი თჳსი, ხოლო იყო იგი განთქუმულ ქალაქსა შინა და დიდებაჲ ფრიადი აქუნდა მას და სახელი. და მიემცნო მას, ვითარმედ: წმიდათაგანსა ვისმე ეგულების აღსრულებაჲ, და მოვედ და მოიკითხე იგი პირველ დაძინებისა. და იგონებდა იგი თჳსაგან და იტყოდა, ვითარმედ: უკუეთუ განვიდე მე დღისით, ზედადამესხმიან კაცნი და ფრიადი დიდებაჲ შემემთხუევის და ვერღარა განვისუენებ მე აქა. წარვიდე უკუე ღამით სიბნელესა შინა და დავეფარო ყოველთა. და[11] გამოვიდა იგი ღამით სენაკისაგან თჳსისა, რაჲთამცა დაეფარა ყოველთა. და აჰა ესერა, ღმრთისა მიერ მოივლინნეს[12] ორნი[13] ანგელოზნი, რომელთა ეპყრნეს ლამპარნი და უნათობდეს წინაშე მისა[14] და ყოველი იგი ქალაქი მირბიოდა ხილვად დიდებისა მის. და რაოდენ იგი ჰგონებდა სივლტოლად დიდებისაგან, უმეტეს და უფროჲს იდიდა. რამეთუ კაცობრივსა დიდებასა ერიდებოდა და ღმრთისა მიერ ყოველთაჲსა ღირს იქმნა დიდებასა და საქმით აღესრულა მას ზედა

[1] მის] მისსა D. [2] მე – CD. [3] შენ – CD. [4] ერთმან – C. [5] ბერთაგანმან + მან C. [6] აწ – C. [7] ამისა] ამისსა CD. [8] აღშფოთნეა D. [9] ვარ ესე E. [10] ~ სულიერმან ვინმე C. [11] და+ ვითარცა CE. [12] მოივლინეს C. [13] ორნი ანგელოზნი – D. [14] მისა] მისსა E.

ბრძანებაჲ იგი მაცხოვრისაჲ, ვითარმედ: „რომელმან დაიმდაბლოს[1] თავი თჳსი, იგი ამაღლდეს“[2].

XIX. თქუა **მამამან იოანე თებელმან** ვითარმედ: უჴმს მონაზონსა, რაჲთა პირველად ყოვლისა სიმდაბლჱ[3] წარჰმართოს და რამეთუ[4] ესე არს პირველი მცნებაჲ მაცხოვრისაჲ, რომელი იტყჳს: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ“[5].

XX. 1. იტყოდა **მამაჲ პიმენ ისიდორესთჳს**, ვითარმედ თხზვიდა კონასა ბაიაჲსასა[6] ღამე ყოველ და ევედრებოდეს მას ძმანი და ეტყოდეს: განუსუენე ამიერითგან თავსა შენსა, რამეთუ დაჰბერდი /345/ და იგი ეტყჳნ მათ, ვითარმედ: უკუეთუ დაწუან ისიდორე და ნაცარი მისი ქარითა განაქრიონ[7], არცაღა ერთი[8] მადლი არს მისდა ჯერეთ[9], რამეთუ ძე ღმრთისაჲ ქუეყანად მოვიდა და გუესტუმრა ჩუენ, ცოდვილთა ამათ, კაცებითა.

2. მანვე თქუა მისვე **მამისა ისიდორესთჳს**, ვითარმედ: ოდეს მიართჳან მას გულისსიტყუათა, თუ დიდ ხარ შენ ამიერითგან, მან ჰრქჳს მათ: ნუ ვარა ვითარცა მამაჲ ანტონი, ანუ ვიქმენა ყოლად ვითარცა მამაჲ პამბო, ანუ ვითარცა სხუანი იგი წმიდანი მამანი, რომელნი ღმერთსა სათნო-ეყვნეს? ოდეს ამას წინა განაწყობნ გულისსიტყუათა თჳსთა, განისუენის.

3. კუალად ოდეს სულმოკლე ქმნის იგი მტერმან, ვითარმედ: შემდგომად ამის ყოვლისა სატანჯველად მიხუალ, მან მიუგის: დაღაცათუ სატანჯველად მივიდე, თქუენ ჩემსა ქუეშე გპოებ უეჭუელად.

4. იტყოდა[10] იგივე, ვითარმედ: ვინაჲთგან ესოდენ დიდ არს სიმაღლჱ[11] სიმდაბლისაჲ და ესოდენ ძნელ არს დაცემაჲ სილაღისაჲ, განგაზრახებ თქუენ, რაჲთა ერთი იგი შეიტკბოთ და მეორესა მას ევლტოდით.

XXI. თქუა **მამამან ისაკ**, ვითარმედ: ოდეს ვიყავ ჭაბუკ და ვჯედ მამისა კრონის თანა და არაოდეს მრქუა მე, თუ ქმენ ესე რაჲმე საქმე. და ესეღა[12], რამეთუ იყო იგი ბერ და მოხუცებულ და თრთოდა სიბერისაგან, არამედ თჳთ აღდგის და მომცის მე სასუმელი წყლისაჲ და სხუათაცა ყოველთა ჩემ თანავე[13]. და კუალად დავჯედ თეოდორეს თანა ფერმელსა და არცა იგი მეტყოდა მე[14] ქმნად რასმე, არამედ ტაბლაჲცა თჳთვე დადგის და თქჳს: ძმაო, უკუეთუ გნებავს, მოვედ და ჭამე. ხოლო მე ვეტყოდი მას: მამაო, მე მოვედ შენდა[15], რაჲთამცა სარგებელ-მეყო[16] და ვითარ არარას მეტყჳ[17] მე[18] ქმნად? ხოლო ბერი დუმნ ყოლადვე. და წარვედ და მიუთხარ ესე ბერთა.

---

[1] დაიმდაბლოს] დაჲმდაბლოს A. [2] მთ. 18,4. [3] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CDE. [4] რამეთუ – D. [5] მთ. 5,3. [6] ბაიაჲსასა] ბაჲაჲსასა A. [7] განაქრიონ] განანქრიონ CDE. [8] ~ მადლი არს ერთი D. [9] ~ ჯერეთ მისდა E. [10] იტყოდა იგივე, ვითარმედ] ხოლო D. [11] სიმაღლჱ] სიმაღლე CDE. [12] ესეღა, რამეთუ] ესე რაჲმე C. [13] თანავე] თანა D. [14] მე – C. [15] შენსა C. [16] სარგებელ-მეყო + მე E. [17] მეტყჳ] მირძანებდ E. [18] მე – C.

და მივიდეს მისა[1] ბერნი და ჰრქუეს მას[2]: მამაო, /345v/ მო/ვიდა ძმაჲ ესე სიწმიდისა შენისა, რაჲთამცა სარგებელ-ეყო და რაჲსათჳს არა ეტყჳ მას, რაჲთა იქმოდის რასმე? და ბერმან ჰრქუა მათ: ნუუკუე მამაჲ ვარა კრებულთა[3] მონასტრისაჲ, რაჲთამცა უბრძანებდი მაგას? მე[4] ჟამისად[5] არას ვეტყჳ მაგას, უკუეთუ კულა ჰნებავს, რასა ესე ვიქმ მე, იქმოდენ ეგეცა. მიერითგან უკუე უსწრვი[6] და ვქმნი, რაჲ-იგი ჰნებავს ბერსა ქმნად, ხოლო იგი რასაცა იქმნ, დუმილით იქმნ და ამან მათმან სათნოებამან მასწავა მე[7] დუმილით ქმნად ყოვლისავე[8].

2. თქუა **მამამან ისაკ,** ვითარმედ: არაოდეს შევიღე სენაკსა ჩემსა გულისსიტყუაჲ ძმისათჳს შემაწუხებელისა ჩემისა, და მეცა ვისწრაფე არა შეყვანებად ძმისა სენაკსა ჩემსა, რომელსა აქუნ ძმისათჳს გულისსიტყუჲ ვნებული.

XXII. თქუა **მამამან იაკობ**, ვითარმედ[9]: რომელი იქოს, უჴმს მოჴსენებად ცოდვათა თჳსთა და მოგონებად ამას, ვითარმედ არა არს ღირს სიტყუათა მათ ქებისათა.

XXIII. 1. ძმამან ჰკითხა **მამასა კრონიონს**[10] და ჰრქუა: რომლითა სახითა მოვალს, მამაო, კაცი სიმდაბლესა? ჰრქუა მას ბერმან: შიშითა ღმრთისაჲთა. ჰრქუა მას ძმამან: და რომლითა საქმითა[11] მოვალს კაცი შიშსა ღმრთისასა? ჰრქუა მას ბერმან: მე ვითარ ვჰგონებ, რაჲთა მოარიდოს კაცმან თავი თჳსი ყოველსავე საქმესა ჴორციელსა[12] და მისცეს თავი თჳსი შრომათა ჴორციელთა, რაოდენ ძალ-უც და რაჲთა მოიჴსენოს ჟამი იგი ჴორცთაგან განსლვისაჲ და დღე იგი მართლმსაჯულობისა ღმრთისაჲ.

2. თქუა **მამამან კრონიოს**[13], ვითარმედ: გჳთხრა ჩუენ ესე[14] მამამან იოსებ პილუსიელმან[15], ვითარმედ: ვჯედ ოდესმე მთასა სინასა და იყო მუნ ძმაჲ ვინმე რჩეული და კეთილად მოღუაწე, არამედ და ქმნულკეთილიცა ფრიად და სახითა შუენიერი. და მოვალნ იგი წმიდად[16] /346/ ეკ/ლესიად ჟამსა ლოცვისასა და ემოსა მას დაბებკული სამწიროჲ და მცირე რაჲმე კენდოჲ ძუელი[17]. და დღესა ერთსა, ვიხილე რაჲ მე იგი[18] ესრეთ მოსრული ეკლესიად, ვარქუ მას: ძმაო, არა ხედავა ძმათა ამათ, თუ ვითარ მოვლენ ეკლესიად ჟამსა ლოცვისასა ვითარცა ანგელოზნი? ვითარ შენ ერთვე ესრეთ მოხუალ მოსილი დაბებკულითა? ხოლო მან მრქუა მე: შემინდვე, მამაო, რამეთუ არა მაქუს სხუაჲ, თუ რაჲ შევიმოსო. და მე წარვიყვანე იგი სენაკად ჩემდა და მივეც მას შესამოსლები და სხუაჲ ყოველივე რაჲცა უჴმდა. და[19] მიერითგან

---

[1] მისსა D. [2] მას – C. [3] კრებულთაჲ D. [4] მე – CD. [5] ჟამისად] ჟამად A. [6] უსწრვი] უსწრი CE. [7] მე – CD. [8] ყოვლისაჲვე CD. [9] თქუა მამამან იაკობ, ვითარმედ] ხოლო D. [10] კონონს C;კარიონს D. [11] საქმითა] სახითა E. [12] ~ საქმისა ჴორციელისა C. [13] კრონიოს] კრონოს C;კრონიონს D. [14] ~ ჩუენ ესე E. [15] პილუსიელმან] პილოსელმან CD. [16] წმიდად – E. [17] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 222r-ზე (აკინძვის შეცდომა). [18] ~ იგი მე C. [19] და – C.

შეიმოსის იგიცა მსგავსადვე სხუათა მათ ძმათა და იხილვებოდა იგი, ვითარცა ანგელოზი ღმრთისაჲ. ხოლო იქმნა ოდესმე საჴმარ მამათა, რაჲთა ათნი ოდენ ძმანი წარივლინნენ[1] მეფისა საქმისა რაჲსათჳსმე და აღრიცხუეს ძმაჲცა იგი წარმავალთა მათ თანა[2]. ხოლო მას, ითარცა ესმა ესე, მოუდრიკნა მუჴლნი მამათა, შეუვრდა მათ და ჰრქუა: მცნებისათჳს[3] უფლისა, შემინდვეთ მე, რამეთუ მოანჲ ვიყავ მე მუნ[4] დიდებულისა ვისმე კაცისაჲ და უკუეთუ წარვიდე მე, მიცნობს და აღმძარცჳს სახესა მონაზონებისასა და კუალად მაიძულებს[5] მე მონებად მისა[6]. შემდგომად უკუე მორჩილებისა მამათაჲსა და განტევებისა მისისა, უკუანაჲსკნელ ვცანთ ჭეშმარიტი მათგან, რომელნიიგი[7] ზედამიწევნით იცნობდეს, ოდეს-იგი[8] იყო სოფელსა შინა, ვითარმედ იყო იგი ეპარხოსი[9] პრეტორისაჲ და რაჲთა არა იცნობოს იგი[10] და წყინებაჲ პოოს[11] კაცთაგან, ამისთჳს მიზეზ-ყო საქმე იგი. ესოდენი უკუე იყო მაშინ მოსწრაფებაჲ მამათაჲ, რაჲთა ევლტოდინ იგი დიდებასა კაცობრივსა და განსუენებასა ამის სოფლისასა.

XXIV. /346v/ ბერი ვინმე იყო სკიტეს მონაზონი, რომელსა ერქუა **კარიონ.** ამას ესხნეს ორნი შვილნი და დაუტევნა იგინი სოფელსა შინა ცოლისა თანა თჳსისა და განეშორა. შემდგომად უკუე რაოდენისამე ჟამისა იქმნა სიყმილი ეგჳპტეს და შეიწრდა ცოლი მისი ფრიად, აღდგა[12], მოვიდა სკიტედ და თანა ჰყვეს ორნივე იგი შვილნი მისნი. ხოლო იყო ერთი ყრმაჲ წული, რომელსა ერქუა ზაქარია და მეორე იგი იყო ქალი. და დაჯდა იგი შორის[13] შამბოანსა მას შინა, რამეთუ ახლავს სკიტეს ტყე, რომელსა შამბ ეწოდების, სადა-იგი არიან შენ[14] ეკლესიანი და წყაროები გამოდის წყალთაჲ და დგას ფინიკოანიცა[15] და ლერწმოანი[16]. მუნ უკუე იყო წესი სკიტეს, რაჲთა უკუეთუ მივიდეს[17] დედაკაცი ხილვად და უბნობად ძმისა თჳსისა, გინა სხჳსა რაჲსამე[18] ნათესავისა თჳსისა, რაჲთა მუნ დასხდენ განშორებულად ერთი მეორისაგან და უზრახენ ურთიერთარს. მაშინ ჰრქუა დედაკაცმან მან მამასა კარიონს: აჰა ესერა, შენ შეიქმენ მონაზუნად[19] და არს სიყმილი დიდი[20] ყოველსა შინა ეგჳპტესა, ვინ ზრდის[21] უკუე შვილთა შენთა? ჰრქუა მას მამამან კარიონ: წარმოგზავნენ ეგენი ჩემ თანა. ჰრქუა დედაკაცმან მან შვილთა თჳსთა: წარვედით თქუენ მამასა[22] თანა თქუენსა[23]. და ვითარცა წარმოვიდეს იგინი

[1] წარივლინნენ] წარავლინნეს D. [2] ~თანა მათC. [3] მცნებისათჳს] მცნებისაებრ D. [4] ~ მუნ მე C; მუნ – E. [5] მაიძულებს] მაჲძულებს AE. [6] მისა] მისსა CD. [7] რომელნიიგი] რომელნი D. [8] ოდეს-იგი] ოდეს C. [9] ეპარხოსი] ეპარხოზი CDE. [10] იგი – C. [11] პოოს] პოვოს E. [12] აღდგა + და E. [13] შორის] შორს AE. [14] შენ – D. [15] ფინიკოანიცა] ფინიკოვანიცა C. [16] ლერწმოანი] ლერწამნი D. [17] მივიდეს] მოვიდეს C. [18] რაჲსმე E;– D. [19] მონაზუნად] მონაზონად E. [20] დიდი – CD. [21] ~ უკუე ზრდის D. [22] მამასა თანა თქუენსა] მამისა თქუენისა თანა D. [23] ~ თქუენსა თანაE.

მამისა[1] თანა მათისა, ქალი იგი კუალად უკუნიქცა[2] დედისავე თჳსისა. ხოლო ყრმაჲ იგი დაადგრა მამისა თანა თჳსისა. მაშინ ჰრქუა მამამან კარიონ დედაკაცსა მას: აჰა ესერა, კეთილად იქმნა, წარიყვანე შენ თანა ქალი ეგე და ყრმაჲ ესე დაუტევე ჩემ თანა. და წარვიდა დედაკაცი იგი ქალითურთ სახედ თჳსა[3], ხოლო ბერი ზრდიდა ყრმასა მას სკიტეს /347/ შინა, რამეთუ ყოველთავე იცოდეს მისთჳს, ვითარმედ შვილი არს მისი. ხოლო განმწჳსნა რაჲ იგი და ჰასაკად მოვიდა, იქმნა დრტჳნვაჲ მისთჳს[4] შორის[5] ძმობისა. და ვითართცა ესმა მამასა კარიონს[6], ჰრქუა შვილსა თჳსსა: ზაქარია, აღდეგ, გუალე და წარვიდეთ ამიერ, რამეთუ დრტჳნვენ შენთჳს მამანი. ჰრქუა მამასა თჳსსა ყრმამან მან: მამაო, აქა ყოველთა მიციან, ვითარმედ შვილი ვარ შენი. ხოლო უკუეთუ სამე[7] წარვიდეთ სხუაგან, არა უც თქუმად, თუ ძე ვარ შენი. ჰრქუა მას ბერმან: აღდეგ, გუალე, წარვიდეთ თებაიდას[8]. და წარვიდეს იგინი[9] მუნ. და ვითარცა მიიღეს სენაკი და დასხდეს მას შინა მცირეთა რათმე დღეთა, იგივე დრტჳნვაჲ მუნ იყო ყრმისა მისთჳს და უმეტესიცა. მაშინ ჰრქუა ყრმასა მას მამამან მისმან: ზაქარია, აღდეგ და გუალე[10], წარვიდეთ სკიტესვე. და ვითარცა წარჴდეს კუალად მცირედნი დღენი, კუალადცა დრტჳნვაჲ შეიქმნა მისთჳს. მაშინ წარვიდა ყრმაჲ[11] ზაქარია ტბასა მას საბავრუკესა და აღიძარცუა სამოსელი თჳსი და შედგა მას შინა, ვიდრე საყნოსელთადმდე მისთა. და იღრჭუმებნ მას შინა და დაადგრა მას შინა მრავალჟამ რაოდენ ძალ-ედვა თავსდებად. და შეჰღება ყოვლითურთ თავი თჳსი და უჩინო-ყო შუენიერებაჲ ჴორცთა თჳსთაჲ და იქმნა იგი შავ, ვითარცა ჰინდოჲ. და აღმოვიდა მიერ[12] და შეიმოსა სამოსელი თჳსი და წარვიდა იგი მამისა თჳსისა, ვიდრეღა და ძნიად იცნა იგი[13] მამამან მისმან. ხოლო მომავალსა მას კჳრიაკესა წარვიდა ჩუეულებისაებრ ეკლესიად, რაჲთა ეზიაროს წმიდათა საიდუმლოთა[14], რომლისათჳს გამოეცხადა წმიდასა ისიდორეს ხუცესსა სკიტისასა, რაჲ-იგი ქმნა ყრმამან მან[15]. და[16] იხილა იგი, /347v/ დაუკჳრდა და თქუა: ზაქარია ყრმაჲ წარსრულსა მას კჳრიაკესა ვითარცა კაცი მოვიდა ზიარებად, ხოლო დღეს იხილვებოდის[17] იგი ვითარცა ანგელოზი.

XXV. შეკრბეს ოდესმე მამანი სკიტელნი და ყვეს ძიებაჲ[18] მელქისედეკისთჳს[19] და დაჰვიწყდა მათ წოდებად **მამაჲცა კოპრე**. ხოლო უკუანაჲსკნელ მოუწოდეს მასცა და ჰკითხეს მისვე პირისათჳს, ხოლო მან იცა პირსა თჳსსა სამგზის და თქუა: ვაჲ შენდა კოპრი, ვაჲ შენდა კოპრი, ვაჲ

---

[1] მამასა თანა მათსა] მამისა მათისა თანა D. [2] უკუნიქცა] იქცა E. [3] თჳსად CD. [4] ~ მისთჳს დრტჳნვაჲ E. [5] შორის ძმობისა] ძმათა შორის CD. [6] აქ E ნუსხა წყდება. [7] ~ სხუაგან სამე წარვიდეთ D. [8] თებაიდას] თებაჲდას A. [9] იგი C. [10] გუალე – C. [11] ყრმაჲ + იგი C. [12] აღმოვიდა მიერ – C. [13] იგი – D. [14] საიდუმლოთა] საჲდუმლოთაAD. [15] მან – C. [16] და იხილა იგი – CD. [17] იხი ღვებოდის] იხილვების CD. [18] ძიებაჲ] ზიარებაჲ D. [19] მელქისედეკისთჳს] მელქიზედეკისთჳს CD.

შენდა კოპრი, რამეთუ რაჲ-იგი გამცნო[1] ღმერთმან ძიებად, დაგიტეობიეს[2] და რომელსა-იგი არა ითხოვს შენგან, მას ეძიებ. ესმა რაჲ ესე ძმათა, ივლტოდეს ყოველნივე სენაკად თჳსად.

XXVI. 1. კითხულ იქმნა **მამაჲ ლონგინოს** ვისგანმე და ჰრქუა: რომელი სათნოებაჲ არს უფროჲს, მამაო? მიუგო ბერმან: მე ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ ვითარცა-იგი ამპარტავანებაჲ უძჳრეს არს ყოველთა ცოდვათა, ვიდრეღა და სამყაროჲსა მისგანცა ზეცათაჲსა გარდამოსთხინა ვიეთნიმე, ესრეთვე[3] უკუე და სიმდაბლე შემძლებელ არს თჳთ უქუესკნელისასა[4] მისგან უფსკრულთაჲსა აღმოყვანებად კაცისა, დაღაცათუ ვითარცა ეშმაკსა ეცოდოს მას. ამისთჳს და თავადიცა უფალი ჰნატრის ესევითართა მათ და იტყჳს: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა“.

2. კუალად თქუა: ვითარცა მკუდარი არღარა ჭამს, ესრეთვე შეუძლებელ არს, თუმცა მდაბალმან განიკითხა კაცი, დაღაცათუ[5] იხილოს იგი თაყუანისმცემელად კერპთა.

XXVII. მოგჳთხრა ჩუენ თავისა თჳსისა **მამამან მაკარი,** ვითარმედ: ოდეს ვიყავ ჭაბუკ და ვჯედ სენაკსა შინა ჩემსა ეგჳპტეს, შემიპყრეს მე[6] და წარმიყვანეს და მაკურთხეს ხუცად ქალაქსა შინა. და ვინაჲთგან არა მენება მე თავსდებად, ვივლტოდე სხუასა ადგილსა. /348/ და მოვიდა[7] ვინმე ჩემდა გულსმოშიში[8] ერისკაცი და წარიღებნ ჴელთსაქმარსა[9] ჩემსა და მმსახურებნ მე. შეემთხჳა უკუე განსაცდელი ქალწულსა ვისმე დაბასა მას შინა და სოფელსა, რამეთუ დაეცა ვინმე მას თანა და მეყსეულად მუცლად-იღო. და ვითარცა ჰკითხეს მას მშობელთა მისთა, თუ ვინ არს, რომელმან ქმნა საქმე ეგე შენ თანა, მან მიუგო: არავინ სხუაჲ, თჳნიერ განშორებული იგი. და გამოვიდეს მიერ დაბით და წარმიყვანეს მე და[10] დამოჰკიდეს ყელსა ჩემსა შებღალულები კოჭბები და კეცის ყურები კოკათაჲ, განმაქიქეს მე ქალაქსა შინა და უბანთა ზედა, მგუემდეს მე[11] და[12] მეტყოდეს: ამან მონაზონმან განხრწნა ქალწული ჩუენი, დაუყავთ[13] მაგას, დაუყავთ. და მგუემეს მე[14] ესოდენ, ვიდრე კნინღა[15] და მო-ცა-ვკუედ[16]. მოვიდა ბერთაგანი ვინმე და ჰრქუა მათ: ვიდრემდის[17] ჰგუემთ უცხოსა მაგას მონაზონსა? ხოლო მსახური იგი[18] ჩემი შედგომილ იყო უკუანა ჩემსა სირცხჳლეული. და[19] რამეთუ აგინებდეს მასცა ფრიად და ეტყოდეს: აჰა, რომელსა-იგი შენ სწამებდი განშორებულსა, თუ რაჲ ქმნა! შემდგომად ამის ყოვლისა თქუეს მშობელთა ქალისათა: არა განუტეოთ ეგე[20], ვიდრემდის მოგუცეს თავსმდები და

---

[1] გამცნო + შენ D. [2] დაგიტევებს D. [3] ესრეთვე + და C. [4] უქუესკნელისსა C. [5] დაღაცათუ] დაღათუ D. [6] მე – CD. [7] მოვიდა ვინმე] მო-ვინმე-ვიდა D; ვინმე – C. [8] გულსმოშიში] ღმრთისმოშიში D. [9] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 224r-ზე. [10] და – C. [11] მე – E. [12] და – C. [13] დაუყავთ მაგას] გუემეთ ეგე CD. [14] მე – E. [15] კნინღა] კნინ C. [16] მო-ცა-ვკუედ] მო-მცა-ვკუედ C; მოვკუედ D. [17] ვიდრემდის] ვის D. [18] იგი – C. [19] და – E. 20 ეგე] ესე C.

ზრდიდეს ცოლსა თჳსსა. და ვარქუ მსახურსა მას ჩემსა: და მეთავსმდება მე[1]? და წარვედ სენაკად ჩემდა და მივეც, რაოდენიცა მაქუნდა[2] სფირიდები და ვარქუ, რაჲთა განყიდოს და მიართუას ჭამადი[3] ცოლსა ჩემსა. და ვეტყოდე თავსა ჩემსა: მაკარი, აჰა ესერა, ჰპოვე თავისა შენისა ცოლი, გიჴმს უკუე, რაჲთა შურებოდი მცირედ უმეტესრე და ზრდიდე მას. და ვშურებოდე დღით და ღამით და წარუმგზავნიდი[4] მას. /348v/ ხოლო ოდეს მოვიდა ჟამი უბადრუკისა მის შობისაჲ, დაადგრა მრავალთა დღეთა ჭირსა შინა და ტანჯვასა და ვერ შუა. და ჰრქუეს მას მშობელთა მისთა: რაჲ არს ესე? ხოლო მან თქუა: მე ვიცი, რომელ ამისთჳს შემემთხჳა ჭირი[5] ესე, რამეთუ განშორებულსა მას ცრუდ დავწამე[6] ცილი და არაჲ უც მას საქმე ჩემ თანა, არამედ მან ვინმე ჭაბუკმან ყო საქმე[7] ესე ჩემ თანა. და აღდგა მსახური იგი ჩემი[8], მორბიოდა ჩემდა სიხარულით და მრქუა მე, ვითარმედ: ვერ შვა ქალწულმან[9] მან, ვიდრემდის აღიარა და თქუა, ვითარმედ არაჲ უც საქმე ჩემ თანა განშორებულსა მას, არამედ ცრუდ[10] დავჰკრიბე მას ზედა ბრალი. და აჰა ესერა, სოფელი სრულად მოვალს აქა და მრავლითა დიდებითა ჰნებავს შევრდომაჲ[11] შენი და ითხოვენ შენგან შენდობასა. ხოლო მე მესმა რაჲ ესე, რაჲთა არა შემაურვონ კაცთა, აღვდეგ და ვივლტოდე და მოვედ აქა სკიტეს. ესე არს პირველი მიზეზი აქა მოსლვისა ჩემისაჲ.

2. იტყოდა **მამაჲ პეტრე,** ვითარმედ: წრფელ იყო **მამაჲ მაკარი** ყოველთა მიმართ ძმათა სწორად, რომლისათჳს ჰრქუესცა ვიეთმე: რაჲსათჳს გაჰჴდი[12] თავსა შენსა ესრეთ! ხოლო მან ჰრქუა მათ: ათორმეტი წელიწადი ვჰმონე უფალსა ჩემსა ამისთჳს, რაჲთა მომანიჭოს მე მადლი ესე და აწ ვითარ მაწუევთ ყოველნი[13] აღძარცუად მადლისა ამის ჩემგან?!

3. მოვიდოდა[14] ოდესმე შამბოვნით[15] **მამაჲ**[16] **მაკარი** სენაკად თჳსად და ეკიდა ბაიაჲ[17]. და აჰა ესერა შემთხჳა მას[18] ეშმაკი გზასა ზედა და ჴელთა მისთა[19] აქუნდა[20] მანგალი და ინება[21] მანგლითა მით ცემაჲ მამისა მაკარისი და ვერ უძლო, მერმე ჰრქუა /349/ მას: ფრიად არს მძლავრებაჲ ეგე შენი, მაკარი, რამეთუ ვერ უძლებ მე ვნებად[22] შენდა. აჰა ესერა, რომელსა შენ იქმ, მეცა ვიქმ. შენ იმარხვ და[23] მეცა, შენ იღჳძებ[24], მე ყოლად არა მძინავს. ერთი ოდენ არს მარტოდ, რომლითა მძლევ მე. ჰრქუა მას მამამან მაკარი: და რომელი არს იგი? მიუგო ეშმაკმან: სიმდაბლჱ[25] შენი და ამისთჳს ვერ მიძლავს[26] შენდამი ვერარაჲ.

---

[1] მეთავსმდება მე] მითავსმდება D; მეთავსმდებე E. [2] მაქუნდა] მქონდა D. [3] ჭამადი – D. [4] წარუგზავნიდი CDE. [5] ჭირი – C. [6] დავსწამე E. [7] საქმე – CDE. [8] ჩემდა E. [9] ქალწულმან] ქალმან D. [10] ცრუდ] ცუდად D. [11] შევრდომაჲ] შემოვრდომაჲ D. [12] გაჰჴდი] გარდაჰჴდი E. [13] ყოველნი – C. [14] მოვიდოდა] მოვიდა D. [15] შამბოვნით] შამბოანით D; ბაბილოვნით E. [16] მამაჲ მაკარი – D. [17] ბაიაჲ] ბაიაჲ A. [18] მას – C. [19] მისთა – E. [20] აქუნდა+მას E. [21] ინება] ენება C. [22] ვნებად შენდა] შენდამი E. [23] და – C. [24] იღჳძებ +და E. [25] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CDE. [26] მიძლავს] მიძლევიეს D.

4. წარვიდა ოდესმე **მამაჲ მაკარი მამისა ანტონისსა** და ვითარცა იუბნეს ურთიერთარს, უკუმოიქცა სკიტედვე და განვიდეს მამანი მიგებებად მისა. და ვითარცა უბნობდეს იგინი, ჰრქუა მათ ბერმან: ვარქუ მამასა ანტონის, თუ ვითარ არა გუაქუს სეფისკუერი ადგილსა ჩუენსა. და იწყეს მამათა სიტყუად რასმე სხუასა და არღარა ჰკითხეს ძალი სიტყჳსაჲ მის და არცაღა ბერმან ჰრქუა მათ. ხოლო ესე თქუა ვინმე მამათაგანმან, ვითარმედ: უკუეთუ მამათა, რომელ შესცილდეს რაჲმე კითხვისა კერძი ძმათა, უჴმს, რაჲთა მათ ყონ დაწყებაჲ სიტყჳსაჲ და მისცენ მიზეზი კითხვისაჲ და აიძულონ[1] კითხვისა და სმენისათჳს და ქმნისა უმჯობესისა. ხოლო ოდეს მსმენელი არა იყოს მეტყუელსა, ცუდადმეტყუელებად შეერაცხების მეტყუელებაჲ, გარნა ესრეთცა არავე[2] ჯერ არს დაფარვაჲ ნიჭთა და მადლთა ღმრთისათაჲ.

5. იტყოდეს[3] **მამისა მაკარისათჳს**, ვითარმედ უკუეთუ მოუჴდის მას[4] ძმაჲ შიშით და კრძალვით, ვითარცა დიდსა და წმიდასა ბერსა, არაჲ ჰრქჳს მას სიტყუაჲ. უკუეთუ კულა ვინ[5] ჰრქჳს ძმათაგანმან, ვითარცა შეურაცხებით: ბერო, ოდეს-იგი[6] იყავ მეაქლემე და იპარევდი ბავრუკსა და ჰყიდდი მას, არა /349v/ გცემდესა მცველნი? უკუეთუ ვინ ამას ესევითარსა ეტყჳნ, მაშინ[7] ჰრქჳს მას სიხარულით, რაოდენსაცა რას[8] ჰკითხავნ.

6. ზედამიადგა[9] ოდესმე მახჳლითა ეშმაკი **მამასა მაკარის** და ინება მოკუეთაჲ ფერჴისა მისისაჲ[10] და სიმდაბლითა მისითა ვერ უძლო ყოფად ესე. მერმე ჰრქუა მას: ყოველივე, რაოდენიცა[11] გაქუს თქუენ, ჩუენცა გუაქუს, თჳნიერ ოდენ სიმდაბლითა გუაჯობებთ თქუენ და გუძლევთ.

7. იტყოდეს **მამისა მაკარისთჳს მეგჳპტელისა,** ვითარმედ აღვიდოდა ოდესმე სკიტით მთასა ნიტრიაჲსასა[12] და ვითარცა მიეახლა ადგილსა მას, სადაცა მივიდოდა, ჰრქუა მოწაფესა თჳსსა, რაჲთა წინაჲთრე წარვიდეს მცირედ. და წინა[13] წარსლვასა მას მისსა შეემთხჳა ვისმე ქურუმსა[14] წარმართთასა და ჴმა-უყო ძმამან მან[15] ჴმოანად და ჰრქუა: ჱ, ჱ ეშმაკო, სადა მიჰრბი? ხოლო იგი შემოექცა[16] და გუემა იგი ფიცხლად და დასხნა მას ზედა წყლულებანი და დაუტევა იგი მწყდარი. და აღიღო შეშაჲ და მირბიოდა. და ვითარცა წარვლო მცირედ, შეემთხჳა მამაჲცა მაკარი მორბედსა[17] და ჰრქუა მას: ცხოვნდი[18], ცხოვნდი[19], მაშურალო. ხოლო მას დაუკჳრდა და ჰრქუა: რაჲ კეთილი ჰნახე ჩემ თანა, რამეთუ მომიკითხე მე? ჰრქუა მას ბერმან: გიხილე შენ დამაშურალად და არა უწყია, რომელ ცუდად შურები? და მან ჰრქუა მას: და მეცა მოკითხვასა ზედა შენსა ლმობიერ ვიქმენ და ვცან, რამეთუ

---

[1] აიძულონ] აჲძულონ A; იიძულონ D. [2] არავე] არა E. [3] D ნუსხაში [5] თხრობას წინ უსწრებს 7 თხრობა. 4 მას – D. [5] ვინ] ვინმე D. [6] ოდეს-იგი] ოდეს C. 7 მაშინ – E. [8] რას] ვინ D. [9] ზედამიადგა] ვითარცა მიადგა D. [10] ფერჴისა მისისაჲ] ფერჴთა მისთაჲ D. [11] რაოდენიცა] რაოდენი D. [12] ნიტრიაჲსასა] ნიტრიისასა C. [13] წინა] წინაჲთ E. [14] ~ ქურუმსა ვისმე CE. [15] მან – C. [16] შემოექცა] მოექცა E. [17] მორბედსა+მას C. [18] ცხოვნდი] ცხონდი E. [19] ცხოვნდი] ცხონდი E.

ღმრთისა კერძი ხარ. ხოლო სხუაჲ ვინმე ჰავი მონაზონი შემემთხჳა და მაგინა მე ურიდად და მე წყლულებანი დავსხენ[1] მას ზედა სასიკუდინენი. და ცნა ბერმან, ვითარმედ მოწაფჱ[2] არს მისი, რომელსა /350/ გუემაჲ იგი შეემთხჳა. მერმე შეუვრდა ბერსა და მოეხჳა ფერჴთა მღდელი იგი კერპთაჲ და ეტყოდა მას: არა განგიტეო შენ, არა თუ შემქმნა[3] მონაზუნად[4]. და[5] მოვიდეს ადგილსა მას, სადა იდვა მოწაფე მისი. და აღიღეს იგი ტჳრთვით და მიიღეს ეკლესიად მთისა. იხილეს რაჲ ბერისა თანა მღდელი იგი და ქურუმი კერპთაჲ, განკჳრდეს ყოველნივე, ყვეს იგი ქრისტიანე და[6] შექმნეს მონაზუნად[7]. და[8] მრავალი წარმართთაგანნი მის ძლით მოვიდეს და იქმნნეს მისთჳს ქრისტიანჱ[9] და ერთბამად ყოლად ყოველთაგან იდიდებოდა ღმერთი, ყოველთა კეთილთა მიზეზი. ამისთჳს იტყოდა მამაჲ მაკარი, ვითარმედ: ჰავი სიტყუაჲ კეთილსაცა ბოროტად გარდააქცევს და კარგი სიტყუაჲ ბოროტსაცა კეთილად შესცვალებს.

8. იტყოდა **მამაჲ მაკარი,** ვითარმედ: ოდეს ვიყავ ჭაბუკ, მომეწყინა ჯდომაჲ სენაკსა შინა. აღვდეგ და განვედ უდაბნოდ და დავაჯერე გულისსიტყუასა ჩემსა, რაჲთა ვინცა შემემთხჳოს, ვჰკითხო მას სიტყუაჲ სარგებელისაჲ. და მივემთხჳე ყრმასა, რომელი ზროხათა აძოებდა და ვარქუ მას: რაჲ ვყო, ყრმაო, რამეთუ მშიან? და მან მრქუა მე: ჭამე. და მე კუალადცა ვარქუ მას: ვჭამე და კუალადცა მშიან. და მან კუალად მრქუა მე: და კუალადცა ჭამე. და მე[10] კუალად ვარქუ[11] მას: მრავალგზის მიჭამიეს და კუალადცა მშიან. მერმე მრქუა მე: თურე ვირი ხარ, ბერო, რომელ ერთვე ჭამასა ჰლამი. და სარგებელ მეყო და განვეშორე.

XXVIII. 1. იტყოდეს **მამისა მოსესთჳს**, ვითარმედ ოდეს იქმნა იგი დიაკონ და შთააცუეს მას ოლარი, ჰრქუა მას[12] მთავარეპისკოპოსმან: აჰა ესერა, ყოვლითურთ იქმენ სპეტაკ, მამაო მოსე. ჰრქუა მას ბერმან: ნეტარ[13] გარეთ, ანუ შინაჲთცა, პაპას? ხოლო მთავარეპისკოპოსმან ინება გამოცდაჲ მისი და ჰრქუა მნეთა ეკლესიისათა: ოდეს აღმოვიდოდის[14] მამაჲ მოსე საკურთხეველად, განაძეთ იგი და შეუდექით /350v/ უკუანა მისსა და ისმინეთ თუ რასა-ძი[15] იტყჳს. და ვითარცა შევიდა ბერი, შეჰრისხნეს მას, გამოაძეს იგი მიერ[16] და ჰრქუეს: გავედ გარე, ჰინდოო! ხოლო იგი გამოვიდა და ეტყოდა თავსა თჳსსა: კეთილად გიყვეს შენ, ნაცრის[17] ტყაო შაო, რაჲთგან კაცი არა ხარ, რაჲსათჳს მიხუალ[18] კაცთა თანა?!

2. ძმამან ჰკითხა **მამასა მოსეს** და ჰრქუა: ვხედავ წინაშე ჩემსა საქმესა და ვერ უძლებ განცდად მისა. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ არა იქმნე

---

[1] დავსხენ] დავასხენ C. [2] მოწაფჱ] მოწაფე CDE. [3] შემქმნა + მე C. [4] მონაზუნად] მონაზონად CD. [5] აქ E ნუსხა წყდება. [6] და შექმნეს მონაზუნად – D. [7] მონაზინად] მონაზონად D. [8] და – D. [9] ქრისტიანჱ] ქრისტიანე CD. [10] მე – D. [11] ვარქუ] ვარქუს D. [12] მას – CD. [13] ნეტარ – D. [14] აღმოვიდოდის] აღმოვიდეს C. [15] რასა-ძი] რასა C. [16] მიერ] გარე C. [17] ნაცრის] ნაცრისა D. [18] მიხუალ] მოხუალ D.

მკუდარ ყოველთაგანვე საქმეთა, ვითარცა ადრევე დამარხული, ვერ უძლებ მიახლებად მისა.

3. ძმამან ჰკითხა **მამასა მოსეს** და ჰრქუა: ყოველსავე შინა შრომასა კაცისასა რაჲ არს, რომელი შეეწევის კაცსა? ჰრქუა[1] მას ბერმან: ღმერთი არს, რომელი შეეწევის კაცსა ყოველსა[2] შინა, ვითარცა წერილ არს: ღმერთი ჩუენი შესავედრებელ და ძალმწე ჭირთა შინა, რომელთა მპოვნეს ჩუენ ფრიად. და ძმამან მან[3] ჰრქუა მას: მარხვანი და მღჳძარებანი, რომელთა იქმს კაცი, რაჲ იქმნებიან? ჰრქუა მას ბერმან: ესენი არიან, რომელნი დაამდაბლებენ სულსა, რამეთუ წერილ არს: იხილე სიმდაბლჱ[4] ჩემი და შრომაჲ ჩემი და მომიტევენ მე[5] ყოველნი ცოდვანი ჩემნი. უკუეთუ ქმნეს სულმან ნაყოფნი ესე, მოწყალე იქმნების მის[6] ზედა ღმერთი მათთჳს.

4. კუალად ჰკითხა ძმამან მან[7]: აჰა ესერა, კაცი ჰგუემს მონასა თჳსსა ცოდვისა მისთჳს, რომელი[8] ქმნა[9], რაჲ თქუას მონამან? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ იყოს მონაჲ იგი კეთილ, თქუას: შემიწყალე მე[10], რამეთუ ვცოდე. ჰრქუა მას ძმამან: არარას სხუასა იტყჳსა? ჰრქუა მას ბერმან: არა, რამეთუ ვინაჲთგან დაიკრიბოს[11] კაცმან ბრალი თჳსი ზედა თავსა თჳსსა და თქუას თუ: ვცოდე, მეყსეულად მოწყალე იქმნების მის ზედა უფალი მისი.

XIX. 1. თქუა **მამამან მატოჲ**[12]: რაოდენცა მიეახლოს ღმერთსა კაცი, ეგოდენ უმეტესად /351/ ცოდვი/ლად აქუს თავი თჳსი. და რამეთუ ესაია[13] წინაწარმეტყუელმან, ოდეს იხილა ღმერთი, უბადრუკ და არაწმიდა ხადოდა თავსა თჳსსა.

2. მანვე თქუა: ოდეს ვიყავ ჭაბუკ, ეჰგონებდი თავსა შორის ჩემსა, ვითარმედ რეცათუ ვიქმ რასმე კეთილსა. ხოლო აწ, ოდეს დავბერდი, ვხედავ თავსა ჩემსა, რომელ არცა ერთი საქმე არს ჩემ თანა კეთილისაჲ.

3. ძმაჲ მივიდა **მამისა მატოჲსა**[14] და ჰრქუა მას: ვითარ სკიტელნი უფროჲსსა[15] იქმოდეს წერილისასა, რამეთუ უყუარდეს მტერნი მათნი უფროჲს თავთა მათთა. ჰრქუა მას მამამან მატოჲ: მე ჯერეთ ვერცა თუ მოყუარჱ[16] მიყუარს ჩემი უფროჲს და[17] უმეტეს თავისა ჩემისა.

4. თქუა **მამამან იაკობ,** ვითარმედ: მივედ ოდესმე **მამისა მატოჲსა** და ოდეს გამოვიდოდა[18], ვარქუ მას, ვითარმედ: წარვალ სენაკებსა. და მრქუა მე ბერმან: მოიკითხე ჩემ მიერ მამაჲ იოანე. და ვითარცა მივედ მუნ, ვარქუ მას, ვითარმედ: მოგიკითხავს მამაჲ მატოჲ. და ბერმან მრქუა მე: აჰა, მამაჲ მატოჲ, კაცი ისრაჱლი, რომლისა თანა ზაკუვაჲ არა არს. და ვითარცა აღესრულა

---

[1] ჰრქუა მას ბერმან... ყოველსა – C. [2] ყოველსა] ყოველსავე D. [3] მან – C. [4] სიმდაბლჱ] სიმდაბლე C. [5] მე – C. [6] მის] მას D. [7] მან – CD. [8] რომელი] რომელ C. [9] ქმნა] ქმნას D. [10] მე – D. [11] დაიკრიბოს] დაიკრიბოს A. [12] მატოჲ] მატოვი C. [13] ესაია] ესაჲა A. [14] მატოჲსა] მატოჲსსა C. [15] უფროჲსსა] უფროჲს CD. [16] მოყუარე C;] მოყუასი D. [17] და უმეტეს – C. [18] გამოვიდოდა] მოვიდოდა D.

წელიწადი, კუალადცა მივედ მამისა მატოჲსა[1] და მიუთხარ მას მოკითხვაჲ იგი მამისა იოანესი. და ბერმან თქუა: არა ვარ მე ღირს სიტყუასა მას ბერისასა, თჳნიერ ესე იცოდე, ოდეს გესმას[2] ბერისაგან, რომელ მოყუასსა თჳსსა აქებდეს უმეტეს თავის თჳსისა, საზომსა დიდსა აღსრულ არს იგი და ესე არს სისრულჱ[3], რაჲთა ადიდებდეს მოყუასსა უმეტეს თავისა.

5. წარვიდა ოდსემე **მამაჲ მატოჲ** რაითით[4] კერძოთა მათ მაგდალოჲსათა და თანა ჰყვა მოწაფჱ[5] მისი. და შეიპყრა ბერი ეპისკოპოსმან და აკურთხა იგი ხუცად. და ვითარცა ჭამდეს იგინი ერთგან, ჰრქუა მას ეპისკოპოსმან: შემინდვე, მამაო, ვიცი რამეთუ არა გენება საქმე[6] ესე, არამედ[7], რაჲთა ვიკურთხნეთ შენგან, ვყავ საქმე[8] ესე. ჰრქუა მას ბერმან სიმდაბლით: /351v/ ჰჱ, ჰჱ, გარნა გულისსიტყუასაცა ჩემსა ენება მცირედ, თჳნიერ ერთი ოდენ მიძნს, რომელ განვეყოფვი ძმისაგან, რომელი არს ჩემ თანა. და რამეთუ ვერ ძალ-მიც ყოველთავე ლოცვათა თქუმად მარტოსა[9]. ჰრქუა მას ეპისკოპოსმან: უკუეთუ იცი, რომელ ღირს არს, მე ვაკურთხო ეგეცა. ჰრქუა მას მამამან მატოჲ: თუ ღირს არს, არა ვიცი, ერთი ოდენ ესე[10] ვიცი, რომელ ჩემსა უმჯობეს არს. ხოლო მან აკურთხა იგიცა და დაიძინეს[11] ორთავე ესრეთ და არა მიეახლნეს საკურთხეველსა, რაჲთამცა შეეწირა[12] ჟამი. ხოლო იტყჳნ ბერი, ვითარმედ: მრწამს ღმრთისაჲ, რამეთუ არა მაქუნდეს ფრიადი ბრალი კურთხევისათჳს, რაჲთგან არა შევსწირავ მსხუერპლსა და[13] რამეთუ მღდელობაჲ უბრალოთაჲ არს.

6. ძმამან ჰკითხა **მამასა მატოჲს** და ჰრქუა: მამაო, მარქუ მე სიტყუაჲ. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და ევედრე ღმერთსა, რაჲთა მოსცეს გულსა შენსა სიმდაბლჱ და გლოვაჲ და ხედევდი ყოლადვე ცოდვათა შენთა და ნუვის განიკითხავ ნუ ოდეს, არამედ იქმენ ყოველთა უქუეს და ნუ გაქუს მეგობრობაჲ ყრმისა თანა[14], ნუცა მეცნიერებაჲ დედაკაცისა თანა, ნუცა[15] მოყუარჱ მწვალებელი[16]. და მოჰკუეთე ყოველივე კადნიერებაჲ შენგან, დაიპყარ ენაჲ შენი და მუცელი და ღჳნოსაცა ეკრძალე მცირედ[17]. და უკუეთუ რას ვინ[18] იტყოდის საქმისა რაჲსათჳსმე, ნუ ჰბრძავ მას[19]. არამედ უკუეთუ კეთილად იტყოდის, თქუ: ჰჱ. და უკუეთუ ბოროტად იტყოდის, თქუ: შენ იცი, ვითარ იტყჳ. და ნუ ჰჴდები მას, ნუცა აცილობ, რაჲ იგი თქუა – ესე არს სიმდაბლჱ!

7. ძმამან ჰკითხა **მამასა მატოჲს** და ჰრქუა: რაჲ ვყო, რამეთუ ენაჲ ჩემი მაჭირვებს მე და ოდეს შევიდე კაცთა შორის, ვერ[20] ძალ-მიც პყრობად

---

[1] მატოჲსა] მატოჲსსა C. [2] გესმას] გესმეს CD. [3] სისრულჱ] სისრულე CD. [4] რაითით] რაჲთით A. [5] მოწაფჱ] მოწაფე CD. [6] საქმე] საქმჱ A. [7] არამედ რაჲთა ...ესე – CD. [8] საქმე] საქმჱ A. [9] მარტოსა] მარტოდ D. [10] ესე – C. [11] დაიძინეს] დაჲძინეს A. [12] შეეწირა] ეწირა CD. [13] და – D. [14] თანა+ და C. [15] ნუცა+ ხარ C. [16] მწვალებელი] მწვალებელისაჲ C. [17] მცირედ – C. [18] ~ვინ რას C;] რასა D. [19] მას] მათ. [20] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 226r-ზე.

მისდა[1], არამედ განვიკითხავ მათ ყოვლისავეთჳს საქმისა კეთილისა და ვამხილებ მათ. რაჲ უკუე ვყო[2], მამაო? მიუგო ბერმან და ჰრქუა მას: უკუეთუ ვერ ძალ-გიც /352/ პყრობად ენისა, ივლტოდე მარტოებით, რამეთუ უძლურებაჲ არს ეგე. ხოლო რომელი მყოფ არს ძმათა თანა არა მოუვალს, რაჲთა იყოს ოთხ კედელ, არამედ უჴმს[3], რაჲთა იყოს იგი მრგუალ და ყოველგან საგორავ. მერმე თქუა ბერმან: და რამეთუ მეცა[4] არა სათნოებისათჳს ვზი მარტოებით, არამედ უძლურებისა. და[5] რამეთუ ძლიერნი შევლენან შორის სიმრავლესა კაცთასა.

XXX. თქუა **მამამან მიოს** ბერისა ვისთჳსმე, რომელი იყო სკიტეს, ვითარმედ[6]: იყო მონაყოფილი და იქმნა იგი გულისჴმისმყოფელ და გონიერ ფრიად. და რაჲ წელიწად მივალნ იგი ალექსანდრიად და მიართუამნ ევლოგიასა[7] უფალთა[8] მისთა[9] და შეემთხუევინ მათ და მოიკითხავნ და შთაასხამნ ბერი იგი წყალსა[10] საბანელსა შინა, რაჲთა დაჰბანნეს ფერჴნი უფალთა მისთა[11]. ხოლო იგინი ჰლოცვიდეს მას და ევედრებოდეს და ეტყოდეს: ნუ, ნუ[12] მამაო, დამიმძიმებ ჩუენ საქმესა მაგას. და იგი ეტყჳნ[13] მათ: აღვიარებ, ვითარმედ მონაჲ ვარ თქუენი და გმადლობ, რამეთუ განმიტევეთ მე თავისუფლად მონებად ღმრთისა, გარნა მეცა დაგბან თქუენ ფერჴთა და გევედრები, რაჲთა მიითუალოთ მცირე ესე გულსმოდგინებაჲ ჩემი. ხოლო იგინი აცილობდეს მას და ეტყოდეს არათავსდებად. და იგი კუალად ეტყჳნ მათ: უკუეთუ არა ინებოთ ყოფად ესე, დავდგე აქა და გმონებდე თქუენ. რომელთაცა[14] შეეშინა ყოფად ესე[15] და უტევეს მას[16] ქმნად, რაჲცა ენებოს. და ოდეს გამოვალნ მიერ, წარმომგზავნიან იგინი[17] მრავლითა საჴმრითა და ფრიადითა პატივითა, რაჲთა ჰყოფდეს იგი მათთჳს სიყუარულსა და ამისთჳს იქმნა იგი სახელოვან[18] სკიტეს შინა და საყუარელ ყოველთაგან.

XXXI. თქუა **მამამან ნილოს:** ნეტარ არს მონაზონი იგი, რომელმან ყოს თავი თჳსი დასათრგუნველ ყოველთა.

XXXII. თქუა **მამამან ქსანთიოს**: ძაღლი უმჯობეს არს ჩემსა, /352v/ ერთად, რამეთუ აქუს სიყუარული უფალთა თჳსთაჲ და, მეორედ, რამეთუ საშჯელად არა მოვალს[19].

XXXIII. თქუა **მამამან ორსირიოს[20]**: ალიზი, რომელსა არა[21] ედვას ქუეშე[22] საფუძველად ქვაჲ, პირსა მდინარისასა ვერ დაიდგამს[23] იგი ვერცა თუ[24] დღე ერთ. ხოლო გამომცხვარი ცეცხლითა კეცი დაიდგამს[25] უმეტეს

---

[1] მისდა] მისა CD. [2] ვყო] უყო AD. [3] უჴმს] უღირს E. [4] ~ მეცა არა D. [5] და – E. [6] ვითარმედ: იყო – D. [7] ევლოგიასა] ევლოგია D. [8] უფალთა] საუფლოთა D. [9] მისთა] თჳსთა E. [10] ~ საბანელსა შინა წყალსა E. [11] თჳსთაD. [12] ნუ – E. [13] ეტყჳნ] ეტყოდა CD. [14] რომელთაცა] რომელთა E. [15] ესე – CD. [16] ~ ქმნად მას C. [17] იგინი] იგი CE. [18] სახელოვან] სახელოან D. [19] მოვალს] მივალს CD. [20] ორსირიოს] ნილოს D. [21] არა – D. [22] ~ საფუძველად ქუეშე D. [23] დაიდგამს] დაჲდგამს A. 24 თუ – E. 25 დაიდგამს] დაჲდგამს A.

ქვისა. ესრეთვე არს კაცი, რომელსა ჴორციელი ნებაჲ აქუნდეს და არა გამოიჴურვოს[1] იგი იოსებისებრ შიშითა ღმრთისაჲთა, დაიჴსნების[2] და განქარდების და-თუ-იდგინოს მთავრად. და[3] რამეთუ მრავალ არიან ესევითარისა მის განსაცდელნი, რომელი კაცთა შორის იყოფებოდის[4]. ამისთჳსცა კეთილ არს ცნობაჲ საზომისა თჳსისაჲ და სივლტოლაჲ სიმძიმისაგან მთავრობისა. ხოლო მტკიცენი იგი[5] სარწმუნოებასა ზედა შეუძრველად ჰგიან, ვითარცა-იგი გუესმის იოსებისთჳს ნეტარისა, რომლისათჳს უკუეთუ ვინ იგონებდეს, თქუას, თუ არა იყო იგი[6] ქუეყანიერი რაოდენგზის განიცადა და ესეღა რომელსა შინა ქუეყანასა, სადა იგი არცა თუ კუალი იპოებოდა ღმრთისმსახურებისაჲ, არამედ ღმერთი მამათა მისთაჲ იყო მის თანა და იჴსნიდა მას ყოვლისაგანვე ჭირისა. და აწ არს იგი მამათა თანა მისთა სასუფეველსა შინა ცათასა. და ჩუენცა უკუე ვიცნათ საზომი ჩუენი და ვიღუაწოთ ღუწოლაჲ[7] კეთილი ძალისაებრ, ძნიად თუ ოდენ[8] უძლოთ ესრეთ სივლტოლაჲ საშჯელთა[9] მათგან ღმრთისათა.

XXXIV. 1. შეიპყრა ოდესმე მთავარმან მის ქუეყანისამან კაცი ვინმე დაბისაგან **მამისა პიმენისა** და მოვიდეს ყოველნივე მის სოფლისანი და ევედრებოდეს მამასა პიმენს, რაჲთა[10] წარვიდეს და გამოიყვანოს იგი. ხოლო მან ჰრქუა მათ: მაცადეთ მე სამ დღე და ესრეთ მოვიდე თქუენ თანა. და დადგა ლოცვად მამაჲ პიმენ და იტყოდა ღმრთისა[11] მიმართ: უფალო, ნუ მომმადლებ მე თხოვასა /353/ ამას, უკუეთუ არა, არღარა მიტეონ მე[12] კაცთა ჯდომად ადგილსა ამას. შემდგომად ამისა[13] წარვიდა ბერი მთავრისა და ევედრებოდა მას კაცისა მისთჳს, რაჲთა განუტეოს. ჰრქუა მას მთავარმან: ავაზაკისათჳს მევედრებია მე, მამაო? ხოლო ბერი მხიარულ[14] იქმნა, რამეთუ ვერ მიემთხჳა სათხოველსა მას[15] თჳსსა.

2. თქუა **მამამან პიმენ**, ვითარმედ ძმამან ჰკითხა **მამასა ალონის** და ჰრქუა: რაჲ არს შეურაცხებაჲ, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: შეურაცხებაჲ არს, რაჲთა გაქუნდეს თავი შენი უდარეს პირუტყუთასაცა[16] და იცოდი, რამეთუ იგინი სასჯელად არა მოვლენ[17].

3. იტყოდა **მამაჲ იოსებ**, ვითარმედ: ვსხედით ოდესმე **მამასა**[18] **პიმენს** თანა და სახელ-სდვა **მამასა აგათონს.** ხოლო ჩუენ ვარქუთ მას: ჭაბუკ არს იგი და რაჲსათჳს უწოდ მას მამად? ხოლო მამამან პიმენ მრქუა ჩუენ: პირმან მისმან პატიოსანმან უწოდა მას მამად.

---

[1] გამოიჴურვოს] გამოიჴურვების C. [2] დაიჴსნების] დაჲჴსნების A; დაჲჴსენები სD. [3] და – E. [4] იყოფებოდის] იყოფებოდეს C. [5] იგი – D. [6] იგი – E. [7] ღუწოლაჲ] ღუაწლი E. [8] ოდენ – D. [9] საშჯელთა მათგან] სასჯელთაგან D. [10] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 196r-ზე (აკინძვის შეცდომა). [11] ღმრთისა] უფლისაE. [12] მე – E. [13] ამისა] ამისსა D. [14] მხიარულ იქმნა, რამეთუ-D. [15] მას – E. [16] პირუტყუთასაცა] პირუტყუთაჲსაცა D. [17] მოვლენ] მივლენ CDE. [18] მამისა პიმენის E.

4. თქუა **მამამან პიმენ**: ამისთჳს შევცჳვით მრავალთა განსაცდელთა, რომელ წესსა და სახელსა ჩუენსა არა ვიმარხავთ, ვითარცა იტყჳს წერილი, არცა ვხედავთ დედაკაცსა მას ქანანელსა, რომელმან შეიწყნარა სახელი იესუჲსი, თუ ვითარ განუსუენა მას მაცხოვარმან, არცა კუალად განვიცდით ავიგეანს, რომელმან ჰრქუა დავითს: „ჩემ ზედა არს ცოდვაჲ ესე[1]“, და ისმინა მისი და შეიყუარა იგი. და რამეთუ ავიგეა გამოისახვის სახედ სულისა, ხოლო დავით სახედ ღმრთეებისა. აწ უკუე უკუეთუ ჰკდემდეს კაცი[2] თავსა და სულსა თჳსსა წინაშე ღმრთისა, შეიყუარებს მას უფალი.

5. თქუა **მამამან პიმენ:** ნუ ჰრაცხავ[3] თავსა შენსა, არამედ შეეყავ კაცთა კეთილად მოქალაქეთა.

6. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს,** თუ რაჲ არს სიმაღლჱ[4]. ჰრქუა მას ბერმან: განმართლებაჲ თავისაჲ.

7. /353v/ თქუა **მამამან პიმენ,** ვითარმედ: **მამაჲ პაფნოტი** დიდ[5] იყო, გარნა მიივლტოდა იგი სუბუქთა მიმართ საქმეთა.

8. თქუა კუალად, ვითარმედ: ძმამან[6] ჰკითხა **მამასა ბესარიონს**, რომელი მკჳდრ იყო შორის კრებულსა და ჰრქუა: მამაო, რაჲ ვყო? ჰრქუა მას ბერმან: დუმენ და ნუ ჰრაცხავ თავსა შენსა.

9. კუალად თქუა: უკუეთუ თავი შენი დააკნინო, გაქუნდეს განსუენებაჲ, რომელსაცა ადგილსა შჯდე.

10. თქუა **მამამან პიმენ**: უკუეთუ ჰკდემდეს კაცი თავსა თჳსსა, ყოველგანვე მოითმენს. და უკუეთუ მისწუთეს კაცი სიტყუასა მას მოციქულისასა, თუ: ყოველივე წმიდა არს წმიდათათჳს, აქუს მას თავი თჳსი უდარეს ყოველთა დაბადებულთა. ჰრქუა მას ძმამან: და ვითარ შემერაცხოს თავი ჩემი[7] უძჳრეს კაცისმკლველისა? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ მისწუთეს კაცი სიტყუასა ამას და იხილოს კაცი, რომელ მოჰკლვიდეს კაცსა, იტყჳს[8]: ამას ესე ოდენ ცოდვაჲ უცოდავს, ხოლო მე დღითიდღე მკლველობათა[9] შინა ვარ. წარვიდა ძმაჲ იგი მამისა ანობისა[10] და ძიება-ყო სიტყუაჲ ესე და ჰრქუა, ვითარმედ: ესე და[11] ესე თქუა მამამან პიმენ. ჰრქუა მას მამამან ანუბ[12]: უკუეთუ მისწუთეს კაცი სიტყუასა მაგას და იხილნეს ნაკლულევანებანი ძმისა თჳსისანი, სიმართლესა თჳსსა შთაანთქმევს ბრალთა მისთა. ჰრქუა მას ძმამან: და რომელი არს სიმართლე თჳსი? მიუგო ბერმან: რაჲთა ყოლადვე და მარადის ჰკდემდეს კაცი თავსა თჳსსა.

11. ძმამან ჰრქუა **მამასა პიმენს**: უკუეთუ შთავვარდე ხენეშსა რასმე ცოდვასა, მჭამს შიგნით გულისსიტყუაჲ ჩემი და შემასმენს, თუ რად დავეცი. ჰრქუა მას ბერმან: რომელსა ჟამსა შევარდეს კაცი რასაცა ბრალსა და თქუას,

---

[1] ეგე C. [2] კაცი – C. [3] ჰრაცხავ] შეჰრაცხ C. [4] სიმაღლჱ] სიმაღლე CD. [5] დიდი C. [6] ძმამან + ვინმე E. [7] ჩემი] თჳსი C. [8] იტყოდის D. [9] მკლველობასა C. [10] ანობისა] ანობისსა C. [11] და –CD. [12] ანუბ] ანობ E.

თუ ვცოდე, მასვე ჟამსა განქარდა ცოდვაჲ იგი და ბრალი აურაცხელითა მით[1] მოწყალებითა ღმრთისაჲთა.

12. /354/ იყტოდეს **მამისა პიმენისთჳს,** ვითარმედ არა ოდეს ინების მიცემად სიტყუაჲ თჳსი სიტყუასა ზედა სხჳსა ბერისასა, არამედ უფროჲსღა ყოველსავე ზედა აქებნ სიტყუასაცა[2] და საქმესა სხჳსასა.

13. იტყოდეს ამას, ვითარმედ უკუეთუ მივიდიან ვიეთნიმე **მამისა პიმენისა**,[3] წარავლინნის[4] იგინი პირველად **მამისა ანუბისა**[5], რამეთუ იგი უხუცეს იყო მისა[6] დღითა. ხოლო მამამან ანუბ[7] ჰრქჳს მათ: წარვედით მამისა პიმენისა[8], ძმისა ჩემისა, რამეთუ მადლი მოძღურებისაჲ მისდა მინიჭებულ არს. უკუეთუ კულა ერთგან სხდიან, მამაჲ ანობ და მამაჲ პიმენ, ყოლადვე არას[9] იტყჳნ მამაჲ პიმენ, რამეთუ პატივ-სცემნ მას ვითარცა უხუცესსა თჳსსა[10].

14. ძმაჲ ვინმე მჯდომარე იყო განშორებულადრე დაბისაგან თჳსისა და ეტყჳნ ძმათა: აჰა ესერა, რაოდენი წელი მაქუს აქა და არა აღსრულ ვარ დაბასა მაგას და თქუენ აღხუალთ მუნ. მიუთხრეს ესე ძმათა **მამასა პიმენს** და ბერმან ჰრქუა მათ: უკუეთუმცა ვიყავ მე, წარ-მცა-ვედ ღამით და შემოვვლე[11] მრგულივ დაბაჲ იგი და ვერმცა იქადდა[12] გულისსიტყუაჲ ჩემი, თუ არა აღსრულ ვარ.

15. თქუა **მამამან პიმენ**: უჴმს კაცსა სიმდაბლჱ[13] და შიში ღმრთისაჲ ყოლადვე, ვითარცა სამშჳნველი, რომელი აღმოვალს ცხჳრთაგან მისთა.

16. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს**: ვითარ თანამაც, მამაო, ჯდომაჲ ადგილსა, რომელსა მკჳდრ ვიყო? ჰრქუა მას ბერმან: გაქუნდინ გონებაჲ უცხოჲსაჲ, სადაცა შჯდე[14] და ნუ ეძიებ სიტყუასა შენსა წინაჲთ ყოფად სხჳსა[15] და განისუენო.

17. კუალად თქუა: დაგდებაჲ თავისაჲ წინაშე ღმრთისა და არად რაცხვაჲ[16] თავისაჲ და სრულად დატეობაჲ[17] ნებისა თჳსისაჲ – ესენი არიან სამუშაკონი სულისანი.

18. ძმამან ჰკითხა მასვე მამასა პიმენს და ჰრქუა: მამაო, რაჲ თანამაც ქონებად[18], ვჯდე რაჲ სენაკსა შინა ჩემსა? ჰრქუა მას ბერმან: მე დასტურად კაცი ვარ სიღრმესა შინა /354v/ მწჳრეთასა დაფლული ყელადმდე და ტჳრთი მკიდავს მძიმჱ[19] ცოდვათაჲ ქედსა ჩემსა და ღმრთისა მიმართ ყოველთაჲსა ვჴმობ: შემიწყალე მე, უფალო!

---

[1] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 227r-ზე (აკინძვის შეცდომა). [2] სიტყუასაცა + ზედა E. [3] პიმენისა] პიმენისსა CDE. [4] წარავლინნი ს] წარავლინნენ C. [5] ანუბისა] ანუბისსა CD. [6] მისა] მისსაC;მისა – D. [7] ანუბ] ანობ CD. [8] პიმენისა] პიმენისსა CD. [9] არას] არარას C. [10] თჳსსა – C. [11] შემოვვლე] შემოვლეE. [12] იქადდა] იქადდაE. [13] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CDE. [14] შჯდე] სჯდეE. [15] სხჳსა – C. [16] რაცხვაჲ] შერაცხვაჲ C. [17] დატეობაჲ] დატევებაჲ C. [18] ქონებად] ყოფად CD. [19] მძიმჱ] მძიმე CDE.

19. თქუა **მამამან პიმენ**, ვითარმედ: თქუა **ნეტარმან**[1] **მამამან ანტონი**, ვითარმედ: დიდი ძლიერებაჲ კაცისაჲ ესე არს, რაჲთა დაიკრიბოს[2] კაცმან ბრალი თჳსი წინაშე უფლისა თავსა ზედა თჳსსა და მოელოდის განსაცდელსა ვიდრე უკუანაჲსკნელად აღმოფშჳნვადმდე[3].

20. კუალად[4] თქუა: სულთქუმით შემოვიდეს სოფელსა ამას შინა ყოველნივე სათნოებანი, თჳნიერ ერთისა სათნოებისა და გარეშე მისსა არა ვიცი, თუ ცხოვნდეს კაცი. ჰკითხეს მას და ჰრქუეს: რაჲ არს ერთი იგი, მამაო? ჰრქუა მათ ბერმან: რაჲთა აბრალებდეს კაცი მარადის თავსა თჳსსა.

21. ძმაჲ მივიდა **მამისა პიმენისა**[5] და ჰრქუა მას: რაჲ ვყო? ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და მიეახლე მეტყუელსა მას, თუ რაჲ მიჴმს მე, და გაქუნდეს განსუენებაჲ.

22. თქუა კუალად, ვითარმედ: იტყოდა **მამაჲ თეონა**[6], რამეთუ დაღაცათუ ვინ მოიგოს სათნოებაჲ, ღმერთი არა მისცემს მას მადლსა თჳსსა, ხოლო[7] იცის, ვითარმედ არა სარწმუნო არს თჳსი ნამუშაკევი. არამედ ოდეს წარვიდეს მოყუსისა და განიკითხოს მის თანა თავი თჳსი, მაშინღა მივალს[8] მას ზედა მადლი ღმრთისაჲ.

23. მანვე[9] თქუა: ნუ აღასრულებ ნებასა შენსა, რამეთუ საჭიროდ თანაგიც, რაჲთა დაუმდაბლო თავი შენი ძმასა შენსა[10].

24. კუალად[11] თქუა: უკუეთუ დაიმჭიროს[12] კაცმან წესი თჳსი, არა აღშფოთნეს[13] იგი.

25. თქუა კუალად: რომელი იხილა კაცმან და ვერ დაიცვა[14], ვითარ უძლოს მან იგი სწავლად მოყუასსა თჳსსა.

26. მანვე[15] თქუა: კაცი, რომელი მკჳდრობდეს მოყუასსა თანა, უჴმს[16], რაჲთა იქმნეს იგი ვითარცა ძეგლი ქვისაჲ, რომელი გინათუ იდიდოს[17], გინა /355/ იგინოს, არცა აღლაღნების და[18] არცა განრისხნების.

27. თქუა **მამამან პიმენ**, ვითარმედ: მე ვიცი, რომელ სადა შთაიგდების[19] სატანა, მუნვე შთავრდომად ვარ მეცა.

28. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: ძმანი მკჳდრ არიან ჩემ თანა, გნებავსა, რაჲთა უბრძანებდე მათ? ჰრქუა მას ბერმან: არა, არამედ პირველად ქმენ საქმით და მათ უკუეთუ ენებოს ცხორებაჲ, თჳთ განიგულონ თავთათჳს[20] თჳსთა. ჰრქუა მას ძმამან: და მათცა ჰნებავს, მამაო, რაჲთა უბრძანებდე. ჰრქუა მას ბერმან: ნუ, არამედ ექმენ მათ სახე[21] და ნუ შჯულისმდებელ.

---

[1] ნეტარმან – C. [2] დაიკრიბოს] დაჲკრიბოს A. [3] აღმოფშჳნვამდე D. [4] კუალად თქუა] რამეთუ D. [5] პიმენისსა CD. [6] თეონა+ და C. [7] ხოლო] რამეთუ CDE. [8] მოვალს E. [9] მანვე თქუა] ხოლო D. [10] შენსა – E. [11] კუალად თქუა] რამეთუ D. [12] დაიმჭიროს] დაჲმჭიროს A. [13] აღშფოთნეს] აღშფოთნების D. [14] დაიცვა] დაჲცვა A. [15] მანვე თქუა – D. [16] უჴმს + მას DE. [17] აქ E ნუსხა წყდება. [18] და – D. [19] შთაიგდების] შთაჲგდების A. [20] თავთათჳს თჳსთა] თავთა თჳსთათჳს C. [21] სახედ C.

29. თქუა **მამამან პიმენ**: უკუეთუ მოვიდეს შენდა ძმაჲ და იხილო თავი შენი ვერ აღშენებულად შემოსლვასა ზედა მისსა, ძიება-ყავ გულსა შინა შენსა და ცან, თუ რაჲ გულისსიტყუაჲ გაქუნდა პირველ შემოსლვისა მისისა. და მაშინ სცნა, თუ რაჲ არს მიზეზი ურგებობისაჲ[1] მის. და უკუეთუ ჰყო ესე სიმდაბლით და გონებითა მართლითა, იყო შენ უბრალო მოყუსისაგან და იტჳრთო თჳსი ნაკლულევანებაჲ. და რამეთუ უკუეთუ კრძალულებით ყოს კაცმან ჯდომაჲ თჳსი, არა სცთეს იგი ამისთჳს, რამეთუ ღმერთი წინაშე მისსა არს. ხოლო ვითარ[2] მე ვხედავ, ამის ესევითარისაგან ჯდომისა მოიგებს კაცი შიშსა ღმრთისასა.

30. თქუა **მამამან პიმენ**: ამისთჳს ვართ ესოდენთა შინა ჭირთა და შრომათა, რომელ არა თანააღვიტანებთ ძმათა ჩუენთა, არცა ვიტჳრთავთ მათ, ვითარცა წერილ არს და ვითარცა განუწესებიეს ჩუენდა ღმერთსა, ანუ არა ვხედავთა ქანანელსა მას დედაკაცსა, თუ ვითარ შეუდგა მაცხოვარსა და ევედრებოდა მას არა თავისათჳს თჳსისა, არამედ ასულისათჳს?! ამისთჳსცა მიითუალა მაცხოვარმან მოსწრაფებაჲ მისი და მიჰმადლა მას სათხოველი თჳსი.

31. კუალად თქუა, ვითარმედ: სხდეს ოდესმე /355v/ ბერნი ჭამად და დგა ზე და ჰმსახურებდა **მამაჲ ალონი**. და იხილეს რაჲ იგი ესრეთ, აქეს. ხოლო მან ყოლად არარაჲ მიუგო. ჰრქუა ვინმე მას თჳსაგან: რაჲსათჳს არარაჲ მიუგე ბერთა, რამეთუ გაქეს შენ. ჰრქუა მას მამამან ალონი: უკუეთუმცა რაჲ მიმეგო, ვიპოვებოდე მე მთნებელად ქებისა მის.

32. თქუა[3] კუალად: ქუეყანაჲ, რომელსა შინა ამცნო უფალმან ყოფაჲ მსხუერპლისაჲ, არს ჭეშმარიტი სიმდაბლჱ[4].

XXXV. იყო ვინმე წმიდათაგანი, რომელსა ეწოდებოდა **პამბო**. ამისთჳს იტყოდეს ბერნი, ვითარმედ სამ წელ ევედრებოდა იგი ღმერთსა: უფალო, ნუ მადიდებ მე ქუეყანასა ზედა. და ესოდენ ადიდა იგი ღმერთმან, ვიდრეღა ვერ შემძლებელ იყვნეს კაცნი მიხედვად პირსა მისსა დიდებულებისა[5] მისგან საკჳრველისა, რომელი აქუნდა.

XXXVI. გჳთხრა ჩუენ ესე **მამამან პეტრე** და თქუა, ვითარმედ: წარვედით ოდესმე შჳდნი განშორებულნი **მამისა სისოჲსა**[6], ოდეს იგი იყო კოლჳზმას[7] და ვევედრენით მას, რაჲთა გჳთხრას ჩუენ სიტყუაჲ და მან მრქუა ჩუენ: შენდობა ყავთ ჩემთჳს, რამეთუ მე კაცი ვარ უსწავლელი, არამედ მივედით მამისა ორისა[8] და მამისა ათრესა[9]. ხოლო იყო უძლურებასა შინა სნებისასა მამაჲ ორ ათრვამეტ წელ და რამეთუ მეცა მივედ ოდესმე და[10] შეუვრდი მამასა ორს, რაჲთა მითხრას მე სიტყუაჲ და მან მრქუა მე: რაჲ გითხრა

---

[1] ურგებობისაჲ] ორგულებისაჲ C. [2] ~ მე ვითარ CD. [3] თქუა კუალად] რამეთუ D. [4] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CD. [5] დიდებულებისა] დიდებისა C. [6] სისოჲსა] სისოჲსსა D. [7] კოლჳზმას] კოლჳზმანს A. [8] ორესა] ორესსა D. [9] ათრესა] ათრესსა CD. [10] და + მეცა C.

შენ, წარვედ და რომელსა ხედავ, იქმოდე. ღმერთი მისი არს, რომელი მიიხუეჭდეს[1] და აიძულებდეს[2] თავსა თჳსსა ყოველსა შინა. არა იყვნეს უკუე ერთისა საზღვრისანი მამაჲ ორ და მამაჲ ათრე, გარნა იყო დიდი მშჳდობაჲ მათ შორის, ვიდრემდის განვიდეს იგინი ჴორცთაგან. და რამეთუ მამასა ათრეს აქუნდა დიდი მორჩილებაჲ და სიმდაბლჱ ფრიადი აქუნდა მამასა ორს. და რამეთუ დავყვენ მე[3] მუნ მცირედნი დღენი მათ თანა და თუალსა[4] უგებდი მოქალაქობასა მათსა. და ვიხილე ერთგზის დიდი[5] საკჳრველებაჲ, რომელი ყო მამამან /356/ ათრე, რამეთუ მო-ვინ-მე-ართუა მას მცირედ თევზი და ინება, რაჲთამცა შეუქმნა ბერსა და ვითარცა დაადგა დანაჲ, რაჲთამცა განკუეთა თევზი, ჴმა-უყო მას მამამან ორ. ხოლო მან დაუტევა დანაჲ იგი შუვა[6] თევზისა მის და არღარა განკუეთა იგი სრულად. და დამიკჳრდა დიდი იგი მორჩილებაჲ მისი ამისთჳს, რომელ არა ჰრქუა[7] თუ: მცირედ მოთმინე იქმენ, ვიდრემდის გავკუეთო[8] თევზი. მერმე ვარქუ მამასა ათრეს: სადა ჰპოვე შენ ესევითარი ესე[9] მორჩილებაჲ? და მან მრქუა მე: არა არს ჩემი, არამედ ბერისაჲ. და წარმიყვანა მე და მრქუა: მოედ[10] და იხილე მორჩილებაჲ ბერისაჲ. და შეწუა თევზი იგი და მცირედ განრყუნა ნეფსით და დაუგო ბერსა წინა. და შეჭამა ბერმან და ყოლად არაჲ თქუა. მერმე ჰრქუა მას: კეთილ არსა, მამაო, ეგე? და ბერმან თქუა: ჰჱ, კეთილ არს ფრიად. შემდგომად ამისა[11] მოართუა ფრიად კეთილად[12] შემზადებული და ჰრქუა ბერსა: განვრყუენ ესე, მამაო. და ბერმან ჰრქუა მას: ჰჱ, განჰრყუენ მცირედ. მერმე მრქუა მე მამამან ათრე: ხედავა, თუ ვითარ ბერისაჲ არს მორჩილებაჲ იგი? და გამოვედ მიერ და რაჲცა ვიხილე, ვისწრაფე დამარხვად[13] ძალისაებრ. ესე ჰრქუა მამამან სისოჲ ძმათა მათ. ხოლო ერთი მათგანი შეუვრდა მას და ჰრქუა: ყავ სიყუარული და შენცა რაჲ გუარქუ ჩუენ ერთი სიტყუაჲ. და მან თქუა: რომელმან იპყრას თავი თჳსი აღურაცხავად, იგი აღასრულებს ყოველსავე წერილსა.

2. და კუალად სხუამან ჩუენგანმან ჰკითხა მას: რაჲ არს უცხოებაჲ, მამაო? და მან თქუა: უკუეთუ ვდუმნე და არა ვიურვოდი არარას, სადაცა წარვიდე, ესე არს უცხოებაჲ სრული.

3. მამაჲ პეტრე და **მამაჲ ეპიმახო**[14] ერთგან მკჳდრ იყვნეს რაითს[15] და ჭამდეს ოდესმე სიყუარულსა ბერნი ეკლესიას და აიძულეს[16] ამათცა მისლვად ტაბლასა /356v/ მას ბერთასა და მრავლისაგან[17] იძულებისა შეიწრებული წარვიდა მამაჲ პეტრე ოდენ მარტოდ. და ვითარცა აღდგეს

---

[1] მოიხუეჭდეს D. [2] აიძულებდეს] აჲძულებდეს AD. [3] მე – CD. [4] თუალსა] თუალს C. [5] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 228r-ზე (აკინძვის შეცდომა). [6] შუვა] შუა E. [7] ჰრქუა] თქუა D. [8] გავკუეთო] განვკუეთო CDE. [9] ესე – C. [10] მოედ] მოვედ D. [11] ამისა] ამისსა CD. [12] კეთილად] კეთილი C. [13] დამარხვად] დამარხვაჲ D. [14] ეპიმახო] ეპიმახოს C. [15] რაითს] რაჲთს AE. [16] აიძულეს] აჲძულეს AE. [17] მრავლისაგან] მრავლისა მისგან D.

მიერ, ჰრქუა მას მამამან ეპიმახოს, ვითარ მკადრე იქმენ და წარხუედ და დაშჯედ[1] ბერთა თანა? ხოლო მან მიუგო: უკუეთუმცა ვჯედ თქუენ თანა, ვითარცა უხუცესსა ძმანი მე მაწუევდეს პირველ კურთხევად და შემ-ცა-რაცხილ ვიყავ, ვითარცა უფროჲსი თქუენსა. ხოლო აწ წარვედ მახლობელად ბერთა და უმცირეს ყოველთაჲსა[2] ვიყავ და უმდაბლეს გონებითა.

3. თქუა **მამამან პეტრე**: არა გჳჭმს[3] აღლაღებაჲ ოდეს რაჲმე უფალმან ყოს ჩუენთჳს, არამედ მადლობაჲ გჳღირს, რომელ ყოლად ღირს-გუყვნა შერაცხვად რადცა წინაშე მისა[4]. ხოლო ამას ყოველთავე ზედა სათნოებათა თანაგუაც მოგონებად[5].

XXXVII. თქუა **მამამან პიმენ**, ვითარმედ: იტყოდა **მამაჲ პაფნოტი** რამეთუ, ყოველთავე დღეთა და წელთა, რომელთა შინა ცოცხალ იყვნეს ბერნი, ორგზის ოდენ მივიდოდე მათსა თუესა შინა და იყო სიშორე მათი ჩემგან, ვითარ ათორმეტ ოდენ მილიონ და ყოველსავე გულისსიტყუასა ჩემსა ვეტყოდე მათ და არარას სხუასა მეტყოდეს მე იგინი, არამედ ამას ოდენ, ვითარმედ: რომელსაცა ადგილსა წარხჳდე, ნურად[6] ჰრაცხავ[7] თავსა შენსა და ჰპოო განსუენებაჲ.

XXXVIII. პეტრე მღდელი მიდიელთა[8] ეკლესიისაჲ, მოქალაქობდა საკჳრველითა სიმდაბლითა, ვითარცა-იგი წერილ არს ცხორებასა წმიდისა მამისა ანტონისსა.

XXXIX. 1. წარვიდა ძმაჲ ვინმე **მამისა სისოჲსა**[9] მთასა **მამისა ანტონისა**[10] და ვითარცა უბნობდეს იგინი, ჰრქუა ძმამან მან მამასა სისოჲს: აწ არავე მიმწუთარ ხარა საზომსა მამისა ანტონისსა, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუმცა მაქუნდა ერთი გულისსიტყუათაგან მამისა ანტონისათა, /357/ ვიქმენ/მცა ყოვლითურთ ცეცხლ. თჳნიერ ვიცი კაცი, რომელ შრომით[11] ძალ-უც თავსდებად თჳსთაცა[12] გულისსიტყუათა.

2. ძმამან ჰკითხა **მამასა სისოჲს**: ვხედავ თავსა ჩემსა, მამაო, რომელ ჴსენებაჲ ღმრთისაჲ დადგრომილ არს ჩემ შორის. ჰრქუა მას ბერმან: არა დიდ არს ეგე, თუ გულისსიტყუაჲ შენი გაქუნდეს ღმრთისა თანა, ხოლო დიდ ჭეშმარიტად ესე არს, რაჲთა ხედვიდეს კაცი თავსა თჳსსა უდარეს ყოველთა დაბადებულთა. და რამეთუ ჰორციელიცა[13] შრომაჲ მიუძღჳს ამას ზედა სიმდაბლედ.

3. მივიდეს ვიეთნიმე **მამისა სისოჲსა**[14], რაჲთა ისმინონ მისგან სიტყუაჲ და მან არარაჲ ჰრქუა მათ, თჳნიერ ესე: შემინდვეთ[15] მე, მამანო. ხოლო მათ

---

[1] დაშჯედ] დასჯედ E. [2] ყოველთაჲსა] ყოველთასა C. [3] გჳჭმს] მიჭმს D. [4] მისა] მისსა CD. [5] მოგონებად] მოგებად CD. [6] ნურად] ნურარად C ; ნურარას D. [7] ჰრაცხავ] ჰრაცხ E. [8] მიდიელთა] დიელთა AE. [9] სისოისსაC;სისოჲსსა DE. [10] ანტონისა] ანტო-ნისსაCE. [11] შრომით] შრომითა E. [12] თჳსთაცა] თჳსთაC. [13] ჰორციელიცა] ჰორციელი CD. [14] სისოჲსა] სისოჲსსა CD. [15] შემინდ ვეთ] შემინდევით C.

იხილეს რაჲ სფირიდები[1] იგი მისი, ჰრქუეს მოწაფესა მისსა აბრაჰამს: რად იჴმარებთ სფჳრიდებსა ამას? და მან ჰრქუა მათ: აქა და იქი წარვაგებთ. ესმა რაჲ ესე ბერსა, თქუა: და სისოჲცა აქა და იქი ჭამს. და მათ ვითარცა ესმა[2] ბერისაგან სარგებელ-ეყო ფრიად და წარვიდეს სახედ თჳსა[3] სიხარულით აღშენებულნი სიმდაბლესა ზედა ბერისასა.

4. სამნი ვინმე ბერნი წარვიდეს **მამისა სისოჲსა**[4]**,** რამეთუ ასმიოდა მისთჳს და პირველმან მან თქუა: მამაო, ვითარ უძლო მე[5] განრომად მდინარესა მას ცეცხლისასა? და მან არაჲ მიუგო მას. კუალად მეორემან თქუა: ვითარ უძლო მე, მამაო, განრომად ღრჭენისა მისგან კბილთაჲსა და მატლისა მისგან უძილისა? და მესამემან თქუა: მამაო, რაჲ ვყო, რამეთუ ჴსენებაჲ ბნელისა მის გარესკნელისაჲ განმლევს მე? მიუგო ბერმან და ჰრქუა მათ: მე არცა ერთი მაჴსოვს ამათგანი, გარნა მოწყალე არს ღმერთი და მრავალსახიერ[6] და ვესავ, რაჲთა ყოს ჩემ თანა წყალობაჲ. ხოლო მათ ესმა რაჲ სიტყუაჲ ბერისაჲ, წარვიდეს შეწუხებულნი, გარნა ბერმან /357v/ არა ინება ესრეთ მჭმუნვარედ წარმგზავნაჲ[7] მათი. ამისთჳსცა უკუმოაქცინა იგინი და ჰრქუა: ნეტარ ხართ თქუენ, ძმანო, რამეთუ შემშურდა თქუენთჳს მაღალი ეგე სათნოებაჲ თქუენი, რამეთუ პირველმან თქუენმან თქუა მდინარისა მისთჳს ცეცხლისა და მეორემან ტარტაროზისა მისთჳს, ხოლო მესამემან ბნელისა მისთჳს განესკნელისა. და რამეთუ უკუეთუ ესევითართაგან ჴსენებათა უფლებულ არს გული თქუენი, შეუძლებელ არს თქუენგან[8] ცოდვაჲ ოდესცა. ხოლო მე რაჲ ვყო უნდომან ამან და გულფიცხელმან, რომელსა არცა თუ შემენდობვის ცნობად, თუ ყოლად არს სასჯელი კაცთათჳს და ამის გამო ყოველთა ჟამთა ვცოდავ. ხოლო იგინი შეუვრდეს მას და თქუეს: ვითარცა გუესმა ჩუენ, ეგრეცა[9] ვიხილეთ.

5. ძმამან ჰკითხა **მამასა სისოჲს თიბელსა**[10] და ჰრქუა: მამაო, მარქუ მე სიტყუაჲ. ჰრქუა მას ბერმან: რაჲ გრქუა შენ, ძმაო, რამეთუ ახალსა აღთქუმასა აღმოვიკითხავ და ძუელსავე ზედა მივვარდები.

6. მანვე ძმამან იგივე სიტყუაჲ ჰკითხა **მამასა სისოჲს**[11] **კლდისასა**. ჰრქუა მას ბერმან: მე, ძმანო, ცოდვათა შინა დავწვები და ცოდვათა შინა აღვდგები და სხუაჲ არაჲ[12] უწყი.

7. თქუა **მამამან სისოჲ:** ძებნე ღმერთი და ნუ ეძიებ, თუ სადა დამკჳდრებულ არს.

---

[1] სფირიდები იგი მისი...რად იჴმარებთ – C; სფჳრიდები E. [2] ესმა + ესე D. [3] თჳსა] თჳსად E. [4] სისოჲსა] სისოისსა C; სისოჲსსა D. [5] მე – C. [6] მრავალსახიერ] და კაცთმოყუარე და სახიერ CD. [7] წარმგზავნაჲ] წარგზავნაჲ CDE. [8] თქუენგან – D. [9] ეგრეცა+და CD. [10] თიბელისა] თებელისა CD. [11] სისოჲს] სისოის C. [12] არაჲ] არარაჲ C.

8. ძმამან ჰკითხა **მამასა სისოჲს** და ჰრქუა: მამაო, რაჲ[1] ვყო? ჰრქუა მას ბერმან: საქმესა, რომელსა შენ ეძიებ, დუმილი არს სრული და სიმდაბლჱ[2] მტკიცე, რამეთუ წერილ არს: ნეტარ არნ[3] ყოველნი, რომელთა დაიცვან[4] სამართალი და ყონ იგი. ესე დაიმარხე[5] და შეუძლო ცხოვნებად.

9. ჰრქუა ვისმე ძმასა **მამამან სისოჲ**: ძმაო, ვითარ ხარ? და მან ჰრქუა: დღეთა განვჰლევ, მამაო. ჰრქუა მას ბერმან: ჰჱ, თუმცა მეცა განვჰლევდი დღეთა /358/ და არა დღენი მე განმლევდენ[6], მადლიერმცა ვიყავ.

10. ძმამან ჰკითხა **მამასა სისოჲს**[7] და ჰრქუა: მამაო, მარქუ მე სიტყუაჲ[8]! ჰრქუა მას ბერმან: რაჲსა მაიძულებ[9] მე ცუდად სიტყუად? აჰა ესერა, რომელსა ხედავ, იქმოდე შენცა.

11. იტყოდეს **მამისა სისოჲსთჳს**[10]**,** ვითარმედ: ჴმა-ყო ოდეს ჴმითა დიდითა მჯდომარემან და თქუა: ჱ ჭირვეულებაჲღა ესე?! ჰრქუა მას მოწაფემან მისმან: რაჲ გჭირს, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: ერთსა კაცსა ვეძიებ სიტყუად მას თანა და ვერ ვჰპოებ.

12. მისვე **მამისა სისოჲსთჳს**[11] იტყოდეს, ვითარმედ: დასნეულდა და თანაუსხდეს მას ბერნი და ზრახვიდა იგი ვიეთმე თანა. ჰრქუეს მას[12] ბერთა: რასა ხედავ, მამაო? და მან ჰრქუა მათ: ვხედავ ვიეთმე მოსრულთა ჩემდა და ვევედრები მათ, რაჲთა მიტეონ მცირედ სინანულად. ჰრქუა მას ერთმან ბერთაგანმან: და უკუეთუ გიტეონ შენ[13], რაჲ ძალ-გიც აწ სინანულად, რამეთუ დაბერებულ ხარ? ჰრქუა მას ბერმან: დაღათუ არარაჲ ძალ-მიც ყოფად, გარნა სულთ-ვითქუნე სულსა ზედა ჩემსა მცირედ და იგიცა კმავე[14] არს ჩემდა.

13. ძმამან ჰკითხა **მამასა სისოჲს**[15]: რომელი არს, მამაო, გზაჲ მიმყვანებელი სიმდაბლედ? ჰრქუა[16] მას ბერმან: გზაჲ მიმყვანებელი სიმდაბლედ ესე არს მოღუაწებაჲ ძლიერი და ლოცვაჲ ღმრთისა მიმართ მიუდრეკელად[17] და უდარეს ყოველთა დაბადებულთა ქონებაჲ თავისაჲ.

XL. თქუა **მამამან სარმატა**[18]: მნებავს კაცი ცოდვილი, რომელმან იცის, თუ ცოდა და ინანის, ვიდრეღა კაცი, რომელმან არა ცოდა და აქუს თავი თჳსი ვითარცა მოქმედი სიმართლისაჲ.

XLI. თქუა **მამამან სერინოს**: ვყავ ყოველი ძალი ჩემი ცხორებასა შინა ჩემსა[19]: მკაჲ, თხზვაჲ, კერვაჲ. და ამას ყოველსა ზედა არა თუმცა ცხოველი[20]

---

[1] რაჲ] რა A. [2] სიმდაბლე CDE. [3] არნ] არიან D. [4] დაიცვან] დაჲცვან A. [5] დაიმარხე] დაჲმარხე A. [6] განმლევდენ] განმლევდესD. [7] სისოჲს] სისოის C. [8] აქ E ნუსხა წყდება. [9] მაიძულებ] მაჲძულებ A. [10] სისოჲსთჳს] სისოისთჳს C. [11] სისოჲსთჳს] სისოისთჳს C. [12] მას – D. [13] შენ – D. [14] კმავე არს] კმა არსვე D. [15] სისოჲს] სისოის C. 16 ჰრქუა მას ...სიმდაბლედ – D. [17] მიუდრეკელად] დაუცხრომელად C. [18] სარმატა] სარმატიC. [19] ~ ჩემსა შინა D. [20] ცხოველი] ურვეული C.

იგი მარჯუენე[1] ღმრთისაჲ მზრდიდა[2] მე, ვერმცა უძლე განძღომად, ვერცა პურითა.

XLII. 1. /358v/ თქუა **დედამან სჯნკილიტიკი**[3]: ვითარცა შეუძლებელ არს შექმნაჲ ნავისაჲ თჳნიერ ლურსმართა[4], ესრეთვე შეუძლებელ არს ცხოვრებაჲ თჳნიერ სიმდაბლისა.

2. მანვე[5] თქუა: ემსგავსე მეზუერესა, რაჲთა არა ფარისეველსა თანა დაისაჯო[6] და აღირჩიე სიმშჳდე იგი[7] მოსესი, რაჲთა გული შენი კლდექმნული[8], მწყურნებად წყალთა შეიცვალოს უფლისა მიერ.

XLIII. ძმამან ჰკითხა **მამისა ტითოჲს** და ჰრქუა: მითხარ მე სიტყუაჲ. და მან ჰრქუა მას: გაქუსა სარწმუნოებაჲ ჩემდამო[9]? მიუგო ძმამან: ჰჱ, მამაო! ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და რომელსა-ესე მხედავ მოქმედად, იქმოდე შენცა. ჰრქუა მას ძმამან: და რასა[10] ვხედავ შენ თანა, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: რამეთუ გულისსიტყუაჲ ჩემი უმდაბლეს არს ყოველთა კაცთასა.

XLIV. 1. თქუა **მამამან იპერექი**[11]: ხე არს სიმაღლედ აღმავალი[12] სიმდაბლე.

2. ბერმან თქუა: რომელსა აქუნდეს სიმდაბლჱ, დაამდაბლებს ეშმაკთა. ხოლო რომელსა არა აქუნდეს სიმდაბლჱ, იგი მოიკიცხვის ეშმაკთაგან.

3. კუალად[13] თქუა მანვე: ნუ ოდენ სიტყჳთ[14] ხარ მდაბალ, არამედ საქმითცა. და რამეთუ შეუძლებელ არს აღმაღლებაჲ შენი საქმეთა[15] შინა საღმრთოთა, თჳნიერ სიმდაბლისა.

1. იყო ვინმე ეპისკოპოსი რომელსამე შინა ქალაქსა და მანქანებითა ეშმაკისაჲთა დაეცა იგი[16] სიძვითა. დღესა უკუე ერთსა იქმნა ერისკრებაჲ და ლოცვაჲ ეკლესიას. და არცა ერთმან ვინ[17] იცოდა ცოდვაჲ იგი მისი, არამედ თჳთ თავით თჳსით აღიარა წინაშე ყოვლისა მის ერისა და თქუა[18]: უწყოდეთ, რამეთუ მე სიძვითა დავეცი და აღიძარცუა ომფორი თჳსი და დადვა ზედა საკურთხეველსა, და თქუა: არღარა ძალ-მიც ეპისკოპოსობაჲ[19] თქუენი, ძიება-ყავთ თავისა თქუენისა /359/ ეპისკო/პოსი[20]. და ჴმა-ყო ყოველმან ერმან ცრემლითა და თქუა: ჩუენ ზედა იყავნ ცოდვაჲ ეგე, ოდენ დაადგერ საეპისკოპოსოს[21]. და მან მიუგო ესრეთ: უკუეთუ გნებავს, რაჲთა დავადგრე საეპისკოპოსოს[22], რაჲცა გრქუა თქუენ, იგიცა ყავთ. და უბრძანა დაჴშვაჲ[23] კართა ეკლესიისათა, იყო რაჲ სამწყსოჲ სრული შემოკრებულად მას შინა და ერთსა კარსა ზედა კართაგან მცირეთა დააგდო თავი თჳსი პირსა ზედა

---

[1] მარჯუენე] მარჯუენაჲ D. [2] მზრდიდა მე – C. [3] სჯნკილიტიკი] სჯნილიტიკე CD. [4] ლურსმართა] ლუსმართა D. [5] მანვე თქუა] არამედ D. [6] დაისაჯო] დაჲსაჯო A. [7] იგი – D. [8] კლდექმნული] კლდექმნილი D. [9] ჩემდამო] ჩემდა მომართ C. [10] რასაცა D. [11] იპერექი] იპერიქე D. [12] აღმავალი] აღმყვანებელი C. [13] კუალად თქუა მანვე] ხოლო D. [14] სიტყჳთა D. [15] საქმეთა] საქმეთაცა D. [16] იგი – C. [17] ვინ – D. [18] თქუა + ყოველთა D. [19] ეპისკოპოსობაჲ] ებისკოპოსობაჲ D. [20] ეპისკოპოსი] ებისკოპოსი D. [21] საეპისკოპოჲ] საებისკოპოსოს D. [22] საეპისკოპოსოს] საებისკოპოსოს CD. [23] დაჴშვაჲ] დაჴშვად CD.

თჳსსა და ჰრქუა ყოველსა მას სიმრავლესა: არა აქუს ნაწილი ღმრთისა თანა, რომელმან არა დამზერგნოს მე გამოსლვასა მას თჳსსა. რომელიცა ესე ყვეს სიტყჳსაებრ და განწესებისა მისისა. და ვითარცა უკუანაჲსკნელ ყოველთაჲსა გამომავალი იგი გამოვიდოდა, ჴმაჲ მოიწია ზეცით, რომელი იტყოდა: დიდისათჳს სიმდაბლისა შენისა, შემინდობიეს მე ცოდვაჲ ეგე.

2. დიდმან ვინმე განშორებულმან ჰრქუა ეშმაკსა: რაჲსათჳს ესოდენ მბრძავ მე, ჱ ეშმაკო! და ესმა სატანას და ჰრქუა მას: უფროჲსღა შენ ხარ, რომელი ძლიერად[1] მბრძავ მე.

3. ორნი ძმანი იყვნეს ჴორციელნი ერთად და ინება ეშმაკმან განყრაჲ მათი, რამეთუ დღესა ერთსა ოდესმე აღანთო ბაზმაკი უმრწემესამან მან, ხოლო ეშმაკმან გარდააქცია ბაზმაკი იგი და შემუსრა საბაზმაკე. აღდგა ძმაჲ იგი უხუცესი და გუემა ძმაჲ იგი თჳსი მრისხანედ. ხოლო მან მიუდრიკნა მუჴლნი და ჰრქუა: სულგრძელ იქმენ, ძმაო, და კუალად აღვანთო ეგე. და აჰა ესერა, გამოვიდა ძალი უფლისაჲ და ტანჯა ეშმაკი იგი ვიდრე განთიადადმე. და წარვიდა ეშმაკი იგი და მიუთხრა მთავარსა მას მათსა, რაჲ-იგი იქმნა. და ესმა თხრობაჲ იგი ეშმაკისაჲ მღდელსა მას კერპთასა და განვიდა მასვე ჟამსა და იქმნა მონაზონ. და თავითგანვე[2] დაიმჭირა[3] სიმდაბლჱ[4] და იტყოდა, ვითარმედ: /359v/ სიმდაბლჱ[5] დაჰჴსნის ყოველსა[6] ძალსა მტრისასა. ვითარცა თჳთ ესმა მას პირისაგან ეშმაკისათაჲსა, ვითარმედ: მივალთ და აღვაშფოთებთ მონაზონთა და ვაქმნევთ[7] ცოდვასა. და წარვლენ იგი და მოუდრეკენ მუჴლთა[8] ერთსა მათგანსა და შემუსრვენ ყოველსავე ძალსა ჩუენსა და განაქარვებენ[9] ღონეთა ჩუენთა.

4. იტყოდეს ბერნი, ვითარმედ გჳრგჳნი არს მონაზონისაჲ სიმდაბლჱ.

5. კუალად ჰკითხეს ბერსა: ვინაჲ მოიგებს სიმდაბლესა სული? მიუგო ბერმან: უკუეთუ თჳსთა ოდენ ბოროტთა ზრუნვიდეს.

6. ბერმან თქუა: ვითარცა ქუეყანაჲ არაოდეს დაეცემის ქუე, ესრეთვე, რომელმან დაიმდაბლოს[10] თავი თჳსი.

7. ბერმან[11] თქუა: არა განრისხნების სიმდაბლჱ[12], არცა ვის ყოლად განარისხებს.

8. ბერსა მეუდაბნოესა სცა ყურიმალსა ბოროტად[13] განძჳნებულმან ეშმაკეულმან და ბერმან მიუპყრა ერთკერძოჲცა იგი. ხოლო ეშმაკმან ვერ თავს-იდვა შემწუველობაჲ იგი სიმდაბლისაჲ, არამედ მეყსეულად ივლტოდა.

9. ბერმან თქუა: უკუეთუ შემოგიჴდეს შენ გულისსიტყუაჲ ზუაობისაჲ, ძიება-ყავ სჳნიდისი შენი, უკუეთუ დაგიმარხვან-ძი[14] ყოველნივე[15] მცნებანი,

---

[1] ძლიერად – CD. [2] თავითგანვე] თავითგან C. [3] დაიმჭირა] დაჲმჭირა A. [4] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CD. [5] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CD. [6] ყოველსა – C. [7] ვაქმნევთ] ვაქნევთ D. [8] მუჴლთა] მუჴლსა C. [9] განქარვებენ + ყოველსა C. [10] დაიმდაბლოს] დაჲმდაბლოს A. [11] ბერმან თქუა – D. [12] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CD. [13] ბოროტად – C. [14] დაგიმარხვან-ძი] დაგიმარხვან-ძია C. [15] ყოველნივე] ყოველნი CD.

უკუეთუ[1] შეგიყუარებიან მტერნი შენნი და მომძიმარ ხარ ჭირსა ზედა მათსა. და უკუეთუ გაქუს თავი შენი მონად უჴმარად და უცოდვილესად ყოველთა და ნუცაღა მაშინ ზუაობ, ოდეს ესე ყოველი გექმნას, ვინაჲთგან იცი, რომელ ამპარტავანებაჲ უძჳრეს არს ყოველთა ცოდვათა.

10. ბერმან[2] თქუა: რომელი მეტად ღირსებისა იქოს, გინა პატივ-იცეს დიდად, იზღვიოს იგი, ხოლო რომელი ყოლად არა იპატიოს კაცთაგან, ზეგარდამო იდიდოს იგი ღმრთისაგან ყოველთაჲსა.

11. ბერსა ჰკითხა ძმამან: კეთილ არსა, მამაო, მუჴლთდრეკაჲ[3] მრავალი. ჰრქუა მას ბერმან: ვხედავთ ისო ნავესსა, რომელ ოდეს იდვა პირსა ზედა თჳსსა, მაშინ ეჩუენა ღმერთი.

12. /360/ ბერსა ვისმე ჰკითხეს გამოცდილსა და ჰრქუეს: რაჲსათჳს ესრეთ ვიბრძოლებით ეშმაკთაგან, მამაო? ჰრქუა მათ ბერმან: ამისთჳს, რამეთუ საჭურველი ჩუენი დავყარეთ, რომელ არს შეურაცხებაჲ და სიმდაბლჱ, უპოვარებაჲ და მოთმინებაჲ.

13. ბერსა[4] ჰკითხა ძმამან და ჰრქუა: რაჲ არს, მამაო, სიმდაბლჱ? მიუგო ბერმან: უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან და მიუტეო მას პირველ თხოვადმდე[5] შენდობისა.

14. ბერმან[6] თქუა: ყოველსავე ზედა განსაცდელსა, რომელი შეგემთხჳოს, ნუ ემდურვი კაცსა, არამედ თავსა ოდენ შენსა მარტოდ და იტყოდე[7], ვითარმედ: ცოდვათა ჩემთათჳს შემემთხუევის მე ესე ყოველი.

15. ბერსა[8] ჰკითხა ძმამან და ჰრქუა: რაჲ არს სიმდაბლჱ[9]? ჰრქუა მას ბერმან: კეთილისყოფაჲ ბოროტისმყოფელთაჲ. ჰრქუა მას ძმამან: და უკუეთუ ვერ მიიწიოს კაცი საზომსა ამას, რაჲ ყოს? ჰრქუა მას ბერმან: სივლტოლაჲ თანააც და დუმილი.

16. ბერსა[10] ჰკითხა ძმამან და ჰრქუა: რაჲ არს საქმჱ უცხოებისაჲ? ჰრქუა მას ბერმან: ვიხილე ძმაჲ, რომელი უცხოქმნილ იყო და იპოვა იგი ეკლესიად[11]. დახუდა დღე[12] დღესასწაული და მოიცალეს ძმათა სიყუარულად. და დაჯდა ძმაჲცა იგი უცხოჲ მათ თანა ჭამად სიყუარულისა. ხოლო ვიეთმე მათგანთა თქუეს: ვინღა წამოსუა ესე აქა? და ჰრქუეს მას: აღდეგ და განვედ გარე. და აღდგა და განვიდა იგი[13]. კუალად სხუათა შეუძნდა ესე და შემოიყვანეს იგი[14] შინავე. მერმე ჰკითხეს მას და ჰრქუეს: რასა იგონებდი გულსა შინა შენსა, ოდეს-იგი განგიყვანეს და შემოგიყვანეს? ხოლო მან მიუგო: ესე დავიდევ გულსა შინა ჩემსა და ვთქუ, ვითარმედ: შენ და ძაღლი ერთ ხართ, რომელი ოდეს განდევნონ, წარვალს, და ოდეს მოხადონ, მოვალს. ესმა რაჲ ესე ძმათა მათ[15], სარგებელ-ეყო სიმდაბლესა ზედა მისსა და ჰმადლობდეს ღმერთსა.

---

[1] უკუეთუ...მტერ – D. [2] ბერმან თქუა – D. [3] მუჴლთდრეკაჲ] მუჴლთმოდრეკაჲ CD. [4] ~ ჰკითხა ბერსა D. [5] თხოვადმდე] თხოვამდე C. [6] ბერმან თქუა – D. [7] იტყოდე] ეტყოდე C. [8] C ნუსხას მე-14 თხრობა აკლია. [9] სიმდაბლჱ] სიმდაბლე D. [10] ბერსა ჰკითხა ....უცხოებისაჲ – D. [11] ეკლესიად + და C. [12] დღე – CD. [13] იგი] გარე D. [14] იგი – D. 15 მათ – D.

17. /360v/ მივიდეს ოდესმე თებაიდას[1] კაცნი ვინმე ბერისა ვისამე და[2] ჰყვა ეშმაკეული, რაჲთამცა განკურნა ბერმან. და შემდგომად მრავლისა ვედრებისა მოდრკა ბერი და ჰრქუა ეშმაკსა მას: განვედ, ბოროტო, დაბადებულისაგან ღმრთისა! ჰრქუა ეშმაკმან ბერსა: აჰა ესერა, განვალ, გარნა გკითხავ შენ ერთსა სიტყუასა და მითხარ: ვინ არიან თიკანნი იგი ანუ ვინ არიან კრავნი იგი? ჰრქუა მას ბერმან: თიკანთაჲ ვიცი, რამეთუ მე ვარ, ხოლო კრავთათჳს მხოლომან უწყის ღმერთმან. ესმა რაჲ[3] ესე ეშმაკსა, ჴმაყო ჴმითა დიდითა და თქუა: აჰა ესერა, სიმდაბლისა[4] შენისათჳს განვალ მე. და მასვე ჟამსა განვიდა მისგან.

18. მკჳდრობდა ვინმე მონაზონი აგარაკსა კოსტანტინეპოლისასა თეოდოსი[5] ახლისა მეფისა ზე. და ვითარცა წარჰვლიდა გზასა მას მეფე, დაუტევა ყოველივე სპაჲ თჳსი და წარვიდა მხოლოჲ კარსა მას[6] მონაზონისასა და იწყო რეკად. ხოლო მან განაღო კარი და იცნა იგი[7], თუ ვინ იყო, გარნა შეიწყნარა ვითარცა ერთი მჴედართაგანი. და ვითარცა შევიდეს შინა, ყვეს ლოცვაჲ და დასხდეს და იწყო მეფემან კითხვად მისა[8], თუ ვითარ არიან მამანი ეგჳპტეს. მიუგო ბერმან: ყოველნივე ილოცვენ ცხორებისათჳს შენისა. და მან ჰრქუა მას: ვჭამოთ რაჲმე მცირედ. ხოლო ბერმან დაულბო პაქსიმადი და მცირე ზეთი და მარილი დაუგო[9] წინა და ჭამა და მისცა წყალი და სუა. მერმე ჰრქუა მას მეფემან: მიცნობა, თუ ვინ ვარ მე? მიუგო ბერმან: ღმერთი გიცნობს შენ. მაშინ ჰრქუა მას: მე ვარ თეოდოსი[10] მეფე. და მეყსეულად თაყუანის-სცა მას ბერმან. ჰრქუა მას მეფემან: ნეტარ ხართ თქუენ, რომელთა მოგიცლიეს ზრუნვათაგან მსოფლიოთა[11]. ჭეშმარიტად პალატთა შინა შობილ ვარ სამეუფოთა, ესევითარი სიჰამე და გემოჲ პურისა /361/ და წყლისაჲ არა მიხილავს[12], ვითარ დღეს და რამეთუ მეტად მეჰამა და გემოვნად შევჭამე[13]. მიერითგან იწყო მეფემან პატივისცემად მისა[14]. ხოლო ბერი აღდგა და ივლტოდა კუალად ეგჳპტედვე.

19. ბერი ვინმე[15] განშორებული იქცეოდა უდაბნოთა შინა ვითარცა შეცდომილი და იტყოდა თავსა შორის თჳსსა, ვითარმედ წარუმართებიან მას სათნოებანი. და ილოცა ღმრთისა მიმართ და თქუა: მაუწყე მე, უფალო, თუ რაჲღა მაკლს და ვყო. ხოლო ღმერთმან ინება დამდაბლებაჲ გულისსიტყჳსაჲ[16] მისისაჲ და ჰრქუა მას: წარვედ მას რომელსამე თანა არქიმანდრიტსა[17] და რაჲცა გრქუას შენ, იგიცა ყავ. და გამოუცხადა ღმერთმან არქიმანდრიტსა[18] და ჰრქუა: აჰა ესერა, განშორებული იგი მეუდაბნოე მოვალს შენდა და

---

[1] თებაიდას] თებაჲდას AD. [2] და+თანა D. [3] რაჲ – C. [4] სიმდაბლისა შენისათჳს] სიმდაბლისათჳს E. [5] თეოდოსი] თევდოსი CD. [6] მის CD. [7] იგი – C. [8] მისა] მისსა C. [9] დაუგო] დაუდგა D. [10] თეოდოსი] თვოდოსი CD. [11] მსოფლიოთა] სოფლისათა D. [12] ~ არა მიხილავს პურისა და წყლისაჲ E. [13] შევჭამე] ვჭამე CD. [14] მისა] მისსა C. [15] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 230r-ზე. [16] გულისსიტყჳსაჲ] გულისსიტყჳსა DE. [17] არქიმანდრიტსა] არქიმანდრიკსა D. [18] არქიმანდრიტსა] არქიმანდრიკსა D.

არქუ მას, რაჲთა აღიღოს შოლტი და წარვიდეს ძოვნად ღორთა. და ვითარცა მივიდა ბერი და ჰრეკა კარსა და შევიდა არქიმანდრიტსა[1] მას თანა, მოიკითხნეს[2] ურთიერთარს და დასხდეს. და ჰრქუა მეუდაბნოემან არქიმანდრიტსა[3]: მარქუ მე სიტყუაჲ, მამაო, რომლითა ვცხოვნდე. ჰრქუა მას არქიმანდრიტმან[4]: რაჲცა გრქუა შენ, ჰყოა? და მან ჰრქუა მას[5]: ჰჱ, ვყო. მერმე ჰრქუა მას: აღიღე შოლტი ისი და ჭუვარგენი და წარვედ და აძოენ ღორნი. წარვიდა უკუე განშორებული იგი მეუდაბნოე და აძოებდა ღორთა. ხოლო რომელნი იცნობდეს მას და ესმოდეს[6] მისთჳს, იხილეს რაჲ იგი ძოვნად ღორთა, თქუეს: იხილეთღა დიდი იგი მეუდაბნოე, რომლისათჳს გუესმოდა, აჰა ესერა, განცოფნა და ეშმაკი შეუჯდა[7] და აძოებს ღორთა. იხილა რაჲ ღმერთმან სიმდაბლჱ[8] იგი[9] მისი, რომელ ესრეთ დაუთმო ყუედრებასა და კიცხევასა კაცთასა, მიანიჭა მას მადლი თჳსი[10] და /361v/ წყალობაჲ და განუტევა წარსლვად ადგილსავე თჳსსა.

20. ბერმან თქუა: ნუ იტყჳ გულსა შინა შენსა ძმისათჳს შენისა და მოყუსისა, თუ მე უმღჳძარეს[11] ვარ და უფრო მოღუაწე, არამედ დაუმდაბლდი მადლსა ქრისტესსა სულითა გლახაკობისაჲთა და სიყუარულითა მიუდრეკელითა, რაჲთა არა შეჰვარდე სულსა სიქადულისასა და წარსწყმიდო შრომაჲ შენი, რამეთუ წერილ არს: „რომელსა ეგონოს დგომაჲ, ეკრძალენ, ნუუკუე დაეცეს! “, არამედ მარილითა მით უფლისამიერითა იყავ შეზავებულ.

21. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: მამაო, მარქუ მე[12] სიტყუაჲ ცხორებისაჲ. ჰრქუა მას ბერმან: დაღათუ ვთქუათ, ვერვე დავიმჭირავთ, რამეთუ მარილეან[13] არს ქუეყანაჲ ჩუენი.

22. ბერთა თქუეს: ოდეს არა გუაქუნდეს ბრძოლაჲ, უფროჲსღა მაშინ გჳღირს[14] სიმდაბლჱ, რამეთუ იხილა ღმერთმან უძლურებაჲ ჩუენი და დამიცვნა ჩუენ. უკუეთუ კულა ვიქადოდით, აღიღებს საფარველსა თჳსსა ჩუენგან და წარვწყმდებით[15].

23. ძმასა ვისმე გამოუჩნდა ეშმაკი, რამეთუ შეიცვალა ანგელოზად ნათლისა და ჰრქუა: მე ვარ გაბრიელ, მთავარი ანგელოზთაჲ და მოვივლინე შენდა. ხოლო ძმამან მან[16] ჰრქუა: იხილე, ნუსადა სხუაგან წარივლინე, რამეთუ მე არა ვარ ღირს ხილვად[17] ანგელოზისა. ხოლო იგი[18] მეყსეულად უჩინო იქმნა.

---

[1] არქიმანდრიტსა] არქიმანდრიკსა D. [2] მოიკითხეს E. [3] არქიმანდრიტსა] არქიმანდრიკსა D. [4] არქიმანდრიტსა] არქიმანდრიკმან D. [5] მას – D. [6] ესმოდეს] ესმოდა D. [7] შეუჯდა] შეუკდა DE. [8] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CD. [9] იგი – D. [10] თჳსი] მისი D. [11] უმღჳძარეს] უმღჳძარე E. [12] მე] ჩუენ CDE. [13] მარილეან] მარილიან CD. [14] გჳღირს] ჯერ არს C; გჳჯმს D. [15] წარვწყმდებით + ჩუენ D. [16] მან – CD. [17] ~ ანგელოზთა ხილვად D. [18] ~ მეყსეულად უჩინო იქმნა იგი C.

24. იტყოდეს ბერნი, ვითარმედ: დაღაცათუ ჭეშმარიტებით ანგელოზი იყოს გამოჩინებული იგი, ნუვე შეიწყნარებ, არამედ დაიმდაბლე[1] თავი შენი და თქუ: მე არა ვარ ღირს ხილვად ღმრთისა ანგელოზისა, რამეთუ ცოდვათა შინა ვიყოფვი.

25. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე, ვითარმედ ჯდა რაჲ სენაკსა შინა თჳსსა და იღუწიდა, ხედვიდა ეშმაკთა ცხადად და ჰკდემდა მათ. /362/ იხილა რაჲ ეშმაკმან ძლეულებაჲ[2] თჳსი, სხუებრ შეიცვალა სახე. წარმოუდგა ბერსა და ჰრქუა მას: მე ვარ ქრისტე. იხილა რაჲ-იგი ბერმან, დაიწუხნა[3] თუალნი თჳსნი. ჰრქუა მას ეშმაკმან: რაჲსათჳს დაიხუჭავ[4] თუალთა, მე ვარ ქრისტე. ჰრქუა მას ბერმან: მე ქრისტეს ხილვაჲ აქა არა მწადიან[5]. ესმა რაჲ ესე ეშმაკსა, აგინა ბერსა და ივლტოდა.

26. სხუასა ვისმე ბერსა ეტყოდეს ეშმაკნი: გნებავსა ხილვაჲ ქრისტესი? ჰრქუა მათ ბერმან: შეჩუენებულ იყვენით თქუენ და თქუენი ქრისტე, რამეთუ ჩემისა ქრისტესი მრწამს, რომელმან თქუა: „უკუეთუ გეტყოდიან თქუენ, თუ აჰა აქა არს ქრისტე, აჰა იქი არს[6], ნუ გრწამს“[7]. და მეყსეულად უჩინო იქმნეს იგინი.

27. გჳთხრეს ჩუენ ესე ბერისა ვისთჳსმე, ვითარმედ იმარხნა სამეოცდაათნი შჳდეულნი, ერთგზის ოდენ ჭამნ შჳდეულსა შინა და ითხოვდა რასმე სიტყუასა წერილისასა და არა გამოუცხადა მას ღმერთმან იგი. უკუანაჲსკნელ თქუა თავსა შორის[8] თჳსსა: უკუეთუ ესოდენნი[9] შრომანი ვყვენ და ვერარაჲ ვქმენ, წარვიდე აწ ძმისა ჩემისა და ვჰკითხო მას. და ვითარცა გამოიჯშა კარი სენაკისაჲ და წარვიდოდა, მეყსეულად მოივლინა მისა[10] ანგელოზი უფლისაჲ და ჰრქუა[11]: სამეოცდაათნი იგი[12] შჳდეულნი, რომელნი იმარხენ, ვერ მიეახლნეს ღმერთსა ესოდენ[13], რაოდენ-ესე ოდეს დაიმდაბლე[14] თავი შენი და გამოხუედ წარსლვად ძმისა შენისა. და აჰა ესერა, მოვივლინე თხრობად შენდა სიტყჳსა მის[15]. და ვითარცა გულსავსეყო იგი, განეშორა მისგან.

28. ბერმან თქუა: უკუეთუ სიმდაბლით და შიშითა ღმრთისაჲთა დასდვა ძმასა შენსა საქმე რაჲმე, სიტყუაჲ იგი ღმრთისათჳს[16] გამოსრული პირით შენით მორჩილ-ჰყოფს შენდა ძმასა /362v/ შენსა და იქმს, რაჲ-იგი დასდვა მას[17] საქმე. უკუეთუ კულა ვის ენებოს ბრძანებაჲ ძმისაჲ არა შიშითა ღმრთისაჲთა, არამედ პატრონობით და უფლობით[18] ჴელ-ყოს დამონებაჲ მისი, ღმერთი რომელი ხედავს დაფარულთა გულისათა, არა გულსავსე-

---

[1] დაიმდაბლე] დაჲმდაბლე A. [2] ძლეულებაჲ] კდემულებაჲ E. [3] დაიწუხნა] დაჲწუხნა A. [4] დაიხუჭავ] დაჲხუჭავ A. [5] მწადიან] მნებავს D. [6] არს – D. [7] მათ. 24,23. [8] ~ თჳსსა შორის E . [9] ესოდენნი] ესე ოდენნი E. [10] მისა] მისსა CD. [11] ჰრქუა + მას E. [12] იგი – D. [13] ესოდენ] ესე ოდენ E. [14] დაიმდაბლე] დაჲმდაბლე AE. [15] მის – D. [16] ღმრთისათჳს – D. [17] ~ მას რაჲ-იგი დასდვა CD. [18] უფლობით] უფლებით CD.

ჰყოფს მას მორჩილებად მისა[1]. და რამეთუ ცხად არს საქმე ღმრთისათჳს ქმნული და ცხად არს პატრონობითი, რამეთუ ღმრთისაჲ სიმდაბლით იქმნების და ვედრებით, ხოლო პატრონობითი[2] მრისხანებითა და შფოთითა აღსავსე არს ამისთჳს, რამეთუ უკუეთურისაგან არს.

29. ბერმან თქუა[3]: აღმირჩევიეს, რაჲთა ვიძლიო სიმდაბლით და არა რაჲთა ვსძლო ამპარტავანებით.

30. ბერმან თქუა[4]: ნუ შეურაცხ-ჰყოფ[5] წინაშემდგომელსა შენსა[6], რამეთუ არა უწყი, თუ შენ ზედა არს სული[7] ღმრთისაჲ, თუ მის ზედა. ხოლო ვიტყჳ მე მსახურსა შენსა.

31. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: უკუეთუ დავემკჳდრო ძმასა[8] თანა და ვიხილო საქმე რაჲმე უჯეროჲ, გნებავსა რაჲთა ვამხილო მას? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ იყოს შენსა უხუცე[9] ანუ თუ მოჰასაკჱ[10], უფროჲსღა დუმენ და გაქუნდეს განსუენებაჲ, რამეთუ ესრეთ თავი შენი უდარეს ჰყო და უურავ. ჰრქუა მას ძმამან: რაჲ უყო, მამაო, რამეთუ მაშფოთებენ მე[11] სულნი[12]? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ ვერ დაითმენ[13], მოაჴსენე ერთგზის სიმდაბლით. უკუეთუ არა ისმინოს[14], დაუტევე შრომაჲ შენი წინაშე ღმრთისა. ხოლო ეკრძალე, რაჲთა[15] არა განაცხადო, რაჲთა იყოს ზრუნვაჲ შენი საღმრთოდ. ხოლო ვითარცა მე[16] ვხედავ, კეთილ არს უფროჲსღა დუმილი, რამეთუ სიმდაბლე არს იგი.

32. ძმაჲ[17] შეწუხებულ იყო ძმისათჳს და ვითარცა ესმა მას, მივიდა თხოვად შენდობისა, ხოლო მან არა განუღო კარი. წარვიდა /363/ უკ/უე ძმაჲ იგი ბერისა ვისამე[18] და მიუთხრა მას საქმე იგი. მიუგო ბერმან და ჰრქუა მას: იხილე, ნუსადა გაქუნდეს გულსა შინა შენსა განმართლებაჲ თავისაჲ და ბრალეულ-ჰყოფდე ძმასა შენსა და იტყოდი[19], ვითარმედ იგი არს მიზეზი ბრალისაჲ და ამისთჳს არა გულსავსე იქმნა განღებად შენდა. თჳნიერ ესე არს რომელსა[20] გეტყჳ შენ, დაღაცათუ მან ცოდა შენდამი, წარვედ და დააჯერე გულსა შენსა, ვითარმედ შენ სცოდე მისა მიმართ და ძმაჲ შენი განამართლე და მაშინ გულსავსე-ყოს იგი ღმერთმან სიყუარულად შენდა. და ერჩდა ძმაჲ იგი ბერსა და ყო ეგრეთ, ვითარცა უბრძანა მას. და წარვიდა და ჰრეკა[21] კარსა მის ძმისასა და ვითარცა აგრძნა ოდენ[22] მან შინაჲთკერძო, პირველად მან ითხოვა შენდობაჲ და განაღო კარი და მოიკითხა იგი სულითა სრულითა და იქმნა შორის ორთავე მათ დიდი მშჳდობაჲ და სიყუარული.

---

[1] მისა] მისსა D. [2] პატრონობითი + და D. [3] ბერმან თქუა – D. [4] თქუა – C; ბერმან თქუა – D. [5] შეურაცხ-ჰყოფ] შეურაცხ-ჰყოფთ D. [6] წინაშემდგომელსა შენსა] შუა-შემდგომელთა შენთა D. [7] სული] მადლი CD. [8] ძმისა E. [9] უხუცე] უხუცეს E. [10] მოჰა-საკჱ] მოჰასაკე C. [11] მე – C. [12] სულნი] ძმანი E. [13] დაითმენ] დაჲთმენ AE. [14] ისმინონ E. [15] რაჲთა – C. [16] ~მე ვითარცა ვხედავ D. [17] ძმაჲ + ვინმე D. [18] ვისამე] ვისსამე CD. [19] იტყოდი] იტყოდე C. [20] რომელსა] რომელ E. [21] დაჰრეკა DE. [22] ოდენ – D.

33. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე, ვითარმედ ითხოვა ღმრთისაგან მადლი რაჲმე შჳდ წელ და მოეცა მას. მერმე წარვიდა ბერისა ვისამე[1] დიდისა და მიუთხრა მას მადლისა მისთჳს. ესმა რაჲ ესე ბერსა მას, შეწუხნა ფრიად და თქუა: დიდი შრომაჲ არს ეგე. მერმე ჰრქუა მას: წარვედ შჳდ წელ სხუა[2] და ევედრე ღმერთსა, რაჲთა აღიღოს ეგე შენგან, რამეთუ არა უმჯობეს არს შენდა. წარვიდა უკუე ძმაჲ იგი და ყო ეგრეთ, ვიდრემდის აღებულ იქმნა მისგან[3] საქმე იგი.

34. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რაჲ არს წარმატებაჲ კაცისაჲ? ჰრქუა მას ბერმან: წარმატებაჲ კაცისაჲ არს სიმდაბლჱ[4], რამეთუ რაოდენცა[5] ვინ შთავიდეს სიმდაბლედ, ესოდენ წარემატების იგი სიმაღლედ.

35. ბერმან თქუა[6]: ანუ სივლტოლით ევლტოდე კაცთა, ანუ ბასრობით ჰბასრობდი სოფელსა[7] და კაცთა და თავი შენი სულელ-ყავ ღმრთისათჳს.

36. ბერმან თქუა[8]: უკუეთუ ჰრქუა ვისმე სიმდაბლით /363v/ „შემინ/დვე“, დასწუავ ეშმაკთა.

37. ბერმან თქუა: უკუეთუ მოიგო დუმილი, ნუ გაქუს თავი შენი სათნოებისა[9] მოქმედად, არამედ თქუ[10], ვითარმედ: ყოლადვე არა ღირს ვარ, არცა თუ თქუმად სიტყჳსა.

378. ბერმან თქუა: უკუეთუმცა არა დაუბურვიდეს[11] თუალთა მოფქავსა მას პირუტყუსა, მო-მცა-იქცეოდა და შეშჭამდა სასყიდელსა თჳსსა. ესრეთვე და ჩუენცა განგებულებით მივიღებთ საბურველსა, რაჲთა არა ვხედვიდეთ, რომელსა-იგი ვიქმთ კეთილსა და ვჰნატრიდეთ თავთა ჩუენთა. და ამისთჳს წარვწყმიდოთ ჩუენ[12] სასყიდელი ჩუენი. და რამეთუ ამისთჳს მივიშუებით[13] ჟამად-ჟამად მწიკულევანთა[14] გულისსიტყუათა[15], რაჲთა მათ ოდენ ვხედვიდეთ და თავთა ჩუენთა დავშჯიდეთ[16], და იგი ხენეშნი გულისსიტყუანი იქმნებიან ჩუენდა საბურველ მცირეთა მათ[17] კეთილთა ჩუენთა. და რამეთუ ოდეს კაცი ჰკდემდეს და ჰყუედრიდეს თავსა თჳსსა, არა წარსწყმედს სასყიდელსა თჳსსა.

39. ჰკითხეს ბერსა: რაჲ არს სამდაბლჱ[18]? ხოლო მან ჰრქუა მათ: სიმდაბლჱ[19] დიდი საქმჱ[20] არს და საღმრთოჲ, ხოლო გზა სიმდაბლისა არიან შრომანი პორციელნი და[21] რაჲთა აქუნდეს თავი თჳსი უცოდვილეს და უქუეს ყოველთა. ჰრქუა[22] მას ძმამან: რაჲ არს თუ უქუეს ყოველთა? ჰრქუა მას ბერმან: ესე არს, რაჲთა არა მიხედვიდეს უცხოთა ცოდვათა, არამედ

---

[1] ვისამე] ვისმე DE; ვისსამე C. [2] სხუა] კულა E. [3] მისგან – D. [4] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CDE. [5] რაოდენცა] რავდენცა D. [6] ბერმან თქუა – D. [7] ~ კაცთა და სოფელსა E. [8] ბერმან თქუა – D. [9] ~ მოქმედად სათნოებისა E . [10] თქუ] სთქუ D. [11] დაუბურვიდეს] უბურვიდეს E. [12] ჩუენ – CD. [13] მივიშუებით] მოვიშუებთო D. [14] მწიკულევანთა] მწინკულევანთა E. [15] ~ გულისსიტყუათა მწიკულევანთა D. [16] დავშჯიდეთ] დავსჯიდეთ DE. [17] ამათ E. [18] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CDE. [19] სამდაბლჱ] სიმდაბლე CDE. [20] საქმჱ] საქმეCDE. [21] და – D. [22] ჰრქუა მას .... ყოველთა – C.

თჳსთა ოდენ განიცდიდეს[1] ყოლადვე და რაჲთა მოუკლებელად ევედრებოდის ღმერთსა.

40. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: მითხარ მე საქმე, მამაო, რაჲთა დავიცვა იგი და ვცხოვნდე[2] მის მიერ. და[3] ბერმან ჰრქუა მას: უკუეთუ ძალ-გიც, რაჲთა იგინო და დაითმინო[4], უფროჲს არს ესე ყოველთა სათნოებათა.

41. ბერმან[5] თქუა: შეურაცხებაჲ, გინებაჲ და ზღვევაჲ, რომელმან სურვილით თავს-იდვას, მას ძალ-უც ცხოვნებად[6].

412. ბერმან[7] თქუა: ნუ გაქუს /364/ მეცნიერებაჲ მამასახლისისა[8] თანა, ნუცა განაჯშირებ[9] მისსა მისლვასა, რაჲთა არა შეგექმნეს[10] კადნიერებაჲ და სურვილი წინამძღურობისაჲ[11].

43. ძმაჲ ვინმე იყო კრებულთა მონასტერსა[12] და ყოველსავე სიმძიმესა ძმათასა დაიკრებნ[13] თავსა ზედა თჳსსა და ვიდრე სიძვადმდეცა[14] შეასმენნ თავსა თჳსსა და იტყჳნ, ვითარმედ: მე[15] მიქმნიეს იგი. ხოლო ვიეთნიმე ძმათაგანნი უმეცარ იყვნეს საქმესა მისსა, იწყეს დრტჳნვად მისთჳს და იტყოდეს: რაოდენი ბოროტი უქმნიეს ამას და არცაღათუ შურების. ხოლო მამამან მონასტრისამან იცოდა საქმე მისი და ეტყოდა ძმათა: მთნავს ერთი ფსიათი მისი სიმდაბლით, ვიდრე მრავალი თქუენი ამპარტავანებით. და უკუეთუ გნებავს, გულსავსე-გყვნეცა ღმრთისა მიერ. და მოიღო[16] სამ-სამი[17] ფსათიაჲ[18] ძმათაჲ მათ და ერთი ფსიათი ძმისაჲ მის[19] და აღაგზნა ლამპარი ცეცხლისაჲ და შთააბნია[20] ყოველი იგი მას შინა და დაიწუა[21] სრულიად იგი ყოველი თჳნიერ ერთისა მის ფსიათისა ძმისა. და ვითარცა იხილეს ესე ძმათა, შეეშინა ფრიად, მოუდრიკნეს მუჯლნი და ითხოვეს მისგან შენდობაჲ. და მიერითგან ვითარცა მამასა ხედვიდეს მას[22] იგინი.

44. მონაზონი ვინმე მოწყლულ იქმნა ვისგანმე. უპყრა ჯელითა წყლულსა, წარვიდა და მიუდრიკნა მუჯლნი და ითხოვა შენდობაჲ მომწყლველისა მისგან.

45. ბერმან[23] თქუა: ნუ ოდეს დაიდებ[24] გულსა შენსა შესმენასა ძმისათჳს[25] შენისა რასაცა გუარსა ზედა[26] საქმესა.

46. ჰკითხა ვინმე ბერსა და ჰრქუა, ვითარ იტყჳან ვიეთნიმე, მამაო, ვითარმედ იხილვენ ხილვასა ანგელოზთასა? ჰრქუა მას ბერმან: ნეტარ არს, ძმაო[27], იგი, რომელი ხედვიდეს ცოდვათა თჳსთა[28] ყოლადვე და მარადის.

---

[1] განიცდიდეს +ცოდვათა D. [2] ვცხონდე E. [3] და – D. [4] დაითმინო] დაჲთმინო A. [5] ბერმან თქუა – D. [6] ცხოვნებად] ცხოვნებაჲ D. [7] ბერმან თქუა – D. [8] მამასახლისისა] მამასახლისსა E. [9] განაჯშირებ] განამრავლებ C. [10] შეგექმნეს] შეგექმნას DE. [11] წინამძღურობისაჲ] წინამძღურებისაჲ C. [12] მონასტერსა] მონასტრისაჲ D. [13] დაიკრებნ] დაჲკრებნ A. [14] სიძვამდეცა D. [15] მე – CD. [16] მოიღო] მიიღო C. [17] სამ-სამი] სამი CD. 18 ფსათიაჲ] ფსიათი DE. [19] მის – D. [20] შთააბნია] შთააგდო E. [21] დაიწუა] დაჲწუა A. [22] მას – C. [23] ბერმან თქუა-D. [24] დაიდებ] დაჲდებ AE. [25] ძმისათჳს შენისა] ძმისა შენისათჳსC. [26] ~ საქმესა ზედა E. [27] ~ იგი ძმაო C. [28] ~თჳსთა ცოდვათაC.

47. ბერი ვინმე იყო იორდანისა[1] პირთა და სიცხისაგან ფრიადისა შევიდა იგი /364v/ ქუაბსა, რომელსა შინა პოვა ლომი მწოლარედ[2] დიდი. და ვითარცა იხილა ბერი ლომმან, იწყო მის ზედა[3] ღრჭენად კბილთა და ზახილად. ჰრქუა მას ბერმან: რაჲსათჳს შეწუხებულ ხარ, არს ადგილი, სადა ესე ეტევი შენცა და მეცა. ხოლო უკუეთუ არა გნებავს, აღდეგ და ვიდოდე. და მასვე ჟამსა აღდგა ლომი[4] და გამოვიდა მიერ.

48. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რაჲსათჳს მიუდრეკ მუჴლთა, რომელსა აქუნდეს ჩემთჳს ძჳრი და ვხედვიდე მას, რომელ[5] არა განიწმედს[6] გულსა ჩემდამო. ჰრქუა მას ბერმან: მითხარ მე ჭეშმარიტი, არა გაქუსა გულსა შინა შენსა თავი შენი მართლად, ოდეს ითხოვდე მისგან[7] შენდობასა, ვითარმედ იგი უსამართლო არს შენდამი და მცნებისათჳს მიხუალ და ითხოვ მისგან შენდობასა? ჰრქუა მას ძმამან: ჰᲩ, ესრეთ არს, მამაო. ჰრქუა მას ბერმან: ამისთჳს უკუე არა გულსავსე-ჰყოფს მას ღმერთი, რაჲთა განიწმიდოს გული თჳსი შენდამი, რამეთუ შენ არა მოუდრეკ მას მუჴლთა გულსავსებით, ვითარმცა შენ შეგეცოდა მისდა[8], არამედ უფროჲსღა გაქუს თავი შენი, ვითარმცა მან ცოდა შენდამი, თჳნიერ საძიებელი ერთი არს, რაჲთა დააჯერო გულსა შენსა, ვითარმედ შენ ხარ, რომელმან სცოდე მისა[9] მიმართ და ძმაჲ შენი განამართლე[10]. მაშინ ღმერთმან გულსავსე-ყოს იგი და განიწმიდოს გული მისი[11] შენთჳს. და მიუთხრა მას ბერმან სახეცა[12] ესვითარი, ვითარმედ: იყვნეს ვინმე ერისკაცნი ღმრთისმოშიშნი და შეითქუნეს იგინი და შეიქმნნეს მონაზუნად და უმეტესადრე განჴურდეს შურითა ჴმისაებრ სახარებისა და უმეცრებით წარვიდეს და გამოისაჭურისნეს თავნი თჳსნი სასუფეველისათჳს ცათაჲსა. და ესმა მათთჳს ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსსა და განაყენნა იგინი /365/ წმიდათაგან საიდუმლოთა[13]. ხოლო მათ ეგონა, თუ კეთილი საქმე უქმნიეს, შეწუხნეს მისთჳს და თქუეს: ჩუენ გამოვისაჭურისენით თავნი ჩუენნი სასუფეველისათჳს ცათაჲსა და ამათ განგუაყენნესა[14] ზიარებისაგან?! გუალე, წარვიდეთ და ვეზრახნეთ ამისთჳს იერუსალᲩმელ პატრიაქსა[15]. და წარვიდეს და მიუთხრეს მას ყოველივე. ჰრქუა მათ იერუსალᲩმელ პატრიარქმან[16]: და მეცა განგაყენებ თქუენ. შეწუხნეს მისთჳსცა[17] და თქუეს: გუალე, წარვიდეთ ანტიოქელ პატრიაქისა წინაშე. და წარვიდეს[18] და აუწყეს მას ყოველივე, რაჲ-იგი შეემთხჳა. და მან ჰრქუა მათ: და მეცა განგაყენებ თქუენ. მერმე[19] თქუეს ურთიერთარს[20]: წარვიდეთ ჩუენ

---

[1] იორდანისა] იორდანის CD. 2 მწოლარე E. 3 ~ ღრჭენად კბილთა მის ზედა C. 4 ლომი + იგი CD. 5 რომელ] რომელი CD. 6 განიწმედს] განიწმედდეს D. 7 ~ შენდობასა მისგან E. 8 მისდა] მისთჳს D. 9 მისა] მისსა CD. 10 განამართლო CDE. 11 მისი] თჳსი CD. 12 სახეცა] სახე D. 13 საიდუმლოთა] საჲდუმლოთა A. 14 განგუაყენეს CD. 15 პატრიაქსა] პატრიაქისა D. 16 პატრიარქმან] პატრიაქმან CDE. 17 მისთჳსცა] მისთჳს C. 18 აქ E ნუსხა წყდება. 19 მერმე თქუეს ურთიერთარს] შეწუხნეს მისთჳსცა და თქუეს: გუალე D. 20 ურთიერთარს] ურთიერთას C.

პაპსა თანა ჰრომისასა და მან მისაჯოს ჩუენ ამის ყოვლისათჳს. და ვითარცა მივიდეს დიდსა თანა მთავარეპისკოპოსსა[1] ჰრომისასა, მიუთხრეს მას, რაჲ-იგი ქმნეს და რაჲ-იგი ყვეს მათ ზედა მთავარეპისკოპოსთა[2] და ჰრქუეს: ამისთჳს მოვედით შენდა, რამეთუ შენ ხარ თავადი ყოველთაჲ და უფალი. და მან ჰრქუა მათ[3]: და[4] მეცა განგაყენებ თქუენ და განყენებულნი ხართ. შეიწრდეს უკუე იგინი და თქუეს: ესე ერთი-ერთსა მიჰმადლებენ ამისთჳს, რომელ კრებისა ჟამსა ერთად უნა შეკრებაჲ, რაჲ ვყოთ უკუე აწ, არარაჲ სხუაჲ, თჳნიერ წმიდისა ღმრთისა ეპიფანე კჳპრელ მთავარეპისკოპოსისა[5] წარვიდეთ, რამეთუ წინაწარმეტყუელი არს იგი და არა თუალ-აღებს პირსა. და ვითარცა წარვიდეს იგინი და მიეახლნეს ქალაქსა[6] მისსა, გამოეცხადა მას მათთჳს და წარმგზავნა[7] შემთხუევად მათდა და მიუმცნო მან ესრეთ: ნუცაღა ქალაქსა ამას შემოხუალთ. მაშინ მოეგნეს გონებასა თჳსსა და თქუეს: ჭეშმარიტად ჩუენ ვცოდეთ. იპყარ, /365v/ რომელ სხუანი იგი ურთიერთარს[8] მოიმადლებდეს და ამისთჳს განმაყენნეს ჩუენ ზიარებისაგან, ნუუკუე და ესე წინაწარმეტყუელი შე-ვე-სცთა[9], რომელსა აჰა ესერა, ღმერთმან[10] გამოუცხადა ჩუენთჳს. და აბრალეს[11] თავთა თჳსთა მიერითგან ფრიად საქმესა მას ზედა, რომელი ქმნეს და იკადრეს. მაშინ იხილა გულთმეცნიერმან ღმერთმან, რომელ ჭეშმარიტებით აბრალეს თავთა თჳსთა და გულტკივნეულ იქმნნეს ფრიად და გულსავსე-ყო დიდი ეპიფანე კჳპრელ მთავარეპისკოპოსი[12] მათთჳს, რომელთაცა თჳთ თავით თჳსით მიუმცნო და მოიყვანა[13] იგინი და შეიწყნარნა ზიარებად და მიუწერა ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსსა[14] და ჰრქუა: შეიწყნარენ შვილნი შენნი, რომელთა ჭეშმარიტებით შეინანეს. მერმე თქუა ბერმან: ესე არს სამკურნალოჲ კაცისაჲ[15] და ესე ჰნებავს ღმერთსა, რაჲთა დაიკრიბოს[16] კაცმან ბრალი თჳსი, თავსა ზედა თჳსსა წინაშე ღმრთისა.

49. ბერმან თქუა: სიმდაბლე სძლევს უფროჲს ყოველსა ძლიერებასა. და რამეთუ გჳთხრა ჩუენ ესე მამათაგანმან ვინმე, ვითარმედ: ორნი ეპისკოპოსნი[17] იყვნეს მახლობელად ურთიერთარს და აქუნდა მათ ოდესმე სულმოკლებაჲ ურთიერთარს. ხოლო იყო ერთი იგი მდიდარ და ძლიერ და მეორე იგი გლახაკ და მდაბალ. და ეძიებდა მდიდარი იგი და ძლიერი ბოროტისყოფად გლახაკისა მის. ესე ესმა მას და ჰრქუა მნეთა ეკლესიისა თჳსისათა: ნუ შეშინდებით, რამეთუ ჩუენ ვსძლევთ მას მადლითა ღმრთისაჲთა. და[18] რამეთუ იცოდა,

---

[1] მთავარეპისკოპოსსა] მთავარებისკოპოსსა CD. [2] მთავარეპისკოპოსთა] მთავარებისკოპოსთა CD. [3] მათ – D. [4] და – D. [5] მთავარეპისკოპოსისა] მთავარებისკოპოსისა CD. [6] ქალაქსა + მას D. [7] წარმგზავნა] წარგზავნა CD. [8] ურთიერთარს] ურთიერთას C. [9] შე-ვე-სცთაა C. [10] ღმერთმან] უფალმან D. [11] აბრალეს] აბრალებდეს C. [12] მთავარეპიკოპოსი] მთავარებიკოპოსი D. [13] მოიყვანა] მოიყვანნა D. [14] მთავარეპისკოპოსსა] მთავარებისკოპოსსა D. [15] კაცისაჲ] კაცთაჲ D. [16] დაიკრიბოს] დაჲკრიბოს A. [17] ეპისკოპოსნი] ებისკოპოსნი CD. [18] და – CD.

რასა-იგი ეგულებოდა ქმნად. ჰრქუეს მას[1] მნეთა მისთა: მეუფეო, ვის ძალ-უც ძლევად[2] მისდა[3]? ხოლო მან ჰრქუა მათ: შვილნო, დაადგერით ჩემ თანა და იხილოთ მოწყალებაჲ, თუ რაჲზომ /366/ აურაცხე/ლ არს. დაიდარა[4] უკუე მან და ოდეს აქუნდა მდიდარსა მას დღესასწაული დიდსა კრებასა მოწამეთასა და სიმრავლჱ[5] შეყრილ იყო არა ადვილად აღსარაცხავი[6], აღიხუნა მღდელნი თჳსნი და ჰრქუა მათ: შემომიდეგით მე[7] და რაჲცა იხილოთ, რომელ ვყო მე, იგიცა თქუენ ყავთ და ვსძლოთ მას ძალითა ქრისტესითა. ხოლო მათ უკჳრდა და იტყოდეს: ნეტარ რაჲთა-მე ეგულების ძლევად[8]? და ვითარცა წარმოჰვლიდა ლიტანიაჲ და ქალაქი სრულიად შეკრებილი[9] წინაუძღოდა მდიდარსა მას ეპისკოპოსსა[10], მივიდა გლახაკი ესე ეპისკოპოსი[11] მღდელთა თანა მისთა, შეუვრდა ფერჴთა ძლიერსა მას და ჰრქუა: შემინდვე ჩუენ, მეუფეო, რამეთუ მონანი ვართ შენნი. ხოლო იგი განკჳრდა საქმესა მას ზედა, რომელი ქმნა და ლმობიერ იქმნა, რამეთუ ღმერთმან მოალბო გული მისი. გარდაჰჴდა[12] ჰუნისა მისგან, რომელსა[13] მჯდომარე იყო, შეუპყრნა ფერჴნი მისნი და ჰრქუა მას: შენ ხარ მეუფჱ ჩემი და მამაჲ ჩემი. და მიერითგან იქმნა მათ შორის ფრიადი[14] და დიდი სიყუარული. და ეტყოდა მდაბალი იგი მღდელთა თჳსთა: არა გეტყოდეა თქუენ, შვილნო, ვითარმედ ჩუენ ვსძლოთ მას ძალითა ქრისტესითა?! და თქუენცა, უკუეთუ გაქუნდეს ვისთჳსმე ძჳრი, ამას ჰყოფდით და სძლოთ მადლითა უფლისაჲთა ჩუენისა იესუ ქრისტესითა.

50. ბერმან თქუა: უკუეთუმცა ვიღუწიდით სიმდაბლესა, არღარამცა გუეჴმარებოდა სხუაჲ წურთილებაჲ. და რამეთუ ყოველივე ძჳრთა შემთხუევაჲ სილაღისათჳს მოიწევის ჩუენ ზედა. და რამეთუ უკუეთუ დიდსა მას შორის მოციქულთა მიეცა საწერტელად ანგელოზი სატანა, რაჲთა დაჰქენჯნიდეს მას და არა აღიმაღლოს, რაოდენ უფროჲსღა ჩუენ მზუაობართა ამათ მოგუეცეს სატანა დამთრგუნველად, ვიდრემდის დავმდაბლდეთ.

51. /366v/ ბერსა ვისმე ფრიადისათჳს სიმდაბლისა მისისა, რომელი აქუნდა მას, მიანიჭა ღმერთმან მადლი სულითა მხილველობისაჲ. და ვინცა მივიდის[15] ხილვად მისა[16], ხედავნ გონებათა მათთა ბერი, რომლისათჳს შეუძნდა საქმე ესე და ევედრა ღმერთსა, რაჲთა აღიღოს მისგან საქმჱ იგი. და ვითარცა[17] ვერ მიემთხჳა, წარვიდა ბერისა ვისმე დიდისა, ევედრა მას და ჰრქუა: დაშუერ ჩემ თანა, რაჲთა აღებულ იქმნეს ჩემგან საქმე ესე. და დასხდეს იგინი თჳთოეული სენაკსა შინა თჳსსა და ევედრნეს ღმერთსა საქმისა მისთჳს. და მოიწია ზეცით ჴმაჲ, რომელი ეტყოდა ბერსა: აჰა ესერა, აღვიღებ მას შენგან, გარნა ოდეს გინდეს[18], გაქუნდეს იგი.

---

[1] მას – D. [2] ძლევად] ვნებად C. [3] მისდა] მისსა D. [4] დაიდარა] დაჲდარა A. [5] სიმრავლჱ] სიმრავლე CD. [6] აღსარაცხუავი CD. [7] მე – D. [8] ძლევად + მისდა C. [9] შეკრებილი] შეკრებული C. [10] ეპისკოპოსსა] ებისკოპოსსა D. [11] ეპისკოპოსი] ებისკოპოსი D. [12] გარდაჰჴდა] გარდამოჴდა C. [13] რომელსა + ზედა CD. [14] ფრიადი და დიდი] ფრიად დიდიD. [15] მივიდის] მივიდესC. [16] მისა] მისსა D. [17] ვითარცა – C. [18] გინდეს] გინა C.

52. ბერი ვინმე იყო წრფელი, ტკბილი[1] და სახიერი, რომელსა არარაჲ ვისთჳს მოეგონა ყოლადვე ძჳრი მოყუსისაჲ, არამედ უფროჲსღა იყო იგი ყოველთა მეგობარ და მოყუარე, რომელსაცა შეემთხჳა[2] საქმე ესევითარი: ძმამან ვინმე იპარა ჭურჭლები სხჳსაჲ და მიართუა ბერსა ამას ნამარხევად, რომლისათჳს ყოლად არა[3] უწყოდა, თუ სადაჲთ არს. შემდგომად უკუე რავდენთამე[4] დღეთა იცნობა ჭურჭლები იგი და შეიპყრეს ბერი და მოსთხოვეს[5] მას. ხოლო მან ითხოვა შენდობაჲ და ჰრქუა: შემინდევით[6], რამეთუ შევსცეთ. და[7] ვითარცა წარჴდეს მცირედნი რაჲმე დღენი, მოვიდა ძმაჲ იგი, რომელსა ეპარა ჭურჭლები იგი და მანცა ბერსავე დაჰკრიბა ბრალი და ეტყოდა: შენ მოგიპარავს, ბერო, ჭურჭლები იგი. ხოლო ბერი შეუვრდა მასცა და ჰრქუა: შემინდვე მე[8], რამეთუ შევსცეთ. და ესრეთ უკუეთუ რას ვინ შესცთის ძმაჲ და უვარ-ჰყოფნ, მან დაიკრიბის[9] ბრალი ძმისაჲ და თქჳს: შემინდევით, რამეთუ მე შევსცეთ. ესოდენ იყო ნეტარი იგი მდაბალ, რომელმან არაოდეს /367/ დააბრკოლა მოყუასი თჳსი რასაცა ზედა საქმესა.

53. განშორებული ვინმე იქმნა ეპისკოპოს[10]. ესე მრავლისა მისგან კრძალულებისა და დაწყნარებისა არცა ერთსა ვის შეჰრისხვიდა, არამედ სულგრძელებით თავს-ისხმიდა თჳთოეულისა[11] ცთომათა. გარნა იკონომოსი მისი ვერკეთილად განაგებდა საქმეთა ეკლესიისათა, ვინაჲცა შეკრბეს ვიეთნიმე და ჰრქუეს მას: რაჲსათჳს არა შეჰრისხავ იკონომოსსა, რომელსა უგულებელს უქმნიან საქმენი ეკლესიისანი? ხოლო ეპისკოპოსი[12] სდროებდა შერისხვასა მას მისსა. ვინაჲცა შეკრბეს იგი[13] კუალად და განარისხებდეს ეპისკოპოსსა[14] იკონომოსსა ზედა. ცნა რაჲ ესე ეპისკოპოსმან[15], წარვიდა და დაიმალა[16] იგი ადგილსა ერთსა, ხოლო იგინი აღვიდეს და შემდგომად მრავლისა ძიებისა, ძლით უძლეს პოვნად ეპისკოპოსსა და[17] ჰრქუეს მას: რაჲსათჳს დაგუემალე ჩუენ? ხოლო მან ჰრქუა მათ: რამეთუ რაჲ-იგი წარვჰმართე სამეოც წელ ვედრებასა შინა ღმრთისასა მრავლითა შრომითა, თქუენ აწ გნებავს მას[18] წარღებაჲ ჩემგან ორთა შინა დღეთა.

54. ბერმან თქუა: არა რომელ თჳთ დააკნინებდეს თავსა თჳსსა, იგი არს მდაბალი, არამედ რომელი მხიარულებით თავს-იდებდეს მოყუსისაგან მის ზედა მოსრულთა[19] შეურაცხებათა და კდემათა.

55. ძმაჲ ვინმე მკჳდრობდა სენაკებს და მრავლისაგან სიმდაბლისა ამას ილოცავნ ყოლადვე: უფალო, გარდამოავლინე ჩემ ზედა მეხისტეხაჲ, რამეთუ უკუეთუ მრთელ ვიყო, ურჩ გექმნები შენ.

---

[1] ~ სახიერი და ტკბილი C. [2] შეემთხჳა] მიემთხჳა C. [3] არა] არაჲ C. [4] რავდენთა-მე] რაოდენთამე C. [5] მოსთხოვეს] სთხოვეს CD. [6] შემინდევით] შემინდვეთ CD. [7] და ვითარცა ..... ჭურჭლები იგი – D. [8] მე – D. [9] დაიკრიბის] დაჲკრიბის A. [10] ეპისკო-პოს] ებისკოპოს CD. [11] თითოეულისა C. [12] ეპისკოპოსი] ებისკოპოსი CD. [13] იგი] იგინი D. [14] ეპისკოპოსსა] ებისკოპოსსა C. [15] ეპისკოპოსმან] ებისკოპოსმან CD. [16] დაიმალა] დაჲმალა A. [17] და ჰრქუეს .....ჩუენ – C. [18] მას – C. [19] მოსრულთა] მომავალთა CD.

56. ძმაჲ ვინმე მონაზონ იქმნა მამასა თანა მისსა ჰორციელსა და დაემკჳდრნეს ორნივე იგი ერთსა მონასტერსა. ხოლო შემდგომად რაოდენისამე[1] ჟამისა ესმა ძმასა მას მამისათჳს თჳსისა, ვითარმედ განჰკურნა ეშმაკეული და წარვიდა ბერისა ვისამე დიდისა და მიუთხრა **/367v/** მას საქმე იგი ვითარცა მწუხარებით და ჰრქუა: მამაო, მამაჲ ჩემი წარემატა და ეშმაკი განდევნა ძმისაგან, ხოლო მე უდებებასა შინა[2] დავშთი და არცა ერთი რაჲ წარმატებაჲ იპოვების[3] ჩემ თანა. ჰრქუა მას ბერმან: ჰრიდე, შვილო, არა არს წარმატებაჲ ეშმაკთა განსხმაჲ, გინა უძლურთა განკურნებაჲ, რამეთუ ამას არა კაცი[4] იქმს, არამედ ძალი ღმრთისაჲ და სარწმუნოებაჲ მოსრულისაჲ მის, უფროჲსღა მრავალთა ვერ აგრძნეს ესე და კურნებათაგან ამპარტავანებად მოვიდეს და წარწყმდეს. ხოლო მე გეტყჳ შენ, შვილო, უკუეთუ მოვიდეს კაცი სიმდაბლედ, ჭეშმარიტად სხუაჲ წარმატებაჲ უაღრესი არა არს, რომელი არა ოდეს დაეცემის. და რამეთუ რომელმან დადრიკოს სული თჳსი ქუე და მიწადმდე[5] დაამდაბლოს, სადაღა ანუ ვითარღა დაეცეს იგი?! ხოლო სასწაული და ნიშანი ესევითარისაჲ არს იგი, ოდეს გინებასა ზედა და შეურაცხებასა იხარებდეს.

57. მოვიდა ძმაჲ მოღუაწე სკიტით თებაიდას[6] და შევიდა მონასტრად[7] ზოგადცხორებულთასა. ხოლო იყვნეს მამანი მის მონასტრისანი კნინღა და ყოველნივე[8] წმიდანი, რომელთა ეწოდებოდა ტაბენესენთაჲ[9] და ვითარცა დაყვნა ძმამან მან მცირედნი დღენი მუნ, ჰრქუა არქიმანდრიტსა: ყავ, მამაო, ჩემ ზედა ლოცვაჲ და განმიტევე მე, რამეთუ ვერ ძალ-მიც ყოფაჲ[10] აქა. ჰრქუა მას მამამან: რად შვილო? ჰრქუა მას ძმამან: აქა შრომაჲ არა არს, არცა სასყიდელი, რამეთუ ყოველნივე მამანი მოღუაწეობენ[11], ხოლო მე კაცი ვარ ცოდვილი და წარვალ მუნ, სადა შეურაცხებაჲ და გინებაჲ მეპოებოდის, რამეთუ ესენი არიან, რომელნი აცხოვნებენ კაცსა ცოდვილსა. ესმა რაჲ ესე წინამძღუარსა, დაუკჳრდა და ჰრქუა: წარვედ, შვილო, მშჳდობით წარვედ – რამეთუ გულისჴმა-ყო, ვითარმედ მუშაკი არს – მჴნე იყავნ და განძლიერდინ გული შენი და დაუთმე უფალსა!

58. ბერმან თქუა: სიმდაბლემან მრავალგზის თჳნიერ /368/ შ/რომისა აცხოვნა მრავალნი და მოწამე არიან მეზუერჱ[12] და ძჱ[13] იგი უძღები, რომელთა სიტყუანი ოდენ თქუნეს მცირენი და ცხოვნდეს. და რამეთუ შრომათა კაცისათა არა თუ აქუნდეს სიმდაბლჱ[14], წარსწყმედენ კაცსა. რამეთუ მრავალნი მიენდვნეს დიდთა შრომათა მათთა და ამპარტავანებად მოვიდეს იგინი ვითარცა ფარისეველი და წარწყმდეს.

---

[1] რაოდენისამე] რავდენისამე D. [2] შინა – C. [3] იპოვების] იპოების C. [4] ~ იქმს კაცი C. [5] მიწადმდე] მიწამდე C. [6] თებაიდას] A. [7] მონასტრად] მონასტერსა D. [8] ყოველნი C. [9] ტაბენესენთაჲ] ტაბენესელთაჲ C; ტაბენისელთაჲ D. [10] ~ აქა ყოფაჲ D. [11] მოღუაწეობენ] მოღუაწებენ D. [12] მეზუერჱ] მეზუერე CD. [13] ძჱ] ძე CD. [14] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CD.

59. ძმაჲ მივიდა ბერისა, ჰკითხა მას და ჰრქუა: ვითარ ხარ, მამაო?[1] ჰრქუა მას ბერმან: ჰავად, ძმაო! ჰრქუა მას ძმამან: რად, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: აჰა ესერა, მაქუს ათვრამეტი[2] წელიწადი, რაჲთგან წარვდგები წინაშე ღმრთისა ყოველთა[3] დღეთა და ვსწყევ თავსა ჩემსა და ვიტყჳ: წყეულ არიან, რომელნი მისდრეკს[4] სამართალთაგან[5] შენთა. ესმა რაჲ ესე ძმასა მას, გამოვიდა მუნით ფრიადცა[6] აღშენებული.

60. მივიდა ვინმე უცხოჲ[7] რაითს[8] კაცი მდიდარი და განუყო ძმათა სიყუარულად თჳთო[9] დრაჰკანი. ხოლო იყო ვინმე მახლობელად სენაკსა შინა თჳსსა დაყუდებული, წარუგზავნა მასცა ერთი დრაჰკანი. და ღამესა მას იხილა ბერმან ყანაჲ აღსავსჱ[10] ეკლითა და კაცი ვინმე, რომელი ზედამიადგა ბერსა და ეტყოდა[11]: აღდეგ, ბერო, აღდეგ და განწმიდე ყანობირი მისი, ვისი-იგი მიიღე სიყუარული. და ვითარცა განთენა, წარმგზავნა[12] კუალად[13] დრაჰკანი იგი მომღებელისავე[14] მისისა[15] და მიუმცნო ესრეთ: მიიღე, ძმაო, ოქროჲ შენი, რამეთუ მე ვერ ძალ-მიც უცხოთა ეკალთა გლეჯად ჴელითა ჩემითა, ჰეთუმცა ვითარ შეუძლე ჩემთა ეკალთა აღმოფხურად[16].

61. ბერმან თქუა: უკუეთუ შჯდე[17] უდაბნოს დაყუდებულად, ნუ გაქუს თავი შენი, თუ დიდსა რასმე საქმესა იქმ, არამედ უფროჲსღა შეგერაცხენ /368v/ თავი შენი[18], ვითარცა სახედ განძებული ერისაგან[19] ძაღლი ამისთჳს, რამეთუ სჭამნ და ჰკბენნ ერსა ღმრთისასა.

62. ბერმან[20] თქუა: უკუეთუ დაშურეს კაცი და ჰყუედრიდეს[21] და ჰკდემდეს უპატიოებითა მრავლითა სულსა თჳსსა და არწმუნებს[22] მას, ვითარმედ[23] უფროჲს შეურაცხ არს ძაღლთა და მჭეცთაჲსა, და რამეთუ მათ არცა განურისხებიეს დამბადებელი მათი და არცა სასჯელად აღდგებიან, და რამეთუ ფრიად უმჯობეს არს ყოლად არა აღდგომაჲ, ვიდრეღა[24] სასჯელად აღდგომაჲ და უკუნითი უკუნისამდე დასჯაჲ ცეცხლსა მას შინა გეჰენიასა[25] უშრეტსა.

63. ძმაჲ ვინმე შეიწრდა გულისსიტყუათაგან ხენეშთა და უძნდა და სიმდაბლისაგან[26] მრავლისა იტყოდა, ვითარმედ: მე ესევითართა ამათ შინა საგონებელთა სასოებაჲ ცხორებისაჲ არა მაქუს. წარვიდა უკუე ბერისა

---

[1] აქედან E კვლავ გრძელდება 223v-ზე (აკინძვის შეცდომა). [2] ათვრამეტი წელიწადი] ათურამეტი წელი DE. [3] ყოველთა დღეთა-C. [4] მისდრეკს] მიდრეკს CD. [5] სამართალთაგან შენთა] სამართალთა შენთაგან D. [6] ფრიადცა – C. [7] უცხოჲ – D. [8] რაითს] რაჲთს A. [9] თჳთო] თითო E. [10] აღსავსჱ] აღსავსე CDE. [11] ეტყოდა] ჰრქუა C. [12] წარმგზავნა] წარგზავნა DE. [13] ~ დრაჰკანი კუალად D. [14] მიმღებელისავე C. [15] მისისა} თჳსისა E. [16] აღმოფხურად] აწ მოფხურად C. [17] შჯდე] სჯდე E. [18] შენი – C. [19] ~ ძაღლი ერისაგან E. [20] ბერმან თქუა] რამეთუ D. [21] ~ ჰკდემდეს და ჰყუედრიდეს CD. [22] არწმუნებს] არწმუნებდეს D. [23] ვითარმედ] რამეთუ E. [24] ვიდრეღა სასჯელად აღდგომაჲ – D. [25] გეჰენიასა] გეჰენიისასა CD. [26] სიმდაბლისაგან] სიმრავლისაგან C.

ვისმე დიდისა და ევედრა მას, რაჲთა ილოცოს მისთჳს[1] და აღუსუბუქდეს გულისსიტყუანი იგი მედგარნი. ჰრქუა მას ბერმან: არა სჯობს ეგე შენთჳს, შვილო. ხოლო იგი ესრეთცა ჰლოცვიდა ბერსა, რაჲთა ილოცოს მისთჳს და აიძულებდა[2] მას ფრიად, რომლისათჳს ევედრა ბერი ღმერთსა და აღიღო ღმერთმან[3] ბრძოლაჲ იგი ძმისა მისგან. და მეყსეულად შევარდა იგი ზუაობისა და ამპარტავანებისა გულისსიტყუათა, და კუალადცა წარვიდა და ევედრა ბერსა, რაჲთა[4] ილოცოს მისთჳს და მოვიდენ მისა[5] იგივე გულისსიტყუანი ვნებულნი და იგივე პირველი, რომელი აქუნდა სიმდაბლჱ[6].

64. ძმაჲ ვინმე მივიდა მამათაგანისა ვისამე ლავრასა მას[7] დუკისასა იერიქოჲსა[8] ზედაჲთ და ჰრქუა მას: მამაო, ვითარ ხარ? ჰრქუა მას ბერმან: ჰავად, ძმაო. ჰრქუა მას ძმამან: რად, მამაო? ჰრქუა მას ბერმან, ვითარმედ: მაქუს ოცდაათი წელიწადი, რაჲთგან წარვდგები წინაშე ღმრთისა ლოცვათა შინა /369/ ჩემთა და ოდესმე ვსწყევ თავსა ჩემსა და ვეტყჳ ღმერთსა: ნუ შეიწყალებ ყოველთა მოქმედთა უსჯულოებისათა და წყეულ არიან, რომელთა გარდააქციეს სამართალთაგან შენთა და ყოლადვე უტყუი ღმერთსა და ვეტყჳ: წარსწყმიდნე[9] შენ ყოველნი, რომელნი იტყჳან სიცრუვესა. და მარადის ძჳრსა ვიჴსენებ ძმისათჳს და ვეტყჳ ღმერთსა: „მომიტევენ ჩუენ, ვითარცა ჩუენ[10] მიუტევებთ[11]“. და ყოველი ზრუნვაჲ მაქუს ჭამისათჳს და ვეტყჳ, ვითარმედ: „დამვიწყდა მე[12] ჭამად პური ჩემი“[13]. და მძინავს ვიდრე განთიადადმდე[14] და ვგალობ: „შუვაღამე აღვდგი[15] აღსარებად შენდა“[16], და ლმობიერებაჲ ყოლად არა მაქუს და ვეტყჳ[17]: „დავშუერი მე, სულთქუმითა ჩემითა და იქმნნეს ცრემლნი ჩემნი პურად ჩემდა დღე და ღამე. და გულსა შინა“[18] ჩემსა ვგონებ[19] ბოროტსა და ვეტყჳ ღმერთსა: წურთაჲ გულისა ჩემისაჲ წინაშე შენსა არს მარადღჱ. და მარხვაჲ ყოლადვე არა მაქუს და ვეტყჳ: მუჴლნი ჩემნი მოუძლურდეს მარხვისაგან. და ყოვლითურთ აღსავსე ვარ[20] ამპარტავანებითა[21] და ჴორცთა განსუენებითა[22], თავსა ჩემსა ვჰბასრობ და ვგალობ: იხილე სიმდაბლე ჩემი და შრომაჲ ჩემი და მომიტევენ მე ყოველნი[23] ცოდვანი ჩემნი. ყოვლითურთ ვარ განუმზადებელ და ვეტყჳ: განმზადებულ არს გული ჩემი შენდამი ღმერთო, და რაჲთა მოკლედ ვქუა, ყოველივე ლოცვაჲ[24] და მსახურებაჲ ჩემი სარცხჳნელ და საკდემელ ჩემდა[25] იქმნების. ჰრქუა ძმამან ბერსა: ვჰგონებ, მამაო, თუ[26] ამას ყოველსა თავისათჳს თჳსისა

---

[1] მისთჳს] მისდა D. [2] აიძულებდა] აჲძულებდა AD. [3] ღმერთმან – D. [4] რაჲთა ილოცოს მისთჳს – D. [5] მისა] მისსა CD; მისა – E. [6] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CDE. [7] მას – D. [8] იერიქოჲსა] იერიქოსა D. [9] წარსწყმიდენ C. [10] ჩუენ – CD. [11] მიუტევებთ] მიუტეობთ E. [12] მე – C. [13] ფს. 101,5. [14] განთიადადმდე] განთიადმდე C. [15] აღვდგი] აღვდგები D. [16] ფს. 118,62. [17] აქ E ნუსხა წყდება. [18] ფს. 41,4. [19] ვიგონებ D. [20] ვარ + მე D. [21] ამპარტავანებითა] ამპარტავანებისაგან C. [22] განსუენებითა] განსუენებისა C. [23] ყოველნი] ყოველნივე C. [24] ~ მსახურებაჲ და ლოცვაჲ D. [25] ჩემდა – C. [26] თუ] რომელ D.

იტყოდა დავით[1] წინაწარმეტყუელი. მაშინ სულთ-ითქუნა ბერმან და ჰრქუა მას: რასა იტყჳ, ძმაო, ჰრიდე, გრწმენინ, უკუეთუ არა დავიცვათ, რომელსა იგი წინაშე ღმრთისა ვგალობთ, წარსაწყმედელად წარვალთ.

65. ბერმან თქუა: უკუეთუ ძჳრი უზრახო ძმასა შენსა და განგიკითხოს შენ სჳნიდისმან /369v/ შენმან, წარვედ და მოუდრიკენ მუჴლნი და არქუ მას: შემინდვე[2], ძმაო, რამეთუ განგიკითხე. და წაღმართ განაკრძალე თავი შენი, რაჲთა არღარა მოიკიცხო ეშმაკთაგან, რამეთუ სიკუდილი არს სულისაჲ ძჳრისზრახვაჲ.

66. კუალად[3] თქუა: უკუეთუ გესმენენ სათნოებანი დიდნი წმიდათა მამათანი, ხადე სახელსა უფლისასა, რაჲთა განგაძლიეროს შენ და ჴელ-ყავ შენცა. და უკუეთუ წარგემართოს, კეთილ, ღმერთსა მიუპყარ მადლი. უკუეთუ კულა ვერ სრულ-ჰყო, აბრალე უძლურებასა თავისა შენისასა და იცან უძლურებაჲ შენი. და დაიმდაბლე[4] გულისსიტყუაჲ შენი ვიდრე უკანაჲსკნელად დღედმდე სიკუდილისა. და მიერითგან გაქუნდინ თავი შენი ვითარცა შეუძლებელი და[5] გლახაკი და უთმინოჲ. და ყოლადვე და მარადის ჰყუედრიდე სულსა შენსა, ვითარცა დამწყებელი[6] კეთილისაჲ და ვერსრულმყოფელი. უკუეთუ მკჳდრ იყო უდაბნოს და იხილო, რამეთუ ღმერთი ზრუნავს შენთჳს, ნუ აღიმაღლებ გულსა შენსა. უკუეთუ არა, აღიღებს ღმერთი შეწევნასა თჳსსა შენგან და მაშინ სცნობ, თუ ვინ ხარ. არამედ უფროჲსღა თქუ, ვითარმედ: სულმოკლებისათჳს ჩემისა და უძლურებისა ჰყოფს წყალობასა ჩემ თანა[7] ღმერთი, რაჲთა მივითმინო და არა მოწყინე ვიქმნე.

67. კუალად[8] თქუა: უკუეთუ იწყო მოღუაწებად და მოჰმედგრდე, კუალადცა ჴელ-ყავ მას[9] და ნუ დააცადებ ყოფად ამას, ვიდრე დღემდე სიკუდილისა შენისა, რამეთუ რასაცა ზედა იპოვოს[10] კაცი, მუნცა წარვალს, გინათუ უდებებასა[11] ზედა და გინათუ მოღუაწებასა. რაჲ დღე უკუე, რაჲ შჳდეულ, რაჲ[12] თუე და რაჲ წელიწად, ძიება-ყავ თავი, თუ რომელი სათნოებაჲ უმეტეს წარგიმართებიეს: ლოცვაჲ, ანუ მარხვაჲ, ანუ დაყუდებაჲ და უფროჲს ყოვლისა /370/ და უმეტეს[13] სიმდაბლჱ[14]. და[15] რამეთუ ჭეშმარიტად[16] წარმატებაჲ სულისაჲ სიმდაბლჱ[17] არს, რაჲთა დღითიდღე უმეტეს და უმეტეს დაიმდაბლებდე[18] სულსა შენსა და იტყოდი, ვითარმედ: ჭეშმარიტად ყოველივე კაცი უმჯობეს ჩემსა[19] არს. და რამეთუ თჳნიერ გულისსიტყჳსა ამის დაღაცათუ ვინ სასწაულნი ქმნნეს, დაღაცათუ მკუდარნი აღადგინნეს, შორს იპოვების ღმრთისაგან.

---

[1] დავით – C. [2] შემინდვე + მე D. [3] კუალად თქუა – D. [4] დაიმდაბლე] დაჲმდაბლე A; დაჲმარხე D. [5] და – C და – C. [6] დამწყებელი] დამვიწყებელი C. [7] თანა] ზედა D. [8] კუალად თქუა] ხოლო D. [9] მას – D. [10] იპოვოს] იპოოს D. [11] უდებებასა] უდბებასა C. [12] რაჲ თუე – D. [13] უმეტეს – C. [14] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CD. [15] და – D. [16] ჭეშმარიტიC. [17] სიმდაბლჱ არს, რაჲთა დღითიდღე უმეტეს – C. [18] დაიმდაბლებდე] დაჲმდაბლებდე A. [19] ~ არს ჩემსა CD.

68. კუალად თქუა: უკუეთუ გაქოს შენ ძმამან[1] პირისპირ, მეყსეულად მოიგონენ ცოდვანი შენნი და ევედრე მასცა და არქუ მცნებისათჳს უფლისა: ნუ მაქებ, ძმაო, რამეთუ უძლური[2] ვარ და ვერ ვიტჳრთავ. უკუეთუ კულა იყოს იგი[3] კაცი დიდთაგანი, ილოცე ღმრთისა მიმართ და თქუ: უფალო, დამიცევ მე[4] ქებისაგანცა და ძაგებისა[5].

69. კუალად[6] თქუა: უკუეთუ ძჳრი[7] უზრახოს ძმამან ძმასა შენ წინა, იხილე და ნუ დაირცხუენ[8] მისგან და იტყჳ: ჰჩ, ეგრეთ არს, არამედ ანუ დუმენ, ანუ არქუ მას: მე, ძმაო, თჳთ[9] დაშჯილი[10] ვარ და ვერ ძალ-მიც სხუათა განკითხვად. და ესრეთ აცხოვნო თავიცა[11] შენი და იგიცა.

70. თქუა[12] კუალად: უკუეთუ დასნეულდე და სთხოო რაჲმე ვისმე საჭმარი და არა მოგცეს შენ, ნუ შესწუხნები[13] მისთჳს, არამედ უფროჲსღა თქუ, ვითარმედ: უკუეთუმცა ღირს ვიყავ მიღებად, ღმერთსამცა გულსავსე ექმნა ძმაჲ ჩემი მოცემად ჩემდა სიყუარულისა. ხოლო ესემცა უწყი, რომელ სამგუარად განყოფილი არს საქმე მოწყალებისა მიღებისაჲ, რამეთუ სრულნი იგი მოღუაწენი არარას ვისგან მიიღებდეს რაჲთურთით კნინოდენსაცა, ხოლო შუვანი[14] იგი არავის სთხოვდეს და უკუეთუ ვინ თჳთ მიართჳს, მიიღიან იგი, ვითარცა ღმრთისა მიერ ბოძებული. უკუეთუ კულა ჩუენ უძლურ ვართ და ვერ ძალ-გჳც შრომად, საჭმარსა /370v/ ჩუენსა ვითხოვდეთ მრავლითა სიმდაბლითა და თავთა ჩუენთა ვჰკდემდეთ და ვაბრალებდეთ ყოლადვე და მარადის.

71. თქუა[15] კუალად: უკუეთუ არა გაქუს სიმდაბლჩ[16] სულიერი და ლოცვაჲ სულიერი, ბარე ჰორციელნი მოიგენ. და რამეთუ ჰორციელთა მათგან მოვლენ შენდა სულიერნიცა[17], კულა არა იციმცა, რომელ ცუდად შურები?!

72. კუალად თქუა: უკეთუ გაჭირვებდენ შენ მწიკულევანნი გულისსიტყუანი, ნუ დაჰფარავ მათ, არამედ ჰელისჰელ აღუვარენ იგი[18] მამასა შენსა სულიერსა და ამხილე მათ. რამეთუ რაოდენცა[19] დაჰფარვიდეს კაცი გულისსიტყუათა თჳსთა, ესოდენცა[20] განმრავლდებიან იგინი და ძალსა მიიღებენ. და ვითარცა სახედ გუელი გამო-რაჲ-ვიდეს[21] ჰურელისაგან, მეყსეულად ივლტის, ესრეთვე და უკეთურიცა გულისსიტყუაჲ გამოცხადნეს რაჲ, მეყსეულად წარჰდების და[22] განქარდების და ვითარცა სახედ[23] მატლი შეშასა, ესრეთვე უკეთური გულისსიტყუაჲ შეშჭამს გულსა. რომელი

---

[1] ძმამან + შენმან C. [2] უძლური] უძლურ CD. [3] ~ კაცი იგი C. [4] მე – C. [5] ძაგებისა] ძაგებისაგნ CD. [6] კუალად თქუა] ხოლო D. [7] აქ E ნუსხა ისევ გრძელდება 241r-ზე. [8] დაჲრცხუენ] დაჲრცხუენ A. [9] თჳთ – C. [10] დაშჯილი] დაშჯილ C. [11] თავი – ა] თავი CD. [12] თქუა კუალად – D. [13] შესწუხნები] შესწუხდები DE. [14] შუვანი] შუანი E. [15] თქუა კუალად] ხოლოD. [16] სიმდაბლე CDE. [17] სულიერნიცა + უკუეთუ D. [18] იგი] იგინი CD. [19] რაოდენცა] რავდენცა D. [20] ესოდენცა] ესოდენ CD. 21 გამო-რაჲ-ვიდეს] რაჲ გამო-ვიდეს C. [22] და განქარდების – CD. [23] სახედ – C.

გამოაცხადებდეს[1] გულისსიტყუათა თჳსთა[2], ადრე განიკურნოს იგი, ხოლო[3] რომელი ჰფარვიდეს ამპარტავანებითა, სნეულ არს იგი. და უკუეთუ ვერვისა[4] მიმართ გულსავსე ხარ მითხრობად ბრძოლათა შენთა, სასწაული არს და ნიშანი, რომელ სიმდაბლჱ[5] არა გაქუს. და რამეთუ მდაბალი ყოველთავე წმიდად ხედავს, ხოლო თავსა ოდენ[6] თჳსსა ცოდვილად. და უკუეთუ ყოვლითა გულითა ხადოს კაცმან ღმერთსა და წარვიდეს ვისამე[7] კაცისა კითხვად გულისსიტყუათა თჳსთა, მისცემს პასუხსა კაცს იგი, უფროჲსღა კაცისა მის[8] მიერ მიუგებს ღმერთი უმჯობესსა, რომელმან იგი ოდესმე აღუღო[9] პირი ვირსა ბალამისსა, დაღათუ უღირსი იყოს და ცოდვილი, რომელსა იგი ჰკითხვიდეს.

73. /371/ თქუა[10] კუალად: უკუეთუ იწოდო სიყუარულად და დაგსუან შენ უკანაჲსკნელსა ადგილსა, ნუ დრტჳნავს გულისსიტყუაჲ შენი, არამედ თქუ, ვითარმედ: არცა აქა ვარ[11] ღირს. ხოლო ამას გეტყჳ შენ, რომელ არცა ერთი რაჲ ჭირი მოვალს კაცსა ზედა[12], თჳნიერ ყოველივე ზეგარდამო ღმრთისაგან, ანუ გამოცდისათჳს, ანუ ცოდვათათჳს. და რომელსა არა ეპყრას ესრეთ, მას არა ჰრწამს, თუ ღმერთი მართლმსაჯულ არს.

74. კუალად თქუა: უკუეთუ გაწყინებდეს შენ გულისსიტყუაჲ ამპარტავანებისაჲ, არქუ ეშმაკსა მას, ვითარმედ: თქუა ღმერთმან: „ყოველმან, რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, იგი დამდაბლდეს“[13]. და აწ უკუეთუ არა დასცხრე შენ[14] სიტყუად ჩემდა, თუ კეთილ ვარ, გულსავსე ვარ ამით სახითა, რომელ უცხო ვარ ღმრთისაგან და რამეთუ უფალი ამპარტავანთა წინააღუდგების.

75. იტყოდა[15] ვინმე ბერთაგანი, ვითარმედ[16]: კერძოთა მათ[17] სანახებისა ჩუენისათა რომელსამე ჟამსა შეკრბიან ურთიერთარს მამანი სარგებელისათჳს. და აღდგა[18] ერთი ბერთაგანი და წარმოიკიდა ზურგსა ფლასის[19] ნახეთქი რაჲმე, რომელი იდვა ზედა სავარძელთა მისთა, დაემჭირა იგი ორთავე მიერ ჴელთა თჳსთა[20]. დადგა იგი შორის ყოველთაჲსა აღმოსავლით კერძო, ხედვიდესღა ყოველნი, იწყო ლოცვად და იტყოდა: ღმერთო, შემიწყალე მე. მიუგო თავსა თჳსსა თჳთვე და ჰრქუა: უკუეთუ გნებავს, რაჲთა შეიწყალო, დაუტევე, რაჲ-ეგე გიპყრიეს და შეგიწყალებ შენ. და კუალად თქჳს: ღმერთო, შემიწყალე მე. და კუალად მიიგის[21] თჳთვე: განაღა გარქუ შენ, დაუტევე რაჲ-ეგე გიპყრიეს და შეგიწყალებ შენ. ესე ყო მრავალგზის და მერმე დაჯდა. ჰრქუეს მას მამათა: გჳთხარ ჩუენ, რაჲ

---

[1] გამოაცხადებდეს] განუცხადებს C. [2] თჳსთა] მისთა CD. [3] ხოლო რომელი...არს იგი – C. [4] ვერვისა] ვერვისსა D. [5] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CE. [6] ~ თჳსსა ოდენ C . [7] ვისამე] ვისსამე D. [8] მის + მამასა სლიერსა D. [9] აღუღო – C. [10] თქუა კუალად] ხოლო D. [11] ~ ღირს ვარ D. [12] ზედა – D. [13] მ. 18,4. [14] შენ – CD. [15] იტყოდა] იყო D. [16] ვითარმედ – D. [17] მათ] მათგან D. [18] აქ E ნუსხა წყდება. [19] ფლასის] ფლასისა D. [20] თჳსთა + და C. [21] მიიგის] მიუგის D.

ესე ჰყავ. და მან ჰრქუა მათ[1]: /371v/ ნახეთქი იგი ფლასისაჲ, რომელი წარმოვიკიდე ზედა მჯართა ჩემთა, არს ნებაჲ ჩემი და ვევედრებოდე ღმერთსა, რაჲთა შემიწყალოს მე მითურთ. და მრქუა მე: დაუტევე რაჲ-ეგე გიპყრიეს და შეგიწყალო შენ. და ჩუენცა, ძმანო, უკუეთუ ჭეშმარიტებით გუნებავს, რაჲთა შეგჳწყალნეს ჩუენ ღმერთმან, დაუტევნეთ ნებანი ჩუენნი და უეჭუელად მივემთხჳნეთ წყალობასა.

76. კითხულ იქმნა ბერი, თუ რაჲ არს წარმართებაჲ კაცისაჲ, და ბერმან ჰრქუა მას: სიმდაბლჱ[2], რომლისა არა არს უაღრესი სათნოებაჲ. და რამეთუ რაოდენცა შთავიდოდის კაცი სიმდაბლედ, ეგოდენ აღვალს სიმაღლედ.

77. თქუა ვინმე მამათაგანმან სიმდაბლისათჳს სახე ესევითარი, ვითარმედ: ნაძუნი ეტყოდეს ლერწამსა: ვითარ თქუენ უძლურნი ხართ და უსუსურნი და არა განსტყდებით აღტეხასა ზედა ქართასა და მოსლვასა[3] ზამთრისასა. ხოლო ჩუენ ესოდენ დიდნი და ძლიერნი შევიმუსრვით და არ ოდესმე ძირითურთცა აღმოვიფხურებით. მიუგეს ლერწამთა და ჰრქუეს ნაძუთა: ჩუენ, ოდეს მოვიდეს[4] ზამთარი და იქმნას კუეთებაჲ ქართაჲ, მოუდრკებით ქარსა მას, აქა და იქი მიმოვირყევით და თანავჰყვებით და ამისთჳს არა განვტყდ ებით, ხოლო თქუენ, ვინაჲთგან წინააღუდგებით მოწევნასა ქართასა, ამისთჳს შეგემთხუევის ყოველი ჭირი.

78. იტყოდეს ბერნი, ვითარმედ: ჯერ არს მიშუებაჲ ოდეს სიტყუაჲ რაჲმე ითქუას შეურაცხი და მიცემად ჟამისა რისხვასა და არაწინააღდგომად, არცა შთავრდომად უშუერთა გულისსიტყუათა და უკეთურთა საქმეთა, არამედ კეთილისა ზედა განმტკიცებად მადლითა ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ[5] უკუნისამდე.[6] /372/

---

[1] მათ – C. [2] სიმდაბლჱ] სიმდაბლე C. [3] მოსლვასა + ზედა C. [4] მოვიდის C. [5] დიდებაჲ + უკუნითი CD. [6] A ნუსხაში ანდერძი: „მამაჲ და ძმანი ყოველნი აკურთხენ ღმერთმან! და ფრიად ცოდვილი თეოფ[ილე] შეუნდვენ ღმერთმან!“.

თავი იზ

ძვრუჴსენებლოგისათჳს, რომელი-ესე მსგავსებაჲ არს ღმრთისაჲ

გუაკურთხენ, მამაო!

I. თქუა **მამამან ანტონი:** რომელსა ჟამსა დავფარნეთ ცოდვანი ძმისანი, დაფარნეს ჩუენნიცა ღმერთმან.

II. თქუა **მამამან ზენონ:** უკუეთუ ვისმე ენებოს, რაჲთა ადრე ისმინოს ლოცვისა მისისაჲ ღმერთმან, ოდეს აღდგეს და განიპყრნეს ჴელნი თჳსნი ლოცვად ღმრთისა მიმართ, პირველ ყოვლისა და პირველ სულისა თჳსისა მტერთათჳს[1] ილოცევდინ გულითა და ამის საქმისა წარმართებისათჳს ჭეშმარიტად რაჲცა სთხოოს ღმერთსა, მოსცეს[2] მას[3] ღმერთმან.

III. მივიდეს ოდესმე **მამასა თეოდორეს** ზედა სამნი ავაზაკნი და ორთა დაიმჭირეს[4] ბერი, ხოლო ერთი იგი გამოჰკრებდა ჭურჭელსა[5]. და ვითარცა გამოკრიბა ყოველი და წიგნებიცა მისი, მერმე გამოიღო კუართიცა მისი და პალეკარტი. მაშინ ჰრქუა მათ ბერმან: დაუტეევეთ პალეკარტი ეგე და მათ არა ინებეს ყოფად ესე. ხოლო ბერმან განხარნა ჴელნი თჳსნი და გასტყორცნა ორნი[6] იგი. იხილეს რაჲ მათ ესე, შეეშინა ფრიად. ჰრქუა მათ ბერმან: ნუ შეშინდებით, არამედ განყავთ ეგე ოთხად[7] ნაწილად და სამი წარიღეთ და ერთი დაუტეევეთ. და ესე ყო[8] ამისთჳს, რაჲთა ნაწილად მისა[9] დაჰრჩეს[10] პალეკარტი იგი, რომლითა მივიდოდის[11] წმიდად ეკლესიად.

IV. ჯდა ოდესმე მამაჲ **იოანე მოკლე**[12] წინაშე ეკლესიისა[13] და მოდგომილ იყვნეს ძმანი და განიკითხვიდეს მის თანა გულისსიტყუათა თჳსთა. იხილა იგი[14] ერთმა ვინმე ბერთაგანმან, ბრძოლილ იქმნა შურისაგან და ჰრქუა მას:

---

[1] მტერთათჳს ილოცევდინ ... წარმართებისათჳს – C. [2] მოსცეს] მისცეს C. [3] მას – C. [4] დაიმჭირეს] დაჲმჭირეს A. [5] ჭურჭელსა] ჭურჭლებსა D. [6] ორნივე D. [7] ოთხად] ოთხ C. [8] ~ ამისთჳს ყო D. [9] მისა] თჳსა CD. [10] აქ E ნუსხა ისევ გრძელდება 242r-ზე. [11] მივიდის – CD. [12] მოკლე] მოკლე CD. [13] ეკლესიისა] ეკლესიასა E. [14] იგი – CD.

სარწყული შენი, იოანე, აღსავსე[1] არს წამლითა. ჰრქუა მას მამამან იოვანე: ჰᲩ, მამაო, ესრეთ არს და /372v/ ესე სთქუ, რამეთუ გარეშესა ოდენ ხედავ მარტოდ, ხოლო უკუეთუმცა ხედევდი შინაგანსა, რაჲღა გეგულვა თქუმად?!

V. იტყოდეს **მამისა ლონგინოზისთჳს,** ვითარმედ შეასმინეს ოდესმე მის თანა მოწაფჱ[2] მისი, რაჲთა განიოტოს იგი. და მივიდეს მისა[3] მამისა თეოდორეს მოწაფენი და ჰრქუეს მას: მამაო, გუესმის მოწაფისა შენისათჳს, არარაჲმე საქმჱ[4] კეთილისაჲ და უკუეთუ ჰბრძანო, განვიყვანოთ იგი შენგან და მოგგუაროთ შენ სხუაჲ ძმაჲ კეთილი. ჰრქუა მათ ბერმან: მე არა განვსდევნი მაგას, რამეთუ განმისუენებს მე ეგე ფრიად. ხოლო ვითარცა ესმა მიზეზი ძმისაჲ მის[5] ბერსა, თქუა: ვაჲ მე, რამეთუ მოვალთ აქა, რაჲთამცა[6] ვიქმნენით[7] ანგელოზ და ვიქმენით პირუტყუ, არაწმიდა და ხენეშ.

VI. მამაჲ მაკარი იყო ოდესმე ეგჳპტეს და მო-რაჲ-ვიდა სენაკად თჳსად, პოვა კაცი, რამეთუ განჰკრეხვიდა ჭურჭელსა[8] მისსა და აღაგებდა საპალნესა თჳსსა. ხოლო იგი ვითარცა უცხოჲ თანადაუდგა მკრეხველსა[9] მას და თანავე აღუდებდა ტჳრთსა პირუტყუსა[10] მისსა და მრავლითა დაწყნარებულებითა განჰგზავნიდა[11] მას და იტყოდა[12]: არარაჲ შემოვიღეთ სოფელსა ამას, ცხად არს, რამეთუ ვერცა რას განღებად შეუძლოთ[13]. უფალმან მომცა ყოველივე და ვითარცა უფალსა ენება, ეგრეთცა იქმნა, კურთხეულ არს სახელი უფლისაჲ ამიერითგან, უკუნისამდე![14]

VII. გჳთხრეს ჩუენ ესე **მამისა მატოჲსთჳს**, რომელი იყო მოძღუარი **მამისა ისაკისი**, რომელნი იგი ორნივე იქმნნეს ეპისკოპოს[15], ვითარმედ პირველად აღაშენა მონასტერი ბერმან ირაკლამონს. და ვითარცა განეშორა მიერ[16] და წარვიდა სხუასა ადგილსა, აღაშენა მუნცა. და შურითა ეშმაკისაჲთა იპოვა მუნ ძმაჲ ვინმე, რომელმან დაიდვა[17] გულსა მტრობაჲ მისი და აწუხებდა მას. და აღდგა ბერი და განეშორა მიერ და[18] წარვიდა სოფელსავე თჳსსა და აღაშენა /373/ მუნცა მონასტერი თავისათჳს თჳსისა. და შეაწყუდია თავი თჳსი წყუდეულად. და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდეს მისა[19] ბერნი მის ადგილისანი, რომლისაგან წარმოვიდა. და თანა ჰყვა ძმაჲცა იგი, რომლისა მიმართ იყო მწუხარებაჲ იგი. და ევედრებოდეს ბერსა, რაჲთა კუალად იქცეს მონასტრადვე თჳსსა[20]. ხოლო გზასა მას მათსა და სლვასა, ვითარცა მიეახლნეს საყოფელსა ბერისასა და მივიდეს მამისა სორისა[21], დაუტევეს პალეკარტები მათი[22] მის თანა და ძმაჲცა იგი მაწუხებელი. და ვითარცა ჰრეკეს კარსა ბერისასა, გარდამოიხედნა სარკუმლით ბერმან და

---

[1] აღსავსე] სავსე CD. [2] მოწაფჱ] მოწაფე CDE. [3] მისა] მისსა CD. [4] საქმჱ] საქმე CDE. [5] მის – CD. [6] რაჲთამცა] რაჲთა D. [7] ვიქმნენით] ვიქმნეთ D. [8] ჭურჭელსა] სენაკსა E. [9] განჰგზავნიდა + განმკრეხველსა E. [10] პირუტყუსა] სახედარსა D. [11] გაჰგზავნიდა D. [12] იტყოდა] ეტყოდაE. [13] შეუძლოთ] შეუძლებთ E. [14] I ტიმ.6,7. [15] ეპისკოპოს] ებისკოპოს D. [16] მიერ – C. [17] დაიდვა] დაჲდვა A. [18] და – C. [19] მისა] მისსა D. [20] თჳსსა] თჳსა E. [21] სორისა] სორისსაC; სურისასა D. [22] მათი] მისი D.

იცნნა იგინი და ჰრქუა მათ: სადა არს პალეკარტები თქუენი? ხოლო მათ ჰრქუეს მას: აქა არს, მას რომელსამე თანა ძმასა. ესმა რაჲ ბერსა სახელი ძმისაჲ მის, შემაწუხებელისა მისისაჲ, მრავლისა მისგან სიხარულისა აღიღო ცული და გამოარღჳა კარი სენაკისა თჳსისაჲ, ვინაჲთგან შეწყუდევით[1] იყოფებოდა იგი. და გამოვიდა და მირბიოდა ძმისა მის მიმართ, და პირველად მან მოუდრიკნა მუჯლნი და შეიტკბო იგი, და შეიყვანა[2] სენაკად თჳსად. და სამ დღე კეთილად და მხიარულად განისუენა მის თანა, რომელი-ესე არა აქუნდა წესად. და აღდგა და წარვიდა მას თანა. და შემდგომად ამისა[3] იქმნა ეპისკოპოს[4] და რამეთუ იყოცა იგი ნიშებშემოსილ. ხოლო[5] მოწაფე მისი, მამაჲ ისაკ, აკურთხა ეპისკოპოსად[6] ნეტარმან კჳრილე ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსმან[7].

VIII. 1. აქუნდა ვისთანამე მეგობრობაჲ გარეშე სენაკისა თჳსისა **პაესიოსს[8] ძმასა მამისა პიმენისა[9]**, ხოლო მამასა პიმენს არა უნდა ესე. და აღდგა და წარვიდა მამისა ამონაჲსსა[10] და მიუთხრა მას, ვითარმედ: ძმასა ჩემსა პაესიოსს /373v/ აქუს ვისთანამე[11] მეგობრობაჲ და მე ვერ განვისუენებ. ჰრქუა მას მამამან ამმონა: პიმენ, ჯერეთ[12] კულა ცოცხალ ხარ! წარვედ და დაჯედ სენაკსა შინა შენსა და დაიდევ[13] გონებასა[14] შენსა, ვითარმედ სამი წელიწადი გაქუს საფლავსა შინა.

2. თქუა **მამამან პიმენ:** ყოველივე ჭირი, რომელიცა მოვიდეს შენ ზედა, ძლევაჲ მისი[15] არს სიმდაბლჱ[16] და დუმილი.

3. კუალად თქუა: უკეთურებაჲ უკეთურებასა არა ოდეს განაქარვებს, არამედ უკუეთუ ვინ[17] გიყოს ბოროტი, შენ კეთილი უყავ მას, რაჲთა კეთილითა განაქარვო ბოროტი.

IX. ნეტარი პიორ შურებოდა სამკალსა ვისამე[18] და შეაჯსენა მან ფასისათჳს, ხოლო მან თანაწარიჯადა. აღდგა ბერი და წარვიდა სენაკად თჳსსა[19]. და კუალად მეორესა წელსა წარვიდა მუნვე და მკო გულსმოდგინედ. და არცა რაჲ მაშინ მისცა და წარვიდა კუალადცა სენაკად თჳსად. და ვითარცა მოიწია მესამე წელიწადი, წარვიდა ბერი ჩუეულებისაებრ და უგულსმოდგინესად[20] აღასრულა მკაჲ თჳსი და მსახურებაჲ. და არცა რაჲ მაშინ მიიღო. და წარვიდა ესრეთ ცარიელივე სენაკად თჳსად. მაშინ უფალმან განიკითხა სახლი იგი ქუეყანისმოქმედისაჲ მის. აღდგა კაცი იგი

---

[1] შეწყუდევით] შეწყუდეული CD. [2] შეიყვანა] შეიწყნარნა C. [3] ამისა] ამისსა CD. [4] ეპისკოპოს] ებისკოპოს D. [5] ხოლო] არამედ E. [6] ეპისკოპოსად] ებისკოპოსად CD. [7] მთავარებისკოპოსმან D. + პაესიოს E. [9] პიმენისა] პიმენისსა CE. [10] ამონაჲსა E. [11] ვისთანამე] ვისმე თანა D. [12] ~ კულა ჯერეთ D. [13] დაიდევ] დაჲდევ A. [14] გონებასა + შინა CE. [15] ~ არს მისი C. [16] სიმდაბლჱ] სიმდაბლე DE. [17]~ გიყოს ვინ E . [18] ვისამე] ვისსამე D. [19] თჳსად CD. [20] უგულსმოდგინესად] უგულსმოდგინედ C; უგულსმოდგინესადრე E.

მხილებული, მიმოვიდოდა მონასტერთა და ეძიებდა წმიდასა[1], რაჲთა მისცეს სასყიდელი მისი. და ძნიადღა სამე პოვა იგი. შეუვრდა ფერჴთა მისთა და ჰრქუა: მე უფალმან მომაგო, მამაო, აწ მიიღე სასყიდელი შენი. ხოლო ბერმან არარაჲ მისგანი[2] მიიღო, არამედ უბრძანა, რაჲთა წარიღოს იგი ეკლესიად და მიართუას მღდელსა.

X. მამაჲ[3] პავლე და **მამაჲ ტიმოთე** იყვნეს ძმანი, დასხდეს[4] სკიტეს და იქმნა მრავალგზის მათ[5] შორის /374/ სიტყჳსგებაჲ. ჰრქუა მამამან პავლე ძმასა თჳსსა, ვიდრემდის ვიყვნეთ, ძმაო, ესრეთ განლიგებულ? ჰრქუა მას მამამან ტიმოთე: ყავ სიყუარული და ოდეს აღვიძრა მე შენ ზედა, მიტჳრთე და კუალად ოდეს აღიძრა შენ ჩემ ზედა, გიტჳრთო. და ყვეს ესრეთ და განისუენეს ნეშტთა მათ დღეთა ცხორებისა მათისათა.

XI. ხოლო **ნეტარისა სფირიდონისთჳს** რაჲ ვინ თქუას, რომლისა ესოდენი[6] იყო სიწმიდე და სიმდაბლ[ჱ][7], ვიდრეღა მწყსასა[8] თანა საცხოვართასა კაცთაცა მწყემსად გამოჩნდა და ერთსა ქალაქთაგანსა ზედა[9] კჳპრეს, რომელსა ტრიმითუნდა[10] ეწოდებოდა[11], ეპისკოპოსად იკურთხა და მრავლისა მისგან სიმდაბლისა არა იჯმნა მან არცა მწყსისაგან ცხოვართაჲსა. ღამესა უკუე ერთსა შუვაღამეს ოდენ მივიდეს მპარავნი მას სამწყსოთა მისთასა და მოპარვად ცხოვრებსა ისწრაფდეს. არამედ ღმერთმან ყოველთამან მწყემსიცა და საცხოვარნი ერთბამად დაიცვნა, რამეთუ მპარავნი იგი უხილავმან ძალმან ბაკსა მას არვისასა შეაკრნა. და ვითარცა განთენა და მოითუალვიდა მწყემსი ცხოვართა, პოვნა მპარავნიცა იგი ჴელუკუღმართ შეკრულნი და ცნა მიზეზი იგი მათი[12]. დადგა[13] და ილოცა ღმრთისა მიმართ და მერმე განჰჴსნნა მპარავნი იგი და მრავალი შჯულდებაჲ[14] მიუთხრა მათ და სწავლაჲ, რაჲთა სამართალთა მიერ სამუშაკოთა ისწრაფონ მათცა გამოზრდაჲ და ნუ ეძიებენ უსამართლოსა. მერმე ვერძი რჩეული გამოარჩია, მისცა მათ მხიარულებით და ჰრქუა: რაჲთა არა იყოს ცუდ[15] მღჳძარებაჲ თქუენი, წარიყვანეთ ესე და წარვედით მშჳდობით.

XII. ძმაჲ ვინმე ლიბიკელი[16] მივიდა **მამისა** /374v/ **სილოვანესა**[17] მთასა პანეფოჲსასა და ჰრქუა მას: მამაო, მტერი მივის[18], რომელმან მრავალი ბოროტი მიყო მე[19] და აგარაკიცა ჩემი წარ-ვე-მტაცა, ვიყავ რაჲ სოფელსა შინა. და მრავალი ძჳრი შემაჩუენა[20] მე და მოგუნიცა[21] და მწამლველნი აღძრნა ჩემ ზედა ბოროტისყოფად ჩემდა. და აწ მნებავს, რაჲთა მივსცე იგი

---

[1] წმიდასა + მასE. [2] ~მიიღო მისგანD . [3] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 204v-ზე (აკინძვის შეცდომა). [4] დასხდეს-D. [5] ~ სიტყჳსგებაჲ მათ შორისD. [6] ესოდენი] ესე ოდე-ნიE. [7] სიმდაბლ[ჱ] სიმდაბლეCD. [8] მწყსასა] სამწყსოთაD. [9] ზედა-C. [10] ტრიმითუნდა] ტრიმითონცა C; ტრიმითონ D. [11] ეწოდებოდა] ეწოდების D. [12] მათი + და CE. [13] დადგა და ილოცა] დადგა ლოცვად CD. [14] შჯულისდებაჲ C. [15] არა იყოს ცუდ] არა წარჴდეს C; ცუდად D. [16] აქ E ნუსხა წყდება. [17] სილოვანესა] სილოვანესსა CD. [18] მივის + მე D. [19] მე – D. [20] შემაჩუენა] შემამთხჳა D. [21] მოგუნიცა + იგი C.

მთავარსა. ჰრქუა მას ბერმან: ვითარცა განგესუენების, შვილო, ქმენ. ჰრქუა მას ძმამან: ჰრიდე, მამაო, უკუეთუ იწუართოს დიდად, სარგებელ ეყოფვის სულსა მისსა? ჰრქუა მას ბერმან: ვითარცა გთნავს, შვილო, ყავ. ჰრქუა მას ძმამან: აღდეგ, მამაო, და ყავ ლოცვაჲ და წარვალ მთავრისა. და აღდგა ბერი და ვითარცა იტყოდეს იგინი „მამაო ჩუენოსა“, და მოვიდეს ადგილსა მას[1], თუ, „მომიტევენ ჩუენ[2] თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა მიუტევებთ[3] თანამდებთა მათ ჩუენთა“, თქუა ბერმან: და ნუ მომიტევებ[4] ჩუენ თანამდებთა[5] მათ ჩუენთა, ვითარცა-იგი[6] არცა ჩუენ მიუტევებთ[7] თანამდებთა მათ ჩუენთა. ჰრქუა ძმამან ბერსა: ნუ, მამაო, ესრეთ. და ბერმან ჰრქუა ძმასა: და ვითარ, შვილო, გრწმენინ, უკუეთუ წარხუალ მთავრისა, რაჲთა გისაჯოს შენ, სილოვანე სხუასა ლოცვასა არა[8] ჰყოფს, თჳნიერ ესრეთ. და შეუვრდა ძმაჲ იგი ბერსა და მისცა შენდობაჲ შემაწუხებელსა მას მისსა[9].

1. ძმამან ვინმე შექმნა ნაცვალი კლიტისაჲ და განაღებნ კარსა ბერისა ერთისასა და გამოიპარავნ კერმასა მისსა. ხოლო ბერმან დაწერა ქარტაჲ ესრეთ: უფალო ძმაო, ვინცა ხარ, ყავ სიყუარული და ნახევარი კერმაჲსაჲ[10] შენ წარიღე და ნახევარი დაუტევე საჴმრად ჩემდა. და განყო კერმაჲ იგი ორად და დააგდო ზედა ქარტაჲ იგი. ხოლო იგი კუალადცა[11] /375/ შევიდა ჩუეულებისაებრ და პოვა რაჲ ქარტაჲ იგი და[12] აღმოაკითხა, განხია იგი და წარიღო ყოველი სრულად. და შემდგომად ორისა წლისა მოკუდა იგი. და ჟამსა მას სიკუდილისა მისისასა არა განვიდოდა სული მისი, ვიდრემდის მოუწოდა ბერსა[13] და ჰრქუა მას: ლოცვა ყავ ჩემთჳს, მამაო, რამეთუ მე ვარ, რომელი ვიპარევდი კერმასა შენსა. ჰრქუა მას ბერმან: და ადრევე რად არა სთქუ?! გარნა ყოველსავე ზედა ულოცა და ესრეთღა[14] განვიდა სული ჴორცთაგან.

2. სხუაჲ ვინმე მიეცა წამებად მჴევლისაგან თჳსისა, რამეთუ შეასმინა. და ვითარცა მივიდოდა ადგილსა მას აღსასრულისა თჳსისასა, იხილა მჴევალი იგი, შემასმენელი მისი და განიძარცუა ბეჭედი ოქროჲსაჲ, რომელი ემოსა[15] თითსა მისსა და მისცა მას და ჰრქუა: ვჰმადლობ ღმერთსა შენ მიერ, რამეთუ ესოდენთა[16] და ესევითართა კეთილთა მიზეზ მექმენ მე[17].

3. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე, ვითარმედ რაოდენსაცა[18] ვინ აგინებნ მას და შეურაცხ-ჰყოფნ, ესოდენ იგი მისსავე მიივლტინ და იტყჳნ[19], ვითარმედ: ესევითარნი არიან მიზეზნი სათნოებათანი მოსწრაფეთათჳს,

---

[1] მას] ამას CD. [2] ჩუენ – D. [3] მიუტევებთ] მიუტეობთ C. [4] მომიტევებ] მომიტეობ C. [5] თანანადებთა C. [6] ვითარცა-იგი არცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა – D. [7] მომიტეობთ C. [8] არღარა D. [9] მისსა] თჳსსა CD. [10] კერმაჲსაჲ] კერმისაჲ CD. [11] კუალადცა] კუალად D. [12] ~ აღმოაკითხა და D. [13] ბერსა + მას D. [14] ესრეთღა] ესრეთ C. [15] ემოსა] ეცუა C. [16] ესოდენთა] ესე ოდენთა C. [17] მე – D. [18] რაოდენსაცა + რას D. [19] იტყჳნ] იტყჳან C.

ხოლო მნატრენი[1] ჩუენნი მაცთუნებენ ჩუენ და აშფოთებენ სულთა ჩუენთა. და რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: რომელნი გნატრიდენ თქუენ, იგინი გაცთუნებენ თქუენ[2].

4. ძმაჲ ვინმე წარვიდა ბერისა ვისამე[3], რომელი მკჳდრ იყო უდაბნოს. და პოვნა გარეშე სენაკისა მისისა ყრმანი მძოვნელნი, რომელნი იტყოდეს უშუერთა სიტყუათა. და შემდგომად მითხრობისა გულისსიტყუათა თჳსთაჲსა და განკურნებისა გონიერებისაგან ბერისა, ჰრქუა ძმამან მან[4] ბერსა: ვითარ თავს-იდებ, მამაო, ყრმათა ამათ უშუერსა მღერასა, ანუ რად არა დაამცნობ[5] მათ, რაჲთა არა გლისპობდენ. /375v/ ჰრქუა მას ბერმან: გრწმენინ, ძმაო, მრავალნი დღენი არიან, რაჲთგან გულსა მიც რქუმად მათდა, გარნა ვაჭირვებ თავსა ჩემსა და ვეტყჳ: უკუეთუ მცირესა ამას ვერ[6] თავს-იდებ, ვითარ შეუძლო შენ თავსდებად მო-თუ-ვიდენ შენ ზედა დიდ-დიდნი[7] განსაცდელნი. და ამისთჳს არას[8] ვეტყჳ მათ, რაჲთა შეუქმნა თავსა ჩემსა ჩუეულებაჲ მოთმინებისაჲ.

5. იტყოდა[9] ვინმე ბერთაგანი, ვითარმედ: მესმა ვიეთმე წმიდათაგან, რამეთუ არიან ჭაბუკნი და მიუძღჳან[10] ბერთა ცხორებად. და რამეთუ იყო ვინმე ბერი მომთრვალჱ[11] და შურებოდა რაჲ დღე ფსიათსა ერთსა და წარიღის იგი და განყიდის სოფელს[12] და ფასი მისი შესჳს ღჳნოდ. უკუანაჲსკნელ მოვიდა[13] ვინმე ძმაჲ ჭაბუკი და[14] დაადგრა მის თანა. და შურებოდა იგიცა რაჲ დღე ფსიათსა და წარიღის იგიცა[15] ბერმან და განყიდის და ორთავე[16] მათ ფსიათთა[17] ფასი შესჳს[18]. და ამას იქმოდა ბერი იგი სამ წელ და ძმასა მას მიუტანის რაჲ მწუხრ[19] პური ოდენ[20] მცირჱ[21]. და ძმაჲ იგი ითმენდა და არარაჲ ჰრქუა მას. და შემდგომად სამისა წლისა თქუა გულსა შინა თჳსსა: შიშუელი ვარ მე სრულად და პურსაცა ჩემსა ნაკლულად[22] ვჭამ და ჭირით[23], აღვდგე და წარვიდე აქაჲთ. კუალად მოაქცია გულისსიტყუაჲ თჳსი[24] და თქუა: სადაღა წარვიდე?! აწ ვიყო აქავე, რამეთუ მე ღმრთისათჳს ვზი და ღმრთისათჳს ვშურები. და მეყსეულად გამოუჩნდა მას ანგელოზი უფლისაჲ და ჰრქუა: ნუსადა[25] წარხუალ აქაჲთ, რამეთუ ხვალ მოვალ შენ ზედა. და იგი ჰლოცვიდა ბერსა და ეტყოდა: ნუსადა წარხუალ დღეს, რამეთუ მოვლენ წარმყვანებელნი ჩემნი დღეს. და ვითარცა მოვიდა ჟამი ბერისა მის წარსლვისაჲ, ჰრქუა მას: არა მოვლენ დღეს, შვილო, რამეთუ დაეყოვნა. ხოლო მან ჰრქუა მას: /376/ ჰჱ, მამაო, მოვლენ უეჭუელად. და ამას სიტყუასა

---

[1] მნატრენი] მაქებელნი CD. [2] ესაია 3,12. [3] ვისამე] ვისსამე D. [4] მან – CD. [5] დაამცნებ C. [6] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 244r-ზე (აკინძვის შეცდომა). [7] დიდ-დიდნი] დიდნი CD. [8] არას] არა CD. [9] იტყოდა] იტყოდეს C. [10] მიუძღჳან] მიუძღუან AC. [11] მომთრვალჱ] მომთრვალე CDE. [12] სოფელს – D. [13] მოვიდა ვინმე] მო-ვინმე-ვიდა CD. [14] და – C. [15] იგი C; იგიცა – D. [16] ორთავე.....ფასი – C. [17] ფსიათთა – D. [18] შესჳს + ღჳნოდ C. [19] მწუხრ] მწუხრი D. [20] ოდენ – D. [21] მცირჱ] მცირე CDE. [22] ნაკლულად] ნაკლულევანად D. [23] ჭირით + და D. [24] თჳსი – D. [25] ნუსადა] ნუსადაჲთ E.

თანა[1] დაიძინა[2]. ხოლო ბერმან იწყო ტირილად და იტყოდა: ვაჲ მე, შვილო, რამეთუ მრავალნი წელნი ცუდად წარვჰვადენ უდბად ცხორებითა, ხოლო შენ ესერა მცირეთა შინა[3] ჟამთა სული[4] შენი აცხოვნე მოთმინებითა შენითა. და მიერითგან იწყო ბერმან კეთილად მოქალაქობად და იქმნა მონაზონ რჩეულ და გამოცდილ.

6. ბერსა ვისმე აქუნდა ყრმაჲ თანამკჳდრად და ამხილა ერთგზის უჯეროსა რასმე ზედა[5] საქმესა[6]. ხოლო ყრმაჲ იგი[7] განძჳნდა და გამოიკრძალა კარი სენაკისაჲ, რომელსა შინა იდვა საზრდელი პორცთაჲ. და წარვიდა იგი, ვიდრეცა ენება ათცამეტ დღე და დაუტევა ბერი ყოლად უღონოდ და უზმად. ხოლო ახლვიდა ბერსა ძმაჲ ვინმე კეთილი, და ვითარცა იხილა, რამეთუ დაეყოვნა ჭაბუკსა მას, უქმნის რაჲმე მცირე წუენი ბერსა და მისცის მას[8] იგი[9] სარკუმლით. ესოდენ იყო ძჳრუჴსენებლობაჲ და მოთმინებაჲ ბერისაჲ[10], რომელ არაოდეს იდრტჳნა ყრმისა მისთჳს, არცა გულსა შინა თჳსსა[11] და არცა სხჳსა თანა, არამედ ოდეს ჰკითხის ძმამან, თუ რად დაეყოვნა ყრმასა მას, ბერმან თქჳს: ოდეს მოიცალოს, მოვალს.

7. ფილოსოფოსთა ვიეთმე ჴელ-ყვეს გამოცდაჲ მონაზონთაჲ და დღესა ერთსა წარჰვლიდა ვინმე კეთილად შემოსილი და ჰრქუეს მას: შენ, მოვედ[12] აქა! ხოლო მან აგინა მათ[13] და წარვლო. და კუალად სხუაჲ ვინმე წარჰვლიდა ლივიკელი და ჰრქუეს მასცა: შენ, შენ[14], მონაზონო, მოვედ[15] აქა. და იგი მირბიოდა მათდა. ხოლო მათ სცეს ყურიმალსა მისსა და მან მიუპყრა მათ სხუაჲცა იგი. ხოლო იგინი აღდგეს მეყსეულად, თაყუანის-სცეს მას და თქუეს: აჰა ჭეშმარიტი მონაზონი. და შთაისუეს[16] იგი შორის მათსა და იწყეს კითხვად მისა[17] და ეტყოდეს: რასა იქმთ /376v/ თქუენ, მონაზონნი უმეტეს ჩუენსა? თქუენ იმარხავთ და ჩუენცა ვიმარხავთ, თქუენ იღჳძებთ და ჩუენცა ვიღჳძებთ, რასაცა უკუე იქმთ თქუენ და ჩუენცა ვიქმთ. რასა მეტსა იქმთ თქუენ უდაბნოს მსხდომარენი? ჰრქუა მათ ბერმან: ჩუენ მადლსა ვესავთ ღმრთისასა და გონებასა შევიკრძალავთ. ხოლო მათ ჰრქუეს: ჩუენ ამისი დაცვაჲ ვერ ძალ-გჳც და სარგებელ-ეყო ფრიად და განუტევეს იგი.

8. ორნი მონაზონნი იყვნეს, რომელნი სხდეს ერთსა ადგილსა განშორებულად-რე[18] ურთიერთარს[19]. წარვიდა მათსა ბერი ვინმე დიდი და ინება გამოცდაჲ ერთსა[20] მათგანსა. და აღიღო კუერთხი და იწყო შემუსრვად ბოსტანსა და მხალსა მისსა. ხოლო ძმამან მან იხილა რაჲ ესე, დაიმალა[21] და ვითარცა დაშთა ერთი ოდენ ძირი მხალი, ჰრქუა ბერსა: უკუეთუ გნებავს,

---

[1] თანა] ზედა + და C. [2] დაიძინა] დაჲძინა A. [3] ~ ჟამთა შინა D . [4] სული] სულიცა D. [5] ~ საქმესა ზედა E. [6] საქმესა – D. [7] იგი – D. [8] მას – C. [9] ~ იგი მას D. [10] ბერი-საჲ] ბერისა E. [11] თჳსსა – C. [12] მოვედ] მოედ C. [13] მათ – D. [14] შენ – D. [15] მოედ C. [16] შთაისუეს] შთაჲსუეს A. [17] მისა] მისსა D. [18] განშორებულად CD. [19] ურთიერთასC. [20] ერთსა მათგანსა] ერთისა მათგანისაჲ C. [21] დაიმალა] დაჲმალა A.

მამაო, უტევე[1] ეგე, რაჲთა მაგას ზედა ვყოთ სიყუარული დღეს და პირ-ვიჳსნათ[2]. ესმა რაჲ ესე ბერსა, მოწლედ შეიტკბო ძმაჲ იგი და ჰრქუა: ძჯრუჳსენებლობისათჳს[3] შენისა განისუენებს სული ღმრთისაჲ შენ ზედა, ძმაო!

9. ბერმან ვინმე სკიტეს პოვნა ავაზაკნი, რომელნი განჰკრეხვიდეს სენაკსა მისსა და ჰრქუა მათ: შეისწრაფეთ ადრე, ვიდრე მოსლვადმდე ძმათა, რაჲთა არა დამიხრწიონ მე[4] აღსრულებად მცნებაჲ[5] ქრისტესი, რომელმან თქუა: რომელი წარგიღებდეს შენსა, ნუ მოჰჴდი[6].

10. ბერმან თქუა: უკუეთუ გესმას[7] ვისთჳსმე, რომელი გძულობდეს შენ და ძჯრსა ზრახვიდეს შენთჳს, წარუმგზავნე[8] რაჲ მას და მიეც ევლოგიაჲ ძალისაებრ შენისა, რაჲთა გაქუნდეს[9] კადნიერებაჲ თქუმად ჟამსა ლოცვისასა და ჟამსა მასცა სასჯელისასა, ვითარმედ: მომიტევენ ჩუენ, მეუფეო, თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა.

11. ძმანი ვიდოდეს გზასა და /377/ შესცთეს. მიემთხჳნეს ვიეთმე და ჰკითხეს გზაჲ. ხოლო იგი დახუდეს ავაზაკნი და შეაცთუნნეს იგინი სლვად უვალთა და უკაცურთა ადგილთა. და ერთი მიუდგა, რაჲთა განძარცუნეს[10] და ვიდოდეს რაჲ იგინი, მიიწინეს ნაღუარევსა რასმე ზედა[11], რომლისაგან გამოჰკრთა ხჳთქი და მიახლდნა ავაზაკსა მას ზედა შეჭმად მისა[12], ხოლო მონათა მათ ღმრთისათა არა უგულებელს-ყვეს იგი, არამედ ჴმა-ჰყვეს[13] და დაჰყარეს მჴეცსა მას და ბოროტისა წილ მიაგეს კეთილი, რომლისათჳს განკჳრდა ავაზაკი იგი ძჯრუჳსენებლობასა მას მათსა[14] ზედა და სიყუარულსა და მათ თანავე ჰმადლობდა ღმერთსა.

12. გჳთხრა ჩუენ ესე მამათაგანმან ვინმე მეგჳპტელმან, ვითარმედ: მომიჴდა ოდესმე[15] გულსა, რაჲთა წარვიდე უცხოებად. და[16] შევედ ნავსა და მივიწიე ათინას[17] და ვითარცა შე-ოდენ-ვიდოდე ქალაქად, ვიხილე ბერი ვინმე მონაზონი კეთილად შემოსილი, რომელსა აქუნდა ჴელთა[18] მცირე კუერთხი ბაბილოვნური და მირბიოდა იგი და სხუანი შემდგომად მისა[19] მირბიოდეს მრავალნი. ხოლო შე-რაჲ-ვიდა იგი[20] ქალაქად, მოეგება მას სიმრავლჱ[21] დიდძალი და წარიყვანეს იგი თეატრონად და მე ვჰკითხე ვისმე, ვითარმედ: ვინ არს ესე? და მან მრქუა მე[22]: ელენთაგანი არს ეგე, უთავადესი ყოველთა ფილოსოფოსთაჲ და იქმნა ქრისტეანე. და აღიშენა[23] თავისა თჳსისა

---

[1] უტევე] დაუტევე D. [2] პირ-ვიჳსნათ] პირი ვიჳსნათ CD. [3] ძჯრუჳსენებლობისათჳს შენისა] ძჯრუჳსენებლობისა შენისათჳს C. [4] მე – D. [5] მცნებაჲ ქრისტესი] მცნებათა ქრისტესთა CD. [6] მოჰჴდი] მოჴდი D. [7] გესმას] გესმეს C. [8] წარუგზავნე CD. [9] გაქუნდეს + შენ D. [10] განძარცუნეს] განიძარცუნეს D. [11] ზედა – D. [12] მისა] მისსა C. [13] ჴმა-უყვეს E. [14] ~ ზედა მათსა D. [15] ოდესმე – D. [16] და – D. [17] ათინას] ათინად CD. [18] ჴელთა მცირე – CD. [19] მისა] მისსა D. [20] იგი – C. [21] სიმრავლე DE. [22] მე + ვითარმედ D. [23] აღიშენა] აღაშენა C; აღიშენე D.

მონასტერი და შეიმოსა მას[1] შინა სახჱ[2] მონაზონებისაჲ. და არს ათხუთმეტი[3] წელიწადი, რაჲთგან არღარა შემოსრულ არს ქალაქად და ამისთჳს მივრბით მისა[4] ყოველი ერი, რაჲთა ვისმინოთ მისი, თუ რასა იტყჳს. და წარვედ მეცა მათ თანა. და ვითარცა მოვიდეს მთავარნი ქალაქისანი, ჰლოცვიდეს მას და ევედრებოდეს, ვითარმედ: გჳთხარ ჩუენ[5], რაჲცა გეგულების სიტყუად. /377v/ და მან თქუა: არა არს ნათესავი ცასა ქუეშე, ვითარ ნათესავი ქრისტეანეთაჲ, და არა არს წესიერებაჲ სხუაჲ, ვითარ წესიერებაჲ მონაზონთაჲ, თჳნიერ ერთი არს რომელი ავნებს, რამეთუ მოიყვანებს მათ ეშმაკი ძჳრისჳსენებად ურთიერთარს[6] და სიტყუად, ვითარმედ: მრქუა მე და ვარქუ მას. და არაწმიდებანი თჳსნი შინაგან თჳსსა ჰქონან და ვერ ხედვენ მათ. ვითარცა ესმა[7] ესე ყოველსა მას ერსა, შეასხეს მას ქებაჲ დიდი და წარვიდეს სახედ თჳსად[8].

13. თქუა ვინმე მამათაგანმან: უკუეთუ ვინმე გაგინოს, შენ, აკურთხე იგი. უკუეთუ მიითუალოს, ორთათჳსვე კეთილ. და უკუეთუ არა მიითუალოს, შენ მიიღებ ღმრთისაგან კურთხევასა, ხოლო იგი – რისხვასა.

14. ბერმან თქუა, ვითარმედ: იყო ვინმე პატრიაქი ქალაქსა ზედა ალექსანდრიელთასა მოწყალჱ[9] საკჳრველად და შემნდობელი შეცოდებულთაჲ, ტკბილი, სახიერი და კაცთმოყვარჱ[10]. ამას ჰყვა ვინმე მწიგნობარი, ჭაბუკი ჰასაკითა, რომელმან იპარა მისგან[11] ფარულად ოქროჲ და შიშისაგან გამოცხადებისა ივლტოდა იგი და წარვიდა თებაიდას[12] ეგჳპტისასა. მიემთხჳნეს უკუე მას შეცდომილსა ბარბაროზნი არაბნი მთისანი და რაჲ-იგი აქუნდა, ყოველივე წარუღეს და იგი ტყუედ წარიყვანეს უშინაგანესსა ქუეყანასა მათსა. ცნა ესე ნეტარმან მან[13] პატრიაქმან, მოიძია ტყუჱ[14] იგი და მოიყიდა[15] ოთხმეოცდაათ[16] დრაჰკანად[17]. და აღმო-რაჲ-ვიდა იგი მუნით, ესოდენი მოწყალებაჲ[18] და კაცთმოყუარებაჲ აჩუენა მას ზედა, ვიდრეღა იტყოდესცა მრავალნი, ვითარმედ არარაჲ არს უსარგებლეს პატრიაქისა ამის შეცოდებისა, ესოდენ იყო უმანკო და ძჳრუჳსენებელ ნეტარი იგი მადლითა უფლისაჲთა, რომლისაჲ არს დიდებაჲ[19] უკუნისამდე, ამინ![20] /378/

---

[1] მას შინა – CD. [2] სახე – D. [3] ათხუთმეტი] ათოთხმეტი E. [4] მისა] მისსა D. [5] ჩუენ + მამაო D. [6] ურთიერთარს] ურთიერთას C. [7] აქ E ნუსხა წყდება. [8] თჳსსა D. [9] მოწყალჱ] მოწყალე CD. [10] კაცთმოყვარჱ] კაცთმოყვარე CD. [11] ~ ფარულად მისგან C . [12] თებაიდას] თებაჲდას A. [13] მან – C. [14] ტყუჱ] ტყუე CD. [15] მოიყიდა + იგი D. [16] ოთხ-მეოცდაათ] ორმეოცდაათ D. [17] დრაჰკნად CD. [18] ~ კაცთმოყუარებაჲ და მოწყალებაჲ C. [19] დიდებაჲ + უკუნითი C; + აწ და ყოველთა საუკუნეთა D. [20] Aნუსხაში ანდერძი: „ღმერთმან აკურთხენ **ევგენი,** ფრიადი შრომაჲ აჩუენა ძიებისათჳსცა და შექცევისა და მოღუაწებისა ჩუენისა, მიეცინ ღმერთმან სასყიდელი მრავალწილად“.

თავი ით

სიყუარულისათჳს ღმრთისა და მოყუსისა

გუაკურთხენ, მამაო[1]!

I.1. თქუა **მამამან ანტონი**: მე არღარა მეშინის ღმრთისა, არამედ მიყუარს იგი, რამეთუ სიყუარული გარე განსდევნის შიშსა.

2. კუალად თქუა მანვე: მოყუსისაგან არს ცხორებაჲცა და სიკუდილი, რამეთუ უკუეთუ შევიძინოთ ძმაჲ, ღმერთსა შევიძენთ, და უკუეთუ დავაბრკოლოთ ძმაჲ, ქრისტეს მიმართ ვცოდავთ.

3. იტყოდეს ამას, ვითარმედ ბერი ვინმე ევედრა ღმერთსა, რაჲთა იხილნეს წმიდანი მამანი და იხილნა თჳნიერ მამისა ანტონისა[2]. და ჰრქუა მჩუენებელსა მას: სადა არს მამაჲ ანტონი? ხოლო მან ჰრქუა მას: მამაჲ ანტონი მუნ არს, სადა-იგი არს ღმერთი.

II. 1. თქუა **მამამან აგათონ**: არა ოდეს დავიძინე, რაჲთამცა მაქუნდა ძჳრი ვისთჳსმე, არცა ვის უტევე სხუასა დაძინებად, რაჲთამცა აქუნდა ჩემთჳს ძჳრი, ძალისაებრ ჩემისა.

2. მანვე თქუა: არა ოდეს მივეც სიყუარული, რამეთუ მიცემაჲცა[3] და მოღებაჲ სიყუარულ არნ ჩემდა, ვინაჲთგან ვიგონებდი მე შესაძინელსა მას ძმისასა და ცხორებაჲ იგი ძმისაჲ არნ ნაყოფ ჩემდა რჩეულ.

3. იტყოდა **მამაჲ იოსებ,** ზრახვიდეს რაჲ ძმანი სიყუარულისათჳს, ვითარმედ: ჩუენ არა ვიცით, თუ რაჲ არს სიყუარული, რამეთუ ძმაჲ შევიდა მამისა აგათონისა[4], იხილა სახეველი და აქო იგი. და არა უტევა ბერმან გამოსლვად, ვიდრემდის წარიღო მან სახეველი იგი.

4. იტყოდა **მამაჲ აგათონ:** უკუეთუმცა შესაძლებელ იყო და ვპოვე გონჯი მდებარედ, მი-მცა-ვსცემ მას[5] ჯორცნი ჩემნი და მო-მცა-ვიხუენ მე მისნი სურვილით და წადიერად და რამეთუ ესე არს სრული სიყუარული.

5. იტყოდეს კუალად მისთჳსვე, ვითარმედ: წარვიდა ოდესმე ქალაქად განსყიდად ჴელთსაქმრისა და პოვა უბანთა ზედა მდებარე /378v/ კაცი ვინმე

---

[1] მამაო] უფალო C ; ~ მამაო გუაკურთხენ D. [2] ანტონისა] ანტონისსა CD. [3] მიცემაჲცა] მიცემაჲ C. [4] აგათონისა] აგათონისსა CD. [5] ~ ჯორცნი ჩემნი მას C.

უცხოჲ და სნეული, რომელსა არავინ ჰყვა ყოლად მოღუაწე. და დაადგრა მის თანა ბერი. აღიღო[1] მიზდითა სახლი და ჴელთსაქმარისაგან მისისა[2] მისცემდა მიზდსაცა სახლისასა და ზრდიდა მას[3] და იღუწიდა ოთხ თუე, ვიდრემდის განიკურნა სნეული იგი. და ესრეთღა ბერი წარვიდა მშჳდობით[4] სენაკად[5] თჳსად.

6. იტყოდეს მისვე **მამისა აგათონისთჳს,** ვითარმედ: ისწრაფოდა აღსრულებად ყოველთავე მცნებათა. და უკუეთუ საჭმარ იქმნის ოდესმე და წიაღჰვლინ ნავითა, პირველად მან უპყრის ნიჩაბსა[6]. და უკუეთუ მივიდის მისა ძმაჲ, მეყსეულად ყვიან, რაჲ ლოცვაჲ, ჴელნი მისნი ტაბლასა დასდგმედ, რამეთუ სავსე იყო სიყუარულითა ღმრთისაჲთა.

7. შევიდა ოდესმე **ნეტარი აგათონ** ქალაქად განსყიდად ჴელთსაქმრისა და პოვა გონჯი ვინმე მდებარჱ[7] გზასა ზედა. ჰრქუა მას გონჯმან: სადა წარხუალ? ჰრქუა მას ბერმან: ქალაქად წარვალ განსყიდად ჴელთსაქმრისა. და მან ჰრქუა მას: ყავ სიყუარული და წარმიყვანე მე მუნ. და აღიკიდა იგი[8] ბერმან და შეიყვანა ქალაქად[9]. მერმე ჰრქუა ბერსა: სადაცა განჰყიდი ჴელთსაქმარსა შენსა, მუნცა დამდევ. და ბერმან ყო ეგრეთ. და ვითარცა განყიდის ჭურჭელი იგი, ჰკითხავს მას გონჯი იგი: რაოდენის[10] განჰყიდე ეგე? და მან თქჳს: ესოდენის. მერმე ჰრქჳს: მიყიდე მე[11] პლაკუნტი და მან უყიდის. და კუალად განყიდის სხუაჲ ჭურჭელი[12] და იგი ჰკითხავნ: და ესე რაოდენის[13] განჰყიდე? და მან თქჳს: ესოდენის. მერმე კუალად ჰრქჳს: მიყიდე მე ესე რაჲმე და უყიდის. შემდგომად უკუე ყოველთა ჭურჭელთა მისთა განსყიდისა ინება წარსლვაჲ ბერმან. ჰრქუა მას გონჯმან მან[14]: წარხუალა? ჰრქუა მას ბერმან: ჰჱ, წარვალ. /379/ და მან ჰრქუა მას: ყავ კუალადცა[15] სიყუარული და წარმიყვანე მე მუნვე, სადაცა მპოვე. და აღიკიდა იგი ბერმან და წარიყვანა[16] მასვე ადგილსა. მერმე ჰრქუა მას: კურთხეულ ხარ შენ, აგათონ, უფლისა მიერ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. და აღიხილნა მამამან[17] აგათონ თუალნი თჳსნი და არღარავინ იხილა მახლობელად თჳსა[18], რამეთუ ანგელოზი უფლისაჲ მოსრულ იყო გამოცდად მისა[19].

III. მამამან **ამმონა ნიტრიელმან** ინება ოდესმე წარსლვად **მამისა ანტონისა[20]**. და მი-რაჲ-იწია, ჰრქუა მას: მე უმეტესი შრომაჲ მაქუს შენსა და ვითარ სახელი შენი განდიდნა კაცთა შორის უფროჲს ჩემსა? ჰრქუა მას მამამან ანტონი: ამისთჳს, რამეთუ ღმერთი მე უფრო მიყუარს შენსა.

IV. იყო ვინმე ბერი სენაკებს სახელით **აპოლონ** და უკუეთუ ვინ მოვალნ წარყვანებად მისა საქმესა რასმე, სიხარულით წარვალნ და იტყჳნ: დღეს

---

[1] აღიღო] აღიღო A. [2] მისისა] თჳსისა C. [3] მას – C. [4] მშჳდობით-D. [5] სენაკად თჳსად] სახედ თჳსა D. [6] ნიჩაბსა] ნიჩაფსა C. [7] მდებარჱ] მდებარე CD. [8] იგი – D იგი – D. [9] ქალაქად + და C. [10] რაოდენის] რავდენის D. [11] მე – D. [12] ჭურჭელი] ჭურჭლები C. [13] რაოდენის] რავდენის D. [14] მან – CD. [15] ~ სიყუარული კუალადცა D . [16] წარიყვანა + იგი C. [17] მამამან-C. [18] თჳსად C. [19] მისა] მისსა C. [20] ანტონისა] ანტონისს აCD.

ქრისტეს თანა მეგულების მუშაკობად სულისათჳს ჩემისა და რამეთუ ესე არს სასყიდელი მისი და მადლი.

V. თქუა **მამამან ესაია**[1]: სიყუარული მოცალებაჲ არს ღმრთისა თანა მოუკლებელითა მადლობითა და რამეთუ მადლობასა ზედა ჩუენსა მოხარულ არს ღმერთი ჩუენთჳსვე. და ესე არს სასწაული განსუენებისაჲ, რომელ არს უვნებელობაჲ.

VI. თქუა **მამამან თეოდორე ენატელმან,** ვითარმედ: ოდეს ვიყავ ჭაბუკ, მკჳდრ ვიყავ უდაბნოს. და წარვედ ოდესმე საპურეს და წარვიღე ორი საწყაული იფქლი, რაჲთა შევქმნა იგი პურად. და ვპოვე მუნ ძმაჲ, რომელსა ეგულებოდა შექმნაჲ პურისაჲ და არავინ ჰყვა მას თანაშემწე. და ვითარცა მოცალე ვიქმენ მას თანა, მოვიდა სხუაჲ ძმაჲ და მივეც მასცა[2] ჴელი შეწევნისაჲ და შევქმენით პური მისი. და კუალად მოვიდა მესამე სხუაჲ და ესრეთვე ვყავთ და ვითარცა ვიქმოდე ყოველთავე თანა მომავალთა /379v/, შევქმენით პურად ძმათა[3] ექუსი საწყაული, ხოლო[4] უკანაჲსკნელღა შევქმენ ორიცა იგი საწყაული ჩემი, რაჲთგან მოიცალეს მომავალთა.

VII.1. აღვიდოდა[5] ოდესმე სკიტედ **მამაჲ იოანე მოკლჱ**[6] სხუათაცა ვიეთმე თანა ძმათა. შესცთა გზასა მძღუარი იგი მათი და რამეთუ იყოცა ღამჱ[7], ჰრქუეს ძმათა მათ მამასა იოანეს: რაჲ ვყოთ, მამაო, რამეთუ მძღუარი ჩუენი შეცთომილ არს? ჰრქუა მათ ბერმან: უკუეთუ ვამხილოთ მას, შეჰრცხუენდების და შეწუხდების[8], გარნა ვყო მე თავი ჩემი უძლურად, ვითარმედ ვერღარა ძალ-მიც სლვად. და დავადგრები[9] აქა ვიდრე განთიადადმდე[10]. და ყო ესრეთ. მერმე თქუეს სხუათა მათცა: არცაღა ჩუენ წარვალთ, არამედ დავდგეთ[11] აქა[12] შენ თანა[13]. და დასხდეს იგინი ვიდრე განთენებადმდე და ძმაჲ იგი არა დააბრკოლეს.

2. იტყოდა **მამაჲ იოანე მოკლჱ**[14]: არა შესაძლებელ არს აღშენებაჲ სახლისაჲ ზედაჲთ ჩამოღმართ, არამედ ქუეჲთ აღმართ. ჰრქუეს მას ძმათა: რაჲ არს სიტყუაჲ ეგე, მამაო? ჰრქუა მათ ბერმან: საფუძველი სახლისა აღშენებისაჲ მოყუასი არს, რაჲთა პირველად იგი შეიძინო და სარგებელ ეყო მას და რამეთუ სიყუარულსა ზედა ძმისასა დამოკიდებულ არიან ყოველნივე[15] მცნებანი ქრისტესნი.

3. იტყოდეს **მამისა იოანესთჳს**, ვითარმედ: ჭაბუკისა ვისმე ქალისა აღესრულნეს მშობელნი და იგი დაშთა ობლად. და განიზრახა, რაჲთა სახლი თჳსი შექმნას სადგურად უცხოთა[16] მამათა სკიტელთა. და რავდენთამე[17]

---

[1] ესაია] ესაჲ აA. [2] მასცა] მას C; მასცა – D. [3] ძმათა] ძმათაჲ C. [4] ხოლო ... იგი საწყაული – C. [5] აღვიდოდა] აღვიდა D. [6] მოკლჱ] მოკლე CD. [7] ღამჱ] ღამე CD. [8] შეწუხდების] შეწუხნების C; და შეწუხდები – D. [9] დავადგრები] დავდგები D. [10] განთიადადმდე] განთიადმდე C. [11] დავდგეთ] დავადგრეთ C. [12] აქა – C. [13] თანა] თანავე C. [14] მოკლე CD. [15] ყოველნივე] ყოველნი D. [16] უცხოთა + მონაზონთა C. [17] რავდენთამე] რაოდენთამე CD.

ჟამთა დაადგრა ესრეთ მსახურებასა შინა და შეწყნარებასა მამათასა. შემდგომად უკუე ჟამთა რავდენთამე[1] იწყო დაგლახეკებად და[2] მოკლებად და შეუდგეს მას კაცნი ვინმე[3] გულარძნილნი და მოდრიკეს იგი გზისა მისგან /380/ საღმრთოჲსა და მიერითგან იწყო მან ჰავად ქცევის, ვიდრემდის მიიწიაცა იგი სიძვად. ესმა ესე მამათა სკიტელთა და შეწუხნეს ფრიად და მოუწოდეს მამასა იოანეს მოკლესა და ჰრქუეს მას: გუასმიეს დისა მისთჳს ჩუენისა, რომელ ვერკეთილად იქცევის და მას ოდეს ძალ-ედვა, სიყუარული თჳსი აჩუენა ჩუენ ზედა. და აწ[4] ჩუენცა ვაჩუენოთ მას სიყუარული და შევეწინეთ ძალისაებრ. მოშუერ უკუე და წარვედ მისა[5] და სიბრძნისაებრ შენისა, რომელი მოუცემიეს შენდა ღმერთსა, განაგე მისთჳს. აღდგა უკუე მამაჲ იოანე და წარვიდა მისა[6] და ჰრქუა დედაბერსა მას მეკარესა: მოაჴსენე ჩემთჳს დიოფალსა[7]. ხოლო მან განგმო იგი და ჰრქუა: თქუენ პირველითგანვე შეშჭამეთ[8] საქონელი მისი და აჰა ესერა, აწ გლახაკი არს, რაჲღა გინებს[9] მისგან? ჰრქუა მას მამამან იოანე: წარვედ და არქუ მას, რამეთუ ფრიად სარგებელ-ვეყო მე[10] მას. ხოლო ყრმანი მისნი ეცინოდეს მას და ეტყოდეს: რაჲ გაქუს, რომელ მისცე მას, რამეთუ გნებავს ხილვაჲ[11] მისი და უბნობაჲ. ჰრქუა მას ბერმან: რაჲ იცით თქუენ, თუ რასა მეგულების მიცემად მისა? აღვიდა უკუე დედაბერი იგი და მიუთხრა მას მისთჳს და მან ჰრქუა მას: ესე მონაზონნი სამარადისოდ ვლენან პირსა ზღჳსა მეწამულისასა და ჰპოებენ მუნ მარგალიტსა დიდფასისასა[12]. და შეიმკო თავი თჳსი და ჰრქუა[13]: აღმოიყვანე იგი ჩემდა. და ვითარცა აღვიდა ბერი, უსწრო მან და დაჯდა ცხედარსა ზედა თჳსსა. მივიდა მამაჲ იოვანე და დაჯდა იგიცა მახლობელად მისა ცხედარსა ზედა, მიხედნა პირსა მისსა და ჰრქუა მას: რაჲსათჳს დაუტევე იესუ და ესევითარსა ამას სიხენეშესა მოხუედ? ხოლო მას ესმა რაჲ ესე, ყოველითურთ განცჳბრდა. და მამამან იოვანე მოიდრიკა თავი და ფიცხლად ტიროდა. და მან /380v/ ჰრქუა მას: ბერო, რაჲსა სტირ? ხოლო მან კუალადცა მიხედნა და მერმე კუალადცა მოიდრიკა თავი და ტიროდა. მაშინ ჰრქუა მას: ვხედავ, რამეთუ ეშმაკნი ემღერიან[14] პირსა შენსა და მე არა ვტიროდია? ესმა რაჲ ესე დედაკაცსა მას, ჰრქუა: არსა სინანული, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: ჰჩ, არს. ჰრქუა მას ქალმან მან: წარმიყვანე მე, სადაცა გნებავს. ჰრქუა მას ბერმან: გუალე! და მეყსეულად აღდგა იგი შედგომად მისა[15]. და ვითარცა იხილა მამამან იოანე, რამეთუ არარაჲ თქუა სახლისათჳს თჳსისა, არცარაჲ ყოლად განაგო მისთჳს[16], დაუკჳრდა ფრიად. და ვითარცა მიიწინეს უდაბნოდ, იქმნა მიმწუხრი. და გამოთხარა ბერმან მცირედ

[1] რავდენთამე] რაოდენთამე CD. [2] და მოკლებად – C. [3] ვინმე – C. [4] აწ – C. 5 მისა] მისსა D. [6] მისა] მისსა CD. [7] დიოფალსა] დედოფალსა C; დეოფალსა D. [8] შესჭამეთ D. [9] გინებს] გნებავს CD. [10] მე – C. [11] ხილვაჲ] ხილვად A. [12] დიდფასისასა] დიდფასისა D. [13] ჰრქუა + მას C. [14] ემღერიან] გემღერიან C. [15] მისა] მისსა D. [16] მისთჳს – CD.

ქჳშაჲ სასთუნლად მისა[1] და მცირედ განშორებულად[2] მისგან მოჰმზადა თავისათჳსცა თჳსისა და დასწერა მას[3] ბერმან ჯუარი და ჰრქუა: მიწევ და[4] მიიძინე[5] მანდა. ხოლო ბერმან აღასრულნა რაჲ ლოცვანი თჳსნი, მიწვა იგიცა განსუენებად. და ვითარცა იქმნა შუვაღამე[6], განიღჳძა და აჰა ესერა, იხილა ნათელი ბრწყინვალჱ[7], ვითარცა გზაჲ ზეცით ჩამოდგომილი[8] დედაკაცსა მას ზედა და[9] ანგელოზნი ღმრთისანი იხილნა აღმავალად[10] გზასა მას ნათლისასა, რომელთა ჰყვა სული მისი. აღდგა უკუე ბერი და წარვიდა მისა და უგუმირა მას ფერჴითა. და ვითარცა იხილა, რამეთუ მომკუდარ იყო, დააგდო თავი თჳსი წინაშე ღმრთისა პირსა ზედა თჳსსა, ილოცვიდა და ევედრებოდა, რაჲთა გამოუცხადოს მისთჳს. და ესმა მას[11] ჴმაჲ ზეცით, რომელი ეტყოდა, ვითარმედ: ერთი ესე ჟამი მაგისი[12] სინანულისაჲ შევიწირე უფროჲს მრავალთა წელთა სინანულსა სხუათასა, რომელთა ვერ აჩუენეს ესევითარი მჴურვალე სინანული. ხოლო ეწოდებოდა სახელად დედაკაცსა მას პაისია[13].

4. /381/ იტყოდა **მამაჲ იოვანე**, ვითარმედ: თქუა მამამან ჩუენმან **ანტონი**: არაოდეს აღვირჩიე უმჯობესი ჩემი სარგებელსა ძმისასა.

VIII. წარვიდა ოდესმე **მამაჲ ილარიონ** პალესტინით მთასა **მამისა ანტონისსა** და ჰრქუა მას მამამან ანტონი: კეთილად მოხუედ, მთიებო, განთიად აღმომავალო. და მამამან ილარიონ ჰრქუა მას: მშჯდობაჲ შენდა, სუეტო ცეცხლისაო, რომელი ჰნათობ ყოველსა სოფელსა.

IX. მივიდა[14] ვინმე ბერი **მამისა ლოთისა** მცირესა მას ბაიოანსა[15] არსენოიტს[16] და ევედრა მას, რაჲთა მისცეს მას მუნ სენაკი და მისცა მას. და რამეთუ იყო ბერი იგი უძლურ და განუსუენა მას მამამან ლოთ კეთილად. და უკუეთუ ვინ მივიდის[17] ხილვად მამისა ლოთისა[18], წარიყვანის იგი მოხილვად უძლურისა მისცა ბერისა. და ვითარცა გარდაჴდეს ამას ზედა ჟამნი რაჲმე, იწყო უძლურმან მან ბერმან სიტყუად ორიგენისთა[19]. შეუძნდა ესე მამასა ლოთს და შეწუხნა[20] ფრიად და იტყოდა: ნუუკუე ჰგონან[21] მამათა, თუ ჩუენცა ესევითარნივე ვართ და განდევნად მისა[22] ეშინოდა მცნებისათჳს. აღდგა უკუე მამაჲ ლოთ და წარვიდა მამისა არსენის[23] და მიუთხრა მას ბერისა მისთჳს. ჰრქუა მას მამამან არსენი: ნუ განსდევნი[24] მას, არამედ არქუ: აჰა ესერა, კეთილნი ღმრთისანი უხუებითა არიან ჩუენ ზედა, ჭამე და სუ, ვითარცა

---

[1] მისა] მისსა D. [2] განშორებულად] განშორებულადრე C. [3] მას – C. [4] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 246r-ზე (აკინძვის შეცდომა). [5] მიიძინე] დაიძინე D. [6] შუვაღამე] შუაღამე DE. [7] ბრწყინვალჱ] ბრწყინვალე CD. [8] ჩამოდგომილი] შთამოდგომილი E. [9] და + რამეთუ D. [10] აღმავალად] აღმავალნი C. [11] მას – CD. [12] ~ სინანულისაჲ მაგისი CD . [13] პაისია] პაისია CD. [14] მივიდა] მოვიდა E. [15] ბაიოანსა] ბაჲოანსა A; ბაიონ საC. [16] არსენოიტს] არსენოიტს A; არსენოტის C. [17] მივიდის] მოვიდის D. [18] ლოთისა] ლოთისსა CD. [19] ორიგენისთა] ოროგენისთა D. [20] შეწუხნა] შეწუხდა C. 21 ჰგონან] ჰგონონ C. [22] მისა] მისსა D. [23] არსენისა] არსენისსა D. [24] განსდევნით D.

გნებავს, თჳნიერ ოდენ მაგას სიტყუასა ნუ იტყჳ. და უკუეთუ ენებოს, განემართების იგი, ხოლო უკუეთუ განმართებაჲ არა ენებოს, თჳთ გევედროს იგი, რაჲთა წარვიდეს ადგილისაგან და არა შენგან იქმნეს მიზეზი. წარვიდა უკუე მამაჲ ლოთ და ყო ეგრეთ, ვითარცა ასწავა მას მამამან არსენი. ესმა რაჲ ესე უძლურსა მას /381v/ ბერსა, არა ინება განმართებაჲ, არამედ იწყო ვედრებად მისა[1] და ეტყოდა: მცნებისათჳს უფლისა, წარმგზავნეთ მე ამიერ, რამეთუ[2] ვერ ძალ-მიც თავსდებად უდაბნოჲსა ამის. და აღდგა და წარვიდა იგი[3] მიერ და წარმგზავნა[4] იგი მამამან ლოთ მშჳდობით და სიყუარულით.

X. იტყოდა **მამაჲ პეტრე მამისა მაკარისთჳს**, ვითარმედ წარვიდა იგი ოდესმე განშორებულისა ვისმე თანა და პოვა იგი სნეულად. და ვითარცა არარაჲ პოვა სენაკსა შინა მისსა ჭამადი, ჰკითხა მას, თუ რასა ჭამს, ანუ რაჲ უჴმს, რაჲთა მოართუას. ხოლო მან ინება ნატიფი და არა დაიცონა[5] ბერმან წარსლვად ალექსანდრიად და[6] მორთუმად მისა ნატიფსა[7] და უსაკჳრველესი ესე ყო, რომელ არცა ერთსა ვის აუწყა.

XI. 1. ბერი ვინმე იყო ეგჳპტეს, რომელსა დიდი პატივი და სახელი აქუნდა ვიდრე მისლვადმდე[8] მუნ **მამისა პიმენისა** სკიტით და ძმათა მისთა. დაუტევეს უკუე კაცთა მის ქუეყანისათა ბერი იგი და მოვიდოდეს[9] მამისა პიმენისა[10]. ხოლო მამასა პიმენს უძნდა საქმე ესე ფრიად და ჰრქუა ძმათა თჳსთა: რაჲ ვყოთ ჩუენ ბერისა ამისთჳს დიდისა, რამეთუ შრომაჲ შემამთხჳეს ჩუენ კაცთა, დაუტევეს ბერი და ჩუენ, უნდოთა ამათ თანა[11] და არარათა მოვიდეს, ვითარ უკუე უძლოთ განკურნებაჲ მისი? მერმე ჰრქუა მათ: მიმზადეთ ჩუენ მცირედ ჭამადი და აღიღეთ საწყეოჲ ღჳნოჲ და გუალეთ, წარვიდეთ მისა[12] და ერთად ვისამხროთ მის თანა, ვინ[13] უწყის, ნუუკუე ვითარ ამით სახითა უძლოთ განკურნებად მისა. აღიღეს უკუე ჭამადი იგი და საიტი[14] ღჳნოჲ მათ თანა და წარვიდეს[15] ბერისა მის. და ვითარცა ჰრეკეს[16] კარსა, გამოვიდა მოწაფჱ[17] მისი და ჰრქუა მათ: ვინანი ხართა[18]? ხოლო მათ ჰრქუეს: მოაჴსენე ბერსა, ვითარმედ პიმენ არს /382/ და ჰნებავს კურთხევისა მიღებაჲ შენგან. წარვიდა იგი და მიუთხრა ესე ბერსა თჳსსა, ხოლო მან გამოუმცნო და ჰრქუა: წარვედით, არა მცალს. ხოლო იგინი დაადგრეს სიცხესა მას და თქუეს: არა წარვალთ აქაჲთ, არა თუ ღირს ვიქმნეთ კურთხევასა ბერისაგან[19]. იხილა რაჲ სიმდაბლე იგი მათი და მოთმინებაჲ ბერმან მან, ლმობიერ იქმნა და განუღო მათ და შევიდეს შინა და ისერეს ერთად. და ვითარცა ჭამდეს იგინი, ჰრქუა მათ ბერმან:

---

[1] მისა] მისსა D. [2] რამეთუ] და C. [3] იგი – C. [4] წარმგზავნა] წარგზავნა CDE. [5] დაიცონა] დაჲცონა A. [6] და – E. [7] ნატიფსა] ნატიფისა D. [8] მისლვამდე C. [9] აქ E ნუსხა წყდება. [10] პიმენისა] პიმენისსა CD. [11] თანა – C. [12] მისა] მისსა D. [13] ვინაჲ D. [14] საიტი] საჲტი A. [15] წარვიდეს] წარვიდა D. [16] ჰრეკა D. [17] მოწაფჱ] მოწაფე CD. [18] ხართა] ხართ D. [19] ბერისაგან] ბერისასა D.

ჭეშმარიტად არა იგი ოდენ[1], რომელი მესმოდა თქუენთჳს, არამედ ასწილად უმეტეს ვიხილე საქმე თქუენი და სიყუარული და სიმდაბლჱ[2]. და იქმნნეს იგინი მიერ დღითგან მგობარ ფრიად და მოყუარულ ურთიერთარს[3].

2. თქუა **მამამან პიმენ**, ვითარმედ: უკუეთუ მივიდის ძმაჲ **მამისა იოანე მოკლისა**[4], საქმით უჩუენის მას სიყუარული იგი მოციქულისაჲ[5], ვითარმედ სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ.

3. კუალად თქუა: უფროჲსი ამისა[6] შეუძლებელ არს პოვნად სიყუარული, რაჲთა სული თჳსი დადვას კაცმან მოყუსისათჳს და რამეთუ უკუეთუ ვისმე ესმას სიტყუაჲ შესაწუხებელი და ძალ-ედვას მასცა ნაცვლისა თქუმაჲ და იღუაწოს და არა ჰრქუას. კუალად უკუეთუ რაჲმე[7] ვინ ჰმძლავროს და წარუღოს და მან თავს-იდვას იგი და არა მიაგოს ნაცვალი, ესევითარი იგი დასდებს სულსა თჳსსა[8] მოყუსისათჳს.

4. ძმამან[9] ჰკითხა **მამასა პიმენს** და ჰრქუა: ვპოვე ადგილი, რომელსა აქუს ყოველივე განსუენებაჲ ძმათაჲ. გნებავსა, რაჲთა დავემკჳდრო მუნ? ჰრქუა მას ბერმან: სადაცა არა ავნებ ძმასა შენსა, მუნცა დაემკჳდრე.

5. ძმამან ჰკითხა **მამასა პიმენს:** უკუეთუ აქუნდეს ძმასა ჩემსა მცირე[10] დრამაჲ ჩემი, გნებავსა, რაჲთა ვჰკითხო მას? ჰრქუა მას ბერმან: ჰკითხე მას /382v/ ერთგზის.

6. კუალად ჰრქუა მას ძმამან: რაჲ უყო გულისსიტყუასა ჩემსა, რამეთუ ვერ ვერევი? ჰრქუა მას ბერმან: უტევე გულისსიტყუათა შენთა და ვიდოდინ[11], ოდენ ძმასა შენსა ნუ შეაწუხებ.

7. იტყოდეს **მამისა პიმენისთჳს,** ვითარმედ: ჯდა იგი ოდესმე სკიტეს ორთა[12] თანა ძმათა მისთა. და უმცირესი იგი ყრმაჲ აჭირვებდა მათ. ჰრქუა მამამან პიმენ სხუასა მას ძმასა თჳსსა: რაჲ უყოთ ჩუენ მცირესა ამას[13], რამეთუ დამჴსნის ჩუენ, გუალე, წარვიდეთ აქაჲთ. და გამოვიდეს წარსლვად და დაუტევეს იგი. ხოლო მან ვითარცა იხილა, რამეთუ დაეყოვნა, გამოვიდა და იხილნა იგინი[14] შორით, რამეთუ მივიდოდეს. იწყო ჴმობად და მირბიოდა შედგომად მათსა. ჰრქუა მამამან პიმენ ძმასა თჳსსა: ველოდნეთ, ძმაო[15], მცირესა იმას[16], რამეთუ იჭირვის. და ვითარცა მოვიდა იგი მათ თანა, შეუვრდა მათ და ჰრქუა: სადა წარხუალთ და მე დამიტევეთ მარტოჲ. ჰრქუა მას ბერმან: რამეთუ მაწუხებ ჩუენ და ამისთჳს წარვალთ შენგან. და მან ჰრქუა მათ: ჰჱ, ჰჱ, გუალე, წარვიდეთ ერთგან, სადაცა გნებავს. და ვითარცა იხილა ბერმან უმანკოებაჲ[17] მისი, ჰრქუა ძმასა თჳსსა: გუალე, ძმაო[18], კუალად

---

[1] ~ ოდენ იგი D. [2] სიმდაბლჱ] სიმდაბლე CD. [3] ურთიერთარს] ურთიერთას C. [4] მოკლისა] მოკლისასა D. [5] მოციქულისაჲ] მოციქულისა D. [6] ამისა] ამისსა D. [7] რაჲმე – C. [8] თჳსსა – D. [9] ძმამან ჰკითხა მამასა პიმენს – D. [10] მცირე დრამაჲ] მცირედ რაჲმე D. [11] ვიდოდინ] ვიდოდიან C. [12] ~ ძმათა თანა ორთა C. [13] ამას – D. [14] იგინი] იგი D. [15] ძმაო] ძმანო C. [16] იმას] ამას CD. [17] უმანკოებაჲ + იგი C. [18] ძმაო – C; ძმანო D.

ვიქცეთ სენაკადვე ჩუენდა, რამეთუ[1] არა ნეფსით[2] იქმს ამას, არამედ ეშმაკი აქმნევს შეწუხებასა ჩუენსა. და უკმოიქცეს[3] კუალადცა სენაკადვე თჳსად.

XII. იქმნა ოდესმე[4], **მამაჲ პამბო** ვიდოდა ძმათა თანა კერძოთა მათ და სანახებთა ეგჳპტისათა. და იხილნა ერისკაცნი მსხდომარენი და ჰრქუა მათ: აღდეგით, მოიკითხენით მონაზონნი და იკურთხენით მათგან, რამეთუ ზედაჲსზედა ღმერთსა ეუბნებიან და პირნი მათნი წმიდა არიან.

XIII. იტყოდეს **მამისა პაფნოტისთჳს**, ვითარმედ არა[5] ადრე სჳს ღჳნოჲ. და ვითარცა ვიდოდა იგი ოდესმე, მიემთხჳა გზასა ზედა კრებულსა ავაზაკთასა და პოვნა იგინი, რამეთუ სუმიდეს ღჳნოსა. /383/ ხოლო ავაზაკთმთავარი იგი იცნობდა ბერსა და იცოდა, რამეთუ ღჳნოსა არა სუამს. და ხედვიდა მას ფრიად დამაშურალად. და აღავსო ჭიქაჲ ღჳნითა და აღიღო მახჳლი წუდილი ჴელთა თჳსთა და ჰრქუა ბერსა: არა თუ შესუა სასუმელი ესე ღჳნისაჲ, უეჭუელად მოგაკუდინო. ცნა ბერმან, რამეთუ სიყუარულით მისცემს მცნებისათჳს და ინება შეძინებაჲ მისი, მიიღო იგი[6] და შესუა. ხოლო ავაზაკთმთავრი იგი შეუვრდა მას და ჰრქუა: შემინდვე, მამაო, რამეთუ შეგაწუხე. ჰრქუა მას ბერმან: მრწამს ღმრთისაჲ, რომელ სასუმლისა[7] ამისთჳს ყოს შენ ზედა წყალობაჲ აქაცა და მერმესა მას საუკუნესა. ჰრქუა მას ავაზაკთმთავარმან: მრწამს ღმრთისაჲ, რომელ ამიერითგან არღარავის უყო ბოროტი. და სასუმლისა მის მიერ შეიძინა სრული კრებული ავაზაკთაჲ, რამეთუ დაუტევა ღმრთისათჳს ნებაჲ თჳსი.

XIV. წარვიდეს ოდესმე სარკინოზი სენაკად **მამისა სისოჲსა**[8] და განძარცუეს იგიცა და ძმაჲ მისი. და წარვიდეს ორნივე იგი[9] უდაბნოდ, რაჲთა პოონ რაჲმე ჭამადი. და ვითარცა ვიდოდეს იგინი, პოვა ბერმან გურკაჲ აქლემისაჲ, განტეხა იგი და პოვა ორი მარცუალი ქრთილისაჲ. ერთი იგი შეჭამა და მეორე იგი იპყრა ჴელსა შინა თჳსსა. მოვიდა ძმაჲ იგი მისი და პოვა ბერი, რამეთუ იცოხნიდა. და ჰრქუა მას: ესე არს სიყუარული, მამაო, რამეთუ ჰპოვე რაჲმე ჭამადი და მარტოჲ შჭამ[10] და მე არა მომხადე? ჰრქუა მას მამამან სისოჲ: არა გავნე შენ, ძმაო, რამეთუ აჰა ესერა ნაწილი შენი ჴელთა შინა ჩემთა დამიმარხავს.

XV. იტყოდეს **მამისა სილოვანესთჳს,** ვითარმედ დამალა ოდესმე თავი თჳსი ფარულად სენაკსა შინა თჳსსა. და არა აქუნდა ჭამადი მრავალთა დღეთა, თჳნიერ მცირე ერევინდი და მითა[11] შურებოდა ჴელთსაქმარსა თჳსსა საცერსა. /383v/ და აჰა ესერა, კაცი ვინმე მოვიდა ეგჳპტით და აქუნდა მის თანა კარაული დატჳრთული პურითა. დაჰრეკა კარსა მისსა და ჩამოჰჴადა ტჳრთი. ხოლო მამამან სილოვანე აღუგო[12] იგი საცრითა და მიიღო[13] პური იგი და ჰმადლობდა და ადიდებდა ღმერთსა.

---

[1] რამეთუ არა ..... შეწუხებასა ჩუენსა – C. [2] ნებსით D. [3] ~ კუალადცა უკმოიქცეს C. [4] ოდესმე + და D. [5] ~ ადრე არა CD. 6 იგი – D. [7] სასუმლისა] სასუმელისა D. [8] სისოჲსა] სისოჲსსა CD. [9] იგი – C. [10] შჭამ] სჭამ D. [11] მით CD. [12] აღუგო] აღაგო CD. [13] მიიღო] მოიღო D.

XVI. თქუა **მამამან ჯპერექიოს**[1]: იჴსენ მოყუასი შენი ცოდვისაგან, რაოდენ ძალ-გიც თჳნიერ ყუედრებისა, რამეთუ ღმერთი მოქცეულთა არა გარემიაქცევს. ხოლო სიტყუაჲ სიმედგრისა და სიბოროტისაჲ ნუმცა იქცევის გულსა შინა შენსა ძმისათჳს, რაჲთა შემძლებელ იყო სიტყუად: „მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა და[2] ჩუენცა მიუტევებთ[3] თანამდებთა მათ ჩუენთა“.

1. მომითხრა ვინმე[4] ჩუენ ესე, ვითარმედ: იყო ვინმე მაგისტრიანოსი ჭაბუკი ჰასაკითა და შუენიერი ხილვითა, რომელი ვიდოდა სამოცი ქულოთათჳს სამეუფოთა. ამას ესუა ერთსა შინა ქალაქთაგანსა მეგობარი[5] სარწმუნოჲ და გულითადი, მდიდარი და წარჩინებულთაგანი, სადა-იგი დადგებინ მიმოსლვასა მას შინა თჳსსა და განისუენებნ. ხოლო მრავალგზის დადგომასა[6] მას[7] მისსა და ერთგან მეპურისმტეობასა შეექმნა ცოლსა მის კაცისასა ტრფიალებაჲ ჭაბუკისა მის მიმართ, თჳნიერ გრძნობისა მისისა. და ვინაჲთგან პატიოსან იყო დედაკაცი იგი, არარაჲ გამოუჩინა მას ყოლადვე, თჳნიერ ოდენ გულსა შინა მისსა ეგზებოდა ცეცხლი იგი ტრფიალებისაჲ. და ვითრაცა წარვიდა ჭაბუკი იგი თჳსსა[8], დედაკაცი იგი მძაფრისა მისგან გულისთქუმისა დასნეულდა და მივარდა ქუე. ხოლო ქმარმან მისმან მოხადა მკურნალთა ჴელოვანთა და ვითარცა განიხილეს იგი, ჰრქუეს ქმარსა მისსა: უკუეთუ რაჲ ვნებაჲ შინაგანი და[9] სულისაჲ სჭირს, არა ვიცით[10], ჴორცთა კულა სნეულებაჲ, რეცა კნინოდენი რაჲ შჭირს. ვინაცა დაუჯდა გუერდით ქმარი მისი და მრავლითა ვედრებითა ევედრებოდა მას /384/ და აიძულებდა[11] უწყებად მისა[12], თუ რაჲ შჭირს. ხოლო მას ეშინოდაცა და ჰრცხუენოდა და ვერ იკადრებდა შეწამებად. უკუანაჲსკნელ აღიარა და თქუა: იცია, უფალო ჩემო, რომელ გინათუ სიწრფოებითა, გინა[13] სიყუარულითა შემოჰკრებ აქა პირთა შუენიერთა და ჭაბუკთა და მე დედაკაცი ვარ უძლური ბუნებითა და ჭაბუკი ჰასაკითა და მევნების სახეთაგან ქმნულკეთილთა. და აჰა ესერა, მაგისტრიანოსისა მის მიმართ შემექმნნეს გულისსიტყუანი არაკეთილნი, რომლისათჳსცა დავსნეულდი და ქუე მივვარდი მე. ესმა რაჲ ესე ქმარსა მისსა, დადუმდა[14] და შემდგომად რაოდენთამე დღეთა მოვიდა[15] კუალად მაგისტრიანოსი იგი. და წარვიდა კაცი იგი და მიეგება მას წინა და ჰრქუა: შენ იცი, უფალო ძმაო ჩემო, თუ ვითარ შეგიყუარე შენ და მრავლისაგან სიყუარულისა შეგიწყნარებდი სახედ ჩემდა. და ვიყვენით ერთ მეპურისმტე ცოლსა თანა ჩემსა. ჰრქუა[16] მას ჭაბუკმან

---

[1] ჯპერექიოს] იპერიქიოს CD. [2] და – D. [3] მიუტევებთ] მიუტეობთ CD. [4] ~ ჩუენ ვინმე C. [5] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება. [6] დადგომასა] დადგრომასა D. [7] მას – CD. [8] თჳსსა + და C. [9] და – D. [10] ვიცით] უწყით D. [11] აიძულებდა] აჲძულებდა A. [12] მისა] მისსა C. [13] გინა] გინათუ E. [14] დადუმდა] დადუმნა CDE. [15] მოვიდა] მივიდა D. [16] ჰრქუა მას ... სთქუ, აწ რაჲ – C.

მან[1]: ესე ყოველი ესრეთ არს, ვითარცა სთქუ, აწ რაჲ? ჰრქუა მას კაცმან მან: აწ აჰა ესერა, შეუჴდეს ცოლსა ჩემსა გულისსიტყუანი შენდამი. ხოლო მას ესმა რაჲ ესე, არა თუ ოდენ არა მიიხუნა გულისსიტყუანი დედაკაცისა მის მიმართ, არამედ უფროჲსღა შეწუხნაცა ფრიად კაცისა მისთჳს წესითა სიყუარულისაჲთა და ჰრქუა მას: ნუ შესწუხდები[2], აქუს ღმერთსა წყალობაჲ. წარვიდა უკუე ჭაბუკი იგი და აღიხუნა თმანი თჳსნი და დაიყჳნა[3] სამართებლითა[4] თავი[5] და პირი მისი, ვიდრეღა და წარბნიცა მისნი. და ესოდენ სატუხელად[6] გაიჴადა[7] თავი[8] და შებღალულად, რომელ ჭაბუკი იგი[9] და[10] შუენიერი, გონჯსა ჰგვანდა დაბერებულსა. შეიმოსა უკუე ფაკელი და აღვიდა სახლსა მას, სადა-იგი დედაკაცი[11] მდებარე იყო ცხედარსა ზედა და ქმარი მისი ჯდა მახლობელად მისსა. და მოიჴადა ფაკელი იგი[12] და უჩუენებდა დედაკაცსა მას სატუხელად გასრულსა თავსა და პირსა /384v/ თჳსსა და იტყოდა, ვითარმედ: ესერეთ შემქმნა მე უფალმან[13] და ესრეთ მიყო. იხილა რაჲ დედაკაცმან მან შუენიერებაჲ იგი საკჳრველი ჭაბუკისაჲ მის უშუერებად შეცვალებული, დაუკჳრდა ფრიად. და ვითარცა იხილა ღმერთმან საქმე იგი ჭაბუკისაჲ მის, აღიღო ბრძოლაჲ იგი დედაკაცისა მისგან და მეყსეულად აღდგა და განსთხინა[14] მისგან[15] გულისსიტყუანი იგი და განიკურნა. მაშინ ჰრქუა თჳსაგან[16] ქმარსა მის დედაკაცისასა მაგისტრიანოსმან[17] მან: აჰა, ესრეთ მოწყალებითა ღმრთისაჲთა არარაჲ ძჳრი შჭირს[18] ცოლსა შენსა და ამიერითგან არღარა ოდეს იხილოს პირი ჩემი. აჰა ესერა, ესე არს დადებაჲ სულისაჲ სიყუარულისათჳს და მიგებაჲ კეთილისა კეთილისა წილ.

2. ორნი ვინმე ძმანი წარიდგინნეს წამებად და იტანჯნეს ერთგზის, მერმე საპყრობილედ შეიყარნეს[19]. ხოლო აქუნდა მათ ურთიერთარს[20] გულისკლებაჲ და ვითარცა შეიწყუდინეს, მოუდრიკნა ერთმან მან[21] ძმამან მეორესა მუხლნი და ჰრქუა: ხვალე შეგუემთხუევის ჩუენ აღსრულებაჲ, დავჰჴსნათ ურთიერთარს[22] მტერობაჲ და ვყოთ სიყუარული. და მან არა ინება ყოფად ესე. ხოლო ხვალისდღე[23] კუალადცა მოყვანებული იქმნნეს[24] განკითხვად და გუემად. და რომელმან-იგი არა მიითუალა სინანული, არცა თავს-იდვა ყოფად სიყუარულისა, მეყსეულად პირველსავე შინა წყობასა იძლია და სარწმუნოებისაგან თჳსისა დაეცა და განვარდა. ჰრქუა მას მთავარმან: რაჲსათჳს გუშინვე არა მერჩდი მე, არამედ ესოდენ იგუემე? და მან მიუგო: ამისთჳს, რამეთუ ძჳრი-ვიჴსენე ძმისათჳს[25] ჩემისა და სიყუარული

---

[1] მან – D. [2] შესწუხნები D. [3] დაიყჳნა] დაჲყჳნა A. [4] სამართებლითა] სამართებელითა E. [5] თავი + თჳსი C. [6] სატუხელად] საკიცხლად D. [7] გაიჴადა] გაიხადა CD. [8] თავი + თჳსი CD. [9] იგი – D. [10] და – CD. [11] დედაკაცი + იგი C. [12] იგი – D. [13] უფალმან] ღმერთმან D. [14] განსთხინა] განსთხივნა C. [15] მისგან] თჳსისაგან C. [16] თჳსაგან] მისგან C. [17] აქ E ნუსხა წყდება. [18] შჭირს] სჭირს D. [19] შეიყარნეს] შეიყენნეს C. [20] ურთიერთარს] ურთიერთას C. [21] მან – C. [22] ურთიერთას C. [23] ხვალისდღე] ხვალისა დღე C. [24] იქმნნეს] იქმნეს C. [25] ძმისათჳს ჩემისა] ძმისა ჩემისათჳს C.

არა ვყავ მის თანა და ამის მიზეზისათჳს დატევებულ ვიქმენ შეწევნისაგან და წყალობისა ღმრთისა ჩემისა[1].

3. იყო ვინმე მეკრისტონჱ[2] ქალაქსა რომელსამე შინა და მივიდა ვინმე მისვე[3] ქალაქისაჲ და მიართუა მას /385/ ნამარხევად ხუთასი დრაჰკანი დაბეჭდულად[4] და ჰრქუა მას: მიიღე ესე და ოდეს მიჴმდეს, მცირედ-მცირედ[5] მომცემდი მე აქაჲთ. ხოლო არავინ იყო მუნ, ოდეს მისცა მას[6] დაბეჭდული იგი, თჳნიერ ერთი ვინმე წარჩინებულთაგან[7] ქალაქისათა გარეშეთ მეკრისტონისა მის წარჰვლიდა და ესმა და იხილა ოდეს მისცემდა კაცი იგი განძსა მას[8], ხოლო მეკრისტონჱ[8] იგი მას ვერ ხედვიდა. წარჴდეს რაჲ მცირედნი რაჲმე[10] დღენი, საჴმარ ექმნა კაცსა მას მიმცემელსა დრაჰკნისა[11] და ჰრქუა მეკრისტონესა მას[12]: მომეც მე დრაჰკნისა მისგან რაოდენიმე, რამეთუ მიჴმს. ხოლო იგი მინდობილ იყო, ვითარმედ არავის უხილავს, არცა ვის ასმიეს, ოდეს მისცა მას საფასჱ[13] იგი, უარყო და ჰრქუა: რომლისა დრაჰკნისაგან? ყოლად არა ვიცი, თუ რასა იტყჳ, არცა რაჲ მოგიცემიეს ჩემდა! გამო-რაჲ-ვიდა[14] მიერ კაცი იგი შეწუხებული, შეემთხჳა მას წარჩინებულსა, რომელმანცა ჰრქუა მას: დასტურად მიეცა მას საფასჱ იგი? ხოლო მან ჰრქუა: ჰჱ, ჭეშმარიტად მივეც[15]. და მან ჰრქუა მას: არქუ მას ესრეთ, ვითარმედ მოვედ და გულსავსე-მყავ წმიდასა ანდრეას[16] წინაშე. და კმა არს შენდა. და რამეთუ შჱნ იყო მუნ მახლობელად ტაძარი წმიდისა ანდრეა[17] მოციქულისაჲ. წარვიდა უკუე კაცი იგი და ჰრქუა მას ესრეთ. და ვითარცა შევიდოდა იგი ფიცად, ჰრქუა წარჩინებულმან მან ყრმასა მას თჳსსა, რაჲცა ვყო დღეს, თავს-იდევ და ნუ აღშფოთნები[18], ნუცა რას ყოლად იტყჳ. უსწრო უკუე და შევიდა ბრწყინვალჱ[19] იგი კაცი ტაძარსა მას სამოციქულოსა. აღიძარცუა სამოსელი თჳსი და იწყო ეშმაკეულობად ბოროტად და ჴმათა აღუტეობდა სასტიკთა. და ვითარცა შევიდა ფიცად მიმღებელი იგი დრაჰკნისაჲ, იწყო მან სიტყუად და ზახილად სიმრავლესა მას შინა[20] ერისასა: წმიდაჲ ანდრეა იტყჳს: იხილეთღა მედგარი ესე, რომელმან ხუთასი დრაჰკანი /385v/ წარიღო კაცისაჲ ამის და აწ ჰნებავს ცრუდ ფიცი წინაშე ჩემსა. მერმე შეიპყრა იგი, აშთობდა[21] მას და ეტყოდა: წმიდაჲ ანდრეა იტყჳს: მოიღე ხუთასი დრაჰკანი კაცისაჲ მის[22] და მიეც ჴელთა. ხოლო მეკრისტონე იგი შეძრწუნდა ფრიად და შეეშინა. და რამეთუ იყოცა კაცი იგი, რომელი აშთობდა[23] ძლიერი ძალითა და ახოვანი გუამითა, ამისთჳსცა აღიარა და თქუა: მე მოვიღო იგი. და იგი კუალადცა აშთობდა

---

[1] ჩემისა-C. [2] მეკრისტონჱ] მეკრისტონე C. [3] მისვე] მის C. [4] დაბეჭდულად] დაბეჭდული D. [5] მცირედ-მცირედ] მცირედD. [6] მას – C. [7] წარჩინებულთაგან] წარ-ჩინებულთაგანი D. [8] მას – D. [9] მეკრისტონჱ] მეკრისტონე CD. [10] რაჲმე – C] რაჲ D. [11] დრაჰკნისა] დრაჰკნისასაD. [12] მას – D. [13] საფასჱ] საფასე CD. [14] გამო-რაჲ-ვიდა] გამოვიდა რაჲC. [15] მივეც + მას C. [16] ანდრეას] ანდრიასD. [17] ~ მოციქულისა ანდრი-აჲსი D. [18] აღშფოთნები + და D. [19] ბრწყინვალჱ] ბრწყინვალე CD. [20] შინა] შორის D. [21] აშთობდა] აშფოთებდაD. [22] ამის D. [23] აშთობდა] აშფოთებდა D.

მას და ეტყოდა: აწვე მოიღე იგი! წარვიდა უკუე კაცი იგი მეყსეულად და მოიღო ხუთასი[1] დრაჰკანი და მისცა მას, ვისი იგი იყო. ხოლო რეცა ეშმაკეულმან მან ჰრქუა უფალსა მას დრაჰკნისასა: წმიდაჲ ანდრეა იტყჳს: დადევ საკურთხეველსა ზედა ექუსი დრაჰკანი. ხოლო მან სიხარულით დადვა. და ვითარცა განიყარნეს იგინი, შეიმოსა ბრწყინვალედ ბრწყინვალემან მან კაცმან სამოსელი თჳსი და ბრწყინვალედ და შუენიერად და[2] პატივცემით[3] ვიდოდა ქალაქსა შინა, ხოლო წარჰვლიდა რაჲ მახლობელად მეკრისტონისა, იწყო მან ზე და ქუე ხედვად და ჭურეტად და განცდად მისა[4]. მერმე ჰრქუა მას ბრწყინვალემან მან[5] და წარჩინებულმან[6] კაცმან: მოყუასო, რასა მხედავ მე ზე და ქუე, გრწმენინ ჩემი მადლითა ქრისტესითა, არა ვარ მე ეშმაკეულ, არამედ ვინაჲთგან ოდეს მოგცემდა შენ კაცი იგი[7] საფასესა მას, გარე ვდეგ და ვხედევდი მტკიცედ თუალითა ჩემითა და მესმოდა ყურითა ჩემითა და უკუეთუმცა მეთქუა რაჲ შენდა, შენ იტყოდე, თუ: მარტოჲ არა სარწმუნო ხარ. ამისთჳს ვიჩემე საქმე ესე, რაჲთა შენ არა წარიწყმიდო სული შენი და კაცი იგი არა იზღვიოს უსამართლოდ საჴმარსა თჳსსა. აჰა ესერა, ამანცა კაცმან გამოაჩინა საქმით, თუ რაჲ არს დადებაჲ სულისაჲ მოყუსისათჳს, რამეთუ სარგებელისათჳს სხუათაჲსა უგულებელს-ყო პატივი თჳსი და აზნაურებაჲ სადიდებელად ღმრთისა.

4. /386/ მონაზონსა ვისმე, ფრიად განკრძალულსა და ღმრთისმოყუარესა, ესუა მეგობარი მეუდაბნოე და განშორებული. აღესრულა უკუე განშორებული იგი და შევიდა მონაზონი იგი, მეგობარი მისი[8], სენაკსა მისსა, და პოვა მას შინა ორმოცდაათი დრაჰკანი. და იწყო საკჳრველებად და ურვად და გულტკივნეულად ტირილად, რამეთუ ეშინოდა, ნუუკუე დააკლდეს განშორებული იგი დრაჰკნისა მის ძლით წყალობასა ღმრთისასა. და ვითარცა ევედრა ღმერთსა ფრიად[9] ამის პირისათჳს, იხილა ანგელოზი უფლისაჲ, რომელი ეტყოდა მას: რაჲსათჳს ესრეთ შეურვებულ ხარ განშორებულისა მისთჳს. ამას, რომელსა ეძიებ, კაცთმოყუარებასა მიანდვე ღმრთისასა და რამეთუ უკუეთუმცა იყვნეს ყოველნივე სრულნი, ვინაჲღამცა გამოაჩინა[10] კაცთმოყუარებაჲ უფლისაჲ[11], რომლისათჳს გულსავსე იქმნა ძმაჲ იგი, ვითარმედ ყო ღმერთმან წყალობაჲ განშორებულსა მას ზედა და შეუნდო საქმე იგი და მხიარულქმნილი ყოვლითურთ ადიდებდა და ჰმადლობდა ღმერთსა, უფსკრულსა მას ყოველთა წყალობათასა.

5. ბერმან ვინმე წარმგზავნა[12] მოწაფჱ[13] თჳსი ეგჳპტეს მოყვანებად აქლემისა, რაჲთა წარიღონ სფირიდები[14] მათი ეგჳპტეს. და ვითარცა მოიყვანა

---

[1] ხუთასი + იგი D. [2] და – D. [3] პატივცემით] პატივცემულად C. [4] მისა] მისსა D. [5] მან – CD. [6] წარჩინებულმან + მან C. [7] იგი – C. [8] მისი – D. [9] ფრიად – D. [10] გამოაჩინა] გამოჩნდა D. [11] უფლისაჲ] ღმრთისაჲ D. [12] წარმგზავნა] წარგზავნა CD. [13] მოწაფჱ] მოწაფე CD. [14] სფირიდები] სფჳრიდები C.

ძმამან მან[1] აქლემი სკიტეს, შეემთხჳა მას სხუაჲ ბერი და ჰრქუა: უკუეთუ[2] მეცნა, თუ ეგჳპტეს წარხუალ, დამემცნომცა შენდა ჩემთჳსცა მოტანებად[3] აქლემსა[4]. წარვიდა ძმაჲ იგი და მიუთხრა საქმე ესე მამასა თჳსსა. ხოლო ბერმან ჰრქუა მას: წარიყვანე აქლემი ეგე და მიეც მას და არქუ: ვერ მზა ვართ ჩუენ ჯერეთ, წარიყვანე შენ აქლემი ესე და ქმენ საქმე შენი. და შენ თანაწარჰყევ ეგჳპტედ და კუალად მოიყვანე აქლემი ეგე, რაჲთა ჩუენიცა ჭურჭლები წარვიღოთ. წარვიდა ძმაჲ იგი ბერისა მის[5], მიჰგუარა აქლემი[6] და ჰრქუა: ბერმან ჩემმან თქუა ესრეთ: ვერ მზა ვართ ჟამისად ჩუენ, წარიყვანე შენ აქლემი ესე და ქმენ საჯმარი შენი. და[7] /386v/ მიი/ყვანა ბერმან აქლემი იგი და აღაგო სფირიდებითა[8] და წარვიდა ეგჳპტედ. და ვითარცა მოიწინეს[9] მუნ და შთამოჰჯადეს ტჳრთი, კუალადცა აღიყვანა ძმამან აქლემი იგი და ჰრქუა ბერსა: ლოცვა ყავ ჩემთჳს, მამაო. ხოლო მან ჰრქუა მას: სადა წარგყავს აქლემი ეგე? ჰრქუა მას ძმამან: სკიტეს, რაჲთა ჩუენცა მოვიღოთ ჭურჭლები ჩუენი. ცნა რაჲ[10] ბერმან საქმე იგი, ლმობილ[11] იქმნა, შეუვრდა ცრემლით და ჰრქუა: შემინდევით მე, რამეთუ[12] ფრიადმან სიყუარულმან თქუენმან წარიღო ნაყოფი ჩემი.

6. ბერმან თქუა: უკუეთუ რაჲ ვინ გთხოოს შენ და იძულებით მისცე, ესე ერთი არს, ხოლო უკუეთუ სიხარულით[13] და წადიერებით მისცე, ესე ორი არს, ვითარცა წერილ არს: „უკუეთუ ვინ წარგიქცევდეს შენ[14] მილიონ ერთ, მივლე მის თანა ორი“. ესე იგი არს, უკუეთუ რას ვინ[15] გთხოვდეს შენ, გულსმოდგინედ[16] მიეც მას სულითა და ჯორცითა[17].

7. ორნი ძმანი იყვნეს სენაკებს, ერთი იყო ბერ და ერთი ჭაბუკ. ჰლოცვიდა უბერესი იგი უჭაბუკესსა მას, რაჲთა იყვნენ ერთბამად. ხოლო იგი ეტყოდა მას: მე, ცოდვილ ვარ და ვერ ძალ-მიც ყოფად[18] შენ თანა, მამაო. და რამეთუ იყო ბერი იგი წმიდა და არა ენება, რაჲთამცა ესმა, თუ ჰქონან მონაზონსა გულისსიტყუანი სიძვისანი, ჰრქუა მას[19] ძმამან მან[20]: მიტევე მე შჳდეულსა ამას და კუალად ვთქუათ მაგისთჳს. და ვითარცა აღესრულა შჳდეული იგი, მივიდა ბერი მისა. ხოლო ჭაბუკმან მან ინება გამოცდაჲ ბერისაჲ და ჰრქუა: დიდსა განსაცდელსა შევვარდი მე[21], მამაო, შჳდეულსა ამას, რამეთუ წარვედ მე დაბად საჯმრისათჳს და დავეცი მუნ დედაკაცსა თანა სიძვითა. ჰრქუა მას ბერმან: არსა სინანული? ჰრქუა მას ძმამან: ჰჱ, არს! ჰრქუა მას ბერმან: მე ვიტჳრთო შენ თანა ნახევარი ცოდვისაჲ. ჰრქუა მას /387/ ძმამან: აწ ძალ-გჳც ერთგან მკჳდრობად მადლითა ქრისტჱსითა. და მიერითგან დაადგრეს ერთად[22] ვიდრე აღსასრულადმდე[23] მათა.

---

[1] მან – C. [2] უკუეთუმცა D. [3] ~ მოტანებად ჩემთჳსცა C. [4] აქლემსა] აქლემი D. [5] მის – D. [6] აქლემი + იგი C. [7] და – D. [8] სფირიდებითა] სფჳრიდებითა CD. [9] მოიწინეს] მიიწინეს D. [10] რაჲ – C. [11] ლმობილ] ლმობიელ C; ლმობიე რD. [12] რამეთუ – D. [13] სიხარულით] მხიარულებით C. [14] შენ – CD. [15] ვინ – C. [16] გულსმოდგინედ – D. [17] ჯორცითა] ჯორცით C. [18] ყოფად] ყოფაჲ D. [19] მას – C. [20] მან – CD. [21] მე – C. [22] ერთგან C. [23] აღსასრულადმდე მათა] აღსასრულებამდე მათდა C; აღსასრულადმედე D.

8. იტყოდეს ძმისა ვისთჳსმე, ვითარმედ შექმნა სფირიდები[1] და მოადგა მათ ყურები. და ესმა მეზობლისაგან მისისა, რამეთუ შეიჭირვებდა და იტყოდა: რაჲ ვყო, კრებაჲ ახლოს არს და არა მაქუს ყურები, რაჲმცა[2] დავაგე სფირიდებსა[3] ჩემსა. და წარვიდა და მოარღჳა ყურები სფირიდებსა[4] თჳსსა. მოართუა ძმასა და ჰრქუა: აჰა ესერა, ყურები ესე მეტად მაქუს, მოადგ ზედა სფირიდებსა[5] შენსა. ესრეთ ყო საქმე ძმისაჲ წარმართებულ და თჳსი საქმე უკუგდებულ[6] ძმამან მან კურთხეულმან.

9. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე, რამეთუ დასნეულდა სკიტეს და მოუნდა გულსა ჭამად პური[7] ტფილი. ესმა ესე ძმასა ვისმე მოღუაწესა და აღიღო მალაკი თჳსი[8] და მას შინა პურები[9] ჴმელი და წარვიდა ეგჳპტედ და გაცვალა პური იგი და მოართუა ბერსა. იხილეს რაჲ იგი მუნ მყოფთა ძმათა, რამეთუ ტფილ იყვნეს, დაუკჳრდა ფრიად. ხოლო ბერსა არა ენება გემოჲსხილვად, არამედ იტყოდა: ვითარ ვჭამო სისხლი ძმისა ჩემისაჲ?! ხოლო სხუანი იგი ბერნი ჰლოცვიდეს ბერსა და ეტყოდეს: მამაო, ჭამე ღმრთისათჳს, რაჲთა არა ცუდად წარჴდეს შრომაჲ და შესაწირავი ძმისაჲ ამის. მაშინღა ჭამა ბერმან ვედრებასა ზედა მათსა აღშენებისათჳს ძმისა მის და აკურთხა იგი.

10. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: ვითარ, მამაო, რამეთუ[10] არიან აწცა, რომელნი შურებიან მოღუაწებათა შინა მრავალთა და ვერ მიიღებენ მადლსა, ვითარ-იგი პირველნი მამანი. ჰრქუა მას ბერმან: მაშინ, შვილო, სიყუარული იყო მათ თანა და კაცად-კაცადი მოყუასსა თჳსსა ზიდვიდა[11] აღმართ. ხოლო აწ განჴმა სიყუარული /387v/ და თჳთოეული ჩუენი ჩაღმართ ზიდავს მოყუასსა თჳსსა. და ამისთჳს ვერღარა მივიღებთ მადლსა მას.

11. წარვიდეს ოდესმე სამნი ძმანი სამკალსა და აღიღეს სამეოცი ურნატი. ხოლო ერთი მათგანი პირველსავე დღესა დასნეულდა და უკუნიქცა სენაკადვე[12] თჳსად. ჰრქუა ერთმან მან ძმამან მეორესა: აჰა ესერა, ძმაო, ხედავ, თუ ვითარ დასნეულდა ძმაჲ ჩუენი და მოყუასი. აწ უკუე ვაიძულოთ[13] თავთა ჩუენთა მცირედ შენ და მცირედ მე და სარწმუნო არს ღმერთი, რაჲთა ლოცვითა მის ძმისაჲთა მოვმკოთ[14] მისიცა კერძი. და ვითარცა შეწევნითა ღმრთისაჲთა ადრე აღასრულეს საქმე იგი და მივიდეს მიღებად ფასისა, უწოდეს ძმასა მასცა და ჰრქუეს: მოვედ, ძმაო, და მიიღე სასყიდელი შენი. ხოლო მან ჰრქუა: რაბამი სასყიდელი მივიღო, ვინაჲთგან არა მიმკიეს? ხოლო მათ ჰრქუეს: ლოცვითა შენითა იქმნა სამკალი იგი შენი და მოვედ[15] და წარიღე სასყიდელი შენი. იქმნა უკუე მრავალი ცილობაჲ

---

[1] სფირიდები] სფჳრიდები CD. [2] რაჲმცა] რაჲთამცაD. [3] სფირიდებსა] სფჳრიდებსა CD. [4] სფირიდებსა] სფჳრიდებსა CD. [5] სფირიდებსა] სფჳრიდებსა CD. [6] უკუნგდებულ D. [7]~ ტფილი პური D . [8] თჳსი] იგი D. [9] პურები] პური D. [10] რამეთუ – C. [11] ~ ზიდვიდა მოყუასსა თჳსსა D. [12] სენაკად D. [13] ვაიძულოთ] ვაჲძულოთ A. [14] მოვმკოთ] მოვიმკოთ CD. [15] მოვედ] მოედ C.

შორის მათსა, რამეთუ ერთი იგი ეტყოდა[1]: არა მივიღებ, ხოლო ორნი[2] იგი ეტყოდეს: არა გიტეოთ შენ, არა თუ მიიღო. ვინაჲცა აღდგეს და წარვიდეს იგინი სამართლობად დიდისა ვისმე თანა[3] ბერისა. და ჰრქუა ძმამან ბერსა: მამაო, წარვედით სამნივე მკად. და ვითარცა მი-ოდენ-ვედით ყანად, მასვე პირველსა დღესა დავსნეულდი და უკუმოვიქეც[4] სენაკად ჩემდა და ვერცა თუ დღესა ერთსა უძლე მკად. და მაიძულებენ მე ძმანი და მეტყჳან: მოვედ[5] და წარიღე სასყიდელი შენი, რომელი არა გიმკიეს. ხოლო ორთა მათ თქუეს: მამაო, სამთავე აღვიღეთ სამეოცი ურნატი და უკუეთუმცა ყოფილ ვიყვენით სამნივე, ვერმცა უძლეთ გასრულებად. ხოლო ლოცვითა ამის ძმისაჲთა ორთა ადრე დავასრულეთ მკაჲცა იგი /388/ და სამკალი და აწ ვეტყჳთ მაგასღა[6], მიიღოს სასყიდელი თჳსი და არა ჰნებავს. ესმა რაჲ ესე ბერსა, დაუკჳრდა და ჰრქუა მოწაფესა თჳსსა: დაჰრეკე ძელსა, რაჲთა შემოკრბენ ყოველნი ძმანი აქა. და ვითარცა შემოკრბეს ყოველნი, ჰრქუა მათ: მოვედით, ძმანო, და ისმინეთ დღეს[7] საქმე და საბჭოჲ საკჳრველი. და მიუთხრა მათ ყოველივე[8] ბერმან და დაასაჯეს ძმასა მას, რაჲთა მიიღოს სასყიდელი მისი და ჰრქუეს: შენ წილ შურებოდა, ძმაო, მადლი ღმრთისაჲ. აწ უკუე აღიღე რაჲ იგი გხუდების და ვითარცა გნებავს, განაგე მისთჳს. ხოლო სიტყუასა მას ზედა ბერთასა წარვიდა ძმაჲ იგი წარღებად[9] ტირილით და მწუხარებით.

12. ბერმან თქუა: მამათა ჩუენთა წესად აქუნდა, რაჲთა წარვიდოდიან სენაკებსა ახლად მოსრულთა ძმათასა და მოიხილვიდენ მათ, თუ ვითარ-ძი იყოფვის თჳთოეული[10] მათი თჳსაგან სენაკსა შინა მათსა, ნუუკუე ვისმე მათგანსა ევნოს[11] რაჲმე გონებასა ეშმაკისაგან. და უკუეთუ ვინმე იპოვის[12] მათგანი ვნებულად გულისსიტყჳთა ანუ რომლითაცა სახითა, მოიყვანიან იგი ეკლესიად და წარმოდგიან[13] საბანელი ჴელთაჲ და ყვიან ლოცვაჲ ვნებულსა მას ზედა და დაიბანნიან ყოველთავე ძმათა ჴელნი მათნი საბანელსა მას შინა და მერმე გარდაასხიან ვნებულსა მას ზედა წყალი იგი ნაბანი ძმათაჲ და მეყსეულად განწმიდის იგი და განიკურნის, ვითარითაცა რაჲთ შეპყრობილ არნ სნეულებითა.

13. ბერმან[14] თქუა: არა ოდეს მითქუა გულმან საქმესა სარგებელსა ჩემსა, რომელსა ზედა იზღვეოდა ძმაჲ ჩემი. და რამეთუ ესევითარი მაქუს სასოებაჲ, რომელ სარგებელი ძმისა ჩემისაჲ ნაყოფად ჩემდა სრულად შემირაცხიეს.

14. მოღუაწემან ვინმე პოვა კაცი ეშმაკეული, რომელსა ვერ ძალ-ედვა მარხვად და მიენდო სიყუარულსა ღმრთისასა, ვითრაცა წერილ არს /388v/

---

[1] ეტყოდა] იტყოდა D. [2] ორნივე C. [3] ~ ბერისა თანა C. [4] უკუმოვიქეც] უკმოვ-იქეც D. [5] მოვედ] მოედ C. [6] მაგასღა – D] მაგას C. [7] დღეს საქმე და – C. [8] ~ ბერმან ყოველივე C. [9] წარღებად – C. [10] თჳთოეული] თითოეული C. [11] ევნოს] ევნო C. [12] იპოვის] იპოჲს D. [13] აქ D ნუსხა წყდება. [14] №12 თხრობა C ნუსხაში მიწერილია სხვა ხელით აშიაზე მე-13 თხრობის შემდეგ

ვითარმედ: „კაცად-კაცადი ნუ ეძიებნ თავისასა, არამედ მოყუსისასა“. ამისთჳსცა ილოცა მისლვად[1] მას ზედა ეშმაკსა მას და განთავისუფლებად ვნებულისა მის. და ისმინა ღმერთმან ლოცვისა მისისაჲ და დამძიმდა მოღუაწე იგი ეშმაკისაგან და უმატა მარხვასა და ლოცვასა. და მოიცალა მოღუაწებად და სიყუარულისათჳს მისისა, რომელი აჩუენა მან მოყუასსა, მცირედთა შინა დღეთა განდევნა ღმერთმან მისგან ეშმაკი იგი და ადიდებდა ღმერთსა.

15. ორნი ბერნი მკჳდრ იყვნეს ერთად მრავალთა წელთა და არაოდეს იყვნეს შელალებულ. დღესა ერთსა ჰრქუა ერთმან მეორესა: ვყოთ ჩუენცა ერთგზის ბრძოლაჲ ვითარცა კაცთა. და მან ჰრქუა მას: არა ვიცი, თუ ვითარ იქმნებოდის ბრძოლაჲ. ხოლო მან ჰრქუა: აჰა ესერა, მე დავდვა ალიზი შორის და მე ვთქუა, ვითარმედ ჩემი არს და შენ თქუ არა, არამედ ჩემი არს. და ამიერ იქმნების დაწყებაჲ შფოთისაჲ. და მოიღო ალიზი იგი თიჯისაჲ და დადვა შუვა და თქუა ერთმან ესე ჩემი არს, ხოლო მეორემან არა, არამედ ჩემი არს. და მან კუალად თქუა: უკუეთუ შენი არს, აღიღე ეგე და ხჳიდოდე. და განეშორნეს მიერ და ვერ უძლეს ყოფაჲ შფოთისაჲ.

16. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: ორნი ძმანი არიან, მამაო, ერთი იმარხავს ექუს-ექუსით და ფრიადსა შრომასა შეამთხუევს თავსა, ხოლო მეორე იგი სნეულთა ჰმსახურებს, რომლისა საქმე უმეტეს შეწყნარბულ არს ღმრთისაგან? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ დაჰკიდოს თავი თჳსი ცხჳრთაგან თჳსთა ზე, რომელი-იგი ექუს-ექუსით იმარხავს, ვერ შემძლებელ არს სწორყოფად მისა, რომელი-იგი სნეულთა ჰმსახურებს.

16. ძმაჲ ჰმსახურებდა ბერსა ვისმე უძლურსა[2], რომელსაცა[3] შეემთხჳა[4] სიმყრალე შინაკერძო და ნერწყუასა მას მისსა აქუნდა სულმყრალობაჲ ძნელი. /389/ ჰრქუა გულისსიტყუამან ძმასა მას, რომელი ჰმსახურებდა: ივლტოდე აქაჲთ, რამეთუ ვერ ძალ-გიც თავსდებად სულმყრალობასა ამას. ხოლო ძმამან მოიღო ჭურჭელი კეცისაჲ და შთაასხა მას შინა ნაბანი უძლურისაჲ მის და ოდეს ჰრქჳს გულისსიტყუამან, თუ: ივლტოდე, მან ჰრქჳს: სუ იქით და წარვედ. და კუალად ჰრქჳს თავსა თჳსსა: ნუცა სუამ სულმყრალობასა იმას და ნუცა წარხუალ. და ესრეთ ითმინდა ძმაჲ იგი და ჰმსახურებდა ბერსა. და იხილა ღმერთმან შრომაჲ იგი ძმისაჲ მის და განჰკურნა[5] ბერი იგი.

17. მამათაგანი ვინმე წარვიდა ქალაქად, რაჲთა განყიდოს ჴელთსაქმარი[6] და იხილა გლახაკი ვინმე შიშუელი, შეეწყალა იგი, აღიძარცუა სამოსელი თჳსი და მისცა მას. ხოლო გლახაკმან მან წარიღო იგი და განყიდა. ცნა რაჲ ესე ბერმან, რამეთუ განყიდა შესამოსელი მისი[7], შეწუხნა და ინანდა, რამეთუ მისცა მას შესამოსელი თჳსი. წარმოუდგა უკუე ჩუენებით ღამესა

[1] ~ მას ზედა მისლვად C. [2] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 251r-ზე. [3] რომელსაცა] რომელსა C. [4] შეემთხჳა] შე-ცა-ემთხჳა C. [5] განჰკურნა] განკურნა C. [6] ჴელთსაქმარი + თჳსი C. [7] მისი] თჳსი C.

მას ქრისტე და ემოსა კუართი იგი და ჰრქუა ბერსა: ნუ შეწუხებულ ხარ, აჰა ესერა, მე მმოსიეს სამოსელი იგი შენი, რომელი მე მომეც და ესრეთ ნუგეშინისცემულ იქმნა ბერი იგი და ჰმადლობდა ღმერთსა.

18. იტყოდეს ბერნი, ვითარმედ: უჴმს თჳთოეულსა ჩუენსა განთჳსებაჲ მოყუსისაჲ და თანალმობაჲ ყოველსა შინა და თანასიხარული და თანატირილი და ესრეთ ყოფაჲ მისთჳს[1], ვითარმცა იგი მისნი ჴორცნი ჰმოსიან და ესრეთმცა იჭირვის მისთჳს, ვითარცა თავისათჳს თჳსისა. უკუეთუ სამე[2] შეემთხუეოდის უძლურებაჲ, ვითარცა-იგი წერილ არს, ვითარმედ:[3] „ერთჴორც ვართ ქრისტეს მიერ“ და ვითარმედ: „სიმრავლისა მის მორწმუნეთაჲსაჲ[4] იყო გული და გონებაჲ ერთ“[5].

19. მონაზონი იყო, რომელსა აქუნდა განშორებულად თჳსაგან ათით მილიონით სხუაჲცა[6] მონაზონი. აცხო ოდესმე ამან[7] პური და ჰრქუა გულისსიტყუამან, რაჲთა მოუწოდოს /389v/ მასცა ძმასა და მისცეს პური. და კუალად განიზრახნა თავსა შორის თჳსსა, ვითარმედ: ვითარ მოვაშრვო ძმაჲ ჩემი ათსა მილიონსა პურისათჳს, უფროჲსღა მე მივართუა მას ნახევარი პურისაჲ. და აღიღო და წარემართა სენაკად ძმისა მის. და ვითარცა მივიდოდა, წარჰკრა ქვასა ფერჴი მისი და წარიკუეთა[8] თითი ფერჴისა მისისაჲ და გამოჴდა სისხლი ფრიადი მიერ. და იწყო მონაზონმან[9] ტირილად ტკივილისაგან. და აჰა ესერა, ანგელოზი უფლისაჲ მოვიდა და ჰრქუა მას: რად შეწუხებულ ხარ ანუ რად სტირ? ჰრქუა მას მონაზონმან: ფერჴი ჩემი წარვიკუეთე და მტკივის. ჰრქუა მას ანგელოზმან: და ამისთჳს სტირა? ნუ სტირ ამისთჳს და რამეთუ რაოდენი ნაბიჯი წარგიდგამს[10] ღმრთისათჳს, ყოველივე აღრაცხილ არს და დიდად მადლად ჩანან შენთჳს პირსა ღმრთისასა და რაჲთა სცნა, ვითარმედ ესე[11] ესრეთ არს, აჰა ესერა შენ წინავე აღვიღებ სისხილისაგან შენისა და მიუპყრობ ღმერთსა შენთჳს ძღუნად. მაშინ განძლიერდა იგი[12], ჰმადლობდა ღმერთსა, წარვიდა ძმისა მის და მიართუა მას ნახევარი იგი პურისაჲ და მიუთხრა მას კაცთმოყუარებაჲ ღმრთისაჲ და უკუმოიქცა[13] სენაკადვე თჳსად. კუალად შემდგომად დღისა ერთისა აღიღო სხუაჲ იგი ნახევარი პურისაჲ და მიართუა სხუასა მონაზონსა, ხოლო სხუაცა ვინმე მონაზონი აღბაძვებულ იყო საქმესა მას მისსა კეთილსა და მიერთუა პური სხჳსა[14] ბერისადა. და ვითარცა მოვიდოდა იგი მიერ, შეიმთხჳნეს ურთიერთარს ორნივე გზასა ერთად და იწყო, რომელმან-იგი პირველ თავ-ყო კეთილისა სიტყუად მისა, ვითარმედ: საუნჯე მაქუნდა დაფარული და შენ ძიება-ჰყავ წარპარვად მისა. და მან ჰრქუა მას: სადა

---

[1] მისთჳს – C. [2] სამე] სადმე C. [3] აქედან D ნუსხა ისევ გრძელდება. [4] მორწმუნეთაჲსაჲ] მორწმუნეთაჲსა C. [5] საქ. 4.32. [6] სხუაჲცა] სხუაჲ C. [7] ამან – C. [8] წარიკუეთა] წარჰკუეთა C. [9] მონაზონმან] ძმამან C. [10] წარგიდგამს] წარმოგიდგამს D. [11] ესე – C. [12] იგი + და D. [13] უკუმოიქცა] უკმოიქცა D. [14] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 249r-ზე (აკინძვის შეცდომა).

წერილ არს, რაოდენცა არს ბჭჱ იგი, რაჲთა შენ მარტოჲ შეხჳდე, შეგჳშუენ ჩუენცა შესლვად. და ვითარ-იგი ამას /390/ ურთიერთარს მეტყუელებდეს, მეყსა შინა გამოუჩნდა მათ[1] ანგელოზი უფლისაჲ და ჰრქუა: ცილობაჲ ეგე თქუენი და ჴდომაჲ ურთიერთარს სულად სურნელებისად აღვიდა წინაშე ღმრთისა.

20. ორნი ძმანი მკჳდრ იყვნეს, ერთი იგი დაყუდებით[2] და მეორჱ[3] მსახურებდა სამსახურსა ორთასავე. იქმნა ოდესმე და წარიღო გარემავალმან მან ძმამან ორთავე ჴელთსაქმარი სასყიდლად და ფრიად უმცირესი[4] მოიღო ფასი და კუალადცა და მრავალგზის ყო ესე, ვიდრემდის იიძულა შინამყოფი იგი განზრახვად, ვითარმედ ანუ ბოროტად წარაგებს, ანუ თუ ჰბასრობს ვინმე და ცუდად წარუღებს, რომლისა ამის ინება ცნობად, აღდგა და შეუდგა მას. და ვითარცა შევიდა იგი[5] ადგილსა, სადა არა ჯერ-იყო, იჩემა მანცა იგივე საქმე. წარვიდა და შეუვრდა დაცემულსა მას დაუცემელი იგი და ითხოვდა შენდობასა. ესე მრავალგზის ყო და ცთომაჲ იგი ძმისაჲ თავსა ზედა თჳსსა დაიკრიბა. ხოლო ეგულებოდა რაჲ მას განსლვაჲ ამიერ სოფლით, ჰრქუა ძმასა მას თჳსსა შეცოდებულსა: უბრალო ვარ მე, ძმაო, ცოდვისა მისგან, რომლისათჳს შენ მრავალჯერ მუჴლნი მოგიდრიკენ, გარნა ამისთჳს ვიქმოდე ამას, რაჲთამცა შენ შეინანე. აწ ლოცვა ყავ ჩემთჳს და რაოდენ ძალ-გედვას, ევლტოდე[6] ცოდვასა, რამეთუ შენცა ახლოს წოდებად ხარ. და ესრეთ აღესრულა იგი და წარვიდა უფლისა. ხოლო ძმამან მან დაჰმატა მოღუაწებასა[7] მოღუაწებაჲ და სინანულსა[8] სინანული.

21. კუალად იყვნეს ერთად სხუანიცა[9] ორნი ძმანი და ერთმან მათგანმან დაუტევა სახჱ მონაზონებისაჲ და გაერისგანდა. ხოლო მეორემან მან იჩემა მისთჳს ესევე და ესრეთ მოთმინებისათჳს ერთისა მის ძმისა, შეიწყალა ღმერთმან მეორეცა იგი. უკუმოიქცეს სენაკადვე მათა[10] და უმეტესი /390v/ შრომაჲ და მოღუაწებაჲ აჩუენეს და ღმერთსა სათნო-ეყვნეს.

22. წარვიდეს ოდესმე ძმანი დასხდომად მთასა დიოლკოჲსასა[11] და ისწავეს საქმე ქარტისაჲ[12] და შურებოდეს მას სასყიდლით. ხოლო არა იყვნეს მუნ ჴელოვანნი მრავლად, რაჲთამცა აქმნევდეს. წარვიდა მთასა ბერი ვინმე და ჰრქუა მათ: რაჲსათჳს არა შურებით? ხოლო მათ ჰრქუეს: კრძალულებითა მისთჳს, მამაო, რამეთუ ჰავად ვშურებით. ჰრქუა მათ ბერმან: წარვედით მის ვისმე[13] მონისა ღმრთისა და მოგცეს თქუენ საქმე. წარვიდეს იგინი და ბერმან სიხარულით მისცა მათ, ხოლო ძმანი იგი ეტყოდეს ბერსა: ჰავად ვშურებოდით, მამაო. ჰრქუა მათ ბერმან: მრწამს

---

[1] მათ – D. [2] დაყუდებული D. [3] მეორე D. [4] უმცირესი] მცირე D. [5] იგი – D. [6] ევლტოდე] ეკრძალე D. [7] ~ მოღუაწებაჲ მოღუაწებასა D. [8] ~ სინანული სინანულსა D . [9] სხუანიცა] სხუანი D. [10] მათა] თჳსად D. [11] დიოლკოჲსასა] დიოლოკოჲსასა C. [12] ქარტისაჲ] ქარტაჲსაჲ C. [13] ვისამე] ვისსამე D.

ღმრთისაჲ, რომელ ჴელთსაქმრითა თქუენითა სხუანიცა გამოიზარდნენ. და სიყუარულითა მეტითა გულსმოდგინე ჰყოფდა[1] მათ ბერი საქმედ, დაღათუ არა უჴმდა საქმე მათი. აჰა ესერა, გამოჩნდა ვითარმედ: „მაიძულებელნი[2] მიიტაცებენ სასუფეველსა ცათასა“.

23. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რაჲსათჳს, მამაო, ვჰყოფდე რაჲ მცირესა[3] მას კანონსა ჩემსა, არა აქუს გულსა ჩემსა ოდესმე[4] სიჴშოჲ და ოდესმე გულსმოდგინებაჲ[5]. ჰრქუა მას ბერმან: ვინაჲ გამოჩნდეს, თუ აქუს კაცსა სიყუარული ღმრთისაჲ?! კუალად თქუა მანვე ბერმან: მე დასტურად ვერ კმა-მეყვნეს[6] ჴორცნი სრულყოფად გულსმოდგინებასა მას სულისა[7] და გონებისასა.

24. ძმაჲ ვინმე წარვიდა ეგჳპტეს, რაჲთა იყიდოს სელი და მიემთხჳა ქურივსა ვისმე. და ვითარცა მიჰყიდდა ძმასა მას სელსა ქურივი იგი, სულით-ითქუნა. ჰრქუა მას ძმამან: რად სულთ-ითქუენ, დედაო? მიუგო ქურივმან: ღმერთმან მოგავლინა შენ დღეს გამოზრდად ძმათა შენთა, ობოლთა ჩემთა. ესმა რაჲ ესე ძმასა მას, მხიარულ იქმნა და ორკეცად[8] მისცა ფასი და ორნივე ზოგად ჰმადლობდეს ღმერთსა.

25. მიმოსი ვინმე ვიდოდა გზასა და პოვა ერთი ბერი მონაზონი სენაკსა რასმე შინა[9] /391/ მჯდომარედ[10]. დადგა ლოცვად მიმოსი იგი ბერისათჳს და იტყოდა: ღმერთო[11], შეიწყალე გლახაკი ესე და მდაბალი, რამეთუ არა იცნობდა მას, თუ ვინ არს. და კუალად უკუმოჰვლიდა რაჲ, ესრეთვე ყო. და ამისთჳს განმართლდა[12] იგი. ხოლო ესე თქუა ბერმან მიმავალთათჳს, ვითარმედ: რომელნი მივლენ ბერთასა და ჰლოცვენ მათ და ეტყჳან, ვითარმედ ღმერთმან დაგიცვნეს თქუენ ჩუენ ცოდვილთათჳს, რაჲთა გულსავსე იქმნნენ იგინი, ვითარმედ სასყიდელი დიდი მიეცემის ამისთჳს.

26. ბერმან თქუა: ნუ მოჰჴდი სიყუარულსა მოყუასსა შენსა, რამეთუ რომელსა უყუარდეს ვინმე, აღშფოთნების, უკუეთუ არა მიეგებოს, არამედ უფროჲსღა შენ აჩუენე სიყუარული მოყუასსა და განისუენო და ესრეთ მოიყვანო მოყუასიცა სიყუარულად.

27. კუალად[13] თქუა: უძლურებაჲ სიყუარულისაჲ ძმათა მიმართ ამიერ იქმნების[14]: ერთად, რამეთუ შეიწყნარებ მათთჳს იჭჳანთა გულისსიტყუათა და მეორედ, რამეთუ ირწმუნებ ნებათა გულისა შენისათა და არა გნებავს, რაჲთამცა არწმუნე გულისსიტყუაჲ შენი გონებასა სხჳასა. აწ უკუე, უკუეთუ გნებავს, რაჲთა ყოველსა შინა შემწედ გაქუნდეს ღმერთი, ნუ მიენდვები

---

[1] გულსმოდგინე-ჰყოფდა] გულსავსე-ჰყოფდა C. [2] მაიძულებელნი] მაჲძულებელნი AD. [3] მცირესა] მცირედსა D. [4] ოდესმე – C. [5] აქ E ნუსხა წყდება. [6] კმა-მეყუვნეს D. [7] სულისა] სულისასა C. [8] ორკეცად] ორკეცი D. [9] ~ შინა რასმე D. [10] მჯდომარე D + და C. [11] ღმერთო, შეიწყალე] უფალო, შემიწყალე D. [12] განმართლდა] განმრთელდა D. [13] კუალად თქუა] რამეთუ D. [14] იქმნების] იქმნებოდის C.

გონებისა შენისა იჭუთა და ჰაზრთა[1], არამედ ისწრაფე ყოვლითა ძალითა შენითა, რაჲთა დაუმდაბლდე ძმასა შენსა და მოჰკუეთნე ნებანი შენნი შენგან და ესრეთ სცხოვნდე ძალითა ქრისტესითა.

28. კუალად[2] თქუა ბერმან: ღმრთისამიერი სიყუარული უძლიერეს არს ფრიად ბუნებითსა მას სიყუარულსა. და რამეთუ თჳთ თავადი ღმერთი სიყუარულად წოდებულ არს, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე აწ და ყოველთა საუკუნეთა უკუნითი[3] უკუნისამდე, ამინ“[4] /391v/.

[1] ჰაზრთ] ზართა D. [2] კუალად თქუა ბერმან] რამეთუ D. [3] უკუნითი – D. [4] A ნუსხაში ანდერძი: „სული ყოველთა ქრისტეანეთაჲ განსუენებულ-ყავ, უფალო! სული მოძღუართა და მშობელთა ჩუენთაჲ სანატრელ-ყავ, უფალო! სულსაცა ჩემსა მრავალშეცოდებულსა ნუვე გასწირავ, უფალო!“..

თავი ით

სულითა მხედველთათჳს წმიდათა მამათა

გუაკურთხენ[1], მამაო!

I. 1. მამასა ანტონის გამოეცხადა ოდესმე, იყო რაჲ უდაბნოს[2], ვითარმედ ქალაქსა შინა არს სწორი შენი მკურნალი ჴელოვნებით, რომელი ყოველსავე, რომელიცა დაჰმეტდეს[3] საზრდელისაგან თჳსისა უღონოთა და გლახაკთა[4] განუყოფს და სამარადისოდ გალობს სამწმიდაარსობის მას გალობასა ანგელოზთა თანა ღმრთისათა.

2. იტყოდეს **მამისა ანტონისთჳს**, ვითარმედ: იქმნა იგი სულითა მხედველ[5], გარნა არა ენება გამოცხადებაჲ კაცთათჳს. და რამეთუ რაჲ-იგი იქმნებოდა სოფელსა შინა და წაღმართ მომავალსა, ყოველსავე საცნაურ-ჰყოფდა.

II. მამისა არსენის სენაკსა მივიდა ძმაჲ ვინმე სკიტეს და იჭჳრა კარსა და იხილა ბერი ყოვლითურთ, ვითარცა ლამპარი ცეცხლისაჲ აღგზებულ[6] და რამეთუ იყოცა ძმაჲ იგი[7] ღირს ხილვასა მისსა. და ვითარცა ჰრეკა, გამოვიდა ბერი და იხილა ძმაჲ იგი განკჳრვებული და ჰრქუა მას: ადრითგან სდგაა აქა, ნუუკუე იხილე რაჲმა? ხოლო მან ჰრქუა: არა. და ეზრახა მას და განუტევა.

III. თქუა **მამამან დანიელ**, ვითარმედ: გჳთხრა ჩუენ ესე **მამამან არსენი,** ვითარცა სხჳსა გამო, გარნა თჳთ იგი იყო, რომელსა ეხილა ესე, ვითარმედ ჯდა ოდესმე ბერი სენაკსა მისსა და მოვიდა მისა[8] ჴმაჲ, რომელი ეტყოდა: მოვედ[9] და გიჩუენნე შენ საქმენი კაცთანი. და აღდგა და გამოვიდა და წარიყვანა იგი ადგილსა ერთსა და უჩუენა[10] მას ჰინდოჲ ვინმე, რომელი ჭრიდა შეშასა. და შეკრის იგი ტჳრთად დიდად და ეცადის აღკიდებად მისა[11] და ვერ უძლის. და მისგან აღებისა წილ სხუაჲ ჭრის შეშაჲ და[12] დაუმატის

---

[1] ~ მამაო, გუაკურთხენ D. [2] უდაბნოს] უდაბნოსა C. 3 დაჰმეტდეს] დაჰმატდეს C. [4] გლახაკთა] მწირთა C. [5] მხედველ] მხილველ CD. [6] აღგზებულ] აღგზებული CD. [7] იგი – D. [8] მისა] მისსა D. [9] მოვედ] მოედ C. [10] უჩუენა] უჩუენნა C. [11] მისა] მისსა D. [12] და – D.

ზედა ტჳრთსა მას. ესე უკუე ყო მან მრავალგზის. და წარვლო მუნით მცირედ და კუალად უჩუენა მას /392/ სხუაჲ კაცი, რომელი დგა ჯურღმულსა ზედა წყლისასა და აღმოასხმიდა ამისგან წყალსა და შთაასხმიდა ავაზანსა შინა განჰურეტილსა, რომელი-იგი კუალად ლაკუასა[1] მასვე შთადიოდა. მერმე კუალად ჰრქუა მას: მოვედ და გიჩუენო შენ[2] სხუაჲ. და იხილა ტაძარი დიდი და ორნი კაცნი მსხდომარენი ცხენთა, რომელთა ეტჳრთა ძელი შინა განით და მიდგომილ იყვნეს შესლვად ბჭესა მის[3] ტაძრისასა და ვერ ეძლო, რამეთუ ძელი იგი განდგმულ იყო წინა და აყენებდა მათ და არა დაუმდაბლდა[4] ერთი მეორესა, რაჲთამცა უწინა შესრულ იყო და სიგრძივმცა ძელიცა იგი შეეღო. და ესრეთ დარჩეს გარეშე ბჭისა მის და[5] ტაძრისა. მერმე ჰრქუა მას: ესენი[6] უკუე არიან, რომელთა უტჳრთავს უღელი სიმართლისაჲ ამპარტავანებით და არა დამდაბლდეს და განჰმართნეს თავნი მათნი, რაჲთამცა შედგომილ იყვნეს გზასა მას[7] ქრისტეს სიმდაბლისასა. ამისთჳს დაშთეს იგინი გარე სასუფეველისაგან ღმრთისა. ხოლო რომელი-იგი შეშასა ჭრის, კაცი არს ცოდვილი და მრავალთა შინა ბოროტთა მყოფი და სინანულისა წილ, სხუათა ცოდვათა დაურთავს ცოდვათა ზედა თჳსთა. და რომელი-იგი წყალსა აღმოასხამს, არს კაცი, რომელსა ექმნის კეთილი საქმე, გარნა ვინაჲთგან ბოროტიცა საქმე თანა აღურიის, ამისთჳს წარწყმიდა კეთილიცა იგი საქმე. ჯერ არს უკუე ყოლადვე და მარადის, რაჲთა ფრთხილ იყოს კაცი და მღჳძარე ყოველთა შინა საქმეთა თჳსთა, რაჲთა არა ცუდად შურებოდის.

IV. ძმათა ვიეთმე შეემთხჳა რაჲმე მწუხარებაჲ ადგილსა შინა მათსა და ინებეს დატევებაჲ ადგილისაჲ მის და წარვიდეს **მამისა ამონაჲსა[8],** ხოლო ბერი წიაღჰვლიდა და იხილნა იგინი, რამეთუ ვიდოდეს[9] პირსა მდინარისასა და ჰრქუა მენავეთა: განმიყვანეთ მე ქუეყანად /392v/ და უწოდა ძმათა მათ და ჰრქუა: მე ვარ ამონა, რომლისა გნებავს მისლვაჲ[10]. და[11] ასწავა მათ და ახარა და ნუგეშინის-სცა გულთა მათთა და დაარწმუნა მათ, რაჲთა კუალად იქცენ მუნვე, ვინაჲ-იგი გამოვიდეს. და რამეთუ არა აქუნდა საქმესა მას ზღვევაჲ სულისაჲ, არამედ გულისკლებაჲ კაცობრივი.

V. 1. გჳთხრა **მამამან ჩუენმან დანიელ ნეტარისა არსენისთჳს** და თქუა, ვითარმედ: იტყოდა იგი ბერისა ვისთჳსმე სკიტელისა, ვითარმედ იყო იგი საქმითა მოღუაწებისაჲთა დიდ, ხოლო სარწმუნოებითა შერყეულ უმეცრებისათჳს. რამეთუ იტყოდა იგი, ვითარმედ[12]: სიწმიდეს, რომელსა ვეზიარებით, არა არს ჭეშმარიტებით ჰორცი ქრისტესი, არამედ სახჱ ოდენ არსო. და ესმა ბერთა, ვითარმედ[13] იტყჳს სიტყუასა ამას და შეწუხნეს ფრიად. და იცოდეს, რამეთუ დიდ იყო იგი მოქალაქობითა და იგონებდეს[14],

[1] ~ მასვე ლაკუასა D. [2] +კუალად C. 3 მას C. [4] დაუმდაბლებდა D. [5] და – C. [6] ესე D. [7] მას – D. [8] ამონაჲსსა CD. [9] ვიდოდეს] წიაღჰვლიდეს D. [10] მისლვაჲ] მისლვად D. [11] და ასწავა მათ – C. [12] ვითარმედ – D. [13] ვითარმედ] რამეთუ D. [14] ჰგონებდეს D.

ვითარმედ უმანკოებითა იტყჳს იგი ამას[1] და უმეცრებითა. და წარვიდეს მისა[2] და ჰრქუეს მას: მამაო, გუესმა ვისთჳსმე ურწმუნოჲსა, რამეთუ[3] იტყჳს, ვითარმედ: სიწმიდე[4] ესე, რომელსა ვეზიარებით[5], არა არს ბუნებით ჯორცი ქრისტესი, არამედ სახჱ ოდენ არს მისი[6]. ჰრქუა მას[7] ბერმან: მე ვარ, რომელი ვიტყჳ მაგას, ხოლო იგინი ჰლოცვიდეს მას და ეტყოდეს: ნუ ეგრეთ გიპყრიეს ეგე[8], მამაო, არამედ ვითარცა მოუცემიეს[9] კათოლიკე ეკლესიასა. და რამეთუ ჩუენ გურწამს ჭეშმარიტად, რომელ პური[10] იგი წმიდაჲ ჯორცი არს ქრისტესი და სასუმელი იგი წმიდაჲ სისხლი არს ქრისტესი ჭეშმარიტებით და არა სახჱ არს, არამედ თჳთ თავადი ჭეშმარიტებაჲ. და რამეთუ ვითარცა-იგი დასაბამს მიწაჲ აღიღო ქუეყანით და შექმნა კაცი ხატად თჳსად და ვერვის ძალ-უც თქუმად, თუ არა არს ხატი ღმრთისაჲ, დაღათუ მიუწდომელ არს საქმე ესე[11], ესრეთვე და პური, რომელი[12] თქუა, თუ ჯორცი არს ჩემი, ჩუენ გურწამს, რამეთუ ჭეშმარიტებით ჯორცი არს ქრიტსესი. ჰრქუა მათ ბერმან: უკუეთუ არა ვირწმუნო /393/ საქმით, ვერ გულსავსე ვარ. ხოლო მათ ჰრქუეს მას[13]: ვევედრნეთ ღმერთსა ამას შჳდეულსა საიდუმლოჲსა[14] ამისთჳს და გურწამს ღმრთისაჲ[15], რამეთუ გამოგჳცხადოს ჩუენ. ხოლო ბერმან სიხარულით შეიწყნარა სიტყუაჲ იგი. და ევედრებოდა ღმერთსა და იტყოდა[16]: უფალო, შენ უწყი, რამეთუ არა მანქანებით და მზაკუვარებით ურწმუნო ვარ, არამედ რაჲთა არა უმეცრებით შევსცთე, გამომიცხადე მე, უფალო ისეუ ქრისტე! ხოლო ბერნი წარვიდეს სენაკთა მათთა, ევედრებოდეს ღმერთსა იგინიცა და იტყოდეს: უფალო იესუ ქრისტე, გამოუცხადე ბერსა საიდუმლოჲ[17] ესე, რაჲთა ჰრწმენეს და არა წარწყმიდნეს შრომაჲ თჳსნი. და შეისმინა ღმერთმან ორთაჲვე. და ვითარცა სრულ იქმნა შჳდეული იგი, შეკრბეს ეკლესიად დღესა კჳრიაკესა და[18] დასხდეს სამნი ბერნი ერთსა ზედა სკამსა. ხოლო შუვა ორთა[19] მათ ჳდა ბერი იგი. და აჰა ესერა, განეხუნეს თუალნი მათ[20] და ვითარცა დააგებდეს პურსა მას წმიდასა ზედა ტრაპეზსა, იხილეს სამთავე მათ და ეჩუენა ვითარცა ყრმაჲ და ვითარცა განჰმარტნა ჴელნი მღდელმან განტეხად პურისა, აჰა ესერა, ანგელოზი უფლისაჲ გარდამოჴდა ზეცით და აქუნდა ჴელთა[21] მახჳლი და დაკლა ყრმაჲ იგი[22], სისხლი მისი შთაასხა ბარძიმსა შინა და ვითარცა დააწულილა მღდელმან პური იგი, ესრეთვე ანგელოზი ჭრიდა მას წურილად და ვითარცა მივიდეს იგი[23] ყოველნი მიღებად წმიდათა საიდუმლოთა[24], მიეცა ბერსა ოდენ მარტოდ[25]

---

[1] ამას – D. [2] მისა] მისსა D. [3] რამეთუ იტყჳს – D. [4] სიწმიდე ესე – C. [5] ვეზიარებით] ვეზიარებითო D. [6] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 250r-ზე (აკინძვის შეცდომა). [7] მათ E. [8] ~ მამაო ეგე D. [9] მოუცემიეს] მოუცემია C. [10] ~ იგი პური D. [11] ესე + დაE. [12] რომელი – C. [13] მას – DE. [14] საიდუმლოჲსა] საჲდუმლოჲსა AD. [15] ღმრთისაჲ] უფლისაჲ D. [16] ეტყოდა D. [17] საიდუმლოჲ] საჲდუმლოჲ A. [18] და – D. [19] ორთავე D. [20] მათნი CD. [21] ჴელთა + მისთა E. [22] იგი + და DE. [23] იგი] იგინი CD. [24] საიდუმლოთა] საჲდუმლოთა A. [25] მარტოდ – C.

ჴორცი სისხლიანი. იხილა რაჲ იგი, შეეშინა ფრიად, ჴმა-ყო და თქუა: მრწამს, უფალო, რამეთუ პური ესე შეწირული ჴორცი არს შენი და სასუმელი ესე სისხლი არს შენი. და მეყსეულად შეიცვალა ჴორცი იგი ჴელთა შინა მისთა პურად წესისაებრ საიდუმლოჲსა[1]. /393v/ და ეზიარნეს იგინი მსხუერპლსა მას წმიდასა და ჰმადლობდეს ღმერთსა. მერმე ჰრქუეს ბერსა: ღმერთმან იცის კაცობრივი ბუნებაჲ, მამაო, რომელ[2] ვერ ძალ-უც ჴორცსა უმგბარსა ჭამად. და[3] ამისთჳს შესცვალებს წმიდასა მას ჴორცსა თჳსსა პურად და სისხლსა მისსა[4] ღუნოდ მათთჳს, რომელნი-იგი სარწმუნოებით მიიღებენ. და მადლი შეწირეს ღმრთისა მამათა[5] ბერისათჳს, რამეთუ არა ეტევნა წარწყმედად შრომანი მისნი და წარვიდა კაცად-კაცადი მათი სენაკად თჳსად და ადიდებდეს ღმერთსა.

2. მანვე **მამამან დანიელ** მოგჳთხრა ჩუენ სხჳსაცა ვისთჳსმე დიდისა ბერისა, რომელი ჯდა ქუემოთა მათ კერძოთა ეგჳპტისათა, რამეთუ იტყოდა იგი უგუნურებით, ვითარმედ: მელქისედეკ[6] ძჱ[7] არს ღმრთისაჲ. და მიეთხრა ესე ნეტარსა კჳრილეს[8] ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსს ამისთჳს[9] და ვინაჲთგან იცოდა, რომელ[10] ნიშებშემოსილი არს ბერი და რაჲცა სთხოოს ღმერთსა, გამოუცხადებს მას ესრეთ და რამეთუ უწყოდა, ვითარმედ სიწრფოებით იტყჳს და ლიტონობით სიტყუასა მას, ამისთჳსცა ესევითარი[11] ჴელოვნებაჲ სიბრძნისაჲ იჴუმია მისა[12] მიმართ და ჰრქუა: მამაო, გევედრები შენ, ორნი გულისსიტყუანი შემომიჴდეს ჩემ შორის მელქისედეკისთჳს[13]. ერთი იგი მეტყჳს, ვითარმედ ძჱ[14] არს ღმრთისაჲ მელქისედეკ[15] და სხუაჲ იგი მეტყჳს: არა, არამედ კაცი არს, მღდელთმოძღუარი ღმრთისაჲ. აწ უკუე ვინაჲთგან განწვალებულნი ესე გულისსიტყუანი მქონან, ვევედრები სიწმიდესა შენსა, რაჲთა ევედრო ამის პირისათჳს ღმერთსა[16] და გამოგიცხადოს შენ ჭეშმარიტი. ხოლო ბერი მინდობილ იყო საქმეთა თჳსთა კეთილთა და კადნიერებით ჰრქუა მას: მაცადე მე სამ დღე და მე ვჰკითხაო ღმერთსა ამისთჳს და მიგითხრა შენ ჭეშმარიტი. წარვიდა უკუე ბერი და ევედრა ღმერთსა სამ დღე სიტყჳსა მისთჳს[17]. და შემდგომად სამისა /394/ დღისა მოვიდა და ჰრქუა ნეტარსა კჳრილეს მთავარეპისკოპოსსა[18], ვითარმედ: კაცი არს მელქისედეკ[19]. ჰრქუა მას მთავარეპისკოპოსმან[20]: და ვითარ უწყი, მამაო, ეგე? ჰრქუა მას ბერმან: ღმერთმა მიჩუენნა მე ყოველნივე მამათმთავარნი ესრე სახედ, რამეთუ ადამისითგან ვიდრე მელქისედეკადმდე თჳთოეული[21]

---

[1] საიდუმლოჲსა] საჲდუმლოჲსა A. [2] რომელ] რამეთუ C. [3] და –– C. [4] მისსა] მისა CD. [5] მამათა] მიმართ C. [6] მელქისედეკ] მელქიზედეკ DE. [7] ძჱ] ძე D. [8] კჳრილესცა D. [9] ამისთჳს] მისთჳს C; თჳს აD. [10] რომელ] რამეთუ D. [11] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 248r-ზე (აკინძვის შეცდომა). [12] მისსა D. [13] მელქისედეკისთჳს] მელქიზედეკისთჳს DE. [14] ძე DE. [15] მელქიზედეკ D. [16] ~ ღმერთსა ამის პირისათჳს CE. [17] მისთჳს] ამისთჳს D. [18] მთავარებისკოპოსსა D. [19] მელქისედეკ] მელქიზედეკ DE. [20] მთავარებისკოპოსმან D. [21] თჳთოეული – C, თითოეული D.

წარმოავლინა წინაშე ჩემისა და მრქუა მე ანგელოზმან ღმრთისამან, ვითარმედ: ესე არს მელქისედეკ[1], მღდელთმოძღუარი[2] ღმრთისაჲ! აწ უკუე მინდობილ იყავ, ვითარმედ ესრეთ არს, ვითარცა-ესე მე ვიხილე. და მიერითგან თჳთ ქადაგებდა ბერი, ვითარ,მედ კაცი არს მელქისედეკ[3] და არა ძჱ[4] ღმრთისაჲ, რამეთუ ძჱ[5] ღმრთისაჲ არავინ არს სხუაჲ, თჳნიერ იესუ ქრისტე მაცხოვარი ჩუენი, რომლისა ამისთჳს მხიარულ იქმნა დიდად[6] ნეტარი კჳრილე და ჰმადლობდა ღმერთსა.

VI. 1. გუაუწყა ჩუენ ესე წმიდამან **ეპიფანე კჳპრელ მთავარეპისკოპოსმან[7],** ვითარმედ: დღეთა მათ ნეტარისა დიდისა ათანასესთა[8], ფრინვიდეს ყორანნი ტაძარსა ზედა სარაპიონ[9] კერპისასა და ჴმობდეს დაუცადებელად კრას-კრას. ზედა დაესხნეს ნეტარსა ათანასეს ელენნი და ჴმობდეს: გჳთხარ ჩუენ, ბერო[10] ბოროტო, თუ რასა ჴმობენ ყორანნი ისი? ჰრქუა მათ ნეტარმან ათანასე: ყორანნი ჴმობენ კრას-კრას. ხოლო კრასი ესე არს ავსონელთა ენითა, ვითარმედ: ხვალე იხილოთ დიდებაჲ ღმრთისაჲ. და ხვალისდღე[11] განითქუა სიკუდილი ივლიანე მეფისაჲ. და ვითარცა იქმნა[12] ესე, ზედა მიაკრბეს ტაძარსა მას სარაპიონ კერპისასა, ჴმობდეს, არღუევდეს და ეტყოდეს: მისნობაჲ შენი შენსავე თავსა[13] დაადგრენ. და არა დააცადეს მათ, ვიდრემდე სრულიად დაარღჳეს იგი.

2. მანვე გჳთხრა ესეცა, ვითარმედ იყო ვინმე მეეტლჱ[14] ალექსანდრიას, ძჱ[15] მარიამ ვისმე დედაკაცისაჲ, /394v/ რომელი-იგი ცხენთსარბიელსა[16] მას შინა რბევასა ზედა და ცხენთა დგენასა დაეცა და კუალად აღდგა, და[17] წარუსწრო და სძლო. და სიმრავლემან ერისამან ჴმა-ყო: მარიამის ძჱ[18] დაეცა და აღდგა და სძლო! ჴმასა ამას ზედა ერისასა[19], შეიძრნეს საკერპონი და კერპნი შეიმუსრნეს. ხოლო რომელნი დაჰრჩომოდეს დიდსა ათანასეს, დიდმან თეოფილე დაამჴუნა და შემუსრნა კერპნიცა და საკერპონი.

VII. 1. მამამან ეფრემ, ოდეს[20] ყრმაღა იყო, იხილა ჩუენებაჲ, ვითარმედ ვენაჴი გამოჴდა[21] ენისაგან[22] მისისა და აღორძინდა და განმრავლდა და განავსო ყოველივე ცასა ქუეშე. და იყო იგი ნაყოფიერ ფრიად. და მოვიდოდეს ყოვლით კერძო ყოველნივე მფრინველნი ცისანი და ჭამდეს ნაყოფისა მისგან ვენაჴისა. და რაოდენ-იგი[23] ჭამდეს, უმეტეს და უმეტეს განმრავლდებოდა ნაყოფი მისი.

---

[1] მელქისედეკ] მელქიზედეკ DE. [2] მღდელთმოძღუარი] მღდელი D. [3] მელქისედეკ] მელქიზედეკ DE. [4] ძჱ] ძე CDE. [5] ძჱ] ძე CDE. 6 დიდად] დიდი C. [7] მთავარეპისკოპოსმან] მთავარებისკოპოსმან D. [8] ათანასესთა] ათანასისთა D. [9] სარაპიონ] სერაპიონD. 10 ბერო – D. [11] ხვალისდღე] ხვალისა დღე D. [12] ~ ესე იქმნა D. [13] თავსა + ზედა CE. [14] მეეტლჱ] მეეტლე CDE. [15] ძჱ] ძე CD. [16] ცხენთსარბიელსა] ცხენთა სარბიელსა D. [17] და E. [18] ძჱ] ძე CD. [19] ერისასა – C. [20] ოდეს – CDE. [21] გამოჴდა] გამოუჴდა C. [22] ენისაგან მისისა] ენისა მისისაგან D. [23] რაოდენ-იგინი D.

2. კუალად სხუასა ჟამსა იხილა ვინმე მამათაგანმან[1] ჩუენებით დასი ანგელოზთაჲ, ზეცით გარდამომავალი ბრძანებითა ღმრთისაჲთა. და[2] აქუნდა ჴელთა მათთა თავი წიგნისაჲ, ესე იგი არს[3] ქარტაჲ, დაწერილი შინაჲთ და გარეთ. და იტყოდეს ურთიერთარს[4]: ვისმე თანააც ამისი მიღებაჲ? და რომელნიმე იტყოდეს: მას ვისმე და სხუანი მას ვისმე. მიუგეს რომელთაიგი ეპყრა[5] ქარტაჲ იგი გრაგნილი და თქუეს: ჭეშმარიტად, ეგე ყოველნი მართალნი არიან და წმიდანი, გარნა ამისა მიღებად ვერვის ძალ-უც თჳნიერ ეფრემ ასურისა. და ხედვიდა ბერი იგი მხილველი ჩუენებათაჲ, ვითარმედ: ეფრემს მისცეს გრაგნილი იგი. და ვითარცა აღდგა განთიად, ესმა, რამეთუ ეფრემ ასწავებდა და ვითარცა წყაროჲ აღმოდიოდა, პირით მისით და მოჰრწყვიდა ყოველთა. და ცნა ბერმან, რომელსაცა გამოეცხადა, ვითარმედ ყოველივე, რომელიცა გამოვლს პირისაგან /395/ ეფრემისა, სულისაგან წმიდისა არს იგი[6] ჭეშმარიტად.

VIII. გჳთხრეს ჩუენ ესე მოწაფეთა **ლონგინოსისთა[7],** ვითარმედ: ოდეს წარმგზავნინ ჩუენ ბერი ალექსანდრიად განსყიდად ჴელთსაქმრისა, მოგუცის მცნებაჲ, რაჲთა არა დავყოთ ჩუენ მას შინა უმეტეს სამისა დღისა და გურქჳს[8] ჩუენ: უკუეთუ დაჰყოთ მეტი სამისა დღისა[9], უბრალო ვარ მე ცოდვათაგან[10] თქუენთა. ხოლო ჩუენ ვჰკითხეთ მას და ვარქუთ: და ვითარ, მამაო, ქალაქთა შინა და სოფელთა დღით და ღამით მონაზონნი ერისკაცთა თანა იქცევიან და არა ევნების? ხოლო მან აღაღო უტყუელი იგი პირი თჳსი და გურქუა ჩუენ[11]: გრწმენინ ჩემი, შვილნო, რაჲთგან მონაზუნად[12] შევიქმენ, დავყავ ოცდაათრვამეტი წელი და არა გამოვედ სკიტით. და შემდგომად აღსრულებისა ოცდაათრვამეტთა მათ წელთაჲსა წარვედით მამაჲ დანიელ და მე ალექსანდრიად, პაპას[16] თანა ევსებიოსს საქმისა რაჲსათჳსმე. და ვითარცა შევედით ალექსანდრიად, ვიხილენით[14] მრავალნი მონაზონნი და ვხედევდ მე მათგანთა, რომელთა ყორანნი დაჰფრინვიდეს პირთა ზედა[15] მათთა და ფრთებითა[16] სცემდეს ღაწუთა მათთა. კუალად სხუათა ვხედევდ, რომელნი მოხუეულ იყვნიან შიშუელთა დედათა და ყურსა მათსა ზრახვიდიან. კუალად ვიხილე სხუანი, რომელთა ყრმანი წულნი[17] შიშუელნი შემოეკუართნიან და, სკორესა კაცისასა სცხებდიან მათ. ხოლო სხუანი ვიხილენ, რომელთა აქუნდა მახჳლები და სჭრიდეს ჴორცთა კაცთასა და მისცემდეს მონაზონთა ჭამად. და ვცან, ვითარმედ თჳთოეული მონაზონი, რომლისაგანცა ვნებისა ძლეულ არს, ესევითარნიცა ეშმაკნი უვლენ თანა და ზრახვენ გონებასა მათსა. და ამისთჳს არა მნებავს, ძმანო, /395v/ დაყოვნებაჲ თქუენი ქალაქთა

---

[1] მამათაგანმან] წმიდათაგანმან D. [2] და –E. [3] აქ E ნუსხა წყდება. [4] ურთიერთარს] ურთიერთას C. [5] ეპყრა] აქუნდა D. [6] იგი – CD. [7] ლონგინოსისთა] ლონგინოზისთა CD. [8] გურქჳს] გურქუა C. [9] დღისა] დღისაჲ CD. [10] ცოდვათაგან თქუენთა] ცოდვათა თქუენთაგან C. [11] ჩუენ] მათ D. [12] ~ შევიქმენ მონაზონად C. [13] პაპას] პაპსა D. [14] ვიხილენით] ვიხილე ნC. [15] ზედა – D. [16] ფრთებითა+ მთაითა C. [17] წულნი – C.

შინა და სოფელთა, რაჲთა არა ესევითართაგან გულისსიტყუათა შეიწრდეთ და მათვე ეშმაკთაგან წყენილ იქმნნეთ.

IX. იტყოდეს **მამისა ზენონისთჳს**, ვითარმედ იყო რაჲ იგი სკიტეს, გამოვიდა ღამით სენაკით თჳსით, და წარვიდა შამბოვნად[1]. და შესცთა შამბოანსა მას შინა და ვიდოდა სამ დღე და სამ ღამე და დაშურა და დადგა. და დაიჴსნა[2] ყოველი ძალი მისი და მივარდა იგი ქუემო სიკუდიდ. და აჰა ესერა, ყრმაჲ დადგა წინაშე მისსა, რომელსა აქუნდა პური და ჭურჭლითა წყალი და ჰრქუა მას: აღდეგ და ჭამე. ხოლო იგი აღდგა და ილოცა, ჰგონებდა თუ უცნებაჲ არს. და მან ჰრქუა მას: კეთილად ჰყავ. და მან კუალადცა ილოცა მეორედ და მესამედ. და მან ჰრქუა მას: კეთილად ჰყავ. მერმე მიიღო იგი და ჭამა. შემდგომად ამისა[3] ჰრქუა მას ყრმამან მან[4]: რაჲზომი გივლიეს, ეგოდენ შორს ხარ სენაკისაგან შენისა, გარნა აღდეგ და შემომიდეგ მე. და მეყსეულად იპოვა იგი კარსა ზედა სენაკისა თჳსისასა[5]. მერმე ჰრქუა მას ბერმან: შემოვედ სენაკად და ყავ ჩუენ[6] ზედა ლოცვაჲ. და ვითარცა შევიდა ბერი იგი, უჩინო იქმნა.

X. 1. თქუა **მამამან იოვანე**, ვითარმედ: იხილა ვინმე ბერმან განკჳრვებასა შინა, ვითარმედ სამნი მონაზონნი დგეს წიაღ პირსა ზღჳსასა და იქმნა ჴმაჲ[7] მათდა მიმართ სხჳსა ამისგან კერძოჲსა, რომელი ეტყოდა მათ: მიიხუენით თქუენ ფრთენი ცეცხლისანი და[8] მოვედით ჩემდა. და რამეთუ ორთა მათ მიიხუნეს ფრთენი ცეცხლისანი და აღფრინდეს და წიაღმოვლეს ამიერ კერძო. ხოლო ერთი იგი დაშთა მუნვე და იწყო გოდებად და ტირილად ფრიად და სალმობიერად ღაღადებად[9]. უკუანაჲსკნელ უკუე /396/ მოეცნეს მასცა ფრთენი, გარნა არა ცეცხლისანი, არამედ უძლურნი და უსუსურნი, რომლისათჳსცა ჭირითა მრავლითა და შრომითა, ოდესმე დანთქმით და ოდესმე ფრინვით, ფრიადითა ღუაწლითა და განსაცდელითა ძლით უძლო წიაღმოსლვაჲ ამ იერ კერძო. ესრეთვე არს და ნათესავიცა ესე და[10] დაღაცათუ მიიხუნეს ფრთენი, გარნა არა ცეცხლისანი, არამედ უსუსურნი[11] და უძლურნი მიიხუნეს[12].

2. მივიდა ვინმე ბერი სენაკად **მამისა იოანესა**[13] და პოვა იგი, რამეთუ ეძინა და ანგელოზი ღმრთისაჲ[14] დგა და უმწერობდა მას და ვითარცა იხილა ესე ბერმან მან[15], განეშორა. ხოლო იგი აღ-რაჲ-დგა ძილისაგან, ჰრქუა მოწაფესა თჳსსა: მოვიდა ვინა აქა, მეძინა რაჲ მე? და მან ჰრქუა მას: იგი ვინმე ბერი მოვიდა. მაშინ ცნა მამამან იოანე, ვითარმედ საზომსა მისსა[16] არს ბერიცა იგი, რომელმან იხილა ანგელოზი.

---

[1] შამბოვნად] შამბოანად C. [2] დაიჴსნა] დაჲჴსნა A. [3] ამის] ამისსა CD. [4] მან – D. [5] თჳსისასა] მისისა D. [6] ჩუენ ზედა] ჩემ თანა D. [7] ჴმაჲ – C. [8] და მოვედით ჩემდა... ცეცხლისანი – C. [9] ღაღადებად] ღაღადებდა CD. [10] და – C. [11] ~ უძლურნი და უსუსურნი D. [12] მიიხუნეს – D. [13] იოანესა] იოანესსა CD. [14] ღმრთისაჲ] უფლისაჲ D. [15] მან – D. [16] მისსა – D.

XI. ლავრასა მას შჳდპირისასა[1], ვითარ ათხუთმეტ სტადიონ ლავრისაგან წმიდისა მამისა ჩუენისა[2] საბაჲსა, იყო ვინმე განშორებული კაცი საკჳრველი, სახელით **იოანე,** რომელი ჯდა მოწაფითურთ თჳსით დაყუდებით. ხოლო მოწაფე იგი მისი ხედვიდა რაჲ დღითიდღე[3] შფოთთა და ბოროტთა, რომელთა მოაწევდეს სპარსნი ქალაქსა ზედა წმიდას ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა[4] და განსაცდელთა მათ, რომელნი შეემთხუეოდეს ქრისტეანეთა, იწყო კითხვად მამისა თჳსისა მომავალთათჳს საქმეთა და ეტყოდა: ვინაჲთგან გულსავსე ვარ, მამაო, ვითარმედ არას დაჰფარავს ღმერთი შენგან საქმეთაგან ჩუენ ზედა მომავალთა, გევედრები, რაჲთა მითხრა მე, უკუეთუ წარიღებენ ქალაქსა ამას იერუსალჱმსა[5] უცხოთესლნი? ჰრქუა მას ბერმან: ვინაჲ ვიცი მე, შვილო, ყოფადთათჳს საქმეთა, რამეთუ კაცი /396v/ ცოდვილი ვარ მე! ხოლო ძმაჲ[6] ეგო ვედრებასა ზედა და წყინებასა, რაჲთა აუწყოს. მაშინ აღტირდა და თქუა: ვინაჲთგან გხედავ, შვილო, რომელ სურვილით[7] ეძიებ ცნობად შემთხუევათათჳს ჩუენ ზედა, გაუწყო შენ, რომელი-იგი ღმერთმან[8] გამომიცხადა. უწინარეს უკუე ხუთთა ამათ დღეთაჲსა მოცალე ვიქმენ მე ამის ჯერისათჳს. და ვიხილე თავი ჩემი აღტაცებულად და მდგომარედ წინაშე წმიდასა[9] ადგილსა თხემისასა. და ყოველი ერი მნეთა თანა და მღდელთა ეკლესიისათა ჴმობდა[10] კჳრილეისონსა. და ვითარცა ავხედენ[11] ზე, ვიხილე უფალი ჩუენი, იესუ ქრისტე, ჯუარსა შემსჭუალულად და ყოლად წმიდაჲ ღმრთისმშობელი, დედოფალი იგი[12] დაბადებულთა, რამეთუ დგა წინაშე მისა[13], და ევედრებოდა ყოვლისა მისთჳს ერისა[14]. ხოლო[15] მაცხოვარმან გარემიიქცია[16] პირი თჳსი და თქუა: არა ვისმინო ვედრებაჲ ერისა, ამისთჳს რამეთუ შეაგინეს საკურთხეველი ჩემი. შემდგომად უკუე ცრემლით და სულთქუმით ჴმობისა ჩუენისა კჳრილჱსონსა, ტაძრად წარვედით წმიდისა კოსტანტინესა[17] და მუნცა ვჴმობდით კჳრილჱსონსა. ხოლო მეცა შევჰყევ თანა[18] მღდელთა ეკლესიისათა და შევედით ტაძრად. მერმე მომიჴდა მე გულსა და წარვედ და დავდეგ ადგილსა მას, რომელსა იპოვა ცხოველსმყოფელი ჯუარი მჴსნელისაჲ. და ვიხილე, და აჰა ესერა, მწჳრე მყრალი შემოჴდა ტაძრად. ხოლო იყვნეს მუნ ორნი ვინმე მოხუცებულნი, მღდელშუენივრად მდგომარენი, მივედ და ვარქუ მათ: არა გეშინისა ღმრთისა, ხედავთ, თუ ვითარ ვერცაღა ლოცვად უძლებთ სიმყრალისაგან ამის მწჳრისა, რომელი ესე აქა შემოსრულ არს! ხოლო მათ მრქუეს მე: უშჯულოებითგან არს აქა მყოფთა მღდელთაჲსა ეგე. და ვარქუ მათ: და ვერ ძალ-გიცა განწმედაჲ

---

[1] შჳდპირისასა] შჳდპირისსა C. [2] ჩუენისა – D. [3] დღითიდღე] დღითიდღედთა D. [4] ჩუენისა] ჩუენისასა D. [5] იერუსალჱმსა – D. [6] ძმაჲ + იგი C. [7] სურვიელით A. [8] ღმერთმან] უფალმან D. [9] წმიდასა – D. [10] ჴმობდა] ჴმობდეს CD. [11] ავხედენ] აღვიხედენ CD. [12] იგი – D. [13] მისა] მისსაCD. [14] ერისა – C. [15] ხოლო] რამეთუ D. [16] გარემიიქცია] გარემიაქცია C. [17] კოსტანტინესა] კოსტანტინესსა CD. [18] თანა – C; ~ თანა შევჰყევ D.

ამისი[1], რაჲთამცა /397/ ვყოფდით ლოცვათა ჩუენთა? ხოლო მათ მრქუეს მე: გრწმენინ, ძმაო, არღარა განწმდების ადგილი ესე თჳნიერ ცეცხლისა. ესე ყოველი წარმოთქუა ბერმან ცრემლით. მერმე კუალად ჰრქუა მოწაფესა თჳსსა: და ამასცა გეტყჳ შენ, შვილო, რომელ გამოჴდა ჩემთჳს განჩინებაჲ, რაჲთა თავი წარმეკუეთოს. და ფრიად ვევედრე ღმერთსა, რაჲთა შემინდოს მე. და გამომიცხადა მე, ვითარმედ უეჭუელად იყოს ესე და უწყის მან მხოლომან, რომელ არასადა დავსთხიე სისხლი ქუეყანასა ზედა. და ვიდრეღა ბერი ამას იტყოდა, აჰა ესერა, მეყსა შინა მოიწინეს ბარბაროზნი, შეიპყრეს ბერი და მოკლეს. ხოლო მოწაფე იგი მისი, იხილნა რაჲ მომავალნი, მაშინვე ივლტოდა შიშისაგან და ვითარცა აღასრულეს კლვაჲ[2] იგი მჴეცთა მათ მძჳნვარეთა, მეყსეულად სწრაფითა ივლტოდეს მიერ და წარვიდეს იგინი. ხოლო მო-რაჲ-ვიდა მოწაფე მისი და იხილა ბერი მოკლულად, ტიროდა მწარედ და წარიღო იგი და დაჰმარხა მამათა თანა.

XII. წმიდათა მამათა წინაწარმეტყუელეს უკანაჲსკნელთათჳს ჟამთა და ამის ნათესავისა და თქუეს ურთიერთარს: რაჲ ვყავთ ჩუენ, ანუ რაჲ ვიღუაწეთ. და თქუა ერთმან ბერთაგანმან, დიდმან მოღუაწებითა, რომლისა სახელი **ისქჳრიონ:** ჩუენ ძალისაებრ ჩუენისა მცნებანი ღმრთისანი დავიმარხენით. და ჰკითხეს მას ბერთა და ჰრქუეს: შემდგომთა ჩუენსა[3] რაჲ ყონ? ჰრქუა მათ ბერმან: ნახევარსა ზედა მოვლენ საქმეთა ჩუენთასა. და მათ კუალად ჰრქუეს: შემდგომნი[4] მათნი რაჲ?! და ბერმან თქუა: ყოლად არა[5] აქუნდეს საქმჱ[6] რაჲ კეთილისაჲ მის ნათესავისათა[7] და[8] რამეთუ მოიცვენ მათ განსაცდელნი, ხოლო განსაცდელთა მათ შინა, უკუეთუ იპოვნენ რჩეულნი, უმეტეს იყვნენ ჩუენსა და უფროჲს მამათა ჩუენთასა.

XIII. 1. /397v/ იტყოდეს **მამისა ლონგინოსისთჳს[9],** ვითარმედ: ნავისუფალმან ვინმე მოართუა მას ოქროჲ, მონაგები ნავისა[10] მისისაჲ, ხოლო მან არა ინება მიღებედ, არამედ ჰრქუა მას: ესე აქა არად საჴმარ არს, არამედ ყავ სიყუარული და აღმჴედრდი[11] მალიად ჰუნესა შენსა და მიისწრაფე სრბით[12] გზასა მას წმიდისა პეტრესსა და ჰპოო მუნ ჭაბუკი, რომელსა ჰმოსიეს ესევითარი ტანისამოსი და სრულად მას მიეც ოქრო[13] ეგე და ჰკითხე მას, თუ რაჲ სჭირს. აღმჴედრდა[14] უკუე მალიად[15] მენავეთმოძღუარი იგი ჰუნესა თჳსსა და მიისწრაფა ადგილსა მას, სადა ებრძანა ბერსა. და პოვა[16] ეგრეთ, ვითარცა ეთქუა ბერსა[17]. და ჰკითხა მას: სადა წარმართებულ ხარ, ძმაო, რამეთუ ვიყავ მამისა ლონგინესა[18] და მან წარმომავლინა მე, რაჲთა მოგცე შენ ოქროჲ ესე. მაშინ ჭაბუკმან მან მიუთხრა ჭირი თჳსი და თქუა: მე

---

[1] ამისი] მაგისი CD. [2] კლვაჲ იგი – D. [3] ჩუენსა] ჩუენთა CD. [4] შემდგომნი მათნი] შემდგომნიმე C. [5] არა] არაჲ C. [6] საქმჱ] საქმე D. [7] ნათესავისათა] ნათესავისათაჲC. [8] და – C. [9] ლონგინოსისთჳს] ლონგინოზისთჳს CD. [10] ნავისა მისისაჲ] ნავთა მისთაჲ D. [11] აღმჴედრდი] ამჴედრდი D. [12] სრბით – C. [13] ოქრო] ოქროჲ D. [14] აღმჴედრდა] ამჴედრდა D. [15] მალიად – C. [16] პოვა] პოა D. [17] ბერსა – CD. [18] ლონგინესა] ლონგინესსა CD.

საფასეთათჳს მრავალთა ვიზიდვები და ვინაჲთგან უღონო ვიყავ, თუ ვინაჲ[1] გარდავიჴადო, აჰა ესერა, რაჲთა განვიდოდე გარეშე ქალაქისა ჩამორჩობად თავისა. ხოლო რაჲთა სარწმუნო იქმნე და დაიჯერო, აჰა ესერა, საბელი უბეთა შინა ჩემთა. და გამოიღო საბელი სარჩობელი[2] უბეთა შინა და უჩუენა მას. ხოლო მენავეთმოძღუარმან მან მისცა ოქროჲ იგი ჭაბუკსა მას და უკუნაქცია იგი ქალაქადვე და თჳთ კუალადიქცა მამისა ლონგინოჲსა[3]. და მიუთხრა მას საქმე იგი. ჰრქუა მას ბერმან: გრწმენინ, ძმაო, უკუეთუმცა არა გესწრაფა და მისწრებულ იყავ მისდა, მე და შენ განვიკითხვოდეთ სულისათჳს მისისა[4].

2. ესევე **მამაჲ ლონგინოს** მჯდომარე იყო ოდესმე სენაკსა შინა თჳსსა და მამანი მისრულ იყვნეს მისსა და მეყსა შინა /398/ აღდგა და არცა ერთი რაჲ ვის მიუგო სიტყუაჲ, არამედ გამოვიდა[5] სენაკით და წარემართა ტბად კერძო. და ვითარცა მიეახლა ტბასა, აჰა ესერა, ნავი მოახლებულ იყო ქუეყანად, ეგჳპტით, რომელსა შინა იყო ბერი ვინმე წმიდაჲ და წარმოსულ იყო მოსლვად მისა. და ვითარცა მოიკითხნეს ურთიერთარს[6] ამბორისყოფითა წმიდითა, დადგეს ლოცვად, და თქუა მეგჳპტელმან[7] ღმრთისა მიმართ: უფალო, განაღა გევედრები[8] შენ, რაჲთა არა გამოუცხადო ბერსა ჩემთჳს და შრომაჲ შეიმთხჳოს. და მოვიდეს სენაკად მამისა ლონგინოჲსა[9] და ხვალისდღე დაიძინა[10] ნეტარმან მან ბერმან მეგჳპტელმან.

XIV. 1. მამაჲ მაკარი მკჳდრ იყო ოდესმე მარტოჲ ზემოსა მას უდაბნოსა. ხოლო იყო ქუემოჲთ სხუაჲ უდაბნოჲ, სადა-იგი იყვნეს უმრავლესნი ძმანი. ხედვიდა უკუე ბერი გზასა და აჰა ესერა, იხილა სატანა სახითა კაცისაჲთა და ინება წარსვლაჲ გზისა მისგან. ხოლო იხილვებოდა იგი, ვითარმცა წარმოეხსნეს[11] გოსპანი და ყოველსა მას წმასნილსა ეკიდა თჳთოჲ[12] აყიროჲ. ჰრქუა მას ბერმან: სადა წარხუალ შენ, დიდო? და მან თქუა: წარვალ შეჴსენებად ძმათა. ხოლო[13] ბერმან ჰრქუა მას: რაჲ არს აყიროები ეგე შენი? და მან თქუა: ჭაშნიგსა მივართუამ ძმათა. და ბერმან ჰრქუა მას: ამას[14] ყოველსა? მიუგო: ჰჱ, უკუეთუ არა სთნდეს ერთი, მივართუამ სხუასა და უკუეთუ არცა იგი, მივსცემ სხუასა და გინაღა რომელიმე ერთი[15] უეჭუელად მოაშუნდეს. და ესე რაჲ თქუა, წარვიდა. ხოლო ბერი დგა[16] და სცვიდა გზათა, ნუუკუე და კუალადცა წარმოჰვლიდეს. და ვითარცა იხილა იგი ბერმან მომავალი, ჰრქუა მას: ცხონდი? და მან მიუგო: სადაღა არს ცხორებაჲ ჩემი! ჰრქუა მას[17] ბერმან: რად? /398v/ ხოლო მან თქუა: ყოველნივე განველურებულქმნილ[18] არიან და არცა ერთიღა ვინ თავს-იდებს ჩემსა. ჰრქუა მას ბერმან: და არავინ

---

[1] ვინაჲ] რაჲ D. [2] სარჩობელი – D. [3] ლონგინოჲსა] ლონგინოჲსსა CD. [4] მისისა] მისსა C. [5] გამოვიდა + გარე D. [6] ურთიერთარს] ურთიერთას C; – D. [7] მეგჳპტელ-მან + მან D. [8] გევედრები] გევედრე D. [9] ლონგინოზისსა D. [10] დაიძინა] დაჲძინა A. [11] წამოეხსნეს A. [12] თჳთოჲ] თითო D. [13] ხოლო] და D. [14] ამას] ჰამას AD. [15] ~ უეჭუელად ერთი C. [16] დგა] დადგა C. [17] მას – C. [18] განველურებულქმნილ] განველურებულ D.

ყოლად გივისა მეგობარი მანდა? მან მიუგო: ჰწ[1], ერთი ოდენ მარტოდ მივის ძმაჲ, და ბარე[2] იგი ისმენს ჩემსა და ოდეს მივიდე, მოწლედ მომიკითხავს[3]. ჰრქუა მას ბერმან: და რაჲ ეწოდების ძმასა მას? და მან თქუა: თეოპემპტოს[4] არს სახელი მისი. და ესე თქუა და წარვიდა მიერ[5]. და აღდგა მამაჲ მაკარი და წარვიდა ქუემო კერძოსა მას უდაბნოსა. და ესმა ძმათა და აღიღეს რტოები ბაიაჲსაჲ[6] და გამოვიდეს მიგებებად მისა. და თჳთოეული მათი ემზადებოდა შეწყნარებად ბერისა, ხოლო იგი ეძიებდა, თუ ვინ არს მთასა ამას[7], რომელსა ეწოდების თეოპემპტოს[8]. და პოვა იგი და შევიდა სენაკად მისა. ხოლო თეოპემპტოს[9] მოეგება მას სიხარულით და შეიწყნარა მხიარულებით. და ვითარცა მოცალე იქმნნეს ზოგად ორნივე, ჰრქუა მას ბერმან: ვითარ ხარ, ძმაო, ვითარ იყოფვი? ხოლო მან ჰრქუა: ლოცვითა შენითა კეთილად ვარ, მამაო. ჰრქუა მას ბერმან: ნუ გბრძვანან გულისსიტყუანი? ხოლო მან ჰრქუა: ჟამად[10] კეთილად ვარ. რამეთუ ჰრცხუენოდა თქუმად. ჰრქუა მას ბერმან: აჰა ესერა, რაოდენი წელიწადი მაქუს მოღუაწებასა შინა და პატივცემულ ვარ მრავალთაგან და მე ბერსა ამას და მოხუცებულსა ფრიად მაწყენს სული სიძვისაჲ. მერმე მიუგო თეოპემპტოს[11]: გრწმენინ, მამაო, და მეცა მაჭირვებენვე ეგევითარნი გულისსიტყუანი. ხოლო ბერმან მიზეზ-ყვნა სხუანიცა გულისსიტყუანი, ვითარმედ ჰბრძვანან მას, ვიდრემდის მოიყვანა იგი აღსაარებად. მერმე ჰრქუა მას: ვითარ იმარხავ? და მან ჰრქუა: ცხრაჲ /399/ ჟა/მადმდე. ჰრქუა მას ბერმან: იმარხე პირველ[12] მწუხრადმდე[13] და იღუაწე და იწურთიდი წმიდასა[14] სახარებასა და სხუათაცა[15] საღმრთოთა წერილთა, და უკუეთუ[16] აღმოვიდეს შენდა გულისსიტყუაჲ, ნუ ოდეს ჩაიხედავ[17] ქუე, არამედ ყოლადვე ზე ხედევდი[18] გონებითა და მეყსეულად შეგეწიოს უფალი. და ვითარცა განუწესა ბერმან ყოველივე წესი და კანონი ძმასა მას, წარვიდა უდაბნოსავე თჳსსა. და ვითარცა იხედვიდა კუალადცა და იმსტოვრობდა[19], აჰა ესერა, კუალადცა იხილა იგივე ეშმაკი და ჰრქუა მას: ვინაჲ მოხუალ კუალადცა? და მან თქუა: შეჯსენებად მოვალ[20] ძმათა. და წარვიდა და ვითარცა კუალად უკუმოიქცა, ჰრქუა მას[21] წმიდამან: ვითარ არიან ძმანი? და მან ჰრქუა: ჰავად და ბოროტად. ჰრქუა მას ბერმან: რად? და მან თქუა: განძჳნდეს ყოველნივე და განცოფნეს. და უძჳრესი სხუაჲ შემემთხჳა, რომელ რომელი-იგი იყო მეგობარ ჩემდა და მორჩილ, არა უწყი,

[1] ჰწ – C. [2] ბარე] ბერი C. [3] მომიკითხავს + და C. [4] თეოპემპტოს] თეოპემტოს C; თეოპენტოს D. [5] მიერ – C. [6] ბაიაჲსაჲ] ბაჲაჲსაჲ A. [7] ამას – D. [8] თეოპემპტოს] თეოპემტოს C; თეოპენტო სD. [9] თეოპემპტოს] თეოპემტოს C; თეოპენტოსD. [10] ჟამად] ჟამამდე C. [11] თეოპემპტოს] თეოპემტოს C; თეოპენტო სD. [12] პირველ] ვდრე CD. [13] მწუხრამდე CD. [14] წმიდასა] წმიდა D. [15] სხუათაცა – D. [16] უკუეთუ + არა D. [17] ჩაჲხედავ A] ხედავ C. [18] ხედევდი] იხედევდი D. [19] იმსტოვრობდა] იმსტურობდ აD. [20] მოვალ] მივალ D. [21] მას – D.

თუ ვინაჲ გარდამექცა, არცაღა იგი მერჩის, არამედ უფროჲსღა[1] ყოველთა უბოროტეს არს და უმძჳნვარეს. დამიფიცავს, რაჲთა არღარა დავტკებნო ადგილი იგი, თჳნიერ წელიწდეულად. ესე თქუა და წარვიდა და მოეშორა ბერსა. ხოლო წმიდაჲ იგი მამაჲ მაკარი წარვიდა სენაკად თჳსად.

2. იტყოდა იგივე **მამაჲ მაკარი** მოოჴრებისათჳს სკიტისა, ვითარმედ: ოდეს იხილოთ სენაკები აღშენებულად მახლობელად შამბისა, ახლოს არს მოოჴრებაჲ მისი. და ოდეს იხილოთ ხევნარი – კართა ზედა არს, ხოლო ოდეს კულა იხილოთ ყრმები, აღიღეთ მალაკები თქუენი[2] და ივლტოდეთ.

3. იტყოდა იგივე **მამაჲ მაკარი** განკრძალვისათჳს ძმათაჲსა, ვითარმედ მოვიდა ოდესმე /399v/ აქა დედითურთ თჳსით ყრმაჲ ეშმაკეული და ასწრაფებდა[3] წარსლვად ამიერ დედასა თჳსსა და ეტყოდა: აღდეგ, დედაო ბერო, წარვიდეთ. ხოლო იგი ეტყოდა: ვერ ძალ-მიც სლვად. და ყრმაჲ იგი ეტყოდა მას: მე აღგიკიდო და წარვიდეთ. და დამიკჳრდა მანქანებათათჳს ეშმაკისათა, თუ ვითარ ისწრაფოდა წარსხმასა მათსა ამიერ.

4. იტყოდეს მისვე **მამისა მაკარისთჳს,** ვითარმედ მივიდოდა იგი[4] ოდესმე ეკლესიად აღსრულებად ლოცვათა თჳსთა და იხილა გარეშე სენაკისა ერთისა[5] ძმისასა სიმრავლჱ[6] ეშმაკთაჲ, რომელნი-იგი სახედ დედათა შეცვალებულ იყვნეს და უშუერად ზრახვიდეს, სხუანი კუალად ყრმად მწჳსედ ცვალებულ იყვნეს და ბილწად უბნობდეს, სხუანი, რამეთუ იმღერდეს და მგოსნობდეს, სხუანი კუალად სხუათა და სხუათა სიღოდათა[7] იქმოდეს და ძმაცუვიდეს[8]. ხოლო ბერი, ვინაჲთგან სულითა მხედვარი[9] იყო და მცნობელი, იხილა რაჲ ესე, სულთ-ითქუნა და თქუა: უეჭუელად ძმაჲ ესე უდებებით იქცევის და ამისთჳს სულთა მათ უკეთურებისათა[10] უწესოებით მოუცავს სენაკი მისი. და ვითარცა აღასრულა ლოცვაჲ და უკუმოიქცა[11], შევიდა სენაკსა ძმისასა და ჰრქუა მას: ჭირსა შინა ვარ, ძმაო, და განსაცდელსა და ფრიადითა უდებებითა ვიყოფვი. და აწ[12] სარწმუნოებაჲ[13] მაქუს შენდამი და ვიცი, რომელ[14] უკუეთუ ილოცო ჩემთჳს, უეჭუელად აღმისუბუქოს ღმერთმან ჭირთაგან ჩემთა. ხოლო ძმაჲ იგი შეუვრდა ბერსა და ჰრქუა: შემინდვე[15], მამაო, რამეთუ არა ვარ მე[16] ღირს ლოცვად შენთჳს. და ბერი დაადგრა მასვე ზედა გულისსიტყუასა და ევედრებოდა ძმასა მას და ეტყოდა: არა წარვალ აქაჲთ, არა თუ /400/ აღმითქუა და მომცე სიტყუაჲ, რაჲთა ყოველთა ღამეთა ერთსა ლოცვასა ჰყოფდე ჩემთჳს. ისმინა უკუე ბრძანებაჲ ბერისაჲ ძმამან მან და აღუთქუა ყოფად ესე. ხოლო ბერმან ამისთჳს ქმნა ესე, რაჲთა

---

[1] უფროჲსღა] უფროჲს C. [2] თქუენი – D. [3] ასწრაფებდა] ასწავებდა D. [4] იგი – D. [5] ერთისა] ერთსა C. [6] სიმრავლჱ] სიმრავლე CD. [7] სიღოდა[ნ]თა – A ნუსხაში „ნ“ გვიანდელი მხედრულითაა ჩამატებული. [8] ძმაცუვიდეს] ძმაცვიდეს C. [9] მხედვარი] მხედველ C; მხილველი D. [10] უკეთურებისათა უწესოებით] უკეთურებისაჲ უწესოებითა C. [11] უკუმოიქცა] უკმოიქცა C. [12] აწ – D. [13] სარწმუნოვებაჲ C] სასოება ჲD. [14] რომელ – C. [15] შემინდევC + მეD. [16] მე – C.

მისცეს მიზეზი დაწყებისაჲ ღამით ლოცვად. და ვითარცა აღდგა ძმაჲ იგი ღამით და ყო ლოცვაჲ ბერისათჳს, ლმობიერ იქმნა და ჰრქუა თავსა თჳსსა: სულო უბადრუკო, ესევითარისათჳს დიდისა ბერისა ილოცავ და თავისა შენისათჳს არა ილოცავა[1]? და ესრეთ ყო თავისათჳცა თჳსისა ერთი ლოცვაჲ განგრძობილი. დაყო უკუე სრული[2] იგი შჳდეული ესრეთ და ყოველთა ღამეთა ორსა მას ლოცვასა აღასრულებდა, ერთსა ბერისათჳს და ერთსა თავისათჳს[3] თჳსისა. და დღესა წმიდასა კჳრიაკესა კუალადცა მივიდოდა[4] მამაჲ მაკარი ეკლესიად და იხილნა კუალად ეშმაკნი იგი სენაკსა მას ძმისასა გარეგნით მდგომარენი მჭმუნვარენი[5] ფრიად[6] და შეწუხებულნი. და ცნა ბერმან, ვითარმედ ლოცვისათჳს ძმისა მის მჭმუნვარე იქმნნეს ეშმაკნი და მხიარულ იქმნა ბერი და ჰმადლობდა ღმერთსა. და ვითარცა განუტევეს ლოცვაჲ, კუალადცა წარვიდა სენაკად ძმისა მის და ჰრქუა მას: ლოცვითა შენითა ფრიად სარგებელ-მეყო, ძმაო, აწ ყავ სიყუარული და დაჰმატე ერთი სხუაჲ ლოცვაჲ ჩემთჳს. და იწყო ძმამან მან ბერისათჳს ყოფად[7] ორთა ლოცვათა და კუალადცა ლმობიერ[8] იქმნა და ჰრქუა თავსა თჳსსა: ჵ საწყალობელო და უბადრუკო სულო, დაჰმატე თავისათჳსცა შენისა ერთი სხუაჲ ლოცვაჲ. და ყო ესრეთ მეორესა მას შჳდეულსა და აღასრულებდა ყოველთა ღამეთა ოთხთა ლოცვათა. და კუალადცა წარვიდოდა ბერი ეკლესიად და კუალადცა იხილნა ეშმაკნი იგი /400v/ უმეტეს[9] ფრიად შეწუხებულნი და მდუმრიად თავდადრეკილნი და ჰმადლობდა ღმერთსა. და კუალადცა შევიდა სენაკად ძმისა მის ბერი, აღუვარებდა მადლსა და ეტყოდა: დიდად წყალობა ყო ღმერთმან ჩემ ზედა, ძმაო, ლოცვითა შენითა წმიდითა, გარნა სრულ-ყავ სიყუარული შენი და ერთიღა სხუაჲ ლოცვაჲ დასძინე ჩემთჳს. და ყო ესე ძმამან[10] და დასძინა სხუაჲ[11] ერთი ლოცვაჲ ბერისათჳს და ერთი სხუაჲ თავისათჳს თჳსისა, ვიდრეღა ჰყოფდა ყოველთა ღამეთა ექუსსა ლოცვასა. და ვითარცა მას კჳრიაკესა კუალადცა მივიდა ბერი ძმისა მის, განრისხნეს ეშმაკნი ბერისათჳს და აგინეს მას, რამეთუ შეუძნდა ცხორებაჲ იგი ძმისაჲ[12]. ხოლო მამაჲ მაკარი ადიდებდა ღმერთსა კეთილსა ზედა წარმართებისათჳს ძმისა მის. და[13] შევიდა სენაკად მისა და ასწავა მას, რაჲთა არა უდებ იყოს, არამედ რაჲთა მოუკლებელად ილოცვიდეს. და ესრეთ მადლითა ღმრთისაჲთა და ლოცვითა და სწავლითა მამისა მაკარისითა იქმნა ძმაჲ იგი მოსწრაფე და კეთილ. და იხილეს რაჲ ეშმაკთა მოსწრაფებაჲ ძმისაჲ[14] მის ლოცვისათჳს და ყოვლისათჳსვე[15] კეთილისა[16] საქმისა, ივლტოდეს სირცხჳლეულნი ძალითა ქრისტესითა, ვინაჲთგან მეუფჱ იგი საუკუნოჲ და მფლობელი ყოველთაჲ

---

[1] ილოცავა] ილოცავ C. [2] სრული – D. [3] თავისათჳს თჳსისა] თავისა თჳსისათჳს C. [4] მივიდოდა] მოვიდოდა D. [5] მჭმუნვარენი] მჭმუნვარედ C. [6] ფრიად – D. [7] ყოფად- C. [8] ლმობიერ] ლმობილ C. [9] უმეტეს ფრიად] უმეტესად C; უმეტესადრეD. [10] ძმამან + მან C. [11] ~ ერთი სხუაჲ C. [12] ძმისაჲ + მის C. [13] და შევიდა სენაკად მისა – D. [14] ძმისა C. [15] ყოვლისათჳსვე] ყოვლისავეთჳს D. [16] ~ საქმისა კეთილისა C.

ღმერთი, უხუებით და მდიდრად მისცემს ნიჭთა და კეთილთა[1] მისთა ღირსთა მისთა დიდებად და ქებად მისსა წმიდასა და ცხორებად და სასოებად ყოველთავე მოსავთა მისთა და მადიდებელთა.

5. ჯეროვან არს და სამართალ სარგებელისათჳს[2] მრავალთაჲსა წმიდისა მამისა მაკარის მიერ[3] ქმნილთა მათ წარმართებათა მოთხრობად და[4] გამოჩინებად. ესე ნეტარი სისრულესა მისწუთა დიდსა ღმრთისამიერთა მათ[5] სათნოებათა[6] /401/ და ზეშთა ექმნა სრულად ყოველთავე ვნებათა და მხილველ უხილავთა გამოჩნდა და საიდუმლონი[7] ზეცათანი გამოეცხადნეს. და რაჲთა[8] მოკლედ ვთქუა, სწორ ანგელოზთა ღირს იქმნა[9] პოვნად და მისწუთა, სადამდე ოდენ შესაძლებელ იყო მიწევნად ბუნებისაგან კაცობრივსა, ვიდრეღა ანგელოზთაცა[10] ხედვიდა[11] ღმრთისათა ცხადად და ეშმაკთაცა უკეთურთა, ვითარცა მოგჳთხრეს მისთჳს მოწაფეთა მისთა, ვითარცა თჳთ მისგანვე ასმიოდეს გამოცხადებანი მისნი, რომელნი ღმერთსა საცნაურ-ეყვნეს მისდა და თქუეს ესრეთ, ვითარმედ: შევიდა ოდესმე იგი[12] სამოთხესა მას[13] იანე და იამბრესსა[14]. და ვითარცა შევიდოდა, ფრიად ებრძოლა მას მზაკუვარი იგი და გულარძნილი ეშმაკი და[15] მომპოვებელი იგი[16] ბოროტთაჲ სატანა. ხოლო ვინაჲთგან მადლითა ღმრთისაჲთა უქმ იქმნეს და უჴმარ ღონენი სიბორგილისა და ბრძოლისა მისისანი და იძლია ძალითა ქრისტესითა მედგარი იგი, გამოუცხადა და[17] თავი თჳსი წმიდასა და მისთა მათ სიღოდათა და საცთურთა მრავალთხზულებაჲ და სივერაგე ჩუენებად ინება. და რამეთუ ღმერთი აიძულებდა[18] უნებლიეთცა[19] თქუმად ჭეშმარიტისა. და ვითარცა ვიდოდა ყოლად უვალსა უდაბნოსა[20] რჩეული იგი მჴედარი ქრისტესი, ნეტარი მამაჲ მაკარი, აჰა ესერა, იხილა ვინმე ვითარცა მოხუცებული რეცა, რომელი წინადაემთხჳა მას. და დამაშურალ იყო ფრიად, რამეთუ ეკიდა მას ყოველთავე ჴორცთა მისთა ჭურჭლები რაჲმე სავსჱ[21]. და თჳთოეულსა[22] ჭურჭელსა ეკრა[23] კუალად ზედა ფრთები და ნაცვალად შესამოსლისა ეცუა მას ნივთი რაჲმე ბნელი. ხოლო წმიდამან დაჰრგო ქუეყანად კუერთხი თჳსი და დადგა / 401v/ მყოვარჟამ ლოცვად. მერმე ხედვიდა მას[24] პირისპირ და გამოცდიდა. ხოლო იგი ვითარმცა შეძრწუნდა მისგან რეცა[25] და შეეშინა, მიუგო და ჰრქუა მართალსა მას: რასა იქმ შენ უდაბნოსა ამას შეცთომილი? ჰრქუა მას წმიდამან მაკარი: ღმერთსა ვეძიებ და ვევლტი საცთურსა, გარნა შენ ვინ ხარ, ჱ მოხუცებულო, მაუწყე მე, რამეთუ უცხოდ ვხედავ

---

[1] კეთილითა მისთა – D. [2] სარგებელისათჳს] სარგებელსათჳს D. [3] მიერ – C. [4] და გამოჩინებად – C. [5] მათ – D. [6] სათნოებათა] სათნოებათას D. [7] საიდუმლონი] საჲდუმ-ლონი AD. [8] რაჲთა – D. [9] ქმნა C. [10] ანგელოზთაცა] ანგელოზთა D. [11] ~ ღმრთისათა ხედვიდა D. [12] ~ იგი ოდესმე CD. [13] მას – C. [14] იამბრესსა] იაბრესა C. [15] და – D. [16] იგი – CD. [17] და – CD. [18] აიძულებდა] აჲძულებდა AD. [19] უნებლიეთმცა – D. [20] უდაბნოსა – D. [21] სავსჱ] სავსე CD. [22] თჳთოეულსა] თითოეულსა C. [23] ეკრა] ეკიდა D. [24] მას – C. [25] რეცა – CD.

ხატსა შენსა ცხორებისაგან კაცთაჲსა. მითხარ უკუე, თუ ვინ ხარ, ანუ რაჲ არიან ჭურჭელნი ეგე შენნი, რომელ[1] გიტჳრთვან? ხოლო მან დაღათუ არა ნეფსით აღიარა და თქუა: რომელსა-იგი ჰრქჳან სამაელ და სატანა, იგი მე ვარ და ჭურჭელნი ესე არიან რომლითა თჳთოსახედ და მრავალგუარად მოვიზიდავ[2] კაცთა ჩემდამო[3] და კაცად-კაცადსა მომზავებელსა წამალსა საცთურისასა შეუმზადებ და ვისწრაფი სრულყოფად, რაჲთა ფრთებითა მით გულისთქუმათაჲთა დავამჴუნე მორჩილნი ჩემნი, რომელთაცა დაცემასა ზედა ვიხარებ ჩემ მიერ ძლეულთასა.

ესმა რაჲ წმიდასა მაკარის ესე[4], უმეტესადღა განძლიერდა და ჰრქუა მას: გაფუცებ შენ ქრისტესა, რომელმან დასათრგუნველად მიგცა და საბასრავად ანგელოზთა მისთა, განმიცხადე მე თჳთოეულად წამალთა მაგათ შენთა თარგმანებაჲ. და რამეთუ ამისთჳს გამოსჩნდი აწ, რაჲთა საანჯმნო-მიყავ ჩუენ მრავალთხზულებაჲ მანქანებათა შენთაჲ და ვისწაოთ სივერაგე სიღოდათა[5] საცთაურისა[6] შენისათაჲ[7] და ისართა მათ შენთა მედგართა მრავალშემწუველობაჲ, და[8] არა მივერჩდეთ უკეთურსა მას[9] ბოროტსა ნებასა შენსა. მიუგო ბელიარ და ჰრქუა ბერსა: გეტყჳ შენ, დაღათუ არა ნეფსით, ჴელოვანებათა ჩემთა სიჩქურსა[10] და რამეთუ ვერ ძალ-მიც დაფარვად, რომელსა-ესე ხედავ, ისწავე უკუე მიზეზი თჳთოეულთა ჭურჭელთა ჩემთაჲ. უკუეთუ ვინმე ვპოვო[11], რომელი მოუკლებელად იწურთიდეს შჯულსა ღმრთისასა, /402/ დაუხრწევ მას ესრეთ, რამეთუ[12] უქმ თავისტკივილთა და ლმობათა და ჭურჭლისა მისგან თავისა ჩემისა ვსცხებ მას. ხოლო რომელი მღჳძარჱ[13] იყოს და ენებოს ლოცვაჲ და დიდებისმეტყუელებაჲ ღმრთისაჲ, მივიღებ წამალსა ჭურჭლისა მისგან წარბთა ჩემთაჲსა და მოვსცხებ მას ფრთითა და ძილად მივაგდებ და ჰრულად ვაიძულებ[14]. ხოლო ჭურჭელი ესე, რომელი ჰკიდავს ყურთა ჩემთა, წამალი დგას მას შინა ურჩებად შემზადებული და ამით შევჰმზადებ არასმენად სიტყუასა ჭეშმარიტებისასა მათ, რომელთა ენებოს ცხოვნების. ხოლო სულისა მის[15] მიერ, რომელი გამოდის ცხჳრთაგან ჩემთა, აღვჰსძრავ ჭაბუკსა სიძვად სურნელთა[16] და მიჰრონთა მოყუარებითა. ხოლო პირისა ჩემისა შემზადებულთა მათგან წამალთა, ვჰლიქნი მოღუაწეთა ჭამათა მიმართ და რომლისა-იგი მნებავს შესუმაჲ ამის მიერ, მოუვლენ მათ ძჳრისზრახვასა და ხენეშისმეტყუელებასა და ერთბამად ყოველთა ზედა ვსთესავ თესლსა საქმეთა ჩემთასა, რომლისათჳს თჳთოეულად შემიკრებენ ნაყოფსა შემსგავსებულსა მუშაკობისა ჩემისასა ჩემნი იგი მოსურნენი და მოყუარენი. კუალად სილაღედ, ზუაობად და ამპარტავანებად ვსცხებ

---

[1] რომელ] რომელნი D. [2] მოვიზიდავ] მივიზიდავ D. [3] ჩემდამო] ჩემდამი D. [4] ~ ესე წმიდასა მაკარის D. [5] სიღოდათა + შეთაჲ C. [6] საცთაურისა] საცთაურთაჲ C. [7] შენისათაჲ – C. [8] და + რაჲთა D. [9] მას + და D. [10] სიჩქურსა] საცთურსა C. [11] ვპოვო] ვპოო D. [12] რამეთუ უქმ – D. [13] მღჳძარჱ] მღჳძარე C. [14] ვაიძულებ] ვაჲძულებ A. [15] მის მიერ] მისგან D. [16] სურნელთა] სულნელთა C.

კაცთა წამალთა მათგან ქედისა ჩემისათა და ამიერ მივსცემ ჩემთა მათ მოტრფიალეთა საქმეთა საწუთროჲსათა[1] დიდებასა და სიმდიდრესა და სხუაჲ იგი, რომელი კეთილად ჰგონიეს განშორებულთა ღმრთისაგან.

ხოლო მკერდსა ამას ჩემსა, რომელ ხედავ, ჩემთა საგონებელთა არიან ჭურჭელნი, რომელთაგან უწდევ კაცთა სიმთრვალედ უშჯულოებისა[2] და დავაბნელებ გონებასა[3] კეთილად მსახურთასა, რომელთა ენებოს[4] მოკსენებაჲ საუკუნოჲსაჲ და /402v/ დავიწყე/ბითა უჩინო-ვყოფ კსენებასა მერმეთა მათ კეთილთასა. ხოლო ჭურჭელნი ესე მუცლისა ჩემისანი აღსავსე არიან უგუნურებითა, რომლითა უგლიმად და უგრძნულად სახედ პირუტყუთაჲსა გამოვაჩინებ უცნობთა და მკეცებრ ვჰყოფ საქმესა მათსა და ქცევასა და ყოვლითავე სიბრმითა და სიბნელითა აღვავსებ ყოველსავე ცხორებასა მათსა. ხოლო უპესა ჩემსა[5] ზედა წამალნი რომელ არიან, ამით აღვსძრავ კაცთა ბილწებად და შეგინებად და[6] ურთიერთარს[7] აღრევად საძაგელებით[8]. ხოლო კელთა ამათ ჩემთა, რომელ ხედავ შურისა და მკლველობისა[9] სამსახურად არიან შემზადებულ, რომელთა მიერ გამოჩნდებიან საქმენი ჩემნი სათნონი და აღესრულებიან წადილნი გულისა ჩემისანი. ხოლო მკართა ზედა[10] ჩემთა და ბეჭთა შემზადებულნი წამალნი არიან ნისლოვანებაჲ იგი მრავალფერთა[11] მათ ჩემთა განსაცდელთაჲ, ვინაჲ-იგი ვჰბრძავ ძლიერად, რომელთაცა ენებოს ბრძოლაჲ ჩემი და მთხრებლსა დაურწყუამ იდუმალსა ზურგისაგან ჩემისა და დავსცემ მათ ადვილად, რომელნი მინდობილ იყვნენ ძალსა და[12] ძლიერებასა თჳსსა. ხოლო თეძოთა და წკვთა ხედავა, ვიდრე ფერკთადმდე[13] აღსავსეთა ყოველნივე[14] მახენი არიან და საბრკენი[15] და[16] ბაწარი სივერაგეთა ჩემთანი, რომლითა შეუბრკუმობ მავალთა[17] გზასა მას წრფელსა და დაუხრწევ ყოველთავე მორბედთა გზასა კეთილისასა და ჩემთა მათ გზათა /403/ გულა/რძნილთა მავალად გამოვაჩინებ და რამეთუ შორის მჯდომარე ვარ გზათა ცხორებისა და სიკუდილისათა და შეუბრკუმობ, რომელნი ვიდოდინ[18] გზასა ცხორებისასა და შევაწყუდევ მათ გზათა შინა სიკუდილისათა. ხოლო ყანობირთა მათ შინა ჩემთა და აგარაკთა ვსთესავ ეკალსა და კუროჲსთავსა, რომლისა მუშაკნი[19] და მომკალნი უვარ-ჰყოფენ გზასა ჭეშმარიტებისასა. ხოლო შენ ყოლად არაოდეს ინება სმენაჲ ჩემი, არცა თუ ერთგზის, რაჲთამცა მაქუნდა იგი მცირედ რაჲმე ნუგეშინისსაცემელად, არამედ ერთვე მაურვებ მე და მაწუხებ, რამეთუ საჭურველი გაქუს დიდი

---

[1] საწუთროჲსათა – C. [2] უსჯულოებისა C; უსჯულოებისა დD. [3] გონებასა – D. [4] ენებოს + კეთილდ D. [5] ~ ზედა ჩემსა D. [6] და – D. [7] ურთიერთარს] ურთიერთას C. [8] საძაგელებით] საძაგელებასა D. [9] მკლველობისა] მტერისა C. [10] ~ ჩემთა ზედა D. [11] მრავალფერთა] მრავალთაჲ D. [12] და ძლიერებასა თჳსსა] ძლიერებისა თჳსისაC. [13] ფერკთადმდე] ფერკთამდე D. [14] ყოველნივე] ყოველნი C. [15] საბრკენი] საბლნი C. [16] და ბაწარი – C. [17] მავალთა] მრავალთა D. [18] ვიდოდინ] ვიდოდიან D. [19] ~ მომკალნი და მუშაკნი D.

და ძლიერი და უძლეველი, ვინაჲცა ვისწრაფი წარსლვად ადრე მონათა თანა ჩემთა. რამეთუ შენ გივის მეუფჱ[1] ტკბილი და სახიერი სხუათა მათ თანა შენთა მონათა, რომელი-იგი გწყალობს და სიტკბოებით გზრახავს თქუენ და ყოლადვე და მარადის გცავს თქუენ და გფარავს, ვითარცა შვილთა თჳსთა[2] საყუარელთა.

ესმა რაჲ ესე ყოველი რჩეულსა მას მოღუაწესა[3] ქრისტესსა და გამოცდილსა მჴედარსა მამასა მაკარის, შეიბეჭდა თავი თჳსი სასწაულითა მით[4] პატიოსნისა ჯუარისაჲთა და თქუა: კურთხეულ არს უფალი ღმერთი მამათა ჩუენთაჲ, რომელმან მიგცა შენ დასათრგუნველად მოსავთა[5] თჳსთა, რომელმან და მეცა დამიცვას აღსასრულადმდე საცთურთაგან შენთა მშჳდობით და დაუცემელად, რაჲთა გძლო შენ[6] მაცთურსა მომპოვნებელსა ყოველთა ბოროტთასა და მოვიღო გჳრგჳნი იგი წყალობისაჲ მეუფისაგან ჩემისა. ივლტოდე უკუე ამიერითგან, ჱ ბელიარ, ძლეული და წყეული მაცხოვარებისაგან /403v/ იესუ ქრისტეს ძისა ღმრთისა და ნუ დაეახლები მცირედთა მათ, რომელნი ვლენან გზასა იწროსა და ძნელსა ცხორებისასა. კმა-გეყვნედ შენნი და მოეშორე უდაბნოჲსათა. ესე რაჲ თქუა წმიდამან, მეყსეულად უჩინო იქმნა იგი და ვითარცა კუამლი ცეცხლისაჲ გამოჩნდა იგი[7] და განქარდა. ხოლო წმიდამან დაიდგნა[8] მუჴლნი, იწყო ლოცვად და თქუა: დიდებაჲ შენდა, ქრისტე, მამითურთ შენით დაუსაბამოჲთ და ცხოველით სულით, რომელი-ეგე შესავედრებელი ხარ ღელვაგუემულთაჲ და მაცხოვარებაჲ ყოველთავე შენდა მოლტოვილთაჲ, ამინ[9].

XV. 1. ბრძოლილ იქმნა ოდესმე **მამაჲ მოსე** სიძვისაგან ძლიერად, ვიდრეღა არღარა ძალ-ედვა ჯდომად სენაკსა შინა თჳსსა, აღდგა და წარვიდა იგი მამისა ისიდორესსა და მიუთხრა მას საქმე იგი. ხოლო იგი ჰლოცვიდა მას წარსლვად სენაკადვე თჳსად. და მან არა თავს-იდვა, არამედ ჰრქუა: ვერღარა ძალ-მიც, მამაო. მერმე წარმოიყვანა იგი თჳთ და აღიყვანა სართულსა ზედა სახლისასა და ჰრქუა მას: მიიხილე დასავლეთით[10] კერძო. და მიიხილა და იხილა სიმრავლჱ ეშმაკთაჲ, რომელნი-იგი[11] შფოთებდეს[12] და ბორგდეს ბრძოლად მისა. კუალად ჰრქუა მას მამამან ისიდორე: აღხედენ აწ აღმოსავალით კერძო. და აღხედნა და იხილა სიმრავლჱ[13] დიდძალი წმიდათა ანგელოზთაჲ, რომელნი-იგი დიდებითა იყვნეს შემოსილ და პატივითა განშუენებულ. და ჰრქუა მას მამამან ისიდორე: აჰა ესერა, ესე ყოველნი წარმოვლენილ არიან უფლისა მიერ შემწედ წმიდათა, /404/ ხოლო დასავლეთისანი[14] იგი[15] ჰბრძვანან მათ, ხედავა, თუ რაოდენ უმრავლეს არიან ჩუენ თანა მდგომნი ესე?!

---

[1] მეუფჱ] მეუფე D. [2] თჳსთა – D. [3] ~ ქრისტესსა მოღუაწესა C. [4] მით – D. 5 მოსავთა] მონათა D. [6] შენ – C. [7] იგი – D. [8] დაჲდგნა] დაიდგნა A. [9] ამინ – D. [10] დასავლეთით] დასავალეთით A. [11] რომელნი-იგი] რომელნი D. [12] შფოთებდეს] აშფოთებდეს D. [13] სიმრავლჱ] სიმრავლე CD. [14] დასავალეთისანი A. [15] იგი] ისი D..

და ესრეთღა განძლიერდა მამაჲ მოსე, უკუნიქცა სენაკადვე[1] თჳსად და ჰმადლობდა ღმერთსა.

2. ეტყოდა **მამაჲ მოსე** სკიტელთა: უკუეთუ დავიცვნეთ მცნებანი მამათა ჩუენთანი, მე თავსმდებ გექმნა ღმრთისა მიმართ, რომელ ბარბაროზნი არა მოვიდენ აქა. უკუეთუ კულა არა დავიცვნეთ, მოოჴრებად არს ადგილი ესე.

3. სხდეს ოდესმე ძმანი მამასა თანა **მოსეს** და ჰრქუა მათ: აჰა ესერა, დღეს ბარბაროზნი მოვლენ სკიტეს, არამედ[2] აღდეგით და ივლტოდეთ. ჰრქუეს მას ძმათა: და შენ არა ივლტია, მამაო! ჰრქუა მათ ბერმან: მე მრავლით წლითგან[3] მოველი დღესა ამას, რაჲთა აღესრულოს ჩემ ზედა ბრძანებაჲ იგი მეუფისაჲ, რომელი თქუა, ვითარმედ: „ყოველთა[4], რომელთა აღიღონ მახჳლი, მახჳლითაცა მოსწყდენ“[5]. და მათ ჰრქუეს მას: არცაღა ჩუენ ვივლტით, არამედ შენ თანავე მოვკუდეთ, მამაო. ჰრქუა მათ მამამან მოსე: მე საქმჱ[6] არაჲ მაქუს მაგას თანა, კაცად-კაცადმან თჳთ განიგულენ, თუ ვითარ ვინ ზის. ხოლო იყვნეს ძმანი იგი, ვითარ შჳდ ოდენ. და ჰრქუა მათ: აჰა ესერა, ბარბაროზნი მოახლებულ არიან კარად. და შევიდეს შინა და მოსწყჳდნეს იგინი. ხოლო ერთი ძმათა მათგანი დაიმალა[7] კარსა უკუანა და ვითარცა დაჴოცნეს იგინი, იხილნა შჳდნი გჳრგჳნნი გარდამოსრულნი ზეცით და დადგმულნი თავთა მათ[8] ზედა მოღუაწეთასა[9].

XVI. იტყოდეს მამათაგანნი ვინმე **მამისა მარკელესთჳს თიბელისა**[10], ვითარმედ: მრავალგზის გჳთხრა ჩუენ მოწაფემან მისმან, რამეთუ[11] ოდეს ეგულებინ დღესა წმიდასა კჳრიაკესა წარსლვაჲ /404v/ ლოცვად, განჰმზადის თავი თჳსი უწინარეს-რე და აღიღის კერძოჲ რაჲმე წმიდათაგან წერილთა და იწურთინ, ვიდრე მისლვადმდე მისა[12] წმიდად ეკლესიად. ხოლო არა იძრვოდეს[13] ბაგენი მისნი წურთასა მას შინა მისსა, რაჲთა არავის ესმოდის. და ოდეს დადგებინ იგი ლოცვად, დაალტობნ მკერდსა მისსა სიმრავლისაგან ცრემლთაჲსა, რამეთუ იტყოდა ნეტარი იგი, ვითარმედ: ოდეს იწყოს ეკლესიამან ლოცვად, ვხედავ სრულსა ეკლესიასა ყოლად ცეცხლქმნულსა და ვითარცა განუტეონ ლოცვაჲ, კუალადცა მოეშორების ცეცხლი იგი საკჳრველი.

XVII. იტყოდეს **მამისა სილოვანესთჳს,** ვითარმედ ინება ოდესმე წარსლვაჲ ასურასტანად[14]. ხოლო მოწაფემან მისმან **მარკოზ** ჰრქუა მას: მამაო, არა მნებავს მე აქაჲთ წარსლვაჲ, და არცაღა[15] შენ გიტევებ[16] წარსლვად, მამაო, არამედ მელოდე აქა და დაადგერ სამ დღე. და მესამესა დღესა დაიძინა[17].

---

[1] სენაკადვე] სენაკად D. [2] არამედ] და C. [3] წლითგან] წლით C. [4] ყოველთა – C. [5] მთ. 26,51. [6] საქმჱ] საქმე CD. [7] დაჲმალა A. [8] მათ ზედა] ზედა ნეტრთა მათC. [9] მოღუაწეთა] ნეტრთ C. [10] თიბელისა] თებელისა CD. [11] რამეთუ] ვითარმედ D. [12] მისა – D. [13] იძრვოდეს] იძროდეს C. [14] ასურასტანად] ჰურიასტანად D. [15] არცა C. [16] გიტეობ C; გაგიტეობ D. [17] დაიძინა] დაჲძინა A.

XVIII. იტყოდეს **მამისა პახუმისთჳს**[1], ვითარმედ შეემთხჳა ოდესმე გზასა ზედა მკუდარსა, რომელი გამოაქუნდა და იხილნა ორნი ანგელოზნი, რამეთუ მიუდგეს უკუანა ცხედარსა მას[2] მკუდრისასა. და გონებად ვარდა ბერი საქმისა მისთჳს და ევედრა ღმერთსა, რაჲთა გამოუცხადოს მას ანგელოზთა მათთჳს. და მოვიდეს ანგელოზნი იგი ბერისა. ჰრქუა მათ ბერმან: ვითარ თქუენ ანგელოზნი ხართ და მიუდგთ უკუანა მკუდარსა? ჰრქუეს მას ანგელოზთა მათ: ერთი ჩუენგანი[3] არს ოთხშაბათისაჲ და ერთი პარასკევისაჲ და ვინაჲთგან არაოდეს მოაკლო ვიდრე სიკუდილადმდე[4] მარხვად /405/ ოთხშაბათ/-პარასკევთა, ამისთჳს ჩუენცა შეუდგთ მისსა, ვინაჲთგან ვიდრე[5] სიკუდილადმდე თჳსა დაიცვა[6] მარხვაჲ და[7] ამისთჳს ჩუენცა პატივ-ვსცემთ მას, ვითარცა კეთილსა მოღუაწესა უფლისა მიერ.

XIX. გჳთხრა ჩუენ ესე **ნეტარმან პავლე წრფელმან**, ვითარმედ: იყო მოწაფჱ[8] ჩემი და შევარდა იგი თჳთოსახეთა[9] ცოდვათა თჳნიერ ცნობისა ჩემისა. და შეემთხჳა მას სიკუდილი. და ვევედრე ღმერთსა მისთჳს მჴურვალედ და შეუვრდი ყოლად წმიდასა ღმრთისმშობელსა, რაჲთა ვიხილო იგი, თუ რასა შინა არს შემდგომად ჴორცთაგან განსლვისა. და დავყავნ რაჲ დღენი არამცირედნი ლოცვასა შინა მისთჳს, განკჳრებაჲ დამეცა ჩემ ზედა, და ვიხილე მოწაფჱ[10] იგი ჩემი ტჳრთული ორთა ვიეთგანმე და ყოლად ქვაქმნული[11], ვითარცა კეცი, თავითგან ვიდრე ფერჴთადმდე, რომელსა არცა თუ ყოლად აქუნდა კნინოდენი რაჲ, არცაღა[12] სულიერი და არცაღა ჴორციელი და არცაღა ზრახვიდა ყოლად, არამედ იყო რაჲთურთით სრულად[13] ქვაქმნილ[14], რომელი-იგი ვიხილე რაჲ ესრეთ, შევწუხენ ფრიად და[15] მგლოვარე ვიქმენ, რამეთუ მომეჴსენა მე[16] სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, რომელი თქუა მისთჳს, რომელსა-იგი არა ემოსა სამოსელი საქორწინჱ[17], ვითარმედ: „შეუკრენით მაგას ჴელნი და ფერჴნი და განაგდეთ ბნელად გარესკნელად“[18], მუნ იყო ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ. და რამეთუ[19] შეკრვაჲ ჴელთა და ფერჴთაჲ არა სხუასა რას მოასწავებს, არამედ დავსებასა და უქმობასა ყოველთავე საცნობელთასა, რომელნი-იგი არა ნებისაებრ იჴმარნა სოფელსა ამას შინა. და ვითარცა მოვეგე თავად განკჳრებისა /405v/ მისგან, ვიწყე ფრიად შეჭირვებად და ურვად მოწყალებისა ყოფად მისთჳს ძალისაებრ და მსხუერპლისა მის წმიდისა შეწირვად. და შეუვრდი[20] წმიდასა ღმრთისმშობელსა შეწყალებად მისა[21] და ვევედრებოდე კაცთმოყუარესა ღმერთსა ლხინებად მისა. და ვიწყე[22] ჭირვებად თავსა ჩემსა მოღუაწებითა და ჴმელსა ჭამითა ესევითარსა შინა ღრმასა სიბერესა.

---

[1] პახუმისთჳს] პახომისთჳს C. [2] მას] მის D. [3] ჩემგანი C. [4] სიკუდილადმდე] სიკუდილამდე C. [5] ვიდრე – D. [6] დაიცვა] დაიცვა CD. [7] და – C. [8] მოწაფე CD. [9] თითოსახეთა CD. [10] მოწაფჱ] მოწაფე CD. [11] ქვაქმნილი D. [12] არცაღა] არცა CD. [13] სრულად] ყოლად C. [14] ქვაქმნილ] ქვაქმნული C. [15] და – D. [16] მე – D. [17] საქორწინჱ] საქორწინე CD. [18] მ. 22,13. [19] რამეთუ – D. [20] შეუვრდი] შეურდი C. [21] მისა] მისთჳს D. [22] ვიწყე] დავიწყე C.

შემდგომად უკუე დღეთა რავდენთამე[1] ვიხილე ყოლადწმიდაჲ[2] ღმრთისმშობელი, რამეთუ[3] მეტყოდა: რად მწუხარე ხარ და ურვეულ, პაპო? და მე ვთქუ[4]: ძმისათჳს ჩემისა, წმიდაო დედოფალო, რამეთუ ვიხილე იგი ჭირსა შინა. და მან მრქუა მე: არა შენ ითხოვეა ხილვაჲ მისი? აჰა ესერა, გულსავსექმნილ[5] ხარ. და მე ვარქუ მას: ჰჱ, წმიდაო დედოფალო, მე ვეყედრე, გარნა არა მენება ესრეთ ხილვაჲ მისი[6] და რაჲ სარგებელ-მეყო ბოროტად ხილვითა მისითა და მისთჳს ტირილითა და ტყებითა. და მრქუა მე წმიდამან ღმრთისმშობელმან: წარვედ უკუე, რამეთუ სიმდაბლისათჳს შენისა და ჭირთა და სიყუარულისათჳს შენისა მე გიჩუენო იგი, რაჲთა არა სწუხდე. და ხვალისდღე[7] კუალად ვიხილე ძმაჲ იგი ჩემდა მომავალი მხიარულებით. და რამეთუ თჳთ ვიდოდა და იცინოდა და მრქუა მე: ოხათა შენთა, მამაო, და ხუაჲშანთა, მოწყალე ყვეს ჩემ ზედა ყოლადწმიდაჲ ღმრთისმშობელი და რამეთუ ფრიად უყუარ შენ, ამისთჳსცა ევედრა მაცხოვარსა, რაჲთა განმჴსნან მე საკრველთაგან და რამეთუ საკრველთაგან ცოდვათა ჩემთაჲსა ვიყავ მე შეკრულ. ესე რაჲ მრქუა ძმამან მან[8], აღვივსე მე სიხარულითა. და აჰა ესერა, კუალადცა ვიხილე მე ყოლად წმიდაჲ /406/ ღმრთისმშობელი და მრქუა მე: გულსავსე იქმენა, მოხუცებულო, ბარე[9] აწ? და მე ვთქუ: ჰჱ, წმიდაო დედოფალო, და ფრიადცა მხიარულ ვიქმენ, რამეთუ ვიხილე იგი ლხენასა[10] შინა. და მან მრქუა მე: წარვედ უკუე აწ და აჴსენებდი ყოლადვე[11] ძმასა ამას ლოცვათა შინა შენთა და მოწყალებასა და წირვასა ნუ დააცადებ მისთჳს[12]. და რამეთუ ფრიად[13] შეიწყალებს მიცვალებულთა მოწყალებაჲ და შეწირვაჲ მათთჳს მსხუერპლისა მის წმიდისაჲ.

XX. შევიდა ოდესმე **მამისა სილოვანესა**[14] **მოწაფე მისი ზაქარია** და იხილა იგი განკჳრვებასა შინა და ჴელნი მისნი იყვნეს ზეცად აღპყრობილ. და დაჯშა კარი და გამოვიდა. და კუალად მივიდა იგი ჟამსა მეექუსესა და მეცხრესა და პოვა ესრეთვე. ხოლო ჟამსა მეათერთმეტესა მივიდა და ჰრეკა და შევიდა[15] შინა და პოვა იგი დაყუდებით. და ჰრქუა მას: რაჲ გჭირდა[16] დღეს, მამაო? ხოლო მან ჰრქუა: დავსნეულდი დღეს, შვილო. და მან შეუპყრნა ფერჴნი მისნი და ჰრქუა: არა შეგინდო შენ, არა თუ მითხრა, თუ[17] რაჲ იხილე. ჰრქუა მას ბერმან: მე ზეცად აღვიტაცე და ვიხილე დიდებაჲ ღმრთისაჲ და მუნ[18] მდგომარჱ[19] ვიყავ, ვიდრე აქა ჟამადმდე და აწღა განტევებულ ვიქმენ.

XXI. იტყოდა **მამაჲ ფოკას**, რომელი იყო კრებულისაგან[20] მამისა თეოღნისა, პირველად იერუსალემელისა, ვითარმედ: ოდეს-იგი ვჯედ სკიტეს,

---

[1] რავდენთამე] რაოდენთამე C. [2] ყოლადწმიდაჲ] წმიდაჲ C. [3] რამეთუ] რომელი. [4] ვთქუ] ვარქუ C. [5] გულსავსექმნილ] გულსავსექმნულ C. [6] მისი + რამეთუ D. [7] ხვალისდღე] ხვალისა დღე CD. [8] მან – C. [9] ბარე – D. [10] ლხენასა] ლხინებასა C. [11] ~ ძმასა ამას ყოლადვე D. [12] მისთჳს] ამისთჳს C. [13] ფრიად – D. [14] სილოვანესა] სილოანესსაC. [15] შევიდა + იგი D. [16] გჭირდა] გჭირსC. [17] თუ – D. [18] მუნ – D. [19] მდგომარჱ] მდგომარე CD. [20] კრებულისაგან + წმიდის აCD.

შეიქმნა ვინმე მონაზუნად ჭაბუკი სენაკებს, რომელსა ჰყვა[1] მის[2] თანა მამაჲცა თჳსი[3] ჴორციელი, იგივე[4] სულიერიცა. ხოლო სენაკებსა მას კელიათასა აქუნდეს ორნი ეკლესიანი, ერთი იგი[5] იყო მართლმადიდებელთაჲ, სადაცა-იგი ეზიარა[6] იაკობ, რამეთუ ესე იყო /406v/ სახელი ჭაბუკისაჲ მის, ხოლო ერთი იგი ეკლესიაჲ იყო მწვალებელთაჲ. ვინაჲთგან უკუე აქუნდა მადლი სიმდაბლისაჲ[7] მამასა იაკობს[8], უყუარდა იგი ყოველთა მორწმუნეთაცა და მწვალებელთა. ხოლო ეტყოდეს მას[9] მართლმადიდებელნი: მამაო იაკობ, ნუმცა გაცთუნებენ შენ მწვალებელნი და მიგიზიდვენ ზიარებად მათ თანა. ესრეთვე კუალად და მწვალებელნიცა იგი[10] ეტყჳედ[11]: იციმცა, მამაო იაკობ, რომელ უკუეთუ ეზიარო ორბუნებიანთა თანა, წარსწყმედ სულსა შენსა, რამეთუ ნესტორნი არიან იგი და ცილსა სწამებენ ჭეშმარიტებასა[12]. ხოლო მამაჲ იაკობ იყო წრფელ და უმანკო და შეიწრდა[13] სიტყუათაგან ორისავე კერძოჲსათა და ესე განიზრახა თჳსაგან, რაჲთა ევედროს იგი ღმერთსა. და შეაწყუდია თავი თჳსი სენაკსა შინა გარეშე ლავრისა და დაეყუდა და შეიმოსა სამოსელი თჳსი სამკუდროჲ, ვითარცა მოკუდავმან. და რამეთუ აქუს წესად მეგჳპტელთა მამათა, რაჲთა შესამოსელი იგი, რომელსა ზედა მიიღონ წმიდაჲ სქემაჲ და კუნკული, დაჰმარხნენ, ვიდრე სიკუდილადმდე მათდა[14] და მითა დაემარხნენ[15], თჳნიერ ოდენ კჳრიაკეთა შეიმოსენ მათ წმიდისათჳს ზიარებისა და მეყსეულად კუალადცა დაიკრძალვენ[16]. შეაწყუდია უკუე, იაკობ თავი თჳსი მითა[17] მოსილმან სენაკსა შინა და ევედრებოდა ღმერთსა ამისთჳს. და მოუძლურდა იგი მარხვისაგან ფრიადისა და მივარდა ქუეყანასა ზედა. და იდჳა იგი[18] ვითარცა მკუდარი და რამეთუ მრავალსა ძჳრისხილვასა იტყოდა იგი მათ დღეთა შინა და უფროჲსღა ეშმაკთაგან და გულისსიტყუათა. ხოლო წარჴდეს რაჲ ორმეოცნი დღენი, იხილა ყრმაჲ შემავალი მისა[19] მოხარულად და ჰრქუა მას: ბერო იაკობ, რასა იქმ აქა? და იგი /407/ მეყსე/ულად განათლდა და მიიღო ძალი ხილვისა მისგან და ჰრქუა მას: მეუფეო, შენ უწყი, თუ რასა ვიქმ, ანუ რაჲ მიჴმს. ერთნი კერძონი მეტყჳან: ნუ დაუტევებ[20] ეკლესიასა. და მეორენი მეტყჳან: გაცთუნებენო ორბუნებიანი. და მე[21], ვინაჲთგან უღონო ვიქმენ და არა ვიცოდე, თუ რაჲ ვყო, მოვედ საქმესა ამას. მიუგო მას უფალმან და ჰრქუა: სადა ხარ, კეთილად ხარ! და მეყსეულად სიტყუასა ამას[22] თანა იპოვა იგი კართა ზედა მართლმადიდებელთა ეკლესიისასა, რომელსაცა[23] შემოჰყვანდა წმიდაჲ იგი სიწმიდჱ[24] და გალობდეს: „რომელნი ქერობინთა“.

---

[1] ჰყვა] ჰყავს C. [2] მის თანა – C. [3] თჳსი] მისი CD. [4] იგივე + და CD. [5] ~ იგი ერთი იყო D. [6] ეზიარა] ეზიარებოდა CD. [7] სიმდაბლისაჲ – D. [8] იაკობს + და სიმდაბლე და სიმშჳდე D. [9] მას – C. [10] იგი – C. [11] ეტყჳედ] ეტყოდეს C. [12] ჭეშმარიტებასა] ჭეშმარიტსა D. [13] შეიწრდა] შეიძრა D. [14] მათდა] მათად C; მათა D. [15] დაემარხნენ] დაემარხვიან C. [16] დაიკრძალვენ] დაიკრძალვენ A. [17] მითა] მით D. [18] იგი – D. [19] მისა] მისსა C. [20] დაუტევებ] დაუტეობ C. [21] მე – D. [22] ამას – C. [23] რომელსაცა] რომელთაცა C. [24] სიწმიდჱ] სიწმიდე CD.

1. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე, ვითარმედ ვიდოდა იგი უდაბნოს[1] და ორნი ანგელოზნი უვიდოდეს[2] თანა, ერთი მარჯუენით მისა[3] და ერთი მარცხენით. და ვითარ ვიდოდეს, პოვეს[4] მძორი რაჲმე დაგდებული გზასა ზედა და დაიბურნა[5] ბერმან საყნოსელნი თჳსნი სულმყრალობისა მისგან. და ყვეს ესრეთვე[6] ანგელოზთა მათცა და ვითარცა წარვლეს მცირედ, ჰრქუა მათ ბერმან: და თქუენცა გეცემისა სულმყრალობაჲ ესე? ხოლო მათ ჰრქუეს: არა, არამედ შენისა, სათნოჲსათჳს, დავიბურენით ჩუენცა საყნოსელნი, უკუეთუ არა, არარაჲ სულმყრალობისაგან ამის სოფლისათა გუეცემის ჩუენ, თჳნიერ ოდენ სულმყრალობაჲ იგი სულთაჲ მათ, რომელნი ცოდვათა შინა იყოფებიან, იგი გუეცემის ძნელად.

2. გჳთხრა ვინმე ჩუენ ესე და თქუა, ვითარმედ: სკიტეს ოდეს შესწირვიდიან მღდელნი მსხუერპლსა, გარდამოვალნ არწივი ზედა წმიდასა ძღუენსა[7] და არავინ ხედავნ მას თჳნიერ მღდელთა[8]. დღესა უკუე ერთსა სთხოა რაჲმე ვინმე[9] დიაკონსა და მან ჰრქუა: არა მცალს აწ. და ვითარცა აღვიდეს /407v/ საკურთხეველად და იწყეს შეწირვად მსხუერპლსა[10], არღარა გარდამოჴდა მსგავსებაჲ იგი არწივისაჲ წესისაებრ და ჩუეულებისა. და ჰრქუა მღდელმან დიაკონსა: რაჲ არს საქმე ესე, რამეთუ არა გარდამოჴდა არწივი ჩუეულებისაებრ, ანუ ჩემ თანა არს ცოდვაჲ, ანუ შენ თანა, განეშორე უკუე ჩემგან და უკუეთუ გარდამოჴდეს, გამოჩნდეს, რომელ შენთჳს არა გარდამოჴდა. და ვითარცა მოეშორა დიაკონი იგი, მეყსეულად გარდამოჴდა არწივი იგი. და ვითარცა აღესრულა შეწირვაჲ[11] იგი მსხუერპლისაჲ, ჰრქუა მღდელმან დიაკონსა: მითხარ მე[12], თუ რაჲ გიქმნიეს? ხოლო იგი გულსავსე-ჰყოფდა და ეტყოდა: არარაჲ ცოდვაჲ შემიცნობიეს თავისა ჩემისადა, თჳნიერ ესე, რომელ მოვიდა ძმაჲ ვინმე და მთხოვა ესე რაჲმე, და[13] ვარქუ მას, არა მცალს აწ. ჰრქუა მას მღდელმან: შენთჳს უკუე არა გარდამოჴდა სულიწმიდაჲ, რამეთუ შეაწუხე ძმაჲ შენი. და წარვიდა დიაკონი იგი და შეუვრდა[14] ძმასა მას და ითხოვა მისგან შენდობაჲ.

3. იტყოდეს მამათაგანნი ვინმე, ვითარმედ აღესრულებოდა რაჲ[15] წმიდაჲ პეტრე ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსი, იხილა ვინმე ქალწულმან გამოცხადებაჲ და ესმა ჴმაჲ, რომელი იტყოდა[16]: პეტრე – დაწყებაჲ მოციქულთაჲ, პეტრე – დასასრული მოწამეთაჲ.

4. გჳთხრა ჩუენ ესე მამათაგანმან ვინმე, ვითარმედ სამნი საქმენი არიან, რომელთა უჴმს მონაზონსა შეკრძალვაჲ და შიშით და ძრწოლით და სიხარულითა სულიერითა აღსრულებაჲ: პირველად – ზიარებაჲ წმიდათა საჲდუმლოთაჲ, მეორედ – მისლვაჲ ტაბლასა ძმათასა, და მესამე – ფერჴთა

---

[1] უდაბნოს] უდაბნოსა C. [2] უვიდოდეს] უვიდეს C. [3] მისა] მისსა D. [4] პოვეს] პოეს C. [5] დაიბურნა] დაჲბურნა A. [6] ეგრეთვე D. [7] ძრუენსა] მსხუერპლსა C. [8] მღდელთა] მღდელისა C. [9] ვინმე] ძმამან D. [10] მსხუერპლსა] მსხუერპლისა D. [11] შეწირვაჲ] შე-საწირავი C. [12] მე – D. [13] და + ეს C. [14] შეუვრდა] შეურდაC. [15] რაჲ-D. [16] ეტყოდაC.

დაბანაჲ ძმათასა, რომელსა ზედა სახეცა მოიღო და თქუა, ვითარმედ: იყო ვინმე ბერი დიდთაგან ბერთა და იყო იგი მხილველ /408/ სულითა. ერთგზის უკუე შეემთხჳა მას და მივიდა ტაბლასა მრავალთა თანა ძმათა. და ვითარცა ჭამდეს იგინი, ხედვიდა ბერი სულითა ტაბლასა მას[1] ზედა მსხდომარეთა, რამეთუ რომელნიმე ჭამდეს თაფლსა, რომელნიმე პურსა და რომელნიმე სკორესა. იხილა რაჲ ესე, დაუკჳრდა ფრიად და ევედრა ღმერთსა თჳსაგან და თქუა: უფალო, გამომიცხადე მე საიდუმლოჲ[2] ესე, თუ ვითარ ერთი ჭამადი მდებარჱ[3] არს წინაშე ყოველთა და თუ ვითარ ჭამასა შინა ესრეთ თჳთოსახედ განიყოფვის. და მოიწია მისა ჴმაჲ ზეგარდმო, რომელი[4] ეტყოდა, ვითარმედ: რომელნი იგი თაფლსა ჭამენ, არიან იგინი, რომელნი შიშით და ძრწოლით და სიხარულითა სულიერითა სხენან ტაბლასა ზედა და სამარადისოდ ილოცვენ. და ლოცვაჲ მათი ვითარცა საკუმეველი აღვალს წინაშე ღმრთისა. ამისთჳსცა და თაფლსა ჭამენ. ხოლო რომელნი იგი პურსა ჭამენ, არიან იგი[5] რომელნიცა ჰმადლობენ მიხუმასა ზედა უხუთა ღმრთისა კეთილისასა. და რომელნი იგი სკორესა ჭამენ, არიან იგი[6], რომელნიცა დრტჳნვენ და იტყჳან: ესე რაჲმე კეთილ არს და ესე ხენეშ. არა ჴამს უკუე, არა ჴამს, ესევითარსა მოგონებად, არამედ უფროჲსღა დიდებისმეტყუელებაჲ თანა-გუაც ღმრთისაჲ და ლოცვათა შეწირვაჲ, რაჲთა[7] აღესრულოს სიტყუაჲ იგი სამოციქულჲ, ვითარმედ: გინათუ შჭამდეთ, გინა[8] სუმიდეთ, გინათუ[9] რასაცა იქმოდით[10], ყოველსავე სადიდებელად ღმრთისა იქმოდით.

5. ბერმან თქუა: მრავალგზის იტყოდის რაჲ დიაკონი, თუ ამბორს-უყავთ ურთიერთარს, ვიხილე სული წმიდაჲ პირებსა ზედა ძმათასა.

6. მამათაგანი ვინმე იტყოდა ამას, ვითარმედ: სხდეს ოდესმე ბერნი და ზრახვიდეს სარგებელისათჳს სულისა. და იყო ვინმე მათ შორის სულითა /408v/ მხი/ლველი. და ხედვიდა ანგელოზთა გარდამომავალთა ზეცით, რომელთა აქუნდათ ჴელთა მათთა ბაიები[11] და შეასხმიდეს მათ. ხოლო ოდეს რაჲმე[12] წარმოვარდის მათ შორის მსოფლიოჲ საუბნარი, განეშორნიან ანგელოზნი და ინწუბებოდიან[13] მათ შორის ღორნი სიმყრალითა მრავალითა. და კუალად ოდეს იწყიან სიტყუად სიტყუათა სარგებელისათა, მოვიდიან ანგელოზნივე იგი და შეასხმიდიან მათ.

7. ბერმან თქუა: ესე არს სიტყუაჲ იგი წინაწარმეტყუელისაჲ, ვითარმედ: „ორთა ზედა და სამთა ცოდვათა ტჳროსისათა[14] და მეოთხესა ზედა არა გარემივიქცე“, ესე იგი არს მოგონებაჲ ბოროტისაჲ და თანამიყოლაჲ გულისსიტყჳსაჲ და თქუმაჲ პირითა, ხოლო მეოთხჱ[15] არს საქმით

---

[1] მას – C. [2] საიდუმლოჲ] საჲდუმლოჲ C. [3] მდებარჱ] მდებარე CD. [4] რომელი ეტყოდა..... არიან იგინი – C. [5] იგი] იგინი C. [6] იგი – D. [7] აქ D ნუსხა წყდება. [8] გინა] გინათუ C. [9] გინათუ რასაცა – C. [10] იქმოდით] იქმოდეთ C. [11] ბაიები] ბაჲები A. [12] რაჲ C. [13] ინწუბებოდიან] იწოპეოდიან C. [14] ტჳროსისათა] ტჳროსისთა C. [15] მეოთხჱ] მეოთხე CD.

აღსრულებაჲ ცოდვისაჲ, რომელსა არცა მას ზედა მივიქცეთ გარე[1], რომელი ინანდეს, იტყჳს უფალი.

8. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე დიდისა სკიტეს, ვითარმედ ოდეს აშენებდიან[2] ძმანი სენაკსა, გამოვიდის სიხარულით[3] და თჳთ მან დადვის საფუძველი და არა განეშორის, ვიდრემდის განასრულიან. დღესა უკუე ერთსა აშენებდეს ძმანი სენაკსა. და გამოვიდა ბერი და იყო იგი მჭმუნვარ(ჱ)[4] ფრიად. და ჰრქუეს მას ძმათა: რაჲსათჳს შეწუხებულ ხარ, მამაო, და ესოდენ მჭმუნვარედ იხილვები? ჰრქუა მათ ბერმან: ამისთჳს, რამეთუ მოოჳრებად არს ადგილი ესე და რამეთუ ვიხილე მე ცეცხლი გარდამოსრული სკიტესა ზედა. და აღიღეს ძმათა ბაიები[5], სცემდეს მას და დაავსეს იგი და კუალად მეორედ აღეგზნა და კუალადცა დაავსეს იგი. ხოლო აღეგზნა იგი მესამესა და დაფარა ყოველი სკიტ(ჱ) და ვერღარა უძლეს დავსებად მისა და ამისთჳსცა მე მჭმუნვარ(ჱ)[6] ვარ და შეწუხებულ.

9. ბერმან თქუა: წერილ არს, ვითარმედ „მართალი, ვითარცა ფინიკი, /409/ აღყუავნეს[7]“[8]. ხოლო მოასწავებს სიტყუაჲ ესე სიმაღლესა და სიმართლესა და სიტკბოებასა კეთილთა საქმეთასა. ხოლო უც ფინიკსა გული ერთი და იგიცა თეთრი, რომელი გამოსახავს ერთობით ყოველთა სათნოებათა. და ესე ჭეშმარიტებით იპოების მართალსა ზედა. და რამეთუ ერთი არს გული მისი და მარტივი, რომელი ხედავს ღმრთისა მიმართ, ხოლო რამეთუ არს იგი თეთრი, ნათელსა მას მოასწავებს სარწმუნოებისასა. და რამეთუ ყოველივე საქმე მართალთაჲ გულსა ზედა არს. ხოლო მახჳლი იგი წუერი მისი გამოსახავს წინააღდგომასა[9] ეშმაკისასა.

10. ბერმან თქუა: სომანიტელსა მას ვინაჲთგან არავის თანა აქუნდა კაცსა სიყუარული, შეიწყნარა **ელისე წინაწარმეტყუელი** და რამეთუ სომანიტელი სახე არს სულისა[10] კაცისასა. და ოდეს მოიცალოს კაცმან ზრუნვათაგან და შფოთთა სოფლისათა, მოვალს მას ზედა სული[11] უფლისაჲ და მაშინ შეუძლებს შობად პირველად ბერწი იგი.

11. თქუა ვინმე მამათაგანმან, ვითარმედ[12]: თუალთა ღორისათა ბუნებით აქუს ქუემხედველობაჲ ქუეყანად დამართ და მიწად, და ვეროდეს ძალუც მას ახილვად ზეცად. ესრეთვე უკუე შეემთხუევის სულსაცა, რომელი ერთგზის ამოისუაროს მწჳრესა მას შინა ცოდვისა[13] გემოთასა, ძნიადღა სამე უძლებს აღხილვად ღმრთისა მიმართ, ანუ თუ რაჲთამცა ქმნა რაჲმე[14] ღმრთისა კერძი და კეთილი.

---

[1] ~ გარე მიექციო C. [2] აშენებდიან] აღშენებდიან C. [3] სიხარულით] სიხარულითა C. [4] მჭმუნვარ(ჱ)] მჭმუნვარე C. [5] ბაიები] ბაჲები A. [6] მჭმუნვარ(ჱ)] მჭმუნვარე C. [7] აღყუავნეს] აყვავდეს C. [8] ფს. 81,13. [9] წინააღდგომასა] წინააღდგომოასა C. [10] სულსა] გულისა C. [11] სული უფლისაჲ] მადლი ღმრთისაჲ C. [12] ვითარმედ – C. [13] ცოდვისა] ცოდვისასა C. [14] რაჲმე] რაჲ C.

12. იყო ვინმე ბერი დიდად მხედველი სულითა. ამან დაამტკიცა და თქუა: ძალი, რომელი ვიხილე მოსრულად წმიდასა ზედა ნათლისღებასა, იგივე ვიხილე მონაზონსა ზედა, შეიმოსდეს რაჲ სქემასა.

13. გულსავსე-მყვნა ჩუენ ბერმან ოდესმე ხილვად ყოფადთა და თქუა, ვითარმედ: /409v/ ვიხილე ძმაჲ, რომელი იწურთიდა სენაკსა შინა თჳსსა და მივიდა[1] ეშმაკი და დადგა გარეშე სენაკისა მისისა. და ვიდრემდის იწურთიდა ფსალმუნსა იგი, ვერ უძლო ეშმაკმან შესლვად სენაკსა მისსა. ხოლო ვითარცა დასცხრა იგი წურთისაგან, მაშინღა შევიდა ეშმაკი სენაკად მისა[2] და ჰბრძოდა ძმასა მას.

14. თქუა ვინმე მამათაგანმან, ვითარმედ: ორნი ძმანი მკჳდრ იყვნეს მახლობელად მისა, ერთი უცხოჲ და ერთი ადგილისაჲ. ხოლო უცხოჲ იგი იყო მცირედ უდებ და ადგილისაჲ იგი იყო მოსწრაფჱ[3] ფრიად. შეემთხჳა უკუე სიკუდილი უცხოსა მას და ბერი იყო სულითა მხილველ, იხილა სიმრავლჱ[4] ანგელოზთაჲ, რომელნი წინაუძღოდეს სულსა მისსა, ვიდრემდე[5] მიედგნეს იგინი ცადმდე და ეგულვა შესლვაჲ. და იქმნა მისთჳს ძიებაჲ და მერმე მოვიდა მისთჳს ზეგარდამო[6] ჴმაჲ, რომელი იტყოდა: ცხადი საქმე მაგისი ეგე იყო, რომელ უდები[7] იყო მცირედ, გარნა უცხოებისათჳს მაგისისა განუღეთ მაგას. და შემდგომად ამისა[8] დაიძინა[9] ადგილისამან მანცა. და მოვიდეს მისა[10] თჳსნი მისნი და ნათესავნი ყოველნი. და[11] იხილა ბერმან, რომელ არასადა იხილვებოდა ანგელოზი და[12] დაუკჳრდა და დავარდა პირსა ზედა თჳსსა[13] წინაშე ღმრთისა და თქუა: ვითარ, უფალო, რომელ უცხოჲ იგი უდები[14] იყო და ესევითარსა დიდებასა ღირს იქმნა და ესე მოსწრაფე ვერცა ერთსა ესევითარსა მიემთხჳა. და მოვიდა მისა ჴმაჲ, რომელი ეტყოდა, ვითარმედ: მოსწრაფესა ამას ოდეს ეგულვა სიკუდილი, განახუნა თუალნი თჳსნი და იხილნა ერნი და ნათესავნი თჳსნი მოტირალად[15] მას ზედა, ნუგეშინის-ეცა სულსა მისსა. ხოლო უცხოჲ იგი /410/ დაღაცათუ უდები იყო, გარნა არცა ერთი ვინ იხილა თჳსთაგან[16] მისთა და სულთ-ითქუნა და აღტირდა წინაშე ღმრთისა და ღმერთმან ნუგეშინის-სცა მას ესერა.

15. მოგჳთხრა ჩუენ მამათაგანმან ვინმე, ვითარმედ იყო ვინმე განშორებული უდაბნოსა მას ნილოპოლისასა[17] და ჰმსახურებდა მას ერისკაცი ვინმე ღმრთისმოშიში. ხოლო იყო[18] ქალაქსა მას შინა კაცი ვინმე მდიდარი და უღმრთოჲ. და შეემთხჳა მას სიკუდილი და წარმგზავნეს[19]

---

[1] მოვიდა C. [2] მისა] მისსა C. [3] მოსწრაფჱ] მოსწრაფე C. [4] აქედან D ნუსხა ისევ გრძელდება. [5] ვიდრემდე] ვიდრემდის CD. [6] ზეგარდამო] ზეგარდამოჲ C. [7] უდებ C. [8] ამისა] ამისსა CD. [9] დაიძინა] დაჲძინა A. [10] მისა] მისსა D. [11] და იხილა... ამ სიტყვებიდან ვდრემე – 15 თხრობის პირელ აბზაცამდე D ნუსხას გამოტოებული აქვს. [12] და – C. [13] თჳსსა – C. [14] უდები] უდებ C. [15] მოტირალად] მტირალად C. [16] თჳსთაგან] თჳსთაგანი C. [17] ნილოპოლისასა] ნილოპოლისსა C. [18] იყო + ვინმე C. [19] წარმგზავნეს] წარგზავნეს C.

სრულმან ქალაქმან და ეპისკოპოსმან[1] კერეონებითა და საკუმეველითა. და განვიდა მსახური იგი განშორებულისაჲ მირთუმად ბერისა პურსა. და პოვა იგი შეჭმულად აფთრისაგან. და დავარდა პირსა ზედა თჳსსა წინაშე ღმრთისა კაცი იგი და თქუა: არა აღვდგე, უფალო, აქაჲთ, ვიდრემდის გულსავსე-მყო მე, თუ რაჲ არს ესე, რამეთუ ესევითარსა მას უღმრთოსა ესევითარი დიდებაჲ მიხუდა და ესე, რომელი გმსახურებდა შენ დღე და ღამე, ესრეთ მოკუდა. და მოვიდა[2] ანგელოზი უფლისაჲ და ჰრქუა მას: უღმრთოსა აქუნდა რაჲმე მცირჱ[3] კეთილი და მიიღო იგი აქა, რაჲთა მუნ არცა ერთი რაჲ ლხინებაჲ პოოს. ხოლო განშორებული ესე, ვინაჲთგან კაცი იყო შემკობილი[4] ყოვლითა სათნოებითა[5], ნუუკუე აქუნდა რაჲმე მასცა, ვითარცა კაცსა მცირე რაჲმე ვნებაჲ და მიიღო იგი აქავე, რაჲთა მუნ იპოოს წმიდად ყოვლითურთ წინაშე ღმრთისა. და გულსავსე იქმნა კაცი იგი ამას ზედა. და[6] წარვიდა და ადიდებდა ღმერთსა და[7] საკჳრველ-ჰყოფდა განკითხვათა მისთა.

16. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე, ვითარმედ ეგედრა ღმერთსა, რაჲთა იხილნეს ეშმაკნი. და გამოეცხადა მას, ვითარმედ: არა გიჴმს ხილვაჲ მათი[8]. ხოლო ბერი ევედრებოდა ღმერთსა და ეტყოდა: უფალო, ძალ-გიც, რაჲთა დამიცვა მე მადლითა შენითა. /410v/ ხოლო[9] ღმერთმან[10] განუხუნა თუალნი მისნი და იხილნა იგინი, რამეთუ გარემოაკრბიან კაცსა, ვითარცა ფუტკარნი და იღრჭენდიან მას ზედა კბილთა მათთა, ხოლო ანგელოზი უფლისაჲ შეჰრისხავნ მათ.

17. ძმაჲ ვინმე აღიძრა რისხვად[11] ვისთჳსმე. და მეყსეულად დადგა ლოცვად და ითხოვდა სულგრძელებასა ძმასა ზედა და რაჲთა თანაწარჰჴადოს უვნებელად განსაცდელი იგი. და მყის იხილა, ვითარცა კუამლი გამოვავალი პირისაგან თჳსისა ძალი იგი საეშმაკოჲ.

18. ბერმან თქუა წმიდისა ვისთჳსმე კაცისა, ვითარმედ არავისგან ესწავლა ყოლად წერილი, არცა ფსალმუნი, არცა ლოცვანი საიდუმლოჲსანი[12]. რამეთუ იყო იგი ღირსქმნულ პატივსა მღდელობისასა[13] დიდისათჳს სიყუარულისა მისისა ღმრთისა მიმართ. და ვითარცა ყოველივე ესწავლა, ესრეთ იცოდა და რამეთუ იყოცა იგი შემკულ[14] ყოვლითავე სათნოებითა და[15] კურნებათა აღასრულებდა დიდ-დიდთა. ხოლო აქუნდა მას ესეცა სათნოებაჲ დიდი, რომელ სამეოცსა მას[16] წელსა მოღუაწებისა მისისასა არაოდეს იხილა ყოლად დედაკაცი, არცა თმაჲ თავისა მისისაჲ მოიპარსა. ხოლო ჟამსა აღსრულებისა თჳსისა[17] ცნა სიკუდილი თჳსი უწინარეს სამისა დღისა და მოხადა მოწაფეთა

---

[1] ეპისკოპოსმან] ებისკოპოსმან C. [2] მოვიდა + მის D. [3] მცირჱ] მცირე CD. [4] შემკობილი] შემკული C. [5] სათნოებითა] კეთილითა C. [6] და – C. [7] და საკჳრველ-ჰყოფდა განკითხვათა მისთა – C. [8] მათი] მისი C. [9] აქედან C ნუსხის [5] ფურცელი თავ-ბოლ დაზიანეულია. [10] ღმერთმან] უფალმან C. [11] რისხვად] ძჳრისზრახვად D. [12] საიდუმლოჲსანი] საჲდუმლოჲსანი A. [13] მღდელობისასა] მღდელობისსა C. [14] შემკულ] შემკობილ D. [15] და – C. [16] მას] ამას C. [17] თჳსისა] მისისასა C.

თჳსთა და მიუთხრა მათ, და შემდგომად სამისა დღისა აღესრულა და ძილი იგი მართალთაჲ უფლისა მიერ დაიძინა[1].

19. მონაზონი ვინმე იყო, რომელი ყოლად არა შურებოდა, არამედ სამარადისოდ ილოცავნ და რაჲ მწუხრ შევალნ იგი სენაკად თჳსად და პოვის პური ჰამოჲცა და ლბილი და ჭამნ მას და ჰმადლობნ ღმერთსა. მივიდა ვინმე მისა[2] სხუაჲ ძმაჲ და აქუნდა მის თანა ბაიაჲ[3] და დაარწმუნა ბერსა რაჲთა შურებოდის ბაიასა[4] მას[5], ხოლო მო-რაჲ-იწია მწუხრი, /411/ შევიდა ჩუეულებისაებრ ჭამად[6] და არარაჲ პოვა მუნ და დაიძინა[7] შეწუხებულმან, ვინაჲცა გამოეცხადა მას ესრეთ, ვითარმედ: ოდეს ჩემთჳს მოცალე იყავ, მე გზრდიდი შენ, ხოლო აწ ოდეს საქმედ გიწყიეს, ჴელთსაქმრისა შენისაგან ძიება-ყავ გამოზრდაჲ შენი.

20. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: სახელი არს, რომელი აცხოვნებს, ანუ საქმჱ? ჰრქუა მას ბერმან: ვიცი მე ძმაჲ, რომელი ილოცვიდა ოდესმე და შემოუჴდეს მას გულისსიტყუანი ესევითარნი: უფალო, მნებავს, რაჲთამცა ვიხილე სული ცოდვილისა და მართლისაჲ თუ ვითარ განეშორების ჴორცთაგან. ხოლო წყალობააურაცხელმან ღმერთმან არა ინება შეწუხებაჲ მისი, არცა ჴუებაჲ მისი გულისთქუმისაგან და წადილისა მისისა, არამედ ჯდა რაჲ იგი სენაკსა შინა თჳსსა, შევიდა მისა მგელი და უპყრა სამოსელსა მისსა პირითა მისითა და გამოზიდვიდა[8] მას გარე. აღდგა უკუე იგი და შეუდგა მას, ვიდრემდის მიიყვანა იგი ერთსა ქალაქთაგანსა და დაუტევა იგი მუნ და თჳთ განეშორა. და დაჯდა იგი გარეშე ქალაქისა მის, სადა-იგი იყო მონასტერი, რომელსა შინა მკჳდრ იყო ვინმე მონაზონი დიდად სახელოვანი და ფრიად განთქუმული დაყუდებული, რომელი-იგი იყო სნეულ და მოელოდა ჟამსა სიკუდილისასა. და იხილა ძმამან მან[9] ფრიადი განმზადებულებაჲ კერეონებისა და ლამპრებისაჲ და თჳთოსახეობაჲ[10] კანდელთაჲ. ხოლო ყოველი იგი ქალაქი ტიროდა მისთჳს და იგლოვდა და იტყოდეს ერთბამად, ვითარმედ: პურსაცა და წყალსა ამისითა ლოცვითა მოგუცემდა ჩუენ ღმერთი და ერთობით[11] ქალაქსა სრულსა ამისთჳს სცვიდა ღმერთი და უკუეთუ რაჲცა /411v/ შეემთხუევის ამას, სრულიად წარწყმდების ქალაქი ჩუენი.

და ვითარცა მოიწია ჟამი ჭირისაჲ, ხედვიდა ძმაჲ იგი, რამეთუ განელო ტარტაროზი ჯოჯოხეთისაჲ. და აჰა ესერა, მოიწინეს ლახუროსანნი ცეცხლისანი, რომელთა სამპირები ლახურები აქუნდა ცეცხლისაჲ და ჴმაჲ ისმა ესევითარი, ვითარმედ: ვითარცა არაოდეს განმისუენა[12] სულმან მაგან ერთ ჟამცა, ნუცა შენ მაგას შეიწყალებ[13], არამედ სასტიკებით აღმოსწუადე

---

[1] დაჲძინა] დაჲძინა A. [2] მისა – D. [3] ბაიაჲ] ბაჲაჲ A. [4] ბაიაჲ] ბაჲასა A. [5] მას – D. [6] ჭამად – C. [7] დაჲძინ] დაიძინა A. [8] გამოზიდვიდა] გამოჰზიდვიდა CD. [9] მან – D. [10] თჳთოსახეობაჲ] თითოსახეობაჲ C. [11] ერთობით] ყოველსა D. [12] განმისუენა + მე D. [13] შეიწყალებ] შეიწყნარებ C.

სული მაგისი და[1] რამეთუ არღარაოდეს[2] განისუენოს ყოველთა მათ საუკუნეთა.

შთაყო უკუე სამპირი იგი[3] ლახუარი ცეცხლისაჲ გულსა მისსა ანგელოზმან მან უწყალომან, რომელი მუნ მდგომარჱ[4] იყო, მრავალჟამ ტანჯა იგი და[5] მერმე[6] აღმოსწუადა სასტიკებითა საშინელითა სული იგი[7] უბადრუკი.

შემდგომად ამისა შევიდა ძმაჲ იგი ქალაქად და დაჯდა და ტიროდა განცჯბრებული საქმისა მისგან[8]. და აჰა ესერა, იხილა კუალად[9] სხუაჲ სახილავი, რამეთუ ძმაჲ ვინმე უცხოჲ მდებარე იყო უბანთა[10] ზედა სნეული და არცა ერთი ვინ აქუნდა მოღუაწედ მისა. და დაადგრა მას თანა ძმაჲ იგი დღე ერთ. და ჟამსა მიცვალებისა მისისასა იხილნა ძმამან მან[11] მიქელ და გაბრიელ ერისმთავრნი ძალთა მათ ზეცისათანი, რამეთუ მოვიდეს განყვანებად სულისა მისისა. და დაუსხდეს იგინი ერთი მარჯუენით მისა და ერთი მარცხენით[12]. დადგეს და ევედრებოდეს სულსა მას და ეძიებდეს წარყვანებასა[13] მისსა. ხოლო მას არა ენება წუთღა დატეობაჲ[14] ჴორცთაჲ. ჰრქუა მიქაელ მთავარანგელოზმან გაბრიელს მთავარანგელოზსა: აღმოსწუადე სული ეგე და წარვიდეთ. ჰრქუა მას გაბრიელ მთავარანგელოზმან: ბრძანებულ ვართ მეუფისაგან ჩუენისა, რაჲთა უტკივარად /412/ განვიყვანოთ ეგე და აწ ვერ ძალ-გჯც იძულებად[15] მაგისა. მაშინ ღაღატ-ყო მიქაელ უფლისა მიმართ[16] ძალთაჲსა ჴმითა დიდითა: უფალო, რაჲ ჰბრძანო სულისა ამისთჯს, რამეთუ არა ჰნებავს გამოსლვის. და მოიწია მისა[17] ჴმაჲ, რომელი ეტყოდა: აჰა ესერა, მე მოვავლინო დავით ქნარითა და მის თანა ყოველნი მგალობელნი, რაჲთა განაწყონ რაჲ მათ ხოროჲ გალობისაჲ, ესმას სიჰამჱ[18] ჴმატკბილობისაჲ მის და გამოვიდეს სიხარულით და ესრეთ ყოვლითა პატივითა მოიყვანეთ ეგე ჩემდა და ნუცა ერთსა[19] რას იძულებასა შეამთუხუევთ. და მეყსა შინა გარდამოჴდა დავით და მის თანა ყოველნი მგალობელნი და გარემოადგეს მას და იწყეს ქებად ღმრთისა[20] და გალობად ჴმითა საწადელითა, რომლისა სიჰამოვნისაგან და[21] სიტკბოებისა გამოჰკრთა სული იგი და შევარდა სიხარულით ჴელთა მიქაელისათა. და ესრეთ დიდებითა მით გამოუთქუმელითა და ქებითა საკჯრველითა აღიყვანეს ზეცად სული იგი სანატრელი, რომელსა ქუეყანით ვიდრე ცადმდე მოეგებვოდის დასნი და დასნი ბანაკნი ანგელოზთანი და ესევითარითა პატივითა აღიყვანეს წინაშე მეუფისა.

21. მანვე თქუა ესეცა სხჯსა ვისთჯსმე ბერისა, ვითარმედ: წარვიდა იგი ოდესმე ქალაქად განსყიდად ჴელთსაქმრისა. და მოიცალა რაჲ, დაჯდა

---

[1] და – C. [2] არღარაოდეს] არღარა D. [3] იგი – C. [4] მდგომარჱ] მდგომარე CD. [5] და – D. [6] მერმე] მერმეღა C. [7] იგი – D. [8] მისგან + და ხილვისა D. [9] ~ სხუაჲ სახილავი კუალად C. [10] უბანთა] უბანსა C. [11] მან – D. [12] მარცხენით] მარცხენითაC. [13] წარყვანებად C. [14] დატეობაჲ] დატევებაჲ CD. [15] იძულებად] ჲძულებად A. [16] მიმართ + ღმრთისა D. [17] მისა] მისსა D, [18] სიჰამჱ] სიჰამე D. [19] ~ რას ერთსა D. [20] ღმრთისა] მისა D. [21] და სიტკბოებისა – D

ბჭეთა ზედა მდიდრისა ვისთანამე, რომელსა ეგულებოდა მოსიკუდიდ. და ვითარცა ჯდა[1] იგი მუნ, მიხედნა და აჰა ესერა, მოვიდოდეს ცხენნი შავნი და ზედამსხდომელნი[2] მათნი შავნი და საშინელნი სასტიკად, რომელთა აქუნდა ჴელთა მათთა ჰორლები ცეცხლისაჲ. და ვითარცა მიიწინეს იგინი კარად, დაყარნეს ცხენნი მათნი გარე /412v/ და[3] დააბნეს. და შევიდეს იგინი შინა. და ვითარცა იხილნა იგინი სნეულმან მან, ჴმა-ყო ჴმითა დიდითა და თქუა: უფალო, შემიწყალე მე და შემწე მეყავ. ჰრქუეს მას მოვლინებულთა მათ: აწ ოდეს დაჰჴდა მზე, მოხუედა მოჴსენებად ღმრთისა?! რაჲსათჳს ვიდრე იყოღა დღჱ[4] არა ძიება-ჰყავ მისთჳს? აწ არღარა არს შენდა სასოებაჲ ცხორებისაჲ, არცაღა ნუგეშინისცემაჲ! და ესრეთ აღმოსწუადეს სული იგი საწყალობელი და წარვიდეს.

22. ბერმან თქუა, ვითარმედ: გუესმა ჩუენ წმიდათა ვიეთგანმე, რომელთა ქრისტე აქუნდა მეტყუელად თავთა შორის მათთა და იტყოდეს, ვითარმედ: ოთხთა ვიეთმე წმიდათა მღდელთა[5] ყვეს შეთქმულებაჲ ურთიერთარს, რაჲთა ერთსულ და ერთგონებაჲ და ერთცხორებაჲ[6] იყვნენ სოფელსა ამას შინა და საწუთროსა და რაჲთა კუალად ცათაცა[7] შინა ერთად[8] იპოვნენ ბრძანებისაებრ საუფლოჲსა, რომელი იტყჳს: უკუეთუ ორნი თქუენგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა ყოვლისავეთჳს საქმისა, რომელიცა ითხოონ, ეყოს მათ მამისა მიერ ჩემისა ზეცათაჲსა, რომელთაცა გულითა ირწმუნეს განჩინებაჲ იგი სამეუფოჲ. და რამეთუ სამნი იგი დასხდეს უდაბნოს დაყუდებით, ხოლო ერთი იგი ჰმსახურებდა საჴმარსა მათსა. დაყვეს რაჲ ესრეთ რაოდენიმე[9] ჟამი, ორნი იგი აღესრულნეს ქრისტეს მიერ და განვიდეს სოფლით და წარყვანებულ იქმნნეს ერთსა ადგილსა განსუენებისასა. ხოლო ორნი იგი დაშთეს ქუეყანასა ზედა, ერთად მსახური იგი და ერთად დაყუდებით მყოფი იგი. ხოლო შურითა უკეთურისა ეშმაკისაჲთა შეუბრკუმა მსახურსა მას და დაეცა იგი[10] სიძვითა და /413/ გა/მოეცხადა წმიდათაგანსა ვისმე ბერსა სულითა მხილველსა, რამეთუ ორნი იგი აღსრულებულნი ევედრებოდეს ღმერთსა მსახურისა მისთჳს[11] და ეტყოდეს: ბრძანე ძმისაჲ მის შეჭმად ლომისაგან, ანუ[12] სხჳსა რაჲსმე მჴეცისაგან, რაჲთა განწმდეს მუნვე ცოდვისაგან და მოვიდეს ადგილსავე ამას, სადა-ესე ჩუენ ვართ და არა განცრუვნეს შეთქმულებაჲ ჩუენი. და ვითარცა უკუმოიქცა ძმაჲ იგი სამსახურისა მისგან, რომელსაცა[13] წარსულ იყო და მოვიდოდა დაყუდებულისა მის, შეემთხჳა მას ლომი და ენება მოკლვაჲ მისი. ხოლო ცნა დაყუდებულმან მანცა საქმე იგი, რამეთუ[14] გამოეცხადა მას და დადგა ლოცვად და ევედრებოდა ღმერთსა ძმისა მისთჳს და მეყსეულად დადგა ლომი

---

[1] ჯდა] დაჯდა C. [2] ზედამსხდომელნი] ზედამსხდომარენი D. [3] და დააბნეს – D. [4] დღჱ] დღე CD. [5] მღდელთა] მღდელთაჲ C. [6] ერთცხორებაჲ] ერთცხორება D. [7] ცათა-ცა] ცათა D. [8] ერთად – C. [9] რაოდენიმე] რავდენიმე D. [10] იგი – C. [11] მისთჳს] მის თჳსა D. [12] ანუ სხჳსა რაჲსმე მჴეცისაგან – D. [13] რომელსა C. 14 რამეთუ – C.

იგი. და რამეთუ[1] ორნი იგი[2] აღსრულებულნი ბერნი ევედრებოდეს ღმერთსა და ეტყოდეს: გევედრებით შენ, მეუფეო, შეუნდვე ძმასა მას[3] შეჭმად, რაჲთა მოვიდეს ჩუენ თანა ნეტარებასა ამას და ნუ ისმენ მისსა, წმიდაო, რომელი გევედრების შენ ქუეყანასა ზედა. კუალად ბერი იგი წყუდეული სენაკსა შინა თჳსსა ევედრებოდა ღმერთსა ცრემლითა მჴურვალითა, რაჲთა შეიწყალოს ძმაჲ იგი და იჴსნას ლომისაგან. და შეისმინა ღმერთმან ტირილი და ჴმობაჲ ბერისაჲ და უბრძანა ცათა შინა მყოფთა მათ მამათა და ჰრქუა, ვითარმედ: სამართალ არს სმენად ქუეყანასა ზედა მყოფისა[4] მის, რამეთუ თქუენ აქა განსუენებასა შინა ხართ და თავისუფალქმნილ ხართ ჭირთაგან და ოფლთა საწუთროჲსათა. ხოლო იგი ღუწოლასა[5] შინა არს და სიმაშურალესა ჴორცთასა და ბრძოლასა შინა და წყობასა სულთა უკუთურთასა. /413v/ სამართლად არს უკუე მისა[6] მინიჭებად მადლსა ამას, ვიდრეღა თქუენდა. და მეყსეულად განეშორა ლომი იგი ძმისა მისგან და მოვიდა სენაკად თჳსა[7] და პოვა ბერი მისთჳს მოტირალად[8] და მიუთხრა მას ყოველივე, რაჲცა-იგი შეემთხჳა. და აღუვარა მას ცოდვაჲ იგი და ცნა, რამეთუ ჰრიდა მას ღმერთმან და შეინანა გულსმოდგინედ. და მცირეთა შინა დღეთა მოვიდა პირველსავე[9] საზომსა თჳსსა. აღესრულნეს უკუე ორნივე იგი ერთბამად და დაიძინეს[10] ქრისტეს მიერ და გამოეცხადა პირველთქუმულსა მას წმიდასა სულითა მხედველსა[11], ვითარმედ ორნივე იგი ერთსა ადგილსა მივიდეს უტყუველისა მებრ[12] აღთქუმისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა.

23. სხუაჲ[13] კუალად ძმაჲ ვალნ მოციქულად დიდისა კრებულთა მონასტრისათჳს ქალაქთა შინა და სოფელთა მთავართა თანა და მდიდართა საქმისათჳს და საურავისა მონასტრისა. ხოლო იყო რაჲ იგი ამას შინა და მიმოვიდოდა მონასტრისათჳს[14], შეემთხჳა მას შთავრდომაჲ მწჳრესა მას შინა უძღებებისასა, რომელსაცა ზედა მოკუდა. და იქმნა პირი მისი შავ ყოვლითურთ, ვითარცა ფსკერი ტაფისაჲ. ხოლო მამაჲ მის მონასტრისაჲ იყო საღმრთო და სულიერ. და ვითარცა იხილა ქმნული[15] იგი, შემოკრიბა[16] ყოველი ძმობაჲ და ჰრქუა მათ: ძმაჲ ესე განვიდა სოფლით[17] და თჳთ იცით, რომელ თქუენისა განსუენებისათჳს და მყუდროებით სხდომისა ყოვლითა გულითა ვიდოდა და შურებოდა მოციქულებათა შინა და შეუბრკუმა მას ვითარცა კაცთა უკეთურისაგან ეშმაკისა. და ვინაჲთგან ჩუენითა მიზეზითა შევარდა ცოდვასა, მოვედით[19] და დავშურეთ ჩუენცა გულსმოდგინედ ლოცვითა[20] მისთჳს და ვევედრნეთ კაცთმოყუარესა ღმერთსა, რომლისა

---

[1] რამეთუ – C. [2] იგი – D. [3] მას] ამას C. [4] მყოფისა] მყოფისაჲ C. [5] ღუწოლა-სა] ღუაწლსა C. [6] მისა] მისსა D. [7] თჳსადC] მისსა D. [8] მოტირალად] მტირალად D. [9] პირველსავე + მას C. [10] დაიძინეს] დაჲძინეს AD. [11] მხედველსა] მხილველსა D. [12] მებრ] მისებრ D. [13] ~ კუალად სხუაჲ D . [14] მონასტრისათჳს – D. [15] ქმნული] ქმნილიCD. [16] შემოკრიბა + და დაეცა D. [17] სოფლით] სოფლად C. [19] მოვედით – C. [20] ლოცვითა] ლოცვად C.

წყალობანი[1] არიან ყოველთა ზედა საქმეთა მისთა[2]. /414/ იწყეს უკუე ერთბამად[3] ყოველთავე ტირილად მისთჳს და მარხვითა და ლოცვითა მიმდემითა ევედრებოდეს ღმერთსა შეწყალებად მისა[4]. დაყვეს სამ დღე და სამ ღამე ყოლად უჭმელად ყოველთა, ვიდრეღა არცა ერთმან ვინ მათგანმან იხილა[5] ყოლად გემოჲ საზრდელისაჲ, არამედ ტიროდეს ოდენ და გოდებდეს[6] წარწყმედისათჳს ძმისა მის. და მიეცა განკჳრვებასა მამაჲ მონასტრისაჲ და იხილა მაცხოვარი ლმობიერქმნულად[7] შრომასა ზედა და ჭირსა ძმათასა, ხოლო ეშმაკი, რამეთუ შეასმენდა მას და იტყოდა: მეუფეო, ჩემი არს ესე, გევედრები შენ, ჩუენი არს ესე, რამეთუ ჩუენ თანაშემწე-ვეყვენით[8] მაგას ცოდვისათჳს. მართლმსაჯული ხარ, უფალო, და სამართლად განბჭე[9]! ჰრქუა მას მაცხოვარმან: მართლმსაჯულ ვარ ჭეშმარიტად, გარნა მოწყალეცა და ოხჭანი სიმართლისა ჩემისაჲ არს მოწყალებაჲ და კაცთმოყუარებაჲ ჩემი. ხოლო ვინაჲთგან მოწყალე ვარ და კაცთმოყუარე, სამართალ არს არა უგულებელსყოფად ესოდენთა კაცთა წმიდათა ვედრებასა და ცრემლთა, სულთა მისთჳს ჩემდა[10] შესწირვენ. და ესეღა რომელი-იგი მათთჳს დაეცა ცოდვითა მისთჳს მვედრებელთასა და რამეთუ ძალ-ედვა მასცა, ვითარცა სხუათა ყოველთა დაყუდებად მონასტერსა შინა და მოუწყლველადმცა დარჩომილ იყო იგიცა[11] ისართაგან[12] შენთა[13]. არამედ მიზეზითა ძმათა მოციქულებისაჲთა[14], ვითარცა კაცსა შეუბრკუმა, ანუ არა ხედავა თუ ვითარ ყოველთავე თავნი სიკუდილად მისცნეს მისთჳს და ერთისა მისთჳს აღირჩიეს მათცა სიკუდილი. და უკუეთუ გნებავს, დაარწმუნე მათ რაჲთა დასცხრენ ვედრებისაგან ჩუენისა და წარიყვანე ეგე. უკუეთუ კულა ესოდენთა /414v/ სულთა თავნი სიკუდილად მიუცემიან და ესერა სამ დღე და სამ ღამჱ[15] სიყმილითა განკაფულ არიან და მგლოვარენი და მტირალნი მისთჳს მევედრებიან, ვითარ ეგების არა სმენად ჴმასა მვედრებელთა ჩემთასა, რომელთა ესოდენ დაუმდებლებიან თავნი და ძაძაჲ შთაუცუამს და ნაცარი დაუსხამს თავთა ზედა მათთა და ესოდენითა ლმობიერებითა მევედრების ესოდენი სიმრავლჱ[16] და ესეღა მისთჳს, რომელსა შემთხუვით შეემთხჳა ცოდვაჲ და არა წურთით ეწუართა[17], არცა მისთჳს წარსრულ იყო. არა უკუე სამართალ არსა მინიჭებად თხოვასა მათსა?! რამეთუ უკუეთუ მეფენი ქუეყანისანი იქმან ამას და უკუეთუ შეუვრდეს ქალაქი სრული დასჯილისა[18] ვისთჳსმე და სიკუდილად მიმავალისა გარექცეულ-ჰყოფს განჩინებასა მას სამეუფოსა და აღმოუწოდებს მას კუალად და ჴელთაგან

---

[1] წყალობანი + აურაცხელ CD. [2] მისთა] მათთა C. [3] ~ ყოველთავე ერთბამად D. [4] მისა + და C. [5] იხილა – D. [6] გოდებდეს] გოდებდენ D. [7] ლმობიერქმნილად CD. [8] თანაშემწე-ვეყვენით] თანაშემწე ვექმენით C. [9] განბჭე] გაბჭე D. [10] ჩემდა – D. [11] იგიცა] იგი C. [12] ისართაგან შენთა] ისართა შენთაგან C. [13] აქ C ნუსხა წყდება. [14] მოციქულობისაჲთა D. [15] ღამე D. [16] სიმრავლჱ] სიმრავლე D. [17] ეწუართა + და D. [18] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 131r-ზე.

მტარვალთაჲსა გამოიტაცებს მოკუდავსა მას, რაოდენ უფროჲსღა მე, რომელი მეუფჱ[1] ვარ საუკუნოჲ და ნანდჳლვე მართალი და კაცთმოყუარჱ[2], მივანიჭო მჴედართა ჩემთა ერისათჳს სათხოელი[3] და ვედრებაჲ იგი მათი ჩემდამო შეწირული შევისმინო! ესე რაჲ ბრძანა უფალმან, ჰკდემა ეშმაკსა და ივლტოდა სირცხჳლეული. და ვითარცა უკუმოიქცა განკჳრვებისა მისგან მამაჲ იგი მონასტრისაჲ, მიუთხრა ყოველთავე ძმათა ხილვაჲ იგი და განიხარეს მათ ყოველთა სიხარულითა დიდითა ფრიად. და იწყო პირმან მანცა ძმისამან განწმედად მცირედ-მცირედ სიშავისა მისგან, ვიდრემდის სრულიად განათლდა იგი. და გულსავსჱ[4] იქმნნეს იგი ყოველნი, ვიდრემდის დააწესა ღმერთმან სული ძმისაჲ მის ნაწილსა თანა ცხოვნებულთასა, ვინაჲცა გამოიხუნეს მაშინღა ჴორცნი მისნი და დაჰმარხნეს იგინი /415/ სამარხოსა[5] ძმათასა კეთილად, რამეთუ რომელსა-იგი[6] მიუტევა[7] ვინღა იყოს კაცთაგანი საეჭუსა შინა! და ადიდებდეს ღმერთსა და იხარებდეს მაცხოვარებასა მას ზედა საკჳრველსა ძმისასა, რომელსა ზედა დამტკიცდა ჭეშმარიტებით, ვითარმედ ახს უფალი ყოველთა, რომელნი ხადიან მას[8] ჭეშმარიტებით.

24. გჳთხრა ვინმე ჩუენ ესე ბერმან ეპისკოპოსისა ვისთჳსმე, რაჲთა ამიერცა მივიღოთ სასოებაჲ კეთილი და ცხორებისათჳს ვიღუაწოთ თავთა და სულთა ჩუენთაჲსა. უთხრეს ვიეთმე ეპისკოპოსსა ჩუენსა, ვითარცა თჳთ იტყოდა იგი, ორთათჳს ვიეთმე დედათა ერისკაცთა თავისუფალთა და[9] მორწმუნეთა, გარნა არაწმიდად მქცევარეთა, ვითარმედ ცოდვათა შინა არიან იგინი. აზმნო უკუე ეპისკოპოსმან, ესმა რაჲ ესე სხუათათჳსცა ეგევითარივე საქმჱ[10], რომლისათჳს[11] დავარდა[12] ვედრებად ღმრთისა და მიერ[13] ითხოვდა ღირსყოფად ცნობასა[14] ჭეშმარიტსა, რომელსაცა მიემთხჳა, რამეთუ შემდგომად საშინელისა მისდა წმიდისა მსხუერპლისა შეწირვისა, ყოველთავე რომელნიცა მოვიდოდიან ზიარებად წმიდათა მათ საიდუმლოთა[15], ხედვიდა მათთა ხატისა მიერ პირისა, რომლითაცა ვინ არნ ცოდვითა ძლეულ. და რამეთუ პირებსა ცოდვილთასა ხედვიდა იგი დაშავებულად, რომელთამე პირსა დამწუარად, ვითარცა სიცხისაგან, კუალად სხუათა თუალებსა ხედვიდა მოწითანედ[16] და სისხლისფერად, სხუათა ხედვიდა ბრწყინვალედ[17] პირითა და სპეტაკად სამოსლითა და რომელთამე ხედვიდა ვითარცა ეზიარნიან ჴორცსა მას და სისხლსა უფლისასა, რამეთუ შეიწუნიან იგინი, სხუანი კუალად, ვითარცა ნათელნი შეიქმნიან და შე-რაჲ-ვიდის პირთა მათთა მარგალიტი იგი წმიდაჲ, ყოლად

---

[1] მეუფჱ] მეუფე DE. [2] კაცთმოყუარჱ] კაცთმოყუარე D. [3] სათხოელი] სათხოველისა DE. [4] გულსავსჱ] გულსავსე DE. [5] სამარხოსა ძმათასა] სამარხვოსა მამათასაD. [6] რომელსა D. [7] მიუტევნა E. [8] ~ ხადიან მას D. [9] და] გარნა E. [10] საქმჱ] საქმე D. [11] რომლისათჳს] რომლისათჳსცა E. [12] დავარდა] იწყო E. [13] მიერ – D. [14] ცნობასა] ცნობად D. [15] საიდუმლოთა] საჲდუმლოთა A. [16] ~ სისხლისფერად და მოწითანედ D. [17] ~ პირითა ბრწყინვალედ D.

ელვარედ შეიცვალნიან. /415v/ ხოლო იყვნეს, რომელთა შეემთხუეოდა[1] ესე მონაზონნიცა და ერისკაცნი. შემდგომად ამისა ინება დედათაცა მანვე თავადმან ზიარებად, რაჲთა ცნას მათთჳსცა თუ ვითარნი არიან იგიცა სულითა. და იხილა მათ ზედაცა ეგევითარივე მსგავსი სახილავი: პირები შავი და სისხლისფერი, კუალად მოწითანე. და სხუაჲ სპეტაკი, რომელთა თანა მოვიდეს ზიარებად ორნიცა იგი დედანი შესმენილნი ეპისკოპოსისა თანა, რომელთათჳს მოვიდა იგი უფროჲსღა ესევითარსა ხილვასა ლოცვად. და ვითარცა მოვიდეს იგინი ზიარებად წმიდათა საიდუმლოთა[2] ღმრთისათა, იხილნა იგინი ბრწყინვალედ პირითა და განათლებულ, სპეტაკ სამოსლითა და შუენიერ ხილვითა, რომელნი-იგი ეზიარნეს რაჲ ქრისტეს საიდუმლოთა[3], ყოლად ელვარე იქმნეს სულით[4] და პორციით[5], რომელთათჳს განკჳრდა ეპისკოპოსი და ჩუეულებითსა მას შეუდგა ღმრთისა ვედრებასა, რაჲთა ღირს-ყოს იგი გამოცხადებად სახესა მასცა ხილვისასა, თუ ვითარ სხუად და სხუად იხილვებიან პირნი მისა[6] მიმავალთანი[7]. და აჰა ესერა, წარმოუდგა მას ანგელოზი უფლისაჲ და კითხვად უბრძანებდა[8] კაცად-კაცადისა საქმესა. ხოლო ეპისკოპოსმან პირველად ყოვლისა ორთა მათთჳს დედათა ჰკითხა, უკუეთუ ნანდჳლვე[9] ჭეშმარიტ არს პირველი იგი მათთჳს თქუმული შესმენაჲ. ჰრქუა მას ანგელოზმან მან[10] უფლისამან: ყოველივე, რაოდენიცა გასმიეს მათთჳს, ჭეშმარიტ არს და უტყუველ[11]. ჰრქუა ეპისკოპოსმან ანგელოზსა მას: და ვითარ ზიარებასა ზედა წმიდათა საიდუმლოთასა[12] ბრწყინვალედ იხილვებიან პირითა[13] და სპეტაკითა მოსილად სამოსლითა[14] და[15] ელვარებაჲ დგას მათ ზედა არამცირედი. /416/ ჰრქუა მას ანგელოზმან[16]: ამისთჳს, რამეთუ გრძნობად მოვიდეს და ცნობად, საქმეთა მათთა ბოროტთა და განეშორნეს ყოვლისაგან არაწმიდებისა და ცრემლთა მიერ და სულთქუმათა და მოწყალებისა და აღსაარებისა[17] განიწმიდნეს ცოდვანი მათნი და ღირს იქმნნეს დაგებასა ღმრთისასა და ყვეს აღთქუმაჲ მისა[18] მიმართ, რაჲთა არღარა შესძინონ წაღმართ[19], უკუეთუ ოდენ პირველქმნულთა ცოდვათა მიემთხჳნენ შენდობასა. და[20] ამისთჳს ღირს იქმნნეს წყალობასა ღმრთისასა და ბრალთაგან იქმნეს თავისუფალ. ხოლო ცხოვნდებიან იგინი ამიერითგან წმიდად და მართლად და ღმრთისმსახურებით. დაუკჳრდა უკუე ესე[21] ეპისკოპოსსა და ჰრქუა ანგელოზსა მას: არა შეცვალებაჲ მიკჳრს დედათაჲ

---

[1] შეემთხუეოდა] შეემთხუევოდა D. [2] საიდუმლოთა] საჲდუმლოთა A. [3] საიდუმლოთა] საჲდუმლოთა A. [4] სულით] სულითა D. [5] პორციით] პორციითა D. [6] მისა] მისსა D. [7] მიმავალთანი + რომელნი ეზიარნეს E. [8] აქედან C ნუსხა ისევ გრძელდება. [9] ნანდჳლვე] ნამდჳლვე C. [10] მან – C. [11] უტყუველ] უტყუელ C. [12] საიდუმლოთასა] საჲდუმლოთასა A. [13] პირითა და] პირნი მათნი C. [14] სამოსლითა] სამოსლითა – D. [15] E ნუსხაში ტექსტი გრძელდება 128r-ზე (აკინძვის შეცდომა). [16] ანგელოზმან + მან D. [17] აღსაარებისა] აღსარებისა D. [18] მისა] მისსა D. [19] წაღმართ + ხედვად E. [20] და – D. [21] ესე – C.

მათ ესოდენ, რამეთუ ესე მრავალთა შეემთხუა, რაოდენ ესე განცუბრებულ ვარ აურაცხელთათუს მოწყალებათა და კაცთმოყუარებათა ღმრთისათა, რომელმან[1] არა თუ ოდენ ტანჯვაჲ არა[2] მოაწია მათ ზედა, არამედ ესოდენთაცა[3] ღირს-ყვნა ნიჭთა[4] და მადლთა. ჰრქუა მას ანგელოზმან მან: გიკურს ეგე და სამართლად, რამეთუ კაცი ხარ, ხოლო მეუფჱ[5] იგი ჩუენი და თქუენი ბუნებით არს სახიერ და კაცთმოყუარჱ[6] და რომელნი დასცხრენ ცოდვათაგან მათთა და სინანულისა მიერ და აღსაარებისა შეუვრდენ[7] მას, არა თუ ოდენ არა[8] მისცემს სატანჯველად, არამედ რისხვასაცა დააცხრობს თუსსა და პატივთა ღირს-ჰყოფს და წყალობათა აურაცხელთა. და რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვიდრეცა ძეცა თუსი მხოლოდშობილი მისცა მისთუს სიკუდილად. აწ უკუე რომელმან მტერთათუს[9] სიკუდილი აღირჩია, არა უფროჲსღა შეიწყალნესა[10] ღირსქმნულნი[11] /416v/ იგი თუსებად მისა და რომელნი ინანდენ პირველთა ზედა ცოდვათა მათთა, არა დაჰჴსნნესა[12] პატიჟნი მათნი და ღირს-ყვნეს მიმთხუევად კეთილთა მათ მისთა, მართალთათუს განმზადებულთა?! ამას უკუე მეცნიერ იყავ და[13] იცოდე, რომელ არარაჲ კაცობრივთაგან ცოდვათა შეუძლებს ძლევად კაცთმოყუარებასა ღმრთისასა, ოდენ სინანულისა მიერ ისწრაფოს ვინ აჴოცად პირველქმნულთა[14] მათ ბოროტთა[15]. და რამეთუ კაცთმოყუარე არს ღმერთი და უწყის უძლურებაჲ ნათესავისა თქუენისაჲ და ვნებათა მძლავრებაჲ და ეშმაკისა[16] მანქანებაჲ. და ოდეს დაეცნეს კაცნი ცოდვითა, ვითარცა შვილთათუს, ელმის მათთუს და სულგრძელ არს მათ ზედა და მოელის მოქცევასა. ხოლო შეიცვალნენ რაჲ შეცვალებითა კეთილითა და შეუვრდებოდინ მოწყალებათა მისთა, ვითარცა შეუძლებელთა შეუნდობს და დაჴსნის მეყსეულად ტანჯვასა მათსა და მისცემს მათ და მიანიჭებს გამოუთქუმელთა მათ[17] კეთილთა მისთა. ჰრქუა ეპისკოპოსმან ანგელოზსა მას: განმიმარტე უკუე, გევედრები, და პირთაცა განყოფილებაჲ თუ რომელთა ცოდვათა ზედა გამოჩნდების თუთოეული[18], რაჲთა ვცნა მათთუსცა და ყოვლისაგანვე[19] ურვისა და უმეცრებისა[20] ვიყო თავისუფალ. და ანგელოზმან მან უფლისამან ჰრქუა მას: ბრწყინვალენი იგი პირითა და სპეტაკნი სამოსლითა არიან, რომელნი-იგი წმიდად და უბიწოდ და სიმართლით[21] ცხოვნდებიან და მშუდ არიან და წრფელ და მოწყალე. ხოლო რომელნი-იგი შავად იხილვებიან პირითა, სიძვათა შინა და ბილწებათა არიან

---

[1] რომელმან] რამეთუ E. [2] არა – C. [3] ესოდენთა D. [4] ~ მადლთა და ნიჭთა D. 5 მეუფჱ] მეუფე CD. [6] კაცთმოყუარჱ] კაცთმოყუარე D. [7] შეუვრდენ] შეურდენ C. [8] არა – D. [9] მტერთათუს] მტერთა თუსთა C. [10] შეიწყალნეს C. [11] ღირსქმნულნი] ღირსქმნილნი CD. [12] დაჰჴსნნესა] დაჰჴსნნეს C. [13] და იცოდე – D. [14] პირველქმნულთა] პირველქმნილთა D. [15] ბოროტთა] ცოდვათა CE. [16] ეშმაკისა + მიერი CE ; ეშმაკთა D. [17] მათ – D. [18] თუთოეული] თითოეული C. [19] ყოვლისაგანვე] ყოვლისავე C. [20] უმეცრებისა] უძლურებისა C. [21] სიმართლით] სამართლით C.

მყოფნი და სხუათა მათ უძღებებათა /417/ და გემოთა. ხოლო რომელნი-იგი ჰნახენ[1] მწითურ და სისხლისფერ, უკეთურებათა შინა და უსამართლობათა[2] იყოფვიან და არიან იგი[3] ქრთამისმოყუარჱ[4] და მგმობარ და მზაკუვარ და მესისხლე. მერმე კუალად ჰრქუა მას ანგელოზმან მან უფლისამან: შემწე ეყავ მათ, რაოდენ[5] ძალ-გიც, უკუეთუ ნანდჳლ[6] გსურის ცხორებაჲ მათი. და რამეთუ ამისთჳს მიემთხჳე აღსრულებასა ლოცვისასა და იხილე თუალითა და ისწავე ცოდვათათჳს შენდა დამოწაფებულთაჲსა, რაჲთა სწავლითა და შჯულდებითა[7] უმჯობესად შესცვალნე იგინი და[8] რაჲთა[9] სინანულისა მიერ და კეთილთა საქმეთა ძღუნად მიუპყრნე მათთჳს მომკუდარსა[10] მას და აღდგომილსა ქრისტეს იესუს[11], უფალსა[12] ჩუენსა და მაცხოვარსა. რაოდენიცა უკუე გაქუს ძალი[13] და მოსწრაფებაჲ და სიყუარული ქრისტეს მიმართ მეუფისა შენისა, სრულად საქმედ სათანადოდ[14] აღიღე მოქცევაჲ მათი ცოდვათაგან[15] ღმრთისა მიმართ და დააჯერე მათ თუ რომელთა ცოდვათაგან[16] იძლევიან. და დაარწმუნე მათ, რაჲთა არა უდებ იყვნენ თავთა თჳსთა ცხორებისათჳს და რამეთუ იქმნეს[17] ნანდჳლვე საქმჱ[18] ესე ორთავე ფრიად სარგებელ: მათ[19] შე-თუ-ინანონ და მოიქცენ ღმრთისა[20], მიიღონ ცხორებაჲ სულისაჲ და მერმეთა მათ კეთილთა მიემთხჳნენ[21], ხოლო შენ სასყიდელი დიდი დაგეუნჯოს და მსგავს მეუფისა შენისა გამოსჩნდე[22], რომელი-იგი მდიდარი ცათაგან ქუეყანად დადრკა და კაცთა შორის ქცევაჲ ჯერ-იჩინა ცხორებისათჳს სოფლისა.

ესე ყოველი რაჲ ჰრქუა ანგელოზმან ეპისკოპოსსა და თჳთოეულად[23] განუმარტა[24], თავადი უჩინო იქმნა. ხოლო ეპისკოპოსმან ყო ყოველივე ბრძანებისაებრ ანგელოზისა და ადიდებდა ღმერთსა.

25. /417v/ იტყოდეს ძმისა ვისთჳსმე, ვითარმედ დაჰრეკეს რაჲ ძელსა ლოცვისათჳს დღესა წმიდასა კჳრიაკესა, აღდგა ძმაჲ იგი ჩუეულებისაებრ წარსლვად ეკლესიად. და მოკიცხა იგი ეშმაკმან გულისსიტყუათა მიერ და ეტყოდა: სადა წარხუალ ანუ რაჲსათჳს, ამისთჳს წარხუალა ეკლესიად, რაჲთა სჭამო პური და ღჳნოჲ და თქუან კაცთა, ვითარმედ ჴორცი არს და სისხლი უფლისაჲ? ამისთჳს ნუ იბასრვი?! არა არს ესე ესრეთ. ერჩდა უკუე ძმაჲ იგი გულისსიტყუასა მას და არღარა წარვიდა წესისაებრ[25] ეკლესიად.

---

[1] ჰნახენ – D. [2] უსამართლობათა + შინა C. [3] იგი] იგინი C. [4] ქრთამისმოყუარე CDE. [5] რავდენC] რამეთუ E. [6] ნანდჳლ] ნამდჳლ C. [7] შჯულდებითა] შჯულისდებითა C. [8] და – C. [9] რაჲთა] რამთუ D. [10] მომკუდარსა მას – D. [11] იესუს – D. [12] ~ უფალსა ჩუენსა და მაცხოვარსა ქრისტეს იესუს CE. [13] ~ მოსწრაფებაჲ და ძალი C. [14] E ნუსხა-ში ტექსტი გრძელდება 124r-ზე (აკინძვის შეცდომა). [15] ცოდვათაგან] ცოდვისაგან D. [16] ცოდვათაგან] ცოდვასა შინა D. [17] აქ C ნუსხა წყდება. [18] საქმჱ] საქმე D. [19] მათ] მათდა E. [20] ღმრთისა + დაD. [21] ~ მიემთხჳნენ მერმეთა მათ კეთილთა E. [22] გამოსჩნდე] გამოშჩნდე E. [23] თჳთოეულად] თითოეულად E. [24] განუმარტა] განუცხადა E. [25] წესისაებრ – D.

ხოლო ძმანი იგი ყოველნი მოელოდეს ძმასა მას. და რამეთუ ესრეთ იყო წესი დღესასწაულთა საუფლოთა და კჳრაობათა[1], არა თუ შეკრბიან ყოველნივე ძმანი, არა იწყიან ლოცვად. მოელოდეს რაჲ მას უმეტეს ჟამისა და არა მივიდა, აღდგეს იგინი და მივიდეს მისსა, რამეთუ თქუეს: ნუუკუე სნეულ არს იგი ანუ თუ მოკუდა. და ვითარცა მიიწინეს სენაკად ძმისა, ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: რაჲსათჳს არა მოხუედ, ძმაო, წმიდად ეკლესიად? ხოლო[2] ძმასა მას ჰრცხუენოდა მითხრობად მათდა ზრახვათა მათ მტერისათა. გარნა ესრეთცა[3] აგრძნეს ძმათა, ვითარმედ ღონჱ რაჲმე არს და მანქანებაჲ საეშმაკოჲ. ამისთჳსცა მოუდრიკნეს მას მუჯლნი და ეტყოდეს: აღგჳარე ჩუენ, ძმაო, და განგჳცხადე გულარძნილებაჲ ეშმაკისაჲ. ხოლო მან მიუთხრა მათ და ჰრქუა: შემინდევით მე, მამანო, რამეთუ აღვდეგ ჩუეულებისაებრ წარმოსლვად ეკლესიად და მრქუა მე გულისსიტყუამან, ვითარმედ: არა არს ჯორცნი და სისხლი უფლისაჲ, რომელსა-იგი მიხუალ ზიარებად, არამედ პური არს იგი[4] და ღჳნოჲ. აწ უკუე, უკუეთუ გნებავს, /418/ რაჲთა მოვიდე თქუენ თანა წმიდად ეკლესიად, გულსავსე-ყავთ გულისსიტყუაჲ ჩემი წმიდისათჳს ჟამისწირვისა. ხოლო მათ ჰრქუეს მას: აღდეგ, ძმაო, და მოედ ჩუენ თანა ეკლესიად და ჩუენ ვევედრნეთ ღმერთსა შენთჳს, რაჲთა გულსავსე-გყოს შენ ძალისა მიერ ზეცით მოსრულისა. და აღდგა ძმაჲ იგი და წარვიდა მათ[5] თანა წმიდად ეკლესიად. და იქმნა პირველად დიდი ვედრებაჲ ღმრთისა მიმართ ძმისა მისთჳს. და ესრეთღა იწყეს წმიდასა ჟამისწირვასა. და დაადგინეს ძმაჲ იგი შუვა[6] ოდენ ეკლესიისა[7] და ვიდრე განტევებადმდე ლოცვისა და[8] ეკლესიისა, არა დასცხრა ძმაჲ იგი რწყვად ცრემლთაგან პირსა თჳსსა და მკერდსა. ხოლო შემდგომად ლოცვისა აღსრულებისა მოუჯდეს ყოველნი ძმასა მას და ეტყოდეს: ნუცა ერთსა რას დაჰფარავ, რომელი გამოგიცხადა ღმერთმან, არამედ ყოველივე საცნაურ-მიყავ ჩუენცა, რაჲთა ჩუენცა სარგებელ-გუეყოს. ხოლო მან იწყო აღვსებულმან ცრემლთა მიერ სიხარულისათა და თქუა შიშით და მოწიწებით ესრეთ, ვითარმედ: ოდეს აღმოკითხულ იქმნა მოძღურებაჲ სამოციქულოჲ და აღვიდა დიაკონი საფსალმუნეთა აღმოკითხვად წმიდისა სახარებისა, ვიხილე მე, რამეთუ განეღო სართული[9] ეკლესიისაჲ, ვიდრეღა ჩანდეს ცანი და წმიდისა მის სახარებისა მსმენელად იხილვებოდეს. ხოლო დიაკონი, რომელი-იგი აღმოიკითხვიდა წმიდასა სახარებასა, ვიხილე იგი, რამეთუ ყოლად ცეცხლ იქმნა და სიტყუანი ცეცხლისანი გამოსცჳოდეს პირით მისით, ვითარცა შანთნი ელვისანი. და ვიხილე კუალად, რამეთუ განეპო[10] ქუეყანაჲ, სადა დგას წმიდაჲ საკურთხეველი, ვიდრეღა ჩნდა ქუესკნელი, ხოლო მღდელნი

[1] კჳრაობათა] კჳრიაობათა D. [2] ხოლო] რამეთუ D. [3] აქ D ნუსხა წყდება. [4] იგი – E. [5] ~ წმიდად ეკლესიად მათ თანა E . [6] შუვა] შუა E. [7] ეკლესიისა] ეკლესიასაE. [8] და] დგა E. [9] სართული + წმიდისა E ჩამატებულია გვიანდელი ხელით. [10] აქ E ნუსხა წყდება.

იგი, რომელთა ეპყრა წმიდაჲ საიდუმლოჲ[1], შიშით და ძრწოლით მდგომარე იყვნეს. კუალად ვიხილენ ცანი /418v/ განხუმულნი და ცეცხლი ზეცით გარდამომავალი და შემდგომად ცეცხლისა სიმრავლჱ[2] ანგელოზთაჲ და შორის მათსა სხუანი ორნი პირნი ფრიად საწადელნი, რომელთა შუენიერებასა და სახეკეთილობასა შეუძლებელ არს გამოთქუმად. და რამეთუ იყო ნათელი მათი, ვითარცა ბრწყინვალებაჲ ელვისაჲ, რომელი-იგი გამოჰკრთების ქუხილისაგან. და შორის ორთა მათ პირთა დიდებულთა იხილვებოდა მჯდომარედ ყრმაჲ მცირჱ. მოადგეს უკუე ანგელოზნი მრგულივ გარემოჲს წმიდასა ტრაპეზსა. ხოლო ორნი იგი პირნი წარჩინებულნი აღჰდეს ზედა და ყრმაჲ იგი სამეუფოჲ შთაისუეს[3] შორის მათსა ზედა წმიდასა ტრაპეზსა. და ვითარცა შეეხნეს მღდელნი განტეხად პურსა მას წმიდასა, ვიხილენ მე კუალად ორნი იგი პირნი, რომელნი დგეს ზედა წმიდასა ტრაპეზსა, რამეთუ უპყრეს ჴელთა და ფერჴთა ყრმისათა და აქუნდა მათ მახჳლი და დაკლეს ყრმა იგი. სისხლი მისი შთაისხეს ბარძიმსა შინა, რომელი დგა ზედა ტრაპეზსა, ხოლო ჴორცნი მისნი დაჭრნეს და დააგდეს ზედა პურსა მას. და იქმნნეს პურნიცა იგი ჴორცვე. და მომეჴსენა მე მაშინ სიტყუაჲ იგი მოციქულისაჲ, ვითარმედ: „პასექად ჩუენდა დაიკლა[4] ჩუენთჳს ქრისტე“. ხოლო იწყეს რაჲ ძმათა მისლვად და მიეახლნეს ზიარებად წმიდასა მას საიდუმლოსა[5], მიეცემოდა მათ ჴორცნი. და ოდეს ხადიან სახელსა უფლისსასა და თქჳან ამინ, კუალად იქმნის ჴორცი იგი პურად ჴელთა შინა მათთა. და ვითარცა მივედ მე და მივეახლე ზიარებად მსხუერპლსა მას წმიდასა, მომცა მე ჴორცი და ვერ ძალ-მედვა შეჭმად მისა და მესმა ჴმაჲ, რომელი იტყოდა ყურთა ჩემთა: კაცო, რაჲსათჳს არა ეზიარები, არა ესე არსა, რომელსა ეძიებდ? და მე ვიხილე რაჲ, ვთქუ: მლხინებელ მეყავ, უფალო, /419/ ჴორცსა[6] შეჭმად ვერ შემძლებელ ვარ. და მან მრქუა მე: უკუეთუმცა ძალ-ედვა კაცსა ჴორცსა შეჭმად, ჴორცადმცა ღმრთისა იპოებოდა წმიდაჲ[7] საიდუმლოჲ, ვითარცა შენ ჰპოვე, გარნა ვერ ძალ-უც შეჭმად და ამისთჳს უფალმან და ღმერთმან ჩუენმან პურნი იგი შესაწირავნი განაწესნა. და ვითარცა სახედ პირველ ადამ ჴელითა ღმრთისაჲთა შეიქმნა მიწაჲ ჴორცად და შთაჰბერა მას ღმერთმან სამშჳნველი ცხორებისაჲ და უკანაჲსკნელ მიწაჲ მივიდა მიწადვე, ხოლო სული ეგო, ესრეთვე და ქრისტემანცა[8] მოგუცა წმიდაჲ ჴორცი თჳსი სულითურთ წმიდით. და რამეთუ ჴორცი შეიწირვის ზეცად, ხოლო სული დადგების გულთა[9] შინა ჩუენთა. აწ უკუე უკუეთუ გრწმენა ესე, ეზიარე. და მე ვთქუ: მრწამს, უფალო! და ესე რაჲ ვთქუ, იქმნა ჴორცი იგი, რომელი მაქუნდა ჴელთა შინა ჩემთა, პურ წმიდა და მადლობაჲ შევწირე

[1] საიდუმლოჲ] საჲდუმლოჲ A. [2] სიმრავლჱ] სიმრავლე E. [3] შთაჲსუეს A. [4] დაიკლა] დაჲკლა A. [5] საიდუმლოსა] საჲდუმლოსა A. [6] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 158v-ზე (აკინძვის შეცდომა). [7] აქედან D ნუსხა ისევ გრძელდება. [8] ქრისტემანცა] ჩუენცა D. [9] გულთა] გუამთა D.

ღმრთისა და ვეზიარე წმიდათა მათ საიდუმლოთა[1]. ხოლო აღესრულა რაჲ შეწირვაჲ იგი მსხუერპლისაჲ და უკუმოიქცეს მღდელნი სადიაკონედ[2], ვიხილე კუალად სართული ეკლესიისაჲ განღებულად და წმიდანი იგი ძალნი ზეცად აღმავალად[3] ყრმითურთ. ესე ყოველი რაჲ ესმა ძმათა მათ, ფრიადი სიმდაბლე და მოწლეობაჲ აჩუენეს ზიარებისათჳს წმიდათა საიდუმლოთაჲსა[4] და სარწმუნოებაჲ მტკიცე და სიყუარული, წარვიდეს სენაკად თჳსად და ჰმადლობდეს და ადიდებდეს ღმერთსა, მეძიებელსა ყოველთა[5] კაცთა ცხორებისასა.

26. გჳთხრა ჩუენ ესე ბერმან ვინმე წმიდამან, ვითარმედ იყო ვინმე ქალწული მოხუცებული ფრიად ჰასაკითა, რომელი წარმართებულ იყო დიდად[6] შიშსა შინა ღმრთისასა. ამას ვჰკითხეო, იტყოდა ბერი, რაჲთა მაუწყოს მე სახჱ განშორებისა მისისაჲ, ხოლო მან სულთ-ითქუნა და თქუა ესრეთ: /419v/ მე, ჲ საკჳრველო მამაო, შვილი ვიყავ მამისა მშჳდისა[7] და ტკბილისაჲ, ხოლო გუამითა სნეულისა და უძლურისაჲ, რომელმან ყოველნი დღენი ცხორებისა თჳსისანი ჭირთა შინა და სნებათა დაყვნა და[8] ცხედარსა ზედა მდებარე იყო უმეტესთა დღეთა თჳსთა და ჟამთა. ესოდენითა მყუდროებითა იქცეოდა იგი, ვიდრეღა მკჳდრთა მათ[9] დაბისათა კნინღა თუ ოდეს მოვიდის უბნობად. ხოლო იყო იგი შედგომილ ქუეყანისადა[10] და მას მუშაკობნ[11], უკუეთუ ოდეს[12] მრთელ არნ და ნაყოფთა მისთა სახლად მოიხუამნ. ესოდენი უკუე აქუნდა მას დუმილი, ვიდრეღა, რომელნი არა იცნობდეს, ჰგონებდეს მისთჳს, თუ ყრუ არს იგი[13] და უტყუ[14]. ხოლო დედაჲ ჩემი იყო წინაუკუმო[15] საქმეთა[16] მამისათა[17], რამეთუ იმკვებოდა იგი უმეტეს შესამსგავსისა[18], მრავლისმეტყუელებაჲ კულა ესოდენი აქუნდა ყოველთა მიმართ, ვიდრეღა საგონებელ იყო, თუ ყოველნი ასონი მისნი ენა არიან, შფოთნი და ბრძოლანი იყვნეს მის თანა მრავლად ყოველთა მიმართ. ხოლო სიმთრვალე[19] ღჳნისაჲ მამათა თანა უძღებთა[20] უზომოჲ აქუნდა. ესრეთვე წარაგებდა იგი ბოროტად, რასაცა ჰპოებდა სახლსა შინა, ვითარცა მეძავი, რომელი დაღაცათუ[21] ფრიად იყვის, ვერღარა კმა-გუეყვის ჩუენ გამოსაზრდელად[22]. და რამეთუ მისდა რწმუნებულ იყო განგებაჲ სახლისაჲ მამისაგან ჩემისა. ხოლო ჴორცნი ესოდენ[23] იჴმარნა სიბილწისათჳს, ოდესცა მცირედნი განევლტოდეს დაბისა მისგან უძღებებასა მისსა და სიხენეშესა.

---

[1] საიდუმლოთა] საჲდუმლოთა A. [2] სადიაკონედ] სადიაკონოდ E. [3] აღმავალად] აღმავალნი DE. [4] საიდუმლოთაჲსა] საჲდუმლოთაჲსა A. [5] ყოველთა – D. [6] დიდად] ფრიად DE. [7] მშჳდისა] მშჳდისაჲ E. [8] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 127r-ზე (აკინძვის შეცდომა). [9] მათ] მის D. [10] ქუეყანისადა და – D. [11] მუშაკობნ] მუშაკობასა D. [12] ოდეს] ოდენ E. [13] იგი – D. [14] უტყუ] უტყჳ E. [15] წინაუკუმო] წინაუკმო D. [16] საქმეთა მამისათა] მამისა ჩემისათა D. [17] მამისათა] მამისა ჩემისათა E. [18] შესამსგავსისა] შემსგავსებულსაD. [19] სიმთრვალე] სიყვარული D. [20] უძღებთა] უძღებად D. [21] დაღაცათუ] დაღათუ D. [22] გამოსაზრდელად – D. [23] ესოდენ] ესე ოდენ E.

არა შეემთხჳა მას სნეულებაჲ ჴორცთაჲ ოდესცა, არა მოიწია მას[1] ზედა ტკივილი რაჲ კნინოდენიცა, არამედ შობითგან /420/ ვიდრე აღსასრულადმდე[2] სრული სიმრთელჱ[3] მოეგო. ამას ზედა იქმნა სიკუდილი მრავალთა წელთა სენთა შინა და სალმობათაგან განკაფულისა მამისა ჩემისაჲ. და მეყსეულად შეიდგნა ჰაერმან და აღიშალნეს[4] ქუხილნი და ელვანი და შეიქმნნეს წჳმანი მძაფრნი და ფიცხელნი და არღარა იქმნა გარდაკუეთაჲ ჰაერთა და წჳმათაჲ, არცაღა დღისით[5] და არცა ღამით, ვიდრეღა დაგჳტევა ჩუენ მკუდარი იგი სამ დღე დაუფლავად, რომლისათჳს მდაბიურნი იგი ხრიდეს თავთა მათთა, უკჳრდა საქმჱ იგი და იტყოდეს: ჲ ვითარიღა ბოროტი ჩუენ შორის დამალულ იყო! ესე მტერი არს უეჭუელად ღმრთისაჲ, რომელსა არცაღა[6] თუ მიწაჲ საფლავად შთაუშუებს. გარნა დაღაცათუ ძნელ იყო დამარხვაჲ მისი შფოთებისაგან ჰაერთაჲსა, არამედ რაჲთა არა დაირღუეს[7] და დაიჴსნეს[8] მუნ, და უვალ-ყოს ჩუენგან სახლი, მრავლითა რაჲთმე[9] შრომითა, მივეცით მიწაჲ მიწად და დავჰმარხეთ იგი, რაოდენ უძლეთ. მიიღო რაჲ მიერითგან დედამან[10] თავისუფლებაჲ, უმეტესღა და უგლისპეს იჴუმინა ჴორცნი უძღებებად[11] და კნინღა და სამეძვოდ შეჰმზადა სახლი იგი. ესოდენ წარემატა იგი უძღებებითა და გემოთმოყუარებითა[12], ვიდრეღა კნინოდენიღა[13] რაჲ და-ღა-მიშთინა[14] მამულთაგან მონაგებთა და საჴმართა. ხოლო მო-რაჲ-იწია ჟამი აღსასრულისაჲ, თქუამცა ვინ, თუ ძნიად და[15] მოშიშებით[16] შეჰკადრა სიკუდილმან?! ესოდენსა მიემთხჳა, მოკუდა[17] რაჲ, კაცთაგან მოსწრაფებასა და[18] კეთილად[19] შემურვასა, ვიდრეღა საგონებელ იყო, თუ ჰაერნიცა თანაშემწე არიან დაფლვასა მისსა და დამარხვასა. /420v/ შემდგომად უკუე სიკუდილისა მშობელთა ჩემთაჲსა, გამოვედ მე ჰასაკისაგან სიყრმისა[20] და ჴორცთა ბრძოლისა და აღძრვისა ჟამსა მოვიწიფე[21]. და ღამესა ერთსა, ვწევ რაჲ ცხედარსა ზედა ჩემსა, ვიწყე გონებად და განვიზრახევდ შეჭირვებით, თუ რომლისამე ცხორებაჲ აღვირჩიო: მამისა იგი სიმშჳდჱ[22] და უმანკოებაჲ და სიწმიდჱ[23] შევიტკბოა? გარნა აჰა ესერა, არცა ერთსა რას კეთილსა მიხუდა სოფელსა ამას შინა, არამედ ყოველნივე დღენი და ჟამნი ცხორებისა თჳსისანი ჭირთა შინა წარჰჴადნა[24] და სნებათა, და ესრეთ ძნელად განვიდა სოფლით, ვიდრეღა არცა თუ ქუეყანამან საფლავად შთაუტევა. და რამეთუ უკუეთუმცა სათნო იყო ღმრთისა ესევითარი მოქალაქობაჲ, რაჲსათჳს

---

[1] მას] მის DE. [2] აღსასრულამდე DE. [3] სიმრთელჱ] სიმრთელე DE. [4] აღიშალნეს] იქნნეს D. [5] დღისით] დღით E. [6] არცა D. [7] დაირღუეს] დაჲრღუეს A. [8] დაიჴსნეს] დაჲჴსნეს A; დაჰჴსნეს DE. [9] რაჲთმე – D. [10] დედამან + ჩემმან E. [11] უძღებებად] უძღებად D. [12] გემოთმოყუარებითა] გემოთა მოყუარებითა A. [13] კნინოდენიღა] კნინოდენღა D. [14] და-ღა-მიშთინა] დამიშთინა D. [15] და – D. [16] მოშიშებით] მოშიშებაჲ D. [17] მოკუდა რაჲ] მო-რაჲ-კუდა D. [18] და – D. [19] ~ შემურვასა კეთილად E. [20] სიყრმისა] სიყმისა D. [21] მოვიწიფე] მოვიწიე D. [22] სიმშჳდჱ] სიმშჳდე DE. [23] სიწმიდჱ] სიწმიდე DE. [24] წარ-ჰჴადნა] გარდავლნა D.

შევარდა მამაჲ ჩემი ესოდენთა[1] ბოროტთა, რამეთუ მას[2] ესე აღერჩია. არამედ თურე ქცევაჲ დედისაჲ კეთილ არს და ჴორცთა მიცემაჲ არაწმიდებად[3] და ბილწებად და გემოთმოყუარებად და რამეთუ მან არარაჲ დაუტევა ხენეშთაგან საქმეთა სახჱ[4] უძღებებისაჲ, არამედ ითრვებოდა იგი ყოლადვე და შუებათა შინა და სიმრთელეთა[5] განვიდა ცხორებისაგან. რაჲ ვყო უკუე მე ობოლმან, ანუ ორთა ამათგან რომლისა ცხორებაჲ აღვირჩიო? უეჭუელად დედისაჲ აღსარჩევად არს და რამეთუ უმჯობეს არს თუალთა მიერ თჳსთა ხილულსა რწმუნებაჲ და ცხადთა საქმეთა მეტსა არა ძიებაჲ. ვინაჲცა მთნდა მე უბადრუკსა თავისა[6] ჩემისათჳსცა ეგევითარსავე ცხორებასა მოგებაჲ, ამას ზედა წარჴდა ჟამი ღამისაჲ ზოგსრაჲმე. და ესევითართა ამათ[7] ზედა გულისსიტყუათა მეყსეულად ძილმან შემიპყრა მე. და აჰა ესერა, დამადგა მე /421/ მაღალი ვინმე და[8] დიდი ჰასაკითა და საშინელი ხილვითა, რომელი მებრ სახითა მაშინებდა ფრიად და პირსა მიჩუენებდა მრისხანესა და ჴმასა სასტიკებისასა, მკითხვიდა მე[9] და მეტყოდა: შენ ვინმე ვაჰმანო ქალო, რაჲ არიან გულისსიტყუანი ეგე გულისა შენისანი?!

ხოლო მე ხილვისაგან მებრ და სახისა შევძრწუნდი და შემეშინა და ვერცაღა თუ მიხედვად მისა[10] მკადრე ვიყავ. და მან იჴუმია უმეტესი-რე ჴმაჲ ჩემდამო და უფიცხლესი და კუალადცა მიბრძანებდა მითხრობად ზრახვათა მათ გულისათა. ხოლო მე ყოვლითურთ განვცჳბრდი შიშისაგან და დამვიწყდა ყოველივე გულისზრახვაჲ და ვეტყოდე მას, ვითარმედ: არარაჲ ვიცი. და ვითარცა უვარ-ვჰყოფდი მე, აღმიჴსენებდა იგი ყოველთავე წურთათა გულისათა და ზრახვათა გონებისა ჩემისათა. და მე ვითარცა მიხილა შევრდომად, ვვარდი და ვევედრებოდე შენდობისა ღირსყოფად ჩემდა და ვიწყე მითხრობად მიზეზსა ესევითართა მათ[11] გულისსიტყუათასა. ხოლო მან მრქუა მე: მოვედ უკუე და იხილენ ორნივე, მამაჲცა და დედაჲ და რომლისაცა ცხორებაჲ გენებოს, აღირჩიე მერმე. და მიპყრა მე ჴელსა და წარმიყვანა ველსა რასმე დიდსა და საკჳრველსა, სადა-იგი შჱნ იყვნეს სამოთხენი თჳთოსახენი და ნერგთაგან შეიმკვებოდეს მრავალსახეთა და ფერად-ფერადთა ნაყოფთა სიმრავლჱ მუნ იხილვებოდა, რომლისა შუენიერებაჲ და სიკეთჱ[12] სძლევს ყოველსავე მოთხრობასა. მას შინა რაჲ შემიყვანა საწადელსა მას ნეტარებასა, აჰა ესერა, მამაჲ ჩემი მომეგება მე და[13] შემიტკბო მე /421v/ და მოწლედ ამბორს-მიყოფდა, შვილად მხადოდა მე და ასულად მიწესდა. ხოლო მე მოვეხჳე მას და ვევედრებოდე მის თანა ყოფად მარადის და იგი მეტყოდა: ესე აწ შეუძლებელ არს, გარნა უკუეთუ ინებო შედგომაჲ კუალსა ჩემსა, მოხჳდე[14] აქა შემდგომად არამრავალთა ჟამთა.

---

[1] აქ E ნუსხა წყდება. [2] მას] ამას D. [3] ~ ბილწებად და არაწმიდებად D. [4] სახჱ] სახე D. [5] სიმრთელეთა] სიმთრვალეთა D. [6] თავისა ჩემისათჳსცა] თავისათჳს ჩემისა D. [7] მათ D. [8] და – D. [9] მე – D. [10] მისა] მისსა D. [11] მათ – D. [12] სიკეთე D. [13] და – D. 14 მოხჳდე + შენ D.

და მე ვითარცა კუალადცა ვევედრებოდე მას ყოფად მის თანა, მომეკიდა კუალადცა ჴელსა მუნ წარმყვანებელი იგი ჩემი და მრქუა მე: წარმოგუალე, რაჲთა იხილო დედაჲცა შენი შემწუარი ცეცხლსა შინა და სცნა კეთილად, თუ რომლისა ცხორებაჲ აღსარჩეველ არს. წარმიყუანა უკუე მე და შემიყვანა სახლსა რასმე ბნელსა და ყოლად წყუდიადსა, სადა-იგი ისმოდა ღრჭენაჲ კბილთაჲ და ტირილი მწარჱ[1] და მუნ მიჩუენა მე საჴუმილი ცეცხლისაჲ აღტყინებული და ფისოვანებაჲ[2] მყრალი[3] აღდუღებული და საშინელნი ვინმე ზედამდგომელნი საჴუმილისანი და სასტიკნი ხილვითა. და ვითარცა შთავიხედენ ქუე, ვიხილე დედაჲ ჩემი საჴუმილსა მას შინა დაფლული ვიდრე ყელადმდე და იღრჭენდა კბილთა თჳსთა მწარედ და სალმობიერად აწკერებდა საჴუმილსა მას შინა ცეცხლისასა და სიმრავლისაგან მატლთაჲსა შეიჭამებოდა იგი ბოროტად და სასტიკად. ხოლო მიხილა რაჲ მე, გოდებით ჴმა-ყო, შვილად მიწოდდა მე და იტყოდა: ვაჲ მე, შვილო ჩემო, ვაჲ მე, საქმეთა ჩემთაგან ბოროტთა, ვაჲ მე, რამეთუ სიტყუად სიჩქურებისა[4] შემერაცხნეს სწავლანი და სიძვათა და მრუშებათა პატიჟნი ყოლად არა მრწმენდეს[5], და მთრვალობათა და ბილწებათა ყოლად არა[6] ვჰგონებდი, თუ არს სატანჯველი. /422/ აჰა ესერა, მცირედთათჳს გემოთა რაოდენ ძნელთა სატანჯველთა შინა ვარ! აჰა ესერა, კნინთათჳს განსუენებათა ვითარნიღა პატიჟნი მიმეჴადებიან! აჰა ესერა, ურჩებათა[7] ღმრთისათა ვითარნიღა მისაგებელნი მიხუმან! აჰა ესერა, მომიცვეს მე ყოველთავე დაუთმენელთა ბოროტთა! აჰა ესერა, აწ არს ჟამი შეწევნისაჲ, შვილო, აწ მოიჴსენე, შვილო, ზრდილებაჲ იგი, რომელ ჩემგან მიიღე, აწ მომეც ნაცვალი ქველისმოქმედებაჲ, უკუეთუ რაჲ ჩემგან მოგეჴსენების კეთილი. შემიწყალე მე, შვილო, შემწუარი საჴუმილსა ამას შინა ცეცხლისასა და მის მიერ ძნელად განლეული, შემიწყალე მე, შვილო, ესევითართა ტანჯვათა შინა დაშჯილი, მწყალობელ ექმენ, შვილო, მშობელსა, მომეც ჴელი შეწევნისაჲ და აღმომიყვანე მე[8] ამიერ. ხოლო მე ვტიროდე და ვერ ვიკადრებდი ზედამდგომელთაგან მიცემად ჴელისა. და იგი კუალადცა ჴმობდა ცრემლით[9]: შვილო, შემეწიე, შვილო, შემიწყალე, შვილო, ნუ უგულებელს-ჰყოფ ტირილთა დედისათა, მოიჴსენე დღე იგი და ჟამი სალმობათა ჩემთაჲ შენთჳს და ნუ დამიტეობ მე შემწუარსა გეჰენიასა ამას შინა ცეცხლისა[10] უშრეტისასა! ხოლო მე შეიწრებულმან ჴმისა მისგან და ცრემლთა და რაჲთურთით ყოლად განლიგებულმან, განვჰმარტე ჴელი ჩემი აღმოყვანებად მისა. და ვითარცა ვყავ ესე, მოეხჳა ცეცხლი იგი ჴელსა ჩემსა და შემწუა მე და მე ვიწყე ტკივილისაგან ტირილად და სულთქუმად /422v/ სალმობიერად. ესმა ჴმა იგი ტირილისა ჩემისაჲ, რომელნი მყოფ

[1] მწარჱ] მწარე D. [2] ფისოვანებაჲ] ფისოვნებაჲ D. [3] აქედან C ნუსხა ისევ გრძლდება. [4] სიჩქურებისა] სიჩქურებისად D. [5] მრწმენდეს] მრწმენნე D. [6] არა] არად C. [7] ურჩებათა] ურჩებათათჳს C. [8] მე – CD. [9] ცრემლით] ცრემლითა C. [10] ცეცხლისა] ცეცხლისასა C.

იყვნეს სახლსა შინა, აღდგეს იგინი და აღაგზნეს ცეცხლი და მკითხვიდეს მე მიზეზსა გოდებისა და ტყებისასა. ხოლო მე მიუთხარ მათ ყოველივე იგი[1], რაოდენიცა ვიხილე. მიერითგან უკუე შეუდეგ ძალისაებრ ცხორებასა მამისასა და აღვირჩიე სლვად კუალსა მოქალაქობისა[2] მისისასა, ვინაჲთგან აურაცხელთათჳს მოწყალებათა თჳსთა მიჩუენა კაცთმოყუარემან ღმერთმან, თუ ვითარნი სატანჯველნი მიელიან აღმრჩეველთა ბოროტისა ცხორებისათა.

ესე მომითხრა ჩუენ ნეტარმან მან[3] ქალწულმან ხილვისა მისგან გულსავსექმნილმან, რომელი დაამტკიცებდა, ვითარმედ აურაცხელ არიან კეთილნი მართალთანი და მოუთმენელ არიან სატანჯველნი ცოდვილთანი. შეუდგეთ უკუე ჩუენცა[4] განზრახვასა რჩეულსა[5], რაჲთა ნეტარებასა მას ჩუენცა ღირს ვიქმნეთ მადლითა უფლისაჲთა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი[6] უკუნისამდე, ამინ!

[1] იგი – D. [2] მოქალაქობისა] მოქალაქობისასა C. [3] მან – D. [4] ჩენცა – D. [5] რჩეულსა] რჩეულისა C. [6] უკუნითი უკუნისამდე] და სიმტკიცე ყოველთა საუკუნეთა D.

თავი კ

ნიშებშემოსილთათჳს[1] და სასწაულთა მოქმედთა წმიდათა მამათა

გუაკურთხენ[2], მამაო!

I.1. იტყოდეს **მამისა ამონაჲსთჳს,** ვითარმედ ვასილისკოჲ[3] მოაკუდინა, რამეთუ წარვიდა იგი უდაბნოს აღმოვსებად წყლისა ლაკჳსაგან და იხილა ვასილისკოჲ[4]. მერმე დავარდა პირსა ზედა თჳსსა და თქუა: უფალო, ანუ მე მოვკუდე, ანუ ესე. და მეყსეულად განსთქდა ვასილისკოჲ[5] იგი ძალითა ქრისტესითა.

2. წარვიდა ოდესმე **მამაჲ ამმონა** მისლვად **მამისა[6] ანტონისსა** და შესცთა გზასა და დაჯდა და მცირედ მიიძინა. მერმე აღდგა ძილისაგან, ილოცა ღმრთისა მიმართ და თქუა: უფალო, გევედრები შენ, ნუ წარწყმედ დაბადებულსა შენსა. და ეჩუენა მას ჴელი /423/ კაცისაჲ ცათა[7] დამოკიდებული, რომელი უჩუენებდა მას გზასა, ვიდრემდე მივიდა და დადგა იგი[8] კარსა ზედა ქუაბისა მამისა ანტონისსა.

II. მივიდა ვინმე მთავარი მთასა პილუსიელთასა და ინება ხარკსა მოჴდაჲ მონაზონთა, ვითარცა ერისკაცთა. და შეკრბეს ყოველნი ძმანი ამისთჳს **მამისა ამონათანისსა** და გამოარჩინეს ვიეთნიმე მამათაგანნი, რაჲთა წარმგზავნნეს მეფისა. ჰრქუა მათ მამამან ამონათან: არად საჴმარ არს მოშთომაჲ ამათი, არამედ უფროჲსღა დასწყნარდით სენაკთა შინა თქუენთა და იმარხეთ ორი შჳდეული და მადლითა ქრისტესითა მე მარტომან ვქმნა საქმე ეგე. და წარვიდეს ძმანი სენაკად მათდა. ხოლო ბერი დაეყუდა სენაკსა შინა თჳსსა. აღესრულნეს რაჲ უკუე ათორმეტნი დღენი, შეწუხნეს ძმანი ბერისათჳს, რამეთუ ხედვიდეს მას[9] სენაკსა შინა თჳსსა დაყუდებულად, და იტყოდეს: უგულებელს-ყო ბერმან საქმე ჩუენი. ხოლო

---

[1] ნიშებშემოსილთათჳს] ნიშებშემოსილთაD. [2] ~ მამაო, გუაკურთხენD. [3] ვასილისკოჲ] ვასილიკოჲ D. [4] ვასილისკოჲ] ვასილიკოჲ D. [5] ვასილისკოჲ] ვასილიკოჲ D. [6] მამისა ანტონისა] ანტონისა C. [7] ცათა+შინა D. [8] იგი – C. [9] მათ D.

დღესა მას მეათხუთმეტესა[1] შეკრბეს ძმანი შესაკრებელსა მათსა[2] და ბერი მივიდა მათ თანა და აქუნდა მას წიგნი მეფისაჲ დაბეჭდული სამეუფოჲთა ბეჭდითა. იხილეს რაჲ ესე ძმათა მათ, განცჳრდეს და იწყეს სიტყუად მისა[3]: ოდეს მოიღე ესე, მამაო? ჰრქუა მათ ბერმან: გრწმენინ ჩემი, ძმანო, რამეთუ ღამესა ამას წარვედ მეფისა და დავაწერიე ქარტაჲ ესე და დავაბეჭდიე[4]. და მერმე მივედ ალექსანდრიას და დავამტკიცებიე მთავართა და ესრეთღა მოვედ თქუენდა. ესმა რაჲ ესე მამათა, შეეშინა ფრიად და შეუვრდეს[5] მას და იქმნა საქმე იგი ნებისაებრ მათისა. და არღარა აწყინა მათ მთავარმან. და ჰმადლობდეს ღმერთსა და[6] ბერსა.

III.1. /423v/ **მამისა ბესარიონის** მოწაფე **მამაჲ დულას** იტყოდა ამას, ვითარმედ: ვიდოდეთ ოდესმე ჩუენ პირსა ზღჳსასა. და მომეწყურა მე ფრიად და ვარქუ მამასა ბესარიონს: მამაო, მწყურის ფრიად. და ყო ლოცვაჲ ბერმან და მრქუა მე: სუ ზღჳსა ამისგან. და დატკბნა წყალი იგი ზღჳსაჲ მის და ვსუ მისგან. და ჴელ-ვყავ აღვსებად მისგან ჭურჭელსაცა, ნუუკუე კუალად მომეწყუროს წაღმართრე. იხილა რაჲ ბერმან აღვსებაჲ იგი ჭურჭლისაჲ, მრქუა მე: რაჲსათჳს აღმოავსე ეგე? და მე ვარქუ: შემინდვე, მამაო, ნუუკუე წაღმართცა მწყუროდის. და ბერმან მრქუა მე: ღმერთი, რომელი აქა არს, იგივე ყველგან არს ღმერთი.

2. კუალად საჴმარ იქმნა მისა ოდესმე და განვლო მდინარე იგი ხრჳსოროჲ[7], რომელ არს ოქრომდინარე და წიაღვლო დაულტოლველად, რამეთუ ყო ლოცვაჲ და დასწერა ჯუარი. ხოლო მე ვიხილე რაჲ იგი ესრეთ, დამიკჳრდა ფრიად, შეუვრდი მას და ვარქუ: ვითარ აგრძნობდ ფერჴთა, ხჳდოდე რაჲ წყალსა[8] მას ზედა? და ბერმან მრქუა მე: ვიდრე კოჭამდე ვსცნობდ, თუ არს წყალი, მიერითგან კულა ჴმელსა ზედა ვიდოდე.

3. კუალად სხუასა ჟამსა წარვედით ბერისა ვისამე[9]. და სლვასა მას შინა ჩუენსა მიეწურა მზჱ დასლვად და ილოცა ბერმან და თქუა: გევედრები შენ, უფალო, დაადეგინ მზე, ვიდრემდის მივიდე მონისა შენისა. და იქმნა ესრეთ.

4. მოვიდა ვინმე ეშმაკეული სკიტეს და იქმნა მისთჳს ლოცვაჲ ეკლესიას. და არა გამოვიდოდა ეშმაკი იგი, რამეთუ იყო ფიცხელ. მერმე თქუეს მღდელთა: რაჲ უყოთ ეშმაკსა მას[10], რამეთუ არა გამოვალს და რამეთუ არავის[11] ძალ-უც სხუასა განდევნაჲ მაგისი, თჳნიერ მამასა[12] ბესარიონს. და უკუეთუ /424/ ვევედრეთ მას, არცაღა ეკლესიად მოვალს იგი, გარნა ესე ვყოთ: აჰა ესერა, განთიად პირველ ყოველთაჲსა მოვალს იგი ეკლესიად. წარვიყვანოთ და დავაწვინოთ ადგილსა მისა ვნებული ესე. და ოდეს

---

[1] მეათხუთმეტესა] მეთხუთმეტესა D. [2] მათსა] ერთსა C. [3] მისა] მისსა C. [4] დავა-ბეჭდიე] დავაბეჭდვიე D. [5] შეუვრდეს] შეურდეს C. [6] და ბერსა – D; + მას წმიდსა C. [7] ხრჳსოროჲ] ხსჳრისოროჲ D. [8] წყალსა მას] მათ D. [9] ვისამე] ვისსამე D. [10] მას] ამას CD. [11] არავის] არცა ვის D. [12] მამასა ბესარიონს] მამისა ბესარიონისა C.

შემოვიდეს[1] იგი[2], დავდგეთ ჩუენ ლოცვად და ვჰრქუათ მას: განაღჳძე ძმაჲცა[3] ეგე, მამაო. და ყვეს ესრეთ. და ვითარცა მოვიდა ბერი განთიად, მეყსეულად დადგეს ლოცვად, და ჰრქუეს მას: განაღჳძე ძმაჲ ეგე, მამაო. ხოლო მან ჰრქუა მას: აღდეგ და განვედ გარე. და[4] მასვე ჟამსა განვიდა ეშმაკი იგი მისგან და განიკურნა კაცი იგი მიერ ჟამითგან.

IV. გჳთხრეს ჩუენ ესე მოწაფეთა **მამისა გელასისთა**, ვითარმედ მოართუა ვინმე მას თევზი. და მზარეულმან მიიღო იგი და შეწუა ტაფითა და წარიღო[5] და მიუთუალა იგი კელარსა. ხოლო კელარსა მას და-რაჲმე-უვრდა[6] საქმჱ[7] გარე და დაუტევა თევზი იგი საკელროსა[8] შინა ქუემდებარედ ტაბაკითა[9] და დაჰვედრა ყრმასა მცირესა, რომელსა ზრდიდა მამაჲ გელასი, რაჲთა სცვიდეს მას ჟამ ერთ, ვიდრემდის უკუმოიქცეს. ხოლო ყრმამან მან[10], იწყო ურიდად ჭამად თევზისა მის[11] ცთომილმან ეშმაკისაგან. და ვითარცა შევიდა კელარი და პოვა ყრმაჲ იგი, რამეთუ ჭამდა ურიდად, განრისხნა და სცა განუკრძალველად[12] ფერჴითა ყრმასა მას და მეყსეულად მოკუდა იგი. ხოლო კელარი იგი შეიპყრა შიშმან და ზარმან ფრიადმან[13]. აღიღო მკუდარი იგი და დაბურა ცხედარსა ზედა[14] თჳსსა და წარვიდა. და შეუვრდა ფერჴთა მამისა გელასისთა და მიუთხრა მას, რაჲ-იგი შეემთხჳა. ხოლო მან ამცნო არავისა თხრობად სხჳსა, არამედ უბრძანა, რაჲთა /424v/ დასწყნ/არდენ ძმანი ყოველნი და იქმნას[15] მიმწუხრნი, წარიღოს იგი სადიაკონედ და დადვას წინაშე საკურთხეველისა და განეშოროს. და შევიდა ბერი სადიაკონედ და იწყო ლოცვად. და ჟამსა[16] შუვაღამისასა შეკრბეს ძმანი ლოცვად. და გამოვიდა ბერი სადიაკონოჲთ და გამოსდევდა[17] მას ყრმაჲ იგი და არცა ერთმან ვინ ცნა ესე, თჳნიერ მისა და კელრისა, ვიდრე აღსრულებადმდე წმიდისა მის მამისა.

V. იტყოდეს ბერნი **მამისა ელიაჲსნი ეგჳპტეს[18] მამისა აგათონისთჳს**, ვითარმედ: კეთილ არს, ჰრქუა მათ ბერმან, ნათესავსა ამას შინა კეთილ არს. ჰრქუეს მას ძმათა: და პირველთა მათ თანა რაჲ, მამაო? მიუგო მათ ბერმან: გარქუ თქუენ, ვითარმედ: კეთილ არს ნათესავსა ამას შინა. ხოლო პირველთა თანა მიხილავს მე კაცი სკიტეს, რომელსა ძალ-ედვა მზისა დაყენებად, ვითარცა ისოს ძესა ნავესსა. ესმა[19] რაჲ ესე მათ[20], განკჳრდეს ფრიად[21] და ადიდებდეს ღმერთსა.

VI. გჳთხრა ჩუენ **მამამან კასიანე,** ვითარმედ იყო ვინმე ბერი, რომელსა ჰმსახურებდა ქალწული ვინმე წმიდაჲ და კაცნი იტყოდეს, ვითარმედ: არა

---

[1] შემოვიდეს – C. [2] იგი – D. [3] ძმაჲცა] ძმაჲ D. [4] და – C. [5] წარიღო] წარვიდა D. [6] და-რაჲმე-უვრდა] და-რაჲმე-უვარდა D. [7] საქმჱ] საქმე CD. [8] საკელაროსა CD. [9] ტაბაკითა] საფითა D. [10] მან – D. [11] მის – D. [12] ~ ფერჴითა განუკრძალველად CD. [13] ფრიადმან – D. [14] ~ თჳსსა ზედა C. [15] იქმნეს D. [16] ჟამსა შუვაღამისასა] ვითარცა-შუვაღამე D. [17] გამოსდევდა] მოსდევდა C. [18] ეგჳპტეს – D. [19] ესმა რაჲ ...ადიდებდეს ღმერთსა – C. [20] მათ – D. [21] ფრიად – D.

არიან იგინი წმიდა. და ესმა ბერსა და დუმნა. ხოლო ოდეს მოიწია ჟამი აღსასრულისა მისისაჲ, ჰრქუა მამათა[1]: ოდეს მოვკუდე, დაჰნერგეთ კუერთხი ჩემი საფლავსა ზედა ჩემსა. და უკუეთუ განედლდეს და აღორძინდეს და ყოს ნაყოფი, ცანთ, რამეთუ წმიდა ვარ მე მაგისაგან. ხოლო უკუეთუ არა აღორძინდეს, ცანთ, რამეთუ დაცემულ ვარ მაგას თანა. და ვითარცა დაჰმარხეს ბერი, დაჰნერგეს კუერთხი მისი[2] საფლავსა ზედა[3] მისსა და მესამესა დღესა აღორძინდა იგი და ნაყოფი გამოიღო. და ყოველნი, რომელთა ესმა და იხილეს, ადიდებდეს ღმერთსა.

VII. 1. /425/ დედაკაცსა ვისმე შჭირდა სენი ძუძუსა, რომელსა კარკინონ ეწოდების და კირჩხიბცა. და ესმა მას **მამისა ლონგინოჲსთჳს**[4] და ეძიებდა შემთხუევად მისა[5]. და მკჳდრობდა მაშინ მამაჲ ლონგინოს[6] ენატას, ცხრათასა, მახლობელად ალექსანდრიაჲსასა[7] დასავალით[8] კერძო. და ვითარცა ეძიებდა დედაკაცი იგი, დახუდა ნეტარი ლონგინოზ[9] ზღჳს პირსა, რამეთუ შეჰკრებდა შეშასა. და პოვა რაჲ იგი, ჰრქუა მას: მამაო, სადა მყოფ არს მამაჲ ლონგინოზ[10], მონაჲ ღმრთისაჲ? რამეთუ ვერ იცოდა[11], თუ იგი არს. ჰრქუა მას ბერმან: რაჲ გნებავს მისგან, რამეთუ არს იგი ცნობამიღებულ, ნუ წარხუალ უკუე მისსა, რამეთუ სულელ[12] არს იგი. გარნა რაჲ არს, რომელი გჭირს შენ? და დედაკაცმან მან უჩუენა სენი თჳსი. ხოლო ბერმან[13] დასწერა ადგილსა მას ჯუარი, განუტევა იგი და ჰრქუა მას: წარვედ და ღმერთმან[14] განგკურნოს შენ, რამეთუ ლონიგნოსს არარაჲ ძალ-უც სარგებელყოფად შენდა. წარვიდა უკუე დედაკაცი იგი და ჰრწმენა სიტყუაჲ[15] მისი და განიკურნა იგი მეყსა შინა. ხოლო შემდგომად ამისა მიუთხრა ვიეთმე საქმე იგი და ნიშანიცა აუწყა ბერისაჲ და ისწავა, რამეთუ თჳთ იგი იყო მამაჲ ლონგინოს.

2. კუალად სხუასა ჟამსა მიიყვანეს მისა[16] ეშმაკეული. და მან ჰრქუა მათ: რაჲ უყო მე მაგას, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ, არამედ უფროჲსღა წარიყვანეთ ეგე მამისა ზენონისა[17]. და ვითარცა მიიყვანეს იგი, იწყო მამამან ზენონ ოტებად ეშმაკისა მის. ხოლო ეშმაკმან მან[18] იწყო ჴმობად, ვითარმედ: აწ ჰგონებ შენ, ბერო ზენონ, თუ შენთჳს განვალ?! აჰა ეგერა, მამაჲ ლონგინოს ილოცავს და მეშინის ლოცვათაგან მისთა და მისთჳს[19] განვალ, თუ არა, არამცა მიგეც შენ ყოლად[20] პასუხი სიტყჳსაჲ.

3. /425v/ კუალად სხუასა ჟამსა მიიყვანეს დედაკაცი მისვე **მამისა ლონგინოჲსა**[21], რომელსა ძნიად საკურნებელი სენი შჭირდა ჴელსა. და

---

[1] მამათა] ძმათა D. [2] მისი – D. [3] ~ მის საზედა D. [4] ლონგინოჲსთჳს] ლომგინესთჳს D. [5] მისა] მისსა CD. [6] ლონგინოს] ლომგინოზ D. [7] ალექსანდრიაჲსასა] ალექსანდრიაჲსა C; ალექსანდრიაჲ სD. [8] დასავლით C. [9] ლონგინოზ] ლომგინოზ D. [10] ლონგინოზ] ლომგინოზ D. [11] იცოდა] იცნობდა C. [12] სულელ] სულელი CD. [13] ბერმან + მან C. [14] ღმერთმან] უფალმან C. [15] სიტყუაჲ – D. [16] ~ ეშმაკეული მისსა D. [17] ზენონისა] ზენონისსა C. [18] მან – C. [19] მისთჳს] ამისთჳს D. [20] ~ პასუხი სიტყჳსაჲ ყოლად CD. [21] ლონგინოჲსა] ლომგინესსა D.

დადგა იგი[1] გარეშე სენაკსა დამართებით სარკუმელსა ბერისასა სხჳსა თანა დედაკაცისა. და შთახედნა მას სარკუმელით, თუ ვითარ ჯდა და შურებოდა ჴელთსაქმარსა. შეჰრისხნა მას[2] ბერმან და ჰრქუა: წარვედ, დედაკაცო. ხოლო იგი ეგო მასვე ჭურეტასა ზედა და ხედვიდა დუმილით, რამეთუ ეშინოდა. ცნა უკუე ბერმან მიზეზი მუნ მისლვისა[3] მისისაჲ და დაჰჴშა სარკუმელი იგი წინაშე პირსა მისსა და ჰრქუა მას: წარვედ, დედაკაცო, რამეთუ არარაჲ ძჳრი არს შენ თანა. და განიკურნა დედაკაცი იგი მიერ ჟამითგან.

4. კუალად სხუასა ჟამსა წარვიდა ვინმე ბერი **მამისა ლონგინოჲსა**[4] და წარიღო კუკული მისი და წარვიდა შესლვად სხჳსა ვისამე[5], რომელთა შინა იყო ეშმაკეული. და ვითარცა განაღო კარი და ენება შესლვის, იწყო ჴმობად ეშმაკმან ვნებულისა მის გამო: რაჲსათჳს მოიყვანე აქა ლონგინოს[6] განძებად ჩემდა? და მეყსეულად ივლტოდა ეშმაკი იგი კაცისა მისგან და განიკურნა კაცი იგი მიერ ჟამითგან და ადიდებდა ღმერთსა.

VIII.1. იტყოდა **მამაჲ სისოჲ,** ვითარმედ: ოდეს ვიყავ სკიტეს **მამისა მაკარის** თანა, აღვედით მკად შჳდნი ოდენ ძმანი. და აჰა ესერა, ქურივი ვინმე ერთი შედგომილ იყო ჩუენდა. და აჰკრებდა თავსა და არა დასცხრებოდა იგი ტირილისაგან. ჴმა უყო უკუე ბერმან უფალსა მას[7] ყანისასა და ჰრქუა თჳსაგან: რაჲ სჭირს დედაკაცსა ამას, რამეთუ ყოლადვე ტირს? და მან ჰრქუა მას: ნამარხევი მიიღო უცხოჲ ქმარმან მაგისმან და მოკუდა უტყუად და არა უთხრა მაგას, თუ სადა დადვა /426/ და[8] ეგულების მიმცემელსა[9] მას ნამარხევისასა მონად წარყვანებაჲ მაგისი და შვილთა მაგისთაჲ. ჰრქუა მას ბერმან: არქუ მაგას, რაჲთა მოვიდეს ჩუენდა, სადაცა განვისუენებდეთ სიცხესა. და ვითარცა მოვიდა დედაკაცი იგი, ჰრქუა მას ბერმან: რაჲსათჳს ესრეთ ყოლადვე სტირ? და მან თქუა: ქმარი ჩემი მოკუდა და მიეღო უცხოჲ ნამარხევი, და არა მითხრა, ოდეს მოკუდებოდა, თუ სადა დადვა. ჰრქუა მას ბერმან: მოგუალე, მიჩუენე საფლავი მისი. და წარიყვანნა მის თანა ძმანი და განვიდა მის თანა. და ვითარცა მიიწინეს ადგილსა მას, ჰრქუა ბერმან დედაკაცსა მას: წარვედ შენ სახედ[10] შენდა. და ყო ლოცვაჲ ბერმან და ჴმაუყო მკუდარსა მას და ჰრქუა: შენ, ვაჰმანო კაცო, სადა დასდევ უცხოჲ იგი ნამარხევი? ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: სახლსა შინა ჩემსა დაფლულ არს იგი ქუეშე ფერჴსა ცხედრისასა. და ბერმან ჰრქუა მას: მიიძინე კუალადცა, ვიდრე დღედმდე[11] აღდგომისა. იხილეს რაჲ საქმე ესე ძმათა მათ, შიშითა შეპყრობილნი შეუცჳვეს ბერსა ფერჴთა. ჰრქუა მათ ბერმან: არა ჩემთჳს იქმნა ესე, რამეთუ არარაჲ ვარ, არამედ ქურივისა მისთჳს და ობოლთა

---

[1] იგი – C. [2] მას ბერმან – C] მათ ბერმან D. [3] მისლვისა] მისლვისაჲ C. [4] ლონგინოჲსა] ლომგინესსა D. [5] ვისამე] ვისსამე D. [6] ლონგინოს] ლომგინოს D. [7] მის D. [8] აქ C ნუსხა წყდება. [9] მიმცემელსა] მომცემელსა D. [10] სახედ] სენაკად D. [11] დღედმდე] დღემდე D.

მისთა[1] ყო[2] ღმერთმან საქმე ესე, თჳნიერ ესე არს დიდ, რომელ შეუცოდებელი სული ჰნებავს ღმერთსა და ყოველივე, რაოდენიცა რაჲ ითხოოს, მიიღებს. მოვიდა უკუე და უთხრა ქურივსა მას, თუ სადა ძეს ნამარხევი იგი. და მიიღო დედაკაცმან[3] და მიართუა იგი უფალსა მისსა და განათავისუფლნა შვილნი თჳსნი და ყოველთა, რომელთა ესმა ესე, ადიდებდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა.

2. /426v/ იტყოდეს **მამისა მაკარისთჳს,** ვითარმედ აღვიდოდა[4] ოდესმე სკიტით და ეკიდა სფირიდები და დაშურა და დაჯდა. მერმე ილოცა და თქუა: ღმერთო, შენ უწყი, რამეთუ არღარა ძალ-მიც. და მეყსეულად იპოვა მდინარედ, მახლობელად ადგილსა მას, სადა-იგი მიმავალ იყო.

3. კაცსა ვისმე მეგჳპტელსა ესუა ძჱ[5] წყლითმანკიერი[6] და მოიყვანა იგი **მამისა მაკარისა** და დააგდო ყრმაჲ იგი გარეშე კარსა სენაკისა მისისა[7] და თჳთ განეშორა შორს. გარდამოიხედნა უკუე ბერმან სარკუმელით და იხილა ყრმაჲ იგი მოტირალი[8], და ჰრქუა მას: ვინ მოგიყვანა შენ აქა? და ყრმამან მან ჰრქუა მას: მამამან ჩემმან დამაგდო მე აქა და თჳთ წარვიდა. ჰრქუა მას ბერმან: აღდეგ ადრე და ეწიე მას. და მეყსეულად განმრთელდა იგი და აღდგა და მიეწია მამასა თჳსსა და ესრეთ წარვიდეს სახედ თჳსა და ადიდებდეს ღმერთსა.

IX. წარჰვლიდა ოდესმე **მამაჲ მილი** ადგილსა ერთსა. და იხილა ვინმე მონაზონი, რომელი შეეპყრა ვიეთმე კაცისკლვისათჳს. და მიეახლა ბერი ძმასა მას და ჰკითხა მას[9], უკუეთუ ჭეშმარიტ არს. და ისწავა რაჲ, ვითარმედ ცრუსა სწამებენ, ჰრქუა შემპყრობელთა მათ მისთა: სადა არს უკუე მოკულული იგი? და მათ აჩუენეს[10] მას. და ვითარცა მიეახლა მას, ჰრქუა მუნ მყოფთა მათ ყოველთა: ლოცვა ყავთ თქუენცა ზოგებით[11]. და ბერმან აღიპყრნა ჴელნი თჳსნი ღმრთისა მიმართ და მეყსეულად აღდგა მკუდარი იგი. ჰრქუა[12] მას ბერმან: თქუ წინაშე ყოველთა ამათ, ვინ არს, რომელმან მოგაკუდინა შენ. ხოლო მან თქუა: მე[13] შევედ ეკლესიად და მივეც ხუცესსა საფასჱ და იგი აღდგა და დამკლა მე და წარმიღო მე და დამაგდო სენაკსა /427/ ამის ბერისასა. არამედ გევედრები თქუენ, მიიღეთ საფასჱ იგი, და მიეცით შვილთა ჩემთა. მაშინ ჰრქუა მას ბერმან: მიიძინე კუალადცა, ვიდრემდის მოვიდეს უფალი და აღგადგინოს შენ.

X. აღვიდა ოდესმე **მამაჲ ქსანთიოს** სკიტით ტერენუთედ და სიმაშურალისათჳს მისისა მოართუეს[14] მას მცირედ ღჳნოჲ სადგურად მისა[15]. ესმა ვიეთმე მისლვაჲ მისი და მოჰგუარეს მას ეშმაკეული, რაჲთა განკურნოს. და იწყო ეშმაკმან გინებად ბერისა და იტყოდა: ღჳნისმსუმელისა ამის

---

[1] მისთა] მისთათჳს D. [2] ყო ღმერთმან – D. [3] დედაკაცმან + მან D. [4] აღვიდოდა] აღვიდა D. [5] ძჱ] ძე D. [6] წყლითმანკიერი] წული მანკიერი D. [7] მისისა] მისისათაD. [8] მოტირალი] მტირალი D. [9] მას – D. [10] აჩუენეს] უჩუენს D. [11] ზოგებით +ყოელთაD. [12] ჰრქუა მას ბერმან – D. [13] მე – D. [14] მოართუა D. [15] მისა] მისსა D.

მომიყვანეთა მე? არა ენება უკუე ბერსა განდევნაჲ მისი სიმდაბლისათჳს, გარნა ყუედრებისათჳს მისისა ჰრქუა მას: მრწამს ქრისტესი, რამეთუ არღა გავასრულო სუმაჲ სასუმლისაჲ ამის, ვიდრემდე შენ განხჳდე მაგიერ. და ვითარცა იწყო ბერმან სუმად, იწყო ეშმაკმან ჴმობად: დამწჳ მე, ბერო, დამწჳ მე! და პირველ სასუმლისა მის გასრულებისა[1], განვიდა ეშმაკი იგი ძალითა ღმრთისაჲთა და კაცი იგი განკურნებული ჰმადლობდა[2] ღმერთსა.

XI. მივიდეს ოდესმე ბერნი მრავლად **მამისა პიმენისა[3].** და აჰა, ესრეთ თჳსსა ვისმე მამისა პიმენისსა ჰყვა ყრმაჲ მის თანა. და შურითა ეშმაკისაჲთა იყო პირი მისი გარექცეულ. და ვითარცა იხილა მამამან ყრმისამან სიმრავლჱ[4] მამათაჲ, აღიქუა ყრმაჲ იგი და დაჴდა გარეშე კარსა მონასტრისასა და ტიროდა. მოცალე იქმნა ვინმე ბერი, ბერთაგან მუნ მისრულთა, და განვიდა კარად და ვითარცა იხილა იგი ესრეთ, ჰრქუა მას: რაჲსა სტირ, ჲ კაცო? ხოლო მან ჰრქუა მას: ნათესავი ვარ, მამაო, მამისა პიმენისი. და აჰა /427v/ ესერა, შეემთხჳა ყრმასა[5] ამას განსაცდელი ესე, და მენება ამას მიყვანებად ბერისა და შემეშინა, რამეთუ არა ჰნებავს ხილვაჲ ნათესავთა თჳსთაჲ. და აწ უკუე ესმას, თუ აქა ვარ, მოჰგზავნის და წარმიოტებს[6] მე. ხოლო მე ვიხილე რაჲ მოსლვაჲ თქუენი, ვიკადრე მოსლვად. აწ უკუე, მამაო, ვითარცა გნებავს ყავ, შემიწყალე მე და მიიყვანე ყრმაჲ ესე და ყავთ მაგას ზედა ლოცვაჲ. მიიყვანა ბერმან ყრმაჲ იგი და შევიდა მამათა თანა და სიბრძნით იჴუმია ღონჱ[7], რამეთუ არა მიჰგუარა იგი პირველადვე მამასა პიმენს, არამედ იწყო უკუნაჲსკნელთაგან ძმათა და ეტყჳნ: დასწერეთ ჯუარი ყრმასა ამას. და ვითარცა მოვლნა ყოველნი ესრე სახედ, უკუანაჲსკნელ ყოველთასა[8] მიჰგუარა მამასაცა პიმენს. ხოლო მას არა ენება ყოფად ესე, არამედ ევედრნეს მას სხუანი იგი ბერნი და ჰრქუეს: მამაო[9], ვითარცა ყვეს ყოველთა, შენცა თანაგაც ყოფად. მაშინ სულთითქუნა მამამან პიმენ, აღდგა და ყო ლოცვაჲ და თქუა: ღმერთო, განჰკურნე დაბადებული შენი და ნუ უტევებ მას[10] უფლებად მტერისაგან. და დასწერა მას ჯუარი და მეყსეულად განჰკურნა იგი. და მიჰგუარეს მრთელი მამასა მისსა[11], წარვიდა და ადიდებდა ღმერთსა.

XII. გჳთხრა ჩუენ მამათაგანმან ვინმე **მამისა პავლესთჳს**, რომელი იყო ქუემო კერძოჲსა ეგჳპტისაჲ და მკჳდრობდა იგი თებაიდას[12], ვითარმედ უპყრობდა იგი ჴელითა გუელთა და ღრიაკალთა და ყოველთა მათ ქუეწარმავალთა წამლეანთა და განხეთქნ მათ და განაპებნ შუვა. დღესა ერთსა შეუვრდეს მას ძმანი და ეტყოდეს: მამაო, გჳთხარ ჩუენ, თუ რომელი სათნოებაჲ წარჰმართე[13], რაჲთა მოიგო /428/ მადლი ესე. ჰრქუა მათ ბერმან: შემინდვეთ მე, მამანო, რამეთუ უკუეთუ ვინ მოიგოს სიწმიდე და უბიწოებაჲ,

---

[1] გასრულებისა] განსრულებისა D. [2] ჰმადლობდა] ადიდებდა D. [3] პიმენისა] პიმენისსა D. [4] სიმრავლჱ] სიმრავლე D. [5] ~ განსაცდელი ესე ყრმასა ამას D. [6] წარმიოტებს] წარმიტეობს D. [7] ღონჱ] ღონე D. [8] ყოველთასა] ყოველისა D. [9] მამაო – D. [10] მას – D. [11] მისსა] თჳსსა D. [12] თებაჲდას A. [13] წარჰმართე + ანუ D.

დაემორჩილებიან მას ყოველნი მჭეცნი, ვითარცა-იგი პირველ ადამს, იყო რაჲ სამოთხეს[1] შინა პირველ ცთომისა და მცნებისა მის გარდასლვისა.

XIII.1. განიცადა ოდესმე **მამაჲ აბრაჰამ,** მოწაფჱ **მამისა სისოჲსი**, ეშმაკისაგან[2] და ცნა ბერმან, რამეთუ დაეცა იგი. აღდგა და აღიპყრნა ჴელნი თჳსნი ზეცად და თქუა: ღმერთო, გენებოს[3] თუ, გინა არა, არა გიტეო შენ, ვიდრემდის განჰკურნო ესე და მეყსეულად განიკურნა იგი და ადიდებდა ღმერთსა.

2. წარვიდა ვინმე ერისკაცი **მამისა სისოჲსსა** მთასა ანტონისსა და თანა ჰყვანდა[4] ძჱ თჳსი ყრმაჲ მწყსი მორბედი. და სლვასა მას[5] შინა მათსა მოკუდა ყრმაჲ იგი. ხოლო კაცი იგი არა აღშფოთნა, არამედ აღიღო იგი და მივიდა ბერისა სარწმუნოებითა შეუორგულებელითა და შეუვრდა ბერსა ძითურთ მუჴლთმოყრით სახითა თაყუანისცემისაჲთა, რაჲთა იკურთხნენ იგინი[6] ბერისაგან. და აღდგა კაცი იგი, მამაჲ ყრმისაჲ და განვიდა გარე. ხოლო ყრმაჲ იგი დაუტევა მდებარედ ფერჴთა თანა ბერისათა, ჰგონებდა უკუე ბერი, თუ თაყუანის-სცემს მას[7]. და ჰრქუა მას: აღდეგ, განვედ გარე, რამეთუ არა უწყოდა, თუ მომკუდარ არს იგი. და მეყსა შინა აღდგა ყრმაჲ იგი და განვიდა გარე. იხილა რაჲ იგი მამამან მისმან, განცჳრდა და ზარი აღჰჴდა[8] და შევიდა ბერისა, იწყო თაყუანისცემად მისა და მადლის მიცემად და აღუვარა მას და განუცხადა საქმე იგი. ესმა რაჲ ესე ბერსა, შეწუხნა, რამეთუ არა ენება ყოფად ესე. ხოლო მოწაფემან მისმან ამცნო კაცსა მას, რაჲთა არავის უთხრას /428v/ საქმე იგი, ვიდრე აღსრულებადმდე[9] ბერისა. წარვიდა კაცი იგი, ყო ესრეთ და ადიდებდა ღმერთსა.

XIV. იტყოდეს წმიდისა **მამისა სფირიდონისთჳს**, ვითარმედ ესუა მას ასული. და იყო იგი[10] ქალწულ და ღმრთისმოშიშ, შედგომილ კუალსა მამისა თჳსისა, რომელსა ეწოდებოდა ირინი. ამას მისცა ვინმე ნამარხევად მეცნიერთაგანმან სამკაული დიდფასისაჲ. ხოლო მან მი-რაჲ-იღო უმეტესისათჳს კრძალულებისა, არწმუნა იგი ქუეყანასა და დაჰფლა იგი მას შინა. და შემდგომად მცირედისა განვიდა იგი სოფლით. მოვიდა უკუე შემდგომად რაოდენთამე ჟამთა კაცი იგი, რომელმან მისცა ნამარხევი. და ვინაჲთგან ვერღარა პოვა ქალწული იგი, სწამებდა მამასა ქალისასა, ნეტარსა სფირიდონს, ოდესმე ზიდავნ მას, და ოდესმე ჰლოცავნ მიცემად მისა[11] სამკაულსა მას. ხოლო ვინაჲთგან შეიწრდა იგი ცხადთაგან და აღსარებულთა მოწამეთა, ვითარმედ მიუცემიეს ნამარხევი იგი ასულისა მისისა და მიივლტოდა მოსწრაფედ ყოველთა ღმრთისა მიმართ[12] და მეუფისა, რაჲთა უკუანაჲსკნელ ყოფადი იგი აღდგომაჲ აწვე აჩინოს[13] პირველ

[1] სამოთხეს] სამოთხესა D. [2] ეშმაკისაგან] ეშმაკთაგან D. [3] გნებავს D. [4] ჰყვანდა] ჰყვა D. [5] მას – D. [6] იგინი] იგინი – C. [7] მას – D. [8] აღჰჴდა] განჰჴდა D. [9] აღსრულებადმდე] აღსრულებამდე D. [10] იგი – C. [11] მისა] მისსა D. [12] მიმართ და – D. [13] აჩინოს] აჩუენოს D.

ჟამისა. ამისთჳსცა საფლავად ასულისა წარემართა და ხადოდა სახელსა მას ცხოველსმყოფელსა, რაჲთა ყოს სასწაულ კეთილ. ვინაჲცა არა განცრუვნა სასოებაჲ მისი, არამედ ცოცხალი წარმოუდგა მას ქალწული და უჩუენა[1] ადგილი იგი, სადაცა დაეფლა მას სამკაული იგი და მყის მოეშორა. ხოლო ბერმან მიიღო ნამარხევი იგი და მისცა მიმცემელსავე მისსა და ზოგად ორნივე ჰმადლობდეს ღმერთსა.

1. ორნი ძმანი იყვნეს /429/ ჴორციელნი სკიტეს და შეემთხჳა ერთსა მას სნეულებაჲ. წარვიდა მეორე იგი ძმაჲ ეკლესიად მღდელისა, რაჲთა მიჰგუაროს ძმასა მას სიწმიდჱ[2]. ვითარცა ესმა ესე მღდელსა, ჰრქუა ძმათა: გუალეთ, წარვიდეთ და ვიხილოთ ძმაჲ იგი. წარვიდეს უკუე და ყვეს ლოცვაჲ და განეშორნეს. კუალად უკუე სხუასა კჳრიაკესა ჰკითხა მღდელმან ძმასა მას ძმისათჳს თჳსისა, თუ ვითარ არს. ხოლო მან ჰრქუა: ლოცვა ყავ მისთჳს. აღდგა კუალადცა მღდელი და აღიხუნა მის თანა ძმანი და წარჰყვა თანა ძმასა მას მოხილვად ძმისა მის უძლურისა. და ვითარცა მივიდეს იგინი და დასხდეს, ეგულვა ძმასა მას უძლურსა დაძინების. ხოლო მსხდომარეთა მათ იწყეს ცილობად ურთიერთარს და იტყოდეს: ნეტარ ღირსქმნულ არსო სულსა წმიდასა?! და იყო მათ შორის განწვალებაჲ ამის პირისათჳს, რომელნიმე იტყოდეს: ჰჱ[3], მიუღებიეს! და რომელნიმე იტყოდეს: არა. იხილნა რაჲ იგინი ესრეთ ძმამან მან უძლურისამან[4], ჰრქუა მათ: რაჲსა იცილობვით[5] ურთიერთარს, გნებავსა ცნობის, თუ ვის აქუს ძალი? და მიექცა ძმასა მას თჳსსა და ჰრქუა: წარხუალა, ძმაო ჩემო? ხოლო ძმამან მან ჰრქუა: ჰჱ, წარვალ, არამედ ლოცვა ყავ ჩემთჳს! ხოლო მან ჰრქუა მას: გრწმენინ, ძმაო, არა განგიტეო წარსლვად უწინარეს ჩემსა. მერმე მიექცა მსხდომარეთა მათ ძმათა და ჰრქუა: მომეცით მე ფსიათი და მცირე ეგე სასთუნალი ჭილისაჲ. და მი-რაჲ-იღო, მიწვა და მისცა სული თჳსი უფალსა პირველ ძმისა მის უძლურისა და ესრეთღა იგიცა აღესრულა. და ორნივე ზოგად შემურნეს მამათა და /429v/ წა/რიხუნეს[6] და დასდნეს იგინი სიხარულით წმიდათა თანა მამათა, რომელნი იგი ამიერვე ღირს იქმნნეს ხილვად ნათელსა მას საცნაურსა ქრისტესა[7] ღმრთისა.

2. ძმასა ვისმე აქუნდა ბერი, რომელი შეჰმურვიდა მკუდართა კეთილად. ჰრქუა ერთგზის ოდესმე ძმამან მან ბერსა: მამაო, უკუეთუ მოვკუდე, ესრეთვე მიგულება კეთილად? ჰრქუა მას ბერმან: ესრეთ გიგულო[8] შენ, შვილო, ვიდრემდე[9] თჳთ სთქუა, თუ კმა არს. და შემდგომად არამრავლისა ჟამისა მოკუდა ძმაჲ იგი და სიტყუაჲ იგი საქმით აღესრულა[10]. და იგულა იგი ბერმან კეთილად. მერმე ჰრქუა მას წინაშე ყოველთა: კეთილად გულებულ

[1] უჩუენა + მას D. [2] სიწმიდჱ] სიწმიდე D. [3] ჰჱ, მიუღებიეს და რომელნიმე იტყოდეს – D. [4] უძლურისამან] უძლურმან D. [5] იცილობვით] იცილობით E. [6] წარიხუნეს] წარიხჳნეს D. [7] ქრისტესა ღმრთისა] ქრისტეს ღმრთისასა D. [8] გიგულო] გიგულებ D. [9] ვიდრემდე] ვიდრემდის D. [10] აღასრულა D.

ხარა, შვილო, ანუ თუ გაკლს მცირედ? და განუტევა ჭაბუკმან მან ჴმაჲ და ჰრქუა ბერსა: კეთილად არს, მამაო, და რამეთუ აღთქუმაჲ შენი საქმით აღგისრულებიეს!

3. გჳთხრეს ჩუენ, ვითარმედ იყო ვინმე მამაჲ კრებულთა მონასტრისაჲ და შეემთხჳა მსახურსა მისსა სულმოკლებაჲ და განვიდა მონასტრით და წარვიდა სხუასა ადგილსა. ხოლო ბერი ყოლადვე მივალნ მისა[1] და ჰლოცავნ მას, რაჲთა კუალადიქცეს[2] მონასტრადვე. და მან არა ინება ყოფად ესე. ხოლო ყო ესე ბერმან სამ წელ და დაადგრა ვედრებასა ზედა ძმისასა. მაშინღა ისმინა მსახურმან მან მისმან და უკუმოიქცა მონასტრადვე. მერმე უბრძანა მას ბერმან განსლვად და შეკრებად წნელსა საჴმრისა რაჲსათჳსმე და განმარცხებითა ეშმაკისაჲთა[3] წარწყმიდა თუალი თჳსი. ხოლო ბერი შეწუხნა ფრიად და იწყო შჯულდებად მისა[4] ტკივნეულისა. ჰრქუა მას მსახურმან მისმან: მე ვარ, მამაო, მიზეზი ამის განსაცდელისაჲ, რამეთუ შრომათათჳს რომელ /430/ შე/გამთხჳენ, ესე მოიწია ჩემ ზედა. კუალად უბრძანა ბერმან, რაჲთა წარვიდეს და აღმოჰფხურას ბაიაჲ[5]. და შურებოდა რაჲ მუნ და ჭრიდა[6], შურითა მტერისაჲთა აღვარდა[7] არგანი ერთი ზე, დაეცა მეორესა მასცა თუალსა და აღმოჰჴდა იგიცა. მოვიდა უკუე იგი მონასტრად და დაეყუდა, რამეთუ მიერითგან ვერღარას შურებოდა. ხოლო ბერსა კუალადცა შეუძნდა უმეტეს პირველსა და ვითარცა მოიწია წოდებაჲ მისი, ცნა პირველვე, მოუწოდა ყოველთა ძმათა და ჰრქუა მათ: ახლოს არს აღსასრული ჩემი, ძმანო, განიხილენით თავნი თქუენნი. მაშინ მოადგეს მას გარე[8] ძმანი და ეტყოდეს: და ვის დაგჳტევებ ჩუენ, მამაო? ხოლო ბერი დუმნა. მერმე მოუწოდა ბრმასა მას მარტოდ და აუწყა აღსასრულისათჳს თჳსისა და იგი აღტირდა და ჰრქუა: და ვის დამიტევებ მე ბრმასა ამას, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: ლოცვა ყავ, რაჲთა ვპოვო კადნიერებაჲ წინაშე ღმრთისა და კჳრიაკესა შინა აღსარულო ჟამისწირვაჲ. და ვითარცა დაიძინა[9] ბერმან შემდგომად მცირედთა დღეთა აღეხილნეს და იქმნა მამა მონასტრისა მის და ყოველთავე, რომელნიცა ხედვიდეს და ესმოდეს ესე[10], ადიდებდეს ღმერთსა.

4. წარმგზავნა ვინმე ბერმან მოწაფე თჳსი მოღებად წყლისა. ხოლო იყო ლაკუაჲ იგი და ჯურღმული შორს სენაკისაგან მათისა. და დაჰვიწყდა ძმასა მას მიღებად მას[11] თანა საბელი. და ვითარცა მივიდა ლაკუასა მას ზედა, მაშინღა მოეჴსენა, რამეთუ არა აქუს საბელი. და ყო ლოცვაჲ და ჴმაუყო ჯურღმულსა მას და ჰრქუა: ლაკო, ლაკო, მამაჲ იტყჳს ჩემი, აღმივსე მე სარწყული ესე წყლისა. და მეყსეულად /430v/ აღმოვიდა წყალი იგი ზე და ვითარცა აღავსო ძმამან მან სარწყული იგი მისი წყლითა, მეყსეულად

[1] მისა] მისსა D. [2] კუალადიქცეს] იქცეს D. [3] ეშმაკთაჲთა D. [4] მისა] მისსა D. [5] ბაიაჲ] ბაჲაჲ A. [6] ჭრიდა + და D. [7] აღვარდა] ავარდა D. [8] ~ ძმანი გარე D. [9] დაიძინა] დაჲძინა A. [10] ესე + და D. [11] ~ საბელი მის თანა D.

შთაჴდა ადგილსავე თჳსსა ლაკუაჲ იგი და ძმაჲ იგი ბერითურთ ჰმადლობდა ღმერთსა.

5. ბერი ვინმე სკიტელი მკჳდრობდა მთასა **პაესიოჲსსა**[1]. და მიჰგუარეს მას ეშმაკეული პალატისაჲ და განჰკურნა იგი. მერმე მოართუა განკურნებულმან მან ძაძაჲ სავსჱ[2] ოქროჲთა. ხოლო ბერმან არა ინება მიღებად მისგან ყოლად. და კაცი იგი შეწუხნა ფრიად. იხილა რაჲ იგი ბერმან შეწუხებულად, მიიღო ძაძაჲ იგი ცალიერი და ჰრქუა მას: ოქროჲ ეგე განუყავ გლახაკთა და მიეც მოწყალებად[3]. და შეკერა ბერმან ძაძაჲ იგი კუართად, რამეთუ იყო იგი მქისე და ფიცხელ და მრავალთა წელთა ეცუა იგი და შჭამდა ჴორცთა. ხოლო იგი მოხარული ჰმადლობდა ღმერთსა.

6. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე, რომელი მკჳდრ იყო სკიტეს, ვითარმედ მივიდა მისა ეშმაკი და ენება შესლვაჲ სენაკსა მისსა. და შეკრა იგი ბერმან გარეგნით სენაკისა თჳსისა[4]. კუალად სხუაჲ ეშმაკი მივიდა და იგიცა შეკრა[5]. და შესძინა სხუამანცა მისლვად. და ვითარცა პოვნა ორნი იგი გარე კრულნი, ჰრქუა მათ: რაჲსა სდგათ აქა გარე? და მათ ჰრქუა მას: ამისთჳს, რამეთუ შინაჲთ ზის უძლიერესი და არა მიტევებს[6] ჩუენ შესლვად. ხოლო მან იჴუმია მეტირე სიგლისპე და ჴელ-ყო შესლვად. და ბერმან შეკრა იგიცა. მერმე შეეშინა მათ ლოცვისაგან ბერისა, იწყეს ვედრებად მისა და ეტყოდეს: განგჳტევენ ჩუენ, რაჲთა წარვიდეთ. ჰრქუა მათ ბერმან: წარვედით! და იგი /431/ კდე/მულნი ივლტოდეს და ბერი მოხარული[7] ჰმადლობდა ღმერთსა.

7. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე, ვითარმედ: სენაკი მისი ყოლადვე ნათელ იყო. და ვითარცა იგი დღისით იკითხავნ წიგნსა და შურებიან ჴელთსაქმარსა, ესრეთვე ღამით იქმოდა და ადიდებდა ღმერთსა. წარვიდა ოდესმე ბერი მოწაფითურთ თჳსით აღმოვსებად წყლისა. და უწინარეს მოვიდა ძმაჲ იგი ლაკუად და იხილა ვეშაპი. ჰრქუა მას ბერმან: წარვედ და აღჴედ თავსა ზედა მისსა და დათრგუნე იგი. ხოლო მას შეეშინა და ვერ უძლო წარსლვად. მერმე მიჰმართა ბერმან ყოფად ამას. და ვითარცა იხილა მჴეცმან მან ბერი, ივლტოდა უდაბნოდ სირცხჳლეული. და ბერი მოწაფითურთ ჰმადლობდა ღმერთსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე უკუნითი[8] უკუნისამდე, ამინ![9]

---

[1] პაესიოჲსსა] პაესიოჲსასა. [2] სავსე. [3] მოწყალებად + რამეთუ ჩუენთჳს არად საჭმარ არს. [4] თჳსისა + და D. [5] შეკრა] შეიკრა D. [6] მიტევებს] მიტეობს D. [7] მოხარული] მხიარული D. [8] უკუნითი უკუნისამდე, ამინ] აწ და უოველთა საუკუნეთა, ამინ D. [9] A ნუსხაში ანდერძი: „ლოცვა ყავთ, ფრიად ცოდვილი თეოფილე!“.

თავი კა

მოქალაქობისათჳს სათნოებათა შინა წარმართებულთაჲსა[1]

გუაკურთხენ[2], მამაო!

I. ილოცვიდა ოდესმე **წმიდაჲ ანტონი** სენაკსა შინა თჳსსა. და მოიწია მისა[3] ჴმაჲ, რომელი ეტყოდა: ანტონი, არღა[4] მიწევნულ ხარ[5] ჯერეთ საზომსა მის რომლისამე მეტყავისასა, რომელი[6] არს ალექსანდრიას. აღდგა უკუე იგი[7] განთიად და აღიღო კუერთხი თჳსი ბაიაჲსაჲ[8] და წარვიდა მისა. და ვითარცა მიიწია ადგილსა მას, შევიდა მისა, ხოლო მან იხილა რაჲ იგი, შეძრწუნდა. ჰრქუა მას ბერმან: მაუწყენ მე საქმენი შენნი. ხოლო მან ჰრქუა: არარაჲ კეთილი შემიცნობიეს, მამაო, თავისა ჩემისადა. და ბერი კუალადცა აიძულებდა[9] და იგი მასვე იტყოდა. შემდგომად მრავლისა წყინებისა, /431v/ ჰრქუა ბერსა: მამაო, არარაჲ უწყი, გრწმენინ[10], კეთილთაგანი, გარნა თუ ესე, განთიად ოდეს აღვდგე დაჯდომად ჴელთსაქმარსა ჩემსა, ვიგონებ და ვიტყჳ, ვითარმედ: ყოველი ესე ქალაქი მცირეთგან, ვიდრე დიდადმდე[11] მათდა[12] შევალს სასუფეველსა ცათასა სიმართლისათჳს მათისა. ხოლო მე ოდენ მარტოჲ დამკჳდრებად ვარ სატანჯველსა მას შინა საუკუნესა ცოდვათათჳს ჩემთა. და კუალად სამწუხაროდ მასვე სიტყუასა ვიტყჳ პირველ დაძინებისა. ესმა რაჲ ესე მამასა ანტონის, ჰრქუა მას: ნანდჳლვე, ძმაო, ვითარცა ჴელოვანი ოქრომჭედელი ნებიერად გამოსჭედს ხატსა სამეუფოსა, ესრეთვე შენ ადვილად და განსუენებით დაგიმკჳდრებიეს სასუფეველი. ხოლო მე ყოლად[13] განუკითხველ ვარ და ესოდენთა წელთა უდაბნოჲ დამიმკჳდრებიეს და საზომსა შენსა არა მიმწუთარ ვარ.

---

[1] წარმართებულთაჲსა] წარმართებულთაჲ D. [2] ~ მამაო, გუაკურთხენ D. [3] მისა] მისსა D. [4] არღა] არღარა D. [5] ხარ] ხარა D. [6] რომელი] რომელ D. [7] ~ უკუე განთიად იგი D. [8] ბაიაჲსაჲ] ბაჲაჲსაჲ A. [9] აიძულებდა] აჲძულებდა A. [10] ~კეთილთაგანი გრწმენინ D. [11] დიდადმდე] დიდამდე D. [12] მათდა] მათა D. [13] ყოლად] ყოლად – D.

II. ორნი ვინმე მამათაგანნი ევედრნეს ღმერთსა, რაჲთა უჩუენოს მათ, თუ რომელსა საზომსა არიან იგინი მისრულ. და მოიწია მათდა ჴმაჲ, რომელი ეტყოდა, ვითარმედ მას, რომელსამე დაბასა ეგჳპტისასა არს ვინმე ერისკაცი სახელით **ევხარისტოს**[1] და ცოლსა მისსა ჰრქჳან მარიამ, არღა მიწევნულ ხართ საზომსა მათსა. აღდგეს უკუე ორნივე იგი ბერნი და წარვიდეს დაბასა მას და მოიკითხეს იგი და პოვეს სახლი მისი და ცოლი. და ჰრქუეს[2]: სადა არს ქმარი შენი? ხოლო[3] მან ჰრქუა მათ: მწყემსი არს იგი და აძოებს ცხოვართა. და შეიყვანნა იგინი სახედ[4] თჳსა. და ვითარცა იქმნა მიმწუხრი, მივიდა ევხარისტოს ცხოვართა თანა თჳსთა. და იხილნა რაჲ ბერნი, განუმზადა მათ[5] ტაბლაჲ და /432/ მო/იღო[6] წყალი, რაჲთა დაჰბანნეს ფერჴნი. და ბერთა ჰრქუეს მას: არარაჲსა გემოჲ ვიხილოთ, არა თუ პირველ გჳთხრნეს საქმენი შენნი. ხოლო ევხარისტოს ჰრქუა მათ მრავლითა სიმდაბლითა: მე მწყემსი ვარ ცხოვართაჲ და ესე დედაკაცი ცოლი არს ჩემი. და ბერნი ეგნეს მასვე ზედა ვედრებასა. და მას არა ენება თქუმად. მერმე ჰრქუეს მას: ღმერთსა მოუვლინებიეთ ჩუენ შენდა. ესმა რაჲ სიტყუაჲ ესე, შეძრწუნდა იგი[7] და შეეშინა ფრიად. და ჰრქუა მათ: აჰა ესერა, ცხოვარნი ესე დაგურჩეს მშობელთაგან ჩუენთა და რაჲცა განჰმარჯოს უფალმან შემოსავალი მათი, შევიქმთ მას სამად ნაწილად, ერთსა ნაწილსა გლახაკთათჳს და ერთსა ნაწილსა უცხოთათჳს და ერთსა მას ნაწილსა ვჰყოფთ საჴმრად ჩუენდა. ხოლო რაჲთგან მოვიყვანე დედაკაცი ესე, არს ესე ქალწულ მიერითგან და თჳთოეული ჩუენი თჳს-თჳსად დაიძინებს და ღამით გუმოსიეს ჩუენ ძაძაჲ, ხოლო დღისით ჩუენივე სამოსელი და ვიდრე მოაქჳამადმდე არავინ ცნა ესე კაცთაგანმან. ესმა რაჲ ესე ბერთა მათ, დაუკჳრდა ფრიად. წარვიდეს მიერ შიშით და სიხარულით და ჰმადლობდეს და[8] ადიდებდეს ღმერთსა მოქმედსა[9] ნიშთა და სასწაულთასა.

III. 1. მივიდა ოდესმე **მამაჲ მაკარი** მეგჳპტელი სკიტით მთასა ნიტრიაჲსასა[10] საჴსენებელსა მამისა პამბოჲსსა. და ჰრქუეს მას ბერთა: არქუ, მამაო, სიტყუაჲ ძმათა. ხოლო მან ჰრქუა მათ: მე არღა ქმნილ ვარ მონაზონ, გარნა მიხილვან მონაზონნი. ვჴედ ოდესმე სკიტეს სენაკსა შინა ჩემსა და შემაწყინეს გულისსიტყუათა[11] და მეტყოდეს: აღდეგ და /432v/ წარ/ვედ უდაბნოდ და განიცადე, რაჲცა ჰნახო მუნ. და დავადგერ ბრძოლასა შინა ესევითართა მათ[12] გულისსიტყუათასა, ვითარ ხუთ წელ ოდენ, რამეთუ ვჰგონებდ, თუ ეშმაკთაგან არს. და ვითარ არა განმეშორა გულისსიტყუაჲ იგი ჩემგან, აღვდეგ და წარვედ უდაბნოდ. და ვპოვე მუნ ტბაჲ წყალთაჲ და შორის წყალთა მათ იყო ჭალაკი და მოვიდოდეს ნადირნი

---

[1] ევხარისტოს] ევხარისტოსს D. [2] ჰრქუეს + მას D. [3] ხოლო] ხოლო] და D. [4] სახედ თჳსა] სახლად თჳსად D. [5] მათ – D. [6] მოჲღოA] მოართუა D. [7] იგი – D. [8] და ადიდებდეს – D. [9] მოქმედსა ნიშთა და სასწაულთასა – D. [10] ნიტრიისასა D. [11] გულის-სიტყუათა + ჩემთა D. [12] მათ – D.

ჩუმად ტბისა მისგან. და აჰა ესერა, შორის ნადირთა მათ[1] ვიხილენ მე ორნი კაცნი შიშუელნი ყოლად და შევძრწუნდი მე მათგან ფრიად, რამეთუ[2] ვჰგონებდ, თუ სულნი არიან საუცრებისანი[3]. ხოლო მათ ვითარცა მიხილეს მე შეშინებულად, მრქუეს მე: ნუ გეშინინ, კაცო, რამეთუ ჩუნცა კაცნივე ვართ. და მე ვარქუ მათ: სადანი ხართ, ანუ ვინაჲ, ანუ ვითარ მოხუედით უდაბნოსა ამას? და მათ მრქუეს[4] მე: მონასტრისაგან ვართ კრებულთაჲსა. და იქმნა შეთქმულებაჲ ჩუენი და გამოვედით აქა. და აჰა ესერა, გუაქუს ორმეოცი წელი უდაბნოსა ამას შინა და ერთი ჩუენგანი არს ეგჳპტელი და მეორჱ[5] ლიბიკელი. და იწყეს მათცა კითხვად ჩემდა და იტყოდეს: ვითარ არს ქუეყანაჲ და სოფელი და აღმოვალსღა წყალი[6] ჟამსა თჳსსა და ანუ აქუსღა სოფელსა იეფობაჲ თჳსი? და მე ვარქუ მათ[7]: ჰჱ, მადლითა ღმრთისაჲთა და ლოცვითა თქუენითა ყოველივე კეთილად არს. და მე კუალად ვჰკითხე მათ: ვითარ[8] ძალ-მიც მე მონაზონყოფად? და მათ მრქუეს მე: უკუეთუ არა იჯმნეს კაცმან ყოვლისაგანვე მსოფლიოსა, ვერ ძალ-უც მონაზონყოფად. და მე ვარქუ მათ: მე უძლურ ვარ და ვერ ძალ-მიც, ვითარ თქუენ. /433/ და მათ მრქუეს მე: უკუეთუ ვერ ძალ-გიც ესრეთ, ვითარცა ჩუენ, დაჯედ სენაკსა შინა შენსა და სტიროდე ცოდვათა შენთა. და მე კუალად ვჰკითხე მათ: ოდეს იქმნეს ზამთარი, არა ცივ გეყვისა? და კუალად ოდეს იქმნეს სიცხჱ[9], არა დასწუავსა ჴორცთა თქუენთა? ხოლო მათ მრქუეს მე: ღმერთმან ყო ჩუენ ზედა განგებულებაჲ მოწყალებითა თჳსითა და არცა ყინელი მაწყენს ჩუენ ზამთრის და არცა სიცხჱ[10] მავნებს ჩუენ ზაფხულის. ამისთჳს გარქუ თქუენ, ძმანო, ვითარმედ მე არღა ქმნულ ვარ მონაზონ, გარნა მიხილავნ მონაზონნი. და შენდობა ჰავთ ჩემთჳს მამანო და ძმანო.

2. მოგჳთხრა[11] ჩუენ **მამამან ბიტიმი** ესე, რამეთუ იტყოდა **მამაჲ მაკარი,** ვითარმედ: ვჯედ ოდესმე სკიტეს და შთამოვიდეს ორნი ჭაბუკნი უცხონი მუნ. და ერთსა მას ესხნეს წუერნი, ხოლო მეორე იგი იყო წუერგამოჲ ოდენ. და მოვიდეს იგინი ჩემდა და მრქუეს მე: სადა არს სენაკი მამისა მაკარისი? და მე ვარქუ მათ: რაჲ გნებავს მისგან? და მათ თქუეს: გუესმა მისთჳს და სკიტისათჳს და მოვედით ხილვად მისა. და მე ვარქუ მათ, ვითარმედ: მე ვარ. და იგინი შემივრდეს მე და მრქუეს: აქა გუნებავს დამკჳდრების. და მე, ვითარცა ვიხილენ იგინი ჩჩჳლად და ვითარცა სიმდიდრისაგან, ვარქუ მათ: ვერ ძალ-გიც[12] აქა ყოფად. და მრქუა მე უმწჳსესმან[13] მან: უკუეთუ ვერ ძალ-გჳც აქა ყოფად, წარვიდეთ სხუაგან. ხოლო მე ვარქუ გულისსიტყუასა ჩემსა, რაჲსთჳს განვასხამ მათ[14] და დაჰბრკოლდენ იგინი ჩემდამო, რამეთუ თჳსმან შრომამან წარიოტნეს იგინი. და ვარქუ მათ: /433v/ მოვედით და

[1] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 215r-ზე (აკინძვის შეცდომა). [2] რამეთუ] და D. [3] საუცრებისანი] საოცრებისანი D. [4] მარქუეს D. [5] მეორჱ] მეორე D. [6] წყალი] წყალს აD. [7] მათ – D. [8] ვითარ] ვერ D. [9] სიცხჱ] სიცხე D. [10] სიცხჱ] სიცხე D. [11] მოგჳთხრა] გჳთხრა D. [12] ძალ-გიც] ძალ-გჳც D. [13] უმწჳსესმან] უხუცესმან D. [14] მათ] ამათ D.

აღაშენეთ თავისა თქუენისა სენაკი, უკუეთუ ძალ-გიც. და მათ მრქუეს მე: გჳჩუენე ჩუენ ადგილი და აღვაშენოთ. და მივეც მათ ჭურჭელი: ცული და სათხროლი და სხუაჲ რაოდენიცა-რაჲ უჴმდა და ძაძაჲ ერთი, პური და მარილიცა. და უჩუენე მათ კლდე ფიცხელი და ვარქუ[1]: გამოჰკუეთეთ კლდჱ[2] ესე და მოიღეთ ძელი მინდორით და დაჰრთეთ ზედა, რამეთუ ვჰგონებდი მე, თუ ფრიადისა მისგან ჭირისა მოსწრაფებით ივლტოდინ იგინი. და მოვიღე ბაიაჲ[3] მინდორით და უჩუენე მათ დაწყებაჲ სრბისაჲ და თუ ვითარ ჯერ არს კერვაჲ მისი. და მერმე ვარქუ: იქმოდით[4] სფირიდებსა და მისცემდით მცველთა, რაჲთა მოგართუმიდენ თქუენ პურსა. და მე განვეშორე მათგან მიერითგან. ხოლო მათ ყვეს ყოველივე მოთმინებითა მრავლითა, ვითარცა-იგი ვასწავე მათ და აღაშენეს სენაკი და დასხდეს მას შინა და ჰყოფდეს ლოცვასა მათსა და ჴელთსაქმარსა. დაყვეს უკუე მათ სამი წელიწადი ესრეთ და არცა ერთისა ვის[5] მივიდიან იგინი. ხოლო მე ვჰბრძოდე გულისსიტყუასა ჩემსა და ვიგონებდ თავსა შორის ჩემსა და ვიტყოდე: რაჲ-მე არს საქმე მათი, რამეთუ არა მოვიდეს ჩემდა კითხვად გულისსიტყუათა მათთა? სხუანი შორით მოვლენ ჩემდა და ესენი არიან ახლოს და არა მოვიდეს ჩემდა და არცაღა სხჳსა ვისა[6] მივიდიან, თჳნიერ ოდენ ეკლესიას დუმილით ზიარებისათჳს. და ვილოცე ღმრთისა მიმართ, და ვიმარხე შჳდეული ერთი, რაჲთა /434/ მიჩუენოს[7] საქმე მათი. და შემდგომად შჳდეულისა მის აღვდეგ და წარვედ მათსა, რაჲთა ვიხილო[8], თუ ვითარ სხენან იგინი. და ვითარცა ვჰრეკე კარსა, განმიღეს მე[9] და მომიკითხეს დუმილით. და ვყავ ლოცვაჲ და დავჯედ. და წამ-უყვნა უხუცესმან უმრწემესსა[10] და განვიდა იგი გარე და თხზიდა სირასა. ხოლო სიტყუაჲ ყოლადვე არა ჰრქუა. და მო-რაჲ-იწია ჟამი ცხრაჲჟმისაჲ, დაჰრეკა უხუცესმან და შემოვიდა უმრწემესი იგი და შექმნა მცირედ გბოლვილი და დადგა ტაბლაჲ და დააგო მას ზედა წამისყოფითა[11] უხუცესისაჲთა სამი პაქსიმადი. და დადგა იგი[12] დუმილით და მე ვარქუ მათ: აღდეგით და ვჭამოთ. და აღდგეს და ვჭამეთ. და მოიღეს სარწყული და ვსუთ წყალი. და ვითარცა მოიწია მიმწუხრი, მრქუეს მე: წარხულა, მამაო[13]? და მე ვარქუ მათ: არა, არამედ აქა დავიძინებ. და დამიგეს მე ფსიათი კიდე და მათ დაიგეს ორთავე ერთი ფსიათი და განიჴსნნეს სარტყელნი მათნი[14] და აღიძარცუნეს სქემანი მათნი. და დაისხნეს[15] იგინი სასთუნალ მათსა. ხოლო ვითარცა მიწვეს იგინი, ვილოცე ღმრთისა მიმართ[16], რაჲთა გამომიცხადოს მე საქმე მათი. და განელო სართული სახლისაჲ მის და იქმნა ყოლად ნათელ, ვითარცა დღე. ხოლო იგინი ვერ ხედვიდეს ნათელსა მას. და ვითარცა აზმნეს[17] მათ, ვითარმედ დამეძინა, უგუმირა გუერდსა უხუცესმან უმრწემესსა მას

[1] ვარქუ + მათ D. [2] კლდჱ] კლდე D. [3] ბაიაჲ] ბაჲაჲ AD. [4] იქმოდით] იქმოდეთ D. [5] ვის] ვისსა D. [6] ვისა] ვისსა E. [7] მიჩუენოს + მე E. [8] ვიხილო + საქმე E. [9] მე + კარი D. [10] უმრწემესსა] უმრწამესსა D. [11] ~ უხუცესისა წამისყოფითა E. [12] იგი – D. [13] მამაო – D. [14] მათნი – D. [15] დაისხნეს] დაჲსხნეს A. [16] მიმართ + და ვთქუ ესრეთ E. [17] აზმნეს D.

და აღდგეს და მოირტყნეს სარტყელნი მათნი და აღიპყრნეს ჴელნი მათნი ზეცად მიმართ და მე ვხედევდ მათ, ხოლო იგინი მე[1] ვერ მხედვიდეს. და ვიხილე /434v/ სიმრავლჱ[2] ეშმაკთაჲ, რამეთუ ვითარცა მუმლი ეხუეოდა უმრწემესსა მას ზედა და რომელიმე ასხდებოდიან პირსა ზედა[3] მისსა[4], რომელნიმე თუალთა ზედა მისთა. და ვხედევდ ანგელოზსა ღმრთისასა, რამეთუ[5] აქუნდა მახჳლი ცეცხლისაჲ და სცვიდა მას და იოტებდა ეშმაკთა მისგან. ხოლო უხუცესსა მას ყოლადვე ვერ იკადრებდეს მიახლებად. და ვითარცა მოეახლა განთიადი, მიირეცნეს კუალადცა. და მე ვიჩემე, ვითარმცა აწღა განმეღჳძა და ეგრეთვე მათ ყვეს[6]. და მრქუა მე უხუცესმან მან ესე ოდენ სიტყუაჲ: გნებავსა, რაჲთა წარვთქუნეთ ათორმეტნი იგი ფსალმუნნი? და მე ვთქუ[7]: ჰჱ. და გალობდა უმრწემესი იგი ხუთსა ფსალმუნსა ექუს-ექუს მუჴლით და ერთგზის იტყოდა ალელუჲასა და თჳთოეულსა ზედა მუჴლსა გამოვიდოდა ლამპარი ცეცხლისაჲ პირისაგან მისისა და აღვიდოდა ზეცად. ესრეთვე კუალად უხუცესმან მან ოდეს აღიღის პირი თჳსი და გალობნ, ვითარცა საბელი ცეცხლისაჲ გამოვალნ პირით მისით და აღიწევინ ვიდრე ცადმდე.[8] და მეცა წარვთქუენ მცირედ ფსალმუნნი ზეპირით და ვარქუ მათ: ლოცვა ყავთ ჩემთჳს, და გამოვედ მათგან. ხოლო მათ მოიდრიკნეს მუჴლნი დუმილით და დაადგრეს სენაკადვე თჳსად. და ვცან, ვითარმედ[9] უხუცესი იგი სრულქმნილ არს, ხოლო უმრწემესსა მას ჯერეთცა ჰბრძავს მტერი. შემდგომად უკუე მცირეთა დღეთა დაიძინა[10] უხუცესმან მან ძმამან და მესამესა დღესა უმრწემესმან მან[11]. და ოდეს[12] მივიდიან[13] ვინმე მამათგანნი მამისა მაკარისსა, წარიყვანნის იგინი სენაკსა მათსა და ეტყჳნ: მოვედით და იხილეთ /435/ სა/წამებელი მცირეთა მათ უცხოთაჲ და ადიდებდით მიზეზსა[14] ყოველთა კეთილთასა ღმერთსა.

3. ილოცვიდა ოდესმე **მამაჲ მაკარი** სენაკსა შინა თჳსსა. და მოიწია მისა ჴმაჲ, რომელი ეტყოდა: მაკარი, არღა მიწევნულ ხარ საზომსა ორთა დედათა მის რომლისამე ქალაქისათა[15]. აღდგა უკუე ბერი განთიად და აღიღო კუერთხი თჳსი ბაიაჲსაჲ[16] და იწყო სლვად გზასა მას ქალაქისასა და ვითარცა მიიწია იგი მუნ[17] და ისწავა ადგილი, დაჰრეკა კარსა და გამოვიდა ერთი იგი დედაკაცი და შეიწყნარა სახედ თჳსად. და ვითარცა დასხდეს იგინი მცირედ, მოვიდა სხუაჲცა იგი და უწოდა მათ ბერმან, და მოვიდეს იგინი და დასხდეს[18] მის თანა. ჰრქუა მათ ბერმან: თქუენთჳს თავს-მიც შრომაჲ ესე და სლვაჲ გზისაჲ და უდაბნოჲთ აქა მოსრულ ვარ. მითხართ

---

[1] მე – E. [2] სიმრავლჱ] სიმრავლე DE. [3] ზედა-D. [4] მისსა + და E. [5] რამეთუ] და D. [6] ყვეს] ქმნეს E. [7] ვთქუ] ვარქუ D. [8] ცადმდე] ცამდე D. [9] ვითარმედ] რამეთუ D. [10] დაიძინა] დაჲძინა A. [11] მან – D. [12] ოდეს] უკუეთუ D. [13] ~ ვინმე მივიდიან D. [14] მიზეზსა + მასE. [15] ქალაქისათა] ქალაქისათასა A ნუსხაში ბოლო „სა“ ჩამატებულია გვიანდელი მხედრულით. [16] ბაიაჲსაჲ] ბაჲაჲსაჲ A. [17] E ნუსხა ისევ გრძელდება 219r-ზე (აკინძვის შეცდომა). 18 დასხდეს] სხდეს E.

უკუე საქმე თქუენი, თუ რაჲ არს, ანუ ვითარ არს[1]. ხოლო მათ ჰრქუეს მას: გრწმენინ, მამაო, არა ვართ წმიდა საწოლისაგან ქმართა ჩუენთაჲსა, არცა თუ დღენდელსა ამას დღესა. რასა უკუე საქმესა ეძიებ ჩუენგან? ხოლო ბერი ჰლოცვიდა მათ და ევედრებოდა, რაჲთა უთხრან მას, რაჲცა იგი არს. მაშინ ჰრქუეს მას: ჩუენ სოფელსა ამას შინა უცხონი ვართ ერთი მეორისაგან. ხოლო მივხუდით ჩუენ მეუღლეთა ორთა ძმათა ჴორციელთა. და აჰა ესერა, გუაქუს ჩუენ ათხუთმეტი[2] წელიწადი, რაჲთგან ვმკჳდრობთ სახლსა ამას შინა და არაოდეს[3] გუაჴსოვს, თუმცა ოდეს შელალებულ ვიყვენით ურთიერთარს, ანუმცა გუეთქუა რაჲ სიტყუაჲ უშუერი. ხოლო მოგჳჴდა გონებასა ჩუენსა, რაჲთა დაუტევნეთ /435v/ მეუღლენი ჩუენნი და შევიდეთ მონასტერსა ქალწულთასა. და ფრიად ვედრებულ იქმნნეს ჩუენგან[4] ამისთჳს მამანი, რაჲთამცა განმიტევნეს ჩუენ და არა გუერჩდეს, ვინაჲთგან უკუე ამას საქმესა ვერღარა მივემთხჳენით, ვყავთ აღთქუმაჲ შორის[5] ჩუენსა და ღმრთისა, რაჲთა ვიდრე სიკუდილადმდე[6] ჩუენდა არა ვთქუათ პირითა ჩუენითა სიტყუაჲ საერისკაცოჲ. ესმა რაჲ ესე მამასა მაკარის, თქუა: ჭეშმარიტად არა არს არცა ქალწული, არცა[7] ქმრის ცოლი, არცა მონაზონი, არცა ერისკაცი, არამედ ყოველსა შინა გონებასა ეძიებს[8] კეთილსა ღმერთი და უხუებით მოჰფენს სულსა წმიდასა ყოველთა ზედა[9].

IV. 1. თქუა მამამან **პიმენ მამისა პამბოჲსთჳს**, რამეთუ თქუა მისთჳს **მამამან ანტონი,** ვითარმედ: ფრიადისაგან შიშისა ღმრთისა მოატყუა თავსა თჳსსა მის შორის დამკჳდრებად სულსა ღმრთისასა.

2. თქუა **მამამან პიმენ**, ვითარმედ: მრავალნი მამანი ჩუენნი იქმნნეს ფრიად მოღუაწე, ხოლო სიწლოსა გულისსიტყუათასა თჳთო-თჳთოჲ სამე[10] იქმნა მიწევნულ.

3. თქუა **მამამან პიმენ**: სამნი საქმენი ვიხილენით[11] ჴორციელნი მამასა[12] პამბოს თანა: უზმობაჲ ვიდრე მწუხრადმდე[13] ყოველთა[14] დღეთა და დუმილი და ჴელთსაქმარი.

4. იტყოდეს **მამისა პიმენისთჳს**, ვითარმედ უკუეთუ დასხდიან ოდესმე მის თანა ბერნი[15] იწყიან ბერთათჳს და თუ ჴსენებაჲ შემოიღიან მამისა სისოჲსთჳს, მან ჰრქჳს მათ: დაუტევეთ მამისა სისოჲსთჳს, რამეთუ არა ჩამოვალს საქმე მისი საზომსა მოთხობისასა.

V. იტყოდეს **მამისა პამბოჲსთჳს,** ვითარმედ ვითარცა[16] მიიღო მოსე ხატი ადამისი, ოდეს იგი იდიდა პირი მისი, /436/ ესრეთვე და მამისაცა პამბოჲს პირი ბრწყინვიდა, ვითარცა ბრწყინვალებაჲ ელვისაჲ. და არნ იგი

---

[1] არს – D. [2] ათხუთმეტი] ათორმეტი D. [3] არაოდეს] არა D. [4] ~ ამისთჳს ჩუენგან D. [5] ~ ჩუენს შორის D. [6] სიკუდილამდე D. [7] არცა ქმრის ცოლი – D. [8] ~ კეთილსა ეძიებს E. [9] ზედა + ღმერთი D. [10] სამე] საქმე D. [11] ~ ჴორციელნი ვიხილენით D. [12] მამასა პამბოს] მამისა პამბოჲს D. [13] მწუხრადმდე] მწუხრამდე D. [14] ~ დღეთაყოველთა D. [15] ~ ბერნი მის თანა E. [16] ვითარცა – D.

ვითარცა მეფე მჯდომარე საყდართა ზედა შორის მამათა. მისვე მადლისა ზიარ იყვნეს მამაჲცა სილოვანჱ[1] და მამაჲ სისოჲ.

VI. მიახდა სიკუდიდ **მამაჲ რომანოს**. გარემოადგეს მას ძმანი და ეტყოდეს: ვითარ თანაგუაც ყოფად, მამაო? ჰრქუა მათ ბერმან: არაოდეს მაჴსოვს, თუმცა მეთქუა ოდეს ვისცა თქუენგანისადა, თუ ქმენ ესე რაჲმე საქმე, არა თუ პირველ[2] დავიდვი[3] გულსა, რაჲთა არა განვრისხნე, არა თუ მისმინოს საქმე იგი. და ესრეთ ყოველთა ჟამთა ვიყვენით ერთად მშჯდობით[4] და უშფოთველად.

VII. 1. ჯდა ოდესმე **მამაჲ სისოჲ** მთასა **მამისა ანტონისსა** და დაეყოვნა მსახურსა მისსა მისლვად მისსა[5], ვიდრე ათ თუედმდე და არა იხილა სხუაჲ კაცი. და ვითარცა ვიდოდა იგი მთასა[6] მას, პოვა ვინმე მონადირე ფარანელი, რომელი ინადირობდა ნადირთა ველისათა და ჰრქუა მას ბერმან: ვინაჲ მოხუალ, ანუ რაოდენი ჟამი გაქუს აქა? ხოლო მან ჰრქუა მას: გრწმენინ, მამაო, მაქუს ათერთმეტი თუჱ მთასა ამას და არა მიხილავს სხუაჲ კაცი, თჯნიერ შენსა. ესმა რაჲ ესე[7] ბერსა[8], შევიდა სენაკად თჯსა, იცემდა პირსა და იტყოდა: აჰა ესერა სისოჲ, ჰგონებდი, თუ გიქმნიეს რაჲმე და არცაღა[9] თუ ერისკაცისა ამის ოდენი გიქმნიეს.

2. იტყოდეს **მამისა სისოჲსთჯს**, ვითარმედ ოდეს ეგულვა აღსრულებაჲ, უსხდეს მას მამანი გუერდით და განბრწყინდა პირი მისი ვითარცა მზჱ[10] და ჰრქუა მათ: აჰა ესერა, მამაჲ ანტონი მოვიდა. და შემდგომად მცირედისა თქუა: აჰა ესერა, მწყობრი წინაწარმეტყუელთაჲ მოვიდა და კუალად /436v/ უმეტე/სად-რე განბრწყინდა პირი მისი და თქუა: აჰა ესერა, განწყობილი მოციქულთაჲ მოვიდა. და კუალად უსაკჯრველეს იქმნა პირი მისი და უდიდებულეს და იხილვებოდა იგი ვიეთმე თანა მეტყუელად. და ევედრნეს მას ბერნი[11] და ჰრქუეს: ვიეთ თანა ზრახავ, მამაო? ხოლო მან ჰრქუა მათ: აჰა ესერა, ანგელოზნი მოვიდეს წარყვანებად ჩემდა და მე ვევედრები, რაჲთა მიტეონ მცირედ და შევინანო. ჰრქუეს მას ბერთა: არა გიჴმს სინანული, მამაო! და ბერმან ჰრქუა მათ: გრწმენინ, არა მიხილავს თავი ჩემი, რაჲთამცა მეწყო დაწყებად. და ცნეს ყოველთა, ვითარმედ განსრულებულ არს იგი და შეეშინა. მერმე ჰრქუა მათ ბერმან: იხილეთ, რამეთუ უფალი მოვიდა და იტყჯს: მომგუარეთ მე ჭურჭელი რჩეული ეგე უდაბნოჲსაჲ. და აღივსო სახლი იგი სურნელებითა საწადელითა და საკჯრველითა.

3. ესევე **მამაჲ სისოჲ** ზინ რაჲ სენაკსა შინა თჯსსა, ყოლადვე დაჰჴშავნ კარსა და უკუეთუ ვინ ჰკითხის მას[12] მამისა პამბოჲსთჯს, იტყჯნ: პამბო დიდად დიდ იყო საქმეთა შინა მისთა.

---

[1] სილოვანჱ] სილოვანე DE. [2] პირველ] პირველად D. [3] დავიდვი] დავიდვაE. [4] მშჯდობით – D. [5] მისლვად მისსა – D; მისა E. [6] მთასა] გზასა E. [7] აქ E ნუსხა წყდება. [8] ბერსა – D. [9] არცაღა] არცა D. [10] მზჱ] მზე D. [11] ბერნი – D. [12] მას – D.

VIII. თქუა ვინმე მამათაგანმან, ვითარმედ: ეუბნებოდა ვინმე **მამასა სილოვანეს** და იხილა იგი, რამეთუ განბრწყინდის[1] პირი მისი და ჴორცნი, ვითარცა ანგელოზისაჲ და დავარდა პირსა ზედა თჳსსა. ამასვე მადლსა იტყოდეს სხუათაცა წმიდათათჳს.

IX. იტყოდეს **მამისა სარმატაჲსთჳს,** ვითარმედ მრავალგზის მიიხუნის ორმეოცნი დღენი სამარხავად /437/ განზრახვითა მამისა პიმენისითა და ვითარცა არარანი გარდავლნის იგი. მივიდა უკუე მისა მამაჲ პიმენ და ჰრქუა მას: მითხარ მე, თუ რაჲ გიხილავს ესოდენთა ზედა შრომათა, რომელთა ჰყოფ. ხოლო იგი ეტყოდა მას: არარაჲ მეტი მიხილავს. ჰრქუა მას მამამან პიმენ: არა განგიტევებ[2] შენ[3], არა თუ მითხრა, თუ რაჲ იხილე. ხოლო მან ჰრქუა მას: ერთი ოდენ მიხილავს მარტოდ, რომელ უკუეთუ ვჰრქუა ძილსა, წარვედ, წარვალს და უკუეთუ ვჰრქუა – მოვედ, მოვალს.

X. იტყოდა **მამაჲ მატოჲ მამისა ტითოჲსათჳს,** ვითარმედ: ვერ ჰპოებს კაცი აღებად პირსა თჳსსა და თქუმად მისთჳს, რასაცა რომელსაცა ზედა საქმესა, არამედ ვითარცა ოქროჲ წმიდაჲ იხილვების მამაჲ ტითოჲ აღწონილი სასწორითა.

XI. თქუა **მამამან ფილორომოს**: რაჲთგან ვიშევ წყლისაგან და სულისა, ვიდრე მოდღესამომდე პური უცხოჲ არა ვჭამე, არამედ უფროჲსღა ნამუშაკევისაგან ჩემისა და ჴელთა[4] ჩემთა საქმისა მივეც ორასი დრაჰკანი უძლურთა და გლახაკთა. რამეთუ იყო იგი მწერალი ჴელოვანი და არაოდეს განეშორა[5] წერასა და იქმნა იგი ოთხმეოცისა წლისაჲ ჰასაკითა და არაოდეს მოაკლო გონებაჲ თჳსი ხედვისაგან ღმრთისა.

XII. თქუა **მამამან ფსენთასიოს და მამამან სუროს და მამამან ფსოჲოს**, ვითარმედ: გუესმა სიტყუაჲ **მამისა პახუმისი** და ფრიად სარგებელ გუეყო და ბაძვად კეთილად აღმადგინნა, რამეთუ ვხედავთ მას, რომელ დუმილიცა მისი საქმე არს და სიტყუაჲ, რომლისა ამისთჳს გჳკჳრდა თჳსაგან და ვიტყოდეთ, ვითარმედ: ვჰგონებდით, თუ ყოველნივე /437v/ წმიდანნი ესრეთ დაუბადებიან ღმერთსა მუცლითგანვე დედისაჲთ წმიდად და უბიწოდ და რაჲთურთით ყოლად მიუდრეკელად და არა ჴელმწიფებასა ზედა ძეს ჩუენსა, არამედ ცოდვილნი ცოდვილად დაუბადებიან ღმერთსა და წმიდანი – წმიდად. და ამისთჳს ვერ ძალ-უც ცოდვილთა ღმრთისმსახურებით ცხოვრებაჲ, გარნა აჰა ესერა, ვხედავთ განცხადებულად სახიერებათა ღმრთისათა სხუათაცა ზედა მრავალთა საქმეთა, და ერთად ამას მამასა ზედა, რამეთუ წარმართთა[6] მშობელთაგან იყო[7] ესე მამაჲ და ესოდენ იქმნა ღმრთისმსახურ და რჩეულ და შემკულ და შემოსილ ყოვლითავე სათნოებითა ღმრთისაჲთა, საცნაურ

[1] განბრწყინდის] განბრწყინდა D. [2] განგიტევებ] განგიტეობ D. [3] შენ – D. [4] ჴელთა ჩემთა საქმისა] ჴელთსაქმრისა D. [5] განეშორა] განეშორებოდა D. [6] წარმართთა მშობელთაგან] წარმართთაგანნი D. [7] ~ იყო ესე D.

არს უკუე, რომელ ჩუენცა და ყოველთავე, რომელთაცა ენებოს შემძლებელ ვართ შედგომად მისა, ვინაჲთგან იგი შეუდგა წმიდათა. ნუუკუე და ესე არს წერილიცა იგი: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტჳრთმძიმენი და მე განგისუენო თქუენ“[1]. დავდვათ უკუე აწ სიკუდილი ჩუენი და ცხორებაჲ კაცსა ამას თანა ღმრთისასა, ვინაჲთგან მართლიად მიმიძღჳს ჩუენ გზასა ღმრთისმსახურებისასა.

XIII. 1. იტყოდეს **მამისა ორისთჳს**, ვითარმედ: არა ოდეს გამოვიდა ტყუვილი პირით მისით, არცა ოდეს ფუცა, არცა სწყევა კაცსა ქუეყანასა ზედა, არცა სიტყუაჲ თქუა თჳნიერ რაჲსამე[2] ჭირით.

2. ეტყოდა **მამაჲ ორ მამასა პავლეს**, მოწაფესა თჳსსა: ნუ ოდეს შემოგაქუს, ნუ ოდეს, უცხოჲ რაჲმე სიტყუაჲ სენაკსა ამას!

3. იტყოდეს **მამისა ორისთჳს და მამისა თეოდორესთჳს**, ვითარმედ კეთილი დაწყებაჲ დაეწყო მათ, ვინაჲცა კეთილსა მას ზედა კეთილად გაასრულეს[3] და ყოლადვე და მარადის ჰმადლობდეს ღმერთსა.

1. იყო ვინმე განშორებული, რომელი ძოვდა კამბეშთა /438/ თანა და ილოცა ღმრთისა მიმართ და თქუა: უფალო, მასწავე მე, თუ რაჲღა მაკლს[4]. და მოიწია მისა ჴმაჲ, რომელი ეტყოდა: წარვედ მას რომელსამე კრებულთა მონასტერსა და რასაცა გიბრძანებდენ შენ ყოფად, ჰყოფდი! წარვიდა უკუე მონასტერსა მას და დაადგრა მას შინა და არა იცოდა მსახურებაჲ ძმათაჲ და ეტყჳედ მას ძმანი: ქმენ ესე, უსწავლელო, და ყავ ესე, ბერო სულელო. და მას შეეწყინა ესე და კუალად ილოცა ღმრთისა მიმართ და თქუა: უფალო, არა უწყი მე მსახურებაჲ კაცთაჲ, წარმგზავნე მე ძოვნად მათვე თანა[5] კამბეშთა. და განუტევა ღმერთმან იგი წარსლვად ადგილსავე თჳსსა ძოვნად კამბეშთა[6] მათ თანა.

2. იყო ვინმე ბერი უდაბნოს, რომელი მრავალთა წელთა ჰმსახურებდა ღმერთსა და იტყოდა: უფალო, გულსავსე-მყავ, უკუეთუ სათნო-გეყავ შენ. და იხილა ანგელოზი, რომელი ეტყოდა მას: არღარა ხარ ქმნილ ჯერეთ, ვითარცა მემხლჱ[7] მის რომლისამე ადგილისაჲ. ხოლო ბერსა დაუკჳრდა ესე და თქუა თავსა შორის თჳსსა: წარვიდეღა ქალაქად და ვიხილო, თუ რაჲ არს საქმე მისი, რომელი უაღრეს[8] არს ესოდენთა წელთა მოღუაწებისა ჩემისათა[9]. აღდგა უკუე ბერი და წარვიდა ადგილსა მას, რომელიცა უჩუენა ანგელოზმან. და პოვა კაცი იგი, რამეთუ ჯდა და ჰყიდდა მხალსა. და დაჯდა იგიცა მის თანა ნამეტნავსა მას დღისასა. და ვითარცა მოიცალა კაცმან მან, ჰრქუა მას ბერმან: ძალ-გიცა, ძმაო, შეწყნარებად ჩემდა სახედ შენდა ღამესა ამას? და იგი მხიარულ იქმნა ფრიად და გულსმოდგინედ შეიწყნარა. და

[1] მთ. 11,28. [2] რაჲსამე] რაჲსმე D. [3] გაასრულეს] გაასრულნეს D. [4] მაკლს + მე D. [5] ~ კამბეშთა თან აD. [6] კამბეშთა] კამბეშთავე D. [7] მემხლჱ] მემხლ ეD. [8] უაღრეს] უვაღრეს D. [9] ჩემისათა] ჩემისა D.

ვითარცა მიიწინეს სახლად თჳსა, განჰმზადა კაცმან[1] მან განსასუენებელი ბერისაჲ. ხოლო იგი ჰლოცვიდა მას /438v/ და ეტყოდა: ყავ სიყუარული, ძმაო, და მითხარ მე მოქალაქობაჲ შენი. და კაცსა მას არა ენება თქუმად. ხოლო ბერი მრავალჟამ დაადგრა ვედრებასა ზედა მისსა და ეტყოდა: მითხარ მე, ძმაო, ყოველივე, რაჲცა არს. ლმობილ იქმნა კაცი იგი და ჰრქუა ბერსა: მამაო, მე კაცი ვარ ცოდვილი და არარაჲ მიძღჳს წინაშე უფლისა კეთილი, თჳნიერ მცირედსა რასმე რეცა გულსმოდგინებასა ვაჩუენებ, მწუხრითი მწუხრად მივიღებ საზრდელსა ყოლადვე და მარადის. და სასყიდლისა ამისგან ჩუენისა[2] დავიყენებ ჭამადსა ოდენ ჩემსა და სხუასა მას უღონოთა განუყოფ. და უკუეთუ ვინ შევიწყნარო მონათაგანი ღმრთისაჲ, მას ზედა წარვაგებ. და აღვდეგ რაჲ განთიად და დავჯდებოდი საქმესა ჩემსა, ვიტყჳ, ვითარმედ: ქალაქი ესე ყოველი მცირეთგან ვიდრე დიდადმდე მათდა შევლენ სასუფეველსა ღმრთისასა[3] სიმართლეთათჳს მათთა, ხოლო მე ოდენ მარტოჲ დამკჳდრებად ვარ სატანჯველთა მათ შინა საუკუნეთა ცოდვათათჳს[4] ჩემთა. და კუალად სამწუხაროდ მასვე ვიტყჳ პირველ დაძინებისა. ესმა რაჲ ესე ბერსა მას, თქუა: კეთილ[5] არიან საქმენი ეგე, გარნა არა სამართალ არს, რაჲთამცა უფროჲს იყვნეს ესოდენთა[6] წელთა შრომათა ჩემთა. მერმე ესმა ბერსა მახლობელთაგან ჴმაჲ სიმღერისა[7] და განცხრომისაჲ, რამეთუ იყო სახლი მემხილისაჲ მის ადგილსა საჩინოსა. და ჰრქუა მას: ძმაო, ვინაჲთგან ღმრთისა მიერ[8] კეთილად გნებავს ცხორებაჲ, ვითარ ზი ადგილსა ამას, ანუ ვითარ არა აღშფოთნები, გესმოდის რაჲ ჴმაჲ ესე[9] სიმღერისაჲ? ჰრქუა მას კაცმან მან: მართლიად გეტყჳ შენ, მამაო, არაოდეს აღშფოთებულ ვარ, არცა ოდეს[10] /439/ დაბრკოლე/ბულ ვარ. ჰრქუა მას ბერმან: რასა იგონებ გულსა შინა შენსა[11], ოდეს ესე გესმოდის? და მან ჰრქუა: ლოცვად შემირაცხიეს ყოველივე ჴმოვანებაჲ და ვიტყჳ, ვითარმედ: ყოველივე სათნო არს ღმრთისა და ყოველნივე ცხორებად მივლენ. ესმა რაჲ ესე ბერსა, დაუკჳრდა და ჰრქუა მას: ესე არს რომელი ჰმატს ესოდენთა წელთა შრომათა ჩემთა. და შეუვრდა მას და ჰრქუა: შემინდვე მე, ძმაო, რამეთუ არღა მიწევნულ ვარ საზომსა ამას. და თჳნიერ გემოჲსხილვისა რაჲსაცა ჭამადის განეშორა და წარვიდა უდაბნოდვე[12].

3. გჳთხრა ჩუენ ესე მამათაგანმან ვინმე, ვითარმედ: იყვნეს ვინმე მეგობარნი ორნი, ვაჭარნი აპამიელნი და ვაჭრობდეს იგინი უცხოთა ქუეყანათა. და იყო ერთი იგი მდიდარ და მეორე იგი ზომიერ, ხოლო ესუა მდიდარსა მას ცოლი ქმნულკეთილი ფრიად და პატიოსანიცა, ვითარცა

---

[1] კაცმან – D. [2] ჩუენისა] ჩემისა D. [3] ღმრთისასა] ცათასა D. [4] ცოდვათათჳს ჩემთა] ცოდვათა ჩემთათჳს D. [5] კეთილ] კეთილად D. [6] ესოდენთა] ესე ოდენთა D. [7] სიმღერისაჲ D. [8] მიერ] მიმართ D. [9] ესე – D. [10] ~ დაბრკოლებულ ვარ ოდეს D. [11] შენსა – D. [12] უდაბნოდვე + ბერი იგი D.

საქმემან საცნაურ-ყო. მოკუდა უკუე ქმარი დედაკაცისაჲ მის და იხილა მეორემან მან ვაჭარმან სიკეთე მისი და შუენიერებაჲ და ინება მიყვანებაჲ მისი ცოლად თჳსა, გარნა ჰრცხუენოდა თხრობად მისა, ნუუკუე არა ენებოს. ხოლო იგი ვინაჲთგან გონიერ იყო, აგრძნა და ჰრქუა მას: უფალო ჩემო, სჳმეონ, რამეთუ ესე იყო სახელი მისი, ვხედავ, რამეთუ გულისსიტყუანი გქონან შენ. აწ მითხარ, თუ რაჲ არს გულსა შენსა და მე გულსავსე-გყო შენ. ხოლო იგი პირველად იკრძალვოდა თქუმად მისა და უკუანაჲსკნელ აღიარა და უთხრა მას, ვითარმედ ჰნებავს მიყვანებაჲ მისი ცოლად. ჰრქუა მას დედაკაცმან მან: უკუეთუ ჰყო, რომელი მე[1] გამცნო შენ, უეჭუელად აღვასრულო წადილი შენი. და მან თქუა: ყოველივე, რაოდენიცა[2] მიბრძანო, უცონილად ვყო. /439v/ ჰრქუა მას დედაკაცმან მან: წარვედ სავაჭროდ შენდა და იმარხე, ვიდრემდის გიწოდო შენ და მეცა ჭეშმარიტად არარაჲ ვჭამო, ვიდრე წოდებადმდე შენდა. და მან აღუთქუა ქმნად ამისა, რამეთუ ჰგონებდა, თუ მასვე[3] დღესა მიხადოს მას, ვინაჲთგან არა განეჩინა საზღვარი წოდებისაჲ. წარჴდა უკუე დღე ერთი, მეორჱ[4] და მესამჱ და არა მიხადა მას. და იგი ითმენდა, გინათუ სურვილისათჳს მისისა და[5] გინათუ ღმერთი განაგებდა უმჯობესსა, რაჲთა მისცეს მას მიზეზი მოთმინებისაჲ. და ენება შეცვალებაჲ მისი შეცვალებითა კეთილითა, რამეთუ[6] შემდგომად ამისა გამოჩნდა იგი ჭურ[7] რჩეულად. მიუმცნო უკუე მას დღესაღა მეოთხესა, ოდეს იგი კნინღა მოაკლდებოდა და ვერცაღა თუ ფერჴთა მიერ თჳსთა ძალ-ედვა სლვად, ვინაჲცა ტჳრთვით წარიღეს იგი მისა[8]. ხოლო დედაკაცმან მან განჰმზადა ტაბლაჲ და ცხედარი და მო-რაჲ-ვიდა, ჰრქუა მას: აჰა ესერა, ტაბლაჲ და ცხედარი, სადაცა გნებავს, წარვიდეთ. ჰრქუა მას კაცმან მან: გევედრები შენ, მომეც[9] მცირედ ჭამადი, რამეთუ მოვაკლდები და რამეთუ არცა თუ მაჴსოვსღა, თუ ყოვლად არს დედაკაცი, უზომოჲსაგან ძალისა მოკლებისა. მაშინ ჰრქუა მას დედაკაცმან მან: აჰა ესერა[10], ოდეს მოგემშია, ჩემსაცა და ყოველთა დედათა სიყუარულსა ჭამაჲ აღირჩიე. აწ უკუე ოდეს ეგევითარნი გულისსიტყუანი შემოგიჴდენ, ამას ესევითარსა წამალსა იჴუმევდი და უეჭუელად განსთავისუფლდე ყოველთავე მწი-კულევანთა გულისსიტყუათა ურვებისაგან. და გულსავსებით ირწმუნე ჩემი, რომელ შემდგომად სიკუდილისა ქმრისა ჩემისა, არცა შენ, არცა ვის სხუასა მამაკაცსა დავეახლო, არამედ ესრეთ დავადგრე ქურიობასა შინა საფარველსა ქუეშე[11] ქრისტესსა. /440/ ლმობიერ იქმნა ამას ზედა კაცი იგი და მივიდა შიშად უფლისა და წარვიდა და განყიდა ყოველივე მონაგები თჳსი და განუყო გლახაკთა. და თჳთ შეიმოსა სახჱ[12] მონაზონებისაჲ და შევიდა[13]

[1] მე – D. [2] რაოდენიცა] რაჲცა D. [3] მასვე-D. [4] მეორჱ] მეორე D. [5] და – D. [6] რამეთუ] და D. [7] ჭურ] ჭურად D. [8] მისა] მისსა D. [9] მომეც+ მე D. [10] ესერა – D. [11] ქუეშე] შინა D. [12] სახჱ] სახე D. [13] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 217r-ზე (აკინძვის შეცდომა).

მონასტერსა, რომელი შ֗ნ იყო აპამიას. და სათნო ეყო ღმერთსა ყოვლითავე საქმითა[1] კეთილისაჲთა. ესრეთვე და[2] დედაკაცი იგი შევიდა მონასტერსა ქალწულთასა და მოიგო ცხორებაჲ წმიდაჲ და პატიოსანი და ორნივე ზოგად ჰმადლობდეს ღმერთსა.

4. მიუთხრა ვინმე ესე განშორებულმან ძმათა რაითს[3], სადა-იგი ჰრგავს სამეოცდა ათი ძირი ფინიკი, სადა-იგი მივიდა მოსე ერსა მას თანა ებრაელთასა, ოდეს-იგი გამოვიდეს ეგჳპტით. იტყოდა უკუე განშორებული იგი, ვითარმედ: დავიდევ ოდესმე გულსა შესლვად უშინაგანესსა[4] უდაბნოსა, რაჲთა ვპოო ვინმე უშინაგანეს ჩემსა მონათაგანი ღმრთისათაჲ და ვითარცა ვლე ოთხ დღე და ოთხ ღამე, ვპოვე ქუაბი რაჲმე და მივეახლე რაჲ და შევიხედენ შინა, ვიხილე მოდრეკით მუჴლთა ზედა მჯდომარედ კაცი და ვჰრეკე წესისაებრ მონაზონთაჲსა, რაჲთამცა გამოვიდა იგი და მომიკითხა მე. და იგი ყოლად არა იძრვოდა, რამეთუ ადრევე აღსრულებულ იყო. ხოლო მე არა უდებ ვიქმენ, არამედ შევედ და უპყარ მჴართა მისთა და მეყსეულად დაირღუა იგი და იქმნა ვითარცა მტუერი. და ვითარცა უმეტესად-რე დავხედენ, ვიხილე პალეკარტი, რომელი ეკიდა ზე. და ვითარცა მასცა შევახე ჴელი, იგიცა ავლ იქმნა და განქარდა. და ვგონებდ და მიკჳრდა, თუ რაჲ არს ესე და გამოვედ მიერ. და კუალად ვპოვე სხუაჲ ქუაბი და კუალი კაცისაჲ. და ნუგეშინისცემულ ვიქმენ და მივეახლე ქუაბსა მას და ვითარცა ვჰრეკე, არცა /440v/ ვინ მუნ იყო მსმენელ ჩემდა და ვითარცა შევედ შინა, არავინ ვპოვე არცაღა მუნ. და დავდეგ კარსა მის ქუაბისასა და ვიტყოდე თავსა შორის ჩემსა, ვითარმედ: უეჭველად მოსლვად არს მონაჲ ღმრთისაჲ, სადაცა არს. და ვითარცა იქმნა დღე, ვიხილენ კამბეშნი მომავალნი და მონაჲ ღმრთისაჲ შიშუელი შორის მათსა და დაფარულებაჲ იგი ოდენ ასოთა მისთაჲ დაფარულ იყო თმითა. და ვითარცა მომეახლა მე, ჰგონებდა, თუ სული ვარ საუცრებისაჲ. ამისთჳსცა დადგა ლოცვად, რამეთუ იყო იგი ფრიად განცდილ სულთაგან უკეთურთა[5], ვითარცა უკუანაჲსკნელ თჳთ მაუწყა. ხოლო მე ვცან ესე და ვარქუ მას: კაცი ვარ, მონაო ღმრთისაო, რამეთუ აჰა ესერა, კუალიცა ჩანს ფერჴთა ჩემთაჲ და განმიხილე მე და მიხილე, რამეთუ ჴორც ვარ და სისხლ. შემდგომად უკუე ლოცვისა და ამინისა მომხედნა მე და ნუგეშინისცემულ იქმნა და შემიყვანა მე ქუაბად მისა და მკითხვიდა, თუ ვითარ მივედ მუნ. და მე ვარქუ მას: ძიებად მონათა ღმრთისათა გამოვედ უდაბნოსა ამას, და არა ჴუებულ-მყო ღმერთმან სურვილისაგან ჩემისა. და მე კუალად ვიწყე კითხვად მისა და ვარქუ: და შენ თავადი ვითარ მოხუედ აქა, ანუ რაოდენი წელი გაქუს. გინა ვითარ იზარდები, ანუ თუ ვითარ შიშუელ ხარ და არა გიჴმს შესამოსელი. და მან თქუა: მე თებაიდას[6] ვიყავ მონასტერსა

---

[1] ~ კეთილითა საქმითა E. [2] და – D. [3] რაითს] რაჲთს A. [4] აქედან D ნუსხას აკლია. [5] უკეთურთა] არაწმიდათა E. [6] თებაიდას] თებაჲდას A.

შინა კრებულთასა და მაქუნდა საქმედ ქსოვაჲ ტილოჲსაჲ. ხოლო მომიჴდა გულისსიტყუაჲ, რაჲთა განვიდე მონასტრით და თჳსაგან დავეყუდო და შევიწყნარებდე უცხოთა და ვიქმოდი მოწყალებასა ნამუშაკევისაგან ჴელთა ჩემთაჲსა. და ვითარცა /441/ დავამატ/კიცე გულისსიტყუაჲ ესე, შეუდეგ საქმითაცა აღსრულებად და აღვაშენე მონასტერი და მყვეს ჴელსა ქუეშე ჩემსა, რომელთა უბრძანებდი და მრავალი შემოსავალი შემოვიდოდა ჩემ თანა და ვიღუწიდ მიცემასა გლახაკთა და უცხოთასა. ხოლო მტერმან ჩემმან ეშმაკმან აღიშურვა, ვითარცა ყოლადვე და მაშინცა მერმე იგი მოსაგებელი კეთილი შრომათათჳს, რომელთა ვჰყოფდი ღმრთისათჳს. და აჰა ესერა, ქალწულსა ვისმე დაარწმუნა დამცნებად ჩემდა საქმე. და ვითარცა უქმენ იგი და მივეც, კუალადცა მამცნო. და მიერითგან იქმნა ჩუელებაჲ მოსლვისაჲ და მერმე უმეტესი კადნიერებაჲ, უკუანაჲსკნელ შეხებაჲ ჴელისაჲ და ლაღობაჲ და კოცნაჲ. და მიუდეგით და ვშევით ცოდვაჲ, ვინაჲცა დავყავ დაცემასა მას ზედა ექუსი თუჱ[1]. შემდგომად ამისა ვგონებდ, ვითარმედ გინა დღეს, გინა ხვალე სიკუდილი ყოფად არს და სატანჯველი საუკუნოჲ. და რამეთუ უკუეთუ ვინ მჴევალი მოკუდავისა კაცისაჲ განხრწნეს, სასჯელსა შევარდების იგი, რაოდენ უფროჲსთაღა სატანჯველთა მიეცეს, რომელმან მჴევალი ღმრთისაჲ განხრწნას[2]. ამას რაჲ ესე ვგონებდი, დაუტევე ყოველივე, რაჲცა იყო დედაკაცსა მას და ფარულად, გამოვედ ყოველთაგან და მოვჰმართე უდაბნოსა ამას და ადგილსა ამას მოვიწიე. და ვპოვე ქუაბი ესე და წყაროჲ და ნერგი ესე ფინიკთაჲ და მომართუამს მე ათორმეტსა ტევანსა ფინიკსა წელიწადსა შინა, რაჲთა ბრძანებითა ღმრთისაჲთა რაჲ თუჱ მოიღებს თჳთო[3] ტევანსა და კმა მეყოფვის მე ტევანი /441v/ ერთი ოცდაათ დღე. და შემდგომად ამისა დამწიფდების სხუაჲ, ხოლო შემდგომად მრავლისა ჟამისა განიხრწნა სამოსელი ჩემი და აღორძნდეს თმანი ჩემნი და დავიბურავ მითა ასოთა გუამისათა[4], რომელთა უჴმს დაბურვაჲ. და მე კუალად ვკითხევდ მას, თუ დასაბამსა არა ფრიად შეუძნდაა და მან თქუა: პირველ დაწყებასა შემიძნდა, ვიდრეღა ქუე ვიყავ მდებარე ღჳძლისაგან და ვერ ძალ-მედვა დგომით ყოფაჲ ლოცვისაჲ, არამედ მირეცით მდებარჱ[5] ვჴმობდ მაღლისა მიმართ, ხოლო ვიდევ რაჲ ქუაბსა მას შინა ურვეული ფრიად და ტკივნეული, ვიდრეღა არცა თუ ძალ-მედვა გამოსლვის, ვხედევდ და აჰა, კაცი შემოვიდა და დადგა მახლობელად ჩემსა და მრქუა მე: რაჲ გჭირს, ანუ რაჲ გტკივის? და მე მასვე ჟამსა ძალ-მეცა მცირედ და ვთქუ: ღჳძლი მტკივის. და ვითარცა უჩუენე მას ადგილი სადა მტკიოდა, შეაუღლნა მართლიად თითნი თჳსნი და განაპო ადგილი იგი, ვითარცა მახჳლითა და აღმოსწუადა ღჳძლი ჩემი და მიჩუენა მე წყლული იგი. მერმე დახუეტა ჴელითა და ბანდითა გამოკრიბა

[1] თუჱ] თუე E. [2] განხრწნას] განხრწნეს E. [3] თჳთო] თითო E. [4] გუამისათა] გუამისა ჩემისათა E. [5] მდებარჱ] მდებარე E.

წუთხი და წალაჲ და კუალად დადვა ღჳძლი იგი ადგილსავე თჳსსა და სცხო რაჲმე საცხებელი და მრქუა მე: აჰა ესერა, მრთელ იქმენ, ჰმონე მეუფესა ქრისტესა, ვითარცა შუენის და შეჰგავს. და აურაცხელთა მიერ მოწყალებათა ღმრთისათა მრთელ ვიქმენ მიერითგან და უშრომელად და უჭირველად ვიყოფვი აქა. და მე კუალად ვჰკითხე რიცხჳ წელთა მუნ მკჳდრობისათაჲ და მან თქუა: ვჰგონებ თუ ყოფად /442/ არს უმეტეს ორმეოცისა წლისა, რაჲთგან უდაბნოსა ამას მოვიწიე. და მე ვევედრე მას მრავლითა ვედრებითა, რაჲთა მიბრძანოს მე დამკჳდრებად პირველსა მას შინა ქუაბსა მისსა. და მან მრქუა მე: ვერ ძალ-გიც თავს-დებად კუეთებასა ეშმაკთასა. და[1] მეცა კუალად ესევე გულისჴმა-ვყავ, მერმე შეუვრდი მას, რაჲთა ლოცვა ყოს ჩემთჳს. და ყო ლოცვაჲ და განმიტევა. ხოლო მე გამოვედ და მიგითხარ ესე სარგებელისათჳს, რაჲთა ერთობით ადიდებდეთ ყოველნი მიზეზსა ყოველთა კეთილთასა ღმერთსა.

5. იტყოდა კუალად სხუაჲ ბერი, რომელი ეპისკოპოსობისაცა პატივსა ღირსქმნულ იყო ოქსჳრინხო[2] ქალაქსა ზედა. ხოლო გჳთხრობდა იგი ამას, ვითარცა სხჳსა მაგიერ, გარნა თჳთ იგი იყო, რომელსა ექმნა ესე[3]: მომწადდა[4] უკუე[5] ოდესმე და მომიჴდა[6] გულსა, რაჲთა შევიდე ყოლად უშინაგანესსა მას უდაბნოსა, სადა-იგი არს ნათესავი მარზიკთაჲ და ვიხილო, თუ უძლო ვითა[7] პოვნად გლახაკსა, რომელი[8] გულსმოდგინედ ჰმონებდეს ღმერთსა. და აღვიღე მცირედ პაქსიმადი და ვითარ ოთხისა ოდენ დღისა წყალი და ვიწყე სლვად გზასა მას უდაბნოჲსასა. და ვითარცა გარდაჴდეს ოთხი იგი დღენი, დაილია[9] ჭამადი ჩემი და სუმადი[10] და ურვეულ ვიქმენ, თუ რაჲ ვყო. მერმე მივენდვე ღმერთსა და მივეც თავი ჩემი და ვლე სხუაჲ ოთხი დღჱ[11] თჳნიერ საზრდელისა. ხოლო შეკრბეს რაჲ ერთად უზმობაჲ იგი[12] და ჭირი გზისაჲ, ურვასა შემაგდეს და ღუაწლსა, ვინაჲცა ვერღარა ძლებისაგან ჴორცთაჲსა ქუეყანად მდებარე ვიქმენ. /442v/ და აჰა, კაცი ვინმე საკჳრველი, რომელი მოვიდა ჩემდა და შეახო თითი[13] ბაგეთა ჩემთა, ვითარცა სახედ მკურნალმან და მომავლო ჴელი თუალთა ჩემთა და[14] მეყსეულად განვძლიერდი მე ესოდენ, ვიდრეღა ვჰგონე, თუ არცა მივლიეს და არცა მომმშევიეს. და ვითარცა ვიხილე ძალი მოსრული ჩემდა, აღვდეგ და ვიდოდე უდაბნოსა მას. ხოლო წარჴდეს რაჲ[15] კუალად სხუანი[16] ოთხნი დღენი, კუალადცა მოუძლურდი და აღვიპყრენ ჴელნი ცად[17] მიმართ. და აჰა, კაცი იგი, რომელმან პირველ განმაძლიერა მე, კუალადცა მოვიდა და კუალადცა შეახო მწუერვალი თითისაჲ ბაგეთა ჩემთა

---

[1] აქედან D ნუსხა ისევ გრძელდება. [2] ოქსჳრინხო] იქსჳრინხო D. [3] ესე + ვითარმედ D. [4] მომწადდა] მომიჴდა D. [5] უკუე – D. [6] მომიჴდა გულსა – D. [7] ვითა – D. [8] რომელი] რაჲთა D. [9] დაილია] დაჲლია A; განილია D. [10] სუმადი] სასუმელი E. [11] დღჱ – D. [12] იგი – D. [13] A ნუსხაში წერია „თითა“ და ზევიდან ჩასწორებულია „თი“. [14] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 234r-ზე (აკინძვის შეცდომა). [15] რაჲ – E. [16] სხუანი – D. [17] ცად] ზეცად D.

და განმაძლიერა მე და კუალადცა ვიდოდე, ვიდრემდის სრულ იქმნნეს დღენი **იზ**-ნი[1]. შემდგომად ამისა[2] ვპოვე ტალავარი და წყაროჲ და ფინიკი და ვიხილე კაცი მდგომარჱ[3], რომლისა თმანი თავისა მისისანი იყვნეს სამოსლად მისა. ხოლო იყვნეს მოხუცებულ და ყოფად სპეტაკ თმანი მისნი და იყო იგი ხილვითა საზარელ[4] და საშინელ. და ვითარცა მიხილა მე, მეყსეულად დადგა იგი ლოცვად. და აღასრულა რაჲ ამინი, ცნა ჩემთჳს, რამეთუ კაცი ვარ. მერმე მიპყრა ჴელსა, მკითხვიდა მე და მეტყოდა: ვითარ მოხუედ შენ აქა, ანუ ვინაჲ? და უკუეთუ ჯერეთცა ჰგიეს სოფელი სავსებითურთ და თუ არსღა დევნულებაჲ ქრისტეანეთაჲ? და მე ვარქუ მას: ძიებისათჳს თქუენ, მონათა ღმრთისათა, რომელნი ჭეშმარიტებით ჰმონებთ მეუფესა ქრისტესა[5], მიმოვრორინებ[6] უდაბნოსა ამას, ხოლო დევნულებისათჳს, რომელ იკითხე, ადრევე დასცხრა მადლითა ქრისტესითა, გარნა შენცა მაუწყე, გევედრები, /443/ თუ ვინაჲ ანუ ვითარ მკჳდრ იქმენ უდაბნოსა ამას. ხოლო მან სულთ-ითქუნა სიღრმით გულისაჲთ და იწყო სიტყუად: მე ეპისკოპოსი ვიყავ და ჟამსა მას დევნულებისასა მრავალნი ტანჯვანი მოიწინეს ჩემ ზედა, რომელთაცა მძჳნვარებასა ვერ უძლე თავსდებად და უზორე. და ვითარცა მოვეგე თავად ჩემდა და გულისჴმა-ვყავ უშჯულოებაჲ ჩემი, მივეც თავი ჩემი სიკუდილად[7] და გამოვედ უდაბნოსა ამას. და აჰა ესერა, დამიყოფიეს აქა ორმეოცდა ცხრაჲ წელიწადი და აღუვარებ ღმერსთა და ვევედრები, რაჲთა მომიტეოს მე შეცოდებაჲ ჩემი. ხოლო გამოსლვასა მას ჩემსა აქა, საზრდელი მიბოძა უფალმან[8] ფინიკთა ამათგან, გარნა გულსავსებაჲ შენდობისაჲ ვერ მივიღე ვიდრე ორმეოცდა რვა წლადმდე.[9] ხოლო ამას ოდენ წელიწადსა ნუგეშინისცემულ ვიქმენ და გულსავსე შენდობისათჳს. და ვითარცა იტყოდა იგი ამას, მეყსა შინა აღდგა და სრბით[10] განვიდა გარე და დადგა ლოცვად მრავალჟამ. და ვითარცა აღასრულა ლოცვაჲ, მოვიდა ჩემდა. ხოლო მე ვიხილე რაჲ ხატი პირისა მისისაჲ, შიშმან და ზარმან შემიპყრა მოუთმენელმან, რამეთუ[11] ყოლად ცეცხლ იქმნა იგი და ელვა. და ვითარცა მიხილა მე შეძრწუნებული[13], მრქუა: ნუ გეშინინ, რამეთუ უფალსა მოუვლინებიე შენ, რაჲთა დაჰმარხო გუამი ჩემი. და ვითარცა აღასრულა ლოცვაჲ და ჩემდა მომართ მეტყუელებაჲ, განჰმარტნა ჴელნი თჳსნი და ფერჴნი და აღსასრული მისცა ამიერსა ამას ცხორებასა. ხოლო მე განვხიე /443v/ პალ/ეკარტი ჩემი და ნახევარი დავიყენე თავისა ჩემისადა, ნახევარი იგი შევჰმოსე წმიდასა მას გუამსა მისსა და დავფარე იგი მიწასა შინა და დავჰმარხე. ხოლო შთავსხენ რაჲ მიწასა შინა და ქუეყანასა ყოლად პატიოსანნი იგი ჴორცნი მისნი, მეყსეულად მასვე შინა ჟამსა განჴმეს ფინიკნი

[1] იზ-ნი] ჩჳდმეტნი DE. [2] ამისა] ამისსა D. [3] მდგომარჱ] მდგომარეD E. [4] ~ საშინელ და საზარელ D. [5] ~ ქრისტესა მეუფესა D. [6] მიმოვრორინებ] მიმოვრონინებ D. [7] სიკუდილსა E. [8] უფალმან] ღმერთმან D. [9] წლადმდე] წლამდე D. [10] სრბით] მყის D. [11] რამეთუ] და D. [12] შეძრწუნებული] შეძრწუნვებული D.

იგი და ტალავარი იგი დაირღუა[1] ხოლო მე ვიტირე ფრიად და ვევედრებოდე ღმერთსა, რაჲთა მიბოძნეს მეცა ფინიკნი იგი და აღვასრულო ნეშტი ცხორებისა ჩემისა დღეთაჲ მუნ. და ვითარცა ვერ მივემთხჳე სათხოველსა ჩემსა, ვთქუ თავსა შორის ჩემსა, ვითარმედ: ნუუკუე და[2] არცა არს ნებაჲ ღმრთისაჲ. და ვყავ ლოცვაჲ და წარმოვემართე სოფლად მომართ. და აჰა, კაცი იგი კუალადცა მოვიდა ჩემდა და შეახო ბაგეთა ჩემთა და განმაძლიერა მე და ესრეთ ვიდოდე რაჲ, მოვიწიე კუალად ძამათა თანა ჩემთა და მიუთხარ მათ ყოველივე და ვევედრე მათ და ვჰლოცევდ, რაჲთა არავინ განიწირვიდეს თჳსსა ცხორებასა, არამედ რაჲთა მოთმინებითა მივემთხუეოდით[3] პოვნად ღმრთისა.

6. ორნი ვინმე ბერნი დიდნი ვიდოდეს უდაბნოსა მას სკიტისასა. და ესმა ქუეყანით ამოღმართ კუნესაჲ ვისიმე და სულთქუმაჲ. და ძიება-ყვეს კარი შთასავალი ქუაბისაჲ და შე-რაჲ-ვიდეს შინა, პოვეს დედაბერი ვინმე ქალწული წმიდაჲ მდებარე და ჰრქუეს მას: ვინაჲ მოხუედ აქა დედაბერო, ანუ ვინ არს, რომელი გმსახურებს შენ? რამეთუ ვერარაჲ პოვეს ქუაბსა მას შინა კნინოდენიცა, თჳნიერ იგი ოდენ მარტოჲ სნეული და ქუეყანად მდებარჱ[4]. ხოლო მან ჰრქუა მათ: მაქუს მე ოცდაათრვამეტი /444/ წელი ქუაბსა ამას შინა და კმა-ვყოფ მდელოთა ველისათა და ვჰმონებ მეუფესა ქრისტესა და არა მიხილავს სხუაჲ კაცი, თჳნიერ დღეს თქუენ მოგავლინნა ღმერთმან[5], რაჲთა დაჰმარხნეთ ჴორცნი ჩემნი. და ესე რაჲ თქუა, მეყსეულად დაიძინა[6]. ხოლო ბერნი იგი განკჳრვებულნი ჰმადლობდეს ღმერთსა და დაჰმარხნეს ჴორცნი კეთილისა მის მოღუაწისანი და განეშორნეს მიერ და ადიდებდეს ღმერთსა, რომელსა ყოველივე ყოლადვე ძალ-უც.

7. მაუწყეს ჩუენ ესე განშორებულისა ვისთჳსმე, ვითარმედ განვიდა იგი უდაბნოდ და ემოსა ლევიტონი მარტოდ. და ვითარცა ვლო სამ დღე, აღჴდა იგი კლდესა ზედა და დაჯდა მას ზედა. და აჰა ესერა, იხილა ქუეშეთ კლდისა მის მდელოჲ და კაცი, რამეთუ ძოვდა მწუანვილსა მას ვითარცა ნადირი. და შთაჴდა შთაპარვით განშორებული იგი და შეიპყრა მძოვარი იგი. ხოლო იყო იგი შიშუელი ყოლად და ვერ თავს-იდვა ყნოსად სულსა კაცისასა, არამედ სულმოკლე იქმნა, ვინაჲცა გამოჰკრთა ჴელთაგან მისთა და ივლტოდა დაუმჭირველად. ხოლო ძმაჲ ესე მისრული მისდევდა მას და ჴმობდა: ღმრთისათჳს გდევ, მელოდე მე, მამაო! და იგი მოექცა და ჰრქუა მას: და მეცა ღმრთისათჳს გევლტი, ძმაო. მაშინ აღიძარცუა პალეკარტი თჳსი და განაგდო მისგან და შიშუელმან შიშუელსა დევნა უყო მას. იხილა რაჲ მლტოლვარემან მან, რამეთუ განსთხია სამოსელი თჳსი მისგან მდევარმან მან, დაყოვნდა მისთჳს, შეიწყნარა იგი და ჰრქუა მას: აჰა ესერა,

---

[1] დაირღუა] დაჲრღუა A. [2] და არცა] არა D. [3] აქ E ნუსხა წყდება. [4] მდებარჱ] მდებარე D. [5] ღმერთმან] ქრისტემან D. [6] დაიძინა] დაჲძინა A.

ოდეს განაგდე შენგან ნივთი ამის[1] /444v/ სოფლისაჲ და მეცა გელოდე შენ. ჰლოცვიდა უკუე ძმაჲ იგი და ეტყოდა: მამაო, მარქუ მე სიტყუაჲ, რომლითა ვცხოვნდე მე[2]. ხოლო მან ჰრქუა მას: ევლტოდე კაცთა და დუმენ და სცხოვნდე ძალითა ქრისტესითა.

8. შეთქუმულნი ვინმე ორნი მონაზონ იქმნნეს და მოიგეს მოღუაწებაჲ გარდარეული და ცხორებაჲ სათნოჲ და მოქალაქობაჲ რჩეული აჩუენეს. ხოლო შეემთხჳა ერთსა მას მამაყოფად მონასტერსა ზედა კრებულთასა. და ერთი იგი დაადგრა განშორებასვე შინა და დაყუდებასა და სრულ-ყო მოღუაწებაჲ თჳსი, ვინაჲცა იწყო ქმნად სასწაულთა[3] დიდ-დიდთა: ეშმაკთა განასხმიდა, სნეულთა ჰკურნებდა, მომავალთა საქმეთა წინაჲსწარ მიუთხრობდა. ესმა რაჲ ესე მას, რომელი მოღუაწებისაგან მამა იქმნა, ვითარმედ ესევითართა მადლთა ღირს იქმნა მის თანა შეთქუმული იგი, დაეყუდა, ვითარ სამთა ოდენ შჳდეულთა და იჯმნა კაცთაგან და იწყო ვედრებად ღმრთისა გულსმოდგინედ და იტყოდა: გევედრები შენ, უფალო, გამომიცხადე მე, თუ რაჲ არს საქმე ესევითარი: მოყუასი ჩემი სასწაულთმოქმედ[4] იქმნა და განთქუმულ ყოველთა შორის და მე არცა ერთსა რას ყოლად ესევითარსა მივემთხჳე. და აჰა ესერა, წარმოუდგა მას ანგელოზი უფლისაჲ და ჰრქუა: ამისთჳს იქმნა ესე, რამეთუ იგი ღმრთისათჳს მჯდომარე არს მოთმინებით და კუნესათა შინა და სულთქუმათა გარდაჴდის ჟამთა თჳსთა და დღე და ღამე ტირს დაუცადებელად და სამარადისოდ შიის და /445/ სწყ/ურის სიყუარულისათჳს უფლისა, ხოლო შენ მრავალთა შფოთთა და ზრუნვათა შინა ხარ და მრავალნი მრავალგზის გეზრახებიან, რომლისათჳს კმა არს შენდა კაცთამიერი ნუგეშინისცემაჲ.

9. იტყოდეს სკიტელთათჳს, ვითარმედ არა იყო შორის მათსა სილაღე ამისთჳს, რამეთუ ურთიერთარს ჰმატდეს სათნოებითა. ხოლო იმარხვიდეს იგინი რომელიმე ორ-ორით, რომელიმე სამ-სამით, რომელიმე ოთხ-ოთხით და სხუაჲ შჳდეულითი შჳდეულად. კუალად რომელიმე პურსა არა ჭამნ, სხუაჲ კუალად ღჳნოსა არა სუამნ, და რაჲთა მოკლედ ვთქუა, ყოლად ყოველნივე შემკულ იყვნეს ყოვლითურთ სათნოებითა და ერთობით ადიდებდეს მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ[5] უკუნისამდე, ამინ![6]

---

[1] ~ სოფლისაჲ ამის D. [2] მე – D. [3] ~ დიდ-დიდთა სასწაულთა D. [4] სასწაულთმო-ქმედ] სასწაულთა მოქმედი D. [5] დიდებაჲ + უკუნითი D. [6] A ნუსახაში ანდერძი: „ამის წიგნისა მოხარულნი, ერთობით ყოველნი, აკურთხენ ღმერთმან!“.

თავი კბ

მოთხრობაჲ სულიერი ათორმეტთა მათთჳს განშორებულთა

გუაკურთხენ[1], მამაო!

შეკრბეს უკუე ერთად განშორებულნი წმიდანი ბრძენნი და სულიერნი, რიცხჳთ ვითარ ათორმეტნი და სიტყუაჲ მოჰჴადეს ურთიერთარს თქუმად სათნოებათა სენაკსა შინა წარმართებულთა და თუ რომელი მოღუაწებაჲ სულიერი უღუწიეს კაცად-კაცადსა მათსა.

პირველმან მან და უხუცესმან მათმან თქუა: მე, ძმანო, რაჲთგან ვიწყე დაყუდებად, ყოველითურთ ჯუარს-ვაცუ თავი ჩემი გარეშეთაგან საქმეთა და ვიგონებდი მარადის წერილსა მას, რომელი იტყჳს: „განვხეთქნეთ აპაურნი მათნი და განვაგდოთ ჩუენგან უღელი მათი“[2]. და აღვაგე ზღუდჱ შორჲს სულისა ჩემისა და /445v/ ჴორცი/ელთა საქმეთა და ვთქუ გონებასა შინა ჩემსა, ვითარმედ: ვითარცა-იგი შინაჲთ ზღუდესა მდგომი ვერ ხედავს გარეთ მდგომსა მას, ესრეთვე ნუცაღა შენ გნებავს ხედვაჲ გარეშეთა საქმეთა, არამედ თავსა ოდენ შენსა ხედევდ და მოელოდე დღითიდღე სასოებასა ღმრთისასა. ხოლო უკეთურთა გულისთქუმათა ესრეთ ვხედავ, ვითარცა გუელთა და იქედნისა ნაშობთა. და ოდეს ვაგრძნე იგინი აღმოცენებულად გულსა შინა ჩემსა, გულისწყრომით და რისხვით განვაჴმობ[3] მათ[4] და არაოდეს დავსცხერ რისხვისაგან ჴორცთა ჩემთაჲსა და სულისა, რაჲთა არარაჲ უჯეროჲ ქმნან არაოდეს.

მეორემან[5] თქუა: მე რაჲთგან ვიჯმენ სოფლისაგან, ვარქუ თავსა ჩემსა: დღეს ახლად აღმოიშევ, დღეს იწყე მონებად ღმრთისა, დღეს იწყე აქა მკჳდრობად და მწირობად. ესრეთ იყავ დღითიდღჱ[6], ვითარცა უცხოჲ და ხვალე დამტეობელი სამასპინძლოჲსაჲ. ამას ვიგონებ მე დღითიდღე და ამას ვიწურთი მარადის.

---

[1] გუაკურთხენ, მამაო – D. [2] ფს.2,3. [3] განვაჴმობ] განმაჴმობთD. [4] მათ – D. [5] მეორემან + მან D. 6 დღითიდღჱ] დღითიდღე D.

მესამემან თქუა: მე განთიად აღვალ უფლისა[1] ჩემისა და თაყუანის-ვსცემ მას. და დავაგდებ წინაშე მისსა თავსა ჩემსა და აღუვარებ მას შეცოდებათა ჩემთა და ესრეთ ჩამოვალ ქუემორე და თაყუანის-ვსცემ წმიდათა ანგელოზთა და ვევედრები მათ, რაჲთა ევედრნენ ღმერთსა ჩემთჳს და ყოველთათჳს დაბადებულთა. და ოდეს ესე ვყო, მერმე შთავალ უფსკრულად[2] და რომელი-იგი მაშინ ჰურიათა ყვეს ტყებაჲ იერუსალჱმისათჳს, ოდეს-იგი განასხმიდეს და ტყუე იქმოდეს და იგლოვდეს და /446/ ტირ/ოდეს განსაცდელისათჳს[3] მამათა მათთაჲსა, ამასვე და მეცა ვიქმ, რამეთუ მოვჰვლი გონებითა ყოველთა მათ სატანჯველთა და ვხედავ ასოთა მათ ჩემთა დასჯილთა და ტანჯულთა და ვტირ მოტირალთა თანა.

მეოთხემან თქუა: მე ესრეთ ვარ, ვითარცა მთასა ზეთისხილთასა მჯომარჱ[4] უფლისა თანა და მისთა წმიდათა მოციქულთა და ვეტყჳ თავსა ჩემსა: ამიერითგან ნუღარაჲ იცი ჯორციელი, არამედ ამათ თანა იყავ ყოლადვე და ეძიებდი ამათ და კეთილსა მას ცხორებასა ჰბაძევდი მათსა. და ვითარცა მარიამ დაჯედ ფერჯთა მათ თანა სამეუფეოთა და ისმენდი სიტყუათა მისათა გეტყოდის რაჲ, ვითარმედ: „წმიდაჲ იყვენით, რამეთუ მე წმიდა ვარ. და იქმნენით მოწყალჱ[5] და სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი სრულ არს ზეცათაჲ. და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთაჲ“.

მეხუთემან თქუა: მე ანგელოზთა ვხედავ ყოველსა ჟამსა აღმავალთა და შთამომავალთა წოდებასა ზედა სულთასა. და ყოლადვე მოველი აღსასრულსა და ვიტყჳ: განმზადებულ არს გული ჩემი შენდამი, ღმერთო, განმზადებულ არს გული ჩემი!

მეექუსემან თქუა: მე ვზი დღე ყოველ და ვჰგონებ, თუ[6] ესე სიტყუანი მესმიან უფლისაგან: თქუენ დაშუერით ჩემთჳს და მე განგისუენოთ თქუენ, მერმეცა იღუაწეთ მცირედ და გიჩუენო თქუენ მაცხოვარებაჲ ჩემი და დიდებაჲ ჩემი! უკუეთუ გიყუარ[7] მე და შვილნი ხართ ჩემნი, ვითარცა მამისაგან მვედრებელისა შეირცხჳნეთ![8] უკუეთუ ძმანი ხართ ჩემნი, პატივ-მეცით მე, ვითარცა მრავალსა თქუენთჳს დამთმენელსა! უკუეთუ ცხოვარნი ხართ ჩემნი, /446v/ ჴმაჲ მწყემსისაჲ ისმინეთ! უკუეთუ მონანი ხართ ჩემნი, შეუდეგით ვნებათა მეუფისა თქუენისათა!

მეშჳდემან თქუა: მე სამსა ამას მიმდემად ვიწურთი და დაუცადებელად ვსწავლი თავსა ჩემსა, ესე იგი არს: სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარული, რაჲთა სასოებისა მიერ ვიხარებდე და სარწმუნოებითა განვემტკიცებოდი, ხოლო სიყუარულითა, რაჲთა არცა ერთი ვინ შევაწუხო ოდესცა.

---

[1] უფლისა] მამისა D. [2] უფსკრულად – D. [3] განსაცდელისათჳს] განსაცდელისა მისთჳს D. [4] მჯომარჱ] მჯომარე D. [5] მოწყალჱ] მოწყალე D. [6] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 220r-ზე (აკინძვის შეცდომა). [7] გიყუარ] გიყუარდე D. [8] შეირცხჳნეთ + ჩემგან E.

მერვემან თქუა: მე მფრინვალესა ვხედავ ეშმაკსა და მაძიებელსა, თუ ვინმცა შთანთქას. და სადაცა წარვიდეს, ვხედავ მას შინაგანითა მით თუალითა და ვეევედრები მეუფესა ჩემსა ქრისტესა, რაჲთა უქმ ქმნეს ღონენი და საბრჭენი მისნი. და რაჲთა ვერცა ერთსა ვის უძლოს ძლევად, უფროჲსღა მოშიშთაგან ღმრთისათა.

მეცხრემან თქუა: მე ვჯდე რაჲ ეკლესიას, საცნაურთა მათ ვხედავ ძალთა და უფალსა მას დიდებისასა შორის მათსა, რომელი ჰმატს ყოველთა ელვარებითა. და ოდეს მომეწყინოს, აღვალ მე ზეცად გონებითა და ვხედავ საკჳრველსა მას სიკეთესა ანგელოზთასა და ვისმენ გალობასა მას, რომელსა დაუდუმებელად შესწირვენ უფალსა და დამტკბების სიჰამოვნჱ[1] იგი ჴმისაჲ და საწადელითა მით განვიშუებ ქებათა განცხრომითა, რომლისათჳს ვიგონებცა წერილსა მას, რამეთუ იტყჳს: „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა“, ხოლო ქუეყანისაჲ ყოველი ნაცრად და ნაგევად შემირაცხიეს.

მეათემან თქუა: მე ანგელოზსა მას მცველსა ჩემსა ვხედავ ყოლადვე მახლობელად ჩემსა მდგომსა და დავიცავ თავსა ჩემსა და /447/ ვი/ხსენებ წერილსა, რომელი იტყჳს: წინაჲსწარ ვხედევდ უფალსა წინაშე ჩემსა მარადის, რამეთუ მარჯჳულ ჩემსა არს, რაჲთა არა შევიძრა. მეშინის უკუე მისგან, ვინაჲთგან ხედავს გზათა ჩემთა. და[2] რამეთუ ვხედავ მას დღითიდღე აღმავალად წინაშე ღმრთისა და გამომცხადებელად საქმეთა ჩემთა და სიტყუათა.

მეათერთმეტემან თქუა: მე პირსა მივიღებ სათნოებათასა, ვითარ არს მარხვაჲ და სიწმიდჱ[3], სულგრძელებაჲ და სიყუარული და მოვიწყობ მათ გარე და შორის მათსა ჩავდგები და რომელსაცა კერძსა მივსდრკე, ვეტყჳ თავსა ჩემსა: სადა არიან აწ მზრდელნი იგი შენნი, ნუ მოიწყენ უკუე, ნუცა მოჰმედგრდები, ვინაჲთგან გაქუს მახლობელად შენსა, რომელიცა გენებოს სათნოებაჲ და ფრიად წამონ შენთჳს და მრავალი კეთილი თქუან შენთჳს წინაშე ღმრთისა, უკუეთუ ოდენ პოონ შენ შორის გონებაჲ.

მეათორმეტემან თქუა: თქუენ, ჲ წმიდანო, ფრთენი ზეცით მოგიხუმან და მოქალაქობაჲ ზეცათაჲ მოგიგიეს და არაჲ საკჳრველ არს, რაჲცა სთქუათ, რამეთუ გხედავ თქუენ ამაღლებულთა საქმეთაგან და ზეცისასა მდევართა, ვინაჲცა ძალისა მიერ ზეგარდამოჲსა აღმაღლებულ ხართ ქუეყანისაგან და თავნი თქუენნი სრულიად უცხო გიქმნიან ჴორციელთაგან საქმეთა. რაჲ ვთქუა უკუე თქუენთჳს, ანუ რად გიწოდო თქუენ, გარნა თუ ანგელოზად ქუეყანისა და კაცად ზეცისა! გარნა მე რაჲ ვყო მდაბალმან ამან და ცოდვილმან, რომელსა არარაჲ მაქუს თავისა ჩემისათჳს სათქუმელად ესევითარი, რომელი თჳთ სიცოცხლისაცა და ცხორებისა უღირს ვარ, რომელი ვერარას ვხედავ /447v/ სხუასა, სადაცა ვიდოდი, თჳნიერ ოდენ

[1] სიჰამოვნჱ] სიჰამოვნე D. [2] და – D. [3] სიწმიდჱ] სიწმიდე D.

ცოდვათა ჩემთა მრავალთა წინაშე ჩემსა და ვინაჲცა მივიქცე[1], მათ ვხედავ და მათ განვიცდი. ამისთჳსცა ქუესკნელად ჯოჯოხეთისა დამიშჯიეს თავი ჩემი და ვიტყჳ, ვითარმედ: უეჭუელად მეცა მუნ დასჯილთა თანა ყოფად ვარ და მცირედ უკუანაჲსკნელ მათ თანა შერაცხვად ვარ. და ვხედავ მუნ ტყეებასა და ცრემლთა დაუცადებელთა და გლოვასა[2] ულხინებელსა. ვხედავ მუნ ღრჭენასა კბილთასა და ძრწოლასა მოუთმენელსა, რომლისათჳს შეუვრდები[3] უფალსა ძაძითა და ნაცრითა და სხჳთა ყოვლითავე სიმდაბლითა, რაჲთა არა მივიღო გამოცდილებაჲ განსაცდელთაჲ მათ, რამეთუ ვხედავ მე მუნ ზღუასა ცეცხლისასა სასტიკად აღდუღებულსა, რომლისა ღელვატეხილებაჲ[4], თქუამცა ვინ, თუ მისწუთების ცადმდე. ვახედავ კუალად ესევითარსა მას შინა საშინელსა ზღუასა ცეცხლისასა სიმრავლესა ურიცხუთა კაცთასა შთათხეულსა და ანგელოზთა მათ უწყალოთა უწყალოდ ზედამდგომელთა, რომელთა ყოველთგან ერთი ჴმაჲ ტყებისა და ვაებისაჲ აღიტევების, რომლისა უბადრუკებაჲ საუკუნითგან არა სმენილ არს, რამეთუ ვითარცა ქარქუეტნი იწუებიან საჴუმილსა მას შინა შთათხეულნი.

ვხედავ მოწყალეთა ღმრთისათა გარემიქცეულთა მაშინ ცოდვილთაგან უსჯულოებათათჳს მათთა. და ოდეს ესე ყოველი და სხუაჲ ესევითარი მოვიჴსენო, ვეტყებ და ვეგლოვ ნათესავსა კაცთასა და მიკჳრს და განცჳბრებულ ვარ, თუ ვითარ იკადრებენ თქუმად სიტყჳსა ანუ მიხედვად რასაცა, ვინაჲთგან ესოდენნი ბოროტნი მიელიან სოფელსა ამათ. /448/ გულისსიტყუათა ვიწურთი სამარადისოდ გულსა ჩემსა და უღირსად შემირაცხიეს თავი ჩემი ცისა და ქუეყანისა და ძალისაებრ სრულვ-ჰყოფ წერილსა მას, რომელი იტყჳს: მექმნეს ცრემლნი ჩემნი პურად ჩემდა დღე და ღამჱ[5]. ესე არიან უკუე ბრძენთა მათ სულიერთა მამათა სათნოებანი ესე არს სულმცირჱ[6] თხრობაჲ[7] შუენიერისა მის მოქალაქობისა მათისაჲ ხოლო გუეყავნ ჩუენცა ჴსენებისა ღირსსა მოგებად ცხორებასა, რაჲთა სათნოდ მეუფისა ჩუენისა გამოვჩნდეთ ქრისტესა, რომლისაჲ არს ყოველივე დიდებაჲ, პატივი, სიმტკიცე და[8] სუფევაჲ თანადაუსაბამოჲთ ძით და ყოლად წმიდითურთ უკუენისამდე, ამინ![9]

---

[1] მივიქცე] მივიქეც D. [2] აქ E ნუსხა წყდება. [3] შეუვრდები] ვევედრები D. [4] ღელვატეხილებაჲ] ღელვატეხილობაჲ D. [5] ღამჱ] ღამე D. [6] სულმცირჱ] სულმცირე D. [7] თხრობაჲ] მოთხრობაჲ D. [8] და სუფევაჲ ... უკუენისამდე, ამინ] აწ და ყოველთა საუკუნეთა, ამინ. D. [9] A ნუსხაში ანდერძი: „განსუენებულ-ყავნ სული ნეტარისა მამისა გიორგი მთაწმიდელისაჲ და მშობელთა მისთაჲ, ამინ!“

თავი კგ

უწყებაჲ მოქალაქობისათჳს სათნოებითა შემკულთაჲსა[1]

გუაკურთხენ[2], მამაო!

1. ბერმან თქუა, ვითარმედ: იყო ვინმე ბერი უშინაგანესსა უდაბნოსა დამკჳდრებული ჟამთა მრავალთა, რომელსა მოეგო მადლი სულითა მხედველობისაჲ[3]. ამისთჳს ესმა ორთა ვიეთმე ძმათა მონაზონთა და სურვილ იქმნნეს ხილვად მისა[4] და სარგებელყოფად მისგან. და აღდგეს და გამოვიდეს იგინი სენაკთაგან მათთა და წარემართნეს იგინი სარწმუნოებით მისა მიმართ და ეძიებდეს მონასა ღმრთისასა უდაბნოსა მას[5] შინა. და შემდგომად დღეთა რაოდენთამე მიეახლნეს ქუაბსა მას ბერისასა და იხილეს მათ შორით ვინმე ვითარცა კაცი სპეტაკითა მოსილი, რომელი მდგომარე /448v/ იყო ერთსა რასმე ზედა ბორცუსა მახლობელად წმიდისა მის, ვითარ სამ უტევენ და ჴმა-უყო ძმათა მათ და ჰრქუა: ძმანო, ძმანო! ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: ვინ ხარ, ანუ რაჲ გნებავს? და მან ჰრქუა მათ: არქუთ ბერსა მას, რომლისა მიმავალ ხართ, ვითარმედ მოიხსენე ვედრებისაჲ მის[6]. ხოლო იგინი მივიდეს და პოვეს ბერი და მოიკითხეს იგი და შეუვრდეს[7] მას და ევედრებოდეს სმენად მისგან სიტყუათა ცხორებისათა. და მოძღურებულ იქმნნეს მისგან და სარგებელ-ეყო ფრიად. მერმე შეაჴსენეს მას კაცისა მისთჳს, რომელი იხილეს მომავალთა გზასა და მიმცნებაცა მისი აუწყეს მას. ხოლო მას ესმა რაჲ, ცნა, თუ ვინ იყო და მიზეზ-ყო უმეცრებაჲ მისი და ეტყოდა მათ, ვითარმედ: არავინ კაცთაგანი იყოფვის აქა, ხოლო იგინი აიძულებდეს[8] თხრობად მათდა, თუ ვინ არს, რომელი-იგი იხილეს. მერმე დაცჳვეს პირთა ზედა მათთა და შეუპყრნეს ფერჴნი ბერისანი[9], რაჲთა ისწაონ საქმე იგი. ხოლო ბერმან აღადგინნა იგინი და ჰრქუა მათ:

---

[1] შემკულთაჲსა] შემკულთა D. [2] ~ მამაო გუაკურთხენ D. [3] მხილველობისაჲ D. [4] მისა] მისსა D. [5] მას – D. [6] მის – D. [7] შეურდეს D. [8] აიძულებდეს] აჲძულებდეს A. [9] ბერისანი] ბერსა D.

მომეცით მე სიტყუაჲ, რაჲთა არა გამთქუათ მე წმიდად და გაუწყო საქმე ესე. და მათ აღუთქუეს ყოფად ესე. მერმე ჰრქუა მან[1]: ესე, რომელი იხილეთ სპეტაკითა მოსილად, ანგელოზი არს უფლისაჲ და მოვიდა აქა და ევედრებოდა უძლურებასა ჩემსა[2] და მეტყოდა: ევედრე ჩემთჳს უფალსა, რაჲთა მივემთხჳო დადგომად ადგილსავე ჩემსა, რამეთუ აღსრულებულ არს ჟამი ჩემთჳს განჩინებული ღმრთისა მიერ. ხოლო მე ვჰკითხე, თუ რაჲ არს მიზეზი შერისხვისა მისისაჲ და მან თქუა: დაბასა რომელსამე მკჳდრ იყვნეს მრავალნი კაცნი და მრავლითა ცოდვითა განერისხა ღმერთი და /449 /წარმა/ ვლინა მე წყალობით წურთად მათდა. ხოლო მე ვიხილე რაჲ გარდარეულება[3] უსჯულოებისა მათისა[4], უმეტესი ბრძანებულისა წყლულებაჲ მოვაწიე მათ ზედა, ვიდრეღა მრავალნი წარსწყმდენცა და ამისთჳს ექსორია ვიქმენ პირისაგან წარმავლინებელისა ჩუენისა ღმრთისა. ხოლო მე ვარქუ მას: და ვითარცა შემძლებელ ვარ მე, კაცი, ანგელოზისათჳს ვედრებად ღმრთისა? და მან მრქუა მე: უკუეთუმცა არა უწყოდე, ვითარმედ ისმენს ღმერთი ვედრებასა მონათა თჳსთასა, არამცა მოვედ და გაწყინებდი შენ. ხოლო მე მომეჯსენა თავსა შორის ჩემსა აურაცხელი იგი ღმრთისა მოწყალებაჲ და გამოუთქუმელი იგი და გარდარეული სიყუარული კაცთაჲ, რომელ ღირს-ყვნა იგინი ხილვად თჳსა და ზრახვად და ანგელოზთა მისთა მსახურებად და უბნობად[5], ვითარ-იგი ყო ნეტართა მათ ზედა მონათა თჳსთა ზაქარიას და კორნილიოს და ელიას წინაწარმეტყუელისა და სხუათა მათ ყოველთა წმიდათა. და ქებულებაჲ მივეც დიდებულსა მას და ყოლად წმიდასა სახელსა მისსა და განვცჳბრდი აურაცხელთა[6] ზედა სიტკბოებათა ღმრთისათა. და შემდგომად თხრობისა ამის აღდგა და აღიპყრნა ჴელნი ზეცად და ყო ლოცვაჲ და იქმნა იგი ყოლად, ვითარცა[7] ელვაჲ და ნაკუერცხალი ცეცხლისაჲ და ვითარცა დააცადა ლოცვაჲ, მეყსეულად მიწვა და განისუენა ნეტარმან მან მამამან და ძილი იგი სანატრელი მართალთაჲ დაიძინა[8]. ხოლო ძმათა მათ იგულეს იგი კეთილად და პატიოსნად დაჰმარხეს ლოცვითა და გალობითა და დიდებისმეტყუელებითა ღმრთისაჲთა, რომლისა სათნოებათა /449v/ ჩუენცა ვებაძვნეთ, ძმანო, და განვძლიერდეთ კეთილისყოფად ძალითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომელსა ჰნებავს ყოველთა კაცთა ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა[9] მოსლვაჲ.

2. შეითქუნეს ოდესმე ორნი ძმანი და იქმნნეს მონაზონ და ვითარცა იღუაწეს მას შინა კეთილად, მოუჯდა გულსა, რაჲთა იშენონ მათ თჳს-თჳსად სენაკი შორს ერთმან მეორისაგან და რაჲთა კაცად-კაცადი მათი შეიწყუდიოს მას შინა და დაეყუდოს, რომელთაცა ყვეს ესე და მრავალთა

[1] მან] მათ D. [2] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 221r-ზე (აკინძვის შეცდომა). [3] გარდარეულება] გარდარეულებაჲ D. [4] მათისა] მათისაჲ D. [5] ჳბნობად A. [6] აურაც-ხელთა + მათ D. [7] ვითარცა – D. [8] დაიძინა] დაჲძინა A. [9] ჭეშმარიტებისასა] ჭეშმა-რიტებისა A.

წელთა არა იხილეს ურთიერთარს ამისთჳს, რამეთუ არა გამოვიდოდეს სენაკთაგან მათთა. შეემთხჳა უკუე ერთსა მას უძლურებაჲ და დასნეულდა და მივიდეს მამანი ხილვად მისა. და ვითარცა სხდეს მუნ, მოაკლდა იგი და მყოვარჟამ დაყო და კუალად მოიქცა და ჰკითხეს მას მამათა და ჰრქუეს: რაჲ იხილე? ხოლო მან ჰრქუა მათ: ანგელოზნი ვიხილენ ღმრთისანი, რომელნი მოვიდეს და წარმიყვანეს მეცა და ძმაჲცა ჩემი და აღგჳყვანნეს ჩუენ ცად. და შემემთხჳნეს ჩუენ წინააღმდგომნი ძალნი და ვერ უძლეს დახრწევაჲ ჩუენი. და იყო ვითარცა წარვჰჴედით მათ თანა, იწყეს ჴმობად და იტყოდეს: დიდ არს ძლიერებაჲ[1] სიწმიდისაჲ! და ესე რაჲ თქუა, მეყსეულად დაიძინა[2]. იხილეს რაჲ ესე მამათა, წარმოგზავნეს ძმისა მისისა, რაჲთა აუწყონ მას მიძინებაჲ მისი და წარვიდეს და პოვეს იგიცა აღსრულებულად და დაუკჳრდა საქმე ესე და ადიდებდეს ღმერთსა.

3. ადგილისა რომლისამე აღესრულა ეპისკოპოსი და შეკრბეს მათ კერძოთანი და მოვიდეს მთავარეპისკოპოსისა თანა, რაჲთა უკურთხოს[3] მათ ეპისკოპოსი მიცვალებულისა /450/ მის წილ. ჰრქუა მათ მთავარეპისკოპოსმან: მომეცით მე, რომელი იცით, თუ არს გამოცდილ მწყსად სამწყსოთა ქრისტესთა და მე ვაკურთხო იგი. ხოლო მათ ჰრქუეს მას: ჩუენ არავინ გუყავს, არამედ რომელიცა შენ გარწმუნოს ანგელოზმან შენმან და მოგუცე. ჰრქუა მათ მთავარეპისკოპოსმან: ყოველნივე აქა ხართა? და მათ თქუეს: არა. და მან ჰრქუა მათ: წარვედით უკუე და[4] შეკერბით ყოველნი და მოვედით ჩემდა, რაჲთა ზოგად ყოველთა წამებითა გამოირჩიოს, რომელი-იგი დადგინებად იყოს ეპისკოპოსად. ხოლო იგინი წარვიდეს და შეკრბეს ყოველნივე და მოვიდეს და ევედრებოდეს მას ყოფად კურთხევისა. და მან ჰრქუა მათ: მომეცით მე, რომლისათჳს გულსავსე ხართ და მე ვაკურთხო იგი. და მათ თქუეს: ჩუენ არავინ გუყავს, არამედ რომელიცა ანგელოზმან შენმან მოგუცეს ჩუენ, იგიცა იყოს. პირველად[5] ჰრქუა მათ მთავარეპისკოპოსმან: ყოველნივე აქა ხართა? და მათ თქუეს: ყოველივე აქა ვართ. და მან ჰრქუა: და არავინ ყოლად გაკლსა? და მათ თქუეს: არავინ გუაკლს, თჳნიერ რომელსა უმჭირავს საჴედარი უთავადესისა[6] ჩუენისაჲ. ჰრქუა მათ მთავარეპისკოპოსმან: და გულსავსე ხართა, რომლისათჳს მე გულსავსე ვიქმნე? და მათ თქუეს: გულსავსე ვართ. და მოუწოდა მთავარეპისკოპოსმან მას, რომელსა-იგი ეპყრა კარაული უხუცესისა მათისაჲ და უკურთხა მათ[7] იგი ეპისკოპოსად და მათ მიიყვანეს იგი სიხარულითა დიდითა და წარვიდეს სოფლად მათდა. ხოლო იქმნა ქუეყანასა მას უწჳმროებაჲ და ევედრა ღმერთსა ახალეპისკოპოსი იგი ამისთჳს და ჰრქუა მას ღმერთმან: წარვედ განთიად მას

---

[1] ძლიერებაჲ] კადნიერებაჲ D. [2] დაიძინა] დაჲძინა A. [3] აკურთხოს D. [4] აქ E ნუსხა წყდება. [5] პირველად] კუალად E. [6] უთავადესისა] უხუცესისა D. [7] მათ – D.

/450v/ რომელსამე[1] ბჭესა ქალაქისასა და ვინცა იხილო პირველ შემომავალი, იგი შეიპყარ და ილოცოს და მოვიდეს წყმაჲ. და მან ყო ესრეთ. და წარვიდა მღდელთა თანა თჳსთა და დაჯდა მუნ. და აჰა ესერა, მოვიდოდა[2] ბერი ვინმე ჰინდოჲ შავი და ეკიდა ტჯრთი შეშაჲ, რაჲთა განყიდოს იგი ქალაქსა შინა. და აღდგა ეპისკოპოსი და შეიპყრა იგი და მეყსეულად მოიჴადა ტჯრთი იგი შეშისაჲ ბერმან და ევედრა მას ეპისკოპოსი და ჰრქუა: ლოცვა ყავ, მამაო, რაჲთა მოვიდეს წყმაჲ. ხოლო მან ილოცა. და აჰა ესერა, წყმაჲ მძაფრი გარდამოსაქანელთაგან ცათაჲსა ესოდენ ჴშირი მოვიდა, რომელ უკუეთუმცა კუალად არა ელოცა გარდაღებაჲ, არა დასცხრებოდა წყმაჲ იგი. მერმე ევედრა ბერსა ეპისკოპოსი იგი და ჰრქუა: ჰყავ სიყუარული, მამაო[3], სარგებელისათჳს, გჳთხარ ცხორება შენი, რაჲთა ჩუენცა ვჰბაძვიდეთ კნინოდენ რაჲმე. ჰრქუა მას ბერმან: შემინდვე მე, უფალო, აჰა ესერა, ვითარცა მხედავ, განვალ და მოვჰშჭრი[4] მცირესა[5] ამას ტჯრთსა შეშასა და შევალ და განვჰყიდი მას და მეტსა პურსა ჩემისასა, რომელსა შევშჭამ, არა დავიჭირავ და სამწუხაროდ წარვალ ეკლესიად და მუნ დავიძინებ. და განთიად კუალად აღვდგები და მასვე ვიქმ. ხოლო უკუეთუ იქმნეს ზამთარი ერთ დღე, გინა ორ დღე, ანუ უმეტეს, დავადგრები მე ყოლად უჭმელად, ვიდრემდის იქმნას მყუდროებაჲ და განვიდე მე და შეუძლო მოღებად შეშისა. და სარგებელ ეყო ფრიად[6] ეპისკოპოსსა მღდელთან თანა თჳსთა და ყოველთავე,[7] რომელთაცა ესმოდა, ადიდებდეს ღმერთსა და ჰრქუეს მას: ნანდჳლვე და შენ აღასრულებ წერილსა მას რომელი იტყჳს თუ: მწირ ვარ მე და წარმავალ ქუეყანასა ზედა.

4. ევედრა ვინმე ღმერთსა მამათაგნი, რაჲთა გულსავსე-ყოს იგი, თუ რომელსა საზომსა მიწევნულ არს და გამოუცხადა მას ღმერთმან, ვითარმედ: მას რომელსამე კრებულთა მონასტერსა არს ძმაჲ შენსა უმჯობესი. და აღდგა ბერი და წარვიდა მონასტერსა მას და მიეგება წინამძღუარი სიხარულით, რამეთუ დიდ იყო იგი და განთქუმულ. ჰრქუა მას ბერმან: მნებავს ყოველთავე ძმათა ხილვაჲ და მოკითხვაჲ. და უბრძანა მათ წინამძღუარმან და მოვიდეს ყოველნივე ძმანი. და აჰა მოვიდა ძმა იგი რომლისათჳს გულსავსე იყო ბერი. და ჰრქუა მათ: არსღა ვინა სხუაჲ ძმაჲ თქუენგანი? და მათ ჰრქუეს: ჰჱ, არს, გარნა ხელი არს იგი და სულელი და ბოსტანსა მარგლის. ჰრქუა მას ბერმან: მოხადეთ მასცა. და მოხადეს. და ვითარცა იხილა იგი ბერმან მომავალი, აღდგა და მიეგება მას და[8] განიყვანა იგი თჳსაგან, ჰკითხვიდა მას და ეტყოდა: მითხარ მე, თუ რაჲ არს საქმე შენი. ხოლო მან ჰრქუა მას: მე, მამაო, კაცი სულელ ვარ და უცნობო და არა მაქუს მითხრობად

[1] აქ A ნუსხა დაზიანებულია და აღდგენილია გვინდელი ნუსხურით. [2] ~ ბერი ვინმე მოვიდოდა D. [3] მამაო + და E. [4] მოვჰშჭრი] მოვშჭრი D. [5] მცირესა] მცირედსა D. [6] ფრიად – D. [7] აქ A ნუსხა ნაკლულია, ტექსტი აღდგენილია D ნუსხის მიხედვით. [8] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 235r-ზე (აკინძვის შეცდომა).

შენდა. და ბერი ევედრა მას ფრიად, რაჲთა აუწყოს საქმე მისი. მაშინ ჰრქუა მას: ჴარსა მანქანისასა შემოაგდებს ჩემ თანა მამაჲ სენაკსა შინა ჩემსა და დღითიდღე მოსჭამს საბელთა ფსიათისა ჩემისათა, რომელსა-იგი ვშურები. და აჰა ესერა, მაქუს ოცდაათი წელიწადი რაჲთგან ვითმენ ამას და არაოდეს უტევე გულისსიტყუასა ჩემსა ქონებად ძჯრისა მამისათჳს ჩემისა და არაცა ოდეს ვგუემე ჴარი იგი, არამედ სულგრძელ ვიყავ და კუალადცა დავთხზი საბელი იგი და ვჰმადლობდი ღმერთსა. ესმა რაჲ ესე ბერსა, დაუკჯრდა, რამეთუ ამან საქმემან გამოაჩინა სხუათა მათთჳსცა სათნოებათაგან ძმისა მის კურთხეულისათა.

5. მამათაგანი ვინმე ჯდა სენაკსა შინა თჳსსა და შევიდა სარეცელსა ქუეშე ბერისასა ეშმაკი და იწურთიდა რიცხუსა წიგნთასა, ხოლო ბერი დუმნა. მერმე მოეწყინა ეშმაკსა და შეიმოსა სახჱ გლახაკისაჲ და გამოვიდა ბერისაგან კელობით და აქუნდა ჴელთა მისთა კუერთხი და სფირიდი. ჰრქუა მას ბერმან, ვითარმედ: იცია, თუ რასა იწურთიდი? და მან მიუგო: ჰჱ , ვიცი, რამეთუ ძუელსა შჯულსა ვიწურთიდი. ჰრქუა მას ბერმან: და ახალი არა იცია? ესმა რაჲ ეშმაკსა სახელი ახლისა შჯულისაჲ, მეყსეულად უჩინო იქმნა.

6. მაუწყა[1] ვინმე ჩუენ ეპისკოპოსისა ვისთვისმე, ვითარმედ: მივიდა იგი ოდესმე სოფელსა ერთსა დღესა წმიდასა კჳრიაკესა და ჰრქუა მნეთა თჳსთა: ძიება-ყავთ მღდელი სოფლისაჲ ამის, რაჲთა მოვიდეს და შეწიროს მსხუერპლი იგი წმიდაჲ წმიდისა ჟამისწირვისაჲ. და ვითარცა ძიება-ყვეს, პოვეს მღდელი მდაბიორი სრულიად[2] და წრფელი ფრიად. და უბრძანა მას ეპისკოპოსმან აღსრულებაჲ საიდუმლოჲსაჲ[3] და იგი მეყსეულად შეუდგა ბრძანებულსა. და იხილა ეპისკოპოსმან მღდელი იგი, წარდგა რაჲ წინაშე წმიდისა საკურთხეველისა, რამეთუ ყოლად ცეცხლ იქმნა და ცეცხლსა შინა მდგომარე იყო და არა დაიწვებოდა. და ვითარცა აღასრულა შეწირვა უსისხლოჲსა მის მსხუერპლისაჲ ხუცესმან მან, წარიყვანა იგი ეპისკოპოსმან და შეიყვანა სადიაკონოდ და ჰრქუა მას: მაკურთხე მე, ღირსო მონაო ღმრთისაო! და მღდელმან ჰრქუა მას: და ვითარ შესაძლებელ არს ეპისკოპოსისა, რაჲთამცა მღდლისაგან იკურთხა, რომელი-იგი მის მიერ ჴელდასხმულ არს, უფროჲსღა შენ მე მაკურთხე, მეუფეო! ჰრქუა მას ეპისკოპოსმან: ვერ შემძლებელ ვარ კურთხევად კაცისა ცეცხლსა შინა მდგომარისა და ესრეთ შემწირველსა ძღუენსა მას წმიდასა და თჳნიერ ყოვლისა ცილობისა უდარესი უაღრესისაგან იკურთხევის. ჰრქუა მას ხუცესმან მან: მდაბიორისაებრ სიწრფოებისა შენდობასა ვითხოვ, მეუფეო, და არსა ყოლად მღდელი, რომელიმცა შესწირვიდა წმიდასა საიდუმლოსა[4] და არამცა ცეცხლსა შინა დგა საღმრთოსა?! ესმა რაჲ ესე ეპისკოპოსსა

---

[1] მაუწყა] გუაუწყა E. [2] სრულიად] სრულადE. [3] საიდუმლოსა] საჲდუმლოჲსაჲ AD. [4] საიდუმლოსა] საჲდუმლოსა AD.

მას, დაუკჳრდა ფრიად სიწრფოება იგი მისი და სიწმიდე და სარგებელ ეყო ფრიად, წარვიდა სახედ თჳსა და ადიდებდა ღმერთსა.

7. ბერმან თქუა: არა ჯერ არს ყოლად ზრუნვაჲ არარაჲსა თჳნიერ ოდენ შიშისა ღმრთისაჲ.

8. იტყოდა კუალად ბერი, ვითარმედ: დაღაცათუ შევიწრდი ზრუნვათათჳს ჴორცთა საჴმრისა, არაოდეს იგი პირველ ჟამისა.

9. ბერთა თქუეს: ვითარცა ცეცხლი დასწუავს შეშასა, ესრეთვე უჴმს საქმესა მონაზონისასა, რაჲთა დასწვიდეს ვნებათა.

10. იტყოდეს ბერისა ვისთჳსმე, რომელი მყოფ იყო შორის კრებულისა, ვითარმედ, სამი ესე წარჰმართა უმეტეს ჟამისა ამის კაცთა: მარხვაჲ ფიცხელი, მღჳძარებაჲ ძლიერი და ჴელთსაქმარი დაუცხრომელი[1].

11. სხჳსა ბერისათჳს იტყოდეს კუალად, ვითარმედ ძოვდა იგი ზღუამკუდრისა პირსა, რომელმან დაყო შიშველმან ვითარ სამეოცდაათი ოდენ წელი და მდელოთა მიერ იზარდებოდა იგი.

12. იტყოდეს კუალად ბერისა ვისთჳსმე, რომელი მკჳდრობდა სენაკებს, ვითარმედ: აქუნდა მას კანონი ესევითარი, ოთხსა ჟამსა დაიძინის ღამისასა, ოთხსა ჟამსა დადგის ლოცვად და ოთხსა იქმნ ჴელთსაქმარსა და კუალად დღისით შურებინ ექუს ჟამადმდე და[2] მეექუსით ჟამითგან ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე იკითხავნ წიგნსა, დააპებნ ბაიასა და მიერითგან იღუწინ საზრდელისათჳს. ხოლო საქმე სენაკისა და საურავი აქუნდა მას გარეწარად. ესრეთ აღასრულებდა იგი ყოველთავე დღეთა თჳსთა და ჟამთა და ყოლადვე და მარადის ადიდებდა დაუცხრომელად ღმერთსა, რომლისა არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

[1] აქ E ნუსხა წყდება. [2] აქ D ნუსხა წყდება, ტექსტი აღდგენილია F ნუსხის მიხედვით.

თავი კდ

სიტყუათაგან სულიერთა წმიდათა მამათასა, რომელნი მოღუაწებასა შინა დაბერებულ იყვნეს, მოკლე მოთხრობაჲ ცხადმყოფელი სათნოებათა

გუაკურთხენ, მამაო!

I. წმიდასა და ნეტარსა მამასა ჩუენსა **ათანასეს ალექსანდრიელ** მთავარეპისკოპოსსა ჰკითხეს ვიეთმე, ვითარმედ: სწორ არსა ძე მამისა? და მან მიუგო: სწორ არსა ნათელი ორთა თუალთა ხედვისა?

II. წმიდასა **მამასა ჩუენსა გრიგოლი ღმრთისმეტყუელსა** ჰკითხეს: ვითარ სწორ არს ძე და სული წმიდაჲ მამისა თანა? და მან მიუგო: ვითარცა სამთა მზეთა ერთი ბრწყინვალებაჲ ერთღმრთეებისა ელვარებისაჲ.

III. 1. თქუა **მამამან ესაია:** ოდეს ინებოს ღმერთმან შეწყალებაჲ სულისა და მას არა ენებოს, არამედ კიდე ჰკრთებოდის[1] /451/და თჳსთა ნებათა შედგომად ეძიებდეს, მაშინ მიეშუებს მას ზედა განსაცდელთა, რომელნი-იგი მას არა უნდენ, რაჲთა ესრეთ ძიება-ყოს ღმერთი თჳსი და შემოქმედი.

2. მანვე თქუა: ახლად მონაზონქმნული, რომელი მონასტრითი მონასტრად ვიდოდის, მსგავს არს იგი ზროხასა ბორთაგან აღბორგებულსა და აქა და იქი მიმომორბედსა.

3. კუალად თქუა მანვე: უკუეთუ ვის ენებოს მიგებაჲ ბოროტსა ბოროტისა წილ, შემძლებელ არს იგი წამისყოფითაცა ოდენ ვნებად გონებასა ძმისასა.

4. მასვე ჰკითხეს, თუ რაჲ არს ვეცხლისმოყუარებაჲ და მიუგო: ოდეს ვინ არა ჰრწმენეს, თუ ზრუნავსა ღმერთი მისთჳს და სასოწარკვეთილ იქმნეს აღთქმათაგან ღმრთისათა და სუროდის განვრცომისათჳს უმეტესისა.

5. ჰკითხეს მასვე, თუ რაჲ არს ძჳრისსიტყუაჲ და მან მიუგო: უმეცრებაჲ დიდებისაჲ ღმრთისასა და შური მოყუსისა.

6. კუალად ჰკითხეს: რაჲ არს მრისხანებაჲ? და მან თქუა: ჴდომაჲ, ტყუილი და უმეცრებაჲ.

---

[1] აქედან A ნუსხა ისევ გრძელდება, თუმცა ძლიერ არის დაზიანებული.

IV. თქუა **მამამან ელია:** რაჲ ძალ-უც ცოდვასა, სადა არს სინანული და რად სარგო არს სიყუარული, სადა არს ამპარტავნებაჲ.

2. კუალად თქუა: სამგან აქუს კაცთა გონებაჲ მათი, ანუ ცოდვათა მიმართ ანუ იესუჲ მიმართ, ანუ კაცთა მიმართ.

V. თქუა **მამამან თევდორე:** მრავალთა კაცთაგანთა აქავე ძებნეს განსუენებაჲ პირველ მიცემისა ღმრთისა მიერ მერმესა მას განსუენებასა.

VI. ბერსა ჰკითხეს: ვითარ ყოფად არს აღდგომაჲ? და მან ჰრქუა მათ: ქრისტესა /451v/ ჰკითხეთ ეგე, თუ ვითარ აღდგა, რამეთუ ვითარცა იგი თავადი აღდგა, ერგთვე აღადგინებს ყოველთა ადამიანთა.

VII. შეკრბეს ოდესმე ძმანი **მამისა იოსებისა** და ჰკითხვიდეს მას სიტყუათა ცხორებისათა. ხოლო იგი მოხარული გულსმოდგინედ მიუგებდა მათ და იტყოდა სასოებით: მე დღეს მეფჱ ვარ ქუეყანასა ზედა, რამეთუ გავმეფდი ვნებათა ზედა.

VIII. თქუა **მამამან იაკობ:** არაოდეს ვინებე ყოლად სიტყუასა საერისკაცოსა, არცა თქუმად და არცა სმენად.

IX. თქუა **მამამან ლონგინოს:** სული მაშინ სცნობს, თუ მიუღებიეს სული წმიდაჲ, ოდეს ზეშთა იქმნეს ყოველთავე ვნებათა და მხოლოჲ ოდენ ღმერთი შეიყუაროს.

X. თქუა **მამამან პიმენ:** ნებაჲ და განსუენებაჲ და ამათი ჩუეულებაჲ დაამჴობენ კაცსა.

2. თქუა კუალად: მრავალნი იქმნეს ძლიერ, ხოლო მცირედნი წარემართნეს.

3. კუალად[1] თქუა: მოძღურებაჲ მოყუსისაჲ სწორი არს მხილებისაჲ.

4. თქუა კუალად: მესამისაგან ნათესავით და მამისა მოსესით ვერღარა მოვიდეს ძმანი წარმატებად სკიტეს შინა.

5. კუალად თქუა: უკუეთუმცა არა შეესხნეს მოსეს ცხოვარნი ფარეხს, არამცა ეხილვა ხილვაჲ იგი მაყულოვნისაჲ.

6. თქუა კუალად: შვილნი სემეისნი ნივთ არიან და განმართლებაჲ თავისაჲ, მკლველ არს კაცისა.

XI. თქუა **მამამან პავლე:** შეუდეგით [ყოველნი] იესუს!

XII. თქუა **მამამან სისოჲ:** [ო] დეს გიჩნდეს კაცი მოღუაწედ შენდა, არა სხუაჲ ყო მბრძანებელ შენდა.

1. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რაჲ ვყო, რამეთუ ვწუხ /452/ ჴელთ/ შრომად მისა? ჰრქუა მას ბერმან: იტყოდა მამაჲ სისოჲ, ვითარმედ: არა უჴმს ძმათა ძიებად განსუენებულსა ჴელთსაქმარსა.

2. თქუა კუალად: პატივი მრავალგზის და უშიშოებაჲ მოიყვანებენ ცოდვად.

---

[1] აქედან E ნუსხა ისევ გრძელდება 237r-ზე.

3. [1]ბერმან თქუა[2]: უკუეთუ გენებოს შჯულთაებრ[3] ღმრთისათა ცხორებაჲ, ჵ კაცო, გაქუს შემწედ და მაცხოვარად შჯულისმდებელი[4].

4. კუალად[5] თქუა: უკუეთუ გენებოს ნეფსით ურჩებაჲ ცნებათა ღმრთისათაჲ[6], გყავს თანამსრბოლად[7] დაცემათა ეშმაკი.

5. ბერმან[8] თქუა: უზრუნველობაჲ და დუმილი და ფარული წურთაჲ შობენ უბიწოებასა.

6. ბერმან[9] თქუა: ფუტკარი სადაცა იყოს, თაფლსა შურების. ესრეთვე მონაზონი, სადაცა ვიდოდის, ღმრთისა საქმესა მუშაკობს.

7. კუალად[10] თქუა: სატანა მგრეხელი არს საბლისაჲ და რაჲზომცა შენ გამოუშუა, ეგოდენცა იგი შეგრეხს, ხოლო ესე თქუა გულისსიტყუათათჳს.

8. ბერმან თქუა: ოდეს ინებოს ძმამან წარსლვად[11] ძმისა, ეშმაკი განკითხვისა და ძჳრისზრახვისაჲ ანუ წინა წარუსწრობს, ანუ უკუანა მიუდგეს ძმასა.

9. ბერმან[12] თქუა: მცონარი და უქმი არა ჰნებავნ[13] ღმერთსა.

10. ბერმან[14] თქუა: მიეც გულსმოდგინებაჲ და მიიღებ[15] ძალსა.

11. ბერმან თქუა: მადლობაჲ მეოხ არს უძლურებისათჳს წინაშე ღმრთისა.

12. ბერმან თქუა: ვითარცა კალაჲ დაღათუ დაშავდეს[16], კუალად განსპეტაკნების, ესრეთვე და მორწმუნენიცა დაღათუ დაშავდენ[17] ცოდვითა, კუალად განწმდებიან სინანულითა. და რამეთუ ამით მიზეზითა მიემსგავსა სარწმუნოებაჲ[18] კალასა [19]. /452v/

---

[1] აქედან D ნუსხა ისევ გრძელდება. [2] ბერმან თქუა – D. [3] შჯულთაებრ] სჯულთაებრ D. [4] შჯულისმდებელი] სჯულისმდებელი D. [5] კუალად] ხოლო D. [6] ღმრთისათაჲ] ღმრთისათა D. [7] თანამსრბოლად] თანამებრძოლად D. [8] ბერმან თქუა – D. [9] ბერმან თქუა – D. [10] კუალად თქუა] რამეთუ D. [11] წარსლვად] წარსლვაჲ D. [12] ბერმან თქუა – D. [13] ჰნებავნ] ჰნებავს D. [14] ბერმან თქუა – D. [15] მიიღებს D. [16] დაშავდეს] შავდეს D. [17] დაშავდენ] შავდენ D. [18] A ნუსხაში ანდერძი: „დასრულდა. ბერსა გიორგის შეუნდვენ ღმერთმან“. [19] კალასა] კალიასა A.

თავი[1] კე

უბნობაჲ და ზრახვაჲ სულიერი წმიდათა ბერთაჲ კითხვა-მიგებით[2]

გუაკურთხენ[3]

1. კითხვაჲ: ვითარ ჯერ არს მონაზონისა ყოფაჲ სენაკსა შინა?

მიეგებაჲ: რაჲთა იჯმნას მეცნიერებისაგან მრავალთაჲსა და მოცალე იქმნეს გულისსიტყუაჲ და დაემკჳდროს მის შორის მეცნიერებაჲ ღმრთისაჲ.

2. კითხვაჲ: რაჲ უჴმს კაცსა, რაჲთა იქმნას[4] მონაზონ?

მიგებაჲ: მონაზონი ტრედი არს და ვითარცა სახედ გამოვალს ტრედი ჟამსა თჳსსა და აღფრინდების სიმაღლედ ჰაერისა და განიბერტყს ფრთეთა თჳსთა. ხოლო უკუეთუ დაიყოვნოს[5] ჴურელისაგან თჳსისა კიდე, უცხოთა მიერ ნადირთა და მფრინველთა ველურთა დაკორტნილი, განჰრყუნის შუენიერებასა თჳსსა, ესრეთვე სახედ მონაზონიცა გამოვალს სენაკით ჟამსა ლოცვისასა და წარვალს ეკლესიად წმიდად, რაჲთა განიბერტყნეს გულისსიტყუანი[6] თჳსნი. ხოლო უკუეთუ დაიყოვნოს[7] სენაკისაგან[8] კიდე, დაწერტილი ეშმაკთა მიერ დაბნელდების გულისსიტყჳთა.

3. კითხვაჲ: რომლითა გულისსიტყჳთა გამოყვანებს ეშმაკი მონაზონსა სენაკისაგან?

მიგებაჲ: ეშმაკი მსახრვალი [არს] და ვითარცა მსახრვალი ტკბილთა მიერ სიტყუათა გამოიყვანებს მჴეცსა მას ჴურელისაგან და ვითარცა გამოიტყუოს იგი და გამოიყვანოს[9], მერმე წარიყვანებს მას უბანთა ზედა ქალაქისათა და ჰყოფს მას საბასრავ და საკიცხველ კაცთა[10]. და[11] მერმე დაყოს რაჲ მის თანა დიად**,** უკუანაჲსკნელ ანუ ცეცხლსა შთააგდებს, ანუ წყალსა შინა დაანთქამს[12], ესრეთვე და მონაზონსაცა იგივე /453/ [შეემთხ] უევის ოდეს გულისსიტყუათაგან მოგუნილმან დაუტეოს სენაკი თჳსი.

---

[1] „თავი კე უბნობაჲ და ზრახვაჲ“ აღდგენილია D და F ნუსხების მიხედვით. [2] კითხვა მიგებით] კითხვა-მიგებაჲ E. [3] გუაკურთხენ] მამაო გუაკურთხენ D. [4] იქმნას] იქმნეს E. [5] დაჲყოვნოს A. [6] ~ თჳსნი გულისსიტყუანი D. [7] დაიყოვნოს] დაჲყოვნოსA. [8] სენაკისთაგან D. [9] ~ გამოიყვანოს იგი და გამოიტყუოს E. [10] ~ კაცთა და საკიცხველ D. [11] და – D. [12] დაანთქამს] შთაანთქამს D.

4. კითხვაჲ: უკუეთუ განვიდეს ძმაჲ სამსახურსა და შეემთხჳოს მას დედაკაცი გზასა ზედა, ვითარ განევლტოდის იგი ბრძოლასა სიძვისასა?

მიგებაჲ: ბრძოლასა ვერ ძალ-უც განლტოლვად[1], გარნა საქმით ქმნისაგან ძალ-უც სივლტოლად, უკუეთუ დუმნეს ჟამსა მას შემთხუევისასა, რამეთუ ვითარცა კუესი ეცეს[2] რაჲ საღრტილსა, გამოვალს ცეცხლი, ესრეთვე ჴმაჲ დედაკაცისაჲ ეცეს რაჲ გულსა მამაკაცისასა, იშვების ცოდვაჲ.

5. კითხვაჲ: [რომლითა] გულისსიტყჳთა მოუჴდების კაცსა სი[ძ]ვაჲ?

მიგებაჲ: [არ]ცა ერთი, არცა ორი, არცა ხუთი, არცა ათი გზაჲ გამოსახავს სი[ძ]ვასა, არამედ ყოველთავე გულისსიტყუათა საეშმაკოთა სიძვაჲ აქუს დაფარულად.

6. [კითხვაჲ : კეთილ არსა მოგებად ორი სამოსელი?

მიგებაჲ: მოიგე ორი სამოსელი და ნუ მოიგებ სიბოროტესა, რომელი სრულებით შეაგინებს კაცსა. და რამეთუ სულსა სიბოროტჱ[3] არა უჴმს. ხოლო ჴორცთა საფარველი უჴმს. და უკუეთუ გუაქუნდეს ზომიერი[4], მას კმა-ვიყოფდეთ.

7. კითხვაჲ: ვითარ ჯერ არს აღსრულებაჲ ფსალმუნებასა ღოცვისასა და დაჭირვაჲ საზომსა მახვისასა?

მიგებაჲ: არარას ჴამს ქმნად[5] მეტსა განწესებულისასა, რამეთუ მრავალთა ინებეს პირველ ზეპყრობად და უკუანაჲსკნელ, არცაღა თუ მცირედსა შეუძლეს აღსრულებად.

8. კითხვაჲ: უკუეთუ მაიძულოს[6] ძმამან წარსლვად სენაკად თჳსად, რაჲთა ვსუა სასუმელი ღჳნისაჲ, კეთილ არსა წარსლვაჲ?

მიგებაჲ: ევლტოდე მოსუმურობისაგან ღჳნისა და სცხოვნდე ვითარცა ქურციკი მახისაგან, რამეთუ მრავალნი საქმისა ამისაგან შთავარდეს დაცემასა გულისსიტყუათასა.

9. კითხვაჲ: უკუეთუ დამაბრკოლოს მე ძმამან, გნებავსა რაჲთა მოუდრიკნე მას მუჴლნი?

მიგებაჲ: მოუდრიკენ მას მუჴლნი და იჯმენ მისგან, რამეთუ ამისა მოძღურად გუყავს მამაჲ არსენი, რომელი იტყჳს: ყოველთა თანა სიყუარული გაქუნდინ და ყოველთაგანვე კიდე იყავ.

10. კითხვაჲ: რასა ერგების კაცსა [ევხარისტის[7]] შეწირვაჲ ეკლესიასა?

მიგებაჲ: საქმე ესე საუნჯე არს მდებარჱ[8] წინაშე ღმრთისა, რამეთუ რაოდენი-რაჲ დასდვა აქა, ზეცად მიმართ აღრბის იგი.

11. კითხვაჲ: მნებავს[9], რაჲთა ვიწამო ღმრთისათჳს.

მიგებაჲ: უკუეთუ ვინ ჟამსა განსაცდელისასა დაუთმოს მოყუასსა, სწორავს იგი საჴუმილსა მას სამთა ყრმათასა.

---

[1] განლტოლვად] სივლტოლვად D. [2] ეცეს] ეცემის D. [3] სიბოროტჱ] სიბოროტე DE. [4] ზომიერი + ჯეროვა ნD. [5] ქმნაჲ E. [6] მაჲძულოს A. [7] A ნუსხაშია გვიანდელი ნუსხურით ჩამატებული „ავხარისტს“. [8] მდებარჱ] მდებარე DE. [9] მნებავს] გნებავსა D.

12. კითხვაჲ: რაჲსათჳს აწყენს კაცსა სიძვაჲ ესოდენ ძნელად?

მიგებაჲ: ამისთჳს, რამეთუ იცის [ეშმაკმან], რომელ სი[ძვაჲ] უცხო-მყოფს ჩუენ სულისაგან წმიდისა და რამეთუ ესმის უფლისაჲ, რომელი იტყჳს: არა დაადგრეს სული კაცთა ამათ ზედა, რამეთუ არიან იგინი ყოლად [ჴორც!]

13. კითხვაჲ: ვითარ ჯერ არს დაყუდებაჲ[1] სენაკსა შინა?

მიგებაჲ: რაჲთა არა აქუნდეს ყოლად [ჴსე]ნებაჲ კაცისაჲ, ჯდეს რაჲ სენაკსა შინა.

14. კითხვაჲ: რომელი საქმე უჴმს ქონებად სულსა, რაჲთა მისთჳს ოდენ მოცალე იყოს?

მიგებაჲ: ესე არს სრული საქმე მონაზონისაჲ, რაჲთა ხედვიდეს ღმერთსა ყოლადვე და მარადის უდრეკელად[2].

15. კითხვაჲ: ვითარ თანააც ოტებაჲ მწინკულევანთა გულისსიტყუათაჲ?

მიგებაჲ: ვერ ძალ-უც ამას ყოფად ყოლად თავით თჳსით. და რამეთუ არცა თუ აქუს ძალი ესევითარი, არამედ ოდეს გულისსიტყუათა შევარდეს სული, უღირს, რაჲთა მეყსეულად მიივლტოდის ვედრებით დამბადებელისა თჳსისა და მან დამდნარ-ყვნეს იგინი ვითარცა ცჳლი. და რამეთუ ღმერთი ჩუენი ცეცხლ შემწუელ[3] არს[4].

16. კითხვაჲ: ვითარ მამანი ჩუენნი სკიტელნი წინააღმდგომთა გულისსიტყუათა იჴუმევდეს?

მიგებაჲ: და იგიცა საქმე დიდ არს და მაღალ[5], გარნა შრომაჲ უჴმს ფრიადი და არ ყოველთათჳს მისანდობელ არს.

17. კითხვაჲ: ვითარ არა ყოველთათჳს მისანდობელ არს?

მიგებაჲ: ოდეს გულისსიტყუაჲ მოუჴდეს სულსა და ჰბრძოლოს მას და შეუძლოს მას[6] განდევნად, მერმე სხუაჲ შემოვალს და მოეხუევის სულსა და ესრეთ დღე ყოველ რაჲ ჰბრძოდი და ეწყვებოდი[7] სხუათა და სხუათა გულისსიტყუათა, არღარა ოდეს მოგეცალოს ხედვად ღმრთისა.

18. კითხვაჲ: რომლითა უკუე ღონითა მიივლტის გულისსიტყუაჲ ღმრთისა?

მიგებაჲ: უკუეთუ მოვიდეს შენდა გულისსიტყუაჲ სიძვისაჲ, მეყსეულად მოსტაცე მისგან გონებაჲ შენი და მალიად და მოსწრაფებით აღიყვანე გონებაჲ შენი ზე და ყოვლადვე ნუ დაიყოვნებ მის თანა. და რამეთუ დაყოვნებასა თანამიყოლისა ვნებაჲ აქუს.

19. კითხვაჲ: უკუეთუ ზუაობისა გულისსიტყუაჲ მოვიდეს და იტყოდის, თუ წარგუემართების[8] სათნოებაჲ, არა ჯერ არს დაუბნებად გულისსიტყჳსა?

---

[1] დაყუდებაჲ + ყოლად E. [2] უდრეკელად] მიუდრეკელად E. [3] შემწუელ] განმლეველ E ჩამატებულია განსვავებული მელნით. [4] აქ A ნუსხა წყდება, ტექსტი აღდგენილია D ნუსხის მიხედვით. [5] მაღალ] მაღალი E. [6] მას – E. [7] ეწყვებოდი – D. [8] წარგუემართების] წარგიმართებიეს E.

მიგებაჲ: რასაცა ჟამსა ეშჯოდის ვინ და წინაგანეწყვებოდის, იგი უძლიერეს და უკჳრეს იქმნების. რამეთუ უმეტესთა მიზეზთა ჰპოებს იგი შენსა, წინა თუ არა[1] აღუდგებოდი. და კუალად სული წმიდაჲ არღარა ფრიად შეგეწევის შენ, რამეთუ გპოებს შენ ლაღად და თჳთ კმამყოფელად, მოსაჯუულად თავისა და მტერთა მიმართ ბრძოლისა, რამეთუ ვითარცა სახედ ოდეს მამაჲ ვის ესუას სულიერი, ყოველსავე საქმესა თჳსსა მამასა მიანდობს და არცა ერთსა[2] რას ზრუნავს თჳთ, არცა ღმრთისა კერძსა[3] და არცა თავისასა, ესრეთვე სახედ, რომელმან მისცეს თავი თჳსი ღმერთსა, არღარა უღირს ყოვლად ზრუნვისა ყოფად გულისსიტყუათათჳს, არცაღა უღირს ყოლად წინააღდგომაჲ[4], არცა სარჩელი, არცა[5] შეშუებაჲ თავსა შორის თჳსსა, უკუეთუ კულა შემოგიჴდეს, ზე აღიყვანე იგი მამისა შენისა და არქუ მას: მე შენ თანა საქმჱ[6] არა მიც, აჰა შენდა მამაჲ ჩემი. და მერმეცა აღზიდე მას აღმართ და ვიდრე შუაგზადმდე დაგიტეოს შენ და ივლტოდის შენგან, ამისთჳს რამეთუ ვერ ძალ-უც მოსლვაჲ შენ თანა მამისამდე შენისა, ვერცა დადგომად წინაშე პირსა დიდებისა მისისასა. ამის უკუე სათნოებისა არა არს უფროჲს და უაღრეს, არცა უუზრუნველეს ყოველსა შინა ეკლესიასა.

20. კითხვაჲ: ვითარ უკუე სკიტელნი წინააღდგომასა შინა და ცილობასა გულისსიტყუათასა სათნო-ეყვნეს ღმერთსა?

მიგებაჲ: ვინაჲთგან იგი[7] სიწრფოებით და შიშითა ღმრთისაჲთა იქმოდეს ამას, ამისთჳს ღმერთი შეეწეოდა მათ და უკუანაჲსკნელღა[8] საქმე ესე ხედვისაჲ მოვიდა მათ თანა ნებითა ღმრთისაჲთა მრავალთათჳს შრომათა მათთა და ღმრთისმოყუარებათა. და იტყოდა დიდი იგი, რომელმან[9] გუასწავა, ვითრამედ: მივედ ოდესმე სკიტეს და შევედ ბერისა ერთისა წმიდისა, რომელი მუნ დაბერებულ იყო და ვითარცა მო-ოდენ-მიკითხა და ჯდა, არცა ერთი რაჲ სიტყუაჲ მომიგო მე, არამედ დავჯედ მე და ხედვათა შევექეც და იგი შურებოდა სირასა და ყოლადვე არა აღიხედნა ზე, არცა მომხედნა მე და არცა[10] ჭამადი მაწჳა, დაღათუ მაქუნდა ექუსი დღე ყოლად უჭმელად, არამედ ჯდა[11] და თხზვიდა სირასა და ხვალისდღე ესევე ყო, ვიდრე მეათედ ჟამადმდე. მერმე მომიგო და მრქუა მე: ძმაო, ვინაჲ ჰპოე შენ სათნოებაჲ ესე? და მე ვარქუ მას: და შენ ვინაჲ ჰპოვე ეგე, თუ არა ჩუენ სიყრმითგან ამას სამუშაკოსა სწავლულ ვართ მამათაგან ჩუენთა. და სკიტელმან მან თქუა: მე ესევითარი სათნოებაჲ არა მიმიღებიეს მამათაგან, არამედ ვითარცა ესე ხედავ აწ, ესრეთ ვიყოფვი ყოველთა ჟამთა[12] მცირესა შინა ჴელთსაქმარსა და მცირესა შინა წურთასა და ძალისაებრ განწმედასა გონებისასა აღდგომასა მომავალთა გულისსიტყუათასა, რომელსა ამას ზედა თჳთ მოვიდა სადაჲთმე

---

[1] არა – E. [2] ერთსა რას] ერთსაღა საქმესა E. [3] კერძსაღა E. [4] წინაგანწყობაჲE. [5] არცაღა + ყოლადE. [6] საქმჱ] საქმე E. [7] იგი] იგინი E. [8] უკუანაჲსკნელღა] უკუანაჲსკნელ E. [9] რომელმან +ესე E. [10] არცა] არცაღარა E. [11] დაჯდა E. [12] ჟამთა + ჩემთა E.

სული ხედვათაჲ თჳნიერ ცნობისა ჩუენისა, რომლისათჳს არცა თუ ვიცოდე თუ იპოების ყოლად ესევითარი სათნოებაჲ, ანუ თუ ვიეთცა მიუღებიეს ესე. და მე მიუგე: მე სიყრმითგან ამას მოძღურებასა სწავლულ ვარ.

21. კითხვაჲ: ვითარ ვის თანააც ხედვაჲ ცოდვათა მათ შინა?

მიგებაჲ: ვითარცა წმიდანი წერილნი მასწავებენ ჩუენ, რამეთუ დანიელ, ვითარცა ძუელსა დღეთასა ხედვიდა მას, ხოლო ეზეკიელ ეტლთა ზედა ქერუბინთაჲსა ტჳრთულსა და ესაია[1] საყდართა მათ ზედა მაღალთა და აღმატებულთა მჯდომარესა, ხოლო მოსე უხილავსა მას, ვითარცა ხილულსა განიცდიდა.

22. კითხვაჲ: ვითარ ძალ-უც გონებასა ხედვად, რომელი არა ოდეს უხილავს?

მიგებაჲ: მეფე არა ოდეს გიხილავსა მჯდომარე ტაძართა შინა სამეუფოთა?

23. კითხვაჲ: და უღირსა გონებასა გამოსახვაჲ გამოუსახველისაჲ[2]?

მიგებაჲ: და არა უმჯობეს არსა გამოსახვაჲ მისი სულსა შინა, ვიდრეღა წურთაჲ უკეთურთა გულისსიტყუათაჲ?!

24. კითხვაჲ: ნუსადა ბრალად შეერაცხოსა ესე?

მიგებაჲ: ჟამად იპყარ გონებასა შინა შენსა ხილვაჲ იგი წინაწარმეტყუელთაჲ სახისმეტყუელებით, მერმე უსრულესი ეგე თჳთ მოვალს ვითარცა და მოციქულიცა იტყჳს, ვითარმედ: აწ ვხედავთ სახითა და სარკითა, ხოლო მაშინ პირისა პირისპირ. და აწ ოდეს სრულ იქმნეს გულისსიტყუაჲ, უცხადესად-რე ხედავს.

25. კითხვაჲ: არა აქუსა საქმესა ამას განცჳბრებაჲ ცნობისა?

მიგებაჲ: არა აქუს ყოლად, უკუეთუ ჭეშმარიტებით იღუწიდეს. და იტყოდა იგი ამასცა, ვითარმედ: დავყავ ოდესმე შჳდეული ერთი და არა[3] მოვიჴსენე ყოლად კაცობრივი რაჲ საჴსენებელი. და კუალად სხუაჲ იტყოდა, ვითარმედ: ვიდოდე ოდესმე გზასა და ვიხილენ ორნი ანგელოზნი იმიერ და ამიერ, რამეთუ მივიდოდეს მე და არა მივხედენ მათ.

26. კითხვაჲ: რაჲსათჳს არა მიხედენ?

მიგებაჲ: ამისთჳს, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: არცა ანგელოზთა, არცა ძალთა შეუძლონ განყენებაჲ ჩუენი სიყუარულისაგან ღმრთისა.

27. კითხვაჲ: ყოლადვე ძალ-უცა გონებასა ხედვად?

მიგებაჲ: დაღათუ არა ყოლადვე, არამედ ოდეს იხილო გულისსიტყუაჲ ვნებათაგან დაჭირვებულად, ნუ დაიყოვნებ მოლტოლვად[4] ღმრთისა მიმართ ხედვითისა ლოცვისა მიერ, ხოლო ამას გეტყჳ შენ: უკუეთუ სრულ იქმნეს გულისსიტყუაჲ რასა ზედა, აუდვილეს არს შეძრვაჲ მთისაჲ ვიდრე გულის-

---

[1] ესაია] ესაიაჲ E. [2] გამოუსახველისაჲ + მის E. [3] არა] არარაჲ E. [4] მოლტოლვად] მილტოლვად E.

სიტყჳსაჲ მის შთამოყვანებად მიერ. რამეთუ ვითარცა სახედ პყრობილსა და დასჯილსა და ბნელსა შინა შეწყუდეულსა მიეცეს რაჲ თავისუფლებაჲ და განტევებულ იქმნეს და იხილოს ნათელი, არღარა ჰნებავს ხილვაჲ ბნელისაჲ მის, არცაღა მოიჴსენებს მას, ესრეთვე და სულმანცა ოდეს ჰნებავნ[1] განშორებაჲ მისგან. და რამეთუ იტყოდა ვინმე მამათაგანი ვითარმედ: ვინებე ოდესმე გამოცდაჲ გულისსიტყჳსა ჩემისაჲ, უკუეთუ იწყებს-ძი მიმოდაბნევად, განუტეო თუ იგი სოფლად. და განუტევე იგი და დადგა თჳსაგან და არა იცოდა, თუ სადა წარვიდეს, ვიდრემდის უპყარ მას და აღვიყვანე იგი ზევე. და რამეთუ უწყოდა, რამეთუ უკუეთუ იწყოს მან მიმოდაბნევად განუტეო რაჲ, მეგულების ტანჯვაჲ მისი. ხოლო ამას საზომსა მიაწევს დაყუდებაჲ და ლოცვაჲ სიმდაბლით, რამეთუ ჴშირად ლოცვაჲ და სიმდაბლით ადრე წარჰმართებს გონებასა და მალიად.

28. კითხვაჲ: ვითარ ვის ძალ-უც ყოლადვე ლოცვაჲ და რამეთუ უძლურ არიან ჴორცნი მსახურებად?

მიგებაჲ: არა თუ ოდეს დადგეს ლოცვად იგი ოდენ[2] თქუმულ არს ლოცვად, არამედ ყოლადვე.

29. კითხვაჲ: ვითარ ყოლადვე?

მიგებაჲ: გინათუ სჭმადე, გინათუ სუმიდე, გინათუ გზასა ხჳდოდი, ანუ თუ საქმესა იქმოდი, ნუოდეს მოაკლდები ლოცვისგან.

30. კითხვაჲ: უკუეთუ ვის თანამე უბნობდეს, ვითარ ძალ-უც ყოლადვე სრულყოფად ლოცვასა?

მიგებაჲ: ამისთჳს თქუა მოციქულმან, ვითარმედ: ყოვლითავე ლოცვითა და ვედრებითა. აწ უკუე, უკუეთუ ვერ გცალდეს სხუასა თანა ლოცვად, ევედრე და იგიცა ლოცვავე არს.

31. კითხვაჲ: რომელსა ვის ლოცვასა უჴმს ლოცვად?

მიგებაჲ: „მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა“ და შემდგომი.

32. კითხვაჲ: რაოდენი ზომი უჴმს ქონებად ლოცვასა?

მიგებაჲ: ზომი არა საცნაურ-ყო, რამეთუ სიტყჳსა ამის თუ ყოლადვე და მარადის და მოუკლებელად ილოცვიდით, ზომი არა აქუს. და იტყოდა იგი ამასცა, ვითარმედ: რომელსა ენებოს ამისი წარმართებაჲ, უჴმს, რაჲთა ყოველთა კაცთა სწორად ხედვიდეს და ერთად. და რაჲთა იჴმნეს ყოვლისაგან ძჳრისზრახვისა და განკითხვისა კაცთასა და რამეთუ სრულებით დამოეკიდოს სრულსა მას სიყვარულსა ღმრთისასა, რომლისა არს დიდებაჲ აწ და ყოველთა მათ საუკუნეთა, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

---

[1] ჰნებავნ] ჰნებავს E. [2] ოდენ – D.

თავი კვ

მოკლჱ და სულმცირჱ უწყებაჲ პავლესთჳს ილუსტრიელისა

გუაკურთხენ, მამაო!

პავლე ვინმე სახელით, პატივითა [ილუ]სტრიანოსი[1] იყო კაცი მდიდარი და ესუა მას ცოლი და ესუნეს შვილნი. ამას ენება მონაზონების და მიუწოდა ცოლსა თჳსსა და შჳლთა და ჰრქუა[2]: უწყითა ესე, რამეთუ გასყიდაჲ მნებავს თქუენი? და მათ ჰრქუეს: რაოდენიცა რაჲ არს სათნო წინაშე შენსა, იგიცა ბრძანე და ყავ. და წარიყვანა ცოლი თჳსი და რაოდენი რაჲმე საფასეთაგანი და წარვიდა მონასტერსა ქალწულთასა და ჰრქუა მათ: მოსყიდაჲ მნებავს ამისი თქუენდა. ხოლო მათ არა იცოდეს ძალი საქმისაჲ მის, არამედ მან აუწყა მარტოებით დედათდიაკონსა. ამისთჳსცა იქმნა ჴელითწერილი მისყიდისაჲ და მისცა იგი მათ და საფასეცა მისი მი-ვე-სცა ფარულად დედათდიაკონსა. ესრეთვე კუალად შვილნიცა თჳსნი წარიყვანნა მონასტრად, მითვე სახითა მიჰკარგნა იგინიცა მუნ. და[3] უკუანაჲსკნელ წარვიდა თჳთ თავადიცა სხუასა მონასტერსა და ესრეთვე სახედ ყო თავისათჳსცა თჳსისა. მერმე ჰრქუა წინამძღუარსა და მამასა მონასტრისასა: უკუეთუ მიბრძანო მე, შევიდე მარტოებით ეკლესიად. და მან უბრძანა შესლვად. და შე-რაჲვიდაეკლესიად და დაჰჴშნა კარნი ეკლესიისანი და აღაპყრნა ჴელნი თჳსნი ცად მიმართ და ჴმა ყო ჴმითა მაღლითა და თქუა: ღმერთო, შენ უწყი, რამეთუ ყოვლითა გულითა მოსრულ ვარ შენდა. და მოიწია მისსა ჴმაჲ ზეცით, რომელი ეტყოდა: და მეცა უწყი ეგე და ყოვლითა გულითა შემიწყნარებიხარ შენ. დაემკჳდრა უკუჱ იგი მონასტერსა მას ზოგადცხორებულთასა და ვითარცა მონაჲ ჰმსახურებდა ყოველსავე რას შეურაცხსა საქმესა და ყოველთავე უქუჱს იყო საქმითცა და გონებითა და ამისთჳსცა აღამაღლა იგი ღმერთმან სიმდაბლისათჳს მისისა, რამეთუ შემდგომად სიკუდილისა მისისა მრავალნი სასწაულნი აღასრულნა ღმერთმან მის მიერ და სამარხოჲ მისი

[1] ილუსტრიანოსი] ილუსტრინოსიE. [2] ჰრქუა +მათ E. [3] და – E.

აღმომდინარე ყო მიჰრონსა. ესრეთ ადიდებს ღმერთი მადიდებელთა მისთა, რომლისაჲ არს დიდებაჲ[1].

ბერთა თქუეს, ვითარმედ[2]: დაწყებასა და ახლადმონაზონობად მოსლვასა კაცისასა არა შეენდობის ეშმაკი ბრძოლად მისა[3] ფიცხლად, რაჲთა არა უსწროს პირველად და შეშინდეს და უცხოდ აღჩენითა საქმისაჲთა მალიად სოფლად მიიქცეს. ხოლო დაყოს რაჲ მას შინა და წარემართოს მაშინ მიეტევებიან მონაზონსა[4] ზედა ბრძოლანი ჴორციელნი გულისთქუმათა და გემოთნი და ესრეთ შეიწრდეს რაჲ კაცი მათ მიერ, უნებლიეთ შეემთხუ̈ვის დამდაბლებაჲ და გლოვაჲ და თავისა ოდენ თჳსისა განკითხვაჲ და ბრალობაჲ და მერმე განსაცდელთა ამათგან განისწავლების და ისწავებს მოთმინებასა, გამოცდილებასა და განკითხვასა ვინაჲცა მიერითგან მიივლტის მეუფისა მიმართ თჳსისა და ღმრთისა ცრემლით. ხოლო მრავალთა აღუჩნდა საქმე ესე უცხოდ[5] და აღშფოთნეს გონებითა და შეიმრღჳვნეს და მახჳლითა დაიკლნეს თავნი მათნი. და რომელნიმე პარეხთა შთაცჳვეს უზომოჲსგან მწუხარებისა შეიწრებულნი, რომელნი თავნი[6] მათნი სრულიად განიწირნის, რომელი-ესე გმობილი ეშმაკთაგანცა შეჭირვებულთა შეემთხჳა. სხუათა ყოლად განჴურვებულთა ბრძოლისაგან ჴორცთაჲ[...]დაიკუ̈თნენ, რომელნიმე ყოლად უმეტეს განძჳნდეს ვნებათაგან სიძჳსათა და აღტაცებულ იქმნეს[...]ხედვათაგან და ცოლები შეიძინეს და დედანი მოიყვანნეს.

ხოლო ჩუენ, ძმანო საყუარელნო, ნუმცა სულმოკლე ვიქმნებით, ნუცა წარვიკუ̈თთ სასოებასა? დავაჩჳვნეთ თავნი ჩუენნი[...]განსაცდელთა ყოველთავე[...]ზედა ბრძოლათა მტერისათა და მოწევნასა ძჳრთასა. ვჰმადლობდეთ ღმერთსა, რაჲთა მადლობაჲ ღმრთისაჲ და შევრდომაჲ მოწყალებათა მისთაჲ დაჰჴსნის და განაქარვებს ყოველთავე ღონეთა და საბრჴეთა ეშმაკისათა. და რამეთუ ვითარცა სახედ რომელსა ესხნეს ფერჴნი ფისიანნი ვერ განიწმედს სხუ̈ბრ თჳნიერ ზეთისა, ესრეთვე ჩუენცა ვითარ ვინაჲ განვწმდებით სხუ̈ბრ ცოდვათაგან ჩუენთა, რომლითა შევიბღალენით თჳნიერ მოწყალებითა ღმრთისაჲთა[...]არა მაქუს ცოდვაჲ ესრეთ კადნიერ[...]დავდგეთ წინაშე დიდებისა[...] და სპეტაკნ[...] რამეთუ მით სამეუფოჲთა და შეწყნარებულნი და აღურაცხელთა მათ მიერ მოწყალებათა ღმრთისათა თავადისა ქრისტეს მიერ, უფლისა ჩუენისა რომლისა თანა მამისა სულით წმიდითურთ ყოველივე დიდებაჲ, ქებაჲ და პატივი...

---

[1] დიდებაჲ + უკუნითი უკუნისამდე E. [2] ვითარმედ + პირელ E. [3] მისა D. [4] მონაზონთა E. [5] ~ უცხოდ საქმე ესე E. [6] აქ E ნუსხა წყდება.

QUT 40 –236r-v

...[არა]ვის ეჩუენებოდა იგი მიერ დღითგან. წარვიდა ძიებად მისა ამბა გელასი, მოწაფე მისი, ყოველთა ადგილთა და არა პოვა იგი და დაჯდა იგი სენაკსა მისსა და მწუხარე იყო იგი განშორებისათჳს მოძღურისა თჳსისა. და შემდგომად ექუსისა წლისა, მეცხრესა ოდენ ჟამსა დღისასა, ჰრეკა კაცმან ვინმე კარსა სენაკისა მისისასა და განვიდა ამბა გელასი და პოვა მოძღუარი იგი თჳსი მდგომარე კარსა ზედა და დაუკჳრდა ფრიად და ჰგონებდა, ნუუკუე ეშმაკი ეჩუენა მას ხატითა მოძღურისა მისისაჲთა და ჰრქუა: ვყოთ ლოცვაჲ. მაშინ ყო ლოცვაჲ ბერმან და შეიწყნარა იგი მოწაფემან მისმან სიხარულით და შეიტკბნეს იგინი და ამბორს უყვეს ურთიერთარს მშჳდობით და სიწმიდით. მაშინ ჰრქუა ბერმან მოწაფესა თჳსსა: კეთილად ჰყავ, შვილო ჩემო, რამეთუ ყოვლისა პირველად ლოცვაჲ ითხოვე, რამეთუ საბრხენი ეშამკისანი მრავალნი არიან. ჰრქუა მას მოწაფემან მისმან: რაჲსათჳს, ძმაო, განეშორე ძმათაგან შენთა და დაუტევე შვილი შენი ობლად მწუხარებასა შინა შენთჳს?

მიუგო მას ბერმან: მე თქუენგანი არავინ მხედვიდა, ვითარცა-იგი ღმერთმან იცის, ხოლო მე არა განსრულ ვარ ადგილისა ამისაგან და არცა კიდექმნულ ვარ ზიარებისაგან მამათა თანა ეკლესიასა ჴორცსა და სისხლსა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა.

მაშინ დაუკჳრდა მოწაფესა მისსა, ვითარ იგი შევიდოდა და გამოვიდოდა და არავინ მამათაგანი ჰხედვიდა მას. კუალად ჰრქუა მას მოწაფემან: და აწ რაჲსათჳს მოხუედ მონისა შენისა? მიუგო ბერმან და ჰრქუა: დღეს მივიცვალები ჴორცთა მათგან უბადრუკთა უფლისა ჩემისა და ვინებე, რაჲთამცა შენ დაჰმარხენ იგინი, ვითარცა გინდეს და მისცნე ქუეყანასა მისნივე იგი.

და ფრიად ამცნებდა მოწაფესა თჳსსა და ეტყოდა სარგებელისათჳს სულისა და მოლოდებისათჳს კეთილისა მერმისა საუკუნოჲსა.

და განირთხა თავი თჳსი აღმოსავალით კერძო და დაიწყვნა ჴელნი და ფერჴნი თჳსნი და შეისუენა და სული თჳსი შეჰვედრა ჴელთა დამბადებლისა თჳსისათა. მაშინ სრბით გამოვიდა მოწაფე მისი და უთხრა ესე მამათა.

ხოლო იგინი მსწრაფლ მოვიდეს ერთბამად ჟამობითა და ჴელთა მათთა აქუნდა რტოები ბაიაისაი და წარიღეს გუამი მისი ეკლესიად და პირი მისი ბრწყინვიდა ვითარცა მზე.

და ვითარცა ყოველნი ერთბამად ეკურთხნეს მისგან, დაფლეს იგი მამათა თანა.

და სხუაიცა ეგევითარი არს ჩემ თანა, რომლისა მინდა უწყებად თქუენდა, მუნ მყოფთა მათთჳს მონაზონთა და რომელთა იგი საკჳრველთა იქმოდა ღმერთი ჴელითა მათითა წმიდითა.

არამედ გხედავ თქუენ, რამეთუ გნებავს სმენად, ვითარ იგი მოისრნეს მამანი და ვითარ მოიწინეს მტერნი მათ ზედა და მე წარმოგითხრა თქუენ ყოველივე. რამეთუ ესრეთ სრულ იყვნეს წმიდანი იგი ყოველსა შინა საქმესა მათსა და გლახაკ იქმნეს ღმრთისათჳს, არარას მოიგებდეს ამის საწუთროისა საქმეთასა. და იყვნეს კაცნი ქუეყანისანი, რომელნი მოართუმიდეს მათ იფქლსა ეგჳპტით და წარიღებდეს ჴელთსაქმარსა მათსა ნაცვალად მისა. და უფროისღა საქმარ მათდა იყო ლოცვაი და მარხვაი და ყოველი სასოვებაი მათი იყო ქუეყანასა და იყვნეს იგინი რიცხჳთ ორმეოცდა სამნი, თითოეული მათგანი,სენაკსა მარტო იყოფინ და არვინ უწყინ, რასა იქმნ, გარნა უფალმან დამბადებელმან მისმან, რომელმან უწყინ დაფარულნი კაცთანი. და ვითარ ჩვენ ესე ვიყოფებოდით, მოგვიჴდეს ჩუენ ორნი კაცნი ჭალაკისა ერთისაგან, რომელ არს ზღუასა შინა ლაბაშთა კერძო მცირედთა თელთა ზედა და გჳთხრეს ვითარმედ: კრებული დიდი ლაბაშთაი მოიწია პირსა ზღჳსასა და პოვეს ნავი ნავებსა შორის ნავისაგან ლალელთაისა და შეიპყრეს იგი და ეგულებოდა აღსლვად მას შინა და წარსლვაი კულიზმად და გურქუეს ჩუენ, მიგჳყვანენით ჩვენ კულიზმად და არავინ თქუენგანი მოვკლათ. ხოლო ჩვენ უქადა...

ABSRTACT

This book is the third part of the Georgian translation of Paterikes ((Ἀποφθέγματα τῶν ἁγίων πατέρων and Ἀνδρῶν ἁγίων βιβλός). The first two volumes have been published under the title “The Old Georgian Translation of Medieval Short stories” . The first volume presented Euthymius the Athonite’s translation of the systematic Paterike while the second was the anonymous alphabetical collection of Georgian translations amongst the Sinai and Athos manuscripts.

This volume is Theophilus the Monk’s translation of the collected Paterikes. This is one of the most complete of Georgian translations, and thus the publication of this critical text is important for the study of similar Greek collections and of the evolution of this systematic collection of writings.

It has now been established that the “Teachings of the Fathers” represented the third phase of the development of the Paterikes’s systematic collection . However, the study of the structure and composition of the collection signify that it is the translation of that particular type of text of the Greek Apophthegmata’s systematic collection known amongst scholars as belonging to a specific group of Apophthegmata. It must originate from a regular alphabetical anonymous collection. Such collections are characterized by the following features: 1) a large number of stories in general, and those on each of the Holy Fathers included; 2) additional chapters supplementing the typical 21 of such systematic Paterikes; 3) the inclusion of the Teachings of Zosimus at the end of the first chapter, after the anonymous narrations (in this group of manuscripts); 4) the inclusion of material from the Lemonarion of John Moschos and narrations by Daniel of Scete which are not part of the usual systematic collections of apophthegms.

The study of Theophilus the Monk’s translation reveals that all these features, typical of specific systematic collections and originating from alphabetical anonymous collections, are present.

Several issues with regard to Theophilus the Monk's translation, such as its title, its structure and content, editing style, etc., are dealt with in the introduction.

Unfortunately, the exact title of the collection is not given in the Georgian manuscripts; however, the study of colophons of the manuscripts containing the text translated by Theophilus often refers to it as the "Paradise". In terms of its composition and title, the collection echoes the `μεγα λεμοναριον~ discussed in Bibliotheca by Patriarch Photios and this confirms that this collection would have originally been entitled the "Paradise". In the course of time, due to multiple collections with the same name existing, this collection was renamed "Teachings of the Fathers".

The Teachings of Zosimus, which follow the anonymous narrations in the second chapter of the "Teachings of the Fathers", occupy a special place in this study. Comparison of this composition with Euthymius the Athonite's translation of the same text and the Greek text published in Patrologia Graeca has revealed that there were different Greek manuscripts of the Teachings of Zosimus, namely: 1) the one known as the Greek Text, published in Patrologia Graeca, 2) a relatively complete text representing the source of the translation by Euthymius, 3) the Vorlage edition of the translation by Theophilus, which is both a more complete text than the first and briefer than the second.

This text of Theophilus the Monk's translation of the "Teachings of the Fathers" is based on the translator's lacunar autograph (A1105) and the four 13th century manuscripts (A528, A1339, H1342, Qut 40).

ლექსიკონი

ა

აბბა-ჲ /აბბა, აბა, ამბა – ბერი, მღვდელი, ეპისკოპოსი; მონასტრის წინამძღვარი
აგარაკ-ი – სახნავ-სათესი ადგილი; დასასვენებელი ადგილი
აგებულ-ი – დატვირთული; შედგენილი
ადრე – მალე; სწარაფად
ადრე-ადრე – ძალიან სწრაფად
ავაზან-ი – აუზი; ემბაზი; მორევი; ტბა
ავაჯ-ი – კილო, ხმა
ავლ-ი – ფერფლი
ავლინ-ი – ეზო, მამული
აზნაურება-ჲ – თავისუფლება; წარჩინებულება; პატივი
ათქს – მხ. რიცხ. III პირი; იხ.: დგმა
აკრება – მოსპობა
ალიზ-ი – გამოუწვავი აგური
ამბოხ-ი – შფოთი, არეულობა
ამიერ – აქედან; აქეთკენ; ამ
ანაგებ-ი – აგებულება
ანკჳრა-ჲ – ღუზა. *ἡ ἄγκυρα*
ანტლია-ჲ – ამოსასხმელი წყალი: „არს ნავში რა წყალი შევიდეს, გინა ჭურჭელი სარწყული სხვა რამე“ (საბა). *ἡ ἀντλία*
აპაურ-ი /აპეურ-ი – შესაკრავი; ურმის უღელში გასაყრელი თავკომბალა ჯოხი
არავონ-ი – გირაო, წინდი „ესე არს მცირე საწინდარი, რომელსა თურქნი ბეჲს უწოდებენ“ (საბა)
არაკ-ი – ცერცვი : „რომელი არს ნედლი ცერცვი“ 108r
არარაჲ – არაფერი
არასადა – არსად; არასდროს
არგან-ი – ჯოხი; კვერთხი
არდაბაგ-ი – ცხაური; მოაჯირი
არდაგ-ი – სუდარა; ჩვარი; ნაჭერი
არვე-ჲ – ფარა; გუნდი
არმარი – სარკმელი. შდრ. პატოჰანი
არქინამდრიტ-ი – მონასტრის წინამძღვარი; მხარის მონასტერთა წინამძღვარი
ასო-ჲ – სხეულის ნაწილი, ნაკვეთი
ასომიღებულ-ი – ხეიბარი
ასპარეზ-ი – მოედანი
აუგეან-ყოფა – შერცხვენა
აფსინდ-ი – აბზინდა (მწარე სამკურნალო ბალახი)
აქაჲთ – აქედან
აღბაძვებულ-ი –მიმსგავსებული; შეგულიანებული, წაქეზებული
აღბორგება – განრისხება; აღგზნება, აღელვება, აშლა
აღბორგებულ-ი – აღტყინებული; განრისხებული
აღდგინება – აღძვრა; წაქეზება; აღმართვა
აღება – აყვანა; მოსპობა; გაღება, გახსნა
აღვსება-ჲ – აღდგომის დღესასწაული
აღზუავება – გაამაყება
აღლაღება-ჲ – გათავხედება, გაამაყება
აღმოგება – დადება; ამოვსება
აღმომწუბება /აღმომწუბვა – ამოსვრა, ამოთხვრა
აღმოფშჳნვა-ჲ – ამოსუნთქვა, ამოხვნეშა
აღმოფხურა-ჲ – მოსპობა, ამოფხვრა; ამოთხრა

აღმოშობა – ახლად შობა; აღდგომა
აღმოწუადება – ამოგლეჯა, ამოღება
აღმოწუდა – ამოგლეჯა, ამოღება
აღმსთობა-ჲ – დილაადრიან ადგომა; ჩქარი წასვლა
აღნათქუემ-ი – შეპირებული
აღსუბუქება – შემსუბუქება
აღტეხა – აღძრვა, ატეხვა
აღტყინება – მოკიდება, აღგზნება, ანთება; წაკიდება
აღტყდომა-ჲ – შეძრწუნება, შეშფოთება
აღუძველ-ი – უშფოთველი, მშვიდი
აღუჰამრავ-ი – უამრავი, ურიცხვი
აღფოლხუება – აფოფხება
აღქუმა – აყვანა; ამხედრება
აღშენება – სიკეთით ავსება; აშენება; შეძენა
აღშენებულ-ი – სიკეთით ავსებული
აღშურვება – შეშურება, კეთილი შურით ავსება; ბაძვა
აღშფოთება – წაქეზება; აღძრვა
აღძარცუვა – ახდა; გახდა
აღძრვა – აღძვრა; შფოთი; ოხვრა
აღძრვა-ჲ – აღძვრა; შფოთი, არეულობა; რყევა; ოხვრა
აღწევა – აწევა
აღწყვა / აწყვა – არწყვა; გაზომვა
აღხუმა – აღება, აყვანა (მრავლისა)
აღჴსენება – გახსენება
აყირო-ჲ – გოგრა, ხაპი
აწ – ახლა
აწყვა – იხ. აღწყვა
ახლვა – ახლოს ყოფნა, თან ყოფნა; ხლება
ახოვნება-ჲ – სიმხნე, სიმამაცე; ამპარტავნება
ახორ-ი – ბოსელი
ახ-ს – ახლოსაა. იხ. ახლვა
ახუმა-ჲ – გახსნა (მრავლისა)
ახუმულ-ი – გაღებული; გახელილი
აჴდომა – ასვლა

ბ

ბაზმაკ-ი – სანთელი, ლამპარი
ბაია-ჲ – ფინიკი
ბაიოან-ი – ფინიკოვანი
ბავრუკ-ი – ტუტე მარილი
ბანდ-ი – ნაჭერი, მჩვარი
ბასრვა-ჲ – დაცინვა, აბუჩად აგდება
ბასრობა – დაცინვა, აბუჩად აგდება
ბარე – ბარემ
ბაყლ-ი – ჭუჭყი
ბევრეულ-ი – ათი ათასი; მრავალი
ბევრეულგზის – მრავალჯერ
ბევრწილად – დიდად
ბელიარ-ი –ეშმაკი, ანტიქრისტე
ბირებულ-ი –მიმხრობილი; დარიგებული; ვერაგი, ცბიერი
ბომონ-ი – საკურთხეველი; კერპთმსახურთა ტაძარი; კერპთშესაწირავი ტაბლა
ბორგნეულ-ი – შეშლილი, გაცოფებული
ბორია-ჲ – ჩრდილოეთის ქარი
ბრალება / ბრალობა – დადანაშაულება
ბრკუმა – შეშლა, შეცდენა, შეფერხება
ბრძოლილ-ი – შებრძოლებული, წაჩხუბებული
ბრძყლ-ი – წყლული, იარის ნაკვალევი, ნაჭრილობევი
ბურდნა-ჲ – ხმადაბალი ლაპარაკი; სჯა
ბძარვა – დაჭრა, დაწყლულება, დახეთქვა, დაგლეჯა
ბჭე-ჲ – მოსამართლე
ბჭობა – გასამართლება, განსჯა

გ

გაგვა – იხ. გვ
გაერისგნება-ჲ –გაერისკაცება
გათუალვა – დათვლა
გათქუმა – გაცემა
გაკრება /განკრება – გაყრა, გატანა, გადაყრა
გამო –მიზეზით, გამოისობით

გამოდგომა-ჲ – გამოსვლა
გამოდგომილ-ი – გამოსული
გამოზრდა – გამოკვება
გამოვლინება – გამოგზავნა
გამოთხევა – გამოყრა
გამოკრება – შეკრება; გამოტანა; წაღება
გამომცნება – შეტყობინება; შემოთვლა
გამოოტება – გამოძევება
გამოპარვა – მოპარვა
გამოსხმა – გამორეკვა
გამოფრდა – გაფრთხილება; გამოყენება; მოგება
გამოფხურა – მოშორება
გამოღება – დაპყრობა; გამოტანა
გამოჩინებულ-ი – გამოჩენილი
გამოცხადება – გამოჩენა
გამოწულილვა – ზედმიწევნით გამოძიება
გამოწყვა – გამოდენა, გამორწყვა
გამოხლდომა – გამოხტომა
გამოხუდომა – შეხვედრა (რგება)
გამოჯდომა – გამოსვლა, გამოვარდნა
გამოჯურვება – გამოწრთობა
გამოჯშვა – გამოკეტვა
გამტერიანება – გაცოფება
განბძარვა – გახეთქვა, დაგლეჯა
განბჭობა-ჲ – გადაწყვეტილება; მსჯავრი
განგება – მართვა; გამართვა; მიხვედრა
განგება-ჲ – ზრუნვა; მართვა, რიგი, წესი
განგმობა – გაკიცხვა; მხილება
განგოზა – გალესვა
განგონჯებულ-ი – კეთროვანი
განგრუნვება – გაოგნება, გაშტერება
განგრუნვებულ-ი – გაოგნებული, გაშტერებული
განგულება – განზრახვა; მიხვედრა
განგუმერა / განგურემა – მოკვლა, გაგმირვა
განვრდომილ-ი – განდევნილი
განვრცომა-ჲ – გავრცელება
განზრახება – დარიგება
განთჯსება – შეთვისება, მითვისება
განთჯსება-ჲ – უკეთესად ქცევა; დასაკუთრება, მითვისება; შეთვისება; განცალკევება
განთჯსებულ-ი – საკუთარი; განსაკუთრებული; ცალკე
განთხევა-ჲ – გადაყრა, გადასხმა, გაყრა
განთხეულ-ი – გარიყული
განკაზმვა – წესრიგში მოყვანა, გამზადება
განკაფა – გაცვეთა, დალევა; დაუძლურება
განკაფულ-ი – გაცვეთილი, დალეული
განკითხვა-ჲ – გასამართლება, განსჯა, კითხვა-გამოძიება
განკორდება – გაყამირება
განკრეხა – ძარცვა, მოპარვა, მიტაცება
განკრეხილ-ი – გაძარცვული
განკრთომა – შეშინება; შეცდომა
განკრძალება – გაფრთხილება, დაცვა, რიდება
განკრძალვა-ჲ – გაფრთხილება, თავის არიდება; გამოყოფა
განკრძალულ-ი –ფრთხილი; ფხიზელი; მონდომებული; დაცული; მტკიცე
განკუეთა –მოშორება
განლიგებულ-ი – გაშტერებული, გაოგნებული
განმართება – გასწორება, გამართვა, განახლება
განმართება-ჲ – გასწორება, გაშლა
განმარტება – გაშლა, გასწორება
განმარცხება-ჲ – ძლევა, ჯობნა
განმარჯვება-ჲ – წარმატება, წარმართება; მოსახერხებლად ქცევა
განმგე-ჲ – მმართველი, გამგე; გამგებელი
განმზადებულება-ჲ –სიმდიდრე, მორთულობა, აღკაზმულობა
განმკითხველ-ი – მსაჯული, გამომძიებელი

განმრთელება-ი – განკურნება
განმწყსება – გაზრდა, სიყმაწვილეში შესვლა
განმხუმელ-ი – გამღები (მრავლისა)
განმჭნობა – გამხნევება
განოტება – გაძევება
განპატიჟება – დასჯა
განრთხმა – გაშლა; გაწევა; გაზიდვა
განრინება – ხსნა, გადარჩენა (სხვისი)
განრომა – გადარჩენა, თავის დაღწევა, ხსნა
განრღუეულ-ი – დაშლილი, დახსნილი, დავარდნილი, დავრდომილი
განრყუნა – გაფუჭება, წახდენა, მოოხრება
განსამჭნოებლად – გასამხნევებლად
განსარომელ-ი / გასარომელ-ი – თავის გადასარჩენი; სარჩო
განსაღებელ-ი – გასაღები
განსმენილ-ი – განთქმული; გავრცელებული
განსუენება – დამშვიდება; მოლხენა
განსხმა – გაძევება (მრავლისა)
განუკითხველობა-ჲ – განუსჯელობა
განუკითხველად – განუსჯელად
განუკრძალველ-ი – გაუფრთხილებელი, მოურიდებელი
განფეთება – უეცრად გაღება
განფიცხება – გამკაცრება, გასასტიკება
განფრთხობა – გამოფხიზლება
განქარვებად-ი – არად მისაჩნევი, დასაკარგავი, მოსასპობი
განქიქება-ჲ – შერცხვენა
განქრევა – გაფანტვა
განყენება – განშორება, მოშორება, თავის დანებება
განყოფა – მოშორება, დაცილება
განყრა – მოშორება
განშორებულ-ი – ასკეტი, დაყუდებული, მეუდაბნოე, განდეგილი
განშუება – ლხენა, სიხარული.
განჩემებულ-ი – განკუთვნილი „განწილულვით“ (საბა)
განჩინება-ჲ – დაწესება, დადგენა
განცდა – დანახვა, შეხედვა, ცნობა, ხილვა; ცთუნება; ტანჯვა
განცდილ-ი – გამოცდილი
განცემა-ჲ – ღალატი; გაგზავნა
განცოფება – გაგიჟება
განცხრომა-ჲ – მხიარულება, გართობა
განძარცუვა – გახდა
განძება – გაძევება
განძებულ-ი – გაძევებული; განშორებული
განძჯნება – განრისხება, გამძვინვარება
განწესება – დაწესება, დადგენა, დაკანონება
განწვალება-ჲ – გაყოფა; სხვაობა; განხეთქილება
განწვალებულ-ი – გაყოფილი
განწონა – გარჭობა, შერჭობა
განწურთა – გაწვრთნა, განსწავლა
განწყობილ-ი – რაზმი, გუნდი
განჭიმული – თოკმობმული
განხეთქა – გახეთქვა, დარღვევა, გახევა
განხილვა – დაზვერვა, შემოწმება; ნახვა, დათვალიერება
განხრა – გაშლა ხელისა
განხრწნა – გაფუჭება, დაშლა
განხუმულ-ი – გაღებული; გხსნილი (მრავალი)
განჯმელ-ი – გამხმარი
განჯმობა – გაშრობა, გახმობა
განჯურვება – აღგზნება
გარდაკუეთა – მოსპობა, მოკვეთა
გარდამოსადგომელ-ი – გადმოსადგომი; მოაჯირი
გარდამოსაქანელ-ი – ჩამოსასვლელი; კალაპოტი; სარკმელი
გარდამოტევება – გადმოშვება
გარდარეულება-ჲ – მეტისმეტობა
გარდარეულ-ი – მეტისმეტი, ზედმეტი
გარდარეულად – მეტისმეტად

გარდაქცევა – გადახრა, შეცვლა, გამრუდება
გარდაცქაფება – მიკიბვ-მოკიბვა, არაგულწრფელობა
გარეგანსავალ-ი – საპირფარეშო, შდრ. დუქანი
გარეთ – გარეგნულად
გარემავალ-ი – მეძავი
გარემო-ჲ – მახლობელი
გარემოდგომა – გარშემორტყმა
გარემოკრება – შემოკრება
გარემოქცევა – მობრუნება
გარესკნელ-ი – გარეგანი
გარექცეულ-ი – მიბრუნებული, გამრუდებული
გარეშე სწავლა-ჲ – საერო სწავლა
გარეშე-ჲ – საერო, ელინური, საწარმართო
გარეწარ-ი – მდაბიო, უპატიო; ზედმეტი; გაგდებული
გარეწარად / გარეწრად – სხვათა შორის; გარეშე
გარეწარსვლა – წასვლა; ჩავლა
გართუმა – მიცემა, გატანა
გარცხა – გარეცხვა, რეცხვა
გასრულ-ი – ქცეული
გაღმართ – იქით, გარეთ
გაჴდა – ქცევა; გახდა (მოშორება)
გბოლვილ-ი – წვნიანი, მოხარშული
გგლიან – იხ. გლა
გება – არსებობა; დაცვა; შეწირვა; შექმნა; შეძლება
გება-ჲ – ყოფნა; სიმტკიცე; დაცვა; შეწირვა
გებად-ი – მყოფი
გემოვან-ი – გემრიელი
გემოვნება-ჲ – სიამოვნება
გემოჲსხილვა-ჲ – გასინჯვა
გეჰენია-ჲ – ადგილი იერუსალიმის მახლობლად, სადაც ნაგავს წვავდნენ; ცეცხლი
გვ – ზრუნვა : „შენ ნუ გაგვა, რაიზომცა ვერ ვცხონდე“ 99v
გვედიან – იხ. ვედ
გვედიეს – იხ. ვედ
გზა-ყოლა – გაყოლა
გზის-ყოფა – გაყოლა, გაძღოლა
გინა – თუნდ; ან
გლა – დარდი, წუხილი, ზრუნვა
გლახ – საცოდავად, ვაგლახად
გლისპ-ი – ურცხვი
გლისპობა -–ურცხვობა
გოდოლ-ი – კოშკი. იხ. პირღო
გონება – ფიქრი, დასიზმრბა
გონება-ჲ – აზრი; ფიქრი; სინდისი; ნება
გონჯ-ი – კეთროვანი
გოსპა-ჲ – ფოჩებიანი ძვირფასი სამოსელი
გრგენა – გაღიზიანება
გრილ-ი – ცივი
გრკალ-ი – რკალი
გრჭო-ჲ – მხარზე გასადები ჯოხი
გუადრუც-ი – ყუთი; ქისა
გუალე – წადი, იარე
გუბ-ი – თეფში
გულარძნილ-ი – ვერაგი, მზაკვარი, მრუდი
გულარძნილება-ჲ – ვერაგობა, სიმრუდე, მზაკვრობა
გულება / გულვება – ლოდება; განზრახვა; ნდომა; მოვლა; შეწყნარება; შემკობა
გულებულ-ი – მოვლილი; მარჯვედ მოფიქრებული
გულისთქუმა-ჲ – სურვილი
გულისკლება-ჲ – წყენა
გულისსათქუმელ-ი – სასურველი
გულისსიტყუა-ჲ – სურვილი, დარდი
გულისჴმისმყოფელ-ი – გამგები, მიხვედრილი, გონიერი, ბრძენი
გულისჴმის-ყოფა – გაგება, მიხვედრა

გულვება – განზრახვა, ლოდება, აზრად ქონა
გულსავსე-ჲ – იმედიანი, დარწმუნებული, დაიმედებული
გულსავსება-ჲ – სიკეთე, სისავსე, სიუხვე
გულსავსე-ყოფა – დაკმაყოფილება
გუმერა – დარტყმა, შერჭობა
გურკა-ჲ – კურკა

დ

და – მაგრამ; ხოლო; თორემ; რომ; თუ; მაშ; ამიტომ; განა
დაახლება – მიახლოვება; დაახლოვება
დაბა-ჲ – სოფელი; ყანა
დაბებკულ-ი – დაგლეჯილი; დაკონკილი
დაბეჭდულ-ი – ბეჭედდასმული
დაბრკოლება – შეცდენა, შეცდომა
დაბრკოლება-ჲ – შეცდენა, შეცდომა
დაბრმობა-ჲ – დაბრმავება
დაბურვა – დაფარება, დახურვა
დაბძარვა – დახეთქა, დაგლეჯა
დაბძარული – დახეთქილი, დაგლეჯილი
დაგდება – მიტოვება, დატოვება
დაგება – გაშლა, დაფენა; შერიგება
დაგება-ჲ – შერიგება
დაგებულ-ი – გაშლილი; გამზადებული
დაგოზილი – მოგლესილი
დადარნება /დადარანება – ჩასაფრება
დადგმა – გაძლება
დადგრომა – გაჩერება; დადგომა
დადება – დაკისრება
დავანება – დადგომა; გაჩერება; დაბინავება
დავედრება – თხოვნა; ჩაბარება; დაბარება
დავრდომა / დარდომა – შემთხვევა; დავარდნა
დავსება – ჩაქრობა
დაზერგნა – დატკეპნა
დათმენა – მოთმენა, ატანა
დათმობა – გაძლება, ატანა, მოთმენა; პატიება; წინააღმდეგობა
დათრგუნვა – გათელვა, გაქელვა
დათუალვა – აღრიცხვა, ჩათვლა, მითვლა
დათხზვა – დაწვნა
დათხზულ-ი – მოქსოვილი, დაწნული
დათხოვა – აქ : გამოთხოვა „ჰლოცვიდეს მას, რაჲთა დაუთხოოს მათ ნავი მთავრისაგან“ 319r
დამარხვა – დაცვა; შენახვა
დამკჳდრება – დასახლება, დაბინავება
დამცნება – დაბარება; ბრძანება; განწესება
დაკუეთება – დაცემა; დანარცხება
დაკუმევა – კმევა
დაკჳრვება – გაკვირვება; შემჩნევა
დაკრება – შეკრება, დადება, დამატება
დაკრვა – შეკვრა
დაკრძალულ-ი – დაკეტილი, დახშული, დაცული, შენახული
დალიჭი – სამსჭავრო
დალევნა – გალევა, დასრულება
დალპოლვა – დალპობა
დალტობა – დასველება
დამართ – ქვემოთ, ძირს
დამართებით – პირისპირ (ქვემოთ); „გასწორ“ (საბა)
დამართებით-ი – მოწინააღმდეგე, პირისპირ; ქვემოთ მყოფი
დამართებულ-ი – გასწორებული; დამიზნებული
დამარხვა – დაცვა, შენახვა
დამარხულ-ი – მარხვადაცული, მმარხველი; შენახული, დაცული
დამდაბლება – მორჩილება, თავმდაბლად ქცევა
დამდაბლება-ჲ – დამცირება, დაჩაგვრა, აბუჩად აგდება
დამეტება – მომეტება, მოჭარბება
დამზერა – თვალთვალი, ჩასაფრება

დამიზდება – დაქირავება
დამმარხუელ-ი – დამცველი; შემნახავი
დამოკიდება – ჩამოკიდება
დამტკიცება – განმტკიცება, გამაგრება; დადასტურება
დამცნება –დაბარება; ბრძანება; დაწესება
დამცნება-ჲ –დაბარება; ბრძანება
დამჭირვა – დაჭერა; შეკავება; შენახვა; ქონა; ყოლა
დამჭკლობა – მოყოლება
დამჭლება – გახდომა
დანაკ-ი – დანა
დანაკისკუდი – ფინიკი
დანგ-ი –წვრილი ფული
დანიშვნა – შეტყობინება; შეტყობა; აღნიშვნა
დაპყრობა – დაჭერა; დაკავება; შეკავება, შეჩერება
დართვა – დამატება
დარქუმა – დახურვა, დაფასება
დარწყუმა – დაგება
დას-დასი – გუნდ-გუნდი
დასაბრკოლებელ-ი – შემაფერხებელი, ხელის შემშლელი; მახე
დასტურ-ი – ნამდვილი, სანდო
დასტურად – ნამდვილად
დასულება-ჲ – გაოცება, გაოგნება
დასულებულ-ი – გაოცებული, გაოგნებული; გაგიჟებული; გასულელებული
დასჯა – „სამართლის გადაწყვეტა“ (საბა); მისჯა, სასჯელის დადება; გასამართლება
დატევნა – ტვირთვა, ატანა
დაუბნება – დალაპარაკება
დაუდუმებელ-ი – დაუცხრომელი
დაუთმენელ-ი – აუტანელი, მოუთმენელი
დაუმჭირველად – შეუკავებლად, დაუბრკოლებლად
დაუნჯება – შეკრება, შეგროვება
დაუცადებელად – განუწყვეტლივ, გამუდმებით
დაუძლებება – დაფეხმძიმება
დაფარული წიგნი – აპოკრიფი: წიგნი, რომელიც არ არის განკუთვნილი ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის
დაფრთხობა – შეშინება, გაწყრომა
დაქცევა – ჩაძირვა; დაღუპვა
დაღათუ – თუნდაც, რომც, თუ
დაღაცათუ – თუმცა
დაღება – ჩაყლაპვა, შთანთქმა
დაყუდება-ჲ – დამშუდება, სიწყნარე; მონაზონება
დაყჳთებულ-ი – იხ. დაყჳთლებული
დაყჳთლებულ-ი – გაყვითლებული
დაყოფა – დაკეტვა, ამოქოლვა
დაყრა – დაცემა; მიტოვება
დაყრევა – დაყრევინება
დაყუდებულ-ი – ასკეტი
დაყჳნვა – გაკრეჭა, გაპარსვა
დაშავება – გაშავება
დაშავებულ-ი – გაშავებული, შავი
დაშნ-ი – მშვიდი
დაშუნება – მოწონება
დაშურომა – გარჯა, მუშაობა, შრომა
დაჩუევა – შეჩვევა
დაჩხუპა – დაჭრა
დაცადება – შეწყვეტა; დანდობა; ხელის შეშლა
დაცემა – ცოდვის ჩადენა
დაცონება – დაზარება
დაცხრომა – დაწყნარება, დამშვიდება, დადუმება
დაძინება – დამატება
დაძინებული – გარდაცვლილი
დაჭირვა-ჲ – დაჭერა; შეკავება
დაჭირვება-ჲ – მოკლება
დაჭმა – შეჭმა
დაწერტილ-ი – დაჩხვლეტილი
დაწესება – განწესება

დაწინდვა – დანიშვნა, თხოვნა, შერთვა; ყიდვა
დაწულილება – დაწვრილება, დაქუცმაცება
დაწურთა – დასწავლა, სწავლა, დარიგება
დაწუხვა – დახუჭვა
დახედვა – ზედამხედველობა; დაცქერა
დახრწევა – ხელის შეშლა, დაბრკოლება, გაცდენა
დახუდომა – შესწრება; შეხვდომა; შემთხვევა; დასწრება; დამთხვევა
დახუეტა – ფხეკა, მოწმენდა
დახუეწა – გადახუეწა, ლტოლვა, გადაკარგვა
დაჴდომა – ჩასვლა; მიბრუნება; დამხობა
დაჴსნა – დახსნა; მოშლა; დარღვევა
დაჴსნილობა-ჲ – დაშლილობა, დარღვეულობა; დამბლა
დაჴშვა – დაკეტვა
დაჯერება – დარწმუნება
დაჰამება – გაგემრიელება; საამურად მიჩნევა
დგენა-ჲ – შერკინება
დგმა – ქონება; ყოლა
დება – ქონება; ვალდებულება; შეძლება
დედაჲ მონასტრისაჲ – მონასტრის წინამძღვარი ქალი
დიად-ი – ბევრი
დიდროან-ი / დიდროვან-ი – დიდ-დიდი
დიდროვა – წყალდიდობა
დიდფას-ი – ძვირფასი, ძვირი
დიდ-ყოფა – უფროსობა
დილეულ – დილით
დიოფალ-ი – დედოფალი
დორა-ჲ – დოქი
დრამა-ჲ /დრაქმაჲ – წონის ერთეული დაახლ. 3,5 გრ.
დრაჰკანი –ოქროს ფული
დრკუ-ჲ – მრუდი, უკეთური
დრკუება-ჲ – მზაკვრობა
დროება –დაყოვნება; დაგვიანება; ვადის მიცემა
დრო-ცემა –გადავადება; ვადის მიცემა
დრტჯნვა – შფოთი; წყრომა; ჩივილი
დუკა-ჲ /დუქსი – მთავარი
დუქან-ი – „უკუსაჯდომელი, ანუ სასაქმო“ (საბა) შდრ.: გარეგანსავალი
დუქს-ი – იხ. დუკაჲ
დღითიდღე-ჲ – ყოველდღე
დჯრე-ჲ – დირე
დღესითგან – დღეიდან
დღითიდღე – ყოველდღე

ე

ეგუტერ-ი– ეკლესიის მოშორებით აგებული ან ეკლესიაზე მიშენებული მცირე ნაგებობა; მცირე სამლოცველო
ევლოგია-ჲ – ლოცვა; კურთხევა; ძღვენი; მოსაკითხი
ეკალნარ-ი – ეკლებიანი ადგილი
ელენურ-ი – საწარმართო
ენისპყრობა-ჲ – დუმილი
ეპარხოს-ი – მეფის ნაცვალი, დიდი მთავარი
ერევინდ-ი – ცერცვი
ერთგან – ერთად
ერთგზის – ერთხელ
ერთბამად – ერთად, საერთოდ, ერთხელვე
ერთვე – გამუდმებით; სრულად
ერთკერძო-ჲ – ცალ მხარეს; ცალკე
ერ-ი – ხალხი; ჯარი; მახლობლები
ერისაგანი – ჯარისკაცი; საერო პირი
ერისკრება-ჲ – შფოთი, არეულობა, ხალხის შეკრება, აურზაური
ეროდიო-ჲ – ყანჩა, ყარყარი „ფრინველი ესე მოძაგე არს მამალობისა და ბუნებისა მიერ რა იიძულების მართვეობად, რათა არა აღიჰოცოს თესლი მისი სიძაგულსა მას იძულებით შეერთებასა, უგემურობით რითამე

გარე-მიქცევითა საანჯმნო ჰყოფს. ეროდიოს ებრაულ არს, ვიეთთაგან ყარყადად ითქმიან, ვიეთთაგან, არა“ (საბა)

ერქუან-ი – გუთანი

ესერა – აი, აგერ

ესრეთვე სახედ – ასევე, ამგვარად

ეშმაკეული – ბოროტი ძალით შეპყრობილი

ეჩო-ჲ – ხის სათლელი

ვ

ვ – ყოლა (უვის)

ვაზირება – რჩევა

ვარემანდ-ი – წამოსასხამი

ვასილისკო-ჲ – შხამიანი გველი, „ ესე არს თვალით მაკვდინებელი მჭეცი გესლიანი“ (საბა)

ვასხება – სესხება

ვასხ-ი – სესხი

ვახშ-ი – პროცენტი, სარგებელი

ვაჰმან-ი –ვინმე, ვიღაც

ვედ – გაფრთხილება, ფრთხილად შენახვა

ვერვინა-ჲ – ვერსაიდან

ვერკეთილად – უკეთურად

ვერმკადრე-ჲ – გაუბედავი

ვეროდეს – ვერასდროს

ვესტარიტ-ი – თერძი

ვეცხლითმოფარდული – მოვაჭრე

ვეცხლისმოყუარება-ჲ – სიხარბე, გაუმაძღრობა

ვეცხლისმოყუარე-ჲ – ხარბი, გაუმაძღარი

ვიდრე-იგი – სანამ

ვიეთა – ისე რომ

ვიეთი – ვისი

ვიეთმე / ვიეთნიმე – იხ. ვინმე

ვითა // ვითარ – როგორ; როგორც; როცა; დაახლოებით; ისე

ვითარ სახედ – როგორ

ვითარცა სახედ – როგორც

ვინ – რომელი

ვინმე =

ვინაჲ – საიდან, რის გამოც; ამის გამოც

ვინაჲვე – ყოველი მხრიდან; სხვა მხრით

ვინაჲთ – საიდან; მას შემდეგ რაც

ვინაჲცა – საიდანაც, ამის გამო

ვინმე – რომელიმე; ერთი ვინმე; ერთი

ვლტოლა –გაქცევა

ვნებული – დაავადებული, ტანჯული, სნეული

ზ

ზავებული – შეზავებული

ზაკუვა – ვერაგობა

ზაკულება-ჲ –სივერაგე, მზაკვრობა

ზამბილ-ი – კალათი

ზანდუკ-ი – ყუთი; საძიებელი, სარჩევი

ზარ-ი – შეძრწუნება, შიში, თავზარი

ზარგანჭდილი – თავზარდაცემული, შეშინებული

ზარტეხა-ჲ – შიში, შეკრთომა, თავზარი

ზატიკობა-ჲ – დღესასწაულობა

ზახილი – ყვირილი

ზეაღდგომა – ადგომა, წამოდგომა

ზეაღყვანა – მაღლა აყვანა

ზედააც – III პირი, მხ. რიცხვი, იხ. ზედადება

ზედააღდგომა – წინააღდგომა

ზედადასხმა – თავდასხმა; დასხმა

ზედადება – მართება, კისრება

ზედაკერძო – ზემოთ, ზემო მხარეს

ზედამაც – იხ. ზედადება

ზედამიდგომა – მიდგომა, მისვლა

ზედამიწევნით – ზუსტად, ზედმიწევნით

ზედამოსლვა – თავდასხმა

ზედაჲსზედა – ზედიზედ, ხშირად, მუდამ

ზეზ-ი – ბამბის წმინდა ქსოვილი

ზეზვა – არევა, აშლა

ზეკიდულ-ი – ჩამოკიდებული

ზემოკერძო-ჲ – ზემოთ
ზეპყრობა-ჲ – აწევა
ზეშთა – ზემოთ, მაღლა
ზეწარ-ი – მოსასხამი. შდრ. ფილონი
ზიარ-ყოფა – მონაწილედ ქცევა
ზიდვა – ტვირთვა; გაწევა
ზმნა – გამოცნობა, მკითხაობა
ზმნობა – განზრახვა; ცდა; მიხვედრა; შეტყობა; მკითხაობა; გაბედვა
ზოგად – ერთად
ზოგებით – ცალ-ცალკე; ნაწილობრივ; საზოგადოდ; ერთად
ზოგსრაჲმე –ნაწილობრივ; ნახევარი; რამდენადმე, ცოტად თუ მეტად
ზომი – საზომი
ზომით-ი –ზომიერი
ზორვა – შეწირვა, მსხვერპლშეწირვა
ზრახვა – უბნობა, საუბარი, ლაპარაკი; მოლაპარაკება, რჩევა, მოთათბირება, ბჭობა; წარმოთქმა, მოსაზრება
ზრახება – რჩევა
ზრდა – გაზრდა; გამოკვება
ზრდილება-ჲ – აღზრდა, გაზრდა
ზროხა – ძროხა; საქონელი; ხარი; დეკეული; ნახირი; ხბო
ზუავ-ი – ამპარტავანი, ამაყი, ზვიადი
ზუაობა – ამაყობა, ამპარტავნება
ზუერ-ი – ბაჟი
ზღვევა – წაგება, დაღუპვა; ანაზღაურება, გადახდევინება

თ

თავ-ი –დასაწყისი; საფუძველი
თავადი – მთავარი, თვითონ
თავიეთ-ი – თავიანთი
თავმოთნება-ჲ – თავმოწონება, ამპარტავნება
თავსაკიდურ-ი – კუთხე
თავს-დება – კისრება; ატანა; მოთმენა; მორჩილება; ტვირთვა
თავსმდებობა-ჲ – კისრება (შუამდგომლობა)
თავ-სხმა – კისრება (მრავლისა) შდრ. თავს-დება
თავქედ-ი – სიგიჟე, სიცოფე
თავწარსხმული – ნაყოფსავსე, სავსე თავთავი; თაველი
თალია-ჲ – ტომარა „თალიაჲ იფქლისაჲ, რომელ არს ძაძაჲ“ 108r
თანააღტანება – აყვანა
თანაგზა-ყოფა – თანამგზავრობა
თანადართვა – დამოწმება, დათანხმება
თანადება – მოვალეობა; მართება; ვალის ქონა
თანალმობა – თანაგრძნობა
თანამაც – I პირი, მხ. რიცხვი, იხ. თანადება
თანამდები – მოვალე, ვალის გამცემი, დამნაშავე
თანამდებ-ყოფა – კისრება
თანანადებ-ი – ვალი
თანაყოფა – ერთად ყოფნა, ერთად ცხოვრება; ინტიმური კავშირი
თანაშეთქუმულ-ი – მოკავშირე
თანაშექუსვა – შეერთება
თანაშეწევნულ-ი –დამხმარე, შემწე
თანაშთამოყოლა – ჩამოყოლა
თანაწარსლვა– ჩავლა; უგულებელყოფა
თანაწარჴდომა – ჩავლა; აშორება
თარგმანება-ჲ – განმარტება
თეატრონ-ი –სანახაობა; სანახაობის ადგილი
თელგმა-ჲ – ჩირქი
თესულ-ი – დათესილი
თივა-ჲ – ბალახი
თითოფერება-ჲ – მრავალნაირობა; ნაირგვარობა
თმენა-ჲ – მოტმენა, გაძლება, ატანა; მოლოდინი
თნევა /თნება – მოწონება
თორნე-ჲ – თონე

თუ – რომ; განა; თუ
თუალთშეუდგამ-ი – ის, რასაც თვალს ვერ გაუსწორებ
თუალვა – თვლა, დათვლა
თუალუხვაობა-ჲ – მიუკერძოებლობა
თუალ-ღება – მიკერძოება
თუალ-ყოფა – მინიშნება, თვალით ნიშნება
თურე – ნუთუ
თჳთკმამყოფელი –თვითკმარი
თჳთოსახე-ჲ – ნაირგვარი
თჳნიერ – გარდა; გარეშე; ხოლო
თჳსაგან – ცალკე, განმარტოებით, მარტო
თჳს-თჳსად – ცალ-ცალკე
თჳსი – მახლობელი, თავისიანი
თხემ-ი – თავი; ქალა
თხზვა – ქსოვა; ხლართვა

ი

იავარ-ი – ალაფი; ნატაცები
იბედივად – ამაოდ; შემთხვევით
იგავ-დგმა –მაგალითის მოყვანა
იეფობა-ჲ – სიაფე; სიუხვე
იკონომოს-ი – მონასტრის სამეურნეო საქმეთა გამგე
ილუმელ-ი – „ესე იგი არს არცა სიკეთე, არცა სიავე არ ეტყობოდეს, არცა გემო. ილუმელ არც მძინარ, არც მღჳძარ“ (საბა) „ვითარცა ილუმელსა მივიღებ ამას“ 116r
იპპო-ჲ – იპოდრომი, ცხენთსარბიელი
იფქლ-ი – ხორბალი
იქედნე-ჲ – გველი
იშჳთ-იშჳთ – ძლიერ იშვიათად; დროდადრო
იძრვისი – მოძრავი; ქვემძრომი
იწროება-ჲ – სივიწროვე; გაჭირვება
იჭუ-ჲ – ფიქრი
იჭუეულება-ჲ –ეჭვი
იჭუან-ი – დაეჭვებული

კ

კადნიერება-ჲ – გაბედულება
კადნიერობა –გაბედვა
კადრება – გაბედვა
კაზმვა – გამზადება
კაზმულ-ი – გამზადებული, მორთული, შეიარაღებული
კათაკუმეველ-ი – მოსანათლავი
კამარა-ჲ – თაღი
კამბეშ-ი – კამეჩი
კანანახ-ი – გალობის დამწყები ბერი ან დიაკონი
კანკელ-ი – ტიხარი, ცხაური „ეკლესიათა შინა ხატთა დასასვენებელი ზღუდე, განმყოფელი საკურთხველისა“ (ნ.ჩუბ.)
კანონ-ი –საჯელი; წესი; მოვალეობა
კანჯარ-ი – გარეული ვირი
კაპან-ი – უფსკრული
კაპან-კაპანი – ვიწრო ადგილი; ძნელად სავალი გზა
კაპილონი – დუქანი
კარკინონ – კიბო; „კარკინონ ეწოდების და კირჩხიბიცა“ 116r
კატარტი – ანძის ხე; აფრა ნავისა
კაცად-კაცად-ი – თითოეული
კაცთმოთნე-ჲ – მლიქვნელი, პირფერი
კაცთმოთნება-ჲ – მლიქვნელობა, პირფირობა
კაწახ-ი – მჟავე
კდემა – მორიდება; სირცხვილი
კდემულ-ი – შერცხვენილი
კეთილ-ი – სიკეთე
კეთილადმოსავობაჲ – იმედი
კელარ-ი – მნე
კეკელა-ჲ –მშვენიერი
კელობა – კოჭლობა
კენდინარ-ი – ასლიტრიანი
კენდო-ჲ / კენდონ-ი – წამოსასხამი
კერატ-ი – ლობიოსებრი მცენარე
კერეონ-ი – ცვილის დიდი სანთელი ὁ *κερίων*

კერმა-ჲ – სპილენძის ხურდა ფული. τό κέρμα „კერმაჲ, რომელ არს ფოლი“120v
კერძ-ი – ნაწილი, მხარე
კერძო-ჲ – მხარე; ნაწილი
კერძო – კენ
კერძოდიაკონ-ი – დიაკვნის მსახური
კეც-ი – თიხა, კრამიტი
კიდე-ჲ – ნაპირი, კიდური
კიდეს-კიდე – ცალ-ცალკე
კიდვა – კიდება
კირჩხიბ-ი – კიბო
კიცხევა – დაცინვა, ლანძღვა
კნინი – მცირე
კნინოდენ – მცირედ
კნინოდენ-ი – მცირე
კნინღა – თითქმის
კოლტ-ი – ჯოგი, გროვა
კომს-ი / კომიტი – სამეფო კარისა და სახელმწიფო მოსამსახურე
კოჭობ-ი – ქოთანი
კრას - ყორნის ხმიანობა
კრებულ-ი – გუნდი, ეკლესია, მონასტერი, მონასტრის ძმობა
კრებული მონასტერი – თანაცხოვრებულთა მონასტერი
კრეტსაბმელ-ი – ფარდა
კრიტის-ი – მოსამართლე
კრძალვა – რიდი; გაფრთხილება
კრძალულება-ჲ – რიდი; სიფრთხილე; გულმოდგინება
კუალადგება – დაბრუნება, აღდგენა, ანაზღაურება
კუალადქცევა – მიბრუნება, დაბრუნება
კუართ-ი – პერანგი, ტანსაცმელი
კუბო-ჲ – აკლდამა, საფლავი
კუკული /კუნკული – ბერის ქუდი
კულა – კვლავ; კიდევ; კი; ხოლო
კუროჲსთავი – ოთხეკალი (ეკალღიჭი), ეკლიანი მცენარე
კჳრაობა – კვირადღე
კჳრვება /კჳრვობა – გაკვირვება
კჳრიელჱსონ – „უფალო შეგვიწყალე“ (ბერძნ.)

ლ

ლაგჳნ-ი – დოქი
ლაგჳნტარ-ი – დოქი
ლავრა-ჲ – დიდი მონასტერი
ლაკნა-ჲ – დიდი თეფში, ჭურჭელი
ლაკუა-ჲ – წყლის ავზი, ჭა
ლალვა – ჩხუბი, დავა
ლანძუ-ჲ – ქვაბი
ლაღ-ი – ამპარტავანი, თავხედი
ლაღობა-ჲ – ხუმრობა, მასხრობა, თამაში
ლაღოვა – ამპარტავნობა
ლახუროსან-ი – შუბოსანი
ლეგეონ-ი – გუნდი
ლევიტონ-ი – წამოსასხამი, „ ლევიტონი თჳსი, რომელ არს საბეჭური, გინათუ სამჭრე თჳსი “140r
ლიემპალ-ი – ლაფი, ტალახი
ლიემყრალ-ი – ლაფი
ლიტანია – საყოველთაო სავედრებელი ლოცვა, მსვლელობა ეკლესიის გარშემო ჯვრებითა და ხატებით
ლიტონ-ი – მარტივი, უბრალო
ლიტონობა-ჲ – სიმარტივე, უბრალოება
ლიტრა-ჲ – საწყაო, დაახლოებით გირვანქა; „172 დრაჰკანი ერთი ლიტრა არს“ (საბა)
ლიქნა-ჲ – მლიქვნელობა, თვალთმაქცობა
ლმობა – ტკივილი
ლმობიერ-ი – სნეული
ლმობილ-ი – ლმობიერი; თანამგრძნობი
ლოპრ-ი – დუჟი; ქაფი
ლურსმარ-ი / ლუსმარი – ლურსმანი

მ

მაგისტროს-ი / მაგისტრიანოს-ი – მთავარი
მალაკი – ჩანთა, ტიკი
მალემსრბოლ-ი – შიკრიკი, სწრაფმავალი
მალემწერალ-ი – სწრაფად მწერალი
მალიად – სწრაფად

მამაყოფა-ჲ – მონასტრის წინამძღვრობა
მანგალ-ი – ნამგალი
მანდილ-ი – ხელსახოცი
მანიაკ-ი – ყელსაბამი
მანიქეველ-ი – მანის მოძღვრების მიმდევარი
მანქანება – ხერხი, ვერაგობა
მანქანა – იარაღი (ხელოსნური)
მარადღე-ჲ – მუდამ
მარზიკ-ი – მებრძოლი; მეომარი; რაზმელი
მართლ – სწორად
მართლუკუნქცევა-ჲ – მიბრუნება
მასმენელ-ი – დამბეზღებელი, დამსმენი
მაფორ-ი – წამოსასხამი
მაღლოვა – ამპარტავნება, ქედმაღლობა
მაჩუენებელ-ი – თუალთმაქცი
მაჯანად – ფუჭად
მახალაკ-ი –პატარა ჩანთა
მახისრწყუმა-ჲ– მახის დაგება
მბდჯნვარე-ჲ – მინელებული
მდაბიურ-ი / მდაბიორ-ი – მდაბიო; სოფლელი, დაბელი, დაბის მოსახლე
მდგმო-ჲ – მკვრივი, მტკიცე
მდღევრ-ი – დღიური
მებრ – სრულიად, მხოლოდ, სწორედ
მეგანძე-ჲ – განძის პატრონი
მედგარ-ი – ვერაგი; ბოროტი; უვარგისი
მეზუერე-ჲ – მებაჟე
მეთუალე-ჲ – თვალ-მარგალიტით მოვაჭრე
მეკარე-ჲ / მეკრე-ჲ – მეკარე
მეკერპე-ჲ – კერპთმსახური
მეკრისტონე-ჲ – ფულის შემნახველი
მემტილე-ჲ – მებოსტნე
მემუცლეობა-ჲ – ღორმუცელობა
მემხლე-ჲ – მებოსტნე
მენავეთმოძღუარი – მეზღვაურთა უფროსი (კაპიტანი)
მეპურისმტე-ჲ – თანამესუფრე
მეპურისმტეობა-ჲ – ერთად ჭამა, თანამესუფრეობა
მერმე-ჲ – შემდეგი, შემდგომი, სხვა; მომავალი, მერმისი
მესამოსლე-ჲ – ტანსაცმლის მკერავი
მესისხლე-ჲ – სისხლისმღვრელი; ბოროტი
მეტი – გარდა; სხვა; ზედმეტი
მეყსა შინა – სწრაფად
მეცნიერ-ი – მცოდნე, ბრძენი; ნაცნობი
მეცნიერება-ჲ – ცოდნა
მეჭურჭლე-ჲ – განძეულის მცველი
მზახობა-ჲ – დანათესავება, დამოყვრება, მძახლობა
მზრდელ-ი – გამზრდელი, გამომკვებავი
მზევნება – მზეზე გაშლა, გამზევრება
მზუაობრობა-ჲ – ამპარტავნება
მთავრობა-ჲ – დაუფლება
მთავრობისმოყუარეობა-ჲ – ძალაუფლების მოყვარეობა
მთნებელ-ი – მსახური
მთხრებლ-ი – ორმო, თხრილი
მიახლება – მიახლოვება
მიგდება – დაგდება
მი-და-მო – აქეთ-იქით
მიდგომა – მიყოლა; მიახლოება; დაორსულება
მიგება – პასუხის გაცემა; მიზღვა, გადახდა
მიერ – იმ; იქიდან; გან
მივის – I ობ. პირი, მხოლ. რიცხ., იხ. ვ (ყოლა)
მიზდ-ი – სასყიდელი
მიზდებულ-ი – დაქირავებული
მითუალვა – დაჯერება; მიღება, შეწყნარება; ჩაბარება; მითვლა
მიკარგვა – აქ: განკარგვა „შვილნიცა თჳსნი წარიყვანნა მონასტრად, მითვე სახითა მიჰკარგნა იგინიცა მუნ“
მიკრება – შეგროვება
მიკუალება – მიშვება
მილოან-ი – ასპარეზი
მიმდგომი – მიმდევარი, მომხრე

მიმდემი – გამუდმებული; განუწყვეტელი
მიმდემობა-ჲ – განუწყვეტლობა
მიმთხუევა – შეხვედრა, შეყრა; მიღწევა
მიმთხუეულ-ი – მიწევნილი; შეხვედრილი
მიმორბედ-ი – სირბილით აქეთ-იქით მავალი
მიმორორინება / მიმორონინება – სიარული, მიმოსვლა
მიმოს-ი – მსახიობი, მიმბაძველი
მიმოსავალ-ი – გზა; სახეტიალო
მიმოქცევა – დატრიალება, ტრიალი; მიმოსვლა; ცვალება
მიმოხლდომა – ხტომა; გოგმანი
მიმცნება – შეტყობინება
მიმცნებულ-ი – შეთვლილი
მიმწუთარ-ი – მიწევნული; მიმწვდომი
მიმწუხრ-ი – საღამო
მიმწუხრად – საღამოს
მირდომა / მივრდომა – დაცემა, დავარდნა
მირდომილ-ი / მივრდომილ-ი – დაგდებული, დაცემული
მირეცით – მიწოლით. შდრ.: სარეცელი
მირჩოლა – დაჯერება, დამორჩილება, გაგონება
მისაახლებელ-ი – მისაახლოვებელი
მისანდობელი – ერთგული, სანდო
მისთანა-ჲ – მასთან მყოფი
მისნობა-ჲ – მკითხაობა, წინასწარ ცნობა
მიუდრეკელად – სწორად, გადაუხრელად
მიქცევა – მობრუნება
მიღება – წართმევა, წაღება
მიყვანება – მიგზავნა; შერთვა; მიყვანა
მიყოფა – შეხება
მიხადა – მიწვევა
მიხუდომა – შეხვდომა
მიხუმა – მიღება (მრავლისა); წართმევა; წაღება. შდრ.: მიღება
მიჯდა – გადახდევინება, გადახდა წართმევა;
მკადრე-ჲ – გამბედავი; გაბედული
მკელობრად– კოჭლობით
მკრეხველ-ი – მძარცველი
მკსინვარედ – მრისხანედ; წყრომით
მლევანება-ჲ – პატივი ; მსგავსება; წუხილი
მნატრე-ჲ – მნატვრელი
მოაქამომდე – აქამდე
მოაქჟამადმდე – ამ დრომდე
მობღალვა – დასვრა
მოგება – შეძენა
მოგებულ-ი – შეძენილი
მოგლესილი –მოლესილი
მოგონება – მიხვედრა, მოფიქრება
მოგონება-ჲ – ფიქრი, აზრი
მოგონებულ-ი – ჩანაფიქრი
მოგუალე – მოდი
მოგუნა – მოხიბვლა
მოგუნილ-ი შეცდენილი, გადაბირებული
მოგუება – ჯადოქრობა; მაზდეანობა
მოდრეკა – მოხრა, დახრა, მოღუნვა
მოდღესამომდე-ჲ – დღევანდლამდე, დღემდე
მოვიწყე-ჲ – დამვიწყებელი
მოვლტოლა – გამოქცევა; მორჩენა
მოზავება – შესაბამისობა; შეფერება
მოთმინე-ჲ – მომთმენი, ამტანი
მოკიცხვა – შერცხვენა, დაცინვა, აბუჩად აგდება
მოკიცხული – აბუჩად აგდებული
მოკლება – დაუძლურება, დასუსტება
მოკრძალე-ჲ – მორიდებული
მოკრძალე თავისაჲ– თავშეკავებული, მომთმენი
მოლალე-ჲ –მოდავე, მოჩხუბარი
მოლეწილ-ი – დალეწილი, მოტეხილი
მოლოდება – ლოდინი
მოლოდინება-ჲ – დაცდა
მოლოქ-ი – მხალეული
მოლტოლვილ-ი – მოსწრაფი, მოშურებული
მომატყუებელ-ი – მომასწავებელი;

საბაბი, მიზეზი
მომედგრება – მოუძლურება
მომზავებელ-ი – შესაფერისი
მომზავებლობა-ჲ – შესაფერისობა
მომზრახი – დამძრახველი
მომიჯსენე-ჲ – კეთილგონიერი ავაზაკის მიმართვა ჯვარცმული მაცხოვრის მიმართ (ლუკა 23. 43)
მომკალ-ი – მომკელი
მომუშაკება – დამუშავება
მომუხვა –დასუსხვა, დაჭრა
მომყმარ-ი – მშიერი
მომცნება – შეტყობინება
მომძიმარ-ი – შეწუხებული
მომწუთარ-ი – მიწევნული; მიმწვდომი
მომწყლველ-ი- – დამჭრელი
მონადირება – მოპოვება; შეპყრობა
მორბედ-ი – მორბენალი
მორეწვა – შოვნა, შეძენა
მორკინალ-ი – მოჭიდავე
მორკინალობა-ჲ –ჭიდაობა
მოსაახლებელი – მოსაახლოვებელი
მოსა-ჲ – შემოსა
მოსავ-ი – მოიმედე
მოსავობა-ჲ – მოიმედეობა
მოსთულება – მოკრეფა
მოსიკუდიდ-ი – მოკვდავი, მომაკვდავი
მოსმენარი – გამცემი
მოსუმურობა – მსმელობა
მოსწრაფე-ჲ –გულმოდგინე
მოსწრაფება-ჲ – სწრაფვა, მონდომება
მოტანება –მოტანა, მოყვანა
მოტყუება – ვარაუდი; დამართება; მოსწავება
მოტყუმა – ქმნა, ყოფა
მოუვალ-ი – აქ: მოუსვლელი, არყოფილი „ძჯრისჯსენებითა იწურთის და მოუვალთა საქმეთა იგონებს“ 58v
მოუკლებელად – განუწყვეტლივ, მუდამ
მოუწყლველად – დაუჭრელად
მოფქავ-ი – მფქველი
მოფხურა – მოგლეჯა, გლეჯა
მოქენე-ჲ – მთხოვნელი, მხვეწნელი
მოქმნა – დამუშავება, მოკაზმვა
მოღება – მოტანა
მოღუაწე-ჲ – მოწესე, ბერი, მონაზონი; მზრუნველი; მეომარი, მოასპარეზე
მოყიდვა – ყიდვა, გამოსყიდვა
მოყივნება – შერცხვენა; მოოხრება
მოყმობა – მომშევა, შიმშილით მოკვლა
მოშურნე-ჲ – შურიანი, შურისმაძიებელი
მოშურომა / მოშრომა – შეწუხება
მოცალე-ჲ – მოცლილი, თავისუფალი
მოცალება-ჲ – მოცლა; დროის პოვნა, მოცლა საქმისაგან
მოცთომა – შეცდომა
მოცთუნება – მოცდენა; მოტყუება
მოუძლურება-ჲ – დასუსტება, დაუძლურება
მოძღურებულ-ი – დამოძღვრილი
მოწადილ-ი – სურვილი, ნდომა; მონდომება
მოწამე-ჲ – მოწმე; წამებული
მოწითანე-ჲ – მოწითალო
მოწლედ – მონდომებით
მოწლეობა-ჲ – თანაგრძნობა
მოწურთა – გაწვრთნა
მოწყინე-ჲ – მოუთმენელი
მოწყინება – მოწყენა, მობეზრება
მოწყლვა – დაჭრა
მოჭირვება – შეწუხება; ცდა
მოხარკება – საქმიანობა; გადასახადის გადახდა
მოხედვის-ყოფა – მოხედვა
მოხადა / მოხდა – დაძახება; მიპატიჟება
მოხლდომა - მოხტომა
მოხუმა – მოტანა, მოყვანა (მრავლისა) შდრ. მოღება
მოხუეტა – გაფხეკა, გაწმენდა
მოჯდა – მოთხოვნა; გადახდევინება, გახდა, მოხდა; მოშორება; ჩამორთმევა; მოწევნა

მოჭდომა – მოსვლა
მოჭსენება – გახსენება
მოჰასაკე-ჲ – თანატოლი
მრავალთხზულება-ჲ – ხლართი
მრავალსასყიდლისა-ჲ – ძვირი
მრავალღონე-ჲ – მრავალგვარი; ვერაგი; მზაკვარი
მრავალღონეობა-ჲ – ვერაგობა, მოხერხებულობა; მცდელობა
მრგულივ – ირგვლივ, გარშემო
მრგულიადდასაწუველ-ი – შესაწირავი; მსხვერპლთშეწირვის სახეობა ძველ ებრაელებში. „ესე არს მსხვერპლს რა მთლივ დასწვიდენ“ (საბა)
მრორინე-ჲ – მიმომავალი
მრღჳე-ჲ – ამღვრეული
მრჩობლ-ი –ორმაგი, მეორე, ორმაგად
მრცხელ-ი – მრეცხავი
მსახრვალი – გრძნეული, მისანი, ჯადოქარი
მსმენელი – მონანული
მსოფლიო-ჲ – საერო
მსოფლიონად – საერისკაცოდ
მსტოვრობა / მსტრობა – ჯაშუშობა, თვალთვალი
მსხმო-ჲ – მსხმოიარე
მსჯავრი – განაჩენი, სამართალი
მტარვალ-ი – ჯალათი; ჯარისკაცი; მხედარი
მტილ-ი – ბაღი; ბოსტანი
მუმლ-ი – ქინქლა
მუტრუკი – ჩოჩორი
მუქერ-ი – ტვირთის ქირით გადამზიდველი
მუცელქმულ-ი – ფეხმძიმე
მუჭლთმოყრით – დაჩოქებით
მქისე-ჲ –უხეში
მქცევარე-ჲ – მობრუნებული
მღერა – დაცინვა; თამაში; ალერსი
მღილ-ი – ჩრჩილი
მღჳძარე-ჲ – ფხიზელი
მღჳძარება-ჲ – სიფხიზლე
მყოვარ – დიდხანს
მყოვარჟამ – დიდხანს
მყოვარჟამი – დიდი ხანი
მშხამ-ი – შხამი
მცირედჟამისა-ჲ – ხანმოკლე
მცნება – დარიგება, გაგებინება; ბრძანება
მძაგ-ი – მძაგებელი
მძლავრება – ძალადობა, ჩაგვრა
მძღუარი – წინამძღვარი
მწამლველ-ი – გრძნეული, მაცთური, ექიმი
მწერობა – მარაოთი ჰაერის გაგრილება
მწიკული/ მწინკული – ჭუჭყი, ჭუჭყიანი
მწიკულევანი / მწინკულევანი – ბილწი, ჭუჭყიანი
მწირ-ი – უცხო, ხიზანი
მწოდებელ-ი – მიმწვევი, დამძახებელი
მწუერვალ-ი – წვერი
მწურთელ-ი – მწვრთნელი
მწუხრითი მწუხრად – მწუხრიდან მწუხრამდე
მწკრე-ჲ – ტალახი
მწკს-ი – მოზრდილი
მწყდარ-ი / მწყუდარ-ი – ცოცხალ-მკვდარი; დაჭრილი
მწყსა – მოვლა; მწყემსვა
მწყურნებ-ი – წყლიანი ადგილი
მჭკრობელ-ი – მალულად მაყურებელი
მხოლო-ჲ – მარტო
მჯარ-ი – მხარი; საზომი „ოთხი წყრთა ერთი მჯარი არს“ (საბა)
მჯეცნარ-ი – მხეცთა სამეფო
მჯნობა – გაძლიერება
მჯუმილ-ი – დარაჯი, მცველი
მჯიღი – მუჭი

ნ

ნაზორევ-ი – მსხვერპლი, შენაწირი, ნაკერპავი

ნათხზენ-ი – დაწნული, ნაწნავი
ნამარგელ-ი – ეკალი, სარეველა
ნამარხევ-ი – შენახული (ქონება, საგანძური)
ნამეტნავ-ი – მეტი, ნეშტი
ნამცუეც-ი / ნამცეცჳ – ნამცეცი
ნანება – ნაღვლობა, შენანება
ნასხურ-ი – არად ჩასაგდები
ნატაცებ-ი – მიტაცებული
ნატიფ-ი – ნამცხვარი
ნაქმარ-ი – გაკეთებული, მომხდარი
ნაყოფ-ი – ქონება
ნაყროვანება-ჲ – გაუმაძღრობა; ღორმუცელობა
ნაცილ-ი – ტყუილი
ნაწევარ-ი – მალა; ნაკვეთი; ნაწილი
ნაწილ-ი – წილი; ხვედრი
ნაწლევ-ი – ნაწლავი
ნაწყუედ-ი – მცირე; ნაწყვეტი
ნახეთქ-ი – ნაგლეჯი, ნახევი
ნება / ნებება – მოწონება; სურვილი
ნეკტარ-ი – რუ
ნემსოდენ-ი – ნემსისოდენი
ნესტჳ – სალამური; ფლეიტა
ნესტორნ-ი – აქ: ნესტორიანნი „უკუეთუ ეზიარო ორბუნებიანთა თანა, წარსწყმედ სულსა შენსა, რამეთუ ნესტორნი არიან იგი“ 406v
ნეტარ – ნეტავ
ნეტარებან-ი – სახარების მუხლები ცხრა ნეტარების შესახებ (მათე 5. 3-12)
ნეხოვნება-ჲ – უწმინდურება
ნივთი –საგანი; საფუძველი; წესი; სამყარო; მატერია
ნისლოვანება-ჲ – ბუნდოვანება
ნიშებშემოსილ-ი – სასწაულთმოქმედი
ნიჭ-ი – საჩუქარი, საბოძვარი, ძღვენი
ნიჭება – ჩუქება
ნუთუ – ეგებ; განა; შესაძლოა
ნუკევა – ნებივრობა, ფუფუნება; თხოვნა; ხვეწნა
ნუკვება – განებივრება
ნურაჲ – ნურაფერი
ნუსადა – რომ; იქნებ; ნუთუ
ნუუკუე – ნუთუ; განა; რომ; ნუ; ეგების; თუ არა
ნწუბება – ამოსვრა; გორვა; გორაობა

ო

ოდენ – ოღონდ; მაინც; მხოლოდ; სწორედ
ოდეს – როცა
ოდესვე – ყოველთვის; მუდამ
ოლარ-ი – ლოცვისას გამოსაყენებელი ხელსახოცი; თავსაფარი; ხელმანდილი
ომფორ-ი – წამოსასხამი, საბეჭური, სამხრე
ორკერძო-ჲ – ორმხრივი
ორკეც-ი – ორმაგი
ორღანო-ჲ –მუსიკალური საკრავი; ინსტრუმენტი
ოსპ-ი – ერთწლიანი პარკოსანი მცენარე
ოტება – განდევნა
ოცება –მოჩვენება; ჩვენება
ოცება-ჲ – მოჩვენება
ოხა – მუდარა, ვედრება
ოხა-ჲ – შუამდგომლობა
ოხჭან-ი – ბოლო, აღსასრული
ოჴერ-ი – მოოხრებული
ოჴრობა-ჲ – უდაბნო; ყამირი; გავერანებული

პ

პალატ-ი – სასახლე
პალეკარტ-ი – კვართი, უსახელო მოსასხამი
პაპ-ი – პაპა; აქ: პატრიარქი: „*აღვიდა ალექსანდრიად, რამეთუ წეს არს წინამძღუართა სკიტისათა, რაჲთა აღვიდოდიან პაპსა თანა დღესასწაულსა*“208r
პარეხ-ი – მიუვალი, კლდიანი ადგილი; ნაპრალი კლდეთა შორის

პასექ-ი – ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლის დღესასწაული; სადღესასწაულოდ შეწირული კრავი
პატივება – პატივისცემა
პატივის-პყრობა – პატივისცემა
პატიჟ-ი – სასჯელი
პატოჰან-ი – სარკმელი, ნიშა
პატრიკ-ი – მთავარი (იხ. ეპარქოსი)
პაქსიმად-ი – კვერი
პელაგონ-ი – ზღვა *τό πέλαγος*
პერულ-ი – ქაფი
პინაკ-ი – ჯამი
პირველ – ადრე; მდე; უწინარეს
პირველ-ი – ადრინდელი, უწინარესი
პირ-ი – ნაპირი; სიტყვა; განზრახვა; საგანი; საზღვარი
პირის-ჴსნა – გახსნილება; ჭამა
პირლო-ჲ – კოშკი „პირლოჲ, რომელ არს გოდოლი“ 206v *ὁ πύργος*
პიტაკ-ი – წერილი
პლაკუნტ-ი – ხვეული ქადა
პორფირ-ი – მეწამული ფერი; წითელი ძვირფასი სამოსელი
პოხიერ-ი – ნოყიერი; მსუქანი
პრეტორ-ი – სამსჯავრო
პყრობა – ჭერა; აღება; შეკვრა; ქონა; ყოლა; მოჭიდება

ჟ

ჟამად-ჟამად –დროდადრო; მუდმივად
ჟამეულ-ი – დროებითი
ჟამითი ჟამად – დროგამოშვებით
ჟამისად – დროულად; დროებით
ჟამობა-ჲ / ჟმობაჲ – გალობა; ლიტურგიკული ჟამების აღსრულება
ჟმიერ-ი – დროის შესაფერისი; დროებით

რ

რაბ-ი – მოძღვარი
რაბამ-ი – როგორი
რაბუნ-ი –გირაო, წინდი
რაზომ – რანმდენადაც
რაჲ – როგორ; რომ; ყოველ; ნივთიერება; მიმართებითი და განუსაზღვრელი ნაცვალსახელი
რაჲზომცა – რამდენადაც
რაჲთა – რათა; რომ; რით
რაჲთგან –მას შემდეგ; რის შემდეგ; ვინაიდან
რაჲთურთით – სრულიად; ყოვლადვე
რაულ-ი – როგორი
რაულად – როგორ
რაფან-ი – თალგამი ან ბოლოკი
რაფიკობა-ჲ – მეგობრობა, „მოყვასობა აჩემებული“ (საბა)
რაცხა – ჩათვლა; აღრიცხვა
რგება – შეფერება; შეწევნა; სარგებელის მიღება/მიცემა; შერგება
-რე – ცოტათი, მცირედ
რეკება – კაკუნი
რემაკ-ი – ჯოგი
რეცა – თითქოს, ვითომც, ოდნავ
რვალ-ი – სპილენძი
რვალნაწლევ-ი – სპილეძის ნაწლავიანი
რიდება – მორიდება, გაფრთხილება; დაზოგვა
რიჟურაჟუ – რიჟრაჟი
„რომელნი ქერობინთა“ – ქერუბიკონი: გალობა, რომელიც სრულდება ჟამისწირვაზე
რორინება – სიარული, სვლა
რუბა-ჲ – „მესამედი დრაჰკნისაჲ“ (საბა)
რულ-ი /ჰრულ-ი – თვლემა; ძილი
რულოვა – თვლემა, ძილი
რცხა – რეცხა
რწმუნება – დაჯერება; ჩაბარება; მიცემა
რჩოლა – დაჯერება; დამორჩილება

ს

საანჯმნო-ყოფა – გამოცხადება, გამოაშკარავება
საბაზმაკე-ჲ – სასანთლე

საბავრუკე-ჲ – სამარილე
საბასრავი – დასაცინი
საბელ-ი – თოკი, თასმა
საბეჭდავ-ი – ბეჭედი
საბეჭურ-ი – წამოსასხამი, ბეჭებზე მოსასხამი (იხ. ლევიტონი)
საბურველ-ი – გადასაფარებელი; რიდე, პირბადე; თავსახურავი; ფარდა
საბჭო-ჲ – სამსჯავრო, სასამართლო; განაჩენი
საგან-ი – სამიზნე
საგბოლი – ქვაბი
საგბოლველ-ი – მოსახარშავი
საგებელ-ი – ლოგინი, ქვეშაგები
საგონებელ-ი – საფიქრებელი, სავარაუდო, საეჭვო
საგრაგნელ-ი – სახვეველი, სუდარა
საგრძელო-ჲ – ხანგრძლივი
საგრძელოდ – დიდი ხნისათვის, ხანგრძლივად
საგრძნებო-ჲ – ჯადოქრული, მაცთური
სადაჲ – საიდან, სადაური
სადაგავ-ი – დასაწვავი
სადაგველ-ი – დასადაღავი იარაღი; შანთი
სადედო-ჲ – ქალისა, დედათა; ქალთა კრებული
სადამე – ზოგჯერ, სადმე, ოდესმე
სადიაკონე-ი/ სადიაკონო-ჲ – დიაკვნის სამყოფი
სადრაჰკნე-ჲ – საფულე
საერო-ჲ – =; საერთო
საექსორიო-ჲ – გასაძევებელი
საეჭუ-ი – საეჭვო
ს-ავ (ვესავ) – იმედი, ლოდინი
სავაზირო-ჲ – სათათბირო
სავაჭრო-ჲ – ბაზარი
სავნო-ჲ – საზიანო
საზერგნელად – დასატკეპნად; დასათრგუნად
საზომ-ი – წილი, ლარი, ბირთვი, ზომი, რიგი; შესაძლებლობა
საზრახავ-ი – სალაპარაკო, სასაუბრო
საზრდელ-ი – საჭმელი, საკვები
საზუერე-ჲ – საბაჟო
სათხოველი – სათხოვარი, თხოვნა
სათხროლ-ი – ბარი, ეჩო
საიტ-ი – დოქი
საკაპილო-ჲ / საკაპილონო-ჲ – დუქანი, სავაჭრო
საკიდურ-ი – კუთხე
საკდემელ-ი – შესარცხვენი
საკერავ-ი – საჭრელი, მაკრატელი
საკერპო-ჲ – კერპთთაყვანისმცემელთა ტაძარი
საკრებულო-ჲ – მონასტერი; შესაკრები; საზოგადო; საერთო
საკრძალავ-ი – მოსარიდებელი
საკუეთელ-ი – გასაჭრელი იარაღი
სალბოლ-ი – დასალბობი
სალბუნ-ი – მალამო
სალმობიერ-ი – მტკივნეული; ძნელი
სალოს-ი – გიჟი
სამაელ-ი – ეშმაკთმთავარი
სამამო-ჲ – მონასტრის წინამძღვრის სენაკი
სამაროან-ი – სასაფლაო
სამარხო-ჲ – საფლავი
სამე – მას; დიახ; ცხადია; ზოგჯერ; სად? სადმე, ოდესმე
სამთხოვლო-ჲ – სამათხოვრო
სამნაკეც-ი – სამმაგი, სამჯერადი
სამსალა-ჲ – საწამლავი
სამშჯნველ-ი – სული „უტყვი სული“ (საბა)ἡ ψυχή
სამწდეო-ჲ – დოქი
სამწირო-ჲ – მწირის, უცხოს, ხიზანის სამოსი
„სამწმიდაარსობისა გალობა“ – გალობა „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ“ ესაია 6.3
სამწუხრო-ჲ – საღამოსი, „მწუხრისა

დროსა“ (საბა); მწუხრის ლოცვა
სამწუხროდ – საღამოთი,
სამხრობა-ჲ – სადილობა; „შუადღე ჭამად არს სამხარი“ (საბა)
სამჭრე-ჲ – საბეჭური
სანავე-ჲ – ნავსადგური
სანდალ-ი / ცანდალი – პატარა ნავი; ფეხსაცმელი
სანავღლო-ჲ – მწარე სასმელი
სანახე-ჲ – სანახები, მხარე, ქვეყანა
სანუკვარ-ი – საზრდო; სანატრელი
საპურე-ჲ – პურის საცხობი
საჟამობელი –საწირავი; სალოცველი [ჟამებზე შესასრულებელი]
სარეცელ-ი – ლოგინი, საწოლი
სართულ-ი – სახურავი; ჭერი
სარკინოზ-ი – ერთ-ერთი არაბული ტომის სახელწოდება, იხმარებოდა არაბის აღსანიშნავად
სარჩომელ-ი – დასახრჩობი
სარცხელ-ი – სარეცხი
სარწყაოან-ი – სარწყავი
სარწყულ-ი – წყლის ჭურჭელი
სასთაულ-ი – ბალიში
სასთუნალ-ი – სასთუმალი
სასოებაშემოსილ-ი – იმედით სავსე
სასოწარკუეთილ-ყოფა – იმედის დაკარგვა
სასნეულო-ჲ –საავადმყოფო
სასუფეველ-ი – ზეციური სამეფო
სასწაულ-ი – ნიშანი
სასწრაფო-ჲ – სასურველი; საჩქარო
სატურფო-ჲ – საუკეთესო
სატუხელ-ი – მახინჯი
საუბნარ-ი – ლაპარაკი, სიტყვა
საუნჯე-ჲ – განძის შესანახი ადგილი; საწყობი, სენაკი, სახლი
საურავ-ი – საზრუნავი
საუძლურე-ჲ – საავადმყოფო; საპირფარეშო
საუცრება-ჲ – მოჩვენება; ოცნება
საფასე-ჲ – ქონება, განძი
საფითა-ჲ – ერთგვარი საწყაო
საფლაოვან-ი – სასაფლაო
საფსალმუნე-ჲ – ამბიონი, ფსალმუნის წასაკითხი ადგილი
საქანელ-ი – ნიაღვარი
საქმარ-ი – საქმე, ინსტრუმენტი; მანქანა; სახსარი; გამოსახსნელი
საღრტილი – კაჟი
საღუაწ-ი – საჭირო, სახარჯო
საყდარ-ი – ტახტი, საჯდომი
საყნოსელ-ი – ცხვირი
საჩინო-ჲ – გამოჩენილი, გამორჩეული
საცნაურ-ი – ცხადი; შესაცნობი; გასაგები; ცნობილი; შესატყობი
საცნაურ-ყოფა – გამოჩენა, გამოაშკარავება
საცნობელ-ი – გრძნობის ორგანო; ცნობიერება; მგრძნობელობა
საცო-ჲ – მცველი, საცავი, საგუშაგო
საცხორებელ-ი – გადამრჩენი, სახსნელი, მაცხოვნებელი
საძაგელშეძინება-ჲ – სიხარბე, მოხვეჭა, ქონების უსამართლოდ შეძენა
საწამებელი – მოწამის სახელზე აგებული ეკლესია [დასადასტურებელი, სარწმუნო]
საწერელ-ი – საწერი მოწყობილობა, კალამი
საწერტელ-ი – საჩხვლეტი, ნესტარი
საწუთრო-ჲ – წუთიერი
საწყეო-ჲ – საწყაო
სახარულ-ი – სასიხარულო
სახარულევანება-ჲ – სიხარული
საჭირველ-ი – ძნელი, ვიწრო, მჭიდრო
სახე-ჲ –წესიერება; საქმე; ჩვეულება; მაგალითი; ნიმუში; მსგავსი
სახეველ-ი – საჭრელი
სახელ-დება – წოდება
სახიერ-ი – კეთილი, კეთილისმოქმედი, ტკბილი, სასარგებლო

სახიერება-ჲ – სიკეთე; სიმშვიდე; მოწყალება
სახილველ-ი – თეატრი, სანახაობა
სახიობა-ჲ – მუსიკა; გალობა; ჯამბაზობა
სახისა განგება – წესიერად ცხოვრება
სახისმეტყუელება-ჲ – იგავი, არაკი
სახლეულ-ი – ოჯახის წევრი; მსახური
სახნიერ-ი – კეთილი, წყნარი; ნატიფი, ლამაზი
საჯუმილ-ი – ქურა; ბრძმედი; ცეცხლი, ალი
საჯმარ-ი – საჭირო, გამოსაყენებელი
საჯსარ-ი – გამოსასყიდი
საჯდომ-ი – სკამი
სებინ-ი /სევინი – ფინიკის ძირისაგან დამზადებული საფარველი. „ბაიასაგან თხზული სამოსელი„ (საბა) „პალეკარტი სევინისაჲ, რომელ არს დათხზული ბაჲაჲსაჲ“ 165v
სერ-ი – ვახშამი; საღამო
სიავ-ი – ქვაბი
სიბორგილე-ჲ – შეშლა, სიგიჟე
სიგლისპე-ჲ – ურცხვობა
სიგუესე-ჲ –სიმძაფრე, სიმწვავე
სიდარე-ჲ – ნაკლი
სიდაშნე-ჲ – თავმდაბლობა, სიმშვიდე
სიდრკუე-ჲ – მზაკვრობა
სივლტოლა-ჲ – გაქცევა; სირბილი
სილაღე-ჲ – ამპარტავნება, თავხედობა
სილირბე-ჲ – ურცხვობა
სიმაშურალე-ჲ – დაღლილობა
სიმედგრე-ჲ – უკეთურება
სიმდაბლე-ჲ –თავმდაბლობა
სიმპალე-ჲ – სიდამპლე
სინდონ-ი – წამოსასხამი „რომელ არს პალეკარტი“
სირა-ჲ – ჭილობი, საფენი; ფართო შოლტი მოქსოვილი ფინიკის ფურცლებისგან
სირცხჯლეულ-ი – შერცხვენილი
სისრულე-ჲ – სრულყოფა
სიტყჯსმიცემა-ჲ – პასუხის გაცემა
სიტყუა-ჲ – ლაპარაკი
სიუდბე-ჲ – სიზარმაცე
სიქადულ-ი – ამაყობა, თავმოწონება
სიღოდა-ჲ – სიმღერა; მთვრალთა სიმღერა
სიყმილ-ი – შიმშილი
სიყუარულ-ი – აღაპი *ἡ ἀγάπη*
სიჩქურ-ი – სიშლეგე
სიჩქურება-ჲ – სიშლეგე
სიწლო-ჲ – სიმცირე; სიწმინდე; სიწვრილე
სიწრფოება-ჲ – სიმართლე, გულწრფელობა
სიხენეშე-ჲ – სიბოროტე
სიხელე-ჲ – სიგიჟე
სიჯშო-ჲ – სისქე
სიჰამე-ჲ – საამურობა
სიჰამოვნე-ჲ – საამურობა
სოლინარ-ი – მილი
სპა-ჲ – ჯარი
სპეტაკ-ი – თეთრი
სრვა – ხოცვა, ჟლეტა
სრულებით – მთლიანად, სრულიად
სტოა-ჲ / სტოვაჲ – გადახურული შესასვლელი, აივანი, კამარა. *ἡ στοά* იხ.: შტო
სულთქუმა-ჲ – ოხვრა
სულელ-ი – გიჟი, უგუნური, შემცდარი ჭკუაზე; იხ.: სალოსი
სულმოკლე-ჲ – მშიშარა; უკეთური; ვერამტანი; გულგატეხილი, დაღონებული, მოუთმენელი
სულმოკლექმნულ-ი – მოდუნებული, გაზარმაცებული, მოშვებული
სულმყრალობა-ჲ – სიმყრალე
სულშემოკლებულად – გულგატეხილად, უიმედოდ
სულმცირე-ჲ – მსუბუქი, ლმობიერი
სულღება-ჲ – სიჩუმე, უხმოობა

სულღებით – დუმილით; ჩუმად; უხმოდ
სულჭუებულ-ი – ცოცხალ-მკვდარი
სუმა –ყოლა, მოყვანა
სუმადი – სასმელი. შდრ. ჭამადი
სურვიელ-ი – მსურველი
სჳნკლიტიკოს-ი – სინოდის წევრი, უმაღლესი საერო და საეკლესიო ხელისუფალი, მრჩეველი, ტაძრეული, დარბაისელი
სფირიდ-ი – კალათა, გოდორი
სქემა-ჲ სამონაზვნო სამოსი
სწავება – შეტყობა; დასწავლა; გადაცემა
სწავლა – შეტყობა, გაგება
სწორ-ი – თანაბარი, მსგავსი
სწორებით – თანაბრად, თანასწორად
სწრობა – გასწრება, დასწრება; ჩქარება
სჯა / შჯა – დავა; გასამართლება; დასჯა; ცილობა

ტ

ტაბლა-ჲ – სუფრა
ტალანტ-ი – ვერცხლის ან ოქროს ფული
ტაროს-ი – ამინდი
ტარტაროს-ი – ჯოჯოხეთი; უფსკრული. ბნელი უფსკრული. ὁ Τάρταρος – ჰადესის ქვემოთ, სადაც ზევსმა დაამწყვდია კრონოსი, ტიტანები და სხვები
ტევება – ნების დართვა; დატოვება, მიტოვება
ტერფის-ცემა – ფეხის დარტყმა
ტკეცილ-ი – მოსწორებული, გატკეცილი
ტრაპეზ-ი – სუფრა
ტურფა-ჲ – ძვირფასი, მშვენიერი
ტჳრთვა – აწევა, აღება
ტყება – გლოვა, მოთქმა თავპირში ცემით, გოდება
ტყუება – ალაპარაკება
ტყუენვა – დევნა, დატყვევება

უ

უაღრეს-ი – უდიდესი; უმეტესი
უბან-ი – მოედანი; ქუჩა; სავაჭრო; ბაზარი
უბერეს-ი – უხნესი, უხუცესი
უბნობა – ლაპარაკი
უბრალო-ჲ – უდანაშაულო
უგლიმ-ი – ბრიყვული; მოურიდებელი; ურცხვი
უგლისპეს-ი – უურცხვესი
უგრძნულად – უეცრად, მოულოდნელად
უდარეს-ი – უარესი; უმცროსი
უდაშნეს-ი – უმშვიდესი
უდებ-ი – უკეთური; უსარგებლო; ფუჭი; ზარმაცი
უდებ-ყოფა – უგულებელყოფა
უვის – იხ. ვ
უთავადეს-ი – უმთავრესი
უზრუნველყოფა-ჲ – დამშვიდება, შეუწუხებლობა
უკუნდგინება –უკან დახევა იხ. უკუდგომა
უკუდგომა– უკან დახევა
უკუმოქცევა – მიბრუნება
უკუღმართ – უკან
უკუწყნარება – დალაგება, მილაგება
უმადლო-ჲ – უმადური
უმალეს / უმალე – უსწრაფესად, სასწრაფოდ
უმართლეს-ი – უფრო მართალი
უმგბარ-ი – ნედლი, მოუხარშავი
უმოკრძალეს-ი- უფრო მორიდებული
უმრწემეს-ი – უმცირესი, უმცროსი
უმღჳძარეს-ი – უფხიზლესი
უმცრო-ჲ – უმცირესი
უმწჯსეს-ი – ყველაზე უმცროსი
უნდილად – უმწიფრად
უნდილ-ი – უმწიფარი
უნდო-ჲ – უვარგისი; გამოუსადეგარი; სუსტი

უნდოება-ჲ –უვარგისობა; ხანმოკლეობა
უნებელი –აუცილებელი; არასასურველი
უნივთო-ჲ – უსაგნო; ფუჭი; უმატერიო
უპატიოება-ჲ – შეურაცხყოფა, არად ჩაგდება
უპოვარება-ჲ – სიღატაკე, უქონლობა
უპოვარ-ი – არაფრის მქონე, ღატაკი
უჟამოდ – უდროოდ, დროის გარეშე, ნაადრევად
ურაკპარაკი – მოედანი; ქუჩა
ურგებ-ი – უსარგებლო
ურვება – შეწუხება, წუხილი
ურვეულ-ი – შეწუხებული
ურვეულება-ჲ – გაჭირვება; წუხილი
ურისხველობა-ჲ – სიმშვიდე
ურნატ-ი – ხნული, კვალი
ურნატეულ-ი – ხნული, კვალი
უსაჭმარეს-ი – უსაჭიროესი
უსრულე-ჲ – არასრულყოფილი
უტევან-ი – მანძილის საზომი, 125 ნაბიჯი
უტყუველ-ი – მართალი, ჭეშმარიტი, შეუცთომელი
უუდბეს-ი – უარესი, უბოროტესი
უუდბეს-ყოფა – უარესად ქცევა
უუნდოეს-ი – უარესი, უცუდესი
უურავ-ი – უზრუნველი, უდარდელი
უფალ-ი – ბატონი, პატრონი; მფლობელი
უფიცხლეს-ი – უსასტიკესი
უფლება-ჲ – ბატონობა, მთავრობა, ძალაუფლება
უფლებულ-ი – დაუფლებული
უფროეს-ი – უფრო მეტი; უდიდესი, უხუცესი
უფროესობა-ჲ – უფროსობა
უქუემოეს-ი – უმდაბლესი
უქუეს-ი – უფრო დაბლა; უმცროსი, ნაკლები
უღლეულ-ი – წყვილი
უღონეოდ – აუცილებლად
უღონო-ჲ – უძლური; უქონელი; შეუძლებელი
უღონოდ – მოუხერხებლად, შეუძლებლად
უღუაწ-ი – უმოქმედო, მოუვლელი
უყე-ჲ – ტალახი, შლამი
უშინაგანეს-ი – უდაფარულესი, შინაგანი, შიგა; უახლოესი
უშუერება-ჲ – სიმახინჯე
უშუერ-ი – უკეთური, ულამაზო, უშნო
უცალო-ჲ – მოუცლელი
უცება-ჲ –მოჩვენება
უცთომელ-ი – „ვარსკულავნი ყოვლადვე მნათობნი და მარადის გებადნი“ 2v
უცონილად – დაუზარებლად, ბეჯითად
უცნება-ჲ – ჩვენება; სიზმარი; მოჩვენება
უცნობო-ჲ – უგუნური, სულელი
უცხო-ჲ – გაგდებული; უსახლკარო; უცნობი; უცხოელი; გარეშე; სხვა
უცხოება-ჲ –უცხო ქვეყანაში ყოფნა
უცხოთსადგურ-ი – სასტუმრო
უცხოთშემწყნარებელ-ი – უცხოთა შემფარებელი
უცხო-ქმნა – მოშორება; მოცილება
უცხო-ჩინება – გაკვირვება; უცხოობა
უჩინომყოფელ-ი – დამმალველი; გამაუჩინარებელი
უჩინო-ყოფა – მოსპობა
უცნობო-ჲ – უგუნური, სულელი
უცხოთესლ-ი – უცხოელი
უძილ-ი – ფხიზელი
უძლებ-ი – ფეხმძიმე, ორსული
უძლურ-ი – სნეული
უძჯნეს-ი – უმრისხანესი
უძჯრეს-ი – უბოროტესი, უარესი
უძღებ-ი – გაუმაძღარი
უწლოეს-ი / უწლოჲს-ი – უმცირესი
უწყალო-ჲ – შეუბრალებელი; ულმობელი; უმოწყალო
უჭირველად – ადვილად; გაუჭირვებლად
უხუება-ჲ – სიუხვე
უხუცეს-ი – ასაკით უფროსი
უჯამურ-ი – ფეხშიშველა

უჯმარ-ი – უსარგებლო; გამოუსადეგარი, უვარგისი

ფ

ფაკელ-ი / ფაკეოლ-ი – თავსაბურავი
ფას-ი – საფასური
ფერად-ფერად-ი – ნაირგვარი
ფერეზიკ-ი – მეწვრილმანე, მოვაჭრე
ფილ-ი – ჭურჭელი; სანაყი
ფინიკ-ი – ხურმა იხ. დანაკის-კუდი
ფინიკოან-ი – ხურმის ბაღი
ფისოვანება-ჲ – ფისიანი
ფიცხელ-ი – სასტიკი; ძნელი
ფლას-ი – ჩვარი; ძონძი
ფოლ-ი – ფულის ერთეული
ფრიად-ი – მრავალი
ფურნე – პურის საცხობი
ფსიათ-ი / ფსათია-ჲ – საგებელი; ხალიჩა; წამოსასხამი; ჭილობი „ფსიათი, რომელ არს ჭილი“ 225v

ქ

ქადება – ტრაბახი
ქანდაკებულ-ი – კერპი; გამოქანდაკებული
ქარტა-ჲ – ფურცელი
ქარქუეტ-ი – ფიჩხი
ქედფიცხელ-ი – ურჩი, თავხედი
ქვითხურო-ჲ – კალატოზი
ქვისსატყორც-ი – მანძილის საზომი
ქვოანი – ქვიანი, ქვებით სავსე
ქლამინდ-ი – წამოსასხამი
ქმნევა – გაკეთებინება
ქმნულკეთილ-ი – ლამაზი, მშვენიერი
ქნარ-ი – ჩანგი; ვარსკვლავი (საბა)
ქონა – ყოლა
ქრთილ-ი – ქერი
ქსენონ-ი – თავშესაფარი, საავადმყოფო
ქუაბ-ი – გამოქვაბული
ქუედამზიდვარ-ი – ჩამზიდველი
ქუეყანა-ჲ – მიწა; დედამიწა; ხმელეთი
ქუეყანიერ-ი – მიწიერი
ქუეყანისმოქმედ-ი – მიწათმოქმედი
ქუეჯდომით – ჯდომით
ქცევა – ტრიალი; ყოფნა; სვლა
ქცევა – მობრუნება; სვლა; ტარება

ღ

ღადო-ჲ –ქვაღორღიანი
ღათუ – თუნდა; თუმცა; იქნებ; კიდეც რომ
ღელვაგუემულ-ი – ღელვით ნაგუემი, ნატანჯი
ღელვაგუემულება-ჲ – ნავის დანთქმა, ჩაძირვა
ღელვატეხილობა-ჲ – შფოთი „ღელვა-აღძრული ზღვის ხეთქება“ (საბა)
ღირს-ი – შესაფერისი, ღირსეული
ღლია-ჲ – იღლია
ღონე-ჲ – ხერხი, გამოსავალი; საშველი
ღონება – ცდა, მდელობა, ხერხი
ღონე-ყოფა – ცდა; მოხერხება
ღრიაკალ-ი – მორიელი
ღრჭუმება – ყვინთვა, ჩაყურყუმელავება
ღუარ-ი – ნიაღუარი
ღუარძლ-ი – სარეველა
ღუწა –ზრუნვა, მოვლა
ღუწოლა-ჲ –ზრუნვა, გარჯა
ღჳნჭ-ი – კენჭი

ყ

ყანობირ-ი – ყანები
ყენება – შეჩერება
ყია-ჲ – ყრონტი, ხორხი
ყინელ-ი – ყინვა, სიცივე
ყოველგზით – ყოველნაირად
ყოვნა-ჲ – დაყოვნება, დაგვიანება
ყუედრება – საყვედური
ყოფადი – საქმნელი, მოსახდენი
ყურდგელ-ი – კურდღელი

შ

შამბ-ი – მაღალი ბალახი

შამბოან-ი – მაღალბალახიანი იხ. შამბი
შანთ-ი – ნაპერწკალი; ცეცხლი; ბუნება; საფუძველი
შარშა – შარშან
შებაყლებულ-ი – უწმინდური; ჭუჭყიანი
შებეჭდვა – ბეჭდის დასმა
შებრკუმა – შეფერხება, შეშლა, დაბრკოლება
შეგბობა – მოხარშვა
შეგვანება – შეფრება, შეფარდება
შედგმა – მოყოლა, თავდასხმა; შედება, შეერთება, შედგენა
შედგომილ-ი – მიყოლილი, მიმყოლი
შედეგ-ი – შემდეგი; მოადგილე
შედევნება – მიყოლება
შევედრება – ჩაბარება მინდობა; შეფერება
შევრდომა – ჩავარდნა; შესვლა; ვედრება; დამორჩილება
შეზავებულ-ი – შერეული, შეერთებული; დაკავშირებული; შემკული
შეზავაბეულება-ჲ – შერევა; შეერთება
შეზრახება – მოლაპარაკება
შეზღუდვა – შეკავება; ღობის შემვლება
შეზღუდვილ-ი – განმტკიცებული, შემოზღუდული
შეთქუმა – მოლაპარაკება
შეთქუმულ-ი – შეთანხმებული, მოლაპარაკებული
შეთხზვა – დაწვნა; შერევა
შეიწრება – შეწუხება, შეჭირვება; ძალდატანება
შეიწრებულ-ი – შეწუხებული; შეჭირვებული
შეკაზმვა – მომზადება; მორთვა
შეკრვა – მიკვრა, წაკვრა, მირტყმა
შეკრულ-ი – მიჯაჭვული
შეკრძალება-ჲ – გაფრთხილება; სიფრთხილე
შეკრძალვა – დაცვა, ფრთხილად შენახვა, გაფრთხილება; დაჭერა, პყრობა; ჭერა; ფხიზლობა
შეკრძალულ-ი – დაცული
შეკუეთა – შეჭრა, შეკვეცა
შელალება – ჩხუბი, დავა
შელალებულ-ი – ნაჩხუბებული
შელმობა – ატკივება
შემასმენელ-ი – დამბეზღებელი; ბრლამდებელი
შემგბარი – მოხარშული
შემგზავნება – შეშვება
შემთხუევა – შეყრა, გადახდომა
შემოდგომა – გამოყოლა, მოყოლა
შემოკუართვა – შემოხვევა
შემოქცევა – შემობრუნება
შემოწყუდევა – დამწყვდევა, შემოსაზღვრა
შემსგავსებულ-ი – მსგავსი, შესატყვისი; შესაფერისი
შემსჭუალვა – განშმჭვალვა, დამსჭვალვა; მიჭედება; განმტკიცება, მილურსმვა
შემურვა – მირონის ცხება; ბალზამირება
შემუსრვა – დამტვრევა, დამსხვრევა, მოსპობა
შემუსრვილი – დამსხვრეული; დასუსტებული
შემუსრვილება-ჲ – უძლურება; ჭრილობა; მოტეხილობა
შეცნობა – ცოდნა; შეტყობა
შეჭმუნვილ-ი – დამწუხრებული
შემწიკულება – შეგინება; წაბილწვა
შენანება – მონანიება
შენ-ი / შ̃ნი – აშენებული, ნაშენი
შეპოვნება – ხათრი, მორიდება; შეპუება
შეპყრობა – დაკავება
შერთვა – შეერთება, შემატება
შესაკრებელ-ი – კრებული
შესასხმელ-ი – ფეხსაცმელი
შესაძინელ-ი – სარგებელი; ქონება; ნაწილი

შესმენა – ბრალის დადება; დაბეზღება
შესწავლება – გაცნობა
შესწავლულ-ი – გაცნობილი, მიხვედრილი
შესწორება – გატოლება, შედარება, შეფარდება
შესხმა – ჩაცმა, შემოსა
შერაცხვა – ჩათვლა, მიჩნევა
შეტევება – შეშვება
შეტყუება – მიხვედრა, მხილება; შეფერება
შეტყუება-ჲ – მიხვედრა, შესაფერისობა
შეტყუელვა – ტაშის დაკვრა
შეუმსგავს-ი – შეუფერებელი
შეუორგულებელ-ი – დაუეჭვებელი
შეუორგულებელად – დაუეჭვებელად
შეურაცხება-ჲ – უპატიობა, არად მიჩნევა; აბუჩად აგდება
შეურაცხ-ი – არად მისაჩნევი, მდაბიო
შეურვება – შეწუხება
შეულღვილ-ი – შეკავშირებული
შექმნა – გაკეთება
შექცევა – უკან მიბრუნება, დაბრუნება; გართობა
შექცეული – გართული; დაკავებული; შებრუნებული
შექუსვა – ჩართვა; გატარება
შექუსულ-ი – შეერთებული, ჩაქსოვილი
შეღებვა – დასველება; შეღებვა
შეყმუნება – შეწუხება
შეყოფა-ჲ –დაკავშირება
შეშა-ჲ –ხე
შეცთომილ-ი – გზაარეული; დაკარგული
შეცილება – შეშლა; შეცდომა
შეცნობა – შეტყობა
შეძინება – შემატება, შეძენა
შეძნება – გაძნელება
შეწამება – ბრალის დადება
შეწბოლა – შერცხვენა
შეწირვა – მიღება, შეწყნარება
შეწყინება –მოწყენა; მობეზრება
შეწყობა – შეთანხმება, შეხამება
შეწყობილ-ი – შეფერებული
შეწყუდეულ-ი – დამწყვდეული, ჩაკეტილი
შეჭმუნვა – შეწუხება
შეჭმუნვებულ-ი – შეწუხებული, მჭმუნვარე
შეხლდომა – შევარდნა, შეხტომა
შთაბნევა – ჩაყრა; ჩაფანტვა
შთამოყოლა – ჩამოყოლა
შთაპყრობა – ჩაშვება; ჩადება
შთასხმა – ჩადება, ჩასხმა
შთატევნა – ჩატევა
შთაწუეთება – ჩაწვეთება
შთობა – ხრჩობა
შინა-ჲ –შიგნითა, შინაგანი
შინაჲთკერძო – შიგნიდან
შინაკერძო – შიგნითკენ, შიგნითა მხარეს, შიგნით
შოლდო-ჲ – მრგვალფოთლიანი ჭილი
შორვა – დაშორება, შორს ყოფნა
შორიელ-ი – შორეული
შორის – შუაში; ში
შორისმდებარებაჲ – შუაში მდებარეობა
შტო – სტოა
შჯდი – აქ: გარდაცვალებიდან შვიდე დღე: „რაჲთა გარდავიჴადო შჯდი ძმისა ამის“ 188r
შჯდეულ-ი – მთელი კვირა
შუაჲ/შუვაჲ – საშუალო
შუვაკედელ-ი /შუაკედელი – ტიხარი
შუება – ლხინი, განცხრომა
შუებულება-ჲ – განცხრომა
შუებულ-ი – ფუფუნებაში მყოფი, განცხრომილი
შუვადღე-ჲ – „რომელ არს ჟამი მეექუსე“ (საბა); შუადღის ჟამი
შუნება– იხ. მოშუნება
შურობა-ჲ –შური
შურომა – კეთება

შჯა – იხ. სჯა
შჯულ-ი / სჯულ-ი – კანონი
შჯულ-დება / სჯულ-დება – დაკანონება, კანონმდებლობა

ჩ

ჩაკრება – ჩალაგება
ჩამოჭრილ-ი – ჩავარდინილი
ჩამოყოლა – ზედ გადაგება
ჩამოჴდა – ჩამოღება
ჩაუტევრობა-ჲ – დაუტევნელობა
ჩაფხუტ-ი – საბრძოლო თავსაბურავი; ჩაბალახი
ჩაღმართ – ქვემოთ
ჩემება – მიკუთვნება, მისაკუთრება
ჩინება – გამოჩენა; დაწესება
ჩინებულ-ი – მიწვეული; გამორჩეული; დანიშნული
ჩოჴა-ჲ – ჩოხა (ბერის ტანსაცმელი)
ჩუენსახე-ჲ – ჩვენი მსგავსი
ჩუკენ-ი – ჯაბანი, გულდედალი, მხდალი

ც

ცა-ჲ – ცა; ჭერი
ცბა – გაგიჟება, გადარევა
ცემა – კბენა; კვეთება; გვემა
ცვა – დაცვა
ცვულება-ჲ – დაცვა
ცთომილნ-ი – შჯდნი იგი [ვარსკულავნი] უკვე ითქუმიან ცთმილად: მთოვარე, ერმი, აფროდიტი, მზე, არია, დია, კრონოსი“ (საბა) შდრ. უცთომელი
ცილობა-ჲ – დავა
ცისად-ცისად გუემულება – მთვარეულობა
ცნობა – მიხვედრა; შეტყობა; გაგება; პოვნა
ცნობამიღებულ-ი – უგონო, გონდაკარგული
ცონა – დაზარება
ცოფ-ი – გიჟი
ცუდ-ი – ფუჭი, ამაო, უსარგებლო
ცუდად – ფუჭად, ამაოდ
ცუდადმეტყუელება-ჲ – ფუჭსიტყვაობა
ცუდადმზუაობარ-ი – ამპარტავანი
ციდადმზუაობრობა-ჲ – ამპარტავნობა
ცუნდრუკება-ჲ – ავყიობა, აჩქარება, ავენობა; ჩურჩული
ცხედარ-ი – საწოლი
ცხენთსარბიელი – იპოდრომი
ცხოვნება – გადარჩენა
ცხრო-ჲ – ციებ-ცხელება

ძ

ძალ-ი – სასწაული; აზრი; არსი
ძალ-დება – შეძლება
ძალმწე-ჲ – დამხმარე
ძაძა-ჲ – ტომარა
- ძი – თუ
ძიების-ყოფა – ძებნა; გამოძიება
ძმაცუვა – ვერაგობა
ძლევა – დამარცხება, გამარჯვება
ძლეულება-ჲ – დამარცხება
ძლით – ძლივს, იძულებით
ძლისპირ-ი – ირმოსი, საგალობლის წინ წამძღვარებული მარცვალთა რაოდენობის განმსაზღვრელი საზომი
ძნება – გაძნელება
ძნიად – ძნელად
ძნობა – დაკვრა, სიმებიან საკრავზე დაკვრა; გალობა; მუსიკობა
ძუელძუელ-ი – ძალიან ძველი
ძღომა-ჲ – გაძღოლა
ძუღან – გუშინწინ
ძუღანდელ-ი – გუშინწინდელი
ძჯნი – ნაჭერი; გახურებული რკინის ნაჭერი
ძჯრისზრახვა-ჲ – ბოროტის განზრახვა
ძჯრისმეტყუელება-ჲ – ავის ლაპარაკი „ყოველი სიტყუაჲ, რომელი ვერ ძალ-უც პირისპირ თქუმად მოყუსისა, ძჯრისმეტყუელებაჲ არს“ (საბა)
ძჯრმოჴსენე-ჲ – გულღრძო

ძჯრისჴსენება-ჲ – გულღრძოობა
ძჯრისხილვა-ჲ – მოშურნეობა, ბოროტება; შური, ავის ხილვა
ძჯრუჴსენებლობა-ჲ – პატიება; გულუღრძოობა
ძღომილ-ი – გაძღოლილი

წ

წალია-ჲ – ჩირქი
წამება-ჲ – დამოწმება
წამლეან-ი – საწამლავიანი, შხამიანი
წამ-ყოფა / წამის-ყოფა – მინიშნება, თვალით ნიშნება
წარბლარდნა – გახვევა
წარგება – დახარჯვა
წარგრაგნა – გახვევა
წარდგინება – განკუთვნება; წარდგენა; დატყენება
წარვლა – წასვლა, გავლა
წართქუმა – წარმოთქმა
წარმართება-ჲ – გამარჯვება; წარმართვა
წარმართებულ-ი – წასული; გამარჯვებული
წარმგზავნა – გაგზავნა
წარმოგუალე – წამოდი; იხ.: გუალე
წაროტება–განდევნა
წარსაგებელ-ი – დასახარჯავი, ხარჯი
წარსწრობა – დასწრება, გასწრება
წარსხმა – განდევნა, წაყვანა (მრავლისა), მიყვანა
წართევება – თავდასხმა
წართყუენვა – მოხიბვლა; ტყვედ წაყვანა
წაროტება – განდევნა
წარქცევა – იძულებით წაყვანა; განდევნა
წარწყმედა – დაკარგვა; დაღუპვა
წარწყმედილ-ი – დაკარგული; დაღუპული
წარხუმა – წაყვანა; წაღება (მრავლისა)
წარჴდომა – დარღვევა, დანგრევა; აცდენა
წაღმართ – შემდგომში, მომავალში; პირდაპირ
წარჴდუნება – გაფუჭება
წდევა – დასხმა
წევნა – დაწევა, მიწევა; შეხვედრა
წერტა – ჩხვლეტა; ტანჯვა
წესა – დაძახება, მოხმობა
წესნიერ-ი – მონაზონი ქალი
წიაღ – გაღმა, გადაღმა; იქითა მხარეს, აქეთ
წიაღ-ი –კალთა, უბე, იღლია
წიაღმოვლა – გადმოსვლა
წიაღსლვა – გადასვლა
წიგნ-ი – წერილი; დოკუმენტი
წიგნი დაფარული – ისეთი ტექსტების შემცველი წიგნები, რომელიც არ არის განკუთვნილი ფართო საზოგადოებისათვის – აპოკრიფი
წიდოვან-ი – თვიურიანი; ჭუჭყიანი
წინაგანსაწყობელ-ი – შესაბრძოლებელი
წინაგანწყობილ-ი – მებრძოლი, მტერი
წინაგჳც – იხ. წინადება
წინააღდგომა – წინ აღდგომა
წინადაგებულ-ი – გაშლილი; მორთმეული
წინადება – ქონა
წინადამთხუევა – შეხვედრა
წინაკერძო – წინ
წინამბრძოლ-ი – მეთაური, მოწინააღმდეგე
წინამოხუმა-ჲ – თვალწინ ქონა
წინამოსაჯულ-ი –მომჩივანი
წინაუკუმო –საპირისპიროდ
წინაყოფა-ჲ – იგავი
წინაყოფა – დადება; დაპირისპირება; წარმოდგენა
წინაშემდგომელ-ი – წინ მდგომი; ზედამდგომი კარისკაცი, მსახური
წინდ-ი – გირაო; საწინდარი
წკერება – რაკუნი
წმასნვა – თხზვა, ხლართვა
წმასნილ-ი – გრეხილი; დახლართული

წოდება – დაძახება, მოწოდება
წოდებულ-ი – მოხმობილი, დაძახებული, მოწვეული
წონა – გაზომვა
წუდილ-ი – ამოწვდილი
წუევა – მოწოდება; მიწვევა; იძულება; წაქეზება
წუელა-ჲ / წუელ-ი – ჩალის ნამცეცი, ნაწვერალი, ღერო, ბეწვი
წუერგამო-ჲ – უწვერული
წუენსაჭმელ-ი – წვნიანი კერძი
წუთ – ჯერ კიდევ, ცოტა ხანს; ჯერ
წუთ-წუთ – ხშირად
წუთღა – ჯერ კიდევ; ცოტა ხანს; ცოტაღა
წუთხი – ჩირქი
წულილად-ი – მცირე; წვრილი; დაწვრილებით
წულილვა – გამოძიება, გამოკვლევა
წუნწუბა-ჲ – გოგირდი
წურთა – სწავლა
წურთილება-ჲ – წვრთნა; სწავლა
წყალობააურაცხელ-ი – უსაზღვროდ მოწყალე
წყინება – შეწუხება, გაბეზრება
წყინებული – შეწუხებული, მობეზრებული
წყენილ-ი – შეწუხებული
წყობა-ჲ – შებმა, ბრძოლა, განლაგება
წყლვა – დაჭრა, დაწყლულება
წყლითმანკიერ-ი – წყალმანკიანი
წყნარება – უძრაობა
წყუდეულ-ი – შემწყვდეული

ჭ

ჭაკუნტელი – ჭარხალი
ჭამადი – საჭმელი
ჭაშნიგი – ჭაშნიკი, ღვინო „მცირედი რადენობა სასმელთა გემოს გასასინჯად“ საბა
ჭახრაკ-ი – საბრუნავი, ხრახნიანი მოსაჭერი მოწყობილობა
ჭილი – პაპირუსი, „ჭილიცა სამ-ოთხ გვარი არს: შოლდი, არს დაბალი და ღერომრგვალი ჭილი; ვივლოსი არს მაღალი და მრგვალი ჭილი; ჩალამგელა -ფოთლებბრტყელი ჭილი; და სხვაგვარიცა“ (საბა)
ჭილობ-ი – იხ. ფსიათი
ჭირ-ი – წუხილი; გაჭირვება
ჭირვება – შეწუხება; შევიწრება, ტანჯვა
ჭირვეულება-ჲ – გაჭირვება
ჭიჭნაურ-ი – აბრეშუმი
ჭუვარგენ-ი – კომბალი
ჭურჭელ-ი – ჭურჭელი; ქონება; ნივთი, ჩანთა, იარაღი
ჭყრობა – ხედვა, ყურება, ჭვრეტა

ხ

ხად / ხდა – დაძახება; წოდება; მიპატიჟება; მიწვევა
ხადილობა – წვეულება
ხალენი – ტყავის წამოსასხამი
ხანად-ხანად – თანდათანობით
ხანითი ხანად – დროდადრო
ხევნარ-ი – ტყე, ხეები
ხელ-ი – გიჟი
ხენეშ-ი – ცუდი, ავი, საძაგელი
ხენეშისმეტყუელება-ჲ – ცუდი ლაპარაკი
ხერდოან-ი – „ჴმელზედ ნაყარი ჴერგი“ (საბა)
ხერგ-ი – „ძელნი მდინარით მონატანნი“ (საბა)
ხვალისდღე – მეორე დღე
ხილვა-ჲ – ჩვენება
ხლება –ახლოს ყოფნა; თან ყოფნა
ხოლე – მარტო; მხოლოდ
ხორო-ჲ – გუნდი
ხორშაკ-ი – სიცხე; გვალვა; ცხელი
ხრტინვა – ხრიალი, ხროტინი
ხუაიშან-ი – ხვეწნა, ვედრება; შუამავალი
ხჳთქ-ი – ნიანგი

ჭ

ჭამლ-ი – ფეხსაცმელი
ჭამს – საჭიროა
ჭდომა – წასვლა; გამოსვლა; ურჩობა; ბრძოლა
ჭელთსაქმარ-ი – ხელსაქმე; ხელობა; გაკეთებული
ჭელჭელ / ჭელისჭელ – სასწრაფოდ, სახელდახელოდ
ჭელისამპყრობელი– დამხმარე, შემწე
ჭელოვან-ი – ოსტატი, ხელოსანი
ჭელოვნება – ხელობა ოსტატობა, ცოდნა, მოხერხებულობა
ჭელოსან-ი – მოხელე; თანამდებობის პირი
ჭმა-ყოფა – დაძახება; შეხმიანება
ჭმელ-ი – ხმელეთი
ჭმოანად – ხმამაღლა
ჭმობა-ჲ – დაძახება; დაყვირება; ღაღადება
ჭნარცჯ – ორმო
ჭუვილ-ი – თავთავი, თაველი
ჭუელა – ხველა
ჭუმევა – გამოყენება, ყოფა; მიჩნევა; მიღება, ხმარება
ჭუნდი – ხუნდი „ფერჭის შესაპყრობელად შემზადებული რამე“ (საბა)
ჭურელგუარ-ი – ხვრელის მსგავსი
ჭურთა-ჲ – მჯიღი
ჭუებულ-ყოფა – მოკლება; დაკლება
ჭშვა – დახშვა, დახურვა

ჯ

ჯაჭუ-ჭურ-ი – იარაღი; საჭურველი
ჯერისაებრ – შესაფერისად; წესისაებრ
ჯერისათჯს – გამო
ჯერ-ყოფა – ღირს ყოფა; შესაფერისობა; საჭიროდ ჩათვლა
ჯერ-ჩინება – ნება; მიჩნევა; საჭიროდ ჩათვლა
ჯმნა – მოშორება; გამომშვიდობება
ჯმნილ-ი – მოშორებული; წასული
ჯურღმულ-ი – ჭა

ჰ

ჰავი – ავი
ჰასაკ-ი – სიმაღლე; სხეული; ტანი
ჰე /ჰჱ – დიახ, ხო
ჰეთუ – იქნებ, ეგების
ჰილო-ჲ – „ჰილლონ - საზრდელი არს გარეშითა სიტყჳთა“ (საბა) ἡ ἰλύς
ჰინდო-ჲ – ინდოელი; ეთიოპელი
ჰოროლ-ი – შუბი
ჰრულ-ი – იხ. რული
ჰუნე – ცხენი
ჰაერის მცველი – ეშმაკი

პირთა საძიებელი

ა

აბრაჰამ – 102, 177, 180, 208, 219, 303, 308, 322, 377, 378, 393, 405, 502, 503, 550, 650

აბრაჰამ ქართველი –386
აბულაძე ი. – 59
აგათონ – 206, 235, 279, 294, 353, 374, 375, 405, 446, 446, 471, 521, 543, 581, 582, 645
ადამ – 164, 442
ავიგეა – 544
ათანასია – 305, 307, 310, 311
ათანასე – 309
ათანასე ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსი –52, 84, 181, 343, 605, 681
ათრე – 9, 105, 217, 548
აიოს/ აჲოს / აიონ – 158, 172, 378
ალექსანდრე – 373, 375
ალონი – 378, 447, 523, 543, 547
ამირეჯიბი ბარამ – 63
ამო – 207, 446, 447, 522
ამონ – 53,17, 206, 294, 353, 353, 372, 376, 377, 399, 446, 502, 521, 582, 602, 643
ამმონ – იხ. ამონ
ამონ ეგვიპტელ-არაბიელი – იხ. ამონ
ამმონ რაითელი – 161, 347
ამონათანი – 643
ამმო – იხ. ამო
ამფი – 523
ანასტასია – 305
ანდრეა – 81,84, 591, 592
ანდრონიკე – 305, 306, 307, 308, 309, 310, 311, 316
ანტონი – 68, 84,102, 107, 150, 171, 183, 199, 205, 220, 235, 278, 294, 315, 337, 353, 354, 371, 372, 373, 445, 463, 471, 475, 502, 516, 517, 546, 549, 572, 581, 582, 585, 601, 643, 650, 654, 659, 660, 661
ანუბ / ანობ – 180, 208, 240, 408, 457, 522, 523, 545
აპოლონ – 237, 238, 582
აპოლო – 183, 340, 452, 478
არე – 502, 503
არსენი–151, 152, 153, 154, 155, 160, 171, 205, 206, 278, 279, 285, 338, 373, 375, 446, 471, 502, 517, 518, 519, 520, 585, 586, 601, 602
არსლანის ძენი – 64
აფროდიტი – 83
აქილა –155, 207, 236, 376
აქიტუფელ – 468
აჰრონ – 393

ბ

ბარამიძე მ. – 42
ბასილი – 283, 503
ბაციკის ძე გიგა – 65
ბენიამენ – 85, 208, 296
ბესარიონ – 9, 85, 105, 217, 295, 354, 447, 472, 544, 644
ბიარე – 85
ბიკატოს / ბიკატოს – 379
ბიკტორ დაყუდებული – 296
ბიტიმი – 103, 155, 376, 656
ბრეგაძე თ. – 67

გ

გიორგი განშორებული – 280
გიორგი მთაწმიდელი – 61, 64
გელასი – 280, 379, 645, 692
გერასიმე – 63, 64, 145
გერმანე – 67
გერონტი კლდისაჲ – 236
გი ჟ.-კ. – 6,7,8,9,10, 14
გრიგოლ – 68
გრიგოლ ღმრთისმეტყუელი– 296, 523, 681

დ

დავით წინაწარმეტყელი – 87, 102, 103, 139, 473, 544
დანიელ – 102, 103, 205, 206, 220, 236, 279, 296, 302, 308, 311, 338, 340, 342, 347, 373, 375, 380, 446, 447, 479, 480, 518, 519, 520, 524, 601, 604, 644
დაღონო – 100
დარეჯან – 63,64
დემეტრე – 62
დექსოკრატის – 485
დვალი მ. –5,6, 7
დიმოკრატე – 208
დიონჳსია – 128
დულას – 296, 472

ე

ეგნატი ღმერთშემოსილი – 129
ევაგრე – 126, 525
ევგენი – 61, 87
ევდემონ – 236
ევლოგი – 481, 482, 483, 485, 486, 487
ევლოგიოს – 343
ევპრეპი – 87, 280
ევსტუქი იერუსალი მელ პატრიარქი – 320
ევხარისტოს – 655
ეზეკიელ – 688
ელადი – 209
ელია – 66, 96, 312, 353, 354, 645, 682
ელისე წინაწარმეტყუელ – 624
ელისელი – 189, 190
ეპიმახო – 548, 549
ეპიფანე – 50, 208, 380, 478, 525
ეპიფანე კჳპრელ მთავარეპისკოპოსი –472, 562, 605
ერეკლე მეფე – 68
ერმი – 85
ესავ – 76
ესაია – 9, 49, 89, 90, 105, 158, 175, 207, 209, 217, 311, 344, 355, 385, 397, 447, 503, 526, 527, 528, 583, 681
ეფთვიმე მთაწმიდელი – 5,4,41, 42,44,45,46, 64
ეფრემ –381, 605
ეფროსინე – 63, 64

ვ

ვენედიკტონ – 61, 62
ვიტიმი – იხ. ბიტიმი

ვ

ვახტანგი – 69
ჳპერიქე – იხ. იპერიქე

ზ

ზაქარია – 88,89, 221, 284, 458, 459, 476, 525, 534, 535, 620
ზენონ – 53, 88, 209, 381, 382, 384, 525, 572, 607, 646
ზინონ – იხ. ზენონ
ზოილე – 215, 285
ზოჲნე – იხ. ზოილე
ზოსიმე – 9,42,44, 122

თ

თამარ – 69
თეიმურაზ მეფე – 68
თევდორა – 529
თეოდორა – 304, 314

თეოდორე / თევდორე – 184, 185, 189, 209, 233, 313, 345, 385, 487, 488, 528, 572, 573, 662, 682
თეოდორე ელევთერიპოლელი – 386
თეოდორე ენატელი – 449, 583
თეოდორე სკიტელი – 449
თეოდორე ფერმელი–96, 155, 156, 280, 313, 338, 385, 491
თეოდოსი არქიმანდრიტი – 213, 227
თეოდოსი ახალი – 555
თეოდულე – 227
თეონა – 212, 318, 320, 449, 546
თეოპემპტოს – 611
თეოფილე მთავარეპისკოპოსი – 96, 151, 152, 175, 176, 210, 229, 52905, 6
თეოფილე ხუცემონაზონი – 5,6, 7, 9, 14,15, 41,42,46, 49,55, 56,57,58,61, 278
თეოღნი – 620
თომა – 68
თომაიდა – 273

ი

იაკობ – 177, 242, 282, 392, 473, 535, 540, 621, 682
იაკობ მოციქული – 81
იამბრე – 614
იანე – 614
იერაკ – 99
იერემია – 393
ივისტიონი / ივისტინი – 240
ივლიანე უსჯულოჲ (განდგომილი) – 223, 605
ილარიონ – 208, 209, 585
იოაბ – 103, 466, 469
იოანე / იოვანე – 68, 81, 97, 157, 160, 177, 211, 212, 305, 314, 385, 449, 450, 451, 452, 504, 522, 530, 541, 573, 583, 584, 585, 607, 608
იოანე თებელი – 532
იოანე კილიკიელი, წინამძღუარი რაჲთისაჲ – 51, 53, 98
იოანე კრებულისა წინამძღუარი – 97
იოანე / იოვანე კელიელი – 177, 236
იოანე კჳზიკელი – 98
იოანე მოკლე – 210, 314, 315, 386, 399, 449, 488, 503, 530, 531, 572, 583, 587
იოანე მონაზონი – 67
იოანე ნათლისმცემელი – 75, 77
იოანე ოქროპირი – 48, 98
იოანე საჭურისი – 392
იოანე / იოვანე სპარსი – 281, 393
იოანე ღმრთისმეტყუელი
იობ მართალი – 103, 112, 393
იონა მონაზონი - იხ. იოსებ ხუნტუს ძე
იოსებ – 99, 156, 159, 181, 211, 268, 343, 386, 387, 388, 397, 399, 411, 452, 473, 488, 516, 517, 530, 531, 543, 581, 682
იოსებ თიბელი (თებელი) – 99, 387
იოსებ პილუსიელი – 533
იოსებ ხუნტუს ძე – 46, 47,48
ივისტიონ / ივისტინი–,
იპატიოს – 485
იპერიქე / იპერექი – 184, 222, 285, 324, 413, 460, 509, 552, 589
იპერექიოს – იხ. იპერიქე
ირაკლი – 312
ირინეოს – 88
ირინი – 650
ისაკ – 99, 103, 181, 211, 281, 386, 404, 406, 452, 456, 466, 532, 533, 573
ისაკ თებელი (თიბელი) – 355
ისიდორე – 157, 210, 281, 315, 392, 452, 532, 617
ისიდორე ხუცესი – 21, 535
ისქჳრიონ – 609
იუსტინე – 485
იუსტინიანე მეფე – 304, 485, 486
იუდა – 455, 468
იულიანე - 282

კ

კაინ /კაენ – 468
კარანაძე მ. – 46
კარიონ – 236, 525, 534, 535

კასიანე – 97, 211, 236, 283, 453, 489, 645

კახაბრიშვილი ც. – 63, 67
კლიმი – 61, 278
კოზმან – 157
კონონ – 213
კოპრე / კოპრი – 315, 535
კორნილიოს –476
კოსტანტი მეფე – 372
კოსტანტინე – 408
კრონოს – 100, 533
კრონიოს –იხ. კრონოს
კჳრილე ალექსანდრიელი – 415, 604
კჳროს ალექსანდრიელი - 238

ლ

ლაზარე – 334
ლოთ – 239, 374, 452, 457, 473, 585
ლონგინოს – 178, 213, 393, 536, 573, 606, 609, 610, 646, 647, 682
ლუკიონ / ლუკიო / ლუკიანოს – 313, 393, 474

მ

მათუსალა – 128
მაკარი – 86, 90, 100, 144, 178, 179, 213, 283, 316, 355, 394, 395, 453, 474, 536, 537, 538, 539, 573, 586, 610, 611, 612, 613, 615, 617, 647, 648, 655, 656, 658
მაკარი დიდი – 100, 158, 315, 355, 393, 453
მაკარი ალექსანდრიელი – 53
მაკარი მეგჳპტელი – 178, 394, 538
მაკარი მოქალაქე – 214 , 393
მარი ნ. – 5
მარიამ – 605, 655
მარკელე / მარკლლოს – 318, 319, 618
მარკოზ / მარკოს – 101, 106, 151, 158, 180, 279, 338, 339, 479, 504, 505, 618
მარკოზ განშორებული – 214
მარკოზ მეგჳპტელი – 356
320მატთეოს – 81
მატო –102, 181, 239, 346, 395, 540, 541, 573, 661
მეგეთი – 284, 395, 505
მელქისედეკ – 50, 604
მეტრეველი ელ. – 5, 63
მილისი / მილი – 317, 648
მინას – 214
მიოს – 53, 395, 505, 542
მჳროგენი – 195v
მიქაძე გ. – 65
მოსე –51, 101, 126, 134, 136, 137, 142, 158, 179, 180, 189, 212, 236, 283, 346, 356, 406, 454, 459, 473, 474, 506, 525, 539, 540, 617, 618, 665, 682

ნ

ნაბუქოდონოსორ – 273
ნაბუზარდან მზარეულთმთავარი – 215
ნათანაელ – 285
ნეტრა, მოწაფე მამისა სილოვანესი – 396
ნილოს – 159, 475, 542
ნიკონ – 320
ნისთერეონ – 102, 346, 359, 454, 490
ნოდარ – 68
ნოე – 103

ო

ონოფრე ტფილელი – 63, 64
ორ – 184, 413, 548, 662
ორბელიანი სულხან-საბა – 58
ორსირიოს – 542
ოქსჳრინხო – 523

პ

პაესიოს – 9, 211, 408, 456, 574, 653
პავლე – 80, 93, 160, 182, 1836, 217, 322, 393, 413, 504, 575, 649, 662, 682
პავლე ილუსტრიელი – 690
პავლე ფოტელი – 53
პავლე წრფელი – 183, 619
პაისია – 585
პალადი –104
პალადიონ / პალადიოს – 217, 407
პამბო – 9,10, 84, 105, 106, 181, 217, 281, 407, 457, 507, 547, 588, 659
პამბო ბარამის ძე – 63
პაფნოტი – 160, 236, 241, 355, 361, 408, 544, 549, 588
პაფნოტი კეფალა – 232v
პაფნოტი მოწაფე მამისა მაკარისი – 179
პაფნოტი სიდონელი – 53
პახუმი – 123, 395, 619, 661
პეტრე – 81, 232, 317, 374, 393, 400, 448, 457, 537, 547, 548, 549, 586
პეტრე ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსი – 622
პეტრე პიონელი – 217
პიმენ – 102, 103, 104, 139, 144, 145, 159, 172, 180, 181, 215, 216, 240, 241, 315, 321, 322, 347, 357, 358, 359, 360, 361, 396, 397, 398, 399, 400, 401, 402, 403, 404, 405, 406, 408, 453, 455, 456, 475, 490, 491, 505, 506, 516, 522, 523, 525, 532, 543, 544, 545, 546, 547, 574, 587, 649, 659, 661
პიორ – 216 , 361, 5741
პისტამონ – 284
პიტყრიონ – 107
პომბიოს – 485
პოპლიონ – 475

რ

რომანოს – 660
რუფონ / რუფოს – 160, 507

ს

საბა – 96, 608
სარმატან/ სარმატა/ სარმატი – 161, 551, 661
სარრა – 222, 241, 323
საულ – 139
სემი – 682
სერაპიონ – 183, 212, 285, 459, 491
სერგი წინამძღუარი პედიადისა – 142
სერინოს – 221, 4061, 55
სილოვანე / სილოანე – 88, 182, 284, 349, 396, 411, 412, 458, 504, 575, 588, 618, 620, 660, 661
სილოანოს – იხ. სილოვანე
სიმონ – 348, 456
სიმონ-პეტრე – 81
სირი თიღონელი – 53
სისო –108, 143, 160, 161, 219, 220, 322, 347, 400, 411, 458, 460, 476, 505, 508, 547, 548, 549, 550, 551, 588, 647, 650, 660, 661, 682
სისო თებელი (თიბელი) - 161, 220, 221, 411, 550
სისო კალამონელი – 221
სჯმონ – 63
სოლომონ – 231, 393
სორი – 573
სოსიპატროს / სოპატროს – 508
სოფრონიოს ბრძენი – 388
სჯმეონ – 664
სჯმეონ მესუეტე –379, 380
სჯმეონ ღოღობერიძე – 6
სჯნკლიტიკი / სჯნკლიტიკე/ სჯნკლიტიკტე – 222, 285, 323, 348, 460, 509, 552
სუროს – 661
სფირიდონ – 575, 065

ტ

ტითო – 161, 222, 348, 476, 552, 575, 661
ტიმოეთე – 358, 491

ჯ

ჯპერექი -იხ. იპერიქე

უ

ულჯმპი სენაკებისა – 239, 45
ულიმპიოს – 455

ფ

ფანოელი – 68
ფილიპოეს – 81
ფილიკი – 184
ფილაღრიოს – 285
ფილორომოს – 223, 661
ფოკას – 242, 620
ფორტას – 325
ფოტი – 7, 10
ფოტიუსი – იხ. ფოტი
ფსენთასიოს – 661
ფსოდოს – 661

ქ

ქავთარია მ. – 67
ქალებ – იხ. ხალებ
ქერემონ სკიტელი – 325
ქსანთიას / ქსანთიოს – 455, 648
ქუთათელაძე ლ. – 67

შ

შარაშიძე ქრ. – 59, 64
შილა – 60

ჭ

ჭანკიევა ც. – 63

ხ

ხალებ –450
ხომე –108

ჯ

ჯავახიშვილი ი. – 47
ჯღამაია ლ. – 6, 67

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა

ათინა – 579
ათლივერის /აღლივრის მთა – 358
ალექსანდრია – 106, 121, 152, 153, 157, 169, 208, 210, 229, 234, 270, 271, 272, 273, 304, 308, 309, 310, 338, 339, 400, 491, 496, 518, 605, 606, 646, 654
ანტინოუსთა/ ანტინოოსთა მთა – 251
ანტიოქია – 305, 306, 366
აპამია – 665
არაბია ეგვიპტისა - 281
არნიანი –203
არსენოიტი – 585
ასურასტანი / ასურეთი – 366, 498, 525, 618

ბ

ბაბილონი – 126, 329, 520, 524
ბიზინტია (კონსტანტინოპოლი) – 483
ბივრიტე – 380

დ

დავით გარეჯი – 62, 68
დიოლკოჲ /დიოლოკოჲ –598

ე

ეგვიპტე – 162, 177, 180, 199, 202, 207, 215, 224, 241, 256, 250, 261, 262, 309, 321, 346, 355, 356, 361, 362, 380, 386, 394, 396, 414, 421, 489, 491, 500, 505, 525, 534, 536, 573, 586, 588, 592, 593, 599, 604, 645, 649, 565, 665, 693
ეთიოპია – 388
ენატა – 270, 388, 474, 646
ერმო ქალაქი – 340

ზ

ზეთისხილის მთა – 193, 672
ზღუამკუდარი – 680

თ

თებაიდა – 308, 331, 340, 373, 408, 480, 555, 565, 649, 665
თესალონიკე – 441

ი

იერიქო – 203, 567
იერუსალემი – 109, 134, 193, 234, 285, 315, 501
იერუსალიმის ჯვრის მონასტერი – 46
იორდანე – 141, 460, 561
ირაკლოჲ / ირაკლამონი – 387, 573
ისრაელი – 194
იტალია – 7
იულიანეწმიდა – 306

კ

კანოპე ალექსანდრიისა /კანოპონი ალექსანდრიისა – 152, 185, 520
კალამონი არსენოჲტისა – 169, 220
კესარია – 139
კჳნო – 199
კ ჳპრე – 575
კჳროს – 141
კოლეზმა/კოლჳზმა/კლჳზმა / კულიზმა – 161, 199, 547, 693

კოსტანტინეპოლი / კონსტანტინეპოლი – 372, 379, 494, 555

ლ

ლიბანი – 319

მ

მაგდალო – 541
მემფო– 520
მეტემერ – 190
მინაწმიდა – 234, 308
მონიდინი – 7, 197, 198
მრავალმთის მონასტერი – 6

ნ

ნეაპოლი – 133
ნიკია – 408
ნიკოპოლი – 379
ნილოპოლი – 625
ნიტრიის მთა – 9, 105, 145, 191, 199, 320, 372, 538

ო

ოქსურინხო – 333, 497, 667

პ

პალესტინა – 349, 379, 472, 489, 494, 585
პანეფო –343, 488, 575
პედიადი – 142
პემპტო – 304

რ

რაითი – **191, 548, 566**
რუსო ქალაქი - 233

ს

სენაკები – 115, 208, 217, 224, 226, 228, 281, 326, 332, 349, 376, 419, 505, 514, 540, 564, 582, 593, 621
სინას მთა – 6, 47, 189, 192, 234, 396, 411, 533
სიონის მთა – 109
სკიტე – 101, 122, 151, 154, 155, 158, 160, 161, 178, 180, 185, 205, 207, 208, 210, 224, 225, 232, 236, 242, 248, 249, 260, 271, 278, 283, 285, 288, 302, 304, 308, 310, 316, 325, 338, 339, 356, 375, 386, 393, 409, 421, 423, 429, 450, 451, 455, 463, 465, 476, 480, 481, 483, 488, 489, 502, 503, 511, 518, 520, 525, 529, 531, 534, 535, 537, 538, 542, 565, 579, 586, 593,601, 606, 612, 618, 620, 622, 624, 644, 648, 651, 653, 655, 656, 669, 687
სპრსეთი – 317, 475
სკჳთოპოლი – 193, 607

ტ

ტამიათი – 285
ტერენუთი – 316, 648
ტრიმითუნდა – 575
ტროადა – 520
ტროინი – **იხ. ტროადა**
ტჳროსი – 494, 623
ტფილისი – 67, 68

ფ

ფერმე – 345, 431

შ

შოროთის წმინდა გიორგი – 64, 65

ც

ცხრათა მონასტერი – **იხ. ენატა**

ხ

ხრჳსორო – 644

ჰ

ჰრომი – 562
ჰურიასტანი – 500

სარჩევი

შესავალი 5

ზოსიმეს „სწავლანის“ თეოფილე ხუცესმონაზონისეული თარგმანისათვის 42

თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანის ერთი თავისებურება..... 56

პირველი სიტყუაჲ შესავალი წიგნისაჲ წმიდათა და ნეტართა
მამათა ჩუენთა ცხორებათათჳს და მოქალაქობათა 73

სწავლანი შუენიერნი წმიდათა და ნეტართა მამათანი სისრულისათჳს
სათნოებათაჲსა 84

თავი გ

სწავლანი და თხრობანი სულიერნი წმიდათა მამათანი და ვითარმედ
ჯერ არს ჩუენდა ყოვლითა ძალითა მიდევნებად დაყუდებასა..... 150

თავი დ

თხრობაჲ თჳთოსახჱ წმიდათა მამათაჲ ლმობიერებისათჳს..... 171

თავი ე

სწავლანი და თხრობანი წმიდათა მამათანი მრავალსახენი და
მრავალგუარნი მარხვისათჳს და სხუათა ამათ სათნოებათა და
ვითარმედ არა ჭამადთა ოდენ ზედა გამოისახვის მარხვაჲ,
არამედ ყოველთავე ზედა საცნობელთა და აღძრვათა სულისათა 205

თავი ვ

მოძღურებანი თჳთოფერნი და მოთხრობანი..... 235
მრავალსახენი წმიდათა მამათანი განკრძალვისათჳს ჩუენდა ბრძოლათაჲსა,
რომელნი-იგი სიძვისა მიერ აღდგებიან ჩუენ ზედა 235

თავი ზ

უპოვარებისათჳს და არა მიხუეჭისა და სხუათა მათთჳს სათნოებათა 278

თავი ჱ

თხრობაჲ თჳთოსახჱ წმიდათა და ღმრთივსულიერთა მამათაჲ,
რომელი აღმჭურავს ჩუენ და აღმადგინებს სიმჴნედ და მოთმინებად..... 294

თავი თ

სწავლანი და თხრობანი წმიდათა და ნეტართა მამათანი,
ვითარმედ არარასა ჯერ არს ქმნაჲ საჩუენებელად კაცთა 337

თავი ი

ვითარმედ ჯერ არს ყოვლითა ძალითა ჩუენითა კრძალვად, რაჲთა
არავის განვიკითხჳდეთ 353

თავი ია

განკითხვისათჳს საღმრთოჲსა და განრჩევისა კეთილისა ბოროტისაგან 371

თავი იბ

ვითარმედ ჯერ არს ჩუენდა ყოლადვე და მარადის მღჳძარებაჲ და
სიფრთხილიჱ 445

თავი იგ

ვითარმედ ჯერ არს მოუკლებელად და მღჳძარედ ლოცვაჲ ყოლადვე
და ყოველსა ჟამსა 471

თავი იდ

ვითარმედ გჳბმს და თანაგუაც უცხოთმოყუარებაჲ და
მოწყალებაჲ სიხარულით 478

თავი იე

ვითარმედ ჯერ არს სულიერთა მიმართ მოძღუართა მოგებად
მორჩილებასა შეუორგულებელსა 502

თავი ივ

სიმდაბლისათჳს კეთილისა და მას შინა განათლებულთათჳს მამათა 516

თავი იზ

ძჳრუბსენებლობისათჳს, რომელი-ესემსგავსებაჲ არს ღმრთისაჲ 572

თავი იჱ

სიყუარულისათჳს ღმრთისა და მოყუსისა 581

თავი ით

სულითა მხედველთათჳს წმიდათა მამათა 601

თავი კ

ნიშებშემოსილთათჳს და სასწაულთა მოქმედთა წმიდათა მამათა 643

თავი კა

მოქალაქობისათჳს სათნოებათა შინა წარმართებულთაჲსა 654

თავი კბ

მოთხრობაჲ სულიერი ათორმეტთა მათთჳს განშორებულთა 671

თავი კგ

უწყებაჲ მოქალაქობისათჳს სათნოებითა შემკულთაჲსა 675

თავი კდ

სიტყუათაგან სულიერთა წმიდათა მამათასა, რომელნი მოღუაწებასა
შინა დაბერებულ იყვნეს, მოკლე მოთხრობაჲ ცხადმყოფელი სათნოებათა .. 681

თავი კე

უბნობაჲ და ზრახვაჲ სულიერი წმიდათა ბერთაჲ კითხვა-მიგებით 684

თავი კვ

მოკლჱ და სულმცირჱ უწყებაჲ პავლესთჳს ილუსტრიელისა 690
უტ 40 –236რ-ვ 692

Abstract 694
ლექსიკონი 696
პირთა საძიებელი 726
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი 733

საგამომცემლო ჯგუფი

ირმა ბერიძე
ლიკა სხირტლაძე

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
0193 თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. 1/3. ტელ.: 995 (32) 247 42 42

www.manuscript.ge info@manuscript.ac.ge

1/3 M. Alexidze str., Tbilisi 0193, Georgia. Tel.: +995 (32) 247 42 42
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS